

ქრისტიანული ეკლესიის ისტორია

I ს. – XV ს. შუა წლები

გადმოსცა **გვანცა კოპლატაძემ**

მეექვსე შევსებული გამოცემა

ტომი I (I-VII სს)

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა

თბილისი, 2019

დაიბეჭდა
უწმიდესისა და უნეტარესის
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II

ლოცვა-კურთხევით



ქრისტიანული ეკლესიის ისტორია არა მხოლოდ რეალურ ფაქტებზე მოგვითხრობს ობიექტურად, არამედ იმ მარად ცოცხალ პიროვნებებთანაც გვაკავშირებს, რომლებმაც ქრისტეს სარწმუნოების დაცვით საუკუნო და ნეტარი ცხოვრება მოიპოვეს. მასში ცხოვლად შეიგრძნობა ჭეშმარიტი აღმსარებლობისთვის გაწეული მსხვერპლის მნიშვნელობა, რომლითაც საერთოდ ისტორია აზრს იძენს, და ისიც, რომ ამ ისტორიისათვის თვით ეკლესია საფუარს წარმოადგენს.

ეკლესიის ისტორია მოწმობს, რომ ღმრთისგან ადამიანისათვის მინიჭებულ არსებობას აზრი ისევ მასთან ერთობაში ეძლევა, რის მოსაპოვებლადაც ადამიანმა ყველაფერი, თუ საჭირო შეიქნა – თვით საკუთარი სიცოცხლეც კი უნდა გაიღოს.

ისტორიის უმნიშვნელოვანეს კითხვად ისევ გაისმის: ,,რაჲ თქჳან კაცთა ჩემთჳს ყოფაჲ?“ (მარკ. 8, 27), რადგან კაცობრიობის ყოფიერებას მასზე გაცემული პასუხი განსაზღვრავს, ანუ აღიარებს თუ არა იესო ქრისტეს ადამიანი მხსნელად და მაცხოვრად, თუ შური დაძლევს და შეუერთდება ბრბოს, რომელიც დღესაც მზადაა ჯვარს აცვას იგი.

რედაქტორი **ბერი გიორგი(რუხაძე)**, ფილოს. დოქტ.
რეცენზენტი **თამარ შაკიაშვილი**, ისტ. დოქტ.

ISBN 978-9941-9517-7-0(ორივე ტომის)
ISBN 978-9941-9517-8-7(I ტ.)

© გვ. კოპლატაძე, 2019



სამყარო ქრისტეს მოსვლის წინ

უკვე ორი ათასი წელი შესრულდა, რაც სამყაროს განკაცებული სიტყვა ღმრთისა – უფალი იესო ქრისტე მოევლინა. ქრისტეს მოსვლამდე მსოფლიოს ყველა ხალხი, გარდა იუდეველებისა, კერპებს სცემდა თაყვანს, მათ შორის კულტურულად ყველაზე დაწინაურებული ბერძნები და რომაელებიც კი. ქრისტეს მოსვლის წინ პოლიტიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფო რომაელებს ჰქონდათ. მათი რელიგია უგუნური კერპთაყვანისმცემლობისა და უხეში და შესაბრალისი ცრუმორწმუნეობის უცნაურ ნარევს წარმოადგენდა. მრავალი დაპყრობილი ხალხის ძარცვის ხარჯზე გამდიდრებულ რომში, სადაც საკუთარი ღმერთებისა უკვე აღარ სჯეროდათ და მათ მხოლოდ ტრადიციის ძალით ემსახურებოდნენ, ჭეშმარიტი ღმრთის ძიების სურვილიც კი ჩახშობილი იყო. სამაგიეროდ საბერძნეთში, რომელიც რომის იმპერიაში შედიოდა, ძველი რელიგიის გვერდით, რომლისაც უკვე აღარ სწამდათ, გაცხოველებული პროცესი მიმდინარეობდა ახალი, ჭეშმარიტი სარწმუნოების ძიებისა. სწორედ ამ ძიების შედეგად წარმოიშვა აქ სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლა და სისტემა. ზოგიერთი მოძღვრება, რომელიც სათნოებას ადიდებდა და საკმაოდ ამაღლებულიც იყო, თუმცა ბუნდოვანს, მაგრამ რაღაც წარმოდგენას ღმერთსა და სულის უკვდავებაზე მაინც იძლეოდა. მიუხედავად ამისა, ანტიკური ხანის ყველაზე დიდი მოაზროვნენიც კი ამაოდ დაშვრნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანს უმაღლესი ჭეშმარიტების – ღმრთის შეცნობა გამოცხადების გარეშე, მხოლოდ საკუთარი ძალით არ შეუძლია.

რამდენადაც ყველა მოძღვრებას თავისი მიმდევარი ჰყავდა, კაცობრივ მოძღვრებათა სიმრავლე არა საზოგადოების გამთლიანე-

ბას, არამედ დაშლასა და ერთმანეთთან დაპირისპირებულ სკოლებსა და წრეებად დაყოფას უწყობდა ხელს, რაც ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზის პოვნას კიდევ უფრო აძნელებდა. მთელ ამ ქაოსში ჭეშმარიტებით მხოლოდ ერთი მოძღვრება ბრწყინავდა – სწავლება ერთ, სამყაროს შემოქმედ ღმერთზე, რომელიც ებრაელ ერს გამოცხადებით ებოძა. უფალმა სჯულთან ერთად ებრაელებს აღთქმა ანუ მოწყალე დაპირება მისცა მესიის მოვლინების შესახებ, რომელიც მათ ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობიდან იხსნიდა. ადამიანები, რომელთაც ღმრთის დაპირება ირწმუნეს და მისი სჯული დაიცვეს, ძველი აღთქმის ეკლესიას შეადგენენ. ესენი იყვნენ მამამთავრები, წინასწარმეტყველები და მართალნი, რომელნიც მაცხოვრის მოსვლამდე ცხოვრობდნენ.

აღთქმა აღსრულდა, მხოლოდშობილი ძე ღმრთისა – იესო ქრისტე დედამიწაზე მოვიდა, რათა კაცობრიობის ცოდვები ტანჯვითა და სიკვდილით გამოესყიდა და იგი ღმერთთან შეერიგებინა. ქრისტემ მის მორწმუნეებს ახალი აღთქმა – მარადიულ სასუფეველში დამკვიდრების დაპირება მისცა. ახალი აღთქმის ეკლესია, რომელიც თავად უფალმა დააფუძნა და მისმა მოციქულებმა გაავრცეს, შედგება ყველასაგან, ვისაც ქვეყნად მოსული მაცხოვრის სწამს და, როგორც ქრისტემ ბრძანა, ყოვლადწმიდა სამების სახელით ინათლება.

ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიებს ცოცხალი კავშირი აერთიანებს. სჯული და მსახურების წესი, რომელიც ღმერთმა მოსეს პირით მისცა ებრაელებს, წინასახეა ახალი აღთქმისა და მომავალი ეკლესიისა. ძველი აღთქმის ღმრთივშთაგონებული წინასწარმეტყველები განუწყვეტლივ მიუთითებდნენ მაცხოვრის მოსვლასა და ახალ სჯულზე, რომელიც ადამიანთა გულებში ჩაიწერებოდა, ჭეშმარიტ ნათელზე, რომელიც ბნელში მყოფ ადამის მოდგმას გაანათებდა.

როგორც ძველი აღთქმიდან ვიცით, ისრაელი ხშირად იხრებოდა ღმრთის სჯულისაგან და იმ კერპთაყვანისმცემელთა მსგავსად იქცეოდა, რომელთა გარემოცვაშიც ცხოვრობდა. უფალი სჯიდა თავის რჩეულ ხალხს, მაგრამ არ ართმევდა წყალობით მიცემულ იმედს იმისა, რომ მხსნელს მოუვლენდა. ქრისტეს შობის წინა საუკუნეში იუდეველები მუდმივად სხვისი ბატონობის ქვეშ

იმყოფებოდნენ. ისინი ჯერ ბერძნებმა, მერე ეგვიპტელებმა და სირიელებმა, ხოლო ბოლოს რომაელებმა დაიპყრეს. იუდეველები მიხვდნენ, რომ ამის მიზეზი ღმრთის დავიწყება იყო; ამიტომ თავსდატეხილი უბედურება ღმრთის სასჯელად მიიჩნიეს და მოსეს სჯულის სამსახური დაიწყეს. მართალია, სჯულის ზუსტად აღსრულებას ცდილობდნენ, მაგრამ სიყვარულის გარეშე, მხოლოდ გარეგნული წესების დაცვით, ღმერთს ვერ მიუახლოვდნენ, რის გამოც მათთვის სჯულის აზრი და სული დაფარული დარჩა. ღმრთისგან მინიჭებულ წყალობას, სამწუხაროდ, ისინი საკუთარი დამსახურების შედეგად მიიჩნევდნენ; ამიტომაც ეს წყალობანი მათ არა სიყვარულსა და მადლიერებას, არამედ სხვა ხალხებთან შედარებით საკუთარი უპირატესობის შეგრძნებას უღვიძებდა.

ებრაელები სამართლიანად მხოლოდ თავიანთი თავის, როგორც აბრაამის შთამომავალთა, დიდებასა და ხსნას მიიჩნევდნენ და მესიის მოსვლის მნიშვნელობაც საკუთარი ინტერპრეტაციის მიხედვით ესმოდათ, კერძოდ, ისინი ფიქრობდნენ, რომ მესია იქნებოდა დიდი მეფე, რომელიც მათ რომაელების ბატონობისაგან გაათავისუფლებდა და მსოფლიო ბატონობას მოუპოვებდა. მათ არ ესმოდათ, რომ წინასწარმეტყველებაში მესიაზე არა პოლიტიკურ თავისუფლებასა და მიწიერ სამეფოზეა ლაპარაკი, არამედ სულიერ თავისუფლებასა და ზეციურ სასუფეველზე და რომ მესიის შესახვედრად მორჩილება, სინანული და სიყვარული იყო საჭირო. რა თქმა უნდა, არსებობდნენ ადამიანები, რომელთა სულებიც მზად იყვნენ ქრისტეს მადლის მისაღებად, მაგრამ მათი რიცხვი ძალიან ცოტა იყო, თვითონ იუდეველები, მრავალრიცხოვან სექტად დაყოფილნი, წმინდა წერილის შინაარსს სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ და ერთმანეთს ემტერებოდნენ.

ე. ი. ძველი სამყაროს მდგომარეობა ამტკიცებდა, რომ კაცობრივი შექმნილი გონება უძლურია ჭეშმარიტების შესაცნობად. მართალია, წარმართულმა სამყარომ საკუთარი აზროვნების ძალისხმევით, საზოგადოების წინაშე წამოჭრილი კითხვებიდან ბევრს სწორი პასუხი გასცა, მაგრამ მთავარი კითხვა – ვინ და როგორ შექმნა სამყარო და ადამიანი, ფაქტობრივად პასუხგაუცემელი დარჩა. ამიტომ ზოგადად წარმართული სამყარო წარმოგვიდგება, როგორც

უგუნური კერპთაყვანისმცემლობა, უხეში ცრურწმენა, მომქანცველი ეჭვიანობის მდგომარეობა, რომელიც ყველაზე მძიმეა ადამიანის სულისათვის, გარყვნილება და ხშირად თავისი სისასტიკით შემაძრწუნებელი უზნეობა. იუდეველების მაგალითით კი უფალმა გვიჩვენა, რომ არც ზეციდან ბოძებული გამოცხადებაა საკმარისი, თუ მას გაქვავებულ გულს დაახვედრებ და რომ ზეციური ჭეშმარიტება მადლის სხივებით მხოლოდ იმათ გულებს გაათბობს და გაანათებს, რომელნიც მას თავმდაბლობით, მადლიერებითა და სიყვარულით მიიღებენ. მაშასადამე, ადამიანის სულის ხსნა არა მხოლოდ ღმრთის, არამედ მის საკუთარ ნებაზეცაა დამოკიდებული. ასე რომ, ცოდვის ტყვეობისაგან დაღლილი და გამოფიტული კაცობრიობა მარადიულ სიკვდილზე მტანჯველი ფიქრისაგან თავის დახსნას მიწიერი დიდების მოპოვებითა და ამქვეყნიურ ტკბობათა მორევში გადაშვებით ცდილობდა.

და აი, დადგა ჟამი, როცა იუდეას პატარა ქალაქის, ბეთლემის მახლობლად უცებ გაისმა ანგელოზთა გალობა, რომელიც ადამიანებს მშვიდობასა და ცოდვის ტყვეობისაგან დახსნის სიხარულს აუწყებდა: **დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.** მოვიდა ქვეყნად მაცხოვარი, იესო ქრისტე, ვისაც ამგვარი სასოებით ელოდებოდნენ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი. მხოლოდშობილი ძე ღმრთისა ზეცით გარდამოხდა, კაცობრივი ხორცი შეისხა, ახალი სჯული თვითონ გვიქადაგა და სიკვდილისა და ცოდვის მონობისაგან ჩვენს გამოსასყიდად ჯვარზეც გაეკრა. მან თავისი შობითა და მიწიერი ცხოვრების ჯვარზე აღსასრულით დაგვანახა სიდიადე სიყვარულის მშვენიერი ნაყოფის – თავმდაბლობისა.

ვიდრე ამაღლდებოდა, უფალმა დედამიწაზე თავისი ეკლესია მოაწყო და განამტკიცა. იგი მოწაფეებს შეჰპირდა, რომ მუდამ მის მორწმუნეთა შორის იქნებოდა და ზეციდან მადლსა და შემწეობას არ მოაკლებდა; მოციქულებს, რომლებიც უშუალოდ უსმენდნენ, მისი მოძღვრების მთელ დედამიწაზე გავრცელება უბრძანა და მისცა უფლება შეკვრისა და გახსნისა, ცოდვათა მიტევებისა და ძალა სასწაულების აღსრულებისა. ჯვარზე გაკვრის წინ მაცხოვარმა თავისი სწავლების არსი მათ ასე განუმარტა: **მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ,**

რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რაჲთა თქუენცა იყუარებოდით ურთიერთას. ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას (ინ. 13, 34-35). უფალმა იცოდა, რომ ამ მოწოდების ასრულება ადამიანებს ძალიან გაგვიძნელდებოდა და ამიტომ ნუგეშინისმცემელის, ჭეშმარიტების სულის გამოგზავნას შეგვპირდა, რომელიც სიმართლის შეცნობის გზაზე გვიწინამძღვრებდა, ყოველივეს, რასაც მაცხოვარი გვასწავლიდა, შეგვახსენებდა და სიბრძნესა და ძალას გვაზიარებდა.

ორმოცი დღის განმავლობაში ეცხადებოდა იესო ქრისტე თავის მოწაფეებს, ზეციურ სასუფეველზე ესაუბრებოდა და ასწავლიდა, ისე მიეტანათ მისი მოძღვრება ადამიანებამდე, რომ მათ მისი სისხლხორცეულად შეთვისება და დაცვა შეძლებოდათ: **წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა, რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს. ხოლო სასწაული მორწმუნეთა მათ ესე შეუდგეს: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ, ენათა ახალთა იტყოდიან, გუელთა შეიპყრობდენ; დაღათუ სასიკუდინე რაჲმე სუან, არარაჲ ავნოს მათ; სნეულთა ზედა ჴელსა დასდებდენ, და განცოცხლდებოდიან** (მარკ. 16, 15-18). **წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა** (მთ. 28, 19-20).

როცა უფალმა მოწაფეები ელეონის ანუ ზეთისხილის მთაზე უკანასკნელად შეკრიბა, ისევ გაუმეორა ბრძანება სახარების ქადაგებისა და ისევ შეჰპირდა მანუგეშებლად და წინამძღვრად სულიწმიდას, რომელსაც მათ ზეციური მამა მისი ლოცვით წარმოუგზავნიდა: **და აჰა ესერა მე მოგივლინო თქუენ აღთქუმაჲ იგი მამისა ჩემისაჲ, ხოლო თქუენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალჵმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალით მაღლით** (ლუკ. 24,49).

ამ დროისათვის თვითონ მოწაფეებსაც კი არ ესმოდათ კარგად მთელი მნიშვნელობა მაცხოვრის დედამიწაზე მოსვლისა, რაც მათ სულიწმიდის მეშვეობით თანდათან უნდა შეეცნოთ. ისინი

იესო ქრისტესაგან ჯერ კიდევ ისრაელისათვის თავისუფლებისა და ძველი დიდების დაბრუნებას ელოდებოდნენ: **უფალო, უკუეთუ ამათ ჟამთა კუალად მოაგოა სასუფეველი ისრაჱლსა? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა თქუენი არს ცნობაჲ ჟამთა და წელთაჲ, რომელნი-იგი მამამან დასხნა თჳსითა ჴელმწიფებითა, არამედ მოიღოთ ძალი მოსლვასა სულისა წმიდისასა თქუენ ზედა, და იყვნეთ ჩემდა მოწამე იერუსალჱმს და ყოველსა ჰურიასტანსა და სამარიას, და ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა** (საქმ. 1,6-8).

შემდეგ უფალმა აკურთხა ისინი და ზეცად ამაღლდა. გაოცებულნი მოწაფენი მანამდე უყურებდნენ, სანამ ნათელი ღრუბელი თვალთაგან არ მიეფარა. უცებ მათ ორი ანგელოზი გამოეცხადათ, რომელთაც უთხრეს: **კაცნო გალილეველნო, რაჲსა სდგათ და ჰხედავთ ზეცად? ესე იესო, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად** (საქმ. 1,11).

გახარებული მოციქულები იერუსალიმში დაბრუნდნენ; მათი სიხარულის მიზეზი უფლის დაპირება იყო იმის თაობაზე, რომ მუდამ მათთან იქნებოდა და მფარველად ყოვლისშემძლე ნუგეშინისმცემელს წარმოუგზავნიდა.

ეკლესიის გავრცელების შესახებ პირველ ცნობებს წმ. მახარებელი ლუკა გვაძლევს „საქმე მოციქულთაში“. ამრიგად, ღმრთის უდიდესი წყალობით, ჩვენ მისი დაარსებისა და არსებობის პირველი წლების შესასწავლად წმინდა წერილი – საქმე მოციქულთა და მოციქულთა ეპისტოლენი გვაქვს, რომელნიც ეჭვის ჩრდილსაც კი არ გვიტოვებენ. ერების ისტორიისგან განსხვავებით, სადაც მათი საზოგადოებრივი ყოფის დასაწყისი შეუცნობლობის წყვდიადშია ჩაფლული, ეკლესიის ისტორიის დასაბამზე ყველაზე სარწმუნო და ჭეშმარიტი ცნობები მოგვეპოვება. ამასთან, ისიც უეჭველია, რომ „საქმე“ და „ეპისტოლენი“ მოციქულთა ყველა სწავლებასა და დადგენილებას არ მოიცავს. ამიტომ ეკლესიის არსებობის პირველი წლების შესასწავლად გამოიყენება აგრეთვე **წმინდა გადმოცემაც**, რომელიც უტყუარ ცნობებს გვაწვდის ეკლესიის მოწყობის, ღმრთისმსახურების წესების, სწავლებისა და მართვის შესახებ. ეს გადმოცემანი წმინდანთა ცხოვრებებმა და, საერთოდ, ქრისტიანული მწერლობის პირველმა თხზულებებმა შემოგვინახეს.

ეკლესიის დაარსება იერუსალიმში

მას შემდეგ, რაც მოციქულებმა ელეონის მთაზე იესო ქრისტეს ამაღლება იხილეს, შეპირებული ნუგეშინისმცემლის – სულიწმიდის მოსვლას სასოებით მოელოდნენ. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ სიონის მთაზე და განუწყვეტლივ ლოცულობდნენ ოთახში, რომელსაც ზოგიერთი სწორედ იმ ოთახად მიიჩნევს, რომელშიც მაცხოვარმა ჯვარზე გაკვრის წინ საიდუმლო სერობა გამართა. აქ იყვნენ პეტრე და იაკობი, იოვანე და ანდრია, ფილიპე და თომა, ბართლომე და მათე, იაკობ ალფესი, სიმონ ზილოტი და იაკობის ძმა, იუდა. აქვე იყო და იმ ქალებთან ერთად, რომელნიც უფალს ემსახურებოდნენ, მუდმივად ლოცულობდა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელიც, დაახლოებით სულ 120 ადამიანი. ასე მცირერიცხოვანი იყო მაშინ ქრისტეს ეკლესია, რომელიც შემდეგში მთელ დედამიწაზე უნდა გავრცელებულიყო.

უწინარესად მოციქულებმა იუდა ისკარიოტელის ნაცვლად, ვინც მოძღვარი ოცდაათ ვერცხლად გაყიდა, ახალი მოციქულის არჩევა გადაწყვიტეს, რათა თავდაპირველი რიცხვი მოწაფეთა – თორმეტი, რომელიც თავად იესო ქრისტემ დაადგინა, შესრულებულიყო. პეტრემ ორი მოწაფე, იოსტოსად ანუ მართლად წოდებული იოსები და მატათა, რომელნიც ნათლისღებიდან ვიდრე ამაღლებამდე უფალთან იყვნენ, შუაში დააყენა. როცა წილი ყარეს, მეთორმეტე მოციქულად დადგენის პატივი, ღმრთის განგებით, მატათას ერგო.[1]

დადგა აღდგომიდან ორმოცდამეათე დღე. პასექიდან ორმოცდამეათე დღეს, აღსანიშნავად იმისა, რომ ამ დღეს უფალმა მოსეს სინას მთაზე სჯული მისცა, ძველი აღთქმის მიმდევრებიც დღესასწაულობდნენ. მადლიერების ნიშნად ისინი უფალს პირველ ძნას სწირავდნენ და სინაგოგებსა და სახლებს მწვანე რტოებით რთავდნენ.

მოსეს სჯულის მიმდევარნი, რომელი ქვეყნის მცხოვრებნიც არ უნდა ყოფილიყვნენ, ცდილობდნენ, ამ დღესასწაულს იერუსალიმში შეხვედროდნენ. მაგრამ გარდა ებრაელებისა, ამ დროს წმინდა ქალაქისკენ უცხო ეროვნების ადამიანებიც მოიჩქაროდნენ,

[1] საქმე მოციქულთაჲ 1, 13-26.

რომელნიც მოსეს სჯულზე იყვნენ მოქცეულნი და ერთ ღმერთს სცემდნენ თაყვანს. სწორედ ეს საზეიმო დღე ამოირჩია უფალმა, რათა მოწაფეებზე სულიწმიდა გადმოსულიყო და მათ ახალი სჯულის გავრცელებისათვის ძალა მისცემოდათ.

დღის სამ, ჩვენებურად დილის ცხრა საათზე (იუდეველები საათებს მზის ამოსვლიდან ითვლიდნენ), როცა ქრისტეს მიმდევრები ერთად ლოცულობდნენ, უცბად ძლიერი ქარის ამოვარდნის ხმა გაისმა და მოციქულებს სულიწმიდა ცეცხლის ენების სახით ზედ დაადგა. მისი მადლით აღვსილი მოწაფენი მყისვე სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ და იერუსალიმში ჩამოსულ სხვადასხვა ერის შვილებს თავთავიანთ ენაზე მიმართეს. ზოგიერთებს, რომელთაც უცხო ენებზე წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობა არ ესმოდათ, ეგონათ, რომ მოციქულები მთვრალნი იყვნენ და იცინოდნენ.

მაშინ წამოდგა პეტრე და სახალხოდ პირველად დაამოწმა, რომ იესო ნაზარეველი, რომელიც მათ ჯვარზე გააკრეს და მოკლეს, აღდგა, ამაღლდა და მარჯვენით მამისა დაჯდა. მოციქულის სიტყვებმა ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს, რომ მსმენელებს გული მოულბათ და შეიცნეს რა თავიანთი შეცოდება წინაშე ღმრთისა, შეშფოთებულებმა იკითხეს, როგორ გამოესყიდათ იგი: **რაჲ-მე ვყოთ, ძმანო კაცნო?** პეტრემ მათ სინანულისა და იესო ქრისტეს სახელით ნათლისღებისაკენ მოუწოდა, რათა ცოდვები მიტევებოდათ.[2]

როგორც ვხედავთ, უფალმა მოწაფეებს ენების ცოდნასთან ერთად სიბრძნე, ძალა და სულის სიმტკიცე მიანიჭა, ანუ აღსრულდა მისი დაპირება იმის თაობაზე, რომ ის, რაც უნდა ეთქვათ, მიეცემოდათ, რადგან სინამდვილეში არა ისინი, არამედ სული მამისა ილაპარაკებდა. იმ დღეს სამიათასმა კაცმა ირწმუნა ქრისტე და მისი სახელით მოინათლა.

ასე დაიწყეს მოციქულებმა უფლის სიტყვის ქადაგება იერუსალიმში. ისინი მსმენელებს ცოდვათა მონანიებისაკენ მოუწოდებდნენ, რათა უფლისაგან შენდობა მიეღოთ და მარადიულ სასუფეველში დამკვიდრებულიყვნენ.

ქრისტეს პირველი მიმდევარნი ლოცვისთვის ტაძარში იკრიბე-

[2] იქვე, 2, 1-41.

ბოდნენ, ხოლო პურის განტეხის წესს (ასე ეწოდებოდა ევქარისტიას ანუ ზიარების საიდუმლოს), რომელიც საიდუმლო სერობის დროს თავად უფალმა დაადგინა, სახლებში ასრულებდნენ.

მორწმუნეთა რიცხვის გაზრდას და პირველი ეკლესიის გაფართოებას დიდად შეუწყო ხელი სასწაულებმა, რომელთაც ღმრთეებრივი მოძღვრის სახელით მისი მოწაფენი აღასრულებდნენ. ერთხელ, ლოცვაზე მიმავალ პეტრეს და იოვანეს, ტაძრის კარებთან დაბადებით კოჭლი დახვდათ, რომელმაც მათ მოწყალება სთხოვა. პეტრემ, დარწმუნებულმა იმაში, რომ უფალი მოუსმენდა, უთხრა: **ვეცხლი და ოქროჲ არა მაქუს ჩუენ, ხოლო რომელი მაქუს, გცეთ შენ. სახელითა იესო ნაზარეველისაჲთა აღდეგ და ვიდოდე** (საქმ. 3,6). მართლაც, კოჭლი წამოდგა და მოციქულებს ტაძარში შეჰყვა. გაოცებულ ხალხს პეტრემ სიტყვით მიმართა და განუმარტა, რომ ეს სასწაული არა თავისი ძალით, არამედ იესო ქრისტეს სახელით აღასრულა, რომელიც მათ მოკლეს და რომლის მკვდრეთით აღდგომის მომსწრეც თავად იყო. სული წმიდის მადლით გაბრწყინვებულმა მისმა ქადაგებამ ისე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იმ დღეს ხუთი ათასი კაცი მოინათლა. ამ დროს მღვდელნი და სადუკეველნი მოვიდნენ და მოისმინეს რა, რომ მოციქული ხალხს მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეზე უქადაგებდა, მისი შეპყრობა ბრძანეს.[3] აქამდე იუდეველთა მთავარნი მოციქულებს არ სდევნიდნენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ გულგრილნი იყვნენ იესოს მოძღვრებისადმი, რომელიც ასე სასტიკად სძულდათ, არამედ იმიტომ, რომ დარწმუნებულნი იყვნენ მას წარმატება არ ექნებოდა და ხალხი არ გაჰყვებოდა. ამასთან, რადგან ქრისტეს პირველი მიმდევრები უბრალო და უსწავლელი ადამიანები იყვნენ, ამიტომ საშიშროებას ვერც მათში ხედავდნენ. მაგრამ მცირე ხანში ამ უბრალო, გაუნათლებელმა მეთევზეებმა მრავალი ადამიანი მიიზიდეს. მათ ქადაგებას იმის თაობაზე, რომ ჯვარცმული იესო ძე ღმრთისა და აღთქმული მესია იყო, უჩვეულო ძალა ჰქონდა.

ამ დროისათვის იუდეაში რამდენიმე სექტა არსებობდა, რომელთა შორის განსაკუთრებით ფარისეველნი და სადუკეველნი გამოირჩეოდნენ. ღმრთისმოსაობის გარეგნულად დამცველი

[3] იქვე, 3,4, 1-4.

ფარისეველნი წესებს გულმოდგინედ აღასრულებდნენ, რითაც თავი დიდად მოჰქონდათ და ამაყობდნენ. უფალი მათ ხშირად სწორედ გარეგნული ღმრთისმოსაობისა და სიამაყისათვის საყვედურობდა; მაგრამ ფარისევლებს მომავალი ცხოვრებისა სჯეროდათ. სადუკეველნი კი არა მხოლოდ მომავალ ცხოვრებასა და აქედან გამომდინარე, იმ ჯილდოებსა და სასჯელებს უარყოფდნენ, რომელიც ადამიანებს გარდაცვალების შემდეგ ელოდებათ, არამედ მკვდართა აღდგომასა და ანგელოზების არსებობასაც. ორივე სექტას საერთო ერთი ჰქონდა – იესოს სიძულვილი.

დილით მოციქულები მთავრებსა და მღვდელმთავრებს წარუდგინეს, რომელთაც მათ ჰკითხეს, ვისი სახელით აღასრულეს სასწაული. განა დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც პეტრემ სიკვდილის შიშით თავისი ღმრთეებრივი მასწავლებელი უარყო? მაგრამ ახლა მას სიმტკიცე და სიმამაცე სულიწმიდამ შთააგონა და მთავართ უშიშრად უპასუხა: **უკუეთუ ჩუენ დღეს განვიკითხვით ქველის-საქმესა ზედა კაცისა უძლურისასა, რომლითა ესე ცხონდა, ცხად იყავნ თქუენ ყოველთა და ყოვლისა ერისა ისრაჱლისა, ვითარმედ სახელითა იესუ ქრისტე ნაზარეველისაჲთა, რომელი თქუენ ჯუარს-აცუთ, რომელი-იგი ღმერთმან აღადგინა მკუდრეთით, ამის მიერ დგას წინაშე თქუენსა ცოცხალი** (საქმ. 4,9-10).

მართალია, მღვდელმთავარნი მოციქულთა პასუხმა აღაშფოთა, მაგრამ რას იზამდნენ? მათ სასწაულის არც დაფარვა შეეძლოთ და არც უარყოფა. რადგან იგი მთელი ხალხის წინაშე მოხდა, ამიტომ ისღა დარჩენოდათ, რომ მოციქულებისათვის იესოზე საუბარი მუქარით აეკრძალათ. მაგრამ პეტრემ და იოვანემ უპასუხეს: **უკუეთუ სამართალ არს წინაშე ღმრთისა თქუენი სმენაჲ უფროჲს ანუ ღმრთისაჲ, საჯეთ. რამეთუ ჩუენ ვერ ჴელ-გუეწიფების, რომელი-იგი გუესმა და ვიხილეთ, ვითარმცა არა ვიტყოდეთ** (საქმ. 4,19-20). მაშინ მთავარნი იძულებულნი გახდნენ ისინი გაეშვათ, რადგან შეეშინდათ ხალხის მღელვარებისა, რომელიც კოჭლის სასწაულებრივი განკურნების გამო ღმერთს ადიდებდა.

როცა პეტრე და იოვანე მორწმუნეებთან დაბრუნდნენ და ყოველივე უამბეს, ისინი ერთსულოვნად ადიდებდნენ ღმერთს და ევედრებოდნენ, მათთვისაც მიეცა მხნეობა, რათა მისი სიტყვა

უშიშრად ექადაგათ. დაამთავრეს თუ არა ვედრება, ადგილი, სადაც იდგნენ, შეირყა, ყოველი მათგანი სულიწმიდით აღივსო და ქადაგება უდიდესი გაბედულებით გააგრძელა.

პირველი ეკლესიის წევრები ერთსულოვნებითა და სიყვარულით ცხოვრობდნენ. შედარებით შეძლებულნი თავიანთ ქონებას ყიდდნენ და მოციქულებთან მოჰქონდათ, რომელნიც ფულს მათ ურიგებდნენ, ვისაც უჭირდა. იმათ შორის, ვინც ქონება გაყიდა, იხსენიება კვიპროსელი იოსები, რომელსაც მოციქულებმა ბარნაბა უწოდეს, რაც ნუგეშისმცემელის ძეს ნიშნავს, მაგრამ მოქცეულთა შორის თვალთმაქცნიც იყვნენ. მაგალითად, ვინმე ანანიამ და მისმა ცოლმა საპფირამ სხვების მიბაძვით ქონება გაყიდეს და ფული მოციქულებს მოუტანეს, მაგრამ ნაწილი თავისთვისაც გადადვეს. პეტრემ ანანიას უსაყვედურა და განუმარტა, რომ მან არა ადამიანების, არამედ ღმრთის წინაშე იცრუა. ანანია მკვდარი დაეცა. იგივე დაემართა მის ცოლსაც, რომელმაც მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა და ქმრის დარიგების მიხედვით პეტრეს აღებული ფულის ნაწილი დაუმალა.[4] ამგვარი მაგალითები ხალხს აშინებდა და აფხიზლებდა.

სადუკეველებმა მოციქულები ისევ დაიჭირეს და საპყრობილეში ჩასვეს, მაგრამ რა შეუძლია გააკეთოს ადამიანურ გულმოდგინებას ღმრთის ნების წინააღმდეგ? ღამით საპყრობილის კარები ანგელოზმა გააღო და მოციქულებს უთხრა, რომ ცხოველი სიტყვა ხალხისათვის ტაძარში ექადაგებინათ.

დილით სინედრიონი (უმაღლესი საბჭო, ან მთავარი სამსჯავრო) შეიკრიბა, რომელშიც მღვდლებიდან და იერუსალიმის სახელოვანი ადამიანებიდან ამორჩეული სამოცდაათი ადამიანი შედიოდა. მათ ტყვეების მოყვანა ბრძანეს, მაგრამ გაგზავნილები უკან ხელცარიელნი დაბრუნდნენ და სინედრიონს მოახსენეს, რომ თუმცა საპყრობილის კარებს ჩვეულებრივ ბოქლომი ედო და მცველებიც იქვე იდგნენ, ტყვეები ტაძარში იყვნენ და ხალხს ასწავლიდნენ.

მღვდელმთავრებმა მოციქულები ტაძრიდან მოაყვანინეს და შეახსენეს, რომ იესოს შესახებ ქადაგება აკრძალული ჰქონდათ, რაზეც მათ უშიშრად უპასუხეს, რომ ღმრთის მორჩილება უფრო ჰმართებდათ ვიდრე კაცისა. განრისხებულმა მღვდელმთავრებ-

[4] იქვე, 5, 1-10.

მა მოციქულთა მოკვლა ბრძანეს, მაგრამ მათ მოულოდნელად გამოუჩნდა დამცველი, რჯულის ბრძენი და განსწავლული მასწავლებლის, გამალიელის სახით, რომელიც ფარისეველთა სექტის წარმომადგენელი იყო. მან ჯერ მოციქულები გააყვანინა, ხოლო შემდეგ სინედრიონის წევრებს მიმართა და შეახსენა, რომ იუდეაში დრო და დრო ჩნდებოდნენ ადამიანები, რომელნიც თავიანთ თავს განადიდებდნენ და ხალხის მიზიდვას ცდილობდნენ, მაგრამ თვითმარქვიები ყოველთვის მხილებულნი იყვნენ და მათი საქმეც წარუმატებლად მთავრდებოდა. აქედან გამომდინარე, არც მოციქულთა წინააღმდეგ იყო ზომების მიღება საჭირო, რადგან თუ მათი საქმე ადამიანებისაგან იყო, დაემხობოდა, ხოლო თუ ღმრთისაგან, მაშინ ღმერთს ხელს ვერ შეუშლიდნენ და საშიში იყო ღმრთის მოწინააღმდეგეებად არ ქცეულიყვნენ.

სინედრიონის წევრებმა გამალიელს დაუჯერეს, რაშიც წვლილი ხალხსაც მიუძღოდა, რომელსაც მოციქულები ჯერ კიდევ უყვარდა და მათ მოსალოდნელ დასჯას გულგრილად არ უყურებდა. ისინი სასტიკად სცემეს, ქრისტეზე საუბარი კიდევ ერთხელ აუკრძალეს და გაუშვეს. მათი სულები სიხარულით იყო აღსავსე, რადგან საყვარელი მასწავლებლის სახელისათვის ტანჯვისა და წამების ღირსნი შეიქნენ.[5]

ეკლესიის დევნის დასაწყისი

მოციქულები ცდილობდნენ შემოწირული ფული სამართლიანობის დაცვით თანაბრად გაენაწილებინათ მათ შორის, რომელთაც უჭირდათ. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ ელინი ებრაელების ქვრივები შედარებით ნაკლებს იღებდნენ. ელინ ებრაელებს იმათ უწოდებდნენ, რომელნიც, მართალია, წარმოშობითა და რწმენით იუდეველები იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდნენ და ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ. წმინდა მიწის მკვიდრნი იუდეველები მათ ათვალწუნებით უყურებდნენ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ წმ. წერილს არა მშობლიურ ენაზე, არამედ ბერძნულად თარგმნილს კითხულობდნენ.

[5] იქვე, 5, 17-42.

ამასთან დაკავშირებით მოციქულებმა მოწაფეთა კრება მოიწვიეს და გადაწყვიტეს, რომ შემოწირულობათა დარიგება სპეციალურად ამ საქმისათვის არჩეული ადამიანებისათვის მიენდოთ, რათა თვითონ მხოლოდ სახარების ქადაგებით ყოფილიყვნენ დაკავებულნი. კრებამ შვიდი მორწმუნე შეარჩია (რომელთა სახელებიც მათ ელინურ წარმოშობაზე მეტყველებს: სტეფანე, ფილიპე, პროხორე, ნიკანორი, ტიმონი, პარმენი, ნიკოლაოსი) და მოციქულებს წარუდგინა. მოციქულებმა მათ ლოცვის შემდეგ ხელი დაასხეს.[6] ხელთდასხმულებს დიაკონები ეწოდათ. პირველ დიაკონებს, გარდა შემოსავლის დარიგებისა და ღმრთის სიტყვის ქადაგებისა, ახლადმოქცეულთა მონათვლის უფლებაც მიეცათ. მათგან განსაკუთრებით სტეფანე გამოირჩეოდა, რომელსაც უფალმა სასწაულთა აღსრულების ძალა მისცა, რაც დიდად უწყობდა ხელს მოძღვრების გავრცელებაში. ასე რომ, სტეფანეს მიერ აღსრულებულმა სასწაულებმა თვით იუდეველ მღვდლებზეც კი იმოქმედეს და წმ. ნათლობა მიაღებინეს. კამათმა ახალი სწავლების თაობაზე სინაგოგებშიც შეაღწია, სადაც ებრაელები არა მხოლოდ სალოცავად, არამედ წმ. წერილისა და მისი განმარტებების მოსასმენადაც იკრიბებოდნენ. ამდენად, რადგანაც იქ სჯული განიმარტებოდა, სინაგოგები სასწავლებლებსაც წარმოადგენდა. ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ სინაგოგები ყველგან, სადაც კი ებრაელები ცხოვრობდნენ, თვით ყველაზე უმნიშვნელო და პატარა ქალაქებშიც კი იდგა, ხოლო იერუსალიმში მისი რიცხვი ხუთასს აღწევდა. წმ. ქალაქში თავიანთი სინაგოგები უცხოეთში მცხოვრებ ებრაელებსაც, კერძოდ, კვირინელებს, ალექსანდრიელებს, მცირე აზიელებსა და ლიბერტებსაც (ასე ეწოდებოდა რომში მცხოვრებ ებრაელებს, რომელნიც მონობისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ) ჰქონდათ.

ერთ-ერთ ასეთ სინაგოგაში სულიწმიდის მადლით სტეფანემ ისეთი ძალით დაიცვა ქრისტეს მოძღვრება, რომ მოკამათეებმა სერიოზული წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ შეძლეს და მისი დაღუპვა ცილისწამებით გადაწყვიტეს. მტრებმა იპოვეს ცრუ მოწმეები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ თითქოს იგი ღმერთსა და მოსეზე მკრეხელურად ლაპარაკობდა. სტეფანე შეიპყრეს და

[6] იქვე, 6, 1-6.

სინედრიონს წარუდგინეს. როდესაც მღვდელმთავარმა ჰკითხა, მართალი იყო თუ არა, რასაც მასზე ამბობდნენ, დიაკონმა თავის მართლების ნაცვლად იუდეველთა ხსნისათვის ღმრთის განგებულებაზე დაიწყო საუბარი, კერძოდ, გაიხსენა აღთქმა, რომელიც ღმერთმა აბრაამს მისცა, ეგვიპტიდან გამოსვლა, მოსესათვის სინას მთაზე მიცემული სჯული და პასუხად ამისა დაუმორჩილებლობა ისრაელიანთა, რომელნიც ხშირად ივიწყებდნენ უფალს და მის წინასწარმეტყველებს კლავდნენ. სიტყვის დასასრულს სინედრიონის წევრებს მან ასე მიმართა: **ქედ-ფიცხელნო და წინა-დაუცუეთელნო გულითა და სასმენელითა, თქუენ მარადის სულსა წმიდასა ანტაკრად წინა-აღუდგებით, ვითარცა მამანი თქუენნი, ეგრეცა თქუენ. რომელნიმე წინაწარმეტყუელთაგანნი არა დევნნეს მამათა მათ თქუენთა? და მოსწყჳდნეს, რომელნი წინაჱსწარ უთხრობდეს მოსლვასა მას მართლისასა, რომლისა-იგი თქუენ აწ შინაგანმცემელ და მკლველ იქმნენით** (საქმ. 7,51-52).

ამ სიტყვებმა ებრაელებს წონასწორობა დააკარგვინეს. ისინი მივარდნენ სტეფანეს, რომელიც სულიწმიდით განმტკიცებული მშვიდად იდგა და ზეცას შეჰყურებდა, სადაც მას სასწაულებრივი სანახაობა გადაეშალა: **აჰა-ესერა ვხედავ ცათა განხუმულთა და ძესა კაცისასა, მარჯუენით ღმრთისა მდგომარესა**, – თქვა მან. ეს რომ მოისმინეს, ებრაელებმა, რომელთაც რისხვისაგან გონება დაუბნელდათ, სტეფანე ქალაქიდან გაათრიეს, რათა ქვებით ჩაექოლათ. ყველაზე მეტად ჭაბუკი სავლე აქტიურობდა, ტარსელი, რომის მოქალაქე. იგი გამალიელის მოწაფე იყო, აღზრდილი ფარისეველთა მკაცრი კანონებით. მკვლელებმა სტეფანეს სამოსელი გახადეს, სავლეს ფეხებთან დააწყვეს და ქვები დაუშინეს. წმინდა პირველმოწამემ ქვების სეტყვაში მუხლი მოიდრიკა და უფალს თავისი მკვლელები შეავედრა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: **უფალო, იესუ ქრისტე, ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას** (საქმ. 7,60).

მიმტევებლობისა და კაცთმოყვარეობის სიდიადე ებრაელებისათვის შეუმჩნეველი დარჩა. სინანულის განცდა და სინდისის ქენჯნა მათ არც მაშინ აღძვრიათ, როცა სიშმაგე დაუცხრათ და ნათლად დაინახეს, რაც ჩაიდინეს; პირიქით, პირველმა მკვლელობამ მათ სიძულვილს გასაქანი მისცა, რის შედეგადაც ეკლესიის დევნა გა-

ძლიერდა. მაგრამ მწარედ შეცდნენ ისინი, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ ღმრთის სიტყვის გავრცელებას ზღვარს დევნის საშუალებით დაუდებდნენ. ქრისტეს მიმდევრებმა, გარდა მოციქულებისა, იერუსალიმი დატოვეს და სხვადასხვა მხარეში გაიფანტნენ, სადაც მათ ღმრთეებრივი მოძღვრების ქადაგება დაიწყეს. დიაკონთაგან ერთერთი, ფილიპე, სამარიაში ჩავიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამარიელებსა და დანარჩენ იუდეველებს შორის უკვე კარგა ხანია მტრობა იყო ჩამოვარდნილი. როცა ასურეთის მეფემ ისრაელის სამეფო დაამარცხა, სამარიაში ბაბილონიდან და სხვა ადგილებიდან მრავალი წარმართი ჩამოსახლდა, რომელნიც ადგილობრივ ებრაელებს შეერივნენ და მათ რჯულში მრავალი წარმართული წესი და ადათი შეიტანეს. ამგვარი აღრევის შედეგად, სამარიელები წმინდად მხოლოდ მოსეს ხუთწიგნეულს თვლიდნენ, ხოლო დანარჩენებს საერთოდ არ ცნობდნენ. როცა ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებულმა ებრაელებმა იერუსალიმში დანგრეული ტაძრის აღდგენა დაიწყეს, სამარიელებმა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს, ხოლო შემდეგ თავისთვის ტაძარი ცალკე აიშენეს გარიზინის მთაზე. შემდეგში ეს ტაძარი იუდეას მმართველმა და მღვდელმთავარმა იოანე გირკანმა დაანგრია. სარწმუნოებრივმა მიზეზებმა მტრობა შეურიგებელი გახადეს. იუდეველი სამარიელს წარმართზე უარესად თვლიდა, სამარიელთან ერთად სუფრასთან ჯდომა და პურის ჭამაც კი აკრძალული იყო.

ფილიპეს ქადაგებითა და მის მიერ აღსრულებული სასწაულებით მრავალი სამარიელი მოინათლა. მათ შორის იყო სიმონ მოგვიც, რომელიც თავისი ძალითა და მაგიის ხელოვნებით სამარიელებს აოცებდა. ბევრი მას „უფლის დიდ ძალას“ უწოდებდა. ფილიპეს სასწაულებმა მას ნათლობა მიაღებინა, მაგრამ როგორც შემდეგში აღმოჩნდა, მხოლოდ გარეგნულად. როცა იერუსალიმში გაიგეს, რომ სამარიელებმა ქრისტე ირწმუნეს, იქ წმ. მოციქულები – პეტრე და იოვანე გააგზავნეს. მოციქულებმა ილოცეს, რომ ახლადმოქცეულებზე, რომელნიც მხოლოდ იესო ქრისტეს სახელით იყვნენ მონათლულნი, სულიწმიდა გადმოსულიყო და მათ ხელი დაასხეს. როცა სიმონ მოგვმა იხილა, როგორ გადმოვიდა სულიწმიდა მოციქულთა ლოცვის შედეგად, მათგან სულიწმიდის მადლის ყიდვა მოინდომა, რაზეც პეტრემ და იოანემ უპასუხეს:

ვეცხლი ეგე შენი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა, რამეთუ ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოვნებად (საქმ. 8,20).

სიმონმა თავისი განზრახვა თითქოს მოინანია და მოციქულებს სთხოვა ელოცათ მისთვის, მაგრამ გულწრფელი არც ეს მონანიება იყო, რაც მისმა შემდგომმა ცხოვრებამ გვიჩვენა. რადგან მან სულიწმიდის მადლის ყიდვა ფულით მოინდომა, მღვდლის ხარისხის ფულზე ყიდვა-გაყიდვას ეკლესიის ისტორიაში, მისი სახელის მიხედვით, **სიმონია** ეწოდა.

ამასობაში იერუსალიმში ქრისტეს მორწმუნეთა დევნა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. განსაკუთრებით აქტიურობდა სავლე, რომელიც სახლებში შედიოდა, ძალით გამოჰყავდა ქალები და კაცები და საპყრობილეში ყრიდა. დევნის ჟინით შეპყრობილმა მღვდელმთავარს სთხოვა, წერილები მიეწერა დამასკოს სინაგოგებისათვის, რათა იქაც ჰქონოდა უფლება იესოს მიმდევართა შეპყრობისა და იერუსალიმში მიყვანისა. სავლე მართლაც დაადგა დამასკოსაკენ მიმავალ გზას, მაგრამ ქალაქამდე ვერ მიაღწია, რადგან, ღმრთის წყალობით, მასში სასწაულებრივი გარდატეხა მოხდა. მან ზეციდან გარდამომავალი ნათელი იხილა, რომლის ბრწყინვალებას ვერ გაუძლო და მიწაზე დაეცა. ამ დროს უფლის ხმაც მოესმა: **საულ, საულ, რაჲსა მდევნი მე** (საქმ. 9,4).

ღმრთეებრივი ნათლისაგან დაბრმავებული სავლე მხლებლებმა ხელით შეიყვანეს ტაძარში, სადაც იგი მთელი სამი დღე-ღამის განმავლობაში, ისე რომ საჭმელიც კი არ გახსენებია, განუწყვეტლივ ლოცულობდა. უფლის ბრძანებით, მასთან იქაური მორწმუნე ანანია მივიდა, თვალებზე ხელი შეახო და ქრისტეს სახელით მხედველობა დაუბრუნა. სავლე მოინათლა. იგი სინაგოგებში შედიოდა და გაბედულად ქადაგებდა, რომ იესო ქრისტე ძე ღმრთისა იყო. გაცოფებულმა ებრაელებმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ მოწაფეებმა სავლე ღამით ფანჯრიდან კალათით ჩამოუშვეს და ქალაქიდან გააპარეს. რამდენიმე ხანი მან არაბეთში დაჰყო, ხოლო სამი წლის შემდეგ იერუსალიმში დაბრუნდა და ქრისტეს მოწაფეებთან შეერთება მოინდომა, მაგრამ მათ ახსოვდათ, როგორ დევნიდა იგი მორწმუნეებს. ბოლოს მოწაფეთაგან ერთ-ერთმა, ბარნაბამ, რომელიც დიდი ხანია იცნობდა სავლეს, – ფიქრობენ, რომ ისინი გა-

მალიელის მოწაფენი ერთდროულად იყვნენ, – ყველას უამბო მისი სასწაულებრივი მოქცევის შესახებ.[7] იერუსალიმელი იუდეველები ვერ ურიგდებოდნენ იმას, რომ ის, ვინც ქრისტეს მორწმუნეთა სიძულვილით ლამის ყველას აღემატებოდა, დღეს თვითონ იყო ჯვარცმული ღმერთის მიმდევარი და ამიტომაც განსაკუთრებით შეიძულეს. მაშინ სავლეს თვით უფალმა უბრძანა იერუსალიმს გაშორებოდა და ღმრთის სიტყვა წარმართთა შორის ექადაგა.

მაცხოვრის მიმართ მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობამ, სავლეს, რომელსაც პავლე ეწოდა, მოღვაწეობის ისეთი მძაფრი სურვილი აღუძრა, როგორსაც ვერავითარი მიწიერი მიზნები ვერ აღძრავენ, რადგან ყოველივე მიწიერი წარმავალია. ვინც ღმერთს გულწრფელად ემსახურება, მისთვის დიდნი და მცირენი საქმენი არ არსებობენ. იგი მოვალეა, რა ძალაც აქვს ბოძებული უფლისაგან, იმ ძალით ემსახუროს ღმერთსა და მოყვასს. სახიერი და კაცთმოყვარე უფალი კი ჩვენს ყოველ ძალისხმევას აკურთხებს და ჩვენს, თუნდაც მცირეოდენ გარჯას, მოწყალედ შეიწყნარებს.

ღვაწლი თავთა მოციქულთა

პავლეს მოქცევის შემდეგ ეკლესიის დევნა რამდენიმე ხნით შეწყდა და სიმშვიდემ დაისადგურა, რასაც რომის იმპერიაში, კერძოდ, პალესტინაში ატეხილმა მღელვარებამაც შეუწყო ხელი. პილატემ ღამით იერუსალიმში კეისრის გამოსახულება შეიტანა, რაც ებრაელებმა მათი კანონების, რომელთა მიხედვითაც წმინდა ქალაქში ყოველგვარი გამოსახულების დადგმა იკრძალებოდა, ფეხქვეშ გათელვად მიიჩნიეს. ამას ისიც დაემატა, რომ რომაელმა მმართველმა გაბედა და სოლომონის ტაძრის განძს შეეხო, იქედან აღებული ფულით მან ქალაქში წყალგაყვანილობის სისტემა შექმნა.[8] აღშფოთებულმა იუდეველებმა ამბოხება მოაწყვეს და პილატე იმპერატორთან შეასმინეს, რის შედეგადაც იგი გალიაში გადაასახლეს. სულმოკლე მმართველმა, რომელმაც ქრისტეს დასჯას ხელი არ შეუშალა, თუმცა კარგად იცოდა, რომ უდანაშაულო იყო, სიცოცხლე სიღატაკეში დაასრულა. არსებობს

[7] იქვე, 9,8-27.

[8] **Иосиф Флавий, Иудейская война, Минск, 1999, II, 9, 2-4.**

გადმოცემა, რომლის მიხედვითაც მან თავი მოიკლა.[9]

პოლიტიკური სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე ებრაელებს აღშფოთების ახალი მიზეზი მიეცათ. რომის იმპერატორმა კალიგულამ, როგორც ეს წარმართულ ტაძრებში იყო მიღებული, იერუსალიმის ტაძარში მისი ქანდაკების დადგმა მოითხოვა. ებრაელებმა იმპერატორთან ცნობილი სწავლული ფილონი გააგზავნეს თხოვნით, რომ ნუ შეურაცხყოფდა მათ რელიგიურ გრძნობებს და უმთავრეს სიწმინდეს – სოლომონის ტაძარს. მართალია, ფილონის მჭევრმეტყველებამ, და შესაძლოა, უფრო მეტად გულუხვად გაღებულმა ძღვენმა, კალიგულას განზრახვაზე ხელი ააღებინა, მაგრამ გაღიზიანებულმა იმპერატორმა მრავალი იუდეველი ამოწყვიტა.

ამ ხნის მანძილზე, როცა სხვა, მათთვის უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით გართულმა ებრაელებმა ახალი რელიგიის მიმდევართათვის ვერ მოიცალეს, ქრისტეს ეკლესია რიცხობრივად გაიზარდა და განმტკიცდა. მართალია, მოციქულებმა იესოს მოძღვრება გალილეასა და სამარიაში იქადაგეს, მაგრამ ქრისტეს აღდგომიდან 12 წლის მანძილზე ისინი ძირითადად მაინც იერუსალიმში იმყოფებოდნენ. მათ იერუსალიმის ეკლესიის მწყემსად და ეპისკოპოსად უფლის ძმა, იოსების ძე იაკობი აირჩიეს. მაცხოვრის თორმეტ მოწაფეთაგან ერთ-ერთმა, მათემ, ქრისტეს ამაღლებიდან რვა წლის შემდეგ, იესოს მიწიერ ცხოვრებაზე პირველი სახარება დაწერა ებრაულად.[10] მალე მათეს სახარება თვით ავტორის (ან ერთ-ერთი მოწაფის) მიერ ბერძნულად ითარგმნა და იმ ელინ-ებრაელთა შორის გავრცელდა, რომელნიც მცირე აზიაში ცხოვრობდნენ.

აქამდე მოციქულები მკაცრად ინახავდნენ მოსეს სჯულის დადგენილებას, რომლითაც იუდეველებს უცხო ხალხებთან ახლო ურთიერთობის დამყარება აკრძალული ჰქონდათ. ამ აკრძალვის მიზანი იყო დაეცვა ებრაელები წარმართების ზეგავლენისაგან, რომელსაც ისინი ჩვეულებრივ ადვილად ემორჩილებოდნენ და კერპთაყვანისმცემლო-

---

[9] **Евсевий Памфил, Церковная история, М., 2001, II, 7;** სინური მრავალთავის (864 წ.) ერთ-ერთი საკითხავის მიხედვით, პილატე მოიქცა და ცოლთან ერთად მოინათლა კიდეც (რედ.).

[10] **Евсевий Памфил, Церковная история, III, 24.**

ბით გატაცებულნი უფლისგან ბოძებულ სჯულს ივიწყებდნენ. თვითონ მოციქულებიც ჯერ კიდევ იმ შეხედულებისანი იყვნენ, რომ ქრისტეს ეკლესიაში მხოლოდ ისინი უნდა შესულიყვნენ, რომელნიც ჯერ მოსეს სჯულს მიიღებდნენ. მაგრამ უფალმა სასწაულებრივი ჩვენებით შეაგონა პეტრეს, რომ აბრაამის შთამომავლობისათვის ღმრთისგან მიცემული მოწყალე აღთქმა ყველაზე ვრცელდებოდა, ვინც კი რწმენის გამო აბრაამის შვილად წოდების ღირსი შეიქნებოდა.

პეტრემ იესოს მოძღვრების ქადაგებით მრავალი ქალაქი მოიარა და მაცხოვრის სახელით სასწაულებიც მოახდინა. ქალაქ ლჳდიაში მან განკურნა კაცი, რომელიც რვა წელი იყო სარეცელზე მიჯაჭვული, ხოლო იონიის ზღვისპირა ქალაქში მკვდრეთით აღადგინა ქალი, სახელად ტაბითა. როცა იგი ჯერ კიდევ იონიაში ცხოვრობდა მეტყავე სიმონთან და ასწავლიდა გზას, რომლითაც ცხოვნდებოდა, ზემო სართულში ექვსი საათის ლოცვისას უეცრად ძლიერი შიმშილი იგრძნო. ამ დროს დაინახა, რომ ზეციდან, კუთხეებში გაკვანძული ხელსახოცის სახით, ჭურჭელი ჩამოეშვა, რომელიც უწმინდურად მიჩნეული, და ამდენად საჭმელად უვარგისი, სხვადასხვა ცხოველით, ქვეწარმავლითა და ფრინველით იყო სავსე. ამავე დროს მოესმა სიტყვები: **აღდეგ, პეტრე, დაკალ და ჭამე!** პეტრემ უარით უპასუხა, რადგან მას უწმინდური რამ არასოდეს ეჭამა. პასუხად მიიღო, რომ რაც უფალმა წმინდად ჰყო, იმას უწმინდურად ნუ ჩათვლიდა. ეს მოვლენა სამგზის განმეორდა. ამასობაში პეტრემ გაიგონა, რომ ქვემოთ ვიღაცა კითხულობდა; ესენი იყვნენ კესარიაში მცხოვრები რომაელი ასისთავის კორნილიოსის წარმოგზავნილები – ორი მსახური და ერთი მეომარი. ეს კორნილიოსი წარმართებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ ერთ ღმერთს სცემდა თაყვანს და გულმოწყალებითა და ქველმოქმედებით იყო ცნობილი. ამიტომაც გადმოვიდა მასზე უფლის წყალობა: ანგელოზმა ამცნო, რომ სულის მაცხოვნებელ გზას პეტრე ასწავლიდა, რომელიც მეტყავე სიმონთან ცხოვრობდა. როდესაც მისულებმა მოციქულს მისი ჩვენების შესახებ უამბეს, იგი მიხვდა, რასაც ნიშნავდა სასწაული, რომელიც იხილა: სულის გადამრჩენელი მოძღვრება იესო ქრისტესი წარმართებისთვისაც უნდა ექადაგა, რადგან ისინიც ისეთივე

შვილები იყვნენ უფლისა, როგორც იუდეველები. როდესაც პეტრე კორნილიოსის სახლში შევიდა, მასპინძელი მას ფეხებში ჩაუვარდა. ადექი, – უთხრა პეტრემ, – მეც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც შენ. ასისთავთან მისი ნათესავები და მეგობრები შეკრებილიყვნენ, რომელთაც მოციქულმა მიმართა, რომ, მართალია, იუდეველებს უცხო ტომის შვილებთან ურთიერთობა ეკრძალებოდათ, მაგრამ ღმერთმა განუცხადა, უწმინდურად აღარავინ ჩაეთვალა.

როდესაც კორნილიოსმა დაწვრილებით უამბო, რაც იხილა, პეტრემ წამოიძახა, რომ ღმრთისათვის ყველა სათნოა, ვისაც კი მისი შიში აქვს და სამართლიანად იქცევა. ამის შემდეგ მან დაიწყო ქადაგება იესო ქრისტეზე, რომელმაც სიკვდილი იგემა, რათა ადამის მოდგმა მისი ტყვეობისაგან ეხსნა. ამ დროს მსმენელებზე სულიწმიდა გადმოვიდა, მათ მყისვე ენების ცოდნა შეიძინეს და სიხარულით აღვსილნი ღმერთს ადიდებდნენ. იქ მყოფი ებრაელები, რომელთაც ეს სურათი იხილეს, გაოცებულნი დარჩნენ იმით, რომ სულიწმიდა წარმართებზეც გადმოვიდა.[11] პეტრემ ყველანი მონათლა და ახლადმოქცეულთა დასამოძღვრად რამდენიმე დღე კესარიაში დარჩა.

იერუსალიმში დაბრუნებულ მოციქულს წინადაცვეთილმა მორწმუნეებმა წარმართებთან სტუმრობისა და მათი ტრაპეზის გაზიარების გამო უსაყვედურეს, მაგრამ, როცა პეტრემ მათ თავისი ჩვენებისა და მორწმუნე წარმართებზე სულიწმიდის გადმოსვლის შესახებ უამბო, ღმრთის ნებას ისინიც ჩასწვდნენ და სიხარულით ადიდებდნენ მას.

წარმართებმა ღმრთის სიტყვა სხვაგანაც მოისმინეს, კერძოდ, ზოგიერთმა კვიპროსელმა და კვირინელმა მორწმუნემ სახარება ანტიოქიაში მცხოვრებ ელინებსაც უქადაგა. მაშინ იერუსალიმის ეკლესიამ იქ ბარნაბა წარგზავნა, რომელიც ფრიად გახარებული დარჩა, როცა დარწმუნდა, როგორი კეთილისმყოფელი გავლენა მოეხდინა იესოს მოძღვრებას ანტიოქიელებზე. შემდეგ აქ ტარსიდან პავლეც ჩამოვიდა და მოციქულებმა ანტიოქიაში მთელი წელი დაყვეს. აღსანიშნავია, რომ პირველად ქრისტიანები ანტიოქიელებს ეწოდათ, რითაც ისინი, როგორც ეს წმინდა წერილი-

[11] საქმე მოციქულთაჲ 9,32-43; 10,1-45.

დან ვიცით, ფრიად ამაყობდნენ და ამ სახელისათვის შესაფერისი ღირსებით ცხოვრებას გულმოდგინედ ცდილობდნენ. როდესაც იუდეაში შიმშილობა ჩამოვარდა, ანტიოქიელმა ქრისტიანებმა იუდეაში მცხოვრები მორწმუნეების დასახმარებლად თანხა შეაგროვეს და პავლესა და ბარნაბას ხელით იერუსალიმელ ხუცესებს გაუგზავნეს.[12] საყურადღებოა, რომ ქრისტიანი ხუცესები ანუ მღვდლები პირველად ამ შემთხვევისას იხსენიებიან.

იუდეველები რისხვას ვერ ფარავდნენ, როცა ხედავდნენ, რა სწრაფად ვრცელდებოდა იესოს მოძღვრება. ამიტომ იუდეას მეფემ, ჰეროდე აგრიპამ, იმ ჰეროდეს შვილიშვილმა, რომელმაც ბეთლემელი ჩვილები ამოწყვიტა, ხალხის გულის მოსაგებად ერთ-ერთი მოციქულთაგანის, იოვანე ღმრთისმეტყველის ძმის, იაკობ ზებედეს ძის შეპყრობა ბრძანა; ცრუ მოწმეც მალე მოიძებნა და იაკობს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მოციქულმა განაჩენი აუღელვებლად მოისმინა და კვლავ მშვიდად დაამოწმა, რომ ჯვარცმული ღმერთის მიმდევარი იყო. მისმა სიმშვიდემ და სიმამაცემ თვით ცრუმოწმეც კი აღაფრთოვანა და ათქმევინა, რომ ისიც ქრისტიანი იყო. როდესაც ორივენი დასასჯელად წაიყვანეს, მან იაკობს პატიება სთხოვა. მცირე ხნის ფიქრის შემდეგ, წმიდა მოციქულმა უთხრა: „მშვიდობა შენდა“ და გადაკოცნა. მაშინ ცრუმოწმემ საჯაროდ აღიარა იესო ქრისტე და იაკობთან ერთად სიკვდილით დაისაჯა, ისე რომ წმიდა ნათლობის მიღება ვერ მოასწრო;[13] მაგრამ ეკლესიამ ქრისტეს სახელისათვის წამება ნათლისღების ტოლფასად ჩათვალა და წამებას სისხლით ნათლობა უწოდა.

დაინახა რა, რომ იაკობის დასჯას ებრაელებმა მხარი დაუჭირეს, ჰეროდემ პეტრეც დაიჭირა და საპყრობილეში შეაგდო, მაგრამ რადგან პასექი ახლოვდებოდა, დასჯა გადადო. სიკვდილით დასჯის წინა ღამეს მორწმუნენი ერთ-ერთი მოწაფის, იოვანე-მარკოზის დედის, მარიამის სახლში იყვნენ შეკრებილნი და მხურვალედ ლოცულობდნენ; თვითონ პეტრეს კი, ბორკილებგაყრილს, მშვიდად ეძინა ორ მეომარს შორის, ორი მეომარიც კარებთან დარაჯობდა.

---

[12] საქმე მოციქულთაჲ 11,19,30.

[13] კლიმენტი ალექსანდრიელი, სტრომატები, 7; **Евсевий Памфил, Церковная история, , II, 9.**

შუაღამისას საპყრობილე უეცრად უცხო ნათელმა გაანათა, უფლის ანგელოზმა პეტრე გააღვიძა და გაყოლა უბრძანა. ბორკილები თავისით დაცვივდნენ მოციქულის ხელებიდან და ფეხებიდან, რკინის კარებიც თავისით გაიღო და პეტრე საპყრობილიდან ისე გავიდა, რომ მცველებს არაფერი გაუგიათ. როცა იგი მარიამთან მივიდა, მორწმუნეებმა, რომელნიც გვიანი ღამის მიუხედავად ისევ ლოცვად იდგნენ, თვალებს არ დაუჯერეს და ღმერთი ადიდეს. პეტრემ იერუსალიმი დატოვა და სხვა ადგილებში დაიწყო ქადაგება; იგი ადამიანებს ცოდვათა მონანიებისა და ნათლობისაკენ მოუწოდებდა.

განრისხებულმა ჰეროდემ პეტრეს მცველები სიკვდილით დასაჯა. მალე იგი იმპერატორის პატივსაცემად გამართული ზეიმის ჩასატარებლად კესარიას გაემგზავრა. აქ მან სიმდიდრით განთქმული ქალაქების – ტვიროსისა და სიდონის ელჩების თავისი შესაძლებლობით გაკვირვება გადაწყვიტა და ნადიმად მოწვეულებს მდიდრულ ტახტზე ვერცხლის ქსოვილისაგან შეკერილი სამოსით დახვდა, რომელიც ისე ბრწყინავდა, რომ მნახველებს თვალს სჭრიდა. როცა ჰეროდემ საუბარი დაიწყო, კარისკაცები ლამის ყველა სიტყვას აწყვეტინებდნენ შეძახილებით: „ღმერთი ლაპარაკობს და არა ადამიანი“.[14] ამგვარი ამპარტავნობისათვის ჰეროდე მკაცრად დაისაჯა; ანგელოზმა 54 წლის ასაკში ისე მძიმე სენი შეჰყარა, რომ მსახურებმა ხელით გაიყვანეს, ხოლო ხუთი დღის შემდეგ, მატლებისაგან შეჭმული, საშინელი წამებით გარდაიცვალა.[15]

საპყრობილიდან სასწაულებრივი განთავისუფლებისა და იერუსალიმიდან წასვლის შემდეგ პეტრეს ღვაწლზე უკვე არა „საქმე მოციქულთა“, არამედ საეკლესიო და ისტორიული გადმოცემანი მოგვითხრობენ.

მოციქულ პავლეს, ლუსტრაში ქადაგებისას, ერთი ახალგაზრდა კაცი, სახელად ტიმოთე დაემოწაფა (საქმ. 16,1), რომელიც შემდეგში მისი ერთგული თანამგზავრი და მეგობარი გახდა. როცა პავლემ უფლისაგან საბერძნეთში, კერძოდ, მაკედონიაში წასვლის ბრძანება მიიღო, მას შილასა და ტიმოთეს გარდა, თან ავტორი ერთ-ერთი სახარებისა და მოციქულთა საქმისა, ლუკა მახარე-

[14] საქმე მოციქულთაჲ, 12,1-23.

[15] იუდეური სიძველენი, XIX, 8,2. **Евсевий Памфил, Церковная история,** , II, 10.

ბელიც გაჰყვა, რომელიც წარმოშობით ანტიოქიელი ბერძენი იყო. აქედან მოყოლებული იგი მოძღვარს აღარ განშორებია.

მოციქული და მისი მოწაფენი სახარების საქადაგებლად უწინარესად ებრაელთა სინაგოგებში შედიოდნენ, რომელიც საბერძნეთის ყველა ქალაქში იდგა, რადგან ბერძნები საკუთარი სჯულის დაცვასა და სწავლების გადმოცემას არავის უშლიდნენ.

მაკედონიის ქალაქ ფილიპიაში პავლემ და მისმა თანამგზავრებმა ძოწეულით მოვაჭრე ქალი ლუდია მოაქციეს, რომელიც მთელი თავისი ოჯახით მოინათლა. ფილიპიაში მოციქულები მის სახლში ცხოვრობდნენ. მიუხედავად ბერძნების რელიგიური შემწყნარებლობისა, ჭეშმარიტი ღმერთის მქადაგებლებმა დევნა ამ ქალაქშიც განიცადეს, რომლის მიზეზიც ერთი მსახური ქალი გახდა. ბოროტი სულით შეპყრობილი მსახური მკითხაობდა და ამ გზით თავის ბატონს დიდძალ შემოსავალს აძლევდა, როცა ქალმა მოციქულები დაინახა, უკან დაედევნა ყვირილით: ეს ადამიანები უზენაესი ღმერთის მონები არიან და ჩვენ ხსნის გზას გვაუწყებენო. უფლის სახელით პავლემ მისგან განდევნა სული, რომელიც ღმრთისაგან არ იყო და ქალმა მკითხაობა შეწყვიტა. ამან დიდად გაანაწყენა მისი ბატონი, რომელსაც შემოსავლის წყარო მოაკლდა და განსაკუთრებით შეიძულა მოციქულები და მათ რომის ქვეშევრდომებისათვის შეუფერებელი მოძღვრების გავრცელებაში დასდო ბრალი. ქალაქის ხელისუფალთა ბრძანებით, პავლე და შილა დაუნდობლად სცემეს და საპყრობილეში შეაგდეს, მაგრამ შუაღამისას ისეთი ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომ ტყვეებს ბორკილები დასცვივდათ, ხოლო ციხის კარები თავისით გაიღო. მძინარე მცველს გამოეღვიძა, გაღებული კარების დანახვაზე თავზარი დაეცა, იფიქრა, ტყვეები გაიქცნენო და შეშინებულმა თავის მოკვლა მოინდომა, მაგრამ ისევ პავლემ დაამშვიდა და აუხსნა, რაც მოხდა. ამ სასწაულის მხილველმა მცველმა ქრისტე ირწმუნა და მთელი ოჯახით მოინათლა.

დილით მიწისძვრით შეშინებულმა ქალაქის მმართველებმა პატიმრების გასათავისუფლებლად საპყრობილეში კაცები გაგზავნეს, მაგრამ პავლემ თავად უფროსების მისვლა მოითხოვა, რადგან იგი დაბადებიდანვე რომის მოქალაქე იყო და იცოდა,

რომ რომის მოქალაქეთა საპყრობილეში გაუსამართლებლად ჩასმა კანონით იკრძალებოდა. უფროსები მართლაც მივიდნენ, მოციქულებს ბოდიში მოუხადეს და გაუშვეს.[16]

პავლე ათენში ჩავიდა, სადაც ამ დროისათვის ყველაზე დიდი პატივით ზენონის, ეპიკურესა და პლატონის ფილოსოფიური სისტემები სარგებლობდა. მართალია, ზენონის მიმდევრები, რომელთაც სტოიკოსები ეწოდებოდათ, ასწავლიდნენ, რომ უმაღლესი სიბრძნე სათნოებაა – სიმტკიცე და დამოუკიდებლობა სულისა, რომელიც ბედის ცვალებადობას გულგრილად ხვდება, მაგრამ სჯეროდათ, რომ ადამიანს ამის მიღწევა თვითონაც შეუძლია, მაღლიდან შემწეობის გარეშე. სტოიკოსების მსგავსად ღმერთს, სულის უკვდავებასა და მომავალ ცხოვრებას ეპიკურეც უარყოფდა და ასწავლიდა, რომ ცხოვრების მიზანი მიწიერი ბედნიერებაა, რომელსაც სათნოებით უნდა მივაღწიოთ. მისმა მიმდევრებმა მასწავლებლის მოძღვრებისაგან მხოლოდ ტკბობისაკენ მისწრაფება დატოვეს და იგი ამქვეყნიურ ბედნიერებასთან გააიგივეს.

პლატონი, რომლის ფილოსოფიური სისტემაც ზენონისა და ეპიკურეს მოძღვრებებზე შეუდარებლად მაღლა დგას, უზენაეს შემოქმედ ძალასაც აღიარებდა, სულის უკვდავებასაც და მის სწრაფვასაც სრულყოფისაკენ, რაც ზოგიერთ მკვლევარს ავარაუდებინებს, რომ იგი ეგვიპტეში ცხოვრების დროს ძველი აღთქმის წიგნებსაც გაეცნო. მიუხედავად ამისა, იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც კაცობრიობას დასაბამიდან აღელვებდა, ვერც პლატონმა შეძლო. ე. ი. ანტიკური ეპოქის უდიდეს მოაზროვნეთა მცდელობა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრისა უშედეგოდ მთავრდებოდა და მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ადამიანს თავისი სიბრძნით, ანუ ღმრთისგან გამოცხადების გარეშე, ღმრთის შეცნობა არ შეუძლია.

ფილიპიიდან პავლე ათენში ჩავიდა, რათა ექადაგა, რომ ჭეშმარიტება, სიცოცხლე და ნათელი ქრისტეა. იგი შეაშფოთა კერპების სიმრავლემ, რომელიც წარმართული კულტურის ცენტრში ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა.

სანუგეშო რამ მან მხოლოდ მაშინ იგრძნო, როცა ერთ მოედან-

[16] საქმე მოციქულთაჲ, 16, 14-40.

ზე სამსხვერპლო ნახა, რომელზეც ეწერა: „უცნობ ღმერთს“. მოციქული ხან სინაგოგაში ქადაგებდა, ხანაც მოედანზე. ათენელები სიამოვნებით უსმენდნენ, რადგან ფილოსოფიურ აზროვნებაში გაწვრთნილებს ახალი მოძღვრების მოსმენა დიდ სიამოვნებას ანიჭებდათ. რამდენიმეჯერ მასთან კამათში ფილოსოფოსები ჩაებნენ, რომელთაც ბოლოს იგი არეოპაგში წაიყვანეს, რათა თავისი სწავლება ათენის ყველაზე პატივსაცემი მოქალაქეების წინაშე გადმოეცა. არეოპაგს, რომელიც უმაღლეს სამსჯავროს წარმოადგენდა, სხვა ფუნქციებთან ერთად ღმერთთა პატივსაცემი რიტუალების შესრულებისათვის თვალ-ყურის დევნებაც ევალებოდა. ამგვარი რიტუალებისა და ადათების დარღვევის ყოველი კონკრეტული შემთხვევა არეოპაგს გადაეცემოდა და იქ განისჯებოდა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ პავლეს, რომელიც ახალ რელიგიას ქადაგებდა, არეოპაგი აუცილებლად მოუსმენდა.

მოციქულმა თავისი სიტყვა იმ სამსხვერპლოს გახსენებით დაიწყო, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „უცნობ ღმერთს“; მან არეოპაგში შეკრებილებს განუცხადა, რომ იმ ღმერთის საქადაგებლად მოვიდა, რომელსაც, მართალია, ათენელები არ იცნობდნენ, მაგრამ თაყვანს მაინც სცემდნენ. ძირითადად მან მაცხოვრის მეორედ მოსვლასა, საშინელ სამსჯავროსა და მკვდართა აღდგომაზე იქადაგა. სწავლებამ მკვდართა აღდგომაზე ზოგიერთებს ღიმილი მოჰგვარა, მაგრამ ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც მოციქულის სიტყვების ჭეშმარიტება ირწმუნეს, ესენი იყვნენ არეოპაგის ერთ-ერთი წევრი დიონისე, შემდეგში ათენის პირველი ეპისკოპოსი და ქალი, რომელსაც დამარისი ერქვა.[17]

საერთოდ ვერ ვიტყვით, რომ პავლე მოციქულის ქადაგებას ათენში დიდი წარმატება ხვდა წილად, რადგან ამ დიდი ფილოსოფიური ტრადიციების მქონე ქალაქის მცხოვრებნი თავიანთი კაცობრივი სიბრძნით მეტისმეტად ამაყობდნენ, რაც ღმრთეებრივი მოძღვრების გულისყურით მოსმენაში უშლიდათ ხელს. ასე, რომ ამპარტავნება და ქედმაღლობა ადამიანს ჭეშმარიტების შესაცნობად არა მხოლოდ მხედველობას, არამედ სასმენელთაც უხშობს.

ქრისტეს მოძღვრება განსაკუთრებით უცხო ეპიკურეელებისა

[17] საქმე მოციქულთაჲ, 17, 16-34.

და სტოიკოსებისთვის გამოდგა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარ თავზე აღმატებული წარმოდგენისა და თავდაჯერებულობის გამო, ღმერთსა და მის შემწეობას საერთოდ უარყოფდნენ.

ათენიდან პავლე კორინთოში გადავიდა, სადაც ღმრთისმოსავ ებრაელ ცოლ-ქმართან, აკვილასა და პრისკილასთან ცხოვრობდა, რომელნიც კორინთოში რომიდან მაშინ ჩამოსახლდნენ, როცა იმპერატორმა კლავდიუსმა ებრაელები იმპერიის დედაქალაქიდან გამოყარა. მოციქულს მასპინძელთა გულთბილი დამოკიდებულებით არ უსარგებლია, მათთან ერთად ისიც ფიზიკურად მუშაობდა და კარვებს კერავდა, შაბათობით კი სინაგოგაში ქადაგებდა, სადაც განსაკუთრებით ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ასე რომ, როცა ჭეშმარიტების მისაღებად მათ გაქვავებულ გულებს აწყდებოდა, კინაღამ უსასოობის განცდა დაეუფლა, მაგრამ მძიმე ტვირთის ზიდვაში უფალი წამოეშველა, გამოეცხადა და ანუგეშა.[18]

პავლემ კორინთოში წელიწადნახევარი დაყო. ამ ხნის მანძილზე იგი არა მხოლოდ კორინთელებზე, არამედ იმათზეც ზრუნავდა, რომელნიც ადრე მოაქცია; სწორედ ამ მიზნით მისწერა კორინთოდან წერილი თესალონიკელებს.

ებრაელებმა პავლე მოციქული კორინთოშიც იმ ბრალდებით, რომ იგი მათი სჯულის საწინააღმდეგოს ქადაგებდა, იქაურ პროკონსულს, გალიონს, მიჰგვარეს, მაგრამ გალიონზე ამ ბრალდებას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ თავდაპირველად რომის იმპერია ახალ რელიგიას საფრთხედ არ მიიჩნევდა და ქრისტიანებს იუდეველთაგან არ აცალკევებდა.

კორინთოდან მოციქული მასპინძლებთან – აკვილასა და პრისკილასთან ერთად ეფესოში წავიდა. ეფესოდან მოციქული პავლე იერუსალიმში გაემგზავრა და იმ ქრისტიანებს, რომელთაც მატერიალურად განსაკუთრებით უჭირდათ, მორწმუნეთა შორის შეგროვილი დახმარება ჩაუტანა, რაც მრავლისმეტყველი ფაქტია, რადგან იმ სიყვარულზე მეტყველებს, რომელიც სხვადასხვა მხარესა და ქალაქში მცხოვრებ ქრისტიანებს ერთმანეთთან აკავშირებდა და აერთიანებდა.

[18] იქვე, 18, 1-6.

54 თუ 55 წელს, მოციქულებრივი მიზნით, პავლემ მესამედ იმოგზაურა და თან მოწაფენი – ლუკა, ტიტე და ტიმოთე წაიყვანა. ამ დროისათვის ქრისტიანულ მოძღვრებას, რომელიც უსწრაფესად ვრცელდებოდა, მრავალი მქადაგებელი გამოუჩნდა. ერთი მათგანი ალექსანდრიელი სწავლული აპოლოსი იყო, რომელიც სხვადასხვა ადგილას, მათ შორის ეფესოსა და კორინთოშიც ქადაგებდა, მაგრამ რადგან მოციქულებისათვის არასდროს მოესმინა, მხოლოდ იოვანე ნათლისმცემლის ნათლობა იცოდა და ხალხს მის მსგავსად ნათლავდა. ეფესოში იგი აკვილასა და პრისკილას დაუახლოვდა, რომელთა შემწეობითაც ქრისტიანულ მოძღვრებას საფუძვლიანად გაეცნო. როცა საქადაგებლად საბერძნეთში გადავიდა, ცოლ-ქმარმა იქაურ ქრისტიანებთან წერილი გაატანა, რათა მათ აპოლოსი ნდობით მიეღოთ.[19]

ეფესოში პავლე მოციქულს აპოლოსისაგან მონათლული მრავალი ადამიანი შეხვდა, რომელთაც სულიწმიდის შესახებ გაგონილიც კი არაფერი ჰქონდათ. პავლემ მათ ყოვლადწმიდა სამების სახელით ნათელი სცა და ხელნი დაასხა, რომლის დროსაც სულიწმიდა მათზეც გადმოვიდა და ბევრმა მათგანმა უკვე თვითონ დაიწყო ქადაგება სხვადასხვა ენაზე.

ჩვეულებისამებრ მოციქულმა ეფესოშიც უწინარესად სინაგოგაში იქადაგა, მაგრამ იუდეველები, ისევე როგორც სხვა ქალაქებში, მის მიმართ აქაც მტრულად განეწყვნენ. ამიტომ პავლე საქადაგებლად ტვირანეს სასწავლებელში გადავიდა, სადაც მის მოსასმენად უპირატესად წარმართი ელინები მოდიოდნენ. ასე გრძელდებოდა ორი წლის განმავლობაში, რომლის დროსაც მოციქულმა მრავალი სასწაული აღასრულა, მისი და მისი ნივთების შეხებით სნეულები იკურნებოდნენ და ბოროტი სულებისაგან თავისუფლდებოდნენ.

ამასობაში მოციქულმა შეიტყო, რომ გალატელები ცრუ მოძღვრებამ შეაცდინეს და ჭეშმარიტებად მიიღეს სწავლება, რომლის მიხედვითაც სულის ცხოვნებისათვის მოსეს სჯულის დაცვა იყო აუცილებელი. პავლემ გალატელებს წერილი მისწერა, რომელშიც განმარტა, რომ გადარჩენა რჯულის გარეგნული დაცვით შეუძლებელია და რომ ადამიანის სულის ხსნა მხოლოდ იმგვარ რწმენას შეუძლია, რომელიც

[19] იქვე, 18, 12-28.

სიყვარულით მოქმედებს. ძველი აღთქმის ადამიანები მონები იყვნენ უფლისა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქრისტემ სიკვდილი იგემა და კაცობრიობა ცოდვის ტყვეობისაგან გამოიხსნა, ადამის მოდგმამ ღმრთის შვილობის პატივი მიიღო. მოციქული გალატელებს არწმუნებს, რომ უპირველესად ქრისტეს მოძღვრების სულის დაცვაა საჭირო, რის შედეგადაც მიიღება მშვენიერი ნაყოფნი სულისა: **სიყვარული, სიხარული, მშვიდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ** (გალ. 6,22-23).

მოციქულს კორინთოს ეკლესიის მდგომარეობაც აწუხებდა, რადგან იქ მორწმუნეთა ერთობას ბზარი გაუჩნდა და ქრისტიანები მოძღვართა მიხედვით დაიყვნენ. ერთნი ამბობდნენ, რომ პავლესი იყვნენ, მეორენი – აპოლოსისა, სხვანი კიდევ – კეფასი, ან ქრისტესი.

ამიტომ მოციქულმა ეფესოდან წერილი კორინთელებსაც მისწერა, რომელშიც აუხსნა, რომ როგორც ქრისტეს დაყოფა არ შეიძლება, ასევე არ შეიძლება მისი მორწმუნეების დაყოფაც. განა თქვენთვის ჯვარს პავლე ეცვა, ან განა ნათელი პავლეს სახელით მიიღეთო, – ეკითხება იგი კორინთელებს და აქვე განმარტავს, რომ არც სულიწმიდისაგან ბოძებული ნიჭითა და ცოდნით სიამაყე შეიძლება, რადგან ღმრთის წყალობამ არა სიამაყე და თავმომწონეობა, არამედ ღმრთის სამსახურის სურვილი უნდა გააღვიძოს და გააძლიეროს. საინტერესოა, რომ ცრუ მოძღვრებათაგან, რომელნიც ამ დროისათვის უკვე არსებობდნენ, ერთ-ერთი კორინთოშიც გავრცელებულა, კერძოდ უარყოფა მკვდართა აღდგომისა. ამიტომაც მოციქული ამ ეპისტოლეში მკვდართა აღდგომაზე სწავლებასაც გადმოგვცემს. აქვეა განმარტებული ზიარებისა და ქორწინების საიდუმლონიც.[20]

პავლე მოციქული ეფესოს დატოვებას უკვე აპირებდა, რომ ქალაქი მღელვარებამ მოიცვა. როგორც ცნობილია, არა მხოლოდ ეფესოს, არამედ საერთოდ მთელი მსოფლიოს ერთ-ერთ ღირშესანიშნაობად ითვლებოდა ბრწყინვალე ტაძარი დიანასი (არტემიდესი), რომელსაც ამ ქალაქის მცხოვრებნი განსაკუთრებით სცემდნენ თაყვანს. ბევრი ეფესელი ხელოვანი სწორედ იმით ცხოვრობდა, რომ ვერცხლისაგან ტაძრის მაკეტებს ამზადებდა, რომელთაც არტემიდეს სახელგანთქმული ტაძრის სანახავად მოსული უცხოელები

[20] I კორ. 1,10 – II,16; 15,12-57

სუვენირებად ყიდულობდნენ.

მას შემდეგ, რაც პავლე მოციქული ეფესოში დამკვიდრდა და მისი ქადაგების წყალობით მრავალი წარმართი ქრისტიანობაზე მოიქცა, ტაძარმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა, რის გამოც ძველებური გასავალი აღარც მის მაკეტებს ჰქონდა. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ წმ. მოციქული განსაკუთრებით ხელოსნებმა შეიძულეს. ერთმა მათგანმა დემეტრეოსმა, თანამოსაქმენი შეკრიბა და განუმარტა, რომ პავლეს ქადაგებანი არა მხოლოდ მათ ხელობას უქმნიდა საფრთხეს, არამედ თვით კულტის თაყვანისცემასაც, რადგანაც მათ შედეგად როგორც ეფესოში, ისე საერთოდ აზიაში, მამაპაპურ რჯულს ბევრი ტოვებდა და ქრისტიანი ხდებოდა, რაც წარმართული ღმერთების თაყვანისმცემელთა რიცხვის თანდათანობით შემცირებასა და მათი ტაძრების დაცარიელებას მოასწავებდა.

ხალხი რომ ახალი რელიგიის მქადაგებელთა წინააღმდეგ აემხედრებინათ, დემეტრეოსის მეგობრები ქუჩებს მოედვნენ შეძახილებით: „დიდია არტემიდე ეფესელი“. მათ მართლაც მოახერხეს ეფესელთა აღელვება, რომელთაც პავლე მოციქულის თანამოაზრენი, გაიოსი და არისტარქოსი, შეიპყრეს, მაგრამ საბედნიეროდ ქალაქის მმართველობამ მღელვარების ჩაწყნარება შეძლო და შეპყრობილი ქრისტიანებიც, რომელთაც ვინ იცის, აგზნებული ბრბო რა ხვედრს უმზადებდა, გაათავისუფლა.[21]

ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ პავლე მოციქულმა იქაური ეკლესიის მმართველობა ტიმოთეს ჩააბარა, რომელსაც ხუცესთა ხელთდასხმის უფლებაც მისცა და თვითონ ეფესო დატოვა. ტიმოთესადმი მიწერილ ეპისტოლეებში მოციქული დაწვრილებით გადმოსცემს, რა ევალება მწყემსს, რომელმაც სამწყსო ხსნის გზით უნდა წაიყვანოს.

მოციქულმა ამჯერადაც საბერძნეთს მიაშურა. მართალია, პავლეს მძიმე ჯაფასთან ერთად არც დევნა აკლდა, მაგრამ ნუგეშინის მომცემელ სიხარულსაც ხშირად განიცდიდა. მას დიდ სიხარულს ანიჭებდა თანამოაზრეთა გულმოდგინება, მორწმუნეთა წარმატებანი, მოწყალება, რომელსაც ქრისტიანები ღატაკი ძმების მიმართ იჩენდნენ. მოციქულმა კორინთოდან წერილი მისწერა რომაელებს,

[21] საქმ. 19,23-40.

რომელშიც ამტკიცებს, რომ ღმრთის წინაშე ყოველი ადამიანი ცოდვილია; ამიტომ ფუჭი იმედით იმისა, რომ მხოლოდ თავისი საქმეებით გადარჩება, არავინ უნდა საზრდოობდეს. ჩვენ მხოლოდ **მადლი ღმრთისა და იესო ქრისტეს რწმენა გვიხსნის,** რომელიც ჩვენთვის ჯვარს ეცვა (რომ. 3,23-24). ამავე წერილში იგი დაწვრილებით გადმოცემს ქრისტიანული ცხოვრების წესებს (მე-12, მე-13, მე-14 თავები) და სიმშვიდისაკენ, ხელისუფლების მორჩილებისა, ერთმანეთის სიყვარულისა და გულმოწყალებისაკენ მოგვიწოდებს.

პავლე მოციქულს განზრახული ჰქონდა მეერგასე დღის დღესასწაულზე იერუსალიმში ჩასულიყო, იქაური ღატაკებისათვის სხვა ეკლესიებში შეგროვილი შესაწირავი ჩაეტანა და შემდეგ რომში წასულიყო, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა; ვიდრე ამ მოვლენებზე გადავიდოდეთ, აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ფაქტს: რომაელებისადმი მიწერილი ეპისტოლე მოციქულმა თებელ ქალს გაატანა, რომელიც რომში მიდიოდა. აქ პირველად იხსენიება ეკლესიის მსახური ქალები, რომელთაც დიაკონისები ეწოდებოდათ. თავდაპირველად მათი მოვალეობანი პირველ დიაკონთა ძირითადი მოვალეობებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. დიაკონისებს უპირატესად პატიოსნებით ცნობილი ქვრივების წრიდან ირჩევდნენ, რადგან ისინი ოჯახური მოვალეობებით ნაკლებად იყვნენ შეზღუდულნი და თავიანთი დროისა და ენერგიის საერთო საქმისათვის მოხმარება უფრო თავისუფლად შეეძლოთ. გლახაკთა და ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის გარდა, ისინი ამზადებდნენ, აგრეთვე, ქალებს მოსანათლად. ტიმოთესა და ტიტესადმი მიმართულ ეპისტოლეებში წმ. მოციქული დაწვრილებით ჩამოთვლის და განმარტავს დიაკონისების უფლება-მოვალეობებს.

პავლე მოციქულს სურდა საბერძნეთიდან იერუსალიმში უმოკლესი გზით წასულიყო, მაგრამ გაიგო, რომ მის წინააღმდეგ ბოროტი ჩანაფიქრი მზადდებოდა, ამიტომ გეზი შეცვალა და მცირე აზიაში გადავიდა. ტროადაში მოციქულმა სასწაული მოახდინა, უფალმა მისი ლოცვით სიცოცხლე დაუბრუნა ჭაბუკს, რომელიც იმ სახლის ზემო სართულიდან გადავარდა და მოკვდა, სადაც მორწმუნენი მოციქულის მოსასმენად იყვნენ შეკრებილნი.[22]ტროადიდან წამოსულმა

[22] იქვე, 20,6-12

პავლემ გვერდი აუარა ეფესოს, რათა არ დაყოვნებულიყო და ქალაქ მილეტში მივიდა, რომელიც ეფესოს მახლობლად მდებარეობდა. აქ მან უკანასკნელი დარიგებების მისაცემად ხუცესები იხმო, რადგან იცოდა, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში მათ ველარ იხილავდა. მოციქულმა მოძღვრებს შეახსენა, რომ აზიაში მოსვლის პირველი დღიდანვე მათთან იყო და იმ განსაცდელთა მიუხედავად, რომელიც იუდეველთა ბოროტი ზრახვების შედეგად თავს ატყდებოდა, მორჩილებითა და ცრემლებით ემსახურებოდა უფალს. ახლა სულის მოწოდებით იერუსალიმში მიდიოდა და არ იცოდა, რა ელოდებოდა იქ, თუმცა იმას კი გრძნობდა, რომ მათთან შეხვედრა აღარ მოუწევდა. ამიტომ აფრთხილებდა, ფხიზლად ყოფილიყვნენ და არ ნდობოდნენ მგლებს, რომლებიც ფარას არ შეიწყალებდნენ და არც იმ ადამიანების ერწმუნათ, რომლებიც თვითონ მათ შორის გამოჩნდებოდნენ და სწავლების დამახინჯებას შეეცდებოდნენ.

სიტყვის დასასრულს მოციქულმა ხუცესებს მოუწოდა, საკუთარი ხელებით მოპოვებული გასამრჯელოთი ეცხოვრათ, ისე, როგორც ამას თავად პავლე აკეთებდა და არ დავიწყებოდათ იესო ქრისტეს სიტყვები: **ნეტარ არს მიცემაჲ უფროჲს ვიდრე მოღებისა** (საქმ. 20, 18-35).

ამის შემდეგ მოციქულმა სხვებთან ერთად მუხლი მოიყარა და ილოცა. მოწაფეებმა, რომლებიც საყვარელ მოძღვარს ამბორითა და ცრემლებით გამოეთხოვნენ, იგი ხომალდამდე მიაცილეს. გზად პავლე მოციქული და მისი მოწაფენი სხვადასხვა კუნძულსა და ქალაქში ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდნენ. კესარიაში იგი დიაკონ ფილიპესთან გაჩერდა. აქ მასთან ერთი წინასწარმეტყველი მივიდა, მისი სარტყელი აიღო, ხელები და ფეხები შეიკრა და უთხრა, რომ, როგორც სულიწმიდა ამბობდა, იერუსალიმში იუდეველები ამ სარტყლის პატრონს ასე შეკრავდნენ და წარმართებს გადასცემდნენ. მორწმუნენი ცრემლებით შეევედრნენ პავლეს, იერუსალიმში წასვლა გადაეფიქრებინა, მაგრამ მან განაცხადა: **არა ხოლო შეკრვად, არამედ მოსიკუდიდცა მზა ვარ იერუსალჱმს სახელისათჳს უფლისა იესუჲსა** (საქმ. 21,13).

იერუსალიმში მოციქული მოხუცი მნასონის სახლში გაჩერდა და მეორე დღესვე ეპისკოპოს იაკობს ეწვია, სადაც ხუცესებსაც

შეხვდა, რომელთაც არ დაუმალეს, რომ იერუსალიმში იგი განსაკუთრებით სძულდათ. ამ სიძულვილის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ქრისტიანი იუდეველები, იერუსალიმში უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, მოციქულთა კრების დადგენილების წინააღმდეგნი იყვნენ და ვერ ურიგდებოდნენ იმ აზრს, რომ წარმართები მათი თანასწორნი ხდებოდნენ და იუდეველთა სჯულის მიღების გარეშე, მხოლოდ ქრისტიანული სჯულის დაცვით ცხონდებოდნენ. ამ ძვალსა და რბილში გამჯდარი ამპარტავნების დასაძლევად უდიდესი სიყვარული იყო საჭირო, რაც ძალიან ცოტას თუ ჰქონდა. ამ სიძულვილის გასანელებლად ეპისკოპოსმა იაკობმა და ხუცესებმა პავლეს იმ აღთქმის აღსრულებაში მონაწილეობის მიღება ურჩიეს, რომელიც რამდენიმე იუდეველს ჰქონდა დადებული. აქვე შევნიშნავთ, რომ არსებობდა ადათი აღთქმის დადებისა, რომლის შესრულებაც მოვალეობად ითვლებოდა, იგულისხმება ნაზორეველთა აღთქმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აღთქმის დამდები თმებს იზრდიდა, მარხვას ინახავდა, ღვინოს არ სვამდა და კიდევ რამდენიმე სხვა წესს აღასრულებდა, რის შემდეგაც ტაძარში მიდიოდა და ღმერთს განსაწმენდელ მსხვერპლს სწირავდა. შეიძლებოდა მონაწილეობის მიღება სხვების მიერ დადებული აღთქმის შესრულებაში, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მსურველი მსხვერპლშეწირვისთვის საჭირო თანხის გადახდას თავის თავზე იღებდა. სწორედ ამგვარი სახით მონაწილეობის მიღება ურჩიეს მოციქულს, რათა მტრულად განწყობილთათვის ამ გზით ეჩვენებინა, რომ იგი სჯულის ადათებს არ უარყოფდა. რადგან ამ საქციელში ქრისტიანული სწავლების საწინააღმდეგო არაფერი იყო, პავლე სიამოვნებით დათანხმდა, იმ ადამიანებს შეუერთდა, რომელთაც აღთქმა ჰქონდათ დადებული და ამის თაობაზე იუდეველთა მღვდლებსაც აცნობა. სამწუხაროდ, სიძულვილი მისდამი ისე დიდი იყო, რომ აღთქმის ვადის გასვლამდე აღარ დაიცადეს და მოციქულს ხალხი აუმხედრეს, რომელსაც ეუბნებოდნენ: აი, კაცი, რომელიც ჩვენს ტაძრებს ბილწავს, რადგან მასში ელინები შეჰყავს. მოციქულს თავის გამართლების საშუალება არ მისცეს, იგი ტაძარში შეიპყრეს და მოკვლა დაუპირეს, მაგრამ ხმაურზე ათასისთავი მოვიდა, რომელმაც მსხვერპლი შეშლილ ბრბოს გამო-

სტაცა. ამაოდ ცდილობდა რომაელი მოხელე გაეგო, რისთვის მრისხანებდნენ პავლეზე, ყურისწამღებ ხმაურსა და ღრიანცელში ვერაფერი გაარკვია, ამიტომ მისი შეკვრა და ციხეში წაყვანა ბრძანა. ბრბო მას უკან დაედევნა ყვირილით: დასაჯე იგი.

ციხის შესასვლელთან მოციქულმა რამდენიმე სიტყვის თქმის ნებართვა ითხოვა. მან გაიხსენა, რომ ახალგაზრდობაში მოსეს სჯულს თვითონაც გულმოდგინედ აღასრულებდა და ქრისტიანებს, ვიდრე უფლისაგან წარმოგზავნილი სასწაული ჭეშმარიტების შესაცნობად სულიერ თვალს აუხელდა, დაუნდობლად დევნიდა. გაიხსენა, როგორ გამოეცხადა იერუსალიმის ტაძარში ლოცვისას უფალი და უბრძანა, რომ, რადგან იუდეველები მის დამოწმებას არ მიიღებდნენ, წარმართებისათვის ექადაგა. წარმართების ხსენებამ დროებით დამშვიდებული ბრბო ხელახლა ააღელვა. ათასისთავმა, რადგან იუდეველი არ იყო, ვერაფერი გაიგო. მან ბრძანა, პავლე ციხეში შეეყვანათ და დაეკითხათ, რით გამოიწვია ხალხის ასეთი სიძულვილი. მაშინ მოციქულმა თვითონ იკითხა, ჰქონდათ თუ არა უფლება რომაელი მოქალაქის ცემისა და ისიც გასამართლების გარეშე. ათასისთავი შეშინდა და გამოსავალი იმაში ნახა, რომ მეორე დღისათვის იუდეველ მღვდელმთავართა შეკრება ბრძანა, რათა პავლე სინედრიონს განესაჯა.

როგორც კი მოციქულმა სინედრიონზე რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, მღვდელმთავარმა ანანიამ ბრძანა მისთვის ტუჩებში ერტყათ. პავლემ, დაინახა რა, რომ სინედრიონში ფარისეველებიც იყვნენ, განაცხადა, რომ თვითონაც ფარისეველი იყო, შვილი ფარისეველისა და მკვდართა აღდგომის სასოებისათვის ასამართლებდნენ. ამ განცხადებამ კრება ააღელვა, რადგან სინედრიონის წევრები სადუკეველებიც იყვნენ, რომელთაც არც მკვდართა აღდგომისა სჯეროდათ და არც მომავალი ცხოვრებისა. კრების მონაწილეთა შორის ისეთი ჩხუბი ატყდა, რომ ათასისთავს შეეშინდა პავლე ცოცხლად არ დაეგლიჯათ და მისი ციხეში გადაყვანა ბრძანა. ციხეში მოციქულს უფალი გამოეცხადა, რომელმაც უთხრა: **ნუ გეშინინ, პავლე, რამეთუ, ვითარცა-ეგე სწამე ჩემთჳს იერუსალჱმს, ეგრეთცა ჴერ-არს შენდა ჰრომესცა შინა წამებაჲ** (საქმ. 23,11).

ამასობაში ორმოცზე მეტმა იუდეველმა დაიფიცა, რომ არც ჭამდნენ და არც სვამდნენ, ვიდრე პავლეს არ მოკლავდნენ და ამ გადაწყვეტილების შესახებ სადუკეველ მღვდელმთავრებსაც აცნობეს. მათ ჩაიფიქრეს, რომ, ვითომდაც მისი საქმის განსასჯელად, მოციქული კვლავ სინედრიონზე გამოეძახათ და გზაში მოეკლათ, მაგრამ ამ გეგმის შესახებ პავლეს დისწულმა შეიტყო და ათასისთავს აცნობა. ათასისთავმა მოციქული იმავე ღამეს მრავალრიცხოვანი მცველის თანხლებით კესარიაში, ოლქის რომაელ მმართველთან, ფელიქსთან წარგზავნა და წერილით შეატყობინა, რომ რადგან ამ ადამიანს, რომელსაც იუდეველები რაღაც საკამათო შეხედულებებში სდებდნენ ბრალს, თვითონ არც სიკვდილისა და არც დატუსაღების ღირსად არ თვლიდა, ამიტომ განაჩენი მისთვის მას გამოეტანა.

იმის შიშით, რომ შეიძლებოდა პროვინციის მმართველ ფელიქსს პავლეს უდანაშაულობა ერწმუნა და მისთვის მსუბუქი სასჯელი გამოეტანა, კესარიაში ბრალმდებლებიც ჩავიდნენ, რომელთა შორის მღვდელმთავარი ანანიაც იყო. ისინი მოციქულს საზოგადოების წყლულს, ნაზორეველთა სექტის მამამთავარსა და ამბოხების მომწყობს უწოდებდნენ. მათ საპასუხოდ პავლე კვლავაც გაბედულად ამოწმებდა ქრისტეს სარწმუნოების შესახებ. ბრალმდებელთა საბუთებმა ფელიქსი მოციქულის დანაშაულში მართლაც ვერ დაარწმუნეს, ამიტომაც ყოველი შემთხვევისათვის მან პავლესათვის თვალყურის დევნება კი ბრძანა, მაგრამ ისე, რომ არ შეევიწროვებინათ. ასე რომ, მოციქულს კესარიაში ნაცნობების მონახულების საშუალება მიეცა. ფელიქსმა, რომელმაც ვერ გაარკვია, რაში სდებდნენ ებრაელები ბრალს პავლეს, თვითონ მოინდომა მისი მოსმენა და ამ გზით იმ სწავლებაში გარკვევა, რომელსაც მოციქული ქადაგებდა. მან პავლე იხმო და თავის მეუღლესთან, დროსილასთან ერთად მოუსმინა. მოციქული ისეთი დამარწმუნებელი ძალით ალაპარაკდა სამართლიანობასა და მომავალ სამსჯავროზე, რომ ფელიქსი, რომელიც ბიწიერ ცხოვრებას ეწეოდა, შეშფოთდა, პავლე გაუშვა და უთხრა, რომ დანარჩენის შესახებ სხვა დროს მოუსმენდა. მაგრამ რადგანაც ანგარებისმოყვარე იყო, მისი გული ჭეშმარიტების გაგებისათვის დახურული გამოდგა. მთელი ორი წლის

განმავლობაში ფელიქსი პავლესაგან გამოსასყიდ ფულს ელოდებოდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იგი ფესტოსმა შეცვალა, იუდეველების გულის მოსაგებად ფელიქსმა **პავლე კრულებათა შინა დაუტევა.**[23]

მტრებმა, რომლებიც არ ცხრებოდნენ, ფესტოსს მოციქულის იერუსალიმში დაბრუნება მოსთხოვეს, სადაც თითქოსდა უნდა განესაჯათ, სინამდვილეში კი გზაში მისი მოკვლა სურდათ. ფესტოსმა პასუხად პავლეს ბრალმდებლები კესარიაში მიიწვია, მაგრამ მათ მისი დანაშაულის დამტკიცება ვერც ამჯერად შეძლეს. თვითონ პავლე მოციქულმა რომაელი მოქალაქის უფლებები გამოიყენა და მოითხოვა, რომ იგი კეისარს გაესამართლებინა. ფესტოსს უარის თქმის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ვერც ის მოიფიქრა, რა ბრალდებით გაეგზავნა პავლე კეისრისათვის. ამასობაში კესარიაში მეფე აგრიპა, ჰეროდე აგრიპას შვილი ჩამოვიდა. ფესტოსმა მას პავლეს შესახებ უამბო, რომელსაც ღმრთის თაყვანისცემის საკითხებში ედავებოდნენ, რადგანაც ვიღაც მოკლული იესოს შესახებ ამტკიცებდა, რომ იგი ცოცხალი იყო. ასე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ რომაელებს იმ მოძღვრებაზე, რომელიც მალე მთელს მსოფლიოს მოიცავდა და ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე დააყენებდა.

აგრიპამ მოისურვა თვითონ ენახა პავლე. შეხვედრას ფესტოსიცა და აგრიპას და, ბერენიკეც, ესწრებოდნენ. მოციქულმა მათ თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე უამბო. გულახდილად განუცხადა, რომ უფლისაგან წარმართებისათვის თვალების ასახელად იყო მოწოდებული და რომ იმაზე მეტს, რასაც წინასწარმეტყველები და მოსე ამბობდნენ, არაფერს ამბობდა. ფესტოსს სწავლება მკვდართა აღდგომაზე სიგიჟედ მოეჩვენა, რის საპასუხოდ მოციქულმა მშვიდად განუმარტა, რომ იგი ჭეშმარიტებას ქადაგებდა.

აგრიპამ ფესტოსს განუცხადა, რომ მოციქული არც სიკვდილსა და არც შეპყრობას არ იმსახურებდა და მისი განთავისუფლებაც კი შეიძლებოდა, კეისრისგან გასამართლება თვითონვე რომ არ მოეთხოვა, ამიტომაც მისი რომში გაგზავნა გადაწყვიტეს. რომისკენ მგზავრობა ხანგრძლივი და მომქანცველი აღმოჩნდა, მაგრამ საბედნიეროდ, ასისთავმა, რომელსაც მოციქული ჩააბა-

[23] საქმ. 24,27.

რეს, სულით იგრძნო, რომ ადამიანთა შორის რჩეულთან ჰქონდა საქმე და მას გულთბილად ექცეოდა. როცა ხომალდი რომელიმე ქალაქისა ან კუნძულის ნავსადგურში ჩერდებოდა, იგი მოციქულს უფლებას აძლევდა ნაპირზე გადმოსულიყო და მორწმუნეებს შეხვედროდა, რომელთაც მოძღვრის ხილვა და მოსმენა დიდ სიხარულს ანიჭებდათ. ხომალდზე სულ 276 ადამიანი იყო, მათ შორის პავლეს მოწაფენიც: მაკედონიელი არისტარქე და წმ. მოციქული ლუკა, რომელმაც ეს მოგზაურობა, კერძოდ კი, ქარიშხალი ზღვაზე, დაწვრილებით აღგვიწერა. უეცრად ამოვარდნილი გრიგალი მოგზაურებს 14 დღის განმავლობაში ისე მიაქანებდა, რომ არავინ იცოდა, საით მიდიოდნენ, მაგრამ მისი მოძღვრების მქადაგებლებს უფალი იცავდა. ქარიშხლის დროს პავლეს ანგელოზი გამოეცხადა და შეჰპირდა, რომ ყველა, ვინც მასთან იქნებოდა, გადარჩებოდა. ბოლოს ხომალდი მეჩეჩზე შეჯდა. მეომრებს პატიმართა მოკვლა სურდათ, მაგრამ ასისთავმა, რომელსაც პავლეს გადარჩენა გულით ეწადა, ისინი შეაჩერა. მან ყველას უფლება მისცა, ვისაც როგორ შეეძლო, თავი ისე გადაერჩინა. კუნძულ მელიტონის (ახლანდელი მალტის) მცხოვრებლებმა მოგზაურები გულთბილად მიიღეს და სანაპიროზე ცეცხლი დაანთეს. როცა პავლე კოცონზე ფიჩხს ამატებდა, ფიჩხიდან იქედნე გამოძვრა და ხელზე დაეკიდა. ეს სურათი რომ დაინახეს, კუნძულელებმა თქვეს: როგორც ჩანს, ეს ადამიანი დიდი ბოროტმოქმედია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ხომალდის დაღუპვას გადაურჩა, მაინც კვდებაო, მაგრამ მოციქულმა იქედნე ცეცხლში მშვიდად მოისროლა, თვითონ კი უვნებელი დარჩა. მაშინ ამ სასწაულით გაოცებულმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იგი რომელიღაც ღმერთად მიიღეს, ხოლო როცა მოციქულმა კუნძულის მმართველის მამა განკურნა და სხვა სასწაულებიც აღასრულა, მის მიმართ ღრმა პატივისცემით განიმსჭვალნენ. სამი თვის შემდეგ მოგზაურები გემზე ავიდნენ და გზა რომისკენ გააგრძელეს. პირველად ისინი სიცილიაში მივიდნენ, შემდეგ ნეაპოლის მახლობლად პუტეოლში, ხოლო იქიდან რომში გაემართნენ. რომის ქრისტიანები მოციქულის შესახვედრად გამოვიდნენ, რითაც ფრიად გაახარეს. ასისთავმა პავლე მხედართმთავარს გადასცა, რომელმაც მას ერთ მეომართან ერთად

მისთვის განკუთვნილ სახლში მიუჩინა ბინა და უფლება მისცა მოენახულებინა ყველა, ვისი ნახვაც კი უნდოდა. ასე აუსრულდა 61 წელს მოციქულს ნატვრა რომში ჩასვლისა, რომელსაც რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ჯერ კიდევ 58 წელს გამოხატავდა. მართალია, რომში იგი როგორც ტყვე, ისე ჩავიდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ მის ქადაგებას თავისუფლად შეეღწია რომაელთა გულებში და წარმართული რომის სულიერი და ზნეობრივი წყვდიადი სიყვარულით და სასოებით გაენათებინა.

სამი დღის შემდეგ პავლემ იმპერიის დედაქალაქში მცხოვრები ებრაელები მოიხმო; მათ თვითონაც ჰქონდათ სურვილი გაეგოთ ქრისტეს სწავლება, რომლის შესახებაც ყველგან კამათობდნენ. მოციქული დილიდან საღამომდე დაუზარებლად მოუთხრობდა თანამემამულეებს სულის მაცხოვნებელი მოძღვრების არსზე, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ ირწმუნა მაცხოვრისა. ებრაელებს უძნელდებოდათ დაჯერება იმისა, რომ იესო, რომელიც მათ ჯვარზე გააკრეს, ჭეშმარიტად ის მესია იყო, ვისაც ამდენი ხნის მანძილზე ელოდებოდნენ და ვისზეც ასე დიდ იმედს ამყარებდნენ. იუდეველების სიჯიუტე რომ დაინახა, მოციქულმა ძალისხმევა ქრისტიანობაზე მოსაქცევად წარმართებისკენ წარმართა. ორი წელი იცხოვრა პავლემ ამ ქალაქში თავისი წარსაგებელით და ყველას, ვინც კი ამის სურვილს გამოხატავდა, ღმრთის სასუფეველს უქადაგებდა. ასე მთავრდება მახარებელი ლუკას მიერ გადმოცემული პავლეს მოღვაწეობა „მოციქულთა საქმეში“.[24]

საკუთარი რელიგიისადმი გულგრილად განწყობილი რომაელები დაპყრობილი ხალხების რელიგიების მიმართაც გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. რომში ბერძნული და რომაული მითოლოგიის პერსონაჟ ღმერთთა გვერდით მთელი რიგი ეგვიპტური და სირიული წარმოშობის ღმერთთა ქანდაკებებიც იდგა. ეს იყო გამოხატულება რომაელთა პოლიტიკისა, რომლის მიხედვითაც ისინი დაპყრობილი ქვეყნების კულტების ეროვნული ღმერთების რიცხვში ჩარიცხვით მათზე საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებას ცდილობდნენ. მათგან მხოლოდ ერთ ხალხს ეჭირა განზე თავი; დაუფარავად გამოხატავდა რა ზიზღს წარმართები-

[24] საქმე მოციქულთაჲ, თთ. 25–28.

სადმი, იგი თავის ღმრთისმსახურებას ფხიზლად დარაჯობდა, რათა სხვებისაგან გადმოღებული წესებით არ შერყვნილიყო. ესენი იუდეველები იყვნენ, რომლებიც მოსეს სჯულს მკაცრად იცავდნენ, ოღონდ იმდენად არა შინაგანი მოთხოვნილების გამო, რამდენადაც პოლიტიკური მოსაზრებით; დამპყრობელი რომაელების სიძულვილს იუდეველები სჯულის კანონებით ამართლებდნენ, რომელიც მათ წარმართებთან ურთიერთობას უკრძალავდა. ელოდებოდნენ რა მესიას – მაცხოვარს, რომელიც ღმრთის რჩეულ ხალხს არა მხოლოდ რომის იმპერიის სამარცხვინო ტყვეობიდან დაიხსნიდა, არამედ მთელ მსოფლიოზეც გააბატონებდა, ისინი განუწყვეტლად ღელავდნენ და შფოთავდნენ, რის გამოც რომიდან განდევნეს, მაგრამ იმპერატორ კლავდიუსის გარდაცვალების შემდეგ იმპერიის დედაქალაქში ცხოვრების უფლება ისევ მოიპოვეს. მართალია, რომაელები მათ, როგორც მშფოთვარე მოქალაქეებს, ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ სჯულის გამო სრულიადაც არ სდევნიდნენ.

რელიგიური ტოლერანტობის გამო პავლე მოციქულს რომში წარმართები საკმაოდ კარგად ეპყრობოდნენ. ამასთან მას დიდად სცემდა ნუგეშს იმათი სიყვარული, ვინც მოაქცია და ჭეშმარიტების გზაზე დააყენა. ფილიპელებმა და კოლასელებმა თავიანთი ეპისკოპოსები – ეპაფროდიტე და ეპაფრასე გაუგზავნეს. მოციქულმა ეფესელებს, კოლასელებსა და ფილიპელებს რომიდან ეპისტოლეები გაუგზავნა, რომლებშიც ევედრებოდა ისე ეცხოვრათ, როგორც ეს მათ წოდებას – „ნათლის შვილებს“ და ეკლესიის წევრებს შეეფერებოდა, იმ ეკლესიისა, რომელიც ქრისტეს სხეულს წარმოადგენს. პავლემ რომიდან ეპისტოლე ებრაელებსაც მისწერა, რომელშიც მათ ძველი აღთქმის სჯულის შინაარსი ქრისტესთან მიმართებით განუმარტა. ამავე პერიოდში შეიქმნა ასევე ეპისტოლე ფილიმონისადმი, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა: ფილიმონს, ღმრთისმოსავ კაცს, რომელიც კოლასეში ცხოვრობდა, გაექცა მონა ონისიმე, რომელსაც რაღაც დანაშაულში ედებოდა ბრალი და რომში ჩავიდა. აქ მან, ღმრთის წყალობით, მოციქულის ქადაგებებს მოუსმინა და სინანული გაელვიძა. ონისიმე მოინათლა და პავლეს ემსახურებოდა. მოციქულსაც შეუყვარდა იგი და გადაწყვიტა თავისთან დაეტოვებინა, ოღონდ არა ბატონის ნებართვის გარეშე. ამიტომ ონისიმე კოლასეში გაუშვა და თან წერილიც გაატანა,

რომელშიც ფილიმონს ევედრებოდა, შეენდო მონისათვის და როგორც ქრისტესმიერი ძმა ისე მიეღო. ფილიმონიც ასე მოიქცა. მან გაათავისუფლა ონისიმე, რომელიც შემდეგში ეპისკოპოსი გახდა და ქრისტეს სახელისათვის მრავალი ტანჯვაც დაითმინა.

იმის თაობაზე, თუ როგორ გაიმართლა პავლემ თავი იმპერატორი ნერონის წინაშე, არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. განთავისუფლების შემდეგ მოციქულმა რომი დატოვა და კვლავ სახარების საქადაგებლად გაემართა; იგი მივიდა კუნძულ კრეტაზე, სადაც ეპისკოპოსად თავის მოწაფეს, ტიტეს, დაასხა ხელნი. ფიქრობენ, აგრეთვე, რომ მან მოიარა ბრიტანეთი, ესპანეთი და დუნაის სანაპიროები, სადაც სლავური ტომები ცხოვრობდნენ. ამ ხანებში დაიწერა მისი წერილი ტიტესადმი და პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ.

ქრისტიანთა დევნის პირველი პერიოდი

ამასობაში იუდეველებმა იერუსალიმში ქრისტეს მორწმუნეთა დევნა გააძლიერეს, განსაკუთრებით მოციქულები სძულდათ, მაგრამ ისინი იერუსალიმში მხოლოდ მცირე ხნით ჩადიოდნენ, ისიც დღესასწაულებზე, ან კიდევ ერთმანეთის სანახავად და მორწმუნეთა მოსანახულებლად. წმ. ქალაქში მუდმივად მხოლოდ უფლის ძმა, იაკობი, ცხოვრობდა, რომელმაც თავისი პატიოსნებით, მკაცრი, თავშეკავებული ცხოვრებითა და სჯულის კანონების მტკიცე დაცვით მთელი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, მით უმეტეს, რომ ხშირად ხედავდნენ, როგორ ავედრებდა მუხლმოყრილი ტაძარში ღმერთს თავის ხალხს. იაკობს მართალსა და ხალხის მფარველს უწოდებდნენ. ამიტომ მხოლოდ მას ჰქონდა უფლება შესულიყო ტაძრის იმ ნაწილში, რომელშიც თვითონ მღვდელმთავარიც კი წელიწადში ერთხელ შედიოდა. იაკობს ეკუთვნის ეპისტოლე იუდეადან წასული ქრისტიანებისადმი, რომელიც 59 წელს დაიწერა და რომელშიც წმ. მოციქული მორწმუნეებს სთხოვს ქრისტეს რწმენა საქმით დაადასტურონ, რადგან რწმენა თვინიერ საქმეთა მკვდარია. ამასთან, ზეშთაგონებით მან პირველმა შექმნა ღმრთისმსახურების წესი ანუ ლიტურგია, რომელიც მის მოსახსენებელ დღეს იერუსალიმში ახლაც სრულდება.

იმისათვის, რომ ქრისტიანობის სწრაფი გავრცელებისათვის როგორმე ზღვარი დაედოთ, მღვდელმთავრებმა, ფარისევლებმა და მწიგნობრებმა იაკობ მოციქულის გადაბირება, ხოლო თუ არ დათანხმდებოდა, მოკვლა გადაწყვიტეს.

როცა პასექის დღესასწაული დადგა, მწიგნობრები და ფარისევლები მოციქულთან მივიდნენ და სთხოვეს, სახურავზე ასულიყო, რათა მისი დანახვა და მოსმენა ყველას შეძლებოდა და იქიდან დაემოძღვრა ხალხი იმის შესახებ, იყო თუ არა იესო ჭეშმარიტი მესია. იაკობი სახურავზე მართლაც აიყვანეს, მაგრამ როცა ჰკითხეს, რას იტყოდა იესოზე, ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ჯვარცმული უფალი, რომელიც მესამე დღეს აღდგა, ახლა ცათა შინა, მარჯვენით ღმრთისა იჯდა და კვალად მოვიდოდა ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად. მაშინ მორწმუნეებმა, რომლებიც შეკრებილ ხალხში იყვნენ გაფანტულნი, თავიანთი სიხარული ხმამაღალი შეძახილებით გამოხატეს: „დიდება ღმერთს“, „ოსანა დავითის ძეს“. იმით გაცოფებულმა და გაღიზიანებულმა ფარისევლებმა და მწიგნობრებმა, რომ მოციქულს თვითონ შეუწყვეს ხელი ერთხელ კიდევ დაემოწმებინა საჯაროდ ჯვარცმული ღმერთის შესახებ, ყვირილით – „მართალი ცდება“, მაღლა აირბინეს, იაკობს ხელი კრეს და ტაძრის სახურავიდან გადმოაგდეს. მიუხედავად იმისა, რომ იაკობი სასიკვდილოდ დაიმტვრა, მან უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, მუხლებზე წამოდგა, ხელები აღაპყრო და უფალს სთხოვა, შეენდო მათთვის, რადგან არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ. ამ დროს ფარისეველთაგან წაქეზებულმა ხალხმა მას ქვები დაუშინა. მხოლოდ ერთი კაცი აღმოჩნდა, რექაბის ტომიდან,[25] რომელმაც იაკობის დაცვა სცადა. მან ხალხს მოუწოდა, შეეწყვიტა ქვების სროლა მოციქულისათვის, რომელიც მისთვის ლოცულობდა, მა-

[25] რექაბის ტომზე ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ მათმა ერთ-ერთმა მამამთავარმა, იონადაბმა, შთამომავლობას რამდენიმე წესი უანდერძა. მაგ., ღვინის სმაზე, მიწასა და სახლებში დამკვიდრებაზე უარის თქმა. ნაბუქოდონოსორთან ომის დროს წინასწარმეტყველმა იერემიამ რექაბის ტომს ამ წესების დარღვევის შესახებ უფლის ნება ამცნო, მაგრამ ისინი არ დაეთანხმნენ და მამაპაპათა ტრადიციებს გულმოდგინედ იცავდნენ. მაშინ უფალმა, რომელმაც მათი მორჩილება იუდეველების ქედმაღლობას შეადარა, ამ ტომს აღუთქვა, რომ მას ღმრთის სათნო ადამიანი ყოველთვის ეყოლებოდა (იერ. თ. 35).

გრამ ამაოდ; ამ დროს ვიღაც მემაუდემ წმ. იაკობს მაუდის მძიმე გორგალი ჩაარტყა და თავი გაუტეხა.[26] ეს 63 თუ 64 წელს მოხდა.

მართალი იაკობის იუდეველთა მიერ წამებით მოკვლამ თავისი შედეგი მალე გამოიღო. რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი ომი, რომელმაც იუდეველებს მრავალი უბედურება დაატეხა თავს. ზოგიერთი მათგანი გონს მოვიდა და მიხვდა, რომ მათ ეს უბედურებანი წმ. მოციქულის მოკვლის გამო სამართლიანად დაიმსახურეს.

იოსებ ფლავიუსი წერს: „მათ ყოველივე ეს იაკობ მართლის მოკვლის გამო მოუვიდათ, ძმისა იესოსი, ქრისტედ წოდებულისა. იგი იუდეველებმა მოკლეს, თუმცა წმიდა ადამიანი იყო“.

იერუსალიმის ქრისტიანებმა იაკობის ნაცვლად ეპისკოპოსად სიმეონი, კლეოპას შვილი, უფლის ნათესავი აირჩიეს. ამავე ხანებში იერუსალიმში მოკლეს წმ. მოციქული მათეც, რომელმაც ქრისტეს მოძღვრება იუდეაში, მცირე აზიაში და ისეთ შორეულ ქვეყანაშიც კი იქადაგა, როგორიც ეთიოპია იყო. მღვდელმთავარმა ანანიამ იგი ღმრთის გმობაში დაადანაშაულა. მოციქული ქალაქგარეთ გაიყვანეს და ქვებით ჩაქოლეს.

რომის იმპერიის არსებობის პირველ ხანებში რომაელი ხალხი, რომელმაც ეს იმპერია შექმნა, სიმამაცით, ზნის უბრალოებითა და სამშობლოს მხურვალე სიყვარულით გამოირჩეოდა. ძველი რომაელისათვის, რომელიც პირადზე მაღლა საერთო საქმეს აყენებდა, მამული, მისი დიდება და პატივი, საკუთარ სიცოცხლეზე უფრო ძვირად ფასობდა; მაგრამ ქრისტიანობის წარმოშობის წლებში საზოგადოებრივი ყოფის უკვე სხვა, სრულიად საპირისპირო სურათს ვხედავთ. გაუთავებელ დაპყრობით ომებში მოპოვებულმა გამარჯვებებმა ერში ამპარტავნობა აღაზევა, ხოლო დამარცხებული ქვეყნების გაძარცვის გზით შექმნილმა სიმდიდრემ, რომაელთა ზნეობრივი იდეალები მიწიერი, მატერიალური იდეალებით შეცვალა. უაზრო ფუფუნებაში ნებივრობამ წინაპრების სიმამაცე და ამტანობა წარსულის კუთვნილებად აქცია. ზრუნავდნენ რა არა სახელმწიფოს, არამედ საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებაზე, რომის ხელისუფალნი

[26] **Евсевий Памфил, Церковная история,** II, 23. ევსევი თავის მხრივ იმოწმებს ქრისტიან ებრაელ ავტორს ეგეზიპეს (II ს.) და კლიმენტი ალექსანდრიელს.

ხალხის კეთილგანწყობილების მოპოვებას ბრწყინვალე სანახაობებისა და უფასოდ დარიგებული პურით ცდილობდნენ. ამ სანახაობებით ისინი ადამიანის არსებაში ყველაზე ბნელსა და წვრილმან ვნებებს აღვიძებდნენ და აქეზებდნენ, რათა ზნეობრივად დაცემულსა და გარყვნილ ქვეშევრდომებზე შეუზღუდავი მმართველობა ჰქონოდათ.

მართალია, ბერძენთა მსგავსად, რომაელებსაც თავიანთი მითებისა და მათი პერსონაჟი ღმერთებისა ნაკლებად სჯეროდათ, მაგრამ სამაგიეროდ, როგორც ეს საერთოდ ურწმუნოებს, ან მცირედმორწმუნეებს ახასიათებთ, საშინელი ცრუმორწმუნეობით იყვნენ შეპყრობილნი; მათი, როგორც საზოგადოებრივი, ასევე კერძო ყოფა სავსე იყო ადათებითა და რიტუალებით, რომლითაც მტრული ძალების მოგერიებას, ან მათი გულის მოგებას ცდილობდნენ; წყევლა აშინებდათ, მომავალს ფრინველებისა და მსხვერპლის შიგნეულზე მკითხაობდნენ, არჩევდნენ კეთილსა და ბოროტ დღეებს, ხოლო ბოლოს ყოველივე ამას აღმოსავლეთიდან შემოჭრილი მოგვების ხელოვნება – ვარსკვლავთმრიცხველობაც დაემატა.

ტრადიციად იქცა იმპერატორისათვის ღმერთთათვის შესაფერისი პატივის მიგება და თაყვანისცემა. იმპერატორები – ტიბერიუსი და კალიგულა, რომელნიც საშინელი ბოროტმოქმედნი იყვნენ, ღმერთების რიცხვში ჩარიცხეს, მათ პატივსაცემად საკურთხევლები ააგეს, სადაც მათ, ვითარცა კერპებს, მსხვერპლს სწირავდნენ და გუნდრუკს უკმევდნენ. წარმართული რელიგიის ორგანიზაცია ცრუმორწმუნეობრივი შიშის, ჩვეებისა და სამოქალაქო დადგენილებათა წყალობით, შერყეული რწმენის საპირისპიროდ, საკმაოდ მტკიცე იყო, თვით ფილოსოფოსებიცა და განსწავლული მწერლებიც კი, რომელნიც თავიანთ თხზულებებში ღმერთებს დასცინოდნენ, დადგენილ ადათებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმას ვერ ბედავდნენ.

მდიდარი რომაელების ცხოვრება სრულ უქნარობაში, გაუთავებელ ნადიმებსა და გარყვნილობაში მიდიოდა, რის გამოც სულისა და გონების ყველა ცხოველი ძალა, გაზულუქებული სხეულისაგან განსხვავებით, ჩამკვდარი იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ყოველივე ამაღლებულისა და მშვენიერებისადმი გულგრილ რომაელებს, რომელთაც ხელოვნების დიდებული ქმნილებანი უკვე აღარ ხიბლავდათ, მხ-

ოლოდ ადამიანთა ტანჯვის გამომხატველი სანახაობანი იზიდავდათ; მათი ცოდვებით დამძიმებული სულის გამოცოცხლება მხოლოდ ენითუთქმელ სისასტიკესა და დაუნდობლობასღა შეეძლო.

მდიდართა კლასს არც საშუალო და დაბალი ფენა ჩამორჩებოდა, ცრუმორწმუნე და გაუნათლებელი ხალხი, რომელშიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ცხოველური ინსტინქტების გაღვიძებას ხელისუფლებაც გულმოდგინედ ხელს უწყობდა, თაყვანს მხოლოდ ძალასა და სიმდიდრეს სცემდა. მისი გულისმოსაგებად იმპერატორები ველურ მხეცებს აფრიკის შორეული ქვეყნებიდან იწერდნენ, არც სამსხვერპლო ადამიანები აკლდათ, თავდაპირველად სამხედრო ტყვეებისა და სიკვდილმისჯილების, ხოლო შემდეგ ქრისტიანთა სახით. ამგვარ გასართობ თამაშობებს (ასე ეწოდებოდა იმპერიის დიდი ქალაქების ცირკის არენაზე გამართულ მხეცთა და ადამიანთა ბრძოლის საზარელ სანახაობებს), მრავალი ქრისტიანის სიცოცხლე შეეწირა.

და აი, საზოგადოების ყველა ფენაში გამეფებული სულიერ სიბნელეში მოულოდნელად ღმრთეებრივი ნათელის სხივები შეიჭრა. ამ უქნარა, გარყვნილსა და თავკერძა საზოგადოებაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელნიც მოყვასის სიყვარულზე, შეურაცხყოფის მიტევებაზე, გულმოწყალებაზე, თავმდაბლობასა და მორჩილებაზე, მახლობლისათვის თავგანწირვასა და მტრებისათვის ლოცვაზე ალაპარაკდნენ. როგორი სიხარული უნდა გამოეწვია სამართლიანობას მოწყურებულთა გულებში იმის შეტყობას, რომ ისინი სრულიადაც არ იყვნენ დავიწყებულნი და უპატრონონი, რადგან მათზე თვით ყოვლისშემძლე და ყოვლად სახიერი ზეციერი მამა ზრუნავდა.

სანამ რომის იმპერია ქრისტიანობას, როგორც იუდაიზმის ერთ პატარა სექტას, ისე უყურებდა, ამასობაში იგი სწრაფად ვრცელდებოდა და მის მიმდევართა რიცხვიც უჩვეულოდ იზრდებოდა. ვიდრე მომძლავრდებოდნენ და განსაკუთრებულ სიმტკიცეს შეიძენდნენ, უფალმა ქრისტიანები დაიფარა. იმ დროს, როცა მდიდრული და გარეგნულად ბრწყინვალე წარმართული რომი დაღუპვის პირას იდგა, მიწისქვეშა კატაკომბებში, სადაც პირველი ქრისტიანები უცხო თვალისაგან მოფარებულად ლოცულობდნენ,

ახალი ცხოვრება იბადებოდა. როცა იმპერიამ ბოლოს და ბოლოს ახალ რელიგიას ყურადღება მიაქცია, ქრისტეს სიყვარულს მის მიმდევართა გულებში ფესვები უკვე ღრმად და მტკიცედ ჰქონდა გადგმული.

რატომ გამოდგა ასეთი სასტიკი დევნა, რომელიც რომმა ქრისტიანებს გაუმართა, მაშინ, როცა რომაელები სხვა ხალხთა რელიგიებს გულგრილად და ერთგვარი შემწყნარებლობითაც კი უყურებდნენ? – ამის მიზეზი რამდენიმეა. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ ქრისტიანთა სათნოებანი წარმართული საზოგადოებისათვის მუდმივ საყვედურს წარმოადგენდა. არც საკუთარი და არც სხვისი რელიგიები, რომელთაც კი ისინი იცნობდნენ, ისე ცხოვრებას, როგორადაც ცხოვრობდნენ, არ უშლიდნენ, მაშინ, როცა ქრისტიანობა ზნეობრივი თვალსაზრისით ცხოვრების წესის ძირფესვიან გარდაქმნას მოითხოვდა. მხოლოდ იმიტომ, რომ ზნეობრიობა ცხოველური ინსტიქტებისა და მისწრაფებების ალაგმვას გულისხმობს, მის მქადაგებლებს რომაელები კაცობრიობის სიძულვილს აბრალებდნენ. შემდეგ: ის, რომ ახალი რელიგიის მიმდევრები თავიანთ ღმერთს მსხვერპლს არ სწირავდნენ, წარმართებს ურწმუნოებად მიაჩნდათ და ამდენად მათ უღმერთოებს უწოდებდნენ. ამასთან, რადგან ქრისტიანები ცოცხალი ადამიანების – იმპერატორების გაკერპებასა და მათ პატივსაცემად დადგენილი ადათების შესრულებაზე უარს ამბობდნენ, ხელისუფლება მათ დაუმორჩილებელ მოქალაქეებად თვლიდა; და ბოლოს, ყოველივე ამას ემატებოდა სპეციალურად შეთხზული და ოსტატურად გავრცელებული ცილისწამებანი იმის თაობაზე, რომ თითქოს ქრისტიანები თავიანთ შეკრებებზე საზარელ დანაშაულს სჩადიოდნენ – ჩვილებს კლავდნენ და მათ ხორცს ჭამდნენ. ყველაზე ძნელად შესაგუებელი ის იყო, რომ სასტიკი და გარყვნილი წარმართული საზოგადოება ქრისტიანობას სწორედ იმაში ადანაშაულებდა, რაც თვითონ მას ახასიათებდა. წარმართი სწავლულები დასცინოდნენ გალილეველთა (ასე უწოდებდნენ ქრისტიანებს) სიგიჟეს, რომელნიც ჯვარცმულ ღმერთს სცემდნენ თაყვანს და მკვდართა აღდგომას ელოდებოდნენ. ამგვარ ცილისწამებებს, დაცინვასა და დევნას ქრისტიანები მომავალი ცხოვრების

რწმენით მშვიდად ითმენდნენ და, როგორც ეს უფალმა გვიანდერძა, მტრებისათვის ლოცულობდნენ.

64 წელს რომში ხანძარი გაჩნდა, რომელმაც ქალაქის დიდი ნაწილი გაანადგურა. მეცნიერებაში გამოთქმული ვარაუდი, თითქოს მსოფლიოს დედაქალაქს ცეცხლი თვითონ იმპერატორმა ნერონმა წაუკიდა, რათა შემდეგში გადამწვარის ნაცვლად ახალი, უფრო დიდებული ქალაქი აეშენებინა, ღიმილის მომგვრელი თუ არა, დაუჯერებელი მაინცაა. მართალია, მოგვითხრობენ, რომ ნერონი ხანძარს მაღალი კოშკიდან უყურებდა, ამ სანახაობით ტკბებოდა და თან ცეცხლწაკიდებული ტროის შესახებ ლექსებს მღეროდა, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ეს იმის საბუთად, რომ ხანძრის გამჩენი თვითონ იყო, მაინც არ გამოდგება. უფრო სწორია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ხანძარი სპეციალურად ქრისტიანების მტრებმა გააჩინეს, რათა იგი მათთვის დაებრალებინათ და ამ გზით ხელისუფლებისათვის ქრისტეს მიმდევართა დაუნდობელი დევნის მიზეზი მიეცათ.

ნერონმა ხანძრის გაჩენაში მართლაც ქრისტიანები დაადანაშაულა, რის გამოც იმპერიის ყველა ოლქში მათი სასტიკი დევნა დაიწყო, რომელიც იმპერატორის სიკვდილამდე, მთელი ოთხი წლის მანძილზე, გაგრძელდა. ეს დევნა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში პირველი დევნის სახელწოდებითაა ცნობილი. წამების ხერხები თვით წარმართული რომისთვისაც კი უჩვეულო იყო. ქრისტიანებს მხეცების ტყავებში ახვევდნენ, კერავდნენ და ძაღლებს უგდებდნენ, ჯვარზე აკრავდნენ, სხეულზე ფისს უსვამდნენ, ბოძებზე აკრავდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. ცოცხალი ჩირაღდნები ნელა იწვოდნენ და ნერონის ბაღებს მთელი ღამის განმავლობაში ანათებდნენ. ქრისტიანების ტანჯვით თვით სასტიკ სანახაობებს მიჩვეული წარმართებიც კი შეძრწუნებულნი იყვნენ. ისტორიკოსი ტაციტუსი წერს, რომ ქრისტიანები „დაისაჯნენ არა იმდენად ხანძრისათვის, რამდენადაც კაცობრიობის სიძულვილისათვის(!). ისინი საშინელი წამებით მოკვდნენ, წამებას ლანძღვა და დაცინვაც ემატებოდა. ზოგიერთი ჯვარზე გააკრეს, სხვები მხეცების ტყავებში ამოკერეს და დასაგლეჯად ძაღლებს მიუგდეს; ნაწილსაც სხეული გაუფისეს და ლამპართა ნაცვლად ანათებდნენ ღამის სიბნელეს. ამ საშინელი სანახაობის ადგილი ნერონის ბაღები იყო... ქრისტიანთა დანაშაუ-

ლობანი, რა თქმა უნდა, სამაგალითოდ დასჯას იმსახურებდა, მაგრამ საერთო სიძულვილი სიბრალულმა შეცვალა, რადგან ეს საცოდავები არა იმდენად საერთო სარგებლობისათვის, რამდენადაც ნერონის სისასტიკის დასაკმაყოფილებლად დაისაჯნენ“.

ქრისტიანთა ამ სასტიკი და დაუნდობელი დევნის დროს მოციქულები პეტრე და პავლე რომში ჩავიდნენ და სახარებას უშიშრად ქადაგებდნენ. ჭეშმარიტი სიტყვის ძალამ თვით იმპერატორის სასახლეშიც შეაღწია, – პავლე მოციქულმა ნერონის ერთ-ერთი საყვარელი ცოლი ქრისტიანობაზე მოაქცია. როგორც გადმოგვცემენ, ამ დროს რომში ცნობილი თვალთმაქცი სიმონ მოგვიც იმყოფებოდა, რომელიც პეტრე მოციქულმა ჯერ კიდევ სამარიაში ქადაგებისას ამხილა. მას ქრისტიანები, რამდენადაც მათში საკუთარი თვისებების საპირისპიროს ხედავდა, ჭირის დღესავით სძულდა. სატანური ამპარტავნებით შეპყრობილი სიმონი თავს ხან ღმერთად, ხან კიდევ სამყაროს შემქმნელ ღმრთეებრივ ძალად აცხადებდა; ცრუ სასწაულებით მან მრავალი რომაელი აცდუნა, რომელნიც მას, ვითარცა ღმერთს, თაყვანს სცემდნენ.[27] რაც მთავარია, იმპერატორ ნერონზეც დიდი ზეგავლენა მოიპოვა. ცხადია, ამ ზეგავლენამ მცირე როლი როდი ითამაშა იმაში, რომ იმპერატორი ქრისტიანების მიმართ გააფთრებული სიძულვილით განიმსჭვალა. ძველი მწერლები ბევრს მოგვითხრობენ პეტრე მოციქულთან მის პაექრობაზე. სიმონი ამტკიცებდა, რომ ღმერთი, რომელიც სამყაროს სიბნელიდან დასახსნელად ზეციდან ჩამოვიდა, თვითონ იყო. თავის ყოვლისშემძლეობაში რომაელების დასარწმუნებლად მან განაცხადა, რომ ყველას თვალწინ ზეცაში ამაღლდებოდა. დანიშნულ დღეს ამ „სასწაულის“ სანახავად უამრავი ხალხი შეიკრიბა – მოციქულებიც იქ იყვნენ. ისინი მხურვალედ ლოცულობდნენ და უფალს წარმართების ცდომილებისაგან დახსნასა და მტრული და უწმინდური ძალის, რომელიც სიმონს ეხმარებოდა, დამხობას ევედრებოდნენ.

მოგვი რაღაც დონემდე მართლაც ამაღლდა, მაგრამ შემდეგ ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. ქედმაღალმა სიმონმა საჯაროდ შერცხვენა იუკადრისა და თავი მოიკლა. ცრუმორწმუნე წარმართებმა

[27] **Св. Иустин философ, Апология, I, 26. М., 1863; Евсевий Памфил, Церковная история, II, 13.**

მისი მარცხი მოციქულების იქ ყოფნას მიაწერეს და ქრისტიანთა დევნა კიდევ უფრო გააძლიერეს.

სიმონ მოგვის სიკვდილით გაღიზიანებულმა ნერონმა მოციქულების შეპყრობა ბრძანა, რათა ისინი სიკვდილით დაესაჯა. მოგვითხრობენ, რომ, როცა ქრისტიანების თხოვნითა და შეგონებით პეტრე მოციქული ქალაქიდან გადიოდა, მან რომისკენ მომავალი უფალი დაინახა და გაოცებულმა ჰკითხა: „უფალო, საით მიდიხარ?“ მაცხოვარმა უპასუხა, რომ რომში მიდიოდა, რათა ჯვარზე ხელმეორედ გაკრულიყო. ამ გამოცხადებამ პეტრე მიახვედრა, რომ ქალაქში უნდა დაბრუნებულიყო, რათა მოწამეობრივი სიკვდილით ქრისტე განედიდებინა. მართლაც უკან დაბრუნებული მოციქული შეიპყრეს და ისევე, როგორც პავლე მოციქული, მამერტინის საპყრობილეში ჩასვეს, სადაც მათ ათი თვე დაჰყვეს. ამ ხნის განმავლობაში მოციქულებმა საპყრობილის მცველები მოაქციეს და მრავალი სასწაული აღასრულეს. პეტრე მოციქულს ჯერ ცოლი დაუსაჯეს; მან მეუღლეს, რომელიც დასასჯელად მიჰყავდათ, გზა შემდეგი სიტყვებით დაულოცა: „გახსოვდეს უფალი!“[28] თვითონ მოციქული ჯვარზე გააკრეს, ოღონდ მისივე თხოვნით – თავდაყირა, რადგან, როგორც თვითონვე განმარტა, თავს ჯვარზე იმგვარად გაკვრის ღირსად, როგორც უფალი გაეკრა, არ თვლიდა; პავლე მოციქულს კი თავი მოჰკვეთეს, რადგან მისი, როგორც რომაელი მოქალაქის ჯვარზე გაკვრა არ შეიძლებოდა. ეკლესიის ისტორიის მკვლევართაგან ნაწილს მიაჩნია, რომ ისინი ერთ დღეს აღესრულნენ, ხოლო ნაწილი თვლის, რომ პავლე მოციქული პეტრეს დასჯიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ აღესრულა. ვარაუდობენ, რომ ქრისტიანებმა მათი გვამები რომის კატაკომბებში დამარხეს.

მართალია, იერუსალიმის კრების შემდეგ, პეტრე მოციქულის შესახებ „საქმეში“ არაფერია მოთხრობილი, მაგრამ წმ. გადმოცემებიდან ვიცით, რომ იგი აზიაში გაფანტულ ებრაელთა შორის ქადაგებდა და რამდენიმე წლის განმავლობაში ანტიოქიის ეკლესიას განაგებდა. პეტრე მოციქულმა ორი ეპისტოლე დაგვიტოვა, რომელთაგან ერთი მის მოწამეობრივ აღსასრულამდე ცოტა ხნით ადრე დაიწერა.

---

[28] კლიმენტი ალექსანდრიელი, სტრომატები, ნ. მე-7; **Евсевий Памфил, Церковная история**, III, 30.

პეტრესა და პავლეს ეკლესიის მიერ თავნი მოციქულნი ეწოდათ, რადგან ისინი ქრისტეს ეკლესიისათვის ყველაზე მეტად დაშვრნენ. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ პეტრე რომის ეპისკოპოსიც იყო, მაგრამ სარწმუნო ცნობები ამის თაობაზე არ მოგვეპოვება. პეტრე მოციქული უფრო იუდეველებთან ქადაგებდა, პავლე მოციქული კი წარმართებთან, რის გამოც მას წარმართების მოციქულსაც უწოდებენ.

წმიდა ეკლესია თავთა მოციქულთა – პეტრესა და პავლეს, 29 ივნისს, ახალი სტილით 12 ივლისს იხსენიებს.

ღვაწლი დანარჩენ მოციქულთა

უძველესი გადმოცემა გვაუწყებს, რომ სულიწმიდის გარდამოსვლის შემდგომ, რამდენიმე წლის განმავლობაში, მოციქულები იერუსალიმში ცხოვრობდნენ და საქადაგებლად მხოლოდ ახლო-მახლო ადგილებში გადიოდნენ; სხვა ქვეყნებში კი ისინი მაშინ წავიდნენ, როცა სახარების სიტყვა მთელ იუდეაში გაისმა. წასვლის წინ მაცხოვრის მოწაფენი ერთად შეიკრიბნენ, ჯერ ილოცეს და შემდეგ წილი ყარეს, ვის სად ექადაგა. ზოგიერთი ძველი ავტორი იმასაც გვამცნობს, რომ ერთმანეთთან განშორების წინ, ღმრთეებრივი ზეშთაგონებით, მრწამსის მოკლე სიმბოლო შეადგინეს, რომელიც საქადაგებელი მოძღვრების ძირითად არსს რამდენიმე სიტყვით გადმოსცემდა. ეს სიმბოლო, რომელიც ეკლესიის ისტორიაში მოციქულთა სიმბოლოს სახელწოდებითაა ცნობილი, 12 წევრისაგან შედგება: 1. მრწამს მამა ღმერთი ყოვლადძლიერი, 2. შემოქმედი ცისა და ქვეყანისა; 3. მრწამს იესო ქრისტე, მხოლოდშობილი ძე მისი, უფალი ჩვენი; 4. რომელიც სული წმიდისაგან ჩაისახა და ქალწული მარიამისაგან იშვა; 5. პილატე პონტოელის დროს ევნო და ჯვარს ეცვა, მოკვდა და დაიფლა; 6. ჯოჯოხეთში ჩავიდა და მესამე დღეს მკვდრეთით აღდგა; 7. ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვენით ყოვლისშემძლე მამა ღმერთისა; 8. მრწამს სული წმიდა; 9. საყოველთაო წმიდა ეკლესია; 10. კავშირი წმინდანთა; 11. აღდგომა ხორცისა; 12. მარადიული ცხოვრება.

როცა უფალმა მოციქულებს სახარების ქადაგება უბრძანა,

არ დაუმალავს, რომ მისი სახელისათვის დევნა და სიძულვილი ელოდებოდათ, მაგრამ ამავე დროს თავის ეკლესიასთან მუდმივად ყოფნა და ნუგეშინისმცემელი სულიწმიდის გარდამოვლენაც აღუთქვა, რომელიც მორწმუნეებს სიმტკიცესა და მხნეობას მიანიჭებდა. ღმრთისა და მოყვასის სიყვარულით შთაგონებულმა მოციქულებმა თავიანთი ვალი აღასრულეს და მიუხედავად მრავალი დამცირებისა, შეურაცხყოფისა და დევნისა, სახარების სიტყვა მთელ ქვეყანას მოჰფინეს. იერუსალიმში ისინი მხოლოდ დროდადრო ბრუნდებოდნენ, რათა ერთმანეთი ენახათ და ერთმანეთისთვის საკუთარ მოღვაწეობათა შედეგები ეცნობებინათ, რის შემდეგაც კვლავ თავთავიანთ საქმეს უბრუნდებოდნენ.

წმ. ანდრია პირველწოდებულმა, ქრისტეს მოძღვრება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიაში, შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში, საქართველოში და სკვითიაში (დღევანდელი რუსეთი) იქადაგა, რომელსაც იმის გამო, რომ მისი მცხოვრებნი, უხეშობითა და სისასტიკით გამოირჩეოდნენ, თვით ყველაზე გაბედული მოგზაურებიც კი ერიდებოდნენ. ძველი მატიანენი გვაუწყებენ, რომ ანდრია პირველწოდებულმა ჭეშმარიტი სარწმუნოება ტავრიის ხერსონესში (დღევანდელი ყირიმის ნახევარკუნძული) იქადაგა, აქედან დნეპრს აუყვა და იმ ადგილამდე მიაღწია, სადაც დღეს კიევია. გადმოცემის მიხედვით, იქ მას მთაზე ჯვარი აღუმართავს და თავისი თანამგზავრებისთვის უთქვამს, რომ ამ ადგილას გაბრწყინდებოდა მადლი ღმრთისა, წმიდა ტაძრები აღიმართებოდა და ნათელი ჭეშმარიტი მთელ ქვეყანას მოეფინებოდა. მოციქულს ნოვგოროდამდეც მიუღწევია. როგორც ჩანს, მიუხედავად ველური თვისებებისა, სკვითები მას არ სდევნიდნენ, მაგრამ ამავე დროს არც ის ვიცით, ახალი სარწმუნოება მათგან ბევრმა ირწმუნა თუ ცოტამ. სამაგიეროდ, წმ. ანდრიას დიდი ტანჯვა მიაყენეს ქალაქ სინოპის მცხოვრებლებმა, რომელიც შავი ზღვის მახლობლად მდებარეობდა. აქედან მოციქული ბიზანტიონში გადავიდა, სადაც ეკლესია დააარსა და ეპისკოპოსად სტაქე დააყენა, რომელსაც პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში იხსენიებს. ამის შემდეგ, იგი საბერძნეთის ქალაქ პატრაში ჩავიდა, სადაც ქრისტეს პირველწოდებული მოწაფე მოწამეობრივი აღსასრულის ღირსი გახდა. წმ.

ანდრიამ პატრაში მრავალი მოაქცია, რომელთა შორის ამ მხარის მმართველის ძმა და მისი ცოლიც იყვნენ. ეს რომ შეიტყო, განრისხებულმა მმართველმა მისი საპყრობილეში ჩაგდება ბრძანა, მაგრამ ღმრთეებრივი სიტყვის მოსმენას მოწყურებული ადამიანები მოციქულს საპყრობილეშიც აკითხავდნენ! ასე რომ, ქრისტიანთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა. მაშინ შეფიქრიანებულმა მმართველმა წმიდა ანდრია თავისთან იხმო და ყოველი ღონე იხმარა, რათა მას ქრისტე უარეყო. როგორ შეიძლება რწმენა ადამიანისა, რომელიც ვითარცა ბოროტმოქმედი ჯვარს აცვეს? – გაოცებით კითხულობდა იგი. მოციქული უხსნიდა, რომ უფალი ჯვარზე არა უძლურების გამო, არამედ თავისი ნებით, ადამის მოდგმის სიყვარულისა და მისი ეშმაკის ტყვეობისაგან დახსნისათვის ეწამა! მაგრამ მმართველისათვის სიყვარულის გამო გაღებული მსხვერპლი გაუგებარი აღმოჩნდა და წმ. ანდრიას ჯვარზე გაკვრა მიუსაჯა. იგი ვერ მიხვდა, რომ წამების ეს სამარცხვინო იარაღი, მას შემდეგ, რაც მასზე ქრისტე აღესრულა, უკვე კურთხეული იყო. განაჩენი რომ მოისმინა, მოციქულმა ჯვრის სადიდებელი წარმოთქვა: „ო, ჯვარო, უკვე კარგა ხანია საყვარელო! ადამიანებისაგან წამიყვანე და ჩემი თავი ჩემს მასწავლებელს გადაეცი. დაე, მან, ვინც შენით მიხსნა, შენითვე მიმიღოს“.

წამება რომ გაეხანგრძლივებინა, მმართველმა წმ. ანდრიას ჯვარზე არა მილურსმნვა, არამედ მიკვრა ბრძანა. ხალხი ღელავდა, რადგან წმინდა ცხოვრებისა და მაცხოვნებელი მოძღვრების ქადაგებისთვის მოციქულის შეყვარება უკვე მოესწრო. ბევრი მათგანი ყვიროდა: „რისთვის იტანჯება ეს წმინდა კაცი, მეგობარი უფლისა?“ ჯვარზე გაკრული წმიდა ანდრია კი ისევ ხალხს მოძღვრავდა და ერთმანეთის სიყვარულს, პატიებასა და შენდობას უქადაგებდა. „სიკვდილის არ ეშინია მათ, რომელნიც სიმართლისათვის კვდებიან, რადგან მისი მეშვეობით სასუფევლის ნეტარებას დაიმკვიდრებენ. სიკვდილი მხოლოდ იმათთვისაა საშიში, რომელნიც ამ ცხოვრებაში ცოდვის ტყვეობაში იმყოფებიან, რადგან მარადიული სასჯელი ელით. ძმებო, არ დაივიწყოთ, რასაც გასწავლიდით, გიყვარდეთ ჭეშმარიტი რწმენა და უფალი იესო ქრისტეს მცნებანი დაიცავით“, – მიმართავდა იგი ჯვრიდან მორწმუნეებს.

წმ. ანდრია ორი დღე-ღამის განმავლობაში ეკიდა ჯვარზე და თავისი ღმრთეებრივი მასწავლებლის მსგავსად, მხოლოდ სიყვარულისა და შენდობის გამომხატველ სიტყვებს წარმოთქვამდა. მესამე დღეს აღშფოთებულმა ხალხმა მისი ჩამოხსნა მოითხოვა. ხალხის მღელვარებით შეშინებული მმართველი თვითონ მივიდა ჯვართან და ჯარისკაცებს მოციქულის ჩამოხსნა უბრძანა, მაგრამ წმ. ანდრია ცოცხალი აღარ იყო, მან ლოცვით მიაბარა სული უფალს.

ანდრია პირველწოდებული დაახლოებით 70 წელს აღესრულა. წმ. მოციქულს, რომლის წმ. ნაწილებიც იტალიაში, ქალაქ ამალთეაში ბრძანდება, ეკლესია 30 ნოემბერს (ძვ. სტილით) იხსენიებს.

წმ. მოციქულმა ფილიპემ (იგი დიაკვან ფილიპესთან არ უნდა გავაიგივოთ, რომელმაც იესოს მოძღვრება ეთიოპიელებს გააცნო) სახარება ჯერ გალილეაში, ხოლო შემდეგ საბერძნეთში იქადაგა, სადაც მრავალი სასწაული აღასრულა და მრავალი წარმართიც მოაქცია. საბერძნეთში მცხოვრები ებრაელები მოსაკლავად დაედევნენ, მაგრამ უფალი შეეწია: მის წინააღმდეგ ამხედრებული ებრაელები უცბად დაბრმავდნენ და მხედველობა მხოლოდ მოციქულის ლოცვის შედეგად დაუბრუნდათ. საბერძნეთის დატოვების შემდეგ ფილიპემ ქადაგებით შორეული ქვეყნები – არაბეთი, ეთიოპია და პართია მოიარა. ბოლოს იგი დასთან, ქალწულ მარიამნასთან ერთად მცირე აზიას ეწვია, სადაც მოციქულებს – იოვანე ღმრთისმეტყველსა და ბართლომეს შეხვდა. წმიდა მოციქულები – ფილიპე და ბართლომე ფრიგიის ქალაქ იერაპოლისში ჩავიდნენ, მრავალი წარმართი მოაქციეს და კერპთმსახურ ქურუმთა რისხვა დაიმსახურეს. ქურუმები იმან გააცოფა, რომ ახალი რელიგიური მოძღვრების გავრცელებამ მოსახლეობაზე მათი გავლენა საგრძნობლად შეასუსტა და შესაბამისად შემოსავლის წყაროც შეუმცირა. მათ ფილიპეს, ბართლომესა და მარიამნას ქალაქის მმართველთან უჩივლეს და ბრალად დასდეს, რომ ცრუ სასწაულებითა და მავნე იგავებით ხალხს ატყუებდნენ; მოციქულები კერპის ბომონის მახლობლად ჯვარზე გააკრეს, ამასთან, ფილიპე – თავდაყირა. უცბად საშინელი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შეშინებულმა მოქალაქეებმა ჩათვალეს, რომ ეს სტიქიური უბედურება მართალთა დასჯით განრისხე-

ბულმა ღმერთებმა დაატეხეს თავს და წამებულთა ჯვრებიდან ჩამოხსნა მოითხოვეს. ფილიპე, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უფალს თავის მტანჯველებს ავედრებდა, უკვე მკვდარი იყო. ბართლომემ წმ. მოციქულის ნეშტი (მოსახსენებელი 14 ნოემბერი) იერაპოლისის მიწას მიაბარა[29] და თვითონ მოგზაურობა გააგრძელა. მან ინდოეთამდე მიაღწია, სადაც კარგა ხნის შემდეგ მის მიერ დატოვებული სახარება აღმოაჩინეს. წმ. ბართლომემ სომხეთში მეფის ასული განკურნა, რის საფასურადაც ხელმწიფემ დიდძალი საჩუქარი გაუგზავნა, მაგრამ მოციქულმა არ მიიღო და შეუთვალა, რომ მას არა საჩუქრები, არამედ ადამიანთა სულები სჭირდებოდა, რათა ისინი ქრისტესათვის შეეძინა.

წმ. მოციქულმა თომამ სახარება ინდოეთში, სპარსეთში, მიდიასა და პართიაში იქადაგა. მან მრავალი დევნა, შეურაცხყოფა და ტანჯვა გადაიტანა და ბოლოს ინდოეთში მოწამეობრივად აღესრულა. წმინდა მოციქულის თავის ქალა, – ეს ერთ-ერთი უდიდესი სიწმიდე ეკლესიისა, თბილისის სიონის ტაძარშია დაცული და მას მორწმუნენი თაყვანს სცემენ. მოციქულ თომას ეკლესია 6 ოქტომბერს იხსენიებს.

წმ. მოციქულმა მათემ პირველმა დაწერა სახარება ებრაულ ენაზე. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს ქრისტეს ამაღლებიდან მერვე წელს, ხოლო სხვათა შეხედულებით, შედარებით უფრო გვიან უნდა მომხდარიყო. მათეს სახარება მაშინვე ითარგმნა ბერძნულ ენაზე. ფიქრობენ, რომ იგი ან თვითონ მათეს, ან იოანე ღმრთისმეტყველს, ან იერუსალიმის ეპისკოპოს იაკობს უნდა ეთარგმნა.

წმ. იაკობ ალფესი, მას შემდეგ, რაც მან სახარება იუდეაში, სირიასა და მესოპოტამიაში იქადაგა, ეგვიპტეში გადავიდა, სადაც მოწამეობრივად აღესრულა ჯვარზე.

წმ. იუდა იაკობისა ჭეშმარიტების სიტყვას იუდეაში, სამარიასა და იდუმეაში ქადაგებდა. მოციქულებთან, პავლესა და შილასთან ერთად მან რამდენიმე ხანი ანტიოქიაში დაყო, ხოლო შემდეგ სპარსეთსა და არმენიას მიაშურა, სადაც, როგორც ეკლესიის ისტორიკოსები ფიქრობენ, 80 წლის მახლობელ ხანებში ჯვარზე გააკრეს და ისრებით დაცხრილეს. მოციქულმა იუდამ მოკლე საყოველთაო ეპისტოლე დაგვიტოვა, რომელიც დაახლოებით 67 წელს უნდა

დაეწერა. წმ. ეკლესია მას 19 ივნისს იხსენიებს.

წმ. სვიმეონ მოშურნემ ქრისტეს მოძღვრება მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და მავრიტანიაში იქადაგა. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მან არისტობულესთან ერთად, რომელიც მაცხოვრის სამოცდაათ მოწაფეთაგან ერთ-ერთი იყო, ბრიტანეთშიც იმოგზაურა, სადაც 10 მაისს მოწამეობრივად აღესრულა. თუმცა ჩვენთვის ცნობილია, რომ სვიმეონ კანანელი საქართველოში აღესრულა და აქვეა დასაფლავებული.

იესო ქრისტეს საყვარელმა მოწაფემ, იოანე ღმრთისმეტყველმა თორმეტ მოციქულთა შორის ყველაზე დიდხანს იცოცხლა, მაგრამ რამდენადაც მასზე ცალკე გვექნება საუბარი, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.



იუდეას ომი და იერუსალიმის დაცემა

მოიწია ჟამმა, როცა იუდეველები, რომელთაც ჭეშმარიტება და კაცობრიობის ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობიდან გამოსახსნელად განკაცებული მაცხოვარი ასეთი უგუნური სიჯიუტით უარყვეს, უნდა დასჯილიყვნენ. ღმრთის რჩეული ერისათვის, რომელიც ამ რჩეულობას მსოფლიოზე გაბატონებასთან აიგივებდა და ყოველდღე ელოდა მესიას, რომელიც ამგვარ მიწიერ დიდებას მოუტანდა, რომაელთა ქვეშევრდომობა სულ უფრო და უფრო აუტანელი და გაუსაძლისი ხდებოდა. მთელი ქვეყანა შინაგან შფოთსა და ღელვას მოეცვა. რომის სახელმწიფოს მხრიდან სიმშვიდის შესანარჩუნებლად მიღებული ყველა ზომა მხოლოდ სიძულვილს იწვევდა. მესიის მოსვლისა და მიწიერი აღზევების ამგვარმა დაძაბულმა მოლოდინმა ცრუ წინასწარმეტყველთა გამრავლებას შეუწყო ხელი, რომელთაც გავლენა არა ჭეშმარიტების, არამედ იუდეველთა მოლოდინისა და იმედების შესაფერისი წინასწარმეტყველებებით მოიპოვეს. მოგვები და ჯადოქრები ცრუ წინასწარმეტყველებებით ატყუებდნენ ხალხს, რომელიც მზად იყო დაუფიქრებლად ერწმუნა ყოველივე, რაც კი მის ფუჭ იმედებს ესალბუნებოდა. ამგვარმა „წინასწარმეტყველებმა“ ერთხელ მრავალრიცხოვანი ბრბო უდაბნოშიც კი გაიყვანეს, სადაც მათ თითქოს მესიის გამოჩენა უნდა ეხილათ. ერთ-ერთმა მათგანმა, ვიღაც ეგვიპტელმა, ზეთისხილის მთაზე ოცდაათიათასამდე კაცი შეკრიბა და იერუსალიმის სამარცხვინო მონობიდან განთავისუფლებისაკენ მოუწოდა, თანაც ჰპირდებოდა, რომ აუცილებლად გაიმარჯვებდნენ, რადგან ქალაქის კედლების დასანგრევად მხოლოდ მისი ერთი სიტყვა იქნებოდა საჭირო. რომაელებს ამ კრებულის ძალით გარეკვა მოუხდათ.[1]

[1] **Иосиф Флавий, Иуд. война, II, 13,5.**

ამ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა ზილოტების (მოშურნეთა) სექტა, რომელიც დაახლოებით ქრისტეს შობის პერიოდში წარმოიშვა. როცა იმპერატორი ავგუსტუსის ბრძანებით სირიის გუბერნატორი კვირინიოსი ხარკის ასაკრეფად მოსახლეობის აღწერას შეუდგა, ერთმა გალილეველმა, სახელად იუდამ, ქადაგება დაიწყო იმის თაობაზე, რომ ღმრთის რჩეული ხალხისაგან წარმართი იმპერატორისათვის ხარკის გადახდა ცოდვას წარმოადგენდა. იუდა, რომელმაც მრავალი მომხრე შეიძინა, ამბოხებისას დაიღუპა, მაგრამ მისი სწავლება სწრაფად გავრცელდა. მეამბოხეებს სათავეში მისი ვაჟები ჩაუდგნენ, რომელთაგან ორი ჯვარზე გააკრეს, ხოლო მესამემ შემდეგში იუდეას ომში საბედისწერო როლი შეასრულა. ზილოტები, რომლებიც თითქოს რჯულის მგზნებარე და მოშურნე დამცველები იყვნენ, სინამდვილეში დაუნდობელ ძარცვა-გლეჯვას ეწეოდნენ და ყველგან შფოთს თესდნენ. ისინი ქვეყანაში მრავალრიცხოვან ჯგუფებად დახეტიალობდნენ, თავის გარშემო ქურდებსა და ყაჩაღებს იკრებდნენ და მოსახლეობას თავზარს სცემდნენ. რამდენიმე საზარელი დანაშაული მათ თვით იერუსალიმშიც ჩაიდინეს. ზილოტების თარეშს სხვადასხვა სექტას შორის გამუდმებული შუღლი და რომაელებისა და სხვა ხალხების მიმართ გაღიზიანებული და მტრული განწყობილებაც ემატებოდა, რაც, ერთად აღებული, იუდეაში მძიმე მდგომარეობას ქმნიდა.

მესიის მოლოდინით შეპყრობილი ხალხისათვის ფუჭი იმედის გასაძლიერებლად, როგორც ჩანს, სპეციალურად ითხზვებოდა და ვრცელდებოდა მითქმა-მოთქმანი ფსევდოსასწაულების შესახებ, რომლებიც თითქოსდა დიდ მოვლენათა მომასწავებელნი იყვნენ. იუდეველები ერთმანეთს უყვებოდნენ, რომ ტაძრის კარები, რომელიც ისე მასიური და მძიმე იყო, რომ მისი გაღება ოც კაცს უჭირდა, თითქოს ერთხელ თავისით გაიღო; რომ პასექის დროს საკურთხეველს უჩვეულო ბრწყინვალების ნათელი დაადგა; რომ თითქოს მთელმა ხალხმა იხილა იერუსალიმის თავზე ჰაერში მებრძოლი მხედრები, რომელთაც ბოლოს ქალაქს ცეცხლოვანი ალყა შემოარტყეს; რომ მეერგასე დღეს მღვდლებმა მიმავალი ნაბიჯების ხმასთან ერთად მოისმინეს სიტყვები: „წავიდეთ აქედან“.

ამ ვითომდა მომავალი გამარჯვების მომასწავებელი სასწაულე-

ბით თავდაჯერებულმა იუდეველებმა ყური არ ათხოვეს საპირისპირო რეალურ ნიშნებს, რომლებიც ქალაქს დაღუპვას უქადდნენ. იუდეას ომის დაწყებამდე ოთხი წლით ადრე იერუსალიმში დღესასწაულზე გამოჩნდა ვიღაც იესო, ძე ანანიასი, რომელიც ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე ხმამაღლა გოდებდა: „ვაი, ვაი, ვაი, ტაძარს, ვაი, იერუსალიმს! ხმა აღმოსავლეთიდან, ხმა დასავლეთიდან, ხმა ოთხივე ქარისა იერუსალიმის სამტროდ“. იგი შეიპყრეს, მაგრამ დაკითხვებზეც მუქარასა და დაშინებას კვლავ ავისმომასწავებელი სიტყვებით პასუხობდა. ბოლოს მმართველთან მიიყვანეს, რომელმაც მისი ცემა ბრძანა. შეწყალება არ უთხოვია, მხოლოდ ყოველი დარტყმისას შესაბრალისი ხმით ამბობდა: „ვაი, იერუსალიმ!“ რადგან ვერაფერს გახდნენ, გიჟად მიიჩნიეს და გაუშვეს. ქალაქის ქუჩებში მოსიარულე ისევ ამ სიტყვებს ამბობდა, ოღონდ დღესასწაულის დღეებში უფრო ხმამაღლა და უფრო შესაბრალისი ხმით. ასე გაგრძელდა შვიდი წლის მანძილზე. როცა ქალაქის ალყა დაიწყო, იგი კედლებთან დადიოდა და ხმამაღლა გოდებდა, „ვაი, იერუსალიმ, ვაი, ტაძარო!“. ბოლოს დაამატა: „ვაი, მე“ და ვიღაცისაგან ნასროლი ქვით სული განუტევა.

ზოგიერთი რომაელი მმართველი ანგარიშს უწევდა დამორჩილებული ხალხის განწყობილებას და ყველაფერს, რაც კი შეიძლებოდა მას საკუთარი რჯულისა და ადათების შეურაცხყოფად მოჩვენებოდა, გაურბოდა, მაგრამ ბოლო ორმა მმართველმა, ალბინმა და ჰესიოს ფლორამ, იუდეველები თავიანთი ანგარებისმოყვარეობითა და აგდებული დამოკიდებულებით სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს. ფლორა, ნაცვლად იმისა, რომ ყაჩაღური ჯგუფების თარეში აელაგმა, მათ მფარველობდა, რადგან ნადავლში წილი ედო. იგი არც ამით დაკმაყოფილდა, ბოლოს იერუსალიმის ტაძრის საგანძური გაძარცვა და მეომრებს სამიათასამდე ებრაელი აცემინა, რასაც შედეგად ამბოხება მოჰყვა, რომელიც მთელს ქვეყანაში გავრცელდა და რომელსაც სათავეში უპირატესად ზილოტების სექტიდან გამოსული ბელადები ჩაუდგნენ. ზომიერთა პარტიას, რომელსაც რომაელებთან საბოლოო განხეთქილების თავიდან აცილება სურდა, უკვე აღარავინ უსმენდა. ზილოტებმა მღვდელმთავარი ანანია, ვინც ხალხს სიმშვიდის შენარჩუნებისა და მორჩილებისაკენ მოუ-

წოდებდა, მოკლეს, მეფის სასახლე გადაწვეს და ხალხის მისაზიდად არქივიც მიაყოლეს, რომელშიც მოვალეთა სიები ინახებოდა. მალე მათ იერუსალიმში რომაელთა მთავარი სიმაგრეც ჩაიგდეს ხელში.

ამბოხება, რომელიც 66 წელს დაიწყო, თავიდანვე დასამარცხებლად იყო განწირული იმ განხეთქილებათა და შეურიგებელ დაპირისპირებათა გამო, რომელიც თვით იუდეველებს შორის არსებობდა. ამბოხებულებს სათავეში ზილოტების სექტის დამაარსებლის, გალილეველი იუდას მესამე ვაჟი, მანაიმი ჩაუდგა, რომელმაც რჯულის გარეგნული დაცვით ხალხში ისეთი დიდი გავლენა მოიპოვა, რომ ქალაქს ლამის მეფის უფლებებით მართავდა. ამან გააღიზიანა მოკლული მღვდელმთავრის ანანიას ვაჟი ელიაზარი, რომელსაც ხელისუფლების ხელში ჩაგდება თვითონ სურდა. იგი მოულოდნელად დაესხა თავს მანაიმს, შეიპყრო, სიკვდილით დასაჯა და მიზანსაც მიაღწია. ამის შემდეგ ელიაზარმა ალყა შემოარტყა სიმაგრეს, რომელშიც რომაელთა გარნიზონის ნაშთები ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ და ისინი იმ პირობით, რომ ყველას სიცოცხლესა და თავისუფლებას აჩუქებდა, დანებებაზე დაითანხმა. რომაელებმა დაპირება ირწმუნეს და დანებდნენ, მაგრამ ელიაზარმა სიტყვა გატეხა და ყველანი ამოხოცა.[2] აღსანიშნავია, რომ იუდეველებმა ეს ვერაგული საქციელი შაბათს ჩაიდინეს, რომელიც რჯულის მიხედვით უფლის წმინდა დღედ მიაჩნდათ. ამ ფაქტმა თვით ბოროტმოქმედებიც კი შეზარა და გულები შიშითა და სინანულით აუვსო. ზოგს რომაელების მხრიდან სამაგიეროს გადახდა აშინებდა, ზოგსაც უფლის რისხვა რჯულის დარღვევის გამო.

ღმრთის რისხვამ მართლაც არ დააგვიანა. მალე იერუსალიმამდე საშინელმა ცნობამ მოაღწია იმის თაობაზე, რომ სწორედ იმ დღეს, როცა ამბოხებულებმა ვერაგულად ამოხოცეს რომაელები, კესარიის მცხოვრებლებმა ჰესიოს ფლორას მფარველობის იმედით, ოციათასამდე ებრაელი მოკლეს. მმართველმა მართლაც კესარიელებს დაუჭირა მხარი და გადარჩენილი ებრაელები შორეულ ქალაქებში მძიმე სამუშაოებზე გააგზავნა.[3]

სამაგიეროდ, იუდეველებმა უცხო ერთა შვილების ხოცვა-ჟლეტა

[2] იქვე, II, 17.
[3] იქვე, II, 18.

მთელს ქვეყანაში გააჩაღეს. მალე სირია, პალესტინა და მცირე აზია სისხლით შეიღება. შურისძიებას შურისძიება მოჰყვა: სკვითოპოლისში 13 000-მდე ებრაელი ამოხოცეს, დამასკოში – 10 000, ალექსანდრიაში, რომლის მცხოვრებნიც თავიდანვე ვერ ურიგდებოდნენ მათ ქალაქში ებრაელთა ცხოვრებას, 50 000-მდე კაცი ამოწყვიტეს.

ამბოხებისათვის ბოლოს მოსაღებად იუდეასკენ ძლიერი ჯარით სირიის რომაელი მმართველი კესტიოს გალოსი დაიძრა. გალილეას რამდენიმე ქალაქი მან ადვილად აიღო და იერუსალიმის ახლოს დაბანაკდა. იერუსალიმში ამ დროს დღესასწაულის გამო განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო. მიუხედავად დღესასწაულის წმინდა დღისა, იუდეველები რომაელებს გაშმაგებით დაესხნენ თავს და უკან დახევაც აიძულეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, კესტიოსი კიდევ უფრო მიუახლოვდა იერუსალიმს და მისი გარეუბანი გადაწვა. იერუსალიმის აღება, რომელიც თავდაცვისათვის მზად არ იყო, რომაელებს ადვილად შეეძლოთ, მით უმეტეს, რომ ზილოტებისაგან შევიწროებული დიდი პარტია დანებებისათვის მზად იყო, მაგრამ ცრუ ცნობებით შემცდარმა კესტიოსმა ალყა მოხსნა და უკან გატრიალდა. გათამამებული ებრაელები რომაელებს უკან დაედევნენ და ისე მოულოდნელად დაესხნენ თავს, რომ სიკვდილს თვით სარდალიც კი ძლივს გადაურჩა.[4]

როცა ქრისტიანებმა, რომლებიც იერუსალიმში იმყოფებოდნენ, ალყის დროს წმინდა ქალაქის გარშემო წარმართულ ღმერთთა გამოსახულებებიანი დროშები იხილეს, უფლის სიტყვები გაიხსენეს: **რაჟამს იხილოთ იერუსალჱმსა გარე-მოდგომილი ერი მჴედრებისაჲ, მაშინ გულისჴმა-ყავთ, რამეთუ მოახლოებულ არს მოოჴრებაჲ მისი. მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდედ მთად; და რომელნი იყვნენ შორის მისა, განივლტოდედ, და რომელნი ველსა იყვნენ, ნუ შევლენედ მუნ** (ლუკ. 21, 20-21). ამიტომ რომაელების უეცარი და მოულოდნელი წასვლა, რამაც მათ ქალაქის დატოვების საშუალება მისცა, მათთვის ღმრთის დიდი წყალობა იყო. ქრისტიანები ეპისკოპოსთან ერთად გავიდნენ იერუსალიმიდან და იორდანეს მეორე მხარეს, მთებში დასახლდნენ. ნიშანდობლივია, რომ ამ საშინელ ომში არცერთი ქრისტიანი არ დაღუპულა.

[4] იქვე, II, 19.

კესტიოსის დამარცხებამ ნერონი საშინლად აღაშფოთა და იუდეაში ჯარით ვესპასიანე გააგზავნა. მან საომარი მოქმედებანი გალილეადან დაიწყო. ციხე-სიმაგრე იოტაპატი, რომლის დაცვასაც იოსებ ფლავიუსი ხელმძღვანელობდა, ორი თვის მანძილზე იდგა. ალყის დროს 40000 ებრაელი დაიღუპა, ხოლო, დანარჩენები, როცა ბოლოს და ბოლოს რომაელებმა ქალაქი აიღეს, გამოქვაბულებში გაიქცნენ და იქ თავები დაიხოცეს, რათა მტრებს ხელში არ ჩავარდნოდნენ. მდგომარეობას მხოლოდ მათი უფროსი, იოსებ ფლავიუსი შეურიგდა, რომელმაც მორჩილებით ვესპასიანეს კეთილგანწყობა მოიპოვა და ისიც უწინასწარმეტყველა, რომ რომის მომავალი იმპერატორი იქნებოდა.[5]

გალილეას დამორჩილების შემდეგ, ვესპასიანემ კესარიაში გამოიზამთრა; გაზაფხულზე საომარი ოპერაციები განაახლა, რამდენიმე ქალაქი ზედიზედ აიღო და იერუსალიმს მიუახლოვდა, მაგრამ ქალაქის აღება არ იჩქარა, რადგან, რაც იქ ხდებოდა, კარგად იცოდა. იერუსალიმში ებრაელობას ერთმანეთთან შუღლისა და ბრძოლის გამო ძალა გამოცლილი ჰქონდა. ზილოტები, რომლებმაც ხელისუფლება მამულისა და რჯულის დაცვისაკენ მომწოდებელი ლოზუნგებით მოიპოვეს, ძალაუფლებას მხოლოდ პირადი გამორჩენისათვის იყენებდნენ და საკუთარ ხალხს უმოწყალოდ ძარცვავდნენ. ყველაზე მდიდარსა და ცნობილ მოქალაქეებს იმ საბაბით, რომ თითქოს მათ ქალაქის რომაელებისათვის გადაცემა ჰქონდათ განზრახული, ციხეებში სვამდნენ და ამ გზით ფულს სძალავდნენ. ზილოტებმა ტაძარიც დაიპყრეს, ისინი ყველაზე პატივსაცემ კანონებსა და ადათებს უკვე დაუფარავად შეურაცხყოფდნენ და ყველაზე საშინელ დანაშაულსაც, დაუსჯელობის იმედით, ასევე დაუფარავად სჩადიოდნენ. ბოლოს და ბოლოს ხალხს მოთმინების ფიალა აევსო და მღვდელმთავარი ანანიას ხელმძღვანელობით მათ წინააღმდეგ აღდგა. ყოველი მხრიდან შევიწროვებული ზილოტები ტაძარში ჩაიკეტნენ. ტაძარი რომ სისხლით არ წაბილწულიყო, ანანიამ ხალხი შეაჩერა. იგი იმედოვნებდა, რომ ალყაში მოქცეული ზილოტები ბოლოს და ბოლოს დანებდებოდნენ; ასეც მოხდებოდა, ისევ ღალატს რომ არ ჰქონოდა ადგილი.

დამარცხებისათვის განწირულმა ზილოტებმა დახმარებისათვის

[5] იქვე, III, 7-8.

იდუმიელთა მეზობელი ტომი მოიხმეს, რომელიც დაარწმუნეს, რომ ანანიას იერუსალიმის რომაელებისათვის გადაცემა ჰქონდა განზრახული. თავდაპირველად იდუმიელები იუდეველთა მტრები იყვნენ, მაგრამ ქრისტეს შობამდე ცოტა ხნით ადრე მოსეს სჯული მიიღეს და რომის იმპერიას დაუპირისპირდნენ, რადგან მის ბატონობას ვერ ურიგდებოდნენ. ზილოტების ვერაგულმა ხერხმა გაჭრა, იერუსალიმის კედლებთან ოციათასი შეიარაღებული იდუმიელი მივიდა. მღვდელმთავარმა ანანიამ, რომელიც ამ დროს ქალაქს განაგებდა, ახალი მღელვარების წარმოშობის შიშით ისინი ქალაქში არ შეუშვა. გაღიზიანებულმა და ცრუ ხმებით მოტყუებულმა იდუმიელებმა უკან გაბრუნება აღარ მოისურვეს და ხელსაყრელი ჟამის მოლოდინში ქალაქის კედლებთან განლაგდნენ. იმ ღამეს იერუსალიმს საშინელი ქარიშხალი დაატყდა თავს, რომელსაც მიწისძვრაც დაერთო. ზილოტებმა შეშფოთებული მოსახლეობის დაბნეულობითა და ბნელი ღამით ისარგებლეს და იდუმიელებს კარები გაუღეს. ისინი ქალაქს ერთად მოედვნენ და მთელი ღამის განმავლობაში დაუნდობელ ხოცვა-ჟლეტას ეწეოდნენ. დილით მარტო ტაძრის მახლობლად რვაათასხუთასი გვამი დათვალეს, მღვდელმთავარი ანანია ღალატის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს, საპყრობილეები პატიმრებით აავსეს. ასე რომ, რამდენიმე დღის მანძილზე მოკლულთა რიცხვმა ოცდაათიათასს მიაღწია. მართალია, ბოლოს და ბოლოს იდუმიელებმა შეიტყვეს, რომ ისინი მოატყუეს, ამიტომ მოკავშირეებს წაეჩხუბნენ და იერუსალიმი დატოვეს, მაგრამ ამით მდგომარეობა არ შემსუბუქებულა. გათავხედებული ზილოტები, რომელთაც ყველაზე ძლიერი მტერი მოიშორეს, კიდევ უფრო გაცოფდნენ და ყველას, ვინც კი მათი თარეშის გამო უკმაყოფილებას გამოხატავდა, დაუნდობლად უსწორდებოდნენ. მათი შიშით ადამიანები მოკლული ნათესავებისა და მეგობრების დამარხვასა და დატირებასაც კი ვეღარ ბედავდნენ, რადგან ზილოტები ამისათვის სიკვდილით სჯიდნენ.[6]

ბოლოს შუღლი თვით ზილოტთა შორისაც ჩამოვარდა და ისინი ორ ნაწილად გაყო. ერთ ნაწილს, რომელიც ტაძარს იცავდა, სათავეში ელიაზარი ჩაუდგა, მეორეს – გაბედული ყაჩაღი იოანე

[6] იქვე, IV, 4,5.

გირკალი. იმ დროს, როცა ქალაქში ეს ორი პარტია მძვინვარებდა, მესამე, რომელსაც ვიღაც სიმონი მეთაურობდა, გარეუბნებს არბევდა. ბოლოს სიმონმა თვით იერუსალიმის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა და ორმოცი ათასი კაცით მის კედლებთან დაბანაკდა. აი, რა ვითარება იყო შექმნილი იერუსალიმში მაშინ, როცა მას ვესპასიანე მიადგა. ზილოტების აულაგმავი თარეშისაგან შეწუხებული ბევრი მოქალაქე, რომაელებს, როგორც მხსნელებს, ისე უყურებდა. რამდენიმე მათგანმა ქალაქიდან გაღწევა და ვესპასიანესთან მისვლაც კი მოახერხა იმ თხოვნით, რომ მათი უბედურებისათვის ზღვარი დაედო. როცა ვესპასიანე ქალაქისათვის ალყის შემორტყმას აპირებდა, უეცრად იმპერატორი ნერონის სიკვდილის ცნობა მიიღო, ამიტომ რომიდან ბრძანების მოლოდინში საომარი მოქმედება შეაჩერა. ნერონის სიკვდილის შემდეგ იმპერიას სამი იმპერატორი მართავდა, თითოეული რამდენიმე თვით, წელიწადნახევრის შემდეგ კი ჯარმა იმპერატორად ვესპასიანე გამოაცხადა. იგი იძულებული გახდა ლაშქრის უფროსობა თავისი ვაჟის – ტიტესათვის გადაებარებინა, ხოლო თვითონ სასწრაფოდ რომში დაბრუნებულიყო.

ამასობაში ზილოტების თავხედობამ და სისასტიკემ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, შეწუხებულმა ხალხმა დახმარებისათვის ქალაქის გარეუბნებში მოთარეშე სიმონსა და მის ყაჩაღურ მხედრობას მიმართა. სიმონი ქალაქში როგორც განმათავისუფლებელი ისე შევიდა და ზილოტებს ალყა შემოარტყა. სიმონმა ზილოტების დამარცხება ვერ შეძლო, სამაგიეროდ ისედაც დაჩაგრული ხალხის კიდევ უფრო დაჩაგვრა და შევიწროება მოახერხა.[7]

70 წლის გაზაფხულზე, პასექის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ქალაქს უზარმაზარი ლაშქრით ტიტე მიადგა და ელეონის მთაზე დაბანაკდა. იერუსალიმს დაუდგა დღეები, რომელიც მაცხოვარმა უწინასწარმეტყველა, როცა მას ელეონის მთაზე მდგარი დაჰყურებდა: **უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშჳდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა თუალთაგან შენთა, რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა, და მოგადგან შენ მტერთა შენთა ლაშქარი და გარე-მოგადგენ შენ და შეგკრიბონ შენ ყოვლით კერძო და დაგარღჳონ შენ, და შვილნი შენნი შენ შორის დაეცნენ, და არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა შენ შორის ამისთჳს,**

[7] იქვე, IV, 9,10.

რამეთუ არა გულისჴმა-ჰყავ ჟამი მოხედვისა შენისაჲ (ლუკ. 19, 42-44).

ებრაელთა შორის შუღლის მოსპობა ვერც კარს მომდგარმა რეალურმა საფრთხემ შეძლო, ერთმანეთთან ჩხუბსა და დავაზე ხელი ვერა და ვერ აიღეს. მართალია, ზოგჯერ ურთიერთმტრობის დავიწყებას ახერხებდნენ და თავგანწირული სიმამაცით რომაელებსაც კი აკვირვებდნენ, მაგრამ ეს ძალიან მცირე ხანს გრძელდებოდა. **ძირითადად ისინი ერთმანეთის, ანუ საკუთარი ერის დამარცხებისათვის იღვწოდნენ**. პასექის დღესასწაულზე ელიაზარმა, რომლის ხელშიც ტაძარი იყო, იგი მლოცველებისათვის გახსნა, რითაც იოანემ ისარგებლა, მასში შეიარაღებული მეომრები შეიყვანა, ელიაზარის მომხრენი ამოწყვიტა და ტაძარს და მის შემოგარენს დაეუფლა. ამასობაში ქალაქის ზემო ნაწილი სიმონმა დაიჭირა. დაპირისპირებულ მხარეთა შორის სისხლისმღვრელი ომი გაიმართა. ქალაქში განუწყვეტლივ დაჭრილთა ყვირილი და მომაკვდავთა კვნესა ისმოდა. ერთმანეთზე გაცოფებულნი ანადგურებდნენ პურის მარაგს, რომელიც ალყის შემთხვევისთვის იყო მომზადებული, ამსხვრევდნენ საბრძოლო იარაღებს, წვავდნენ სახლებს, ქალაქის დიდი ნაწილი აკვამლებულ ნანგრევებად აქციეს. მიუხედავად ამისა, იგი ისე კარგად იყო დაცული, რომ იმედი მტრის მოგერიებისა მაინც არსებობდა. ორ ბორცვზე გაშენებულ იერუსალიმს სამმაგი ქვის კედელი იცავდა, რომელშიც 90 მტკიცედ ნაგები კოშკი იყო ჩატანებული. საუკუნეთა მანძილზე იუდეველები არც ენერგიასა და არც მატერიალურ სახსრებს არ იშურებდნენ იმ ქალაქის გასამაგრებლად, რომელშიც მათი მთავარი სიწმინდე – ტაძარი იდგა. ამ მხრივ იუდეას თვით უკანასკნელმა მმართველებმაც კი ბევრი რამ გააკეთეს. მნიშვნელოვნად აამაღლეს კედლები, ხოლო ერთ-ერთმა ჰეროდემ სამი ისეთი კოშკი ააგო, რომლებიც აუღებლად ითვლებოდნენ. თვითონ ტაძარი ქალაქის შუაგულში, მაღალ ბორცვზე იდგა, ყოველმხრივ მტკიცე კედლებით დაცული და გალერეით მძლავრ ციხეს უერთდებოდა; ასე რომ, გამაგრებულ ქალაქში თვითონაც სიმაგრეს წარმოადგენდა. მისი სიმდიდრე და დიდებულება ადამიანის ყოველგვარ წარმოსახვას აღემატებოდა, რაშიც წვლილი ყოველ იუდეველს ჰქონდა, რადგან ყოველი მათგანი, მიუხედავად იმისა, სად ცხოვრობდა, ტაძრის სასარგებლოდ გადასახადს იხდიდა. წმინდა ტაძარი, რომელშიც წინასწარი განწმენდის ადათის აღსრუ-

ლების გარეშე შესვლაც კი იკრძალებოდა, ახლა მოკლულთა სისხლით, მკრეხელობითა და ყველაზე მძიმე დანაშაულებით ყოველდღე იბილწებოდა. ძალიან ხშირად მლოცველნი და თვით მღვდლებიც კი, რომელნიც მსხვერპლშეწირვას აღასრულებდნენ, თანამემამულეთა ხელით ეცემოდნენ. და ამას ყოველივეს სჩადიოდნენ იუდეველები – მოშურნენი სჯულისა, რომელთაც შჯული თითქოს საკუთარ სიცოცხლეზე ძვირფასად მიაჩნდათ. ბოროტებისაგან გონებადაბნელებულნი ვეღარ ხვდებოდნენ, რომ ცოდვის მორევში ჩაფლულებს ღმრთის რისხვა უახლოვდებოდათ, პირიქით, ზეციდან ისინი სასწაულებრივ შემწეობას ელოდებოდნენ და იმედს არ კარგავდნენ, რომ ღმერთი მათ არა მხოლოდ რომაელთა მონობისაგან იხსნიდა, არამედ მსოფლიო ბატონობასაც მიანიჭებდა. ამიტომ ცრუ იმედით გულმოცემულნი ამაყად უარყოფდნენ ტიტეს მიერ მრავალგზის შეთავაზებულ წინადადებას იმის თაობაზე, რომ დამორჩილების შემთხვევაში ქალაქიც და ტაძარიც ხელშეუხებელი დარჩებოდა და თავადაც შეწყალებულნი იქნებოდნენ.

ამასობაში საალყო მანქანების გამოყენებით ტიტემ ჯერ პირველი, ხოლო შემდეგ მეორე კედელიც აიღო და ქალაქის ახალ ნაწილს დაეპატრონა. იფიქრა რა, რომ იუდეველები ახლა მაინც შეიგნებდნენ თავიანთი მდგომარეობის უიმედობას, დანებების ფასად ერთხელ კიდევ შესთავაზა შეწყალება, მაგრამ ამაოდ. ამასობაში ქალაქს ახალი მტერი გაუჩნდა შიმშილის სახით. რადგან ალყა პასექის წინა დღეებში დაიწყო, ამიტომ იერუსალიმში დღესასწაულზე მოსული მრავალი იუდეველი ჩარჩა, რამაც მოსახლეობის რიცხვი ერთი-ორად გაზარდა. ამასთან, შიმშილობის ჩამოვარდნაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ერთმანეთზე გადამტერებულმა პარტიებმა, რომელნიც ერთმანეთს, სინამდვილეში კი საკუთარ თავს, სურსათ-სანოვაგის მარაგს გულმოდგინედ უნადგურებდნენ. ქალაქში უკვე ყველაფერს ჭამდნენ, რის ჭამაც შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა, თვით გვამებსაც კი, რამაც საშინელი სენის გავრცელება გამოიწვია. ზოგიერთი საჭმლის მოსაპოვებლად ქალაქგარეთ გასვლას მოალყეებისგან შეუმჩნევლად ცდილობდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი რომაელებს უვარდებოდა ხელთ და ჯვარზე ასრულებდა სიცოცხლეს, ხანდახან დღეში ჯვარზე ხუ-

თასი კაციც კი იღუპებოდა. იუდეველები გონს ვერც ამ ფაქტმა მოიყვანა და ვერ მიახვედრა, რომ იესო ქრისტეს ჯვარცმისათვის ღმრთის შურისძიება ატყდებოდათ თავს. ბოლოს ტიტემ გამოქცეულთა შეწყალება და დაპურება ბრძანა, მაგრამ ბევრი მათგანი, დიდი ხნის შიმშილობის შემდეგ, ჭამისაგან კვდებოდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ იოსებ ფლავიუსის მიერ მოთხრობილი ამბები შეიძლება დაუჯერებლად მოგვეჩვენოს. ცოლები ქმრებს სტაცებდნენ ხელიდან საჭმელს, შვილები – მშობლებს, ადამიანები, რომლებშიც ყოველგვარი გრძნობა ჩაკვდა, მტაცებელ მხეცებზე საშიშნი გახდნენ. ბოლოს ახდა ებრაელთა უბედურების შესახებ ყველაზე საშინელი წინასწარმეტყველება მოსესი – ერთმა ახალგაზრდა მდიდარმა ქალმა, იორდანეს გაღმიდან, რომელიც იერუსალიმში სხვა ლტოლვილებთან ერთად ჩამოვიდა და ომის გამო იქ ჩაიკეტა, მას შემდეგ, რაც ყაჩაღებმა თან წამოღებული ქონება წაართვეს, სიძულვილითა და შიმშილით გაბოროტებულმა, თავისი ახალშობილი ჩვილი შეჭამა.[8]

ამასობაში რომაელებმა აიღეს მთავარი ციხე, რომელიც ტაძარს გალერეით უკავშირდებოდა და უკვე გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ იუდეველებმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს, ათსაათიანი ხელჩართული ბრძოლის შედეგად მტერი მოიგერიეს და გალერეა გადაწვეს. ტიტეს, რომელიც უკვე მთელ ქალაქს ფლობდა, ტაძრის დანგრევა არ უნდოდა, ამიტომ ებრაელებს ერთხელ კიდევ შესთავაზა დანებებულიყვნენ, მაგრამ იოანესგან პასუხად მიიღო, რომ ღმერთი მისი ტაძრის მტრების ხელში ჩაგდებას არ დაუშვებდა. სამწუხაროდ, არც იოანესა და არც სხვებს გონება არ ეყოთ იმის გასაანალიზებლად, რომ უდიდესი სიწმინდე – ტაძარი მძიმე ცოდვებითა და ურჯულოებით უწინარესად თვითონვე შეურაცხყვეს.

ხელჩართული ბრძოლების შემდეგ ერთმა რომაელმა მეომარმა ტაძრის სარკმელში ანთებული მუგუზალი შეაგდო და ხანძარმაც აღარ დააყოვნა. ამაო გამოდგა თვით ტიტეს მცდელობა ტაძრის გადარჩენისა. იუდეველების ხანგრძლივი და ჯიუტი წინააღმდეგობით გაღიზიანებული მეომრები მას უკვე აღარ უსმენდნენ, მით

[8] იქვე, VI, 3.

უმეტეს, რომ დიდი იყო ცდუნება ტაძრის ზღაპრული სიმდიდრის დატაცებისა.

70 წლის 10 აგვისტოს, ზუსტად იმ რიცხვში, როცა ნაბუქოდონოსორმა პირველი ტაძარი გადაწვა, მეორეც ცეცხლს ემსხვერპლა, ბევრი იუდეველი ცეცხლში ჩავარდა, რათა ტაძართან ერთად დაღუპულიყო. ექვსი ათასი კაცი ხანძრისგან აბრიალებულ გალერეაში შევარდა, დაუჯერა რა რომელიღაც ცრუ წინასწარმეტყველს, რომ მესია სწორედ იქ გამოჩნდებოდა და ტაძარს დაიხსნიდა. ყველა მათგანი დაიღუპა. ასეთი ბრმა დამღუპველი მალემრწმენობა გამოამჟღავნა იმ ხალხმა, რომელმაც მაცხოვარი არ იწამა და ჯვარზე გააკრა.[9]

რომაელებმა მთელი ქალაქი ცეცხლსა და მახვილს მისცეს, ხოლო ტაძარი საძირკვლამდე დაანგრიეს იმის იმედით, რომ იქ ჩამარხულ განძს იპოვნიდნენ. ზუსტად აღსრულდა მაცხოვარის სიტყვები: ტაძრიდან ქვა ქვაზე აღარ დარჩა.

გადარჩა მხოლოდ სამი კოშკი, რომლებიც ტიტემ რომაელთა სიმამაცისა და მძიმე ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების მოწმეებად დატოვა. ქალაქის სიმაგრეთა დათვალიერებისას მას უთქვამს: თვითონ ღმერთი, იუდეველთა ბოროტებით განრისხებული, დამეხმარა, თორემ ასეთი სიმაგრის აღება ადამიანური ძალისთვის შეუძლებელიაო.

იოსებ ფლავიოსის ცნობით, იერუსალიმის ალყის დროს შიმშილის, სენისა და მახვილისაგან მილიონ ასი ათასი ებრაელი დაიღუპა, ხოლო მთელი ომის განმავლობაში - მილიონ ოთხასი ათასი. დაახლოებით ასი ათასი ტყვედ ჩავარდა,[10] რომელთა დიდი ნაწილი რომში გააგზავნეს გასართობი თამაშებისთვის უზარმაზარი შენობის – კოლიზეუმის ასაგებად. დიდი რიცხვი იუდეველებისა რომსა, კესარიასა და სხვა დიდ ქალაქებში სწორედ ამგვარი თამაშებისას დაიღუპა. ბევრიც ეგვიპტეში წაიყვანეს მიწაზე სამუშაოდ და იქ მონებად გაყიდეს.

იერუსალიმის აღებიდან ერთი წლის მანძილზე რომაელები მთელს ქვეყანას დაეპატრონენ, იუდეველთა მიწები გაყიდეს და

[9] იქვე, VI, 4,5.
[10] იქვე, IX, 1.

ამ მრავალრიცხოვანი ხალხის გადარჩენილი ნაშთები სხვადასხვა მხარესა და ქალაქში გაფანტეს. იუდეველები იძულებულნი იყვნენ გადასახადი, რომელსაც თავიანთი ტაძრისათვის იხდიდნენ, ახლა იუპიტერის ტაძრის – კაპიტოლიუმისთვის გაეღოთ. წარმართული ტაძრისთვის გადასახადის გადახდა მათთვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო. სამწუხაროდ, ვერცერთი სახის უბედურებამ ვერ შეძლო ამპარტავნობითა და პატივმოყვარეობით დაბრმავებულთათვის სულიერი თვალის ახელა და მათი გონს მოყვანა. კვლავ ჭირის დღესავით სძულდათ ქრისტიანები და მათ წინააღმდეგ წარმართებს ამხედრებდნენ, კვლავ ელოდებოდნენ მესიას, ამიტომაც ადვილად უჯერებდნენ ცრუწინასწარმეტყველებს. მრავალი მათგანი კვირენეს უდაბნოში დაიღუპა, სადაც იმ იმედით გავიდა, რომ ღმრთისგან მოვლენილ ნიშნებსა და სასწაულებს იხილავდა.

ქრისტიანი გულგრილი არ უნდა დარჩეს იმ ხალხის ბედის მიმართ, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იცავდა ღმრთისგან ბოძებულ გამოცხადებას, მაგრამ რომელზეც მისი ურწმუნოებისა და სისასტიკის გამო ზუსტად ახდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველებანი (II შჯ. 28, 47-68).

იერუსალიმის დაცემა ქრისტეს ჯვარცმიდან დაახლოებით ორმოცი წლის შემდეგ მოხდა, ამიტომ ჯერ კიდევ ცოცხლები იქნებოდნენ იმათთაგანნი, რომელნიც ქრისტეს ჯვარზე გაკვრას მოითხოვდნენ და ყვიროდნენ: მისი სისხლი ჩვენსა და ჩვენს შვილებზე იყოსო.

წმინდა იოანე ღმრთისმეტყველი და ქრისტიანთა დევნის მეორე პერიოდი

მაცხოვრის მოციქულთაგან ყველაზე დიდხანს იოანე ღმრთისმეტყველმა იცხოვრა, რომელიც ქრისტეს მოძღვრებას მცირე აზიაში ქადაგებდა. წმ. მოციქული და მისი განუყრელი მოწაფე პროხორე – ერთი სამოცდაათთაგანი, ძირითადად ქალაქ ეფესოში მკვიდრობდნენ. იოანე ღმრთისმეტყველის წმინდა ცხოვრება, მოშურნეობა ღმრთის სამსახურში და გამოუთქმელი გულმოწყალება

– მის მიმართ უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას ბადებდა.

ქრისტიანების დევნის პირველი პერიოდი დამთავრდა ნერონის სიკვდილით. მაცხოვრის მიმდევრებმა შედარებით ამოისუნთქეს, რადგან რომის საიმპერატორო ტახტზე ნერონის უახლოესი მემკვიდრეები, ტიტეს ჩათვლით, ქრისტიანებს არ დევნიდნენ. მაგრამ 81 წელს ტახტზე ტიტეს ძმა, დომიციანე ავიდა და დევნაც განახლდა. იმპერატორმა საშინლად შეიძულა ქრისტიანები, რომლებიც მას უღმერთოებად და მეამბოხეებად წარუდგინეს იმ მიზეზით, რომ არც კერპებს სცემდნენ თაყვანს და არც მეფეს მიაგებდნენ შესაფერის პატივს, რადგან მათი რწმენით, ამგვარი პატივი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა.

დევნამ განსაკუთრებით სასტიკი ხასიათი 94 წლის მახლობელ ხანებში მიიღო. ამ დროისათვის ქრისტიანობას უკვე არა მხოლოდ არისტოკრატული წრის წარმომადგენლები, არამედ თვით სამეფო ოჯახის წევრებიც კი აღიარებდნენ. დომიციანემ სიკვდილით დასაჯა ბიძაშვილი ფლაბიოს კლიმენტი, ხოლო მისი მეუღლე უკაცრიელ კუნძულზე გადაასახლა. დევნამ იმპერიის ყველა პროვინცია მოიცვა; იოანე ღმრთისმეტყველი ეფესოდან რომში გაიწვიეს. თავდაპირველად სცადეს მოციქული ქრისტეს მოძღვრების სიყალბეში დაერწმუნებინათ, რათა მას თავისი რწმენა ნებით უარეყო; ხოლო როცა ამას ვერ მიაღწიეს, წამების მრავალფეროვანი ხერხები გამოიყენეს: ჯერ სასტიკად სცემეს, შემდეგ საწამლავით შეზავებული სასმელი დაალევინეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს, რადგან აღსრულდა მაცხოვრის სიტყვები მოწაფეთა შესახებ თქმული: **დალათუ, სასიკუდინე რაჲმე სუან, არარაჲ ავნოს მათ** (მარკ. 16,17). ბოლოს იგი ადუღებული ზეთით სავსე ქვაბში ჩააგდეს, მაგრამ ღმრთის შემწეობით, ამჯერადაც უვნებელი დარჩა. ამ სასწაულთა მხილველი ადამიანები გაოცებულნი ყვიროდნენ: დიდია ღმერთი ქრისტიანეთა. დომიციანე მიხვდა, რომ წამების ახალ-ახალი ხერხების გამოყენებით მოციქულს მრავალრიცხოვან მოწმეთა წინაშე ჯვარცმული ღმერთის რწმენის საქმით ქადაგების საშუალებას აძლევდა; ამიტომ მისი კუნძულ პატმოსზე გადასახლება ბრძანა, რომელიც მცირე აზიის სანაპიროს მახლობლად მდებარეობდა. მაგრამ რას ნიშნავდა ეს განდევნა მოციქულისათ-

ვის, რომლის გულიდან მაცხოვრის სიყვარულის აღმოფხვრა არანაირ ამქვეყნიურ ძალას არ შეეძლო? უფალი ხომ განუყრელად მასთან იქნებოდა მიუხედავად იმისა, სად იცხოვრებდა – დიდსა და მდიდრულ ქალაქში თუ უკაცრიელსა და მწირ კუნძულზე.

სწორედ პატმოსზე, ერთ კვირა დღეს უფალმა თავისი საყვარელი მოწაფე სასწაულით დააჯილდოვა. წმ. იოანემ დიდება უფლისა და მომავალი ეკლესიისა ჩვენებით იხილა, რომელიც „გამოცხადებაში“ აღწერა. მასში უფალი იოანეს მეშვეობით მოძღვრავს მცირე აზიის შვიდ მთავარ ეკლესიას: ეფესოს, სმირნის, პერგამოსის, თიატირის, სარდიის, ფილადელფიისა და ლაოდიკიისას. რა თქმა უნდა, დარიგებანი, რომელიც ამ ეკლესიებს ეძლევა, საერთოდ მთელი ქრისტიანული სამყაროს გასაგონადაა თქმული, თანაც ყოველი დროისათვის. ამას მოსდევს დიდებული სურათები უფლის დიდებისა, ეკლესიაზე მისი მუდმივი მზრუნველობისა, მადლისა და სიყვარულისა; სასჯელთა, რომელიც ცოდვილებს მოელით და ნეტარებისა, რომელიც მართალთა ხვედრია. წინასწარმეტყველურ ხილვებში მინიშნებულია სხვადასხვა განსაცდელი, რომელიც ღმრთის ეკლესიას თავს ატყდება დედამიწაზე, ადამიანის დაუძინებელი მტრის ბრძოლა ღმრთის კრავთან, ზეიმი კრავისა, რომელიც მორწმუნეებს გამოიხსნის, აღდგომა მკვდართა და საშინელი სამსჯავრო და ბოლოს, სილამაზე ახალი იერუსალიმის, ანუ ზეციური სასუფეველისა.

როცა წმ. იოანემ ხილვის აღწერა დაასრულა, გულის სიღრმიდან ნატვრა აღმოხდა: **ჰე, მოდი სწრაფად, უფალო იესო.** მოციქულს ეჩქარებოდა შეერთება იმასთან, ვინც დედამიწაზე ასე უყვარდა, მაგრამ წინ ჯერ კიდევ ღვაწლისა და ჯაფის მრავალი წელი ელოდებოდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაეკეთებინა უფლის დიდებისა და მოყვასთა სარგებლობისათვის.

პატმოსზე გადასახლება დიდხანს არ გაგრძელებულა. დომიციანე მოკლეს და მისმა მემკვიდრემ განდევნილი ქრისტიანები უკან დააბრუნა. 97 წელს იოანე ღმრთისმეტყველიც დაბრუნდა ეფესოში. ამ დროს ეფესოს ეპისკოპოსი პავლე მოციქულის მოწაფე ტიმოთე იყო, ხოლო იოანე საერთოდ მცირე აზიის ეკლესიებს ზედამხედველობდა და ქრისტეს მოძღვრების სიწმინდის დაცვისათვის დაუცხრომლად ზრუნავდა. ამ დროისათვის ღმრთის

მარადიული მტრის შთაგონებით ბრძოლა ქრისტეს წინააღმდეგ ერესების შემოტანით ანუ მოძღვრების დამახინჯებით დაიწყო. ჭეშმარიტების ცრუ განმმარტებლებს განსაკუთრებით ბევრი მიმდევარი მცირე აზიაში გამოუჩნდა. ტყუილად როდი აფრთხილებდა პავლე მოციქული ეფესოს ეკლესიის მოძღვრებს – თავი დაეცვათ მძვინვარე მგლებისაგან, რომელნიც ფარას არ დაინდობდნენ და წინასწარმეტყველებდა, რომ თვით მათ შორისაც აღმოჩნდებოდნენ ისეთები, რომლებიც სწავლების სიწმინდეს შეგნებულად აამღვრევდნენ და მოწაფეებსაც გაიჩენდნენ. მართლაც, მალე გამოჩნდნენ ამგვარი ცრუ მასწავლებლები, რომლებიც ღმრთის სიტყვასთან აღმოსავლურ სწავლებათაგან ნასესხები უგუნური იგავების შეერთებას ცდილობდნენ. ეს ერთი შეხედვით თითქოსდა უვნებელი იგავები და სწავლებანი ქრისტეს მოძღვრების არსს ისე ძირფესვიანად ცვლიდნენ, როგორც შხამის ერთი წვეთი შეცვლის ხოლმე ყველაზე საამო სასმელის გემოსა და დანიშნულებას.

ერეტიკული მიმდინარეობანი პირველივე საუკუნეში ძირითადად იესო ქრისტეს წინააღმდეგ იყვნენ მიმართულნი: ერთნი მის ღმრთეებრივ, ხოლო მეორენი კაცობრივ ბუნებას უარყოფდნენ. როგორც პავლე მოციქული ბრძანებდა, ერთ-ერთი პირველი ცრუ მოძღვარი სწორედ ეფესოში გამოჩნდა, სახელად კერინთე. იგი ამტკიცებდა, რომ იესო ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელზეც, მისი წმინდა ცხოვრების გამო, ნათლისღების ჟამს სულიწმიდა გადმოვიდა, მაგრამ დატოვა მაშინ, როცა ჯვარზე გააკრეს, ასე რომ, ჯვარზე უბრალო ადამიანი ეწამა.[11] ეს ცრუ მოძღვრება ქრისტიანული მოძღვრების არსს – ძე ღმერთის ჯვარზე სიკვდილით ადამიანის ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობისგან გამოხსნას უარყოფდა. სხვები იესო ქრისტეს მიერ კაცობრივი ხორცის შემოსვას უარყოფდნენ, მას სულად თვლიდნენ, რომელსაც ადამიანური სახე მხოლოდ გარეგნულად ჰქონდა და ამდენად ჯვარზე გაკრულს არც წამება განუცდია. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხუცესებმა და მორწმუნეებმა იოანე ღმრთისმეტყველი დაარწმუნეს, რომ ქრისტეს მოძღვრება თავად მას გადმოეცა. ისე, როგორც

[11] **Евсевий Памфил, III, 28. Ириней Лионский, Пять книг против ересей. М., 1868, III, 3,4.**

ეს თავისი ღმრთეებრივი მასწავლებლისაგან ჰქონდა მოსმენილი.

ეკლესიის გადმოცემა მოგვითხრობს, რომ წმ. მოციქულმა ქრისტიანებს მარხვის დაცვა სთხოვა, ხოლო თვითონ პროხორესთან ერთად მთაზე განმარტოვდა, სადაც სამი დღე განუწყვეტლივ ლოცვასა და მარხვაში გაატარა. ბოლოს მან პროხორეს უბრძანა ჩაეწერა ის, რაც სულიწმიდამ შთააგონა. ასე შეიქმნა სახარება იოანესი, რომელშიც ერეტიკოსების ცრუ სწავლებათა წინააღმდეგ ვკითხულობთ: **სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა** (ინ. 1,14).

გარდა სახარებისა, იოანე მახარებელმა სამი ეპისტოლეც დაწერა, რომლებშიც იგი მწვალებელთა სიცრუეს ამხელს და ადამიანებს აფრთხილებს ჭეშმარიტების მტრებს თავი არ მოატყუებინონ: **ვინმე არს მტყუარი იგი? ანუ არა, რომელმან უარ-ყოსა, ვითარმედ იესუ არა არს ქრისტე?** (I ინ. 2,22). **საყუარელნო, ნუ ყოველი სული გრწამნ, არამედ გამოიცადენით სულნი, უკუეთუ ღმრთისაგან იყვნენ, რამეთუ მრავალი ცრუ-წინაწარმეტყუელნი განსრულ არიან სოფლად** (4,1). **და ყოველმან სულმან რომელმან არა აღიაროს იესუ ქრისტე ჴორციელად მოსრული, იგი არა ღმრთისაგან არს** (4,3).

მიუხედავად თავისი საკვირველად ლმობიერი ბუნებისა, იოვანე ცრუ მოძღვართა მიმართ დიდ სიმკაცრეს იჩენდა. მეორე ეპისტოლეში იგი ქრისტიანებს მწვალებლების სახლში მიღებასა და მისალმებას უკრძალავს, რადგან ისინი ქრისტეს მტრები არიან: **რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღურებაჲ არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთა და „გიხაროდენ“ ნუ ეტყჳთ მას** (2 ინ. 1,10).

სიბერემ და ფიზიკურმა დაუძლურებამ წმ. მოციქულს ოდნავადაც ვერ შეუმცირეს სურვილი ქრისტეს სასუფევლის ხარებისა და მგზნებარე სიყვარული მოყვასისა. ძველი ავტორები (კლიმენტი ალექსანდრიელი, ევსევი) გადმოგვცემენ ამბავს, რომელიც ნათლად მეტყველებს იმ უსაზღვრო სიყვარულზე, რომლითაც მისი სული იყო აღვსილი. ერთხელ, როცა იოანე მახარებელი ეკლესიის საქმეთა გამო მოგზაურობდა, ერთ ქალაქში ერთი ახალგაზრდა განსაკუთრებით მოეწონა და იგი იქაურ ეპისკოპოსს ჩააბარა. თავიდან ეპისკოპოსი გულმოდგინედ მოეკიდა საქმეს და ახალ-

გაზრდას სარწმუნოება შეასწავლა, რის შედეგადაც იგი მოინათლა. ამის შემდეგ ეპისკოპოსმა იოანე ღმრთისმეტყველის თხოვნა შესრულებულად ჩათვალა და ახლად მონათლული უყურადღებოდ დატოვა. მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ჭაბუკი ცუდ წრეში მოხვდა და ბოლოს ისე დაეცა, რომ ავაზაკთა ბრბოს სისასტიკით განთქმული უფროსი გახდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მახარებელს იმ ქალაქში ჩასვლა ისევ მოუხდა და ახალგაზრდა მოიკითხა. ეპისკოპოსმა ცრემლებით უამბო ყოველივე და უთხრა, რომ ყმაწვილი დაიღუპა, რადგან ღმრთისა და მარადიული ცხოვრებისთვის მოკვდა! ჭაბუკის ხვედრმა წმ. მოციქული დიდად დაამწუხრა. „ასე გმართებდა შენთვის მონდობილი ძმის სულზე ზრუნვა?“ – ჰკითხა მან ეპისკოპოსს და იმ მთებისკენ გაემართა, სადაც ავაზაკთა ბრბო თარეშობდა. ყაჩაღებმა იგი შეიპყრეს და წინამძღოლს მიჰგვარეს. ჭაბუკმა მოხუცი იცნო და იმდენად შეძრწუნდა, რომ მის სიახლოვეს ყოფნა ვერ აიტანა და გაიქცა. იოანე მას გაეკიდა და თან ვედრებით მისძახოდა: „შვილო ჩემო, რატომ გაურბიხარ მამას? შემიბრალე შვილო, ნუ გეშინია, მე ვიქნები პასუხისმგებელი ქრისტეს წინაშე. მზად ვარ ჩემი სიცოცხლე შენსას შევსწირო. შეჩერდი და მომისმინე, მერწმუნე, შენთან მე თვითონ ქრისტემ გამომგზავნა“. ბოლოს, წმ. მოციქულის სიყვარულით დამარცხებული ავაზაკი გაჩერდა, იარაღი გადააგდო, მარჯვენა ხელს, რომლითაც ამდენი ბოროტება ჰქონდა ჩადენილი, მალავდა, ერთიანად ცახცახებდა და ცრემლებად იღვრებოდა. იოანემ იგი გულში ჩაიკრა, გაამხნევა და თან წაიყვანა. მასთან ერთად ლოცულობდა და მარხულობდა, მასთან ერთად კითხულობდა წმ. წერილს და მხოლოდ მაშინ დატოვა, როცა ღრმა სინანულით ცოდვებისგან განწმენდილი ახალგაზრდა ქრისტიანთა საზოგადოებაში ისევ მიიღეს.[12]

აღსასრულის წინ წმ. მოციქული მორწმუნეთა კრებაზე მისმა მოწაფეებმა ხელში აყვანილი შეიყვანეს. გრძელი შეგონების წარმოსათქმელად მას უკვე ძალა აღარ ყოფნიდა და მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებდა: **შვილნო, გიყვარდეთ ერთმანეთი.** როცა ერთხელ მოწაფეებმა ჰკითხეს, რატომ იმეორებდა ასე ხშირად ერთსა და იმავეს, მან უპასუხა: **იგი უფლის მცნებაა, მასში მთელი**

[12] **Евсевий Памфил,Церковная история, III, 23.**

მისი მოძღვრების არსია ჩადებული.

წმ. იოანე ღმრთისმეტყველმა წმიდათა თანა II საუკუნის პირველ წლებში განისვენა. მისი ყველაზე ცნობილი მოწაფენი წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი, პაპია იერაპოლელი და სმირნის ეპისკოპოსი, წმ. პოლიკარპე იყვნენ.

მოციქულთა მოწაფენი. პირველი სახე ქრისტიანული ღმრთისმსახურებისა

იოანე ღმრთისმეტყველის გარდაცვალებით დამთავრდა ქრისტიანობის პირველი საუკუნე, საუკუნე მოციქულებისა; ყველამ, ვინც განხორციელებული სიტყვა ღმრთისა – იესო ქრისტე იხილა და მოუსმინა, უფალსა შინა განისვენა, მაგრამ მოციქულებმა ძალაუფლება, რომელიც მაცხოვრისაგან მიიღეს, მემკვიდრეობით თავიანთ მოწაფეებს გადასცეს. ამიერიდან მათ უნდა ექადაგებინათ სახარება ყველა ხალხისათვის, საიდუმლონი აღესრულებინათ და ღმრთის სიტყვის შემწყნარებელნი ყოვლადწმიდა სამების სახელით მოენათლათ. როგორც ვიცით, იესო ქრისტემ თავის ეკლესიას მუდმივად მასთან ყოფნა აღუთქვა. ამ აღთქმის სასოებით განმტკიცებული ეკლესია თავიდანვე უშიშრად შეხვდა მრავალრიცხოვან მტერთა თავდასხმებს. ნაცვლად დაუძლურებისა, ყოველი ახლადატეხილი დევნა და შევიწროვება, პირიქით, მის გაზრდასა და განმტკიცებას უწყობდა ხელს. ქრისტიანთა მოთმინება და კეთილმოქალაქეობა იმ სახელმწიფოში, რომელიც მათ დაუნდობლად დევნიდა, თვით წარმართებსაც კი აოცებდა.

მოციქულთა მრავალრიცხოვან მოწაფეთაგან ზოგი ქრისტესთვის თავდადებითაა ცნობილი, ზოგიც – წერილებით, რომელნიც პირველი ეკლესიის შესახებ ძვირფას ცნობებს შეიცავენ. მათ შორისაა წმ. კლიმენტიც, რომლის ცხოვრებაც შედარებით ვრცლადაა შემონახული. იგი რომში, მდიდარსა და ცნობილ ოჯახში დაიბადა, რომელიც იმპერატორს ენათესავებოდა. კლიმენტი ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა დედამისი ორ უფროს ვაჟთან – ტყუპებთან ერთად შორეულ მოგზაურობაში წავიდა. ზღვაზე მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარიშხალმა მათი ხომალდი დაამსხვრია. მართა-

ლია, მგზავრები ღმრთის ნებით გადარჩნენ, მაგრამ ერთმანეთს დაშორდნენ და დაიფანტნენ. ასე რომ, არც დედამ და არც მისმა ვაჟებმა ერთმანეთზე არაფერი იცოდნენ. დედა ერთმა კეთილმა ქალმა შეიფარა, ხოლო შვილები ყაჩაღებს ჩაუვარდათ ხელში, რომელთაც ისინი კესარიაში ვიღაც ქალს, იუსტას მონებად მიჰყიდეს. მონობის სიმწარე ძმებს ქალბატონის დედობრივმა სიყვარულმა შეუმსუბუქა, მაგრამ წინ კიდევ უფრო დიდი წყალობა ელოდებოდათ. კესარიაში მათ პეტრე მოციქულს მოუსმინეს, დაემოწაფნენ და მოინათლნენ. ამასობაში მამამ დაკარგული ცოლ-შვილის მოძებნა გადაწყვიტა, პატარა კლიმენტი რომში დატოვა და თვითონ გზას გაუდგა. მან მხოლოდ ის შეიტყო,რომ ხომალდი, რომელზეც მისი მეუღლე და შვილები იმყოფებოდნენ, დაიღუპა. მწუხარებისაგან სასოწარკვეთილმა რომში დაბრუნება აღარ მოისურვა, ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში გადადიოდა და სიგლახაკეს ნებით ითმენდა.

რომში დარჩენილ კლიმენტის წარმართი მასწავლებლები ზრდიდნენ, სიმდიდრე და ფუფუნება, რომელშიც ცხოვრობდა, ნუგეშს ვერ სცემდა მშობლების ალერსს მოკლებულ ყრმას, რომელიც მისი ასაკისათვის შეუფერებელი სევდითა და გულჩათხრობილობით გამოირჩეოდა. ყველაფერი, რაც კი ამქვეყნად ადამიანს სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებს, მათ შორის სიმდიდრეცა და ამსოფლიური სიბრძნეც, რომელსაც ასე გულმოდგინედ ასწავლიდნენ, კლიმენტის ფუჭად და ამაოებად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ უფალმა წყალობა მოიღო და იგი ერთ ქრისტიანს შეხვდა, რომელიც ახალი სამყაროს, ცხოვრების მიზნის აღმოჩენაში დაეხმარა. კლიმენტიმ გადაწყვიტა უშუალოდ მოციქულთათვის მოესმინა და იმ ქვეყანაში წავიდა, სადაც ისინი ქადაგებდნენ. მან მართლაც მოუსმინა ბარნაბასა და პეტრეს, ჭეშმარიტი მოძღვრების ნათელს გულის კარები გაუღო და მოინათლა. ამასობაში მოულოდნელად იგი თავის ძმებსა და დედას შეხვდა, ხოლო ბოლოს მამასაც, რომელიც თავსდატეხილ უბედურებას ნაადრევად მოეტეხა. ასე რომ, მთელი ოჯახი ჭირთა თმენით გამობრძმედილი და ღმრთის მიერ სასწაულებრივად დაცული, ისევ ერთად შეიკრიბა, რომში დაბრუნდა და ქრისტიანობის გასავრცელებლად იღვწოდა. თვითონ კლიმენ-

ტი რომში მოციქულებს – პავლესა და პეტრეს შეუერთდა. პავლე მოციქული ფილიპელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში მას თანამოღვაწეთა შორის იხსენიებს და იმათ რიცხვს მიაკუთვნებს, რომელთა სახელებიც ცხოვრების წიგნშია ჩაწერილი: **შეიწყნარენ ეგენი, რომელნი-ეგე სახარებასა მას თანა-მოღუაწე მექმნეს მე კლემენტოსითურთ, და სხუათა მათ თანა-შემწეთა ჩემთა, რომელთა სახელები წერილ არს წიგნსა მას ცხორებისასა** (ფილპ. 4,3).

ფიქრობენ, რომ აღსასრულის წინ პეტრე მოციქულმა კლიმენტის ეპისკოპოსად დაასხა ხელნი, მაგრამ ეს თანამდებობა მას ლინასა და ანაკლიტეს შემდეგ, 98 წელს უნდა დაეკავებინა. მტკიცე რწმენისა და სათნოებით აღსავსე ცხოვრების გამო, იგი დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა. როცა კორინთოს ეკლესიაში შუღლი და განხეთქილება ჩამოვარდა, იქაურმა ქრისტიანებმა დასახმარებლად კლიმენტის მიმართეს, რომელმაც მათ ორი ეპისტოლე მისწერა. ეს ეპისტოლენი ქრისტეს მოძღვრების ღრმა გააზრებითა და ზემოქმედების ძალით მოციქულთა ეპისტოლეებს უმშვენებენ მხარს. კლიმენტი კორინთელებს მოუწოდებს, დათმონ სიამაყე და იესო ქრისტეს სიყვარულით მორჩილება შეიმოსონ. ძველ ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებული მოწონებით პირველი ეპისტოლე სარგებლობდა, რომელსაც ღმრთისმსახურებისას კითხულობდნენ. მასში იმდროინდელი ეკლესიის მდგომარეობისა და ადათ-წესების შესახებ მრავალ საინტერესო ცნობას ვხვდებით.

პირველი საუკუნის ბოლოს, გაღიზიანებულმა წარმართებმა კლიმენტი იმპერატორ ტრაიანესთან დაასმინეს, რომელმაც იგი ტავრისის ხერსონესზე (ახლანდელი ყირიმი) გადაასახლა, სადაც პატიმრებს ქვის სამტეხლოებში ამუშავებდნენ. კლიმენტიმ სასჯელიც ქრისტეს სამსახურისთვის გამოიყენა. მისი ქადაგების შედეგად მრავალი მოინათლა, რის გამოც ამ მხარის წარმართმა მმართველმა სიკვდილი მიუსაჯა. მას ყელზე ღუზა მოაბეს და ზღვაში ჩაძირეს. მრავალი საუკუნის შემდეგ წმინდანის ნაწილები სლავთა განმანათლებლებმა, კირილემ და მეთოდემ ამოიღეს. ასე რომ, წმ. კლიმენტი რომაელი წმ. ანდრია პირველწოდებულის შემდეგ პირველი იყო, ვინც სლავებს უქადაგა. მისი მოწამეობრივი აღსასრული 100 წელს

უნდა მომხდარიყო. რომში დღესაც დგას ძველი ეკლესია, რომელიც კლიმენტის სასახლის ნანგრევებზეა აშენებული.

მოციქულთა უშუალო მემკვიდრე იყო ერმიც, რომელსაც პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში სალამს უთვლის. როგორც ფიქრობენ, მას უნდა დაეწერა წიგნი სახელწოდებით „მწყემსი“. ათენელ ეპისკოპოს კოდრატეს ქრისტიანობის აპოლოგია დაუწერია და იმპერატორისთვის გადაუცია. მართალია, ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მის შინაარსს ძველი საეკლესიო მწერლები იხსენებენ. ჩვენამდე ნაწყვეტების სახით შემორჩა პაპია იერაპოლელის წიგნი „განმარტება უფლის გამოთქვამთა.“[13] მან ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და 166 წელს აღესრულა. დიონისე არეოპაგელი, პავლე მოციქულის მოწაფე, რომელსაც ხუთი თეოლოგიურ-ფილოსოფიური თხზულებისაგან შემდგარი კორპუსი მიეწერებოდა, იმპერატორი დომიციანეს დროს ატეხილი დევნისას აღესრულა.

პირველ ეკლესიას, რომელშიც მაცხოვრის მოციქულები და მათი მოწაფენი მოღვაწეობდნენ, უკვე თავისი ადათ-წესები ჰქონდა, რომელთა შესახებაც ცნობებს წმ. წერილი, კერძოდ, „საქმე მოციქულთა“ და ეპისტოლენი გვაწვდიან. მოციქულთა სწავლებას ეკლესია უდიდესი მოკრძალებით ეპყრობოდა და მოწიწებით იცავდა. პირველი სამი საუკუნის მანძილზე შეკრებილ იქნა „წესები და დადგენილებანი მოციქულებისა“, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა ძველი ეკლესიის იერარქიისა და ღმრთისმსახურების შესასწავლად.

ახლადმოქცეულს ნათლობის წინ ქრისტეს მოძღვრებას განუმარტავდნენ, რასაც „განმზადება“ ეწოდებოდა. ამას მოჰყვებოდა რწმენის აღიარება, რომლის გამოსახატავად თავდაპირველად დადგენილი ტექსტი არ არსებობდა. მორწმუნე თავის რწმენას გულისაგან ნაკარნახევი სიტყვებით გამოხატავდა. მაგალითად, ერთმა ეთიოპიელმა დიდებულმა, რომელიც მოციქულმა ფილიპემ მოაქცია, თავისი რწმენა ასე აღიარა: „მრწამს, რომ იესო ქრისტე ღმრთის ძეა“. ნათლობა წმინდა სამების სახელით ჩვეულებრივად წყალში სამგზის შთაფლვით აღესრულებოდა, რაც ძველი

[13] **Евсевий Памфил, III, 39.**

კაცის დასაფლავებას, მისი ცოდვების მოკვდინებასა და ახალი ცხოვრებისათვის დაბადებას განასახიერებდა. „საქმეში“ ხშირად იხსენიება მთელი ოჯახების მონათვლა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თავდაპირველად ჩვილებსაც ნათლავდნენ. ახლადმონათლულნი ცოდვებისაგან განბანისა და სულიერად განწმენდის ნიშნად თეთრი, სპეტაკი სამოსელით იმოსებოდნენ. ზოგიერთ ეკლესიაში არსებობდა ადათი, რომლის მიხედვითაც მათ, როგორც ახალი ცხოვრებისათვის დაბადებულ ჩვილებს, თაფლსა და რძეს ასმევდნენ. ნათლობის შემდეგ მოციქულები მონათლულებს ხელთდასხმით სულიწმიდის მადლს ანიჭებდნენ. „საქმიდან“ ვიცით, რომ სამარიელებმა, რომლებიც მოინათლნენ, მადლი სულისა წმიდისა მანამდე ვერ მიიღეს, სანამ მათთვის პეტრემ და იოვანემ არ ილოცეს და ხელნი არ დაასხეს.[14] იგივე მოხდა ეფესოშიც. აპოლოსის მომხრეებმა სულიწმიდის მადლი და ენების ცოდნა მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, როცა მათ ხელნი პავლე მოციქულმა დაასხა. ასე რომ, ხელთდასხმის საიდუმლო ყოველთვის გამოყოფილი იყო ნათლობის საიდუმლოსაგან. შემდეგში მოციქულთა მემკვიდრეებმა ამისთვის მირონცხებაც გამოიყენეს. ამიტომ პირველი საუკუნიდან ამ საიდუმლოს **მირონის საიდუმლო** ეწოდებოდა, ხოლო ჩვენ **მირონცხებას** ვუწოდებთ.

ქრისტეს სისხლთან და ხორცთან ზიარება ანუ ევქარისტია მოციქულთა დროიდანვე ღმრთისმსახურების ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. მას აგრეთვე **პურის განტეხაც** ეწოდებოდა და თავდაპირველად სახლებში აღესრულებოდა, რადგან პირველ საუკუნეში ქრისტიანებს თავიანთი ტაძრები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. მაგრამ „მოციქულთა საქმეში“ მრავალი მითითება გვხვდება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ამა თუ იმ სახლში ერთად ლოცვისათვის განსაკუთრებული ოთახი გამოიყოფოდა და რადგანაც შემდეგში მხოლოდ ეს დანიშნულება ენიჭებოდა, ეკლესია ეწოდებოდა. პურის განტეხა ანუ ევქარისტია, რა თქმა უნდა, იმ სახით აღესრულებოდა, როგორც ეს უფალმა საიდუმლო სერობისას შეასრულა. ის რამდენიმე სიტყვა, რომლითაც მან მოწაფეებს მიმართა: მიიღეთ და ჭამეთ: **ესე არს ჴორცი ჩემი...** და: სუთ ამისგან ყოველთა: **ესე არს სისხლი**

[14] საქმ. 8, 14-17.

ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ... (მთ. 26,26-28), ლიტურგიის მთელ არსს გამოხატავს. მათ მოციქულებმა მიუმატეს მხოლოდ ვედრება პურსა და ღვინოზე სულიწმიდის გარდამოსვლისათვის.

ღმრთისმსახურება შედგებოდა აგრეთვე წმიდა წიგნების კითხვისაგან, ფსალმუნებისა და სხვა საგალობლების გალობისა და ლოცვებისაგან, რომლებშიც გამოითხოვებოდა კურთხევა ღმრთისა საიდუმლოს აღსასრულებლად შემოწირულ პურსა და ღვინოზე. მას შემდეგ, რაც ძღვენი სულიწმიდის გარდამოსვლით იკურთხებოდა, იმ მორწმუნეებს ურიგდებოდა, რომელნიც ღმრთისმსახურებას ესწრებოდნენ. დიაკვნებს ის მხოლოდ მათთან მიჰქონდათ, რომელთაც ავადმყოფობის გამო ლიტურგიაზე დასწრება არ შეეძლოთ. საიდუმლოს აღსრულების წინ დამსწრენი ერთმანეთს კოცნით ესალმებოდნენ ნიშნად იმ სიყვარულისა, რომელიც ქრისტეს შვილებს უნდა აერთიანებდეს. შემდეგ ეს წესი შეიცვალა, როგორც ჩანს, მორწმუნეთა კრებულის რიცხობრივად გაზრდის გამო, მაგრამ ხსოვნა მასზე აქამდე შემოგვრჩა სიტყვებში: „იყვარებოდეთ ურთიერთარს, რათა ერთობით აღვიარებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, სამებასა ერთარსებასა და განუყოფელსა“. საკურთხეველთან მდგარი მღვდელმსახურნი ამ წესს ახლაც ძველებურადვე აღასრულებენ და ერთმანეთს ეამბორებიან. ძღვენი, რომელიც საკურთხეველზე უსისხლო მსხვერპლშეწირვისთვის იყო საჭირო, თავად მორწმუნეებს მიჰქონდათ.

პირველი ქრისტიანები ყოველდღე ეზიარებოდნენ, ხოლო როცა დევნის გამო ღმრთისმსახურების ყოველდღე შესრულება შეუძლებელი გახდა, იგი უფლის დღეს – კვირას დაადგინეს. თავიდან, ვიდრე ყველა მოციქული იერუსალიმში იმყოფებოდა, ისინი სალოცავად ტაძარში დადიოდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, იქ ევქარისტიის საიდუმლოს აღსრულება არ შეეძლოთ. ლოცვისათვის განსაკუთრებით მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამი იყო დადგენილი, მესამე – რადგან ამ დროს სულიწმიდა გარდმოვიდა, მეექვსე – როცა უფალი ჯვარზე გააკრეს და მეცხრე – როცა იგი ჯვარზე აღესრულა.

მგზნებარე სიყვარულითა და მადლიერებით სავსე გული პირველ ქრისტიანებს განუწყვეტელი ლოცვის ძალას აძლევდა, მაგრამ როგორ ევედრებოდნენ, როგორ ადიდებდნენ ისინი უფალს? მიუხედა-

ვად იმისა, რომ ჩვენ ამის შესახებ ძალიან ცოტა ვიცით, ერთი რამ ცხადია, მსახურების წესი და რიგი თავიდანვე დადგენილი ყოფილა. როგორც გადმოცემა გვამცნობს, იაკობისა და მარკოზის ლიტურგიის წესები მოციქულთა დროიდანვე არსებობდა. არსებითად ეს ერთი ლიტურგია იყო, რომელიც ერთმანეთისაგან მხოლოდ დეტალებით განსხვავდებოდა. ღმრთისმსახურებას ქრისტიანები თავიდანვე უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ. ამაზე მეტყველებს პავლე მოციქულის ეპისტოლე, რომელშიც იგი კორინთელებს ლიტურგიის წესის მიხედვით აღსრულებისაკენ მოუწოდებს.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ „მამაო ჩვენოსთან“ ერთად „უფალო, შემიწყალეც“ მოციქულების დროიდანვე იგალობებოდა. თავიდანვე უნდა ყოფილიყო ლიტურგიაში შეტანილი, აგრეთვე, ანგელოზთა გალობანი: **წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანანი დიდებითა მისითა; დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება;** ასევე ქერუბიმთა გალობა – **ალილუია** და **დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.** აღსანიშნავია, რომ მეორე საუკუნის დასაწყისიდან წერილობითი ძეგლები უკვე ამ სიტყვებით მთავრდება.

ძალიან ადრე უნდა შეეტანათ ღმრთისმსახურებაში ასევე გალობანი ღმრთისმშობლისა – **„ადიდებს სული ჩემი უფალსა“** და სვიმეონ მიმრქმელისა – **„აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, მშვიდობით.“**

გარდა ფსალმუნებისა, ქრისტიანები ძველი აღთქმიდან იმ სიმღერებსაც გალობდნენ, რომელნიც ებრაელთა მსახურებაშიც შედიოდნენ, მაგრამ მათში გამოხატული წინასწარმეტყველებათა ახდენის გამო ახალი და უფრო მაღალი გაგება შეიძინეს, როგორიც იყო მაგალითად, ისრაელის სიმღერა მეწამული ზღვის გადალახვის შემდეგ, გალობა ანასი – სამუელის დედისა, გალობა ბაბილონელ ყრმათა და სხვ.

როგორც „საქმედან“ ვიგებთ, გარდა დადგენილი საათებისა ქრისტიანები ღამის ლოცვაზეც იკრიბებოდნენ. რაც შეეხება ევქარისტიის საიდუმლოს, დევნის პერიოდში იგი ან ღამით, ან ცისკრისას აღესრულებოდა. ხშირად შეკრების ადგილები მიწისქ-

ვეშა აკლდამები და მღვიმეები იყო. ღმრთისმსახურებისას გამოიყენებოდა სანთლები და ჩირაღდნები, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ სიბნელის გასაფანტად. მათი ანთება სულიერ ზეიმსა და სიხარულს, სიმბოლურად იმ ნათელს გამოხატავდა, რომელიც განკაცებულმა უფალმა სამყაროში მოიტანა.

ზიარების მიღება სინანულის საიდუმლოს გარეშე არ შეიძლებოდა. პავლე მოციქული ზაირების წინ სინდისის შემოწმებისაკენ მოგვიწოდებს. მძიმე ცოდვის ჩამდენთ რამდენიმე ხნით ზიარების მიღება ეკრძალებოდათ. ლოცვის შემდეგ ხელთდასხმის წესს მოციქულები ასრულებდნენ. ეს განსაკუთრებული საიდუმლო და უდიდესი საქმე იყო, რადგან რჩეულებს ისინი ამ დროს იმ ძალაუფლებას გადასცემდნენ, რომელიც თვითონ უფლისაგან მაშინ მიიღეს, როცა მაცხოვარმა უთხრა: **ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ... შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ, და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ** (ინ. 20, 21-23). უნაწილებდნენ რა მოწაფეებს თავიანთ ძალაუფლებას, მოციქულები სულიწმიდის მითითებით მოქმედებდნენ: **ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოლუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თჳსითა** (საქმ. 20, 28). პავლე მოციქული თავის მოწაფეს, ტიმოთეს აფრთხილებდა, მანამ, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ნამდვილად იყო მღვდლობის ღირსი, ნაჩქარევად ხელი არავისთვის დაესხა. მოციქულები, თუმცა მათ უფლისაგან სრული ძალაუფლება ჰქონდათ მინიჭებული, მოძღვრების გამორჩევისას სიამოვნებით ეთათბირებოდნენ მორწმუნეებს; ასე რომ, პირველი საუკუნიდანვე ეკლესიას კრებები მართავდა. მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტისას ყველა ძმას იხმობდნენ და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად შემწეობას უფლისაგან ითხოვდნენ. ასე შეიკრიბნენ მოციქულები იუდა ისკარიოტელის ნაცვლად მეთორმეტე მოციქულის არჩევისას, დიაკონების დანიშვნისას, კანონების დადგენისას. ერთმანეთის სიყვარული და ღმრთის მსახურების საქმეში მოშურნეობა ამ კრებებზე მშვიდობის სულს ამყარებდა.

სამღვდელოებაში თავიდანვე სამი ხარისხი არსებობდა: ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკვანი. ეპისკოპოსებს მოციქულები ადგენდნენ, რომელთაც, თავის მხრივ, უფლება ჰქონდათ ხელნი დაესხათ მღვდლებისა და დიაკვნებისათვის. დიაკვნები ქადაგებდნენ ღმრთის სიტყვას, ზრუნავდნენ ღარიბებსა და სნეულებზე, მონაწილეობდნენ მღვდელმსახურებაში, მაგრამ არ ჰქონდათ უფლება საიდუმლოს დამოუკიდებლად შესრულებისა. რაც შეეხება ეპისკოპოსს, მის მოვალეობებს დაწვრილებით განმარტავს პავლე მოციქული ტიმოთესა და ტიტეს მიმართ მიწერილ ეპისტოლეებში. პირველ ხანებში ეპისკოპოსებს შეეძლოთ ჰყოლოდათ ცოლები, რადგან მრავალი ადამიანი, რომელიც ღირსი იყო ამ თანამდებობის მიღებისა, ცოლიანი აღმოჩნდა. ასე რომ, თავდაპირველად ცოლის ყოლა ეპისკოპოსად ხელთდასხმისათვის დაბრკოლებად არ ითვლებოდა, მაგრამ შემდეგში მიჩნეული იქნა, რომ ისინი აუცილებლად უცოლონი უნდა ყოფილიყვნენ, რათა ოჯახის საქმეებისაგან მოცლილებს მთელი ენერგია ეკლესიის სამსახურისთვის მოეხმარათ. დადგენილ ეპისკოპოსებს მოციქულები ზედამხედველობდნენ, რასაც იოანესა და პავლეს მაგალითებიც გვიდასტურებს, რომელნიც მთელი მცირე აზიის ეკლესიას განაგებდნენ. მოციქულთა შემდეგ დანარჩენებს მთავარი ქალაქების ეპისკოპოსები ზედამხედველობდნენ, თუმცა უფლებრივად ყველანი თანასწორებად ითვლებოდნენ. ასე თანდათანობით მოეწყო ეპარქიები და წარმოიშვნენ მიტროპოლიტები და პატრიარქები.

ეპისკოპოსის მოვალეობა არაჩვეულებრივად რთული და მნიშვნელოვანი იყო; გარდა მღვდელმსახურებისა და საიდუმლოთა აღსრულებისა, მას უნდა განესაჯა ყველა ის საქმე, რომელიც ქრისტიანთა შორის აღიძვრებოდა, რადგან ქრისტიანები გასაგები მიზეზების გამო სამოქალაქო სასამართლოს არ მიმართავდნენ: ჯერ ერთი იმიტომ, რომ წარმართობის სულით გაჟღენთილი კანონები სრულიადაც არ შეესაბამებოდნენ ქრისტეს მცნებებს და მეორეც, სამოქალაქო სასამართლოებზე ქრისტიანებისაგან წარმართულ ფიცს, ან წარმართული ადათის აღსრულებას მოითხოვდნენ, რაზეც, ცხადია, ისინი უარს ამბობდნენ; ეპისკოპოსი კი სახარების სულითა და სინდისით სჯიდა. პავლე მოციქული კორინთელებს საყვედურობს

იმის გამო, რომ მათ წარმართების სამსჯავროს მიმართეს და არწმუნებს, საერთოდაც მორიდებოდნენ ჩხუბსა და კამათს, რომელიც ქრისტიანული სიყვარულის სულს არ შეესაბამება.

ქრისტიანებს კურთხევა ქორწინებისათვის აუცილებლად ეპისკოპოსისგან უნდა მიეღოთ. მოციქულთა სწავლება ცოლისა და ქმრის მოვალეობათა შესახებ გვიმოწმებს, თუ რა დიდ პატივს სცემდნენ ისინი ამ საიდუმლოს. წარმართებისაგან განსხვავებით, სადაც ქორწინება ნაკლებად პატივცემული იყო, ეკლესიის მიერ კურთხეული ქრისტიანების საქორწინო კავშირი ქრისტეს ეკლესიასთან მარადიული კავშირის სახედ ითვლებოდა. ცოლქმარს ერთობით უნდა ემსახურა ღმრთისათვის და ერთმანეთს უფლის წმიდა მცნებათა აღსრულებაში დახმარებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ყველა სახის ოჯახურმა ურთიერთობამ და მოვალეობამ იმ რწმენის საფუძველზე, რომ მიწიერი ცხოვრება მხოლოდ დასაწყისია მარადიულისა და მისთვის მზადებას წარმოადგენს, ქრისტიანულ ზნეობაში ახალი, უფრო მაღალი მნიშვნელობები შეიძინა.

რაც შეეხება ზეთისცხების საიდუმლოს, იგი სახარებაშივე იხსენიება. მოციქულები, რომელთაც უფალი საქადაგებლად აგზავნიდა, სნეულებს ზეთს სცხებდნენ და ისინიც იკურნებოდნენ. **და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს** (მარკ. 6,13).

როგორც ვხედავთ, როგორც ყველა საიდუმლო, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია დღეს ასრულებს, ისე მისი შესრულების მნიშვნელოვანი ადათ-წესები, სათავეს მოციქულთა დროიდან იღებს. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმდროინდელი ღმრთისმსახურება სრულიად უცვლელი დარჩა. უცვლელი დარჩა მხოლოდ არსი, ღმრთისმსახურება, ერთი მხრივ, შემოკლდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ახალი ლოცვებითა და გალობებით გამდიდრდა. ახალ-ახალი უბედურებანი და საფრთხენი, რომელნიც მორწმუნეებს ემუქრებოდათ, და ახალი წყალობანი, რომელთაც მათ უფალი უგზავნიდა, ქრისტიანებს ახალ ლოცვებსა და გალობებს შთააგონებდა, რომლებშიც შემწეობისათვის ვედრება და წყალობისთვის მადლობა ისმოდა.

პირველი ქრისტიანები გულწრფელი აღმსრულებელნი იყვნენ

უფლის მცნებისა – შეიყვარეთ ერთმანეთი ისე, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ. ერთმანეთი მათ მართლაც ძმებივით უყვარდათ, მდიდრები თავიანთ ქონებას ღარიბებს უნაწილებდნენ. თუ რომელიმე მხარეში ან ქალაქში შიმშილობა ჩამოვარდებოდა, ქრისტიანები თანხებს აგროვებდნენ და იქაურ ძმებს უგზავნიდნენ. ეს თვისებები სრულიად უცხო იყო წარმართებისათვის, რომელნიც მხოლოდ საკუთარ მოგებასა და სიამოვნებაზე ფიქრობდნენ, ბრწყინვალე სასახლეებსა და ცირკებს აშენებდნენ და ნადიმებისა და ზეიმებისათვის უზარმაზარ თანხებს ხარჯავდნენ. მათ საპირისპიროდ ქრისტიანული ეკლესიები, შეძლებულ წევრთა შემწეობით, თავშესაფრებისა და საავადმყოფოების აშენებისათვის ზრუნავდნენ და, თუმცა მათ ლხინსა და ზეიმებში მონაწილეობას არასოდეს იღებდნენ, უბედურების ჟამს წარმართებს უანგაროდ ეხმარებოდნენ.

პირველ ქრისტიანებს ჰქონდათ ადათი, რომლის მიხედვითაც კვირის პირველ დღეს (ე.ი. კვირას), ეკლესიის ხარჯებისა და გაჭირვებულთა დასახმარებლად ვისაც რამდენი შეეძლო, იმდენს დებდა. ამ ადათს პავლე მოციქულიც მოიხსენიებს, რომელიც სამართლიანად მიიჩნევდა იმას, რომ ჭეშმარიტი მოძღვრების მქადაგებელნი და ეკლესიის მსახურნი ქრისტიანთა საზოგადოებას შეენახა, თუმცა თვითონ თავის შენახვას საკუთარი შრომით ამჯობინებდა.[15] შემოწირულებანი ეპისკოპოსებს ან ხუცესებს ბარდებოდა; მორწმუნეებს მოჰქონდათ ასევე ღმრთისმსახურებისთვის საჭირო პური, ღვინო, ზეთი, თაფლი და რძე (ნათლობის დროს გამოიყენებოდა). ღმრთისმსახურების შემდეგ საერთო ტრაპეზს მიუსხდებოდნენ, რომელსაც აღაპი (ἀγάπη) ანუ სიყვარულის საღამო ეწოდებოდა, შემდეგში ეს ადათი, რადგან ხშირად უწესრიგობის მიზეზი ხდებოდა, დათმეს, მაგრამ სიყვარულის საღამოებმა გაგრძელება პოვა მიცვალებულთა მოხსენიებისას, როცა წლისთავზე მათ საფლავებზე შეიკრიბებოდნენ ხოლმე.

„საქმეში“ ცნობებს მარხვის შესახებაც ვხვდებით. მოციქულები საქადაგებლად წასვლის წინ ყოველთვის მარხულობდნენ. აღდგომის წინა ორმოცდღიანი მარხვა და ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვები მოციქულთა დროიდან იყო დაწესებული.

[15] II კორ. 11, 8-9.

ძველი აღთქმის ეკლესიის მთავარ დღესასწაულებს უკვე ახალი, უფრო მაღალი შინაარსი ჰქონდა შეძენილი. მაგალითად, პასექი, რომელსაც ადრე მხოლოდ ეგვიპტის მონობიდან განთავისუფლების ზეიმით აღნიშვნის შინაარსი ჰქონდა, ქრისტიანისათვის უპირველესად ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობიდან ქრისტეს სისხლითა და სიკვდილით თავის დახსნას გულისხმობდა. მეერგასე დღეს სინას მთაზე შჯულის მიღებას, როგორც მორწმუნეებზე სულიწმიდის გარდამოსვლას, ისე დღესასწაულობდნენ. მაცხოვრის ადღგომის დღემ – კვირამ ებრაელთა შაბათი შეცვალა. პირველი მწერლები ქრისტიანთა მიერ ჯვრის გამოსახვაზეც გვაწვდიან ცნობებს. ისინი, როგორც წესი, ყოველი საქმის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ ჯვარს გამოსახავდნენ. ძველი ავტორები ასევე იხსენიებენ ეკლესიის მსახურ ქალებს, რომელთაც დიაკონისები ეწოდებოდათ. თავდაპირველად მათ იმ ქვრივებიდან ირჩევდნენ, რომლებიც არანაკლებ სამოცი წლისანი იყვნენ და პატიოსნებით გამოირჩეოდნენ. შემდეგში ეს საქმე იმ ქალწულებსაც მიენდო, რომელნიც ქორწინებაზე უარს ამბობდნენ. დიაკონისების მოვალეობას ავადმყოფებზე ზრუნვა, ახლადმოქცეულ ქალთა დარიგება და ნათლობისას მღვდელმსახურის მომსახურება შეადგენდა.

პირველი ერეტიკული მიმდინარეობანი

დაცემულმა ანგელოზმა, რომელიც ამპარტავნობამ სიბნელისა და ბოროტების თავადად აქცია, პირველი ადამიანების ცდუნება მოახერხა, შემოქმედს დააშორა და სამოთხე დააკარგვინა, მაგრამ სახიერმა და კაცთმოყვარე უფალმა კაცთა მოდგმა, რომელიც **ხატად თვისად შექმნა,** ცოდვისა და სიკვდილის მარადიული ტყვეობისათვის არ გაწირა და ამ საშინელი მონობიდან გამოსასყიდად ძე თვისი საყვარელი, იესო ქრისტე მოგვივლინა. მართლაც, მაცხოვარმა ჯვარზე ტანჯვითა და სიკვდილით სამარცხვინო ტყვეობიდან გამოგვისყიდა, მაგრამ როგორც ქმნილებას, რომელსაც შესაქმისას თავისუფლება მიანიჭა, არჩევანის უფლება დაგვიტოვა: მხოლოდ ღმრთის ნებით ვერ გადავრჩებით, ამისთვის ჩვენი ნებაც საჭიროა, გადარჩენა ჩვენც უნდა გვინდოდეს. ჩვენი გადარ-

ჩენა კი იმ მოძღვრების სიწმინდის დაცვაში მდგომარეობს, რომელიც თვითონ განკაცებულმა უფალმა გვიქადაგა, და იმ მცნებების აღსრულებაში, რომელიც მანვე გვიანდერძა. ამიტომ, ბუნებრივია, ღმრთისა და ადამიანის მარადიული მტერი მისი სიწმინდის ამღვრევითა და დამახინჯებით უპირველესად ამ ფასდაუდებელი განძის წართმევას შეეცადა.

ჭეშმარიტი მოძღვრების შერყვნის მცდელობანი უკვე პირველ საუკუნეში არსებობდნენ. იმ ცდუნებათა შესახებ, რომელთა წინაშეც მორწმუნენი აღმოჩნდებოდნენ, ჯერ კიდევ იესო ქრისტე აფრთხილებდა მოწაფეებს: **შეუგვანებელ არს საცთურისა არა მოსლვაჲ, ხოლო ვაჲ, ვისგან მოვიდეს** (ლუკ. 17,1). მართლაც, მალე გამოჩნდნენ ცრუ მოძღვრები, რომლებიც ღმრთის სიტყვის, სახარების განმარტებას წარმართული ფილოსოფიისაგან, იუდეურ და აღმოსავლურ სწავლებათაგან ნასესხები უგუნური იგავებით ცდილობდნენ. მათი „მოღვაწეობის“ მიზანი სინამდვილეში სახარების სწავლების არა განმარტება, არამედ დამახინჯება იყო, რაც საბოლოოდ ღმრთის – იესო ქრისტეს უარყოფას ითვალისწინებდა, თუმცა ამ დროს თავს ქრისტეს მიმდევრებად აცხადებდნენ. ერეტიკულ, ცრუ მოძღვრებათა ყველაზე დიდი საშიშროება, რომელსაც ისინი ადამიანებს უქმნიან, მათ სივერაგეში მდგომარეობს: ღმრთის სახელით ებრძვიან ღმერთსა და მის ეკლესიას.

ერთ-ერთი პირველი სექტა, რომელიც იუდაიზმის საფუძველზე წარმოიშვა, **ნაზორეველთა სექტა** იყო. ზოგიერთი იუდეველი, მართალია, ყოვლადწმიდა სამების სახელით ინათლებოდა, მაგრამ ნათლისღების შემდეგაც ხელს არ იღებდა იმ უფლებებსა და უპირატესობაზე, რომელიც მხოლოდ ებრაელთა ერის საკუთრებად მიაჩნდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ წარმართები მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩებოდნენ, თუ ჯერ მოსეს სჯულს მიიღებდნენ და მის ადათებს მკაცრად დაიცავდნენ. ამიტომაც სძულდათ პავლე მოციქული, რომელიც ასწავლიდა, რომ ქრისტეს აღმსარებლისათვის მოსეს სჯულის მიღება და ადათების შესრულება სრულიად ზედმეტი იყო.

იერუსალიმის დაცემისა და ტაძრის დანგრევის შემდეგ, ის იუდეველები, რომლებიც ამ უბედურების მიზეზს მოსეს სჯულისაგან

განდგომაში ხედავდნენ, ქრისტიანულ სწავლებას კიდევ უფრო მეტად დაშორდნენ. ამ დროს წარმოიშვა **ებიონელთა სექტა,** რომელიც უჩვეულო სიზუსტით იცავდა სჯულის ადათებს. მისი მიმდევრები ძველი აღთქმიდან მხოლოდ მოსეს ხუთწიგნეულს აღიარებდნენ, ხოლო ახალი აღთქმიდან – მხოლოდ მათეს სახარებას და ისიც დამახინჯებული სახით. რა თქმა უნდა, ასეთმა დაპირისპირებამ მოსეს სჯულისა სახარების მოძღვრებასთან შედეგიც შესაფერისი გამოიღო, – ებიონელები ქრისტეს როგორც ღმერთს უარყოფდნენ და მას ჩვეულებრივ ადამიანად თვლიდნენ, რომელმაც ღმრთეებრივი ძალა ნათლობისას მიიღო.[16]

ჯერ კიდევ ქრისტემდე, აღმოსავლეთში წარმოიშვა სწავლებანი, რომელნიც ცრუ განმარტებებს იძლეოდნენ სამყაროს შექმნის, სიკეთისა და ბოროტებისა და მათ შორის არსებული ბრძოლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის სწავლულებისათვის ძველი აღთქმის წიგნები ცნობილი იყო, მათ მოსეს თხრობა ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ სამყაროს შექმნაზე არასაკმარისად ჩათვალეს და ძიება მისი წარმოშობის მიზეზებისა თვითონ დაიწყეს. წმ. ბასილი დიდის სიტყვებით რომ ვთქვათ, **რამდენადაც მათ ღმერთი ვერ იცნეს, ვერც ყოველთა დაბადების გონიერი მიზეზი გულისხმაყვეს და სხვა დასკვნებიც ერთმანეთის მიყოლებით ამ პირველი უგუნურების შესაბამისად გამოიტანეს.**[17] ერთ-ერთ ამგვარ უგუნურ დასკვნას ის წარმოადგენდა, რომ ყველა ქმნილება ორი საწყისის – კეთილისა და ბოროტის მიერ შექმნილად აღიარეს, რომელნიც განუწყვეტლივ ებრძვიან ერთმანეთს. რაც შეეხება ხილულ სამყაროს, ამ სწავლებათა მიხედვით, მის შემქმნელად სიბნელისა და ბოროტების სულია მიჩნეული.

აღმოსავლურ მოძღვრებათაგან, რომელნიც პალესტინაში და სირიაში ვრცელდებოდნენ, ზოგიერთი იუდაიზმს შეერწყა, ზოგმაც რამდენიმე ქრისტიანული ჭეშმარიტება შეითვისა, თუმცა საკუთარი მიზნებისდაშესაბამისად, დამახინჯებული. ერთი ასეთი ცნობილი ცრუ მოძღვართაგანი სიმონ მოგვი იყო. ჯერ კიდევ

---

[16] **Евсевий Памфил, III, 27.**

[17] **ბასილი დიდი, თხზულებანი, ჰომილიები ექვსი დღისათვის, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა გ. კოპლატაძემ, თბ., 2002, გვ. 206.**

მისი მასწავლებელი დოსითეოსი სამარიაში თავს მესიად ასაღებდა; მისმა მოსწავლეებმა, მათ შორის მენანდრემ, სიმონ მოგვმა და სხვებმა, მასწავლებლის მოძღვრება განავითარეს, რომელსაც შემდეგში **გნოსტიციზმი** ეწოდა, ხოლო მიმდევრებს, რამდენადაც პრეტენზიას უმაღლეს ცოდნაზე აცხადებდნენ – გნოსტიკოსები (მცოდნეები). მართალია, გნოსტიციზმი მრავალ სექტად დაიშალა, მაგრამ შეხედულებათა სისტემის საფუძველი ერთი დარჩა – კერძოდ, აღიარება იმისა, რომ ხილული, მატერიალური სამყარო ბოროტებისა და სიბნელის სულმა შექმნა, და რომ კეთილი საწყისი – ადამიანის სული მატერიას ანუ ხორცს მუდამ უნდა ებრძოდეს. სიმონის ზოგიერთი მოწაფე ამტკიცებდა, რომ ღმრთისაგან, ანუ ყოფიერების სისავსის წყაროსაგან, მსგავსად მზის სხივებისა, მეორეხარისხოვანი ძალები გამოდიან, რომელთაც შექმნა შეუძლიათ, მაგრამ რამდენადაც მეტად შორდებიან ღმერთს – თავიანთ წყაროს, იმდენად უფრო და უფრო სუსტდებიან. ამ ძალებს ისინი ეონებს უწოდებდნენ. გნოსტიკოსთა შეხედულებით, ხილული სამყარო, რომელშიც სიკეთესა და ბოროტებას, სინათლესა და სიბნელეს შორის მუდმივი ბრძოლაა გაჩაღებული, ყველაზე სუსტმა ეონმა შექმნა. ბოლოს ღმრთეებამ სამყაროს გადასარჩენად საუკეთესო და მაღალი ეონის გამოგზავნა გადაწყვიტა, რომელსაც შეეძლო სამყარო სიბნელისა და ბოროტების მეუფებისაგან მარტოს გაეთავისუფლებინა. ზოგიერთი გნოსტიკოსი ამგვარ ეონად იესო ქრისტეს მიიჩნევდა, სიმონ მოგვი კი თვლიდა, რომ ღმრთის დიდი ძალა,[18] სამყაროს გასათავისუფლებლად წარმოგზავნილი, თვითონ იყო. მისი თანამოაზრე მენანდრე თავს სულიწმინდად ასაღებდა და ვინც ამას ირწმუნებდა, უკვდავებას ჰპირდებოდა.[19] გარდა ამ მცდარი შეხედულებებისა, გნოსტიკოსები ქრისტიანობას იმითაც უპირისპირდებოდნენ, რომ სხეულის აღდგომას უარყოფდნენ და, რაც მთავარია, თვით იესო ქრისტეს შესახებ ბევრს კამათობდნენ. ერთნი მის ადამიანურობას უარყოფდნენ, ხოლო მეორენი – ღმრთეებრიობას, იმ მოტივით, რომ ძე ღმრთისას არ შეეძ-

[18] **Евсевий Памфил, II, 13; Св. Иустин философ и Мученик, Творения, М., 1995.**

[19] **Евсевий Памфил, III, 26.**

ლო შეესხა ადამიანური ხორცი, რომელიც ბოროტებას წარმოადგენს. ასე მაგალითად, კერინთე და მისი მიმდევრები ებიონელთა მსგავსად ამტკიცებდნენ, რომ იესო ქრისტე ჩვეულებრივი კაცი იყო, რომელზეც სული ღმრთისა ნათლობისას გადმოვიდა, მაგრამ ჯვარზე გაკვრის და ტანჯვის წინ განშორდა; სხვები ასწავლიდნენ, რომ იესო ქრისტე ძე ღმრთისა კი იყო, მაგრამ კაცობრივი გარეგნობა მხოლოდ მოჩვენებითად შეიძინა და ამიტომაც ჯვარზე გაკრულს ტანჯვა არ განუცდია. ამ თვალსაზრისის დამცველებს **დოკეტები** ეწოდებოდათ (სიტყვიდან δοκέω – მეჩვენება).

ადამიანის პიროვნება იმისდა მიხედვით ყალიბდება, თუ რა სწამს მას, როგორია მისი მრწამსი. ცხადია, ცრუ სწავლებანი მათი მიმდევრების ცხოვრების ნირზე უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ. იმ შეხედულების საფუძველზე, რომ უხილავი სამყარო, სული – საწყისი სიკეთისა ხორცს ანუ ხილულ სამყაროს მუდამ უნდა ებრძოდეს, ზოგიერთები მკაცრ თავშეკავებას უმაღლეს და თითქმის ერთადერთ სათნოებად თვლიდნენ; განუწყვეტლივ მარხულობდნენ, საერთოდ უარს ამბობდნენ ქორწინებაზე და ა.შ. ამ უკიდურესობას იმათი უკიდურესობა უპირისპირდებოდა, რომელნიც ასწავლიდნენ, რომ ადამიანისათვის ყველაფერი ნებადართულია, რადგან როცა იგი ბოროტებას უთმობს, უთმობს ძალას, რომელთანაც ბრძოლა ამაოა და გამარჯვება გამორიცხული. ყველაფრის ნებადართულობის პრინციპი მოქმედებდა **ნიკოლაიტების** სექტაშიც,[20] რომელთა სწავლებითაც, რადგანაც ქრისტემ ჯვარზე წამებითა და სიკვდილით კაცობრიობა უკვე გამოიხსნა, ადამიანები სჯულის აღსრულებისაგან განთავისუფლდნენ და რაც არ უნდა ჩაიდინონ, ცოდვა არ იქნება. ცხადია, რომ ამგვარი სწავლება მათი ფრიად უზნეო და გარყვნილი ცხოვრების საფუძველი გახდა.

ცრუ მოძღვრებებმა, რომელნიც განსაკუთრებით პირველი საუკუნის ბოლოს გავრცელდნენ, სამწუხაროდ მრავალი ქრისტიანი მიიზიდეს და შეაცდინეს. ამიტომაც იჩენდა უჩვეულო სიმკაცრეს ცხვრის ქურქში გახვეული მგლების – ცრუ სწავლების მქადაგებელთა მიმართ, რომელნიც ქრისტეს სამწყსოდან ადამიანთა სულებს

[20] **Евсевий Памфил, III, 29.**

იტაცებდნენ, წმ. იოანე ღმრთისმეტყველი და მორწმუნეებს მათთვის სახლის კარების დაკეტვისაკენ მოუწოდებდა: **ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთა და "გიხაროდენ" ნუ ეტყჳთ მას** (II ინ. 1,10).

მეოთხე საუკუნის დამდეგს რომის იმპერატორი ტრაიანე გახდა, რომელსაც წარმართები კეთილ და სამართლიან მეფედ თვლიდნენ, სამწუხაროდ, ქრისტიანების მიმართ მან სრულიად საპირისპირო თვისებები გამოამჟღავნა. ტრაიანეს ბევრჯერ მიეცა საშუალება, რათა დარწმუნებულიყო, რომ იმპერიის ყველაზე პატიოსანი და მშვიდი მოქალაქეები სწორედ ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ერთხელ ჩამოყალიბებული შეხედულების შეცვლა ვერ შეძლო და ჭეშმარიტების დასანახად ბრმა აღმოჩნდა. იმპერატორი ქრისტიანებს სხვათა შესმენით, როგორც შფოთისთავებს, ისე დევნიდა და მათ წინააღმდეგ უმკაცრეს კანონებს გამოსცემდა. მსაჯულები ქრისტიანებისაგან იმპერატორის გამოსახულების წინაშე წარმართული ადათების შესრულებას მოითხოვდნენ, კერძოდ, მათ თაყვანი უნდა ეცათ მისთვის, ან უნდა დაეფიცათ იმპერატორის გენია (ე.ი. ღმრთეება, რომელიც, წარმართების რწმენით, იმპერატორს იცავდა), საკუთრხეველზე საკმეველი უნდა ეკმიათ და მონაწილეობა მიეღოთ მეფის პატივსაცემად გამართულ მსხვერპლშეწირვაში. რა თქმა უნდა, ქრისტიანები ყოველივე ამის გაკეთებაზე უარს ამბობდნენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ იმპერატორი სძულდათ, არამედ იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ადამიანისათვის ამგვარი პატივის მიგება, სრულიად სამართლიანად, კერპთაყვანისმცემლობად მიაჩნდათ. ეს უარი მათ იმპერატორის შეურაცხყოფად ეთვლებოდათ და სასჯელიც არ აყოვნებდა.

თავისი მეფობის დასაწყისში ტრაიანემ გამოსცა კანონი, რომელიც ყველა ფარულ შეკრებას კრძალავდა. რამდენადაც სახელმწიფოსაგან დევნილი ქრისტიანები ლოცვისათვის ხშირად ღამით იკრიბებოდნენ და რამდენადაც მოუნათლავებს საიდუმლოთა აღსრულებაზე დასწრების ნებას არ აძლევდნენ, ამ კანონის გამოყენება მათ მიმართ ძალიან ადვილი გახდა. დაიწყო მკაცრი დევნა ქრისტიანებისა და მათი გადაცემა სასამართლოებისათვის. ისტორიული წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ დროს აწამეს იერუსალიმის ეპისკოპოსი წმ. სიმეონი.

იერუსალიმის აღების შემდეგ რომაელებმა იუდეველებს მის ნანგრევებზე დასახლების უფლება მისცეს. ეპისკოპოსი სიმეონის მეთაურობით, რომელიც უფლის ნათესავის, კლეოპას ძე იყო, ქალაქს ქრისტიანებიც დაუბრუნდნენ. როცა დევნა დაიწყო, როგორც ქრისტიანი და შთამომავალი დავითისა, წმ. სიმეონიც, 120 წლის მოხუცი, პროკონსულთან მიიყვანეს, რომელმაც მას წარმართული ადათის შესრულება და ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. როცა უარი მიიღო, მისი ბრძანებით სიმეონი ჯერ შეუბრალებლად აწამეს, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ჯვარზე გააკრეს.[21] წმ. სიმეონს, კლეოპას ძეს, ეკლესია 26 აპრილს იხსენიებს. იერუსალიმის ქრისტიანებმა წამებული ეპისკოპოსის ნაცვლად იოსტოსი აირჩიეს.

წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი

ქრისტიანთა დევნის მესამე პერიოდში, რომელიც რომის იმპერიაში იმპერატორმა ტრაიანემ წამოიწყო, მოწამეობრივად აღსრულებულთა შორის განსაკუთრებით გაბრწყინდა სახელი ანტიოქიის ეპისკოპოსისა. წმ. ეგნატე ღმერთშემოსილმა ქრისტეს სიყვარული წმ. იოანე ღმრთისმეტყველისაგან შეიტკბო და შეისისხლხორცა, რომელსაც ახალგაზრდობაშივე დაემოწაფა. მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სწორედ ეგნატე იყო ის ყრმა, ვინც უფალმა იხმო, მოწაფეთა შორის დააყენა და უთხრა მათ: **უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა, რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა** (მთ. 18, 3-4).

ანტიოქია, სადაც წმ. ეგნატე ცხოვრობდა, რომის იმპერიის ერთი უმთავრესი ქალაქთაგანი იყო, რომლის წარმართ მოსახლეობასაც საზოგადო თამაშობანი და სანახაობანი თავდავიწყებით უყვარდა. მაგრამ სირიის დედაქალაქში წმ. მახარებელთა – პავლეს, ბარნაბასა და პეტრეს მოღვაწეობა ამაო როდი გამოდგა. სწორედ მათი მოღვაწეობის შედეგი იყო ის, რომ ანტიოქიელთა შორის ქრისტეს ისეთი ღირსეული მიმდევრები გამოჩნდნენ, რომელთაც ქრისტია-

[21] **Евсевий Памфил, III, 32.**

ნის წოდება პირველებმა დაიმსახურეს. წმ. ეგნატე ორმოცი წლის მანძილზე იყო ეპისკოპოსი ანტიოქიისა. ბრძენი და მოსიყვარულე მწყემსმთავარი სამწყსოს უწინარესად გონიერი მგლებისაგან – მწვალებელთა ცრუ სწავლებათაგან იცავდა, რისთვისაც **საუკეთესო საშუალებად მორწმუნეთა ჭეშმარიტი მოძღვრებით განსწავლა მიაჩნდა**. მის სიტყვას განსაკუთრებულ ძალას წმინდად გატარებული ცხოვრება ანიჭებდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამწყსოს იგი უპირველესად თავისი ცხოვრებით გასწავლიდა. ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ანტიოქიის ეპისკოპოსს მთელს ქრისტიანულ სამყაროში იცნობდნენ და მის სახელს უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებდნენ. მადლიერმა სამწყსომ თავის მწყემსმთავარს ღმერთშემოსილი უწოდა, რაც უფლის მიმართ მის მგზნებარე სიყვარულზე მიუთითებდა.

106 წელს იმპერატორი ტრაიანე, რომელიც დაკებზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ახალი ომისათვის ემზადებოდა, ანტიოქიაში ჩავიდა. ქალაქის წარმართმა მოსახლეობამ გამარჯვებული იმპერატორი დიდი ზეიმით მიიღო, რომელშიც ქრისტიანებს, რა თქმა უნდა, მონაწილეობა არ მიუღიათ, რის გამოც წარმართებმა ისინი იმპერატორთან დაასმინეს. შეიტყო თუ არა ამის შესახებ, წმ. ეგნატე მეფესთან თავისი ნებით გამოცხადდა, რათა სამწყსო, თუნდაც ამისთვის საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღება დასჭირებოდა, მისი რისხვისაგან დაეფარა. ტრაიანემ იგი კუშტად მიიღო და მკაცრად ჰკითხა:

– შენა ხარ ის ბოროტი სული, რომელიც ჩემს ნებას წინ აღუდგა და ჩვენი კანონების დაუმორჩილებლობას სხვებსაც შთააგონებს?

– ღმერთშემოსილისათვის ბოროტი სული ჯერ არავის უწოდებია. ბოროტი სულები ღმრთის მონებისაგან გარბიან, – უპასუხა ეგნატემ.

– ვინ არის ღმერთშემოსილი? – იკითხა მეფემ.

– ის, ვინც გულში ქრისტეს ატარებს.

– შენ ფიქრობ, რომ ჩვენ სულში არ გვყავს ჩვენი ღმერთები, რომლებიც მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გვეხმარებიან?

– ცდები, როცა წარმართულ დემონებს განადიდებ და ღმერთებს უწოდებ. ერთია ღმერთი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა და

ერთია ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდშობილი, რომლის სასუფეველში შესვლაც მე მსურს.

– იმაზე ამბობ, პილატეს დროს რომ ჯვარზე გააკრეს? – იკითხა მეფემ.

– დიახ მასზე, რომელმაც ჩემი ცოდვები ჯვარზე მათ მიზეზთან ერთად გააკრა და თავის მონებს ეშმაკის ძალაუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ძალა მისცა.

– და შენ ამ ჯვარზე გაკრულ ქრისტეს ატარებ გულით?

– დიახ, მტკიცედ უპასუხა ეგნატემ, რადგან სწერია: **დავიმკვდრო და ვიქცეოდი მათ შორის** (2 კორ. 6,16).

ტრაიანემ ანტიოქიის ეპისკოპოსს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა და ბრძანა ბორკილდადებული რომში გაეგზავნათ. განაჩენი რომ მოისმინა, წმ. ეგნატემ ღმერთს მხურვალე მადლობა შესწირა და ბორკილები თვითონ აისხა. მოხუც ეპისკოპოსს რომისკენ მიმავალ გზაზე ათი მცველი მიაცილებდა, რომელნიც მას უხეშად ექცეოდნენ, მაგრამ ამ მოგზაურობისას წმ. მამამ სანუგეშოც ბევრი რამ ნახა და განიცადა. ცნობა იმის შესახებ, რომ ანტიოქიის დიდი მღვდელმთავარი დასასჯელად რომში მიჰყავდათ, მთელს აზიაში გავრცელდა. წმ. მოხუცისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვაში ადამიანები ერთმანეთს ეცილებოდნენ; ყველა ქალაქში, სადაც კი რომისკენ მიმავალი ხომალდი ჩერდებოდა, წმ. ეგნატესთან შესახვედრად დიდძალი ხალხი მოდიოდა, რომელიც მას ცრემლებით მიაცილებდა. ქალაქ სმირნაში იგი რამდენიმე დღე სმირნის ეპისკოპოს პოლიკარპესთან დარჩა. ამ ხნის მანძილზე მისგან უკანასკნელი დარიგების მოსასმენად და კურთხევის ასაღებად მცირე აზიის ეკლესიებიდან მრავალი ეპისკოპოსი, ხუცესი და დიაკვანი მოვიდა. ღრმა მწუხარებამ, რომელსაც ქრისტიანები საყვარელი ეპისკოპოსის მომავალი ხვედრისადმი გამოხატავდნენ, წმ. ეგნატეს იმის შიში აღუძრა, რომ შეიძლებოდა რომის ქრისტიანებს მისი დახსნისათვის ეზრუნათ, ამიტომ მან რომაელებს წერილი მისწერა, რომელშიც ევედრებოდა ქრისტესთან წამების გზით მისვლაში ხელი არ შეეშალათ. წმ. ეგნატემ სმირნიდან და ტროადიდან წერილები მცირე აზიის ეკლესიებსაც მისწერა, რომელთაგან

ერთი პოლიკარპე სმირნელისადმი იყო მიმართული. [22]

მეომრებს ნაბრძანები ჰქონდათ ეგნატე რომში დეკემბერში ჩაეყვანათ, როცა იმპერიის დედაქალაქში დიდი წარმართული დღესასწაული, ე.წ. სატურნალიები იმართებოდა. ამ დღესასწაულზე რომაელები ოქროს საუკუნეს იხსენებდნენ, რომელშიც თითქოს ადამიანები ღმერთების მამამთავრის, სატურნის, მეფობის ჟამს ცხოვრობდნენ. ზეიმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მხეცებთან ბრძოლა იყო, რისთვისაც მხეცები აფრიკის შორეული ქვეყნებიდან ჩამოჰყავდათ. ამ საზარელ სისხლიან სანახაობას პირველ ხანებში ათასობით ტყვე და დამნაშავე, ხოლო შემდეგში ქრისტიანები ეწირებოდნენ. სანახაობისათვის გრანდიოზული ხასიათის მისაცემად რომში უზარმაზარი შენობა ააგეს, რომლის მშენებლობაც იმპერატორი ვესპასიანეს დროს დაიწყო და მისი მემკვიდრის, ტიტეს დროს დამთავრდა. კოლიზეუმი, რომელსაც ვესპასიანეს ცირკსაც უწოდებდნენ, ასიათას კაცს იტევდა. ერთი ძველი მწერალი დიონ კასიოსი წერს, რომ იმპერატორი დომიციანეს დაბადების დღის აღსანიშნავად გამართული სანახაობისას არენაზე ცხრა ათასი მხეცი და უბედური მსხვერპლის უზარმაზარი რიცხვი იყო. მხეცებთან ბრძოლის შემდეგ არენას წყლით ავსებდნენ და ხალხს ახალი სანახაობით – საზღვაო ბრძოლის წარმოდგენით ართობდნენ. იმ ნანგრევებთან ერთად, რომელიც რომში დღემდე დგას, კოლიზეუმის გრანდიოზულ ნაგებობაზე ეს ფაქტიც ნათლად მეტყველებს.

როცა ხომალდი ნეაპოლს მიუახლოვდა, წმ. ეპისკოპოსმა ნაპირზე გადასვლა და რომში იმ გზით შესვლა მოისურვა, რომლითაც მასში პავლე მოციქული შევიდა, მაგრამ ძლიერი ქარიშხლის გამო ხომალდი ნაპირს ვერ მიადგა. ანტიოქიის მღვდელმთავარი და მისი მცველები ხომალდიდან ძველ ქალაქში, პორტოში გადმოსხდნენ და აქედან გააგრძელეს გზა რომისკენ. სახელოვან ეპისკოპოსს რომში ქრისტიანები უდიდესი სიყვარულით შეხვდნენ და მართლაც დაიწყეს ძებნა გზისა, რომლითაც მას სიკვდილისაგან დაიხსნიდნენ, მაგრამ წმ. მამამ მათგან ისევ ის ითხოვა, რასაც

[22] მღვდელმოწამე ეგნატე, ანტიოქიელი ეპისკოპოსი და მისი წერილები, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1988, გვ. 589.

წერილშიც ითხოვდა, მაშინ მორწმუნეები მუხლებზე დაეცნენ და უფალს ეკლესიისათვის მშვიდობა და ერთმანეთის სიყვარულით გულების აღვსება სთხოვეს, ხოლო შემდეგ ცრემლებით მოეხვივნენ ეგნატეს, რომელიც ჯარისკაცებმა დასასჯელად წაიყვანეს. უზარმაზარი ცირკი მაყურებელს ვერ იტევდა, სანახაობა დასასრულს უახლოვდებოდა. წმ. მამა გზაზე განუწყვეტლივ ქრისტეს მოუწოდებდა, როცა მეომრებმა ჰკითხეს, ამ სახელს ამდენჯერ რისთვის იმეორებდა, ეპისკოპოსმა უპასუხა, იგი ჩემს გულშია და ბაგენიც ამიტომ იმეორებენო.

წმ. მამის წამება ხანმოკლე აღმოჩნდა. არენაზე გამოსულმა ძლივს მოასწრო რამდენიმე სიტყვის თქმა, რომლითაც თავისი რწმენა გამოხატა, რომ ორი ლომი მივარდა და დაახრჩო, მაგრამ მის გვამს არ შეხებია. ეს 107 წლის 20 დეკემბერს მოხდა. მისი წმიდა გვამი ქრისტიანებმა ანტიოქიაში გადაასვენეს. წმ. ეპისკოპოსის აღსასრული მისი წამების თვითმხილველებმა – ფილონმა და აგათოპოდემ აღწერეს, რომელნიც თავიანთ მოთხრობას ასე ამთავრებენ: „ვნახეთ რა ყოველივე ეს საკუთარი თვალებით, შინ მთელი ღამე ცრემლებით გავატარეთ და იმის გამო, რაც მოხდა, ღმერთს ნუგეშისცემას მუხლმოდრეკით ვევედრებოდით. როცა დავიძინეთ, ზოგიერთმა ჩვენგანმა ნახა, რომ ნეტარი ეგნატე ჩვენთან იდგა და გვეხვეოდა. ზოგმაც იგი ჩვენთვის მვედრებელი, ხოლო ზოგმაც როგორც დიდი ჯაფის შემდეგ ოფლით დაცვარული, უფლის წინაშე მდგარი იხილეს. გავიხარეთ რა იმითი, რაც ვნახეთ, სიზმრისეული ჩვენებანი ერთმანეთს შევადარეთ და წყალობათა მომნიჭებელ ღმერთს ხოტბა შევასხით... მისი აღსასრულის წელი და დღე თქვენთვის ჩავიწერეთ, რათა მისი წამების დღეს შევიკრიბოთ და ქრისტეს მამაც მოწამესა და მოღვაწესთან კავშირი არ გავწყვიტოთ. ჩვენ მოვიხსენიებთ მის ცხოვრებასა და წამებას, და მოხსენიებისას უფალს ჩვენსას – იესო ქრისტეს განვადიდებთ“.

ფილონისა და აგათოპოდეს წერილის შინაარსი ანტიოქიის ეკლესიამ სხვა ეკლესიებსაც აცნობა. ჩვენამდე შემოინახა, აგრეთვე, წერილი სმირნელი ეპისკოპოსი პოლიკარპესი, რომელშიც ფილიპელებს სთხოვს აცნობონ, რა იციან წმ. ეგნატეს შესახებ. ყოველივე ეს იმ სიყვარულზე მეტყველებს, რომელიც იმ დროს

ქრისტეს ეკლესიას აერთიანებდა. ქრისტიანებს, მიუხედავად იმისა, სად ცხოვრობდნენ ისინი, სიხარული და მწუხარება, ჭირი და ლხინი საერთო ჰქონდათ.

ფილონისა და აგათოპოდეს წერილი კიდევ ერთი თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას: იგი გვამცნობს, რომ ქრისტიანებს წამებულთა წლისთავებზე შეკრებისა და ერთად ლოცვის ჩვეულება თავიდანვე ჰქონიათ; ამ დღეს იკითხებოდა, აგრეთვე, თხზულებაც, რომელშიც მისი ცხოვრებისა და მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ იყო მოთხრობილი. ერთ-ერთ ეპისტოლეში წმ. ეგნატე ტარსელებს სთხოვს, რომ მისი სულისათვის არა მხოლოდ ახლა, არამედ მაშინაც ელოცათ, როცა ის ღმერთთან მივიდოდა. წამებულის მოსახსენებელ დღეს ქრისტიანები სევდასა და მწუხარებას კი არ განიცდიდნენ, არამედ წმინდა სიხარულს იმის გამო, ვინც მიწიერი ცხოვრების მიზანს მიაღწია და მარადიული ცხოვრებისათვის დაიბადა. აქედან გამომდინარე, აღსასრულის დღეს ისინი დაბადების დღედ მიიჩნევდნენ. ლოცვის შემდეგ წმინდანის საფლავთან, ჩვეულებრივ, სიყვარულის სალამო იმართებოდა.

ჩვენამდე მოაღწია წმ. ეგნატეს ცამეტმა წერილმა, რომელნიც იმდროინდელი ეკლესიის მდგომარეობასა და ეკლესიურ სწავლებაზე ძვირფას ცნობებს შეიცავენ. ანტიოქიელი მღვდელმთავარი ქრისტიანებს უწინარესად რწმენის ერთიანობის დაცვისაკენ მოუწოდებს და ახლადგავრცელებული ერესებისაგან მათ დაცვას ცდილობს. იგი მკაცრად ამხელს ცრუსწავლებას დოკეტებისა, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ქრისტემ ადამიანის გარეგნობა უხორცოდ, მხოლოდ მოჩვენებითად მიიღო. ამასთან თვითონ იმათ მიმართ, რომელნიც მცდარ გზას დაადგნენ, საოცარ სიბრალულს გამოხატავს და ქრისტიანებისგან მათ მოსაქცევად ლოცვასა და მოღვაწეობას ითხოვს: **თქუენცა ილუაწეთ, რაჲთა მოაქცინეთ იგინი და მოიმოწაფნეთ, ვითარცა ქრისტეს მოწაფეთა. იქმნენით უკუე, ჰოჲ საყუარელნო, მსახურ ღმრთისა და პირ ქრისტესა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „უკუეთუ გამოიყვანოთ პატიოსანი უპატიოჲსაგან, ვითარცა პირი ჩემი იყვნეთ.“**[23] წმ. მამა მოგვიწოდებს, რომ შეცდომილთ უპირველესად ჩვენი საქმეებით ვასწავლოთ, სახელდობრ,

[23] იქვე, გვ, 612.

მათ მრისხანებას თავმდაბლობით, ბოროტმეტყველებას – ძლიერი ლოცვით, ცდომილებას – რწმენის სიმტკიცით, ხოლო უხეშობას – სიმშვიდით ვუპასუხოთ (ეფესელთა მიმართ).

წერილებში ხაზგასმულადაა წარმოდგენილი აგრეთვე მნიშვნელობა ქველმოქმედებისა, ძალა საზოგადო ლოცვისა, რომელიც ერთიანობის, სიყვარულისა და მშვიდობის სულით სრულდება.

წმ. ეპისკოპოსი დიდად გაახარა ცნობამ იმის თაობაზე, რომ მისი რომში გადაგზავნის შემდეგ ანტიოქიაში ქრისტიანთა დევნა, რომელიც ანტიოქიელებმა ღირსეულად დაითმინეს, შეწყდა და მაცხოვრის მიმდევრებს მშვიდობის ჟამი დაუდგათ. **აღმიმცირნა და აღმისუბუქნა უფალმან საკრველნი ჩემნი, რამეთუ ვცან მშვიდობაჲ თქუენი და სულიერად და ჴორციელად ერთობით და ღმრთივშუენიერად ქცევაჲ თქუენი ყოველსა შინა,**[24] – წერს იგი წერილში, რომელიც თანამოქალაქეებს გზიდან გაუგზავნა. მოყვარულ მწყემსს მოახლოებული წამების წინაც სამწყსოს ბედი აწუხებდა და პოლიკარპე სმირნელსა და აზიის სხვა ეკლესიათა მეთაურებს ანტიოქიის დარბეული მრევლის შეკრებისა და მისთვის მღვდელმსახურთა არჩევისათვის ზრუნვას სთხოვდა.

წმ. ეგნატე ღმერთშემოსილის წერილებიდან ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, სწავლება ღმრთის სიტყვის განკაცებასა და ჯვარზე სიკვდილის შემდგომ მის ხორციელად ამაღლებაზე: **ხოლო მე არა ხოლო თუ შობითა ოდენ და ჯუარცუმითა უწყი ჴორცთა შესხმაჲ მისი, არამედ შემდგომად აღდგომისაცა ჴორცითავე აღვიარებ და მრწამს** (ზმირნელთა მიმართ).[25] წამებულ ეპისკოპოსს სამოციქულო ეკლესია 20 დეკემბერს იხსენებს.

პირველი ქრისტიანი მოწამენი

წინა იმპერატორების მსგავსად მიზანს ვერც ტრაიანემ მიაღწია. დევნა და შევიწროვება ქრისტიანების რიცხვს არა თუ ამცირებდა, პირიქით, უჩვეულოდ ზრდიდა, განსაკუთრებით მცირე აზიაში. როგორც რომაელი ისტორიკოსი პლინიუს უმცროსი გვამცნობს,

[24] იქვე, გვ, 593.
[25] იქვე, გვ, 582.

რომელიც ბითვინიის გუბერნატორი იყო, ამ მხარეში წარმართული ტაძრები დაცარიელდნენ. პლინიუსს, ვისგანაც ქრისტიანთა დასჯას ყოველდღე მოითხოვდნენ, როგორც თვითონვე აღიარებს, არ ესმოდა, კერძოდ, რა დანაშაულისათვის უნდა დაესაჯა ისინი. ამიტომაც გადაწყვიტა, წერილი მიეწერა იმპერატორისათვის და ეკითხა, როგორ მოქცეულიყო: მხოლოდ იმისთვის დაესაჯა ქრისტიანები, რომ ქრისტიანები იყვნენ, თუ რომელიმე კონკრეტული დანაშაულისათვის. პლინიუსი წერს: „მე ვეკითხები მათ: ქრისტიანები ხართ? თუ ისინი დადებითად მიპასუხებენ, კითხვას სამჯერ ვუმეორებ და თანაც მუქარით დაშინებას ვცდილობ; თუ ჯიუტობენ, ვსჯი, რადგან მიუხედავად იმისა, რა სწამთ, მათი სიჯიუტე უკვე დასჯის ღირსია“. ერთხელ მასთან რამდენიმე ადამიანი დაასმინეს ქრისტიანობის გამო. დასმენილებმა ბრალდება უარყვეს და იმის დასამტკიცებლად, რომ ქრისტიანობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ, წარმართული ადათები შეასრულეს. პლინიუსმა ისინი გაუშვა, „რადგან, – წერს იგი, – შეუძლებელია ამაზე დაითანხმო ისინი, რომელნიც ჭეშმარიტად ქრისტიანები არიან“. აი, წარმართი ავტორის ძვირფასი ცნობა ძველ ქრისტიანთა სულიერ სიმტკიცესა და რწმენისადმი ერთგულებაზე.

პლინიუს უმცროსი საინტერესო ცნობებს იძლევა ქრისტიანთა წეს-ჩვეულებებზეც. როგორც იგი წერს, ქრისტიანები დანიშნულ დღეს, განთიადის წინ იკრიბებოდნენ და ქრისტეს, როგორც ღმერთს გალობით ადიდებდნენ. მათ ფარულ შეკრებებში არავითარი დანაშაულებრივი განზრახვა და ჩანაფიქრი არ შეიმჩნეოდა. პირიქით, ისინი პირობას სდებდნენ, რომ არ იქურდებდნენ, არ მოიტყუებდნენ, სხვის ქონებას არ მიითვისებდნენ და ა.შ. და ამ დაპირებებს წმინდად ინახავდნენ.

საპასუხო წერილში ტრაიანე პლინიუსს უბრძანებს, რომ ქრისტიანთა მოძებნას ნურც თვითონ შეეცდებოდა და ნურც ანონიმურ დასმენებს შეიწყნარებდა, მაგრამ უკეთუ ვინმეს ქრისტიანობა დადასტურდებოდა, იმ შემთხვევაში, თუ თავის რწმენაზე ხელს არ აიღებდა, დაესაჯა.[26]

ტრაიანეს მეფობის ბოლო წლებში ქრისტიანთა დევნა თანდა-

[26] **Евсевий Памфил, III, 33.**

თან შესუსტდა და ბოლოს თითქმის შეწყდა, რაც ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეული, რომ იმპერატორის ყურადღება იუდეველებზე გადავიდა, რომელნიც ღელავდნენ და იმპერიის სხვადასხვა მხარეში შფოთს ტეხდნენ.

ტრაიანეს შემდეგ რომის იმპერატორი მისი ნათესავი ელიუს ადრიანე გახდა. სამწუხაროდ, ადრიანეს, რომელიც ნაკითხობითა და განსწავლულობით გამოირჩეოდა, სჯეროდა ჯადოქრობისა, წყევლისა, მისნობისა; აქედან გამომდინარე, მასზე დიდი გავლენა ჰქონდათ ქურუმებს, რომელთაც ქრისტიანები ჭირის დღესავით სძულდათ. წარმართული რელიგიის ერთგულებამ და ქურუმების პატივისცემამ ადრიანეც ქრისტიანთა მდევნელად აქცია.

ჩვენამდე მოაღწია ძალიან ძველმა მოთხრობამ ქრისტიანი ქალის სიმფოროზასა და მისი შვიდი შვილის მოწამეობრივ აღსასრულზე. თავისი მეფობის მეორე წელს ადრიანემ რომის მახლობლად, ტივოლში, დიდებული სასახლე აიშენა (ადრიანეს ვილის სახელწოდებით მისი ნანგრევები დღესაც დგას). ტივოლში ცხოვრობდა სიმფოროზა, რომლის ქმარიც ქრისტეს რწმენისათვის მოწამეობრივად აღესრულა, ცოლსა და შვილებს მან დიდძალი ქონება დაუტოვა. ქურუმები, რომელთაც თან ეს ქონებაც იზიდავდა, დიდი ხანია ეძებდნენ მიზეზს სიმფოროზას დაღუპვისათვის.

როცა მშენებლობა გასრულდა, ადრიანემ ყველა წარმართული ადათი შეასრულა და ქურუმების პირით შეეკითხა ღმერთებს – დიდხანს იდგებოდა თუ არა ახალი სასახლე. ქურუმებმა ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და იმპერატორს ვითომდაც ღმერთების პასუხი გადასცეს: „ხელმწიფევ, ჩვენ პასუხს არ მოგცემთ მანამ, სანამ ბოლოს არ მოუღებ შეურაცხყოფას, რომელსაც ქრისტიანი სიმფოროზა გვაყენებს, როცა ყოველი დღე თავის ღმერთს მოუწოდებს. აიძულე, მსხვერპლი შეგვწიროს და პასუხსაც მოგცემთ“.

ადრიანემ სიმფოროზა დაიბარა. ქალმა მეფის კითხვებს გაბედული პასუხები გასცა და გაიხსენა, რომ მისი ქმარიცა და მაზლიც, რომელნიც ადრიანეს ჯარში მსახურობდნენ, ქრისტეს რწმენის ერთგულებას შეეწირნენ და მოწამეობრივად აღესრულნენ. იმპერატორი სიმფოროზას დაემუქრა, რომ თუ ღმერთებს მსხვერპლს

არ შესწირავდა, თვითონ შეეწირებოდა მათ. სულიერ სიკვდილს ქალმა ხორციელი სიკვდილი ამჯობინა. იმპერატორის ბრძანებით, იგი საშინლად აწამეს და ბოლოს მდინარეში დაახრჩვეს. სიმფოროზას გვამი მდინარიდან ძმამ ამოიღო და მიწას მიაბარა. მეორე დღეს ადრიანემ სიმფოროზას ვაჟები დაიბარა და წარმართული ადათების შესრულება მოსთხოვა. მშიშარა და სულმოკლე შვიდიდან ერთიც არ აღმოჩნდა, ამიტომ სიცოცხლე წარმართული ტაძრის მახლობლად შვიდივემ წამებით დაასრულა. ადრიანემ მათი გვამების თხრილში ჩაყრა ბრძანა, როცა დევნა შეწყდა, ქრისტიანებმა გვამები თხრილიდან ამოიღეს და დიდი პატივით დაკრძალეს.

ამავე პერიოდში აღესრულა რომში წმ. სოფია და მისი სამი ქალიშვილი: ელპიდე, პისტი და აგაპე. დედამ, რომელიც იმპერატორთან გამოიძახეს, ქრისტესთვის თავგანწირვა შვილებს თვითონ შთააგონა: „ჩემო შვილებო, გაიხსენეთ, რომ ტანჯვით გშობეთ, დიდი ჯაფით აღგზარდეთ და ახლა, ქრისტეს სახელის მტკიცე აღიარებით, დედას ნუგეში ეცით“. ბავშვებმა, რომელთაგან უფროსი მხოლოდ 12 წლისა იყო, ჭეშმარიტი ღმრთის უარყოფას სიკვდილი ამჯობინეს, რის გამოც სამივე დედის თვალწინ აწამეს, თავად დედა არ უწამებიათ, რადგან იმპერატორი მიხვდა, რომ უფრო დიდ ტანჯვას, ვიდრე შვილების წამებით აღსასრულის ცქერაა, ვეღარ მიაყენებდა. სოფიას გოგონების დამარხვის უფლებაც კი არ მისცეს. სამი მცირეწლოვანი შვილის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ დიდხანს აღარც დედას უცოცხლია, იგი მესამე დღეს გარდაიცვალა.

საკუთარი სიცოცხლის ფასად დაამოწმეს აგრეთვე ჯვარცმული ღმერთის რწმენა ევსტათი პლაკიდამ და მისი ოჯახის წევრებმაც. ევსტათიმ სამსახურზე ხელის აღება და ოჯახთან ერთად იმ მხარეში გადასახლება გადაწყვიტა, სადაც თავის რწმენას თავისუფლად აღიარებდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ვიდრე განზრახვას განახორციელებდა, ოჯახის წევრებიც დაკარგა და ქონებაც. თავსდატეხილ უბედურებას ევსტათიმ რწმენის წყალობით გაუძლო, რისთვისაც უფალმა დააჯილდოვა: თავისი ოჯახიც იპოვა და სამეფო კარზე მდგომარეობაც დაიბრუნა. ერთხელ, დიდი გამარჯვების შემდეგ, მეფემ იგი მსხვერპლის შესაწირად ტაძარში მიიწვია, რაზეც უარი მიიღო. იმპერატორი გააოცა ევსტათის უმადურობამ ღმერთების

მიმართ, რომელთაც მას ოჯახის წევრებიც აპოვნინეს და მტრებზე სახელოვანი გამარჯვებაც მოაპოვებინეს. პასუხად პლაკიდამ აუხსნა, რომ მადლობას ჭეშმარიტ ღმერთს, ქრისტეს სწირავდა და უსულო კერპების სამსახური და თაყვანისცემა არ შეეძლო. ევსტათიმ, მისმა მეუღლემ და შვილებმა წამებულის გვირგვინები დაიდგეს და სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრეს.

დევნასა და წამებაზე გაცილებით დიდი ზიანი ქრისტიანებს მწვალებლურმა, ცრუ მოძღვრებებმა მიაყენეს. მათი დიდი ნაწილი გნოსტიკოსებს ეკუთვნოდათ, რომელთაც ამ ცრუ სწავლებებს უჩვეულოდ მრავალფეროვანი სახე მისცეს, თუმცა მხოლოდ გარეგნულად; შინაარსობრივად ყველას ქრისტეს ღმრთეებრიობის უარყოფა, ორი საწყისის – სიკეთისა და ბოროტების აღიარება და სამყაროს შემოქმედად გონების ანუ რაღაც ძალების მიჩნევა აერთიანებდა. გნოსტიკოსები განსაკუთრებით ალექსანდრიაში გაძლიერდნენ. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ, თუმც მათ სწავლებებს ქრისტიანობასთან საერთო არაფერი ჰქონდა, თავს მაინც ქრისტიანებს უწოდებდნენ. გნოსტიკოსებმა საკუთარი შეხედულებების გასავრცელებლად მრავალი წიგნი დაწერეს, რომელთაც მოციქულთა და ძველი დროის მამათა თხზულებებად ასაღებდნენ. ისინი არც ცრუ სახარებათა შეთხზვას ერიდებოდნენ, რომლებშიც თავს ნებას აძლევდნენ, იესოს ბავშვობაზე, ამქვეყნიურ ცხოვრებასა და ჯოჯოხეთში ჩასვლაზე თუ სხვ. გამოგონილი ამბები მოეთხროთ, მათი უზნეობა და ბიწიერი ცხოვრება ხშირად ხდებოდა მიზეზი ქრისტიანთა გაკიცხვისა, რადგან წარმართებს, რომელთაც ჭეშმარიტი და ფსევდოქრისტიანის ერთმანეთისაგან გარჩევა უჭირდათ, ისინიც ქრისტიანებად მიაჩნდათ. რა თქმა უნდა, ქრისტიანთა შესახებ საშინელ ცილისწამებათა და ჭორების გავრცელებას ხელს მათი საქციელიც უწყობდა. ერთ-ერთი ასეთი ცილისწამებით, ქრისტიანები ახლადმოქცეულს თითქოს პურის სახით ფქვილმოყრილ ჩვილს აწვდიდნენ, რომელსაც იგი ჭრიდა, რის შემდეგაც ყველანი სისხლს სვამდნენ: აი, ასე დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი უსისხლო ევქარისტია – პურისა და ღვინის გარდაქმნა ქრისტეს სისხლად და ხორცად – გაუგონარ ცილისწამებათა შედეგად. შექმნილმა ვითარებამ ქრისტიანები აი-

ძულა თავის გასამართლებელი სიტყვები – აპოლოგიები დაეწერათ. ერთ-ერთი ასეთი პირველი აპოლოგია ათენის ეპისკოპოსს, კოდრატეს ეკუთვნის, რომელმაც იგი ათენში სტუმრად ჩასულ იმპერატორ ადრიანეს გადასცა.[27] ასევე მოიქცა ათენელი არისტიდეც. ადრიანეს, რომელიც წიგნიერი კაცი იყო და ფილოსოფიური სისტემები იცოდა, ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ მხოლოდ წარმართებისაგან და ალექსანდრიელი გნოსტიკოსებისაგან ჰქონდა მოსმენილი. მართლად გადმოცემულმა ქრისტიანულმა მოძღვრებამ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ამის შედეგი იყო სწორედ მის მიერ გამოცემული ბრძანება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ის ქრისტიანები უნდა დასჯილიყვნენ, რომელნიც რაღაც დანაშაულს ჩაიდენდნენ.

არანაკლები გავლენა მოახდინა ადრიანეზე მცირე აზიის პროკონსულის სერენიუს გრანიანის წერილმა, რომელშიც იგი იმპერატორს განუმარტავდა, რა დიდი უსამართლობა იყო, ხალხის მოთხოვნით დაესაჯათ ადამიანები, რომელთაც გარდა იმისა, რომ ქრისტიანები იყვნენ, ბრალი არაფერში მიუძღოდათ. ადრიანემ, რომელსაც ახალ რელიგიაზე უკვე რამდენადმე წარმოდგენა ჰქონდა, პროკონსულს მისწერა, რომ ამიერიდან აღარ ეთხოვებინა ყური ხალხის ღრიანცელისათვის. იმპერატორის ამ მითითებამ დევნის მესამე პერიოდს ბოლო მოუღო. ერთი ძველი მწერალი ლამპიდიუსი იმასაც კი გვამცნობს, რომ თავისი მეფობის ბოლო წლებში ადრიანეს ქრისტეს ღმერთების რიგში ჩარიცხვაც კი მოუნდომებია. შევნიშნავთ, რომ ადრიანეს ბოლო ბრძანებებს ქრისტიანული რელიგიის გავლენა მართლაც ეტყობა, კერძოდ, მან აკრძალა ღმერთებისთვის ადამიანების მსხვერპლად შეწირვა, ბატონებს წაართვა უფლება მონის სიკვდილით დასჯისა! ამასობაში იუდეა საშინელმა აჯანყებამ მოიცვა. რომის იმპერატორის უღლის გადაგდებისთვის იუდეველებმა მრავალ მხარეში აჯანყებებიც მოაწყვეს. აჯანყებებს თან ენითუთქმელი, სისასტიკით გამორჩეული ბოროტმოქმედებანი სდევდა. მაგალითად, ალექსანდრიაში ისინი მოულოდნელად დაესხნენ თავს მოსახლეობას და ორასი ათასი კაცი საშინელი წამებით მოკლეს, ხოლო კვიპროსზე

[27] **Евсевий Памфил, IV, 3.**

ორასორმოცი ათასი კაცი ამოწყვიტეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სიძულვილისაგან გასასტიკებულნი მოკლულთა სისხლს სვამდნენ. რა თქმა უნდა, ბოროტებისათვის სამაგიეროს წარმართებიც ბოროტებით უხდიდნენ.

ადრიანემ აჯანყებანი იარაღის ძალით ჩააქრო. რაც შეეხება ადრიანეს, მან იუდეველები უკიდურესად გააღიზიანა იმით, რომ სოლომონის ტაძრის ადგილას კერპის საკურთხეველი ააგო. უძლურების გამო იუდეველებმა ეს მომაკვდინებელი შეურაცხყოფა დროებით ჩაყლაპეს, თან აჯანყებისათვის გამალებულ სამზადისს შეუდგნენ: საიდუმლო ხვრელებით ქალაქს იარაღითა და სურსათ-სანოვაგით ამარაგებდნენ. აჯანყებულებს სათავეში ვიღაც ბარკოხება (ვარსკვლავის შვილს ნიშნავს) ჩაუდგა, რომელიც თავს მესიად ასაღებდა. მან ქრისტიანი ებრაელების მიმხრობაც სცადა, მაგრამ, რადგან მათგან ქრისტეს უარყოფა და მესიად მისი აღიარება მოითხოვა, შეთანხმებას ვერ მიაღწია, რის გამოც, მათი დიდი ნაწილი წამებით მოაკვლევინა. ამბოხება 135 წელს მოხდა. იერუსალიმმა, რომელსაც ძველებურად დამცველი ნაგებობები აღარ ჰქონდა, რომაელთა მძლავრი ჯარის შემოტევას ვერ გაუძლო და უცბად დაეცა. სამაგიეროდ რომაელებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია მეორე ქალაქმა ვეფარიამ, რომლის მოსახლეობასაც ისე სჯეროდა თავისი წინამძღოლისა, რომ ბრძოლა ოთხ წელს გაგრძელდა. ამ აჯანყებამ ექვსიათასი ებრაელი შეიწირა. რომაელებმა იერუსალიმი ისევ დაანგრიეს, ხოლო იმ ადგილას, სადაც სოლომონის ტაძარი იდგა, გუთანი გაატარეს (რომაული კანონებით, იქ სადაც გუთანს გაატარებდნენ, შენობის აგება სენატის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე აღარ შეიძლებოდა). ნანგრევებზე ახალი ქალაქი წარმოიშვა ახალი სახელით – ელია კაპიტოლინა. იუდეველებს ძველი სიონის ახლოს დასახლება და ქალაქში შესვლა სიკვდილის სასჯელით ეკრძალებოდათ. წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ტიტეს მიერ იერუსალიმის პირველად აღების წლისთავზე, მათ უფლება ჰქონდათ ფულის გადახდის საფასურად შეეხედათ იმ ადგილისათვის, სადაც სოლომონის ტაძარი იდგა. ეს აკრძალვა არ შეხებია ქრისტიან ებრაელებს, რომელნიც აჯანყებაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ისინი ძველებურად ცხოვრობდნენ ამ ქალაქში

და ელიის ეპისკოპოსიც დანარჩენ ეპისკოპოსთა შორის ყოველთვის დიდი პატივით სარგებლობდა. ადრიანემ იერუსალიმის ქრისტიანების მიმართ თავისი დამოკიდებულება იმით გამოხატა, რომ, ქრისტეს სახელის სრული წაშლის მიზნით, ადგილებში, რომელიც ამ სახელს უკავშირდებოდა – გოლგოთაზე, ბეთლემის გამოქვაბულის თავზე თუ სხვ. – წარმართული საკერპოები და ქანდაკებები დაადგმევინა. ამავე დროს ქრისტიანი ებრაელები უკვე თანდათანობით შორდებოდნენ იუდეველებს. იერუსალიმის დაცემის შემდეგ მათ პირველად აირჩიეს ეპისკოპოსი მონათლული წარმართებიდან, მარკოზი.

რაც შეეხება ებიონელებისა და ნაზორეველების სექტებს, რომელნიც მოსეს სჯულს მკაცრად ინახავდნენ, ისინი გნოსტიკოსებს შეერწყნენ. მიიჩნიეს რა თავიანთი უბედურების მიზეზად სჯულისაგან განდგომა, იუდეველებმა მისი დეტალური შესწავლა დაიწყეს. ამ მიზნით ტიბერიადაში რაბინიზმის სკოლა გაიხსნა, რომლის წარმომადგენლებიც წმიდა წერილის ყოველი სიტყვის განმარტებას ცდილობდნენ როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ამ განმარტებებისაგან დაედო სათავე თალმუდს. სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულ იუდეველებს ორი მეთაური ჰყავდათ, რომელთაც პატრიარქებს უწოდებდნენ: ერთი ტიბერიადაში ცხოვრობდა, ხოლო მეორე – ბაბილონში.

ადრიანეს დროს ცხოვრობდა შესანიშნავი ებრაელი ქრისტიანი ეგეზიპე, პირველი მთხრობელი ეკლესიის ისტორიისა. მართალია, მის ისტორიას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ რამდენიმე ნაწყვეტი გვიანდელი დროის ისტორიკოსის – ევსევის თხზულებაში შემოგვენახა.

ქრისტიანთა დევნის მეოთხე პერიოდი წმ. მოწამე იუსტინე

ადრიანეს მიერ ქრისტიანთა სასარგებლოდ გამოცემულმა ბრძანებამ მისი მემკვიდრის, იმპერატორი ანტონინეს დროს, ძალა დაკარგა; ისევ დაიწყო დევნა-წამება და სიკვდილით დასჯა ქრისტიანებისა. ამ დროს უფალმა მის აღმსარებელთ ნუგეშად ფილო-

სოფოსი იუსტინე მოუვლინა, რომელიც მათ გაბედულად იცავდა.

იუსტინე II საუკუნის დასაწყისში დაიბადა სამარიელთა ქალაქ სიქემში, რომელსაც ფლავიუსი ნეაპოლსაც უწოდებს. მისი მშობლები მდიდარი წარმართები იყვნენ და შვილს კარგი განათლება მიაღებინეს. იუსტინე ადრევე დაინტერესდა მეცნიერებითა და ფილოსოფიით, მაგრამ წყურვილი ჭეშმარიტების ძიებისა ვერ მოიკლა. წარმართული რელიგიის ღმერთების რწმენა მას არ შეეძლო, ამიტომ კითხვები, რომელიც აწვალებდა, კერძოდ, რაშია დანიშნულება ადამიანისა და მიზანი მისი ცხოვრებისა, უპასუხოდ რჩებოდა. ამასთან, ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ამ კითხვებზე პასუხების გაცემა მხოლოდ ჭეშმარიტი ღმრთის შეცნობით გახდებოდა შესაძლებელი.

რომის იმპერიაში იმ დროისათვის მრავალი ფილოსოფიური სკოლა არსებობდა, რომელთაგან ყოველი ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ მის სწავლებაში იყო. იუსტინემ ჭეშმარიტების პოვნა ფილოსოფიის საფუძვლიანად შესწავლით გადაწყვიტა და უწინარესად სტოიკოსთა სკოლას მიაკითხა. სტოიკოსების სწავლებით, ადამიანის ცხოვრების მიზანი სათნოებაა, მაგრამ მათი მტკიცებით, ადამიანს საკუთარ თავშივე შეუძლია იპოვოს ძალა ვნებათა დასამარცხებლად, ცხოვრებისეულ უსიამოვნებებზე ასამაღლებლად და სათნოებათა შესაძენად. აქედან გამომდინარე, ისინი ღმერთს არა თუ არ ეძებდნენ, არამედ არც თვლიდნენ ამას საჭიროდ. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სტოიკოსთა მოძღვრებამ იუსტინეს ნანატრი სულიერი სიმშვიდე ვერ მოუტანა. ამის შემდეგ იგი სხვა ფილოსოფიური სკოლის მასწავლებელს დაემოწაფა, რომელმაც რამდენიმე ხნის შემდეგ სწავლების საფასურის გადახდა მოსთხოვა. ამ ფაქტმა იუსტინე უსიამოვნოდ გააოცა, რადგან თვლიდა, რომ სიბრძნის სწავლება მაღალი და წმიდა საქმეა და არა ფულის საშოვნელი რაღაც ხელობა. მესამე მასწავლებელმა მოწაფეს მუსიკის, გეომეტრიისა და ასტრონომიის შესწავლა დაავალა; ამავე დროს მისგან თავისი ცოდნის უმაღლეს საიდუმლოებათა დაფარვას ცდილობდა. მეოთხე მასწავლებელი, რომელსაც იუსტინემ მიმართა, პლატონის ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელი იყო. პლატონის მოძღვრება მას სხვა

ფილოსოფიურ მოძღვრებათაგან გამორჩეული, ყველაზე მაღალი და წმიდა მოეჩვენა და გადაწყვიტა, რომ იპოვა ის, რასაც ეძებდა.

„მე მომეწონა, – წერდა იგი, – მსჯელობა არამატერიალური საგნების სამყაროზე; იდეების ჭვრეტამ ჩემს გონებას ფრთები შეასხა; მოკლე დროში იმდენი მოვასწარი, რომ თავი ბრძნად ჩავთვალე და ვიმედოვნებდი, რომ მალე თვით ღმრთის ჭვრეტასაც შევძლებდი, რადგან ბოლო პლატონის ფილოსოფიისა სწორედ ესაა“.

იუსტინე ხშირად ესწრაფოდა განმარტოებას, რათა თავის ფიქრებს სხვებისაგან განცალკევებით, თავისუფლად მისცემოდა. ერთ-ერთი ასეთი განმარტოებისას იგი ზღვის ნაპირას აღმოჩნდა, სადაც ვიღაც მოხუცს შეხვდა და გაესაუბრა.

მოხუცთან საუბრის შინაარსს იუსტინე თვითონ გადმოგვცემს წიგნში “საუბარი ტრიფონ იუდეველთან“.[28] როგორც მოსალოდნელი იყო, მოსაუბრენი ძალიან სწრაფად შეეხნენ ყველაზე მაღალ საგნებს: ღმერთს, სულის უკვდავებასა და ჭეშმარიტების შეცნობის გზებს. იუსტინე, რომელსაც მიაჩნდა, რომ ფილოსოფია, რამდენადაც იგი ჭეშმარიტებას შეიმეცნებს, უმაღლესი მეცნიერებაა, ქება-დიდებას ასხამდა პლატონის სწავლებას. „ბედნიერება, – ამბობდა იგი, – არის ჯილდო ამგვარი ცოდნისა და სიბრძნისათვის“; მოხუცის აზრით კი, ფილოსოფიას არ შეეძლო მოცემა ღმრთის სრული გაგებისა, რომლის შესაცნობადაც არც ჭკუა და არც მეცნიერება საკმარისი არაა. ამისთვის საჭიროა გამოცხადება ზევიდან, ამასთან, კაცის გონებაც სულიწმიდის მადლით უნდა იყოს განათლებული, რათა მან ღმრთის გულისხმისყოფა შეძლოს.

„სადღა ვიპოვო ჭეშმარიტება, თუკი იგი არც პლატონის ფილოსოფიაში არაა?“ – იკითხა იუსტინემ. მოხუცმა მას წინასწარმეტყველებზე მიუთითა, რომელნიც ფილოსოფოსებზე ადრე ცხოვრობდნენ. რამდენადაც ისინი სულიწმიდის ძალით ლაპარაკობდნენ, მათი წინასწარმეტყველებანი ახდა კიდეც. სულიწმიდით აღვსილნი იმას ხედავდნენ და ისმენდნენ, რისი დანახვა და მოსმენაც სხვა ადამიანებს არ შეეძლოთ, ადიდებდნენ ყოველთა შემოქმედს, ღმერთსა და მამას და წინასწარ გვაუწყებდნენ მის

[28] **Св. Иустин, философ и мученик, Творения, М., 1995, გვ. 132-363.**

მხოლოდშობილ ძეზე, ქრისტეზე, რომელსაც იგი ქვეყნად მოავლენდა.

მოხუცი იუსტინეს გაშორდა და შემდგომში აღარასოდეს შეხვედრია, მაგრამ ამ საუბრის შედეგად მას წინასწარმეტყველთა თხზულებების შესწავლის მძაფრი სურვილი აღეძრა. იუსტინემ წმ. წერილის გულმოდგინედ შესწავლა დაიწყო და ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებაში, ღმრთის შემწეობით, მალევე დარწმუნდა, მაგრამ სანამ წმიდა ნათლობას მიიღებდა, გადაწყვიტა ახლოს გასცნობოდა ქრისტიანებს, რათა საკუთარი თვალით ენახა, ცხოვრებაში ასრულებდნენ თუ არა იმას, რაც მათ მაცხოვარმა ასწავლა; მით უმეტეს, რომ ჭეშმარიტების მტრები ქრისტიანებს მრავალ სისაძაგლეში სდებდნენ ბრალს. მათ სიმართლეში დასარწმუნებლად იუსტინესათვის საკმარისი გამოდგა ის ფაქტი, რომ ქრისტიანები სიკვდილს უშიშრად ხვდებოდნენ. „იმას, ვინც ვნებებსაა მიცემული და ნეტარებას მიწიერ ტკბობაში ხედავს, არ შეუძლია სიხარულით შეეგებოს სიკვდილს,“ – ფიქრობდა იგი. იუსტინემ შეიყვარა ქრისტიანები მათი სიმშვიდის, მოთმინების, გულმოწყალებისა და სულიერი სიმტკიცის გამო; 30 წლისამ წმ. ნათლობა მიიღო და აქედან მოყოლებული თავისი ნიჭი, ცოდნა და ენერგია ღმრთისა და მოყვასის სამსახურს მიუძღვნა. მან მრავალი ქვეყანა მოიარა, რადგან თავის მოვალეობად თვლიდა, რომ ჭეშმარიტება, რომელიც გაიგო, სხვებისთვისაც ეუწყებინა. „ვისაც ჭეშმარიტების უწყება შეუძლია და არ აუწყებს, ღმრთისაგან განისჯება,“ – წერდა იგი.

ბოლოს იუსტინე რომში ჩავიდა, სადაც სასწავლებელი გახსნა. იგი ფილოსოფოსის მანტიას ატარებდა, მაგრამ უკვე არა წარმართულ, არამედ ქრისტიანულ ფილოსოფიას ასწავლიდა. რომში ამ დროისათვის მრავალმა ცრუმოძღვარმა მოიყარა თავი. ეგვიპტიდან და სირიიდან გნოსტიკოსთა სექტის წარმომადგენლები – ვალენტინე და კერდონი ჩამოვიდნენ და თავიანთ ცრუ სწავლებას ქრისტიანულ სიბრძნედ ასაღებდნენ. მათ შეუერთდა მარკიონიც, რომელიც პონტოს ეპისკოპოსმა გარყვნილი ცხოვრებისათვის განკვეთა. რომში ჩასულმა მარკიონმა პირველად ქრისტიანებს მიაკითხა, მაგრამ რომის ეკლესიამ სულიერი მამის დაუკითხა-

ვად მის მიღებაზე უარი განაცხადა. მაშინ უარით განრისხებულმა მარკიონმა მღვდლებს უთხრა: „თუ ასეა, მე თქვენს ეკლესიაში განხეთქილებას დავთესავ“, და კერდონს დაუკავშირდა, რომელიც ასწავლიდა, რომ მატერიალური სამყარო ბოროტმა სულმა შექმნა.

იუსტინემ, რომელიც მტკიცე რწმენითა და საქმის ღრმა ცოდნით გაბედულად ეკამათებოდა ერეტიკოსებს, მათი დამღუპველი ზეგავლენისაგან მრავალი ადამიანი იხსნა. მის სკოლას ახალგაზრდები ეტანებოდნენ, რომელნიც ქრისტიანი ფილოსოფოსის შთაგონებული მჭევრმეტყველებით ტკბებოდნენ.

ამ დროისათვის ქრისტიანთა ხელახალი დევნა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, წარმართები ხელსაყრელ ჟამს ელოდნენ, რათა მათი დასჯის მოთხოვნა შესძლებოდათ. ასეთი დროც მალე დაუდგათ; მცირე აზიაში ძლიერი მიწისძვრები მოხდა, რომელიც, რა თქმა უნდა, ქრისტეს მიმდევრებს დაბრალდა და დევნის მეოთხე პერიოდიც დაიწყო. მაშინ იუსტინემ აპოლოგია დაწერა, რომელშიც იგი დაწვრილებით გადმოსცემს ქრისტიანულ მოძღვრებას, ღმრთისმსახურების წესებს და ქრისტიანთა განსასჯელად მეფისაგან სამართლიან სასამართლოს მოითხოვს. აპოლოგია, რომელიც 150 წელს იმპერატორ ანტონინეს პირადად გადასცა, ჩვენამდე მოღწეულია და ქრისტიანთა ცხოვრების წესსა და ეკლესიური სწავლების იმდროინდელ მდგომარეობაზე მრავალ ძვირფას ცნობას შეიცავს.

ეს მტკიცე და გაბედული აპოლოგია, რომელშიც იუსტინე ანტონინეს სთხოვს გაარკვიოს რაში მდგომარეობს ქრისტიანთა დანაშაული და მხოლოდ რწმენისათვის ნუ დასჯის მათ, არა მხოლოდ იმპერატორისადმი, არამედ მისი შვილის, სენატორებისა და საერთოდ მთელი რომაელი ხალხისადმია მიმართული.

„ჩვენ უღმერთოებს გვიწოდებენ, – წერს იგი, – ვაღიარებთ, რომ ჩვენ მართლაც უღმერთოები ვართ, ოღონდ ცრუ ღმერთებთან მიმართებაში, მაგრამ გვწამს ჭეშმარიტი ღმერთი, მამა სიმართლისა და ყველა სათნოებისა და თაყვანს ვსცემთ მას, მის ძესა და სულიწმიდას...“

„ჩვენ არ ვწირავთ მსხვერპლს, რადგან მოგვეცა სწავლება, რომ არ სჭირდება ადამიანთაგან ნივთიერი შესაწირავი ღმერთს, რომელიც, როგორც ვხედავთ, თვითონ გვაძლევს ყოველივეს. ჩვენ

გვასწავლეს, დარწმუნებულნი ვართ და გვწამს, რომ მას მხოლოდ ისინი ესათნოება, რომელნიც სრულყოფილებაში ბაძავენ...“

„როცა თქვენ გესმით, რომ ჩვენ სასუფეველს ველოდებით, ამაოდ ფიქრობთ, რომ რაღაც მიწიერ სამეფოზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მასში ღმრთის სასუფეველს ვგულისხმობთ, რასაც ისიც ადასტურებს, რომ მიუხედავად სიკვდილით დასჯის მოლოდინისა, ქრისტიანობას კი არ უარვყოფთ, არამედ, პირიქით, ვამოწმებთ...“

„რაც შეეხება საზოგადოებრივ სიმშვიდეს, ჩვენ ყველაზე მეტად ვუწყობთ მას ხელს, რადგან გვწამს, რომ უფალს ვერავინ დაემალება: ვერც ბოროტმოქმედი, ანგარებისმოყვარე და ავისმზრახველი და ვერც მართალი და რომ უფალი მარადიულ ტანჯვას თუ ხსნას ჩვენთა საქმეთა მიხედვით მოგვაგებს; წარმართებმა კი იციან, რომ თქვენგან, როგორც ადამიანებისაგან, დანაშაულთა დაფარვას შეძლებენ... ჩვენ ყველგან ვცდილობთ გადავიხადოთ გადასახადები, რადგან ასეთია მცნება ქრისტესი... მართალია, ჩვენ ერთ ღმერთს ვცემთ თაყვანს, მაგრამ სხვა მიმართებით თქვენც სიამოვნებით გემსახურებით. გაღიარებთ რა ადამიანთა მეფეებად და მმართველებად, ვლოცულობთ, რომ თქვენი მეფობისას სიბრძნითაც იყვნეთ დაჯილდოებულნი“.[29]

აქვე იუსტინე დაწვრილებით აღწერს როგორ სრულდებოდა ქრისტიანულ ეკლესიაში ნათლობა, ევქარისტია, როგორ მიმდინარეობდა ღმრთისმსახურება. მაგალითად, ნათლობის მსურველი მის მისაღებად მარხვითა და ლოცვით ემზადებოდა, ამასთან, ქრისტეს ეკლესიის წევრები მისთვის ლოცულობდნენ, ღმერთს მისი ცოდვების შენდობას ევედრებოდნენ. ზოგიერთი ძველი დროის ისტორიკოსი იუსტინეს სხვა წიგნსაც ასახელებს, რომელსაც „მგალობელი“ რქმევია. წიგნს, რომელიც, როგორც ჩანს, ღმრთისმსახურების გამოსაყენებელ ჰიმნებსა და წმინდა საგალობლებს მოიცავდა, სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია.

იუსტინეს აპოლოგიამ ანტონინეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რის შედეგადაც მან ადრიანეს ბრძანება აღადგინა, ანუ ქრისტიანთა სამსჯავროსათვის გადაცემა, მხოლოდ და მხოლოდ რწმენის გამო, აკრძალა.

[29] **Св. Иустин, философ и мученик, Творения, М., 1995, გვ. 31-104.**

როგორც კი ქრისტიანებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ, იუსტინემ ღმრთეებრივი მოძღვრების საქადაგებლად და ერეტიკულ სწავლებათა სამხილებლად მცირე აზიას მიაშურა. ფილოსოფოსის წოდება წარმართებს მის მიმართ პატივისცემით განაწყობდა და ისინიც სიამოვნებით მიდიოდნენ განთქმული მჭევრმეტყველის მოსასმენად. მაგრამ რა დიდი იყო მათი გაოცება, როცა რწმუნდებოდნენ, რომ კაცი, რომელმაც მთელი ანტიკური ფილოსოფია იცოდა, ქრისტეს აღმსარებელი იყო. მანამდე ხომ განათლებული წარმართები თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ქრისტიანები ძირითადად მდაბიოთა წრიდან გამოსული გაუნათლებელი ადამიანები იყვნენ. იუსტინემ მათ სწორედ ეს ნუგეში მოუსპო.

დაახლოებით 162 წელს, საკმაოდ ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, იუსტინე რომში დაბრუნდა. ამ დროს იმპერიას უკვე ანტონინეს ძე, მარკუს ავრელიუსი განაგებდა. ახალი იმპერატორი, რომელიც ფილოსოფოსის წოდებას ატარებდა, სტოიციზმის მიმდევარი იყო. აქედან გამომდინარე, იგი ათვალწუნებით უყურებდა სარწმუნოებას, რომელიც ადამიანის სისუსტეს აღიარებს და მის გადასარჩენად ღმრთის შემწეობას აუცილებლობად მიიჩნევს; ამიტომ დევნა, რომელიც იუსტინეს აპოლოგიის წყალობით ცოტა ხნით ჩაწყნარდა, მარკუს ავრელიუსის დროს ხელახლა გაჩაღდა.

მიუხედავად საფრთხისა, იუსტინეს სწავლება და ქადაგება არ შეუწყვეტია, პირიქით, იგი ხშირად ეკამათებოდა იმ წარმართ ფილოსოფოსებს, რომელთაც იმპერატორზე დიდი ზეგავლენა ჰქონდათ.

ქრისტიანთა უკანონო დასჯის ფაქტებმა ფილოსოფოსი აიძულეს ისევ დაეწერა აპოლოგია, რომელიც მან მარკუს ავრელიუსს გადასცა.[30] სამწუხაროდ, ანტონინესგან განსხვავებით, აპოლოგიამ იმპერატორზე სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

მალე იუსტინე რამდენიმე სხვა ადამიანთან ერთად ქრისტიანობის ბრალდებით პრეფექტთან გამოიძახეს; რადგან რწმენა არცერთმა მათგანმა არ უარყო, ისინი სასტიკად სცემეს და ბოლოს თავები მოკვეთეს. ეს 166 წელს მოხდა.

ქრისტიანობის დიდი აპოლოგეტი და თავდადებული მოღვაწე, იუსტინე ფილოსოფოსი, ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

[30] **Св. Иустин, философ и мученик, Творения, М., 1995, გვ. 105-121.**

წმიდა პოლიკარპე სმირნელი

სმირნის ეპისკოპოსის, პოლიკარპეს სახელი ჩვენ ეგნატე ღმერთშემოსილის ცხოვრებაშიც გვხვდება, სახელდობრ, როცა წმ. ეგნატე რომში დასასჯელად მიჰყავდათ, გზად მან სმირნაში პოლიკარპეს გაუარა. ეგნატე ღმერთშემოსილი სმირნის ეპისკოპოსს წერილებშიც დიდი პატივისცემით იხსენიებს. წმ. ეგნატეს წამებიდან 16 წელი გავიდა. წმ. პოლიკარპე, რომელიც ამ დროისათვის უკვე მოხუცი იყო, მცირე აზიაში ყველაზე პატივსაცემ ეპისკოპოსს წარმოადგენდა. მას წილად ხვდა ბედნიერება მაცხოვრის მოციქულებისათვის ჯერ კიდევ ყრმობაში მოესმინა და ყოფილიყო ერთ-ერთი საყვარელი მოწაფე იოანე ღმრთისმეტყველისა. როცა სმირნის იმდროინდელმა ეპისკოპოსმა ვუკოლმა ახალგაზრდა პოლიკარპეს მღვდლად ხელნი დაასხა, ხალხმა ცხადად იხილა სასწაული, რომელიც ახლადხელთდასხმულის ღმრთის რჩეულობაზე მიანიშნებდა – უჩვეულო ნათლით შემოსილ მოძღვარს თეთრი მტრედი თავს ევლებოდა; მრავალმა მორწმუნემ ამ დროს იგი საჭურველასხმულ მეომრადაც იხილა, რასაც სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, – თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის გზაზე მას მრავალგზის მოუხდა დამტკიცება იმისა, რომ ქრისტეს ერთგულსა და მამაც მეომარს წარმოადგენდა: რომის იმპერატორების – დომიციანეს, ტრაიანეს, ადრიანესა და ანტონინეს მიერ ქრისტიანთა დევნის პერიოდებში პოლიკარპე ეკლესიის უშიშარ მწყემსმთავართა შორის ერთ-ერთი პირველი იყო. ღმრთის განგებითა და წყალობით, მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტ რწმენას გაბედულად ქადაგებდა და წარმართებსა და ერეტიკოსებს დიდი წარმატებით ეკამათებოდა, ყველა ამ დევნას გადაურჩა. პოლიკარპემ რამდენიმე მოწაფე ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად გალიაშიც (დღევანდელი საფრანგეთი) გააგზავნა.

სმირნის სახელოვანი ეპისკოპოსი უკვე მოხუცი იყო, როცა რომში გაემგზავრა, რათა იქაურ მწყემსმთავარ ანიკიტეს პასექის დღესასწაულის აღნიშვნის დროზე მოთათბირებოდა. ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რომ სმირნისა და მცირე აზიის ზოგიერთი სხვა ეკლესია ქრისტეს აღდგომას გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ,

პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს ზეიმობდა, რომის ეკლესია კი ამავე თვეში, ოღონდ მთვარის აღვსებიდან პირველ კვირას. ორივე მხარე მიიჩნევდა, რომ მათ ტრადიციებს მოციქულთა გადმოცემა ედო საფუძვლად. მართალია, პოლიკარპესა და ანიკიტეს დიალოგს ამ საკითხზე შეთანხმება არ მოჰყოლია, მაგრამ თათბირი, როგორც ეს ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტ მსახურთ შეეფერებოდა, სიყვარულისა და სრული სიმშვიდის ატმოსფეროში წარიმართა. იმდენად, რამდენადაც საკამათო საკითხი არა აღდგომის დოგმატის არსს, არამედ მხოლოდ ადგილობრივი ეკლესიების ადათებს შეეხებოდა, გადაწყდა, რომ ორივე ეკლესია თავ-თავის ტრადიციას დაიცავდა.[31]

პოლიკარპეს სმირნაში დაბრუნებას ქრისტიანთა ახალი ძალით აფეთქებული დევნის პერიოდი დაემთხვა. იმ მძიმე ვითარებას, რომელშიც ამ დროს მცირეაზიელი ქრისტიანები აღმოჩნდნენ, კარგად გვიხატავს სმირნის ეკლესიის სახელით დაწერილი წერილი ადგილობრივი ეკლესიებისადმი, რომელიც ევსევიმ თავის „ეკლესიის ისტორიაში“ შემოგვინახა.[32]

სმირნაში განსაკუთრებით დიდი იყო რიცხვი იუდეველებისა, რომელთაც ქრისტიანები უფრო მეტად სძულდათ, ვიდრე წარმართებს და სულ იმის ცდაში იყვნენ, არცერთი მათგანი დაუსჯელი არ დარჩენოდათ. სმირნაში დევნა იმით დაიწყო, რომ ერთი ახალგაზრდა კაცი, სახელად გერმანე, ქრისტიანობის გამო გუბერნატორთან დაასმინეს. ამ უკანასკნელს იგი მისი ახალგაზრდობის გამო შეეცოდა და სცადა დაერწმუნებინა, რომ უარეყო უფალი, მაგრამ ჭაბუკმა ჭეშმარიტების უარყოფას სიკვდილი არჩია და თვითონ გაემართა ლომისაკენ, რომელმაც იგი მაშინვე დაგლიჯა. მეორე ქრისტიანმა, სახელად კვინტუსმა, თვითონ გასცა თავი, რომ ქრისტიანი იყო, მაგრამ მხეცების დანახვაზე საშინლად დაშინდა, სულმოკლეობა გამოიჩინა და რწმენა უარყო. ეს მრავლისმეტყველი ფაქტი იმას მოწმობს, რომ უფალს არ მოსწონს, როცა საფრთხეს ჩვენ თვითონ ვეძებთ, რადგანაც ეს ჩვენს თავდაჯერებულობასა და ამპარტავნობაზე მიუთითებს.

ბოლოს პოლიკარპეს ჯერიც დადგა. წარმართებმა და იუდე-

[31] **Евсевий Памфил, V, 23.**

[32] იქვე, IV, 15.

ველებმა ცირკში მისი დასჯა ხმამაღლა მოითხოვეს. ამ დროს პოლიკარპე მეგობრების დაჟინებული თხოვნით ქალაქგარეთ იყო, სადაც ეკლესიის მშვიდობისათვის დღედაღამ ლოცულობდა. ერთხელ მან ჩვენებაში იხილა, რომ მისი სასთუმალი იწვოდა. ამ ჩვენებამ პოლიკარპე მიახვედრა, რომ მას ცეცხლში დაწვა ელოდებოდა. მეგობრებმა იგი აიძულეს სოფელში გახიზნულიყო, მაგრამ წარგზავნილმა მეომრებმა იქაც მიაკითხეს. პოლიკარპეს ისევ შეეძლო თავის არიდება, მაგრამ თქვა: დაე, აღსრულდეს ნება ღმრთისაო და მოსულებს, რომელნიც მისი დიდებული, სიმშვიდემოფენილი გარეგნობით აღფრთოვანებულნი დარჩნენ, თვითონ შეეგება. პოლიკარპემ მის შესაპყრობად მოსულთა გამასპინძლება ბრძანა, ხოლო თვითონ, ვიდრე ისინი ისადილებდნენ, ლოცვისათვის ერთი საათი ითხოვა. იგი მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს მისთვის ძალა მიეცა, ეკლესიისთვის კი, რომელიც მთელ მსოფლიოში იდევნებოდა, მშვიდობა მიენიჭებინა. ამის შემდეგ მეომრებმა პოლიკარპე სახედარზე შესვეს და სმირნისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ორი მათგანი სმირნელი იყო. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ წარმართები იყვნენ, ეპისკოპოსს პატივს სცემდნენ.. ამიტომ მისი გადარჩენა მოინდომეს, თავისთან გადასვეს და შეაგონებდნენ, რომ როცა მსაჯული იმპერატორის გენიის დაფიცებას მოსთხოვდა, სიცოცხლის შესანარჩუნებლად უარი არ ეთქვა, მაგრამ რადგან პოლიკარპემ შეთავაზებული წინადადება გადაჭრით უარყო, ხელი კრეს და გადმოაგდეს, რის გამოც ფეხი დაუზიანდა.

როცა წმინდა მამა ცირკში შეიყვანეს, მის გარდა რამდენიმე სხვა მორწმუნემაც გაიგონა ხმა ზეციდან: „განმტკიცდი, პოლიკარპე“. იუდეველები და წარმართები პოლიკარპეს დასჯას ხმამაღალი შეძახილებით მოითხოვდნენ. მსაჯულმა ჩვეულებისამებრ მისგან იმპერატორის გენიის დაფიცება, მონანიება და ბოლოს ქრისტეს გმობა მოითხოვა, რაზეც ეპისკოპოსმა უპასუხა: „ოთხმოცდაექვსი წელია ქრისტეს ვემსახურები და მისგან ცუდი არაფერი მახსოვს; როგორ შემიძლია დავგმო უფალი და მაცხოვარი ჩემი?“ როცა პროკონსული მას მხეცებთან შეგდებით დაემუქრა, ეპისკოპოსისგან ასეთი პასუხი მიიღო: „როგორც გსურს, კარგს ცუდზე მაინც ვერ გავცვლი. კარგი ბოროტებიდან სიკეთეზე გადასვლაა“.

მაშინ პროკონსული მას ცეცხლში დაწვით დაემუქრა, რაზედაც პოლიკარპემ უპასუხა, რომ ეტყობა მან არაფერი იცოდა იმ მარადიული ცეცხლის შესახებ, რომელიც ულმერთოებს ელოდათ.

პროკონსული დარწმუნდა, რომ ამაოდ ირჯებოდა, ამიტომ ბრძანა გამოეცხადებინათ, რომ პოლიკარპემ თავი ქრისტიანად აღიარა. ამ ცნობამ ისედაც გაცოფებული ბრბო კიდევ უფრო გააცოფა. შეკრებილნი ყვიროდნენ, „იგი ქრისტიანთა მამა და აზიის მოძღვარია. მან გაანადგურა ჩვენი ღმერთები, რადგან მრავალს ასწავლა არ შეეწირათ მსხვერპლი და თაყვანი არ ეცათ მათთვის“. ისინი აზიარქთან, ფილიპესთან მიიჭრნენ (აზიარქები აზიის ოლქების სათათბირო კრებების თავმჯდომარეებს ეწოდებოდათ, რომელთა მოვალეობასაც საზოგადოებრივ სანახაობათა განმგებლობა შეადგენდა) და მოითხოვეს, რომ პოლიკარპესათვის ლომი გამოეშვათ. ფილიპემ უარი განაცხადა, რადგან, რამდენადაც გასართობი თამაშობანი დამთავრებული იყო, ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება იქნებოდა. მაშინ ხალხმა პოლიკარპეს ცოცხლად დაწვა მოითხოვა, რაზეც პროკონსული დათანხმდა.

კოცონისათვის შეშისა და ფიჩხის შესაგროვებლად ყველაზე გულმოდგინედ იუდეველები ირჯებოდნენ. უნდოდათ მოხუცი ეპისკოპოსი კოცონთან მიელურსმნათ, მაგრამ მან ითხოვა ამ განზრახვაზე ხელი აეღოთ. „ეს საჭირო არაა. იგი, ვინც მისთვის ტანჯვის ძალა მომცა, იმის ძალასაც მომცემს, რომ კოცონზე მშვიდად ვიდგე“. ეს თხოვნა შეუსრულეს და მხოლოდ ხელები შეუკრეს ზურგს უკან. ეპისკოპოსმა კოცონზე თავისით ააბიჯა. ცეცხლის ალი მას გარს ეხვეოდა, მაგრამ სხეულს, რომელიც კეთილსურნელებას გამოსცემდა, არ ეხებოდა. მაშინ იგი მხედრებმა გრძელი შუბით განგმირეს. დაღვრილმა სისხლმა კოცონი ჩააქრო. როცა იუდეველებმა შეამჩნიეს, რომ ქრისტიანებს მისი სხეულის წასვენება უნდოდათ, პროკონსულს ნეშტის დაწვა სთხოვეს, რათა ქრისტიანებს, ქრისტეს მსგავსად, მისთვისაც თაყვანი არ ეცათ.[33]

პოლიკარპე სმირნელის წამების აღმწერნი, რომელთაც ყოველივე საკუთარი თვალით იხილეს, თხრობას ასე ამთავრებენ: „მათ (იუდეველებმა) არ იციან, რომ ჩვენ არ შეგვიძლია უარყოფა ქრისტესი,

[33] იქვე.

რომელიც ყველას გადასარჩენად ეწამა, და თაყვანისცემა სხვისი. ჩვენ მას თაყვანს ვცემთ როგორც ძე ღმრთისას, ხოლო წამებულნი შესაფერისად გვიყვარს, როგორც მოწაფენი და მიმბაძველნი უფლისა... დაინახა რა იუდეველების დაჟინება, ასისთავმა გვამი კოცონზე დაადებინა, ხოლო ჩვენ შემდეგ მისი ძვლები შევაგროვეთ, განძი, რომელიც პატიოსან თვლებსა და წმინდა ოქროზე ძვირფასია და სადაც საჭიროა, იქ დავასვენეთ. როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება, ჩვენ იქ სიხარულითა და ხალისით შევიკრიბებით. უფალმაც ინება, რომ მისი წამებით დაბადების დღეც გვეზეიმა, როგორც მოსახსენებლად უკვე აღსრულებული გმირობისა, ასევე მომავალ მოღვაწეთა განსწავლისა და განმტკიცებისათვის“.

მეორე საუკუნიდან უკვე ჩვეულებრივი გახდა წამებულ ქრისტიანთა დაკითხვების ჩაწერა და მათი აღსასრულის აღწერა. ადგილობრივი ეკლესიები თავდადებულ წევრთა შესახებ ერთმანეთს ატყობინებდნენ, რათა წამებულთა მოხსენიება საყოველთაო ყოფილიყო. წლისთავზე წამებულის საფლავზე იკრიბებოდნენ და ღმრთისმსახურებას აღასრულებდნენ, რომელიც მთავრდებოდა ტრაპეზით – აღაპით, ანუ სიყვარულის საღამოთი. წმინდანთა საფლავებზე ღმრთისმსახურების აღსრულების ადათმა შემდგომში სათავე დაუდო ამ ადგილებზე ტაძრების აგებას, ხოლო მოგვიანებით, ოდიკში წმინდანთა ნაწილების ჩატანებას. ეს ჩვეულება წმ. იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადებას დაეფუძნა, რომელმაც საკურთხეველთან რწმენისათვის მომწყდართა სულები იხილა.

ქრისტიანთა დამოკიდებულება გარდაცვლილისადმი სრულიად განსხვავდებოდა სხვა რელიგიების მიმდევართა ადათ-წესებისაგან. წარმართები გარდაცვლილთა გვამებს წვავდნენ, ხოლო იუდეველებს გვამთან შეხება შებილწვად მიაჩნდათ. ქრისტიანები კი გარდაცვლილ ძმებსა და დებს მიწას ლოცვით, ფსალმუნთა და საგალობელთა გალობით მოწიწებით აბარებდნენ. რადგანაც დასაფლავება დევნის გამო უმეტესწილად ღამით ხდებოდა, მორწმუნეები ცხედარს სანთლებითა და ჩირაღდნებით მიაცილებდნენ. აქედან წარმოდგა ჩვეულება მიცვალებულის გაცილებისა ხელში სანთლებით. ძველი ქრისტიანები სასაფლაოს „დასაძინებელს“ უწოდებდნენ, რითაც გამოხატავდნენ რწმენას, რომ სიკვდილი მხ-

ოლოდ ძილია, რომელსაც გაღვიძება-აღდგომა მოსდევს. საფლავზედა წარწერანი და გამოსახულებანიც იმაზე მეტყველებდნენ, რომ ქრისტიანებს მტკიცედ სჯეროდათ საიქიო ცხოვრებისა და ქრისტეში აღდგომისა.

ქრისტიანთა დევნა მარკუს ავრელიუსის დროს

სამწუხაროდ წარმართულ ფილოსოფიასა და კულტურაზე აღზრდილი იმპერატორი მარკუს ავრელიუსი ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებაში ვერც ქრისტიანთა სიმტკიცემ და ვერც მათმა სათნოებამ, რომლის მოწმეც ის ხშირად გახდა, ვერ დაარწმუნა; იგი მხოლოდ ერთმა სასწაულებრივმა მოვლენამ შეაშფოთა და დააეჭვა, მაგრამ ისიც მცირე ხნით. 174 წელს იმპერიის ჯარი მარკუს ავრელიუსის წინამძღოლობით გერმანულ ტომებს ებრძოდა. მტრებმა რომაელები ბოჰემიის მთებში მოიმწყვდიეს. ალყაშემორტყმული რომაელი მეომრები სიცხისა და წყურვილისაგან იტანჯებოდნენ. იმპერატორის ჯარში ერთი პოლკი მთლიანად ქრისტიანებისაგან შედგებოდა. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად კარგი მოქალაქეები იყვნენ ქრისტეს მიმდევრები. ისინი თავს ვალდებულად თვლიდნენ იმ სახელმწიფოს კანონებსაც კი დამორჩილებოდნენ, რომელიც მათ უსამართლოდ ავიწროებდა და ძალიან ხშირად უმოწყალოდ დევნიდა. ქრისტიანი მეომრები მუხლებზე დაეცნენ და ღმრთისგან შეწევნა ითხოვეს. უეცრად ზეცა ტყვიისფერმა ღრუბლებმა დაფარეს და რომაელები კოკისპირულმა წვიმამ გამოაცოცხლა, მაშინ, როცა საშინელმა ქარიშხალმა და ელვა-ქუხილმა, რომელიც წვიმას თან ახლდა, მტერს თავზარი დასცა. თავი რომ გადაერჩინათ, გერმანელები გაიქცნენ. მართალია, წარმართმა რომაელებმა ეს სასწაულებრივი გადარჩენა თავიანთ ღმერთებს მიაწერეს, მაგრამ თვითონ იმპერატორმა, რომლის თვალწინაც ეს ყოველივე მოხდა, აღიარა, რომ მისი ჯარი ქრისტიანების ლოცვამ გადაარჩინა და მათი დევნის შეწყვეტა ბრძანა.[34]

უფალმა მარკუს ავრელიუსს სწორი არჩევანის გაკეთების შესაძ-

[34] **Евсевий Памфил, V, 5.**

ლებლობა კიდევ ერთხელ მისცა. ამ ხანებში იტალიის ოლქებში საშინელი ჭირი გავრცელდა. დამფრთხალი ადამიანები სიკვდილის შიშით თვით ახლობელთა მოვლა-პატრონობასაც კი ერიდებოდნენ, მაშინ, როცა ქრისტიანები არათუ ახლობლებს, არამედ თვით მათდამი მტრულად განწყობილებსაც, რომელთაც სენი შეეყრებოდათ, თავგანწირვის ფასად უვლიდნენ, ხოლო გარდაცვლილებს მარხავდნენ. ქრისტიანთა კაცთმოყვარეობას ბოჰემიის მთებში მიღებული შთაბეჭდილება თითქოს უნდა გაელრმავებინა და მარკუს ავრელიუსისათვის ჭეშმარიტების შესაცნობად თვალი აეხილა, მაგრამ პირიქით მოხდა: იმპერატორმა შეწყვეტილი დევნის განახლება ბრძანა. დევნის თავიდან ასაცილებლად ამ პერიოდში მარკუს ავრელიუსისათვის გადასაცემად რამდენიმე აპოლოგია დაიწერა, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილია აპოლოგიები სარდიის ეპისკოპოსის მელიტონისა, აპოლინარი იერაპოლელისა და ათენაგორასი, სწავლული ფილოსოფოსისა, რომელიც წარმართობიდან ქრისტიანობაზე მოიქცა. სამწუხაროდ, ქრისტიანებმა სასურველ შედეგს ვერც ამ გზით მიაღწიეს. ძნელად ასახსნელია ის ფაქტი, რომ იმპერატორი, რომელიც გულმოდგინედ სწავლობდა ფილოსოფიას და თავის თხზულებებში ზნეობრიობისა და სათნოების კანონებს მასზე დამყარებით იძლეოდა, ვერ ხედავდა, რომ ქრისტიანები პრაქტიკულად უფრო წმინდასა და მაღალ ზნეობას ავლენდნენ, ვიდრე ამას ფილოსოფოსები ქადაგებდნენ. დევნამ, რომელიც იმპერიაში მარკუს ავრელიუსის მეფობის წლებში მძვინვარებდა, ურიცხვი ქრისტიანის სიცოცხლე შეიწირა.

ამ პერიოდში იმპერიის მრავალრიცხოვან მცხოვრებთაგან სარწმუნოებრივი სიმტკიცე განსაკუთრებით გალიის ქრისტიანებმა გამოიჩინეს. ზოგიერთი ძველი მწერალი, მათ შორის ევსევი, ეპიფანე და თეოდორიტე, ამტკიცებს, რომ გალიაში ქრისტიანობა პავლე მოციქულის მოწაფემ, კრისკენტიმ იქადაგა, სხვები კი იუწყებიან, რომ იქაურები ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ლუკა მახარებელმა მოაქცია. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყანაში პირველ საუკუნესა და მეორე საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მეტისმეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება; ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რომ მეორე

საუკუნის შუა ხანებში გალიაში მქადაგებლები პოლიკარპე სმირნელს წარუგზავნია, რომელთაგან ყველაზე ცნობილნი პოთინი და პოლიკარპეს მოწაფე, ირინეოსი არიან. მათ მისიონერულ მოღვაწეობას განსაკუთრებით კარგი შედეგი გამოუღია და ამ ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ ქალაქში – ლიონში საეპისკოპოსო კათედრაც კი დაარსებულა. ლიონის პირველი ეპისკოპოსი პოთინი გახდა.

მარკუს ავრელიუსის მიერ გაცემული ბრძანების შედეგად ქრისტიანთა დევნა გალიაშიც დაიწყო. საშინელ ცილისწამებებსა და შეურაცხყოფას 177 წლიდან უკვე ქრისტიანთა დაკითხვები და მათთვის გამოტანილი სხვადასხვა სახის სასჯელი მოჰყვა. ევსევის „ეკლესიის ისტორიაში“ დაცულია წერილი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ირინეოსს ეკუთვნის და რომელშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი ლიონელი ქრისტიანების ტანჯვა-წამების შესახებ მარკუს ავრელიუსის მეფობის წლებში. წერილი ლიონისა და ვიენის ქრისტიანთა სახელითაა დაწერილი და მცირე აზიის ეკლესიებისადმი მიმართვას წარმოადგენს.[35]

დევნა დაიწყო იმით, რომ რამდენიმე ქრისტიანი შეიპყრეს და დასაკითხად წაიყვანეს მოედანზე, სადაც ურიცხვი ხალხი იყო შეკრებილი. რადგანაც მათ საკუთარი რწმენა მტკიცედ აღიარეს, ოლქის პროკონსულის მოსვლამდე საპყრობილეში ჩაყარეს. რამდენიმე დღის შემდეგ ისიც მოვიდა და შეპყრობილნი დაკითხა. დაკითხვისას პროკონსული მათ მეტისმეტად უხეშად და მკაცრად ეპყრობოდა, რამაც ერთ ახალგაზრდა ქრისტიანს, რომელიც ხალხში იდგა და ამ პროცესს ესწრებოდა, მოთმინება დააკარგვინა. მან ითხოვა მისთვის ქრისტიანთა დაცვის უფლება მიეცათ. ეს ახალგაზრდა ვეტიუს ეპაგათი იყო, ქალაქის ცნობილი მოქალაქე, ყველასაგან პატივცემული პატიოსნებისა და სამართლიანობისათვის. როცა მისი მგზნებარე სიტყვა მოისმინა, პროკონსულმა ჰკითხა, ისიც ქრისტიანი ხომ არ იყო. ახალგაზრდა კაცმა თავისი რწმენა საჯაროდ აღიარა, რის გამოც მაშინვე შეიპყრეს. მისმა საქციელმა სარწმუნოების საჯაროდ აღიარება სხვა ქრისტიანებსაც შთააგონა, რომელთაგან შემდეგში სიკვდილის შიშით რწმენა მხოლოდ ათამდე კაცმა უარყო. მომდევნო ათი დღის განმავლო-

[35] იქვე, V, 1.

ბაში საპყრობილეები ქრისტიანებით აივსო, მათ შორის იყვნენ ისინიც, რომელთაც ლიონსა და ვიენაში ეკლესიები დააარსეს. თვითონ ქრისტიანები წამებამ ვერ გატეხა, მათ არც მაცხოვარი უარყვეს და ცილისწამებანიც უარყვეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მათმა მონებმა მისცეს იმგვარი ჩვენებანი, როგორსაც მოსამართლეები ითხოვდნენ. შეპყრობილთა შორის ერთი ახალგაზრდა მონა ქალი, ბლანდინაც იყო. ყველას ეშინოდა, რომ სუსტი და ფაქიზი აგებულების ბლანდინა წამებას ვერ გაუძლებდა, მაგრამ უფალმა მას დათმენის ზებუნებრივი ძალა მიანიჭა. ყველაზე საშინელი წამების დროსაც კი იგი მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებდა: „მე ქრისტიანი ვარ და ჩვენთან არაფერი ცუდი არ ხდება“. მისმა თავდადებამ და სიმტკიცემ მხნეობის სული იმათაც შთაბერა, რომელთაც რწმენა შიშით უარყვეს და თავი ისევ ქრისტიანებად აღიარეს. ბევრი წამებას გადაჰყვა, ბევრსაც ნესტიან საპყრობილეში წამებამდე ამოხდა სული. დაკითხვაზე გამოიყვანეს ლიონის ეპისკოპოსი პოთინი, რომელიც ამ დროს 90 წლისა იყო. რადგან სიარული არ შეეძლო, მოხუცი ხელით შემოიყვანეს. პროკონსულის კითხვას: „ვინ არის ღმერთი ქრისტიანთა?“ ეპისკოპოსმა მშვიდად უპასუხა: „გაიგებ, თუ ღირსი იქნები“. ამ პასუხმა ბრბო გააცოფა, სეირის მოყვარულნი მოხუც ეპისკოპოსს მივარდნენ, მუშტებსა და ჯოხებს ურტყამდნენ, ზოგი ქვებსაც ესროდა. პოთინი ცოცხალმკვდარი გაიყვანეს საპყრობილეში, სადაც ორი დღის შემდეგ მან სული უფალს მიაბარა.

ბლანდინა ბოძზე ჯვრისებურად გააკრეს და მხეცები მიუსიეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მხეცები ადამიანებზე უფრო ლმობიერნი გამოდგნენ და ქალს ახლოსაც არ გაეკარნენ, მაშინ იგი ისევ საპყრობილეში შეაგდეს. სისხლმოწყურებული ბრბო ხმამაღლა მოითხოვდა ატალას დასჯას, რომელიც ჩინითა და მდგომარეობით მაღალ წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ, რადგანაც იგი რომის მოქალაქე იყო, მისი დასჯისათვის უმაღლესი ხელისუფლების ნებართვა იყო საჭირო. სანამ რომიდან ეს ნებართვა მოვიდოდა, ბრბომ ჟინი იმით დაიკმაყოფილა, რომ წარჩინებული მოქალაქე ცირკის არენაზე შემოატარეს წარწერით „ატალა ქრისტიანია“.

ლიონელ ქრისტიანთა ტანჯვა-წამება დიდხანს გაგრძელდა,

მაგრამ ისინი ისე იქცეოდნენ, როგორც ეს მაცხოვრის ჭეშმარიტ მიმდევრებს შეეფერებოდათ. ამაზე ერთი ასეთი ფაქტიც მეტყველებს: საპყრობილეში სარწმუნოების მტკიცე აღმსარებლებთან ერთად იყვნენ ისინიც, რომელთაც რწმენა უარყვეს, მაგრამ, რადგანაც სხვადასხვა გამოგონილ დანაშაულში ედებოდათ ბრალი, მაინც არ გაათავისუფლეს. სარწმუნოების ერთგულ დამცველებს მათთან ურთიერთობისას თავი მაღლა კი არ ეჭირათ, არამედ პირიქით, ანუგეშებდნენ და ამხნევებდნენ, რადგან ხედავდნენ, რომ ისინი ორმაგად იტანჯებოდნენ. წერილში ლიონელ ქრისტიანებზე ვკითხულობთ: „უყვარდათ რა ყოველთვის მშვიდობა, მშვიდობა გვიანდერძეს ჩვენც და მშვიდობით წავიდნენ მამასთან, ისე რომ არც დედა ეკლესიის მწუხარება გამოუწვევიათ და არც უწესრიგობა და მტრობა ძმათა შორის, არამედ სიხარული, მშვიდობა, ერთსულოვნება და სიყვარული დატოვეს“.[36]

ბოლოს და ბოლოს რომიდან მოვიდა პასუხი მარკუს ავრელიუსისა. იმპერატორი ბრძანებდა დაესაჯათ ყველა, ვინც ქრისტეს არ უარყოფდა, ხოლო უარისმყოფელნი გაეთავისუფლებინათ. დასჯისათვის დაინიშნა დღე რომელიღაც დღესასწაულისა, რომელიც იმპერატორი ავგუსტუსის პატივსაცემად იმართებოდა. ლიონში სხვადასხვა მხრიდან მოსული ურიცხვი ხალხი შეიკრიბა. პროკონსულმა ყველა ტყვე კიდევ ერთხელ დაკითხა, მაგრამ ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო. იმათაც კი, რომელთაც პირველად სისუსტე გამოიჩინეს, ხმამაღლა განაცხადეს, რომ სარწმუნოებას არ უარყოფდნენ. ერთმა ექიმმა, სახელად ალექსანდრემ, რომელიც დაკითხვას ესწრებოდა, თავი ქრისტიანად აღიარა და წამებულებს შეუერთდა.

პროკონსულმა ქრისტიანების მიმართ გამოჩენილ სისასტიკეში იმპერატორსაც გადააჭარბა: შეპყრობილებს იგი დასჯამდეც აწამებდა იმით, რომ სხვათა წამების ყურებას აიძულებდა. ატილა ბოლოს გავარვარებული რკინის სკამზე დასვეს. როცა მის სხეულს დამწვრის სუნი აუვიდა, იგი ხალხს მოუტრიალდა და უთხრა: „თქვენზე კი მართლა შეიძლება იმის თქმა, რომ ადამიანთა ხორცით იკვებებით. ჩვენ, ქრისტიანებმა, ასეთი სისხლიანი

[36] იქვე, V, 2.

ტრაპეზი არ ვიცით“.

ყველაზე ბოლოს დასასჯელად ბლანდინა და თხუთმეტი წლის ყმაწვილი პონტიკუსი გამოიყვანეს. ყმაწვილმა წამებას ბოლომდე გაუძლო და ლოცვაში ამოხდა სული. ბლანდინა ხარს მიუგდეს, რომელიც მას სისხლიან არენაზე დიდხანს ათრევდა, ბოლოს იგი დაკლეს. ჭეშმარიტების მტრები ქრისტიანთა სიკვდილმაც კი ვერ დააკმაყოფილა, ისინი გვამებსაც შეურაცხყოფდნენ, საჯიჯგნად ძაღლებს უგდებდნენ, დღისით და ღამით დარაჯობდნენ, რომ ქალაქში დარჩენილ ქრისტიანებს მათი მიწისთვის მიბარება არ შეძლებოდათ. ექვსი დღის შემდეგ წამებულთა გვამები დაწვეს და ფერფლი მდინარე რონაში გადაყარეს, რადგან ეგონათ, რომ ამით დანარჩენ ქრისტიანებს მათი აღდგომის იმედს მოუსპობდნენ. მარკუს ავრელიუსის მიერ გაცემული ბრძანებით დაწყებულ დევნას ლიონში ორმოცდარვა ქრისტიანი შეეწირა. როცა დევნის პერიოდი ჩაწყნარდა, ლიონელმა ქრისტიანებმა ეპისკოპოსად ირინეოსი აირჩიეს.

ერეტიკული სწავლებანი მეორე საუკუნის ბოლოს

იმპერატორი მარკუს ავრელიუსი 180 წელს გარდაიცვალა. მართალია, მისი მემკვიდრეები ქრისტიანებს არ სდევნიდნენ, მაგრამ ეკლესიას სიმშვიდის წლები მაინც არ ღირსებია. ამის მიზეზი ერეტიკულ მიმდინარეობათა გამრავლება და გაძლიერება იყო, რომელნიც ეკლესიაზე წარმართულ სახელმწიფოზე არანაკლებ მძაფრ შეტევებს ახორციელებდნენ. საერთოდ, ქრისტიანობის ისტორიაში ერთგვარ კანონზომიერებად აღიქმება შემდეგი ფაქტი: თუ ქვეყანაში ეკლესია ხელისუფლების მხრიდან არ იდევნებოდა, აუცილებლად ძლიერდებოდა სექტანტური ორგანიზაციები (ანალოგიური მოვლენის მოწმენი ჩვენც გავხდით, როგორც კი საბჭოთა იმპერია დაიშალა და ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის დევნა-შევიწროვება შეწყდა, ჩვენს ქვეყანაში უმალ იჩინეს თავი ქრისტიანობის საწინააღმდეგო ცრუ მოძღვრებათა მქადაგებელმა სექტებმა).

მე-2 საუკუნის ბოლოს მცირე აზიაში ახალი ცრუ-მოძღვრება წარმოიშვა, რომლის მამამთავარიც ფრიგიის მკვიდრი ვინმე მონ-

ტანი იყო. იგი ამტკიცებდა, რომ ღმრთისგან განსაკუთრებული გამოცხადება ჰქონდა და სწორედ იმ ნუგეშინისმცემელს წარმოადგენდა, რომლის მოვლინებასაც უფალი მოწაფეებს შეჰპირდა. მონტანმა ორი მდიდარი ქალი – პრისკილა და მაქსიმილა მიიმხრო, რომელთაც წინასწარმეტყველებად ასაღებდა. მათ დროდადრო რაღაც ველური შეტევა ეწყებოდათ, რასაც სულის მოქმედებით ხსნიდნენ, რომელიც თითქოს მათ წინასწარმეტყველების ნიჭს აძლევდა.

გარეგნულად მონტანი მკაცრ, თავშეკავებულ ცხოვრებას ეწეოდა და თავის მიმდევრებსაც ზნეობრივი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა. იგი მათ მარხვის წესებს უდგენდა, განქორწინებისაკენ მოუწოდებდა, შეუბრალებლობას იჩენდა დაცემულთა მიმართ და ამტკიცებდა, რომ ერთხელ მოკვეთილებისათვის ეკლესიაში დასაბრუნებელი გზა სამუდამოდ უნდა მოეჭრათ. სხვების მიმართ მონტანისტების ქედმაღლური დამოკიდებულება იმაზე მეტყველებდა, რომ სამაგიეროდ დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე ჰქონდათ. მართლაც, ისინი თავს წმინდანებად მიიჩნევდნენ და "სულიერებს" უწოდებდნენ, მაშინ, როცა სხვებს "მშვინვიერებად" სახელდებდნენ. ამგვარი ამპარტავნობა და სისასტიკე იყო სწორედ პირველი ნიშანი ამ მიმდინარეობის ერეტიკული ხასიათისა. ჭეშმარიტი ქრისტიანობა ხომ ცოდვით დაცემულის მხილებასთან ერთად მის ნუგეშისცემასაც აუცილებლად გულისხმობს, იქიდან გამომდინარე, რომ ყველას, ვინც ცოდვით დაეცემა, თუკი თვითონაც მოისურვებს, ღმრთის შემწეობით, წრფელი სინანულის შემთხვევაში, წამოდგომაც შეუძლია. ეკლესიამ დროულად ამხილა მონტანის მოძღვრების სიყალბე და მისი მიმდევრების გარეგნულად შენიღბულ უზნეობასაც მალე ახადა ფარდა.[37]

ამ პერიოდისათვის ისევ მომძლავრდნენ გნოსტიციზმის მიმდინარეობანი, რომელთა რიცხვიც იმდენად დიდი იყო, რომ ყოველ მათგანზე შეჩერება შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ იმ ნიშანს გამოვყოფთ, რომელიც ყოველი მათგანისათვის იყო საერთო, კერძოდ, მსოფლმხედველობრივ ნათესაობას, როგორც იუდაიზმთან, ისე ანტიკურსა და აღმოსავლურ ფილოსოფიებთან. II საუ-

[37] იქვე, V, 14, 16, 17, 18, 19.

კუნის ბოლოს მცხოვრები გნოსტიკოსებიდან ყველაზე ცნობილნი ტატიანე და ვარდესანი იყვნენ, რომელნიც თავიანთ ცრუ მოძღვრებებს განსაკუთრებით სირიასა და ეგვიპტეში ავრცელებდნენ. სამწუხაროდ, ტატიანემ, რომელიც წმ. იუსტინეს მოწაფე იყო და თავდაპირველად ქრისტიანობის აპოლოგიაც კი შეადგინა, შემდეგში რაღაც მიზეზით ჭეშმარიტებას უღალატა.[38] ვარდესანი თავის ერეტიკულ იდეებს ლექსებით გადმოსცემდა, რათა მსმენელებისათვის მათი აღქმა და დამახსოვრება გაეადვილებინა.

მეორე საუკუნის ბოლოს რომში გამოჩნდა მწვალებელი, სახელად თეოდოტე, რომელიც ქრისტეს ღმრთეებრიობას უარყოფდა. რომში იგი ეპისკოპოსის წერილის გარეშე ჩავიდა, რის გამოც იქაურ ქრისტიანთა შორის თავიდანვე ეჭვი გამოიწვია. იმ დროისათვის არსებობდა წესი, რომლის მიხედვითაც ქრისტიანს, რომელიც სხვა ქალაქში მიდიოდა, თან უნდა წაეღო თავისი ეპისკოპოსის სარეკომენდაციო წერილი იმის თაობაზე, რომ იგი ქრისტიანი იყო და საიდუმლოებაზე დასწრება შეეძლო. ამგვარი სიფრთხილის გამოჩენა დევნამ და ერესების გაძლიერებამ გამოიწვია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თეოდოტე, რომელსაც სარეკომენდაციო წერილი არ ჰქონდა, რომის ეკლესიამ არ მიიღო და მართალიც აღმოჩნდა, მალე გაირკვა, რომ მას ქრისტიანთა დევნის პერიოდში პატარა ქალაქ ბიზანტიონში ქრისტე უარეყო. თეოდოტეს თავის მართლება არც უცდია, რადგან, როგორც განაცხადა, მან ღმერთი კი არა, ქრისტე უარყო, რომელსაც ჩვეულებრივ ადამიანად თვლიდა.

ამ დროისათვის გაჩნდა, აგრეთვე, ახალი მწვალებლური მიმდინარეობა ე.წ. „პატრიპასიანებისა“. მათი წარმომადგენელი პრაქსესი ასწავლიდა, რომ რამდენადაც წმ. სამების პირები არ არსებობენ, ამდენად არა ძე, არამედ თავად მამა განკაცდა.

ქრისტიანულ მოძღვრებას თავს წარმართი ფილოსოფოსებიც და მწერლებიც ესხმოდნენ და მის განქიქებას ცდილობდნენ. მათგან განსაკუთრებული ცინიზმით ლუკიანე გამოირჩეოდა. იგი ვილაც უზნეო პერეგრინის თავგადასავალს, რომელიც ქრისტიანებს ანგარების მიზნით მიეკედლა, აზოგადებდა და საერთოდ, მაცხოვრის მიმდევრებს დასცინოდა.

[38] იქვე, V, 29.

მიუხედავად არაობიექტურობისა და ქრისტიანული მოძღვრების დამახინჯების თავგამოდებული მცდელობისა, წარმართები მაინც იძულებულნი ხდებოდნენ ელიარებინათ, რომ საერთოდ ქრისტიანები სათნონი, ჭირთამთმენნი და მამაცნი იყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ ეს გარეგნული უბედურებანი – უსამართლო შეურაცხყოფა, ცილისწამება, დევნა და ტანჯვა-წამება ნაცვლად იმისა, რომ ზიანი მიეყენებინა, პირიქით, ხელს ეკლესიის კეთილდღეობას უწყობდა. მრავალფეროვანი განსაცდელი მას კიდევ უფრო მეტად აწრთობდა; ამასთან, მართალია, მას თითქმის მთელი სამყარო აღუდგა წინ, მაგრამ სამაგიეროდ, იგი მფარველობდა, ვინც სამყარო შექმნა. ეკლესიას სასწაულები არ აკლდა, მისი მწყემსმთავრები და საუკეთესო შვილები, ვითარცა მნათობნი, სიწმინდითა და სიბრძნით ბრწყინავდნენ.

პირველი ქრისტიანი მწერლები და განათლება

წარმართულ ფილოსოფიასთან კამათში თანდათან იზრდებოდა და ვითარდებოდა ქრისტიანული მწერლობაც. ამ დროისათვის ეკლესიას უკვე მრავალი ცნობილი მწერალი ჰყავდა. მათგან უწინარესად სარდეს ეპისკოპოსს **მელიტონს** დავასახელებთ, რომელმაც ძველი აღთქმის გულმოდგინედ შესწავლის შედეგად მასში შემავალი კანონიკური წიგნების სია პირველმა შეადგინა. საბედნიეროდ, ამ სიამ ჩვენამდეც მოაღწია.[39] სარდეს მწყემსმთავარი, რომელსაც თანამედროვენი პატივს, აგრეთვე, როგორც სულიწმიდის მადლით აღვსილ წინასწარმეტყველსაც მიაგებდნენ, დაახლოებით 177 წელს გარდაიცვალა.

თეოფილე ანტიოქიელს, რომელიც წარმართობიდან მოიქცა და ეკლესიის ერთ-ერთი რჩეული მღვდელმთავარი გახდა, გარდა რამდენიმე მშვენიერი შეგონებისა, ეკუთვნის თხზულება "რწმენის შესახებ", რომელიც ძველი ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად ითვლება.

დიონისე კორინთელმა შვიდი ბრწყინვალე ეპისტოლე დაგვიტოვა, რომლებშიც ავტორი ეკლესიის ჭეშმარიტი მოძღვრების განმარტე-

[39] იქვე, IV, 26.

ბასთან ერთად ერეტიკულ სწავლებათა მხილებასაც იძლევა.[40] **აპოლინარი იერაპოლელი**, გარდა იმისა, რომ მარკუს ავრელიუსისათვის გადასაცემად მშვენიერი აპოლოგია შეადგინა, ბევრს წერდა მონტანის ცრუ-მოძღვრების სამხილებლად. **ირინეოს ლიონელმა**, რომელიც პოლიკარპე სმირნელის მოწაფე იყო და შემდეგში ლიონის ეპისკოპოსი გახდა, ერესების წინააღმდეგ ხუთი წიგნი შექმნა, რომელნიც თავის განუზომელ ღირებულებას დღემდე ინარჩუნებენ, რადგან თითქმის ყველაფერი, რაც დღეს ძველ ერესებზეა ცნობილი, ამ წიგნებიდან ვიცით. ირინეოს ლიონელი ეკლესიის შესახებ, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალრიცხოვან ერესებთან ბრძოლაში კიდევ უფრო გამთლიანდა და განმტკიცდა, წერს: „მართალია, ეკლესია მთელ სამყაროშია გაფანტული, მაგრამ იგი ისე იცავს რწმენას, თითქოს ერთი სახლი ჰქონდეს, ერთნაირად სწამს, თითქოს ერთი სული და გული ჰქონდეს; ერთხმად ქადაგებს, თითქოს ერთი ბაგე ჰქონდეს, როგორც მზე – ქმნილება ღმრთისა – მთელ სამყაროში ერთია, ასევე ისიც ყველგან ერთი და იმავე რწმენით ბრწყინავს“.

რადგანაც ქრისტიანული მოძღვრების დაცვა წარმართ ფილოსოფოსებთან კამათსა და მათი ცდომილების მხილებას მოითხოვდა, ქრისტიანები მათ თხზულებებსაც ეცნობოდნენ. II საუკუნეში ეკლესია, რომლის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს განათლების გავრცელება შეადგენდა, ამ მიზნის განსახორციელებლად, რაც შეიძლება, მეტი სკოლის გახსნას ცდილობდა. ამ დროისათვის მრავალმა ქალაქმა გაითქვა სახელი თავიანთი სასწავლებლებით, მაგრამ ალექსანდრიაში დაარსებულ სკოლას მაინც სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ფიქრობდნენ, მისი ფუძემდებელი მოციქული მარკოზი იყო. თავის უპირველეს ამოცანად ეს სკოლა ნათლობის მსურველთათვის ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლების სწავლებას მიიჩნევდა. ამიტომაც მოსანათლად მოსამზადებელ ანუ კათაკმეველთა სასწავლებლად იწოდებოდა და მოძღვრებსა და მქადაგებლებს ამზადებდა. II საუკუნეში ალექსანდრიის სასწავლებელმა თავისი მოქმედების არე მნიშვნელოვნად გააფართოვა, რასაც დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ სკოლას სათავეში ცნობილი

[40] იქვე, IV, 23.

მოღვაწენი, ღმრთისმოსაობითა და განსწავლულობით განთქმული პიროვნებები ედგნენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი სასწავლებელი განსაკუთრებით სწორედ ალექსანდრიას სჭირდებოდა, რომელიც განათლების მაღალი დონით მთელ აღმოსავლეთში იყო განთქმული. ქალაქს პტოლემაიოსის მიერ შექმნილი მრავალი მნიშვნელოვანი წარმართული სასწავლებელი და უზარმაზარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომლებშიც ალექსანდრიელი იუდეველები ანტიკურ ფილოსოფიასა და მეცნიერებებს გულმოდგინედ ეცნობოდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გნოსტიკოსებს არსად იმდენი მსმენელი არ ჰყავდა, რამდენიც ალექსანდრიაში.

ცრუმოძღვრებათა მოსაგერიებლად უწინარესად ქრისტიანული მოძღვრების მეცნიერული ცოდნა იყო საჭირო. სწორედ ამგვარ ცოდნას იძლეოდა ამ დიდსა და ჭრელ ქალაქში წმ. მარკოზ მოციქულის მიერ დაარსებული სასწავლებელი.

სკოლის პირველი ცნობილი მოძღვარი ათენელი ფილოსოფოსი ათენაგორა იყო. წარმართობის მიმდევარმა, წმ. წერილის შესწავლა თავდაპირველად მისი მხილების მიზნით გადაწყვიტა, მაგრამ შედეგი სულ სხვაგვარი გამოდგა: ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ძალამ იგი ისე დაატყვევა, რომ ქრისტე ირწმუნა და მარკუს ავრელიუსს ქრისტიანთა დასაცავად მჭევრმეტყველების მაღალი ოსტატობით აღბეჭდილი აპოლოგიაც კი გადასცა.

ათენაგორას შემდეგ სასწავლებელს სათავეში პანტენი ჩაუდგა, რომელიც ახალგაზრდობაში სტოიკოსთა ფილოსოფიით იყო გატაცებული, მაგრამ, ღმრთის წყალობით, თვალი ჭეშმარიტების შესაცნობად აეხილა და მოინათლა. რამდენიმე ხნის შემდეგ უფალმა მას უფრო რთული საქმისათვის მოუწოდა. ალექსანდრიაში, რომელსაც მრავალ ქვეყანასთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობანი ჰქონდა, ინდოეთიდან რამდენიმე ადამიანი მოვიდა და ეპისკოპოს დიმიტრიოსს იქაური ქრისტიანებისათვის მოძღვრის გაგზავნა სთხოვა. მართალია, თავის დროზე ქრისტეს მოძღვრება იქ მოციქულებმა: თომამ, ბართლომემ და მატათამ იქადაგეს, მაგრამ მოციქულთა სწავლება თანდათან დავიწყებას ეძლეოდა და ხალხს მისი შეხსენება სჭირდებოდა (შდრ. IV საუკუნეში წმ. ნინოს მობრძანება საქართველოში, სადაც ქრისტიანობა I

საუკუნეში ასევე მოციქულებს ჰქონდათ ნაქადაგები). დიმიტრიოსმა ინდოეთში მისიონერული მისიით წასვლა პანტენს შესთავაზა. პანტენმა სასწავლებელი თავის საუკეთესო მოწაფეს, კლიმენტის ჩააბარა და თვითონ გრძელსა და ხიფათით აღსავსე გზას დაადგა. ინდოეთში მისი მოღვაწეობის შესახებ თითქმის არაფერი შემოგვრჩა, ვიცით მხოლოდ ის, რომ მან იქ მათეს ებრაულად დაწერილი სახარება იპოვა, რომელიც მოციქულ ბართლომეს დაეტოვებინა. ალექსანდრიაში დაბრუნებული პანტენი კვლავ ჩაუდგა სასწავლებელს სათავეში.[41]

პანტენის მოწაფეს, კლიმენტის, სწავლულთა შორის სწავლულს უწოდებდნენ. თავდაპირველად წარმართი და ელინური ფილოსოფიის თაყვანისმცემელი კლიმენტი, ღმრთის წყალობით, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოიქცა და წმ. წერილიც გულმოდგინედ შეისწავლა. ამის შემდეგ მან საბერძნეთში, იტალიასა და პალესტინაში იმოგზაურა, რათა იქ მოღვაწე მამათა ცხოვრებას გასცნობოდა და მათი დარიგებანი მოესმინა. შედეგად კლიმენტი მღვდლად ეკურთხა, ხოლო პანტენის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრიის სასწავლებელს ჩაუდგა სათავეში, რომელმაც მისი და მისი მოწაფის – ორიგენეს დროს თავისი დიდების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.[42]

მიუხედავად იმისა, რომ კლიმენტი ალექსანდრიელს ხშირად წარმართული ფილოსოფიისადმი გადაჭარბებულ ყურადღებას საყვედურობენ, მისმა თხზულებებმა, რომლებშიც მრავალ პრობლემურ საკითხს სწორი პასუხი აქვს გაცემული, ქრისტიანულ მწერლობაში თავისი ადგილი დაიკავეს.

ნაწილი მკვლევართა ფიქრობს, რომ II საუკუნის ბოლოს ქრისტიანულ მოძღვრებას ბრიტანეთის კუნძულებზეც უნდა გასცნობოდნენ. ამ შემთხვევაში ისინი ნდობით ეკიდებიან გადმოცემას, რომლის მიხედვითაც, ბრიტანეთის მეფემ, ლუციუსმა, რომში მოციქულები წარაგზავნა და ეპისკოპოს ელევთერისაგან მქადაგებლები ითხოვა, რომელთაც ეს საქმე წარმატებით აღასრულეს; სხვების შეხედულებით კი, ეს ცნობა საეჭვო უნდა იყოს. უფრო

[41] იქვე, V, 10

[42] იქვე, V, 11; VI, 6, 13, 14.

სარწმუნოა, რომ ბრიტანეთის ეკლესია აღმოსავლეთიდან წასულმა მქადაგებლებმა დააარსეს. ამას ისიც უნდა მოწმობდეს, რომ შოტლანდიელები პასექს დიდხანს აღმოსავლეთის ეკლესიის ტრადიციისამებრ დღესასწაულობდნენ.

რაც შეეხება პასექის აღნიშვნის დროს, მეორე საუკუნის ბოლოს იგი ისევ კამათის ობიექტად იქცა. რომის ეპისკოპოსის ელევთერის მემკვიდრემ, ვიქტორმა, ამ საკითხის გადასაწყვეტად დედაქალაქში კრება მოიწვია და მისი დადგენილება აზიის ეკლესიებს წერილობით ამცნო. ამასთან იგი მბრძანებლურად ითხოვდა, რომ მათ პასექი რომისა და აღმოსავლეთის ზოგიერთი ეკლესიის (იერუსალიმისა და ანტიოქიის) თანადროულად ეზეიმათ. რაც შეეხება პასექის აღნიშვნის თარიღს, რომის ეკლესია მას მართლაც სწორად განსაზღვრავდა, მაგრამ სამაგიეროდ წერილის ტონი იყო შეუფერებელი ქრისტიანი მწყემსმთავრისათვის. ვიქტორს უფლება არ ჰქონდა მბრძანებლური ტონით მიემართა სხვა ეპისკოპოსებისათვის. შეიძლება ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აზიის ეკლესიებმა თავთავიანთ ტრადიციებზე დარჩენა გადაწყვიტეს. გაღიზიანებულმა ვიქტორმა ყველა, ვინც დღესასწაულის აღნიშვნის დროზე რომის ეკლესიის თვალსაზრისი არ გაიზიარა, განკვეთილად გამოაცხადა. მისი საქციელი გახდა მიზეზი მრავალი ეპისკოპოსის მხრიდან მისთვის წერილის მიწერისა. ისინი, მართალია, რომის მღვდელმთავარს პასექის აღნიშვნის თარიღზე ეთანხმებოდნენ, მაგრამ ამავე დროს კიცხავდნენ კიდეც ეკლესიაში შფოთის შეტანისა და მშვიდობის დარღვევის გამო.

ვიქტორს წერილი ირინეოს ლიონელმაც მისწერა, რომელშიც შეახსენა – როგორ გადაწყვიტეს თავის დროზე ეს საკითხი რომის პაპმა ანიკიტემ და პოლიკარპე სმირნელმა. ვიქტორი იძულებული გახდა განკვეთის თაობაზე თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა, რის შედეგადაც მშვიდობა აღდგენილ იქნა, ხოლო რაც შეეხება თვით პასექის აღნიშვნის თარიღს, ყველა ეკლესია ისევ თავისი ტრადიციის ერთგული დარჩა.[43]

[43] იქვე, V, 23, 24.

ქრისტიანთა დევნის მეხუთე პერიოდი

როგორც თავის აპოლოგიაში ტერტულიანე გვამცნობს, მესამე საუკუნის დასაწყისში ქრისტიანთა რიცხვი დიდად გაიზარდა. წარმართები ჩიოდნენ, რომ მათი ტაძრები დაცარიელდა, რადგან ქრისტიანებმა მრავალი გადაიბირეს. ამ პროცესის შესაჩერებლად ისინი მათ დასჯას გააფთრებით მოითხოვდნენ. II საუკუნის ბოლოს იმპერიის ტახტზე სეპტიმუს სევერუსი ავიდა, რომელიც თავდაპირველად ქრისტიანებს თითქოს კიდევაც სწყალობდა. ამის მიზეზად ვინმე ქრისტიანს, სახელად პროკულეს მიიჩნევენ, რომელმაც იმპერატორი მძიმე სნეულებისაგან განკურნა; მაგრამ, სამწუხაროდ, ქრისტიანების მიმართ მისი ლმობიერი დამოკიდებულება მალე სრულიად საპირისპიროთი შეიცვალა. ზუსტად არ ვიცით ეს ცვლილება რამ გამოიწვია, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, მიზეზი იუდეველების ზეგავლენა უნდა იყოს, რომლებიც ქრისტიანთა მშვიდ ცხოვრებას ვერაფრით ურიგდებოდნენ. თავისი როლი უნდა ეთამაშა იმ ფაქტსაც, რომ იმპერატორის ჯარში ზოგიერთმა ქრისტიანმა მეომარმა წარმართული ფიცის მიღებაზე უარი განაცხადა. უეცრად გასასტიკებულმა სეპტიმუსმა 202 წელს გამოსცა ბრძანება, რომლითაც ყველა, ვინც ქრისტიანობას, ან იუდაიზმს მიიღებდა, სიკვდილით ისჯებოდა; დაიწყო ქრისტიანთა დევნის მეხუთე პერიოდი.

წარმართებს ქრისტიანები იმდენად სძულდათ, რომ იმპერატორის ბრძანების მოსვლასაც არ დაუცადეს. აფრიკაში, კერძოდ, კართაგენში პროკონსულს 12 ადამიანი მიუყვანეს, რომელთაც ბრალად ქრისტიანობა ედებოდათ. როცა პროკონსულმა მათგან ღმერთების თაყვანისცემა და იმპერატორის გენიის დაფიცება მოითხოვა, ერთ-ერთმა მათგანმა, სპერატმა უპასუხა, რომ ისინი არ არღვევდნენ რომის კანონებს, პატიოსნად იხდიდნენ გადასახადებს, დაწესებულს იმპერატორის მიერ, ვისაც, როგორც ღმრთისაგან მათთვის დადგენილ ბატონს, პატივს მიაგებდნენ, მაგრამ თაყვანს მხოლოდ ყოვლისმპყრობელ ღმერთს სცემდნენ. პროკონსულმა ისინი ციხეში ჩაყარა, მეორე დღეს კი ისევ დაიბარა და იმპერატორისათვის თაყვანისცემა განსაკუთრებით

ქალებისაგან მოითხოვა, რაზეც ერთ-ერთმა, დონატამ, სპერატის მსგავსად უპასუხა, რომ კეისარს ისინი მის შესაფერის პატივს მიაგებდნენ, თაყვანისცემა კი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა. წარმართ მსაჯულებზე, რომელთაც მხოლოდ ქრისტიანთა დასჯის სურვილი ამოძრავებდათ, ამ პასუხებს არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია. სიკვდილით დასჯის წინ ქრისტიანებმა მუხლი მოიყარეს, შემდეგ ხმამაღლა ადიდეს ღმერთი იმისათვის, რომ მან მისი სახელისათვის მათი წამება ინება და ილოცეს.

კართაგენში მაცხოვრის მორწმუნეთა დევნა იმპერატორის ჩასვლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ დროს ქრისტესათვის მოწამეობრივად აღსრულებულთაგან რამდენიმეს სახელი დანამდვილებით ვიცით, რომელნიც მაშინ შეიპყრეს, როცა ნათლობისათვის ემზადებოდნენ. ვივია პერპეტუა მდიდარი და ცნობილი ქალი იყო, თანაც ახალგაზრდა. თავისი დაკითხვა და საპყრობილეში ჩასმა პერპეტუამ თვითონვე აღწერა. მამა, რომელიც წარმართი იყო, მსაჯულებთან ერთად ევედრებოდა თავის ქალიშვილს უარეყო ქრისტე, მაგრამ ამაოდ. დაკითხვა რამდენიმე დღეს გაგრძელდა, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ ბრალდებულებმა მოახერხეს და წმ. ნათლობა მიიღეს, რის შედეგადაც ახალი ძალით აღივსნენ. ყველანი ისეთ ვიწრო საკანში ჩაკეტეს, რომ სუნთქვა ჭირდა. ფუფუნებას მიჩვეული პერპეტუა, მხოლოდ ჩვილზე წუხდა, რომელსაც ჯერ კიდევ თავისი რძით კვებავდა და რომელიც წაართვეს. მის მოახლეს, ფელიციტატას ჩქარა უნდა ემშობიარა. ბოლოს ორმა დიაკონმა ახალგაზრდა ქალების შედარებით დიდ საკანში გადაყვანა მოახერხა, სადაც ნათესავებსა და ახლობლებს შეეძლოთ ენახათ ისინი; პერპეტუას მისი ჩვილი მიუყვანეს, რომელიც მან მშობლებს ჩააბარა, რადგან, რაც ელოდებოდა, კარგად იცოდა. მოხუცი მამა მუხლზე დავარდა, ქალიშვილს ხელებს უკოცნიდა და სიკვდილისაგან თავის დახსნას ცრემლებით ევედრებოდა. დედაც ტიროდა, მაგრამ არაფერს ეუბნებოდა, რადგან ფარულად იგიც ქრისტიანი იყო. მამის ვედრებას სასამართლოს თავმჯდომარეც შეუერთდა; იგი ქალს შეაგონებდა, რომ ნუ გაკადნიერდებოდა, მოხუც მამას ნუ დაამწუხრებდა და მსხვერპლშეწირვის რიტუალი აღესრულებინა, მაგრამ პერპეტუას გადაწყვეტილება მტკიცე აღმოჩნდა.

ქრისტიანებს სასჯელად მხეცებისაგან შეჭმა გამოუტანეს. განაჩენის აღსრულების წინ ფელიციტატას მშობიარობა დაეწყო და ტკივილებისაგან გატანჯული კვნესოდა, ერთ-ერთმა დასასჯელმა ქალს უთხრა, რომ თუ მშობიარობის ტკივილებს ვერ უძლებდა, მაშინ რაღას იზამდა, როცა შესაჭმელად მხეცებს მიუგდებდნენ. ფელიციტატამ უპასუხა, რომ ახლა მარტო იტანჯებოდა, მაშინ კი მის ტანჯვას უფალიც გაინაწილებდა, რომლისთვისაც იგი ეწამებოდა. წამების წინა დღეს ურიცხვი ხალხი შეიკრიბა, რომელსაც ქრისტიანებმა სიტყვით მიმართეს; ისინი მომავალ სამსჯავროსა და იმ სულიერ სიხარულზე საუბრობდნენ, რომელიც მათ გულებს ავსებდა. „კარგად შეხედეთ ჩვენს სახეებს, რათა ისინი სამსჯავროს დღეს იცნოთ," – უთხრა სეირის საყურებლად შეკრებილებს ერთ-ერთმა მათგანმა.

ქრისტიანთა წამება იმპერატორის დაბადების დღეს უნდა აღსრულებულიყო, რადგან მას ამგვარი გასართობი სანახაობებით აღნიშნავდნენ. ის ქრისტიანები, რომელთა სასიკვდილოდ შეჭმა მხეცებმა ვერ შეძლეს, მახვილებით განგმირეს. პერპეტუას უკვირდა, რომ თუმცა მთელი სხეული მხეცების ბრჭყალებით ჰქონდა დასერილი, ტკივილებს მაინც ვერ გრძნობდა. მან ხელი გაუწოდა ფელიციტატას და წამოაყენა. ხალხმა წამებული ქალების ამფითეატრის შუაში წარდგენა მოითხოვა, რათა მათი სიკვდილი, რაც შეიძლება კარგად დაენახა... ისინი მართლაც გაიყვანეს და იქ გლადიატორებმა ყველას თვალწინ დაკლეს.

ეგვიპტეში წამებულთაგან განსაკუთრებით ცნობილია იშვიათი სილამაზის მონა ქალიშვილი პოტამუნა, რომელიც ბატონმა დაასმინა. იგი სასტიკად აწამეს და ბოლოს ნელ-ნელა ჩაუშვეს ქვაბში, რომელშიც ფიჭვის ფისი დუღდა. ამ დროს მას ხალხი დასცინოდა, მაგრამ მეომართა შორის მაინც აღმოჩნდა ერთი, რომელიც მიხვდა, რაც ხდებოდა და პოტამუნას სიმტკიცითა და უსაზღვრო მოთმინებით დიდად მოიხიბლა. ბასილიდი ცდილობდა შეურაცხყოფისაგან დაეცვა იგი, რის პასუხადაც ქალმა უთხრა, რომ სიკვდილის შემდეგ უფალს მისთვის შეევედრებოდა. გავიდა რამდენიმე ხანი. ერთხელ ბასილიდს მეგობრებმა რაღაც შემთხვევის გამო სთხოვეს დაეფიცა, მაგრამ მან განაცხადა, რომ ვერ დაი-

ფიცებდა, რადგან ქრისტიანი იყო. თავდაპირველად ეგონათ, რომ ხუმრობდა, მაგრამ როცა მისი სიტყვების სიმართლეში დარწმუნდნენ, საპყრობილეში შეაგდეს. საპყრობილეში იგი ქრისტიანებმა ინახულეს და უეცარი მოქცევის მიზეზი ჰკითხეს. მან თქვა, რომ დასჯიდან სამი დღის შემდეგ პოტამუნა გამოეცხადა და უთხრა, რომ დაპირება შეასრულა და რომ იგი ჩქარა მოკვდებოდა ქრისტესათვის. მართლაც, ბასილიდი საპყრობილეში მოინათლა და მოწამეობრივად აღესრულა.[44]

ალექსანდრიაში შეიპყრეს ქრისტიანი ლეონიდე, რომელსაც დიდი ოჯახი – ცოლი და შვიდი შვილი ჰყავდა, მათგან უფროსი მხოლოდ 17 წლისა იყო. ლეონიდეს ოჯახი მისი დასჯის შემთხვევაში ულუკმაპუროდ დარჩებოდა, რადგან იმპერატორის ბრძანებით, ქრისტიანთა ქონება ხაზინას უნდა გადასცემოდა. უფროსი ვაჟი ორიგენე მამას საპყრობილეში სწერდა, რომ ოჯახის გამო სარწმუნოების დაცვასა და მოწამის გვირგვინზე უარი არ ეთქვა. ასეც მოხდა, ლეონიდე მოწამეობრივად აღესრულა, იგი მახვილით მოკლეს.

ამ პერიოდში სასტიკი დევნა განიცადა ლიონის ეკლესიამაც, რომლის ეპისკოპოსიც წმ. ირინეოსი იყო. ირინეოსი ჯერ კიდევ ადრეულ ყრმობაში უსმენდა მცირე აზიაში წმ. პოლიკარპე სმირნელს; იქვე უსმენდა იგი მოციქულთა სხვა მოწაფეებსაც. ირინეოსმა თავისი დროისათვის სრულყოფილი განათლება მიიღო; კარგად იცნობდა, აგრეთვე, იმ ძველ პოეტებსა და ფილოსოფოსებსაც, რომელთაც ქრისტიანობასთან საერთო შეხედულებანი ჰქონდათ. ტერტულიანე მას ყველა მოძღვრების ყველაზე გამომეძიებელ მკვლევარს უწოდებდა, ხოლო წმ. იერონიმე ფილოსოფიის სიყვარულში მაგალითად მიიჩნევდა. თავისი რჩეული მოწაფე აღმოსავლეთ გალიაში პოლიკარპემ წარგზავნა, რათა, როგორც ფიქრობენ, ლიონის ეპისკოპოსს პოთინს სარწმუნოების ქადაგების საქმეში შეწეოდა. პოთინმა იგი ხუცესად აკურთხა, ხოლო მისი მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ, 178 წელს, ლიონელებმა ირინეოსი თავიანთ ეპისკოპოსად აირჩიეს. ახალმა მწყემსმთავარმა უმოკლეს დროში ქადაგებით მთელი ქალაქი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია. მან თავი გამოიჩინა ერესებთან ბრძოლით, რომელთაც როგორც სიტყვიერად, ისე

[44] **Евсевий Памфил, VI, 5.**

წერილობითაც ამხელდა. ამ დროისათვის უკვე დაწერილი იყო მისი ცნობილი თხზულება „ერესთა წინააღმდეგ“, რომელსაც თვითონ ავტორმა „მხილება და უარყოფა ცრუ ცოდნისა“ უწოდა. ჩვენამდე ამ თხზულების, მართალია, უხეშმა, მაგრამ ფრიად ძველმა ლათინურმა თარგმანმა მოაღწია. რაც შეეხება დედანს, იგი მხოლოდ ნაწყვეტებით შემოგვრჩა. თხზულება „ერესთა წინააღმდეგ“ ხუთი წიგნისაგან შედგება, მისი პირველი წიგნი, რომელშიც გნოსტიკურ ერესთა შემაჯამებელი ვალენტის ცრუ მოძღვრებაა მხილებული, სიტყვასიტყვით გადაიტანა ეპიფანე კვიპრელმა თავის თხზულებაში ერესების შესახებ.

როცა იმპერატორ სეპტიმუს სევერუსის ბრძანებით იმპერიაში ქრისტიანთა დევნამ ახალი ძალით იფეთქა, ლიონის ეკლესიამ, ისევე, როგორც დევნის წინა პერიოდში, განსაკუთრებული ტანჯვა განიცადა. 202 წელს თავის ათასობით სულიერ შვილთან ერთად, წმ. ირინეოსიც მოწამეობრივად აღესრულა და წამებული მწყემსის გვირგვინი დაიდგა.

ორიგენე

ორიგენე, ვაჟი ლეონიდესი, რომელმაც სარწმუნოება სიცოცხლის ფასად დაიცვა, ალექსანდრიაში დაიბადა. მამა მას წმინდა წერილიდან ადგილების ზეპირად დასწავლას ყრმობიდანვე ავალებდა. უჩვეულოდ ნიჭიერი ყრმა ყველაფერს ადვილად ითვისებდა და მამას ისეთ კითხვებს აძლევდა, რომ იძულებულს ხდიდა მისი ცნობისმოყვარეობისათვის ზღვარი დაედო, თუმცა, გულში მადლობდა უფალს, რომელმაც ასეთი ვაჟი უბოძა. გადმოგვცემენ, რომ ლეონიდე ღამღამობით შვილის საწოლთან მიდიოდა, მკერდზე კოცნიდა, რადგან ფიქრობდა, რომ ამ გულში ღმრთის სული მკვიდრობდა. მამამ ორიგენე ალექსანდრიის სკოლაში შეიყვანა, სადაც მაშინ კლიმენტი ალექსანდრიელი ასწავლიდა. როცა ქრისტიანთა დევნა დაიწყო, ყმაწვილი თითქოს ქრისტესათვის სიკვდილს ეძებდა. ეს სურვილი განსაკუთრებით მამამისის შეპყრობის შემდეგ გაუძლიერდა და გადაწყვიტა მასთან ერთად დაღუპულიყო, მაგრამ დედამ ტანსაცმელი დაუმალა, რათა სახლიდან გასვლა არ

შეძლებოდა. ლეონიდეს სიკვდილით დასჯის შემდეგ ოჯახი საშინელ სიღატაკეში ჩავარდა და ორიგენეც იძულებული გახდა მასზე ეზრუნა. ჭაბუკს მფარველად ვიღაც მდიდარი ქალი გამოუჩნდა და შინ წაიყვანა, მაგრამ ეს ქალი გნოსტიკოსთა გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და ერთი ცრუ მოძღვარი შვილივით ჰყავდა მიღებული. როცა მან მოისურვა, რომ ლოცვაზე შეკრებილთ, რომელთაც ეს ცრუ მოძღვარი თავმჯდომარეობდა, ორიგენეც შეერთებოდა, მან მტკიცე უარი განაცხადა იმ ადამიანთან ერთად ლოცვაზე, რომელიც ქრისტეზე დამახინჯებულ სწავლებას ავრცელებდა და თავისი მფარველის სახლი დატოვა. მისი ასაკისათვის უჩვეულოდ განათლებულმა ახალგაზრდამ სკოლა გახსნა და გაკვეთილებით თავსაც ირჩენდა და ოჯახსაც არჩენდა.[45] ამასთან, სახელიც სწრაფად მოიხვეჭა, ასე რომ, მის მოსასმენად ალექსანდრიის ცნობილი მოქალაქენიც მოდიოდნენ. თავისუფალ დროს ორიგენე ცოდნის შეძენას ანდომებდა, ალექსანდრიის ცნობილ ფილოსოფოსებს უსმენდა, ერეტიკოსთა მოძღვრებებს ეცნობოდა. იმათგან, რომელნიც მის საუბრებს უსმენდნენ ქრისტეზე, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტებასა და ადამიანთა გონების განმანათლებელზე, მიუხედავად იმისა, რომ დევნა გრძელდებოდა, მრავალი მოიქცა. როცა კლიმენტი, რომელიც სკოლას ხელმძღვანელობდა, იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა, ალექსანდრიის ეპისკოპოსმა დიმიტრიოსმა კლიმენტის ადგილის დაკავება ორიგენეს სთხოვა, რომელიც ამ დროს მხოლოდ ცხრამეტი წლისა იყო. ქრისტიანთა დევნამ კიდევ უფრო დაუნდობელი და სასტიკი ხასიათი მიიღო. ორიგენე შეპყრობილთა სანახავად საპყრობილეში დადიოდა, დასასჯელებს დასჯის ადგილამდე აცილებდა და სარწმუნოების ერთგულებისათვის ხმამაღლა ადიდებდა. ამ დროს ხალხი ხშირად ქვებს ესროდა, მაგრამ ყოველთვის უვნებელი რჩებოდა. გაოცებას იწვევს ის ფაქტი, სხვებთან ერთად ისიც რატომ არ შეიპყრეს. ვარაუდობენ, რომ გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას, რომელიც თავისი განსწავლულობით ალექსანდრიის სიამაყეს წარმოადგენდა, თვითონ ქალაქის ხელისუფლება იფარავდა. ბევრი მისი მოწაფე, რომელნიც ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია,

[45] იქვე, VI, 2.

მოწამეობრივად აღესრულა. ხალხმა რამდენჯერმე წრე მის სახლსაც შემოარტყა, ერთხელ კიდევაც შეიპყრეს, ეგვიპტელთა კერპის სერაპისის ტაძარში მიიყვანეს, ქურუმის სამოსელი გადააცვეს და კერპების თაყვანსაცემად მოსულებისათვის პალმის რტოების დარიგება მოსთხოვეს. ორიგენემ ხალხს რტოები მართლაც დაურიგა, ოღონდ შემდეგი სიტყვებით: „აიღეთ, მაგრამ არა კერპთა, არამედ ქრისტეს სახელით“. მისი მოღვაწეობის პერიოდში ალექსანდრიის სკოლამ კიდევ უფრო დიდი სახელი მოიპოვა, ვიდრე მაშინ, როცა იქ პანტენი და კლიმენტი მოღვაწეობდნენ. მიუხედავად ამისა, ის კვლავ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, მხოლოდ ერთი სამოსი ჰქონდა და ფეხშიშველი დადიოდა.[46]

211 წელს იმპერატორი სეპტიმუს სევერუსი გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ვაჟი კარაკალა რომის იმპერიის ისტორიაში ერთ-ერთ სასტიკ იმპერატორადაა ცნობილი, მის დროს ქრისტიანები არ იდევნებოდნენ. მაცხოვრის მიმდევრებს დევნა არც მისი მემკვიდრეებისაგან განუცდიათ. ასე რომ, 235 წლამდე, თუ მორწმუნეთა წამების ცალკეულ ფაქტებს არ ჩავთვლით, ეკლესიაში ძირითადად სიმშვიდე სუფევდა. იმპერატორი ალექსანდრე სევერუსი ქრისტიანების მიმართ კეთილგანწყობილებასაც კი ამჟღავნებდა, რისი მიზეზიც, როგორც ფიქრობენ, დედამისის ქრისტიანობა უნდა ყოფილიყო. ამასთან, როგორც ჩანს, იმპერატორს წარმართული ღმერთების რწმენაც შერყეული ჰქონდა, რაზეც მის მიერ სასახლეში მოწყობილი სამლოცველოც მიუთითებდა. სამლოცველოში მითოსური ღმერთების ქანდაკებათა შორის, რომელთაც იმპერატორი ყოველ დილით თაყვანს სცემდა, აბრაამისა და ქრისტეს გამოსახულებებიც იდგნენ. ალექსანდრე სევერუსს უყვარდა გამეორება გამოთქმისა, რომელიც ქრისტიანული ზნეობის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს: ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა რომ შენ გაგიკეთონ. სხვებისთვის შესახსენებლად მან ეს სიტყვები სასახლის კარებზეც კი ამოაკვეთინა. ქრისტიანებს ასეთი წესი ჰქონდათ: როცა ვინმეს ეპისკოპოსად გამოარჩევდნენ, გადაწყვეტილებას სახალხოდ გამოაცხადებდნენ, რათა ყველას, და მათ შორის იმათაც, რომელთაც

[46] იქვე, VI, 3.

შერჩეულ პიროვნებაზე სხვა შეხედულება ჰქონდათ, თავიანთი აზრის გამოთქმის საშუალება მისცემოდათ. იმპერატორს ეს წესი ისე მოეწონა, რომ მას გუბერნატორებისა და მოსამართლეთა არჩევის დროს იყენებდა.

ცნობილია ასეთი ფაქტიც; როცა ერთ-ერთი ტრაქტირის პატრონმა ქრისტიანებს იმპერატორთან იმის გამო უჩივლა, რომ მათ ლოცვისთვის შესაკრებად მისი კუთვნილი ადგილი დაიკავეს, ალექსანდრემ მხარი ქრისტიანებს დაუჭირა და ამ ადგილის საერთოდ ქრისტიანთათვის გადაცემა ბრძანა. აქედან ვარაუდობენ, რომ იმპერატორი ქრისტიანთა უფლებას ლოცვისათვის ღიად, განცხადებულად შეკრებისა, ცნობდა. ფიქრობენ, აგრეთვე, რომ პირველი ქრისტიანული ტაძრებიც ალექსანდრეს მეფობის პერიოდში უნდა აგებულიყო და მათი მოხატვის ტრადიციასაც ამავე წლებში უნდა ჩაყროდა საფუძველი. სამწუხაროდ, ქრისტიანთა პირველმა სამლოცველოებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, რადგან ისინი მომდევნო იმპერატორების დროს განახლებულმა დევნამ შეიწირა.

რომის იმპერიის ტახტზე ალექსანდრე სევერუსი მაქსიმინემ შეცვალა, წარმოშობით გოთმა, რომელსაც სისასტიკით მხეცს ადარებდნენ. ქვეშევრდომებმა იგი ჩქარა შეიძულეს და შეთქმულებაც მოუწყვეს. მაქსიმინემ იეჭვიანა, რომ შეთქმულებაში ქრისტიანებიც მონაწილეობდნენ, რადგანაც ისინი ალექსანდრეს სიკვდილს დაუფარავად გლოვობდნენ. ამას მცირე აზიაში მომხდარი საშინელი მიწისძვრაც დაემატა, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ქრისტიანებს დაბრალდა და 235 წელს მათი დევნის მეექვსე პერიოდი დაიწყო. იმპერატორის მხარდაჭერით გათამამებული წარმართები ქრისტიანებს თავიანთ ღმერთებს მსხვერპლად სწირავდნენ, განსაკუთრებული სისასტიკით ეპისკოპოსებსა და ხუცესებს აწამებდნენ. საბედნიეროდ მაქსიმინეს მეფობა მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა და ეკლესიას 249 წლამდე ისევ სიმშვიდის პერიოდი დაუდგა. ასე რომ, ამ სამი წლის გამოკლებით, იგი თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში მოსვენებით ცხოვრობდა. ორიგენეს მოღვაწეობის წლებიც ძირითადად ამ ხანას დაემთხვა.

ალექსანდრიის სკოლაში მასწავლებლობამ და პირველმა თხზულე-

ბებმა ორიგენეს სახელი სწრაფად გაუთქვეს. მას უკვე რჩევისათვის შორეული ადგილებიდანაც მიმართავდნენ. სწორედ ამან გამოიწვია ორიგენეს მოგზაურობა რომსა და არაბეთში, სადაც მისი მოსმენა თვით ამ მხარის მმართველმა მოისურვა. არაბეთიდან დაბრუნების შემდეგ თაყვანისმცემლებმა აიძულეს დაეტოვებინა ალექსანდრია, სადაც ქრისტიანთა დევნის ფაქტები მაინც ხდებოდა (216 წ.) და პალესტინაში გადასულიყო. იქ იგი მისმა ერთგულმა ეპისკოპოსებმა – ალექსანდრე იერუსალიმელმა და თეოკტისტე კესარიელმა შეიფარეს. სწორედ მათი დაჟინებული თხოვნით დაიწყო მან ტაძრებში მრავალრიცხოვანი მორწმუნის წინაშე წმ. წერილის განმარტება, მიუხედავად იმისა, რომ ერისკაცი იყო. ალექსანდრიის ეპისკოპოსმა დიმიტრიოსმა ამის გამო უსაყვედურა და ალექსანდრიაში დაბრუნება მოსთხოვა. ალექსანდრიაში დაბრუნებული ორიგენე იმპერატორი ალექსანდრე სევერუსის დედამ, იულიამ ანტიოქიაში მიიწვია, რათა ქრისტიანულ მოძღვრებაში გარკვეულიყო. 228 წელს საეკლესიო საქმეების გამო იგი საბერძნეთში გაიწვიეს. პალესტინაში, კერძოდ კი, კესარიაში გავლისას ეპისკოპოსებმა – ალექსანდრემ და თეოკტისტემ ორიგენე ხუცესად აკურთხეს, რაც დიმიტრიოსმა საეკლესიო წესდების დარღვევად მიიჩნია. მან ორიგენე ადგილობრივ კრებაზე გაკიცხა, მასწავლებლის წოდებისათვის უღირსად მიიჩნია, ალექსანდრიის ეკლესიიდან გარიცხულად გამოაცხადა და ხუცესის ხარისხი ჩამოართვა (231 წ.). ეს განაჩენი ყველა ეკლესიას წერილობით ეცნობა და მას ყველა დაეთანხმა გარდა პალესტინის, ფინიკიის, არაბეთისა და აქაიის ეკლესიებისა. ეგვიპტის ადგილობრივ კრებათა აქტები, რომლითაც ორიგენე განსაჯეს, არ შემონახულა, მაგრამ ვიცით, რომ გარდა ზემოდასახელებული მიზეზისა (ეკლესიაში ქადაგება ერისკაცისა ეპისკოპოსების თანდასწრებით), არსებობდა სხვებიც, სახელდობრ, საეჭვო ფაქტი თვითდამახინჯებისა, ხელთდასხმის მიღება უცხო ეპისკოპოსებისაგან და სარწმუნოების საკითხებზე ზოგიერთი არამართლმადიდებლური შეხედულება.[47] ალექსანდრიის ეკლესიისაგან განკვეთილმა ორიგენემ თავისი მოღვაწეობა პალესტინის კესარიაში გააგრძელა, სადაც მრავალი მოწაფე და მიმდევარი გაიჩინა. იმპერატორი დეკიუსის

[47] იქვე, VI, 8.

დროს დაწყებულმა დევნამ მას ტირში მიუსწრო. იგი საპყრობილეში ჩააგდეს, რის გამოც ჯანმრთელობა შეერყა და 254 წელს 70 წლის ასაკში გარდაიცვალა. მოღვაწეობაში მოუღლელობისა და სიმტკიცის გამო მას ადამანტისა უწოდეს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ორიგენე მეტისმეტად თავშეკავებულსა და მკაცრ ცხოვრებას ეწეოდა. თავისთვის დღეში მინიმალურ თანხას, 4 ობოლს, ე.ი. იმდენს ხარჯავდა, რამდენიც არსებობის შესანარჩუნებლად იყო საჭირო. ცოტა ეძინა და ხშირად მარხულობდა; მის მთავარსა და საყვარელ საქმიანობას ქველმოქმედება და წმინდა წერილის შესწავლა წარმოადგენდა. ამისთვის მან ოცდაათი წლის ასაკში ებრაული შეისწავლა. ბიბლიის ყველა, იმ დროისათვის ცნობილი თარგმანი შეკრიბა და ერთმანეთს შეადარა. 28 წლის თავაუღებელი შრომის შედეგად ორიგენემ წმინდა წერილი რვა სვეტად გამოსცა. პირველ სვეტში იყო ებრაული ტექსტი ებრაული ასოებით, მეორეში – იგივე ტექსტი ბერძნული ასოებით, მესამესა და მეოთხეში – აკვილასა და სვიმახოსის თარგმანები, შემდეგ – სეპტუაგინტა (პტოლემაიოსის ბრძანებით ბერძნულად გადათარგმნილი 72 სწავლული ებრაელის მიერ ქრისტეს შობამდე 275 წელს), ხოლო მეექვსეში, მეშვიდესა და მერვეში – გვიანდელი თარგმანები, რომლებშიც ზოგიერთი ადგილი ძალიან დამახინჯებული იყო ან უვიცობის, ან წინასწარგანზრახვის მიზეზით, რადგან მთარგმნელები ქრისტიანობის მტრები იყვნენ. მთელი ეს ნაშრომი, რომელსაც გამომცემლის კომენტარებიც თან ახლდა, ექსაპლების სახელწოდებით იყო ცნობილი და წმინდა წერილის გვიანდელი მკვლევარებისათვის უზარმაზარ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა.[48] სამწუხაროდ, მისი დედანი კესარიაში დაიწვა 653 წელს, რის გამოც ექსაპლებმა ჩვენამდის მხოლოდ ნაწყვეტების სახით მოაღწიეს.

როგორც ძველი მწერლები გადმოგვცემენ, ორიგენეს ექვსიათასამდე წიგნი (ამ სიტყვის იმდროინდელი გაგებით) შეუქმნია, მათ შორის – მოკლე სიტყვები, ქადაგებები, წერილები, ძველი აღთქმის თითქმის ყველა წიგნის განმარტება, ხოლო ახალი აღთქმიდან – იოანეს სახარებისა და კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლესი. გადმოცემით ცნობილია, რომ წმინდა წერილის განმარ-

[48] იქვე, VI, 16.

ტებების წერას ორიგენე მდიდარი ალექსანდრიელი მოქალაქის, ამბროსის დაჟინებული თხოვნით შეუდგა, რომელიც ქრისტიანობაზე მოაქცია. ამბროსი მზად იყო მისთვის დიდი თანხა გადაეხადა, მაგრამ ორიგენე, მიუხედავად იმისა, რომ უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა, მხოლოდ იმდენს იღებდა, რამდენიც საქმეს სჭირდებოდა. შვიდი მწერალი ძლივს ასწრებდა მისი ნაკარნახევის ჩაწერას, ხოლო ამდენივე მათ გადაწერას.

ორიგენეს ერთ-ერთი საუკეთესო თხზულებათაგანია „კელსის წინააღმდეგ“. ამ წარმართ ავტორს ეკუთვნოდა წიგნი სახელწოდებით „ჭეშმარიტი მოძღვრება“, რომელშიც ქრისტიანებს დასცინოდა. რამდენადაც კელსის გონებაც უჭრიდა და კალამიც, მისი თხზულება ყველაზე თვალსაჩინო იყო იმ წიგნთა შორის, რომელნიც ქრისტიანობის წინააღმდეგ იყვნენ შექმნილნი. სამწუხაროდ, ეს განმაქიქებელი ნაწარმოები ქრისტიანთა მხრიდან ასი წლის განმავლობაში პასუხგაუცემელი დარჩა. ორიგენე იყო პირველი, ვინც ამ თხზულების სისუსტე ამხილა და მის ავტორს საუკუნის განმავლობაში განმტკიცებული ყალბი პატივი აჰყარა.

ორიგენეს მოძღვრება სარწმუნოებრივ საკითხებზე ძირითადად გადმოცემულია წიგნში „საწყისებზე“.[49] ჩვენამდე ამ ნაწარმოებმა რუფინუსის ლათინური პერიფრაზით მოაღწია, ხოლო მისი ორი ვრცელი ნაწყვეტი III და IV წიგნებიდან, შემოგვენახა ქრესტომათიაში, რომელიც ბასილი დიდმა და გრიგოლ ღმრთისმეტყველმა ორიგენეს ნაწარმოებთაგან შეადგინეს (ფილოკალია). თავისთავად ის ფაქტი, რომ ამ ორმა დიდმა ქრისტიანმა მოაზროვნემ შრომა გასწია იმ ჭეშმარიტებათა ამოსაკრებად, რომელიც ორიგენეს მოძღვრებაში ცდომილებათა გვერდით უხვად იყო გაბნეული, კარგად მეტყველებს იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც ეკლესიას ჰქონდა და აქვს ამ სახელგანთქმული მოაზროვნის მიმართ.

ორიგენეს ცდომილებათაგან უწინარესად მისი ცნობილი სწავლება „საყოველთაო აღდგომაზე“, აპოკატასტასისზე უნდა აღინიშნოს. საინტერესოა, რომ ამ სწავლებას მორალური მოტივები კი არ უდევს საფუძვლად, არამედ ისტორიის შინაარსის უარყოფა. მისი აზრით, მთელი შინაარსი ისტორიული დროისა უკვალოდ იფ-

[49] **Ориген, О началах, Против Цельса, С.-Петербург, 2008.**

ანტება და ისტორიის შემდეგ რჩება ის, რაც ისტორიამდე იყო. ამ ერთგვარი ანტიისტორიზმის მიზეზი კი ისაა, რომ ორიგენეს აზროვნება მხოლოდ დროის გარეშე, მარადისობის თვალსაზრისიდან შეუძლია, რის შედეგადაც არც დროის ცნება ესმის და ემპირიული, ცვალებადი სამყაროს არსებობაც მისთვის გადაუჭრელ ამოცანას წარმოადგენს.

როგორც პლატონის მიმდევარს, ორიგენეს არ ესმოდა დაბადება ან წარმოშობა მარადისობისათვის, მისთვის მისაღები მხოლოდ მარადისობიდან დაცემით გამოწვეული ამოვარდნა და მერე ისევ მასში დაბრუნება იყო.

ორიგენიზმში ნათლადაა ჩამოყალიბებული სწავლება მარადიულ სამყაროზე, რომელიც ღმერთმა შექმნა, მაგრამ მისი ავტორი კვლავ შეცდომას უშვებს, როცა იქ იერარქიის არსებობას უარყოფს. მისთვის მიუღებელია, რომ მარადიულ სამყაროს, რომელიც იდეალურია, რაიმე ნაკლი ჰქონდეს; რამდენადაც იერარქიის არსებობა ამგვარ ნაკლად ესახება, ამიტომ, მისი სწავლებით, მარადიული სამყარო მხოლოდ ერთგვაროვანი და ერთარსება სულების სამყოფია და ამდენად, ბუნებრივია, იქ ანგელოზსა და ადამიანს, ადამიანსა და „წყლის ცხოველს“ შორის არც სხვაობა არსებობს. ამგვარი სხვაობა მხოლოდ ემპირიული სამყაროს კუთვნილება და დაცემის შედეგია, რომელსაც საყოველთაო აღდგომა გააუქმებს. აქედან გამომდინარე, ადამიანის ადგილი არც მომავალ სამყაროში იქნება.

მაშასადამე, ორიგენეს მიხედვით, ჩვენი ხილული სამყარო სამყაროს პერიოდებიდან ერთ-ერთია, რომელშიც ყველა ქმნილება – მნათობებით დაწყებული და წყლის ცხოველებით დამთავრებული, დაცემულ სულებს წარმოადგენს და თუ ანგელოზს უმაღლეს საფეხურად მივიჩნევთ, მივიღებთ, რომ ახლა, ამ სამყაროში, დაცემის სხვადასხვა საფეხურზე მხოლოდ ანგელოზები არსებობენ.

მართალია, მის რელიგიურ სისტემაში ყველაზე ნათელი თავისუფალ ნებაზე სწავლებაა, მაგრამ აქაც შეცდომას უშვებს, როცა თვლის, რომ თავისუფალი ნება მხოლოდ ბოროტების მიზეზია (მაგ., იდეალური სამყარო თავისი ნებით დაეცა, რაც თავისთავად სწორია), ხოლო რაც შეეხება სიკეთეს, მისთვის თავისუფალი ნება

საჭირო არაა. ამ ცდომილების მიზეზიც რადიკალური არაისტორიზმია, რომლის მიხედვითაც, არც დრო, და, მაშასადამე, არც ისტორია საჭიროა არაა, რადგან ყოფიერების მთელი სისრულე, ანუ ყოველივე რასაც ყოფა შეეფერებოდა დროზე „ადრე“ და „უწინარესად“ შეიქმნა.

ღმრთის მიერ შექმნილ არსებათა დაცემის მიზეზს ორიგენე შემოქმედისადმი სიყვარულის გაციებაში ხედავს. მისთვის იესო ქრისტეც ღმრთის მიერ შექმნილი სულიერი არსებაა, რომელიც იმგვარი მგზნებარე სიყვარულით ისწრაფოდა მისკენ, რომ ჯერ კიდევ სამყაროს დაცემამდე განუყოფელად შეუერთდა ღმრთეებრივ სიტყვას. აქედან გამომდინარე, „ქრისტეს სულის“ განსაკუთრებულობაც იმაში მდგომარეობს, რომ მას სიყვარული ღმრთისა არასდროს გაციებია. მაშასადამე, ორიგენეს სწავლებით, სიტყვა კი არ განხორციელდა, არამედ ადამიანური სული, რომელიც სიტყვასთან განუყოფელად იყო შეერთებული. როგორც ვხედავთ, ორიგენიზმში ქრისტეზე სწავლება წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. მართალია, იგი გამოკვეთილად აღიარებდა ქრისტეს, როგორც ღმერთკაცს და, რამდენადაც ცნობილია, ეს სახელი პირველად მასთან გვხვდება, მაგრამ განკაცებაში ორ მომენტს არჩევდა: ქრისტეს მარადიული სულის შეერთებას ღმრთეებრივ სიტყვასთან და შემდეგ მის განხორციელებას.

ამასთან, განსხვავებით მართლმადიდებლური სწავლებისაგან, იგი ფიქრობს, რომ განხორციელება არ შეიძლება მარადიული იყოს, რადგანაც, რამდენადაც, სხეულებრიობა ცოდვით დაცემის დროებითი შედეგია, სხეული, განწმენდის შესაბამისად, თანდათან განილევა და ჟამის აღსრულებასთან ერთად განიბნევა. აქედან გამომდინარეობს სხვა ცდომილებაც იმის თაობაზე, რომ ქრისტეს განხორციელებას მხოლოდ გარდამავალი და პედაგოგიური შინაარსი აქვს და არა გამომსყიდველობითი. ორიგენეს სწავლებით, რადგანაც გამომსყიდველობით გზას მარადიულ სამყაროში თავისი დაცარიელებული ადგილის კვლავ დასაკავებლად ყოველი სული თვითონ გადის, ქრისტე ამ გზაზე მხოლოდ მაგალითის მიმცემი და მეგზურია. მისი აზრით, სულიერ ზრდასთან ერთად თანდათან უნდა დავშორდეთ ისტორიულ ქრისტესა და მის ადა-

მიანურობას, რომელიც ღმრთის ჭვრეტისათვის მხოლოდ საშუალებას წარმოადგენს.

რამდენადაც ორიგენეს ქრისტოლოგიაში აღიარებულია ქრისტეში შეერთება ღმრთის პირისა სრულ კაცთან, როგორც ერთი (ღმრთეებრივი), ისე მეორე (კაცობრივი) ბუნების საკუთარ თვისებათა შენარჩუნებით, ამდენად, რამდენიმე ძირითად საკითხში იგი არსებითად ემთხვევა მართლმადიდებლურ ღმრთისმეტყველებას, მაგრამ ამავდროულად უპირისპირდება კიდევაც მას სწავლებით „ქრისტეს სულზე“, განკაცების ორ მომენტსა და არაისტორიზმზე.

საინტერესოა, რომ ორიგენეს თავისი განმარტებები და ნააზრევი არც სარწმუნოების კანონ-წესებში შეუტანია და მათთვის არც დოგმატური სწავლების ხასიათი მიუცია. თავისი შეხედულებანი პრობლემურ საკითხებზე მას გამოსაცდელად და განსასჯელად მსმენელთა სამსჯავროზე გამოჰქონდა.

მიუხედავად ქრისტესადმი თავდადებული სიყვარულისა, რაც თავისი ცხოვრებითაც დაამტკიცა, ორიგენემ ვერ შეძლო მრავალ საკითხში თავი დაეღწია პლატონიზმის გავლენისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში ქრისტიანული ღმრთისმეტყველება და მისი ტერმინოლოგია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში არსებობდა და ამ მხრივ ძიება გრძელდებოდა. მაგრამ, ცხადია, ეკლესია ვერ დაუშვებდა საღმრთისმეტყველო აზრის პლატონიზაციას. ის, რაც ორიგენეს ნააზრევში მართებული და სწორი იყო, ეკლესიამ წმ. ბასილი დიდისა და წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის მიერ გაწეული ჯაფის შედეგად შეითვისა, ხოლო საერთოდ ორიგენიზმი, რომელშიც უარყოფილია ისტორიული ქრისტე ანუ სწავლება მეორე ადამზე, რაც თავის მხრივ დროის, ისტორიის და ადამიანის რელიგიურ გამართლებას წარმოადგენს, ჯერ კიდევ VI საუკუნეში დაგმო. დღეს ორიგენეს მოძღვრება, რომელშიც ადგილი არა აქვს ანთროპოლოგიას, და მხოლოდ პნევმატოლოგიას – მარადიულ სულებზე სწავლებას წარმოადგენს, განსაზღვრულია როგორც “ერესი დროის შესახებ“.

წმიდა გრიგოლ ნეოკესარიელი

პლატონის ფილოსოფიით ზედმეტად გატაცება ორიგენემდე ალექსანდრიის სკოლის სხვა მასწავლებლებსაც ედებოდათ ბრალად, კერძოდ, პანტენსა და კლიმენტის. კლიმენტი თვლიდა, რომ ფილოსოფია, როგორც ძიება ჭეშმარიტი სიბრძნისა და როგორც მოძღვრება, გონებას ღმრთეებრივი ჭეშმარიტების შესაცნობად უნდა ამზადებდეს. მას ასეთი გამოთქმაც ეკუთვნოდა: „ებრაელები რჯულმა აღზარდა, ხოლო ელინთა ფილოსოფიას ქრისტიანობის შემეცნებამდე მივყავართ“. ალექსანდრიაში ქრისტიანი მასწავლებლები მოწაფეებს ფილოსოფიურ მოძღვრებებს შეგნებულად ასწავლიდნენ, რათა ისინი ჭეშმარიტების მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოემზადებინათ. ამასთან, ქრისტიანული ჭეშმარიტების დამცველებს არ უნდა შეშინებოდათ წარმართი ფილოსოფოსებისა. ცდომილებანი, რომელნიც ჭეშმარიტების ძიების გზაზე ყველა ფილოსოფიურ სისტემას ჰქონდა, მოწაფეების წინაშე კიდევ უფრო ათვალსაჩინოებდა, რომ კაცობრივი სიბრძნის ყოველგვარი ძალისხმევა ამაოა და სიბნელისა და ეჭვების გაფანტვა და ადამიანის გონებისა და გულის სინათლით ავსება მხოლოდ ღმრთეებრივ გამოცხადებას შეუძლია. ბევრმა წარმართმა ფილოსოფოსმა ცოდნით გამოწვეულ ამპარტავნებას სძლია და მოიქცა, ბევრიც ფილოსოფიურ მოძღვრებათა წინაშე ქრისტიანობის უპირატესობას გულწრფელად აღიარებდა, ზოგმაც ქრისტიანთა ზნეობრივი კოდექსის ფილოსოფიურ სისტემათა შორის საუკეთესოსთან – პლატონის მოძღვრებასთან შერწყმა მოინდომა. ამ გზას დაადგა ცნობილი ალექსანდრიელი სწავლული ამონიოს საკა, თუმცა ზოგჯერ იმის დამტკიცებასაც ცდილობენ, რომ იგი ჭეშმარიტად ქრისტიანი იყო. მეორე მხრივ, ალექსანდრიაში დიდად გავრცელებული იყო გნოსტიკური სწავლებანი საიდუმლო შემოქმედებით ძალებზე, სამყაროსა და ადამიანის სულში სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე; ძირითადად ამ ორი წყაროსაგან წარმოიშვა და თანდათანობით ჩამოყალიბდა ახალი სისტემა, სახელწოდებით ნეოპლატონიზმი. ჩვენ მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ რამდენადაც თავად პლატონიზმი, ჯერ კიდევ არისტოტელესაგან გაკრიტიკებული, ქრისტიანობასთან ბრძო-

ლაში უძლური აღმოჩნდა, მას ქრისტიანული სამოსელი გადააცვეს და ჭეშმარიტებასთან დაპირისპირებას ამ გზით შეეცადნენ. ამიტომაც უნდა ვილაპარაკოთ არა ქრისტიანობაზე პლატონიზმის გავლენის შესახებ, არამედ, პირიქით, პლატონიზმზე ქრისტიანობის გავლენის თაობაზე, რის შედეგადაც წარმოიშვა სწორედ ნეოპლატონიზმი. აღორძინებული, ქრისტიანიზებული პლატონიზმის მამამთავარნი ამონიოს საკას მოწაფენი – პლოტინე და შემდეგ პორფირიუსი გახდნენ.

ადამიანებს, რომელნიც ამ მძიმე დროს, როცა ჭეშმარიტების შეურაცხყოფა და დამდაბლება სიცრუესთან მისი აღრევის გზით ხდებოდა, სამყაროს სათნოების შთამბეჭდავ მაგალითებს აძლევდნენ და ჭეშმარიტებაზე განუწყვეტლივ თავდასხმებს მტკიცედ იგერიებდნენ, ეკლესიის მამები ეწოდათ; მათგან რამდენიმეს დავასახელებთ. **წმ. იპოლიტე**, ირინეოსის მოწაფე, რომის ახლოს ერთერთი ქალაქის ეპისკოპოსი იყო. ზოგიერთები ამ ქალაქად ოსტიას, სხვანი კი პორტოს ასახელებენ. მან ამხილა ნოეციუსი, რომელიც წმ. სამების შესახებ არასწორად ასწავლიდა და ორი რომაელი ეპისკოპოსიც გადაიბირა. წმ. იპოლიტემ ერესთა წინააღმდეგ მრავალი შესანიშნავი წერილი დაგვიტოვა, მას ეკუთვნის აგრეთვე განმარტება წმ. წერილისა, საუბრები დღესასწაულებზე, შეკრება მოციქულთა მიერ დადგენილი კეთილმოწესეობის კანონებისა და შედგენა პასქალიის ციკლისა. ვიცით, რომ იგი მოწამეობრივად აღესრულა, თუმცა აღსრულების წელი უცნობია. წმ. იპოლიტეს უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „დაე, მათ დაგლიჯონ ჩემი სხეული, ხოლო შენ, ქრისტე, სული ჩემი შეიწყნარე“.

წმ. სერაპიონ ანტიოქიელი მონტანისტებს ებრძოდა, **ასკლეპიადე ანტიოქიელმა** კი სახელი წმინდა ცხოვრებითა და მოწამეობრივი აღსასრულით გაითქვა. წმ. **დიონისე ალექსანდრიელი,** ორიგენეს მოწაფე, ერთ-ერთი საუკეთესო მწყემსი იყო ეკლესიისა. იერუსალიმის ეკლესიას ზედიზედ ორი წმინდა მოღვაწე ედგა სათავეში: წმ. ნარკისი და წმ. ალექსანდრე. პირველის შესახებ შესანიშნავი გადმოცემა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მაღალი ზნეობით იყო ცნობილი, მას ცილისმწამებლები მაინც გამოუჩნდნენ, რომელნიც მათ მიერვე შეთხზულ ჭორებს ფიცითაც

ამტკიცებდნენ. ერთს უთქვამს: „მზადა ვარ ცეცხლში დავიწვა, თუ ვიტყუები“, მეორემ მძიმე სნეულებას მოუხმო, მესამემ განაცხადა – დაე, დავბრმავდე, თუ ტყუილს ვამბობდეო. ნარკისს მათთვის პასუხი არ გაუცია, მან უსამართლო თავდასხმები მოთმინებით აიტანა, მაგრამ ცილისმწამებლები მაინც დაისაჯნენ და თანაც ისე, რომ ყოველმა მათგანმა ის სასჯელი მიიღო, რომელიც ტყუილზე დაფიცებისას მოისურვა.[50] ნარკისმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. როცა ისე დაუძლურდა, რომ სამწყსოს გაძღოლა აღარ შეეძლო, მემკვიდრეზე თავად უფალმა მიუთითა. ეს იყო პანტენისა და კლიმენტის მოწაფე, კაპადოკიის ერთ-ერთი ქალაქის ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელმაც სეველრუსის დროს სარწმუნოებისათვის მრავალი ტანჯვა დაითმინა. მან ღმრთისაგან იერუსალიმში წასვლის ბრძანება მიიღო, როცა ქალაქს უახლოვდებოდა, საიდუმლო ხმამ ნარკისსა და რამდენიმე მღვდელმსახურს ქალაქიდან გასვლა და ეპისკოპოსად იმის არჩევა უბრძანა, ვისაც ღმერთი გამოუგზავნიდათ. მართლაც, ქალაქიდან გასულები ალექსანდრეს შეხვდნენ და დაარწმუნეს, რომ უფლის ნებით იერუსალიმში უნდა დარჩენილიყო. ღმრთის ცხადად გამოხატულმა ნებამ ის დაბრკოლება, რომ ალექსანდრე უკვე სხვა ქალაქის ეპისკოპოსად იყო ნაკურთხი, მოხსნა და იგი იერუსალიმის მწყემსმთავრად ერთსულოვნად აირჩიეს.[51] ეს იყო ეკლესიის ისტორიაში პირველი შემთხვევა ეპისკოპოსის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისა. იერუსალიმის ეკლესიას წმ. ალექსანდრე 40 წლის განმავლობაში მართავდა. ამ ქალაქში მოღვაწეობისას მან ამონაკრები შეაგროვა, უპირატესად იმ წიგნებიდან, რომელნიც ძირითადად ქრისტიანულ რწმენას ეხებოდნენ. შემდგომში ამ ამონაკრებით ევსევი კესარიელმა ისარგებლა, როცა ეკლესიის ისტორიას ადგენდა.

ამ ეპოქის მოღვაწეთაგან ყველაზე ცნობილი წმ. გრიგოლ ნეოკესარიელია, რომელსაც სასწაულმოქმედსაც უწოდებენ. იგი ნეოკესარიაში, წარმართების ოჯახში დაიბადა, მაგრამ კერპთთაყვანისმცემლობის ამაოებას ადრევე ჩასწვდა. საფუძვლიანი განათლების მიღების შემდეგ გრიგოლი ფინიკიის ქალაქ ვირისში უნდა

[50] **Евсевий Памфил, VI, 9.**

[51] **იქვე, VI, 11.**

წასულიყო იქაურ სახელგანთქმულ სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ გადაწყვეტილება ერთმა გარემოებამ შეაცვლევინა. ფინიკიაში გამგზავრებამდე ძმასთან, ათენოდორესთან ერთად კესარიაში ჩავიდა, სადაც იმ დროს ორიგენე ასწავლიდა. კაპადოკიის ეპისკოპოსმა ფირმილიანემ ორი ახალგაზრდა ცნობილ მოძღვარს წარუდგინა. მოუსმინეს რა ორიგენეს ქადაგებებს, ძმებმა მასთან დარჩენა გადაწყვიტეს. შემდეგში გრიგოლმა თავის მასწავლებელს სამადლობელი პანეგირიკი მიუძღვნა, რომელშიც აგვიწერა, როგორი გზით მიჰყავდა სახელოვან მოაზროვნეს ჭეშმარიტებამდე თავისი მოწაფენი. იგი ახალგაზრდებს კაცობრივი ცოდნის ყველა დარგს ასწავლიდა, ავითარებდა რა მათ ნიჭსა და გონებას და უძლიერებდა რა ცნობისმოყვარეობას. ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა შესწავლისას, მსმენელებს აიძულებდა ყურადღება შემოქმედის სიდიადესა და სახიერებისათვის მიეპყროთ. შემდეგ გადმოსცემდა ყველა იმ სისტემას, რომლითაც ფილოსოფოსები ბუნების მოვლენათა და ადამიანის სულის მოძრაობათა ახსნას ცდილობდნენ და მათი მხილებით დაარწმუნებდა რა მოწაფეებს იმაში, რომ კაცობრივი ძალისხმევა უძლურია მისწვდეს ჭეშმარიტებას, მათთვის ღმრთეებრივი გამოცხადების გაცნობას იწყებდა და ქრისტიანულ რჯულს უმარტავდა.

რამდენადაც გრიგოლის მშობლები მდიდარნი და წარჩინებულნი იყვნენ, მას წინ უზრუნველი ცხოვრება და დიდი თანამდებობაც ელოდა, მაგრამ ამქვეყნიური სიამენი არ იზიდავდა, პირიქით, განმარტოებას ესწრაფოდა, რათა ლოცვას მთელი სულითა და გულით მისცემოდა; თუმცა უფალი მას სხვაგვარ სამოღვაწეო ასპარეზს უმზადებდა.

იმ დროისათვის ნეოკესარია თითქმის მთლიანად წარმართული ქალაქი იყო, რადგან ქრისტიანულ სარწმუნოებას მხოლოდ 17 კაცი აღიარებდა. მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, მორწმუნეებმა ეპისკოპოსის არჩევა მოინდომეს და რჩევა ამასიის ეპისკოპოსს, ფედიმს ჰკითხეს. არჩევანი გრიგოლზე შეჩერდა, მაგრამ იგი ქალაქს გაეცალა და უდაბნოში გავიდა. ნეოკესარიელი ქრისტიანები და ფედიმი ღმერთს ევედრებოდნენ, რომ მისთვის ეპისკოპოსობაზე თანხმობის მიცემა შთაეგონებინა. „ყოვლისმცოდნე და ყოვლად-

სახიერო უფალო, – ვედრებით მიმართა შემოქმედს ფედიმმა, – ჟამსა ამას გრიგოლსა და მე გადმოგვხედე და ხელთდასხმა მადლითა შენითა აკურთხე“. ამის შემდეგ, გრიგოლი, რომელიც იქ არ იმყოფებოდა, ეპისკოპოსად გამოაცხადეს. ბოლოს და ბოლოს იგი დარწმუნდა, რომ ამ სამსახურისათვის თვითონ უფალი მოუწოდებდა, ამიტომ ნეოკესარიაში დაბრუნდა, ხელთდასხმა მიიღო და ახალი მოვალეობის შესრულებას მთელი გულით შეუდგა.

ახლადნაკურთხ ეპისკოპოსს უფალმა შემწეობა და წყალობა არ მოაკლო და სასწაულთქმედების ძალა მისცა. სიტყვით კურნავდა სნეულებს, განასხამდა ეშმაკებს, იმორჩილებდა სტიქიებს. ჭეშმარიტმა მწყემსმა მალე მთელ ამ მხარეზე კეთილისმყოფელი გავლენა მოიპოვა, მრავალიც მოაქცია, წარმართთა ტაძრების დაცარიელების ხარჯზე ქრისტიანთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. ეპისკოპოსი ყველა შეჭირვებულისათვის პოულობდა დროს, ყველას იღებდა, უსმენდა და ღმრთის წყალობით შემწეობას უწევდა. ძველი მწერლები, განსაკუთრებით კი გრიგოლ ნოსელი, მრავალ ცნობას გვაწვდიან მის სასწაულებზე, კაპადოკიაში მას მეორე მოსეს უწოდებდნენ.

როგორც ცნობილია, ამ დროს ერეტიკოსები ყოვლადწმიდა სამების პირებზე ცრუ სწავლებას ავრცელებდნენ. წმ. გრიგოლი მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს ჭეშმარიტების შეცნობის ძალა მიეცა, რათა სამწყსო მცდარი სწავლებისაგან დაეფარა. და აი, ერთ ღამეს, მას ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი და წმ. იოანე ღმრთისმეტყველი გამოეცხადნენ და ქრისტიანული მოძღვრების უმთავრესი ჭეშმარიტებანი მოკლედ გადასცეს. გრიგოლმა წმ. სამების შესახებ გამოცხადებით მიღებული სწავლება ჩაწერა და იგი ქრისტიანობის ისტორიაში ნეოკესარიის ეკლესიის სიმბოლოს სახელწოდებითაა ცნობილი: „ერთი არს ღმერთი, მამაჲ სიტყჳსა ცხოველისაჲ, სიბრძნისა არსებითისაჲ და ძლიერებისა და ხატისა სამარადისოჲსა. სრული სრულისა მშობელი, მამაჲ ძისა მხოლოდ შობილისაჲ. ერთი უფალი, მხოლოჲ მხოლოჲსაგან, ღმერთი ღმრთისაგან, სახე და ხატი ღმრთეებისაჲ, სიტყუაჲ შემოქმედი, სიბრძნე ყოველთა აგებულებისა გარეშემცველი და ძლიერებაჲ, ყოვლისა დაბადებისა შემოქმედი, ძე ჭეშმარიტი ჭეშმარიტისა მამისაჲ, უხი-

ლავი უხილავისაჲ და უხრწნელი უხრწნელისაჲ და უკუდავი უკუდავისაჲ და სამარადისოჲ სამარადისოჲსაჲ. ერთი სული წმიდაჲ, რომელსა ღმრთისაგან აქუს არსებაჲ და ძისა მიერ მოეცემის, ცხად არს ესე, ვითარმედ კაცთა, ხატი ძისაჲ სრულისაჲ სრული. ცხოვრებაჲ ცხოველთა მიზეზი, წყაროჲ წმიდაჲ სიწმიდისა მომცემელი, რომლისა მიერ გამოცხადნების ღმერთი მამაჲ ყოველთა ზედა და ღმერთი ძე, რომელი-იგი არს ყოველთა მიმართ. სამებაჲ სრული დიდებითა სამარადისოებითა და სუფევითა. არა განყოფილი, არცა უცხოქმნული, არა-რაჲ უკუე არს დაბადებული ყოვლითურთ სამებასა შინა, არცა შეძინებული, რომელიმცა პირველ არა ყოფილ იყო და უკუანაჲსკნელმცა შეძინებულ იყო. არცა ოდეს მოაკლდა ძე მამასა, არცა ძესა სული, არამედ უქცეველ და უცვალებელ არს მარადის ესე სამებაჲ.“[52]

როცა ქრისტიანთა დევნის პერიოდი დაიწყო, ეპისკოპოსმა ახალმოქცეულებს გაცლა ურჩია. თვითონაც ფიქრობდა, რომ ვალდებული იყო სიცოცხლეს გაფრთხილებოდა, მანამ სანამ მწყემსმთავრის მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა ექნებოდა. ამიტომ თვითონაც გავიდა ქალაქიდან. წარმართები, რომლებიც მას გულმოდგინედ ეძებდნენ, ერთხელ მის თავშესაფარსაც მიადგნენ, მაგრამ ღმრთის ნებით, ვერ შეამჩნიეს.

ძველ ეკლესიაში ეპისკოპოსის არჩევაში მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობას ორი ან მეტი ახლო მდებარე ქალაქის ეპისკოპოსიც იღებდა. შერჩეულ კანდიდატურას ხმამაღლა აცხადებდნენ, რის შემდეგაც საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას ჰქონდა. ერთხელ წმ. გრიგოლი ქ. კომანაში (კუმში) წაიყვანეს ეპისკოპოსის ასარჩევად. კრება მრავალრიცხოვანი და ხმაურიანი იყო, რადგან გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. ბევრს ეპისკოპოსად ერთი ცნობილი გვარის წარმომადგენელი, სწავლული და მჭევრმეტყველი კაცი სურდა. წმ. გრიგოლმა შეკრებილთ მოკლედ შეახსენა, რომ საჭირო იყო უწინარესად ყურადღება კანდიდატურების შინაგან ღირსებებზე გადაეტანათ, რადგან ხშირად ყველაზე უბრალო გარეგნობის უკან მაღალზნეობრივი თვისებები და სათ-

[52] გრიგოლ ნოსელი, ცხოვრებაჲ გრიგოლ საკვირველთმოქმედისა, ქართული რედაქციები გამოსცა ნანა მრევლიშვილმა, თბ., 2001, გვ. 49.

ნოებანი იმალება. იქ მყოფთაგან ზოგიერთმა გაიცინა და თქვა: თუკი ყურადღება გარეგნულ ღირსებებს არ უნდა მივაქციოთ, მაშინ მენახშირე ალექსანდრე ხომ არ აგვერჩიაო. ასე ეძახოდნენ ერთ ღატაკ კაცს, რომელიც ქალაქში ნახშირით ვაჭრობდა. წმ. გრიგოლმა მისი მიყვანა ითხოვა, რადგან გულში ფიქრობდა, რომ ხალხს ეს სახელი ღმრთის ნების გარეშე არ დასცდებოდა. როცა დაგლეჯილი სამოსით შემოსილი და ნახშირის მტვრით გამურული ალექსანდრე მოიყვანეს, წმ. გრიგოლმა მის მორჩილ გარეგნობაში ღმრთის რჩეული ამოიცნო; ალექსანდრესთან პირისპირ ხანმოკლე საუბრისას კი დარწმუნდა, რომ მის წინაშე საფუძვლიანად განათლებული, ღმრთისმოსავი და ღრმად მორწმუნე კაცი იდგა, რომელსაც სიღატაკის გზა სწორედ მორჩილების გამო აერჩია. დაბანილსა და სუფთად ჩაცმულ ალექსანდრესთან დიალოგი წმ. წერილის შესახებ გრიგოლმა უკვე საჯაროდ გამართა, რომლის დროსაც ყოფილმა მენახშირემ თავისი ცოდნით, სიბრძნითა და დიდებული სიმშვიდით ყველა გააოცა. ასე რომ, მღელვარება ჩაცხრა და ალექსანდრეს ეპისკოპოსად კურთხევას თანხმობა ყველამ ერთსულოვნად მისცა.

წმ. გრიგოლ სასწაულმოქმედმა ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვრა. მისი აღსასრულის მომენტში ნეოკესარიაში 17 უკვე წარმართი იყო. იგი 268 წელს გარდაიცვალა.

ქრისტიანთა დევნის მეშვიდე პერიოდი

იმპერატორ მაქსიმინეს მემკვიდრენი ქრისტიანებს არ დევნიდნენ, არც ეცალათ ამისათვის. რომის იმპერიას ყოველი მხრიდან საფრთხე ემუქრებოდა. სახელმწიფოში უწესრიგობა და ქაოსი სუფევდა, რომლის წინაშეც სამოქალაქო ხელისუფალნი უძლურნი აღმოჩნდნენ; კანონების დაცვისათვის თავს აღარავინ იწუხებდა. მეზობელი ბარბაროსული ტომები ყოველივე ამას კარგად ხედავდნენ, ამიტომ იმპერიის წინაშე შიში და მორიდება გაუქრათ. მის ცალკეულ ოლქებსა და მხარეებს ისინი უკვე მოურიდებლად ესხმოდნენ თავს და აოხრებდნენ. 230 წლიდან აღმოსავლეთში ჩამოყალიბება დაიწყო სპარსელთა ახალმა ძლიერმა სახელმწიფომ,

რომელიც უკვე ხშირად აწუხებდა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს. ამგვარმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ ხელისუფლების მხრიდან ქრისტიანების მიმართ ყურადღების შესუსტება გამოიწვია. ამ პერიოდის იმპერატორთაგან ერთ-ერთი, ფილიპე, ქრისტიანებთან ურთიერთობაში ისეთ კეთილგანწყობილებას იჩენდა, რომ ზოგიერთი ძველი მწერალი მას ქრისტიანადაც კი თვლიდა. მაგრამ მათი თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ფილიპემ რომის დაარსების ათასი წლისთავი იმგვარი ზარზეიმით აღნიშნა, რომელიც სწორედ წარმართს შეეფერებოდა და არა ქრისტიანს.

ღმრთისაგან ნაწყალობევ სიმშვიდის პერიოდს ბევრი ქრისტიანი გონივრულად იყენებდა. ეკლესიის მამანი და მოძღვარნი ცრუ მოძღვრებათა მამხილებელ თხზულებებს წერდნენ, სამწყსოს ჭეშმარიტების სიტყვით ზრდიდნენ და შორეულ ქვეყნებში ქრისტიანული მოძღვრების გავრცელებაზე ზრუნავდნენ. დაახლოებით ამ დროისათვის თავდადებულმა მქადაგებლებმა გალია მოიარეს. დიონისემ ეკლესია პარიზში დააფუძნა, რომელიც მაშინ უმნიშვნელო ქალაქს წარმოადგენდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული საზოგადოების დიდმა ნაწილმა ძველი ღმრთისმოსაობა დაივიწყა. ხანგრძლივმა მშვიდობიანმა და უსაფრთხო ცხოვრებამ, რწმენისადმი ერთგვარი გულგრილი დამოკიდებულება გამოიწვია. როცა სარწმუნოებისათვის ყოველდღე და ყოველ წუთს სიკვდილი ემუქრებოდათ, ქრისტიანები დედამიწაზე თავს მოკლე დროით მოსულ სტუმრებად თვლიდნენ და მიწიერი კეთილდღეობის მოპოვებისაკენ არ ისწრაფვოდნენ, რადგან სწამდათ, რომ ჭეშმარიტი სიმშვიდე და სიხარული ზეციურ მამულში ელოდებოდათ. რამდენადაც სიკვდილისათვის მუდმივი მზადყოფნა საჭირო აღარ იყო, მათ მიწიერ საქმეთა განცდით ტკბობის საშუალება მიეცათ, რის შედეგადაც გამოდგა, რომ მათი გულები უკვე მხოლოდ ღმერთს აღარ ეკუთვნოდა. ქრისტიანებმა მამულები და ქონება შეიძინეს, ხელი მიჰყვეს ვაჭრობას, დაუახლოვდნენ წარმართებს და ზოგიერთი მათი ჩვეულებაც კი შეითვისეს. წმ. კვიპრიანე, რომელსაც ამ პერიოდში მოუხდა ცხოვრება, გულისტკივილს გამოხატავს იმის გამო, რომ ქრისტიანთა ცოლები დიდად ზრუნავდნენ ჩაცმულო-

ბაზე, იკაზმებოდნენ, ფერ-უმარილს ისვამდნენ და წარმართების წვეულებებში მონაწილეობდნენ. საკუთარ თავზე გადაჭარბებულმა ზრუნვამ მოყვასისადმი სიყვარულის გაციება გამოიწვია. თავიანთ მოვალეობას თვით ეკლესიის მსახურნიც კი გულგრილად ეკიდებოდნენ და, რაც შეიძლება, მეტი ქონების მოხვეჭაზე ფიქრობდნენ. ქრისტიანთა რწმენის ნელთბილობის გამო ორიგენეც წუხდა: „ზოგიერთი ეკლესიაში მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე მოდის და მაშინაც არა იმდენად ლოცვისა და დამოძღვრისათვის, რამდენადაც გასართობად. ზოგიერთნი საკითხავის დამთავრებისთანავე მიდიან ისე, რომ წაკითხულის გაგებასა და მისი განმარტების მოსმენას არ ცდილობენ. ბევრნი კი საკითხავს სულაც არ უსმენენ, არამედ კუთხეში დგანან და საუბრობენ“. როგორც ვხედავთ, აღწერილი სურათები დღევანდელი ყოფისათვისაც იმდენად ნაცნობია, რომ მათი ავტორები ჩვენი თანამედროვენი გეგონებათ.

ისტორიის შესწავლამ გამოცდილება უნდა შეგვძინოს, ხოლო გამოცდილებამ გონიერება და სიბრძნე. რა თქმა უნდა, ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და მკაცრმა განსაცდელმაც აღარ დააყოვნა, რომელმაც ქრისტიანთა მოშურნეობის გამოცოცხლება გამოიწვია. ამ ფაქტმა იმაზე უნდა დაგვაფიქროს, რომ, უკუეთუ სარწმუნოებისადმი ზედაპირული დამოკიდებულება მისი ჭეშმარიტი სიყვარულით არ შეგვეცვლება, ღმრთისგან მოვლენილი სასჯელი არ დააყოვნებს.

ჯერ კიდევ იმპერატორ ფილიპეს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ალექსანდრიაში ვიღაც წარმართმა სწავლულმა ხალხი წააქეზა, რომ ქრისტიანთა ხოცვა-ჟლეტა ღმერთებისათვის სათნო, განმწმენდელი მსხვერპლი იქნებოდა. ადამიანთათვის, რომელთაც ჭეშმარიტი სარწმუნოებით გაუნათლებელი, ბნელით მოცული გონება ჰქონდათ, მეტი არც იყო საჭირო. ხალხმა გააფთრებით დაიწყო მათი დევნა, ვისთანაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ არა მხოლოდ მშვიდობიანი, არამედ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებაც კი ჰქონდა. ქრისტიანებს ქვებით ქოლავდნენ, სახლებში ეჭრებოდნენ და ქონებას იტაცებდნენ, ქუჩაში გამოსულს თავზე ლანძღვა-გინების ნიაღვარს ატეხდნენ.[53]

[53] იქვე, **VI, 41.**

იმპერატორი ფილიპეს სიკვდილის შემდეგ, 249 წელს ტახტზე დეკიუსი ავიდა. გამეფებიდან მოკლე ხანში მან იმპერიის ოლქებში ბრძანება დაგზავნა, რომლითაც ყოველი ქრისტიანი, ვინც თავის სარწმუნოებას არ უარყოფდა, სიკვდილით უნდა დასჯილიყო. დეკიუსი ფიქრობდა, რომ ამ გზით ღმერთების წყალობას მოიპოვებდა და თავიდან აიშორებდა იმ უბედურებებს, რომელნიც იმპერიას ემუქრებოდა. ასე დაიწყო რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნის მეშვიდე პერიოდი.

მეფის ბრძანებამ ქრისტიანთა შორის ღელვა და შიში გამოიწვია. მრავალ მათგანს მიწიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე უკვე ღმერთზე მეტად უყვარდა. ისინი სულმოკლენი გამოდგნენ. ჭეშმარიტი მორწმუნეებისათვის მძიმე იყო ხილვა იმისა, როგორ მიიჩქაროდნენ ქრისტიანები სამსჯავროებისა და საკერპოებისაკენ, რათა ქრისტე უარეყოთ და კერპებისათვის მსხვერპლი შეეწირათ. ბევრი სასამართლოში წინასწარ ცხადდებოდა, მანამ, სანამ გამოუძახებდნენ. ასე რომ, მსაჯულნი, რომელნიც უარყოფის მოსმენას ვერ ასწრებდნენ, იძულებულნი ხდებოდნენ ზოგიერთი მათგანი უკან გაებრუნებინათ და მეორე დღისათვის დაებარებინათ. სამწუხაროდ, ისეთი ქრისტიანებიც იყვნენ, რომელნიც წარმართთა ადათებს არ ასრულებდნენ, მაგრამ ყიდულობდნენ მოწმობას იმის თაობაზე, რომ თითქოს შეასრულეს და სიცოცხლის შენარჩუნებას ამგვარი უზნეო საქციელით ცდილობდნენ.

ალექსანდრიის ეკლესიას ამ დროისათვის სათავეში ღმრთისმოსაობით ცნობილი ეპისკოპოსი დიონისე ედგა. აქაურმა ქრისტიანებმა თავიანთ მწყემსმთავრად იგი ჰერაკლე ეპისკოპოსის შემდეგ აირჩიეს, რომელიც ორიგენეს მოწაფე იყო. ეკლესიის ისტორიაში დიონისე დიდის ზედწოდებითაა ცნობილი. დიონისე დიდმა დაგვიტოვა პირუთვნელი აღწერა ქრისტიანთა ყოფისა დეკიუსის ბრძანების შემდეგ. ყველანი შიშისაგან ზარდაცემულნი იყვნენ, მრავალი ცნობილი ადამიანი ისე შეშინდა, რომ თვითონ ჩქარობდა სამსჯავროში მისვლას სარწმუნოების უარსაყოფად. მისულები, რომელთაც სახელებით იძახებდნენ, უწმინდურ საკურთხეველთან მიდიოდნენ; ზოგიერთი მათგანი ისე იყო გაფითრებული და ისე კანკალებდა, თითქოს მსხვერპლად თავისი თავი მიჰქონდა;

გარსშემორტყმული ბრბო დასცინოდა მათ, რადგან ჩანდა, რომ სიკვდილისაც ეშინოდათ და მსხვერპლშეწირვის აღსრულებისაც; სხვანი სამსხვერპლოებთან მისვლას ჩქარობდნენ, რითაც იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, რომ ქრისტიანები არასოდეს ყოფილან. ზოგიერთი გაიქცა; ზოგიერთმა კიდევ სიმტკიცე მხოლოდ საპყრობილემდე შეინარჩუნა; სხვებმა რამდენადმე წამებაც კი დაითმინეს, მაგრამ ბოლომდე ვერ გაუძლეს. მაგრამ მრავალი ისეთიც აღმოჩნდა, რომელნიც, თავად ღმრთისაგან განმტკიცებულნი და ძალამოცემულნი, შესაფერისად მათი რწმენისა, ქრისტეს საკვირველ დამმოწმებლებად დარჩნენ,[54] – წერდა იგი ანტიოქიის ეპისკოპოსს.

ამგვართაგან პირველი მოხუცი იულიანე იყო; ნიკრისის ქარით დაავადებულს არც დგომა შეეძლო, არც სიარული. ამიტომ სამსჯავროში ორმა ქრისტიანმა მიიყვანა, რომელთაგან ერთმა უფალი მაშინვე უარყო; რაც შეეხება მეორეს, მან სიმტკიცე გამოიჩინა. ისიცა და იულიანეც აქლემებზე შესვეს და მთელი ქალაქი შემოატარეს, შემდეგ კი სასტიკად სცემეს და მრავალრიცხოვანი ბრბოს წინაშე კოცონზე დაწვეს. ჯარისკაცი, რომელმაც ბრბოს შეურაცხყოფისაგან მათი დაცვა სცადა, გაცოფებულმა ხალხმა მოკლა. კოცონზე დაწვეს, აგრეთვე, აფრიკელი მაკარი, ეპირიქე და ალექსანდრე რამდენიმე ქალთან ერთად. ისტორიას შემორჩა 15 წლის ყრმის, დიოსკორეს სახელი, რომელმაც მისი ასაკისათვის მოულოდნელი სიბრძნითა და სიმამაცით ყველა სახტად დატოვა. მრავალი მეომარი, რომელმაც ქრისტე გაბედულად აღიარა, მახვილით განგმირეს. ქრისტიანთა ნაწილმა თავი მთებსა და უკაცრიელ ადგილებს შეაფარა და სიცოცხლე შიმშილისა და სიცივის დათმენის ფასად შეინარჩუნა. ბევრი მათგანი ყაჩაღებმა შეიპყრეს და მონებად გაყიდეს, საიდანაც შემდეგში თანამოძმე ქრისტიანებმა გამოისყიდეს. თვითონ დიონისე სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. როცა მისი დაჭერის ბრძანება გაიცა, იგი მშვიდად იჯდა შინ და ელოდებოდა, როდის მიაკითხავდნენ, მაგრამ გაგზავნილი მეომრები მთელ ქალაქში დაძრწოდნენ და ყველგან ეძებდნენ, გარდა საკუთარი სახლისა, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ,

[54] იქვე.

რომ შინ არ გაჩერდებოდა.[55] ეპისკოპოსი მაშინ შეიპყრეს, როცა რამდენიმე დღის შემდეგ სხვა ქრისტიანებთან ერთად ქალაქიდან გადიოდა. დიონისე სიკვდილისათვის ემზადებოდა, მაგრამ ღამით უცნობი ადამიანების ჯგუფი თავს დაესხა მეომრებს და გააქცია ისინი, ხოლო ეპისკოპოსი ძალით იქნა წაყვანილი განმარტოებულ ადგილას, სადაც საიმედოდ იქნებოდა დაცული.

თავის წერილში დიონისე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წმინდა აღმსარებელნი უფლის უარმყოფლებს, რომელნიც საკუთარი საქციელის გამო წრფელ სინანულს განიცდიდნენ, თავიანთ წრეში კვლავ სიყვარულით იღებდნენ და ლოცვებითა და კეთილი დამოკიდებულებით ამხნევებდნენ სათნოსაყოფად ღმრთისა, რომელსაც ცოდვილის არა სიკვდილი, არამედ სინანულის გზით გამოსწორება ნებავს.

იერუსალიმის ღრმად მოხუცი ეპისკოპოსი ალექსანდრე საპყრობილეში ჩაამწყვდიეს, სადაც ბორკილებში აღესრულა. წამებით აღესრულა, აგრეთვე, რომის ეპისკოპოსი ფაბიანე; საერთოდ, რომში ქრისტიანთა დევნამ ისეთი სასტიკი ხასიათი შეიძინა, რომ ფაბიანეს სიკვდილის შემდეგ იქაურმა ქრისტიანებმა მისი მემკვიდრის არჩევა დიდხანს ვერ შეძლეს. ანტიოქიის ეპისკოპოსმა ბაბილამ, რომელიც თავისი წმინდა ცხოვრებით იყო ცნობილი, საპყრობილეში სამი ყრმა მოაქცია, რომელნიც შემდეგ სიკვდილით მასთან ერთად დაისაჯნენ.

საშინელი დრო იყო: ქალაქები დაცარიელდნენ, საპყრობილეები სავსე იყო, ერთმანეთს ნათესავებიც კი არ ინდობდნენ და დასმენაში ერთმანეთისათვის დასწრებას ცდილობდნენ. ერთი ახალგაზრდა ქრისტიანი, სახელად პავლე, ეგვიპტეში ცხოვრობდა დასთან ერთად, რომლის ქმარიც წარმართი იყო. პავლეს საკმაოდ დიდი ქონება ჰქონდა და სიძემ მის ხელში ჩასაგდებად ცოლისძმის დასმენა გადაწყვიტა. საბედნიეროდ, პავლემ მისი გადაწყვეტილების შესახებ ადრევე შეიტყო და თავის გადასარჩენად თებაიდის ქვიშიანი და უკაცრიელი უდაბნოსაკენ მიმავალ გზას დაადგა. უდაბნოში ღრმად შესულმა კლდეში გამოქვაბული იპოვა, რომლის მახლობლად ანკარა წყარო მორაკრაკებდა და ნაყოფის მომცემი

[55] იქვე VI, 40.

პალმა ხარობდა. ეს იყო ნამდვილი ოაზისი, რომელიც უფალმა მის აღმსარებელს სიცოცხლის შესანარჩუნებლად უბოძა. პავლემ თავშესაფარი არც მაშინ მიატოვა, როცა ქრისტიანთა დევნა შეწყდა და მათ მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდი დაუდგა. მან უკვე შეიყვარა განმარტოებული, სოფლის ამაო საზრუნავთაგან თავისუფალი უშფოთველი ცხოვრება და ქალაქში დაბრუნება აღარ მოისურვა. სასმელად წყაროს წყალი ჰქონდა, საჭმელად პალმის ნაყოფი, სამოსელს პალმის ფოთლებისაგან იკერავდა, ასე რომ, მთელ დროს ლოცვაში ატარებდა. ასე იცოცხლა მან 91 წელი უკაცრიელ უდაბნოში მხოლოდ ღმერთთან, ადამიანთა საზოგადოებას განშორებულმა. ეკლესიის ისტორიაში პავლე თებაიდელი (ზედწოდება იმ უდაბნოსაგან მიიღო, რომელშიც მოღვაწეობდა) პირველ მეუდაბნოედ ითვლება.

ქრისტიანთა რიცხვი განსაკუთრებით დიდი იყო მცირე აზიაში, სადაც ეკლესიები თვითონ მოციქულთა ან უშუალოდ მათი მემკვიდრეების მიერ იყო დაარსებული. აქ მათი დევნა კიდევ უფრო სასტიკი აღმოჩნდა, რადგან წარმართებს გვერდით იუდეველებიც ამოუდგნენ. ჩვენ ვნახეთ, როგორი აქტიური მონაწილეობა მიიღეს იუდეველებმა წმ. პოლიკარპე სმირნელის დასჯაში. მას შემდეგ 70 წელი იყო გასული, მაგრამ მტრობა და სიძულვილი ქრისტიანთა მიმართ ოდნავადაც არ შესუსტებულა. სამწუხაროდ, თავისი დიდი წინაპრისაგან განსხვავებით, სმირნის ეპისკოპოსმა ევდემონმა, ქრისტე უარყო და მსხვერპლშეწირვაზე თანხმობა განაცხადა. სამაგიეროდ, სარწმუნოებისათვის თავდადების დაუვიწყარი მაგალითი მისცა სმირნელებს და არა მხოლოდ სმირნელებს, მღვდელმა პიონიუსმა, რომელსაც სათნოებისა და სიმდაბლის გამო მთელი ქალაქი პატივს სცემდა. სწორედ წმ. პოლიკარპეს მოსახსენებელ დღეს მიიღო პიონიუსმა ცნობა, რომ მას სამსჯავროში იძახებდნენ და მტკიცედ გადაწყვიტა, არ განშორებოდა უფალს. ამიტომ წინაწარ ჩამოიცვა ყელზე თოკი, რათა ამით ეჩვენებინა, რომ მზად იყო როგორც სიკვდილისა, ისე საპყრობილესათვის. ასევე მოიქცნენ ასკლეპიადე და ქრისტიანი ქალი, სახელად საბინა. სამივენი თავიანთ ხვედრს მშვიდად ელოდებოდნენ. მათთან წარმართული ტაძრის ერთი მთავარი მსახურთაგანი პოლემონი მივიდა და

ჰკითხა: „განა თქვენ არ იცით, რომ მეფემ ყველა ქრისტიანისაგან ღმერთების თაყვანისცემა მოითხოვა?“

– ჩვენ ვიცით კანონი ღმრთისა, იგი კი გვიბრძანებს, მხოლოდ მას ერთს ვცეთ თაყვანი, – უპასუხა პიონიუსმა. მაშინ პოლემონმა სამივეს მოედანზე გასვლა უბრძანა, სადაც წარმართებისა და იუდეველების მრავალრიცხოვანი ბრბო მათ დასჯას ყურისწამღები ყვირილითა და ღრიანცელით მოითხოვდა. პიონიუსთან ბევრი მივიდა იმის შესაგონებლად, რომ სარწმუნოების უარყოფით თავი გადაერჩინა, რადგან იგი სიმშვიდისა და თავმდაბლობის გამო წარმართებსა და იუდეველებსაც უყვარდათ. მან კი ისე, რომ შეგონებებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ხალხს პირდაპირ მიმართა: „თქვენ, მცხოვრებნო სმირნისა, რომელნიც თქვენი ქალაქის სილამაზითა და თქვენი მომღერალი პოეტის, ჰომეროსის დიდებით თავმომწონეობთ და თქვენც, იუდეველნო, საშუალება მომეცით, რამდენიმე სიტყვა გითხრათ. როცა რომელიმე ჩვენგანი სარწმუნოებას უარყოფს და სიკვდილის შიშით მსხვერპლშეწირვის აღსრულებაზე თანხმდება, თქვენ გიხარიათ და დასცინით მას. მაგრამ განა შეიძლება სიცილის საგანი გახდეს ის, ვინც ასეთ მძიმე ცოდვას სჩადის? თქვენ, ელინებო, უნდა გახსოვდეთ სიტყვები თქვენი მომღერლისა, რომელიც გვეუბნება, რომ არაა კარგი ადამიანის დაღუპვით გაიხარო. ხოლო თქვენ, იუდეველნო, გაიხსენეთ სიტყვები მოსესი: „უკუეთუ იხილო კარაული მტერისა შენისა დაცემული ტკრთსა შინა მისსა, არა თანა წარჰჴდე მას, არამედ შეეწიო მას მის თანა“ (გამს. 23,5) და სიტყვები სოლომონისა: „ნუ იხარებ დაცემით მტრისა“ (იგავ. 24,17). რაც შემეხება მე, მირჩევნია ყოველგვარი ტანჯვა დავითმინო და მოვკვდე, ვიდრე ღმრთისა ჩემისა რჯული დავარღვიო. და თქვენ რატომღა გეჯავრებით, იუდეველნო? კიდევაც რომ თქვენი მტრები ვიყოთ, ადამიანები ხომ ვართ? მაგრამ გვითხარით, რა ბოროტება ჩავიდინეთ? ვინ ვდევნეთ? ვინ შეურაცხვყავით? ვინ გავლანძღეთ? ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ როცა რომელიმე ჩვენგანს მუქარით კერპების თაყვანისცემას აიძულებთ, მხოლოდ ის უბედური სჩადის ცოდვას? განა თქვენც ცოდვილები არა ხართ, როცა მას ცოდვისკენ უბიძგებთ?“

შემდეგ პიონიუსმა იუდეველებს ღმრთის მიმართ მრავალგ-

ზის გამოჩენილი ორგულობის გამო უსაყვედურა. შეახსენა, რა ხშირად დრტვინავდნენ ისინი და არღვევდნენ რჯულს, რის გამოც ღმრთისაგან სამართლიანად ისჯებოდნენ. საკუთარ სიმართლეში ღრმად დარწმუნებულმა პიონიუსმა მართლაც დიდებული სიტყვა წარმოთქვა. ამ სიტყვის ძალამ ერთგვარი სინანულის გრძნობა თვით იუდეველთა შორისაც კი გააღვიძა. რამდენიმე მათგანმა ისევ სცადა დაეყოლიებინა მოძღვარი სიცოცხლის შენარჩუნებაზე, რომელიც ასე მშვენიერია.

– დიახ, – თქვა პიონიუსმა, – სიცოცხლე მშვენიერია; მაგრამ მარადიული სიცოცხლე მიწიერზე შეუდარებლად მშვენიერია და უხილავი ნათელიც მზეზე ბრწყინვალეა. არცერთი ჩვენგანი ღმრთის ქმნილებას უვარგისად არ მიიჩნევს, მაგრამ არსებობს უხილავი სამყარო, რომელიც ყოველივე ხილულზე შეუდარებლად მშვენიერია.

როცა ბოლოს პოლემონმა ჰკითხა, ღმერთების თაყვანისცემაზე უარის თქმა მტკიცედ ჰქონდათ თუ არა გადაწყვეტილი, პიონიუსმა უპასუხა: „მე მხოლოდ თქვენს დარწმუნებას ვისურვებდი, რომ ყველანი ქრისტიანები გამხდარიყავით“. ამ სიტყვებზე ზოგიერთს გაეცინა და უთხრა, რომ ცეცხლში დაწვით სიკვდილს არ აპირებდნენ. „მაგრამ ეს უკეთესია, ვიდრე სიკვდილის შემდეგ წვა ჩაუქრობელ ცეცხლში“, – თქვა პიონიუსმა. მსაჯულმა მათი საპყრობილეში გადაყვანა ბრძანა. საპყრობილისაკენ მიმავალ გზაზე ტყვეებს ბრბო ლანძღვა-გინებითა და დაცინვით მიაცილებდა. ერთ-ერთმა მათგანმა ასკლეპიადეზე მიუთითა და თქვა, რომ იგი შესწირავდა მსხვერპლს.

– ცდებით, უპასუხა პიონიუსმა. არცერთი ჩვენგანი კერპებს მსხვერპლს არ შესწირავს.

– მაგრამ ბევრმა თქვენიანმა მაინც შესწირა, – თქვა ერთმა წარმართმა და მათი სახელების ჩამოთვლა დაიწო.

– ყველას თავისი ნება აქვს, მშვიდად გასცა პასუხი მოძღვარმა, ჩვენ ჩვენს რწმენას არ განვუდგებით.

საპყრობილეში მათ რამდენიმე სხვა ქრისტიანიც დახვდათ, რომელთაც ღმრთის ერთგულება შეინარჩუნეს და ახლა სიკვდილს მშვიდად ელოდებოდნენ. მათ სანახავად ზოგიერთი ის უბედურიც მოდიოდა, რომელთაც უფალი შიშით უარყვეს. ისინი საცოდავი

სანახავნი იყვნენ და სინდისის ქენჯნით გაწამებულნი, ცრემლებს ვერ იკავებდნენ. მათ შეცოდებას პიონიუსიც მათთან ერთად დასტიროდა და გული ეფლითებოდა იმის გახსენებაზე, რომ ქრისტიანებმა, რომელთა გამოც ქრისტე მოკვდა და რომელთაც მარადიული ცხოვრება და ზეციური სიკეთენი დაჰპირდა, სიკვდილის შიშითა და მიწიერ სიკეთეთა სიყვარულით უარყვეს იგი. მოძღვრის თანაგრძნობითა და სიყვარულით აღსავსე შეგონებებმა ისინი სულიერად განამტკიცა, გაამხნევა და კვლავ ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია.

ამასობაში წარმართები ყოველ ღონეს მიმართავდნენ ტყვეების გასატეხად. ხშირად მოჰყავდათ მათი ეპისკოპოსის, ევდემონის მაგალითიც. ერთხელ ქრისტიანებს ყელზე თოკები შეაბეს და წარმართული საკურთხევლისაკენ ისე წაათრიეს. როცა ბომონს მიუახლოვდნენ, პიონიუსი მიწაზე გაწვა, მაშინ მეომრებმა იგი ხელში აიყვანეს და საკერპოში ისე შეიყვანეს, სადაც ევდემონი მართლაც ასრულებდა მსხვერპლშეწირვას. წარმართები ჯვარცმული ღმერთის თაყვანისმცემლებს უმოწყალოდ დასცინოდნენ და თავზე ძალად ადგამდნენ გვირგვინებს, რომლითაც ისინი მსხვერპლშეწირვისას იმკობოდნენ. „გრცხვენოდეთ, თაყვანისმცემელნო ცრუ ღმერთებისა, – უთხრა მაშინ მათ პიონიუსმა. – ბოლოს და ბოლოს თქვენს საკუთარ კანონებს მაინც დაემორჩილეთ; თქვენ შეგიძლიათ დაგვსაჯოთ, მაგრამ იძულების უფლება არა გაქვთ“. ქრისტიანები კვლავ საპყრობილეში დააბრუნეს. რამდენიმე დღის შემდეგ მათთან ანთიპატოსი (პროკონსული) მივიდა, პიონიუსის წამება ბრძანა, მაგრამ, როცა ნახა, რომ ყოველივეს მოთმინებით იტანდა, ჰკითხა: „რისთვის ესწრაფი ასე სიკვდილს?“ ხოლო მან უპასუხა: „არა სიკვდილს, არამედ მარადიულ სიცოცხლეს“. მსაჯულმა მას ჯვარზე გაკვრა და დაწვა მიუსაჯა. როცა დასჯის ადგილას მივიდნენ, პიონიუსმა სამოსელი გაიხადა, ჯვარზე გაწვა და ხელები გაშალა, რათა მიელურსმნათ. მილურსმნულს დამორჩილება კიდევ ერთხელ შესთავაზეს, მაგრამ მან მტანჯველებს მშვიდად შეხედა და უპასუხა: „მინდა დავიძინო, რათა მარადიულ ცხოვრებაში გავიღვიძო“. ჯვარი აღმართეს, მის ფეხთან შეშა და ფიჩხი მოზიდეს და კოცონი დაანთეს. მალე ჯვარი აბრიალებულ

ცეცხლში გაეხვია. პიონიუსი თვალდახუჭული ლოცულობდა. „იგი უკვე მოკვდა“, – თქვეს ზოგიერთებმა; მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ თვალები გაახილა, ხალხს შეხედა და სიტყვებით: „უფალო, შეიწყნარე სული ჩემი“ – სული ღმერთს მიაბარა. სახე მისი სიხარულით ბრწყინავდა. ჩვენთვის უცნობია, როგორ აღესრულნენ დანარჩენი ქრისტიანები, რომლებიც საპყრობილეში მასთან ერთად იყვნენ.

პერგამოსში უხუცესი ეპისკოპოსი კარპე აწამეს, რომელმაც წამებისას წამოიძახა: „ვხედავ გახსნილ ზეცას და უფალს ჩემსას მისი დიდებით“. მასთან ერთად ეწამნენ დიაკვანი პაპილა თავის დასთან, აგათონიკესთან ერთად და კარპეს მსახური აგათოპოდე.

პროკონსულმა ოპტიმუსმა სიკვდილით დასაჯა ვინმე ვაჭარი მაქსიმე, რომელმაც კითხვას მისი სოციალური წარმოშობის შესახებ, ასე უპასუხა: „მე თავისუფალ ადამიანად დავიბადე, მაგრამ მონა ვარ იესო ქრისტესი“. „ესე იგი, შენ ქრისტიანი ხარ?“ – ჰკითხა პროკონსულმა. – თუმცა მხოლოდ მოწაფე, მაგრამ მაინც ქრისტიანი, – უპასუხა მაქსიმემ. სასტიკი წამებისას მან მხოლოდ ეს თქვა: „ეწამო ქრისტესთვის – ეს წამება არაა“. მაქსიმე ქვებით ჩაქოლეს.

ეკლესიის ისტორიამ შემოინახა შესანიშნავი მოთხრობა წმ. კოდრატე ნიკომედიელის წამების შესახებ. ნიკომედიაში მსაჯულთან ბევრი ქრისტიანი მიიყვანეს. რადგან დაკითხვა საჯაროდ მიმდინარეობდა, მის მოსასმენად ქალაქის მრავალი მცხოვრები შეიკრიბა. მოსალოდნელი სასჯელით დაშინებული ზოგიერთი ქრისტიანი კითხვებზე მორიდებულსა და შეშინებულ პასუხებს იძლეოდა. ამ დროს ხალხში ახალგაზრდა ქრისტიანი კოდრატეც იდგა, გვარიშვილობითა და სიმდიდრით ცნობილი. როცა ეს სურათი იხილა, შეეშინდა, რომ ქრისტიანებს სარწმუნოებაზე უარი არ ეთქვათ, ხალხიდან გამოვიდა, ბრალდებულთა შორის ჩადგა და ყველას მაგივრად დაიწყო პასუხების გაცემა მშვიდად და მტკიცედ: „სახელი ჩვენი – ქრისტიანენი, წოდება ჩვენი – მონები ქრისტესი, მამული ჩვენი – ზეცა, სადაც უფალი ყველას, ვინც მას ესავს, დაამკვიდრებს“. მსაჯულმა მისი ახლოს მიყვანა ბრძანა და როცა იგივე პასუხები მოისმინა, სასტიკად აცემინა. ამასობაში, ვილაცამ

უთხრა, რომ კოდრატე ნიკომედიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მდიდარი ოჯახიდან იყო. მსაჯულის კითხვას, რატომ დაიტეხა თავს სირცხვილი და რატომ დაივიწყა წოდება და კეთილშობილება ცრუ სარწმუნოების გამო, კოდრატემ ფსალმუნის სიტყვებით უპასუხა: „შჯობს დღე ერთი ეზოთა შინა შენთა უფროჲს ათასთა მათ; ვირჩიე მე მივრდომაჲ სახლსა ღმრთისა ჩემისასა, უფროჲს ვიდრეღა არა დამკვიდრებად ჩემდა საყოფელსა ცოდვილთასა“ (83, 10).

როცა, როგორც შეგონებანი, ისე მუქარაც ამაო გამოდგა, მაშინ მსაჯულმა კოდრატეს წამება ბრძანა. მან ხმამაღლა შესწირა მადლობა უფალს, რომელმაც იგი მის ერთგულ მსახურთა შორის შერაცხა; „გევედრები, უფალო, აღმავსე მე წმიდითა სულითა შენითა, განმამტკიცე და განმაბრძნე მე სიბრძნითა შენითა, რათა ბოლომდე ერთგული დავრჩე“, – შესთხოვა კოდრატემ მაცხოვარს. მსაჯულს ქრისტიანების გამოსავლენად და დასასჯელად ქალაქების მოვლა ჰქონდა დავალებული. რამდენიმე დღის შემდეგ იგი ნიკეაში გაემგზავრა და კოდრატეც თან წაიყვანა. იქ მან ბრძანა ყველაფერი მოემზადებინათ მსხვერპლშეწირვისათვის და საკერპოში იქაური ქრისტიანებიც მოაყვანინა. ყველაზე წინ კოდრატე მოდიოდა. მსაჯულმა მას უსაყვედურა, რომ თუ კეისარს პატივს სცემდა, მისი ბრძანებაც უნდა შეესრულებინა, მით უმეტეს, რომ წმ. წერილიც მოითხოვდა მიეცათ კეისრისათვის კეისრისა და ღმრთისათვის ღმრთისა (მთ. 22,21).

– „შენ მართალი ხარ, – უპასუხა კოდრატემ, – და ვაძლევ კიდევაც კეისარს, რაც საჭიროა, ვემსახურები და გადასახადს ვუხდი. ხოლო წინაშე ღმრთისა მოვალე ვარ მისი ერთგულება ბოლომდე შევინარჩუნო. მეფე მიბრძანებს: ან მსხვერპლი შევწირო ღმერთებს, ან მოვკვდე. მე მეორეს ვარჩევ და მზად ვარ ქრისტეს სახელისათვის მოვკვდე“. – ნუთუ შენს თავს სხვა ქრისტიანებზე უკეთესად თვლი, რომელთაც ღმერთებს მსხვერპლი შესწირეს? – ჰკითხა მსაჯულმა. „რა თქმა უნდა, თუ ბოლომდე ღმრთის ერთგული დავრჩი, უკეთესი ვიქნები მათზე, რომელთაც იგი უარყვეს,“ – უპასუხა წამებულმა და ღმრთის უარმყოფელ ქრისტიანებთან შეხვედრა მოითხოვა. მსაჯულმა სურვილი შეუსრულა იმ იმედით,

რომ მათი საშუალებით კოდრატეზე ზეგავლენას მოახდენდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა. მისი შეგონებების მოსმენის შემდეგ ისინი მუხლებზე დაეცნენ და თავიანთ სულმოკლეობას ცრემლებით ინანიებდნენ. ამ სურათმა მსაჯული ისე გააღიზიანა, რომ კოდრატეს განსაკუთრებული სისასტიკით წამება ბრძანა, მაგრამ მას საკუთარი თავი უკვე აღარ ახსოვდა, და იმათზე ზრუნავდა, რომელთა გადარჩენაც კიდევ შეიძლებოდა; „უფალო, მიიღე სული ჩემი ნაცვლად მათი სულებისა და შეიწყალე ისინი“, – ევედრებოდა იგი უფალს. ამ დროს ყველა ქრისტიანის სახე უჩვეულო ნათელმა გაანათა, ხოლო წამებულს ზეციდან ანგელოზთა ხმები მოესმა, რომელნიც მასთან ერთად ლოცულობდნენ. სარწმუნოების უარმყოფელებმა ისევ აღიარეს ქრისტე და ყოველი მათგანი მოწამეობრივად აღესრულა. მსაჯულმა კიდევ დიდხანს და დაუნდობლად აწამა კოდრატე, დაატარებდა რა ქალაქიდან ქალაქში და ბოლოს ჰელესპონტში მისთვის თავის მოკვეთა ბრძანა.

სიცილიაში სარწმუნოებისათვის მდიდარი და ცნობილი მშობლების ქალიშვილი აგათია შეიპყრეს. კუნძულის მმართველმა ყოველი ღონე იხმარა მის გადასაბირებლად, რამდენიმე ხნით ვიღაც მდიდარ ქალთანაც შეასახლა, რომელიც თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა, რათა მისი ზეგავლენით აგათიას მიწიერი სიამენი შეეყვარებინა და სიცოცხლის დათმობა გაძნელებოდა, მაგრამ ქალწულმა ცდუნებას გაუძლო და ღმრთის წრფელი და მხურვალე სიყვარული შეინარჩუნა. ხანგრძლივი წამების შემდეგ ცოცხალმკვდარი ქალიშვილი საპყრობილეში ჩაკეტეს. ღამით მას პეტრე მოციქული გამოეცხადა და ქრისტეს სახელით მისი წყლულები განკურნა. იმავდროულად ბნელი დილეგი უჩვეულო ნათელმა გაანათა და კარები თავისთავად გაიღო. მაგრამ აგათიას ამით არ უსარგებლია, მან ბოლომდე დაითმინა ტანჯვა-წამება და ღმერთს სული ვედრებით მიაბარა.

არმენიის ქალაქ მელიტინში ორი მხედარი ცხოვრობდა: ნეარხოსი და პოლიევკტე. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ქრისტიანი იყო, ხოლო მეორე წარმართი, ერთმანეთი ძმებივით უყვარდათ. დეკიუსის ბრძანებამ ქრისტიანთა სიკვდილით დასჯის შესახებ მელიტინამდეც მიაღწია, რამაც ნეარხოსი ფრიად დაანაღვლიანა,

რადგან მეგობრის ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევის იმედი სრულიად დაკარგა. როცა პოლიევკტემ სევდის მიზეზი ჰკითხა, პასუხად მიიღო, რომ ნეარხოსს მასთან მოსალოდნელი განშორება აწუხებდა, რადგან თვითონ ქრისტიანი იყო, ის კი წარმართი. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ პოლიევკტეს უკვე მთელი გულით შეყვარებოდა უფალი. იმ ღამეს მას ქრისტე გამოცხადებოდა, რომელსაც ძველი სამოსი გაეხადა მისთვის, ახალი, ენით აუწერელი სილამაზის სამოსელით შეემოსა და ფრთოსანი ცხენიც ებოძებინა. ნეარხოსმა დიდად გაიხარა, რადგან მიხვდა, რომ ეს ჩვენება პოლიევკტესაგან წარმართობის დათმობასა და ქრისტიანული სარწმუნოების აღსარებას მოასწავებდა. ნეარხოსის შრომას ამაოდ არ ჩაევლო, როცა იგი მეგობარს ქრისტეს შესახებ უამბობდა და სახარებას უკითხავდა. პოლიევკტეს, რომელიც მეფის ბრძანების წასაკითხად, რომელიც ბოძებსა და სახლებზე იყო გაკრული, მოედნისაკენ გაემართა, გზად წარმართების ბრბო შემოხვდა, რომელსაც კერპები თაყვანსაცემად საკერპოში მიჰქონდა. მან თავი ქრისტიანად გამოაცხადა და წარმართული ღმერთების კერპები დაამსხვრია. ამ სურათის შემსწრე სიმამრი და ნაცნობები ევედრებოდნენ, თავს გაფრთხილებოდა, ცოლი და შვილები გახსენებოდა და მათი სიყვარულით თავი შეეკავებინა, მაგრამ ამაოდ. პასუხად პოლიევკტე ამბობდა: „მე მინდა ქრისტეს მსახური ვიყო. ქრისტემ თვითონ მომიწოდა ჭეშმარიტების შეცნობისაკენ. მან ხელითა მისითა ყოვლადძლიერითა სიბნელიდან ნათელში, სიკვდილიდან სიცოცხლეში გადამიყვანა; მინდა მისი მხედარი ვიყო“. როცა მისი წამება დაიწყეს, ცოლი ცრემლებით ევედრებოდა, საკუთარი თავიც შეებრალებინა და ისიც, მაგრამ ის, პირიქით, არწმუნებდა, თვითონაც ქრისტიანი გამხდარიყო. მსაჯულმა მას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. როცა სასჯელის აღსასრულებლად მიჰყავდათ, პოლიევკტემ დაინახა ნეარხოსი, რომელიც ხალხში იდგა და დაუყვირა: „თავი გადაირჩინე, მეგობარო, და ჩვენს მეგობრობას ნუ დაივიწყებ“. მას თავი მოკვეთეს.

ქრისტიანთა წამების ყველა შემთხვევის აღწერა და ყველას სახელით მოხსენიება, ვინც ეწამა, მათი დიდი რიცხვის გამო, შეუძლებელია. მართალია, დევნა მხოლოდ ორ წელს გაგრძელდა,

მაგრამ განსაკუთრებული სისასტიკის გამო მრავალი ქრისტიანი შეიწირა. წამებულთა და დევნილთა ერთმანეთის სიყვარული და მხარში დგომა, მათი სიმშვიდე, თავმდაბლობა და კეთილშობილება იმ სასწაულებთან ერთად, რომელთაც უფალი მათთვის უშვებდა, ბევრ წარმართზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა, სულიერ თვალებს უხელდა და ჭეშმარიტების გზაზე აყენებდა. ასე რომ, ქრისტეს ეკლესია, მიუხედავად ყველაფრისა, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და მტკიცდებოდა.

წმიდა მოწამე კვიპრიანე კართაგენელი. ქრისტიანთა დევნის მერვე პერიოდი

ამ პერიოდის ეპისკოპოსთაგან ერთი ყველაზე ცნობილი კვიპრიანე კართაგენელი იყო. წარმართების ოჯახში აღზრდილმა წარმართული რელიგია და კულტურა საფუძვლიანად შეისწავლა და სიჭაბუკიდანვე შეუდგა მასწავლებლობას: კართაგენში ფილოსოფიასა და მჭევრმეტყველებას ასწავლიდა. დიდი ქონების პატრონს ბრწყინვალე ნადიმები და საზოგადოებრივი სანახაობანი იტაცებდა. ხშირად მეგობრები და მოწაფენი, რომელთაც იგი ძალიან უყვარდათ, გასართობად ქალაქგარეთ, თავის მშვენიერსა და კეთილმოწყობილ მამულში მიჰყავდა. მაგრამ კვიპრიანე იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, რომელნიც ცხოვრების აზრს მხოლოდ გართობასა და დროსტარებაში ხედავენ. მის მაძიებელ გონებასა და კეთილშობილ სულს ჭეშმარიტების შეცნობის წყურვილი აწუხებდა, რომლის მოკვლაც წარმართულმა რელიგიამ და ფილოსოფიამ ვერ შეძლო. სამაგიეროდ გულთამხილავმა უფალმა მისი სურვილი უყურადღებოდ არ დატოვა და ქრისტიან მღვდელს – ცეცილიუსს შეახვედრა, რომელიც სარწმუნოებრივი საკითხების ღრმა ცოდნითა და მჭევრმეტყველებით გამოირჩეოდა. კვიპრიანემ მისგან მოისმინა ქრისტიანული მოძღვრება, რომლის ჭეშმარიტებაც ადვილად ირწმუნა, რადგან პასუხები იმ კითხვებზე, რომელნიც მისთვის წარმართულმა რელიგიამ და ფილოსოფიამ უპასუხოდ დატოვა, მასში იპოვა. ასე რომ, იგი ჯვარცმული ღმერთის მიმდე-

ვარი გახდა, წმ. ნათლისღება მიიღო და მართლაც მეორედ იშვა – ახალ ადამიანად იქცა. საკვირველი ცვლილება, რომელიც კვიპრიანემ განიცადა, შემდეგში თვითონ აღუწერა ეპისკოპოს დონატეს. მიწიერი სიკეთენი და სიამენი უკვე აღარ იტაცებდა. მან ცხოვრება ღმრთისა და მისი წმინდა მცნებების ასრულებისთვის დაიწყო; თავისი ქონების დიდი ნაწილი გაყიდა და ფული ღარიბებს დაურიგა. ცოლს სურდა, ქმრის ხელგაშლილობა ზომიერების ფარგლებში მოექცია, მაგრამ კვიპრიანე, ზეციურ სიკეთეთა სასოებითა და წმ. სარწმუნოებით გამდიდრებული, ქონებას, როგორც ახლობელთათვის დახმარების გაწევის საშუალებას, ისე უყურებდა.

მადლიერმა მოწაფემ, სიყვარული მასწავლებლისა, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ნამდვილი აზრისა და დანიშნულების წვდომაში დაეხმარა, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა და იმ ღრმა პატივისცემის გამოსახატავად, რომელსაც მის მიმართ განიცდიდა, თავის სახელს მისი სახელიც მიუმატა. ამიერიდან იგი თასციუს ცეცილიუს კვიპრიანედ იწოდებოდა. მალე იგი მღვდლად აკურთხეს, ხოლო როცა კართაგენის ეპისკოპოსი დონატე გარდაიცვალა, იქაურმა ქრისტიანებმა ეპისკოპოსობა სთხოვეს. წინააღმდეგი მხოლოდ ხუთი მღვდელი და თავად კვიპრიანე აღმოჩნდა, მაგრამ მორწმუნეებმა ყვირილით – ან კვიპრიანე, ან არავინ – მის სახლს ალყა შემოარტყეს და ამგვარად აიძულეს დათანხმებულიყო. ეს იმპერატორი ფილიპეს მეფობის ბოლო წელს მოხდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კვიპრიანე მართლაც მზრუნველი და ყურადღებიანი მწყემსი აღმოჩნდა, მაგრამ ქრისტიანებს სიმშვიდე ხელახლა დაწყებულმა დევნამ დაურღვია – იმპერატორი დეკიუსის ბრძანება კართაგენშიც მოვიდა. არაფერი არ აღიზიანებდა წარმართებს ისე, როგორც ჭკუითა და განათლებით ცნობილი ადამიანების მიერ ქრისტიანული სარწმუნოების მიღება. ამიტომ მოვიდა თუ არა კართაგენში დეკიუსის ბრძანება, წარმართულმა მოსახლეობამ მაშინვე კვიპრიანეს სიკვდილით დასჯა მოითხოვა: თავშეყრის ადგილებსა თუ ცირკში უკვე თავშეუკავებლად ყვიროდნენ: „კვიპრიანე ლომებს“. თავიანთი მწყემსის ბედით დაშინებულმა ქრისტიანებმა სთხოვეს, დროებით მაინც გასცლოდა ქალაქს. ამასთან, ისინი ფიქრობდნენ, რომ მისი წას-

ვლა, კართაგენში საერთოდ დევნასაც შეასუსტებდა და არც თუ უსაფუძვლოდ, რადგან იგი უწინარესად სწორედ მის წინააღმდეგ იყო მიმართული. რაც მთავარია, კვიპრიანემ თავად უფლისაგან მიიღო ბრძანება, დაეტოვებინა კართაგენი. და ისიც წავიდა, თავისი მამული კი ერთ მღვდელს ჩააბარა ღარიბებისათვის დახმარების გასაწევად.

საპყრობილისა და წამების შიშით კართაგენში ბევრმა ქრისტიანმა დათმო სარწმუნოება, მაგრამ მათი რიცხვიც დიდი იყო, რომელთაც სიმტკიცე გამოიჩინეს და ამის გამო ან დილეგში ჩაყარეს, ან საბადოებზე გაგზავნეს პირუტყვული შრომის გასაწევად, ან კიდევ ცეცხლითა და მახვილით მოსრეს.

ეკლესიის მდგომარეობას კვიპრიანე თვალყურს თავისი თავშესაფრიდან ადევნებდა და სამწყსოსთან ურთიერთობას წერილებით აგრძელებდა. ჩვენამდე მისმა მრავალმა წერილმა მოაღწია, რომელნიც გარდა იმისა, რომ ქრისტიანული სიბრძნით არიან განმსჭვალულნი, ყურადღებას ეკლესიის იმდროინდელი ყოფის ცოცხალი სურათის წარმოდგენითაც იმსახურებენ. საპყრობილეში გამომწყვდეული ქრისტიანებისადმი მიწერილ წერილებში ეპისკოპოსი მათ მხნეობასა და რწმენისათვის თავდადებას აქებდა, ანუგეშებდა და ევედრებოდა სულით არ დაცემულიყვნენ. ცდილობდა საკუთარი ქონება მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად გამოეყენებინა. ასევე ზრუნავდა იგი ღარიბ ქრისტიანებზეც, რათა სიღატაკის გამო წარმართებს არ მოესყიდათ და უგუნური ნაბიჯი არ გადაედგათ. როგორი მშვენიერი და მრავლისმეტყველი მაგალითია ქრისტიანი მწყემსმთავრებისათვის სამწყსოს ბედზე უანგარო ზრუნვისა! ყველას შეახსენებდა ლოცვის, როგორც მხნეობისა და სიმტკიცის წყაროს მნიშვნელობას და მოუწოდებდა მოუკლებელად ელოცათ. კვიპრიანე წერილებს სწერდა ე. წ. აღმსარებლებსაც, რომელთაც ეს სახელი დევნისა და ტანჯვის დათმენისათვის უწოდეს და შეაგონებდა, რომ არ გაამპარტავნებულიყვნენ. კართაგენელი ეპისკოპოსი თავისი სამწყსოს გარდა წერილებს სხვა ეკლესიებსაც სწერდა. დევნის სისასტიკემ ქრისტიანებს ერთობის ძალა განსაკუთრებით აგრძნობინა. ეკლესიები თავიანთ მდგომარეობას ერთმანეთს წერილებით ატყობინებდნენ, ერთმა-

ნეთს მოწამეთა სახელებს აცნობდნენ და ერთმანეთისაგან რჩევა-დარიგებას ითხოვდნენ. რწმენის ერთიანობისა და ქრისტესმიერი სიყვარულის ცხოველ გრძნობაში ისინი დიდ ნუგეშს პოულობდნენ. მაგალითად რომის ეკლესიის მიერ კართაგენის ეკლესიისადმი გაგზავნილ წერილს მოვიყვანთ: „ჩვენი ეკლესია სარწმუნოებაზე მტკიცედ დგას. მართალია, ზოგიერთი ქრისტიანი სიკვდილის შიშით ან მაღალი მდგომარეობის სიყვარულით დაეცა და ჩამოგვშორდა, მაგრამ მათი დაღუპულებად მიჩნევა მაინც არ გვსურს, არამედ ვცდილობთ დავარწმუნოთ, რომ მოინანიონ და იმის მოწყალებაზე მივუთითებთ, რომელსაც მათი ხსნა შეუძლია. არ ვტოვებთ მათ, რათა სასოწარკვეთილებას არ მიეცნენ... თქვენც ასე მოიქეცით, ძმებო; დაცემულნი დაარწმუნეთ აღიარონ ქრისტე, უკეთუ დაკითხვაზე მეორედ გამოიძახებენ; თქვენს წრეში მიიღეთ ისინი, რომელნიც ჭეშმარიტ სიყვარულს გამოამჟღავნებენ. საჭიროა განსაკუთრებული პირების დანიშვნა, რომელნიც ქვრივ-ობლებსა, პატიმრებსა და გაძევებულებზე იზრუნებენ. მათ, რომელთაც მკვდართა დასაფლავება ევალებათ, ეს წმინდა მოვალეობა წამებულებთან მიმართებაში გულმოდგინედ უნდა აღასრულონ. ჩვენ ყველანი სიყვარულით ვევედრებით ღმერთს მათთვის, რომელნიც ღმრთის სახელს მოუხმობენ და თქვენც გთხოვთ, თქვენს ლოცვებში არ დაგვივიწყოთ“.

კვიპრიანეს შიში გამართლდა, აღმსარებელთაგან ზოგიერთი, საკუთარი პიროვნებით მოხიბლული, მართლაც გაამპარტავნდა. მათ დაიწყეს სიგელების გაცემა იმათთვის, რომელთაც სარწმუნოება უარყვეს. სიგელებში ადასტურებდნენ, რომ უარმყოფელებმა თავიანთი საქციელი მოინანიეს და ეკლესიის წინაშე მათ ხელახლა მისაღებად შუამდგომლობდნენ. ამის შედეგად ზოგიერთი, რომელსაც ტანჯვისა და სიკვდილის შიში სძლევდა, ქრისტეს იმის იმედით უარყოფდა, რომ შემდეგ აღმსარებლისაგან სიგელს მიიღებდა და ეკლესიას ისევ დაუბრუნდებოდა. ასე რომ, ამგვარი სიგელები ხელს უწყობდა ეკლესიის ძველი დადგენილების გაუქმებას, რომლის მიხედვითაც მოკვეთილს ეკლესიაში დაბრუნება მხოლოდ სინანულის შემდეგ შეეძლო, ხოლო სინანულის პერიოდის ხანგრძლივობა ჩადენილი ცოდვის სიდიდეზე იყო დამოკიდებული.

შექმნილმა ვითარებამ ზოგიერთ ეპისკოპოსსა და ხუცესს სარწმუნოების უარმყოფელთა მიმართ გადაჭარბებული სიმკაცრის გამოჩენის საბაბი მისცა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამგვარნი ეკლესიიდან სამუდამოდ უნდა განეკვეთათ. ბუნებრივია, ამ მტკივნეული საკითხისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ეკლესიაში კამათის მიზეზად იქცა. ბოლოს მისი განსჯა კვიპრიანეს მიანდეს, რომელმაც მისი განხილვა კართაგენში დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა, მანამდე კი, იგი ეკლესიაში ატეხილი შფოთის დაწყნარებას წერილებით შეეცადა, რომლებშიც ქრისტიანებს ერთმანეთის სიყვარულისა და მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა.

შეწყდა თუ არა დევნა, კვიპრიანემ კართაგენში დაბრუნება განიზრახა. მისი დაბრუნება აუცილებელი იყო, რადგან დაცემულთა საკითხის გარშემო ატეხილ კამათს ის მღელვარებაც დაემატა, რომელიც ეკლესიაში კვიპრიანეთი უკმაყოფილო ვინმე ფელიციმუსმა და ფორტუნატუსმა შემოიტანეს. მათ შეადგინეს საზოგადოება, რომელსაც მთის ეკლესია უწოდეს, რადგან მისი წევრები კართაგენის ახლოს მდებარე მთაზე იკრიბებოდნენ. ამ ადამიანებმა შეძლეს მიზიდვა ყველა იმისა, ვინც ფიქრობდა, რომ კვიპრიანე დაცემულთა მიმართ ზედმეტად მკაცრი იყო. „მთის ეკლესია“ კვიპრიანეს განკარგულებებს ეწინააღმდეგებოდა, ხოლო მისი მომხრეების დაშინებას მუქარით ცდილობდა. სამწუხაროდ, მათ ერთი ხუცესიც მიემხრო, სახელად ნოვატი, ფრიად უზნეო პიროვნება. კვიპრიანეს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, მან ეკლესიიდან განკვეთა ე. წ. „მთიელები“ და კართაგენში დაბრუნებისთანავე კრების მოწვევა გადაწყვიტა. ეს რომ გაიგო, ნოვატი შეშინდა და სასწრაფოდ რომში გაემგზავრა.[56]

რომში ფაბიანეს წამებით სიკვდილის შემდეგ, ქრისტიანებმა გააფთრებული დევნის გამო ახალი ეპისკოპოსის არჩევა 16 თვის განმავლობაში ვერ შეძლეს. როცა დევნა რამდენადმე ჩაწყნარდა, არჩევნების ჩასატარებლად, რომელშიც მონაწილეობა ამ დროისათვის ფრიად მრავალრიცხოვანმა მთელმა რომის ეკლესიამ მიიღო, სამოცი ეპისკოპოსი ჩავიდა. საერთო არჩევანი კორნელიუსზე შე-

[56] **Священномученик Киприан Карфагенский/Отцы и учители церкви III века, Антология, II, М., 1996.**

ჩერდა, რადგან პიროვნული თვისებებისა და ცხოვრების წესის გამო ყველა პატივს სცემდა, მაგრამ მას მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა, კერძოდ, რომაელი ხუცესი ნოვატიანე, რომელსაც ეპისკოპოსობა თვითონ სურდა. ეკლესიაში ის იმ დაჯგუფებას მიეკუთვნებოდა, რომელიც ფიქრობდა, რომ დაცემულნი, მიუხედავად იმისა, მოინანიებდნენ თუ არა, სამუდამოდ უნდა განეკვეთათ. რა თქმა უნდა, ქრისტიანთა დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ ამგვარი დამოკიდებულება სწორი არ იყო და სამართლიანადაც, რადგან ამის საფუძველს მას თვით ქრისტეს მოძღვრება აძლევდა, რომლის მიხედვითაც ღმრთის მოწყალება ყველა ცოდვას აღემატება, თუ ცოდვის ჩამდენი მას გულწრფელად მოინანიებს. იმით განაწყენებულმა ნოვატიანემ, რომ ეპისკოპოსად არ აირჩიეს, სადავო საკითხის გადაჭრისას თავისი შეხედულების გატანა კიდევ უფრო ჯიუტად მოინდომა. მან თავის გარშემო თანამოაზრენი შემოიკრიბა, რომელნიც კორნელიუსს გადაუდგნენ და თავიანთ ეპისკოპოსად იგი გამოაცხადეს. ნოვატიანესა და მის ჯგუფს კართაგენელი ნოვატიც შეუერთდა. მიუხედავად იმისა, რომ კართაგენში იგი თითქოს კვიპრიანეს დაცემულთა მიმართ გადაჭარბებული მკაცრი დამოკიდებულების გამო გადაუდგა, რომში სინდისის ქენჯნის გარეშე იმ პარტიას მიემხრო, რომელიც ცოდვის ჩამდენთა მიმართ სწორედ ზედმეტი სიმკაცრით გამოირჩეოდა. ამ ფაქტმა მისი ზრახვები გააშიშვლა, იგი არა ეკლესიის, არამედ პირადი ინტერესებისათვის იბრძოდა და სარწმუნოებრივ საკითხებსაც იმისდა მიხედვით აფასებდა, თუ სარგებლობას რა მოუტანდა, ხოლო ეკლესიაში არა სიმშვიდის, არამედ შფოთისა და მღელვარების შეტანა სურდა. ნოვატიანე წირვის ჟამს, როცა წმინდა საიდუმლოებებს აღასრულებდა, მაზიარებლებს მისთვის ერთგულების ფიცის მიცემას აიძულებდა. შემდეგში მათ, ვინც ამგვარ ფიცს აძლევდა და მისი ერთგული ხდებოდა, ნოვატიანელები ეწოდათ.[57] ესეც საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ ქრისტეს სამწყსოსაგან ცხოვართა მიტაცებას არა მხოლოდ ცხადი მტრები, არამედ ხშირად თვით ეკლესიის შენიღბული მსახურებიც ცდილობენ. ნოვატიანელთა სწავლების არსი ცოდვილთა მიმართ უკიდურესი სიმკაცრის გამოჩენაში გამოიხატებოდა. ამ სწავლების მიხედვით,

[57] **Евсевий Памфил, VI, 43.**

მორწმუნე, რომელიც მონათვლის შემდეგ მძიმე ცოდვას ჩაიდენდა, ეკლესიისათვის კვდებოდა და მასში დაბრუნებას ველარასოდეს შეძლებდა. ისინი თავიანთ წრეში მხოლოდ სრულყოფილი ადამიანების მიღებას ცდილობდნენ და უწინარესად ასეთებად თავიანთ თავს მიიჩნევდნენ და საკუთარი სულიერი სიწმიდისათვის ხაზგასასმელად თეთრ სამოსს ატარებდნენ. ნოვატიანეს მიერ დათესილმა უთანხმოებამ ეკლესიაში საკმაოდ დიდხანს იარსება. ეკლესიის ისტორია მას განხეთქილებას უწოდებს და არა ერესს, რადგან ერესი ცრუმოძღვრებას ეწოდება, რომელიც რწმენის დოგმატებს ამახინჯებს, ხოლო განხეთქილება ეკლესიიდან არა დოგმატური, არამედ რომელიმე იმ საკითხის გამო გამოყოფას გულისხმობს, რომელიც საეკლესიო კეთილმოწესეობას ეხება. აქედან გამომდინარე, მონტანისტები (მთიელები) და ნოვატიანელები არა ერეტიკოსებად, არამედ განხეთქილების შემომტანებად, ე. ი. გამთიშველებად იწოდებიან.

შფოთისა და კამათისათვის ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოსაღებად რომში, კართაგენსა და ანტიოქიაში კრებები მოიწვიეს, რომლებზეც ნოვატიანესა და ნოვატის სწავლება დაგმეს და დაადგინეს, რომ ეკლესია კვლავ მიიღებდა თავის წიაღში დაცემულებს, რომლებიც გულწრფელად მოინანიებდნენ. ამასთან დაცემულებს ოთხ კატეგორიად ყოფდნენ: 1. ვინც მსხვერპლშეწირვა აღასრულეს (sacrificati), 2. რომელთაც გუნდრუკი იძულებით აკმიეს (thurificati), 3. რომელთაც ცრუ მოწმობანი იყიდეს იმის თაობაზე, რომ მსხვერპლშეწირვა თითქოს შეასრულეს (libellatici) და 4. ვინც თანამორწმუნეები გასცეს და წარმართებს ის ადგილები აჩვენეს, სადაც ქრისტიანები თავიანთ წიგნებს ინახავდნენ (traditores). უკეთუ დაცემული ღმრთისმსახური იყო, სინანულის შემდეგ მას ეკლესიაში დაბრუნება შეეძლო, მაგრამ სასულიერო ხარისხს უკვე ველარასოდეს მიიღებდა.

251 წელს ბრძოლაში მოკლეს იმპერატორი დეკიუსი. პასუხად ქრისტიანების დაუნდობელი დევნისა მას საშინელი აღსასრული ჰქონდა. მისი გვამი, რომელიც ბრძოლის ველზე უპატრონოდ დარჩა, ფრინველებისა და მხეცების საჭიჭმად იქცა. დეკიუსის მემკვიდრე იმპერატორის ტახტზე გალუსი აღმოჩნდა თავის ვაჟ

ვოლუზიანესთან ერთად. ქრისტიანთა დევნა კვლავ გაგრძელდა, ოღონდ უკვე არა იმგვარი სისასტიკით. ახლადარჩეული ეპისკოპოსი კორნელიუსი რომიდან გააძევეს, რამდენიმე ქრისტიანი მოწამეობრივად აღესრულა. მოსალოდნელი სასტიკი დევნისათვის კართაგენშიც ემზადებოდნენ. კვიპრიანემ მტკიცედ გადაწყვიტა, ამჯერად აღარ დაეტოვებინა ხალხი და საფრთხესთან შესახვედრად სამწყსოც მოემზადებინა: „მღვიძარება, მარხვა, ლოცვა – აი, ჩვენი მახვილი და ციხე-სიმაგრე. მოვიხსენიოთ ერთმანეთი ჩვენს ლოცვებში. ვიყოთ ერთსულოვანნი და მეგობრულნი... ნუთუ ქრისტიანს უნდა ეშინოდეს წამებისა, მაშინ როცა ჩვენი უფალი პირველი ეწამა? ნუთუ ჩვენ არ მოვისურვებთ ვეწამოთ ჩვენი ცოდვებისათვის, მაშინ, როცა ჩვენი ცოდვებისათვის უფალი ეწამა? ძე ღმრთისა ეწამა, რათა ჩვენ ღმრთის ძეებად ვექციეთ; ნუთუ ადამის ძენი არ მოისურვებენ წამებას იმისათვის, რომ ღმრთის შვილებად დარჩნენ?“

მაგრამ დევნის ტალღამ აფრიკამდე ვეღარ მიაღწია. სამაგიეროდ, ამ მხარეს თავს სხვა მძიმე განსაცდელი დაატყდა. გაჩნდა რაღაც წყლული, რომელიც რომის იმპერიის სხვადასხვა ოლქში თითქმის მთელი ათი წლის განმავლობაში მძვინვარებდა. სნეულება ისეთი გადამდები აღმოჩნდა, რომ წარმართების გულში ყოველგვარი თანაგრძნობის ნაპერწკალი ჩააქრო, ისინი ახლობლებსა და მეგობრებს, რომლებიც ამ სენით ავადდებოდნენ, უპატრონოდ ტოვებდნენ. მკვდრების დამარხვისათვის არათუ ზრუნავდნენ, გვამებს პირდაპირ ქუჩაში ყრიდნენ, რაც ჰაერს წამლავდა და ხელს უწყობდა სნეულებათა გავრცელებას. ავადმყოფებს მხოლოდ ქრისტიანები უვლიდნენ და გარდაცვლილებსაც მხოლოდ ისინი მარხავდნენ. წარმართები კი, ნაცვლად იმისა, რომ მათი თავგანწირვა დაეფასებინათ და მისაბაძ მაგალითად გაეხადათ, მათ დასჯას მოითხოვდნენ, რადგან უბედურების მიზეზად ისინი მიაჩნდათ. როგორც კი კართაგენში წყლული გაჩნდა, კვიპრიანემ ქრისტიანები შეკრიბა, მტრის სიყვარულის შესახებ ქრისტიანული მცნება შეახსენა და ბოროტების სიკეთით გადახდისაკენ მოუწოდა. ქრისტიანები ვალდებულნი იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ, რადგან ასე მოიქცა თვითონ უფალი, რომელმაც მტრებს მიუტევა და

ჯვარზეც კი მათთვის ლოცულობდა. ბოლოს და ბოლოს სიყვარულმა და სიკეთემ თავისი ნაყოფი გამოიღო. ქრისტიანთა უანგარო თავდადებამ წარმართებიც გააოცა და შეაცნობინა, რომ ადამიანისათვის ამგვარი უბოროტობის, უწყინარობის, თვინიერებისა და ძალის შთაბერვა მხოლოდ ქრისტიანულ სარწმუნოებას შეუძლია, და მრავალი მოიქცა.

ქრისტეს მიმდევართა სარწმუნოება და სიყვარული კიდევ ერთმა ახალმა უბედურებამ გამოსცადა. კართაგენის მეზობელი მხარე, ნუმიდია, ბარბაროსებმა მოაოხრეს. ნუმიდიის ეპისკოპოსებმა ამის თაობაზე კვიპრიანეს აცნობეს. კართაგენელმა ქრისტიანებმა ფული შეაგროვეს, რომელიც კვიპრიანემ გატაცებული ტყვეების გამოსასყიდად ნუმიდიაში გაგზავნა. „ტყვეობა ძმებისა, ჩვენი ტყვეობაა, წუხილი მათი – ჩვენი წუხილი, რადგან ჩვენ ყველა ერთ სხეულს შევადგენთ. არა მხოლოდ გრძნობა, არამედ ჩვენი რჯულიც გვარწმუნებს, რომ ძმები უნდა გამოვისყიდოთ. დატყვევებულ ჩვენს ძმებში ქრისტე ცოცხლობს“, – წერდა იგი.

დევნა მხოლოდ 253 წლის მახლობელ ხანებში მიწყნარდა და 257 წლამდე აღარ განმეორებულა. სიმშვიდის ეს ხანმოკლე პერიოდი ეპისკოპოსებმა საკამათო საკითხების გადასაწყვეტად გამოიყენეს და ეკლესიაში მშვიდობის აღსადგენად სხვადასხვა ქალაქში კრებები მოიწვიეს. რაც შეეხება თვითონ კართაგენს, იქ კრების წელიწადში ორჯერ მოწვევის წესი არსებობდა – გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ამჯერად გადასაწყვეტ საკითხთაგან მთავარი დაცემულთა ბედი, ჩვილების მონათვლა და ერეტიკოსის მიერ შესრულებული ნათლობის ნამდვილობა იყო. ჩვილები რომ აუცილებლად უნდა მონათლულიყვნენ, ეს საკამათოდ არავის მიაჩნდა; კამათი მხოლოდ იმის თაობაზე მიმდინარეობდა, კერძოდ როდის უნდა მოენათლათ ისინი: დაბადებიდან მერვე დღეს (რომელიც ძველი აღთქმის წინადაცვეთას შეცვლიდა), თუ საერთოდ პირველივე დღეებში. კრებამ გადაწყვიტა, რომ ჩვილები პირველივე დღეებში უნდა მოენათლათ. რაც შეეხება ერეტიკოსთა მიერ შესრულებული ნათლობის ნამდვილობას, თითოეულმა ეკლესიამ, ისე, რომ ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა არ დაურღვევია, თავისი საკუთარი ტრადიცია შეინარჩუნა. კართაგენის

ეკლესია, რადგანაც მწვალებლის მიერ შესრულებულ ნათლობას არანამდვილად მიიჩნევდა, ხელახლა ნათლავდა; რომის ეკლესია ნათლობას ნამდვილად მიიჩნევდა, ოღონდ ნათელღებულისათვის ხელთდასხმის შემდეგ; რაც შეეხება სხვა ეკლესიებს, მათი დიდი ნაწილი ნათლობას ჭეშმარიტად თვლიდა, თუ იგი მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით იყო აღსრულებული.

კრებაზე კამათი მოუხდათ რომის ეპისკოპოსთან – სტეფანესთან, რომელიც ეკლესიაში ყველაზე აღმატებულ ხელისუფლებას იჩემებდა. ამის დასტური იყო ის, რომ ორი ესპანელი ეპისკოპოსი, რომელნიც თანამდებობიდან დევნის პერიოდში მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობის მიღებისათვის გადააყენეს, სტეფანემ სხვების დაუკითხავად აღადგინა. კართაგენის კრებაზე მისი საქციელი ამხილეს და დაადგინეს, რომ არცერთ მწყემსმთავარს არ ჰქონდა უფლება თავისი თავისთვის ეპისკოპოსთა ეპისკოპოსი ეწოდებინა, როგორც ამას სტეფანე თავის წერილებში აკეთებდა.

257 წელს რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნის მერვე პერიოდი დაიწყო. იმპერატორი ვალერიანე თავდაპირველად ქრისტიანთა მიმართ კეთილგანწყობილებას იჩენდა, მაგრამ შემდეგში თავის საყვარელს, მაკრინეს დაუთმო და გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც – ეპისკოპოსები, ხუცესები და დიაკვნები უნდა დაესაჯათ, ხოლო ცნობილი პირებისათვის, რომლებიც თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ, ხარისხები უნდა აეყარათ და ქონება ჩამოერთმიათ. აიკრძალა, აგრეთვე, ფარული შეკრებანი, განსაკუთრებით კატაკომბებსა და სამარხებში, რადგან ცნობილი იყო, რომ ქრისტიანები ღმრთისმსახურების ჩატარებისათვის ხშირად გარდაცვლილ ძმათა საფლავებთან იკრიბებოდნენ. როცა იმპერატორის ბრძანება კართაგენში მოვიდა, პროკონსულმა კვიპრიანე გამოიძახა და ქრისტეს უარყოფა და ხუცესების დასახელება მოსთხოვა, რაზეც ეპისკოპოსმა უპასუხა, რომ რჯული დასმენას უკრძალავდა. პროკონსულმა კვიპრიანე ზღვისპირა ქალაქ კურუბიტში გაგზავნა, საიდანაც იგი ქრისტიანებს წერილებს სწერდა და ზედმეტი მოშურნეობისაგან თავის შეკავებას სთხოვდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვიდრე დაკითხვისათვის არ გამოიძახებდნენ, თვითონ, თავიანთი ნებით, თავი არ უნდა გაემჟღავნებინათ. ეს

ფაქტი იმაზე მოწმობს, რომ მკაცრ განსაცდელს ქრისტიანებისათვის ამაოდ არ ჩაუვლია. ახლა ისინი უკვე მზად იყვნენ დევნას ისე შეხვედროდნენ, როგორც ეს ქრისტეს კეთილ მხედრებს შეეფერებოდა.

კურუბიტში ჩასვლის დღეს კვიპრიანეს ძილში უფალი გამოეცხადა და ამცნო, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგ ქრისტეს სახელისათვის მოკვდებოდა. მართლაც, სანამ გადასახლების ერთი წელი შეუსრულდებოდა, კვიპრიანე უკან დააბრუნეს და კართაგენის გარეუბანში ცხოვრების უფლება მისცეს. წარმართი მხედრებიდან რამდენიმემ, რომელნიც მისდამი დიდი პატივისცემით იყვნენ განმსჭვალულნი, ეპისკოპოსს გაქცევაში დახმარება შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა. პროკონსულმა კვიპრიანე თავის სახლში დაიბარა, რომელიც ქალაქგარეთ იდგა. ეს რომ გაიგეს, საყვარელ მწყემსს მრავალი ქრისტიანი გაჰყვა. იმ დღეს დაკითხვა არ შემდგარა, რადგან პროკონსული თავს ცუდად გრძნობდა. კვიპრიანემ ღამე ვინმე წარმართი მოხელის სახლში გაატარა. მორწმუნეები ამ სახლის გარშემო შეიკრიბნენ. მთელი ღამის განმავლობაში კვიპრიანე მეგობრებს ესაუბრებოდა. ვინც სახლში შესვლა ვერ მოახერხა, საყვარელი ეპისკოპოსის დანახვასა და მოსმენას ეზოდან ცდილობდა. როცა დილით იგი დაკითხვაზე გაიყვანეს, ხალხიც თან გაჰყვა. პროკონსულმა იმპერატორის ბრძანების შესრულება და ღმერთების თაყვანისცემა მოსთხოვა, ხოლო როცა მტკიცე უარი მიიღო, მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გააფრთხილა. „ჩემი უსაფრთხოება და სიმტკიცე იესო ქრისტეშია, რომელსაც ვემსახურები; მოიქეცი ისე, როგორც ნაბრძანები გაქვს; მე მზად ვარ“, – უპასუხა კვიპრიანემ. მაშინ განრისხებულმა პროკონსულმა ეპისკოპოსისათვის თავის მოკვეთა ბრძანა, რათა სხვებისთვისაც ეჩვენებინა, როგორ უნდა მოქცეოდნენ მეფის ბრძანებას. ხალხი აღელდა. „ჩვენც ჩვენს ეპისკოპოსთან ერთად მოვკვდეთ“, – გაისმოდა ხმები. მაგრამ კვიპრიანე მშვიდად, სიხარულითაც კი შეხვდა განაჩენს. იგი ქალაქგარეთ გაიყვანეს, ხალხიც თან გაჰყვა. როცა დასჯის ადგილას მივიდნენ, თვითონ გაიხადა ზედა სამოსი, მუხლი მოიდრიკა, ილოცა, ხალხი აკურთხა და ანდერძად სასჯელის აღმსრულებელთათვის 25 მონეტის მიცემა დაუტოვა; შემდეგ თვალები

აიხვია, ქედი მოიდრიკა და ჯალათმაც თავისი საქმე შეასრულა. ქრისტიანებმა მისი სხეული მოწიწებით დაკრძალეს.

კვიპრიანემ ქრისტიანობაზე მოქცევის შემდეგ მხოლოდ 12 წელი იცხოვრა, მაგრამ ღმრთის შემწეობით მრავალი კეთილი საქმის გაკეთება მოასწრო, რის გამოც სამწყსომ იგი მამასავით შეიყვარა. ამასთან, მან მრავალი თხზულება და 70-მდე წერილი დაგვიტოვა, რომლებიც იმდროინდელი ეკლესიის მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ.

რომში ქრისტიანთა დევნა უჩვეულოდ გაძლიერდა. ეპისკოპოსი სტეფანე ლიტურგიის აღსრულებისას მოკლეს. მის მემკვიდრედ ქრისტიანებმა სექსტუსი აირჩიეს, რომელიც ეროვნებით ბერძენი იყო, მაგრამ მალე, ვალერიანეს ბრძანებით, განაჩენი მასაც გამოუტანეს. როცა იგი დასასჯელად მიჰყავდათ, გზაში არქიდიაკონი ლავრენტი შეხვდა, რომელმაც უთხრა: „სად მიდიხარ, მამაო, გარეშე შვილისა, მღვდელმთავარო ღმრთისა, გარეშე შენი მთავარდიაკონისა? მეც შენთან ერთად წამიყვანე“.

– შვილო ჩემო, მე შენ არ დაგტოვებ, – უპასუხა ეპისკოპოსმა. – მე მოხუცი ვარ და იოლი სიკვდილისათვის მივდივარ; შენ ბევრად უფრო სასტიკი ტანჯვა გელის; სამი დღის შემდეგ გამომყვები, მანამდე კი დარჩენილი ქონება ღატაკებს დაურიგე. ლავრენტიმ ეპისკოპოსის ბრძანება შეასრულა: ფული, რომელიც ეკლესიაში სწორედ ამ მიზნით ინახებოდა, იმ გაჭირვებულ ქრისტიანებს დაურიგა, რომლებიც თავს კატაკომბებსა თუ სხვა მიწისქვეშა შენობებს აფარებდნენ. ეს ამბავი გახმაურდა და რომის ეპარქოსის ყურამდეც მიაღწია, რომ ლავრენტიმ ეკლესიიდან ოქროს ძვირფასი ჭურჭელი გადამალა. ამ დროისათვის რომის ეკლესია იმის გამო, რომ მრავალმა მდიდარმა და ცნობილმა რომაელმა ქრისტიანობა მიიღო, ძალიან მდიდარი იყო. დაახლოებით 220 წლიდან, ეპისკოპოს ურბანის ბრძანებით, ღმრთისმსახურებისათვის საჭირო ჭურჭელი, რომელიც მანამდე შუშისა იყო, ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული ჭურჭლით შეცვალეს. რომის ეკლესია ქონების დიდ ნაწილს სწორედ ღატაკთა, ქვრივთა და ობოლთა შესანახად იყენებდა. აღსანიშნავია, რომ ძველთაგანვე ქველმოქმედებით განთქმული, ამ დროისათვის იგი ათასხუთას ღარიბ-ღატაკს არჩენდა.

ეპარქოსის ბრძანებით, ლავრენტი შეიპყრეს და საპყრობილეში ჩააგდეს. ცოტა ხნის შემდეგ ეპისკოპოსმა იგი გამოიძახა და ჰკითხა, საეკლესიო განძი სად გადამალა. ლავრენტიმ უპასუხა, რომ თუ ინებებდა, ყოველივეს შეუკრებდა და მიართმევდა. იგი გაუშვეს. მთავარდიაკონმა ყველა ღატაკი, რომელსაც ეკლესია ინახავდა, შეკრიბა, ეპარქოსის კარზე მიიყვანა და უთხრა: „აი, საუკეთესო განძი ქრისტიანული ეკლესიისა“. ეპარქოსმა ეს საქციელი დაცინვად მიიღო და მისი სასტიკად წამება ბრძანა. როცა წამების ყველა ხერხი ამოწურეს, ბოლოს იგი ცეცხლში გავარვარებულ გისოსებზე დააწვინეს, ლავრენტიმ ეს არაადამიანური წამებაც მოთმინებით აიტანა. ერთ გვერდზე დიდხანს წოლის შემდეგ მან მწამებლებს უთხრა: „უკვე გამოცხვა, დროა გადამაბრუნოთ“. ამ საშინელი ტანჯვისას მას სახე ზეციური სიხარულით უბრწყინავდა და განუწყვეტლივ ადიდებდა და ჰმადლობდა უფალს, ხმამაღლა ევედრებოდა, მოექცია მისი მტრები. ამ ვედრებით აღმოხდა სული.

საპყრობილეში ყოფნისას ლავრენტიმ მოასწრო და ქრისტიანობაზე მოაქცია წარმართი იპოლიტე. ღამით იპოლიტე რამდენიმე ქრისტიანთან ერთად მივიდა, რათა წამებულის გვამი დაემარხა. მაგრამ იგი შეიპყრეს და თავისი ოჯახის წევრებთან ერთად აწამეს. ასევე სიკვდილით დასაჯეს ახალგაზრდა მხედარი რომანი, რომელმაც ქრისტე მაშინ იწამა, როცა ლავრენტის ტანჯვას უყურებდა.

წმ. ლავრენტი წარმოშობით ესპანელი იყო. აღსანიშნავია, რომ იმპერატორი ვალერიანეს დროს, ესპანეთში, სადაც ქრისტიანობა ახალგავრცელებული იყო, მრავალმა მორწმუნემ ჭეშმარიტი ღმრთის უარყოფას სიკვდილი ამჯობინა და მოწამეობრივად აღესრულა.

ქრისტიანთა დევნა გალიაშიც მძვინვარებდა. პარიზის ახლოს მოწამეობრივად აღესრულა ეპისკოპოსი დიონისე ხუცეს რუსტიკესა და დიაკვან ელეფთერთან ერთად. ქრისტიანებმა მათი თავმოკვეთილი გვამები მთაზე დაასაფლავეს, რომელსაც ამიერიდან მოწამეთა მთა – **mont des martyrs** (მონმარტრი) ეწოდა. მაგრამ დევნამ გალიაში ქრისტიანობის გავრცელებას ხელი მაინც ვერ შეუშალა: ლიმოზში, ნარბონში, კლერმონტში, არლში, ტულუზსა და პარიზში უკვე საეპისკოპოსო კათედრები იყო; ქრისტიანობამ გერმანიაშიც შეაღწია: კელნისა და ტრირის ეკლესიები მესამე

საუკუნეში დაფუძნდნენ. იმპერატორი ვალერიანეს დროს ატეხილ დევნას გერმანიაში ქრისტიანი პროვატი შეეწირა.

რა თქმა უნდა, დევნის ტალღამ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს – ქრისტიანობის აკვანსაც მძლავრად გადაუარა. წამებულთა რიცხვი მცირე აზიაში ძალიან დიდი გამოდგა. კაპადოკიის კესარიაში ყველა გააოცა 16 წლის ყმაწვილმა კირილემ. მისი მამა წარმართი იყო და როცა გაიგო, რომ შვილმა ქრისტიანობა მიიღო, სასტიკად ექცეოდა, ხშირად სცემდა და აშიმშილებდა. ამ გზით რომ ვერაფერს გახდა, ბოლოს სახლიდან გააგდო. ყმაწვილი ყოველივეს, თანატოლების მხრიდან დაცინვასა და მასხარად აგდებასაც კი, მოთმინებით იტანდა. ბოლოს იგი მსაჯულმა დაიბარა და შესთავაზა, რომ თუ ღმერთს უარყოფდა, მამასთან უშუამდგომლებდა და შინ დააბრუნებდა, მაგრამ კირილემ უპასუხა, რომ ხორციელი მამისაგან განსხვავებით, უფალი მას მარადიულ საცხოვრებელს მისცემდა. ვერც ტკბილი სიტყვითა და ვერც მუქარით რომ ვერას გახდა, მსაჯულის ბრძანებით, ყმაწვილი დასჯის ადგილას მიიყვანეს და აჩვენეს კოცონი, რომელიც მას ელოდებოდა. კირილეს წარბიც კი არ შეუხრია. როცა იგი კოცონისაკენ მიჰყავდათ, ბევრი ტიროდა. ყმაწვილმა მათ უთხრა: „რატომ ტირით? ჩემ გამო უნდა გიხაროდეთ, – მაგრამ თქვენ არ იცით, როგორი სასოება მაქვს და სად მივდივარ“.

კესარიაში დიდხანს ვერ დაივიწყეს ყრმა, რომელმაც უჩვეულო სიმტკიცე გამოიჩინა. მისი სიმამაცე განსაკუთრებით წარმართებს უკვირდათ, რადგან მათ არ იცოდნენ, რა დიდი ძალის მიცემა შეუძლია ღმერთს მისი ჭეშმარიტი მორწმუნისათვის.

საოცარი მაგალითი იმისა, რომ უფალი ძალას მდაბალთ აძლევს, ხოლო სიამაყითა და ამპარტავნობით დაბრმავებულებს ტოვებს, ანტიოქიელებმა იხილეს. მღვდელ საპრიკიოსსა და ერისკაც ნიკიფორეს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ, შემდეგ რაღაცის გამო ერთმანეთს წაეჩხუბნენ და დაშორდნენ. პირველად გონს ნიკიფორე მოვიდა, მოინანია, საპრიკიოსთან მივიდა და პატიება და შერიგება ცრემლებით სთხოვა, მაგრამ ამაოდ. როცა ქრისტიანთა დევნა დაიწყო, ანტიოქიაში ერთ-ერთი პირველი საპრიკიოსი შეიპყრეს, რადგან მღვდელი იყო. თავდაპირველად მან თავი ღირსეულად დაიჭირა და

ამაყად განაცხადა, რომ თავის ღმერთსა და სარწმუნოებას არ უარყოფდა. როცა ტანჯვა-წამების გზითაც ვერ მოდრიკეს, საპრიკიოსს სიკვდილი მიუსაჯეს. სასჯელის აღსრულების ადგილისაკენ მიმავალ გზაზე მოძღვარს ნიკიფორე დახვდა და შერიგება სთხოვა, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ. მას ყოფილი მეგობრის ბედი გულით აწუხებდა, რადგან სჯეროდა, რომ შეუნდობლობა სიკვდილის წინ მის სულს მძიმე ცოდვად დააწვებოდა, ამიტომ თავმოყვარეობა დაივიწყა და როცა სასჯელის აღსრულების ადგილს მიაღწიეს, საპრიკიოსს ფეხებში ჩაუვარდა და ქრისტეს სახელით კვლავ პატიება სთხოვა. სამწუხაროდ, საკუთარი სიმტკიცით გაამაყებულმა მოძღვარმა ნიკიფორეს ზურგი შეაქცია, რითაც აგრძნობინა, რომ ამ თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ სურდა. მაშინ ქრისტემ მიატოვა იგი და სულის სიმტკიცეც ერთბაშად წაერთვა: დასასჯელი იარაღის დანახვაზე საშინლად შეშინდა და სასწრაფოდ განაცხადა, რომ თანახმა იყო ღმერთებისათვის მსხვერპლი შეეწირა. ნიკიფორე მხურვალედ ევედრებოდა, გონს მოსულიყო და ზეცაში მისთვის განმზადებული გვირგვინი არ დაეკარგა, მაგრამ არაადამიანური შიშით შეპყრობილს უკვე აღარაფერი ესმოდა და ჯიუტად იმეორებდა, რომ ღმერთს უარყოფდა. მაშინ ნიკიფორემ აღიარა, რომ ქრისტეს მიმდევარი იყო. იგი იქვე შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს, ხოლო საპრიკიოსი შინ გაუშვეს. ასე დააკარგვინა ამპარტავნობამ მოძღვარს ზეციური გვირგვინი და მარადიული სასუფეველი, რომლის მოპოვებაც ერისკაცმა თავმდაბლობის წყალობით შეძლო.

დევნის მეათე პერიოდი. ეკლესია II-III საუკუნეებში

როგორც კი იმპერატორი ვალერიანე ტყვედ ჩავარდა, მისმა ვაჟმა გალიენმა ქრისტიანთა წინააღმდეგ გამოცემული მკაცრი ბრძანებანი სწრაფად შეცვალა, აღიარა მათი უფლება ღმრთისმსახურების ჩატარებისა და წართმეული ადგილებიც დაუბრუნა სასაფლაოებისათვის.[58] სამწუხაროდ, იმპერიის შორეულ პროვინციებამდე მეფის ბრძანებანი დიდი დაგვიანებით აღწევდა. ადგილობრივი მმართველები ამით სარგებლობდნენ და თუ ხელს აძლევდათ, ძველი

[58] იქვე, VII, 13.

ბრძანებების მიხედვით მოქმედებდნენ. გარდა ამისა, პროკონსულები თავიანთ საგანმგებლო მხარეებში იმდენად დიდი უფლებებით სარგებლობდნენ, რომ ქრისტიანთა დასჯა საკუთარი ინიციატივითაც შეეძლოთ. ასე რომ, გალიენის ბრძანებათა მიუხედავად, პროვინციებში მაცხოვრის მიმდევართა დევნა გრძელდებოდა. ასე მოხდა კესარიაში. იქაური მხედარი, მარინი, რომელიც თავისი გვარიშვილობითა და სიმდიდრით იყო ცნობილი, ცენტურიონის ადგილის მისაღებად წარადგინეს, მაგრამ იგი დაასმინეს, რომ ქრისტიანი იყო და ვიდრე ამ ადგილს დაიკავებდა, იმპერატორის ერთგულების დასამტკიცებლად მისი კერპის წინაშე წარმართული ადათის შესრულება მოსთხოვეს. მაშინ მარინიმ აღიარა, რომ ქრისტიანი იყო და წესის შესრულებაზე უარი განაცხადა. ოლქის მმართველმა მოფიქრებისთვის სამი საათი მისცა. როცა მარინი გამოვიდა, კესარიის ეპისკოპოსმა თეოტეკნემ ეკლესიაში წაიყვანა, სახარება და მახვილი აჩვენა და უთხრა, რომ ერთ-ერთი მათგანის არჩევა მოუწევდა. მარინიმ სახარება აიღო და მმართველთან დაბრუნებულმა მტკიცედ დაადასტურა, რომ სარწმუნოების უარყოფას არ აპირებდა, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს.[59]

ამასობაში რომის იმპერიას ზედიზედ რამდენიმე უბედურება დაატყდა თავს: შიმშილობა, წყლული, მიწისძვრა, სამოქალაქო ომები. ყოველი მხრიდან გამოჩნდნენ ხელისუფლების მაძიებელნი, რასაც, ბუნებრივია, თან შფოთი და არეულობა მოჰქონდა. იმპერიის რამდენიმე ოლქი, კერძოდ, ბითვინია, კაპადოკია, ანტიოქია პალმირის დედოფალმა ზინობიამ დაიპყრო. რაც შეეხება სხვა ოლქებს, მათ განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ბარბაროსები: სკვითები და გოთები თრაკიას, პონტოს, საბერძნეთისა და მცირე აზიის სხვა მხარეებს აოხრებდნენ, გერმანული წარმოშობის სხვა ტომები გალიაში, ესპანეთსა და აფრიკაშიც კი იჭრებოდნენ და უკან ნაალაფევითა და ტყვეებით ბრუნდებოდნენ. ტყვეთა შორის ქრისტიანებიც იყვნენ, რომელნიც ბარბაროსთა ქვეყნებში სახარებას ქადაგებდნენ და იქაურებს მაღალზნეობრივი ცხოვრების მაგალითს აძლევდნენ. **სიყვარულითა და ძმებზე უანგარო ზრუნვით განსაკუთრებით ეპისკოპოსები გამოირჩეოდნენ, ყველა მნიშვნე-**

[59] იქვე, VII, 15.

ლოვანსა და სერიოზულ საკითხს მხოლოდ ერთმანეთისაგან რჩევის მიღების შემდეგ წყვეტდნენ. პონტოს ეპისკოპოსმა ათენოდორმა რჩევა იმის შესახებ, როგორ მოქცეოდა დაცემულ ქრისტიანებს, თავის ძმას, გრიგოლ ნეოკესარიელს ჰკითხა, რითაც გრიგოლ სასწაულმოქმედს უბიძგა თავისი შეხედულება ამ მტკივნეულ საკითხზე, და საერთოდაც, წესები საეკლესიო კეთილმოწესეობისა, გადმოეცა წერილში „პონტოს პაპს“.

იმპერიაში გავრცელებულმა გადამდებმა წყლულმა მოსახლეობის დიდი ნაწილი შეიწირა, ზოგიერთი პატარა ქალაქი მთლიანად ამოწყდა. რომში დღეში ზოგჯერ ხუთიათასამდე კაცი კვდებოდა, იგივე მდგომარეობა იყო ალექსანდრიაშიც, სადაც მკვდრების დამარხვასაც ვერ ასწრებდნენ. ამ სენს წმ. დიონისე ალექსანდრიელი ყოველგვარ საშინელებაზე დიდ საშინელებასა და უბედურებათა შორის ყველაზე დიდ უბედურებას უწოდებს. მიუხედავად ამისა, ქრისტიანები არც მის წინაშე შემდრკალან; ისინი მოყვასის დახმარებისათვის სიცოცხლესაც არ ზოგავდნენ. მათმა ენითუთქმელმა თავგანწირვამ წმ. დიონისე ალექსანდრიელს საშუალება მისცა ეთქვა, რომ ისინი იმათზე დაბლა როდი იდგნენ, რომელნიც სარწმუნოებისათვის ეწამნენ.

ამ პერიოდში ეკლესიას მოსვენება არც ცრუ მოძღვართა მხრიდან უგრძვნია, მათგან განსაკუთრებით საბელიოზი და პავლე სამოსატელი გამოირჩეოდნენ, რომელთა ცრუ სწავლებაც ყოვლადწმიდა სამებასა და მის პირებს შეეხებოდა. საბელიოზის მოძღვრება პრაქტიკულად იგივე იყო, ოღონდ რამდენადმე სახეშეცვლილი, რაც პრაქსესისა და ნოეტიუსისა, რომელთაც მესამე საუკუნის დასაწყისში იპოლიტე, ორიგენე და სხვ. ებრძოდნენ. ამ ცრუ მოძღვრების მიმდევართ პატრიპასიანელები ეწოდებოდათ, რადგან ღმრთის პირებს უარყოფდნენ და ამტკიცებდნენ, რომ განხორციელდა, ქალწული მარიამისაგან იშვა და ჯვარზე ეწამა თავად მამა ღმერთი. საბელიოზის ცრუ მოძღვრება განსაკუთრებით ანტიოქიაში გავრცელდა. მის წინააღმდეგ წმ. დიონისე იბრძოდა, რომელიც თავის წერილებში ამ სწავლებისა და მის მიმდევართა სიცრუეს გაბედულად ამხელდა. იგი ამხელდა აგრეთვე იმ დროისათვის გავრცელებულ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ

დედამიწაზე ქრისტეს ათასწლოვანი მეუფება დამყარდებოდა.[60]

ეკლესიის ღმრთივგანბრძნობილი მამების სიფხიზლემ დაიცვა, აგრეთვე, ქრისტიანები მეორე ცრუმოძღვრის, პავლე სამოსატელის სწავლების მავნე გავლენისაგან, რომელიც ანტიოქიის ეპისკოპოსი იყო. მისი სწავლებით, ძე და სულიწმიდა ისევე იმყოფება მამაში, როგორც გონება და ძალა ადამიანში. აქედან გამომდინარეობდა სწავლება ქრისტეზე, როგორც ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანზე. ამიტომ პავლემ ანტიოქიის ეკლესიაში იესო ქრისტეს სადიდებელ საგალობელთა გალობა და მისი სახელით პირჯვრის გადასახვა აკრძალა. ამ დროისათვის ანტიოქია პალმირის დედოფლის ზინობიას სამფლობელოში შედიოდა. მოხერხებულმა და ვერაგმა პავლემ ზინობიას კეთილგანწყობილების მოპოვება შეძლო, რისი წყალობითაც ანტიოქიაში დიდი ძალაუფლებით სარგებლობდა. მაგრამ, ცხადია, დედოფლის მფარველობა მას ეკლესიის მხრიდან მხილებისგან ვერ დაიფარავდა. 264 წელს ანტიოქიაში შექმნილი მდგომარეობის გასარკვევად სხვა მხარეთა ეპისკოპოსები ჩავიდნენ. შედგა კრება, რომელსაც ფირმილიანე კაპადოკიელი, გრიგოლ სასწაულმოქმედი (ნეოკესარიელი), მისი ძმა ათენოდორი, დიონისე ალექსანდრიელი და სხვ. ესწრებოდნენ. კრებაზე მხილებულ იქნა პავლე სამოსატელის მოძღვრების მწვალებლური ხასიათი. მოძღვრების ავტორი მიხვდა, რომ კრებისთვის წინააღმდეგობის გაწევა უშედეგო იქნებოდა და თანამდებობის შესანარჩუნებლად უარყო იგი. შეუძლებელია, ის, ვინც ღმერთზე ცრუ სწავლებას შეგნებულად ავრცელებს, საერთოდაც ზნეობრივი პიროვნება იყოს. მიზეზი ნათელია, ვინც ღმრთის წინააღმდეგ გალაშქრებას გაბედავს, ის არც მისგან ბოძებულ ზნეობრივ მცნებებს დაემორჩილება. ანტიოქიის ეპისკოპოსი უდიერად ეპყრობოდა და ჩაგრავდა ღარიბებს, ქრთამს იღებდა ბრალდებულთაგან, რათა ისინი მოსალოდნელი სასჯელისაგან გაეთავისუფლებინა. ქედმაღალი და პატივმოყვარე, მხოლოდ მდიდრულ ცხოვრებას არ სჯერდებოდა და პატივის მიგებასაც მოითხოვდა. ამიტომ მგალობლებს ეკლესიაში მისი საქები სიმღერების შესრულებას აიძულებდა, ყოველგვარ საერო უპირატესობებს ეძიებდა. მისი მაგალითი ანტიოქიის

[60] იქვე, VII, 6, 7, 8.

სხვა მღვდელმსახურებზე დამღუპველად მოქმედებდა, რის გამოც მათ შორის ბიწიერება და უზნეობა გამეფდა. ცხადია, ამგვარნი მსახურნი წარმართებსა და ურწმუნოებს ქრისტეს სარწმუნოებისა და ეკლესიის განქიქების საბაბს აძლევდნენ. ანტიოქიაში მართლაც დამაფიქრებელი მდგომარეობა შეიქმნა. სხვა მხარეთა ეპისკოპოსებმა შექმნილი ვითარებისათვის ბოლოს მოღება გადაწყვიტეს და 269 წელს ანტიოქიაში კრების ჩასატარებლად ისევ შეიკრიბნენ. სამწუხაროდ, ამჯერად კრებას სხვადასხვა მიზეზით ბევრი ცნობილი ეპისკოპოსი გამოაკლდა: წმ. დიონისე ალექსანდრიელმა ავადმყოფობისა და უძლურების გამო ვერ შეძლო წასვლა და კრებას თავისი შეხედულება წერილობით ამცნო, წმ. გრიგოლ ნეოკესარიელი ახლადგარდაცვლილი იყო; ფირმილიანე კაპადოკიელმა, რომელიც ამ დროისათვის ღრმად მოხუცი იყო, წასვლა მაინც გადაწყვიტა, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, შეკრებილმა ეპისკოპოსებმა დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, მკაცრად ამხილეს და მეორედ დაგმეს – საბელიოზისა და პავლე სამოსატელის ერეტიკული სწავლებანი; პავლე განაყენეს და მის მაგივრად ანტიოქიის ეპისკოპოსად დომნე აირჩიეს. ყოველივე ამის შესახებ, კრების მონაწილეებმა წერილით აცნობეს რომის, ალექსანდრიისა და საერთოდ იმ ეპისკოპოსებს, რომელნიც კრებას არ ესწრებოდნენ.[61] აღსანიშნავია, რომ ამ კრებაზე იესო ქრისტეს, როგორც სამების მეორე პირის შესახებ სწავლებაში, პირველად გამოიყენეს ტერმინი ერთარსი მამისა. პავლემ, ზინობიას იმედით, კრების გადაწყვეტილებისათვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დამორჩილებოდა და ადგილი დომნესთვის დაეთმო.

275 წელს იმპერატორმა ავრელიანემ ქრისტიანთა წინააღმდეგ ახალი ბრძანება გამოსცა, რასაც შედეგად მათი, რიგით მეათე დევნის დაწყება მოჰყვა, მაგრამ გავრცელება ვერ მოასწრო, რადგან ავრელიანე მოკლეს. მის დროს წამებულთაგან დავასახელებთ პტოლემაისში წამებით აღსრულებულებს: წმ. პავლესა და მის დას იულიანას, წმ. კონონს, ქრისანთესა და დარიას, რომელნიც რომში აღესრულნენ.

[61] იქვე, VII, 30.

ამ დროს სირიასა და პალესტინაში ახალი ცრუ მოძღვრება გავრცელდა, რომელიც რამდენადმე გნოსტიციზმს ემსგავსებოდა, მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებას კიდევ უფრო დამახინჯებულად წარმოადგენდა. მისი მამამთავარი მანესი, ან სხვაგვარად მანი, წარმოშობით სპარსელი იყო. მანესის სწავლებაში ძირითადი ორი საწყისის აღიარებაა: მატერია, წმინდა ანუ ნათელი და მატერია – უხეში ანუ ბნელი. მეუფე ნათლისა სიკეთე ანუ ღმერთია, ხოლო მეუფე ბნელისა – ბოროტება ანუ დემონი. მთელი სამყარო ამ ორი საწყისის ბრძოლისაგანაა წარმოშობილი. მაგალითად, ადამიანის სხეული და მშვინვიერი სული ბოროტი საწყისისაგან წარმოიშვა, ხოლო კეთილი – კეთილი საწყისისაგან. იმისათვის, რომ სულები გაეთავისუფლებინა, კეთილმა ღმერთმა დედამიწაზე ქრისტე წარმოგზავნა, რომლის სამკვიდრებელიც მზეა. როცა ქრისტე მზეზე ბრუნდებოდა, ადამიანებს აღუთქვა, რომ ნუგეშინისმცემელს – პარაკლიტეს გაუგზავნიდა; მანესი თავს სწორედ ქრისტესაგან შეპირებულ ნუგეშინისმცემლად აცხადებდა. ამ სწავლების სიმცდარე სხეულისადმი გადაჭარბებული სიმკაცრით მოპყრობაშიც გამოიხატებოდა, კერძოდ, იგი სხეულის, როგორც ბოროტების საწყისის, დაძაბუნებას მოითხოვდა. მანესი უარყოფდა, აგრეთვე, მთელ ძველ აღთქმას, რომელსაც სიბნელის თავადის ნახელავად მიიჩნევდა. მან თავისი სახარებაც დაწერა, რომელშიც ასწავლიდა, რომ განწმენდილი სულები სიკვდილის შემდეგ მზესა და მთვარეზე დასახლდებოდნენ, ხოლო განუწმენდელნი – ცხოველებში. ამიტომ მანესის მიმდევარნი ცხოველურ საკვებს არ იღებდნენ და დიდ მარხვას ინახავდნენ, მაგრამ ზნეობის თვალსაზრისით, არც ისე მკაცრნი იყვნენ, რადგან საკუთარ ცოდვათა მიზეზს არა თავიანთ თავში, არამედ სხვაგან ეძებდნენ, კერძოდ, მათ ბოროტების სულის ძალას მიაწერდნენ. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობაც ჩადენილი ცოდვების გამო ნაკლები ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება შეხსენება იმისა, რომ როცა ჩვენ, ქრისტიანები ჩვენი ან სხვისი ცოდვების განხილვისას ბოროტ ძალებს გადაჭარბებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს, რათა მანიქეველებს არ დავემსგავსოთ და პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, იმ თავისუფალ

ნებაზე არ ვთქვათ უარი, რომელიც უფალმა გვიბოძა.

ღმრთისმსახურების შესრულებისას მანესი ცდილობდა გარეგნულად ქრისტიანებისათვის მიებაძა. მან მრავალი მოწაფე დატოვა, რომელთაგან თორმეტს მოციქულები ეწოდებოდა. ქრისტიანმა სწავლულებმა ეს ცრუ მოძღვრება სწრაფად ამხილეს, მას არც წარმართები სწყალობდნენ და მკაცრად დევნიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მანიქეველთა სწავლების უგუნურება და სიყალბე თითქოს არც თუ ისე ძნელი გამოსაცნობი იყო, მანიქეიზმმა, შეუერთდა რა გნოსტიკურ სწავლებათა ნარჩენებს, კიდევ დიდხანს იარსება. თვითონ მანესი სპარსეთის მეფის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

284 წელს რომის იმპერიის ტახტზე დიოკლეტიანე ავიდა, რომელიც წარმოშობით დალმატიიდან იყო. საინტერესოა, რომ თავისი მეფობის დასაწყისში ქრისტიანების მიმართ იგი მტრულად განწყობილი არ ყოფილა: ქრისტიანები ღმრთისმსახურებას დაუფარავად ასრულებდნენ, ჰქონდათ თანამდებობები სამეფო კარზე, მსახურობდნენ ჯარსა და სენატში. ყოველივე ეს ზოგიერთ მკვლევარს იმასაც კი აფიქრებინებს, რომ დიოკლეტიანეს ცოლი და ქალიშვილი ქრისტიანები იყვნენ.

ქრისტიანებმა საკუთარი ტაძრების მშენებლობა ჯერ კიდევ ალექსანდრე სევერუსის დროს დაიწყეს, როცა უფლება მიიღეს ღმრთისმსახურების აღსრულებისათვის განცხადებულად შეკრებილიყვნენ. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უფლებას დროდადრო ატეხილი დევნისას კარგავდნენ, წირვა-ლოცვისათვის ისევ იქ იკრიბებოდნენ, სადაც მოუხდებოდათ: მიწისქვეშა ნაგებობებში, ხომალდებზე და ა.შ. იმპერატორი დიოკლეტიანეს თავდაპირველმა კეთილგანწყობილებამ, ქრისტიანებს ტაძრების მშენებლობისათვის ისევ მოაკიდებინა ხელი. ამ პერიოდში დიდი ქრისტიანული ტაძარი აშენდა ნიკომედიაში, რომელშიც თავად იმპერატორიც შევიდა და დაათვალიერა. ტაძრები უმთავრესად წმინდანთა სამარხებზე იგებოდა. ტაძრის წინ ღია შესასვლელი იყო; მასში ისინი იდგნენ, რომელთაც მძიმე დანაშაულთა ჩადენის გამო უფლება არ ჰქონდათ წინკარში შესვლისა, სადაც მონანულნი იდგნენ და მართალთ სთხოვდნენ ელოცათ მათთვის; მართალთა ადგილი ორად იყო გა-

ყოფილი – კაცებისა და ქალებისთვის. ამბიონზე იკითხებოდა წმ. სახარება, მქადაგებელნიც ამბიონიდან ქადაგებდნენ, აქვე ხდებოდა ხელთდასხმაც. საკურთხეველი, რომელზეც უსისხლო მსხვერპლშეწირვა სრულდებოდა, ყოველთვის აღმოსავლეთ მხარეს იყო, რაც ნიშნავდა მიქცევას სიმართლის მზისაკენ, რომელიც აღმოსავლეთში გამობრწყინდა. საკურთხევლის უკან იყო დასავდომელი ეპისკოპოსებისა და მღვდლებისათვის. ტაძრის ერთი ნაწილი შესაწირავების მისაღებად იყო განკუთვნილი.

როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, მესამე საუკუნიდან საიდუმლოთა აღსრულებისას ჩვეულებრივი გახდა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლის გამოყენება, გაჩნდა ძვირფასი სასანთლეები. ხუცესები და საერთოდ ეკლესიის მსახურები ღმრთისმსახურებისას განსაკუთრებული სამოსელით იმოსებოდნენ, რომელთა ტარების უფლებაც შინ არ ჰქონდათ. იმდროინდელი ღმრთისმსახურება ჩვენი დროის ღმრთისმსახურებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. მესამე საუკუნეში ეკლესიის მსახურთა რიცხვს შეემატნენ დიაკონთა თანაშემწეები – იპოდიაკონები, ეპისკოპოსთა მსახურები – აკოლუთები და მეკარეები – პარამონარები, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ იმისთვის, რომ მართალთა ლიტურგიას მონანულნი არ დასწრებოდნენ და რომ ტაძარში წარმართი არ შესულიყო. პარამონარი შეიძლება, აგრეთვე, მგალობელი და წიგნის მკითხველიც ყოფილიყო; ზოგიერთ ეკლესიაში ჰყავდათ მლოცველები, რომელნიც ავადმყოფებს ბოროტი სულის განსადევნელად ლოცვებს უკითხავდნენ. ეკლესიის მსახურთა კრებულს ეკუთვნოდნენ, ასევე, მესაფლავენი, რომელთა მოვალეობასაც გარდაცვლილის დამარხვა წარმოადგენდა. რამდენადაც დევნის პერიოდებში ისინი დიდი საშიშროების ქვეშ იყვნენ, ამდენად დიდი პატივითაც სარგებლობდნენ.

ეპისკოპოსის არჩევა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, საეკლესიო და საერო კრებულის მიერ ხდებოდა. ეკლესიის ყველა წევრს უფლება ჰქონდა წამოყენებულ კანდიდატურაზე თავისი აზრი გამოეთქვა. მხარდაჭერას შერჩეული პიროვნებისადმი გამოხატავდნენ შეძახილით „ღირსია“ („აქსიოს“). საჭირო იყო, აგრეთვე, მეზობელ ეპარქიათა ეპისკოპოსების თანხმობაც, რომელთაც

არჩეულისათვის ხელნი უნდა დაესხათ. ეკლესიისათვის მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტდნენ კრებებზე, რომელშიც მონაწილეობას საერო წრიდან უხუცესებიც იღებდნენ. გავრცელებული იყო ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ყოველ ოლქში კრებას ორჯერ – შემოდგომასა და გაზაფხულზე, აღდგომის შემდეგ იწვევდნენ.

ევსევი კესარიელი, რომელიც მე-3 საუკუნის ბოლოსა და მე-4 საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა, იხსენიებს მაცხოვრის გამოსახულებებს, კერძოდ, იესო ქრისტეს სპილენძის ქანდაკებას, რომელიც კესარიის მახლობლად მდგარა და ასევე მაცხოვრისა და წმ. მოციქულთა – პეტრესა და პავლეს გამოსახულებებს დაფებზე. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ცნობები იმის ვარაუდის საშუალებას, რომ იმ დროს მაცხოვრისა და წმინდანთა გამოსახულებების დადგმა ტაძრებში საერთო ტრადიციად იყო ქცეული, არ გვაძლევს. აუცილებელია გათვალისწინება იმისა, რომ ქრისტიანთა შეგნებაში ხელოვნება ჯერ კიდევ მჭიდროდ უკავშირდებოდა წარმართულ რელიგიას, განსაკუთრებით ეს ქანდაკებაზე ითქმის, რადგან წარმართულ ღმერთებს უფრო ქანდაკებებით გამოსახავდნენ, ვიდრე ფერწერით. რაც შეეხება ფერწერას, ქრისტიანულ კულტურაში მისი კვალი უკვე პირველ საუკუნეებში ჩანს. რომის კატაკომბებში, კედლებზე გვაქვს გამოსახულება ქრისტესი, ვითარცა კეთილი მწყემსისა, რომელსაც მხრებით ცხვარი მიჰყავს, საიდუმლო სერობისა და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული ფერწერა ძირითადად სიმბოლური ხასიათისა იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ქრისტეს არა უშუალოდ გამოსახავდა, არამედ უფრო მიუთითებდა მასზე. ასევე ხშირად იყო წარმოდგენილი ძველი აღთქმის მოვლენები, რომელნიც ქრისტეს მოვლინებასა და მის მიერ კაცობრიობის გამოხსნას წინასწარ გამოხატავდნენ, მაგ.: მოსე, რომელიც წყალს გადმოადენს კლდიდან, ნოეს კიდობანი და სხვ.

კატაკომბებზე უფრო დაწვრილებითაა საჭირო საუბარი, რადგან მათ პირველი საუკუნეების ქრისტიანთა ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ისინი მიწისქვეშა გრძელ გალერეებს წარმოადგენენ, რომელთა წარმოშობაზეც მკვლევარებს სხვადასხვა შეხედულება აქვთ. ერთნი ფიქრობენ, რომ რომის გარეუბნებში

თავიდანვე თხრიდნენ მიწას ქვის, თიხისა და რაღაც განსაკუთრებული სახის მიწის მოსაპოვებლად, რომელსაც მშენებლობაში ცემენტად იყენებდნენ. შემდეგში ორმოები, რომლიდანაც ეს მასალა ამოჰქონდათ, ქალაქის ზრდასთან ერთად, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ თხრილებად და მიწისქვეშა გალერეებად იქცნენ. სხვანი კი ფიქრობენ, რომ თავიდან ეს იყო სამარხი ადგილი ჯერ იუდეველებისა, ხოლო შემდეგ ქრისტიანებისა, რომ ჯერ ოჯახები, ხოლო შემდეგ მთელი საზოგადოებანი ქალაქგარეთ ყიდულობდნენ მიწებს, სადაც თხრიდნენ საფლავებს მიცვალებულთათვის; და რომ შემდეგში რამდენიმე ასეთმა ერთად შეერთებულმა სასაფლაომ მიწისქვეშა გალერეები შეადგინა, რომლებიც დევნათა პერიოდში ქრისტიანებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს. სხვა მკვლევარნი კი კატაკომბებს მხოლოდ ქრისტიანთა ნახელავად თვლიან, რომელნიც ლოცვებზე შესაკრებად, მიცვალებულთა დასამარხად და უსაფრთხო თავშესაფრად შექმნეს. ამ კატაკომბებს ისე ვრცელი ტერიტორია უჭირავთ, რომ თუკი მათ ერთ სწორ ხაზზე გამწკრივებულებს წარმოვიდგენთ, ისინი 1440 კმ-ზე გაიჭიმება. მხოლოდ მათთვის ცნობილი საიდუმლო გასასვლელებით ქრისტიანები ერთი კატაკომბიდან მეორეში გადადიოდნენ და ამგვარად ქალაქიდან გასვლას შეუმჩნევლად ახერხებდნენ. მიწისქვეშა ვიწრო, ბნელი დერეფნები, რომელთა კედლებიც აკლდამებს წარმოადგენენ, ხან ჯვრისებურად კვეთენ ერთმანეთს, ხანაც ფართოვდებიან და ოთხკუთხა, ან წრიულ სივრცეს ქმნიან, რომელნიც, თუ მათ კედლებზე შემორჩენილი გამოსახულებებით ვიმსჯელებთ, ლოცვისათვის შესაკრებ ადგილებს წარმოადგენენ. ამ მიწისქვეშა ეკლესიის მთავარი ნაწილი ნიშია; მასში მდგარი კუბო წამებულისა, დაფარული ფილით, საკურთხეველს წარმოადგენდა.

წარწერები, ფერწერის ნიმუშები და სხვადასხვა საგანი, რომელთაც ამ კატაკომბებში პოულობენ, პირველი საუკუნეების ქრისტიანთა რწმენაზე, ტანჯვასა და იმედებზე ნათლად მეტყველებენ. წამებულთა დიდი რიცხვია დასაფლავებული ამ პირქუშ მიწისქვეშეთში. მიცვალებულებთან დამოკიდებულებაც იმ დიდ გადატრიალებაზე მოწმობს, რომელიც ადამიანთა შეგნებაში

ქრისტეს მოძღვრებამ გამოიწვია. წარმართები გვამებს წვავდნენ და ფერფლს ჭურჭლებში ინახავდნენ. მდიდრები ამ ჭურჭლებს მდიდრულ აკლდამებს უგებდნენ, ან ძეგლებს უდგამდნენ, რომლებიც გარდაცვლილის მიწიერ დიდებაზე მეტყველებდნენ; მდიდარი და ცნობილი ადამიანის ნეშტის სიახლოვეს მონისა და ღატაკის ნეშტის მოთავსება შეუძლებელი იყო. ქრისტიანული სასაფლაოები კი სიცოცხლის და სიკვდილის სულ სხვაგვარ გააზრებაზე მეტყველებენ. ქრისტიანები გვამს კი არ წვავდნენ, არამედ ლოცვითა და ფსალმუნების გალობით მოწიწებით ათავსებდნენ კუბოში, როგორც ტაძარს ღმრთეებრივი სულისა. კუბოები კატაკომბების კედლებში იდგმებოდა. გარდაცვლილის სახელის მოხსენიებისას იშვიათად აღინიშნებოდა, რა ადგილი ეჭირა მას სოფელში, თავისუფალი იყო თუ მონა, ცნობილი და მდიდარი თუ ღატაკი და უცნობი.

მსახური ქრისტესი – აი, საპატიო წოდებად რა ითვლებოდა, რადგან ეს იყო საწინდარი მომავალი მარადიული ცხოვრებისა, რომლის წინაშეც მიწიერი ცხოვრება თავისი მიწიერი დიდებულებითა და მიწიერი საწუხარით არარად ჩანდა. აღსანიშნავია, რომ წარწერებიცა და ფერწერაც მარადიული ცხოვრების მტკიცე სასოებას და ქრისტეში სიხარულით სავსე ადღგომას გამოხატავდა. წამებულის კუბოზე, ჩვეულებრივ, რტო ან გვირგვინი იყო გამოსახული, რომელიც მიწიერ საცდურებსა და სიკვდილზე გამარჯვებაზე მიუთითებდა. „გამარჯვებული სამყაროსა და იესო ქრისტეში“, – ამბობდა წარწერა. ზოგიერთმა აკლდამამ აქამდე შეინარჩუნა იმ სურნელოვან ნივთიერებათა არომატი, რომელთაც დასაფლავებისას იყენებდნენ.

კატაკომბებში ხშირად გვხვდება სიმბოლური გამოსახულებანი: ღუზა – რომელიც ქრისტიანთა სასოებაზე მეტყველებს; ხომალდი – როგორც სახე ეკლესიისა, რომლითაც ადამიანმა ცხოვრების მშფოთვარე ზღვა მშვიდობიანად უნდა გადალახოს; მტრედი – გადარჩენის მაცნე ნოესათვის და სახე სულისა წმიდისა; თევზი – როგორც სახე სულებისა, რომელნიც გალილეველმა მეთევზეებმა წარწყმედის სიღრმიდან ამოიყვანეს, ან როგორც სახე ახალი ცხოვრებისათვის წყლით ანუ ნათლისღებით ხელახლა დაბადები-

სა. განსაკუთრებით ხშირად თევზი გვხვდება, რადგან მას ზემოხსენებულის გარდა, სხვა სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა. ბერძნულად სიტყვა თევზის – ΙΧΘΥΣ – შემადგენელი ასოები იყო, აგრეთვე, დასაწყისი შემდეგი სიტყვებისა: იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მაცხოვარი (იესუს ხრისტოს, თეუ ჰუიოს, სოტერ). თევზის გამოსახულება საკურთხეველსა და სხვა საგნებზეც გვხვდება, მაგ; ბეჭდებზე, რომელთაც ქრისტიანები დასამოწმებლად იყენებდნენ. საერთოდ, ქრისტიანებს ეს სიმბოლოები, რომელთა მნიშვნელობაც წარმართებისათვის დაფარული იყო, უყვარდათ, რადგან ისინი ახალი ცხოვრებისათვის იესო ქრისტეს მიერ ხელახლა დაბადებას მუდმივად შეახსენებდნენ. ამიტომაც ცდილობდნენ მათ გამოყენებას, რაც შეიძლება ხშირად. მაგალითად, კატაკომბებში ნაპოვნ ჩირაღდნებს თევზის ფორმა აქვთ.

მეორე – მესამე საუკუნეებში ხშირად იხსენებიან მოღვაწენი, რომელთაც სიქალწულე შეინარჩუნეს და თავიანთი ცხოვრება უფალს მიუძღვნეს. მესამე საუკუნიდან სათავე დაედო მონაზვნობასა და განმარტოებულ ცხოვრებას. დეკიუსის დევნისას მრავალი ქრისტიანი გავიდა უდაბნოში, რომელთა შემდგომი ცხოვრების შესახებაც აღარაფერი ვიცით, მაგრამ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მათ თავიანთი ცხოვრება, ისევე როგორც პავლე თებაიდელმა, უდაბნოშივე დაასრულეს.

ეკლესიის ისტორიაში უდაბნოში ცხოვრებისა და მონაზვნობის ფუძემდებლად დიდი მეუდაბნოე ანტონი ითვლება, რომელიც მესამე საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი 251 წელს დაიბადა ეგვიპტეში, ქრისტიანთა ოჯახში.[62] ოცი წლის იყო წმ. ანტონი, როცა მშობლები გარდაეცვალნენ და მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვეს. ქრისტიანი მშობლების აღზრდილმა ადამის მოდგმის ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობისაგან გამოხსნისათვის ჯვარცმული ღმერთი ყრმობიდანვე შეიყვარა. ერთხელ, როცა იგი ეკლესიაში მიდიოდა, მოციქულებისა და იმ პირველი ქრისტიანების ღვაწლზე ფიქრობდა, რომელნიც ღმრთის სიყვარულით, მდიდრულ ცხოვრებაზე ხელს იღებდნენ და თავიანთ ქონებას არიგებდნენ. წმ. ანტონი

[62] ათანასე ალექსანდრიელი, „ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი“ / მამათა ცხოვრებანი, გამოსცა ვახტანგ იმნაიშვილმა, თბ., 1975.

შინაგანად ლოცულობდა და უფალს ევედრებოდა, მიენიშნებინა როგორ მოქცეულიყო. ამგვარი სულიერი განწყობილებით შევიდა იგი ტაძარში და პირველი, რაც გაიგონა, მაცხოვრის სიტყვები იყო, რომელიც მან მდიდარ ჭაბუკს უთხრა: უკეთუ სრულყოფილება გსურს, წადი, გაყიდე შენი ქონება და ღარიბებს დაურიგე, და გექნება საუნჯე ცათა შინა და მოდი და შემომიდექი მე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და კითხვაზე– როგორ მოქცეულიყო, პირდაპირი პასუხი გასცა. წმ. ანტონმა სახარებისეული მდიდარი ჭაბუკისაგან განსხვავებით, სიხარულით მიიღო ღმრთის მოწოდება: თავისი ქონება გაყიდა და ღარიბებს დაურიგა, თავისთვის მხოლოდ აუცილებელი დაიტოვა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ეკლესიაში წმ. წერილის კითხვისას მოისმინა – „ნუ ჰზრუნავთ ხვალისა“, ისიც გაყიდა, რაც არსებობისათვის დაიტოვა, თავისი მცირეწლოვანი და ღმრთისმოსავ ქალებს ჩააბარა და გადაწყვიტა თავი ღმრთისათვის მიეძღვნა. მან იპოვა მოხუცი, რომელიც მკაცრი მარხვითა და ლოცვით მარტო ცხოვრობდა და მის ახლოს დამკვიდრდა. შემდეგ სრული განმარტოება მოისურვა, უკაცრიელ ადგილას წავიდა და მიტოვებულ აკლდამაში დამკვიდრდა. ეგვიპტეში აკლდამებს კლდოვან მთებში კვეთდნენ, ასე რომ, ადამიანთა საზოგადოებას მოკლებულს, ნუგეშს ვერც ბუნება სცემდა. ამიტომ იმისათვის, რომ ყოველივე მიწიერი დაევიწყებინა და მხოლოდ ღმრთისკენ მისწრაფებით ეცხოვრა, დღე და ღამე ლოცულობდა. პირველ ხანებში მაინც გაუჭირდა, ხშირად ახსენდებოდა მიწიერი ტკბობანი და ის სიამოვნებანი, რომელთაც ადამიანს სიმდიდრე ანიჭებს და რომელთაც თვითონ ნებაყოფლობით მოაკლდა, აწუხებდა ეჭვი, სწორად მოიქცა თუ არა და სინანული არჩეული გზის გამო. იმ შინაგანი ბრძოლის ჩახშობას, რომელიც მასში მიდიოდა, და აღელვებული სულის დაწყნარებას მხოლოდ ლოცვით ახერხებდა. 35 წლის ასაკში მოინდომა კიდევ უფრო განმარტოებულიყო, ნილოსი გადაცურა და მკაცრ უდაბნოში გავიდა, სადაც ხშირად იტანჯებოდა შიმშილისაგან, ხვატისა და წყურვილისაგან. სინანული მიწიერ ტკბობათა დათმობის გამო ისევ აწუხებდა და საშველად ისევ და ისევ ლოცვას მიმართავდა. როცა განსაკუთრებით გაუჭირდებოდა, უფალი სასწაულე-

ბით ეწეოდა. ერთხელ შინაგანი ბრძოლით გაწამებულმა, ღმერთს ხმამაღლა მიმართა: „უფალო, როგორ მოვიქცე? გადარჩენა მინდა, მაგრამ ხელს აზრები მიშლიან“... ამ დროს დაინახა კაცი, რომელიც თავისთვის იჯდა და მუშაობდა. შემდეგ წამოდგა, ილოცა და მერე ისევ სამუშაოს მიუბრუნდა. ეს იყო ხილვა, რომელიც ღმერთმა იმის მოსანიშნებლად გამოუგზავნა, რომ ცუდი აზრების დათრგუნვა მხოლოდ ლოცვითა და შრომითაა შესაძლებელი.

ამასობაში უდაბნო, სადაც წმ. ანტონი ცხოვრობდა, აივსო ქრისტიანებით, რომელნიც წარმართული ქალაქებიდან გამორბოდნენ, რათა განმარტოებულებს ელოცათ. ზოგიერთი მათგანი წმ. მამას აკითხავდა და მისგან რჩევა-დარიგებას ითხოვდა. პირველ ხანებში მათ უხალისოდ იღებდა, ისე რომ, გარეთაც არ გამოდიოდა და იმ ნახვრეტიდან ელაპარაკებოდა, რომელიც გამოქვაბულს ჰქონდა, რადგან ამასობაში დუმილი და განმარტოება მისთვის უკვე არსებობის ერთადერთ ფორმად ქცეულიყო, მაგრამ მომსვლელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა და წმ. ანტონიც მიხვდა, რომ ღმრთის სამსახურის ამგვარ გზაზე უარის თქმის უფლება არ ჰქონდა. მან ჩაკეტილ ცხოვრებაზე უარის თქმა გადაწყვიტა და ყველას, ვინც ნუგეშისცემისათვის აკითხავდა, სიყვარულით იღებდა. ასე შეიკრიბა მის გარშემო მრავალი მეუდაბნოე. მათგან ზოგიერთნი ერთად ცხოვრობდნენ, ზოგნიც ცალ-ცალკე – გამოქვაბულებში. ისინი განუწყვეტლივ ლოცულობდნენ და შრომობდნენ – კერძოდ, პალმის რტოებიდან წნავდნენ კალათებს, რომელთაც მახლობელ ქალაქებში პურზე ცვლიდნენ. ასე თანდათანაობით დასახლდა თებაიდის მკაცრი უდაბნო და დაარსდა მონასტერი. მამა ანტონის სახელი შორს გავარდა, მისი მაღალი ქრისტიანული სიბრძნის მოსასმენად უკვე შორეული მხარეებიდანაც მოდიოდნენ.

ამ დროს ქრისტიანული მოძღვრების წინააღმდეგ ალექსანდრიის ნეოპლატონური სკოლის ცნობილი წარმომადგენლები – პლოტინე და პორფირიუსი იბრძოდნენ, მაგრამ ქრისტიანებს მკაცრი ფიზიკური დევნაც ელოდებოდათ.

იმპერიაში გამეფებულმა შინაურმა შუღლმა და ბარბაროსების ხშირმა თავდასხმებმა დიოკლეტიანე აიძულეს თანაშემწე აეყვანა. ამ მიზნით მან თავისი ერთ-ერთი სარდალი მაქსიმიანე ჰერ-

კულესი შეარჩია და იმპერატორის ხელისუფლება მასთან გაიყო, სახელდობრ, დასავლეთის მართვა მას მიანდო, ხოლო აღმოსავლეთი თვითონ დაიტოვა. იგი უმეტესწილად ნიკომედეაში, შავი ზღვის ახლოს ცხოვრობდა, ხოლო მაქსიმიანე მილანში, საიდანაც თვალყურის დევნება გერმანული ტომების მოძრაობისათვის შედარებით ადვილი იყო. ამ დროისათვის იმპერია ისე დასუსტდა, რომ ბარბაროსთა შემოსევებს უკვე არა იარაღით, არამედ ფულით – ხარკის გადახდით იგერიებდა. დიოკლეტიანემ შედარებით ნაკლები უფლებებით კიდევ ორი მმართველი დანიშნა: კონსტანციუს ქლორუსი მაქსიმიანეს, ხოლო გალერიუსი თავის თანაშემწედ და მათ კესაროსების წოდება მიანიჭა. იმპერატორმა თავისი ქალიშვილი გალერიუსს მიათხოვა, რომელმაც მეუღლეზე ზეგავლენა სწრაფად მოიპოვა და ქრისტიანების წინააღმდეგ გამოიყენა, რომლებიც სძულდა. მიუხედავად ამისა, დიოკლეტიანესაგან ქრისტიანთა საყოველთაო დევნის დაწყების ნებართვა კარგა ხანს მაინც ვერ მიიღო, რის გამოც პირველ ხანებში ცალკეულ პიროვნებათა დევნითა და შევიწროვებით კმაყოფილდებოდა.

ქრისტიანები მაქსიმიანე ჰერკულესსაც სძულდა და რადგანაც იმპერიის დასავლეთი ნაწილის სრულუფლებიანი მმართველი იყო, იქ მათი დაუნდობელი დევნა გააჩაღა. დევნა მან ლეგიონებიდან დაიწყო, კერძოდ, მეომრებისაგან იმპერატორისა და წარმართების პატივსაცემად წარმართული ადათების შესრულება მოითხოვა. ამან ბევრ ქრისტიანს სამხედრო სამსახურის დატოვება აიძულა, ბევრიც დაისაჯა. აფრიკაში მეომარმა მარკელემ ჯარისკაცის ქამარი მოიხსნა და თქვა: „თუ მეომრის წოდება ცრუ ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვას მავალდებულებს, მაშინ სამსახური არ შემიძლია“. იგი სიკვდილით დასაჯეს. მარკელესთან ერთად დასაჯეს ნოტარიუსი კასიანეც, რომელმაც უსამართლო განაჩენის დაწერაზე უარი განაცხადა. წარმართული ადათის შესრულებაზე უარი თქვა, აგრეთვე, შვეიცარიაში თებეს ლეგიონის წინამძღოლმა მავრიკიუსმა. როცა აღმოჩნდა, რომ მთელი ლეგიონი, რომელიც 6500 კაცისაგან შედგებოდა, ქრისტეს მორწმუნე იყო, თავდაპირველად ყოველი მეათის დასჯა გადაწყვიტეს, მაგრამ რადგანაც ქრისტეს ერთგულება ყველამ დაადასტურა, მთლიანად

ამოწყვიტეს. გალიაში, კერძოდ, მარსელში მეომარი ვიქტორი აწამეს. ჯვარზე გაკრულს მაცხოვარი გამოეცხადა და შეეწია, რათა ტანჯვისათვის ბოლომდე გაეძლო.

ამ პერიოდს მიეკუთვნება პირველი წამების ფაქტი ინგლისში. დევნილმა ქრისტიანმა მღვდელმა თავშესაფარი ინგლისში, მეომარ ალბანთან იპოვა, რომელიც წარმართი იყო. მოძღვართან ურთიერთობამ და მისმა ქადაგებამ იგიც მოაქცია; ამიტომ, როცა მღვდლის წასაყვანად მოაკითხეს, მეგობრის გადასარჩენად განაცხადა, რომ თვითონ იყო, ვისაც ეძებდნენ, მაგრამ დიდსულოვანი ტყუილი მალე გამომჟღავნდა და მღვდელთან ერთად დასასჯელად ისიც წაიყვანეს. ქრისტიანული სიყვარულის სიდიადემ და სარწმუნოებისადმი მტკიცე ერთგულებამ, რომლითაც ისინი გამოირჩეოდნენ, ჯალათიც კი მოაქცია, მან საწამებელი იარაღი გადააგდო და აღიარა, რომ ქრისტე ირწმუნა და მზად იყო დასასჯელებთან ერთად მომკვდარიყო. სამივე სიკვდილით დასაჯეს. ინგლისელები პატივს სცემენ ალბანს, როგორც მათ პირველ მოწამეს და წამების ადგილზე მისი სახელობის ეკლესიაც ააგეს.

გალერიუსი კვლავ ცდილობდა დიოკლეტიანე ქრისტიანების წინააღმდეგ აემხედრებინა. ამ საქმეში მას ხელს ქურუმებიც უწყობდნენ, რომლებიც იმპერატორს არწმუნებდნენ, რომ ღმერთები ქვეყანაში მათი მტრების ყოფნას აღარ მოითმენდნენ და წყალობას მოაკლებდნენ. დიოკლეტიანე, რომელსაც შელოცვებისა და ჯადოქრობის განსაკუთრებული ძალის რწმენისაკენ მიდრეკილება ისედაც ჰქონდა, ხშირად მომავლის წაკითხვას სამსხვერპლო საქონლის შიგნეულზე ცდილობდა. ქურუმებმა ესეც კარგად გამოიყენეს და ბოლოს და ბოლოს, გაღიზიანებულმა იმპერატორმა შინაურებს ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა. მაგრამ გალერიუსს დევნისა და შევიწროვების ცალკეული ფაქტები არ აკმაყოფილებდა, მას იმპერიაში ქრისტიანთა წინააღმდეგ საერთო კანონის მიღება სურდა. მიუხედავად ფსიქოლოგიური ზეწოლისა, დიოკლეტიანემ ამგვარი კანონის მიღება დიდხანს ვერ გადაწყვიტა, რადგან კარგად იცოდა, როგორი სისხლისღვრა მოჰყვებოდა მას.

ამ ამბების თანამედროვე ისტორიკოსი ევსევი მოგვითხრობს,

რომ ქრისტიანული საზოგადოების ნაწილს დაკარგული ჰქონდა ძველებური მოშურნეობა სარწმუნოებისადმი და რომ სიყვარულს ხშირად განხეთქილება და მტრობა სჯაბნიდა. ეს უპირველესად მოძღვრებზე ითქმის, რომელნიც სამწყსოს მიმართ მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების ხარჯზე, ძალაუფლებისა და პირველობისათვის იბრძოდნენ. მიუხედავად ამისა, ღმრთისგან გამოგზავნილმა მკაცრმა გამოცდამ ქრისტეს მრავალი ღირსეული მსახური მაინც გამოავლინა. 302 წელს, მთელი წლის განმავლობაში და 303 წლის ზამთარში, ნიკომედიაში, სადაც დიოკლეტიანე ცხოვრობდა, თათბირები და შეკრებები მიმდინარეობდა. დიოკლეტიანეს სურდა, კანონს რამდენადმე შეზღუდული ხასიათი ჰქონოდა და ქრისტეს რწმენა მხოლოდ იმათთვის აეკრძალა, ვინც სამეფო კარზე ან ლაშქარში მსახურობდა. გალერიუსი უფრო ფართო ხასიათის ბრძანებას მოითხოვდა. ბოლოს და ბოლოს დიოკლეტიანემ წარმართულ პარტიას დაუთმო. 303 წელს, აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე, გამოვიდა ბრძანება, რომელიც ქრისტიანული ტაძრების დანგრევას, წიგნების დაწვასა და ქრისტიანებისათვის არა მხოლოდ თანამდებობების, არამედ ყველა სამოქალაქო უფლების ჩამორთმევას მოითხოვდა.

ბრძანების გამოქვეყნებას მაშინვე ნიკომედიაში აგებული ტაძრის დანგრევა მოჰყვა, დაწვეს წიგნებიც. ზოგიერთი მწერლის ცნობით, ნიკომედიაში ეკლესია აღდგომის ღამეს გადაწვეს და მასში ოციათასამდე ქრისტიანი დაიღუპა. გალერიუსისათვის ეს ცოტა იყო. მან ნიკომედიაში სასახლის გადაწვა ბრძანა, რათა შემდეგ ეს ქრისტიანებისათვის დაებრალებინა და მათი ამოწყვეტის მიზეზი მისცემოდა. პირველ ბრძანებას სწრაფად მოჰყვა მომდევნო ბრძანებაც: ქრისტიანების „მოსაქცევად“ ყველა ზომა გამოეყენებინათ, ხოლო ურჩნი დაესაჯათ. როცა ეს ბრძანება ნიკომედიაში სვეტზე გააკრეს, იგი ერთმა ქრისტიანმა ჩამოხია, რომელიც მაშინვე შეიპყრეს და დასაჯეს. ეს გახდა დასაწყისი მრავალრიცხოვანი ქრისტიანის დასჯისა, რომელსაც თითქოს ბოლო არ უჩანდა. წამებულთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი ახალგაზრდა კაპადოკიელი მხედარი გიორგი იყო, რომელიც დიოკლეტიანეს ძალიან უყვარდა. წმ. დიდმოწამე გიორგი საქართველოში ძველთაგანვე განსაკუთრებული

პოპულარობით სარგებლობდა და მისი ცხოვრებაც ყველამ იცოდა. ამიტომ მისი წამების აღწერას აქ აღარ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ წმ. გიორგი ქართველმა ხალხმა არა ერთ კონკრეტულ გველეშაპთან, არამედ საერთოდ, ბოროტებასთან მებრძოლ წმინდანად გაიაზრა და იმ ურიცხვ მტერთან ბრძოლაში, რომელთა მოგერიებაც სულიერი და ფიზიკური არსებობის გადასარჩენად საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა, თავის წინამძღოლად აღიარა. შეიძლება იმ გამორჩეული სიყვარულის მიზეზი, რომლითაც დიდმოწამე გიორგი საქართველოში უყვარდათ, მისი წარმოშობაც – კაპადოკიელობაც იყოს, რადგან როგორც ამას თავად ბიზანტიელი ისტორიკოსები აღიარებდნენ, კაპადოკიის მკვიდრ მოსახლეობას ძველთაგანვე მესხები წარმოადგენდნენ.

წმ. გიორგის მაგალითით გამხნევებულმა დიოკლეტიანეს მეუღლემ, დედოფალმა ალექსანდრამ, გაბედულად აღიარა, რომ ქრისტიანი იყო, რისთვისაც სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ მან სული უფალს მანამდე მიაბარა, ვიდრე მახვილი შეეხებოდა. მახვილით განგმირეს ნიკომედიის მოხუცი ეპისკოპოსი ანთიმოზი. იმპერიის დასავლეთ ნაწილში მაქსიმიანესა და აღმოსავლეთში გალერიუსის მონდომებით წამებულთა რიცხვი იტალიაში, აფრიკაში, ეგვიპტეში, სირიაში, პალესტინაში, თებაიდასა და მცირე აზიაში უზარმაზარი იყო. შედარებით სიმშვიდე სუფევდა იქ, სადაც კონსტანციუს ქლორუსის მმართველობა ვრცელდებოდა, სახელდობრ, გალიასა და ბრიტანიაში. მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, კონსტანციუსი სრულუფლებიანი ხელისუფალი არ ყოფილა, იგი მაქსიმიანეს ემორჩილებოდა, ამიტომ მხოლოდ მეფის ბრძანების შემსუბუქებას ახერხებდა, რადგან ბუნებით მშვიდი და კეთილი იყო და არც ქრისტიანები სძულდა.

ამ დევნისას მანამდე არნახული ბრძოლა გამოუცხადეს ქრისტიანულ ლიტერატურას, როგორც ქრისტიანთა სულიერ საზრდოს. მორწმუნეებს წამების შიშით აიძულებდნენ ეთქვათ, სად ინახებოდა წიგნები, მაგრამ ბევრმა მათგანმა საიდუმლოს გაცემასა და წიგნების განადგურებას სიკვდილი ამჯობინა.

ამ დროს იმპერიის რამდენიმე ოლქი შფოთმა მოიცვა. მეფის ხელისუფლებისაკენ მსწრაფველთა რიცხვი დიდი აღმოჩნდა. სხვა-

დასხვა მხარეში ოცდაათამდე თვითმარქვია იმპერატორი გამოცხადდა. პოლიტიკურ შფოთსა და არეულობაში ქრისტიანები, როგორც წესი, არასოდეს მონაწილეობდნენ, მაგრამ მტრებმა კიდევ ერთი საბაბი იპოვეს ცილისწამებისა და მათი დევნის გამკაცრებისათვის. გამოიცა კიდევ უფრო სასტიკი ბრძანება, რასაც შედეგად მოჰყვა ციხეებისა და საპყრობილეების გავსება ეპისკოპოსებით, ხუცესებით, დიაკვნებითა და მედავითნეებით, ასე რომ, ნამდვილი დამნაშავეებისთვის ადგილი აღარ იყო. ჭეშმარიტების შეგნებულსა და შეუგნებელ მტრებს ფანტაზია აღარ ჰყოფნიდათ ქრისტიანთა წამების ახალ-ახალი ხერხების გამოგონებისათვის: სასიკვდილოდ სცემდნენ შოლტებით, რკინის ჭანგებით ფლეთდნენ, ცოცხლად წვავდნენ, ჯვარზე აკრავდნენ, შიმშილით ხოცავდნენ... ეგვიპტეში ერთ თვეში 17 ათასამდე ქრისტიანი დაიღუპა, მაგრამ ეკლესია ცოცხლობდა და მოღვაწეობას აგრძელებდა, რადგან, როგორც ერთი ეგვიპტელი ეპისკოპოსი ფილევსი წერდა, სრულყოფილი სიყვარული შიშს აძევებს.[63]

უსაფრთხო თავშესაფარს დევნილები ველარც თებაიდის უდაბნოში პოულობდნენ. მდევნელები იქაც აღწევდნენ და ქრისტიანებს უმოწყალოდ ხოცავდნენ. ევსევის თქმით, თებაიდაში საშინელი დევნა გაჩაღდა. ზოგიერთ ქალაქში დღეში რამდენიმე ათეული ქრისტიანი იღუპებოდა, ხანდახან მათი რიცხვი ასამდეც აღწევდა. საწამებელი და დასასჯელი იარაღები დაბლაგვდნენ და ბრძანების შესრულებას ველარც ჯალათები აუდიოდნენ.[64] თვითონ ევსევი კესარიელი საპყრობილეში ჩააგდეს, მაგრამ თავისთავზე თითქმის არაფერს ამბობს. შემდეგში გავრცელდა ხმა, რომ სიცოცხლის შესანარჩუნებლად იგი დათანხმდა მსხვერპლი შეეწირა კერპებისათვის. გააფთრებულმა დევნამ უკურეაქცია გამოიწვია, სარწმუნოებისათვის სიცოცხლის შეწირვის მსურველთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ იძულებულნი გახდნენ სამწყსოსათვის განემარტათ – სიკვდილის შეგნებულად ძიება ღმრთის წინაშე ცოდვას წარმოადგენს.

ხშირად უფალი ხილული სასწაულებით ეწეოდა წმინდა მოწა-

[63] **Евсевий Памфил, VIII, 10.**

[64] იქვე, VIII, 9.

მეებს. ევსევი მოგვითხრობს, როგორ ნახა ფინიკიის ქალაქ ტვიროსში წამებულნი, რომლებიც მხეცებს შეუგდეს, მაგრამ ისინი მათ ახლოსაც არ გაეკარნენ. შემდეგ ხუთი უიარაღო ქრისტიანი არენაზე გაიყვანეს, მხეცები ცეცხლში გავარვარებული რკინის წკეპლებით წინასწარ გააღიზიანეს და გალიებიდან ისე გამოუშვეს. ისინი არენაზე მართლაც გააფთრებულნი გამოვარდნენ, მაგრამ ჯერ უხილავი ძალით გაჩერდნენ, ხოლო შემდეგ ქრისტიანებს მშვიდად გაშორდნენ. ქრისტიანთა შორის იყო ახალგაზრდაც, რომელმაც თვით ყველაზე საშინელ წუთებშიც კი სიმშვიდე შეინარჩუნა და არენაზე გულზე ხელებდაკრეფილი უმოძრაოდ დარჩა. ბოლოს იძულებულნი გახდნენ ხუთივე წამებული, რომლებიც ავაზებმა და დათვებმა დაინდეს, მახვილებით განეგმირათ და მათი გვამები ზღვაში გადაყარეს.[65] რომში თავად იმპერატორი დიოკლეტიანე ჩავიდა, რათა თავისი მეფობის ოცი წლისთავი დედაქალაქში ეზეიმა. ამ პერიოდში წამებულთა რიცხვი არნახულად გაიზარდა. რომის ეპისკოპოსი მარკელინე წამებით მოკლეს. ამ დროს აწამეს, აგრეთვე, ახალგაზრდა მეომარი, სასახლის მცველთაგანი სებასტიანე. ქრისტიანების მოსანახულებლად და გასამხნევებლად იგი საპყრობილეში დადიოდა. ასე გაამხნევა მან ორი ძმა, რომელთაც მშობლებისა და ცოლების ცრემლებს ვეღარ გაუძლეს და მზად იყვნენ რწმენა უარეყოთ. მაშინ თვითონ სებასტიანე შეიპყრეს, ჯერ ისრებით დაცხრილეს, ხოლო შემდეგ სასიკვდილოდ სცემეს ჯოხებით.

არსებობს ძველი გადმოცემა კომედიანტი გენესის სასწაულებრივ მოქცევაზე. იგი ქრისტიანებს დასცინოდა და მეფის გასართობად ქრისტიანული ღმრთისმსახურების საიდუმლოებებს სცენაზე კარიკატურულად წარმოადგენდა. მისი მსახიობური ოსტატობით მოხიბლული მაყურებელი ხარხარებდა. ერთ-ერთი ამგვარი წარმოდგენისას, უცებ მის გულს ზეციური მადლი შეეხო და წამოიყვირა: „მე მწამს და მინდა მოვინათლო“. მაყურებელს ესეც დაცინვა ეგონა და სიცილს განაგრძობდა, მაგრამ მოულოდნელად გენესმა განაცხადა, რომ სრულიადაც არ ხუმრობდა და მონათვლა მართლა სურდა. კომედიანტი მეფეს მიჰგვარეს, მაგრამ მას არ შეშინებია

[65] იქვე, VIII, 7.

და გაბედულად აღიარა, რომ ქრისტე სწამდა. მის სულში ამგვარი გარდატეხა ხილვამ გამოიწვია. გენესმა განაცხადა, რომ როცა საიდუმლოებებს დასცინოდა, ანგელოზი იხილა. იგი სანათლავ წყალში ბანდა წიგნს, რომელშიც მსახიობის ყველა ცოდვა იყო ჩაწერილი. რადგან ვერც შეგონებებმა, ვერც მუქარამ და ვერც წამებამ ვერ გაჭრა, გენესი სიკვდილით დასაჯეს.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ წმ. ანასტასია, მდიდარი და ცნობილი ოჯახის შვილი, რომელიც ფარული ქრისტიანი იყო. მშობლებმა იგი წარმართს მიათხოვეს. უხეში ბუნების მქონე ქმარი მეუღლეს ცუდად ექცეოდა, მაგრამ ანასტასია საკუთარ გასაჭირს ივიწყებდა, როცა ხედავდა, რომ სხვების შველა შეეძლო. თავის უბედურებას იგი სხვებზე ზრუნვით იმსუბუქებდა, ეხმარებოდა ღატაკებს, დადიოდა ავადმყოფებთან, ნახულობდა პატიმრებს, რომელთაც თავისი თანაგრძნობით ანუგეშებდა და ქრისტეს მოძღვრების შეხსენებით ამხნევებდა. როცა დაქვრივდა, მთელი თავისი ქონება და საკუთარი თავიც მთლიანად მოყვასზე ზრუნვას მიუძღვნა. შორეულ ქვეყნებშიც კი მოგზაურობდა და გაჭირვებული ძმებისა და დებისთვის გაწეული შემწეობით ქრისტეს ემსახურებოდა. საბერძნეთში ყოფნისას იგი ახალგაზრდა ქვრივს, თეოდოტიას დაუახლოვდა, რომელიც მისი თანამოღვაწე გახდა. დევნის პერიოდში ისინი შეიპყრეს და რადგანაც სარწმუნოების უარყოფაზე მტკიცე უარი განაცხადეს, წამებით მოკლეს. წმ. ანასტასიას სახელს უკავშირდება სამი ქალწული: ქიონია, აგაპე და ირინე, რომლებიც წამებით სიკვდილისათვის მან მოამზადა.

კართაგენში სამსჯავროზე 49 ქრისტიანი მიიყვანეს, რომელნიც მახლობელ ქალაქში შეიპყრეს საზოგადო ღმრთისმსახურებაში მონაწილეობისათვის. მათ შორის სხვადასხვა წოდებისა და ასაკის ადამიანები იყვნენ: იყო მღვდელი თავისი ოთხი შვილით, სამართლიანობითა და პატიოსნებით ცნობილი მხედარი, ყმაწვილი ქალები.... როცა მათ მსაჯულმა მოსთხოვა დაესახელებინათ, სად ინახებოდა წმინდა წერილი, ზოგიერთებმა უპასუხეს, რომ იგი მათ გულებში იყო. და თუ შეძლებდნენ, ამოეგლიჯათ. არცერთ მათგანს არ უარუყვია, რომ ღმრთის მსახურებას ესწრებოდა და კვირას – ქრისტეს აღდგომის დღეს დღესასწაულობდა, მათ შო-

რის არც მღვდელი სატურნინის მცირეწლოვან შვილსაც. ორმოცდაცხრა ქრისტიანიდან ყველა წამებით აღესრულა, რადგან ქრისტიანის ძვირფასი სახელის დათმობა არცერთმა არ მოისურვა.

სიცილიაში დიაკვანი ევპლოსი სახარების კითხვისას შეიპყრეს. გუბერნატორმა სთხოვა წაეკითხა რამე ამ წიგნიდან; მან იგი გადაშალა და წაიკითხა: „ნეტარ არიან დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“. ევპლოსმა წამებას მამაცურად გაუძლო, ხოლო, როცა ღმერთებისათვის მსხვერპლშეწირვა კიდევ ერთხელ შესთავაზეს, უპასუხა, რომ თავისთავს შესწირავდა მსხვერპლად ქრისტეს. იგი კიდევ დიდხანს აწამეს და ბოლოს თავი მოჰკვეთეს.

საბერძნეთში ამ პერიოდის წამებულთაგან განსაკუთრებით ცნობილია ირაკლეონის მოხუცი ეპისკოპოსი ფილიპე, რომელიც ხუცესსა და დიაკვანთან ერთად დასაჯეს და ჭაბუკი მეომარი წმ. დიმიტრი, რომელიც სოლუნში ანუ თესალონიკში აწამეს.

მცირე აზიის მხარეებში წამებულ ქრისტიანთა სისხლი ღვარებად დიოდა. მათგან გავიხსენებთ თეოდოტე ანკვირელს, რომელმაც თავისი სასტუმრო ქრისტიანთა თავშესაფრად აქცია. ღმრთისმსახურებაც მის სახლში სრულდებოდა ფარულად. თეოდოტე არც წამებულთა გვამების დამარხვას უშინდებოდა, რაც სასტიკად აკრძალული იყო. მან ამოიღო ტბიდან შვიდი წამებული ქალწულის გვამი, მიწას მიაბარა და თვითონაც გახდა ღირსი მოწამეობრივი აღსასრულისა.

ბევრი წამებულის სახელი ჩვენთვის უცნობი დარჩა. ფრიგიაში მთელი ქალაქი გადაწვეს, რომელშიც მრავალი ქრისტიანი ცხოვრობდა. მართალია, მეორე საუკუნიდან დგებოდა სიები, ე.წ. დიპტიხები (მოსახსენებლები), რომლებშიც რწმენისათვის წამებულთა სახელები შეჰქონდათ, მაგრამ მათი დიდი ნაწილი სხვა წიგნებთან ერთად დაწვეს, თუმცა ქრისტიანები მათ დაცვასა და შენახვას სიცოცხლის ფასად ცდილობდნენ. ვინც წარმართებს საეკლესიო წიგნების ადგილ-სამყოფელს აცნობებდა, მოღალატედ ცხადდებოდა და ეკლესიიდან განიკვეთებოდა. ერთმა აფრიკელმა ეპისკოპოსმა, რომელსაც წიგნების გაცემა აიძულეს, მათ სხვა წიგნები მისცა, რომელიც მაშინვე დაწვეს. მაგრამ ეპისკოპოსის

საქციელმა ქრისტიანული საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია, რადგან თვლიდა, რომ ეპისკოპოსისათვის უმჯობესი იყო მომკვდარიყო, ვიდრე მინდობილი საუნჯე სიცრუით გადაერჩინა.

ამ დროისათვის ქრისტიანთა რიცხვი ისე გაიზარდა, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ არა თუ წინააღმდეგობა გაეწიათ მდევნელებისათვის, არამედ რომის დასუსტებული იმპერია დაემხოთ კიდეც, მაგრამ ძალადობაზე ძალადობით პასუხის გაცემა მათთვის სრულიად მიუღებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ღირსნი არ იქნებოდნენ ქრისტიანის სახელის ტარებისა. მათი სიძლიერის წყაროს წარმოადგენდა სრული მორჩილება ღმრთისა, რომელიც მათ ყოველგვარი ტანჯვის ასატანად ძალას აძლევდა. ისინი სიცოცხლესაც კი წინააღმდეგობის გაწევისა და ჩივილის გარეშე სწირავდნენ. ქრისტიანების ძალა მათ ზნეობრივ უპირატესობასა და ჭეშმარიტების წმინდა სამსახურში მდგომარეობდა, რომელსაც ბოლოს აუცილებლად უნდა ეზეიმა. მაგრამ, როგორც ჩანს, წარმართებმა კიდევ დიდხანს ვერ შეიცნეს დაუმარცხებელი ძლიერება ქრისტიანული სარწმუნოებისა. დევნის რამდენიმე წლის შემდეგ, დიოკლეტიანემ, რომელიც ქრისტიანებზე გამარჯვებას ზეიმობდა, მათი განადგურების მოსახსენებლად მედლის გამოჭედვა და ესპანეთში ორი სვეტის აღმართვა ბრძანა წარწერით: „დიოკლეტიანეს, იოვიანესა და მაქსიმიანე ჰერკულესს – აღმოსავლეთსა და დასავლეთში რომის იმპერიის განვრცობისა და სახელმწიფოს მტრების – ქრისტიანების სახსენებლის განადგურებისათვის“. და ეს მაშინ, როცა ქრისტიანული რელიგია არა თუ დამარცხებული იყო, არამედ ახალ ძალებს თითქოს თვით დევნიდან იღებდა და სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა.

ამასობაში სახელმწიფოს მმართველობაში ცვლილება მზადდებოდა, რომელმაც გავლენა ქრისტიანთა ხვედრზეც მოახდინა. 305 წელს დიოკლეტიანემ და მაქსიმიანემ უარი თქვეს ტახტზე; აღმოსავლეთის იმპერატორი გალერიუსი გახდა, ხოლო დასავლეთისა – კონსტანციუს ქლორუსი. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ დასავლეთში, სადაც დევნა იმის გამო, რომ კონსტანციუს ქლორუსი ქრისტიანების მიმართ თანაგრძნობით იყო განწყობილი, ისედაც სუსტი იყო, სულ შეწყდა. როგორც გადმოგვცემენ,

ერთხელ თავისი კარისკაცების გამოცდის მიზნით, გამოუცხადა მათ, რომ ქრისტიანებს თავის კარზე ვეღარ შეინახავდა და რწმენის უარყოფა მოსთხოვა. ზოგიერთმა მათგანმა თანამდებობის შესანარჩუნებლად მაცხოვარი მართლაც უარყო, მაგრამ დიდმა ნაწილმა სარწმუნოების დათმობას სამსახურის დატოვება ამჯობინა. კონსტანციუსმა სამსახურში სწორედ ესენი დატოვა, ხოლო რწმენის უარმყოფელნი თანამდებობიდან გაათავისუფლა და განუცხადა, რომ მსახურებს, რომელნიც ღმრთის ერთგულნი არ აღმოჩნდნენ, ვერ დაეყრდნობოდა.

ქრისტიანთა დევნა თითქოს აღმოსავლეთშიც შესუსტდა. მმართველებმა და მსაჯულებმა გამოაცხადეს, რომ გალერიუსმა და მისმა თანაშემწემ გულმოწყალება გამოიჩინეს და სიკვდილის განაჩენი გადასახლებით შეცვალეს. ამიერიდან ქრისტიანებს სამუშაოდ საბადოებში აგზავნიდნენ, ოღონდ ჯერ მარჯვენა თვალს ამოუწვავდნენ და ფეხზე ძარღვს უჭრიდნენ. სხეულის ამგვარი საშინელი დამახინჯებაც კი წყალობად ითვლებოდა, იმასთან შედარებით, რაც ქრისტიანებმა უკანასკნელი დევნისას განიცადეს.[66] მაგრამ გალერიუსსა და მის თანაშემწე კესაროს მაქსიმეს, ქრისტიანების ენითუთქმელი სიძულვილის გამო, ცხადია, ამგვარი მდგომარეობა დიდხანს ვერ დააკმაყოფილებდა – მათ დევნა განაახლეს, რომელიც რამდენიმე წელს მძვინვარებდა. წამებულის გვირგვინები დაიდგეს ეკლესიის ყველაზე პატივსაცემმა წინამძღვრებმა. ალექსანდრიაში მოწამეობრივად აღესრულა ტმუითის ეპისკოპოსი ფილევსი, რომელიც მანამდე დიდხანს საპყრობილეში ჰყავდათ.[67] მას ყველა განსაკუთრებულ პატივს სცემდა სიბრძნისა და ქველმოქმედებისთვის. იგი მდიდარი იყო და თავის ქონებას ღატაკთა შემწეობას ახმარდა. ქალაქის თავი დიდხანს ცდილობდა ფილევსი ღმერთებისათვის მსხვერპლშეწირვაზე დაეთანხმებინა, მაგრამ ამაოდ. მისთვის სრულიად გაუგებარი იყო, ასეთი მდიდარი კაცი სიცოცხლეს რისთვის სწირავდა. „შენ რომ ღარიბი ყოფილიყავი და ამ სიგიჟემდე მისულიყავი, არ გაგიფრთხილდებოდი, – ეუბნებოდა ის ეპისკოპოსს, – მაგრამ შენ ხომ ისე მდიდარი ხარ,

[66] **Евсевий Памфил, VIII, 10.**

[67] იქვე, VIII, 12.

რომ მთელი ოლქის გამოკვება შეგიძლია; გაუფრთხილდი შენს თავს და მსხვერპლი შესწირე“.

– არ შევწირავ და თავს ამით გავუფრთხილდები, – უპასუხა ეპისკოპოსმა.

– შენს საბრალო ცოლს შეხედე და თავს მისი გულისთვის მაინც გაუფრთხილდი.

– ვინც მე მისი დიდების მემკვიდრედ მომიწოდა, ხელეწიფება მასაც მოუწოდოს, – მიუგო ფილევსმა.

დაკითხვას ეპისკოპოსის მეგობარი ფილორომიც ესწრებოდა, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი დიდი მოხელე იყო და იქ მყოფთ ეუბნებოდა: „რისთვის გინდათ, რომ იგი ღმრთის ურწმუნო გახადოთ? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ თქვენი სიტყვები არც კი ესმის, არამედ მისი გონება მთლიანად მომავალ დიდებაზე ფიქრითაა მოცული?“ მაშინ ფილორომიც შეიპყრეს და ფილევსთან ერთად სიკვდილით დასაჯეს.

ალექსანდრიის ეპისკოპოსი წმ. პეტრე არა მხოლოდ თავის სამწყსოს, არამედ მთელი ეგვიპტის, თებაიდისა და ლიბიის მორწმუნეებს ამხნევებდა, სადაც დევნას განსაკუთრებით სასტიკი ხასიათი ჰქონდა. ზოგიერთებმა ვერ გაუძლეს და წამების შიშით სარწმუნოება უარყვეს. მაშინ წმ. პეტრემ გამოსცა მონანიების წესები, რომლითაც ეკლესია დიდხანს ხელმძღვანელობდა.

ამ დროს ეკლესიაში სხვა სახის შფოთიც წარმოიშვა. ლიკეპოლისის ეპისკოპოსი მელეტი, რომელმაც დევნისას სარწმუნოება უარყო, ალექსანდრიაში ჩავიდა და პეტრეს მიერ გამოცემული მონანიების წესების წინააღმდეგ ქადაგებდა, რომელსაც დაცემულთა მიმართ მეტისმეტად შემწნყარებლურად თვლიდა. უკანონოდ მიიტაცა რა ძალაუფლება, იგი ხელთ ასხამდა ხუცესებს.

მელეტის მიმდევრებიც გამოუჩნდნენ, რომელთა შორის შემდეგში ასე ცნობილი არიოზიც იყო. ეპისკოპოსი ფილევსი საპყრობილიდან ამხელდა მელეტის, ხოლო პეტრემ კრება მოიწვია, რომელმაც იგი განსაჯა და ხარისხი აჰყარა, მაგრამ ეკლესიაში მღელვარების შეტანას ამის შემდეგაც ახერხებდა. წმ. პეტრე სამ ხუცესთან ერთად 311 წელს მოწამეობრივად აღესრულა.

მრავალი ქრისტიანი სიკვდილზე ნებაყოფლობით მიდიოდა.

პალესტინის კესარიაში ჭაბუკი ამფიანე პრეფექტთან, რომელიც ღმერთების თაყვანისაცემ რიტუალს აღასრულებდა, მივიდა, ხელი გაუჩერა და კერპთაყვანისმცემლობის ამაოებაზე დაუწყო საუბარი. ყმაწვილი მაშინვე შეიპყრეს, მრავალფეროვანი ხერხებით აწამეს და ცოცხალ-მკვდარი ზღვაში გადააგდეს. მალე სიკვდილით მისი ძმა ედესიოსიც დასაჯეს. იგი განსწავლული ადამიანი იყო, რომელმაც ბევრი რამ დაითმინა სარწმუნოებისათვის, დიდხანს იტანჯებოდა საპყრობილეში, მუშაობდა საბადოებზე. ალექსანდრიაში დაბრუნებულმა ნახა, რომ მსაჯული, რომელიც ქრისტიანის დაკითხვას აწარმოებდა, მას ძალიან ცუდად ეპყრობოდა. ედესიოსმა თავი ვერ შეიკავა და მსაჯულს უსაყვედურა. იგი მაშინვე შეიპყრეს და წამების შემდეგ ზღვაში დაახრჩვეს.

ქრისტიანებს კაცის მკვლელებზე უფრო მკაცრად სდევნიდნენ და სჯიდნენ. მაქსიმიანე თავის დაბადების დღეს პალესტინის კესარიაში შეხვდა და ქალაქის მოსახლეობისათვის დიდი სანახაობის მოწყობა განიზრახა. ცირკში ხალხის გასართობად ბევრმა გლადიატორმა იბრძოლა. ბოლოს არენაზე ქრისტიანი აგანიოსი და ვიღაც წარმართი მონა გამოიყვანეს, რომელსაც ბატონის მოკვლისათვის სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. მაქსიმიანემ მოისურვა ქვეშევრდომთა წინაშე თავი მოწყალე მმართველად წარმოედგინა, რისთვისაც მკვლელ მონას დანაშაული აპატია და სიცოცხლე აჩუქა. იგი შეწყალებას შეჰპირდა ქრისტიანსაც იმ შემთხვევაში, თუ სარწმუნოებას უარყოფდა. აგანიოსმა შეკრებილი ხალხის წინაშე ხმამაღლა განაცხადა, რომ მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთის რწმენისათვის ისჯებოდა და მშვიდად დაელოდა დათვს, რომელიც მის დასაგლეჯად არენაზე გამოუშვეს. ადამიანები მხეცზე უფრო სასტიკები აღმოჩნდნენ, დათვი აგანიოსს ახლოსაც არ გაეკარა. მეორე დღეს იგი ზღვაში გადააგდეს.

პალესტინის კესარიის ეკლესიის ხუცესი წმ. პამფილე განთქმული სწავლული იყო. განსაკუთრებით ბევრს წმ. წერილის განმარტებაზე მუშაობდა და მრავალი თხზულებაც დაგვიტოვა. მან დიდი ღვაწლი დასდო სეპტუაგინტისა და ახალი აღთქმის ტექსტების გასწორებას, რომელსაც გადამწერები ხან უნებლიედ და ხანაც შეგნებულად ამახინჯებდნენ. რაც გააჩნდა, ყველაფერს ღარი-

ბებს უყოფდა. განსაკუთრებით წმ. წერილის წიგნების გავრცელებაზე ზრუნავდა, მათ პირებს აკეთებდა და შემდეგ მორწმუნეებს ურიგებდა. მის მოწაფეთაგან ერთ-ერთი ისტორიკოსი ევსევი იყო. „ეკლესიის ისტორიაში“ იგი ბევრს ლაპარაკობს თავის მასწავლებელზე, რომლის სიყვარულითაც თავის სახელს მისი სახელიც მიუმატა და ევსევი პამფილედ იწოდებოდა. პალესტინის პრეფექტმა ყველა ღონე იხმარა, რათა პამფილეს სარწმუნოება უარეყო, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იგი რკინის ჭანგებით აწამეს და ცოცხალმკვდარი საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც ორი წელი დაჰყო. მასთან ხუთი ეგვიპტელი ქრისტიანი შეაგდეს, რომელნიც კილიკიიდან ბრუნდებოდნენ, სადაც საბადოებზე გაგზავნილი მეგობრები მიაცილეს. დაკითხვისას ერთ-ერთმა მათგანმა კითხვაზე, საიდან იყო, იერუსალიმი დაასახელა. ეს სახელი იმპერიაში წარმართებს დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდათ (იმპერატორი ადრიანეს დროიდან იერუსალიმს ელია ეწოდებოდა და წარმართებიც ამ სახელით იცნობდნენ მას). როცა გაოცებულმა გუბერნატორმა ჰკითხა, სად მდებარეობდა ეს ქალაქი და ვინ იყვნენ მისი მცხოვრებნი, პასუხად მიიღო, რომ ამ ქალაქის მოქალაქეობის უფლება მხოლოდ ქრისტიანებს ჰქონდათ და რომ იგი აღმოსავლეთში იდგა და მზის პირველი სხივებით იყო ნაკურთხი. რამდენადაც წამებული ზეციურ იერუსალიმს გულისხმობდა, ამ პასუხის გაგება მხოლოდ ქრისტიანებს შეეძლოთ. გუბერნატორმა კი, რომელმაც ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო, წარმოიდგინა, რომ ქრისტიანები აღმოსავლეთში ახალ ქალაქს იშენებდნენ, რათა დევნის დროს თავი მისთვის შეეფარებინათ. ამიტომ ამ ახალ ქალაქზე ცნობების მისაღებად მან ქრისტიანი დიდხანს აწამა, ხოლო ბოლოს მისთვის თავის მოკვეთა ბრძანა. სიკვდილით დასაჯეს დანარჩენებიც. მაშინ პამფილეს მსახურმა და მისმა გაზრდილმა პორფირიოსმა, წამებულთა გვამების დამარხვის ნებართვა ითხოვა. იგი სასწრაფოდ შეიპყრეს და დაკითხეს. პორფირიოსს არ შეშინებია და უკან არ დაუხევია, მან თავისი სარწმუნოება გაბედულად აღიარა, რისთვისაც ცოცხლად დაწვეს.

მხედარი სელევკე კი მხოლოდ იმიტომ დასაჯეს, რომ მან პორფირიოსის ამბავი პამფილეს აცნობა.

დაახლოებით ამ პერიოდში დაიღუპა მოწამეობრივად სებასტიის ეპისკოპოსი ათენოგენე. დევნის პერიოდში იგი თავის მოწაფეებთან ერთად უდაბნოში იყო. აღსასრულის წინ (მახვილით განგმირეს), მან მწუხრის ლოცვა იგალობა, რომელშიც მაცხოვრისადმი უსაზღვრო სიყვარული საოცარი მგრძნობელობით გამოხატა და რომელსაც საღამოს ღმრთისმსახურებაზე დღემდე ვისმენთ.

საბადოებზე გაგზავნილი ქრისტიანები მოყვასის სიყვარულით, თავმდაბლობითა და მოთმინების საოცარი უნარით იქაური წარმართი მოსახლეობის თანაგრძნობასა და პატივისცემას იმსახურებდნენ. ამგვარ დამოკიდებულებას ხელს ისიც უწყობდა, რომ ყოველი მათგანი საშინლად დამახინჯებული იყო. ამიტომ ქრისტიანებს ღმრთისმსახურებაზე შეკრებას არავინ უშლიდა. როცა ამის შესახებ მაქსიმიანემ შეიტყო, ღმრთისმსახურების აკრძალვა და ქრისტიანების სხვადასხვა მხარეში გაგზავნა ბრძანა. მოხუცი ქრისტიანები, რომელთაც შრომის ძალა აღარ შესწევდათ და ამის გამო საბადოებიდან გაუშვეს, ერთად ცხოვრობდნენ უდაბნოში, ისინი მთელ დროს ლოცვასა და წმინდა წერილის კითხვას ანდომებდნენ და ამ სოფლიდან გასვლის ჟამს სიხარულით ელოდებოდნენ, მაგრამ მშვიდობიანი აღსასრული არ ეწერათ. მაქსიმიანემ ისინიც გაიხსენა და მისი ბრძანებით ჯალათმა 39 მოხუცს თავი მოჰკვეთა. საბედნიეროდ ეს მსხვერპლი პალესტინაში უკანასკნელი აღმოჩნდა. მალე გამოვიდა ბრძანება ქრისტიანთა დევნის შეწყვეტის შესახებ. იმპერიის დასავლეთში იზრდებოდა და ძლიერდებოდა მომავალი იმპერატორი და ქრისტიანების მომავალი მფარველი **კონსტანტინე**.

გამეფების პირველ წელსვე, დასავლეთ რომის იმპერიის მმართველი კონსტანციუსი ავად გახდა ბრიტანეთში და თავისი ვაჟი კონსტანტინე, რომელიც აღმოსავლეთში, გალერიუსის ჯარში მსახურობდა, იხმო. გალერიუსს კონსტანტინე, რომელსაც ჯარი აღმერთებდა, არ უყვარდა, რადგან მასში მეტოქეს ხედავდა. კონსტანტინე არა მხოლოდ ჭკუითა და სიმამაცით, არამედ წარმოსადეგი გარეგნობითა და სილამაზითაც იქცევდა ყურადღებას. ჯარში მასზე მაღალი არავინ იყო, ფიზიკური ძალითაც ყველას აღემატებოდა. გალერიუსმა მისი მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ

კონსტანტინემ იმპერატორის განზრახვა დროზე შეიტყო და დასავლეთში გაიქცა. მან მამას სასიკვდილო სარეცელზე მწოლს მიუსწრო. კონსტანციუსის სიკვდილის შემდეგ ბრიტანეთში მდგარმა იმპერიის პოლკებმა კონსტანტინე იმპერატორად გამოაცხადეს, ამ დროს იგი 32 წლისა იყო. ახალმა იმპერატორმა ქრისტიანების მიმართ მამის შემწყნარებლური პოლიტიკა გააგრძელა და ბარბაროსებთან მოპოვებული გამარჯვებებით სახელი მალე გაითქვა.

გალერიუსმა დასავლეთში იმპერატორად არა კონსტანტინე, არამედ სევერუსი სცნო, რომელიც იტალიას და აფრიკას მართავდა. დასავლეთის იმპერატორად გამოცხადდა, აგრეთვე, მაქსიმიანეს ვაჟი მაქსენციუსიც. გალერიუსმა მაქსენციუსის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა, ამ უკანასკნელმა დახმარებისათვის მამას – მაქსიმიანეს მიმართა, რომელმაც დასავლეთში ხელისუფლება მცირე ხნით დაიბრუნა. დამარცხებული სევერუსი მოკლეს. მაშინ გალერიუსმა დასავლეთის მმართველად თავისი მთავარსარდალი ლიკინიუსი გამოაცხადა, ხოლო არმიამ კესაროსი – მაქსიმიანე. ასე რომ, იმპერიაში ერთდროულად ექვსი იმპერატორი მეფობდა: კონსტანტინე, გალერიუსი, მაქსიმიანე, მაქსენციუსი, ლიკინიუსი და მაქსიმინე. ცხადია, მათ ერთმანეთთან გამუდმებული შუღლი ჰქონდათ.

310 წელს გალერიუსს საშინელი სენი შეეყარა. მისი სხეული წყლულებით დაიფარა, რომლებშიც მატლები გაჩნდნენ. იმპერატორის კვნესა, აუტანელი ტკივილებით გამოწვეული, მთელ სასახლეში ისმოდა. სნეული საშველად ღმერთებსა და ექიმებს ამაოდ უხმობდა. მაშინ იგი მიხვდა, რომ ეს საშინელი სენი ქრისტიანების დაუნდობელი დევნისათვის გამოგზავნილი სასჯელი იყო. ამიტომ სწრაფად გამოსცა ბრძანება დევნის შეწყვეტის შესახებ და ქრისტიანებს ტაძრების მშენებლობისა და ღმრთისმსახურების ჩატარების უფლებაც კი მისცა, მაგრამ რადგანაც ყოველივე ეს არა გულწრფელი სინანულით, არამედ მხოლოდ შიშით გააკეთა, ღმრთისაგან შენდობა ვერ მიიღო და ჩქარა გარდაიცვალა.[68]

რაც შეეხება მაქსიმიანეს, იგი ქრისტიანების მხოლოდ დევნით როდი კმაყოფილდებოდა. რადგან მიხვდა, რომ ქრისტიანთა ფიზი-

[68] იქვე, VIII, 17.

კური განადგურებით მიზანს ვერ მიაღწევდა, გადაწყვიტა თვითონ ქრისტიანული მოძღვრებისათვის შეეტია, რომელიც ადამიანთა გულებს სიყვარულით იპყრობდა და მისთვის სახელი გაეტეხა. ამ მიზნით, მისი ბრძანებით, შეთხზეს თხზულებანი, რომელშიც იესო ქრისტეს ცხოვრებაცა და სწავლებაც დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი. შეიქმნა აგრეთვე ფსევდო პილატეს ნაყალბევი ნაწარმოებები, რომლებიც ცილისწამებებით იყო აღსავსე. ამ წიგნების გავრცელებისათვის თავად მაქსიმიანე ზრუნავდა. სკოლის მასწავლებლები ბავშვებს მათ ზეპირად სწავლას აიძულებდნენ; ყიდულობდნენ ზნედაცემულ ქალებს, რომლებიც ყვებოდნენ, რომ ადრე ქრისტიანები იყვნენ და გარყვნილება ქრისტიანთა წრეში ისწავლეს.[69] მათ ცრუ ჩვენებებს იწერდნენ და ოპერატიულად ავრცელებდნენ. მაგრამ საზოგადოებაში ისეთი მაღალზნეობრივი ადამიანებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ქრისტიანობას უშიშრად იცავდნენ. მაგალითად, ლაკტანციუსი და არინოვიუსი თავიანთ თხზულებებში ცილისწამებებს მაცხოვრის ცხოვრებისა და სწავლების მიუკერძოებელი გადმოცემით აბათილებდნენ.

გააფთრებული დევნის დროს ალექსანდრიაში ანტონი დიდი მოვიდა, რომელმაც უდაბნო იმიტომ დატოვა, რომ ქრისტიანი ძმების ხვედრი გაეზიარებინა. იგი გაბედულად იცავდა ქრისტიანებს სამსჯავროში, ლოცულობდა მათთან ერთად, აღმსარებლებსა და წამებულებს ხმამაღლა ადიდებდა. მაგრამ უფალმა არ ინება, რომ მოწამეობრივად აღსრულებულიყო და უდაბნოში დაბრუნდა, სადაც მრავალი მოწაფე ჰყავდა შემოკრებილი.

პარალელურად მაქსიმიანე კერპთაყვანისმცემლობისათვის დიდებულებისა და ბრწყინვალების მიცემას ცდილობდა. ქალაქებში ახალ ტაძრებს უშენებდა კერპებს, განსაკუთრებული ზეიმურობით აღასრულებდა წარმართულ ადათებს. ქრისტიანების დევნისათვის ხელ-ფეხი რომ კიდევ უფრო გახსნოდა, იგი ოლქებისა და ქალაქების მმართველებს სთხოვდა, თვითონაც გამოეჩინათ ინიციატივა და მისგან ქრისტიანების განდევნის ნებართვის მისაღებად. ბევრი მმართველი იმპერატორის გულის მოსაგებად მართლაც ასე მოიქცა; მეფის კეთილგანწყობის მოპოვებისათვის ხომ ყველაზე

[69] იქვე, IX, 5.

კარგი და ადვილი გზა ქრისტიანთა შეურაცხყოფა და შევიწროება იყო. ქრისტიანების განდევნა მოითხოვა ანტიოქიამ,[70] ასევე მოიქცა ქალაქი ტკროსი, სადაც მეფის მიმართვა, რომელშიც იგი ამ ქალაქის მცხოვრებთ ღმერთების ერთგულებისათვის აქებდა და მადლობას უძღვნიდა, სვეტზე გააკრეს.[71] მიმართვაში მაქსიმიანე ხაზს უსვამდა იმ კეთილ შედეგებს, რომელნიც მოსახლეობას ამ ერთგულებამ მოუტანა, კერძოდ, მშვიდობასა და მატერიალურ კეთილდღეობას. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა სურათს ვხედავთ: ქვეყანას ჯერ შიმშილი დაატყდა თავს, შემდეგ წყლული, რომელმაც მაქსიმიანეს სამფლობელო გააუკაცრიელა, წყლულს ახალი სენი – კარბუნკული მოჰყვა. რომელმაც მრავალი დააბრმავა. შიმშილით შეწუხებული ადამიანები საკუთარ შვილებს მონებად ყიდდნენ, ქუჩებში გროვებად იდგა შიმშილისა და სენისაგან დახოცილთა გვამები.[72] როგორც ყოველთვის, კაცთმოყვარეობას როგორც სნეულებთან, ასევე გარდაცვლილებთან დამოკიდებულებაში მხოლოდ ქრისტიანები იჩენდნენ და ასე აბათილებდნენ საქმით იმ ცილისწამებებს, რომელთაც იმპერატორისაგან ფულით ნაყიდი ავტორები თავიანთი ყალბი თხზულებებით ავრცელებდნენ. ქრისტიანთა თავგანწირვის შემყურე ადამიანები მათ სულიერ ძლიერებასა და სიმაღლეში რწმუნდებოდნენ; ამასობაში მაქსიმიანეს ომი მოუხდა სომხეთთან, ხოლო შემდეგ ლიკინიუსთან, რის შემდეგაც დაიღუპა კიდეც.

რაც შეეხება იმპერიის დასავლეთ ნაწილს, იქ მოვლენები ასე განვითარდა: მაქსენციუსი, მაქსიმიანეს ვაჟი, რომელიც იტალიაში მეფობდა, უკიდურესად მკაცრი და ანგარებისმოყვარე მმართველი აღმოჩნდა. შეწუხებული ქვეშევრდომები მისი მძიმე უღლიდან თავის დახსნის გზას ეძებდნენ. 312 წელს რომს, სადაც მაქსენციუსი იყო გამაგრებული, ჯარით კონსტანტინე მოადგა. მაქსენციუსის ძალები კონსტანტინეს ძალებს ბევრად აღემატებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს, რომელიც თვითონაც გრძნობდა, რომ დახმარებას ზეციდან საჭიროებდა, ღმერთი შეეწია. ამ დროისათვის, მართა-

[70] იქვე, IX, 2.
[71] იქვე, IX, 7.
[72] იქვე, IX, 8.

ლია, კონსტანტინეს ღმერთების რწმენა უკვე დაკარგული ჰქონდა, მაგრამ არც ქრისტიანი იყო. უფალმა იგი გამოარჩია და სასწაული მოუვლინა: როცა მზე დასავლეთისაკენ მიიდრიკა, კონსტანტინემ ზეცაზე ელვარე ჯვარი იხილა, რომელზეც ეწერა: „ამით სძლიე“. ეს სურათი ლაშქარმაც იხილა და შეშფოთდა, რადგან ჯვარი, როგორც სამარცხვინო სასჯელის იარაღი, ცუდ ნიშნად ითვლებოდა. ღამით იმპერატორს თავად ქრისტე გამოეცხადა და ჯვრის ფორმის დროშის შექმნა და მეომართა ფარებსა და მუზარადებზე ჯვრის გამოსახვა უბრძანა.[73] კონსტანტინემ მართლაც ბრძანა ამგვარი დროშის შექმნა, რომელსაც თავზე ძვირფასი თვლებისაგან შექმნილი გვირგვინი ჰქონდა ქრისტეს სახელის მონოგრამით. აქედან მოყოლებული, მეფეს ეს ბაირაღი, რომელსაც ლაბარუმი ეწოდებოდა, ყველა ლაშქრობაში თან დაჰქონდა. ამავე დროს მან დაიბარა ქრისტიანები, რომლებიც მის ჯარში მსახურობდნენ და გამოჰკითხა, რას ნიშნავდა ჩვენება, რომელიც იხილა. ქრისტიანებმა აუხსნეს, ვინ იყო ქრისტე, რისთვის მოვიდა სამყაროში და განუმარტეს, რომ ჯვარი სიკვდილზე გამარჯვებისა და უკვდავების სიმბოლო იყო. როცა მათ მოუსმინა, კონსტანტინემ წმინდა წერილის შესწავლა გადაწყვიტა.

ამ დროშით დაამარცხა მან მაქსენციუსის ჯარი (თვითონ მაქსენციუსი, რომელსაც გაქცევა უნდოდა, ტიბრში დაიხრჩო) და რომში ზეიმით შევიდა. გამარჯვებულმა იმპერატორმა ბაირაღი ქალაქის შუაგულში აღამართვინა, ხოლო შემდეგ, როცა მისი ქანდაკების დადგმა გადაწყვიტეს, ბრძანა, ხელში ჯვრის მსგავსი შუბი მიეცათ, რომელზეც ამოკვეთილი იქნებოდა წარწერა: „ამ მხსნელი ნიშნით ვიხსენი და განვათავისუფლე თქვენი ქალაქი და ვიხსენი იგი ტირანის ჩაგვრისაგან“.[74]

რამდენიმე თვის შემდეგ კონსტანტინემ, რომელიც მილანში თავისი დის ლიკინიუსზე დაქორწინებას ზეიმობდა, დაითანხმა სიძე ხელი მოეწერა ბრძანებაზე, რომლითაც ქრისტიანებს ნება ეძლეოდათ თავიანთი რწმენა ჰქონოდათ და ჩამორთმეული ქონება უბრუნდებოდათ. ლიკინიუსმა, მიუხედავად იმისა, რომ კონსტან-

[73] **Сократ Схоластик, Церковная история, М., 1996, I, 2.**

[74] **Евсевий Памфил, IX, 9.**

ტინეს პოზიციას არ იზიარებდა, წინაღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა. ბრძანება ხელმოსაწერად მაქსიმიანესაც გაუგზავნეს, მაგრამ მან უარი განაცხადა და ქრისტიანთა დევნა გააგრძელა, თუმცა მისი ხელისუფლება უკვე ემხობოდა. 313 წელს ერთპიროვნული ძალაუფლების მოპოვებისათვის ის და ლიკინიუსი ერთმანეთს შეებრძოლნენ. მაქსიმიანე დამარცხდა. მან ქურუმები და მკითხავები, რომლებიც გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, დასაჯა და ქრისტიანთა დევნის შეწყვეტა ბრძანა. დამარცხებული იმპერატორი ტაძარში ჩაიკეტა და ბრძანება ახლა უკვე იმის თაობაზე გამოსცა, რომ ქრისტიანებს თავიანთი რწმენის აღიარება თავისუფლად შეეძლოთ, მაგრამ უფალმა სასტიკი მდევნელი, რომელმაც მრავალი მორწმუნის სიცოცხლე შეიწირა, არ შეიწყალა. მტრებით გარშემორტყმული იმპერატორი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ზოგი ფიქრობს, რომ საშინელი სენი, რომლითაც დაავადდა, საწამლავმა გამოიწვია, რომელიც იმ მიზნით დალია, რომ მტრებს ხელში ცოცხალი არ ჩავარდნოდა. შიგნეულს გაუნელებელი ცეცხლი უწვავდა, აუტანელი ტკივილებისაგან თვალები გადმოუცვივდა.[75] მომაკვდავმა წარმოიდგინა, რომ უკვე უფლის სამსჯავროს წინაშე იდგა და წამოიყვირა: „არა მე, არა მე, არამედ ამას სხვები აკეთებდნენ“. მაქსიმიანე 313 წელს გარდაიცვალა. მისი შვილები – გალერიუსი და სევერუსი ლიკინიუსმა სიკვდილით დასაჯა.

რაც შეეხება დიოკლეტიანეს, იგი ამ ამბებამდე ერთი წლით ადრე მოკვდა. მისი ცოლი და ქალიშვილი ლიკინიუსის ხელში აღმოჩნდნენ, რომელიც მათ სასტიკად ეპყრობოდა, ხოლო შემდეგ სიკვდილითაც დასაჯა. თვითონ გადამდგარი იმპერატორი მძიმე სნეულებით ხანგრძლივად იტანჯებოდა. კონსტანტინეს გამარჯვებამ გული საბოლოოდ გაუტეხა; ზოგიერთი მწერლის მტკიცებით, მან თავი შიმშილით მოიკლა.

313 წელს იმპერიის დასავლეთს კონსტანტინე განაგებდა, ხოლო აღმოსავლეთს – ლიკინიუსი.

---

[75] იქვე, IX, 16.



კონსტანტინე დიდი და პირველი მსოფლიო კრება

ქრისტიანთა მფარველი იმპერატორი კონსტანტინე ჯერჯერობით ისევ მოუნათლავი რჩებოდა, მაგრამ არა იმ მიზეზით, რომ ყოყმანობდა. მას სურდა წმინდა ნათლისღება შეგნებულად მიეღო და ამისათვის წმინდა წერილის გულმოდგინედ შესწავლა დაიწყო. ამის შედეგი იყო ის, რომ მან, როგორც სახელმწიფოს უმაღლესმა ხელისუფალმა, თავისი მოღვაწეობა ქვეყანაში ზნეობის ამაღლებისაკენ წარმართა. იმპერატორმა აკრძალა დამნაშავეთა ჯვარზე გაკვრით სიკვდილი და ცირკში სისხლიან სანახაობათა გამართვა, ამასთან ბრძანა ქვეყანაში ზეიმით აღენიშნათ აღდგომის დღე. კონსტანტინე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ობლებისა და მშობლებისაგან მიტოვებული ბავშვების მიმართ, მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა მდგომარეობა მონებს, გულმოწყალედ ეპყრობოდა ღარიბებს. მისი ბრძანებით, ყველა ქალაქში დაიწყეს განახლება და კურთხევა ქრისტიანული ტაძრებისა. ქრისტიანებმა შვებით ამოისუნთქეს, ყველგან ღმრთისადმი აღვლენილი სამადლობელი საგალობლები და ლოცვები ისმოდა.[1] ეკლესიის ცხოვრებაში წამოჭრილი აქტუალური საკითხების გადასაჭრელად ეპისკოპოსები თავისუფლად იკრიბებოდნენ. ხშირად ამგვარ შეკრებებს თვითონ იმპერატორიც ესწრებოდა და მზად იყო ყველაფერზე თანხმობა განეცხადებინა, რაც კი ქრისტიანებისათვის სასარგებლო იქნებოდა. კონსტანტინემ ის უპირატესობანი, რომლითაც იმპერიაში ადრე ქურუმები სარგებლობდნენ, ქრისტიან ღმრთისმსახურებსაც მიანიჭა და ისინი სახელმწიფოს წინაშე ყველა სხვა მოვალეობისა

[1] **Евсевий Памфил, X, 3.**

და გადასახადისაგან გაათავისუფლა. იმპერატორმა ქრისტიანებს არა მხოლოდ საძვალენი (აკლდამები) და სხვა წართმეული ადგილები დაუბრუნა, არამედ ღმრთისმსახურების ჩასატარებლად რამდენიმე დიდი შენობაც გადასცა, რომელშიც ადრე ჩვეულებრივ მსაჯულები იკრიბებოდნენ. ამ შენობებს, რომელთაც ბაზილიკები ეწოდებოდათ, იმგვარი ინტერიერი ჰქონდათ, რომელიც მათ ეკლესიებად გადაკეთებას აადვილებდა. ერთ-ერთი ასეთი ბაზილიკა ქრისტიანებს მან რომშიც აჩუქა. იგი ლატერანის სასახლეში იდგა. კონსტანტინე არც ამით დაკმაყოფილდა, ის უხვ შესაწირავს იღებდა ახალი ტაძრების მშენებლობისთვისაც.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, როგორ გამოიყურებოდა იმდროინდელი ქრისტიანული ტაძარი, ამჯერად ისტორიკოსი ევსევის აღწერილობით: ტაძრის წინკარი კოლონებით გარშემორტყმულ ეზოს წარმოადგენდა, რომლის შუაგულშიც შადრევნები იყო. ტაძარს მაღალი სვეტები ამკობდა და მარმარილოთი მოკირწყლული იატაკი ჰქონდა. საკურთხეველს მლოცველებისაგან მოჩუქურთმებული ღობე ჰყოფდა. საკურთხევლის უკან იდგა დასაჯდომლები ეპისკოპოსებისა და ხუცესებისათვის. ტაძარში იყო, აგრეთვე, სანათლავი და სენაკები ეკლესიის მსახურთა და მონანულთათვის. იმ ტაძრის კურთხევისას, რომელიც ქ. ტჳროსში აშენდა, სიტყვა ევსევის წარმოუთქვამს და ის უბედურებანი გაუხსენებია, რომელთა გადატანაც ეკლესიას წინა წლებში მოუხდა.[2]

ქრისტიანების ამგვარი მშვიდი და მოწესრიგებული ყოფა უშუალოდ კონსტანტინეს დამსახურება იყო; ამაზე ისიც მეტყველებს, რომ იმპერიის აღმოსავლეთში სულ სხვა ვითარება სუფევდა. ლიკინიუსს, რომელიც მაქსიმიანეს შემდეგ აღმოსავლეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა, სულის სიღრმეში ქრისტიანები სძულდა და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მათ დევნასა და შევიწროვებას ცდილობდა. მაგ., მან იმ ქრისტიანებისაგან, რომელნიც სამეფო კარსა და ჯარში მსახურობდნენ, წარმართული ფიცი მოითხოვა, კრებებზე თავშეყრა აუკრძალა ეპისკოპოსებს, ქრისტიანებს ქონებას იმ საბაბით ართმევდა, რომ თითქოს ეკლესიებში იმპერატორი კონსტანტინესათვის ლოცულობდნენ. მან

[2] იქვე, X, 4.

ეკლესიების დაკეტვისა და დანგრევის, ხოლო ეპისკოპოსების შეპყრობისა და დასჯის ბრძანება გასცა, ისევ დაიწყო ქრისტიანთა დაკითხვები და წამებანი.

ამ დროს ეწამა სებასტიაში ორმოცი მხედარი, ისინი გაყინულ ტბაში ჩაყარეს; მოწამეობრივად აღესრულა სებასტიის ღრმად მოხუცი ეპისკოპოსი მედასი, რომელიც თავის დროზე დიოკლეტიანეს დევნას გადაურჩა. კესარიაში ჭაბუკი მეომარი გორდიუსი, რომელმაც ახლობლების ხვეწნა-მუდარა, თვალისასახვევად უარეყო რწმენა, არ შეისმინა და სასტიკი წამების შემდეგ მახვილით განგმირეს; ირაკლიონში, ქალაქის მხედართმთავარი თეოდორე სტრატილატი ჯვარზე აღესრულა. დევნამ განსაკუთრებით სასტიკი ხასიათი პონტოში მიიღო, სადაც ყველაზე პატივსაცემ ეპისკოპოსთა სხეულები წამების შემდეგ ნაწილ-ნაწილ დაჭრეს და ზღვაში ჩაყარეს. აწამეს ამასიის ეპისკოპოსი ბასილიც.

ლიკინიუსის მეფობა აღმოსავლეთში არა მარტო ქრისტიანებისათვის, არამედ ყველასათვის მძიმე აღმოჩნდა. მან არა მხოლოდ გადასახადები გაზარდა, არამედ ქონების მითვისების მიზნით, უარს არც უდანაშაულო ადამიანების დასჯაზე ამბობდა. ევსევი წერს: „ორად გაყოფილი რომის იმპერია ყველას გაყოფილ დღე და ღამედ ეჩვენებოდა: აღმოსავლეთის მცხოვრებნი სიბნელემ მოიცვა, ხოლო სახელმწიფოს მეორე ნახევრის მცხოვრებნი ყველაზე ნათელი დღის შუქით იყვნენ განათებულნი“.

ბუნებრივია, რომ ქრისტიანთა მოძულე ლიკინიუსს კონსტანტინე დიდიც სძულდა, თუმცა ამის დაფარვას გულმოდგინედ ცდილობდა და გარეგნულად მეგობრობას ეფიცებოდა. მათ რამდენჯერმე შებრძოლებაც მოუხდათ, რომელშიც ყოველთვის კონსტანტინე იმარჯვებდა, მაგრამ ლიკინიუსი ფარისევლური მტკიცებებით ახერხებდა მის დაჯერებას, რომ ეს ყოველივე მტრებისა და გაუგებრობის ბრალი იყო და ისიც დამარცხებულთან მშვიდობის ზავს დებდა. რა თქმა უნდა, დიდხანს ასე ვეღარ გაგრძელდებოდა და გადამწყვეტი ბრძოლა გარდაუვალი გახდა, რომელიც 323 წელს გაიმართა. ამ ომისათვის კონსტანტინე ლოცვით ემზადებოდა, მის პოლკებს წინ ჯვრის ფორმის დროშა მიუძღოდა, ლიკინიუსი კი, რომელსაც გარს ქურუმები და მკითხავები ეხვია, ღმერთებს მსხ-

ვერპლს სწირავდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ მოუნანიებელი ცოდვა გონებას აბნელებს და სულიერ თვალს აბრმავებს, ლიკინიუსს ხომ თვალწინ ჰქონდა მრავლისმეტყველი მაგალითი ქრისტიანთა მდევნელი წინამორბედი იმპერატორებისა, რომელნიც საზარელი სიკვდილით აღესრულნენ...

ეს ომი არა მხოლოდ იმპერატორს, არამედ ორ რელიგიას – ქრისტიანობასა და წარმართობას შორის გაიმართა. ბრძოლის წინა დღეს ლიკინიუსმა რჩეული მეომრები და საუკეთესო მეგობრები ჩრდილმრავალ ჭალაში შეკრიბა, სადაც ღმერთების კერპები იდგნენ და სიტყვით მიმართა: „მეგობრებო, აი, ჩვენი მშობლიური ღმერთები, რომელთა წინაშეც, როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა გვასწავლეს, მოკრძალება გვმართებს. მტრული ჯარის სარდალმა მშობლიური ადათები უარყო, ცრუ თვალსაზრისი გაიზიარა და ვიღაც უცხო, უცნობ ღმერთს ადიდებს. იგი თავის ჯარს სამარცხვინო ნიშნით – დროშით არცხვენს; იარაღი მან არა იმდენად ჩვენ წინააღმდეგ, არამედ, უფრო ღმერთების წინააღმდეგ აიღო. თვითონ საქმე გამოაჩენს, ვინ მართალია და ვინ ცდება. თუ გავიმარჯვებთ, ცხადი გახდება, რომ ჩვენი ღმერთები ჭეშმარიტი ღმერთები ყოფილან. ხოლო თუ უპირატესობას კონსტანტინეს ღმერთი – უცხო ღმერთი მოიპოვებს, რომელსაც ჩვენ სასაცილოდ ვიგდებთ, მაშინ, დაე, თაყვანი სცენ მას და ჩვენც ვაღიაროთ“.

ბრძოლის წინ თავის კარავში განმარტოვებული კონსტანტინე ლოცულობდა და მარხულობდა. მას სასოება ჰქონდა წმინდა დროშისა, რომელიც ყველაზე ცხარე ბრძოლებშიც კი ხელშეუხებელი რჩებოდა და რომელსაც მტრები შიშით უყურებდნენ. ლიკინიუსი თავის მეომრებს აფრთხილებდა თვალი მოერიდებინათ მისთვის, რადგან იგი საშინელი იყო თავისი ძალით და მტრული წარმართების მიმართ.

ბრძოლა კონსტანტინე დიდმა მოიგო. ლიკინიუსი გაიქცა. იგი ფარისევლურად ინანიებდა და გამარჯვებული იმპერატორისაგან ზავს ითხოვდა. სინამდვილეში კი დროს იგებდა ახალი ომის მოსამზადებლად და თანამდგომებად ბარბაროსებს უხმობდა; მაგრამ ამჯერად კონსტანტინე აღარ მოტყუებულა. მისმა ვაჟმა კრისპემ, ბიზანტიონის მახლობლად, საზღვაო ბრძოლა მოუგო

ლიკინიუსს, ხოლო გამარჯვებამ ადრიანოპოლისში ომის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა. ლიკინიუსი იძულებული გახდა დამორჩილებულიყო. გამარჯვებულმა იმპერატორმა იგი შეიწყალა და თესალონიკში გადაასახლა, სადაც კონსტანტინეს წინააღმდეგ მოწყობილი ახალი შეთქმულებისათვის სიკვდილით დასაჯეს,[3] რის შემდეგაც კონსტანტინე დიდი რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველი გახდა. ლიკინიუსის წინააღმდეგ ომში გამარჯვებული იმპერატორის მიერ გამოჩენილ კეთილშობილებასა და კაცთმოყვარეობას თვით მტრებიც კი აფასებდნენ. კონსტანტინემ ზნეობის შენარჩუნება თვით ომის პირობებშიც შეძლო, რადგან ყველაზე მაღლა ღმერთს აყენებდა და ყოველთვის მისი ნებისაებრ მოქცევას ცდილობდა (ევსევი კესარიელი). როგორც კი ერთპიროვნული მმართველი გახდა, იმპერატორმა დასავლეთში გამოცემული ბრძანება აღმოსავლეთის ქრისტიანებზეც გაავრცელა. გამარჯვებას მისთვის თავმდაბლობა არ დაუკარგავს, რადგან თავის თავს მხოლოდ ღმრთის იარაღად და მისი ნების აღმსრულებლად თვლიდა. კონსტანტინემ ტაძრების მშენებლობასა და განახლებაზე ზრუნვა აღმოსავლეთშიც დაიწყო, ქრისტიანობისათვის აშკარა მხარდაჭერას იმპერატორი იმითაც გამოხატავდა, რომ ოლქების უფროსებად ქრისტიანების დანიშვნას ცდილობდა. მან აკრძალა, აგრეთვე, კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვა იმპერატორის სახელით. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებდა, რომ ეკლესიას თავისუფალი და მშვიდობიანი ცხოვრება არა იმპერატორის ხასიათისა და ქრისტიანებთან მისი პირადი დამოკიდებულების საფუძველზე უმკვიდრდებოდა, როგორც ეს წარსულში არაერთხელ მომხდარა, არამედ სახელმწიფოებრივად უკანონდებოდა. ეს კი ნიშნავდა, რომ ქრისტიანობა უკვე ამქვეყნად, მატერიალურ სამყაროშიც, იმარჯვებდა, რასაც, ცხადია, მტერი ძნელად შეურიგდებოდა; ამიტომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გადაქცევის პროცესის პარალელურად ბრძოლა ეკლესიის დასანგრევად მის შიგნით მზადდებოდა.

ჯერ კიდევ ლიკინიუსის დამარცხებამდე შფოთი იმპერიის ერთერთი ოლქის, კერძოდ, აფრიკის ეკლესიაში ჩამოვარდა, რომლის მიზეზიც კართაგენის ეპისკოპოსის არჩევა იყო. ეპისკოპოსი მენ-

[3] **Сократ Схоластик, Церковная история, I, 4.**

სურის გარდაცვალების შემდეგ კართაგენის მწყემსთავრად ქრისტიანებმა ცეცილიანე აირჩიეს, რამაც ნუმიდიის სამოცდაათი ეპისკოპოსის უკმაყოფილება გამოიწვია, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რამდენადაც ცეცილიანეს ხელნი იმ ეპისკოპოსმა დაასხა, რომელიც დევნის დროს გამცემი იყო, ამდენად კურთხევა კანონიერად აღარ ითვლებოდა. მართალია, შემდგომში ამ ბრალდების სიყალბე დადასტურდა, მაგრამ უკმაყოფილო ნუმიდიელმა მწყემსმთავრებმა პოზიცია მაინც არ დათმეს, არჩეული ეპისკოპოსი ეკლესიიდან გააძევეს და ახალი – მაიორინე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ დონატი აირჩიეს, რომელიც აფრიკის ეკლესიაში ატეხილი შფოთის ერთ-ერთი მეთაური იყო. ეკლესიამ ეს არჩევანი არ დაადასტურა და კართაგენის ეპისკოპოსად ცეცილიანე აღიარა. დონატის მომხრეებმა ბრძოლა ცეცილიანესა და მის მომხრეთა წინააღმდეგ მათ შესახებ საშინელ ცილისწამებათა გავრცელებით გააგრძელეს. ორ კრებაზე, რომლებიც რომსა და არლში შედგა, ცეცილიანეს არჩევა კანონიერად მიიჩნიეს და დონატისტები გაკიცხეს, მაგრამ შფოთის ამტეხნი არც კრებათა დადგენილებებს დაემორჩილნენ. ჯიუტად არ სურდათ რა სიმართლისათვის თვალის გასწორება, მათ ნოვატიანელთა ზოგიერთი წესი მიიღეს და ეკლესიას მთლიანად ჩამოშორდნენ. რამდენადაც, მათი აზრით, მთელი ეკლესია განხეთქილებებითა და ერესებით იყო დაავადებული, ფიქრობდნენ, რომ ჭეშმარიტ ეკლესიას თვითონ წარმოადგენდნენ, ამიტომ ვინც მათ მხარეზე გადადიოდა, ხელახლა ნათლავდნენ. ეპისკოპოსებს თვითონ ნიშნავდნენ, მართლმადიდებლებს ტაძრებს ძალით ართმევდნენ, რომელთაც შემდეგ რეცხდნენ, ფხეკდნენ, საკურთხევლებს წვავდნენ იმ მიზეზით, რომ უწმინდური ადათებისაგან იყვნენ წაბილწულნი.

კონსტანტინე დიდს, რომელსაც ეკლესიის მიმართ უდიდესი პატივისცემა და მოკრძალება ჰქონდა, ამგვარი ვითარება გულწრფელად აწუხებდა. როცა განხეთქილებათან შერიგება შეუძლებელი გახდა, იმპერატორი შეეცადა აფრიკის ეკლესიაში ჩამოვარდნილი შფოთისათვის სახელმწიფოს ძალის გამოყენებით მოეღო ბოლო. ამაზე მეტყველებს წერილი, რომელიც მან კართაგენის ეპისკოპოსს ცეცილიანეს მისწერა და რომელშიც ატყობინებს, რომ აფრიკის

პროკონსულს მისგან ნაბრძანები ჰქონდა დაესაჯა ისინი, რომლებიც წმიდა ეკლესიისაგან ადამიანების ჩამოშორებას სიცრუითა და მოტყუებით ცდილობდნენ.[4]

დონატისტებმა ერთიანობა ვერც შიგნით შეინარჩუნეს. ბოლოს ისინიც დაიყვნენ სექტებად, რომელთაგან თითოეული ჭეშმარიტ ეკლესიად მხოლოდ თავის თავს მიიჩნევდა და სხვებს წყევლიდა. დონატისტების განხეთქილება დიდხანს გაგრძელდა, აფრიკაში იგი მთელი სამი საუკუნის განმავლობაში არ ჩამცხრალა. ბრმა ფანატიზმს ამ განხეთქილების მონაწილენი, სამწუხაროდ, ხშირად საშინელ დანაშაულამდე – კაცის კვლამდეც მიჰყავდა.

თუმცა დონატიზმმა დიდი ზიანი მიაყენა ეკლესიას, მაგრამ იმ მძიმე შედეგებთან შედარებით, რაც არიოზის სწავლებამ გამოიღო, მაინც უმნიშვნელო აღმოჩნდა. როცა მელეტიმ ალექსანდრიის ეკლესიაში შფოთი წამოიწყო, არიოზი, რომელიც იმ დროს დიაკონი იყო, მას მიემხრო და იმ მიზეზით, რომ დაცემულთა მიმართ მეტისმეტ გულმოწყალებას იჩენდა, ალექსანდრიის ეპისკოპოსის, პეტრეს ყველა განკარგულებას წინააღმდეგობას უწევდა. არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ წმ. პეტრემ მაშინვე გამოიცნო, ვინ იქნებოდა არიოზი ეკლესიისათვის. მან ძილში ყრმა იესო იხილა, რომელსაც ქიტონი თავიდან ბოლომდე გაპობილი ჰქონდა. „უფალო, ჰკითხა პეტრემ, ვინ გაკადნიერდა და შენს სამოსს შეეხო?“ – „არიოზმა განხეთქა“, – უპასუხა უფალმა. პეტრეს მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ მისმა მემკვიდრემ აქილევსმა არიოზი ხუცესად აკურთხა და ალექსანდრიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკლესია ჩააბარა. ჭკვიანმა და განსწავლულმა არიოზმა, რომელიც ამავე დროს თავშეკავებულ ცხოვრებას ეწეოდა, იმგვარი მდგომარეობა მოიპოვა, რომ იმედი ჰქონდა აქილევსის სიკვდილის შემდეგ ეპისკოპოსად აირჩევდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და ალექსანდრიის ეპისკოპოსად ალექსანდრე იქნა არჩეული. მაშინ მან თავისი უკმაყოფილება დაფარა და ახალ ეპისკოპოსს ხშირად ხვდებოდა. ერთერთი ასეთი შეხვედრისას, როცა საუბარი ყოვლადწმიდა სამებას შეეხო, არიოზი ალექსანდრეს შეეკამათა და ერესისაკენ გადახრაში დაადანაშაულა, თვითონ კი გამოთქვა აზრი, რომ, რამდენადაც

[4] **Евсевий Памфил, X, 6.**

იყო დრო, როცა არ იყო ქრისტე, ამდენად იგი არც მარადიული და დაუსაბამოა და ამიტომ ღმერთი არა არსით, არამედ სახელითაა და მამა ღმერთის ქმნილებას წარმოადგენს. ამ მკრეხელურმა შეხედულებებმა ალექსანდრე შეაძრწუნა. მან მოინდომა, არიოზისათვის თვალი აეხილა და დაენახვებინა, რომ ცდებოდა. ამ მიზნით ხშირად იხმობდა თავისთან და სხვა სასულიერო პირების თანდასწრებით უმტკიცებდა, რომ ცდებოდა. კამათისას ეპისკოპოსი ყოველთვის სიმშვიდეს ინარჩუნებდა, რადგან ბუნებით კეთილი და მშვიდობისმოყვარე იყო და არიოზის გონზე მოყვანა გულწრფელად სურდა. სამაგიეროდ არიოზი ყველგან ერეტიკოსს ეძახდა და თავისი მოძღვრების გავრცელებას გულმოდგინედ ცდილობდა. ამაში ხელს ისიც უწყობდა, რომ კარგი მჭევრმეტყველი იყო. ასე რომ, მალე მრავალი მომხრე გაიჩინა. მაშინ ალექსანდრემ კრება მოიწვია, რომელმაც არიოზის ცრუ სწავლება ერთსულოვნად დაგმო და მსახურებიდან განაყენა,[5] მაგრამ იგი კრების გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და თავი უკანონობის მსხვერპლად გამოაცხადა. არიოზმა ბევრ ეპისკოპოსს წერილები მისწერა, რომლებშიც თავს დევნილად და შევიწროვებულად წარმოადგენდა და ზოგიერთი მათგანის მფარველობაც მოიპოვა. თავის მხრივ, ეპისკოპოსებს წერილები ალექსანდრემაც მისწერა და ერესის დამხობაში მხარდაჭერა ითხოვა. ალექსანდრიაში ასზე მეტი ეპისკოპოსი ჩამოვიდა და კრებამ ცრუსწავლება მეორედ დაგმო. მაშინ არიოზმა ალექსანდრია დატოვა და თავისი ცრუმოძღვრების პალესტინაში, ეგვიპტესა და ლიბიაში გავრცელება დაიწყო. მსმენელთაგან ზოგიერთი მას შეცდომაში თავისი სწავლების ბუნდოვანებით შეჰყავდა, ზოგსაც მჭევრმეტყველების ძალით იზიდავდა. მას მხედველობიდან არც მუსიკისა და პოეზიისადმი ადამიანთა თანდაყოლილი სიყვარული გამორჩენია და თავის მწვალებლურ შეხედულებებს სიმღერების სახე მისცა, რითაც მათი სწრაფი და დაუბრკოლებელი გავრცელებისათვის საუკეთესო გზა გამონახა. ისტორიკოსი ფილოსტორგიოსის ცნობით, არიოზს ეკუთვნოდა მეზღვაურთა სიმღერები, მეწისქვილის სიმღერები, მგზავრის სიმღერები. 322 წელს არიოზს ეს სიმღერები ერთად შეუკრებია საერთო სახელწოდებით „ნადიმი“

[5] **Сократ Схоластик, Церковная история, I, 6.**

და ნიკომედიაში გამოუცია. მისგან მხოლოდ რამდენიმე ტაეპია შემორჩენილი, რომელიც, მათი ავტორის მხილების მიზნით, ათანასი ალექსანდრიელს მოჰყავს. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ-ერთ ფრაგმენტს, რომელიც ერეტიკოსის თავხედობამდე მისულ ქედმაღლობას ნათლად ამჟღავნებს: „ღმრთის რჩეულთა რწმენის, ღმრთის წმინდა, გონიერ, მართლმორწმუნე შვილთა რწმენისა და ღმრთის წმინდა სულის მიმღებთა რწმენის მიხედვით, ვისწავლე მე ეს იმათგან, ვინც სიბრძნეს ზიარებულა, ვინც ღმრთივგანსწავლული და განათლებულია, ვინც ყველაფერში ბრძენია. მათ კვალზე მავალი და მათივე თანამოაზრე მოვედი მე, სახელგანთქმული, მრავალი ტანჯვის დამთმენი ღმრთის რწმენისათვის, ღმრთისაგან ვისწავლე სიბრძნე და ცოდნა შევიმეცნე“.[6]

როგორც ამ ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს, არიოზის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მეტისმეტად კარგად ეხერხებოდა ხალხის წინაშე თავის წარმოდგენა პიროვნებად, რომელიც რწმენისათვის მრავალ ტანჯვასა და შეურაცხყოფას იტანდა. ასე რომ, ექვსი წლის განმავლობაში „მოღვაწეობით“ მთელი აღმოსავლეთი ააღელვა. კამათში არა მხოლოდ სასულიერო პირები, არამედ საერონიც ჩაებნენ და ხალხი ორად გაიყო. განსაკუთრებით ბევრი და გულმხურვალე მომხრე არიოზს ქალთა შორის აღმოაჩნდა(!). კამათმა თებაიდის უდაბნოშიც კი შეაღწია. განდევნილთა მყუდრო სავანებსა თუ ხალხმრავალი ქალაქების მოედნებზე ქრისტეს ღმრთეებრიობასა და მარადიულობაზე გაცხარებული კამათი მიმდინარეობდა. ქრისტიანთა შორის წარმოშობილი განხეთქილებით წარმართები ხარობდნენ და აშკარად დასცინოდნენ მათ. აღმოსავლეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ეპისკოპოსმა ევსევი ნიკომედიელმა არიოზი თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო და მცირე საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც იგი ეკლესიაში დააბრუნა.

ლიკინიუსზე გამარჯვების შემდეგ კონსტანტინე დიდი ნიკომედიაში ჩავიდა აღმოსავლეთის პროვინციების მოსავლელად. აქ შეიტყო მან პირველად აღმოსავლეთის ეკლესიაში წარმოშობილი

[6] თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა/ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ.49.

დავის შესახებ, რამაც ფრიად გააოცა და დაამწუხრა. თავდაპირველად არ უნდოდა საქმეში ჩარეულიყო, მაგრამ შემდეგ მაინც გადაწყვიტა წერილები მიეწერა ალექსანდრესა და არიოზისათვის. იმპერატორი ორივეს სთხოვდა კამათი მეგობრულად დაემთავრებინათ და მისთვის „საამო დღეები და უშფოთველი ღამეები“ დაებრუნებინათ.[7] მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ერთიანობა და სიმშვიდე კონსტანტინესათვის მართლაც სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა, როგორც ჩანს, შექმნილ ვითარებაში თავდაპირველად ვერ გარკვეულა და არიოზის ერესისათვის სწორი შეფასება ვერ მიუცია, რადგან გულუბრყვილოდ დაუჯერებია, რომ მოდავე მხარეთა შერიგებას ადვილად შეძლებდა. რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, მის წერილებს არავითარი შედეგი არ გამოუღია. სამაგიეროდ ეკლესიამ იცოდა, ერეტიკოსის მიერ წამოწყებული კამათი რა საფრთხეს უქმნიდა. მაცხოვრის მარადიულობა და ღმრთეებრიობა არ შეიძლებოდა ქრისტიანისათვის სადაო საკითხად დარჩენილიყო. რადგან ვიღაც გაკადნიერდა და ამ თემას შეეხო, ეკლესია გულგრილი ვერ დარჩებოდა. სიმშვიდის დასაბრუნებლად ერთადერთი გზაღა რჩებოდა. მსოფლიო ეკლესიას აუცილებლად უნდა ჩამოეყალიბებინა თავისი სწავლება, რომელიც მაცხოვრისა და მისი მოციქულებისაგან გადმოეცა და ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა, ეთანხმებოდა თუ არა მას ახალი სწავლება, რომელიც ცხარე კამათის საგნად იყო ქცეული.

გადაწყვიტეს ამ უკანასკნელი საშუალებისათვის მიემართათ და კონსტანტინემ მთელ ქრისტიანულ სამყაროში დაგზავნა წერილები, რომლითაც ეპისკოპოსებს ბითვინიის ქალაქ ნიკეაში მსოფლიო კრებაზე იწვევდა.

აქამდე მსოფლიო კრებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. იგი შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ იმპერიას ერთი მმართველი ჰყავდა, რომელიც ქრისტიანობას ჭეშმარიტ რელიგიად აღიარებდა და ეკლესიის მდგომარეობის განმტკიცებისათვის ზრუნვას უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საკითხთა რიგში აყენებდა. ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზრუნვას მართლაც საჭიროებდა. სამასი წელი იბრძოდა და იტანჯებოდა იგი მისი

[7] **Сократ Схоластик, Церковная история, I, 7.**

ღმრთეებრივი დამაარსებლის – იესო ქრისტეს სახელისთვის. მახარებლებმა ეს სახელი შორეულ ქვეყნებში გაიტანეს, წამებულნი სიხარულით კვდებოდნენ ამ წმინდა სახელისათვის და მაშინ, როცა ქრისტეს მოძღვრებას, ფართოდ გავრცელებულსა და ჭეშმარიტებად აღიარებულს, გამარჯვება უნდა ეზეიმა, გაკადნიერდნენ და მისი არსი უარყვეს, ეჭვქვეშ დააყენეს რა ქრისტეს მარადიულობა და ღმრთეებრიობა. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა ბევრად უფრო ამაღელვებელი და სამწუხარო იყო ეკლესიისათვის, ვიდრე ყოველგვარი დევნა გარეშეთაგან.

ეპისკოპოსთა მგზავრობისა და ნიკეაში ცხოვრების ხარჯები იმპერატორმა გაიღო. გზებზე მათ ეტლებს შემცვლელ ცხენებს ახვედრებდნენ. ნიკეაში მოვიდნენ ეპისკოპოსები ეგვიპტიდან, პალესტინიდან, სირიიდან, მესოპოტამიიდან, აფრიკიდან, მცირე აზიის ოლქებიდან, საბერძნეთიდან, საქართველოდან, სპარსეთიდან, სომხეთიდან, მიზიიდან, დაკიიდან და დუნაის გაღმა მდებარე გუთების ქვეყნებიდან, რომელნიც ქრისტიანობაზე ახალმოქცეულნი იყვნენ, სულ სამასზე მეტი. აღსანიშნავია, რომ ნიკეის კრებაში ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილეც მონაწილეობდა. ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება სტრატოფილეს ეროვნებას, კერძოდ, ბერძენი იყო იგი თუ ქართველი. ქართული ეკლესიისა, და საერთოდ ჩვენი ხალხის ისტორიისათვის, მთავარი ისაა, რომ 325 წლისათვის დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ბიჭვინთაში საეკლესიო კათედრა არსებულა, რაც ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებასა და მის მაღალორგანიზებულობაზე მიუთითებს. ეპისკოპოსებს სხვა სასულიერო პირებიც, კერძოდ, ხუცესები და დიაკვნები ახლდნენ. შედარებით ნაკლები იყო რიცხვი დასავლელი ეპისკოპოსებისა. რომის ეპისკოპოსმა სილვესტრმა სიბერით გამოწვეული უძლურების გამო ჩამოსვლა ვერ შეძლო და ნიკეაში ორი ხუცესი გამოაგზავნა. როგორც ფიქრობენ, გალიკანელი ეპისკოპოსი ბრიტანულ ეკლესიასაც წარმოადგენდა, ხოლო ოსიოს კორდუბელი – ესპანეთის ეკლესიას. ის მეტად პატივსაცემი პიროვნება იყო და მეფის დიდი ნდობით სარგებლობდა. ბევრი ეპისკოპოსი ქრისტიანულ სამყაროში წმინდა ცხოვრებითა და გამორჩეული სიბრძნით იყო ცნობილი, ბევრიც –

ღმრთისგან მინიჭებული სასწაულქმედების ძალით, ბევრ მათგანს დევნის პერიოდში საშინელი ტანჯვა-წამება ჰქონდა გადატანილი, რომლის კვალი ახლაც ეტყობოდათ. ისინი სიხარულით ემზადებოდნენ ერთხელ კიდევ დაედასტურებინათ თავიანთი სიყვარული და ერთგულება მაცხოვრისადმი.

ერთ-ერთი პირველი ალექსანდრიის ღრმად მოხუცი ეპისკოპოსი ალექსანდრე მოვიდა, რომელმაც არიოზი პირველმა ამხილა და მოციქულთა სწავლება გაბედულად დაიცვა. მან თან მოიყვანა ახალგაზრდა დიაკვანი, სახელად ათანასე, რომელმაც შემდეგში არიოზელებთან ბრძოლაში გამოჩენილი სიბრძნითა და სიმტკიცით გაითქვა სახელი.

დიდი პატივისცემით სარგებლობდა, აგრეთვე, მირონლუკიის ეპისკოპოსი ნიკოლოზი; იგი ქველმოქმედებით, გულმოწყალებითა და სასწაულქმედებათა ძალით იყო განთქმული. გადმოგვცემენ, რომ არიოზის მკრეხელურმა სიტყვებმა მას მოთმინების ფიალა აუვსეს და მთელი კრების წინაშე ერეტიკოსს ხელი გაარტყა, რის გამოც ეპისკოპოსის წოდება ჩამოართვეს, მაგრამ ზეციური ხილვის შედეგად მალევე დაუბრუნეს.

წმ. იაკობ ნასიბინელმა ღმერთი ყრმობიდანვე შეიყვარა და თავი მის მსახურებას მიუძღვნა. იგი დიდხანს ცხოვრობდა უდაბნოში, მაქსიმიანეს დროს ტანჯვა დაითმინა, ღმრთის სიტყვის საქადაგებლად სპარსეთი მოიარა და ბოლოს, მესოპოტამიაში ქ. ნასიბინის ეპისკოპოსად იქნა არჩეული. წმ. იაკობმა ნიკეაში თან თავისი ახალგაზრდა მოწაფე ეფრემი ჩამოიყვანა, რომელიც შემდეგ ეფრემ ასურის სახელით გახდა ცნობილი.

ევსტათი ანტიოქიელი, პაფნუტი თებაიდელი, პავლე ნეოკესარიელი, ლეონტი კაპადოკიელი განთქმულნი იყვნენ, როგორც მტკიცე აღმსარებელნი სარწმუნოებისა, რომელთაც დევნის პერიოდში მრავალი ტანჯვა დაითმინეს. პაფნუტის მარჯვენა თვალი ჰქონდა დაკარგული და კოჭლობდა, პავლეს ხელები არ ჰქონდა, რადგან ლიკინიუსის ბრძანებით, გახურებული რკინით მოკვეთეს.

წმინდა ცხოვრებით იყო ცნობილი წმ. სპირიდონი, კუნძულ კვიპროსზე ტრიმიფუნტის ეპისკოპოსი. იგი უბრალო წრეში იყო დაბადებული და აღზრდილი და ეპისკოპოსად არჩევის შემდეგაც

უბრალო, სოფლური ცხოვრების ჩვევები შეინარჩუნა: საკუთარი ხელებით შრომობდა, მინდორში მუშაობდა, ჯოგს მწყემსავდა; ამასთან, ყველას, ვინც დახმარებას საჭიროებდა, ეხმარებოდა, ღმრთისაგან ბოძებული ძალით სნეულებს კურნავდა და დიდ სასწაულებს აღასრულებდა.

კრების საზეიმო გახსნამდე ეპისკოპოსები ხშირად იკრიბებოდნენ სათათბიროდ, არიოზსაც ეძახდნენ და ცდილობდნენ დაერწმუნებინათ, რომ ცდებოდა. ამგვარ თათბირებს გარეშე პირებიც ესწრებოდნენ. ერთხელ, წარმართი ფილოსოფოსიც დაესწრო, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებას უარყოფდა. როცა მისთვის პასუხის გასაცემად სპირიდონი წამოდგა, ბევრს შეეშინდა, რადგან იცოდნენ, რომ უბრალო და ნაკლებად განსწავლული ადამიანი იყო. მაგრამ მწყემსმთავარს ძალა სარწმუნოების სიმტკიცემ მისცა, მასთან იყო სულიწმიდა, ვინც საპასუხო სიტყვა შთააგონა. წმ. სპირიდონმა წარმართ ფილოსოფოსს მტკიცედ მიმართა: „უფალი იესო ქრისტეს სახელით მომისმინე: ერთია ღმერთი, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, ხილულთა და არახილულთა, რომელმან ყოველივე სიტყვით შექმნა და თავისი წმიდა სულით მოაწყო. სიტყვას სხვაგვარად ძე ღმრთისა და ღმერთი ეწოდება. იგი მოწყალე იქმნა კაცთა მიმართ, დედაკაცისაგან შობა, ადამიანებთან ცხოვრება და ჩვენს საცხოვნებლად ტანჯვა და სიკვდილი ინება. აღდგა და აღდგომა კაცთა მოდგმასაც მიანიჭა და კვალად მოვა, რათა ყოველნი სიმართლით განსაჯოს და თითოეულს თავისი საზღაური მიაგოს, ყოველივე ამისი გამოძიების გარეშე გვჯერა და რწმენის ჭეშმარიტებათა უარსაყოფად და იმის გამოსაკვლევად – შეიძლებოდა ეს ასე ყოფილიყო თუ არა, ამაოდ ნუ დაშვრები, რადგან ეს გონებას აღემატება; არამედ უბრალოდ მიპასუხე, გჯერა ამისი თუ არა?“ ფილოსოფოსი დუმდა, მაშინ წმ. სპირიდონმა კითხვა გაუმეორა და მოულოდნელად ფილოსოფოსმაც უპასუხა, რომ სჯეროდა. შემდეგში იგი ამბობდა, რომ ეპისკოპოსის სიტყვებში იყო აუხსნელი, მაგრამ დაუმარცხებელი ძალა, რომელმაც მას უცებ ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტება დაანახა. ამ შემთხვევამ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მრავალი წარმართი მოაქცია. კრებაზე ერთი ნოვატიანელი ეპისკოპოსი აკესიუსიც იყო მიწვეული, რადგან, იმდენად,

რამდენადაც, ისინი ეკლესიას არა სარწმუნოებრივი დოგმატების დამახინჯების, არამედ მონანულთა შესახებ წამოჭრილი დავის გამო გამოეყვნენ, ამიტომ ქრისტიანი ეპისკოპოსები მათთან ურთიერთობაზე უარს არ ამბობდნენ. მოგვითხრობენ, რომ კონსტანტინემ, აკესიუსთან საუბრის შემდეგ, რომლის დროსაც ნოვატიანელთა წესებს გაეცნო, თანამოსაუბრეს უთხრა: „მიადგი კიბე აკესიუს და ცაზე მარტოკა ადი“.

როცა კონსტანტინე ნიკეაში ჩავიდა, არიოზის მიმდევრებმა მართლმადიდებელ ეპისკოპოსებზე საჩივრები გადასცეს, მაგრამ იმპერატორმა ამ წერილების დაწვა ბრძანა და თქვა: „ქრისტემ ბრძანა, რომ უნდა შეუნდო ძმას, უკეთუ გსურს, რომ შენ თავადაც შეგინდონ“.[8]

პირველი მსოფლიო კრება 325 წლის 19 ივლისს გაიხსნა მეფის სასახლის ერთ-ერთ დიდ დარბაზში, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, ოსიოს კორდუბელის თავმჯდომარეობით. თუ ხუცესებსა და დიაკვნებსაც ჩავთვლით, რომელნიც ნიკეაში ეპისკოპოსებს მოყვნენ, მას ორიათასზე მეტი კაცი ესწრებოდა. ეპისკოპოსთა სავარძლები დარბაზში წრიულად იყო განლაგებული, შუაში მაგიდა იდგა, რომელზეც წმინდა წერილი იყო დაბრძანებული, როგორც სარწმუნო დამოწმება ჭეშმარიტებისა, რომლის შესაბამისიც უნდა ყოფილიყო კრების გადაწყვეტილება. როცა ყველა შეიკრიბა, რამდენიმე ქრისტიან კარისკაცთან ერთად იმპერატორიც შემოვიდა, საზეიმო შემთხვევის გამო მდიდრული სამეფო სამოსით შემოსილი, რომელიც ოქროთი და ძვირფასი თვლებით იყო შემკობილი. დიდებული კრებულის წინაშე მას მოკრძალება დაეუფლა და მისთვის წინასწარ გამზადებულ ოქროს სავარძელთან დუმილით მივიდა, ისე რომ თავი მაღლა არ აუწევია. ეპისკოპოსებმა მას დაჯდომის ნიშანი მისცეს და თვითონ მის შემდეგ დასხდნენ. პირველი სიტყვა ევსტათი ანტიოქიელმა წარმოთქვა, მეორე ისტორიკოსმა ევსევიმ, რომელიც მაშინ კესარიის ეპისკოპოსი იყო. მათ ადიდეს ღმერთი და მორწმუნე მეფის მფარველობის ქვეშ ეკლესიის კეთილდღეობისათვის მადლობა შესწირეს. ამის შემდეგ კრებულს სიტყვით იმპერატორმა მიმართა, რომელიც ლათინურ ენაზე წარმოთქვა; კრების მონაწილეებს მას ბერძნულად თარჯი-

[8] **Сократ Схоластик, Церковная история, I, 8.**

მანი უთარგმნიდა. კონსტანტინემ გამოხატა სიხარული იმის გამო, რომ ეპისკოპოსთა ასეთ დიდებულ კრებულს ხედავდა და მათ სადაო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრა სთხოვა. ამის შემდეგ დაიწყო კამათი არიოზის შეხედულებათა გამო. მისი მხარე 17-მდე ეპისკოპოსმა დაიჭირა, რომელთა შორის ევსევი ნიკომედიელი და ევსევი კესარიელიც იყვნენ.

როგორც „საეკლესიო ისტორიის“ ძველი ავტორები – რუფინუსი, სოზომენე და თეოდორიტე მოგვითხრობენ, კრების მონაწილენი ძირითადად ორ ნაწილად იყოფოდნენ: მართლმადიდებლებად და არიოზის მიმდევრებად. პირველ ნაწილს ეკუთვნოდნენ ისინი, რომელთაც თავიანთი აღმსარებლობა დევნის მკაცრ პერიოდში შეინარჩუნეს, მათ ყოველგვარი კრიტიკული გამოძიების გარეშე, წრფელად სწამდათ იმისა, რასაც ეკლესია თავიდანვე ასწავლიდა. ამიტომ მეორე ნაწილის წარმომადგენლები „მარტივებსა და უცოდინარებს“ უწოდებდნენ (სოკრატე, საეკლესიო ისტორია). როგორც ისტორიკოსი სოზომენე გადმოგვცემს, ისინი ამბობდნენ: ჩვენ გულწრფელად გვწამს და არ ვეწევით ამაო ჯაფას იმის დასასაბუთებლად, რაც მხოლოდ რწმენით მიიღწევა, რადგან „ჰიპოსტასი ღმრთის ძისა ისევე მიუწვდომელია ყველა შექმნილი ბუნებისათვის, როგორც თავად მამაა მიუწვდომელი“: **არავინ იცის ძჳ, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან** (მთ. 11,27). მართლმადიდებელთა შორის, რომელთაც არიოზელები უცოდინარობის გამო საყვედურობდნენ, მრავალი მამა იყო ისეთი, რომელსაც საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული და დიალექტიკურ მეცნიერებებში იყო განსწავლული; მაგრამ ისინი გონებას რწმენას უქვემდებარებდნენ და ერთგულნი იყვნენ იმ დოგმატისა, რომლის მიხედვითაც, ძე ისეთივე სრული ღმერთია, როგორც მამა; უფალი ხომ თვითონვე ამბობს: **მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ** (ინ. 10,30). ალექსანდრიის ეპისკოპოსის, ალექსანდრეს წერილში, რომელსაც იგი ალექსანდრე კონსტანტინეპოლელს წერს, ვკითხულობთ: „ამ სიტყვებით უფალი იმას კი არ გამოხატავს, რომ ორი ბუნება ერთ ჰიპოსტასს წარმოადგენს, არამედ იმას, რომ ძე ღმრთისა ზუსტად და სრულყოფილად იმარხავს და იცავს მისი და მამის ბუნების იგივეობას“.

მართლმადიდებლებს ალექსანდრე ალექსანდრიელი და ოსიოს

კორდუბელი მეთაურობდნენ. კრების მონაწილეთა ყურადღება მიიქცია ალექსანდრე ალექსანდრიელის ახალგაზრდა დიაკვანმა ათანასემ, რომელსაც მჭევრმეტყველების ხელოვნებაში ვერავინ აჯობა.

მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით, არიოზის მიმდევრებს სურდათ რწმენა ცოდნისათვის დაემორჩილებინათ, რისთვისაც რწმენის საკითხებს კრიტიკულად და ანალიტიკურად უდგებოდნენ. სოზომენეს გადმოცემით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ რწმენის სფეროში ძველი შეხედულებების მიღება შეუმოწმებლად არ შეიძლებოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ეკლესიის მამათა სწავლებებსა და საეკლესიო გადმოცემებს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, საკუთარი სიბრძნის იმედი ჰქონდათ, სჯეროდათ დიალექტიკის განსაკუთრებული ძალისა და უპირისპირდებოდნენ მათ, რომელნიც დიალექტიკას რელიგიურ სიწრფელეს ამჯობინებდნენ. არიოზელები თავიანთ თავს „რწმენის გამომკვლევებსა და გამომძიებლებს“ დაუფარავად უწოდებდნენ. წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ „რწმენა დათმეს“, დაივიწყეს რა ბრძნული კანონი, რომ „ჩვენი გონების შემავსებელი სარწმუნოებაა“.

არიოზის მიმდევართა შორის ორი დაჯგუფება იყო: მკაცრი არიოზელები და მერყევები, რომელნიც შემდეგ ნახევრად არიოზელების სახელით გახდნენ ცნობილნი. მეორე ჯგუფს, რომელიც უფრო მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა, ცნობილი „ეკლესიის ისტორიის“ ავტორი ევსევი კესარიელი მეთაურობდა, პირველს – ევსევი ნიკომედიელი. მერყევი (ნახევრად) არიოზელები თავიანთ მედროშედ ორიგენეს მიიჩნევდნენ, მკაცრი არიოზელები – ლუკიანე ანტიოქიელს.

თუმცა კრების მსვლელობის ზუსტი დეტალები ჩვენთვის უცნობია, იმის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ უპირველეს ყოვლისა, მხილებული და უარყოფილ იქნა ე.წ. მკაცრ არიოზელთა და მათი მეთაურის, ევსევი ნიკომედიელის მიერ შემოთავაზებული სწავლებანი: „ძე ღმრთისა ქმნილებაა“, „იყო დრო, როცა არ იყო“, „ძე არსით ცვალებადია“, რადგან მათ წმინდა წერილში არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ამის შემდეგ ევსევი კესარიელმა წარ-

მოადგინა მის მიერ შედგენილი სარწმუნოების სიმბოლო, რომლის მიხედვითაც, მართალია, ძე ღმერთია, მაგრამ მამა ღმერთთან მიმართებაში დაქვემდებარებული, რაც წმ. სამებაში სუბორდინაციის შეტანას გულისხმობდა, ეს კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ისევ პოლითეიზმზე დაბრუნება (თუ ძე ღმერთია, მაგრამ არსით მამისაგან განსხვავებული და მასზე დაქვემდებარებული, მაშინ ღმერთი ერთი კი არა, ორი ყოფილა). ევსევი კესარიელი იმედოვნებდა, რომ სპეციალურად შერჩეული ბუნდოვანი და ორაზროვანი გამოთქმებით სიმბოლოს ნამდვილ აზრს შენიღბავდა და კრების მონაწილეთა შეცდომაში შეყვანას შეძლებდა, მაგრამ მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა შეგონებით, იმპერატორმა კონსტანტინემ ევსევის მამასთან ძის დამოკიდებულების ზუსტი განსაზღვრისათვის სიმბოლოში მხოლოდ ერთი სიტყვის „ჰომოუსიოს“ (ბერძ. – ერთარსი) შეტანა მოითხოვა. მართალია, ეს სიტყვა წმინდა წერილში არ იხსენიებოდა, მაგრამ იგი მასში გატარებულ აზრს გამოხატავდა და ეკლესიის ისეთ მნათობთა თხზულებებში გვხვდებოდა, როგორებიც დიონისე ალექსანდრიელი და დიონისე რომაელი იყვნენ. საბოლოოდ, კრებამ წერილობით ჩამოაყალიბა ეკლესიის სწავლება მამა ღმერთსა და ძე ღმერთზე – იესო ქრისტეზე – სარწმუნოების სიმბოლო, რომელშიც შეტანილ იქნა სიტყვა **ერთარსი**. სიმბოლოს ხელი ყველამ, გარდა ხუთი ეპისკოპოსისა, რომელთაგან ერთ-ერთი ევსევი ნიკომედიელი იყო, მათ შორის არიოზელმა ეპისკოპოსებმაც მოაწერეს, მაგრამ ორმა მათგანმა უკიდურესად უზნეო საქციელი ჩაიდინა და სიტყვაში **ჰომოუსიოს** (ერთარსი) იოტა ჩაუმატა, რამაც სიტყვის შინაარსი მთლიანად შეცვალა, რადგან **ჰომოიუსიოს** უკვე არა ერთარსს, არამედ არსით მსგავსს ნიშნავს. სიცრუე მაშინვე გამომჟღავნდა და ეს ეპისკოპოსები ყალბის მქმნელობაში ამხილეს. რაც შეეხება არიოზს, რადგან მან თავის შეხედულებათა უარყოფაზე უარი თქვა, მეფის ბრძანებით, იგი და მისი მომხრე ეპისკოპოსები: ევსევი ნიკომედიელი და თეოგნისე ნიკეელი გადაასახლეს.[9]

პირველი მსოფლიო კრების უმნიშვნელოვანესი მიღწევა ყოვლადწმიდა სამების დოგმატის ჩამოყალიბება და სარწმუნოების

[9] იქვე.

სიმბოლოს შედგენა იყო, რომელიც ნიკეის სიმბოლოს სახელითაა ცნობილი. ისტორიკოსი სოკრატე წერს: „სარწმუნოების სიმბოლოს განსაზღვრება ადვილად და შემთხვევით როდი მოხდა, არამედ იგი ხანგრძლივი გამოკვლევისა და გამოძიების შემდეგ გამოცხადდა და თანაც არა ისე, რომ ერთი რამ თქმულიყო და მეორე არა, არამედ მხედველობაში იქნა მიღებული ყოველივე, რაც კი დოგმატის მტკიცებასთან მიმართებაში არსებობს. აქ რწმენა უბრალოდ კი არაა განსაზღვრული, არამედ წინასწარ ისე გულმოდგინედაა განხილული, რომ უკუგდებულია ყოველგვარი შეხედულება, რომელიც შეიძლებოდა ორაზროვნობის ან აზრთა გაყოფის საბაბი გამხდარიყო. თანხმობა ეპისკოპოსთა შორის ღმრთის სულმა დაადგინა“.

მართალია, ნიკეის კრების სიმბოლოს ხელი არიოზელმა ეპისკოპოსებმაც მოაწერეს, მაგრამ როგორც შემდეგში გაირკვა, ბევრი მათგანი ორპირი აღმოჩნდა. ხელის მოწერა მათ არაფერს ავალდებულებდა, რადგან მიწიერი მიზნებით გატაცებულებს, სინდისი მაინცდამაინც არ აწუხებდათ; მათ ხელი მხოლოდ იმიტომ მოაწერეს, რომ საეპისკოპოსო კათედრები შეენარჩუნებინათ. კრების შემდეგ მათი საქმიანობის ძირითად არსს ნიკეის სიმბოლოს სოფისტური კრიტიკა და მისი საპირისპირო რწმენის ახალი სიმბოლოების შექმნა წარმოადგენდა.

ნიკეის სიმბოლოს ერთგულ მიმდევართაგან პირველ რიგში ალექსანდრიის ეკლესია უნდა დავასახელოთ, რომელიც იმ დროისათვის აღმოსავლეთის ეკლესიათა შორის ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და რომელსაც ღირსეული ეპისკოპოსის ალექსანდრე ალექსანდრიელის შემდეგ მისივე აღზრდილი ათანასე ალექსანდრიელი (+373) წინამძღოლობდა. როგორც წმ. ბასილი დიდი ამბობს, სწორედ მან „გადაარჩინა ეკლესია იმგვარი საშინელი ავდრისაგან“, როგორიც არიოზობა იყო.

ალექსანდრიის ეკლესიას მხარში ედგა იერუსალიმის ეკლესიაც, რომლის ეპისკოპოსი მაქსიმე წმ. ათანასეს თანამოაზრე იყო. ნიკეის სიმბოლო რომის ეკლესიამაც აღიარა. შეიძლება ითქვას, რომ არიოზის ერესთან ბრძოლაში პაპი იულიუსი (337-352 წწ.) ათანასეს მარჯვენა ხელი იყო. როცა იმათ შესახებ ვსაუბრობთ, რომელნიც

ნიკეის სიმბოლოს ერთგულებით გამოირჩეოდნენ, არ შეიძლება არ დავასახელოთ ილირიკი (მაკედონია, აქაია, დაკია), ქვეყანა, სადაც ნიკეის დოგმატების დასაცავად კრებებიც კი იმართებოდა.

რაც შეეხება იმპერიის აღმოსავლეთის დანარჩენ მხარეებს, იქ უმრავლეს შემთხვევაში უპირატესობა არიოზელთა მხარეზე იყო, სამაგიეროდ ეკლესიის ინტერესებს ისეთი დიდებული ცალკეული საეკლესიო მოღვაწენი იცავდნენ, როგორებიც წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი და წმ. გრიგოლ ნოსელი იყვნენ. წმ. ათანასე ბასილი დიდს „ეკლესიის სიქადულს“ უწოდებდა და ყველას მოუხმობდა „უფლის სადიდებლად, რომელმაც კაპადოკიას ისეთი ეპისკოპოსი მისცა, როგორიც მთელ ქვეყანას ენატრება“. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ალექსანდრიასა და რომში მოღვაწე სასულიერო პირთაგან განსხვავებით, ბასილი დიდი მრავალრიცხოვან არიოზელთა შორის თავს მარტოდ გრძნობდა და მტრებისაგან ათასგვარ ცილისწამებასა და შეურაცხყოფას იტანდა.

არიოზელობის ცენტრი, რომელიც განსაკუთრებით სირიაში, თრაკიასა და პონტოში ბატონობდა, სირიის დედაქალაქი ანტიოქია იყო. არიოზული დოგმატები სათავეს აქედან იღებდნენ, აქედან დაიწყო მტრობა ათანასე დიდისადმი, აქედან ვრცელდებოდა ცილისწამებანი ეკლესიის დიდ მოძღვარზე – ბასილი დიდზე. არიოზის ერესს მხარს უჭერდა კონსტანტინეპოლიც, საიდანაც ცრუ სწავლება მეზობელ ქვეყნებში ვრცელდებოდა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთის ეკლესიის სამხრეთი ეპარქიები მეტწილად ნიკეის მიმართულების ღმრთისმეტყველების დამცველნი იყვნენ, რომელსაც შეიძლება ალექსანდრიული ვუწოდოთ, ხოლო ანტინიკეურს – ანტიოქიური, რომელსაც ჩრდილოეთის ეპარქიები იცავდნენ.

ახლა ისევ ნიკეის კრებას დავუბრუნდეთ და ის შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ აქტუალური საკითხებიც გავიხსენოთ, რომელიც მან გადაწყვიტა. მათგან უწინარესად აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის დროს დავასახელებდით. ზოგიერთი ეკლესია ქრისტიანულ აღდგომას ებრაელების პასექთან ერთად აღნიშნავდა. ამასთან დაკავშირებით, კრების მონაწილე მამებმა დაადგინეს, რომ აღდგომის დღესასწაული ყველა ეკლესიას ერთ-

დროულად, ალექსანდრიის ეკლესიის ტრადიციისამებრ, სახელდობრ, გაზაფხულზე, მთვარის აღვსების შემდეგ პირველ კვირა დღეს ეზეიმათ. ამის შემდეგ კრებამ განსაჯა მელეტი თებელი, რომელმაც ხელისუფლება უკანონოდ მიიტაცა და მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად გამოსცა ოცი წესი ანუ კანონი, რომელიც საეკლესიო კეთილმოწესეობას შეეხებოდა. ეს კანონები უფრო ნათლად, ვიდრე ეს მანამდე იყო, გამოხატავდა ეკლესიის მსახურთა უფლება-მოვალეობებს და ეკლესიის დამოკიდებულებას დაცემულთა, განკვეთილთა და ერეტიკოსთა მიმართ.

კრებაზე ზოგიერთმა ეპისკოპოსმა სამღვდელოების უქორწინებლობის საკითხი დასვა, მაგრამ მათ პასუხი თებაიდის ეპისკოპოსმა, მეუდაბნოე პაფნუტიმ გასცა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დაუქორწინებელი იყო, რადგან ყრმობიდანვე სკიტში იზრდებოდა და უბიწო ცხოვრებით დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული, მხარი ქორწინებას დაუჭირა. მან განაცხადა, რომ საკმარისი იქნებოდა, დაუქორწინებელნი დარჩენილიყვნენ ისინი, რომელნიც უკვე სასულიერო დასის წევრები იყვნენ, ხოლო უკვე ცოლოსანთ მეუღლეები არ უნდა დაეტოვებინათ. ქორწინების მხარდასაჭერად მან პავლე მოციქული მოიშველია, რომელიც ქორწინების პატიოსნებაზე ლაპარაკობს. მისი თვალსაზრისი კრებამაც გაიზიარა.[10]

კრების კანონებში ეკლესიის ისტორიაში პირველად გვხვდება დედაქალაქის ეპისკოპოსისთვის მიტროპოლიტის წოდების ფაქტი (ბერძნ. მეტროპოლის – დედაქალაქი). პირველი დედაქალაქების – რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიებს თანაბარი, მაგრამ სხვებზე აღმატებული უფლებები დაუმტკიცეს.

ნიკეის კრებაზე დადგენილების სახე მიეცა, აგრეთვე, ძველთაგან არსებულ წესებს – საეკლესიო კრების წელიწადში ორჯერ მოწვევისა და აღდგომისა და აღდგომიდან 50-ე დღემდე ფეხზე დგომით, მუხლმოდრეკის გარეშე ლოცვისა. რა თქმა უნდა, თითოეულ ზემოხსენებულ საკითხს ეკლესიის ყოფისათვის თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ყველაზე დიდი და არსებითი საქმე, რომელიც კრებამ გააკეთა, რწმენის სიმბოლოს მიღება იყო.

---

[10] იქვე, I, 11.

* * *

ნიკეის პირველი მსოფლიო კრება დაახლოებით ორთვენახევარს გაგრძელდა. მისი დახურვის შემდეგ კონსტანტინემ მონაწილენი მიიწვია და ეკლესიაში სიმშვიდისა და ერთსულოვნების შენარჩუნება გულით ითხოვა. მაგრამ თხოვნა თხოვნად დარჩა. როგორც აღვნიშნეთ, არიოზელებმა ჭეშმარიტების წინააღმდეგ კიდევ უფრო ორგანიზებული ბრძოლა გააჩაღეს, რომლის დროსაც მართლმორწმუნეთა დამცავ ფარსა და ზღუდეს ნიკეის მრწამსი წარმოადგენდა.

კონსტანტინეს დედა, ელენე დედოფალი უკვე კარგა ხანია ქრისტიანი იყო. მას დიდი სურვილი ჰქონდა მოენახულებინა ქვეყანა, სადაც იესო ქრისტემ, როგორც კაცმა, იცხოვრა და სადაც იგი ეწამა. ამიტომ პალესტინას მიაშურა. ამავე დროს, იმპერატორის დავალებით, იგი იმ ადგილებში, სადაც სახარებაში აღწერილი მოვლენები ხდებოდა, ეკლესიების აგებაზეც ზრუნავდა. წარმართებმა მღვიმე, რომელშიც ქრისტეს საფლავი იყო, მიწით ამოავსეს და მასზე საკერპო ააგეს; წარმართი ღმერთების გამოსახულებანი აღმართეს, აგრეთვე, გოლგოთაზე და ბეთლემის გამოქვაბულში. დედოფლის ბრძანებით, საკერპო დაანგრიეს, კერპები დაამხეს, ხოლო მღვიმე, რომელშიც ქრისტეს საფლავი იყო, გათხარეს და პირვანდელი სახე დაუბრუნეს. მის მახლობლად კონსტანტინე დიდმა ქრისტეს აღდგომის მოსახსენებლად ტაძარი ააგო და იერუსალიმის ეპისკოპოს მაკარისა და პალესტინის მმართველს მისწერა, რომ ტაძარი დიდებულად შეემკოთ.

იმპერატორმა ეკლესიების აგება ბრძანა, აგრეთვე, ელეონის (ზეთისხილის) მთაზე, ბეთლემის გამოქვაბულის თავზე და იმ ადგილას, სადაც მამბრეს მუხა იდგა და სადაც აბრაამს უფალი გამოეცხადა.

ელენე დედოფალს განსაკუთრებით იმ ჯვრის პოვნა ეწადა, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს. გულმოდგინე ძიებამ შედეგი გამოიღო და 326 წელს ჯვარი ნაპოვნი იქნა. დედოფალმა შვილს მხოლოდ ჯვრის ნაწილი და ლურსმნები წაუღო, ხოლო თვითონ ჯვარი, ვერცხლის ლუსკუმაში მოთავსებული, შესანახად და და-

საცავად იერუსალიმის ეკლესიას გადასცა.[11] ჩვეულებრივ იგი მხოლოდ დიდ ხუთშაბათს გამოჰქონდათ, რათა მორწმუნეებს მისი თაყვანისცემის საშუალება მისცემოდათ.

წმინდა ნინო. ქართლის მოქცევა

ამ პერიოდში ქრისტეს მოძღვრების ნათელი ჩვენს სამშობლოს, საქართველოსაც მოეფინა. მართალია, ქრისტიანობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში მაცხოვრის მოწაფეებმა ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს, მაგრამ იგი I-III საუკუნეებში, ისევე, როგორც რომის იმპერიაში, მთელი ერის კუთვნილებად და სახელმწიფო რელიგიად არ ქცეულა. ამიტომაც განუზომლად დიდია წმინდა ნინოს ღვაწლი, რომელმაც ჩვენი ერი წარმართობის წღვდიადიდან საბოლოოდ გამოიყვანა და ჭეშმარიტების გზაზე მტკიცედ დააყენა.

წმ. ნინო წარმოშობით კაპადოკიიდან იყო, ზაბულონისა და იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის დის, სოსანას ასული. როდესაც იგი 12 წლისა გახდა, მშობლებმა რაც ჰქონდათ, გაყიდეს და იერუსალიმში წავიდნენ. ზაბულონმა კურთხევა აიღო, ცოლ-შვილი დატოვა და სამოღვაწეოდ იორდანეს უდაბნოს მიაშურა, ხოლო მისი მეუღლე პატრიარქის კურთხევით გლახაკ და უძლურ დედათა მოვლას შეუდგა. ამ ღმრთის სათნო საქმეში დედას ნინოც ეხმარებოდა. ორი წლის განმავლობაში იგი ერთ სომეხ ქალს უვლიდა, რომლისგანაც შეიტყო, რომ როცა ჯვრიდან გარდამოხსნილი მაცხოვრის სამოსელზე წილი განიგდეს, მისი კვართი ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის დედაქალაქში, მცხეთაში მცხოვრებ ებრაელებს ერგო. ამ ნაამბობმა ქალწულს მცხეთაში წასვლის სურვილი აღუძრა. იგი ღმრთიმშობელს ევედრებოდა, განეგო „უმჯობესი სულისა მისისაჲ“.

დედა ღმრთისამ შეისმინა მისი ლოცვა-ვედრება და წმ. ნინო თავის წილხვდომილ ქვეყანაში მოციქულად განამზადა. ერთ ღამეს მას ძილში ყოვლადწმინდა ქალწული გამოეცხადა და ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაში წასვლა უბრძანა. ღმრთისმშობელმა მოკვეთა რტო ვაზისა, რომელიც მისი სარეცლის ზემოთ იყო,

[11] იქვე, I, 17.

ჯვარი გააკეთა, წმ. ნინოს გადასცა და უთხრა, რომ ის იქნებოდა მისი მცველი და წინააღმდგომთა ზედა ძლევის მიმნიჭებელი.

როცა წმ. ნინომ გაიღვიძა, ჯვარი მართლაც ხელში ეჭირა. იგი მაშინვე ბიძასთან გაეშურა და გამოცხადების შესახებ უამბო. პატრიარქმა დალოცა თავისი დისშვილი და მოციქულებრივი ღვაწლისთვის აკურთხა.

მცხეთისკენ მომავალმა წმ. ქალწულმა გრძელი და მძიმე განსაცდელებით აღსავსე გზა გამოიარა. ფარავნის ტბასთან მოსულს მწყემსები შეხვდა, რომელთაც მას მცხეთის გზა მიასწავლეს. დაღლილმა ქალწულმა ერთ ადგილას შეისვენა, სასთუმლად ქვა დაიდო და დაქანცულს ჩაეძინა. ძილში ნათლით მოსილი კაცი წარმოუდგა, რომელმაც ქართლის მეფის მირიანისათვის მისართმევად წიგნი უბოძა. იგი იესოს მიერ იყო ბეჭედდასმული.

ქართლის მკვიდრთა დიდ ნაწილს მოციქულთა ნაქადაგები სარწმუნოება დავიწყებული ჰქონდა და კერპებს სცემდა თაყვანს. მცხეთაში მოსული წმ. ნინო კერპების პატივსაცემად გამართულ დღესასწაულზე, რომლის დროსაც მათ ჩვილ ბავშვებს სწირავდნენ, უფალს კერპების ნაცრად და მტვრად გადაქცევას შეევედრა. ღმერთმა შეისმინა წმ. ქალწულის ვედრება, ჯერ ძლიერი ქარი ამოვარდა, ხოლო შემდეგ სეტყვა წამოვიდა და არმაზის, გაცისა და გაიმის კერპები ნამსხვრევებად აქცია. ამ სასწაულის შემდეგ წმ. ნინომ სამეფო ბაღის გარეთ მაყვლოვანში (დღევანდელი სამთავროს მონასტრის ეზო) დაიდო ბინა, აქ აღმართა ჯვარი ვაზისა, რომლის წინაშეც დღე და ღამე ლოცულობდა და მრავალ სასწაულს ახდენდა, მან მრავალი სნეული განკურნა და მოაქცია. ამასობაში მირიანის მეუღლე, ნანა დედოფალი მძიმე სნეულებამ შეიპყრო, რომლისგანაც იგი მხოლოდ წმ. ქალწულის ლოცვით განიკურნა. ამ სასწაულით გაკვირვებულმა დედოფალმა ქრისტე იწამა და მისი სარწმუნოების შესწავლას შეუდგა. იგი ქმარსაც ევედრებოდა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეულიყო, მაგრამ ამაოდ.

ზაფხულის ერთ შაბათ დღეს, ოც ივლისს მეფე მირიანი ამალასთან ერთად სანადიროდ გაემართა. როცა ისინი თხოთის მთაზე ავიდნენ, მეფეს თვალთ დაუბნელდა და კუნაპეტ სიბნელეში აღმოჩნდა. თანმხლები პირები გაიფანტნენ და იგი მარტო დარჩა; ასე

რომ, ისიც არ იცოდა, მთელი ქვეყანა დაიქცა და ნათელი ბნელით შეიცვალა, თუ მარტო მისთვის დაბნელდა. რადგან კერპებმა ვერ უშველეს, მეფემ გადაწყვიტა შემწეობა ჯვარცმული ღმერთისათვის ეთხოვა, რომელსაც წმ. ნინო ქადაგებდა და თქვა: ღმერთო ნინოისო, განმინათლე ღამე, მაჩვენე ქვეყანა ჩემი და შენს სახელს აღვიარებ, ჯვარს აღვმართავ, მას თაყვანს ვცემ, ავაშენებ სალოცავ სახლს და ნინოს სჯულის მორჩილი გავხდებიო. წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, მეფეს თვალის სინათლე დაუბრუნდა, ცხენიდან ჩამოვიდა, ქრისტე ღმერთს მადლობა შესწირა და აღუთქვა, რომ ამ ადგილზე მის სადიდებლად ჯვარს აღმართავდა.

მირიან მეფემ საბერძნეთში, იმპერატორ კონსტანტინესთან მოციქულები გააგზავნა. ქართლის მეფე კონსტანტინე დიდს მღვდლების გამოგზავნას სთხოვდა.

მირიანმა საბერძნეთიდან მღვდლების მოსვლამდე წმ. ნინოსთან ერთად სამეფო ბაღში ტაძრის აგება გადაწყვიტა. მშენებლებმა ბაღში მაღალი ნაძვები მოჭრეს და შვიდი სვეტი დაამზადეს, რომელთაგან ექვსი მაშინვე აღმართეს, მეშვიდეს კი ძვრაც ვერ უყვეს და მისი აღმართვა ვერაფრით შეძლეს. როცა დაღამდა, სვეტთან წმინდა ნინო და მისი თორმეტი მოწაფე დარჩა, რომელნიც მთელი ღამე ლოცულობდნენ. გათენებისას ზეციდან ნათლითმოსილი ჭაბუკი ჩამოვიდა ცეცხლოვანი მოსასხამით, წმ. ნინო მის წინაშე პირქვე დაეცა, ჭაბუკმა სვეტს ხელი შეახო და მაღლა წაიღო. მცირე ხნის შემდეგ „ხილვაჲ განსაკრთომელი“ იხილეს, სვეტი ცეცხლის სახით ჩამოვიდა ზეციდან და საიდანაც მოკვეთეს, იმ ძირიდან ათიოდე წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა.

ირიჟრაჟა თუ არა, მთელმა მცხეთამ იხილა ბაღიდან ამოსული ელვარე ნათელი, რომელიც ზეცას სწვდებოდა. ყველამ ბაღს მიაშურა, სადაც სასწაულის მომსწრენი გახდნენ: ბრწყინვალე სვეტი ზეციდან ჩამოვიდა და ისე, რომ კაცთაგან არავინ შეხებია, თავის ხარისხზე დადგა. ხალხი სიხარულისაგან ტიროდა და ერთმანეთს ულოცავდა. სვეტიცხოველმა მრავალი სასწაული მოახდინა და მრავალი განკურნა. მირიანმა ტაძრის მშენებლობა დააჩქარა და იგი „ფრიადითა ოქროჲთა, ვერცხლითა და ყოვლითა სამკაულით შეამკო“.

როცა კონსტანტინე დიდის წარმოგზავნილები საბერძნეთში დაბრუნდნენ, იმპერატორს ქართლში მომხდარი ამბები – ახალი ტაძრის აგება, სვეტიცხოვლის სასწაულები და ქართველთა გაქრისტიანება აუწყეს. გახარებულმა იმპერატორმა და დედოფალმა ელენემ ქართლში ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი გამოაგზავნეს, რომელთაც თან ჯვარი, მაცხოვრის ხატი, შესაწირი და წერილები გამოატანეს.

მირიანმა ბრძანება გასცა, რომ მის სამეფოში ყველა ქრისტეს სჯულზე მონათლულიყო. მეფემ ქვეშევრდომებს მაგალითი მისცა და პირველად ის და მისი ოჯახი მოინათლა. ამის შემდეგ მდინარე მტკვარი აკურთხეს და ხიდთან დიდებულები მოინათლნენ; ამიტომ ამ ადგილს მთავართა სანათლო ეწოდა. მდინარეში გაინათლა ხალხიც. ნათლისღებაზე უარი მხოლოდ ებრაელებმა და მთიელებმა თქვეს.

მირიან მეფემ იოანე ეპისკოპოსს საბერძნეთში ქართველი დიდებულებიც გააყოლა და კონსტანტინე დიდთან წერილიც გაატანა, რომელშიც იმპერატორისაგან ელენე დედოფლის მიერ ნაპოვნი უფლის ცხოველსმყოფელი ჯვრის ნაწილს და ხალხის გასანათლად და ეკლესიების ასაშენებლად მღვდლებსა და ხუროთმოძღვრებს ითხოვდა. კონსტანტინე დიდმა არა მხოლოდ თხოვნა შეუსრულა ქართლის მეფეს, არამედ ის ლურსმნებიც გამოუგზავნა, რომლითაც უფალს ფეხები ჰქონდა მიმსჭვალული. აქედან მოყოლებული ამ უდიდეს სიწმინდეთ, რომელიც ქართველ ხალხს ღმრთის წყალობით კონსტანტინე დიდისაგან ებოძა, ქართული ეკლესია მოკრძალებით იცავს და მათი თაყვანისცემის საშუალებას მორწმუნეებსაც აძლევს.

სვეტიცხოვლის აშენების შემდეგ წმინდა ნინომ ქრისტიანობა მთიელებსაც უქადაგა, შემდეგ კახეთში გადავიდა, სადაც მისი ქადაგება ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ სიხარულით შეიწყნარეს. როცა მოციქულთა სწორმა თავისი ღვაწლი სრულყო, სულიწმიდისაგან ამ სოფლიდან გასვლის ნიშანი მიეცა. წმ. ნინოს გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია, მისი ნეშტის თაყვანსაცემად ურიცხვი ხალხი დაიძრა ბოდისაკენ. მირიან მეფემ წმინდანის მცხეთაში გადასვენება და სვეტიცხოვლის მახლობლად დაკრძალვა გადაწყვიტა,

მაგრამ როცა ნეშტს ძვრაც ვერ უყვეს, მაშინ მიხვდნენ, რომ ბოდს დაკრძალვა თვით მოციქულთა სწორის სურვილი იყო.

მირიან მეფემ წმინდანის საფლავზე დიდი ეკლესია ააშენა, ყოვლითა სამკაულითა შეამკო და დიდძალი შესაწირავიც შესწირა.

ქართველი ხალხი უდიდესი მოკრძალებითა და სიყვარულით იხსენებს მოციქულთა სწორ ქალწულს, რომელმაც იგი უმეცრების წყვდიადიდან გამოიყვანა და ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე დააყენა და ღმრთის წინაშე განსაკუთრებულ მფარველად და მეოხად მიიჩნევს.

თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ნინოს ცხოვრებაში“ გადმოცემულ იბერიის გაქრისტიანების ფაქტს[12] უცხოელი ავტორებიც ადასტურებენ, რომელთაგან უწინარესად გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი და სოზომენე უნდა დავასახელოთ.[13] აქვე შევნიშნავთ, რომ ქართულ ეკლესიაში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა, ქართველ მეცნიერთა კვლევა-ძიებანიც ადასტურებენ.[14]

ქრისტიანობის გავრცელება ეთიოპიასა და ტავრისში

კონსტანტინე დიდის მეფობის პერიოდში გაქრისტიანდა ეთიოპია ანუ აბისინია. ამ მხარის განმანათლებლად ფრუმენტიოსი და ევსევი ითვლებიან. მე-4 საუკუნის დასაწყისში, ისინი ჯერ კიდევ ყრმანი, ტჳროსელ სწავლულ მირონსა და სხვებთან ერთად ეთიოპიაში გაემგზავრნენ. მოგზაურებს გზაში ბარბაროსები დაესხნენ თავს და ამ ორი ყრმის გარდა ყველანი ამოხოცეს. ისინი მეფეს წარუდგინეს, რომელმაც ახალგაზრდები გულით შეიყვარა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა იგი გარდაიცვალა, ქვრივმა დედოფალმა თავისი შვილები აღსაზრდელად ფრუმენტიოსსა და ევსევის მიაბა-

[12] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1964, წ. III, თბ., 1971.

[13] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I. ტექსტები თარგმნეს და გამოსცეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.

[14] ნ. ლომოური, ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში, თბ., სსგ, 2009.

რა. იყვნენ თუ არა ისინი ყრმობიდანვე ქრისტიანები, ეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ვიცით, რომ არა მარტო ქვეყანაში მცხოვრებ ქრისტიანებთან ჰქონდათ ახლო ურთიერთობა, არამედ მფარველობდნენ ყველა ქრისტიანს, რომელიც კი ამ მხარეში სავაჭრო ან სხვა მიზნით მოვიდოდა. როცა ტახტის მემკვიდრე სრულწლოვანი გახდა, საქმეები მას გადააბარეს, ხოლო თვითონ სამშობლოში დაბრუნდნენ: ფრუმენტიოსი – ალექსანდრიაში, ევსევი – ტჳროსში. ფრუმენტიოსმა წმ. ათანასე ალექსანდრიელს ეთიოპიაში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ უამბო და იქაური სამწყსოსათვის ეპისკოპოსის გაგზავნა სთხოვა. ათანასე დიდმა ჯერ მოუსმინა, მერე კი ეპისკოპოსებს ჰკითხა: „სად ვიპოვით სხვას, რომელიც, როგორც ეს კაცი, სულიწმიდით იქნება აღვსილი?“ და ფრუმენტიოსს აბისინიის ეპისკოპოსად დაასხა ხელნი. ფრუმენტიოსმა თავისი კათედრა ქალაქ აკსუმში განამტკიცა, საიდანაც სახარების ნათელი მალე მთელ ამ მხარეს მოეფინა. მართალია, როგორც გადმოცემით ვიცით, ამ შორეულ ქვეყანაში თავდაპირველად ქრისტიანობა მოციქულებმა მათემ და თომამ იქადაგეს, მაგრამ, რადგანაც მოსახლეობას ქრისტიანებთან ურთიერთობა იშვიათად ან საერთოდ არ უხდებოდა, ახალმა სარწმუნოებამ აქ გავრცელება ვერ ჰპოვა. ამიტომ ეთიოპიის განმანათლებლად ფრუმენტიოსი ითვლება, რომელსაც ეკლესია 30 ნოემბერს იხსენიებს.

კონსტანტინე დიდის დროს გავრცელდა, აგრეთვე, ქრისტიანობა ტავრისის (დღევანდელი ყირიმის) ნახევარკუნძულზე, თუმცა ახალი მოძღვრება იქ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ჯერ ანდრია პირველწოდებულმა, ხოლო შემდეგ წმ. კლემენტიმ იქადაგეს, რომელიც ხერსონესზე გადასახლების შედეგად აღმოჩნდა. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ტავრისის ხერსონესში ქრისტიანობა არ გავრცელდა, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა უნდა ყოფილიყო, სახელდობრ, აქ მრავლად ცხოვრობდნენ ებრაელები, რომლებიც წარმართებს ქრისტიანების დევნისა და შევიწროვებისაკენ აქეზებდნენ. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის ქადაგება ამ მხარეში არ შეწყვეტილა. ამგვარ უშიშარ მქადაგებლებს – ეფრემს, ბასილის, ევგენიოსს, ელპიდის, აგათოპოდეს, ეთერიოსსა და კაპიტონს ეკლესია 7 მარტს იხსენიებს. გადმოცემა ამბობს,

რომ, როცა წარმართებმა კაპიტონისაგან სასწაული მოითხოვეს, იგი გაბედულად შევიდა ცეცხლში და დიდხანს ლოცულობდა იქ უვნებლად. ამ სასწაულის მხილველებმა ირწმუნეს, რომ კაპიტონი თაყვანს ჭეშმარიტ ღმერთს სცემდა. წმ. კაპიტონი რამდენიმე წლის განმავლობაში ხერსონესის – ტავრისის ნახევარკუნძულის მთავარი ქალაქის ეპისკოპოსი იყო, რომელიც სევასტოპოლის მახლობლად მდებარეობდა. აქედან მოყოლებული ხერსონესის პროვინციის ეპისკოპოსები ყოველთვის მონაწილეობდნენ კრებებში და დადგენილებებსაც ხელს აწერდნენ.

მრავალი ქრისტიანი იყო ამ დროისათვის სპარსეთშიც. სპარსეთის მეფე საპორი მოწადინებული იყო მეგობრული კავშირი დაემყარებინა კონსტანტინესთან და ამ მიზნით ელჩობაც კი გაუგზავნა. იმპერატორმა მისი კეთილგანწყობით ისარგებლა და საპორს სპარსეთში ქრისტიანებისათვის მფარველობის გაწევა წერილობით სთხოვა.

კონსტანტინეპოლის დაარსება

კონსტანტინე დიდის დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიის მიმართ, რა თქმა უნდა, წარმართების აღშფოთებას იწვევდა. ყველაზე ნათლად ეს რომში შეიმჩნეოდა, რადგან იქაურები წარმართობას რომის ძველ დიდებასთან აიგივებდნენ, რომელიც ამ დროისათვის იმპერიის დედაქალაქს უკვე დაკარგული ჰქონდა. მან სატახტო ქალაქის ფუნქციაც დაკარგა, რადგან დასავლეთის იმპერატორები საცხოვრებლად მილანს ამჯობინებდნენ, ხოლო აღმოსავლეთის – ნიკომედეას. ამ უსიამოვნო მოვლენათა და დედაქალაქის პატივის შელახვის მიზეზად რომაელები ახალ რელიგიას მიიჩნევდნენ. და აქედან გამომდინარე, ცხადია, არც კონსტანტინე უყვარდათ. იმპერატორმა ეს იცოდა და რომს იშვიათად სტუმრობდა. ამანაც შეუწყო ხელი იმას, რომ იმპერატორს ახალი დედაქალაქის დაარსებაზე ეფიქრა, რომელსაც წარმართული წარსული, დაკავშირებული სისხლიან სანახაობებსა და სხვა სახის უზნეობასთან, არ ექნებოდა. ახალი დედაქალაქისათვის ადგილი მან ბოსფორის ნაპირას, ბორცვებიან ნახევარკუნძულზე შეარ-

ჩია, სადაც ადრე მეგარის კოლონიის პატარა დაბა ბიზანტიონი მდებარეობდა. 324-330 წლებში აქ აშენდა ქალაქი, რომელსაც მისი დამაარსებლის სახელი – კონსტანტინეპოლისი ეწოდა და რომელმაც შემდეგ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის კულტურულ-პოლიტიკური დაწინაურების საქმეში. უწინარესად, აიგო რამდენიმე ეკლესია, მათ შორის წმ. სოფიის ტაძარი – ღმრთის სიბრძნის სახელზე. იმპერატორმა ნაცვლად კოლიზეუმისა, სადაც სისხლიანი სანახაობანი იმართებოდა, უზარმაზარი ჰიპოდრომი ააშენებინა. მართალია, ქალაქის მშენებლობა 330 წლის შემდეგაც კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ ძირითადი ნაწილი ქალაქის, კერძოდ, იმპერატორის სასახლის მნიშვნელოვანი ნაწილი, შენობა სენატის სხდომებისათვის, ახალი ფორუმი საზოგადოებრივი კრებების გასამართავად, ცენტრალური ქუჩა დამშვენებული შადრევნებით და აბანოებით, სხვა ზემოდასახელებულ ნაგებობებთან ერთად, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, დასახელებულ წლებში აშენდა.

რა თქმა უნდა, კონსტანტინე დიდმა ქრისტიანულ დედაქალაქში სისხლიანი სანახაობანი აკრძალა, ხოლო კერპთა ქანდაკებები ტაძრებიდან გამოატანინა და ქალაქის შესამკობად მოედნებზე დაადგმევინა.[15] კონსტანტინეპოლისი, რომელიც ღმრთისმშობლისადმი იყო მიძღვნილი, 330 წლის 11 მაისს საზეიმოდ ეკურთხა. მას სამეფო ქალაქსა და ახალ რომსაც უწოდებდნენ.

V საუკუნეში, იმპერატორ თეოდოსის დროს, კონსტანტინე დიდის აგებულ თავდაცვის ნაგებობას – ძველ კედლებს, ახალიც მიემატა და ორივემ ერთად ქალაქის 16 კმ-ზე გადაჭიმული საიმედო სარტყელი შექმნა, რომელიც 400 კოშკით იყო გამაგრებული. დედაქალაქს გარს ერტყა 10 მ სიღრმისა და 20 მ სიგანის წყლით სავსე არხი. შემდეგ იყო პირველი კედელი – პროტეიხიზმი, მას მეორე, სიგანით 2-3 მ, ხოლო სიმაღლით – 20 მ კედელი მოჰყვებოდა, შემდეგ კი მესამე კედელი მოდიოდა, რომლის საფუძველიც მიწის სიღრმეში 10-12 მ სიღრმეზე იყო გათხრილი. ასე რომ, მიწისქვეშა გვირაბის გათხრა ქალაქში შესასვლელად თითქმის შეუძლებელი იყო. ქალაქს ხუთი, კოშკებით დაცული და ხუთიც

[15] **Сократ Схоластик, Церковная история, I, 16.**

სამხედრო ჭიშკარი ჰქონდა. 25 წლის შემდეგ დასრულდა კონსტანტინეპოლის დამცველი კედლების მშენებლობა ზღვის მხრიდანაც.

ახალი ქალაქი დაარსების დღიდანვე იქცა რომის იმპერიის „ბერძნული აღმოსავლეთის“ კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრად, ხოლო რომი „ლათინური დასავლეთის“ ცენტრად დარჩა.

გულწრფელად ზრუნავდა რა ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცებისათვის, კონსტანტინემ სასწავლებლები დააარსა, ხელს უწყობდა წმინდა წერილის ხელნაწერთა გადაწერა-გავრცელებას, გულუხვად ეხმარებოდა ეკლესიათა მშენებლობას; ამასთან, ბრძანა, დაენგრიათ რამდენიმე საკერპო ბომონი, სადაც უზნეო ადათები სრულდებოდა, ეხმარებოდა გაჭირვებულებს, მოსახლეობას შეუმსუბუქა გადასახადები, ხელს უწყობდა მონების განთავისუფლებას, კვირა დღეს სასამართლოების გამართვა, ვალის მოთხოვნა და სანახაობანი აკრძალა. კვირა დღეს მხოლოდ ერთი სამოქალაქო საქმის გაკეთება იყო ნებადართული – მონების განთავისუფლება, მაგრამ მეტწილად ამას ეკლესიაში, ეპისკოპოსების თანდასწრებით აკეთებდნენ. მშვიდობიან დროს მეფის სასახლეში ხშირად იკრიბებოდნენ სახარების მოსასმენად, ხოლო ლაშქრობისას თან ჭრელი ქსოვილისაგან შექმნილ, ფორმით ეკლესიის მსგავს, კარავს დაატარებდა;[16] იმპერატორს ძალიან უყვარდა საუბარი წმინდა წერილზე, უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა ეპისკოპოსებს და ხშირად მათ რჩევის მისაღებადაც მიმართავდა.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვნახეთ, იგი არა მხოლოდ თეორიულად აღიარებდა ქრისტიანული რელიგიის ჭეშმარიტებას, არამედ ქრისტიანული ზნეობით ცხოვრებისკენაც გულწრფელად ისწრაფოდა, ეკლესიასთან წმინდა ნათლისღებით შეერთებას მაინც არ ჩქარობდა და მხოლოდ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოინათლა. ამ, ერთი შეხედვით, უცნაური ფაქტის ასახსნელად მკვლევარები სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. ზოგიერთი ისტორიკოსი ამას იმით ხსნის, რომ რომის იმპერატორისათვის, წარმართობასთან ოფიციალურად ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა, ძნელი, თითქმის შეუძლებელიც კი იყო, რადგან ქვეშევრდომთა უდიდესი ნაწილი წარმართი იყო და იმპერიის ძველ დიდებას ღმერთების

[16] იქვე, I, 18.

თაყვანისცემას განუყრელად უკავშირებდა. ზოგიერთის აზრით, კონსტანტინემ, უბრალოდ, ნათლობის მრავალი წლით გადადების ჩვეულება დაიცვა, რომელიც არა მხოლოდ მის დროს, არამედ შემდეგაც საკმაოდ გავრცელებული იყო. თუ ერთნი საკუთარი ცოდვების შეგნებით იქცეოდნენ ასე, რათა მათი გამოსყიდვისათვის დრო ჰქონოდათ, მეორენი ადვილად ვერ თმობდნენ ძველ ცხოვრებას და ვერ გადადიოდნენ ახალში, მით უმეტეს, რომ ეკლესია იმ ცოდვების მიმართ, რომელიც ნათლობის შემდეგ იქნებოდა ჩადენილი, სიმკაცრეს იჩენდა. აქედან გამომდინარე, ბევრი საერთოდ სიკვდილის წინ მონათვლას ამჯობინებდა, რათა ღმრთის სამსჯავროს წინაშე სუფთა წარმდგარიყო.

ვფიქრობთ, კონსტანტინე დიდის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ანალიზი მტკიცე საფუძველს იძლევა იმ თვალსაზრისისათვის მხარდასაჭერად, რომლის მიხედვითაც იმპერატორის გვიან მონათვლის მიზეზი სინდისის ქენჯნა და ჩადენილი ცოდვების ნათლობამდე გამოსყიდვის სურვილი იყო. ამ შეხედულებას ადვილად გავიზიარებთ, თუ წარმოვიდგენთ, რა მძიმე ტვირთად დააწვებოდა იმპერატორის სინდისს ცოდვა, რომელიც მან მაშინ ჩაიდინა, როცა თავისი ვაჟი კრისპე სიკვდილით დაასჯევინა. ეს ნიკეის კრების შემდეგ მოხდა. იმპერატორის ცოლმა ფავსტამ თავის ახალგაზრდა გერს, კრისპეს ცილი დასწამა და მეუღლეს საქმე ისე წარმოუჩინა, რომ მეფეს შვილის დასჯა უმაღლესი მართლმსაჯულების აღსრულებად მოჩვენებოდა. შემდეგში კონსტანტინემ შეიტყო, რომ კრისპე უდანაშაულო იყო და თავის უბედურებას სიკვდილამდე დასტიროდა. ცოტათი რომ მაინც გამოესყიდა თავისი შეცოდება, მან კრისპეს ძეგლი დაადგმევინა და მასზე გაკეთებულ წარწერაში თავისი ცოდვა საჯაროდ აღიარა: „უდანაშაულოდ დასჯილ შვილს მამისაგან“. ამიტომ არაფერია იმაში გასაკვირი და დაუჯერებელი, რომ ამ დანაშაულის შემდეგ თავს ღირსად არ თვლიდა ქრისტიანის სახელი ეტარებინა. ამას გვიდასტურებს ისიც, რომ იგი ცოდვის გამოსყიდვას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც ცდილობდა, მაგალითად, აქედან მოყოლებული დამნაშავეთა დასჯის დროს მეფე უკიდურეს სიფრთხილეს იჩენდა. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ბევრი იმპერატორს უკვე ზედმეტი გულმოწყალების გამო

საყვედურობდა. იმის შიშით, რომ უდანაშაულოდ კიდევ ვინმე არ დაესაჯა, კონსტანტინე პირად შეურაცხყოფას სიამოვნებით პატიობდა. ერთხელ, ამბოხების დროს, როცა ხალხმა იმპერატორის ქანდაკებას ქვები დაუშინა, მას დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვეს. პასუხად მეფემ ხელი სახეზე მოისვა და თქვა: „მაგრამ მე ტკივილს ვერ ვგრძნობო“ და ყველას შეუნდო.

კონსტანტინე დიდს წრფელი და მიმნდობი გული ჰქონდა, რასაც ბევრი ანგარებისმოყვარე თავისი პირადი მიზნებისათვის იყენებდა. იცოდნენ რა, როგორ უყვარდა მეფეს ქრისტიანული რელიგია, მისი კეთილგანწყობისა და ნდობის მოსაპოვებლად თავს თავგადაკლულ ქრისტიანებად აჩვენებდნენ; რა თქმა უნდა, ასე არა მართლმორწმუნენი, არამედ არიოზელები იქცეოდნენ. ამიტომ სასახლის კარზე გავლენა თანდათანობით მათ მოიპოვეს, ხოლო კონსტანტინეს მეფობის ბოლო წლებში ძალიან გაძლიერდნენ.

წმინდა ათანასე დიდი

დედის, ელენე დედოფლის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინე ძალიან დაუახლოვდა თავის დას, კონსტანციას, რომელიც არიოზელების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა კონსტანციამ დაარწმუნა ძმა, რომ არიოზი უსამართლოდ იყო დასჯილი და გადასახლებიდან მისი დაბრუნება იყო საჭირო. გადასახლებიდან დააბრუნეს არიოზის განდევნილი მომხრეებიც: ევსევი ნიკომედიელი და თეოგნოსტე ნიკეელი. იმპერატორის და საზოგადოების დასანახად მათ ცრუ მოძღვრება უარყვეს, სინამდვილეში არიოზელებს ფარულად მფარველობდნენ. ევსევი ნიკომედიელმა, რომელსაც ცბიერებისა და ვერაგობის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა, მეფის ნდობის მოპოვება შეძლო. ასევე გადასახლებიდან დაბრუნებულმა არიოზმა კონსტანტინე დიდი დაარწმუნა, რომ გონს მოვიდა და თავისი ცდომილებანი უარყო. კონსტანტინემ, რომელიც ეკლესიაში ერთსულოვნების დამყარებისათვის გულწრფელად ზრუნავდა, მისი „მოქცევით“ ძალიან გაიხარა და წმ. ათანასეს მისი ალექსანდრიის ეკლესიაში კვლავ მიღება სთხოვა. წმ. ათანასე კარგად იცნობდა არიოზს, ამი-

ტომ მეფეს უარი უთხრა. არიოზის მიღება აღარც კონსტანტინეს დაუძალებია, რადგან ათანასეს დიდ პატივს სცემდა. მაშინ არიოზელმა ეპისკოპოსებმა, რომლებიც მიხვდნენ, რომ წმ. ათანასეს სახით მუდმივი მამხილებელი ეყოლებოდათ, მისი დაღუპვა გადაწყვიტეს. ამასთან, რა თქმა უნდა, არც სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსები დავიწყებიათ, რომელთაგან ერთ-ერთი საყოველთაო პატივისცემით გარემოცული ევსტათი ანტიოქიელი იყო. ორივე ევსევი და რამდენიმე მათი მომხრე ეპისკოპოსი ანტიოქიაში ჩავიდა, ევსტათიმ ისინი გულთბილად მიიღო, ისე რომ, ეჭვიც კი არ გასჩენია. უცბად მათ მოიწვიეს კრება და ევსტათი უზნეობასა და ერესისაკენ მიდრეკილებაში დაადანაშაულეს. მოტყუებულმა ხალხმა მისი ჩამოგდება მოითხოვა. წმ. ეპისკოპოსი განკვეთეს და რამდენიმე ხუცესსა და დიაკვანთან ერთად თრაკიაში გადაასახლეს. წმ. ევსტათიმ მრავალი ტანჯვა დაითმინა და 345 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა. იგივე ბედი ეწია რამდენიმე სხვა მართლმადიდებელ ეპისკოპოსსაც. მაგრამ არიოზელები ვერ ისვენებდნენ, სანამ ათანასე ეპისკოპოსის ტახტზე ეგულებოდათ. ალექსანდრიის ეპისკოპოსი ასზე მეტ ეპარქიას ზედამხედველობდა და მთელი სამღვდელოება მისი ერთგული იყო. არიოზელები მელეტის მიმდევრებს დაუკავშირდნენ და ათანასე სასულიერო პირებისადმი მკაცრ მოპყრობასა და უკანონო შემოსავლების აღებაში დაადანაშაულეს. ალექსანდრიის დიდმა ეპისკოპოსმა იმპერატორის წინაშე თავი ადვილად გაიმართლა. მეფემ იგი დიდი პატივით გაისტუმრა. „ის ღმრთის კაცია, ცილი შურის გამო დასწამეს და თავის ბრალმდებლებზე მაღლა აღმოჩნდა“, – ამბობდა კონსტანტინე.

ათანასეს ერეტიკოსობაში კონსტანტინეს ვერ დააჯერებდნენ. ეს არიოზელებმა კარგად იცოდნენ, რადგან იმპერატორი ნიკეის კრების მრწამსს უჭერდა მხარს. ამიტომ ახლა ცილი დასწამეს, რომ იგი თითქოს მეფის მტრებთან იყო დაკავშირებული და მკრეხელობაში დასდეს ბრალი. შეთხზეს ჭორი, თითქოს მან მელეტის მიმდევარი ერთი ეპისკოპოსი არსენი მოაკვლევინა, მანამდე კი ის ხელი მოკვეთა, რომლითაც თითქოსდა მკრეხელობას სჩადიო-

და.[17] დახელოვნებულმა ცილისმწამებლებმა კონსტანტინე დაარწმუნეს, რომ ათანასეს განსასჯელად კრება მოეწვია ჯერ კესარიაში, შემდეგ ტჳროსში. კრების მონაწილეთა დიდ ნაწილს მისი მტრები წარმოადგენდა, მაგრამ ისეთი ეპისკოპოსებიც აღმოჩნდნენ, რომელნიც ათანასეს მხარდაჭერას არ შეუშინდნენ. აღმსარებელმა პოტამონმა, რომელმაც დევნის პერიოდში დიდი ტანჯვა გადაიტანა, როცა კრების მონაწილეთა შორის ევსევი კესარიელი დაინახა, თავისი აღშფოთება ვერ დაფარა: „უდანაშაულო ათანასე შენ უნდა გაასამართლო?“ – მიმართა მან ევსევის. – „დევნის ჟამს ჩვენ ერთად ვიყავით საპყრობილეში: მე ჭეშმარიტებისათვის თვალი დავკარგე, შენი ჭრილობები სადღაა და როგორ გამოხვედი საპყრობილიდან?“

ამბობდნენ, რომ ევსევიმ თავის გადასარჩენად მსხვერპლშეწირვა აღასრულა. შერცხვენილმა ევსევი კესარიელმა პასუხი ვერ გასცა და კრება დატოვა. მეორე აღმსარებელმა, სახელოვანმა პაფნუტიმ, როცა კრებაზე მაქსიმე იერუსალიმელი დაინახა, უთხრა: „ჩვენ ერთად ვიტანჯებოდით ჭეშმარიტებისათვის. შეგვეფერება კი ჩვენ ბიწიერთა ბჭობაში მონაწილეობის მიღება?“ და კრება ორივემ დატოვა.

ათანასეს მტრები მიზნის მისაღწევად დიდხანს ამაოდ იბრძოდნენ, რადგან იგი უსამართლო საყვედურებს ადვილად იგერიებდა. მხოლოდ ერთი ბრალდება შერჩა შედარებით დიდხანს: ეს იყო მოკვლა ეპისკოპოსი არსენისა, რომელსაც, რადგან არიოზელები გულმოდგინედ მალავდნენ, ვერსად ვერ პოულობდნენ. მხოლოდ ორი წლის შემდეგ ნახა იგი ტჳროსში ათანასეს რამდენიმე მეგობარმა. არსენი შეეცადა მიმალულიყო, მაგრამ რადგანაც ტჳროსის ეპისკოპოსი იცნობდა, ვეღარ მოახერხა. სწორედ ამ პერიოდში ათანასეს განსასჯელად ტჳროსში ახალი კრება მიმდინარეობდა. ამ კრებაზე მისმა მტრებმა, როგორც უტყუარი საბუთი, მოკვეთილი გამხმარი მარჯვენა მოიტანეს, რომელიც თითქოს ეპისკოპოსის სახლში იპოვნეს. მაშინ ათანასემ ნიშანი მისცა და დარბაზში თავიდან ფეხებამდე მანტიაში გახვეული კაცი შემოიყვანეს. ათანასემ იკითხა: დარბაზში იყვნენ თუ არა ისეთები,

[17] იქვე, I, 27.

რომლებიც ეპისკოპოს არსენს იცნობდნენ; როცა თანხმობა მიიღო, უცნობს მანტია სახიდან გადაუწია და კვლავ იკითხა: იყო თუ არა ეს ის არსენი, რომელიც მან მოკლა და რომელსაც ხელი მოკვეთა? შემდეგ მანტია ჯერ ერთ მხარეს, შემდეგ მეორე მხარეს ჩამოხსნა და მშვიდად თქვა, რომ, როგორც ხედავდნენ, არსენს ორივე ხელი ჰქონდა, ხოლო საიდან იყო მოკვეთილი მესამე, დაე, ბრალმდებლებს ეთქვათ.[18] ათანასეს მტრები ისე გაცოფდნენ, რომ კინაღამ არ დაახრჩვეს. იგი მეფის მოხელემ გადაარჩინა.

რა თქმა უნდა, დიდი ეპისკოპოსის მტრობაზე მათ არც ამის შემდეგ აუღიათ ხელი. ამჯერად ეგვიპტეში მისი საქმიანობის შესასწავლად კომისია შეადგინეს, რომლის წევრებიც მხოლოდ ათანასეს მტრები იყვნენ. ეგვიპტელი ეპისკოპოსები ამაოდ ამხელდნენ კომისიის წევრთა უსამართლობასა და მიკერძოებულობას, ალექსანდრიის სამღვდელოებამ ამაოდ წარუდგინა მათ თავისი ეპისკოპოსის სიმართლის დამამტკიცებელი საბუთები. კომისიამ ეს საბუთები გადამალა და ცრუ ბრალდებების დამოწმებას მუქარით მოითხოვდა. დარწმუნდა რა, რომ სამართლიანი სამსჯავროს იმედი არ უნდა ჰქონოდა, ათანასემ ფარულად დატოვა ტ̃როსი და კონსტანტინეპოლში ჩავიდა. ერთხელ, როცა კონსტანტინე ცხენზე ამხედრებული მიდიოდა თავისი ახალი დედაქალაქის ქუჩებში, ვიღაცამ მის ცხენს აღვირში მოჰკიდა ხელი და გააჩერა. ეს ათანასე იყო. „მე სამართალს ვითხოვ, უთხრა მან მეფეს; ღმერთი იქნება მსაჯული ჩვენს შორის, უკეთუ შენ მრავალ ცილისმწამებელს დაუჯერებ“. თავდაპირველად იმპერატორი განრისხდა და გზის გაგრძელება მოინდომა, მაგრამ ეპისკოპოსმა უთხრა: „მე მხოლოდ ერთს მოვითხოვ, ჩემს ბრალმდებლებს დაუძახო და მოუსმინო“. კონსტანტინემ მიიჩნია, რომ ეს მოთხოვნა სამართლიანი იყო. არიოზელები, მათ შორის ორივე ევსევი, ნიკომედიელიცა და კესარიელიც კონსტანტინეპოლში ჩავიდნენ. ვერაგი ერეტიკოსები მიხვდნენ, რომ მათ მიერ შეთხზული ბრალდებანი არადამაჯერებლად გამოიყურებოდა, ამიტომაც სასწრაფოდ შეთხზეს ახალი, თანაც იმგვარი, რომელსაც იმპერატორის რისხვა აუცილებლად უნდა გამოეწვია. მათ კონსტანტინე დაარწმუნეს, რომ ათანასე,

[18] იქვე, I, 29.

სარგებლობდა რა უდიდესი ძალაუფლებით ალექსანდრიაში, იმუქრებოდა, რომ ახალი დედაქალაქისათვის ხორბლის გაგზავნას შეაჩერებდა. საქმე ის იყო, რომ დედაქალაქს პურით მხოლოდ ეგვიპტე ამარაგებდა. მანამდე, ცოტა ხნით ადრე, ფილოსოფოსი სოსიპატრე დასაჯეს. მას ბრალად დასდეს ჯადოქრობით დაჭერა ზურგქარისა, რომელიც აუცილებელი იყო, რათა ეგვიპტის ხორბლით დატვირთული ხომალდები ალექსანდრიიდან კონსტანტინეპოლს მისდგომოდნენ. ცბიერი ერეტიკოსების ვარაუდმა გაამართლა, ამ ცილისწამებამ გაჭრა და ათანასე გალიაში, ქალაქ ტრირში გადაასახლეს.[19] როგორც ჩანს, კონსტანტინეს გულის სიღრმეში აწუხებდა ეჭვი, სწორი იყო თუ არა გამოტანილი განაჩენი, ამიტომ არ დათანხმდა, რომ იგი ალექსანდრიის საეპისკოპოსო ტახტზე სხვა ვინმეს შეეცვალა. ეკლესიის ისტორიის მკვლევარნი სხვაგვარადაც ფიქრობენ, სახელდობრ, გადასახლება წმინდა ეპისკოპოსის გადასარჩენად ერთადერთი გზა იყო, რადგან მტრები მას აუცილებლად მოწამლავდნენ. გადასახლებული ათანასე ტრირში დიდი პატივით მიიღეს, კერძოდ, იმპერატორის უფროსი ვაჟი კონსტანტინე, რომელიც გალიას მართავდა, ყოველმხრივ ცდილობდა, რომ მწყემსმთავრისათვის გადასახლებით გამოწვეული სევდა შეემსუბუქებინა.

არიოზელები გამარჯვებას ზეიმობდნენ, მოურიდებელი მამხილებელი მათი ცრუ სწავლებებისა შორს ეგულებოდათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეპისკოპოსებმა, რომელნიც იერუსალიმში აღდგომის ტაძრის საკურთხევლად ჩავიდნენ, არიოზი ეკლესიის ერთობაში დააბრუნეს. ამ გადაწყვეტილებით გულმოცემული ერეტიკოსი ალექსანდრიაში ჩავიდა, მაგრამ ალექსანდრიის ეკლესიამ იგი არა თუ მიიღო, არამედ საშინელი აღშფოთება გამოხატა და მისმა გამოჩენამ სახალხო მღელვარება გამოიწვია. მაშინ კონსტანტინე დიდმა არიოზი დედაქალაქში გამოიძახა და ეპისკოპოსი ალექსანდრეს თანდასწრებით თავისი ცრუსწავლების მეორედ დაგმობა სთხოვა. ცბიერმა არიოზმა, რომელსაც სინდისი უკვე დამწვარი ჰქონდა და სიტყვა მისთვის აღარაფერს ნიშნავდა, ამჯერადაც დათმო. ერეტიკოსი მეფის მეორე მოთხოვნასაც დაეთანხმა და ნიკეის კრების

[19] იქვე, I, 35.

მრწამსს ხელი მოაწერა. კონსტანტინე არც ამას დასჯერდა და მისგან ხელმოწერის ფიცით დადასტურება მოითხოვა: „დაიფიცე, რომ შენ ასე გწამს“. „ვფიცავ, რომ მწამს იმისა, რაც დავწერე“, – უპასუხა ვერაგმა მწვალებელმა და პასუხის დროს თავისი დაწერილი იგულისხმა. მაშინ კონსტანტინემ ეპისკოპოს ალექსანდრეს არიოზის ეკლესიაში მიღება უბრძანა. ამ ბრძანებამ წმინდა მღვდელმთავარი, რომელსაც არიოზის ცრუ ფიცისა არა სჯეროდა, ფრიად დაამწუხრა, რადგან ქრისტეს მტრის ეკლესიაში შეყვანისა ეშინოდა.

მართლმადიდებლები წუხდნენ, მაგრამ რა უნდა ექნათ? ერეტიკოსები ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ არიოზს ეკლესიაში ძალით შეიყვანდნენ. ქრისტიანებს ერთი, მაგრამ უტყუარი იარაღიღა დარჩათ – ლოცვა. მათ იმარხულეს და მისი წმინდა ეკლესიის დაცვა ღმერთს გულით შესთხოვეს. ამ დროს წმინდა იაკობ ნასიბინელიც კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა და დედაქალაქის ეკლესიის დაცვისათვის ისიც ლოცულობდა. არიოზის ეკლესიაში შეყვანის დღე წინასწარ დანიშნეს. ხოლო წინა დღეს ეპისკოპოს ალექსანდრეს უთხრეს: „მიუხედავად იმისა, ხარ შენ თუ არ ხარ თანახმა, ხვალ არიოზი ეკლესიაში იქნება“. წმინდა ეპისკოპოსმა მთელი ღამე ლოცვაში გაატარა, იგი უფალს ევედრებოდა, რომ თუ არიოზის ეკლესიაში დაბრუნება, როგორც სასჯელი ცოდვებისათვის, მისგანაც დაშვებული იყო, მაშინ თვითონ იგი წაეყვანა ამ ქვეყნიდან. დანიშნული კვირა დღეც დადგა. ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე თავიანთ ბელადს არიოზელები საზეიმოდ მიაცილებდნენ. მოულოდნელად მან თავი ცუდად იგრძნო. განზე გავიდა, შიგნეული გაუსკდა და მაშინვე მოკვდა.[20] შეუძლებელია, რომ მის მიმდევრებს ამ ფაქტში არ დაენახათ ყოვლისშემძლე ხელი უფლისა, რომელმაც, მაშინ როცა ყოველგვარი კაცობრივი საშუალება ამაო აღმოჩნდა, ეკლესია მავნებელი ცრუსწავლებისაგან თვითონ დაიფარა. მაგრამ ღმრთისა და ეკლესიის მტრობით გონებადაბნელებულ ერეტიკოსებს ვერც ამან აუხილა თვალი. მათ მოახერხეს და სამეფო კარზე გავლენა კვლავ შეინარჩუნეს, რასაც მეფისათვის თავიანთი ნამდვილი ზრახვების დაფარვითა და მოჩვენებითი მართლმადიდებლობით აღწევდნენ.

[20] იქვე, I, 38.

თავისი მეფობის ოცდაათი წლისთავი კონსტანტინე დიდმა საზეიმოდ აღნიშნა და პალესტინაში გამგზავრება გადაწყვიტა, რათა იორდანეში მონათლულიყო. ამასობაში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულიც დადგა. იმპერატორმა ქუჩებში სანთლის სვეტები დაადგმევინა, რომელთაც ღამე ნათელ დღედ აქციეს. დილით მეფემ უხვი საჩუქრები გასცა ხალხისათვის. ამის შემდეგ მან თავი მალე იგრძნო ცუდად, ექიმების რჩევით თბილ წყლებზე წავიდა სამკურნალოდ, მაგრამ უკეთესობა არ უგრძვნია. დარწმუნდა რა, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა, ნიკომედიის გარეუბანში გადავიდა, ეპისკოპოსები იხმო და მონათლვა ითხოვა. იმპერატორს ახლად მონათლულის სპეტაკი სამოსელი, რომელიც სიმბოლურად ჩადენილი ცოდვებისაგან განბანვას გულისხმობდა, სამეფო პორფირზე სიკვდილამდე აღარ გაუცვლია. იგი 337 წელს, სულთმოფენობის დღეს გარდაიცვალა და სამეფო თავის სამ ვაჟს დაუტოვა. იმპერატორის გარდაცვალებამ ხალხის და ჯარის გულწრფელი გლოვა გამოიწვია; მისი ნეშტი კონსტანტინეპოლში გადაასვენეს და მოციქულთა სახელობის ეკლესიაში, წინასწარ მომზადებულ სამარხში ჩაასვენეს. [21]

თუმცა კონსტანტინეს მეფობის ბოლო წლებში მართლმადიდებლებმა არიოზელებისაგან დევნა განიცადეს, მაგრამ იმპერატორის დადანაშაულება ერესისადმი თანაგრძნობაში მაინც არ შეიძლება, რადგან მოტყუვდა და დაიჯერა, რომ ერეტიკოსებმა ნიკეის კრების დოგმატები გულწრფელად აღიარეს. ისტორიკოსი გარკვევით წერს „მატყუარათა გამოუთქმელ თვალთმაქცობაზე, რომელნიც ქრისტიანის სახელს ფარისევლურად ატარებდნენ“. სამწუხაროდ, მეფის მოსატყუებლად მათ მისი კაცთმოყვარეობა, სიკეთე, რწმენის სიწრფელე და დიდსულოვნება გამოიყენეს. ეს კარგად იცოდა ეკლესიამ და გამოხატა რა მადლიერება ქრისტიანობის დიდად მოყვარული და მოამაგე იმპერატორის მიმართ, იგი წმინდანად შერაცხა. წმინდანად შერაცხულ იქნა, აგრეთვე, კონსტანტინეს დედა, დედოფალი ელენეც, რომელსაც ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვოდა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში.

ამ საკითხებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალის-

[21] იქვე, I, 39.

წინოთ ის, რომ ვიდრე ქრისტიანობა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა, ის, ვინც თავს ქრისტიანად აღიარებდა, მართლა ქრისტიანი იყო. კონსტანტინე დიდის მეფობის პერიოდში კი ვითარება შეიცვალა, ქრისტიანობა უკვე მეფის მხრიდან მოწყალე დამოკიდებულების მიზეზი გახდა. ამიტომ ეს სახელი მრავალმა ულირსმა მიითვისა. ასეთები თუმცა გარეგნულად ქრისტიანულ ღმრთისმსახურებასა და ცხოვრების წესებს აღასრულებდნენ, გულში კერპთაყვანისმცემლებად რჩებოდნენ, რადგან მათი გული არა ღმერთს, არამედ ამ სოფელსა და ამსოფლიურ მიზნებს ეკუთვნოდა. კერპია ხომ ყოველივე ის, რაც ადამიანის გულში პირველ ადგილს იკავებს, რომელიც მხოლოდ ღმერთს უნდა ეკუთვნოდეს.

* * *

კონსტანტინე დიდის სიკვდილის შემდეგ იმპერატორებად მისი სამი ვაჟი გამოცხადდა. უფროსმა ვაჟმა კონსტანტინემ სამეფოდ გალია, ესპანეთი და ბრიტანია მიიღო, რომელთაც მამის სიცოცხლეშიც მართავდა. მამის გარდაცვალების შემდეგ მან დაარწმუნა ძმები გადასახლებიდან გამოეწვიათ ათანასე დიდი; იგი მათ სწერდა, რომ ამით იმპერატორის უკანასკნელ სურვილს აასრულებდნენ, რომელმაც ათანასე მხოლოდ იმიტომ გადაასახლა, რომ მტრების ბოროტი ჩანაფიქრის აღსრულებისაგან ეხსნა. სამწუხაროდ, კონსტანტინეს მეფობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, იგი მალევე იქნა მოკლული ომში.

მეორე ძმა, კონსტანსი, რომელიც თავდაპირველად იტალიას, აფრიკასა და ილირიას მართავდა, კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ იმპერიის მთელი დასავლეთი ნაწილის მფლობელი გახდა. უფროსი ძმის მსგავსად, ისიც მართლმადიდებლობის დამცველი იყო და არიოზელთაგან დევნილ ეპისკოპოსებს, მათ შორის ათანასესაც, მფარველობდა. მესამე ძმა კონსტანცი იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს მართავდა. იგი აქტიურად ერეოდა ეკლესიის საქმეებში, თვითონ წყვეტდა საღმრთისმეტყველო დისკუსიებში წამოჭრილ საკითხებს, რითაც განუწყვეტელ შფოთსა და მღელვარებას უწყობდა ხელს. კონსტანცის სუსტი და სასტიკი ხასიათი ჰქონდა და ადვილად ღიზიანდებოდა. იგი მახლობლების გავლენას

განიცდიდა, რომელთაც თავის მხრივ არიოზელები მართავდნენ.

კონსტანცის მეფობის პირველივე წელს კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი წმ. ალექსანდრე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან ანდერძად დატოვა, რომ უკუთუ ეპისკოპოსად დიდკაცური და ცხოვრებისეულ საქმეებში გამოცდილი კაცი სურდათ, მაკედონიუსი აერჩიათ, ხოლო თუ მოძღვრებაში დამრიგებელი და ცხოვრებით სამაგალითო – პავლე. პავლე, რომელიც მართლმადიდებლური მოძღვრების დაცვისათვის ევსტათი ანტიოქიელთან ერთად განდევნეს, გადასახლებიდან ახლადდაბრუნებული იყო. არიოზელები მაკედონიუსს მფარველობდნენ. აირჩიეს პავლე, მაგრამ მეფე უკმაყოფილო დარჩა, ჩამოაგდო იგი და დედაქალაქში ევსევი ნიკომედიელი გადმოიყვანა,[22] უხეშად დაარღვია რა ამით ეკლესიის ძველი უფლება ეპისკოპოსის არჩევისა და დადგენილება ნიკეის კრებისა, რომლითაც მღვდელმთავრის ერთი კათედრიდან მეორეზე გადაყვანა იკრძალებოდა. კონსტანცის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ხალხის დრტვინვისათვის, რომელიც მისმა უკანონო საქციელმა გამოიწვია.

როცა ორი წლის შემდეგ ევსევი გარდაიცვალა, ეპისკოპოსად მართლმადიდებლებმა პავლე აირჩიეს, არიოზელებმა – მაკედონიუსი. კონსტანცი ისევ ჩაერია და მხედართა რაზმი გაგზავნა, რათა პავლე ჩამოეგდოთ და საპყრობილეში გამოემწყვდიათ. მართლმადიდებლებს მოთმინება აევსოთ და თავიანთი ეპისკოპოსი დაიცვეს. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც რაზმის უფროსი მოკლეს. სამეფო ქალაქის ქუჩები სისხლით შეიღება, მაგრამ ყველაფერი მაინც ისე დასრულდა, როგორც იმპერატორს სურდა: ეპისკოპოსად მაკედონიუსი დარჩა, ხოლო ღმრთისმოსავი პავლე გააძევეს.[23] ამ ორმა ეპისკოპოსმა შემდეგშიც კონსტანტინეპოლის კათედრაზე, იმისდა მიხედვით უპირატესობას რომელი პარტია მოიპოვებდა, ერთმანეთი რამდენჯერმე შეცვალა.

ამასობაში ათანასე დაბრუნდა და სამწყსომ, რომელიც ორი წლის განმავლობაში უმღვდელმთავროდ იყო, საყვარელი მწყემსი აღფრთოვანებით მიიღო. სამაგიეროდ, არიოზელებმა მოიწვიეს

[22] იქვე, II, 7.
[23] იქვე, II, 13.

კრება და ათანასეს ჩამოგდების გადაწყვეტილება მიიღეს; მათი აზრით, იგი ალექსანდრიის საეპისკოპოსო კათედრაზე უკანონოდ იყო დაბრუნებული, რადგან კრების მიერ გაძევებული კრებასვე უნდა დაებრუნებინა. მათ ალექსანდრიაში თავიანთი ეპისკოპოსი პისტი გააგზავნეს. ამავე დროს იმპერატორებსა და ეპისკოპოსებს გაუგზავნეს წერილები, რომლებშიც ათანასეს ძველ ბრალდებებს ახალიც დაამატეს. თავის მხრივ, წერილები ეგვიპტელმა ეპისკოპოსებმაც დაგზავნეს, რომლებშიც მხარს თავიანთ მღვდელმთავარს უჭერდნენ.

დაახლოებით ამ ხანებში ანტიოქიაში ტაძრის კურთხევის მიზეზით მრავალი არიოზელი ეპისკოპოსი შეიკრიბა. სიმრავლით გულმოცემულებმა, სასწრაფოდ მოიწვიეს კრება, რომელზეც ნიკეის სიმბოლო უარყვეს და ახალი შეადგინეს, რაც არც ისე ადვილი აღმოჩნდა, რადგან მართლმადიდებლების მხარდაჭერაც ესაჭიროებოდათ, მათ კი ისე ვერ მიიმხრობდნენ, თუ არ მოატყუებდნენ. ამიტომ ზოგიერთი გამოთქმის შერბილება, ხოლო ზოგიერთის ნამდვილი აზრის დაფარვა და შენიღბვა განიზრახეს. საქმე იმით დამთავრდა, რომ ოთხამდე სიმბოლო შეადგინეს, რომელთაგან არცერთში არ გვხვდებოდა ტერმინი **ერთარსი**.[24] არიოზელები უკმაყოფილონი იყვნენ პისტით, რომელმაც მათი იმედები ვერ გაამართლა, ამიტომ ალექსანდრიაში ახალი ეპისკოპოსი გრიგოლი გააგზავნეს, რომლის დანიშვნაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, თუნდაც ამისათვის იარაღის გამოყენება დასჭირვებოდათ. ამ ცნობამ ალექსანდრიის ეკლესიის აღშფოთება გამოიწვია, რადგან, გარდა იმისა, რომ მხურვალედ უჭერდა მხარს ათანასეს, ეპისკოპოსის არჩევის ძველთაძველ უფლებასაც უფრთხილდებოდა.

დიდ მარხვაში გრიგოლი ალექსანდრიაში ჩავიდა. ეპარქოსს დავალებული ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, იგი აეყვანა ეპისკოპოსის ტახტზე; ამიტომ, როცა დაინახა, რომ მართლმადიდებლები მზად იყვნენ თავიანთი მწყემსმთავრის ფიზიკურად დასაცავადაც კი, ტაძრიდან მათ გამოსადევნად წარმართები და იუდეველები მოიშველია და გრიგოლი ეკლესიაში ძალით შეიყვანა. მართლმადიდებლებს სცემდნენ, საპყრობილეში ამწყვდევდნენ,

[24] იქვე, II, 10.

მათი დევნა ვნების კვირაშიც კი არ შეწყვეტილა. მიუხედავად ამისა, მორწმუნეებმა თავიანთი საყვარელი ეპისკოპოსი მაინც არ მიატოვეს. ეკლესია სავსე იყო ხალხით, სადაც ის ღმრთისმსახურებას ატარებდა, ქრისტიანები მზად იყვნენ მომკვდარიყვნენ მისთვის. მაშინ ათანასემ მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად ქალაქის ფარულად დატოვება და მისი საქმის ქრისტიანული სამყაროს სამსჯავროსათვის გადაცემა გადაწყვიტა. თავისი თავშესაფრიდან მან წერილები გაუგზავნა ეპისკოპოსებს, რომლებშიც არიოზელთა საქმეებს აღწერდა. მათი საქმიანობა შეურაცხყოფდა რწმენას, რომელიც უფალმა და მოციქულებმა იქადაგეს. იმ შემთხვევაშიც კი, ალექსანდრიის ეპისკოპოსს დანაშაული მართლაც რომ ჰქონოდა ჩადენილი, იგი მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს უნდა გაესამართლებინათ და არა ერეტიკოსებს; ამასთან, ახალი ეპისკოპოსი არა არიოზელთაგან თავსმოხვეული პიროვნება უნდა ყოფილიყო, როგორც მაგალითად გრიგოლი, არამედ იგი ალექსანდრიის ეკლესიას თავისი წიაღიდან უნდა აერჩია.

სამწუხაროდ, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში არიოზელები ისე მომძლავრებულნი იყვნენ, რომ სიმართლის დაცვა საშიში გახდა; ამიტომ ათანასემ დასავლეთში წასვლა გადაწყვიტა. იქ მას ძლიერი მფარველები ჰყავდა იმპერატორ კონსტანსისა და რომის ეპისკოპოსის იულიუსის სახით. რომის ეპისკოპოსმა ჯერ კიდევ ათანასეს ჩამოსვლამდე შეიტყო, რაც ალექსანდრიაში ხდებოდა და კრების მოწვევა გადაწყვიტა, მაგრამ მოწვეული ეპისკოპოსები არ მოვიდნენ, რადგან ისინი უკვე არიოზელები იყვნენ და იქით ადანაშაულებდნენ იმაში, რომ განსჯილ ათანასესთან ურთიერთობა ჰქონდა. მაშინ იულიუსმა საქმის გარჩევა მათ გარეშე გადაწყვიტა. მან ორმოცდაათი ეპისკოპოსი მოიწვია, რომელთა შორისაც თრაკიიდან, ილირიიდან, პალესტინიდან და ეგვიპტიდან დევნილებიც იყვნენ. კრებამ ათანასე სრულიად უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა. მან ცხოვრება რომში დაიწყო, სადაც წმინდა და მკაცრად თავშეკავებული ცხოვრების გამო ყველა დიდ პატივს მიაგებდა, ხოლო მისი დამმოძღვრელი სიტყვა მორწმუნეებს ღმრთის თავდადებული სამსახურისათვის შთააგონებდა.

ამასობაში ალექსანდრიის ეკლესიაში გრიგოლის მიერ მართლ-

მადიდებელი ეპისკოპოსების დევნა გრძელდებოდა: წმინდა პოტამონი წამებით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს, ბევრი დაიჭირეს და არიოზელებით შეცვალეს. განსაკუთრებით ისინი იდევნებოდნენ, რომელნიც ათანასეს ერთგულებით იყვნენ ცნობილნი. ერეტიკოსი ეპისკოპოსის სისასტიკემ არნახული სახე მიიღო, როცა მან ათანასეს გარდაცვლილი დის დაკრძალვა აკრძალა. ქრისტიანები იძულებულნი გახდნენ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად მიებარებინათ იგი მიწისათვის. ამ უკანონო ქმედებებს არიოზელები სახელმწიფო მოხელეებისა და სამხედრო ძალის მოშველიებით ახორციელებდნენ. ასე გრძელდებოდა მთელი ხუთი წლის მანძილზე, რის შედეგადაც აღმოსავლეთში არიოზის ერესი უფრო და უფრო გაბატონებულ მდგომარეობას იკავებდა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ამიტომ დასავლეთის იმპერატორმა კონსტანსიმ ათანასეს აშკარად დაცვა გადაწყვიტა. იგი შეხვდა თავის ძმას კონსტანცის და დაარწმუნა, რომ ათანასეს საქმის გასარჩევად საყოველთაო კრება მოეწვია.

კრება მოწვეულ იქნა სარდიკიაში, რომელიც ძმების სამფლობელოთა საზღვარზე მდებარეობდა. მასში მონაწილეობის მისაღებად 170 ეპისკოპოსი მოვიდა, მათ შორის ყველაზე ცნობილნი და პატივსაცემნი იმპერიის დასავლეთიდან იყვნენ. მოვიდნენ ათანასეს მტრებიც, მაგრამ, როცა იგრძნეს, რომ მონაწილეთა უდიდესი ნაწილის მხარდაჭერა ათანასეს ეკუთვნოდა, რაღაც საბაბით კრება უცბად დატოვეს და იგი სხვა ქალაქში, ფილიპოპოლისში, გააგრძელეს, რომელიც აღმოსავლეთის იმპერატორს ემორჩილებოდა. აქ არიოზელებმა თავი ძლიერად იგრძნეს, ათანასე ისევ დამნაშავედ ცნეს, მისი მომხრეები ზოგი საპყრობილეში ჩაამწყვდიეს, ზოგიც მოაკვლევინეს. ყველაფერი ეს იმპერატორი კონსტანცის ნებართვით და მხარდაჭერით ხდებოდა, რომელიც, მართალია, ძმას კრების მოწვევაზე დათანხმდა, მაგრამ გულის სიღრმეში არიოზელებს თანაუგრძნობდა.

ამასობაში კრებამ სარდიკიაში, რომელმაც მუშაობა არიოზელების გარეშე გააგრძელა, ათანასე სრულიად გაამართლა და დაადგინა, რომ ნიკეის კრების სიმბოლოს გარდა სხვა სიმბო-

ლოს მიღება არ შეიძლებოდა[25] მაშინ კრების გადაწყვეტილების საფუძველზე იმპერატორმა კონსტანსიმ ძმას განუცხადა, რომ უკეთუ სამწყსოს თავის ეპისკოპოსს არ დაუბრუნებდა, მაშინ მას ძალის გამოყენებით თვითონ დააბრუნებდა. კონსტანცის შეეშინდა და ათანასეს მოწვევის წერილი მისწერა, მაგრამ ამავე დროს მართლმადიდებლების წინააღმდეგ გაცემული არცერთი ბრძანება არ შეუცვლია. ამან ათანასე მიახვედრა, რომ დაბრუნების შემთხვევაში მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა, ამიტომ წასვლას აგვიანებდა. კონსტანსი კონსტანცისაგან სამართლიანობის აღდგენას ისევ დაჟინებით მოითხოვდა. მაშინ კონსტანციმ, რომელსაც ომის ეშინოდა, ათანასეს კიდევ მისწერა წერილები, რომლებშიც ალექსანდრიის ეპისკოპოსს ხელშეუხებლობის პირობას საზეიმოდ აძლევდა. ამასთან, შეცვალა მის მიერ მართლმადიდებლების წინააღმდეგ გაცემული ბრძანებანი და ალექსანდრიის სამოქალაქო ხელისუფლებაც წერილობით გააფრთხილა, დაბრუნებულ მღვდელმთავარს პატივით მოპყრობოდა. ამასობაში არიოზელი გრიგოლი გარდაიცვალა. ათანასე დაბრუნდა. შვიდი წლის იძულებითი ხეტიალის შემდეგ დაბრუნებულ მწყემსმთავარს ალექსანდრია ზეიმით შეხვდა. ანტიოქიაში ათანასე იმპერატორმა მიიღო. კონსტანცი მას ისე კარგად შეხვდა, რომ მტრებს შეეშინდათ, და ახლა უკვე თვითონვე უტიფრად ეძებდნენ მასთან შერიგებას და თვითონვე გმობდნენ ცრუ მოძღვრებას, რომელზეც იდგნენ.

ალექსანდრიაში დაბრუნებულ მღვდელმთავარს დიდი სიხარული მიანიჭა სამწყსომ. განუწყვეტელი ლოცვის გამო ყველა სახლი ეკლესიას ჰგავდა. ათანასეს სახელი მთელ ქრისტიანულ სამყაროში გახდა ცნობილი, როგორც მართალი სარწმუნოების მამაცი და ერთგული დამცველისა. კათედრებს დაუბრუნდნენ სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსებიც, კონსტანტინეპოლში არიოზელი მაკედონიუსი პავლემ შეცვალა, მაგრამ სიმშვიდის წლები მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. მართლმადიდებელთა მფარველი იმპერატორი კონსტანსი გალიაში მოკლეს (350 წ.) ამბოხებისას, რომელიც მხედართმთავარმა მაგნენციუსმა მოუწყო.[26]

[25] იქვე, II, 20.
[26] იქვე, II, 25.

მან თავი იმპერატორად გამოაცხადა. ყოველივე უცბად შეიცვალა. არიოზელთა პარტიამ ისევ ასწია თავი. მათაც კი, რომელთაც თავიანთი მწვალებლური შეხედულებანი წერილობით მოინანიეს, არ შერცხვათ, რომ ისევ არიოზელებს მიმხრობოდნენ და ათანასეს განსჯა და გაძევება მოეთხოვათ. ეკლესიის საქმეებში ჩარევისაგან კონსტანცი ჯერჯერობით თავს იკავებდა, რადგან ომი, რომელიც მაგნენციუსთან ჰქონდა, არ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა. არიოზელები უფრო და უფრო თავხედდებოდნენ და მართლმადიდებელი ეპისკოპოსების დევნას ყოველდღიურად აძლიერებდნენ. მათი ერთ-ერთი პირველი სამიზნე პავლე კონსტანტინეპოლელი აღმოჩნდა; ის არმენიაში, კუკუსოში გადაიყვანეს და საპყრობილეში ჩაამწყვდიეს, სადაც შიმშილით დაუძლურებული დაახრჩვეს; ხოლო მის ადგილზე ისევ მაკედონიუსი დააბრუნეს. ათანასესთან დამოკიდებულებაში ისინი მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ, მაგრამ მისთვის მეფის გადასამტერებლად ყველაფერს აკეთებდნენ, უმტკიცებდნენ რა, რომ ათანასეს მაგნენციუსთან ჰქონდა კავშირი. ამ დროს ათანასე სამწყსოს მშვიდად მართავდა და ცრუ ბრალდებებისაგან თავს წერილობით იცავდა.

ომი, რომელიც მთელი სამი წელი გრძელდებოდა, კონსტანციმ მოიგო და მთელი იმპერიის ერთპიროვნული მმართველი გახდა. მაშინ არიოზელები კიდევ უფრო გაბედულად ამოქმედდნენ. კონსტანცის ათანასეს მიმართ სიძულვილს ისიც უძლიერებდა, რომ იძულებული იყო თავისი გრძნობები დაეფარა და მის მიმართ ყალბი კეთილგანწყობა გამოეჩინა. როგორც კი მთელი იმპერიის სრული ბატონ-პატრონი შეიქნა, იმპერატორმა არა ათანასეს საქმიანობის განსახილველად, არამედ თვით მის განსასჯელად კრება მოიწვია არლში. დასავლეთის ეპისკოპოსებს ნაბრძანები ჰქონდათ დათანხმებოდნენ იმ სასჯელს, რომელსაც ათანასეს აღმოსავლეთის ეპისკოპოსები გამოუტანდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გადასახლებაში ან საპყრობილეებში გაგზავნით ემუქრებოდნენ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ღირსეული ეპისკოპოსი მაინც ათანასეს მხარეზე იდგა, მაგალითად, ლიბერიუს რომაელი, ოსიოს კორდუბელი და სხვანი. ისინი, არლის კრების გადაწყვეტილებით აღშფოთებულნი (თვითონ ამ კრებას არ ეს-

წრებოდნენ), ახალი კრების მოწვევას ითხოვდნენ. ამჯერად კრება მილანში იქნა მოწვეული 355 წ. იგი ფრიად მრავალრიცხოვანი იყო. სხდომები პირველად ეკლესიაში ტარდებოდა. ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა, ევსევიმ, ლიგურიის ქალაქ ვრეკელის მწყემსმთავარმა, რომელსაც არწმუნებდნენ ხელი მოეწერა ათანასეს მიმართ გამოტანილ განაჩენზე, თქვა: „პირველად სარწმუნოების საკითხებზე უნდა შევთანხმდეთ, მე ვიცი, რომ ზოგიერთი აქ დამსწრეთაგანი ერესითაა დაავადებული“,[27] – და თავის მხრივ დამსწრეებს ნიკეის მრწამსზე ხელის მოწერა შესთავაზა. მილანის ეპისკოპოსმა დაიწყო თავისი სახელის მოწერა, მაგრამ არიოზელმა ვალენტიმ ქაღალდი და კალამი ხელიდან გამოგლიჯა. კრება ხმაურითა და აურზაურით დამთავრდა. ხალხი, რომელიც ამ კრებას ესწრებოდა, თავის აღშფოთებას რწმენის შეურაცხყოფისათვის უკვე ხმამაღლა გამოხატავდა. მაშინ სხდომების გადატანა სამეფო სასახლეში გადაწყვიტეს, სადაც იმპერატორის ზეგავლენა უკვე აშკარად იგრძნობოდა. კონსტანცის თავისი უფლებები ეკლესიასთან დამოკიდებულებაში სრულიად არასწორად ესმოდა.

ჩვენ ვნახეთ, რომ, როცა არიოზის ერესი წარმოიშვა, კონსტანტინე დიდმა საღმრთისმეტყველო საკითხის გადაწყვეტის უფლება მთლიანად ეკლესიას მისცა, თვითონ კი მხოლოდ ეკლესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უფლება დაიტოვა. მე გარეშე საქმეთა ეპისკოპოსი ვარო, – ამბობდა ზოგჯერ იგი. კონსტანცი კი, პირიქით, თავს უფლებამოსილად თვლიდა, რომ სწორედ საღმრთისმეტყველო საკითხები გადაეწყვიტა ერთპიროვნულად. მან ბრძანა რწმენის აღმსარებლობა, რომელიც არიოზელების ხელმძღვანელობით თვითონ შეთხზა, ბრძანებულების სახით გამოექვეყნებინათ. ამ აღმსარებლობამ, რომელიც, როგორც იმპერატორი ამბობდა, „ზემოდან იყო შთაგონებული“, ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია.

კრების მსვლელობისას კონსტანცი ფარდის უკან იჯდა და სხდომებს ფარულად ესწრებოდა, რათა ისინი თავისი ნებისამებრ წარემართა. ამგვარი ზეწოლის მიუხედავად, ღირსეული ეპისკოპ-

[27] **Жизнь св. Афанасия великого, Архиепископа Александрийского,** წიგნში **Святитель Афанасий великий, Т. I, М., 1994,** გვ. **77-78.**

ოსები მაინც აღმოჩნდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო სარდინიის ქალაქის კალიარის ეპისკოპოსი ლუციფერი, რომელმაც ათანასეს ბრალმდებელთა არაკეთილსინდისიერება გაბედულად ამხილა და განაჩენისთვის ხელის მოწერაზე მტკიცე უარი განაცხადა. განრისხებულმა იმპერატორმა, რომელსაც ფარდის უკან ყველაფერი ესმოდა, თავი ველარ შეიკავა და გაამჟღავნა, რომ სხდომებს ფარულად ესწრებოდა. იგი მოულოდნელად წარდგა კრების მონაწილეთა წინაშე სიტყვებით: „ათანასე მე თვითონ დავადანაშაულე, ჩემი გულისთვის დაუჯერეთ მათ“ (ე. ი. არიოზელებს). მტკიცე ეპისკოპოსებმა უპასუხეს, რომ როგორც ადამიანის დაუსწრებლად განსჯა, ისე ურთიერთობა ერეტიკოსებთან, ეკლესიის კანონებს ეწინააღმდეგებოდა. „ჩემი ნება, აი, თქვენთვის კანონი“, – იყვირა კონსტანციმ და განაცხადა, რომ ვინც მის ნებას არ დაემორჩილებოდა, ყველას გადაასახლებდა და რისხვისგან გონებადაბნელებულმა მახვილიც კი იშიშვლა. ბევრი მახვილით დაშინდა, ბევრიც ოქრომ მოხიბლა, მაგრამ ლუციფერმა, ევსევიმ, ვრეკელის ეპისკოპოსმა და დიონისე მილანელმა სიმტკიცე ბოლომდე შეინარჩუნეს, რისთვისაც ისინი შორეულ ქვეყნებში გადაასახლეს.[28] მილანში არიოზელი ეპისკოპოსი ავქსენტი დაინიშნა. განაჩენი ყველა ქალაქის ეპისკოპოსს მუქარასთან ერთად დაეგზავნა, რომ თუ ხელს არ მოაწერდნენ, გადასახლება ელოდებოდათ.

კონსტანციმ რომის ეპისკოპოსის ლიბერიუსის გადმობირება გადაწყვიტა და თავისი საყვარელი საჭურისის ხელით ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა. მაგრამ ლიბერიუსმა საჩუქრები არ მიიღო და მეფის გამოგზავნილს უთხრა: „დაე, შეიკრიბოს კანონიერი კრება, საერო სამსჯავროს შიშის გარეშე, შიშით მხოლოდ ღმრთისა და მოციქულთა კანონებისა, დაე, მან ნიკეის სიმბოლო მიიღოს და ათანასეს საქმეს მაშინ განვიხილავთ“. მაშინ საჭურისმა საჩუქრები მოციქულთა საფლავებზე დააწყო. ლიბერიუსმა მათი, როგორც სისხლის საფასურის, გადაყრა ბრძანა. რადგან მოსყიდვა ვერ შეძლო, კონსტანციმ რომის ეპისკოპოსის მიმართ ძალის გამოყენება ბრძანა; მოსახლეობის მღელვარება რომ არ გამოეწვია, ლიბერიუსი ღამით შეაპყრობინა და მილანში ჩააყვანინა. – „შენ

[28] იქვე, გვ.79.

ერთი ბედავ მთელი სამყაროს წინააღმდეგ აღდგომას?“ – მრისხანედ ჰკითხა იმპერატორმა.

– ერთიც რომ დავრჩე, ჭეშმარიტი რწმენა არ დაიღუპება. ბაბილონში რწმენა სამმა ყრმამ შეინარჩუნა. – უპასუხა ეპისკოპოსმა. კონსტანციმ მოსაფიქრებლად სამი დღის ვადა მისცა, მაგრამ ლიბერიუსმა მოსაფიქრებელ დროზე უარი თქვა, რადგან პასუხი უკვე მზად ჰქონდა. მაშინ იმპერატორმა იგი თრაკიაში გადაასახლა, ხოლო რომში მის ადგილზე ფელიქსი დანიშნა, რომელიც ხალხმა არ მიიღო.[29] სამწუხაროდ, ეპისკოპოსმა თავისი ღვაწლი წინაშე ღმრთისა ბოლომდე ვერ აღასრულა და სამი წლის შემდეგ არიოზულ აღმსარებლობაზე ხელის მოწერის ფასად რომში დაბრუნების უფლება იყიდა. სისუსტე გამოიჩინა ოსიოს კორდუბელმაც. თავდაპირველად, როცა კონსტანციმ მას ათანასეს განაჩენზე ხელის მოწერა შესთავაზა, უპასუხა: „ხელმწიფეო, მე დავითმინე წამება რწმენისათვის მაქსიმინეს დროს და ტანჯვისათვის ახლაც მზად ვარ. მაგრამ ათანასეს განაჩენს, რომელიც ეკლესიამ უდანაშაულოდ აღიარა, ხელს არ მოვაწერ“. კონსტანციმ ოსიოსი სირმიუმში გადაასახლა, სადაც მან ერთ წელზე მეტი დაჰყო. ტანჯვითა და ავადმყოფობით დაქანცული ასი წლის მოხუცი დათანხმდა ხელი მოეწერა არამართლმადიდებლურ მრწამსზე, მაგრამ ათანასეს განსჯაზე ამჯერადაც უარი თქვა. მართალია, ლიბერიუსისა და ოსიოსის მიერ გამოჩენილმა სისუსტემ ეკლესიას მწუხარება მოჰგვარა, მაგრამ მათ ადრინდელ დამსახურებებს მაინც მადლობით იხსენიებდნენ.

როგორ იქცეოდა ამ ხნის განმავლობაში ათანასე? მან იცოდა, რასაც უმზადებდნენ, მაგრამ მშვიდად მართავდა ეპარქიას და სამწყსოს მოსალოდნელი დევნისათვის ამზადებდა, მხნეობასა და ყოვლისშემძლე ღმრთის ურყევ სასოებას უნერგავდა. მილანის კრების შემდეგ ალექსანდრიაში მეფის მოხელე დიოგენე გაგზავნეს, რომელმაც მღვდელმთავარს ქალაქის დატოვება სიტყვიერად მოსთხოვა, რადგან იმპერატორის წერილობითი ბრძანება არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ათანასეს ჰქონდა კონსტანცის წერილები, რომლებშიც იგი, ძმის შიშით, ეპისკოპოსს არწმუნებდა,

[29] **Сократ Схоластик, Церковная история, II, 37.**

რომ ალექსანდრიაში დარჩენა სიკვდილამდე შეეძლებოდა. ამიტომ მოხელეს უპასუხა, რომ ვიდრე იმპერატორისაგან წერილობით ბრძანებას არ მიიღებდა, სამწყსოს მიტოვების უფლება არ ჰქონდა. 356 წლის 5 იანვარს ალექსანდრიაში, ეგვიპტეში განლაგებული ჯარის უფროსი სირიანი ჩავიდა, რომელიც თავის მეგობრულ განწყობილებას ცნობილი არიოზელების მიმართ არ მალავდა. ბოლოს, როცა ერთხელ ეპისკოპოსი ღამისთევით ლოცვას ასრულებდა, სირიანმა ხუთიათასამდე მეომრით ხალხით სავსე ეკლესიას ალყა შემოარტყა. ათანასემ, რომელსაც სურდა საფრთხე არავის შექმნოდა, დაიკვანს 135-ე ფსალმუნის წაკითხვა უბრძანა, „აუარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი“, ხოლო ხალხს – სიმღერით აყოლა და თანდათანობით დაშლა. მაგრამ სამწყსომ მწყემსმთავრის მიტოვება არ მოისურვა. მეომრები ტაძარში შეიჭრნენ და რამდენიმე ისარი გაისროლეს, რომლებითაც ზოგიერთი მლოცველი დაიჭრა. შექმნილ მღელვარებასა და ხმაურში წმ. ათანასე მშვიდად აგრძელებდა ღმრთისმსახურებას, მის გარშემო თავმოყრილი ხალხიც ფსალმუნის შთაგონებულ სტრიქონებს, რომლებშიც ღმრთისადმი ურყევი სასოება ასე ნათლადაა გამოხატული, ერთსულოვნად იმეორებდა. მძიმე წუთებში ეკლესია ნუგეშს პოულობდა იმ დიდთა სასწაულთა გახსენებით, რომელთაც მის რჩეულთ უგზავნიდა ღმერთი, ვისაც ახსოვს დამდაბლებულნი და მათ მტრებისაგან ათავისუფლებს, „რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი“. როგორ სანუგეშოდ ჟღერდა ახლა ეს სიტყვები! ბოლოს ეპისკოპოსმა განსატევებელი ლოცვა წაიკითხა და ხალხმა დაშლა დაიწყო. თავის ამაღლებულ ადგილზე მყოფი წმ. ათანასე იცდიდა, სანამ ყველა გავიდოდა, ბოლოს მღვდელმსახურებმა ისიც გაიყვანეს. ღამის სიბნელე და ქუჩებში ხალხის სიმრავლე ეპისკოპოსს დაეხმარა დადევნებულ მეომრებს თვალთაგან მიფარებოდა. რამდენიმე ხანი იგი ქალაქში იმალებოდა, ხოლო შემდეგ მეგობართა დახმარებით უდაბნოში გავიდა.[30]

მეფის ბრძანებით, ალექსანდრიის მღვდელმთავარს ყველგან გულმოდგინედ ეძებდნენ: შედიოდნენ სახლებში, ჩხრეკდნენ

[30] იქვე, გვ. 81.

ბაღებს, ქალაქის გარეუბნებს, თვით აკლდამებსაც კი. ოლქების მმართველებმა მკაცრი ბრძანება მიიღეს, რომ მის მოსაძებნად ყოველი ღონე ეხმარათ, თითქოს ათანასეს დაჭერა ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე ყოფილიყო. იმპერატორმა წერილი აბისინიის (ეთიოპიის) მმართველებსაც მისწერა, რომლითაც ათანასეს გადაცემას მოითხოვდა, იმ შემთხვევაში, თუ იგი თავშესაფრის ძებნას მის მიერ ხელთდასხმულ აბისინიის ეპისკოპოსთან, ფრუმენტიოსთან შეეცდებოდა.

ამ დროს ათანასე მკაცრ უდაბნოში იყო, სადაც მას განდეგილთა სიყვარული და ერთგულება იცავდა. ეგვიპტის ვრცელი უდაბნოები, მთები და უნაყოფო ველები, თვით ალექსანდრიის შემოგარენი, ბერებითა და განდეგილებით იყო დასახლებული. ყოველი მათგანი მზად იყო თავიც კი გაეწირა იმის დასაცავად, ვისი სახელიც, როგორც ჭეშმარიტების დამცველისა, მთელ ქრისტიანულ სამყაროში იყო ცნობილი. მეომრები მონასტრებსა და განდეგილთა კელიებს ამაოდ ჩხრეკდნენ, რადგან ბერები ფხიზლობდნენ: საფრთხე გამოჩნდებოდა თუ არა, ათანასეს აფრთხილებდნენ და ისიც ადგილს იცვლიდა. დიდ ეპისკოპოსს განდეგილური ცხოვრება უყვარდა, თვითუარყოფის ღვაწლით ყველაზე მკაცრ მეუდაბნოეებსაც აკვირვებდა და პატივისცემით განაწყობდა. ასე ემალებოდა იგი მდევნელებს მთელი ექვსი წლის განმავლობაში.

ამასობაში ალექსანდრიაში მართლმადიდებლები საშინელ დევნას განიცდიდნენ. ხალხმა იმპერტორს იმის თაობაზე, რაც ტაძარში მოხდა, საჩივარი გაუგზავნა და თავისი ეპისკოპოსის დაბრუნება დაბეჯითებით სთხოვა: „უკეთუ არსებობს ბრძანება ჩვენი დევნისა, ჩვენ მზად ვართ წამებისათვის, – წერდნენ წერილში, – მაგრამ გთხოვთ სხვა ეპისკოპოსს ნუ გამოგვიგზავნით, რადგან მზად ვართ სიკვდილამდე ვუერთგულოთ ათანასეს, რომელიც ღმერთმა თავიდანვე მოგვმადლა“.[31] ცხადია, ეს საჩივარი უპასუხოდ დარჩა, სამაგიეროდ მოვიდა იმპერატორის ბრძანება, რომ ყველა ტაძარი არიოზელებისათვის გადაეცათ. ეკლესიებიდან გამოიტანეს ჭურჭლეულობა, წმინდა საკურთხეველი, კრეტსაბმელი, ეპისკოპოსის ტახტი და როგორც უწმინდური, დაწვეს.

[31] იქვე, გვ. 82.

მალე ალექსანდრიაში ახალი ეპისკოპოსი გამოჩნდა – გიორგი, გაუნათლებელი, უხეში და ანგარებისმოყვარე. ხალხმა იგი დრტვინვით მიიღო, სანაცვლოდ დევნა გაძლიერდა, განსაკუთრებული რისხვა თავს იმათ დაატყდა, რომელნიც ათანასეს ერთგულებაში იყვნენ შემჩნეულნი, სახლებს უწვავდნენ, საპყრობილეებში ან არაბეთის საბადოებში მძიმე სამუშაოებზე აგზავნიდნენ. ისევე როგორც წარმართებისაგან დევნის პერიოდში, მართლმადიდებლები ღმრთისმსახურების ჩასატარებლად სასაფლაოებზე ღამ-ღამობით იკრიბებოდნენ, მაგრამ გიორგი მეომრების რაზმით იქაც თავს ესხმოდა და ვისაც მოიხელთებდა, ტანჯვა და საპყრობილე არ ასცდებოდა. ჩხრეკა, წამება და დასჯა თვით ყველაზე წმინდა დღეებში – მარხვისა და აღდგომის დროსაც კი არ წყდებოდა. ეგვიპტის ეპისკოპოსები, რომლებიც მწვალებლობაზე არ მოიქცნენ, გადააყენეს და შორეულ ქვეყნებში გადაასახლეს, ბევრი მათგანი გადასახლების ადგილამდეც ვერ აღწევდა, გზაში კვდებოდა. გადაყენებულები არიოზელებით შეცვალეს. თვითონ გიორგი იმდენად უწიგნური იყო, რომ სწავლებას არ ეხებოდა, ქრისტიანობაზე საერთოდ მეტისმეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მაგრამ მასთან მისი ორი მეგობარი იყო – აეციუსი და ევნომიოსი, რომლებმაც არიოზული ერესი უსჯულოების მწვერვალამდე აიყვანეს და თავიანთ შეხედულებებს გულმოდგინედ ავრცელებდნენ. ორი წლის შემდეგ ხალხმა გიორგის წასვლა აიძულა, მაგრამ მეფემ საეპისკოპოსო ტახტზე იგი იარაღის ძალით აღადგინა, რასაც, ბუნებრივია, მართლმადიდებელთა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება მოჰყვა.

ალექსანდრია გამონაკლისი არ ყოფილა. მართლმადიდებლებს მთელს იმპერიაში დევნიდნენ. არჩევის ძველთაძველი წესი ყველგან ირღვეოდა, მრავალ ქალაქს ორი ეპისკოპოსიც კი ჰყავდა. ეკლესიაში ყველგან განხეთქილება იყო. არიოზელები მართლმადიდებლების წინააღმდეგ ყველა ხერხს მიმართავდნენ: ცილისწამებას, მოსყიდვას, ძალადობას. ყველგან შფოთი სუფევდა, ქრისტეს ნაანდერძევი სიყვარული მტრობამ და სიძულვილმა შეცვალა. ეპისკოპოსებს თავიანთი მოვალეობისა და საქმის შესასრულებლად აღარ ეცალათ, ისინი მუდამ კრებებს ესწრებოდნენ, რომელთაც

განუწყვეტლივ იწვევდნენ. ამ კრებებზე მართლმადიდებელთა ხმას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ყოველივე წინასწარ გადაწყვეტილი იყო. მათ ორიდან ერთ-ერთის არჩევა უწევდათ: ან სარწმუნოებრივ საკითხებში დათმობით თავის შერცხვენა, ან თავდადება სარწმუნოების სიწმინდის დაცვისათვის. ეკლესიის ყველაზე ღირსეული მწყემსმთავრები ან გადასახლებაში იტანჯებოდნენ, ან საპყრობილეებში.

იერუსალიმში მაქსიმინეს გარდაცვალების შემდეგ ეპისკოპოსად კირილე აირჩიეს, სარწმუნოებითა და ღმრთისმოსაობით გამორჩეული. თავდაპირველად არიოზელებს ეგონათ, რომ კირილე მათ მხარეზე იქნებოდა, როცა იმედი გაუცრუვდათ, მისი დევნა და მასზე ცილისწამებების გავრცელება დაიწყეს. კირილე ღარიბთა მიმართ ძალიან გულკეთილი და მოწყალე იყო. ქვეყანაში ჩამოვარდნილი შიმშილობის ჟამს, რადგან საკუთარი ქონება უკვე გაცემული ჰქონდა, იერუსალიმის ეპისკოპოსმა მშიერთა გამოსაკვებად ზოგიერთი სასულიერო ნივთი გაყიდა. არიოზელებმა მისი ქველმოქმედება მისსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენეს, ჩამოაგდეს და გააძევეს.

შინაგანი განხეთქილებისაგან განსაკუთრებით ანტიოქიის ეკლესია იტანჯებოდა. ევსტათის განდევნის შემდეგ მისმა მომხრეებმა თავისი განსაკუთრებული საზოგადოება ჩამოაყალიბეს და ევსტათელებად იწოდებოდნენ. ევსტათელებს, არიოზელ ეპისკოპოსსა და მის მომხრეებთან არა თუ ერთად ლოცვის, არამედ ურთიერთობის სურვილიც კი არ ჰქონდათ. როცა ანტიოქიის არიოზელი ეპისკოპოსი ევდოქსი კონსტანტინეპოლში გადაიყვანეს და აქაური ეკლესია უმწყემსმთავროდ დარჩა, მართლმადიდებლებმაც და არიოზელებმაც სებასტიის ყოფილი ეპისკოპოსი მელეტი აირჩიეს. მართლმადიდებლები მას პატიოსან ადამიანად იცნობდნენ, მხარი დაუჭირა სამეფო კარმაც, რომელსაც იგი თავისიანი ეგონა. მის პირველ ქადაგებას ეკლესიაში ორივე მხარე მოუთმენლად ელოდებოდა. ეპისკოპოსის მოსასმენად თვით იმპერატორი მობრძანდა, ამ ფაქტს მელეტიზე გავლენა არ მოუხდენია და ქადაგებაში ნათლად გამოკვეთა, რომ მართლმადიდებლური რწმენის აღმსარებელი იყო. ამიტომ არიოზელებმა ძალიან მალე გამოძებნეს საბაბი

მისი ჩამოგდებისა და მელეტიმ არმენიაში გადასახლების ბრძანება მიიღო. მაგრამ ქალაქმა მისი შეყვარება უკვე მოასწრო, ამიტომ, როცა მმართველს მიჰყავდა, მელეტი იძულებული გახდა თავისი მოსასხამით დაეფარა იგი ქვებისაგან, რომელსაც ხალხი ესროდა. მელეტის არჩევის აქტი სამოსის ეპისკოპოსთან, ევსევისთან ინახებოდა. მეფემ მისგან ამ საბუთის გადაცემა მოითხოვა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო. მაშინ ეპისკოპოსს ხელის მოკვეთით დაემუქრნენ, რაზედაც ევსევიმ უპასუხა: „ორივე ხელი მომკვეთეთ, მაგრამ საერთო დადგენილებას არჩევის შესახებ მაინც არავის მივცემ, თუნდაც იგი ყველა ამომრჩეველმა მომთხოვოს“.

მელეტის ნაცვლად ანტიოქიის ეკლესიას სათავეში გამოუსწორებელი არიოზელი ევზოი ჩაუყენეს, მაგრამ მართლმადიდებლებმა მასთან ურთიერთობაზე უარი თქვეს.[32] შემდეგში ლუციფერ კალიარელმა ანტიოქიელებისათვის მესამე ეპისკოპოსს, პავლინეს დაასხა ხელი, მაგრამ ამან განხეთქილება კიდევ უფრო გააღრმავა. მელეტის მომხრეებმა პავლინე არ მიიღეს, ხოლო ევსტათელები არც მელეტის ცნობდნენ და არც პავლინეს, მეოთხე ძლიერ პარტიას არიოზელები შეადგენდნენ. თავისი საზოგადოება შექმნა ცრუმოძღვარმა – აპოლინარმაც. სადღა იყო მშვიდობა, რომელიც თავის მოწაფეებს ქრისტემ უანდერძა?

სიმართლისათვის დევნილთა შორის იყვნენ, აგრეთვე ილარიოს პუატიელი და სერაპიონ ტმუითელი. ნიკეის აღმსარებლობაზე ორივე ურყევად იდგა და ათანასეს უდანაშაულობასაც ორივე მტკიცედ იცავდა, რის გამოც მათ გაძევების სიმწარეც გამოსცადეს და პატიმრობაც. გადასახლებაში ყოფნისას ისინი ბევრს წერდნენ ჭეშმარიტი სარწმუნოების განსამარტად და დასაცავად. ილარიოსი, რომელიც ახალგაზრდობაში წარმართი იყო და წმიდა წერილის გაცნობამ მოაქცია, გალიის ქალაქის პუატიეს ეპისკოპოსი იყო. სარწმუნოების სახელით ადამიანთა შევიწროვება და მათზე ძალდატანება მის გულწრფელ აღშფოთებას იწვევდა. „ახლანდელი ძალდატანება რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების სასარგებლოდ ყოფილიყო გამოყენებული, სახარების სწავლების მიმდევარი ეპისკოპოსები წინააღმდეგობას გაუწევდნენ და იტყოდნენ: ღმერთია

[32] **Сократ Схоластик, Церковная история, II, 44.**

მეუფე სამყაროსი. იგი ძალდატანებით მორჩილებას არ ითხოვს და იძულებითი თაყვანისცემა მისთვის მიუღებელია“, – წერდა იგი იმპერატორს.

ამასობაში არიოზული სწავლებაც გაიყო. სხვაობა შეხედულებებში მასში თავიდანვე იყო, მაგრამ ერთიანობას მართლმადიდებლობის დამარცხების წყურვილით ინარჩუნებდნენ, ხოლო როცა ამ ბრძოლაში თავი გამარჯვებულად იგრძნეს, ერთმანეთთან დასაპირისპირებლადაც მოიცალეს. ზოგიერთი არიოზელი ღმრთის გმობასა და მკრეხელობაში თავიანთ მოძღვარსაც კი აჭარბებდა, როგორც მაგალითად, აეციუსი და ევნომიოსი. სხვანი, მაგალითად, მაკედონიუსი, სულიწმიდის ღმრთეებრიობას უარყოფდნენ. მესამენი კი არიოზული შეხედულებების მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან დაახლოებას ცდილობდნენ და თავს ნახევრად არიოზელებად თვლიდნენ. ყველა ესენი ერთმანეთს მტრობდნენ, ერთმანეთს მრავალრიცხოვან კრებებზე აკრიტიკებდნენ და განსჯიდნენ. ყველა ამ უთანხმოებათა საპირისპიროდ ნათლად იკვეთებოდა შინაგანი ერთიანობა წმიდა სამოციქულო ეკლესიის სწავლებისა, რომელიც, მართალია, დევნასა და შევიწროვებას განიცდიდა, მაგრამ ჭეშმარიტებისა და მასში მყოფი სულიწმიდის ძალით მუდამ იმარჯვებდა.

მტრული პარტიების შესარიგებლად იმპერატორმა კონსტანციმ მსოფლიო კრების მოწვევა სცადა,[33] მაგრამ ვერ მოახერხა. ერთსა და იმავე დროს მოწვეულ იქნა ორი კრება: დასავლეთის ეპისკოპოსებისათვის რიმინში, აღმოსავლეთის ეპისკოპოსებისათვის სელევკიაში. რიმინის კრების მონაწილეებმა დაადგინეს, რომ მხარს ნიკეის სიმბოლოს დაუჭერდნენ, ხოლო სელევკიაში ძირითადად კამათი არიოზელებსა და ნახევრად არიოზელებს შორის მიმდინარეობდა, ორივე სამწუხარო შედეგით დამთავრდა: კრებების მონაწილე მამებმა, მოტყუებულებმა არიოზელების მიერ, რომლებიც ორაზროვან გამოთქმებს მოხერხებულად იყენებდნენ, ხელი მოაწერეს არიოზულ მრწამსთა შორის ერთ-ერთ ყველაზე უარესს, რომელშიც ტერმინი **ერთარსი** შეცვლილი იყო სიტყვით არსით **მსგავსი**. ხოლო ისინი, რომელნიც არიოზელებს ვერაგობას მიუხ-

[33] **Сократ Схоластик, Церковная история, II, 37.**

ვდნენ და ხელი არ მოაწერეს, გადასახლებულ იქნენ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში წმ. ათანასე უდაბნოში მხოლოდ ლოცვით როდი იყო დაკავებული. იგი თვალყურს ადევნებდა ეკლესიის საქმეებს, რომელთა შესახებაც ცნობებს მეგობრებისაგან იღებდა და ყველა წამოჭრილ საკითხს უდაბნოდან ეხმაურებოდა, დამრიგებლურ წერილებს სწერდა თავის საყვარელ სამწყსოს; სერაპიონისადმი მიწერილ წერილებში (I, II და IV) დიდმა მოძღვარმა სულიწმიდის ღმრთეებრიობაზე ეკლესიის ჭეშმარიტი სწავლება გადმოსცა,[34] ხოლო არიოზელების წინააღმდეგ დაწერილ ოთხ სიტყვაში[35] ცრუმოძღვრება მის მიერ საოცარი ძალით იყო მხილებული და გაცამტვერებული. იგი აღწერდა, აგრეთვე, თანამედროვე მოვლენებსაც, არიოზელების მოქმედებას, ზოგიერთ კრებას. მორწმუნენი ყოველ მის სიტყვას, როგორც ცრუსწავლების წინააღმდეგ ძლევამოსილ იარაღს, ისე იღებდნენ. ასე რომ, უდაბნოში იგი საერთო სარგებლობისათვის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. „განდევნილმა მოძღვრებმა, – წერდა წმ. ათანასე, – თვით პატიმრობაც თავიანთი მსახურების სასარგებლოდ აქციეს. გადიოდნენ რა ქვეყნებსა და ქალაქებს, ისინი ჭეშმარიტ სარწმუნოებას ახარებდნენ, თუმცა ბორკილებში იყვნენ; ამხელდნენ არიოზის ერესს. ასე გამოდიოდა საწინააღმდეგო იმისა, რაც მდევნელებს სურდათ. რაც უფრო შორს იყო პატიმრობის ადგილი, აღშფოთება არიოზელთა მიმართ მით უფრო იზრდებოდა და თვით პატიმრობაც არიოზელების საწინააღმდეგო ქადაგება ხდებოდა“.

მაგრამ ეკლესიის მშვიდობა მხოლოდ არიოზელთა მიერ როდი იყო დარღვეული. კიდევ უფრო გაღრმავდა აფრიკაში დონატისტების განხეთქილება. ისინი თავს ერთადერთ სამოციქულო ეკლესიად წარმოადგენდნენ და მართლმადიდებლებს ანათემაზე გადასცემდნენ. დონატისტები მხოლოდ საკუთარ ეპისკოპოსებს სცნობდნენ და თავიანთ მოთხოვნებს იარაღის ძალით იცავდნენ. ყოველი ცდა მათი ეკლესიაში დაბრუნებისა ამაო აღმოჩნდა. მათი სიჯიუტე ყოველწლიურად იზრდებოდა. დაიყვნენ რა სექტებად, ისინი ერთმანეთთანაც განუწყვეტლივ შუღლში იყვნენ და საშინელ

[34] **Св. Афанасий великий, Творения, т. III.**

[35] **Св. Афанасий великий, Творения, т. II.**

უწესრიგობას იწვევდნენ, რადგან სარწმუნოების საბაბით ერთმანეთსაც თავს ესხმოდნენ. გამძვინვარებული ბრბოები, რომლებიც ცირკუმცელიანებად იწოდებოდნენ, მთელს ქვეყანას ცეცხლითა და მახვილით მოედვნენ: წვავდნენ, ძარცვავდნენ, და ადამიანებს უმოწყალოდ ხოცავდნენ, ყოველი ხელისუფლებისა და ყოველგვარი წესრიგის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ხან გაშმაგებული შეძახილებით, ხანაც ჰიმნების სიმღერით საშინელ დანაშაულობებს სჩადიოდნენ, დაბოლოს, ველური ფანატიზმის მოზღვავების ჟამს, სიკვდილს ითხოვდნენ, თვლიდნენ რა მტრის ხელიდან სიკვდილს სასურველ ხვედრად და წმინდა მოწამეობად, რომელიც მათ დიდების გვირგვინს მოუტანდა. ხელისუფლება იძულებული გახდა რამდენიმე მღელვარება, რომელიც მათ გამოიწვიეს, იარაღის ძალით ჩაეხშო.

დევნა განიცადა ეკლესიამ სპარსეთშიც. სპარსეთის მეფე საპორი თავის იმპერიაში ახალი სარწმუნოების გავრცელებას თავდაპირველად გულგრილად უყურებდა, რის შედეგადაც ქრისტიანთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. სამაგიეროდ ქრისტიანები მოგვებსა და იუდეველებს სძულდათ. ამიტომ, როცა საპორსა და კონსტანცის შორის ომი გაჩაღდა, ქრისტიანების მოღალატეებად გამოყვანას შეეცადნენ და დაარწმუნეს მეფე, რომ სწორედ ისინი აძლევდნენ მტრებს ცნობებს იმის თაობაზე, რაც სპარსეთში ხდებოდა. მაშინ საპორმა დევნა დაუწყო ყველა ქრისტიანს, ვინც სარწმუნოებას არ უარყოფდა. ერთხელ მან თავისთან კტესიფონის ეპისკოპოსი სვიმეონი იხმო და მას ქრისტეს უარყოფა და მზისა და ცეცხლის თაყვანისცემა მოსთხოვა, ხოლო როცა უარი მიიღო, სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. სასახლიდან გაყვანისას სვიმეონს მეფის ყოფილი აღმზრდელი უსთაზადი შემოხვდა. ადრე იგი ქრისტიანი იყო, მაგრამ საპორის გულის მოსაგებად შემოქმედი უარყო და ახლა სასახლეში პატივით ცხოვრობდა. როცა სვიმეონი დაინახა, წამოდგა და თაყვანი სცა. ეპისკოპოსმა შემოქმედისადმი ღალატის გამო უსაყვედურა. უსთაზადს მღვდელმთავრის სიტყვები გულში მოხვდა, სინანული აღეძრა და ატირდა. „თუ მე ზურგი სვიმეონმა შემაქცია, გაიფიქრა მან, შემოქმედი ჩემი როგორღა შემომხედავს, რომელზეც უარი ვთქვი?“ იგი მაშინვე მეფესთან

წავიდა და უთხრა: „მე ორმაგად დამნაშავე ვარ: წინაშე შენსა, რადგან მოჩვენებითი აღმსარებლობით მოგატყუე, როცა შიშისგან მზის თაყვანისცემაზე დავთანხმდი და წინაშე შემოქმედისა, რომელიც უარვყავი, ვინანიებ ამას და მსურს ამიერიდან თაყვანი არა ქმნილებას, არამედ შემოქმედს ვსცე“. მეფე საპორი დიდხანს არწმუნებდა მოხუცს უარი ეთქვა უეჭველ სიკვდილზე, მაგრამ ამაოდ. უსთაზადმა განაჩენი მშვიდად მოისმინა, შეწყალება არ უთხოვია. მისი უკანასკნელი თხოვნა იყო, ხალხისათვის აეხსნათ, რომ იგი ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობისათვის კვდებოდა. ამით მას განდგომის ცოდვის გამოსყიდვა და საკუთარი მაგალითით ქრისტიანების გამხნევება სურდა. მეფე სიამოვნებით დათანხმდა, რადგან ეგონა რომ, როცა ქრისტიანები გაიგებდნენ, რომ მან თვით თავისი საყვარელი მასწავლებელიც კი არ დაინდო, დაშინდებოდნენ. პირიქით კი მოხდა. მორწმუნეებმა ფრიად გაიხარეს, როცა შეიტყვეს, რომ განდგომილ უსთაზადს უფალმა ისევ თავისთან მოუწოდა. მოხუცი დასაჯეს, მისი საქციელით გამხნევებული ქრისტიანები კი წმ. სვიმეონთან ერთად სიკვდილისათვის ემზადებოდნენ. ასამდე დასასჯელ ქრისტიანთა შორის ძირითადად სამღვდელონი იყვნენ. სვიმეონმა ისინი მომავალი სასუფევლის იმედით გაამხნევა. შიში მხოლოდ ერთ მოხუც მღვდელს დაეტყო, რომელსაც იქ მყოფმა მეფის მოხელემ უთხრა: „დიდხანს არ მოგიწევს, მოხუცო, ტანჯვა. თვალები დახუჭე და გამხნევდი, რადგან მალე ქრისტეს ნათელს იხილავ“. ამ სიტყვებმა გასცეს, რომ იგი ქრისტიანი იყო. როცა საპორმა ეს შეიტყო, დანარჩენ ქრისტიანებთან ერთად მოხელეცა და მისი ქალიშვილიც სიკვდილით დაასჯევინა. დევნა ძლიერდებოდა. დაადანაშაულეს რა ჯადოქრობაში, სიკვდილით დასაჯეს სვიმეონის ორი დაც, ხოლო ერთი წლის შემდეგ, აღდგომის დღეს, რწმენას ათასამდე ქრისტიანი შეეწირა, მათ შორის მეფის საყვარელი კარისკაცი აზატიც იყო. ისტორიკოსები თვლიან, რომ საპორის ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში მოწამეობრივად 300-მდე სასულიერო პირი და 16 ათასამდე ერისკაცი აღესრულა.

ქრისტიანთა ძალა მხოლოდ დევნის დროს გამოჩენილ სიმტკიცეში არ გამომჟღავნებულა. საპორი გააოცა მათმა სიმამაცემ,

როცა 348 წელს სირიის ქალაქ ნასიბინს ალყა შემოარტყა. ნასიბინის ეპისკოპოსი, წმინდა იაკობი და მისი მოწაფე ეფრემი ალყაშემორტყმულებს მხნეობას უნერგავდნენ, ქალაქის კედლებს გარს ლოცვებითა და ფსალმუნთა გალობით უვლიდნენ და ღმერთიც თავის ერთგულ მსახურებს სასწაულებრივად შეეწია. მტრის ჯარის თავზე უეცრად მწერების ღრუბელი ჩამოწვა; დამფრთხალმა ცხენებმა და სპილოებმა საშინელი არეულობა შექმნეს. სპარსელთა ჯარს თავად იმპერატორის აჩრდილი წარმოუდგა, რომელიც თითქოს იბრძოდა და სულით დაეცა, მხედართმთავრები იძულებული გახდნენ, ალყა მოეხსნათ და ლაშქართან ერთად უკან გაბრუნებულიყვნენ.

ეკლესიის ისტორიკოსი ვერ აუვლის იმ სასწაულს გვერდს, რომელიც კონსტანცის მეფობის დროს, კერძოდ, 351 წელს მოხდა. 7 მაისს, დაახლოებით დღის სამ საათზე, იერუსალიმში, გოლგოთას მთიდან ელეონის მთამდე, დიდი ბრწყინვალე ჯვარი გამოჩნდა. ღმრთის სადიდებლად ქალაქის მთელმა მოსახლეობამ ეკლესიას მიაშურა. ეს უცხო მოვლენა მეფეს წმ. კირილე ეპისკოპოსმა აღუწერა წერილში, ხოლო ეკლესიამ ამ სასწაულის მოსახსენებელი დღე დააწესა.

წმ. კირილე იერუსალიმელმა, რომელიც 386 წელს გარდაიცვალა, რამდენიმე დამმოძღვრელი თხზულება დაგვიტოვა, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „განცხადებული სწავლანი“, რომელშიც რწმენის დოგმატები, საიდუმლოთა განმარტებანი და საეკლესიო ადათ-წესებია გადმოცემული.

ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის მოღვაწენი

ანტონი დიდი. ჩვენ ნაწილობრივ უკვე გავეცანით უდაბნოში მოღვაწე ბერთა ცხოვრებას, რომელთაც დასახლებული ადგილების მიტოვება დევნამ აიძულა; მათ შორის იყო ანტონი დიდიც, რომელმაც 35 წლის განმარტოებული ცხოვრების შემდეგ თავისი ნახევრად დანგრეული კოშკი დატოვა და განდეგილ ძმებს წინამძღვრობაზე დათანხმდა. მაქსიმინეს მმართველობის პერიოდში დაწყებული ქრისტიანთა დევნისას, როგორც ვნახეთ, მორწმუნეთა

გასამხნევებლად იგი ალექსანდრიაში ჩავიდა, სადაც განცხადებულად იქცეოდა როგორც ქრისტიანი, მაგრამ უფალმა დაიცვა, რათა ასკეტური მოღვაწეობა გაეგრძელებინა და უდაბნოში დაბრუნდა. კონსტანტინე დიდის მეფობის ბოლო წლებში გაძლიერებულმა არიოზობამ მისი გულისტკივილი და აღშფოთება გამოიწვია. „თვითონ ბუნებაც კი შეძრწუნებულია, როცა ხედავს, რომ შემოქმედს შექმნილს უტოლებენ... არიოზმა დაუსაბამოს დასაბამი დაუდო, დაუსრულებელი და შემოუსაზღვრელი სასრულად და შემოსაზღვრულად წარმოგვიდგინა“, – ამბობდა იგი. ზნეობრივი თვალსაზრისით სამაგალითო ცხოვრებამ და სარწმუნოების თავგანწირულმა სამსახურმა მას მთელ ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი ავტორიტეტი მოუპოვა. ამიტომ ანტონი დიდის სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებისათვის და ალექსანდრიაში მისი ყოველი გამოჩენა გამოუთქმელ შთაბეჭდილებას ახდენდა. წმ. ათანასე, რომელმაც დიდი მეუდაბნოე მამის ცხოვრება აღწერა, გვამცნობს, რომ წმინდა მამის გამოჩენა ალექსანდრიაში მართლმადიდებლებისათვის ზეიმს წარმოადგენდა.[36] თავის მხრივ, ანტონი მწვალებლებისაგან შევიწროვებულ ალექსანდრიის ეპისკოპოსს მტკიცედ იცავდა და მის მხარდასაჭერად წერილებსაც კი უგზავნიდა იმპერატორს.

ამასობაში ანტონის გარშემო შემოკრებილმა ბერებმა მონასტრები შექმნეს და მათგან **უდაბნოჲ ქალაქ იქმნა.** თავდაპირველად წინამძღვარს მათთვის კანონები არ მიუცია, რადგან წესდება მერე, თანდათანობით მას შემდეგ უნდა ჩამოყალიბებულიყო, როცა ასკეტთა ერთად ცხოვრების პრაქტიკა მის შესაქმნელად გამოცდილებას მოიტანდა. ბერების ძირითადი საქმიანობა ლოცვა და შრომა იყო. ლოცვისაგან თავისუფალ დროს ისინი პალმის რტოებისაგან კალათებსა და ჭილოფებს წნავდნენ და უახლოეს ქალაქებში პურსა და სხვა აუცილებელ ნივთებზე ცვლიდნენ; საკუთარი ხელებით თავსაც ირჩენდნენ და ღარიბებსაც ეხმარებოდნენ, რადგან თვითონ ძალიან მცირედით კმაყოფილდებოდნენ: მკაცრად მარხულობდნენ, ყველაზე უბრალო სამოსს ატარებდნენ და, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ საკუთრება. ცნობილია, რომ

[36] მამათა ცხორებანი, გვ. 32.

წმ. ანტონი ბერებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცოდნას, მაგრამ მიაჩნდა, რომ მის შესაძენად, გარდა წმინდა წერილის შესწავლისა, ერთმანეთისათვის გამოცდილებათა გაზიარება და ერთმანეთის დარიგებაც აუცილებლად საჭირო იყო. მორწმუნეებს იგი ხშირად ლოცვისაკენ, დილით, შუადღესა და საღამოს ფსალმუნების გალობისა და წმინდა წერილის ყოველდღე კითხვისაკენ მოუწოდებდა; ასევე აუცილებლად თვლიდა წმინდანთა ღვაწლის გახსენებას სულის სიკეთის ქმნისაკენ აღსაძვრელად; გვასწავლიდა, რომ მარადიული ცხოვრების წყარო მორჩილება და უწყინარობაა და გვირჩევდა ენის მოთოკვასაც, რადგან ეს საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ცუდი სიტყვა არ დაგვცდეს.[37]

ყველაზე ხშირად წმ. ანტონი, ისევე როგორც სხვა ცნობილი მეუდაბნოე მამები, მოწაფეებს თავმდაბლობის – მორჩილების სიკეთეს შეაგონებდა, რადგან იცოდა, რომ მოღვაწისათვის ყველა ცდუნებაზე საშიში სულიერი ქედმაღლობაა. ეს საშიშროება ერისკაცებზე მეტად ბერებს ემუქრებოდათ, რადგან, რამდენადაც მათ ყოველივე ამქვეყნიური ქრისტეს შესწირეს, ადვილად შეეძლოთ წარმოდგენა იმისა, რომ მხოლოდ ამითაც უკვე ბევრი რამ გააკეთეს და თავიანთი ღვაწლით, როგორც დამსახურებით, თავი ისე მოეწონებინათ.

ბერებს წმ. ანტონი ვითარცა მამა ისე უყვარდათ. საკუთარი თავის მიმართ ძალიან მკაცრი, მოწაფეებთან ურთიერთობისას საოცარ სიყვარულსა და ლმობიერებას იჩენდა. წმ. ათანასე დიდის გადმოცემით, ანტონი უდაბნოში გატარებულმა ხანგრძლივმა ცხოვრებამ არა თუ გააუხეშა და გააველურა, არამედ პირიქით, განსაკუთრებით ალერსიანი და მოწყალე გახადა. სახეც უჩეულოდ სასიამოვნო და მიმზიდველი ჰქონდა. ისიც კი, ვისაც არასოდეს ჰყავდა ნანახი, მრავალ ბერში არჩევდა და პირდაპირ მისკენ მიდიოდა. სახეზე სიწმინდე სულისა და მასში დამკვიდრებული მადლი სულისა წმიდისა ეხატებოდა.[38] წმინდა მამას განუწყვეტლივ აკითხავდნენ ადამიანები, რომლებიც მისგან რჩევა-დარიგებასა და კურთხევის მიცემას ითხოვდნენ. ერთხელ მას სწავლულმა

[37] იქვე, გვ. 18-31.
[38] იქვე, გვ. 41.

წარმართებმაც მიაკითხეს, რომელთაც დიდი მეუდაბნოეს ნახვა აინტერესებდათ. საკუთარ ცოდნაში დარწმუნებულნი ისინი ჯვარცმულ ქრისტეს, როგორც ღმერთს, უარყოფდნენ და მის ჯვარს დასცინოდნენ. წმ. ანტონი მათთვის გულისა და გონების გახსნას ჯერ სიტყვიერად შეეცადა, მაგრამ ამაოდ. ამ დროს ღმრთის ნებით, წმინდანს სნეულები მიუყვანეს. წმ. მამამ ილოცა, ავადმყოფებს ჯვარი გადასახა და ისინიც სასწაულებრივად განკურნებულნი წამოდგნენ. ასე აჩვენა ქედმაღალ წარმართებს უფალმა ხილულად ჯვრის ძალა, რომელსაც ისინი თავხედურად დასცინოდნენ. წმ. ანტონმა კი მათ უთხრა: „რაჲსა გიკჳრს ამისთჳს? არა ჩუენ ვართ, რომელნი ვიქმთ ამას, არამედ ქრისტე არს, რომელი მორწმუნეთა მისთაგან ამას ჰყოფს. გრწმენინ თქუენცა და იქმნენით ვითარცა ჩუენ, და იხილოთ, რამეთუ არა მეცნიერებაჲ სიტყუათაჲ ჩუენ შოვრის არს, არამედ სარწმუნოებაჲ სიყუარულითა ქრისტჱსგან შეწევნითა“.[39]

მოწაფეთა შორის მრავალი წლის ცხოვრების შემდეგ, წმ. ანტონმა კვლავ განმარტოება მოისურვა. მან თავს ამის უფლება იმიტომ მისცა, რომ დარწმუნდა, ბევრი მისი მოწაფე უკვე სულიერი გამოცდილების მაღალ საფეხურზე იდგა და სხვების დამოძღვრა დამოუკიდებლადაც შეეძლო. ერთხელაც, ცოტა პური აიღო, მდინარესთან მივიდა და ნავს დაელოდა, რომ თებაიდაში გადასულიყო. უცბად ხმა მოესმა: **ანტონი, ვიდრე ჰხვალ**? – ზემო თებაიდაში, უპასუხა მან. **ზემო თებაიდაში წახვალ თუ ბოკულიაში** (სანაპირო, სადაც ნილოსი ზღვას უერთდება), **სიმშვიდე არ გექნება; უდაბნოს სიღრმისაკენ გაემართე.** – ანტონი დამორჩილდა და თებაიდის უდაბნოში წავიდა, რომელიც მეწამული ზღვის მახლობლად მდებარეობდა.[40] სამი დღის სიარულის შემდეგ მაღალ მთაზე ავიდა, რომლის მწვერვალიდანაც ქორებისა და სინას მთები, უდაბნოს სივრცე და ეგვიპტის ნაყოფიერი დაბლობი ჩანდა. მთის ძირთან პალმებით დაჩრდილული ნაკადული მოჩხრიალებდა. წმ. ანტონმა ამ მთაზე დამკვიდრება გადაწყვიტა და ვიწრო კელია მოიწყო; აქედან ის საკმაოდ ხშირად აკითხავდა თავის პირველ მონასტერს,

[39] იქვე, გვ. 46.
[40] იქვე, გვ. 34.

რომელსაც პისპერი ეწოდებოდა; ხოლო თვითონ მასთან მისულებს ყოველთვის გულღიად და სიყვარულით ხვდებოდა. როცა ძალიან დაბერდა, თავის რამდენიმე მოწაფეს მასთან ცხოვრების ნება მისცა.

ასკეტი მოძღვრისათვის იმდენად ძნელია სულს სიამაყის საფრთხე მოარიდოს, რომ ცდუნებას ერთხელ თვით ანტონ დიდიც კი დაემორჩილა. ერთ დღეს მას დაებადა აზრი, რომ მთელს ეგვიპტეში პირველი და ყველაზე სრულყოფილი მეუდაბნოე იყო. მაგრამ ღმერთმა იმავე ღამეს აუწყა ასევე უდაბურ ადგილას მცხოვრები ბერის შესახებ, რომელმაც მარტოობაში მასზე ბევრი დრო გაატარა. თვითონ ანტონს ამ დროისათვის ასკეტური ცხოვრების სამოცდაათი წელი ჰქონდა განვლილი. გათენდა თუ არა, წმ. მამამ კვერთხი აიღო და გზას დაადგა, რათა ის, ვისზეც ღმერთმა მიუთითა, ეპოვა. ქვიშიანი უდაბნოს ხვატში მან სამი დღე ისე იარა, რომ ადამიანის კვალიც კი არ უნახავს. ბოლოს, როცა თებაიდის უდაბნოს საზღვარს მიაღწია, უცბად აფთარი დაინახა, გაჰყვა მას და გამოქვაბულს მიადგა. მისი ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა, ვიღაცამ გამოქვაბულის შესასვლელი სწრაფად დახურა. წმ. ანტონი მუხლებზე დაეცა და შეევედრა: „გევედრები შენ, ქრისტეს მონაო, კარი გამიღე; ვიცი, რომ არა ვარ ღირსი შენი სახის ხილვისა, მაგრამ მანამდე არ წავალ, ვიდრე არ გიხილავ, რადგან შენს შესახებ თვით ღმერთმა მაუწყა“. უცნობმა შეისმინა მისი მუდარა და გამოქვაბულიდან განდეგილი გამოვიდა. ბერებმა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი არასოდეს ენახათ, ერთმანეთს სახელებით მიმართეს. ეს იყო პავლე თებაიდელი, რომელიც უდაბნოს დეკიუსის დროს ატეხილი დევნისას შეეფარა, აქ უკვე 91 წელი ჰქონდა გატარებული და ამ ხნის მანძილზე თვალიც კი არ ჰქონდა დაკრული ადამიანისათვის. დიდი მეუდაბნოე ამ დროს უკვე 113 წლისა იყო, სიმშვიდითა და სიხარულით აღსავსე. მან გამოჰკითხა წმ. ანტონს, როგორ ცხოვრობდნენ სამყაროში, იყო თუ არა ისევ კერპთაყვანისმცემლობა, კვლავ დევნიდნენ თუ არა ქრისტიანებს. შემდეგ თავისი თავის შესახებაც უამბო. ვიდრე ბერები საუბრობდნენ, მოფრინდა ყორანი და მათ წინ პური დაუდო. „გულუხვი და მოწყალეა უფალი, – თქვა პავლემ, – ყოველდღე

ნახევარ პურს მიგზავნის, ახლა კი შენი სტუმრობის გამო, მთელი გამომიგზავნა“.

ბერებმა მთელი ღამე ლოცვასა და საუბარში გაატარეს. პავლემ უთხრა: „მე დიდი ხანია ვიცი, რომ შენ უდაბნოში ცხოვრობ და მინდოდა შენთან ერთად მემოღვაწა; მაგრამ ახლა ჩემი აღსასრული უკვე ახლოა და მე ვმადლობ ღმერთს, რომ შენ გამოგგზავნა. გეევედრები, დაბრუნდი შენს კელიაში და მომიტანე მანტია, რომელიც შენ ეპისკოპოსმა ათანასემ მოგცა“. ანტონს გაუკვირდა, რომ პავლემ ეს იცოდა. არც მისი დატოვება უნდოდა, რადგან მწუხარება მოჰგვარა სიტყვებმა მოახლოებულ აღსასრულზე, მაგრამ უარის თქმაც არ შეეძლო. იგი სასწრაფოდ დაბრუნდა კელიაში, მოწაფეებს მხოლოდ ეს უთხრა: „ბერი მე მხოლოდ სახელით ვარ. მე ვნახე ელია, ვნახე იოვანე უდაბნოში, მე ვნახე პავლე სამოთხეში“. არც კი დაუსვენია, ისე დაადგა გზას უდაბნოს ხვატში. მეორე დღეს გზაზე მას ჰქონდა საოცარი ხილვა: მოციქულთა და წინასწარმეტყველთა დასთა შორის ანგელოზებს პავლეს სიხარულით აღვსილი სული ზეცაში აჰყავდათ. მას ცრემლები წასკდა და მიწაზე დაემხო სიტყვებით: „რატომ დამტოვე, წმინდაო მამაო? რატომ გიცნობდი ასე მცირე ხნით?“ შემდეგ ძალა მოიკრიბა და გზა გააგრძელა, გამოქვაბულთან რომ მივიდა, მუხლებზე დაცემული პავლე დაინახა, რომელიც ლოცულობდა. სიხარულით გაიქცა მისკენ, მაგრამ ხელი რომ შეახო, მიხვდა, ცოცხალი აღარ იყო. ცხედარი მანტიაში გაახვია და გარეთ გამოასვენა, რათა დაემარხა, მაგრამ ბარი არ ჰქონდა. ამ დროს უეცრად ორი ლომი გამოჩნდა, რომელთაც საფლავისათვის მიწა ბრჭყალებით გათხარეს. როცა პავლე თებაიდელის ნეშტი მიწას მიაბარა, ანტონმა მისი პალმის ფოთლებისაგან შეკერილი სამოსი აიღო და თავის კელიაში დაბრუნდა. ამ სამოსს იგი, როგორც სიწმინდეს, ისე უფრთხილდებოდა და მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში იცვამდა.

წმ. ანტონი დიდი 335 წელს 105 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბოლო წლებში მის მიერ დაარსებულ მონასტრებს ხშირად ვეღარ აკითხავდა, მაგრამ ძმებს წერილებს სწერდა, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს. ეს წერილები ღმრთეებრივი სიყვარულითა და მაღალი სიბრძნითაა განმსჭვალული. სიკვდილამდე რამდენიმე

დღით ადრე მან ძალა მოიკრიბა და მოწაფეებთან გამოსათხოვებლად და მათთვის უკანასკნელი დარიგების მისაცემად პისპერის მონასტერს კიდევ ერთხელ ეწვია. ყველა ტიროდა და ევედრებოდა უკანასკნელი დღეები იქ გაეტარებინა, მაგრამ წმ. ანტონს სიკვდილი თავის განმარტოებულ კელიაში ეწადა. ამის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა და თავის მოწაფეებს ანდერძად დუტოვა, რომ მისი დასაფლავების ადგილი საიდუმლოდ შეენახათ.[41] თავიანთი სულიერი მამის გარდაცვალებას მეუდაბნოენი დიდხანს დასტიროდნენ, მისი უახლოესი მოწაფეები კი მომსვლელებს აჩვენებდნენ კელიას, რომელშიც წმინდა მამა ცხოვრობდა, ხეებს, რომლებიც მისი ხელით იყო დარგული და გუბურას, რომელიც თვითონ ამოთხარა.

დღეს ადგილს, სადაც წმ. ანტონი ცხოვრობდა, ქვის ყრუ კედელი აქვს შემოვლებული, რომელსაც მხოლოდ ერთი ფანჯარა აქვს დატანებული. ზღუდის შიგნით ორი პატარა ეკლესია დგას.

როცა არიოზელებისაგან დევნილმა ათანასემ თავი უდაბნოს შეაფარა, წმ. ანტონი დიდი უკვე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ უდაბნო მისი ხსოვნითა და დიდებით იყო აღსავსე. ათანასე, რომელმაც წმ. ანტონი დიდის დაარსებული მონასტრები მოინახულა, მათ შესახებ წერს: ისინი „ვითარცა ტაძარნი, ღმრთეებრივი დასებით აღსავსენი, სავსე იყვნენ ადამიანებით, რომელთა ცხოვრებაც ფსალმუნთა გალობაში, კითხვაში, ლოცვაში, მარხვასა და მღვიძარებაში გადიოდა – ადამიანებით, რომელნიც მთელ იმედს მომავალი ცხოვრების სიკეთეზე ამყარებდნენ, განმარტოებულნი გასაოცარი სიყვარულით ცხოვრობდნენ და საკუთარი ხელებით არა იმდენად საკუთარი თავის გამოსაკვებად, რამდენადაც ღარიბების დაპურებისათვის შრომობდნენ. ეს იყო თითქოს ვრცელი, სამყაროსაგან განცალკევებული ქვეყანა, რომლის ბედნიერ მკვიდრთ სხვა მიზანი, გარდა სიმართლითა და ღმრთისმოსაობით მოღვაწეობისა, არ ჰქონდათ. მათ არ იცოდნენ შფოთი და კამათი, არ იცოდნენ, რა იყო სურვილი სხვისთვის ბოროტების გაკეთებისა, არამედ ერთმანეთს მხოლოდ სათნოებებში წარმატებისათვის ეჯიბრებოდნენ“.

[41] იქვე, გვ. 52.

იმ ადგილის მახლობლად, სადაც წმ. ანტონი დიდი ცხოვრობდა, ნიტრიის უდაბნო იყო. ასე ეწოდებოდა მას იქაურ ტბებში გვარჯილას (ნიტრი) სიმრავლის გამო. მეოთხე საუკუნის ბოლოს იქ უკვე 50 მონასტერი იყო, რომლებშიც ექვსიათასამდე ბერი ცხოვრობდა.[42]

ამონი. ერთ-ერთი პირველი იმათგან, რომელნიც ამ უდაბნოში მოღვაწეობდნენ, ამონი იყო, შვილი მდიდარი და წარჩინებული მშობლებისა. ამონს მეუდაბნოობის სურვილი ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა, მაგრამ მშობლების სურვილს ანგარიში გაუწია და დაქორწინდა. საბედნიეროდ მეუღლესაც სულიერი მოღვაწეობა იზიდავდა. ამიტომ, როცა მშობლები გარდაიცვალნენ, მან სახლში ქალწულთა საზოგადოება შექმნა, ხოლო თვითონ ამონი ნიტრიის უდაბნოში დამკვიდრდა, სადაც მას მეუღლე დარიგების მისაღებად წელიწადში ორჯერ აკითხავდა. ამონის ირგვლივ მრავალი მოღვაწე შეიკრიბა, რადგან გონიერებითა და სიბრძნით იყო განთქმული. მიუხედავად ამისა, იგი ცდილობდა ბევრი რამ წმ. ანტონისგანაც ესწავლა, მის შეგონებებს უსიტყვოდ იზიარებდა და ემორჩილებოდა. შემორჩენილია თვითონ ამონისეული ზოგიერთი შეგონებაც: „უკეთუ ვინმემ შეურაცხგყო და გრძნობ, რომ მწუხარებამ და რისხვამ მოგიცვა, დუმილი შეინარჩუნე და მანამ ნურაფერს იტყვი, ვიდრე გულს ლოცვით არ დაიმშვიდებ; მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია დაელაპარაკო ძმას.“ ამონი ანტონი დიდზე ადრე გარდაიცვალა. ამ უკანასკნელმა იხილა, წმინდა მამის სული როგორ ადიოდა ზეცად.

ნიტრიის უდაბნოში ცხოვრობდნენ დიდი სულიერი მოღვაწენი: მაკარი ალექსანდრიელი, სერაპიონი, პაფნუტი, პამვა, პიორი, ქრონიუსი. წმ. ამონის გარდაცვალების შემდეგ საგრძნობი გახდა, რომ მონაზვნური ცხოვრების ზოგიერთი წესის გადმოცემა და ძმებისათვის წინამძღვრის დადგენა უკვე აუცილებელი იყო. მაკარიმ წინამძღვრის მოვალეობანი მოკლედ ასე ჩამოაყალიბა: „თქვენ, წინამძღვარნო მამანო, სარწმუნო ხატნი უნდა იყოთ. ხანაც სიმშვიდით, ხანაც სიმკაცრით აღამაღლოთ მიწიერიდან ზეციერამდე სულნი ძმათა თქვენთანი. მონასტერში შემსვლელთაგან, უწინარეს

[42] **Руфин, Жизнь пустинных отцев. Сергиев Посад, 1898, გვ. 90.**

ყოვლისა, მიწიერ კეთილდღეობასა და, კიდევ უფრო მეტად, ქედმაღლობაზე უარის თქმა უნდა მოითხოვოთ, რომელიც ღარიბებსაც კი აქვთ. ამასთან, სიმდაბლით უნდა მოისმინოთ, რომ არც ერთ თქვენგანს, ძმებო, თავისი ნება არ უნდა ჰქონდეს – ეს დიდი და სათნო მსხვერპლია წინაშე ღმრთისა; ყოველთვის მზად უნდა იყოთ ყოველგვარი კეთილი საქმისათვის; მწუხარებისას – მომთმენნი, საქმეში – პატიოსანნი; ბოროტებისთვის არასოდეს არა თუ ბოროტებით არ უნდა მიაგოთ, არამედ ყველას მიმართ სიკეთის გამოჩენას უნდა ცდილობდეთ“.

ზედამხედველობის გასაადვილებლად ბერები ათეულებად და ასეულებად დაიყვნენ. უფროსი მონაზონი, რომელსაც მამას, აბბას უწოდებდნენ, ანგარიშს მთავარ აბბას აბარებდა. ცხოვრების წესები სიმარტივითა და მცირერიცხოვნებით გამოირჩეოდა: საერთო ლოცვისა და შრომისათვის განსაზღვრული დრო იყო გამოყოფილი. ძირითად საქმიანობას კალათებისა და ჭილოფების დაწვნა წარმოადგენდა; გარდა ამისა, ბერები მეზობელ მემამულეებთან მინდვრის სამუშაოების დროს ქირითაც მუშაობდნენ. საკუთარი ქონება არავის ჰქონდა. შუადღის სამ საათამდე, მონასტერშიც და თავიანთ კელიებშიც, ისინი დროს ლოცვაში, კითხვასა და ხელსაქმეში ატარებდნენ. სამი საათის შემდეგ საერთო ლოცვისათვის იკრიბებოდნენ, რის შემდეგაც აბბა მათ სწავლებას სთავაზობდა, რასაც მოჰყვებოდა საერთო ტრაპეზი; ბერები სხდებოდნენ სუფრასთან, ჭამდნენ პურს, ხილსა და ბოსტნეულს, ხოლო დიდ მარხვაში მხოლოდ პურითა და წყალით საზრდოობდნენ. ამავე დროს ისმენდნენ სწავლებას აბბასაგან. აუცილებელი იყო ყოველ დღეს რაღაც ახალი შეესწავლათ წმინდა წერილიდან. მოგზაურის მიღება წმინდა მოვალეობად ითვლებოდა. უდაბნოებში ძალიან სწრაფად მოაწყვეს მოგზაურთა მიმღები სახლები, ხოლო თვითონ მონასტრებთან – საავადმყოფოები.[43]

მეუდაბნოე ბერებზე მრავალ საინტერესო ცნობას იძლევა იტალიელი რუფინუსი, რომელმაც ნიტრიის უდაბნოში ექვსი წელი

[43] **П.С. Казанский, Общий очерк жизни иноков египетских в IV и Vвеках / А. И. Сидоров, Древнехристианский аскетизм и зарождение монашества, 1998. გვ. 397-526.**

გაატარა. ნეტარმა იერონიმემ, რომელიც იქ საუკუნის ბოლოს ჩავიდა, ნიტრიის მთას ღმრთის ქალაქი უწოდა. ბერები უპირველესად იმით გამოირჩეოდნენ, რომ ქრისტეს სიყვარულით უარს ამბობდნენ საკუთარ ნებაზე; ასევე გამოარჩევდა მათ ღრმა მორჩილება, მკაცრი დამოკიდებულება თავისი თავის მიმართ და საოცარი სიყვარული ახლობლებისა.

როცა პამვასაგან, რომელსაც ღმრთის მეგობარს უწოდებდნენ, დარიგების მიცემა ითხოვეს, მან ასე დაარიგა: „ყველას მიმართ მოწყალე იყავი“.

მაკარი ალექსანდრიელი, მაშინაც კი, როცა ახალგაზრდობის წლებში ალექსანდრიაში ვაჭრობდა, თავმდაბლობითა და სიწმინდით იყო ცნობილი, თითქმის მთელი წმ. წერილი ზეპირად იცოდა. ნიტრიის უდაბნოში 40 წლისა მივიდა და ასი წლისა გარდაიცვალა.

უფრო ცნობილია **მაკარი ეგვიპტელი,** რომელმაც მონაზვნობა სკიტის უდაბნოში დააფუძნა. ახალგაზრდობაში იგი ჯოგს მწყემსავდა. მეუდაბნოობა თავიდანვე იზიდავდა, მაგრამ მშობლების ნებას დაყვა და დაქორწინდა. როცა მშობლებიცა და ცოლიც მოუკვდა, ერთი ღმრთისმოსავი მოხუცის ახლოს დამკვიდრდა, როგორც მისი მოწაფე. მისი კელია სოფლის ახლოს იყო. ღმერთმა მაკარის მძიმე განსაცდელი გამოუგზავნა – მას ცილი დასწამეს დანაშაულის ჩადენაში. მაკარიმ დაუმსახურებელი ბრალდება, სიძულვილი და გაკიცხვა უგუნური ადამიანებისაგან აღუშფოთებლად გადაიტანა იმ რწმენით, რომ უკეთუ ღმერთი ინებებდა, მის უდანაშაულობას გაამჟღავნებდა. ასეც მოხდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ბრალი უსამართლოდ დასდეს. სიძულვილი და ათვალწუნება, რომელსაც მის მიმართ იჩენდნენ, საერთო პატივისცემამ შეცვალა. მისმა მოთმინებამ და სიმშვიდემ, რომლითაც უსაფუძვლო შეურაცხყოფას ითმენდა, ყველა გააოცა. მაშინ მაკარიმ გადაწყვიტა, სრულიად გაეწყვიტა კავშირი სამყაროსთან და ნიტრიის უდაბნოში დამკვიდრდა, სადაც ხშირად ხვდებოდა ანტონი დიდს. შემდეგში კიდევ უფრო განმარტოების სურვილი აღეძრა და სკიტში გადავიდა. თუმცა ნიტრიის მთასთან სკიტის უდაბნოს მხოლოდ 24 საათის სავალი მანძილი აშორებდა, ბუნებრივი პირობებით იგი ბევრად უფრო მკაცრი იყო, სასმელი

წყალიც კი ჭირდა. სკიტის უდაბნოში ცხოვრების წესებიც უფრო მკაცრი იყო. ამიტომ ბერები აქ დიდი მარხვისა და განსაკუთრებით ვნების შვიდეულის გასატარებლად მოდიოდნენ.

წმ. მაკარიზე მრავალი გადმოცემა არსებობს. ერთხელ, მისმა ერთმა მოწაფემ წარმართ ქურუმს იმდენი შეურაცხმყოფელი სიტყვა უთხრა, რომ განრისხებულმა ქურუმმა კინაღამ მოკლა; მაგრამ, როცა იმავე ქურუმს მაკარი შეხვდა და მის დარწმუნებას სიყვარულით შეეცადა, ქურუმი მას ფეხებში ჩაუვარდა სიტყვებით: „მე ვხედავ, რომ შენ ღმრთის კაცი ხარ, მეც გამხადე ქრისტიანი“. როცა ამ შემთხვევაზე მიუთითებდა, მაკარი ამბობდა: „ცუდი სიტყვა კეთილთაც ცუდად აქცევს, ხოლო კეთილ სიტყვას ცუდების კეთილად გადაქცევა შეუძლია“.

ერთხელ უფალმა მაკარის განუცხადა, რომ მახლობელ ქალაქში ცხოვრობდა ორი ქალი, რომელთაც სათნოებაში მასზე უფრო დიდ სრულყოფილებას მიაღწიეს. წმ. მამა ამ ქალების მოსაძებნად გაემართა, რათა მათგან ესწავლა, როგორ გამხდარიყო ღმრთისათვის სათნო, რადგან ეგონა, რომ ისინი რაღაც განსაკუთრებულ ღვაწლსა შინა იყვნენ; სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ეს ქალები წყნარ ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდნენ. უკვე თხუთმეტი წელი იყო, რაც ძმებზე იყვნენ დაქორწინებულნი და ამ ხნის განმავლობაში გულმოდგინედ ასრულებდნენ რა თავიანთ მოვალეობას, სიყვარულითა და თანხმობით ცხოვრობდნენ. მათ მონასტერში წასვლა უნდოდათ, მაგრამ რადგან ქმრებმა ამის ნება არ მისცეს, დამორჩილდნენ და ღმრთის მცნებათა წმინდად დაცვას ცდილობდნენ. საკუთარ თავს მუდამ თვალყურს ადევნებდნენ, რომ ცუდი ან უქმი სიტყვა არ წამოსცდენოდათ. როცა მათ ცხოვრებას გაეცნო, მაკარი ღმერთს შეევედრა, მიეცა მისთვის ძალა, რათა უდაბნოში ისე ეცხოვრა, როგორც ეს ქალები ერში ცხოვრობდნენ.

მაკარი ეგვიპტელმა 50 საუბარი და რამდენიმე წერილი დაგვიტოვა, რომელნიც შეიცავენ სწავლებას შინაგან, სულიერ ცხოვრებასა და ღმრთის მადლზე, რომლის გარეშეც სიკეთის ქმნისათვის ჩვენ უძლურნი ვართ და რომელიც ჩვენ სიკეთის ქმნის ძალას გვაძლევს.[44]

სკიტის უდაბნოს მოღვაწეთაგან განსაკუთრებით ცნობილნი

[44] **А. Бронзов, Преподобный Макарий Египетский, Т. I, СПб, 1899, გვ. 137-274.**

არიან: პიმენი, ისაია, პაფნუტი, სისოი, უფრო მოგვიანებით იოანე კოლონი და არსენი; მიუხედავად მოღვაწეობის სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა უნარისა, მათ ყველას ერთი მიზანი ჰქონდათ: სათნოყოფა ღმრთისათვის, რომლისკენაც სხვადასხვა საშუალებით მიისწრაფოდნენ: ზოგიერთი განსაკუთრებულად მკაცრი თავშეკავებულობით, ზოგიერთი სწავლების სიბრძნით, სხვანი საოცარი მორჩილებით. შესანიშნავი გადმოცემა არსებობს **მოსე ეთიოპიელზე,** ანუ შავზე. ახალგაზრდობაში იგი ავაზაკობდა და ამხანაგებისაგან თავდაუჭერელი და სასტიკი ხასიათით, გაბედულებითა და შურისძიების წყურვილით გამოირჩეოდა. მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი მთელ იმ მხარეს შიშის ზარს სცემდა; მაგრამ უეცრად, ღმრთის წყალობით, სინდისი გაეღვიძა და მის გულს სინანულის განცდა დაეუფლა. შეშინებულმა მოსემ უდაბნოს მიაშურა და ძმებს მიღება სთხოვა. რადგან იცოდნენ ვინ იყო და რა ჰქონდა ჩადენილი, მას ყველაზე მძიმე მორჩილებანი დააკისრეს. მოსე ყოველივეს უდრტვინველად ასრულებდა. თუ მისი ადრინდელი ცხოვრება მთლიანად ბოროტებას ეძღვნებოდა, ახლა, პირიქით, იგი მთელი გულითა და სულით ღმრთისკენ იყო მიქცეული, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისი გარდაქმნა მძიმე ტანჯვის გარეშე არ მომხდარა: სინდისის ქენჯნას ხანდახან ძველებურად თავისუფალი ცხოვრების მონატრებაც სცვლიდა, მაგრამ წარსულის მოგონებებს მძიმე ჯაფითა და სიფხიზლით ახშობდა. ბოლოს უფალმა შეიწყნარა მისი წრფელი სინანული და თავისი მშვიდობა გამოუგზავნა, ყოფილი ავაზაკი დიდი სულიერი მოღვაწე გახდა, იგი განსაკუთრებით მოყვასის სიყვარულით, გულმოწყალებითა და მორჩილებით, ანუ იმის საპირისპირო თვისებებით გამოირჩეოდა, რაც წარსულში ახასიათებდა. ღმერთთან შერიგებული ბერი ადრინდელი ცხოვრებისათვის სასჯელს ადამიანებისაგან ელოდა. მართლაც, წმ. მოსე ბარბაროსებმა მოკლეს, როცა მის სავანეს დაესხნენ თავს.

იმ დროს, როცა წმ. ანტონი მოღვაწეობდა, ზემო თებაიდაში **პახუმი დიდმა** თავის გარშემო მრავალი ბერი შემოიკრიბა და ბერმონაზვნური ცხოვრების პირველი წესდება შექმნა. პახუმი წარმართების ოჯახში დაიბადა და კერპთაყვანისმცემლობა ადრეული ყრმობიდანვე შეიძულა. როცა ლიკინიუსი კონსტანტინეს

ებრძოდა, იგი მისი ნების წინააღმდეგ წაიყვანეს ჯარში. სალაშქროდ მიმავალი მეომრები განსაკუთრებული სიყვარულით მიიღეს ქ. ოქსირინქოში მცხოვრებმა ქრისტიანებმა. პახუმმა იკითხა, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რომელთაც ასეთი სიკეთე და გულმოწყალება გამოიჩინეს მის მიმართ. მას უპასუხეს, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ და რომ მოყვასის სიყვარული თვით ღმრთისაგან ჰქონდათ ნაბრძანები. მაშინ იგი ქრისტიანებისა და მათი შჯულის უფრო ახლოს გაცნობას შეეცადა. რაც უფრო ახლო ეცნობოდა, მათი და მათი ცხოვრების წესის სიყვარული უფრო და უფრო უძლიერდებოდა; ბოლოს გადაწყვიტა, რომ, როგორც კი ჯარისაგან განთავისუფლდებოდა, ქრისტიანული სარწმუნოება მიეღო. ლაშქრობის განმავლობაში, თავისი ურწმუნო და უზნეო თანამებრძოლებისაგან განსხვავებით, ყოველგვარი ცუდი საქციელისაგან თავის შეკავებას ცდილობდა, რათა ქრისტიანთა ღმერთისათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. როცა ომი დამთავრდა, იგი მაშინვე მოინათლა და თებაიდის უდაბნოში წავიდა, სადაც ერთ მოხუც ბერს, პალამონს სთხოვა მოწაფედ აეყვანა. თავდაპირველად პალამონმა უარი უთხრა, რადგან უდაბნოში მოღვაწეობისათვის მეტისმეტად ახალგაზრდად მიიჩნია; პახუმი ამ დროს დაახლოებით 22 წლისა იყო. მაგრამ რადგანაც დაჟინებით სთხოვდა და უდრტვინველი მორჩილების პირობასაც აძლევდა, ბოლოს დათანხმდა. მოხუცმა მოწაფეს მძიმე ჯაფა დააკისრა და მისგან საკუთარი ნების სრული უარყოფა მოითხოვა. პახუმი სიხარულით დათანხმდა, რადგან ტანჯვა და შრომა ქრისტესათვის, ვინც ჩვენთვის დიდი ტანჯვა-წამება დაითმინა, ბედნიერებად მიაჩნდა.

იმ მთის იქით, სადაც პალამონი და პახუმი ცხოვრობდნენ, დაუსახლებელი უდაბნო იყო, რომელშიც მხოლოდ ბალახი და ეკლიანი ბუჩქები ხარობდა. პახუმი ხშირად მიდიოდა იქ შეშისათვის. ერთხელ იგი საკმაოდ შორს წავიდა და ნილოსის პირას მიადგა ადგილს, რომელსაც ტავენისს უწოდებდნენ. უცბად მოესმა ხმა: „აქ დამკვიდრდი და მონასტერი ააშენე; შენ გარშემო მრავალი ბერი შეიკრიბება“. ამის შემდეგ მას წარუდგა ანგელოზი, ხელში დაფით, რომელზეც მონაზვნური ცხოვრების წესდება ეწერა. ეს რომ შეიტყო, პალამონმა იგი ცალკე ცხოვრებისათვის აკურთხა და

კელიის მოწყობაშიც დაეხმარა. მოხუცის გარდაცვალებამდე პახუმი მისი შეგონებებით ხელმძღვანელობდა. მალე მასთან უფროსი ძმა იოვანე მივიდა და მათ ერთად დაიწყეს კელიების მშენებლობა ბერებისათვის, რადგან პახუმს წინასწარმეტყველებისა მტკიცედ სჯეროდა. ძმის გარდაცვალების შემდეგ იგი მარტო დარჩა, მაგრამ მშენებლობა არ შეუწყვეტია. მას, ისევე როგორც ანტონის, მარტოდ ცხოვრების სიძნელენი უნდა გამოეცადა, რათა სულით განმტკიცებულიყო და სხვათა დამოძღვრა და წინამძღოლობა შეძლებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ მის ირგვლივ მართლაც დაიწყეს შეკრება ბერებმა; მათი რიცხვი ძალიან სწრაფად იზრდებოდა. ყველანი ერთად შრომობდნენ და ლოცულობდნენ. მახლობლად დასახლებული ადგილი იყო, რომლის მცხოვრებნიც პახუმმა არა მხოლოდ ქრისტიანობაზე მოაქცია, არამედ ეკლესიაც აუშენა.

როცა ბერების საკმაოდ დიდი რაოდენობა შეიკრიბა, წინამძღვარმა ფრიად მკაცრი წესდება დაწერა, რომლის მიხედვითაც მონაზონს უპირველესად საკუთარი ნების სრული უარყოფა მოეთხოვებოდა. ბერები სხვადასხვა მონასტერში იყვნენ განაწილებულნი, რამდენიმე წლის შემდეგ მონასტრების რიცხვი უკვე ცხრა იყო, ხოლო ბერების რიცხვი ათიათასზე მეტი; ყოველ მონასტერს თავისი უფროსი ჰყავდა, მაგრამ ყველანი პახუმს ემორჩილებოდნენ, რომელიც მათ მორიგეობით აკითხავდა. ყველა სამუშაოს, რაც კი მონასტრებს სჭირდებოდა, ბერები ასრულებდნენ, რომელნიც ამისათვის სხვადასხვა ხელობას სწავლობდნენ; მუშაობისას და ტრაპეზისას მათ დუმილის დაცვა და შინაგანი ლოცვა, ან წმინდა წერილის რომელიმე გამონათქვამზე ფიქრი ევალებოდათ. საერთოდ, წმინდა წერილს განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობდნენ. არცერთ ბერს არ შეეძლო გამხდარიყო მღვდელი, რათა სხვებზე რაიმე უპირატესობა არ ჰქონოდა. პახუმი სხვებისგან გამორჩევას არც თვითონ ცდილობდა, თავს დიდ ცოდვილად თვლიდა და წინამძღოლობას, როგორც სხვათა სამსახურისათვის მოვალეობას, ისე უყურებდა. უფალმა მას სასწაულთქმედების, სნეულთა განკურნებისა და იდუმალ ზრახვათა გამოცნობის ნიჭი მისცა.

ერთხელ ვიღაც წარმართებმა პახუმს უთხრეს: „თუ შენ ჭეშმარიტად ღმრთის კაცი ხარ და მტკიცედ გწამს მისი, წყალზე,

როგორც ხმელეთზე, ისე გაიარე“.

– „მე ღმერთს სასწაულთქმედების ძალას არ ვთხოვ, რადგან ეს ქრისტიანისათვის შეუფერებელი წადილია; იმედი მაქვს ღმრთის წყალობისა და არა ჩემი საქმეებისა; ჩემი სურვილი არა წყალზე სიარული და სასწაულთქმედებაა, არამედ მწუხარება საკუთარ ცოდვათა გამო და მიღება ღმრთის შემწეობისა, რათა მორჩილებით ვცხოვნდე“.

წინამძღვარი ბერებისგანაც მოითხოვდა უარი ეთქვათ არაჩვეულებრივი ღვაწლის გაწევის სურვილზე, რადგან ხშირად ეს სიამაყისა და პატივმოყვარეობის გამოვლენად მიაჩნდა. ცოდვით დაცემულებს ცალკე შეაგონებდა და არიგებდა. მის სავანეებში აღსაზრდელად ბავშვებსაც იღებდნენ. პახუმი მართავდა ნილოსის მოპირდაპირე ნაპირზე მდებარე დედათა მონასტერსაც, რომლის დამაარსებელიც მისი და იყო.

ტავენისში მრავალი ბერი მოღვაწეობდა, რომელთაც წმინდა ცხოვრებით დიდი სახელი მოიპოვეს; მაგრამ გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე პახუმს ჰქონდა ხილვა, რომლის დროსაც უფლისაგან ეუწყა, რომ შემდგომში ტავენა დაცარიელდებოდა და ღმრთისმოსაობა შემცირდებოდა. პახუმი იმდენად დამწუხრდა, რომ ღმერთს ამ განაჩენის შეცვლას ცრემლებით ევედრებოდა. ლოცვისას მას ქრისტე გამოეცხადა და შეჰპირდა, რომ სულიერი თესლი საუკუნოდ არ დაკნინდებოდა. მართლაც, იმ ქვეყანაში, სადაც პახუმი მოღვაწეობდა, ქრისტიანული სარწმუნოება შესუსტდა, ბერმონაზვნობა გაქრა, მაგრამ ცოცხალი დარჩა მის მიერ შექმნილი წესები და წარმოთქმული შეგონებანი, რომელთა მიხედვითაც სულიერი მოღვაწენი დღემდე ხელმძღვანელობენ.[45]

პახუმი დიდი 348 წელს 57 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი მოწაფეებიდან სახელი განსაკუთრებით წმ. თეოდორემ გაითქვა, რომელიც მონასტერში 14 წლისა მოვიდა. ის მხოლოდ საიქიო ცხოვრებასა და მარადიულ ნეტარებაზე ფიქრობდა, მუდმივად ლოცულობდა და წმინდა წერილს სწავლობდა. მოძღვარს თეოდორე განსაკუთრებით უყვარდა და მას ღმრთის სულით აღსავსე ჭურჭელს უწოდებდა. ამიტომ სხვათა დამოძღვრასაც ხშირად ავალებდა. შემდგომში წმ.

[45] **А. И. Сидоров, Древнехристианский аскетизм и зарождение монашества, 1998.**

თეოდორე ტავენის ძმობის წინამძღვარი გახდა.

მკაცრი მონაზვნური ცხოვრება ქალებსაც იზიდავდა. ღმრთის სამსახურის სურვილით შთაგონებულნი, ისინი სოფელს სიხარულით ტოვებდნენ და სულიერი მოღვაწეობის გზას ადგებოდნენ, რომელსაც მოთმინებითა და თავშეწირვის ფასად გადიოდნენ. ამონის მეუღლემ, ანტონისა და პახუმის დებმა ქალთა სავანეები დააარსეს; მრავალი ქალწული უდაბნოს კელიებში მოღვაწეობდა. მრავალი ქალი, რომელიც ბიწიერსა და უზნეო ცხოვრებას ეწეოდა, ქრისტიანობაზე მოქცევის შემდეგ თავისი ცოდვების გამოსყიდვას სინანულით, მძიმე შრომითა და მოწყალების საქმეების კეთებით ცდილობდა, როგორც მაგალითად ღირსი დედა პელაგია, ევდოკია და სხვანი.

ქალთა მონაზვნობის ფუძემდებლად მაინც წმ. სვინკლიტიკია ითვლება, რომელიც ალექსანდრიაში მდიდარსა და ცნობილ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მშვენიერი გარეგნობით დაჯილდოებულს, ყველაფერი ხელს უწყობდა ამქვეყნიური ბედნიერებით დამტკბარიყო, მაგრამ ყრმობიდანვე ყველასა და ყველაფერზე მეტად ქრისტე შეიყვარა. მდიდრულ სასახლეში სულ იმას ეძებდა, რა გაეკეთებინა, განუწყვეტლივ ლოცულობდა და მკაცრად მარხულობდა. მშობლების სიკვდილის შემდეგ, მთელი ქონება ღარიბებს დაურიგა, ხუცესი იხმო, ამ სამყაროსაგან განშორების ნიშნად თმები მოიკვეცა და თავის ბრმა დასთან ერთად საფლავზე აგებულ შენობაში დაბინავდა.

მისი მიბაძვა მრავალმა ღმრთისმოსავმა ქვრივმა და ქალწულმა მოისურვა და მის ახლოს დამკვიდრდა. ისინი სვინკლიტიკიას წინამძღვრობას სთხოვდნენ; თავდაპირველად უარზე იდგა და ურჩევდა წმინდა წერილით ეწინამძღვრათ, როგორც ერთადერთი წყაროთი სიბრძნისა და მადლისა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დათანხმებულიყო. დებს, როგორც დედა შვილებს, ისე ექცეოდა და ღმრთისკენ მიმავალ გზაზე მათ განმტკიცებას სულისათვის სასარგებლო შეგონებებით ცდილობდა: „შვილებო, ჩვენ ყველამ ვიცით, როგორ უნდა გადავრჩეთ, მაგრამ ჩვენივე დაუდევრობის გამო გადარჩენა გვერდზე გვრჩება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დაცვა მცნებებისა: შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი სულით, გონებითა და გულით და მოყვასი, როგორც თავი შენი. საფუძველი

სჯულისა ამ მცნებებში ძევს; და მადლის სისავსეც მათში ცოცხლობს. მართალია, სიტყვების მიხედვით, ისინი მოკლეა, მაგრამ დიდია და წარუშლელი ძალა, რომელსაც შეიცავენ. ყოველივე, რაც სულისათვის სასარგებლოა, ამ მცნებათა შედეგია. – და ამიტომაც არის მათში გადარჩენა, – ორმაგ სიყვარულში“.

სვინკლიტიკიას მძიმე სენი შეეყარა – სმენა და მხედველობა დაკარგა, მაგრამ მოთმინებით იტანდა ტანჯვას ისე, რომ ღმრთის დიდება არ შეუწყვეტია. გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე მას ზეციური ხილვა ჰქონდა, თავისი აღსასრული თვითონვე იწინასწარმეტყველა და ღრმად მოხუცებულმა უფალს სული მშვიდად მიაბარა.

წმ. ათანასე, ანტონი, პახუმი და სხვა მამები წერილებს სწერდნენ და მოძღვრავდნენ ქალწულებს, რომელთა რიცხვი განსაკუთრებით დიდი იყო ეგვიპტეში. რაც შეეხება დასავლეთს, იქ ბერმონაზვნური ცხოვრება ჯერ კიდევ ნაკლებად იყო ცნობილი. მაგრამ რომში ცხოვრებისას ათანასემ, ეგიპტეში მოღვაწეთა შესახებ მონათხრობებით, იქაურ ქრისტიანებში ასკეტური მოღვაწეობისადმი მოშურნეობა აღძრა და ამით ერთგვარად სათავე დაუდო მას დასავლეთში.

მონაზვნობა არსად ისე სწრაფად არ გავრცელებულა, როგორც ეგვიპტეში. ვრცელი თაკარა უდაბნოების ძველი აკლდამები, გამოქვაბულები და ქვის სამტეხლოები სავსე იყო ასკეტი მოღვაწეებით. საკერპოთა ნანგრევები და საფლავზე აგებული ძეგლები სავანეებად იყვნენ ქცეულნი; იმ ადგილებში, სადაც კერპთაყვანისმცემელთა ცრუმორწმუნოებრივი ადათები სრულდებოდა, ახლა განდეგილთა მიერ ფსალმუნები იგალობებოდა. ლიბიის მთები და ქალაქების – მემფისის, არსინოეს, კანოპის, ლიკოპოლისისა და ალექსანდრიის შემოგარენში, მონასტრებსა და განმარტოებულ კელიებში ურიცხვი ბერ-მონაზონი ცხოვრობდა. ქ. ოქსირინქოში რუფინუსმა ათიათასამდე ბერი და ოციათასამდე ქალწული დათვალა. თუ გავიხსენებთ იმას, რომ კერპთაყვანისმცემლობას არსად ისეთ უკიდურეს უაზრობამდე არ მიუღწევია, როგორც ეგვიპტეში, სადაც ცხოველებს, მცენარეებსა და მდინარეებს აღმერთებდნენ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თითქოს ეგვიპტეს მკაცრი ასკეტური მოღვაწეობით ამ ცოდვის გამოსყიდვა სურდა. ეკლესია პატივს

სცემდა ამგვარ მოშურნეობას, რაც ძალიან კარგად ჩანს ერთ-ერთ საგალობელში: „გიხაროდენ, მორწმუნეო ეგვიპტევ; გიხაროდენ წმინდაო ლიბია; გიხაროდენ რჩეულო თებაიდა! გიხაროდენ, ყოველო ადგილო, ქალაქო და მხარევ, რომელთაც აღზარდეთ მოქალაქენი ზეციური სასუფევლისა, შვით რა ისინი მოთმინებითა და სალმობით და წარმოუჩინეთ ღმერთს სრულყოფილ კაცებად! ისინი იყვნენ მნათობნი ჩვენი სულებისა, კიდით კიდემდე განაბრწყინეს რა სოფელი საკვირველითა ნათლითა და სასწაულქმედებებითა“.

ანტონი დიდის ერთ-ერთმა უპირველესმა და უსაყვარლესმა მოწაფემ **ილარიონმა**[46] მონაზვნობა პალესტინაში გაავრცელა. მიიღო რა განათლება ალექსანდრიაში, მან მაშინვე მიაშურა ანტონი დიდს, რათა სულიერ მოღვაწეობას მისი ხელმძღვანელობით შესდგომოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ის სამშობლოში, პალესტინაში დაბრუნდა, მშობლები ცოცხალი აღარ დახვდა. მან თავისი ქონება ნათესავებსა და ღარიბებს დაურიგა და თვითონ უკაცრიელ ადგილას დამკვიდრდა, რომელსაც ხშირად ესხმოდნენ თავს ყაჩაღები. ილარიონი ამის შესახებ გააფრთხილეს, მაგრამ მან თქვა: „როცა არაფერი გაქვს, საშიშიც არაფერია, სიკვდილის კი არ მეშინია, რადგან მზად ვარ მოვკვდე“. მისი წმინდა ცხოვრების შესახებ ხმა მალე გავარდა, რამაც მასთან ერთად სამოღვაწეოდ ბევრი მიიზიდა; ასე შეიქმნა სავანე ქ. ღაზის მახლობლად. რადგან ხალხმრავლობა და დიდება ღლიდა, ილარიონმა ბევრჯერ მოინდომა განმარტოებულიყო, მაგრამ ამაოდ. მაშინ მან საბოლოოდ დატოვა მშობელი მხარე, სადაც სახელი სასწაულებითა და სიბრძნით გაითქვა. ამასობაში მას წმ. ანტონის აღსასრული ზეციური ხილვით ეუწყა და სასწრაფოდ მიაშურა იმ მთას, რომელზეც დიდი მოძღვარი მკვიდრობდა. თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები ილარიონმა მოგზაურობაში გაატარა, რამდენიმე ხანს დალმაციაში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ კუნძულ კრეტაზე, სადაც აღესრულა.

აღსანიშნავია, რომ წმ. ილარიონამდე პალესტინაში ბერმონაზვნური ცხოვრება წმ. **ხარიტონ აღმსარებელმა** დააარსა.[47] იერუსალიმში სიწმინდეთა თაყვანსაცემად მიმავალი ხარიტონი ქალაქის ახლოს ყა-

[46] იქვე, გვ. 147-149.

[47] მამათა ცხორებანი, გვ. 126-142.

ჩაღებმა შეიპყრეს და გამოქვაბულში შეაგდეს, ხოლო თვითონ ახალი ნადავლის ხელში ჩასაგდებად წავიდნენ. მათი არყოფნისას შხამიანი გველი გამოცურდა, იქვე მდგარი ჭურჭლიდან წყალი დალია და შხამი შიგ ჩატოვა, რისგანაც დაბრუნებული ყაჩაღები მოიწამლნენ და დაიხოცნენ. მოულოდნელად განთავისუფლებულმა ხარიტონმა გამოქვაბულში დიდძალი ნაძარცვი ფული და განძი იპოვა. მთელი ეს სიმდიდრე მან ღარიბების დახმარებასა და ეკლესიების მშენებლობას მოახმარა, ხოლო თვითონ იმ გამოქვაბულში დამკვიდრდა, სადაც ტყვეობისგან სასწაულებრივად განთავისუფლდა. მალე მას სხვა ქრისტიანებიც შემოუერთდნენ, რომელთაც სულიერი მოღვაწეობა სურდათ და კელიები მოიწყვეს, ხოლო თვითონ გამოქვაბული ეკლესიად იქცა. ასე ჩამოყალიბდა შემდგომში ძალიან ცნობილი სავანე ფარანის ლავრის სახელწოდებით. როცა იქ მოღვაწეთა რიცხვი ძალიან გამრავლდა, ხარიტონი იერიქონის ახლოს მდებარე უდაბნოში გადავიდა, მაგრამ განმარტოებას მაინც ვერ მიაღწია; სხვაგან გადავიდა და უკვე მესამე სავანეს ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ მის მიერ დაარსებულ სავანეთაგან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ფარანის ლავრამ შეიძინა, სადაც მისი ღმრთისმოსავი დამაარსებელია დაკრძალული. პალესტინაში ფარანი ბერმონაზვნობის ერთგვარი სანერგე გახდა; ბერები, რომლებიც მოღვაწეობას იქ იწყებდნენ, შემდეგ სხვა სავანეებს აფუძნებდნენ, ან განმარტოებულ კელიებში მკვიდრდებოდნენ. მალე იორდანეს ნაპირები, დამშრალი კალაპოტი, კედრონისა და იოსაფატის ველი ბერმონაზვნების სამოღვაწეო ადგილებად იქცნენ. აქ, სადაც ყველაფერი ადამიანს მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებას მოაგონებდა, მათ აიღეს თავიანთი ჯვარი და ტანჯვითა და მრავალფეროვან ჭირთა დათმენით სულიერი განწმენდისა და ამაღლების გზას დაადგნენ. მართალია, საკვების მოპოვება ძალიან ჭირდა, იორდანეს ნაპირების გაუვალ ლერწმნარებში ლომები, გარეული ტახები და სხვა ველური ცხოველები იმალებოდნენ, ხოლო გარეუბნებში ავაზაკები დაძრწოდნენ, მაგრამ განდეგილებს, რომლებიც მიწიერი ცხოვრებისათვის სიცოცხლეშივე მოკვდნენ და მთელ სასოებას ღმერთზე ამყარებდნენ, ვერაფერი აშინებდა და არც ღმერთი ტოვებდა მათ; მათი ღარიბული ცხოვრება მისი მადლის სხივებითა და სასწაულებით იყო განბრწყინვებული, და მისგანვე, საკვირვე-

ლად დაცული. ხშირად საჭმელი სასწაულებრივად ეგზავნებოდათ, მოულოდნელი შემწეობა ეძლეოდათ, უდაბნოს მხეცები კი ნაცვლად იმისა, რომ ევნოთ, მათ ნებას ემორჩილებოდნენ. ბერმონაზვნური ცხოვრება პალესტინაში უფრო და უფრო ვითარდებოდა, მაგრამ მონასტრულზე მეტად განდეგილური; ასკეტთა ერთად ცხოვრების კანონები და წესები ცნობილმა პალესტინელმა მოღვაწეებმა: თეოდოსიმ, ექვთიმემ და საბამ ბევრად უფრო გვიან ჩამოაყალიბეს. პალესტინიდან ბერმონაზვნობა სირიასა და მესოპოტამიაშიც გავრცელდა.

ხშირად ღმრთის სამსახური, გარემოებისდამიხედვით, დიდი მოღვაწეებისაგან საკუთარი ნებისა და მიდრეკილების დათმობასაც კი მოითხოვდა. სირიის დიდმა ეპისკოპოსმა, **იაკობ ნასიბინელმა** მეუდაბნოება ადრეული ახალგაზრდობიდანვე შეიყვარა და სიმდიდრე და ამქვეყნიური პატივი მისთვის დათმო. მაგრამ ეკლესიაში შექმნილმა ვითარებამ მისგან იმდროინდელ მოვლენებში აქტიური მონაწილეობა მოითხოვა და ჩვენ ვნახეთ, რომ იგი იცავდა ჭეშმარიტებას ნიკეის კრებაზე, რომ ჩავიდა კონსტანტინეპოლში, როცა იქ არიოზელებმა შფოთი და არეულობა მოაწყვეს; ამხნევებდა ხალხს და ჯარს, როცა სპარსეთის მეფე ნასიბინს ლაშქრით მოადგა. იაკობის ცნობილი მოწაფე **ეფრემ ასურიც** იძულებული გახდა დაეტოვებინა უდაბნო, რომელიც ძალიან უყვარდა, რათა ღმრთისთვის სხვა გზით ემსახურა.

წმ. ეფრემი მე-4 საუკუნის დასაწყისში დაიბადა. სიჭაბუკეში მაინცადამაინც ღმრთისმოსავურ ცხოვრებას არ ეწეოდა, რასაც შემდგომში ძალიან განიცდიდა და თავის თავს ხშირად აყვედრიდა. მისი მშობლები კეთილი და პატიოსანი ქრისტიანები იყვნენ, ხოლო ნათესაობაში ქრისტესათვის წამებულნიც ჰყავდათ.[48] ეფრემი უბრალო წრეში დაიბადა, ამიტომ სიმდიდრისა და დიდების ცდუნება არ ჰქონია. ყმაწვილი თვითონ უფალმა იხმო თავისთან. ერთხელ, როცა იგი მინდორში ცხვრებს მწყემსავდა, შეაგვიანდა. ღამით

[48] ძველ ქართულ მწერლობაში ეფრემ ასურის ცხოვრების განსხვავებული რედაქცია არსებობს, რომლის მიხედვითაც ეფრემის მამა კერპთაყვანისმცემელი იყო და შვილი სახლიდან, კერპის შეგონებით, ღმერთებისადმი მტრობის გამო გააძევა. „მამათა ცხორებანი“, გვ. 211-212.

ფარას მგლები დაესხნენ თავს და რამდენიმე ცხვარი გაიტაცეს. ფარის პატრონებმა ეს არ დაუჯერეს, ეფრემს ქურდობა დააბრალეს და საპყრობილეში ჩაასმევინეს. იმავე საპყრობილეში სხვებიც იყვნენ, რომლებიც ასევე უსამართლოდ დასჯილები აღმოჩნდნენ. ამ გარემოებამ ეფრემს საბაბიც კი მისცა იმისა, რომ ღმრთის განგებაში ეჭვი შეპარვოდა. მან დაიწყო ფიქრი, რომ სამყაროში ყველაფერი შემთხვევით ხდება. მაგრამ ერთხელ ძილში მოესმა სიტყვები: „ღმრთისმოსავი იყავი და ღმრთის განგებას გულისხმაყოფ. სათითაოდ ჩამოთვალე და გაიხსენე შენი ყველა საქმე და მიხვდები, რომ თუ ახლა უდანაშაულოდ ისჯები, სასჯელი ადრინდელი საქმეებით გაქვს დამსახურებული“. როცა გამოიღვიძა, ეფრემმა სიზმარი ამხანაგებს უამბო. მაშინ წარსული ცხოვრება ყველამ გაიხსენა და აღმოჩნდა, რომ უსამართლოდ მართლაც არცერთი მათგანი არ იტანჯებოდა. ამ გარემოებამ ეფრემის გონება ღმრთისაკენ მიაქცია. რაც უფრო უღრმავდებოდა საკუთარ თავს, მით უფრო უძლიერდებოდა სინანული და მწუხარება ჩადენილ ცოდვათა გამო, მაგრამ შესაბამისად – სასოებაც ღმრთის მოწყალებისა. როგორც კი სასამართლომ გაამართლა, მაშინვე მეუდაბნოეებს მიაშურა და იაკობ ნასიბინელს დაემოწაფა. მასთან ერთად ესწრებოდა ნიკეის კრებას, მასთან ერთად მონაწილეობდა ნასიბინის დაცვაში. წმ. იაკობ ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ, როცა ნასიბინი სპარსელების ხელში გადავიდა, იგი ედესის ეკლესიაში წავიდა, სადაც თადეოზ მოციქულის წმინდა ნაწილებსა და მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს სცა თაყვანი. რადგან ცხოვრების სახსარი არ გააჩნდა, აბანოს პატრონს დაექირავა, ხოლო თავისუფალ დროს წარმართებს ღმრთის სიტყვას უქადაგებდა. მაგრამ რამდენადაც უდაბნო ძალიან იზიდავდა, ქალაქს განშორდა და განმარტოებულ გამოქვაბულში დამკვიდრდა, სადაც განუწყვეტლივ ლოცულობდა და წმინდა წერილს სწავლობდა. თვითონაც დაიწყო წერა მოსეს ხუთწიგნეულის განმარტებებისა.

ეფრემს სახელი მალე გაუვარდა, რის შედეგადაც ბევრი აკითხავდა, ზოგი რჩევა-დარიგების მისაღებად, ზოგიც მასთან დასარჩენად. ხალხმრავლობისაგან შეწუხებულმა ეფრემმა გაქცევა მოინდომა, მაგრამ ანგელოზი გამოეცხადა, რომელმაც ჰკითხა: – ეფრემ, სად გარბიხარ? – მინდა მდუმარედ ვიცხოვრო, და სა-

მყაროს დიდებასა და ცდუნებას გავექცე, – უპასუხა მან. ანგელოზმა უთხრა: – გაფრთხილდი, რათა შენზე არ ასრულდეს სიტყვა წმინდა წერილისა: ეფრემი მსგავსია დეკეულისა, რომელსაც ქედიდან უღლის გადაგდება სურს. მაშინ ეფრემი მიხვდა, ღმერთი მისგან რას მოითხოვდა, ეკლესიაში დაბრუნდა, სასწავლებელი გახსნა და ახალგაზრდობის აღზრდას შეუდგა, რაც ძალიან საშური საქმე იყო, რადგან სირიაში წარმართები ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ, ხოლო სოფლებსა და ქალაქებში ხალხი ვარდესანის გნოსტიკურ სიმღერებს მღეროდა. საკმაოდ მძლავრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული არიოზობასაც. ყველა ამ ბოროტებას ეფრემი საოცარი გულმოდგინებითა და მხნეობით ებრძოდა. იგი ქადაგებდა, წერდა წმინდა წერილის განმარტებებსა და შეგონებებს, გაბედულად ამხელდა ერესს, თხზავდა სულიერ სიმღერებს, რომლებმაც ვარდესანის მწვალებლური სიმღერები ხალხის მეხსიერებიდან თანდათანობით განდევნეს.

მიუხედავად იმისა, რომ მის სწავლებებს ეკლესიებში კითხულობდნენ, განადიდებდნენ და სირიელ წინასწარმეტყველს უწოდებდნენ, ეფრემი თავმდაბლობას ინარჩუნებდა და განუწყვეტლად გლოვობდა თავისი ცოდვების გამო. ღამეებს ლოცვაში ატარებდა, რომელსაც ხშირად წრფელი სინანულის ცრემლები ახლდა; თავს უდიდეს ცოდვილად თვლიდა და ღმრთის სამსჯავროს წინაშე წარდგომას შიშით ელოდებოდა. ყველა მისი საღმრთისმეტყველო სწავლება თუ ლოცვა ამ გრძნობებითაა განმსჭვალული და ამიტომ მათი წაკითხვა გულგრილად შეუძლებელია. ვის არ მოლბობია გული დიდი მარხვის დღეებში მისი ლოცვის წაკითხისას:

„უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწვლილველობისასა, მთავრობისმოყვარებისასა და ცუდადმეტყველებისასა ნუ მიმცემ მე, ხოლო სული სიწმინდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე, მონასა შენსა.

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდაჲ თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.“

როცა ეკლესიაში შიმშილობა ჩამოვარდა, რასაც შედეგად სხვადასხვა სნეულების გავრცელებაც მოჰყვა, ეფრემი სნეულებს

ეხმარებოდა, მდიდრებს არწმუნებდა გასაჭირში ჩავარდნილებს მიშველებოდნენ, სასწრაფოდ მოაწყო საავადმყოფო, სადაც სნეულებს თვითონაც უვლიდა. წმ. ეფრემ ასური 380 წელს გარდაიცვალა.

თუმცა ასკეტი მოღვაწენი თავიანთი ღვაწლის გულმოდგინედ დაფარვას ცდილობდნენ, მათი მაგალითი არა მხოლოდ ქრისტიანულ, არამედ საერთოდ მთელ საზოგადოებაზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა. უნდა ითქვას, რომ ეს ზეგავლენა ქრისტიანობის გავრცელებას ხელს ისევე უწყობდა, როგორც პირველ საუკუნეებში წამებულთა მაგალითი. წამებულნი ჭეშმარიტ სარწმუნოებას თავიანთი სიკვდილით ქადაგებდნენ. სიხარულით ხვდებოდნენ რა სიკვდილს, ამით წარმართებს სულის უკვდავებას, ზეციურ სიკეთეთა დიდებულებას და მაცხოვრისადმი ურყევ სასოებას უმტკიცებდნენ. რაც შეეხება ასკეტ მოღვაწეებს, ისინი მიწიერი სამყაროსათვის ნებაყოფლობით კვდებოდნენ; უარს ამბობდნენ რა ყველა ამქვეყნიურ სიკეთეზე, რომელთა მოპოვებისათვის სამყაროს ერთგული ადამიანები ასე იბრძვიან, ისინი მატერიალურ კეთილდღეობასა და მსწრაფლწარმავალ ბედნიერებაზე სულიერ სიკეთეთა და მარადიული სულიერი ცხოვრების უპირატესობას ამტკიცებდნენ. მათი ცხოვრების შემყურე საზოგადოება რწმუნდებოდა, რომ ქრისტიანისათვის უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ღმერთთან სიახლოვეა, არ არსებობს. ამ ძნელ გზაზე მავალთ უფალი ისევე ეწეოდა, როგორც ადრე წამებულებს, განამტკიცებდა, ნუგეშს სცემდა, ერთი შეხედვით მათ მწირსა და ერთფეროვან ცხოვრებას თავისი მადლით განაბრწყინებდა, აჯილდოებდა რა სხვადასხვა ნიჭით – კურნებისა, ნუგეშისცემისა, სასწაულთქმედებისა. მეუდაბნოეებმა არიოზობის დამარცხებაშიც დიდი როლი შეასრულეს. ხალხს, რომელიც თავისი თვალით ხედავდა მათ სიწმინდესა და სათნოებას, სჯეროდა მათი. ეგვიპტის ქრისტიანებმა არიოზელებს მართლაც მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს.

სულიერ მოღვაწეებს მოუღლელი ლოცვა წმენდდა, წმინდა წერილის განუწყვეტელი კითხვა განაბრძნობდა, მუდმივი მღვიძარება სხვათა წინამძღოლობას ასწავლიდა. ამგვარად, უდაბნოში იზრდებოდნენ და ყალიბდებოდნენ გამოცდილი ქრისტიანი მოძღვრები, მტკიცე და ბრძენი მწყემსები ქრისტეს ეკლესიისა.



ეკლესია იულიანე განდგომილის მეფობის წლებში

კონსტანტინე დიდის გარდაცვალების შემდეგ იმპერიაში კვლომის გზაზე დამდგარ წარმართულ რელიგიას გამოცოცხლება დაეტყო, რასაც ხელს უწყობდა მის მიმართ გატარებული არათანმიმდევრული პოლიტიკა არიოზელი იმპერატორის კონსტანცისა, რომელიც რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მამის სიკვდილის შემდეგ გამეფდა, ხოლო ძმების სიკვდილის შემდეგ მთელი იმპერიის ერთპიროვნული მმართველი გახდა.

341 წელს იმპერატორმა გამოსცა კანონი მსხვერპლშეწირვათა წინააღმდეგ, მაგრამ 342 წელს გამოცემული კანონით ბრძანა, რომ რომის გარეთ შენარჩუნებულიყო ის ტაძრები, რომელთაც სახალხო თამაშობანი უკავშირდებოდნენ. 353 წელს გამოიცა ბრძანება წარმართული ტაძრების დახურვის შესახებ. კანონი სიკვდილით დასჯითა და ქონების კონფისკაციით ემუქრებოდა, აგრეთვე, ყველას, ვინც საკულტო ადგილებს მოინახულებდა და მოილოცებდა. განსაკუთრებით იკრძალებოდა ღამის საიდუმლო მსხვერპლშეწირვანი, ოღონდ იმდენად არა რელიგიური, რამდენადაც პოლიტიკური მოტივით (მაგია, ჯადოქრობა, სახელმწიფოსა და იმპერატორის ბედზე მკითხაობა). მართალია, 357 წელს კონსტანცის ბრძანებით სენატიდან გაიტანეს ვიქტორიას ქანდაკება, რათა სენატის შენობაში მსხვერპლშეწირვა აღარ შესრულებულიყო, მაგრამ ამას დიდი შედეგი არ მოჰყოლია – რომის არისტოკრატიის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთში, ძველი რწმენის ერთგული რჩებოდა და, რაც მთავარია, ცრუ რწმენებისგან მთლად თავისუფალი არც თვითონ იმპერატორი იყო. მან რომში

ქურუმები არა მხოლოდ დატოვა, არამედ თავისუფალ ადგილებზე ახლებიც დანიშნა, ამასთან, კულტმსახურებისათვის საჭირო თანხების გამოყოფაც ბრძანა. კონსტანტინეს შვილებმა, წარმართი იმპერატორების ტრადიციისამებრ, მამა ღმერთად გამოაცხადეს, თვითონ ისინიც ღმერთების რიგში ჩაირიცხნენ და ყოველგვარი უხერხულობის განცდის გარეშე ატარებდნენ წოდებას – Pontifex maximus (უმაღლესი მღვდელმთავარი).

ცხადია, ამგვარ ვითარებაში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, რომ 354 წელს გამოცემულ რომაულ კალენდარში არც წარმართული დღესასწაულები და არც მათთან დაკავშირებული რელიგიური ცერემონიები აღარ იხსენიებოდა. ამრიგად, თუ იმპერიის მმართველი წრეების განწყობილებას გავითვალისწინებთ, უცნაურად აღარ მოგვეჩვენება გამოჩენა პიროვნებისა, რომელმაც ისტორიის უკან მიბრუნება განიზრახა და ამ აბსურდული მიზნის მისაღწევად გასაოცარი დაჟინებით და შესაშური ენერგიით იბრძოდა.

კლავდიუს იულიანე კონსტანტინე დიდს ნათესავად ერგებოდა. იგი იყო შვილი იულიუს კონსტანციისა, რომელიც კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ მალევე მომხდარი სამხედრო აჯანყების დროს დაიღუპა. იულიანე 331 წელს დაიბადა, დედა ერთი წლისას გარდაეცვალა, ხოლო ექვსი წლისა მამითაც დაობლდა. როცა სამეფო ოჯახის სხვა ნათესავებთან ერთად მეომრებმა მამამისი მოკლეს, იულიანე და მისი უფროსი ძმა გალოსი არეოუზელმა ეპისკოპოსმა მარკუსმა ეკლესიაში გადამალა. კონსტანცის ბრძანებით, ბავშვები კაპადოკიაში, კესარიის მახლობლად მდგარ ციხესიმაგრეში ქრისტიანი მოძღვრების ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდნენ. ისინი მოინათლნენ და ეკლესიაში მედავითნეობასაც ეწეოდნენ. აღმზრდელები მათ ქრისტიანული სჯულის ადათ-წესების დაცვას მკაცრად აიძულებდნენ, სახელდობრ, ისინი მარხულობდნენ, წამებულთა საფლავების მოსალოცად დადიოდნენ, ტაძრებისათვის შესაწირავს იღებდნენ, წმინდა მოწამე მამანტის სახელზე ტაძარი თვითონაც ააშენეს, მაგრამ არიოზელმა მოძღვრებმა, რომელნიც გარეგნული წესების აღსრულებას მოითხოვდნენ, ვერ შეძლეს ჩაენერგათ მათთვის სიყვარული უფლისა და მისი სჯულისა. მათი უზნეობა და არაკეთილსინდისიერება, სისასტიკე

და ერთმანეთის მტრობა მოზარდების თვალში ქრისტიანებს მეტისმეტად არასახარბიელოდ წარმოაჩენდა.

რადგან კონსტანცის შვილი არ ჰყავდა, ხოლო კონსტანტინე დიდის ნათესავებიდან ცოცხალნი მხოლოდ გალოსი და იულიანე იყვნენ, იმპერატორმა გალოსის ხელისუფლებაში მოყვანა გადაწყვიტა. 350 წელს მან ძმები კაპადოკიიდან გამოიძახა, გალოსს კესაროსობა უბოძა, ანტიოქიაში გააგზავნა და სირიის მართვა მიანდო, ხოლო იულიანე საცხოვრებლად ნიკომედიაში გადავიდა, სადაც ამ დროს ცნობილ წარმართ ორატორსა და ფილოსოფოსს, ლიბანიოსს რიტორიკულ-ფილოსოფიური სკოლა ჰქონდა გახსნილი. წარმართობისკენ მიდრეკილების გამო იულიანეს მისი ლექციების მოსმენა აუკრძალეს,[1] მაგრამ, როგორც ჩანს, ეს აკრძალვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან იულიანე არა მხოლოდ ლიბანიოსს, არამედ ნეოპლატონური ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლებსაც – მაქსიმე ეფესელსა და ედესიასაც დაუკავშირდა, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ახალგაზრდა პრინცს ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებანი ქრისტიანებზე საბოლოოდ განმტკიცებოდა და ქრისტიანობის დაუძინებელ მტრად ჩამოყალიბებულიყო. მომავალი იმპერატორის ცნობისმოყვარეობის აღძვრასა და მისი წარმოსახვის დატყვევებას ისინი თავიანთი მოძღვრების, რომელშიც მსოფლმხედველობის ძველ ბერძნულ წარმართულ სისტემებთან უცნაურად იყო შერწყმული აღმოსავლური სწავლებანი, მოგვთა ცრურწმენები და ზოგიერთი წესი ქრისტიანული ზნეობისა, გასაიდუმლოებით ცდილობდნენ და თავიანთი ადათ-წესების აზრსა და მნიშვნელობებს მხოლოდ თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ განუმარტავდნენ. ამ წრის ზეგავლენით, სადაც ლეგენდას გალილეველზე დასცინოდნენ და ქრისტიანობას გალილეველთა სექტას უწოდებდნენ, იულიანემ შეასრულა რა წარმართული ადათი მსხვერპლის სისხლის პკურებით განწმენდისა, თავისი ნათლობა გააუქმა. იგი საზეიმოდ, თუმცა ფარულად იქნა მიღებული ღმერთების მსახურთა შორის.

354 წელს გალოსი, რომელიც უუნარო, სუსტი და სასტიკი მმართველი გამოდგა და საყოველთაო სიძულვილი გამოიწვია, ფა-

[1] **Сократ Схоластик, Церковная история, III, 1.**

რულად დასაჯეს სიკვდილით, ხოლო იულიანემ კონსტანცისაგან სწავლის გასაგრძელებლად ათენში წასვლის უფლება მიიღო (355 წ.). ათენში ამ დროს მომავალი დიდი ქრისტიანი მოაზროვნენი და მოღვაწენი – წმ. ბასილი დიდი და წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი სწავლობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ვეღარ შეძლეს კეთილისმყოფელი გავლენა მოეხდინათ იულიანეზე, რომლის გული და გონება უკვე მთლიანად ჰყავდა შეპყრობილი ქრისტიანობის ფანატიკურ სიძულვილს, რასაც იგი ასე ოსტატურად ფარავდა.

დედოფალი ევსევიას რჩევით, რომელიც იულიანეს მფარველობდა, კონსტანციმ მას კესაროსის ტიტული უბოძა და გალიის მმართველად გაგზავნა. თავისი უფროსი ძმისაგან განსხვავებით, მან თავი გასაოცარი სიმამაცითა და სამხედრო საქმის ცოდნით გამოიჩინა, რითაც ხალხისა და არმიის სიმპათია მოიპოვა, რომელთაც იგი იმპერატორად გამოაცხადეს. კონსტანციმ მათი არჩევანი არა თუ დაამტკიცა, არამედ იულიანესთან საომრადაც გაემზადა, მაგრამ იმპერია სამოქალაქო ომისაგან მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა.[2] 361 წლის 11 დეკემბერს კლავდიუს იულიანე, როგორც კონსტანტინე დიდის უახლოესი ნათესავი და ტახტის კანონიერი მემკვიდრე, კონსტანტინეპოლში შევიდა, სადაც სენატმა იგი იმპერატორად დაამტკიცა.

ჩაიგდო თუ არა ხელში უმაღლესი ხელისუფლება, იულიანემ მაშინვე თავი ღმერთების თაყვანისმცემლად გამოაცხადა. განკარგულება გასცა ყველა ქალაქში გაეხსნათ საკერპოები, ხოლო სადაც დანგრეული იყო, მათი აღდგენა ქრისტიანების ხარჯზე ბრძანა.

იულიანეს პიროვნების შესწავლისას აშკარად იკვეთება ორი ძირითადი მიმართულება მისი სამოქმედო პროგრამისა: ფანატიკური მცდელობა წარმართობის აღდგენისა და ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, მისი იდეალი იყო მსოფლიო იმპერიის შექმნა, რომლის იდეოლოგიაც წარმართული რელიგია იქნებოდა. წარმართებისათვის დამახასიათებელი ამპარტავნობით, იულიანეს მტკიცედ სჯეროდა, რომ იგი სამყაროს დასაპყრობად და წარმართული ღმერთების თაყვანისცემის აღსადგენად იყო მოწოდებული.

როგორც ვნახეთ, რელიგიური გარდატეხა მის პიროვნებაში

[2] იქვე.

უცბად არ მომხდარა. წარმართობის გავლენის ქვეშ იგი ჯერ კიდევ ბავშვობაში მოექცა, როცა საჭურისი მარდონიუსის ხელმძღვანელობით ანტიკური ხანის კულტურას სწავლობდა. ცხადია, შესაბამის გავლენას მასზე წმინდა წერილი ვერ მოახდენდა, რომელსაც არიოზელი მოძღვრები ასწავლიდნენ, ისიც ნათელია, რომ ქრისტიანთა მიმართ სიმპათიას ვერც ბიძა, არიოზის მიმდევარი იმპერატორი კონსტანცი აღუძრავდა, რომელმაც მამა და ძმა მოუკლა და მასაც ყოველ წუთს სიცოცხლის წართმევით ემუქრებოდა. ასევე დიდი გავლენა მოახდინა მასზე წარმართმა ფილოსოფოსმა და ორატორმა ლიბანიოსმა, რომლის ლექციებსაც ჯერ კონსტანტინეპოლში, ხოლო შემდეგ ნიკომედიაში გატაცებით უსმენდა. ლიბანიოსმა, რომლის მცდელობა, წარმართობის გზაზე დაეყენებინა თავისი სახელოვანი მოწაფეები: ბასილი დიდი და გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ამაო გამოდგა, საბოლოოდ მოხიბლა იულიანე. შემთხვევითი არაა, რომ მისი ყველაზე საუკეთესო დახასიათება ლიბანიოსს ეკუთვნის. იგი წერს: „იულიანე ადამიანი სხეულით იყო, სულით კი – ღმერთი. ღმერთებისგან იგი მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ საჭმელს ჭამდა. ხოლო სათნოებებში წვრთნითა და სულიერი თვისებებით იგი მათ უტოლდებოდა“.

ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს იულიანეზე, აგრეთვე, ნეოპლატონიკოსი იამბლიხოსის მოწაფეებმა ედესიამ და მაქსიმემ, რომელთაც მას თეურგია ანუ საიდუმლო წესების ხელოვნება შეასწავლეს, რომლითაც სულების გამოძახება შეიძლებოდა. სულების გამოძახება და მათთან ურთიერთობა კი, რომელიც ამ წრეში უმაღლეს ცოდნად და ფილოსოფიად ითვლებოდა, სინამდვილეში მაგიის ხელოვნებაში დაოსტატების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენდა. იულიანემ ირწმუნა, რომ საიდუმლო მისტერიებში მონაწილეობის შედეგად შთაგონებას ღმერთებისაგან იღებდა და მისი ყველა საქციელი ღმრთეებრივი ნებით იყო განწმენდილი. ამაოებას გამოდევნებული იმპერატორის წარმოსახვაში წარმართული რელიგია თავისი ალეგორიებით, ბუნდოვანი პოეტური სახეებით, მდიდრული დღესასწაულებითა და პროცესიებით უპირისპირდებოდა გარეგნული სამკაულებისაგან განძარცვულ ქრისტიანობას, რომელიც მის თვალში უვიცთა რწმენასა და მკვდართა რელიგიას

წარმოადგენდა. მას უყვარდა აზრის გამოთქმა იმის თაობაზე, რომ წარმართული სარწმუნოება გმირებს ზრდიდა, ხოლო ქრისტიანული – მონებს. როგორც ვხედავთ, იმპერატორი, რომელიც ქრისტიანთა უვიცობას დასცინოდა, გმირობას ათლეტურ აღნაგობასა და ფიზიკურ ძალასთან აიგივებდა, ხოლო თავმდაბლობას – მონობასთან.

იულიანეს თვალში ქრისტიანობას ის განხეთქილებაც ამცირებდა, რომელიც ეკლესიაში არიოზის მიმდევრებმა შეიტანეს. ისტორიკოსი ამიანე მარცელინე წერს, რომ ველური ცხოველებიც კი არ გამოამჟღავნებდნენ ისეთ გაშმაგებას ადამიანების მიმართ, როგორც ეს ადამიანები იჩენდნენ ერთმანეთისადმი აზრთა სხვადასხვაობის გამოო. ამიანე მარცელინე მხოლოდ ნაწილობრივაა მართალი, სიშმაგე და დაუნდობლობა არასოდეს არ ახასიათებდა სამეუფო გზაზე მდგარ ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს, სიშმაგესა და დაუნდობლობას მწვალებლები და ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდისათვის ვითომ მებრძოლები იჩენდნენ, რომელნიც, თითქოსდა ორ სხვადასხვა უკიდურეს პოზიციაზე დგომის მიუხედავად, ერთსა და იმავე მიზანს, – განხეთქილების გაღრმავებით ეკლესიის დანგრევას ემსახურებოდნენ. წარმართი მოძღვრების გავლენის ქვეშ მოქცეულმა იულიანემ, რა თქმა უნდა, ვითარებაში გარკვევა ვერ შეძლო და ნამდვილი ყალბისაგან ვერ გამოარჩია.

ჩაფიქრებული რელიგიური რეფორმის გასატარებლად იულიანემ ზომები ტახტზე ასვლისთანავე მიიღო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოცემული ყველა მისი განკარგულება წარმართობის აღდგენას მხოლოდ აღმოსავლეთში, იმპერიის ელინურ ნაწილში ისახავდა მიზნად და დასავლეთის პროვინციებს არ ეხებოდა. ამის მიზეზი უწინარესად, ალბათ, ის იყო, რომ დასავლეთში წარმართობა ისე ცოცხლად იყო შემორჩენილი, რომ გასავითარებლად დამატებით ღონისძიებებს არ საჭიროებდა და, მეორე, იულიანეს განათლება ბერძნულად ჰქონდა მიღებული, თავს ელინური კულტურის წარმომადგენლად თვლიდა და ბრძანებებსაც მხოლოდ ბერძნულ ენაზე წერდა. ამ ბრძანებათა და სხვა მიღებული ზომების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მათ ავტორს არჩეულ გზაზე თანმიმდევრულობა და სისტემურობა არ ახასი-

ათებდა, პირიქით, თვალში საცემია განწყობილებანი ნერვიული ადამიანისა, რომელიც ხშირად წუთიერ შთაგონებებს ემორჩილებოდა. თავდაპირველად მან ქრისტიანებთან დამოკიდებულებაში შემწყნარებლობის გამომჟღავნება მოისურვა: „დაე, გალილეველებს თავიანთი მკვდრებისა სწამდეთ. ჩვენ მათ ღმერთების კულტთან ძალით არ მოვიყვანთ“. როცა ამ კულტის მსახურებას სათავეში თვითონ აშკარად ჩაუდგა, იმედი ჰქონდა, რომ ელინისტური აღმოსავლეთი „მშობლიური რწმენის“ სიყვარულით გაჰყვებოდა, რადგან უსაფუძვლოდ სჯეროდა, რომ ქრისტიანობა ბერძნებს ძალით მოახვიეს თავს და როგორც კი თავისუფლებას იგრძნობდნენ, უცხო რელიგიას მაშინვე დათმობდნენ.

ამიტომ თავდაპირველად იულიანემ დიდსულოვნების გამოჩენა გადაწყვიტა და გამოაცხადა, რომ მის ქვეშევრდომებს უფლება ჰქონდათ იმ ღმერთისათვის ეცათ თაყვანი, რომელსაც ჭეშმარიტად მიიჩნევდნენ. იმპერატორმა გადასახლებიდან არიოზელებისგან დევნილი მართლმადიდებლებიც კი დააბრუნა, მაგრამ ასე იმიტომ კი არ მოიქცა, რომ სარწმუნოების არჩევისას პიროვნების უფლებას მართლაც პატივს სცემდა, არამედ იმის ფარული იმედით, რომ ორი სხვადასხვა ქრისტიანული მიმდინარეობა ერთმანეთთან ბრძოლის შედეგად განადგურდებოდა, რაც მას წარმართობის აღდგენაში დაეხმარებოდა. მაგრამ როცა იმედი გაუცრუვდა, იულიანემ თავშეკავებულობა დაკარგა და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რათა ქრისტიანებისათვის მათი რწმენის უკანონობა ეგრძნობინებინა. იგი უკვე აღარ ფარავდა, რომ ქრისტიანობაში მხოლოდ ზიანის მომტან ცდომილებას ხედავდა, მაშინ როცა, წარმართობა ერთადერთ გონიერ და სახელმწიფოსათვის სარგებლობის მომტან რელიგიად მიაჩნდა. რადგან ამ გზითაც ვერაფერს მიაღწია, იმპერატორმა დიდსულოვნების ნიღაბი სწრაფად ჩამოიხსნა, ყველა თავისი განცხადება რჯულთშემწყნარებლობაზე დაივიწყა და ქრისტიანების დევნა დაიწყო, ამჟღავნებდა რა ამ დროს უკიდურეს გაღიზიანებასა და მოუთმენლობას რწმენისათვის თავდადებულთა წინაშე. იულიანე, რომელიც ამდენს ლაპარაკობდა ზნეობაზე, წარმართობის აღდგენისათვის ძალდატანების ისეთ ხერხებსაც კი არ მოერიდა, რომელთაც წარმართი იმპერატორები წინა საუკუ-

ნეებში მიმართავდნენ. მაგ.: ქრისტიანთა ქონების კონფისკაცია წარმართული ტაძრების სასარგებლოდ, დევნა და შევიწროვება სასულიერო პირებისა, სახელმწიფო დახმარების გაწევა მათთვის, ვინც წარმართობას დაუბრუნდებოდა და ბოლოს, მან გამოსცა კანონი, რომელმაც თვით წარმართთა წრეშიც კი კამათი გამოიწვია, კერძოდ, 362 წლის 17 ივნისის ბრძანებულებით, ქრისტიანებს სკოლებში სწავლების უფლება წაართვა.

დარწმუნდნენ თუ არა, რომ იმპერატორს ქრისტიანები სძულდა, წარმართებმა ძველი დრო გაიხსენეს. ღაზაში, ასკალონსა და იერაპოლისში ქრისტიანები საშინლად აწამეს, სხვაგან მათი ტაძრები და სასაფლაოები გაძარცვეს. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ქალაქების ქრისტიანი ხელისუფალნი გადააყენეს და მათ მაგივრად წარმართები დასვეს, რომელნიც ქრისტიანების დევნა-წამებისათვის იმპერატორისაგან სხვების დასანახად მსუბუქ საყვედურს, ხოლო ფარულად ჯილდოებს იღებდნენ. იმ საბაბით, რომ თავის დროზე მათ დაანგრიეს, იულიანემ წარმართული საკერპოების ქრისტიანთა ხარჯებით აგება ბრძანა. ამ მიზნით ფული არეოუზის ღრმად მოხუც ეპისკოპოს მარკუსსაც მოსთხოვეს, ვინც ყრმობაში იმპერატორი სიკვდილს გადაარჩინა. ქალაქის ხელისუფლებამ იცოდა, რომ მარკუსი მართლაც ღარიბი იყო და ამიტომ მისგან მხოლოდ სიმბოლურ თანხას ითხოვდა, მაგრამ ეპისკოპოსისათვის ფული არაფერს ნიშნავდა, მას საკერპოს ასაშენებლად თანხის გაღებას ერჩივნა მომკვდარიყო. ამაში რომ დარწმუნდნენ, წარმართებმა მოხუცი ეპისკოპოსი ქუჩებში ათრიეს და ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. მოწამეობრივად აღესრულა ამასიის ეპისკოპოსი ბასილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეკლესიის მსახურთა შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომელთა სარწმუნოებაც ეკლესიის შიგნიდან დასანგრევად მორგებული ნიღაბი გამოდგა.

ერთ-ერთ თავის წერილში იულიანე ვრცლად საუბრობს ტროადის ყოფილ ეპისკოპოსზე, პეგასიოსზე, რომელმაც ქრისტიანობა უარყო და ქურუმი გახდა. იმპერატორს მისი საქციელი არ გაკვირვებია, რადგან კარგად ახსოვდა, რომ როცა ჯერ კიდევ კონსტანცის სიცოცხლეში, ამ მხარეში შემორჩენილი კერპების დასათვალიერებლად ტროადაში ჩასვლა მოუხდა, მეგზურობა

ეპისკოპოსმა გაუწია, რომელიც მათ მიმართ მხოლოდ პატივისცემას გამოხატავდა.

ერთ-ერთი ხერხი, რომლითაც იულიანემ წარმართული რელიგიის გაცოცხლება სცადა, ქრისტიანული ეკლესიის მიხედვით მისი რეორგანიზაცია იყო. ამ მიზნით გადაწყვიტა საეპისკოპოსოების მსგავსად იმპერია ოლქებად დაეყო, რომელნიც უმაღლეს ქურუმებს ანუ მთავარხუცესებს დაემორჩილებოდნენ. 362-363 წლების მიჯნაზე გალატიის უმაღლესი ქურუმის არსაკიოსისადმი მიწერილ წერილში იგი იმ მიზეზების გაანალიზებას ცდილობს, რომელთაც მისი შეხედულებით ქრისტიანული რელიგიის წარმატება განაპირობეს: „რატომ არ ვფიქრობთ, რა ხერხებმა შეუწყვეს ხელი უსჯულოთა რწმენის წარმატებას? უცხოთა მიმართ გაწეული ქველმოქმედება, მკვდართა საფლავებზე ზრუნვა და ცხოვრების თვალთმაქცური სიწმინდე. ყველა ეს სათნოება ჩვენც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა აღვასრულოთ. მხოლოდ შენ კი არ უნდა იყო ასეთი, არამედ გალატიის ყველა ქურუმი... ყურადღება მიაქციე,რომ ქურუმებმა თეატრებსა და სამიკიტნოებში არ იაროონ და მონაწილეობა არ მიიღონ მდაბალსა და სამარცხვინო საქმეებში“. ამავე წერილში იგი არსაკიოსს ავალებდა, რომ მოგზაურთა მიმღები სახლები სხვა რელიგიის მიმდევრებისთვისაც მოეწყო, ხოლო გალატიაში გაგზავნილი ღვინისა და მარცვლეულის ერთი მეხუთედი ნაწილი ღარიბებისათვის, ქურუმთა მსახურებისა და უცხოელებისათვის დაერიგებინა.

როგორც ვხედავთ, იულიანე კარგად ხვდებოდა, რომ ქრისტიანობის ძლევამოსილი გამარჯვების მიზეზი მის ზნეობრივ სიწმინდეში მდგომარეობდა. ამიტომ თავის ქურუმებს ზნეობრივ მოთხოვნილებებს უყენებდა და ცდილობდა, როგორც უზენაესი ქურუმი (Pontifex maximus) მათთვის ამ მხრივაც მისაბაძი ყოფილიყო. ცნობილია, რომ პირად ცხოვრებაში იგი თავშეკავებულობას ამჟღავნებდა. დროსტარებასა და ნადიმებს არ მისდევდა, ცოტა ეძინა და ბევრს მუშაობდა, მაგრამ მთავარი ეშლებოდა, კერძოდ, ვერ ხვდებოდა, რომ ჭეშმარიტი ზნეობის სიწმინდე მხოლოდ სულის განწმენდით მიიღწევა და მისი გამოხატულება არა გარეგნული ქცევა, არამედ ადამიანის სულიერი მდგომარეობაა. მაგალითად,

თვით ისეთი დიდი სათნოებაც კი, როგორიც ქველმოქმედებაა, თუ იგი არა მოყვასის სიყვარულით, არამედ მისი მოსყიდვის მიზნითაა ჩადენილი, როგორც ამის გაკეთებას თვითონ ქურუმებისგან მოითხოვდა, უზნეო საქციელი უფროა, ვიდრე ზნეობრივი.

ქურუმთა შორის გულმოდგინების გასაღვივებლად იულიანე უზენაესი ქურუმის წოდებას მხოლოდ ფორმალურად როდი ატარებდა. იგი ცდილობდა კულტმსახურთა წინამძღოლი სინამდვილეშიც ყოფილიყო და ამ გზით იმპერიის არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ, არამედ რელიგიურ ცხოვრებასაც სათავეში ჩასდგომოდა. წარმართული ღმერთებიდან თაყვანს ყველაზე მეტად მზეს – ჰელიოსს სცემდა და მისთვის ყოველ დილა-საღამოს მსხვერპლის შეწირვის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, სამსხვერპლო სასახლეში მოაწყობინა. იულიანემ ქრისტიანული ეკლესიის მიბაძვით წარმართული კალენდრის შედგენაზეც იზრუნა და იმის შემოწმებასაც ცდილობდა, აღინიშნებოდა თუ არა ტაძრებში დღესასწაულები საზეიმო მსახურებითა და მდიდრული შესაწირავებით.

ცდილობდა რა ყოველი ღონით შეურაცხყოფა მიეყენებინა ქრისტიანებისთვის, იულიანემ დედაქალაქის სავაჭროებში სურსათ-სანოვაგეზე კერპებისათვის შეწირული მსხვერპლის სისხლის პკურება ბრძანა. დიდი მარხვის პირველ კვირაში კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს წმინდა მოწამე თეოდორე ტირონი გამოეცხადა და უთხრა: „ქრისტიანებს ბაზარში ნაყიდის საკვებად გამოყენება აუკრძალე. ხოლო მათ, რომელთაც მარაგი არა აქვთ, ხორბალი მოიხარშონ თაფლით“. ეს ფაქტი დაედო საფუძვლად წმ. მოწამის – თეოდორე ტირონის მოსახსენებლად დიდი მარხვის პირველ კვირაში წანდილის (კოლიოს) მოხარშვას. ქრისტიანთა მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდებოდა. ალექსანდრიაში მღელვარება დაიწყო. აქ ეპისკოპოსი გიორგით ყველანი უკმაყოფილონი იყვნენ, ერთნი გაძევებულ ათანასეს მისტიროდნენ, მეორენი გიორგის ანგარებისმოყვარეობის გამო ვერ ურიგდებოდნენ. მან ხელში ჩაიგდო ქალაქის მთელი შემოსავალი და მოსახლეობას გადასახადები დაუმძიმა. ალექსანდრიელებმა იგი ერთხელ განდევნეს, მაგრამ იმპერატორმა კონსტანციმ დააბრუნა; იულიანეს დროს მის წინააღმდეგ ამბოხებამ იფეთქა. წარმართებმა გიორგი შეიპყრეს და

რამდენიმე ქრისტიანთან ერთად წამებით მოკლეს.[3] იულიანეს დამნაშავეთა დასჯისთვის თავი არ შეუწუხებია, პირიქით, მან ალექსანდრიელებს წერილი მისწერა, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ მისი კეთილგანწყობა მათ მიმართ უცვლელი რჩებოდა, მაგრამ ერთმა გარემოებამ იმპერატორი უკიდურესად გააღიზიანა. ეს იყო ათანასეს დაბრუნება. როცა დიდმა ეპისკოპოსმა შეიტყო ბრძანებაზე, რომლითაც გადასახლებულებს დაბრუნება შეეძლოთ და გიორგის სიკვდილის შესახებ, ალექსანდრიას მიაშურა. სამწყსომ საყვარელი მწყემსი, ვინც მთელი ექვსი წლის განმავლობაში განდევნილი იყო, აღფრთოვანებით მიიღო.

ათანასეს იულიანეს მცდელობა მომაკვდავი წარმართობის გაცოცხლებისა თავიდანვე დამარცხებისათვის განწირულად მიაჩნდა. მას უფრო ეკლესიის შიგნით ის განხეთქილება აფიქრებდა, რომელიც ეკლესიაში არიოზელებს შეჰქონდათ. საქმე ის იყო, რომ იმ რამდენიმე ეპისკოპოსს, რომელთაც არიოზელთა ბატონობის წლებში ჭეშმარიტებას არ უღალატეს, არ სურდათ ურთიერთობა იმათთან, რომელთაც არიოზულ მრწამსს მოაწერეს ხელი, თუმცა ზოგიერთ მათგანს ეს ნაბიჯი არა შეგნებულად, არამედ საკითხში გაურკვევლობის გამო ჰქონდა გადადგმული. ისინი იფიცებოდნენ, რომ ნიკეის სარწმუნოების სიმბოლოს ღალატი გულშიაც კი არ ჰქონდათ გავლილი. ეკლესიაში სიმშვიდისა და სიყვარულის აღსადგენად ათანასემ ალექსანდრიაში კრება მოიწვია, რომელზეც ეკლესიის სწავლება ყოვლადწმიდა სამების შესახებ ხელახლა გადმოიცა. წმინდა ეპისკოპოსის ძალისხმევით, აღმსარებლებმა, რომელთაც ჭეშმარიტებისათვის არასოდეს უღალატიათ, წრფელი სინანულით შეპყრობილი ძმები სიყვარულით მიიღეს. ათანასეს საოცარი უნარი ჰქონდა სუსტებთან ურთიერთობისას ბრძნულ სიმკაცრესთან შერწყმული ლმობიერება გამოეჩინა. მიუხედავად იმისა, რომ დაცემულთა მიმართ სიმკაცრის გამოჩენის უფლება ყველაზე მეტად მას ჰქონდა, რადგან ამდენი დაითმინა დევნის პერიოდში, ეპისკოპოსი ქრისტიანებს ერთსულოვნებისა და ურთიერთსიყვარულისკენ მოუწოდებდა. ამიტომ, რა თქმა უნდა, თავისი მოღვაწეობით იმპერატორს, რომლის მიზანიც იყო ეკლესია

[3] **Сократ Схоластик, Церковная история, III, 2.**

განხეთქილებას დაენგრია, ხელს უშლიდა. იულიანემ ბრძანება გაუგზავნა ათანასეს დაეტოვებინა ქალაქი. იგი დაემორჩილა და ქალაქიდან წავიდა, მაგრამ მართლმადიდებლებმა იმპერატორს მწყემსმთავრის დაბრუნება წერილობით სთხოვეს. ამ თხოვნამ იულიანე მხოლოდ გააღიზიანა და ათანასეს საერთოდ ეგვიპტის დატოვება უბრძანა. მალე ალექსანდრიაში მეფის ახალი ბრძანება მოვიდა, მთავარი ტაძრის გადაწვისა და, უკეთუ ეგვიპტის ტერიტორიაზე იპოვნიდნენ, ათანასეს სიკვდილით დასჯის შესახებ. ქრისტიანებმა საყვარელი ეპისკოპოსი ცრემლებით გააცილეს. ის მათ ამშვიდებდა და ეუბნებოდა: „ნუ ტირით, ეს მცირე ღრუბელია, რომელიც მალე გადაივლის“. მან გადაწყვიტა ნილოსი გადაეცურა და თებაიდაში გადასულიყო, მაგრამ მეომრები დაედევნენ და ისის იყო, უნდა დაწეოდნენ კიდეც, რომ ათანასემ უეცრად ნავის უკან, მათ შესახვედრად მობრუნება ბრძანა. მეომრები ამას არ ელოდებოდნენ, ამიტომ ვერ იცნეს და ჰკითხეს: „ათანასე შორსაა?“ – „მალე დაეწევით, თუ აჩქარდებით“, – უპასუხეს ეპისკოპოსის მხლებლებმა.[4]

ქრისტიანების ბრმა სიძულვილმა იულიანე იუდეველებთან დააკავშირა. იმპერატორმა მათ წერილი მისწერა, რომელშიც იმ მძიმე ხვედრის გამო, რომელიც თითქოს ქრისტიანებმა განუმზადეს, თანაგრძნობას უცხადებდა, იერუსალიმის ტაძრის აგების ნებას აძლევდა და მშენებლობისას დახმარებასაც სთავაზობდა. წერილში იგი იუდეველებს სწერდა: „როცა ტაძარი აღდგება, უფალ საბაოთს სამადლობელო მსხვერპლს მეც თქვენთან ერთად შევწირავ ქრისტიანებზე გამარჯვების მონიჭებისათვის“. იუდეველებმა ეს წინადადება აღფრთვანებით მიიღეს. ისინი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებოდნენ იერუსალიმისაკენ, სადაც იულიანესაგან მართლაც მიიღეს უხვი შემწეობა და შეხვდნენ მეფის მოხელეს, რომელსაც მშენებლობისათვის თვალყურის დევნება ჰქონდა დავალებული. იმპერატორის მხარდაჭერის იმედით გათამამებული იუდეველები ქრისტიანებს ყველგან შეურაცხყოფდნენ, ხოლო მრავალ ქალაქში არც მათ წამებას მოერიდნენ. განსაკუთრებით მძიმე დღეები იერუსალიმის ქრისტიანებს

[4] იქვე, III, 14.

დაუდგათ, წმინდა ეპისკოპოსი კირილე იერუსალიმელი სამწყსოს ამხნევებდა და არწმუნებდა, რომ ტაძარი არ აღდგებოდა, რადგან უფალი თავის მსახურთ შეეწეოდა.

ტაძრის მშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანა ყველა იუდეველს სურდა. ქალები ძვირფას სამკაულებს სწირავდნენ, მდიდრული სამოსის კალთებით ქვებს ეზიდებოდნენ. მშენებლები მიწას ვერცხლის ნიჩბებით თხრიდნენ. მაგრამ ადგილის გაწმენდა და მშენებლობისათვის მასალის მომზადება ძლივს მოასწრეს, რომ საშინელმა მიწისძვრამ, რომელსაც ქარიშხალიც ახლდა, მთელი სამზადისი გაანადგურა და მრავალი მუშაც იმსხვერპლა. იუდეველები იძულებულნი გახდნენ მშენებლობა დროებით შეეჩერებინათ, მაგრამ როგორც კი საქმეს ხელახლა შეუდგნენ, პირველზე უფრო ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ამჯერად გადარჩენილი საფუძვლის ნარჩენები მიწიდან ამოცვივდა, ხოლო სამუშაო იარაღები ქარიშხალმა გაფანტა. მიწის სიღრმიდან ბოლქვებად ამოხეთქილმა ალმა მუშები შეტრუსა და მათ სხეულებსა და ტანსაცმელზე ჯვრის გამოსახულება დატოვა. იუდეველები დაშინდნენ და მშენებლობა მიატოვეს.[5] ბევრმა მათგანმა ქრისტე ირწმუნა და მოინათლა. მათგან განსხვავებით იულიანე ამ შემთხვევის მიმართაც ბრმა გამოდგა. იმპერატორმა რაც მოხდა, იმის ხსენებაც კი აკრძალა, ხოლო წმინდა ეპისკოპოსი კირილე ქალაქიდან გააძევა.

როგორც იულიანეს სურდა, საქმე ისე არც ანტიოქიაში წარიმართა. ანტიოქიის გარეუბანში, დაფნეში, აპოლონის მდიდრული ტაძარი იდგა მისი კერპითურთ, რომელიც წინასწარმეტყველებით იყო განთქმული. ქრისტიანობის გამარჯვებამ წარმართული ტაძარი დააცარიელა, ხოლო იმავე უბანში ეკლესია აშენდა, რომელშიც დეკიოზის დროს წამებული წმ. ბაბილა და სამი ყრმა იყვნენ დასაფლავებულნი.

სპარსეთში სალაშქროდ მიმავალი იულიანე ანტიოქიაში ჩავიდა და კერპისაგან წინასწარმეტყველების მისაღებად აპოლონის ტაძარს მიაკითხა. იგი კერპთაყვანისმცემლებით გაჭედილი ტაძრისა და მდიდრული მსხვერპლშეწირვის ნახვას ელოდებოდა და რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება და განრისხება, როცა მხოლოდ ერთი

[5] იქვე, III, 20.

ქურუმი დახვდა, რომელიც აპოლონს ბატს სწირავდა.

ამას ისიც დაემატა, რომ კითხვაზე – მომავალში რა ელოდებოდა, კერპმა პასუხი არ გასცა. როცა განრისხებულმა იულიანემ იკითხა, ეს რას ნიშნავდა, ქურუმმა განუმარტა, რომ აპოლონი წმ. ბაბილას ნეშტის სიახლოვით იყო განაწყენებული. წარმართებს რომ შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ, ანტიოქიელმა ქრისტიანებმა წმინდა მოწამის ნეშტი სასწრაფოდ გადაასვენეს გალობით საკათედრო ტაძარში.[6] გაცოფებულმა იმპერატორმა მრავალი ქრისტიანი წამებით მოაკვლევინა და აპოლონის ბომონის აღდგენა ბრძანა, რომლის საზეიმოდ გახსნასაც თვითონ აპირებდა, მაგრამ წინა ღამეს ბომონი მთლიანად დაიწვა. მიუხედავად მახლობლად მცხოვრებთა მტკიცებისა, რომ ბომონს ზეციდან ჩამოვარდნილი ცეცხლი დაეცა, მისი გადაწვა მაინც ქრისტიანებს დააბრალეს და ბევრი მათგანი წამებით მოკლეს, ხოლო წმინდა ეპისკოპოსი მელეტი, რომელიც წამებისათვის განწირულებს დასჯის ადგილამდე აცილებდა, ქალაქიდან გააძევეს.

იულიანე ანტიოქიაში კარგა ხანს დარჩა, მაგრამ თვით წარმართების სიყვარულიც კი ვერ მოიპოვა, რადგან ქრისტიანთა ბრმა მიბაძვით გასართობები და სანახაობანი აუკრძალა, რომელიც მათ ძალიან უყვარდათ. წარმართებს მისი რელიგიური გულმოდგინებაც აღიზიანებდა, რადგან იმპერატორი იმგვარ ბნელ ადათებში იღებდა მონაწილეობას, რომელთა რწმენა უკვე კერპთაყვანისმცემლებსაც დაკარგული ჰქონდათ. ისინი მოურიდებლად დასცინოდნენ იმპერატორს ცრუმორწმუნეობის, უხეში საქციელისა და თვით გარეგნობის გამოც კი, რადგან ქრისტიანთა წამხედურობით ცდილობდა, რომ დაუდევარი ჩაცმულობით სიმდიდრისა და ფუფუნების სიძულვილი დაემტკიცებინა.

სპარსეთში სალაშქროდ მიმავალი იულიანე უკან დაბრუნებისას იმ წარმართული ტაძრების საზეიმო გახსნაზე ფიქრობდა, გზადაგზა რომ ხვდებოდა, მაგრამ მის ოცნებას განხორციელება არ ეწერა. ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი სიკვდილის მოახლოებამაც კი ვერ შეარიგა უფალთან, მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „შენ გაიმარჯვე, გალილეველო!“

[6] იქვე, III, 19.

ცნობის მიღწევას იმპერატორის სიკვდილის შესახებ შორეული ქვეყნიდან კონსტანტინეპოლამდე დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ ზოგიერთ წმინდანს სასწაულებრივად ეცნობა, რომ იულიანე ცოცხალი აღარ იყო. ალექსანდრიაში ცნობილ ქრისტიან სწავლულს, ბრმა დიდიმს ღამით ლოცვისას მოესმა სიტყვები: „დღეს მოკვდა იულიანე. შეატყობინე ამის შესახებ ათანასეს“. ათანასე კი ამასობაში უდაბნოში დახეტიალობდა და მეომრებს ემალებოდა, რომელნიც მას ყველგან ეძებდნენ. როცა იგი აბა პამვას და თეოდორე განწმენდილს შეეკითხა, საით აეღო გეზი, წმ. თეოდორემ უპასუხა: „შენ ახლა დამალვა აღარ გჭირდება, იულიანე სპარსეთში დაიღუპა“.

სპარსეთში უმთავარსარდლოდ დარჩენილმა ჯარმა იმპერატორად ერთსულოვნად ქრისტიანი იოვიანე აირჩია,[7] მაგრამ მან უარი განაცხადა და თქვა: „მე არ მსურს წარმართების მმართველი ვიყო“. „მაგრამ შენ არა წარმართებს, არამედ ქრისტიანებს წარუძღვები. იულიანეს ხანმოკლე მეფობამ ვერ წაშალა ჩვენს გულებში ჭეშმარიტი რწმენა და კონსტანტინე დიდის სწავლანი“, – უპასუხეს მეომრებმა.

იულიანეს მეფობა ორ წელზე ცოტა მეტ ხანს გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში წარმართობის აღსადგენად მან ყოველ ხერხს და ღონეს მიმართა, მაგრამ ამაოდ. მას შემდეგ, რაც სამყარომ ჭეშმარიტი ღმერთი, მისი წმინდა და მაღალი სჯული შეიცნო, წარმართობას აღდგენა აღარ ეწერა.

არიოზელთაგან ეკლესიის დევნის მეორე პერიოდი

ახლად არჩეულ იმპერატორს, იოვიანეს, სპარსეთთან ომის გაგრძელება აღარ შეეძლო. მტრის ქვეყანაში ღრმად შეჭრილ ჯარს ამის ძალა აღარ ჰქონდა. ამიტომ იგი იძულებული გახდა არახელსაყრელი ზავი დაედო სპარსეთის მეფე საპორთან, რომლითაც ზოგიერთ ოლქსა და ქალაქს უთმობდა. მათ შორის მოხვდა ნასიბინიც, ქალაქი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იცავდა თავს. ასე რომ, მესოპოტომიისა და სხვა მხარის ქრისტიანებს,

[7] იქვე, III, 22.

რომელნიც სპარსეთის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდნენ, ახალი ბატონებისაგან მრავალი ტანჯვის დათმენა მოუხდათ.

ჯვარი, რომელიც იმპერიის ჯარს უკან დასაბრუნებლად გზაზე მოუძღვოდა, ცხადად იუწყებოდა, ახალი იმპერატორი რომელ სარწმუნოებას მიეკუთვნებოდა. იოვიანემ ყველა აღმსარებლობის მიმდევართ სრული თავისუფლება მიანიჭა, რწმენისათვის გადასახლებულნი დააბრუნა[8] და ყველა ბრძანება, იულიანეს მიერ ქრისტიანების საწინააღმდეგოდ გამოცემული, შეცვალა. ანტიოქიაში ჩასულმა იმპერატორმა წმ. ათანასე მიიწვია და მისგან მიიღო წერილობით გადმოცემული ნიკეის კრების სიმბოლო, როგორც ერთადერთი და ჭეშმარიტი. ქრისტიანებს წარმართებზე შურისძიება აზრადაც არ მოსვლიათ, ისინი სიმართლის გამარჯვებით მშვიდად ხარობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. იოვიანემ დედაქალაქამდე ვერ მიაღწია, იგი გზაში მოულოდნელად გარდაიცვალა.[9] იმპერატორად ერთხმად აირჩიეს ვალენტინიანე, მტკიცე ქრისტიანი, რომელმაც იულიანეს მეფობის დროს რწმენისათვის დევნა განიცადა. იმპერატორად მოშურნე ქრისტიანის არჩევამ ცხადად წარმოაჩინა, რამდენად უძლური იყო წარმართული პარტია, იულიანეს გულმოდგინე მცდელობითა და მფარველობით წამიერად გაცოცხლებული.

შესუსტდა თუ არა წარმართობის ბრძოლა ქრისტიანთა წინააღმდეგ, კვლავ გააქტიურდნენ არიოზელები. ვალენტინიანემ, მრავალი სხვა მისი წინამორბედის მსგავსად, თანამმართველის არჩევა გადაწყვიტა. მან თავისი არჩევანი უმცროს ძმაზე – ვალენტიზე შეაჩერა და აღმოსავლეთის მმართველობა მიანდო. თვითონ სამართავად იმპერიის დასალეთი ნაწილი დაიტოვა, იმყოფებოდა რა ხან მილანში, ხან კიდევ ტრირსა და რავენაში.

სამწუხაროდ ვალენტი არიოზელი ეპისკოპოსის – ევდოქსის მიერ იყო მონათლული[10] და ფიცი ჰქონდა მისთვის მიცემული, რომ არიოზულ აღმსარებლობას დაიცავდა და ეს ფიცი მართლაც შეასრულა. მისმა ტახტზე ასვლამ ეკლესიისათვის კონსტანცის მეფობის

[8] იქვე, III, 24.
[9] იქვე, III, 26.
[10] იქვე, IV, 11.

პერიოდი გააცოცხლა. დევნა მაშინვე დაიწყო. მართლმადიდებელი ეპისკოპოსები არიოზელებით შეცვალეს, ტაძრები ან საერთოდ იხურებოდა, ან არიოზელთა ხელში გადადიოდა. გამოიცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, კონსტანცისაგან გადასახლებულსა და იულიანეს მიერ დაბრუნებულ ეპისკოპოსებს თავიანთი კათედრები ისევ უნდა დაეტოვებინათ. არც ყველაზე სასტიკი ზომების მიღებას მოერიდნენ. სამოცდაათამდე მართლმადიდებელი სასულიერო პირი, რომელნიც არიოზელებისაგან დევნას უჩიოდნენ, მოწამეობრივად აღესრულნენ. მათი დასჯის ვითარება კარგად მეტყველებდა მწვალებელთა ზნეობრივ სახეზე. ეშინოდა რა ხალხის მღელვარებისა, ვალენტიმ ბრძანა ისინი სიკვდილით ფარულად დაესაჯათ. იმ მიზეზით, რომ თითქოს განაჩენად გადასახლება ჰქონდათ გამოტანილი, ეპისკოპოსები ხომალდზე დასვეს, რომელიც, როცა ნაპირს კარგა მანძილზე გაშორდა, დაწვეს.[11]

ეპისკოპოსების გაძევების ბრძანებამ განსაკუთრებით დიდი აღშფოთება გამოიწვია. იქაური ქრისტიანები, რომელთაც კარგად ვერც მოასწრეს ათანასეს დაბრუნებით გამოწვეული სიხარულის განცდა, მზად იყვნენ თავიანთი მწყემსმთავარი სიცოცხლის ფასად დაეცვათ. მაგრამ დარჩენა თვითონ ეპისკოპოსმა არ მოისურვა. რადგან არ უნდოდა ქალაქს მის გამო იმპერატორის რისხვა დასტყდომოდა თავს, ამიტომ ალექსანდრია ფარულად დატოვა და თავისი მშობლების აკლდამაში დამკვიდრდა. ალექსანდრიელებმა ვალენტის მისი დაბრუნება დაბეჯითებით მოსთხოვეს და იმპერატორმაც დაუთმო, რადგან შეეშინდა, უარის თქმას შედეგად მთელი ეგვიპტის მღელვარება არ მოჰყოლოდა. მან არა მხოლოდ დააბრუნა ათანასე, არამედ მისი დევნა საერთოდაც შეწყვიტა. დიდმა ეპისკოპოსმა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მოხუცი იყო, სულიერი ძალა ძველებურად შეინარჩუნა და ძველებურად აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა. იწვევდა კრებებს, გადმოცემდა ეკლესიის სწავლებას და ეპისკოპოსებს სიმართლის დასაცავად ერთსულოვნებისკენ მოუწოდებდა. წმინდა ათანასე 373 წელს გარდაიცვალა. მან 80 წელი იცოცხლა და აქედან 46 წლის განმავლობაში ეპისკოპოსის მძიმე ჯვარი ღირსეულად ატარა. რა არ გადაიტანა, დევნა, გაძევება,

[11] **Сократ Схоластик, Церковная история, IV, 16.**

შეურაცხყოფა და ტანჯვა, მაგრამ სარწმუნოების და მოვალეობებისადმი მის მიერ ერთხელ არჩეული დამოკიდებულება მცირე ხნითაც კი არ შეუცვლია.

წმიდა ბასილი დიდი

მეოთხე საუკუნეს ქრისტიანობის ისტორიაში ხშირად საუკუნე-მზესაც უწოდებენ და სრულიად სამართლიანადაც. იმ წმინდა მამათა ღვაწლით, რომელთაც ცხოვრება და მოღვაწეობა ამ საუკუნეში მოუხდათ, ქრისტიანულმა ღმრთისმეტყველებამ და ფილოსოფიამ საოცარი აღმავლობა განიცადა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე წარმართობისა და თუ ახლად წარმოშობილი ერესებისაგან მის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ამ შთამაგონებელი გამარჯვებისა კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიტი წმინდა ბასილი დიდი იყო.

თუ ადამიანი მაცხოვრისაგან ბოძებულ ერთ ძირითად მცნებათაგანს აასრულებს და უფალს მთელი გულით, გონებითა და სულით შეიყვარებს, მნიშვნელობა აღარ ექნება მისი სამსახურისათვის რომელ გზას აირჩევს – სასულიეროს თუ საეროს. ამ შემთხვევაში ოჯახისა და საზოგადოების გარემოცვაშიც ისევე შეძლებს სამსახურს ღმრთისას, როგორც მონასტერში დამკვიდრებითა თუ უდაბნოში განმარტოებით. ამის ნათელ მაგალითს ბასილი დიდის წინაპრები წარმოადგენდნენ, რომელთაც ქრისტეს სჯული ერში აღასრულეს. მისი დედის ბაბუამ სარწმუნოების ერთგულებისათვის ჯერ ქონება დაკარგა, ხოლო შემდეგ – სიცოცხლეც; მამის მშობლები კი, მას შემდეგ, რაც ქრისტეს აღმსარებლობისათვის იმპერატორი მაქსიმიანეს დროს დაწყებული დევნისას ქონება ჩამოართვეს, სიცოცხლის შესანარჩუნებლად შვიდი წლის განმავლობაში პონტოს ტყეებში იმალებოდნენ. სამაგიეროდ მათ თავიანთ შთამომავლობას მემკვიდრეობად წარმავალი სიმდიდრის ნაცვლად უხრწნელი სიმდიდრე – ჭეშმარიტების სიყვარული დაუტოვეს. ამაზე მეტყველებს თვით ეკლესიის ისტორიაშიც კი საკვირველი ფაქტი – ერთ ოჯახში შვიდი წმინდანის არსებობისა. ეკლესიამ წმინდანებად

შერაცხა ბასილის ბებია მაკრინე, დედა ემელია და მისი ოთხი დაძმა: გრიგოლ ნოსელი, პეტრე სებასტიელი, მაკრინე და თეოზვა.

ბასილი დიდის უახლოესი მეგობარი გრიგოლ ღმრთისმეტყველი, რომელიც მთელ მის ოჯახს კარგად იცნობდა, მისთვის დამახასიათებელი ემოციურობით შთამბეჭდავად აღწერს პონტოს მთებში თავშეფარებულ დევნილთა ცხოვრების უმძიმეს პირობებს. რა თქმა უნდა, მათ ბევრი რამ აკლდათ, მაგრამ რის ნაკლებობასაც განსაკუთრებით განიცდიდნენ, ეს მეგობრებსა და ახლობლებთან და საერთოდ, ადამიანებთან ურთიერთობა იყო.[12]

მაცხოვარს მისი ერთგული მიმდევრები უნუგეშოდ არც დევნილობაში დაუტოვებია. გრიგოლ ღმრთისმეტყველისავე აღწერით ვეცნობით მრავალთაგან ერთ სასწაულს, რომელიც ბასილის წინაპრებისათვის უფალმა დაუშვა. მართალია, ტყეში მცხოვრებთ ეგვიპტის მონობიდან გამოსული ისრაელიანებივით საჭმლის მოკლების გამო ჩივილი არ დაუწყიათ, მაგრამ სასოება გამოხატეს, რომ უკეთუ ღმერთმა ეგვიპტიდან ლტოლვილებს ზეციური პური უწვიმა და სხვა მრავალი სასწაული მოუვლინა, ისიც ადვილი შესაძლებელი იყო, მზრუნველობის გარეშე არც ღმრთისმოსავი მოღვაწენი დაეტოვებინა, – ამ ტყეებში ხომ მრავალი ნადირი დადიოდა და საჭმელად ვარგისი მრავალი ფრინველი ბუდობდა. სასოება მართლაც გაუმართლდათ. ნადირნი და ფრინველნი თვითონვე უვარდებოდნენ ხელთ და მშვენიერი ნადიმიც თავისთავად მზადდებოდა.

გრიგოლ ღმრთისმეტყველი განგვიმარტავს, რომ ეს სასწაული ბასილის დიდებისათვის რაიმეს შესამატებლად არ მოუხმია, რადგან როგორც ზღვა არ საჭიროებს მასში მდინარეების ჩადენას, თუმცა ისინი მაინც ჩაედინებიან, ასევე ბასილის დიდებასაც არაფრის შემატება არ სჭირდება. სასწაულის აღწერით მას მხოლოდ იმის ჩვენება სურდა, თუ რა მაგალითებზე იზრდებოდა იგი და რამდენად აღემატებოდა თავის დიდებულ წინაპრებს.

მომავალი დიდი საეკლესიო მოღვაწის მშობლებიც ღმრთისმოსაობით გამოირჩეოდნენ. მამა, რომელსაც ასევე ბასილი ერქვა,

---

[12] **Migne, PG. 36,** სვ. 501. წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ეპიტაფია ბასილი დიდისა, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა გ. კოპლატაძემ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2015, გვ. 123.

მჭევრმეტყველების ცნობილი მასწავლებელი იყო. კესარიაში მას ყველა პატივს სცემდა და როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველი წერს, ამ საქმეში (ე. ი. მჭევრმეტყველებაში) პირველობა მხოლოდ შვილს დაუთმო. მისივე ცნობით, სათნოებით მას არც მეუღლე ჩამორჩებოდა, რომლის პიროვნებასაც საოცრად ესადაგებოდა სახელი ემელია (emmeleia ქართულად სიმწყობრეს, გამართულობას ნიშნავს). მათი ცოლ-ქმრობის საფუძველი სულიერი ერთობა და სათნოებისაკენ თანაბარი სწრაფვა იყო, რასაც საქმით, კერძოდ, ღატაკთა დაპურებით, უცხოთა შეწყნარებით, ხორციელ მოთხოვნილებათაგან თავშეკავებით, თავიანთი ქონების გარკვეული ნაწილის ღმრთისთვის შეწირვით გამოხატავდნენ.

ბასილისა და ემელიას ათი შვილი შეეძინათ, რომელთა აღზრდასაც, უმთავრესად, მამა ხელმძღვანელობდა, აღზრდა კი, უწინარესად, მათი მარადიული ცხოვრებისათვის მომზადებას გულისხმობდა.

ბასილი დიდი 330 წლის მახლობელ ხანებში დაიბადა პონტოში, როგორც ვარაუდობენ, ან საგვარეულო მამულში, ან პონტოს დედაქალაქ ნეოკესარიაში. დაბადების ადგილს მკვლევარები გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ, იქიდან გამომდინარე, რომ მეცნიერებაში ეჭვქვეშაა დაყენებული ბასილის ბერძნული წარმომავლობა, რის საფუძველსაც მისი ცხოვრების ზოგიერთი დეტალი, პირადი წერილები და თანამედროვეთა მინიშნებანი იძლევა.

უპირველეს ყოვლისა, მეცნიერთა ყურადღება მიიქცია ამფილოქე იკონიელის მიერ „წმ. ბასილის ცხოვრებაში“ მოწოდებულმა ერთმა ცნობამ, სახელდობრ, ათენში სწავლის გასაგრძელებლად წასული ბასილის შესახებ იგი წერს: „და მუნთქუესვე დაუტევა ქუეყანაჲ თჳსი, **რამეთუ კაპადოკიელი იყო ნათესავით** და მივიდა დედასა სიტყუათასა ათენს“.[13]

სადაო არ უნდა იყოს, რომ ნათესავით კაპადოკიელი ეროვნებით კაპადოკიელობაზე მიუთითებს და არა იმაზე, რომ იგი იმპერიის ამ პროვინციის (ე. ი. კაპადოკიის) მკვიდრი იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, თუ ნათესავით ანუ ეროვნებით კაპადოკიელებში ბიზანტიელები ვის გულისხმობდნენ. ჯერ კიდევ გვიანანტიკურ

[13] ხელნწერი A, 1103. PG, t.29.

წყაროებში დადასტურებულია, რომ კაპადოკიელი ეთნიკური ტერმინი იყო და იგი მესხს ნიშნავდა. ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი (39-95) წერს: „მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ“, და აგრძელებს, რომ ამ ხალხის უძველესი სახელწოდება მოსოხენ-მესხი შემორჩა დედაქალაქის სახელს, რომელსაც მაზაკა ეწოდებოდა.[14] რაც შეეხება საკუთრივ ბიზანტიურ ისტორიოგრაფიას, აქ სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ისტორიკოსთა მიერ მტკიცედაა ჩამოყალიბებული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ კაპადოკიელები ეროვნებით მესხები არიან. მაგ., ევსტათი ანტიოქიელი (280-360) გვამცნობს, რომ ნოეს შთამომავალი „მოსოხისაგან მესხები, დღევანდელი კაპადოკიელები **წარმოიშვნენ**“.[15]

იმავეს იმეორებენ თეოდორიტე კვირელი (393-457), კონსტანტინე პორფიროგენეტოსი (913-959), ლეონ გრამატიკოსი (XI ს.) და სხვ.

ვფიქრობთ, ბიზანტიური ისტორიოგრაფია მისი ავტორების არც ცოდნასა და ამჯერად, არც ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საბაბს არ იძლევა. გარდა ისტორიის კვლევის უმდიდრესი ტრადიციებისა, რომლებიც ბიზანტიელმა ისტორიკოსებმა ანტიკური ისტორიული პროზიდან მემკვიდრეობით მიიღეს, ისინი კაპადოკიელების თანამედროვენი იყვნენ, ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ და ბუნებრივია, მათთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა იმის გარკვევა – საიდან მომდინარეობდა და ვინ იყო ეს ხალხი. მით უმეტეს უნდა გამოირიცხოს სუბიექტურობა, რადგან სრულიად გაუგებარია, რისთვის უნდა დასჭირვებოდათ იმპერიის ოფიციალურ ისტორიკოსებს იმპერიაში შემავალი ერთ-ერთი პროვინციის მკვიდრი ხალხის მესხებად გამოცხადება.

თუ ბიზანტიაში განათლებული ადამიანებისათვის კაპადოკიელების ეროვნებით მესხობა ცნობილი იყო, მაშინ არ უნდა გაგვიჭირდეს იმ თვალსაზრისის გაზიარება, რომ, როცა ჰაგიოგრაფი ბასილს ნათესავით კაპადოკიელს უწოდებს, მის მესხობას ანუ ქართველობას გულისხმობს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბასილის

[14] გეორგიკა, ტ.I, თბ., 1961, გვ. 271.
[15] იქვე, გვ. 35.

წინაპრების მამული, პონტოს აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ირისის მარჯვენა, ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ნეოკესარიის მახლობლად მდებარეობდა. ამ მხარეში კი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა დადასტურებული, ძირითად მოსახლეობას ყოველთვის ამ ადგილის მკვიდრნი – ქართველური ტომები შეადგენდნენ. სწორედ საგვარეულო მამულში, მდ. ირისის მარჯვენა ნაპირას, ანისში დააარსა ბასილი დიდმა თავისი მონასტერი და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობლიურ კუთხესთან; მისი დედა და და-ძმაც აქ მოღვაწეობდნენ.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ სხვა გარემოებასაც, სახელდობრ, როცა გრიგოლ ღმრთისმეტყველი ქებით იხსენიებს ბასილი დიდის წინაპრებს მამის მხრიდან, გვამცნობს, რომ მათ შესახებ პონტოში არსებული მრავალრიცხოვანი გადმოცემა არაფრით ჩამოუვარდებოდა პონტოსავე ძველ საკვირველებებს.[16]

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ პონტოს საკვირველებებში მხოლოდ და მხოლოდ არგონავტების კოლხეთში მოგზაურობა შეიძლება იგულისხმებოდეს, მით უმეტეს, რომ ამ მოგზაურობასთან დაკავშირებულ ამბებს ბერძნულ მწერლობაში, ჩვეულებრივ, სწორედ საკვირველს უწოდებენ.

მაშასადამე, გრიგოლ ღმრთისმეტყველი გვეუბნება, რომ ბასილის პონტოელი წინაპრები სასახელო საქმეებით არ ჩამოუვარდებოდნენ თავიანთ შორეულ წინაპრებს, რომელთაც არგონავტების მითში მოთხრობილი საკვირველი ამბები უკავშირდებოდათ. აქედან გამომდინარე კი ის უცილობელი დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ ბასილის წინაპრები ქართველური ტომების ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები ყოფილან.

ბასილი დიდის ეროვნული წარმომავლობის გარკვევის თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა გრიგოლ ღმრთისმეტყველის მიერ აღწერილი ერთი ეპიზოდი წმინდა მამის ცხოვრებიდან. სიტყვაში „ეპიტაფია ბასილი დიდისა“ იგი იხსენებს ბასილის ათენში ჩასვლის პერიოდს და გვიამბობს, რომ იქ მოსწავლე სომხები მტრულად განეწყვნენ მის მიმართ, რადგან ახალმოსულობის

[16] **PG. 36**, სვ. 497. ეპიტაფია ბასილი დიდისა... გვ. 120.

მიუხედავად, ღმრთისაგან მიმადლებული განსაკუთრებული ნიჭის გამო, სწრაფად მოიპოვა უპირატესობა იმ ახალგაზრდებზე, რომელთაც ბევრად უფრო ადრე ჰქონდათ დაწყებული ფილოსოფიის შესწავლა. ისინი შეითქვნენ და, ვითომდა ათენის დიდების დასაცავად, სიტყვიერ პაექრობაში მისი დამარცხება ერთიანი ძალით გადაწყვიტეს. თავდაპირველად, გრიგოლ ღმრთისმეტყველი, რომელმაც გულწრფელად ირწმუნა, რომ მათი მიზანი მართლაც ათენის ღირსების დაცვა იყო, სომხებს მიემხრო, და როცა ისინი ბასილთან კამათში უკვე მარცხდებოდნენ და გასაქცევად ემზადებოდნენ, მხარი დაუჭირა და ბრძოლა გაათანასწორა. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ სომხებს სინამდვილეში მხოლოდ შური ამოძრავებდა: ამიტომ განუდგა მათ, რის გამოც აშკარა მტრობა გამოუცხადეს და ბრალად არა მხოლოდ მათი, არამედ ათენის ღალატიც დასდეს. სომხების შენიღბულ შურს და ვერაგობას გრიგოლ ღმრთისმეტყველზე მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია. მისთვის დამახასიათებელი სიწრფელით იგი წერს: „... ამას ერთი სხვა გარემოებაც დაერთო, რომელიც ღირსია გახსენებისა. აღმოვაჩინე, რომ ნათესავი სომეხთა არა წრფელი, არამედ ფრიად მზაკვარია და მსგავსი წყალქვეშა კლდეებისა“.[17] აქვე მოგვყავს ამავე ტექსტის ექვთიმე ათონელის თარგმანიც: „...და მერმე იქმნა ესევითარიცა საქმჱ, რამეთუ ვითარცა არს ნათესავი იგი სომეხთაჲ არა წრფელი, არამედ მზაკუვარი და **გულარძნილი** და **ბოროტი** მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი დაფარულ არიან ზღუასა შინა, და **ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ. ესრეთ სხუასა იტყჳან იგინი და სხუაჲ უც გულსა მარადის, და სიწრფოებაჲ მათ თანა არა არს. და რაჲ საკჳრველ არს, უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაჲთგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუარ, და ბოროტად აღმსაარებელ**“.[18]

შავით გამოყოფილი სიტყვები ბერძნულ დედანში არაა და ნა-

[17] იქვე, გვ. 134.

[18] წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ცხორებაჲ და შესხმაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილი კესარია-კაბადოკიელი მთავარეპისკოპოსისაჲ. საღმრთისმეტყველო ასკეტურ და ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა დიდი მრავალთავი. შეადგინა, საძიებლები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა გრიგოლ რუხაძემ. სსგ, თბ., 2015, გვ. 37B.

თელ მაგალითს წარმოადგენს ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდისა (რომელსაც „ხელეწიფებოდა კლებაჲცა და შემატებაჲცა“ – ეფრემ მცირე). მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ იგი დედნის შინაარსს არღვევს, ან აზვიადებს; შინაარსი აბსოლუტურად იგივე რჩება იმისა, რაც დედანშია, სახელდობრ, გრიგოლ ღმრთისმეტყველის შეხედულება სომეხთა მოდგმის მზაკვრობაზე ანუ დაფარულ ბოროტებაზე. ექვთიმე მთაწმინდელის ტექსტში ჩარევა მხოლოდ მისი შინაარსის გათვალსაჩინოებას გულისხმობს და არა შეცვლას.

გრიგოლ ღმრთისმეტყველის ამ ცნობაში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ბასილის გამორჩეული ნიჭიერებით გაღიზიანებული და შურით აღვსილი სომხები გულისწყრომას გამოხატავენ იმის გამო, რომ არავითარი უპირატესობა არ ჰქონდათ ამ უცხოელისა და ახლად მოსულის წინაშე. ამ ადგილს ექვთიმე ათონელიცა და ეფრემ მცირეც ერთნაირად თარგმნიან: „არარაჲ უმეტესი აქუნდა უცხოჲსა მის ახლადმოსრულისა“[19]. გრიგოლ ღმრთისმეტყველის ტექსტის რუსულ ენაზე მთარგმნელსაც დედნის „xeno~“ „უცხოელად“ (иноземец) გადააქვს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რატომ თვლიან სომხები ათენში ბასილს უცხოელად? უეჭველია, სომხების დამოკიდებულება ბასილი დიდთან მის სომხობას გამორიცხავს (თუმცა სომხურ მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი მისი სომხობის შესახებ), მაგრამ მისი ათენში უცხოელად მიჩნევა, მის ბერძნობასაც უნდა გამორიცხავდეს, რადგან სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რა უფლებით უწოდებდნენ ათენში ჩასულ ბასილს სომხები უცხოელს.

სხვა ფაქტების მოყვანაც შეიძლება ბასილი დიდის ქართველობის მხარდასაჭერად. მაგალითად, მისი პირადი წერილობის გულდასმით შესწავლამ საფუძველი მოგვცა დაგვესკვნა, რომ თუმცა, როგორც მოღვაწე, ბერძნულ სამყაროს ეკუთვნოდა, თავის თავს მისგან განსხვავებულად, სახელდობრ, არა ბერძნად, არამედ კაპადოკიელად წარმოადგენდა, რაც სრულიად ეთანხმება ჰაგიოგრაფის ცნობას იმის თაობაზე, რომ იგი მოდგმით, ეროვნებით კაპადოკიელი ანუ მესხი იყო. კაპადოკიას იგი ყოველთვის სამ-

[19] იქვე.

შობლოს, მამულს (patri~) უწოდებს და არა იმპერიის მხარეს, რეგიონს (cwra); ამასთან, როგორც ეს ჭეშმარიტ მამულიშვილს შეეფერება, ფრიად განიცდის, რომ იგი იმპერიისაგან მუხლებზე დაჩოქილი და ჩაწიხლულია (74-ე წერილი). კეთილშობილი და სათნო თვისებებით შემკული კაპადოკიელებით, რომელნიც მაღალი ზნეობით უცხო მხარეში არა მხოლოდ თავიანთ თავს, არამედ სამშობლოსაც წარმოაჩენდნენ, როგორც თანამემამულეებით, თავი მოაქვს (165-ე წერილი), ხოლო საპირისპირო შემთხვევაში წუხს და ბოდიშს იხდის მათი უსაქციელობის გამო (61-ე წერილი).[20] ბასილი დიდის ეროვნული წარმომავლობის გასარკვევად განსაკუთრებით საინტერესო ცნობა აღმოჩნდა მის თხზულებაში „სულიწმიდის შესახებ“, კერძოდ, როდესაც იგი ყოვლადწმიდა სამების დიდებისმეტყველებაზე საუბრობს, რომელშიც მისი პირების ერთარსობის გამოსახატავად ისინი ერთმანეთთან **და** კავშირით არიან შეერთებულნი: ვაქებთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ღმრთისასა, – წერს: **„და ჩვენც, კაპადოკიელებიც, დიდებისმეტყველებას ადგილობრივ ენაზე** ასე გამოვთქვამთ...“[21] რომელ ენას შეიძლება უწოდებდეს ბასილი დიდი **ადგილობრივს** (ἐγχωρίως), თუ არა ქართულს, რომელზეც ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობა – კაპადოკიელები ანუ მესხები მეტყველებდნენ, ასევე აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშვნა იმ დიდი და გამორჩეული სიყვარულისა, რომლითაც ბასილი დიდი საქართველოსა და ქართველ ხალხში სარგებლობს და ჩვენთან არსებული ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც იგი ქართველია.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, ბასილი დიდის ქართველობას უეჭველობად მივიჩნევთ თუ არა, როგორც მოღვაწე და ღმრთისმეტყველი, იგი ბერძნული სამყაროსა და კულტურის წარმომადგენლად რჩება, რადგან ბერძნული ეკლესიის მღვდელმთავარი იყო და თავის ღმრთივშთაგონებულ თხზულებებსაც ბერძნულ ენაზე ქმნიდა.

ბასილს პირველდაწყებითი განათლება ბებია მაკრინემ მიაღებინა, რომელიც პონტოში, საგვარეულო მამულში ცხოვრობდა, ხოლო

---

[20] **PG, t.32.**

[21] ბასილი დიდი, „სულიწმიდის შესახებ“, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა გ. კოპლატაძემ. სსგ. თბ., 1914, გვ. 221.

როცა წამოიზარდა, მისი განათლების შემდგომ საქმეს სათავეში მამა ჩაუდგა. მამის ხელმძღვანელობით ეზიარა ანტიკური კულტურის თავისებურ სილამაზეს. ყრმობაშივე შეითვისა ყოველივე ზნეობრივი და წმინდა, რასაც ჰომეროსის, ჰესიოდესა, ტრაგიკოსთა თუ ისტორიკოსთა თხზულებები შეიცავდნენ. ყრმობაშივე აგრძნობინა მჭევრმეტყველების ძალა და მიმზიდველობა დემოსთენესა და სხვა ძველ ორატორთა მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა. განსაკუთრებული ინტერესი მან ლიტერატურისა და მჭევრმეტყველების მიმართ გამოამჟღავნა. ამიტომ მამამ შვილის განათლების სრულყოფისათვის ხარჯები არ დაიშურა და კაპადოკიის დედაქალაქ კესარიაში გაგზავნა, რომელსაც, თანამედროვეთა მოწმობით, სხვა ქალაქებისგან მეცნიერების სიყვარული გამოარჩევდა. აქ შეხვდა იგი გრიგოლ ნაზიანზელს და აქ დაიწყო მათი მეგობრობა. ჯერ კიდევ კესარიაში სწავლის დროს ბასილს გრიგოლზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოუხდენია. „ბასილი დიდის ეპიტაფიაში“ („სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათვის“) იგი თავისი მეგობრის შესახებ წერს, რომ იგი ამჟღავნებდა განსწავლულობას ასაკზე უმეტესს და ზნეობრივ სიმტკიცეს – განსწავლულობაზე უფრო მაღალს. იყო ორატორი ორატორთა შორის ჯერ კიდევ მჭევრმეტყველის კათედრის მოპოვებამდე და ფილოსოფოსი ფილოსოფოსთა შორის, ვიდრე ფილოსოფიას შეისწავლიდა და, რაც ყველაზე მთავარია, ქრისტიანებისათვის მღვდელი, ვიდრე ის მღვდლად ეკურთხებოდა.[22] აქვე შევნიშნავთ, რომ ფილოსოფიაში ანუ სიბრძნისმოყვარეობაში ქრისტიანი მოაზროვნენი სოფლისაგან განშორებასა და ღმრთისკენ სწრაფვას გულისხმობდნენ.

კესარიიდან ბასილი კონსტანტინეპოლში წავიდა, რომელიც „აღმოსავლეთში პირველობდა“ (გრიგოლ ღმრთისმეტყველი), ხოლო იქიდან – ათენში. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების წარმატებული გავრცელებისა და ახალი კულტურის სწრაფი აღმავლობის პირობებში ათენს, ბუნებრივია, ძველი დიდება დაკარგული ჰქონდა, ამ დროისათვის მაინც მეცნიერებისა და ფილოსოფიური აზროვნების ცენტრს წარმოადგენდა. ათენის აკადემიაში წარმართი და ქრისტიანი მასწავლებლები ერთმანეთის

[22] გრიგოლ ღმრთისმეტყველი, „ეპიტაფია ბასილი დიდისა“..., გვ. 130-131.

გვერდით ასწავლიდნენ. რელიგიური აღმსარებლობის გამო არც ის ახალგაზრდები იჩაგრებოდნენ, რომელნიც აქ ორატორებისა და ფილოსოფოსების მოსასმენად ყოველი მხრიდან მოდიოდნენ. ვისაც სწავლის ძალა შესწევდა და ამასთან საფასურის გადახდაც შეეძლო, აკადემიის კარი ყველასთვის ღია იყო. გარდა მჭევრმეტყველებისა და სოფისტიკისა, რომელნიც ძირითად საგნებს წარმოადგენდნენ, აკადემიაში ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიც და გამოყენებითი ხელოვნების დარგებიც ისწავლებოდა. აკადემიის ერთი ტრადიციათაგანი, რომელიც ახალგაზრდობას სერიოზული ცოდნის შეძენისაკენ აქეზებდა, როგორც მასწავლებელთა ისე მოწაფეთა შორის, სოფისტიკაში შეჯიბრება იყო. თუმცა, ბუნებრივია, ამგვარ შეჯიბრებებს კონკურენციის პირობებში თავისი უარყოფითი მხარეებიც ახასიათებდა.

ათენში ჩასულ ბასილს გრიგოლ ნაზიანზელი იქ დახვდა, ამიტომ მას უკვე გავლილი ჰქონდა თავისებური გამოცდა გამძლეობისა, რომელსაც სტუდენტები ახლადმოსულს უწყობდნენ. ეს გამოცდა, უწინარესად, დაცინვისა და მასხარად აგდების ატანას გულისხმობდა, რის გამოც ახალბედები, რომელთაც ამგვარი ტრადიციის არსებობის შესახებ წინასწარ არაფერი იცოდნენ, მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდნენ. ახალმოსულს სტუდენტები აბანოში წაიყვანდნენ და გზაში დასცინოდნენ, კართან მისულს კი გზას უღობავდნენ და შიგ შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ. გაოგნებული ახალბედის მდგომარეობას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა გაშმაგებული ღრიანცელი და როკვა, რომლის თანხლებითაც მთელი ეს „ღონისძიება“ მიმდინარეობდა. სამაგიეროდ, თუ ყოველივე ამას გაუძლებდა, აბანოდან გამოსულს უკვე როგორც თანასწორს ისე ხვდებოდნენ და საზეიმოდ მოსავდნენ ჟოლოსფერი მოსასხამით, რომელსაც, ჩვეულებრივ, სტუდენტი სოფისტები ატარებდნენ.

გრიგოლმა, რომელიც ბასილს კესარიიდან იცნობდა, ახალგაზრდები დაარწმუნა, რომ იგი ამ უცნაური გამოცდის გარეშეც უნდა მიეღოთ როგორც თანასწორი და პატივისცემით მოკიდებოდნენ. აქედან დაიწყო მათი მეგობრობა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაგრძელდა და რომელიც პატრისტიკულ ლიტერატურაში ჭეშმარიტი მეგობრობის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ

მაგალითს წარმოადგენს.[23] ნიშანდობლივია, რომ გრიგოლი ათენს ცოდნის მიცემაზე უფრო ჭეშმარიტი მეგობრისათვის ემადლიერებოდა, რომელიც იქ შეიძინა: „მეცნიერებათა მაძიებელმა ბედნიერება შევიძინე, ვითარცა საულმა, ვინც კარაულთა მამისათა ეძიებდა და მეფობა იპოვა“.[24]

როცა გაარკვიეს, რომ ორივეს ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა – მიეძღვნათ სიცოცხლე ფილოსოფიისათვის, მაშინ ისინი, როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველი წერს, ერთმანეთისთვის ყველაფერი გახდნენ: ამხანაგებიც, თანამეტრაპეზენიც, ნათესავნიც... მათი ნაცნობობა ერთგულ მეგობრობასა და ჭეშმარიტ, ღმრთისმიერ სიყვარულში გადაიზარდა, რომელიც ისევე მარადიულია, როგორც თავად ღმერთი. ერთმანეთის მიმართ არა თუ შური ამოძრავებდათ, არამედ, თითოეული მათგანი იმას ცდილობდა, როგორ დაეთმო პირველობა მეორისათვის, რადგან მის დიდებას საკუთარ დიდებად მიიჩნევდა. წმ. გრიგოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ ჰქონდათ ერთი სული, რომელსაც ორი სხეული ატარებდა.

ორივენი ცდილობდნენ მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ იმ ახალგაზრდებთან, რომელნიც არა ბიწიერებითა და თავხედობით, არამედ უმწიკვლოებითა და მშვიდობისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ, რადგან „ვიცოდით, რომ უფრო ადვილია გადმოღება ბიწისა, ვიდრე გადმოღება სათნოებისა, ისევე როგორც უფრო ადვილია სენის შეყრა, ვიდრე ჯანმრთელობის გაზიარება“.[25] მათ წრეში შესვლა იმპერიის მომავალ იმპერატორს, იულიანესაც სურდა, რომელიც ათენში ყოფნისას თავის გატაცებას წარმართული რელიგიით არა მხოლოდ გულმოდგინედ ნიღბავდა, არამედ თავი სამაგალითო ქრისტიანადაც კი მოჰქონდა. მისმა გაორებულმა პიროვნებამ გრიგოლზე უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. რაც შეეხება ბასილს, იგი უფრო ლმობიერად ექცეოდა მას, რის გამოც იულიანე ხშირად სთხოვდა დახმარებას წმინდა წერილის შესწავლაში.

---

[23] **Иеремонах Иларион(Алфеев). Жизнь и учение св. Григория Богослова. М.,** გვ. 26.

[24] გრიგოლ ღმრთისმეტყველი, „ეპიტაფია, ბასილი დიდისა“... გვ. 131.

[25] იქვე, გვ. 138.

ბასილმა და გრიგოლმა იცოდნენ მხოლოდ ორი გზა – ერთი მთავარი, რომელიც წმიდა ტაძრებისა და იქ მოღვაწე მოძღვრებისაკენ მიდიოდა და მეორე – აკადემიისკენ, სადაც მასწავლებლები გარეშე მეცნიერებებს ასწავლიდნენ.

არც დღესასწაულებსა და სანახაობებზე დადიოდნენ და არც ნადიმებში მონაწილეობდნენ, რადგან სულიერი წარმატებისათვის ყოველივე ეს სრულიად უსარგებლოდ მიაჩნდათ. მათ ჰქონდათ ერთი დიდი საქმე – ყოფილიყვნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები და ეს სახელი ღირსეულად ეტარებინათ.

ახალგაზრდების სულზე ათენი, სადაც კერპების რიცხვი უფრო მეტი იყო ვიდრე მთელს ელადაში, ხშირად დამღუპველ ზეგავლენას ახდენდა, ბასილსა და გრიგოლს კი, პირიქით, ათენში ცხოვრებამ სარწმუნოება კიდევ უფრო განუმტკიცა, რადგან კერპთაყვანისმცემლობის სიცრუე და უზნეობა თვალნათლივ დაანახა.

გრიგოლ ღმრთისმეტყველი იგონებს, რომ ბასილი „ყველა მეცნიერებას ისე სრულყოფილად სწავლობდა, თითქოს სხვას არაფერს სწავლობდა“, რაშიც ხელს ისიც უწყობდა, რომ ღმრთისაგან ნიჭიერებითაც და სიბეჯითითაც ერთნაირად იყო დაჯილდოვებული. „ვინ შეედრება მას ორატორობაში, რომელიც ცეცხლის ძალით სუნთქავდა, თუმცა ზნით ორატორებს არ ჰგავდა? ვის შეუძლია ასე გამართვა გრამატიკისა ანუ ბერძნული ენისა, შეკრება ისტორიისა? ვინ ფლობს ასე სალექსო საზომებს და ადგენს პოეტურ ქმნილებათა კანონებს? ვინ იცის ასე ფილოსოფია – ჭეშმარიტად მაღალი და აღმართ მავალი, როგორც პრაქტიკული და მჭვრეტელობითი, ასევე ისიც, რომელიც ლოგიკურ მტკიცებულებებსა და ანტითეზებს და სიტყვაში შეჯიბრებას სწავლობს და დიალექტიკას უწოდებენ? ლაბირინთიდან გამოსვლა უფრო ადვილი იყო, თუკი ამას საჭიროება მოითხოვდა, ვიდრე მისი სიტყვების ბადეთაგან თავის დაღწევა“.[26]

ბასილს საფუძვლიანი ცოდნა შეუძენია თვით ისეთ მეცნიერებებშიც კი, როგორიცაა ასტრონომია, გეომეტრია, ბუნებისმეტყველება, მედიცინა. მედიცინის შესწავლაში მისთვის ხელი შეუწყვია საკუთარი სხეულის უძლურებებს და ავადმყოფთა მოვლა-

[26] იქვე, გვ. 141.

პატრონობას, რომელსაც იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეწეოდა. გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იგი იყო სატვირთო ხომალდი, იმდენად აღსავსე განსწავლულობით, რამდენის დატევაც კაცობრივ ბუნებას შეუძლია“.[27]

შემდეგში მთელი ეს ენციკლოპედიური ცოდნა ბასილმა ქრისტიანული სარწმუნოების სამსახურში ჩააყენა, რომელსაც ადამიანი ზნეობრივი სრულყოფის გზით მარადიული სიცოცხლისაკენ მიჰყავს. ამიტომაც მართებულად სვამს კითხვას გრიგოლ ღმრთისმეტყველი: „თუმცა ყოველივე ეს ესოდენ მნიშვნელოვანია, განა რა არის ბასილის ზნეობრივ განსწავლულობასთან შედარებით?“[28]

ათენის აკადემიაში ბასილსა და გრიგოლზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და საპროფესოროდ ამზადებდნენ. ამიტომ დამთავრებისთანავე ორივეს აკადემიაში რიტორიკის მასწავლებლობა შესთავაზეს. ბასილმა გრიგოლი დაითანხმა უარი არ ეთქვა, ხოლო თვითონ, ისე რომ მეგობარი არ გაუფრთხილებია, სამშობლოში დაბრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა კესარიაში არ დარჩენილიყო, დარჩენა მაინც მოუხდა მოქალაქეთა თხოვნით, რომელთაც მისი ორატორული ხელოვნების ნიმუშთა გაცნობა სურდათ. მჭევრმეტყველებამ ბასილს დიდი სახელი მოუპოვა და იგი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, რაც ფრიად სასიამოვნო გამოდგა. ამასთან, დედაქალაქის ხალისიანმა და სისხლსავსე ცხოვრებამ ისე გაიტაცა, რომ შესრულება გადაწყვეტილებისა – მთელი სიცოცხლე ღმრთის სამსახურისთვის მიეძღვნა, გაურკვეველი დროით გადადო. ამან მისი ახლობლების, განსაკუთრებით, უფროსი დის, მაკრინეს შეშფოთება გამოიწვია. იგი იძულებული გახდა ძმისთვის შეეხსენებინა, რომ დრო იყო იმ გზას დადგომოდა, რომელიც კარგა ხნის წინათ ჰქონდა არჩეული.

შემდეგში ბასილმა თავისი იმდროინდელი მდგომარეობა ღრმა ძილს შეადარა, რომლისაგან გამოღვიძება სულიერ განათებასაც ნიშნავდა. ამ პერიოდისათვის, დაახლოებით 30 წლისა, იგი მოინათლა და იქაურ მონასტერთა ცხოვრების გასაცნობად ეგვიპტესა, პალესტინასა და მესოპოტამიაში სამოგზაუროდ წავიდა. ამ მოგ-

[27] იქვე. გვ. 142.
[28] იქვე.

ზაურობამ მას სულიერ მოღვაწეთა მიმართ ღრმა მოკრძალება შესძინა და კიდევ უფრო განუმტკიცა გადაწყვეტილება, რომ სრულყოფისთვის მონაზვნობის გზას დასდგომოდა. ბერ-მონაზონთა ცხოვრების გაცნობამ და საკუთარმა გამოცდილებამ ბასილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მისთვის ყველაზე შესაფერისი განდეგილურსა და მონასტრულ ცხოვრებას შორის შუალედური გზის არჩევა იქნებოდა. განდეგილთა ცხოვრებაში, მისი შეხედულებით, შინაგანი თვითჩაღრმავება სჭარბობდა, რის გამოც მოღვაწეს მოყვასისადმი ქრისტიანული სიყვარულის გამოსავლენად შედარებით ცოტა დრო რჩებოდა. ამასთან, ვისაც სუსტი ბუნება ჰქონდა, ხშირად სრულ განმარტოებას ვერ უძლებდა და ჭკუიდან იშლებოდა, ხოლო ძლიერი ბუნების მქონეთ, ასევე არც თუ იშვიათად, სიამაყე იპყრობდათ და ამპარტავნების ცოდვით ეცემოდნენ. რამდენადაც ადამიანი საკუთარ „მე“-ს უდაბნოშიც ისევე ატარებს როგორც ქალაქში, – ამბობდა იგი, – ამდენად ვნებების, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებისა და სურვილებისაგან მისი განთავისუფლება არც უდაბნოს შეუძლია, თუმცა იგი ცხოვრებისეულ წვრილმან საზრუნავთაგან ათავისუფლებს.

დიდ მონასტერში კი, სადაც ძმობა მრავალრიცხოვანი იყო, ფიზიკური შრომისა და მატერიალურ საზრუნავთა პრიმატი იგრძნობოდა, რის გამოც შეიძლებოდა ბერს ლოცვისთვის აღარც საკმარისი დრო ჰქონოდა და აღარც განწყობილება. აქედან გამომდინარე, ბასილმა შექმნა შერეული ფორმა მონაზვნური ცხოვრებისა, რომელიც თავის თავში განდეგილობისა და ერთად ცხოვრების თავისებურებებს ისე აერთიანებდა, რომ არც ერთის უკიდურესობა ყოფილიყო საგრძნობი და არც მეორესი.

გრიგოლ ღმრთისმეტყველისათვის მიწერილ წერილში ბასილი განმარტავს, თუ თვითონ მას როგორ ესმის ასკეტიზმი: „საჭიროა გონება მდუმარებაში ვამყოფოთ, რადგან როგორც მზერას, რომელიც განუწყვეტლივ მოძრაობს, ხან გარეშემოსკენ მიემართება და ხან ზევით და ხანაც ქვევითკენაა მიპყრობილი, არ შეუძლია ცხადად დანახვა იმისა, რაც მის წინაა, და პირიქით, უკეთუ ნათლად დანახვა გსურს, საჭიროა მზერა ერთი საგნისკენ წარმართო, ასევე გონებას ადამიანისა, შეპყრობილს ათასგვარი მიწიერი საზ-

რუნავით, ჭეშმარიტების ცხადად დანახვა არ ხელეწიფება...

ერთადერთი საშუალება ამგვარ საზრუნავთაგან თავის დაღწევისა სოფლისგან სრული განშორებაა, ხოლო სოფლისგან განშორება იმას კი არ გულისხმობს, რომ მას სხეულებრივად განშორდე, არამედ იმას, რომ სულით მოსწყდე სხეულის თანაგრძნობას და არ გქონდეს არც ქალაქი, არც სახლი, არც საკუთრება, არც ადამიანებთან ურთიერთობანი...“[29]

ამიტომაც დააარსა მან თავისი მონასტერი პონტოში, საგვარეულო მამულში, მდინარე ირისის უდაბურ ნაპირას. ამ ადგილმა იგი არა მხოლოდ ხელუხლებელი, წაუბილწველი სილამაზით მოხიბლა, არამედ იმითაც, რომ ბუნებრივი ზღუდეებით სოფლის ამაო ხმაურისგან ერთგვარად გამოცალკავებული, განმარტოებული ცხოვრებისთვის შესანიშნავ პირობებს ქმნიდა. მონასტერში ბასილის უმცროსი ძმა, გრიგოლ ნოსელი დამკვიდრდა მათთან ერთად, რომელთაც მონაზვნური ცხოვრება ეწადათ. რაც შეეხება გრიგოლ ნაზიანზელს, იგი მხოლოდ დროდადრო მოდიოდა, რადგან ღრმად მოხუცებული მშობლები მისგან მოვლა-პატრონობასა და ყურადღებას მოითხოვდნენ. მისი თანამონაწილეობით ბასილმა თავისი მონასტრისათვის წესდება შეადგინა, რომელიც შემდეგში აღმოსავლეთის მონასტრებისათვის სანიმუშო გახდა. ბერების ყოველდღიურ ყოფაში ლოცვასა და მჭვრეტელობით მდგომარეობას ზომიერი ფიზიკური შრომა ენაცვლებოდა, რომელიც სულიერ ძალებს ერთგვარად ასვენებდა. მონასტრის საქმიანობაში შედიოდა აგრეთვე, ქველმოქმედება და ორივე სქესის ბავშვების აღზრდა. ძმებს მკაცრი ასკეტიზმის მაგალითს უწინარესად თვითონ ბასილი აძლევდა. მისი საწოლი შიშველი მიწა იყო, დღეს ფიზიკურსა და გონებრივ შრომაში ატარებდა, მხოლოდ პურითა და მარილით იკვებებოდა და მხოლოდ წყალს სვამდა.

გრიგოლ ღმრთისმეტყველს სიცოცხლის ბოლომდე შერჩა მონატრება პონტოს მონასტერში გატარებული დღეებისა, როცა ხორციელი ტანჯვითა და მძიმე ცხოვრებით სულიერად ერთგვარად ნებივრობდნენ. თავის თხზულებათა დიდი ნაწილი ბასილი დიდმა აქ დაწერა, გრიგოლთან ერთად აქ უღრმავდებოდა იგი ბიბლი-

[29] **PG. t. 32, სვ. 221.**

ური წიგნების ღმრთეებრივ სიბრძნეს, აქ შეისწავლეს მეგობრებმა საფუძვლიანად ორიგენეს თხზულებები და ერთად შეადგინეს ცნობილი წიგნი „ფილოკალია“, – სისტემურად დალაგებული გამონათქვამების კრებული ორიგენეს თხზულებებიდან.

მაგრამ საერთო მდგომარეობა ეკლესიისა, რომელიც არიოზული ერესისაგან დევნასა და შევიწროვებას განიცდიდა, ამგვარი სულიერი განცხრომით დიდხანს ტკბობის საშუალებას არ იძლეოდა. მას დაცვა ესაჭიროებოდა, რომელიც უპირველესად ერეტიკოსთა მხილებას გულისხმობდა. ამიტომ განმარტოებული ცხოვრებიდან მეორე, 359 წელს ბასილი ეკლესიაში წიგნის მკითხველი გახდა. კესარიის ეპისკოპოსი დიანიოსი ოცნებობდა მასში თავისი მემკვიდრე დაენახა, მაგრამ ამ კეთილშობილური ოცნების განხორციელება მისმავე დაუფიქრებელმა საქციელმა გადადო. მართალია, არა შეგნებულად, მაგრამ მაინც ხელი მოაწერა რწმენის არიოზულ სიმბოლოს, რომელიც არიოზელმა იმპერატორმა კონსტანციმ 359 წელს რიმინში შეკრებილ ეპისკოპოსებს ძალად მოახვია თავს. ეს ნაბიჯი დიანიოსს ეკლესიის შიგნით მშვიდობის დამყარების კეთილშობილურმა სურვილმა გადააგდებევინა. მიუხედავად ამისა, მისმა საქციელმა ბასილი მაინც გაანაწყენა და იგი კვლავ განმარტოვდა, ჯერ ნაზიანზში გრიგოლ ღმრთისმეტყველთან, ხოლო შემდეგ თავის მონასტერში, პონტოში, მაგრამ მოვლენების განვითარებამ მოხუც ეპისკოპოსთან შერიგება აიძულა. 361 წელს იმპერატორი კონსტანცი გარდაიცვალა და ტახტზე წარმართობის თაყვანისმცემელი იულიანე ავიდა, რომელმაც ეკლესია კვლავ დევნილის მდგომარეობაში ჩააყენა. სიბერით დაუძლურებულ დიანიოსს ეკლესიის ინტერესების აქტიურად დაცვისათვის ძალა აღარ შესწევდა. ამიტომ მან ბასილი დაიბარა და დაარწმუნა, რომ ხელი მხოლოდ ეკლესიაში ერთობის აღდგენის გულწრფელმა სურვილმა მოაწერინა და ისინი შერიგდნენ. 362 წელს დიანიოსი გარდაიცვალა და ხალხმა ეპისკოპოსად მაგისტრატი ევსევი მოინდომა, რომელიც, მართალია, ზნეობით გამოირჩეოდა, მაგრამ არა მხოლოდ საღმრთისმეტყველო განათლება აკლდა, არამედ მონათლულიც კი არ იყო. ამიტომ, ბუნებრივია, ეპისკოპოსებმა ხალხის სურვილს მხარი არ დაუჭირეს. მაშინ ნაზიანზის გამოცდილმა და

გონიერმა ეპისკოპოსმა, უფროსმა გრიგოლმა მღვდელმთავრები დაარწმუნა, რომ ხალხის მღელვარებასაც მორიდებოდნენ და ევსევის ღირსებებისთვისაც გაეწიათ ანგარიში. მღელვარება ჩაცხრა, ევსევი მოინათლა და კესარიის საეპისკოპოსო კათედრა ჩაიბარა. შეგნებული ჰქონდა რა თავისი მდგომარეობა, მან ბასილი თანაშემწედ დაისვა და 364 წელს მღვდლადაც აკურთხა. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, რომელიც ამ თვალსაზრისით ეკლესიაში არსებულ უწესრიგობას უჩივის, ბასილის მიერ საეკლესიო იერარქიის კიბეზე ამაღლებას სამაგალითოდ მიიჩნევს. იგი თავდაპირველად მკითხველი გახდა და ეს საფეხური საკურთხევლის მსახურებისა არ უთაკილია, ხალხს წმინდა წიგნებს უკითხავდა და განუმარტავდა. შემდეგ მღვდლად ეკურთხა, ხოლო ბოლოს უკვე ეპისკოპოსის ხარისხში აღყვანილი ადიდებდა უფალს. არასოდეს მოუსურვებია ძალაუფლების ხელში ჩაგდება უკადრისი გზით და არა თუ არ უდევნია პატივისათვის, არამედ, პირიქით, როგორც წმ. გრიგოლი ამბობს, თვითონ იყო დევნილი პატივისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი შრომა ბასილის მხრებზე გადადიოდა და ევსევის უკეთეს თანაშემწეზე ოცნებაც კი არ შეეძლო, მათი ურთიერთობა მაინც გამწვავდა, რომლის მიზეზიც ეპისკოპოსის შელახული თავმოყვარეობა გახდა. საღმრთისმეტყველო ცოდნით გამორჩეულმა და მჭევრმეტყველების ღმრთისაგან მიმადლებული ნიჭით დაჯილდოვებულმა ახალგაზრდა მღვდელმა, მისდაუნებლიედ, ეპისკოპოსი ჩრდილში მოაქცია. გრიგოლ ღმრთისმეტყველის თქმით, საერთოდ კეთილშობილმა და ღმრთისმოსავმა ევსევიმ ბასილთან ურთიერთობაში, სამწუხაროდ, ადამიანური სისუსტე გამოამჟღავნა.

როგორც ეს ქრისტეს ჭეშმარიტ მოწაფეს შეეფერება, რომლისთვისაც ყველაზე ძვირფასი ეკლესიაში მშვიდობაა, ბასილს მღვდელმთავართან ბრძოლის დაწყებასა და ამგვარად ეკლესიის სხეულის გაყოფაზე, რომელსაც ეს საფრთხე ერეტიკოსთა ბატონობის გამო ისედაც ემუქრებოდა, არც უფიქრია და გრიგოლის რჩევით, მასთან ერთად პონტოს მონასტერში განმარტოვდა. ამ ნაბიჯის გადადგმით, მან თავი აარიდა ქარიშხალს და შეინარჩუნა ხელოვნება ზრახვათა მართვისა და მდუმარება გონებისა,

რომელსაც მონაზვნური ტრადიცია „მღვიძარებას“ (nhyi~) უწოდებს და ეს მისთვის საეკლესიო ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაბმაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო.[30]

363 წელს იმპერატორი იულიანე ბრძოლაში დაიღუპა, მალე ტახტზე კვლავ არიოზელი იმპერატორი, ამჯერად ვალენტი ავიდა და მაშინვე ცხადი გახდა, რომ მისი მეფობა ეკლესიისათვის კიდევ უფრო საზიანო აღმოჩნდებოდა ვიდრე წარმართი იულიანესი. ვალენტიმ მართლმადიდებელთა დევნა მოურიდებლად დაიწყო.

იმ მიზნით, რომ ურჩი ეპისკოპოსები ძალითა და მუქარით დაემორჩილებინა, იმპერატორი პროვინციებში მოგზაურობას შეუდგა. ევსევი მიხვდა, მარტო ვერაფერს გახდებოდა და დახმარებისათვის გრიგოლ ღმრთისმეტყველს მიმართა, რომელიც იმით დაეხმარა, რომ ბასილთან შეარიგა. ბასილი უდაბნოდან კესარიაში დაბრუნდა და როგორც გრიგოლი წერს, ევსევისათვის ყველაფერი გახდა: კეთილი მრჩეველიც, მარჯვენა ხელიც, წმ. წერილის განმმარტებელიც, მოძღვარიც, სიბერის კვერთხიცა და რწმენის საყრდენიც. „და იყო საკვირველი ეს თანხმობა და ერთობა ხელისუფლებისა: ერთი წინამძღოლობდა ხალხს, ხოლო მეორე – წინამძღოლს“.[31]

ამ პერიოდში განსაკუთრებული ძალით გამობრწყინდა ბასილის ნიჭი, როგორც მჭევრმეტყველისა, საეკლესიო საქმეთა ორგანიზატორისა და ქველმოქმედისა. მის წარმოთქმულ სიტყვებს უჩვეულო ძალას ანიჭებდა სიყვარული ჭეშმარიტებისა, ღმრთისა და მოყვასისა, სიწრფელე და განსაცვიფრებელი უნარი ხატოვანი აზროვნებისა. კესარიაში ბასილი დიდის პოპულარობის გაზრდას დიდად შეუწყო ხელი ერთმა ფაქტმაც, სახელდობრ, კაპადოკიას 368 წელს გვალვა დაატყდა თავს და დიდი შიმშილობაც გამოიწვია. ამ დროს მისმა საქციელმა ყველა დაარწმუნა, რომ ქრისტიანობას მხოლოდ სიტყვით როდი ქადაგებდა. ბასილმა მემკვიდრეობით მიღებული საგვარეულო მამული გაყიდა და მასში აღებული ფულით მშიერ კესარიელებს, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა, კვებავდა. ქველმოქმედების ამ

[30] **Иеромонах Иларион (Алфеев), Жизнь и учение св. Григория Богослова, М., 1998, გვ. 462.**

[31] გრიგოლ ღმრთისმეტყველი, „ეპიტაფია ბასილი დიდისა“..., გვ. 151.

ცოცხალმა მაგალითმა დამარწმუნებელი ძალა შესძინა მის მიერ მდიდართა გასაგონად წარმოთქმულ სიტყვას „გაეღოთ ბელღები“ ღატაკთათვის. ასე გახდა ბასილი დიდი, როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამბობს, „მეორე იოსები მთელი ქალაქისათვის“.

370 წელს ეპისკოპოსი ევსევი გარდაიცვალა. ცხადია, კესარიის საეპისკოპოსო ტახტზე ასვლის ერთადერთი ღირსეული კანდიდატი ბასილი დიდი იყო, მაგრამ მისი ეპისკოპოსად ხელთდასხმა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რადგან არიოზელი ეპისკოპოსებისათვის, რომელთა რიცხვიც გაცილებით მეტი იყო ვიდრე მართლმადიდებლებისა, ნიკეის მრწამსის ცნობილი დამცველის ეპისკოპოსად არჩევა არასასურველ ფაქტს წარმოადგენდა. მის მოწინააღმდეგეთა რიცხვში შედიოდნენ, აგრეთვე, მდიდრები, რომელთაც განუწყვეტლივ ამხელდა და ბრბო, რომელსაც საცირკო სანახაობათა სიყვარულისთვის საყვედურობდა.

ბასილმა დახმარებისათვის უმცროს გრიგოლს უხმო, რადგან იცოდა, რომ მისი ავტორიტეტი დიდად შეეწეოდა მეზობელი რეგიონებიდან ხმების მიღებაში, მაგრამ იგი არ წავიდა, რათა, როგორც თვითონვე ამბობს, ბოლომდე „ფილოსოფოსად დარჩენილიყო“. სამაგიეროდ, უფროსმა გრიგოლმა, ნაზიანზის ეპისკოპოსმა გამოიჩინა შესაშური ენერგია. მან წერილი მისწერა ევსევი სამოსატელს და დაარწმუნა, რომ მისი ჩამოსვლა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუცილებელი იყო; ასევე წერილობით მიმართა კესარიელებსაც და ბასილის არჩევისაკენ მოუწოდა. მკვლევართა აზრით, არჩევნების ბედი სწორედ ამ ორმა წერილმა გადაწყვიტა. თვითონ ღრმად მოხუცი ეპისკოპოსი, მიუხედავად იმისა, რომ არა მხოლოდ წლებით, არამედ სნეულებითაც დაუძლურებული იყო, კესარიაში საკაცით ჩაიყვანეს, რათა ბასილის ხელთდასხმაში მონაწილეობა მიეღო. სამაგიეროდ, არჩევნებში მისმა გამარჯვებამ, რომელიც რა თქმა უნდა, ეკლესიის ინტერესების გამარჯვებასაც ნიშნავდა, ისე გაახარა, რომ უკან, ნაზიანზში გაახალგაზრდავებული და გამხნევებული დაბრუნდა.

როგორც კაპადოკიის დედაქალაქის – კესარიის ეპისკოპოსს, ბასილი დიდს 50 ქორეპისკოპოსი ემორჩილებოდა. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა პონტოში, არმენიაში, გალატიაში, პაფლა-

გონიასა და ბითვინიაში. მართლმადიდებლებს მისმა არჩევამ დიდი სიხარული განაცდევინა, ათანასე დიდმა მისალოცი წერილი გამოუგზავნა, მაგრამ არც მტრები ცხრებოდნენ და უბრძოლველად დანებებას არ აპირებდნენ. ევსევი სამოსატელის კესარიიდან გამგზავრების შემდეგ ეპისკოპოსებმა მისი გადაყენებაც კი მოინდომეს. მართალია, მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ წინასწარგამიზნული ცილისწამებებით ბევრჯერ გული ატკინეს და წყენაც დიდი მიაყენეს. განსაკუთრებით მძიმე იყო მათი ცილისწამება, ვინც მართლმადიდებლობისაგან გადახვევას აბრალებდა. სამწუხაროდ, მათ რიცხვში ბასილის ნათესავებიც იყვნენ. ნეოკესარიის ეპისკოპოსმა ატარვიუსმა, რომელიც ნათესავად ერგებოდა, შეთხზული ჭორებითა და ცილისწამებით ნეოკესარიელები აუმხედრა, რომელთა მხარდაჭერა და კეთილგანწყობა ბასილისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რადგან მათთან, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ხორციელი ნათესაობა აკავშირებდა. ატარვიუსის წყალობით, საბელიოზის ერესით დაავადებულმა ნეოკესარიელებმა კესარიის ეპისკოპოსთან ყოველგვარ ურთიერთობაზე უარი თქვეს. მღვდელმთავარს ის კესარიელი ბერებიც გადაუდგნენ, რომლებიც არჩევნებისას მხარს უჭერდნენ, რადგან ცილისწამებანი ირწმუნეს და მის მართლმადიდებლობაში ეჭვი შეიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ ბასილი საკუთარ განცდებზე ლაპარაკს ყოველთვის თავს არიდებდა, უმცროსი ძმის, გრიგოლისადმი მიწერილ წერილში მაინც ჩანს, რა მძიმე ცხოვრება შეუქმნეს ადამიანებმა, რომელნიც თავიანთი ბოროტი მიზნების განსახორციელებლად არავითარ ხერხს არ ერიდებოდნენ. „მე შევუდექი ცხოვრებას, რომელიც ჩემს ძალებს აღემატება, სხეულს ანადგურებს და ამძიმებს ჩემს სულს“,[32] – წერს იგი. ყოველდღიურ შრომაზე მეტად მის ჯანმრთელობაზე ჭორებმა და ცილისწამებებმა იმოქმედეს. ჯანმრთელობაშერყეულსა და გულნატკენს ხშირად ჰქონდა სურვილი ემეორებინა ფსალმუნის სიტყვები: „ყოველი კაცი ცრუ არს“.

მიუხედავად ამგვარი მძიმე ტვირთისა, ბასილისათვის ქრისტიანულ სათნოებას ერთხელაც არ უღალატია.

ბასილი დიდის საეკლესიო პოლიტიკა ძირითადად აგებული

[32] **PG, t. 32,** სვ. **409**.

იყო ქრისტიანულ კაცთმოყვარეობასა და კეთილგანწყობაზე თვით მტრების მიმართაც კი, მათთან ურთიერთობისას სირბილისა და სიმკაცრის საოცარ შეზავებაზე, რისი წყალობითაც გარემომცველ მტრულ გარემოში ეკლესიის ინტერესთა დაცვას სასწაულებრივად ახერხებდა. ადამიანებს იგი „არა რაღაც მანქანებით იმორჩილებდა, არამედ თავის მხარეზე კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გადაჰყავდა; ძალაუფლების გამოყენებამდე ჯერ შეწყალებას იყენებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ მის გონიერებას ყველა უთმობდა, მისი სათნოების მიუწვდომელობას აღიარებდა და ხსნას მხოლოდ მასთან და მისი მორჩილების ქვეშ ყოფნაში ხედავდა; ასევე საშიშადაც ერთი რამ მიაჩნდა: მასთან დაპირისპირება, რადგან მისგან განდგომას ღმრთისაგან გაუცხოებად თვლიდა“,[33] – წერს გრიგოლ ღმრთისმეტყველი.

ამიტომ ვისი სულიც ბოროტების განუკურნებელი სენით არ იყო დაავადებული და ვისაც სინდისის ხმა საკუთარ თავში ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩახშობილი არ ჰქონდა, მისი პატიების უნარით შერცხვენილი, მღვდელმთავართან მიდიოდა, ბოდიშს უხდიდა და შენდობას სთხოვდა. გრიგოლ ღმრთისმეტყველი აგვიწერს, როგორ უარყოფდნენ ეპისკოპოსები ბასილის შესახებ შეთხზულ ცილისწამებებს, მუხლებში უვარდებოდნენ და პატრიარქად და სჯულმდებლად სახელდებდნენ.

შინაურ ოპოზიციაზე უფრო ძნელი ერესის დამარცხება გამოდგა. ამ დროისათვის კაპადოკიაში ძალიან გავრცელებული იყო ევნომიელობა. ევნომიელები კიზიკის უკიდურესი არიოზელი ეპისკოპოსის ევნომიოსის მიმდევრები იყვნენ. ეპისკოპოსი გახდა თუ არა, ბასილმა მაშინვე გამოაქვეყნა თავისი საპროგრამო თხზულება „ევნომიოსის წინააღმდეგ“. წიგნში არიოზულ ერესთან კამათის გზით ჩამოყალიბებულია და სისტემურადაა გადმოცემული მარლმადიდებლური სწავლება ქრისტეზე როგორც ღმრთის განკაცებულ სიტყვაზე. თხზულება „ევნომიოსის წინააღმდეგ“ კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს იმისა, როგორ უნდა გაეცეს პასუხი ქრისტეს სახელით ქრისტეს წინააღმდეგ მებრძოლ მწვალებლებს. მაგრამ

[33] გრიგოლ ღმრთისმეტყველი, „ეპიტაფია ბასილი დიდისა“..., გვ. 157.

ეკლესიას იგი მხოლოდ სიტყვით როდი იცავდა, არამედ საქმითაც. რადგანაც, ვითარცა საქმე უსიტყვოდ, ასევე სიტყვაც უსაქმოდ ერთნაირად არასრულყოფილია, ამიტომ სიტყვას საქმით შემწეობაც შესძინა: ერთთან რომ თვითონ მიდიოდა, მეორესთან სხვას აგზავნიდა, ზოგსაც თავისთან იხმობდა, ასწავლიდა, **ამხელდა, ჰრისხავდა** (2 ტიმ. 4,2), ემუქრებოდა, საყვედურობდა; „ამ ბრძოლაში ხალხებს, ქალაქებს, თითოეულ ადამიანს წინამძღოლობდა, ხსნის ყოველ ღონეს იგონებდა და ყოველმხრივ კურნავდა. ეს ბესელიელი (გამს. 31, 1-2), ხუროთმოძღვარი საღმრთო კარავისა, ყველა მასალასა და ხელოვნებას იყენებდა და ყოველივეს ერთმანეთში წნავდა ერთი მშვენიერების უპირატესობისა და სიმწყობრისათვის“,[34] – წერს გრიგოლ ღმრთისმეტყველი.

ბასილის სიტყვასა და საქმეს განსაკუთრებულ შთამბეჭდაობას მისი ცხოვრების წესი აძლევდა, ცხოვრობდა ისე, როგორც სხვებს ასწავლიდა. არ ჰქონდა არავითარი ქონება გარდა ჯვრისა, წიგნებისა და იმ ტანსაცმელისა, რომელსაც ატარებდა. თავშეკავებით გამოირჩეოდა და საოცარი უნარი ჰქონდა, მცირედითაც დაკმაყოფილებულიყო. მთელ დროს ლოცვასა და სამუშაოს ანდომებდა: ეპარქიას მართავდა, ღმრთისმსახურებას აღასრულებდა, ქადაგებდა, წერდა, ხალხს ერეტიკული სამოქალაქო ხელისუფლების უსამართლობისაგან იცავდა; მკაცრად დევნიდა დიაკვნებისა და მღვდლების ხელთდასხმას ფულით, რომელიც ხშირად საჩუქრის სახით იყო გაღებული, რის შედეგადაც ეკლესიაში ღირსეულ მსახურთა რიცხვის გაზრდას შეუწყო ხელი. ეპისკოპოსის არჩევისას ხალხსა და საერო ხელისუფლებას სამღვდელოების მიერ უკვე არჩეულის მხოლოდ დამტკიცების უფლება დაუტოვა. ამით მან საეკლესიო საქმეებში საეროთა ჩარევა შეზღუდა და ეკლესიას თავიდან ააცილა შფოთი და უხეში სცენები, რომელიც ეპისკოპოსის არჩევნებში ხალხის მონაწილეობის გამო ხშირად იმართებოდა.

ბასილმა ყურადღება მიაქცია საეკლესიო ღმრთისმსახურებასაც და შეადგინა ლიტურგია, რომელიც ეკლესიაში გარკვეულ დღეებში ახლაც სრულდება, დაბოლოს, მან მთელი სისტემა შექმნა საეკლესიო ქველმოქმედებისა, სახელდობრ, კესარიის მახლობლად

[34] იქვე, გვ. 160.

პატარა ქალაქი გააშენა საქველმოქმედო დაწესებულებებისა. აქ იყო ყოველგვარი სახელოსნო მათთვის, ვისაც მუშაობა შეეძლო, საავადმყოფოები, იზოლირებული ლეპროზორიები კეთროვანთათვის, მოგზაურთა მიმღები სახლები. მსგავსი დაწესებულებები თავთავიანთ ეპარქიებში მისმა ქვეშევრდომმა ეპისკოპოსებმაც დააარსეს. გრიგოლ ღმრთისმეტყველი ხაზგასმით აღნიშნავს ბასილის დამოკიდებულებას კეთროვნებთან, იგი არა თუ მათთან ურთიერთობას ერიდებოდა, არამედ, პირიქით, ამბორისყოფით ესალმებოდა. საერთოდ, მისი ერთი საქმეთაგანი სნეულთა მოვლა იყო; ასე რომ, ეპისკოპოსის მთელი ცხოვრება – ეს იყო მიბაძვა (mimhsi~) ქრისტესი, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც.

ქალაქგარეთ ლეპროზორიების აგების ფაქტს, რის შედეგადაც კესარიიდან კეთროვნები გაქრნენ, გრიგოლ ღმრთისმეტყველმა მთელი სიტყვა მიუძღვნა (მე-14), რომელიც კესარიაში წარმოთქვა. ბასილის საფლავსა ზედა წარმოთქმულ სიტყვაში მანვე მოგვცა დაუვიწყარი პორტრეტი მსოფლიო ეკლესიის მოძღვრისა: ფერმკრთალი სახე, გრძელი წვერი, წყნარი სიარული, დინჯი, დაფიქრებული საუბარი, საკუთარ თავში ჩაღრმავებით. მასში ყველაფერი ბუნებრივი იყო, უბრალო, წრფელი, წინასწარგანუზრახველი; ხშირად მისი ღიმილი ქებას ნიშნავდა, ხოლო დუმილი – საყვედურს. თუმცა არც საუბრის მოყვარე იყო და მიდრეკილება არც მხიარულებისა და გართობისაკენ ჰქონდა, საზოგადოებაში თავს მაინც მშვენივრად გრძნობდა. „...ვინ იყო უფრო სასიამოვნო საზოგადოებაში, როგორც მე ეს გამოცდილებით ვიცი? ვის შეეძლო ესაუბრა მასზე უფრო მიმზიდველად? ეხუმრა უფრო ჭკუის სასწავლებლად? ესაყვედურა უფრო რბილად, ისე, რომ არც საყვედური გადაქცეულიყო თავხედობად და არც ქება ხელის დაფარებად? არამედ თავს აღწევდა რა უზომოებას ორივეში, ორივეს გააზრებულად და დროულად იყენებდა, თანახმად სოლომონის კანონისა, რომლითაც მან ყოველივეს თავ-თავისი დრო დაუწესა“.[35]

განსაკუთრებით საინტერესოა ეპიზოდები, რომლებშიც გრიგოლ ღმრთისმეტყველის მიერ კესარიის მთავარეპისკოპოსის იმპერიის არიოზულ ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაა აღწერილი. ეს

[35] იქვე, გვ. 180-181.

ეპიზოდები ნათლად წარმოაჩენს, თუ რამდენად უკომპრომისო ბრძოლა შეეძლო მღვდელმთავარს, რომელიც ეკლესიაში სიმშვიდის შესანარჩუნებლად საეკლესიო პოლიტიკას გონივრულად წარმართავდა, მაშინ, როცა საქმე სარწმუნოებრივი მოძღვრების სიწმინდეს შეეხებოდა, რადგან აქ დათმობა უკვე სრულ დამარცხებას ნიშნავდა.

371 წელს იმპერატორი ვალენტი მცირე აზიაში გაემგზავრა, რათა იქაური ეპისკოპოსები არიოზელობაზე მოექცია. გალატიასა და ბითვინიაში მიზნის მიღწევა დიდად არ გასჭირვებია, რადგან იქაური ეპისკოპოსების გადაბირება ადვილად მოახერხა. დარჩა კაპადოკიის კესარია, რომელიც ბასილი დიდის წყალობით, აღმოსავლეთში ნიკეის რწმენის საყრდენი გახდა. თავდაპირველად კესარიაში იმპერატორმა თავისი ეპარქოსი მოდესტი გააგზავნა, რომელმაც ეპისკოპოსი სამსჯავროზე გამოიძახა. ეპარქოსმა ბასილის უგუნურებაში დასდო ბრალი, ხოლო როცა მან იკითხა, მისი უგუნურება სახელდობრ რაში გამოიხატებოდა, მოდესტმა უპასუხა, რომ უგუნური იყო, რადგან არ მისდევდა მეფის სარწმუნოებას და არ იქცეოდა ისე, როგორც უმრავლესობა, რომელმაც სარწმუნოების საკითხში იმპერატორს დაუთმო. პასუხად ბასილმა უთხრა, რომ როგორც ქმნილებას, რომელსაც ღმერთმა განღმრთობა უბრძანა, არ შეეძლო თაყვანი ეცა ქმნილებისათვის. მისი პასუხის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ არიოზელები, რომლებიც ქრისტეს ქმნილებად მიიჩნევდნენ, ამით ადამიანის განღმრთობაზე ქრისტიანულ სწავლებასაც ეწინააღმდეგებოდნენ.

რამდენადაც მოდესტს ბასილი დიდთან საღმრთისმეტყველო კამათში ჩაბმა არ შეეძლო, მას ამქვეყნიური, მიწიერი ინტერესების არსებობა შეახსენა და ჰკითხა, ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა მისთვის მეფის მორჩილებასა და მასთან ურთიერთობას. – „თქვენ მმართველნი ხართ და არ უარვყოფ, რომ გამოჩენილი მმართველნიც, მაგრამ არა ღმერთზე უფრო პატივსაცემნი. თქვენთან ერთობა ჩემთვის მნიშვნელოვანია (რატომაც არა, თქვენც ხომ ღმრთის ქმნილებანი ხართ)“,[36] – უპასუხა ეპისკოპოსმა. მაშინ მოდესტმა მოინდომა ხელისუფლების ძალა ეჩვენებინა მისთვის და მის ხელთ არსებული საშუალებებით, როგორიცაა ქონების კონ-

[36] იქვე, გვ. 164.

ფისკაცია, განდევნა, წამება და სიკვდილი, – დაემუქრა, მაგრამ მეფის მოხელეს დაავიწყდა გაეაზრებინა, რომელი ქონება უნდა ჩამოერთვათ, რისი მფლობელი იყო, შესამოსელი და რამდენიმე წიგნი? ან სად უნდა განედევნათ, სადაც უფალი არ იქნებოდა მისი შემწე და მფარველი? „არც ეს ადგილია ჩემი, სადაც ახლა ვცხოვრობ და ჩემი ადგილი იქნება ყველა, სადაც განმდევნიან, უფრო უკეთ, ყოველივე ღმრთისაა, სადაც მე **„მსხემ და წარმავალ ვარ“** (ფს. 38, 12); ან წამებამ რა უნდა მიყოს მე, ვისაც სხეული აღარც მაქვს, თუ პირველ დარტყმას გულისხმობ? შენ მხოლოდ მისი უფალი ხარ; ხოლო სიკვდილი ჩემთვის გაწეული ქველმოქმედება იქნება, რადგან მსწრაფლ წარმგზავნის ღმერთთან, ვისთვისაც ვცოცხლობ და ვმოღვაწეობ, ვისთვისაც უმეტესწილად უკვე მოვკვდი და ვისკენაც უკვე დიდი ხანია მივისწრაფვი“,[37] – უპასუხა ეპისკოპოსმა. და მისი პასუხით გაოცებულმა მოდესტმა თავისი განწყობილება ვერ დაფარა, რადგან მასთან ჯერ ასე არავის ელაპარაკა. ბასილმა მას განუმარტა, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები ყველა საქმეში მორჩილნი და მშვიდნი არიან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკითხი ღმერთს ეხება, მაშინ ისინი ყოველივეს არად აგდებენ და მხოლოდ მასზე ფიქრობენ. მისდამი უკვე რამდენადმე პატივისცემით განწყობილმა ეპარქოსმა ეპისკოპოსს წასვლა უბრძანა, თვითონ კი საჩქაროდ წარუდგა იმპერატორს და მოახსენა, რომ ისინი ეკლესიის ამ წინამძღვრისაგან დამარცხებულნი იყვნენ, რადგან მისი როგორც მუქარით დაშინება, ასევე გადარწმუნებაც შეუძლებელი იყო. მაშინ, 372 წელს, ღმრთის განცხადების დღესასწაულზე მოულოდნელად კესარიის ეკლესიაში იმპერატორი შევიდა შუბოსანთა რაზმის თანხლებით. ვალენტიმ საკურთხეველში არა იმდენად კაცობრივი, რამდენადაც ანგელოზური სილამაზე იხილა. ყველაზე წინ ბასილი იდგა. იმპერატორის დანახვისას იგი უძრავი დარჩა, თითქოს ტაძარში უჩვეულო არაფერი მომხდარიყოს, მთელი არსებით – სხეულით, მზერითა და გონებით ღმერთსა და ტრაპეზთან მიჯაჭვული; მის გარშემო საკურთხევლის მსახურნი რაღაც შიშითა და მოწიწებით იდგნენ. მეფემ, რომელსაც მსგავსი არაფერი ენახა, სისუსტე იგრძნო, მზერა და სული დაებინდა და თავბრუ დაე-

[37] იქვე, გვ. 165.

სხა, თუმცა ეს ბევრისათვის შეუმჩნეველი დარჩა; „მაგრამ, როცა საჭირო გახდა ღმრთეებრივ ტრაპეზზე თვითონ მას მიეტანა ძღვენი, რომლის მიღებაც, ჩვეულებისამებრ, სხვას არავის შეეძლო, მისი მღელვარება გამჟღავნდა, რადგან არ იცოდა, მიიღებდა თუ არა მას ბასილი. მეფე დგომისას ისე შეირყა, რომ საკურთხევლის მსახურთაგან ერთ-ერთს ხელით რომ არ დაეჭირა, დაეცემოდა და ეს დაცემა ცრემლების ღირსი იქნებოდა“[38]. რადგან ვალენტი კესარიის ეკლესიაში მეორედაც მივიდა, ფიქრობენ, რომ ბასილი დიდი მეფის მღელვარებამ მისდამი თანაგრძნობით განაწყო და „ნიშანი მისცა მიეღოთ ძღვენი იმპერატორისა“.[39] ხოლო იმის შესახებ „რა უთხრა ბასილმა მეფეს და როგორი სიბრძნისმოყვარეობით (რადგან როცა მეფე ჩევნთან ისევ მოვიდა, რათა კრებაში რაღაც სახით მონაწილეობა მიეღო, მასთან შესახვედრად და სასაუბროდ, რისი დიდი სურვილიც ჰქონდა, კრეტსაბმელის შიგნით შევიდა), სხვა რა უნდა ითქვას გარდა იმისა, რომ მეფის მხლებელთაც და ჩვენც, რომელნიც მასთან ერთად შევედით, სიტყვები ღმრთისა მოვისმინეთ?“,[40] – იგონებს გრიგოლ ღმრთისმეტყველი.

ამ საუბარმა იმპერატორზე ისე იმოქმედა, რომ მან ხელი აიღო განზრახვაზე არიოზის მიმდევრად ექცია კესარიის ეპისკოპოსი და მისი დევნა შეწყვიტა. დიდებული და მწყობრი ღმრთისმსახურების სილამაზემ და მღვდელმთავრის კეთილშობილურმა პიროვნებამ ვალენტიზე ისე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, რომ მან კაპადოკიაში თავისი მამულების შემოსავალი ღარიბებს შესწირა. სამწუხაროდ, ერეტიკოსი იმპერატორის კეთილგანწყობილება მართლმადიდებელი ეპისკოპოსის მიმართ დიდხანს არ გაგრძელებულა. ვალენტიმ ბასილს განდევნის განაჩენი მაინც გამოუტანა, მაგრამ, როცა დადგა ჟამი მისი გამგზავრებისა და ყველა ცდილობდა საყვარელ მოძღვარს პირადად გამოსთხოვებოდა, მოულოდნელად მოვიდა ცნობა სამეფო კარიდან: ვალენტის ვაჟი მძიმედ შეიქნა ავად და ბასილს იბარებდნენ, რათა მისი გამოჯანმრთელებისათვის ელოცა. იგი არც კი დაფიქრებულა, ისე გაემართა სნეული-

[38] იქვე, გვ. 166-167.

[39] **Православная богословская энциклопедия, т.3, Петроград, 1902,** გვ. 187.

[40] გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ეპიტაფია... გვ.167.

საკენ; მისმა ლოცვამ მართლაც გაჭრა, ავადმყოფმა მოიხედა, რის გამოც მწყემსმთავარს განდევნის განაჩენი შეუცვალეს. შემდეგში მეფის ძე მაინც გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით, გრიგოლ ღმრთისმეტყველი შენიშნავს: ვალენტის რომ არიოზული რწმენა საბოლოოდ უარეყო, წმინდა მამის ლოცვით, მისი ძე შეიძლებოდა საბოლოოდ განკურნებულიყოო.

იმპერატორზე უფრო გონიერი მისი მოხელე მოდესტი გამოდგა; როცა იგი ბასილის ლოცვით მძიმე სნეულებისაგან განიკურნა, მისდამი საოცარი ნდობითა და სიყვარულით განიმსჭვალა და ეს განწყობილება ბოლომდე შეინარჩუნა. ამაზე მეტყველებს ბასილის წერილები; მათში, მიუხედავად იმისა, რომ დაცულია წესი, რომელიც საიმპერატორო კარის მაღალი მოხელისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებას მოითხოვდა, მაინც იგრძნობა ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც მათ შორის დამყარდა.

შთაგონებული მადიდებელი ღმრთისა, დიდი ჰიმნოგრაფი, ეფრემ ასური იგონებს, როგორ შეხვდა იგი პირველად ბასილი დიდს. ერთხელ, როცა კაპადოკიის რომელიღაც ქალაქზე გადადიოდა და დასასვენებლად ჩამოჯდა, მოესმა ხმა: „აღსდექ, ეფრემ, და წადი, რათა აზრებით ისაზრდოო“. „სად უნდა ვიპოვო ისინი, უფალო?“ – შეეკითხა ეფრემი. – „შედი ჩემს სახლში და იქ იპოვი შენთვის სამეფო ჭურჭელს შესანიშნავი საზრდელით“. ეფრემ ასური მართლაც შევიდა ეკლესიაში და იხილა ამბიონზე მდგარი მქადაგებელი ეპისკოპოსი, რომელსაც მხარზე, თოვლივით ქათქათა მტრედი ეჯდა და თითქოს ყურში ჩასჩურჩულებდა. მაშინ იგი მიხვდა, რომ კესარიაში იყო, ბასილი დიდს უყურებდა და ისმენდა ქადაგებას, რომელსაც უფალმა სულისათვის შესანიშნავი საზრდელი უწოდა.

ცნობილია, რომ, ისევე როგორც სიწმინდის, ასევე სასწაულის ხილვისა და შეცნობის მადლი მხოლოდ იმათ ეძლევათ, რომელთაც წმინდა გული აქვთ. ამიტომ იხილა ეფრემმა ის, რასაც ვერცერთი ჩვეულებრივი მორწმუნე, რომელიც ტაძარში იდგა, ვერ ხედავდა – ჭეშმარიტი ავტორი ქადაგებისა, რომელსაც ბასილი დიდი წარმოთქვამდა, სულიწმიდა იყო; სწორედ მის სიმბოლოს წარმოადგენდა ეპისკოპოსის მხარზე ქათქათა მტრედი. როგორც ეფრემი

იგონებს, ამ დროს ეკლესიაში მთელი კრებული ღმრთეებრივი მადლით ბრწყინავდა.

მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ენახა და მხოლოდ სმენოდა მასზე, კესარიის მთავარეპისკოპოსმა ეფრემ ასური მაინც შეიცნო. ისინი მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს და შემდეგში, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.[41]

რადგან იმპერიის ერეტიკულმა ხელისუფლებამ ბასილი დიდის ვერც გადაბირება და ვერც ეკლესიისათვის ჩამოშორება შეძლო, მთავარეპისკოპოსის ძალაუფლების შესაკვეცად კაპადოკიის მეტროპოლია ორად გაყო. ერთის დედაქალაქად კესარია დარჩა, ხოლო მეორის ცენტრი ქალაქი ტიანა გახდა. გრიგოლ ღმრთისმეტყველი მოგვითხრობს იმ კონფლიქტის შესახებ, რომელიც ახალი მეტროპოლიის მთავარეპისკოპოს ანთიმოზ ტიანელს ბასილი დიდთან ჰქონდა და ურთიერთობის გამწვავებაში ბრალს მას სდებს. ანთიმოზის „მოღვაწეობის“ მთავარი მიზანი ბასილი დიდის, რაც შეიძლება მეტად, შევიწროვება იყო. იგი „იტაცებდა შემოსავლებს“, ყოველგვარ ღონეს ხმარობდა მღვდლების გადასაბირებლად, ხოლო უკეთუ ვინმე დაუმორჩილებლობას გაუბედავდა, სასწრაფოდ თავისი მომხრეებით ცვლიდა.

პასუხად ბასილმა ახალი საეპისკოპოსო კათედრები დააარსა იმ ქალაქებში, სადაც ისინი ადრე არ იყო და მართლმადიდებელ მღვდელმთავართა რიცხვის გაზრდას ამ გზით შეეცადა. ასე დააარსა მან საეპისკოპოსო კათედრა პატარა ქალაქ სასიმაში და მის ეპისკოპოსად გრიგოლ ღმრთისმეტყველი აკურთხა. მართალია, გრიგოლი ბასილის საეკლესიო პოლიტიკას, რომელიც მან ერეტიკოსებს დაუპირისპირა, ზოგადად დადებითად აფასებს, რადგან მან შედეგად ადამიანთა სულებზე ზრუნვის გაზრდა, ყოველი ქალაქისათვის თვითდამწყსვის უფლების მიცემა და ამ გზით ბრძოლის შეწყვეტა მოიტანა, მაგრამ ვერ ფარავს პირად წყენას, რომელიც სიყრმის მეგობარმა სასიმას ეპისკოპოსად ხელთდასხმით მიაყენა; თუმცა ამასაც ამბობს: მართალია, ბასილმა მეგობრობის გაფრთხილება იცოდა, მაგრამ როცა უფრო საჭირო ღმრთისთვის პატივის მიგება იყო, მაშინ მის (მეგობრობის) პატივისცემას ივიწყებდაო.

[41] მამათა ცხორებანი, გვ. 223-231.

კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიტის საზრუნავი მხოლოდ მისი ვრცელი ეპარქიის ერთიანობა როდი იყო. მისი მოღვაწეობა მიზნად საერთოდ ერთ წმინდა და კათოლიკე ეკლესიაში ერთსულოვნების მიღწევას ისახავდა, რადგან სჯეროდა, მართლმადიდებლობა ერესზე მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიმარჯვებდა. ამიტომაც სთხოვდა იგი დასავლეთის ეპისკოპოსებს მხარში ამოდგომოდნენ აღმოსავლეთის ეკლესიას, სადაც მწვალებლობა მძვინვარებდა. წერილში, რომელიც, როგორც ფიქრობენ, რომის პაპის დამასისადმი უნდა იყოს მიწერილი, ეკლესიაში ერეტიკოსებისაგან შექმნილი აუტანელი მდგომარეობის აღწერას მოსდევს თხოვნა მათთან ბრძოლაში მხარდაჭერისა და გვერდით დგომისა: „დავტირით არა მატერიალურ ნაგებობათა დანგრევას, არამედ ტაძართა წართმევას, ვუყურებთ არა ხორციელ დამონებას, არამედ დატყვევებას სულთა, რომელსაც ერესის ქომაგები ყოველდღე ეწევიან; ამიტომ, თუ ახლავე არ აღიძვრებით დასახმარებლად, რამდენიმე ხნის შემდეგ ვეღარ იპოვით იმას, ვისაც თქვენგან ხელის გაწოდება დასჭირდება, რადგან ყველა გაბატონებულ ერესს ეყოლება დამორჩილებული“.[42]

მართალია, ქრისტიანები თანამოსახელე არიოზის მიმდევრებისაგან ფიზიკურად თითქმის არ იდევნებოდნენ, მაგრამ ფიზიკურ დევნაზე არანაკლებ მძიმე ასატანი გახდა ის სულიერი ტკივილები და მწუხარება, რომელსაც ჭეშმარიტ მორწმუნეებს აყენებდნენ. ბასილის მიერ თესალონიკის ეპისკოპოსის ასხოლიოსისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „სიყვარული გაცივდა, სწავლება მამებისა განადგურდა. ხშირია მარცხი რწმენაში; ღმრთისმოსავთა ბაგენი დადუმდნენ; ადამიანები, სამლოცველო სახლებიდან განდევნილნი, ზეციური მეუფისადმი ხელებს ღია ცის ქვეშ აღაპყრობენ. და თუმცა მწუხარება მძიმეა, წამებანი არაა, რადგან ჩვენი შეურაცხმყოფელნი ჩვენივე მოსახელენი არიან“.[43]

ერთსულოვნების მისაღწევად და მდგომარეობის გამოსასწორებლად ბასილი დიდი ცდილობდა შეერიგებინა ეპისკოპოსები, რომელნიც ერთმანეთის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ რამდენადაც შემრიგებლის მოღვაწეობა იშვიათად ფასდება,

[42] **PG, t. 32,** სვ. **436.**

[43] იქვე, სვ. **637.**

ამ მხრივაც მრავალი წყენა იგემა. სამწუხაროდ, მისი მცდელობა ახლო ურთიერთობის დამყარებისა დასავლეთის ეკლესიასთან მსოფლიო კრების მოწვევის მიზნით, რომელიც საბოლოო განაჩენს გამოუტანდა არიოზელობას და აღმოსავლეთის ეკლესიას ერესის დევნისაგან იხსნიდა, წარუმატებლად დამთავრდა. ამ წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი ანტიოქიის ეკლესიაში ჩამოვარდნილი განხეთქილება გახდა. საქმე ის იყო, რომ ანტიოქიას ამ დროს სამი ეპისკოპოსი ჰყავდა: ერთი არიოზელი და ორი მართლმადიდებელი – პავლინე და მელეტი. ეს უხერხული მდგომარეობა გამოიწვია ლუციფერ კალარიელის სულსწრაფობამ, რომელმაც ანტიოქიის ეპისკოპოსად ხელნი დაასხა პავლინეს, მაშინ როცა, ამ ქალაქს თავისი კანონიერი ეპისკოპოსი მელეტი ჰყავდა.[44] ბუნებრივია, პავლინესა და მელეტს შორის წარმოიშვა დავა, რომელშიც რომის პაპი დამასი და ათანასე ალექსანდრიელი პავლინეს უჭერდნენ მხარს, ხოლო აღმოსავლეთის ეკლესია მელეტს, რომლის მართლმადიდებლობაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

ბასილი დიდმა ეკლესიაში მშვიდობისა და სიყვარულის აღსადგენად დახმარებისათვის ათანასე ალექსანდრიელს მიმართა, ხოლო 372 წელს წერილი გაუგზავნა რომის პაპს, დამასს, მაგრამ უშედეგოდ. ათანასემ ჩაურევლობა ამჯობინა, რადგან მელეტიმ, თავის მხრივ, ათანასეს მხარდაჭერის მისაღებად არავითარ ზომას არ მიმართა. გარკვეული პასუხი არც რომის პაპისაგან ჩანდა. მაშინ ბასილმა წერილობით უკვე უშუალოდ ლათინური დასავლეთის ეპისკოპოსებს მიმართა, რამაც შეურაცხყო დამასი, რომელიც ფიქრობდა, რომ მიმართვა უშუალოდ მისი, როგორც რომის კათედრაზე წმ. პეტრეს მემკვიდრის, სახელზე უნდა გაკეთებულიყო.

376 წელს იმედის ნაპერწკალი გაკრთა, რომ კონფლიქტი მოგვარდებოდა, მაგრამ ბასილი დიდის მიერ წარგზავნილმა დოროთეოსმა რაღაცით ვერ ასიამოვნა რომს და 377 წელს პაპისაგან საბოლოო პასუხი მოვიდა, რომელიც კესარიის მთავარეპისკოპოსისათვის სრულიად მოულოდნელი გამოდგა. დამასმა არიოზის მიმდევრობაში დაადანაშაულა ბასილი დიდის მეგობრები მელეტი და ევსევი სამოსატელი და საქმე პავლინეს სასარგებლოდ გადაწყვიტა.

[44] **Сократ Схоластик, Церковная история, III, 6.**

ასე სამწუხაროდ დამთავრდა ბასილი დიდის თავდაუზოგავი მოღვაწეობა ეკლესიაში მშვიდობის აღსადგენად, რაც მას მსოფლიო კრების მოწვევისათვის აუცილებელ წინაპირობად ესახებოდა. კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიტს უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ განხეთქილების წინააღმდეგ მარტოდმარტო იბრძოდა, რადგან აქტიური მხარდაჭერა არც აღმოსავლეთისა და არც დასავლეთის ეპისკოპოსებისაგან არ ჰქონია. რამდენადაც უკვალოდ არაფერი იკარგება, მისმა მოღვაწეობამ ეკლესიაში ერთსულოვნების მისაღწევად შედეგი მაინც გამოიღო, ოღონდ უკვე მისი სიკვდილის შემდეგ, როცა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომლის მოწვევისათვის ამდენი რამე გააკეთა, კონსტანტინეპოლში შედგა 381 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ ვრცელი ეპარქიის მართვა, ბრძოლა ერეტიკული ხელისუფლების ხელყოფისაგან ეკლესიის დასაცავად და დაუღალავი მოღვაწეობა სამწყსოს გადასარჩენად გონიერ მგელთა მიტაცებისაგან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, ბასილი დიდმა მაინც შეძლო აზროვნებისთვისაც მოეცალა და იმგვარი საღმრთისმეტყველო თხზულებანი შეექმნა, რომელთაც მას მსოფლიო ეკლესიის მოძღვრის სახელი მოუპოვეს. გრიგოლ ღმრთისმეტყველის აზრით, ბასილსაც თავისუფლად მიესადაგება ფსალმუნის სიტყვები, რომელიც პავლე მოციქულმა მოციქულთა მოღვაწეობის დასახასიათებლად გამოიყენა: **ყოველსა ქუეყანასა განჴდა ჴმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა – სიტყუანი მათნი** (რომ.10,18; ფს.18.5).

კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსს უფალმა ბიბლიის წიგნების განმარტებისათვის განსაკუთრებული ნიჭი უბოძა. როგორც ეგზეგეტიკოსი, ბასილი ალექსანდრიული სკოლის ტრადიციის მიმდევარი იყო, რაც ტექსტის პირდაპირ გაგებული შინაარსიდან მისი უფრო მაღალი შინაარსის წარმოჩენისაკენ სწრაფვას გულისხმობს. ამ დროს იგი ბიბლიური ტექსტების ამოუწურავი სიბრძნის აზრობრივ პლასტებს ერთიმეორის მიყოლებით ხსნიდა.

დოგმატურ თხზულებებს მიეკუთვნება „ევნომიოსის წინააღმდეგ“, რომელიც სამი წიგნისაგან შედგება.[45] სათაურიდან გამომდინარე, გაუცნობიერებელმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს,

[45] რაც შეეხება მე-4 და მე-5 წიგნებს, რომელთაც, ჩვეულებრივ, ბასილი დიდის მიერ ევნომიოსის ერესის წინააღმდეგ დაწერილ სამ წიგნს ურთავენ, მკვლევართა

რომ ეს წიგნები ერთი კონკრეტული პიროვნების ცრუ სწავლების სამხელადაა დაწერილი. მაგრამ სინამდვილეში, ისინი პასუხს სცემენ ყოველ დროში ყველას, ვისთვისაც ქრისტე არა განკაცებული ღმერთი, არამედ მხოლოდ კაცია. ამ წიგნებში ერესთან კამათში პირველად გადმოიცა ჩამოყალიბებული სახით სწავლება სამების მეორე პირზე – სიტყვა ღმერთზე, რომელიც განკაცდა – იესო ქრისტეზე. დოგმატური შინაარსისაა, აგრეთვე, ტრაქტატი „სულიწმიდის შესახებ“, რომელიც ბასილმა იკონიის ეპისკოპოსის, ამფილოქეს თხოვნით დაწერა. ამფილოქემ მას სულიწმიდის შესახებ სწავლების წერილობით გადმოცემა სთხოვა, რათა ამ გზით გაებათილებინა ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს იგი სამების მესამე პირის შესახებ არასწორად ასწავლიდა. ამასთან დაკავშირებით მტრების მიერ ბასილი დიდის შესახებ შეთხზულ ცილისწამებას თავის სიტყვაში გრიგოლ ღმრთისმეტყველიც ეხება და განმარტავს, რომ სულიწმიდის ღმრთეებრიობის შესახებ ისიც და ბასილიც ერთნაირად ასწავლიდნენ და მათ შორის არსებული სხვაობა მხოლოდ ტაქტიკური ხასიათისა იყო, რომელსაც თავისი მიზეზიც ჰქონდა. ბასილი დიდი ვალდებული იყო სიფრთხილე გამოეჩინა, რათა თავის ვრცელ მეტროპოლიაში სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაშინ როცა, თავად გრიგოლს, რომელსაც ეკლესიაში ოფიციალურად არავითარი თანამდებობა არ ეკავა, მეტი თავისუფლება ჰქონდა.

„ბასილმა რომ სულიწმიდის ღმერთობა ყველაზე უკეთ იცოდა, ცხადია, რადგან, როგორც კი შემთხვევა მიეცა, ამის შესახებ მრავალგზის საჯაროდ იქადაგა და პირისპირაც, როცა კითხვა დაუსვეს, მხურვალედ აღიარა; მაგრამ კიდევ უფრო ნათლად გამოხატავდა ამას ჩემდამი მომართულ სიტყვებში, ვის წინაშეც ამგვარ თემებზე საუბრისას დაფარული არაფერი ჰქონდა... რამდენადაც ჩვენ შევიწროვებულნი ვიყავით დროისაგან, მან თავისი თავისთვის სიფრთხილე განაგო, ხოლო ჩვენთვის – გაბედულება, რომელთაც, ვითარცა უჩინარი პატივის მქონეთ, არც სასჯელი და არც სამშობლოდან გაძევება არავისგან გველოდებოდა და ამიტომ ჩვენი ქადაგება სახარებისა ორივეს მხრიდან განძლიერდებოდა“.[46]

აზრით, ისინი სხვა ავტორს, კერძოდ, დიდიმს ეკუთვნის.

[46] ეპიტაფია ბასილი დიდისა,.. გვ. 185-186.

ჩვენი აზრით, გრიგოლი ღმრთისმეტყველის ზემომოყვანილ ციტატაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სიტყვები **როგორც კი შემთხვევა მიეცა** (ei pote kairo~ hn).

ეს სიტყვები საშუალებას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ ბასილი დიდის სიფრთხილე, კერძოდ, რაში გამოიხატებოდა; როგორც ჩანს, იმაში, რომ ერეტიკოსთა გაბატონებული მდგომარეობის გამო სულიწმიდის ღმრთეებრიობის საკითხს თავისი ინიციატივით არ ეხებოდა, რათა ახალი შფოთის და დაპირისპირების საბაბი არ მიეცა მათთვის, რომელნიც სწორედ ამგვარ საბაბს ეძებდნენ მისი შეპყრობისა და გაძევებისათვის (ამასაც ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებდა), მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვდა, მაშინ თავისი მრწამსის გადმოცემას არც პირისპირ საუბარში და არც საჯარო ქადაგებისას არ ერიდებოდა.

ასე რომ, ცილისმწამებლებმა, მათდა უნებლიეთ, დადებითი როლი შეასრულეს იმაში, რომ, მოუცლელობის მიუხედავად, კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიტს დრო გამოენახა და თავისი სწავლება სულიწმიდის შესახებ წერილობით გადმოეცა. მან შექმნა თხზულება, რომელიც გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ, სულიწმიდის სამელნეში ამოწებული კალმითაა დაწერილი.

ზნეობრივ-ასკეტურ თხზულებათა რიგს უნდა მიეკუთვნოს კანონები, რომელნიც ბასილმა ქრისტიან ერისკაცთათვის შეადგინა, მონაზონთა ცხოვრების წესები და სხვადასხვა თემაზე წარმოთქმული ქადაგებები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბასილი დიდის მრავალრიცხოვანი წერილი, როგორც ახლობლების, ასევე სხვადასხვა ოფიციალური პირისადმი მიმართული. ეს წერილები, გარდა იმისა, რომ უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს ერესის ისტორიისა და იმდროინდელი ეკლესიის მდგომარეობის შესწავლისათვის, საინტერესო შტრიხებს იძლევა მათი ღმრთივშთაგონებული ავტორის სულიერი პორტრეტის წარმოსაჩენადაც.

შეუძლებელია უკეთესად გადმოიცეს ზოგადი დახასიათება ბასილი დიდის ლიტერატურული მემკვიდრეობისა, ვიდრე ეს გრიგოლ ღმრთისმეტყველმა გააკეთა. იგი, მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით, ზუსტად გამოხატავს იმ შთაბეჭდილებას,

რომლის ქვეშაც ამ დიდი ღმრთისმეტყველის თხზულებების გაცნობისას, განათლებული და გონიერი მკითხველი ექცევა: „როცა მე ხელში მის ჰექსაემერონს ვიღებ და ხმამაღლა ვკითხულობ, შემოქმედთან ვარ, შესაქმის კანონებს გულისხმავყოფ და შემოქმედით უფრო მეტად ვარ განცვიფრებული, ვიდრე მანამდე, სანამ ერთადერთ მოძღვრად მხედველობას ვიყენებდი. როცა ერეტიკოსთა წინააღმდეგ დაწერილ თხზულებებს ვეცნობი, ვხედავ ცეცხლს, რომლითაც ბოროტი და უსჯულო ენანი იფერფლებიან, ან კიდევ ხალანის გოდოლს, ბოროტად აღშენებულსა და კეთილად დარღვეულს. როცა სულიწმიდის შესახებ ვკითხულობ, ღმერთს, რომელიც მყავს, ხელახლა ვპოულობ და ავდივარ რა ღმრთისმეტყველებისა და მჭვრეტელობის საფეხურებზე, ჭეშმარიტების განცხადებისთვის ვკადნიერდები. როცა მის სხვა განმარტებებს ვკითხულობ... ვრწმუნდები, რომ არც მხოლოდ ასოზე უნდა გავჩერდე და არც მხოლოდ ის უნდა დავინახო, რაც ზედაპირზეა, არამედ სულ უფრო და უფრო შორს, ერთი სიღრმიდან მეორისკენ უნდა წავიწიო და უფსკრულით უფსკრულსა (ფს. 41,47) უნდა მოვუხმო, ნათლით ნათელი უნდა მოვიპოვო (ფს. 35,9), ვიდრე უმაღლეს შინაარსს არ მივსწვდები; ხოლო როცა მისი მოღვაწეთა შესაქები სიტყვებით ვარ დაკავებული, უგულებელვყოფ სხეულს, შექებულებთან ერთად ვარ და ღვაწლისთვის აღვიძვრები. მისი ზნეობრივი და პრაქტიკული სიტყვების კითხვისას კი, სულით და ხორცით ვიწმინდები, ღმრთის სათნო ტაძარი, საკრავი, რომელზეც სული წმიდა უკრავს და ღმრთის დიდებისა და ძლიერების მგალობელი ვხდები და ამის წყალობით, უკეთესობისაკენ გარდავიქმნები, ვწესრიგდები, სხვიდან სხვად ვიქცევი და ღმრთეებრივი ცვლილებით ვიცვლები“.[47]

გრიგოლ ღმრთისმეტყველი ბასილს ბიბლიურ იოსებს ადარებს, რომელმაც ეგვიპტე შიმშილისაგან იხსნა. მაგრამ მან პური, თანაც არა მრავალგზის და ისიც ხორციელი, მხოლოდ ეგვიპტეს დაურიგა, ხოლო ბასილი დიდი პურს, და თანაც სულიერს, ყოველთვის და ყველასთვის იძლევა.

ბასილი კესარიელი 379 წლის პირველ იანვარს გარდაიცვალა.

[47] იქვე, გვ. 183-184.

ქრისტესა და მის ეკლესიას იგი ოცი წელი ემსახურა, მაგრამ ისე თავდაუზოგავად, რომ, ფიზიკურად ისედაც სუსტს, სასიცოცხლო ძალები დაეშრიტა. ძირითადი მიზეზი სიცოცხლის ბოლო წლებში მისი ხანგრძლივი ავადმყოფობისა მაინც ის მტრობა იყო, რომელსაც ეკლესიის მსახურთაგან, განსაკუთრებით ეპისკოპოსებისაგან განიცდიდა. როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამბობს, მათ მტრობას კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიტისადმი ძირითადად სამი მიზეზი განსაზღვრავდა: 1) სარწმუნოებრივი, რადგან მის სარწმუნოებრივ მრწამსს არ იზიარებდნენ და თუ იზიარებდნენ, არა გულწრფელად, არამედ იძულებით; 2) საბოლოოდ არ ჰქონდათ დათმობილი ის სიმდაბლენი, რომელთა წყალობითაც ხელთდასხმას მიაღწიეს; 3) ბასილი დიდებით ყველას მეტისმეტად აღემატებოდა, რაც ყველაზე მძიმე შესაგუებელი იყო მათთვის, თუმცა ამას არ აღიარებდნენ, რადგან რცხვენოდათ.

რაც შეეხება თვითონ ბასილი დიდს, მიუხედავად იმისა, რომ პირადი გრძნობების გამოხატვაში, ჩვეულებრივ, სიძუნწეს იჩენს, გრიგოლ ღმრთისმეტყველისადმი მიწერილ წერილში მაინც ვერ ფარავს გულისტკივილს იმის გამო, რომ მტერმა მისდამი ჭეშმარიტად კეთილგანწყობილ ძმებშიც იპოვა მსმენელები, რომლებიც სიამოვნებით უსმენდნენ შეთხზულ ცილისწამებებს და არა მხოლოდ ისინი, არამედ მოწაფეებიც. „სხვა ვითარებაში უცნაური იქნებოდა, რომ ამგვარი ადამიანი ასწავლის და მაძაგებს მე, მაგრამ ამ უბედურმა დრომ მასწავლა, არაფრით დავრჩე შეურაცხყოფილი“,[48] – წერს იგი.

ბასილი დიდის გარდაცვალების დღეს უფალმა სასწაული დაუშვა. სამედიცინო ხელოვნების ბრწყინვალე მცოდნე ებრაელი იოსებები, რომელიც სარწმუნოებრივ საკითხებზე ხშირად ეკამათებოდა, ესტუმრა მას და უწინასწარმეტყველა, რომ მეორე დღემდე ვერ მიაღწევდა, კერძოდ, უთხრა: თუ შენ ხვალამდე იცოცხლებ, მე მოვინათლები იმის სახელით, ვისაც მხოლოდ თავისი ღმრთეებრივი ძალის წყალობით შეუძლია სიცოცხლე გაგიხანგრძლივოსო. მაშინ მომაკვდავმა უკვე გაციებული ხელები აღაპყრო და იესო ქრისტეს შეევედრა რამდენიმე საათის სიცოცხლე მიეცა, რათა წარწყმედას

[48] **PG. t. 32**, სვ. **437**.

კიდევ ერთი სული გადარჩენოდა. მეორე დღეს წმინდანი რომ ცოცხალი იხილა, იოსები მისი საწოლის წინაშე მუხლებზე დაეცა და მონათვლის სურვილი გამოთქვა; ავადმყოფმა უპასუხა: „მე თვითონ მოგნათლავ“. ნათლობა სამ საათამდე გაგრძელდა. ამავე დღეს იგი გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები უფლისადმი იყო მიმართული: „შენს ხელებს გადავცემ სულს ჩემსას“.

ბასილი დიდის გარდაცვალებამ მთელი ქალაქი დაამწუხრა. დიდი მოძღვრის სიყვარულმა ყველა გააერთიანა. ქრისტიანების გარდა მის დასაფლავებაში წარმართებიც და იუდეველებიც მონაწილეობდნენ. ქუჩები და მოედნები სავსე იყო ხალხით, რომელიც ვერაფრით ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ ბასილს სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა. ყველას უნდოდა უკანასკნელად შეეხედა მისთვის. გრიგოლ ღმრთისმეტყველი დაწვრილებით აღწერს წრეგადასულ მწუხარებას ხალხისას, რომელსაც არაფრით ეთმობოდა მისი ჭეშმარიტად მოყვარული და გულშემატკივარი მწყემსი.

„ბასილი მაღალი და დიდებული სვეტია ეკლესიისა, მნათობი ღმრთისმეტყველებისა, სილამაზე იერარქიისა, ჭეშმარიტი კაცი მამა ღმერთისა, ანთებული მაცნე მხოლოდშობილისა, საყრდენი და სახლის მმართველი სულიწმიდისა, სასახლე გონებისა, საგანძური შემეცნებისა, მასწავლებელი ღმრთის მოშიშებისა... ბასილი დიდი მეფური საყვირია ღმრთის სიტყვისა“, – წერს მის შესახებ იკონიის ეპისკოპოსი ამფილოქე.

არიოზელთაგან ქრისტიანთა დევნის დასასრული

ვიდრე ცოცხალი იყო, ათანასე დიდის სახელი და ავტორიტეტი ალექსანდრიას არიოზელთა თავხედური თავდასხმებისაგან იცავდა, მაგრამ მოკვდა თუ არა იგი, მთელს ეგვიპტეში ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყო. ალექსანდრიის ეკლესიამ ათანასეს მემკვიდრედ ღმრთისმოსავი პეტრე აირჩია, რომელიც არიოზელებმა ძალით გააძევეს და მის ნაცვლად თავიანთი ეპისკოპოსი ლუკიოსი დასვეს. შეუერთდნენ რა წარმართებსა და იუდეველებს, ისინი ტაძარში შეიჭრნენ, შეურაცხყვეს და გაძარცვეს, ხოლო მართლმადიდებელი

მსახურები საპყრობილეებში ჩაყარეს. მაგრამ, როგორც ამას წმიდა ათანასე სიცოცხლეშივე შენიშნავდა, დევნა არიოზელებისაგან უკვე თავისთავად წარმოადგენდა მჭევრმეტყველურ ქადაგებას მათსავე წინააღმდეგ და მდევნელთა მიმართ საერთო სიძულვილს იწვევდა. ვალენტის მეფობის წლებში, უდაბნოს წმინდა მოღვაწეთა ზეგავლენით, მათ მეზობლად მცხოვრები მრავალი სარაცინი მოინათლა. მათმა დედოფალმა მაბიამ მოინდომა, რომ ერთი მათგანი, ბერი, სახელად მოსე, ეპისკოპოსად ეკურთხებინათ. ამისთვის მოსე ალექსანდრიაში ჩავიდა, მაგრამ არიოზის მიმდევარი ლუკიოსისაგან ხელთდასხმის მიღებაზე უარი საჯაროდ განაცხადა: „მე უღირსი ვარ ეპისკოპოსობისათვის, მაგრამ თუკი უფალი ამ წმიდა მსახურებისათვის მომიწოდებს, მაშინ არ მსურს ხელთდასხმული ვიყო იმისგან, ვინც წმინდანთა სისხლით წითლადაა შეღებილი“, – თქვა მან. „ნუ განმსჯი მანამ, სანამ ჩემს რწმენას არ გაიგებ“, – უთხრა ლუკიოსმა. „მე ვიცი თქვენი რწმენა, – უპასუხა მოსემ. – საპყრობილეებში გატანჯულნი, საბადოებზე მუშაობამისჯილნი, ცეცხლისთვის მიცემულნი ეკლესიის მწყემსნი – აი, მოწმენი თქვენი რწმენისა“.

დევნა მეუდაბნოეებსაც შეეხო. ბევრი მათგანი, მათ შორის ორივე მაკარი ველურ კუნძულზე გადაასახლეს, მაგრამ იქ ქადაგებითა და სასწაულებით მრავალი მოაქციეს.[49] მაშინ მდევნელებმა დიდი ბერების უკაცრიელ უდაბნოში დაბრუნება ამჯობინეს. ერთ მდიდარსა და ცნობილ რომაელ ქალს, სახელად მელანიას, რომელიც უდაბნოში მოგზაურობდა, დევნამ იქ მიუსწრო. იგი უდაბნოში ყოველდღე ხუთ ათას ბერს კვებავდა, რომელთაც შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდათ. დევნილებს მელანია პალესტინაშიც გაჰყვა. თუმცა სურდათ, მაგრამ მისი საპყრობილეში ჩაგდება მაინც ვერ გაბედეს, რადგან მდიდარი და სახელოვანი გვარიშვილი იყო.

ზოგიერთ მხარეში არიოზელების ძალადობა მოსახლეობის წინააღმდეგობას აძლიერებდა. როცა ედესის მართლმადიდებელი ეპისკოპოსი გააძევეს და არიოზელი დასვეს, ხალხმა მას ზურგი შეაქცია და ქალაქგარეთ, ღია ცის ქვეშ იკრიბებოდა ლოცვის აღსასრულებლად. ეს რომ შეიტყო, მათ დასასჯელად ვალენტიმ

[49] **Сократ Схоластик, Церковная история, IV, 25.**

მოდესტი გაგზავნა. მოდესტმა, რომელსაც მკვეთრი ზომების მიღება უკვე თვითონაც აღარ სურდა, იმპერატორის ბრძანება წინასწარ გამოაქვეყნა, რათა ადამიანები ფრთხილად ყოფილიყვნენ, მაგრამ უშედეგოდ, შეკრებები ძველებურად გრძელდებოდა. მაშინ იგი ბრძანების შესასრულებლად მეომრებთან ერთად წავიდა და გზაში შეხვდა ქალს, რომელიც ლოცვით შეკრებაზე შვილთან ერთად მიიჩქაროდა. „სად მიდიხარ? – დაუყვირა მოდესტმა, – მე არავის შევიწყალებ. შენცა და შენს შვილსაც იქ სიკვდილი გელით!“ – „ეს ვიცი, – უპასუხა ქალმა, – და იმიტომაც მივიჩქარი, რომ ჩემს ბავშვთან ერთად მოწამეობრივი სიკვდილის ღირსი გავხდე“. მოდესტმა მეფეს შექმნილი ვითარება აცნობა და შეევედრა ბრძანება შეემსუბუქებინა, რადგან მისი შესრულება მთელი მოსახლეობის ამოწყვეტას ნიშნავდა. ვალენტი იძულებული გახდა ბრძანება მართლაც შეემსუბუქებინა, მაგრამ ეკლესიის ოთხმოცამდე მსახური, რომელნიც არიოზელებთან ურთიერთობაზე უარს ამბობდნენ, მაინც განდევნა.

სამწუხაროდ არიოზელობა შორეულ ქვეყნებშიც გავრცელდა. დუნაისგაღმელმა გოთებმა ტყვედ ჩაგდებული მეომრებისგან ჯერ კიდევ მე-3 საუკუნეში დაიწყეს ქრისტიანობის მიღება, ხოლო მე-4 საუკუნეში მათი დიდი ნაწილი უკვე ქრისტიანი იყო. დაახლოებით 360 წელს გოთების ეპისკოპოსმა ულფილამ გოთური ანბანი შექმნა და წმიდა წერილი მშობლიურ ენაზე თარგმნა.[50] როცა გოთების ბელადები – ქრისტიანი ფრიტიგერნი და წარმართი ათანარიხი ერთმანეთს შეებრძოლნენ, რამდენიმე გოთმა ქრისტიანული რწმენა სიცოცხლის შეწირვის ფასად დაიცვა. სახელები გოთი მოწამეებისა – ნიკიტასი, საბასი და სხვათა ეკლესიაში იდიდებოდა. მიუხედავად იმპერიასთან მტრული დამოკიდებულებისა, გოთების ეკლესიას კაპადოკიისა და სხვა მხარეების ეკლესიებთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდა. ვალენტის დროს ჩრდილოეთიდან შევიწროვებულმა გოთებმა იმპერატორს თრაკიაში დასახლების უფლება სთხოვეს. მათ მიერ წარგზავნილ მოციქულთა შორის ეპისკოპოსი ულფილაც იყო. სამეფო კარზე ყოფნისას იგი არიოზის ერესით დასნეულდა და სამშობლოში დაბრუნებულმა ეს

[50] **Сократ Схоластик, Церковная история, IV, 33.**

ცრუ მოძღვრება თავის ხალხშიც გაავრცელა. გოთებმა მართლაც გადმოლახეს დუნაი თრაკიაში დასასახლებლად, მაგრამ ოლქის მმართველების მხრიდან შევიწროვებამ და ხელშეკრულების პირობების დარღვევამ მათი აღშფოთება გამოიწვია, რასაც შედეგად ომი მოჰყვა. ვალენტი ჯარს სათავეში თვითონ ჩაუდგა და გოთების წინააღმდეგ დაიძრა. სალაშქროდ მიმავალი გზაზე განდეგილმა ბერმა წმ. ისააკმა შეაჩერა და უთხრა: „ხელმწიფეო, შეწყვიტე მტრობა უფლისა, მართლმადიდებლური ტაძრები გახსენი და ღმერთი გზას გიკურთხებს“. მეფემ მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ განდეგილმა, მისდევდა რა უკან, იგივე თხოვნა მეორე და მესამე დღესაც გაუმეორა, თანაც ღმრთის რისხვით ემუქრებოდა და ეუბნებოდა: „შენ მტრებს ვერ დაამარცხებ, ცეცხლში დაიღუპები“. მაშინ განრისხებულმა იმპერატორმა ისააკის საპყრობილეში ჩაგდება ბრძანა, ხოლო თვითონ გზა გააგრძელა.

ბრძოლა ვალენტისათვის წარუმატებლად მიდიოდა, მაგრამ ცნობები ამის შესახებ დედაქალაქში დაგვიანებით აღწევდა. ამიტომ ისააკს ყოველდღე ემუქრებოდნენ, რომ იმპერატორის დაბრუნებისთანავე სიკვდილით დასჯიდნენ. ერთხელაც მუქარაზე ისაკმა უპასუხა: „ის აღარ დაბრუნდება. უკვე ექვსი დღეა, რაც მისი ცეცხლში დამწვარი ძვლების სიმყრალის სუნი მეცა“. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ცნობამ ვალენტის აღსასრულის შესახებ კონსტანტინეპოლშიც მიაღწია. ადრიანოპოლისთან დამარცხების შემდეგ დაჭრილმა იმპერატორმა გაქცევა განიზრახა და რამდენიმე მეომართან ერთად პატარა ქოხში დაიმალა, რომელიც მინდვრის შუაგულში იდგა. გოთებმა ეს ქოხი ისე გადაწვეს, რომ ვალენტის იქ ყოფნის შესახებ ეჭვიც კი არ აუღიათ. ასე დაიღუპა იმპერატორი (381 წ.), რომელიც თავის ძალაუფლებას უპირველესად ქრისტესა და მისი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის იყენებდა. ისააკი, რომელიც შემდეგში დედაქალაქთან ახლოს მდებარე სავანის წინამძღვარი გახდა, ეკლესიის ისტორიაში წმ. ისააკ დალმატიელის სახელითაა ცნობილი.

დასავლეთის იმპერატორი ვალენტინიანე ვალენტიმდე სამი წლით ადრე გარდაიცვალა. მან ტახტის მემკვიდრეებად ორი ვაჟი დატოვა: ჩვიდმეტი წლის გრაციანე და ოთხი წლის ვალენტინი-

ანე II.[51] გრაციანე ემზადებოდა, რათა ვალენტისათვის, რომელიც გოთებს ებრძოდა, დახმარება გაეწია, მაგრამ ამასობაში შეიტყო, რომ აღმოსავლეთის იმპერატორი დაიღუპა. იგი მიხვდა, რომ უზარმაზარი იმპერიის მართვისათვის ძალა არ ეყოფოდა და ამიტომ თანაშემწის მოძებნა გადაწყვიტა. გრაციანემ თავისი არჩევანი თეოდოსზე შეაჩერა, წარმოშობით ესპანელზე, რომლის მამაც ბრიტანეთისა და აფრიკის ომებში სახელმოხვეჭილი სარდალი იყო. ახალგაზრდა თეოდოსი მამას თან ახლდა ლაშქრობებში. გრაციანემ იგი ესპანეთიდან იხმო, სადაც თავის მამულში ცხოვრობდა. ახალგაზრდობის მიუხედავად, გრაციანემ დიდი გონიერება და გულისხმიერება გამოიჩინა. უკეთესი არჩევანის გაკეთება მართლაც შეუძლებელი იყო.

მოკვდა თუ არა ვალენტი, მის მიერ გაძევებული ეპისკოპოსები გადასახლებიდან დააბრუნეს. დაბრუნებულებს თავიანთ ეპარქიებში უმეტესწილად შფოთი და განხეთქილება დახვდათ; ხალხი ორად იყო გაყოფილი – მართლმადიდებლებად და არიოზელებად. ანტიოქიაში მორწმუნეთა ერთი ნაწილი თავის მწყემსმთავრად მელეტის აღიარებდა, მეორე – პავლინეს. რადგან პავლინეც მართლმადიდებელი იყო, მელეტიმ მას შესთავაზა ერთად ემართათ ეკლესია სიყვარულითა და მშვიდობით.

მაგრამ ბოროტებამ ძირი ისე ღრმად ვერსად გაიდგა, როგორც კონსტანტინეპოლში. თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში დედაქალაქის ეპარქიას არიოზელი ეპისკოპოსები განაგებდნენ. როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფლება მართლმადიდებელთა საზიანოდ ყოველგვარ ცრუ სწავლებას მფარველობდა; რის შედეგადაც ათასგვარი ერეტიკული შეხედულება სრულიად თავისუფლად ვრცელდებოდა. მთელი მოსახლეობა საღმრთისმეტყველო კამათისა და პაექრობის ვნებით იყო შეპყრობილი. ქუჩებში ხელოსნები თუ სხვადასხვა საქონლით მოვაჭრენი გაუთავებლად კამათობდნენ ქრისტეს ღმრთეებრიობასა და მამასთან მისი მიმართების შესახებ, ამტკიცებდნენ ან უარყოფდნენ სულიწმიდის ღმრთეებრიობას. ხშირად საღმრთისმეტყველო პაექრობანი პირად მტრობასა და შუღლში გადადიოდა. თითქოს სრულიად დავიწყე-

[51] იქვე, IV, 31.

ბული იყო, რომ ქრისტიანული სიბრძნის არსი არა ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ განყენებულ საგნებზე კამათის მარჯვედ წარმართვაში, არამედ რწმენასა და სიყვარულში, თავმდაბლობასა და გულმოწყალებაში მდგომარეობს.

მაშინ როცა ყოველი ცრუ მოძღვრების გადმოცემა თავისუფლად შეიძლებოდა, ნიკეის აღმსარებლობა განუწყვეტლივ იდევნებოდა. კონსტანტინეპოლში მართლმადიდებლებს არცერთი ტაძარი არ გააჩნდათ. ისინი, ისევე როგორც პირველ საუკუნეებში, ღმრთისმსახურებისათვის ფარულად იკრიბებოდნენ, მაგრამ მწვალებლები იქაც არ ასვენებდნენ და ხშირად თავს ესხმოდნენ. შეწყდა თუ არა დევნა, მათ მაშინვე წერილი მისწერეს კაპადოკიაში გრიგოლ ნაზიანზელს, რომელშიც მას დედაქალაქში ჩასვლასა და მართლმადიდებელთა მცირეოდენი კრებულის მწყემსმთავრობას სთხოვდნენ.

წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი

გრიგოლ ღმრთისმეტყველი 329 წელს დაიბადა კაპადოკიაში, ქალაქ ნაზიანზის მახლობლად, სოფელ არიანზში. მის მშობლებს ერქვათ გრიგოლი და ნონა. ნონა ქრისტიანულ ოჯახში გაზრდილი, ღრმად მორწმუნე ქალი იყო განსხვავებით ქმრისაგან, რომელიც წარმართულ სარწმუნოებასთან აღრეულ იუდაიზმს სცემდა პატივს. გრიგოლის დამოკიდებულება სარწმუნოების მიმართ ნონას დიდ ტკივილს აყენებდა, რადგან სურდა ქმართან სულიერი კავშირიც ჰქონოდა. უფალმა შეისმინა ღმრთისმოსავი ქალის ვედრება; გრიგოლს ძილში ეჩვენა, რომ ზეპირად წარმოთქვამდა 121-ე ფსალმუნის პირველ მუხლს: „ვიხარე, რომელთა მრქუეს მე: სახლსა უფლისასა შევიდეთ“, და ეს მაშინ, როცა მეუღლის მრავალგზის თხოვნას – ფსალმუნები წაეკითხა, ყოველთვის მტკიცე უარით პასუხობდა. ამ სასწაულებრივმა სიზმარმა გრიგოლი მიახვედრა, სად უნდა ეძია ჭეშმარიტი ღმერთი. იგი ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო კრებაზე მივიდა და ქრისტეს რწმენა აღიარა. გრიგოლი ჯერ მღვდლად აკურთხეს, ხოლო შემდეგ ნაზიანზის საეპისკოპოსო კათედრაც ჩააბარეს.

მშობლებისა და საკუთარი თავის შესახებ გრიგოლ ღმრთისმ-

ეტყველი თვითონვე მოგვითხრობს ავტობიოგრაფიული ხასიათის პოეტურ ქმნილებებში,[52] რომელთაგან უწინარესად ვრცელი ლექსი „საკუთარ ცხოვრებაზე“ უნდა დავასახელოთ. როგორც გვეუბნება, ძირითადი მიზეზი, რომელმაც მას საკუთარი ცხოვრების გადმოცემა გადააწყვეტინა, იყო სურვილი – ხელი შეეშალა მტრების მიერ შეთხზულ ცილისწამებათა გავრცელებისა და განმტკიცებისათვის. ბოროტი ადამიანები ხომ მათგან დევნილებს სწორედ იმას სდებენ ბრალად, რასაც თვითონვე სჩადიან. ამ გზით ცდილობენ ისინი მოწინააღმდეგეებს ახალი ბოროტება მიაყენონ, ხოლო თვითონ თავი გაითავისუფლონ ბრალდებებისაგან. გარდა ამისა, როგორც ავტორი წერს, „ზომიერი სიტყვა მწუხარებას კურნავს, ხოლო ახალგაზრდებისათვის იგი ერთდროულად გაკვეთილიცაა და ტკბობის მიმნიჭებელიც, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, სასიამოვნო დამოძღვრას წარმოადგენს“. მაგრამ რამდენადაც გრიგოლ ღმრთისმეტყველის მიერ გადმოცემული საკუთარი ცხოვრება გულწრფელი აღსარებაა, იგი ყველას მოსასმენად როდია გამიზნული, არამედ მხოლოდ მათთვის, რომელთაც ადამიანთაგან მიყენებული სულიერი ჭრილობების მწარე ტკივილები რწმენით დაძლიეს. ანალოგიისათვის იგი იხსენებს ძველ თქმულებას, რომლის მიხედვითაც ბოროტი იქედნესაგან დაგესლილი თავის ტანჯვაზე მხოლოდ მას უამბობდა, ვისაც თვითონაც ჰქონდა განცდილი ურჩხულის ბასრი კბილების ძალა, რადგანაც მხოლოდ ამგვარმა ადამიანმა იცოდა, რა ენითაუწერელ ტკივილებს ითმენდა ის, ვისაც იქედნე უკბენდა. „ასევე, – ამბობს გრიგოლ ღმრთისმეტყველი, – მე ჩემი ტანჯვის ისტორიას გავუზიარებ მხოლოდ მათ, რომელთაც ჩემნაირი სიყვარული, წამება და მწუხარება განუცდიათ“. პოეტი დარწმუნებულია, რომ სწორედ ამგვარნი მოისმენენ მისი სულის ბიოგრაფიას თანაგრძნობითა და სიყვარულით, მაშინ როცა, მათთვის, რომელთაც რწმენა ზერელედ, მხოლოდ გარეგნულად აქვთ მიღებული და რომელთა შინაგანი სამყაროსთვისაც უცხოა მეუფის

[52] წმ. გირგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრება ძირითადად გადმოცემილია მისივე ავტობიოგრაფიული პოეზიის მიხედვით. **Творения иже во святых отца нашего Григория Богослова, т. I-II. Издание Сойкина (б.г.) [репринт], Святого-Троицкая Сергиева лавра, 1994. PG, ტ. 37.**

ძლიერი სიყვარული, რადგანაც მხოლოდ ეფემერულზე ზრუნავენ, მისი თხრობა მხოლოდ ირონიული ღიმილის მომგვრელი იქნება.

„ჩემი ცხოვრება ანუ ჩემი მწუხარება“, – ამბობს იგი და მართლაც თხრობისას მწუხარებათა ეს ჯაჭვი მხოლოდ ალაგ-ალაგაა გაწყვეტილი ნათელი მოგონებებით, რომლებიც უწინარესად მშობლებსა და ოჯახურ წრეში გატარებული ყრმობის წლებს უკავშირდება. განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას გრიგოლ ღმრთისმეტყველს მშობელთა სახეების გახსენება ჰგვრის. „მამაჩემი, – წერს იგი, – მშვენიერი და ფრიად კეთილი მოხუცი იყო, ზნეკეთილი, ცხოვრებაში სამაგალითო, ჭეშმარიტი პატრიარქი, მეორე აბრაამი.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველად იგი მცდარ გზას ადგა, ხოლო შემდეგ ქრისტეს მეგობარი და მისი ერთ-ერთი მწყემსმთავარიც კი შეიქნა, – ნაზიანზის ეპისკოპოსი გახდა. სათნოებაში მეუღლეს ტოლს არ უდებდა ნონა, პირიქით, თავდაპირველად ღმრთისმოსაობით იგი ქმარს აღემატებოდა კიდეც, რადგანაც ქალი მხოლოდ სხეულით იყო, თორემ ზნითა და ჩვეულებებით მამაკაცებზე მაღლაც კი იდგა. დედის გონიერების დასადასტურებლად გრიგოლ ღმრთისმეტყველი მის მრავალ საუკეთესო თვისებათაგან იხსენებს ერთს, რომელიც თავმდაბლობაზე მეტყველებს. ნონას ღრმად სჯეროდა, რომ უმჯობესია ისიც კი დაფარო, რაც ცხადია, ვიდრე ლაპარაკის სიყვარულით გატაცებულმა იმით იყოყოჩო, რაც დაფარული უნდა იყოს. ამ გზაზე მას ხელმძღვანელობდა უდიდესი მოძღვარი – ღმრთის შიში.

ნონასა და გრიგოლს შვილი კარგა ხანს არ შეეძინათ. ნონამ, რომელსაც ძალიან უნდოდა ჰყოლოდა ვაჟიშვილი, სურვილის ასრულება ღმერთს სთხოვა და აღთქმა დადო, რომ მას უფალს მიუძღვნიდა. ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და ქალმა მომავალი შვილის სახე ჩვენებაში იხილა. ჩვენებიდანვე შეიტყო ისიც, თუ რომელი სახელი უნდა დაერქმია ვაჟიშვილისათვის. ამასთან დაკავშირებით გრიგოლ ღმრთისმეტყველი წერს: „თუ მე დედის მიერ მიცემული აღთქმის ღირსი ვარ, ეს წყალობაა – ღმრთისაგან ბოძებული, ხოლო უკეთუ აღთქმას არ შევეფერები, ეს უკვე ჩემი ცოდვაა“. მისი რწმენით, დედის აღთქმამ განსაზღვრა მისი უფროსი ვაჟიშვილის დამოკიდებულება საზოგადოებრივ ყოფასთან,

რომელშიც იგი თავს ყოველთვის უცხოდ გრძნობდა: „შევაბიჯებ თუ არა ცხოვრებაში, მისთვის მაშინვე უცხო ვხდები, გაუცხოებული კი მშვენივრად ვგრძნობ თავს, რადგანაც ღმრთისთვისა ვარ მიძღვნილი, ვითარცა კრავი ან საყვარელი ხბო, მსხვერპლი კეთილშობილი და გონიერი, როგორც ახალი სამუელი“.

ჩვილის სახვევებიდან მოყოლებული, იგი მშვენიერების სამეფოში იზრდებოდა, რადგან თვალწინ ჰყავდა ადამიანური სათნოების სრულყოფილი ნიმუშები – მშობლები. ამგვარი გარემოს წყალობით, ყრმობაშივე შეიძინა მოხუცთათვის დამახასიათებელი სიდინჯე. მისი გულმოდგინება საკუთარი თავის სრულყოფისათვის დღითიდღე იზრდებოდა, რაშიც ხელს უწყობდა საღმრთო წიგნების კითხვა, რომელიც დიდ სიხარულს ანიჭებდა. როცა ამ წლებს იხსენებს, გრიგოლ ნაზიანზელი ყოყმანობს, გაიხსენოს თუ არა ის სასწაულები, რომლითაც უფალი, მიიღო რა მისი ერთგულება კეთილ დასაწყისად, სამსახურისაკენ აქეზებდა. დაფარვა მათი უმადურობა იქნება, ხოლო გახსენება თავის მოწონების გარეშე არ გამოვაო, – წერს იგი და საბოლოოდ მაინც დუმილს ამჯობინებს, რადგან მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ თვითონ ახსოვდა და იცოდა ყოველივე.

განათლების მისაღებად იგი თავდაპირველად ალექსანდრიაში გაემგზავრა, ხოლო იქიდან ათენში, რომელიც თავისი სახელგანთქმული წარმართული აკადემიით მეოთხე საუკუნეშიც იზიდავდა ახალგაზრდებს. სამწუხაროდ დრო, რომელიც მან ათენში წასასვლელად შეარჩია, შეუფერებელი აღმოჩნდა ზღვით მოგზაურობისათვის. კუნძულ კვიპროსთან გამძვინვარებულმა ქარებმა ხომალდი ტალღებზე ნაფოტივით აათამაშეს. მიწა, ზღვა, ეთერი და ჩამობნელებული ზეცა ერთ ღამედ შეირწყაო, – იგონებს გრიგოლ ღმრთისმეტყველი. ხომალდის გარშემო წყალი კედლებად აღიმართა. ერთმანეთში აირია გემის მეპატრონეთა, მსახურთა და მგზავრთა ტირილნარევი ყვირილი. ყველანი, ისინიც კი, რომელთაც ადრე არ იცოდნენ ღმერთი, საშველად ქრისტეს მოუხმობდნენ, რადგანაც ყველაზე შთამაგონებელი გაკვეთილი სწორედ შიშია. როცა ხომალდი ძლიერი დარტყმებისაგან ორად გაიპო, მოულოდნელად მოვიდა ხსნა ფინიკიელი ვაჭრების სახით.

ფინიკიელებმა, თუმცა თავადაც შეშინებულნი იყვნენ, დასაღუპად განწირულთა ვედრებას ყური ათხოვეს და მგზავრები ჩასაძირად გამზადებული გემიდან თავიანთ ხომალდზე გადაიყვანეს. აბობოქრებული ზღვის მძვინვარება კიდევ მრავალი დღის განმავლობაში გაგრძელდა. არავინ იცოდა, საით მიცურავდნენ. ყველას ხორციელი სიკვდილისა ეშინოდა, გრიგოლ ღმრთისმეტყველისათვის კი განსაკუთრებით თავზარდამცემი სულიერი სიკვდილი იყო, რადგანაც შეიძლებოდა არასტუმართმოყვარე წყლის წყალობით იგი მოკლებოდა განმწმენდ წყალს, რომელიც მას ღმერთთან შეაერთებდა. აქ პოეტი ნათლობის განბანვას გულისხმობს: იგი ხომ ჯერ კიდევ მოუნათლავი იყო. ამ ქვეყნიდან მოუნათლავად წასვლის შიშმა მისი მწუხარება ისე გაამძაფრა, რომ მისმა სავედრებელმა ღაღადისმა ტალღების ხმაურიც კი დაფარა და რაც ძნელი დასაჯერებელია, სხვებს საკუთარი გასაჭირი დაავიწყა, მის ტანჯვას ყველა თანაგრძნობით მოეკიდა და მის ვედრებას თავისი ხმაც შეუერთა.

როცა უკვე ხსნის ყოველგვარი იმედი გადაიწურა, რადგან არსად ჩანდა არც ვარსკვლავები, არც ანთებული შუქურა და არც ხმელეთი, გრიგოლმა ძალა მოიკრიბა, სულიერი მზერა ქრისტესაკენ წარმართა და შეევედრა: „შენი ვიყავი ადრე და შენი ვარ ახლაც. როგორც ერთ-ერთს შენთვის ძვირფასი ძღვენიდან, შენ ორმხრივ მიმიღებ მე – ვითარცა ძღვენს ხმელეთისა და ზღვისა, განწმენდილს დედის აღთქმითა და უზომო შიშით. უკეთუ უდიდეს საფრთხეს თავს დავაღწევ, შენთვის ვიცხოვრებ, ხოლო თუ არ გადამარჩენ, დაკარგავ მსახურს. ახლაც შეშფოთებულია მოწაფე შენი, განმიფრთხე სიზმარი, ან კიდევ წყალდაწყალ მოდი და საფრთხეს ბოლო მოუღე“.

ამ ვედრებას შედეგად სასწაული მოჰყვა: აბობოქრებული ქარები ჩაწყნარდნენ, ზღვაც დამშვიდდა და ხომალდმაც რყევა შეწყვიტა. და რაც მთავარია, ამ სასწაულის შედეგად, ვინც კი ხომალდზე იყო, იქიდან ყველა ქრისტეს მიმართ მოწიწების გრძნობით გადმოვიდა.

ათენის აკადემიაში სწავლისას გრიგოლ ღმრთისმეტყველი გულმოდგინედ ცდილობდა პირველი ყოფილიყო იმათ შორის, რომელთაც იცოდნენ, თუ რა არის თვითონ პირველი. მაშინ, როცა მისი

ტოლები ახალგაზრდული ხალისით ეძლეოდნენ გართობას, იგი მშვიდსა და წყნარ ცხოვრებას ეწეოდა. ღმერთმა აქაც დააჯილდოვა, – მეგობრობით დააკავშირა კაცთან, რომელიც გონებითაც და ცხოვრების წესითაც ყველაზე მაღლა იდგა. ეს იყო ბასილი დიდი. როგორც გრიგოლ ნაზიანზელი წერს, მათ ჰქონდათ ერთი საერთო სული ორ სხეულში. ამ სულიერ ერთობას საფუძვლად მტკიცე რწმენა და სრულყოფისაკენ სწრაფვა ედო. როცა ერთმანეთის ნდობა მოიპოვეს და ერთმანეთს გულის ყველაზე ფარული ზრახვებიც კი გაუზიარეს, მაშინ შეაკავშირა ისინი სიყვარულმა. გრძნობათა ერთიანობამ და ორმხრივმა მიზიდულობამ ახალგაზრდები განუყრელი გახადა. მათთან დაახლოება იმპერიის ტახტის მემკვიდრემ იულიანემაც მოინდომა, მაგრამ მას უკვე ეტყობოდა განსაკუთრებით ძლიერი ლტოლვა წარმართობისაკენ, რის გამოც გრიგოლ ღმრთისმეტყველს მასთან გატარებული დრო დაკარგულად მიაჩნდა განსხვავებით ბასილი დიდისაგან, რომელიც მოთმინებით ცდილობდა განემარტა მისთვის წმიდა წერილი.

ამასობაში გრიგოლ ღმრთისმეტყველს 30 წელი შეუსრულდა. სწავლის წლებიც გაილია. განშორების დრო ახლოვდებოდა, პირველად ბასილი დიდი გაემგზავრა მშობლიურ ნეოკესარიაში. გრიგოლ ნაზიანზელი რამდენიმე ხანს კიდევ დარჩა ათენში, მაგრამ მეგობრის გარეშე გაუჭირდა და თუმცა ყველანი, უცნობებიცა და ნაცნობებიც, მასწავლებლებიცა და თანატოლებიც ერთხმად სთხოვდნენ ათენში დარჩენას, მაინც გადაწყვიტა მშობლიურ მხარეში დაბრუნებულიყო, რომელიც საოცარი ძალით იზიდავდა. ამიტომაც ათენის მაღალ საზოგადოებაში ტრიალსა და ორატორულ ხელოვნებაში პირველობას მშობლიურ სოფელში განმარტოება და სიბრძნისმოყვარეობისათვის თავის მიცემა ამჯობინა. სამშობლოში უხმობდნენ აგრეთვე დროითა და სიბერით დაშინებული მშობლებიც. გრიგოლ ღმრთისმეტყველი თაყვანისმცემელთა შიშით ათენიდან ფარულად გაემგზავრა. კაპადოკიაში დაბრუნებული იძულებული გახდა მომავალი ცხოვრების გზაზე დაფიქრებულიყო. მან, როგორც თვითონვე გვეუბნება, შინაგან სამსჯავროზე შეკრიბა მეგობრები, ანუ გულისმიერი ზრახვანი, – ეს ყველაზე სანდო მრჩევლები. როცა უკეთესთა შორის საუკეთესო გზას ეძე-

ბდა, მისი გონება საშინელმა მორევმა მოიცვა. ყოველი ხორციელი მიზანი და წადილი ღრმად რომ უნდა დაემარხა, ეს თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა შეუცდომლად აერჩია გზა, რომლითაც ღმრთის სამსახურს ყველაზე უკეთ შეძლებდა. „თუ რამეს შეიძლება შევადარო ჩემი მდგომარეობა, – წერს იგი, – მე ვგავდი ადამიანს, რომელსაც ჩაფიქრებული აქვს შორეული მოგზაურობა, მაგრამ გაურბის რა ზღვით გამგზავრებას, ეძებს გზას, რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნება“. ბოლოს და ბოლოს მისი არჩევანი საშუალო გზაზე შეჩერდა. მას შენიშნული ჰქონდა, რომ ადამიანები, რომელთაც სისხლსავსე, ქმედითი ცხოვრება მოსწონთ, სასარგებლონი არიან საზოგადოებისათვის, მაგრამ უსარგებლონი საკუთარი თავისათვის. ისინი ვერ ახერხებენ თავი აარიდონ ცხოვრებისაგან მიღებულ მრავალ წყენასა და ტკივილს, რის გამოც მათი რბილი ზნე მშფოთვარე ხდება; ხოლო რაც შეეხება სოფლისაგან განშორებულებს, – განდეგილებს, მათ ცხოვრება უკეთესად აქვთ მოწყობილი და გონებით ჭვრეტენ ღმერთს, მაგრამ სასარგებლონი მხოლოდ საკუთარი თავისთვის არიან. მათი სიყვარული ვიწრო წრეშია ჩაკეტილი, ხოლო ცხოვრება, რომელსაც ეწევიან, უჩვეულო და მკაცრია. აქედან გამომდინარე, გრიგოლ ღმრთისმეტყველმა გადაწყვიტა, საშუალო გზა აერჩია განდეგილთა და საზოგადოებაში მცხოვრებთა შორის; პირთველთაგან გონების კონცენტრირებისაკენ სწრაფვა ისესხა, ხოლო მეორეთაგან – მისწრაფება ყოფილიყვნენ სასარგებლონი საზოგადოებისათვის. ამგვარი გზის არჩევას ხელი შეუწყო ზრუნვამაც მოხუც მშობლებზე, რომელთა წინაშეც იგი ვალში იყო. ღმრთის მცნებათა მიხედვით ხომ ღმრთისმოსაობის ერთი ყველაზე ნათელი გამოხატულება მშობლების პატივისცემაა, რომელთაგან დავალებულნი ვართ იმით, რომ ღმერთს შევიცნობთ. გრიგოლ ნაზიანზელი უფრთხილდებოდა მათ სიბერეს, ხელით დაჰყავდა ისინი, რათა თავადაც ბედნიერი სიბერე ჰქონოდა. რაც შეეხება საეკლესიო კათედრას, იგი მას დიდ პატივად ეჩვენებოდა, დაახლოებით იმად, რაც მზის სხივია სუსტი თვალებისათვის, მაგრამ ადამიანს რომ არცერთ სერიოზულ საკითხზე გადაწყვეტით მსჯელობა არ შეუძლია, ამაზე გრიგოლ ნაზიანზე-

ლის ცხოვრებაც მეტყველებს. ჩვენს აღმაფრენებს თითქმის ყოველთვის გზას უღობავს მოშურნეობა. ის ასე მსჯელობდა თავის მომავალ ცხოვრებაზე და მამამისმაც, ნაზიანზის ეპისკოპოსმაც, ზუსტად იცოდა მისი შეხედულებანი, მაგრამ გაუგებარი მიზეზით, შესაძლოა, მამობრივი სიყვარულით წაქეზებულმა (ძალაუფლების მქონეთა სიყვარული ზოგჯერ მძლავრობს კიდეც), რათა შვილი სასულიერო ბორკილებით შეეკრა, მისი ნების წინააღმდეგ იგი მღვდლად აკურთხა. ამ იძულებისას გრიგოლ ღმრთისმეტყველმა დაივიწყა ყოველივე: მეგობრები, მშობლები, მამული და პონტოში წავიდა იმ იმედით, რომ ღმრთეებრივი მეგობარი განუკურნავდა მწუხარებას. ამ დროისათვის ბასილი დიდს პონტოში, საგვარეულო მამულში, უკვე დაარსებული ჰქონდა მონასტერი, სადაც იგი უფალთან თანაცხოვრებით რამდენიმე ძმასთან ერთად შრომობდა. ბოლოს მაინც დაბრუნდა ნაზიანზში, რადგან მამის მუდარის მიმართ გულგრილი ვერ დარჩა. ამის შემდეგ მას ახალი უბედურება დაატყდა თავს, გარდაეცვალა ძმა კესაროსი, რომელსაც სახელმწიფო ხაზინა ებარა. მიცვალებულის ქონებას მრავალი წაეპოტინა; შინაურები, უცხოები, მეგობრები ერთმანეთს ეცილებოდნენ მიტაცება-მისაკუთრებაში. როგორც პოეტი წერს, როცა მუხა დაეცემა, ვინ იტყვის უარს შეშის მარაგის დაგროვებაზე? მაგრამ განსაკუთრებული წყენა გრიგოლ ნაზიანზელს მაინც ბასილი დიდის საქციელმა მიაყენა. მან მამამისის მსგავსად მეგობრის სულიერ განწყობილებას ანგარიში არ გაუწია და კიდევ უფრო მძიმე ტვირთი აჰკიდა: სასიმაში ეპისკოპოსად აკურთხა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ჰქონდა მოსმენილი გრიგოლის სიტყვები: „ახლა ყველაფერი უნდა გადავიტანო, უარესიც რომ მოხდეს. ხოლო როცა ჩემი მშობლები აღარ იქნებიან, სრული შესაძლებლობა მაშინ მომეცემა, საქმენი დავტოვო და უსახლკარო ცხოვრებიდან თუნდაც ის სარგებლობა მოვიპოვო, რომ ყველა სხვა ადგილის მოქალაქე ადვილად გავხდე“.

სასიმაში გზა სამად იყოფოდა. როგორც გრიგოლ ნაზიანზელი აღწერს, ეს იყო უწყლო და ხრიოკი ადგილი, სადაც მიწა ბალახსაც კი არ აღმოაცენებდა, საშინლად მოსაწყენი და უფერული. სასიმაში ყოველთვის მტვრის ბუღი ტრიალებდა, გამუდმებით

ისმოდა ეტლების ბორბლების რახა-რუხი, ქვითინი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ერთმანეთში არეული ხმები. აი, ასეთ ქალაქში გაუშვა იგი ბასილი დიდმა იმ მიზნით, რომ ეს მხარე, რომელსაც არიოზის მიმდევარი იმპერატორის, ვალენტის წყალობით ართმევდნენ, სასიმაში ახალი საეპისკოპოსო კათედრის დაარსებით როგორმე შეენარჩუნებინა. როგორც ცნობილია, იმპერატორმა ვალენტიმ კაპადოკია ორ ნაწილად გაყო; ერთი ნაწილის მეტროპოლიად კესარია რჩებოდა, ხოლო მეორისა – ქალაქი ტიანა. ეს იყო მზაკვრული ხერხი, გამოყენებული კესარია-კაპადოკიის მართლმადიდებელი მიტროპოლიტის, ბასილი დიდის გავლენის სფეროს შესამცირებლად. ამიტომაც დასჭირდა ბასილს სასიმას საეპისკოპოსო კათედრის გახსნა, რათა ამ გზით მაინც გაეზარდა მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა რიცხვი კაპადოკიაში. გრიგოლ ღმრთისმეტყველზე ვერც მამის ვედრებამ იმოქმედა, იგი სასიმაში არ წასულა. მაშინ მამამ სთხოვა ნაზიანზის ეპარქიის მართვაში მაინც შეშველებოდა უკვე ღრმად მოხუცსა და დაუძლურებულს.

ამასობაში მშობლებიც გარდაეცვალნენ. მორწმუნეები ევედრებოდნენ წმინდა გრიგოლს მამის კათედრა დაეკავებინა ნაზიანზში; მცირე ხნით მან მართლაც იზრუნა ნაზიანზის სამწყსოზე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიც ეპისკოპოსებს ევედრებოდა დახმარება გაეწიათ მისთვის და ამ პატარა ქალაქის ეპისკოპოსად ვინმე აერჩიათ. თვითონ უარის ორ მიზეზს ასახელებდა: ჯერ ერთი, რომ იგი საჯარო განხილვის შედეგად არ იყო არჩეული და მეორეც, დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა განმარტოების მიზნით მეგობრებსაც გასცლოდა და საქმესაც. როცა დაინახა რომ არაფერი გამოუვიდა, სელევკიაში თეკლეს სახელგანთქმულ ტაძარს მიაშურა როგორც ლტოლვილმა იმ იმედით, რომ ამასობაში ნაზიანზელები დაიღლებოდნენ და ეპისკოპოსად სხვას აირჩევდნენ. შემდგომში კი ღმერთმა მისი ცხოვრების წარმართვა სულ სხვაგვარად ინება.

გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვით, ორი რომიდან პირველი კეთილ გზას დაადგა და მთელი დასავლეთი მხსნელი სიტყვით შეაკავშირა, ხოლო მეორე რომი, ანუ კონსტანტინეპოლი, რომელმაც თავდაპირველად სწორი გზა აირჩია, თავქარიანი და ყოველგვარი ბოროტებით აღსავსე ალექსანდრიიდან არიოზის საძაგელი

და ცრუ მოძღვრების მიღების შემდეგ უფსკრულისაკენ დაექანა. მიუხედავად ამისა, დედაქალაქში ჯერ კიდევ ბრწყინავდა ჭეშმარიტი რწმენა. მართალია, მორწმუნეთა რიცხვი მცირე იყო, მაგრამ უფალი ხომ სათვალავში არა სიმრავლეს, არამედ გულთა სიწმიდეს იღებს. სწორედ ამ ქალაქში გაიგზავნა სულიწმიდის მადლით წმინდა გრიგოლი. განმარტოებული სოფლური ცხოვრების მიუხედავად ამ დროისათვის გრიგოლ ნაზიანზელს უკვე ბევრი იცნობდა როგორც დიდებულ მჭევრმეტყველსა და მართლმადიდებლური რწმენის დამცველს. დედაქალაქში იგი მიიწვიეს დევნას გადარჩენილმა მართლმადიდებლებმა, როგორც სასულიერო, ასევე საერო წრიდან, რათა ღმრთისმოსაობის ნაკადებით გაეცოცხლებინა სულები, რომელთაც, უწყლობით ჭკნობაშეპარული ხეების მსგავსად, გახმობა ემუქრებოდათ. წმინდა მამას უნდა გაეწყვიტა ობობას ქსელი, ანუ მრავალი მიმოქცევის მქონე ჩახლართული სიტყვების ზეგავლენისაგან, რომელიც რწმენის უბრალოებას ანადგურებს, გაეთავისუფლებინა ადამიანები და განემტკიცებინა ისინი ჭეშმარიტი მოძღვრებით.

თავდაპირველად ქალაქი, რომლის მოსახლეობაც ძირითადად არიოზის მოძღვრებას მისდევდა, მტრულად შეხვდა წმიდა გრიგოლს. უბრალო ხალხის წარმოდგენაში იგი მრავალი ღმერთის მქადაგებელი იყო, რადგან ამ ხალხმა არ იცოდა, როგორ წარმოედგინა ერთი სამებად და სამება ერთად. რაც შეეხება კონსტანტინეპოლის მაღალ წრეს, მან კიდევ უფრო მტრული განწყობილება გამოამჟღავნა გრიგოლ ღმრთისმეტყველის მიმართ, რადგან უჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ ეს ღარიბი, მუდამ თავდახრილად მოსიარულე, ცუდად ჩაცმული, მოხეტიალე მოგზაური უპირატესობას მოიპოვებდა სიძლიერითა და სილამაზით გამორჩეულ ადამიანებთან შედარებით. მათგან თითქოს ასეთი სიტყვები ისმოდა: „ჩვენ ვპირფერობთ, შენ კი – არა; ჩვენ პატივს მაღალ სავარძლებს ვცემთ, შენ კი – ღმრთისმოშიშებას. ჩვენ დიდებული კერძები გვიყვარს, შენ კი - უბრალო, რომლის მთელი საკმაზი მხოლოდ მარილია და გძულს ქედმაღლობის სიმწარე. ჩვენ დროისა და ხალხის კაპრიზების მონები ვართ და საიდანაც ქარი დაუბერავს, იქითკენ მივიქცევით. ჩვენი მოძღვრება ქამელეონის

მსგავსია და მუდამ ახალ-ახალ ფერს იღებს, შენ კი უძრავი გრდემლი ხარ. როგორი სითავხედეა! თითქოს რწმენა ყოველთვის ერთი და იგივე იყოს! რატომ ზღუდავ ასე ჭეშმარიტების დოგმატს, მიგყავს რა ყოველივე ერთ მოსაწყენ ბილიკზე სიტყვისა“.

ქალაქის ამგვარ დახვედრას ის გულის გატეხაც დაემატა, რაც წმინდა გრიგოლს შედეგად ვიღაც მაქსიმთან მეგობრობამ მოუტანა. ამ სიცოფემდე ბოროტმა, წვრილფეხობიდან გამოსულმა თაღლითმა ღრმა ჭრილობა მიაყენა გრიგოლ ღმრთისმეტყველის მგრძნობიარე სულს. ამ კაცმა, რომლის მთელ ღირსებას, როგორც თავად წმიდა მამა წერს, ბუნებრივად ხუჭუჭა თმებისაგან ოსტატურად დახვეული კულულები შეადგენდა, ჩაიფიქრა ჩამოეგდო გრიგოლ ღმრთისმეტყველი იმ კათედრიდან, რომელიც მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული და როგორც ეს მახეთა გამოცდილ დამგებს შეეფერება, საქმე არა სხვების, არამედ თავად წმიდა გრიგოლის მეშვეობით წარმართა. ცხოვრობდა რა მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ, ყალბი აღტაცებით, რომელსაც იგი წმიდა გრიგოლის მართლმადიდებლური სწავლების მიმართ გამოხატავდა, ადვილად მოიპოვა მისი ნდობა. ბოლოს და ბოლოს მაქსიმმა თავისი ჩანაფიქრის დაფარვა ველარ შეძლო და მუცელი უცებ ცბიერი და ბოროტი სიძულვილით ასტკივდა, რის შედეგადაც ასპიტი დაბადა. და მაინც როგორ მოახერხა მან მომხრეების შეძენა გრიგოლ ღმრთისმეტყველის საწინააღმდეგოდ? ამ კითხვის პასუხად წმიდა მამა ოქროს ყოვლისშემძლეობაზე მიგვანიშნებს: „ერთმა მონადიმეთაგან თქვა, რომ ყველაზე მეუფებს ღვინო, მეორე ამტკიცებდა, რომ ქალები, ბრძენის აზრით კი – ჭეშმარიტება; ხოლო მე ოქროსაც დავუმატებდი, რადგან ძალაუფლება მასაც ეკუთვნის. იგი ყოველივეს ადვილად ამოძრავებს“. მოსყიდულმა მომხრეებმა საეკლესიო და საერო წრიდან მაქსიმს თმა შეკვეცეს და მწყემსად გამოაცხადეს. თმის შეკვეცამ, როგორც წმიდა გრიგოლი წერს, მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ განადგურდა გულმოდგინე შრომის ნაყოფი – კულულები და გამჟღავნდა თმების საიდუმლო, სახელდობრ, მასში თურმე, ისევე როგორც ბიბლიურ სამსონის თმებში, მთელი ძალა მაქსიმისა იმალებოდა. ქალაქში უკვე დაუფარავად ალაპარაკდნენ მაქსიმსა და მის საქმეებზე,

ისე რომ, ბოლოს თვალსაჩინოდ გამოიკვეთა წარმოსადეგი ფიგურა სრულყოფილი არამზადისა. როგორც მძიმე სენი ააშკარავებს იმ პატარ-პატარა სნეულებებს, რომელნიც ვიდრე ადამიანი ჯანმრთელი იყო, შეუმჩნეველი რჩებოდა, ასევე ამ უკანასკნელი აღმაშფოთებელი საქციელის წყალობით, გამომზეურდა ყველა ადრინდელი ბოროტი საქმე მაქსიმისა.

გრიგოლ ღმრთისმეტყველი წერს: „განა გუშინ იგი შენი მეგობრების რიცხვში არ იყო? განა გუშინ შენ ღირსად არ თვლიდი მას ყველაზე დიდი ქებისა? – შეუძლია მკითხოს ვინმემ. მართალიცაა, მე ვიყავი უვიცი, ღირსი საყვედურისა და მოტყუებული ვითარცა ადამი, რომელიც მწარე ხის გარეგნულმა მშვენიერებამ შეაცდინა. მე მომატყუა რწმენის ნიღაბმა, რომელსაც მის სახეზე ვხედავდი და თვალთმაქცურმა სიტყვებმა. ვინც მორწმუნეა, სხვის ღმრთისმოსაობასაც ადვილად იჯერებს, თუნდაც იგი თვალთმაქცი იყოს“.

როცა იესო ქრისტეს მტრებმა წმიდა მამასა და მაქსიმს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების შესახებ შეიტყვეს, გახარებულებმა ეს ფაქტი თვითონ გრიგოლ ღმრთისმეტყველის სწავლების დამხობად მიიჩნიეს, რამაც თმენის ღონე გამოულია მას და დედაქალაქის დატოვება გადააწყვეტინა. მთელი ამ ხნის მანძილზე გრიგოლ ნაზიანზელი კონსტანტინეპოლში ერთი კეთილმორწმუნე ნათესავის სახლში ცხოვრობდა, სადაც მისი ქადაგების მოსასმენად თავს იყრიდნენ ჭეშმარიტ სწავლებას მოწყურებული ადამიანები. ასე რომ, ბოლოს ეს სახლი სამლოცველოდ იქცა და მას ანასტასია უწოდეს, ნიშნად იმისა, რომ წმიდა მამის წარმოთქმული სიტყვების წყალობით აქ აღდგა და გაცოცხლდა მართლმადიდებლური რწმენა, დევნილი და შევიწროვებული არიოზის ერესის მიერ. მან ვეღარ შეძლო დაეფარა თავისი მრევლის წინაშე მძიმე განწყობილება და გამოსამშვიდობებელი სიტყვა წამოსცდა, რამაც ხალხი მიახვედრა, რას აპირებდა მისი საყვარელი მოძღვარი: „დაიცავით სამების ერთიანობა ისე, როგორც ეს საყვარელ შვილებს ყველაზე გულუხვმა მამამ გადმოგცათ და გახსოვდეთ, საყვარელნო, ჩემი შრომაც“.

ანასტასიასკენ, რომელსაც წმიდა მამა ნოეს კიდობანს ადარებს, რადგანაც „იგი ერთი გაექცა მსოფლიო წარღვნას და ახალი მართლმადიდებლური სამყაროს თესლი შეინარჩუნა“, ყოველი მხრი-

დან მოდიოდნენ ადამიანები, რომელთაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, არ გაეშვათ მოძღვარი. ტაძარი გაიჭედა, სიცხისაგან სუნთქვა ჭირდა, ბავშვები ტიროდნენ, საღამოვდებოდა. ყველა იფიცებოდა, რომ ვიდრე წმიდა მამისაგან სასურველ სიტყვას არ მოისმენდა, უკან არ დაიხევდა, თუნდაც ეს ტაძარი მშვენიერ კუბოდ გადაქცეოდა. ვიღაცამ წმიდა გრიგოლს მიმართა: „შენ შენი წასვლით გაანადგურებ ჩვენში წმიდა სამებას“. მაშინ გრიგოლ ღმრთისმეტყველი იძულებული გახდა შეპირებოდა ხალხს, რომ ქალაქში დარჩებოდა მანამ, სანამ არ ჩამოვიდოდა რამდენიმე ეპისკოპოსი, რომელთაც ელოდებოდნენ.

ამგვარი სიყვარული ხალხისა წმიდა მამამ მოიპოვა ჭეშმარიტი მოძღვრების შინაგანი ძალის გადმოცემის მშვიდი ფორმებით. იგი ყოველგვარი მტრული განწყობილების გარეშე, სიყვარულითა და არა სხვათა მიმართ გამოხატული საყვედურით ქადაგებდა მოძღვრებას წმიდა სამებაზე. ამასთან დაკავშირებით წერს: „ჩემს სიტყვებში მე ვიცავდი სიმშვიდესა და წესიერებას, როგორც დამცველი მშვიდი და თანამლმობელი სიტყვისა, რომელიც დარტყმას არავის აყენებს“. მას ჰქონდა ნათლად და მშვენივრად მოხაზული კანონი სწავლებისა, სახელდობრ: ღმრთისკენ მიმავალ ერთადერთ გზად არასოდეს უღიარებია ადვილად შესაძენი თვისება – ბოროტი ენამრავლობა; არ ლაპარაკობდა ამ თემაზე სანახაობებზე, ნადიმებსა და გასართობ ადგილებში, ამ საკითხებს არ ეხებოდა, აგრეთვე, თავხედური სიტყვებისაგან განუწმენდელი ენით და არც იმათთან საუბრობდა, რომელთა სმენაც წაბილწული და უცხო იყო ქრისტესათვის.. არამედ ღმრთისმოსაობას იგი სიტყვაზე მეტად მცნებათა აღსრულებით, ღატაკთა დაპურებით, მოგზაურთა მიღებით, ავადმყოფთა მოვლით, ფსალმუნების გალობით, ლოცვით, სულთქმით, ცრემლებით, შიშველ მიწაზე ძილით, მუცლის მოთოკვით, გრძნობათა ჩაკვლით ამტკიცებდა, რაც საბოლოო ჯამში ხორცზე სულის მეუფებას მოასწავებს.

მათ, ვისაც სურვილი გვაქვს ღმერთზე ვილაპარაკოთ, წმიდა მამა გვასწავლის: „ილაპარაკე, მაგრამ შიშით ილაპარაკე, მაგრამ არა ყოველთვის და არა ყველაფერზე, არა ყველასთან და არა ყოველ ადგილას. იცოდე, ვის, რამდენი, სად და როგორ ესაუბრო.

ყველა საგანს თავისი დრო აქვს, ხოლო ერთი ბრძენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაზე უკეთესია ზომიერება“.

ამასობაში, ვიდრე გრიგოლ ნაზიანზელი გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაკედონიიდან დედაქალაქში დაბრუნდა იმპერატორი თეოდოსი. მან წმიდა გრიგოლთან შეხვედრისას მის მიმართ დიდი პატივისცემა და კეთილგანწყობა გამოამჟღავნა და საუბარი შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „ჩემი მეშვეობით ღმერთი შენ ამ ტაძარს შენი ჯაფის საფასურად გაძლევს“. ასე რომ, გრიგოლ ღმრთისმეტყველის კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსად დადგენაში გადამწყვეტი როლი მართლმადიდებელი იმპერატორის მხარდაჭერამ შეასრულა. კეთილმორწმუნე თეოდოსი დიდის წყალობით, იმპერიის დედაქალაქში ბოლო მოეღო ერეტიკოსთა განუკითხავ ბატონობას, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა ტახტის მანამდელი მპყრობელების ხელშეწყობით.

დადგა დანიშნული დღეც წმიდა გრიგოლის ეპისკოპოსად ხელთდასხმისა. ტაძარი გარშემორტყმული იყო მეომრებით. ხალხი განუწყვეტლივ მოედინებოდა ტაძრისაკენ. ქუჩები და მოედნები მაყურებლებმა აავსეს. მართალია, დილა იყო, მაგრამ ქალაქზე თითქოს ისევ ღამე იწვა, რადგან მზის დისკოს სქელი ღრუბლები ფარავდნენ. ამგვარმა ამინდმა მტრების სიხარული გამოიწვია. მათი განმარტებით, პირქუში დღე იმაზე მეტყველებდა, რომ რაც ხდებოდა, ღმრთისთვის მიუღებელი და არასასურველი იყო. მაგრამ როცა წმიდა გრიგოლი და იმპერატორი საკურთხეველში შევიდნენ და ტაძარი ღმრთის ერთობლივი ქების ხმებმა აავსეს, უეცრად, უფლის ბრძანებით, ღრუბლები გაიპო და მზე გამობრწყინდა, მანამდე ჩამუქებული შენობა ელვისებურად გაბრწყინდა და ტაძარში ყველაფერმა ძველი სკინიის სახე მიიღო. ამ საოცარმა სანახაობამ გრიგოლ ღმრთისმეტყველს გამბედაობა და მხნეობა შეჰმატა, მის მომხრეებს ზეციური სიხარული აგრძნობინა, ხოლო მტრების უტიფრობა ძირშივე მოკვეთა.

გრიგოლ ნაზიანზელის კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ ქალაქი თითქოს დაწყნარდა და იმ დამარცხებულ გოლიათს დაემსგავსა, რომელიც ყრუ ჩივილს გამოსცემს. მწვალებლებთან ურთიერთობის თაობაზე წმიდა მამა წერს: „თუ

როგორ უნდა მოვქცეულიყავი ამგვარ შემთხვევაში მასწავლეთ თქვენ, ვინც ახლა მეუფებთ, თქვენ, კრებულმა ახალგაზრდებისა, რომელთა შორისაც სიმშვიდე სისუსტედაა მიჩნეული, ხოლო ავზნიანობა ვაჟკაცობად. მდგომარეობითა და ძალაუფლებით უნდა მესარგებლა და მძვინვარე მდევნელად გადავქცეულიყავი, თუ სამკურნალო საშუალებებით მემკურნალა? უკანასკნელი გზის არჩევა ორგვარ სარგებლობას მომცემდა, სახელდობრ, ჩემი ზომიერებით ისინიც ზომიერნი და მშვიდნი გამეხადა და ჩემი თავისთვისაც სახელი და კეთილგანწყობა მომეპოვებინა“.

იმის მაგალითად, თუ როგორ ინადირებდა იგი თვით მტრების გულსაც კი სიმშვიდითა და შენდობით, ასეთი შემთხვევა მოჰყავს: ერთხელ, როცა ავად იყო, მასთან უბრალო ხალხის წრიდან რამდენიმე კაცი მივიდა, რომელთაც თან ერთი ახალგაზრდა ახლდათ, გაფითრებული, თმააწეწილი და ღარიბული სამოსით შემოსილი. როცა მოსულებმა თავიანთი სათქმელი თქვეს და წავიდნენ, ახალგაზრდა თავდაპირველად უტყვ და უძრავ მთხოვნელად დარჩა, ხოლო შემდეგ წმიდა მამას ფეხებში ჩაუვარდა და მის თანაგრძნობით აღსავსე კითხვას – რა იყო მიზეზი მისი გასაჭირისა, ცრემლების ფრქვევითა და ხელების მტვრევით პასუხობდა. როცა მისმა უბედურებამ წმიდა გრიგოლიც აატირა, მაშინ ახალგაზრდა მოაშორეს და აუხსნეს, რომ მის წინაშე არიოზელებისაგან მიგზავნილი მკვლელი იდგა. წამებულმა სინდისმა მკვლელი გრიგოლ ღმრთისმეტყველთან მიიყვანა და საკუთარი თავის კეთილშობილმა ბრალმდებელმა სისხლის ფასად ცრემლები მიუტანა. წმიდა მამამ დიდსულოვნად შეუნდო ცოდვა.

381 წელს კონსტანტინეპოლში მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიეს. კრებას თავდაპირველად ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი მელეტი თავმჯდომარეობდა, ხოლო მელეტის გარდაცვალების შემდეგ – წმიდა გრიგოლი. ეკლესიის ერთიანობის შესანარჩუნებლად ანტიოქიის მთავარეპისკოპოსის ტახტზე გრიგოლ ნაზიანზელმა მხარი დაუჭირა პავლინეს, რომელსაც ჯერ კიდევ მელეტის სიცოცხლეში ანტიოქიის მწყემსმთავრად თვლიდა დასავლეთის ეკლესია. განხეთქილების თაობაზე, რომელიც ანტიოქიაში ორი მთავარეპისკოპოსის არსებობამ განაპირობა, წმიდა

გრიგოლმა ამგვარად მიმართა შეკრებილ მწყემსმთავრებს: „მე მეჩვენება, მეგობრებო, რომ თქვენ თანაბრად ვერ წვდებით საქმეს და გსურთ, რომ ჩემი სიტყვა ეხებოდეს არა სახელდობრ იმას, რაზეც ჩვენ ახლა უნდა ვიმსჯელოთ, არამედ რაც შეიძლება შორს გადავიხაროთ უცილობელი საკითხისაგან. თქვენ მხოლოდ ერთ ქალაქზე (ანტიოქიაზე) მსჯელობთ და ამას იმიტომ აკეთებთ, რომ კამათი კიდევ უფრო გაიზარდოს. აი, მიზანი, რომლის მიღწევაც გინდათ და რისთვისაც გჭირდებათ ჩემი დახმარება. მაგრამ მე სიტყვა ბევრად უფრო დიდსა და მნიშვნელოვან საქმეზე მაქვს. ხედავთ დიდ წრეს მიწისას – სფეროს, უფლის ძვირფასი სისხლის ნაკადებით აღბეჭდილს? ვინც ეწამა ვითარცა კაცი და თავი თვისი მისცა ჩვენს გამოსასყიდად, ხედავთ დედამიწის სფეროს, განწმენდილს სხვა მრავალი მეორადი მსხვერპლითაც? ახლა იგი ორი ანგელოზის (ასე ვუწოდებ) წყალობით ირყევა, მაგრამ არც ისინი (და ამას ვამბობ მწუხარებით) არ არიან ღირსნი ასეთი პატივისა, პირიქით, რამდენადაც ისინი ანგელოზები არიან, იმდენად უფრო არ იმსახურებენ იმას, მათ გამო ვიჩხუბოთ და ცუდად მოვიქცეთ. სანამ ღმრთეებრივი ეპისკოპოსი (ე. ი. მელეტი) ცოცხალი იყო, უცნობი რჩებოდა, მიიღებდა თუ არა მას ოდესმე დასავლეთის ეპისკოპოსები, აქამდე მის საწინააღმდეგოდ განწყობილნი. ახლა, როცა უკვე ქარიშხალი ჩადგა და ღმერთმა თავის ეკლესიას სიმშვიდე მისცა, რა არის საჭირო? მიიღეთ ჩემი კეთილგონივრული წინადადება, რომელიც ახალგაზრდების სიბრძნეს აღემატება, რადგან ჩვენ ბებრებს ვერ დაგვარწმუნებს მათი მგზნებარება, რომელიც ყოველთვის უთმობს უპირატესობას ამაო დიდების სურვილს. დაე, ტახტი გადაეცეს იმას, ვისაც იგი აქამდე ეკუთვნოდა... დადგა გადამწყვეტი წუთი, ან მომავლისათვის უნდა შევინახოთ ჩვენი წმიდა დოგმატი, ან კიდევ იგი განხეთქილებისაგან უნდა დაეცეს... დაე, გაიმარჯვონ ჩვენზე მცირედში, რათა ჩვენ თვითონ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვოთ, – გადავრჩეთ ღმრთისთვის და გადავარჩინოთ სამყარო, რომელსაც ჩვენ საზიანოდ ვლუპავთ. ყველა გამარჯვებას როდი მოაქვს დიდება. კეთილად მოკლება კი უკეთესია ცუდად შეძენაზე“.

სამწუხაროდ გრიგოლ ღმრთისმეტყველის შთაგონებულმა

სიტყვამ კრების მონაწილე აღმოსავლეთის ეპისკოპოსებზე ვერ მოახდინა შესაფერისი გავლენა და მათ ეკლესიის ერთიანობაზე ზრუნვის ამაო პატივმოყვარეობაზე მაღლა დაყენება ვერ შეძლეს.

სამაგიეროდ კრებაზე ეპისკოპოსებმა გადაწყვიტეს, რომ წმიდა გრიგოლს არ შეიძლებოდა დამტკიცებოდა კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის ტახტი, რადგანაც იგი, გარდა იმისა, რომ სასიმას ეპისკოპოსი იყო, ეპისკოპოსთა თანხმობის გარეშე, იმპერატორის მიერ იყო დანიშნული. როგორც კი ეს საკითხი წამოიჭრა, წმიდა გრიგოლმა შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას: „ქრისტეს ეკლესიის მწყემსნო! არ გმართებთ კამათი ჩემ გამო, რადგანაც უკეთესი როდი ვარ იონა წინასწარმეტყველზე – გადამაგდეთ მე ზღვაში, ოღონდ კი თქვენ შორის მშვიდობა სუფევდეს“.

წმიდა გრიგოლმა კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის ტახტიდან წასვლის ნებართვა სთხოვა იმპერატორს, გამოეთხოვა თავის სამწყსოს და კაპადოკიაში დაბრუნდა. პირველად იგი ნაზიანზში ჩავიდა იქაური ეკლესიის საქმეთა მოსაწესრიგებლად, შემდეგ კესარიაში, სადაც გარდაცვლილი მეგობრის, ბასილი დიდის შესაქებად წარმოთქვა სიტყვა, რომელიც არა მხოლოდ მისი, არამედ საერთოდ ქრისტიანული რიტორიკის მშვენებას წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავთ, რომ მისი თხზულებებიდან ქრისტიანული მოძღვრების ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა იმპერატორი იულიანე განდგომილის წინააღმდეგ წარმოთქმულმა ორმა სიტყვამ, ხუთმა სიტყვამ ღმრთისმეტყველებაზე, რომლებშიც არიოზელთა საწინააღმდეგოდ ქრისტეზე ჭეშმარიტი სწავლებაა გადმოცემული და რომელთა გამოც იგი ეკლესიამ ღმრთისმეტყველის წოდებით პატივდებულყო, დოგმატური შინაარსის ქადაგებანი და სასულიერო პოეზია.

საბოლოოდ გრიგოლი თავის მშობლიურ სოფელში, არიანზში, მამისეულ პატარა სახლში განმარტოვდა, რომელსაც გარს ხშირი და ჩრდილმრავალი ბაღი ერტყა. წმ. გრიგოლმა თავისი სიცოცხლის ბოლო რვა წელი ამ წყნარსა და სოფლის ამაო ხმაურისაგან მოშორებულ სავანეში გაატარა, და აქვე შექმნა თავის პოეტურ ქმნილებათა დიდი ნაწილი.

389 წლის 25 იანვარს გრიგოლი აღესრულა.

წმიდა გრიგოლ ნოსელი

წმიდა გრიგოლ ნოსელი დიდი ბასილის უმცროსი ძმა იყო. მისი სიყმაწვილის წლებზე თითქმის არაფერია ცნობილი, ხოლო დაბადების თარიღად დაახლოებით 332 წელი შეიძლება ვივარაუდოთ. განსხვავებით ბასილისაგან, როგორც ჩანს, გრიგოლმა განათლება მხოლოდ სამშობლოში მიიღო. გრიგოლი ძმას, ბასილს, რომელმაც განსაკუთრებით რიტორიკა შეასწავლა, თავის მასწავლებელს უწოდებდა და მოციქულებისა და წინასწარმეტყველებებისგან არ განასხვავებდა.[53] იგი თავის დამრიგებელთა შორის, გარდა ბასილისა, განსაკუთრებული მადლიერებით თავის დას მაკრინეს იხსენიებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გრიგოლი მშობლიურ სახლში ასკეტური და, ამასთანავე, მაღალკულტურული ატმოსფეროთი იყო გარემოცული.

მისი განსწავლის წლებზე, მწირი ცნობების გამო, საუბარი ძნელია, მაგრამ იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ მას შემდეგ, რაც ეკლესიაში წიგნის მკითხველის წოდება მიიღო და მჭევრმეტყველების მასწავლებელი გახდა, ფილოსოფიისა და წარმართული ლიტერატურის შესწავლამ მეტისმეტად გაიტაცა. ეს გატაცება იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის მეგობრული საყვედურიც კი დაიმსახურა.[54] გრიგოლისა და ბასილის ხელშეწყობით, გრიგოლმა ორიგენეს, ფილონის, თეოგნოსტეს თხზულებათა ზეგავლენითა და, საერთოდ, გარეშე სიბრძნით გამოწვეული ცდუნება შეგნებულად დაძლია და ისევ საეკლესიო მსახურებას დაუბრუნდა.

ამის შემდეგ იგი მალე დაქორწინდა, მაგრამ ქალწულებრივსა და ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. ერთხანს, ალბათ, მდ. ირისის სანაპიროზე წმ. ბასილის მონასტერშიც მოღვაწეობდა. მალე გრიგოლი უფროსმა ძმამ, კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსმა ქალაქ ნისის ეპისკოპოსად აკურთხა. ამ დროს მომძლავრებულ ერესებთან ბრძოლაში გრიგოლი ძმას არა როგორც მოღვაწე, არამედ როგორც მწერალი და ღმრთისმეტყველი ეხმარებოდა. დოგმატური საკითხების გარშემო ატეხილ ბრძოლაში აქტიურად ჩაბმამ იგი დევნილად აქცია.

---

[53] **PG, t. XLVI, Epist. XIII.**

[54] **Gregor. Naz. Epist. XLIII.**

375 წელს კაპადოკიის ნაცვალის, დემოსთენეს ბრძანებით, ნისის ეპისკოპოსი დააპატიმრეს. მაგრამ იგი მცველებს გაექცა და მის საყვარელ სამწყსოს მხოლოდ სამი წლის დევნულების შემდეგ, 379 წელს, იმპერატორი ვალენტის სიკვდილისთანავე დაუბრუნდა. მანამდე იგი დაუსწრებლად გაასამართლეს და, საეკლესიო ქონების გაფლანგვისა და უკანონო ხელთდასმის ბრალდებით, ხარისხიც ჩამოართვეს.

მალე ბასილი გარდაიცვალა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ეს ქვეყანა მაკრინემაც დატოვა. გრიგოლს მათი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება მძიმე ტვირთად დააწვა, მაგრამ ეკლესიის წინაშე პასუხისმგებლობამ აიძულა თავისი დიდი ძმის მემკვიდრეობის დაცვა ეკისრა და მისი დაუმთავრებელი ლიტერატურული შრომებისათვის მოეკიდა ხელი, – ეს საქმე „ექვთა დღეთასა“ და ევნომიოსის პოლემიკასთან იყო დაკავშირებული.

ანტიოქიის 379 წლის კრებამ გრიგოლ ნოსელს არაბეთის ეკლესიების მოხილვა დაავალა, რადგან არსებობდა ცნობები იქ გავრცელებული არასწორი სარწმუნოებრივი სწავლებებისა და წესჩვეულებების შესახებ. შესაძლოა, გრიგოლი სწორედ ამ დროს ეწვია წმინდა მიწას, საიდანაც მძიმე შთაბეჭდილებებით დაბრუნდა. ერთი მხრივ, ამას განაპირობებდა პალესტინის სამწყსოს ზნეობრივი მდგომარეობა, რომელსაც, წმიდა კირილეს გადასახლების გამო, რომელიც 13 წელი გაგრძელდა, მწყემსი არ ჰყავდა, მეორე მხრივ კი, იგი არ იწონებდა ჩვეულებას, განსაკუთრებით ქალთათვის, რომელიც წმიდა მიწის მოლოცვას უკავშირდებოდა. პირველ ყოვლისა, მას ეს ჩვეულება სიწმიდისა და უბიწოების მოსალოდნელი ხელყოფის გამო არ მოსწონდა, რადგან, წმიდა გრიგოლის აზრით, ასეთი მოგზაურობისას ეს საშიშროება რეალურად არსებობდა. გარდა პალესტინაში შექმნილი მდგომარეობისა, იგი სხვა მიზეზებზეც მიუთითებდა: „რატომ უნდა ვცდილობდეთ იმის გაკეთებას, რაც არც ნეტარად გვაქცევს და არც ცათა სასუფეველთან დაგვაახლოვებს? უფალს ხომ მცნებად არ მოუცია იერუსალიმში მოგზაურობა, როგორც კეთილი საქმე... ადგილის შეცვლა ღმერთთან არ გვაახლოებს. სადაც არ უნდა იყო, ღმერთი შენთან მოვა, თუ შენი სულის სავანე ისეთია, რომ უფალს მასში დამკვიდრება შეეძლება... ხოლო თუ შენი შინაგანი კაცი ბოროტი ზრახვებითაა სავსე, გინდ გოლგოთაზე ახ-

ვიდე და გინდ ზეთისხილის მთაზე, ანდა აღდგომის ძეგლთან, – შენ ისევე შორს დარჩები ქრისტეს მიღებისგან, როგორც ის, ვისაც რწმენის დასაბამიც არ აღუარებია“. ახალს რას გაიგებ იერუსალიმში, – კითხულობს გრიგოლი. „განცხადებული ქრისტე რომ ჭეშმარიტი ღმერთი იყო, – ამას ჩვენ ვაღიარებდით მანამდე, სანამ ადგილზე ჩავიდოდით და ამის შემდეგ ეს რწმენა არც შემცირებულა და არც გაზრდილა“. მსგავსი მსჯელობანი დამახასიათებელია ნისის ეპისკოპოსისათვის. მისი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია „სხეულიდან ვიმოგზაუროთ უფლისაკენ, ვიდრე კაპადოკიიდან პალესტინაში“. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი უწმიდესობის, ილია II სიტყვები: ჩვენი იერუსალიმი საქართველოშიაო.

გრიგოლ ნოსელმა მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაში, რომელი 381 წელს კონსტანტინეპოლში გაიმართა. კრების მონაწილეთა შორის იგი დიდი პატივისცემითა და გავლენით სარგებლობდა, რაც მისი სახელგანთქმული დოგმატური ხასიათის თხზულებებით იყო განპირობებული. გრიგოლი კონსტანტინეპოლის 382 და 383 წლების ადგილობრივ კრებებსაც ესწრებოდა და აქტიურად იცავდა ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდეს არიოზელთა შემოტევებისაგან. აქვე დაუახლოვდა იგი წმიდა იოანე ოქროპირის ცნობილ სულიერ მეგობარს, წმიდა დიაკონისა ოლიმპიადას. წმიდა გრიგოლი 394 წელს გამართულ კრებასაც ესწრებოდა, რომელიც არაბეთის ეკლესიის საქმეების განხილვას მიეძღვნა. ეს მისი ცხოვრების შესახებ ბოლო ცნობაა. როგორც ჩანს, ამის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა.

წმიდა გრიგოლმა მრავალი დოგმატური, ეგზეგეტური და ზნეობრივი შინაარსის თხზულება დაგვიტოვა. რაც შეეხება მხატვრულ მხარეს, მისი სიტყვები არ არის ისე დიდებული, როგორც ბასილი დიდისა და არც ისე ამაღლებული და ზუსტი, როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, მაგრამ, როგორც პატრიარქი ფოტიოსი ამბობს, გრიგოლის მჭევრმეტყველება „ფრიად ტკბილი, ბრწყინვალეა და სმენას სასიამოვნოდ ხიბლავს“. მისი ორატორული ტალანტი განსაკუთრებით ჩანს მელეტი ანტიოქიელის, ბასილი დიდისა და მაკრინეს საფლავსა ზედა წარმოთქმულ სიტყვებსა და ეფრემ ასურის, გრიგოლ საკვირველთმოქმედის, თეოდორე

ტირონის, 40 სებასტიელი მოწამისა და პირველმოწამე სტეფანესადმი მიძღვნილ შესხმებში.

გრიგოლის დოგმატური თხზულებებიდან საუკეთესოა 12 სიტყვა ევნომიოსის წინააღმდეგ და კატეხიზმო. წიგნებში ევნომიოსის წინააღმდეგ იმდენად გამოწვლილვითაა განხილული ცნობილი ერეტიკოსის ყველა ცდომილება, რომ იგი ამ საკითხზე დაწერილ თხზულებათა შორის საუკეთესოდაა მიჩნეული. მასვე ეკუთვნის ანტიერეტიკული თხზულება აპოლინარის წინააღმდეგ – ყველაზე საყურადღებო და გონივრული გარჩევა აპოლინარის სწავლებისა.

სამყაროსა და ადამიანის შექმნაზე წმიდა გრიგოლი მსჯელობს თხზულებებში: ა) „ექვსთა დღეთათვის“, რომელშიც გაცემულია პასუხი იმ საკითხებზე, რომელთა განხილვაც ბასილი დიდმა თავის ჰომილიებში ვერ მოასწრო. ამ შესანიშნავ თხზულებაში კარგად ჩანს არა მხოლოდ გრიგოლის ღრმა ცოდნა ძველი ფილოსოფიისა, არამედ მისი ფილოსოფიურ-ღმრთისმეტყველური აზრების ორიგინალობაც; ბ) „მანიქეველთა წინააღმდეგ“; გ) „ბედის შესახებ“; დ) „კაცისა შესაქმისათვის“, რომელიც აზროვნების სიღრმითა და ამაღლებულობით გამოირჩევა.

ასევე შესანიშნავია მისი გამოკვლევა უნათლავად გარდაცვლილ ყრმათა შესახებ და თხზულება სულსა და აღდგომაზე.

წმიდა გრიგოლი თავის დოგმატურ თხზულებებში ყოველი საგნის განმარტებას უპირატესად ფილოსოფიურად ცდილობდა, რათა ისინი გონებისათვის უფრო გასაგები გაეხადა.

გრიგოლ ნოსელმა რამდენიმე თხზულება წმიდა წერილის განმარტებასაც მიუძღვნა, მაგრამ ისინი უფრო ღმრთივშთაგონებულ სწავლებაში გონებრივ ჩაღრმავებებს წარმოადგენენ, ვიდრე მათ უშუალო კომენტარებს. მაგალითად, საუბრებში ეკლესიასტეზე, რომლებშიც ამ წიგნის მხოლოდ სამი თავია განმარტებული, შესანიშნავი დარიგებებია მოცემული სათნოებათა, ცოდვებისა და მათ მოქმედებათა შესახებ. რაც შეეხება „ქებათა ქების“ განმარტებას, იგი მას გაფრთხილებით იწყებს, რომ ეს წიგნი მხოლოდ იმათ უნდა წაიკითხონ, რომელთაც წმიდა და მიწიერი სიყვარულისაგან თავისუფალი გული აქვთ. როგორც გრიგოლი განმარტავს: „ქებაში აღწერილია საქორწინო წესი, მაგრამ, რა-

საკვირველია, მასში ღმერთთან სულის კავშირი იგულისხმება“.

გრიგოლ ნოსელი ბევრ დარიგებას წერდა კეთილმსახურებით ცხოვრებაზე. ასეთი შინაარსისაა: სამი გამოკვლევა ქრისტიანულ სრულყოფილებაზე, რომელშიც მოთხრობილია ქრისტიანის მოვალეობასა, სრულყოფილების მიღწევის გზებსა და ცხოვრების მიზანზე. მოსეს ცხოვრებაში მოსეს მაგალითზე ნაჩვენებია სათნოებანი ქრისტიანისა. მას რამდენადმე ჰგავს „ცხოვრება წმიდა გრიგოლ საკვირველთმოქმედისა“ და „ცხოვრება წმიდისა მაკრინესი“.

გრიგოლს მრავალი სწავლება აქვს, აგრეთვე, სხვადასხვა ზნეობრივ საკითხზე: გლახაკთმოყვარებაზე, ნათლისღებაზე, ქალწულობაზე და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იერუსალიმში მოგზაურობაზე, რომელიც ისე არ უნდა გავიგოთ, რომ წმიდა მამა საერთოდ კეთილმსახურების მიზნით მოგზაურობის წინააღმდეგი იყო.

დაბოლოს, წმიდა გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან ცალკე აღნიშვნის ღირსია კანონიკური ეპისტოლე ლიტო[ი] მელიტინელის მიმართ, რომელიც დიდი სჯულის კანონშია შეტანილი. მასში სულიერ მდგომარეობათა განხილვასთან ერთად მოცემულია ცოდვათა შესაბამისი ეპიტიმიის ხარისხები, რომელთა ხანგრძლივობას განსაკურნებლის ნება ანუ სინანულის თვისება განსაზღვრავს.

მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება

მეორე მსოფლიო კრების შესახებ, რომელიც კონსტანტინეპოლში 381 წელს გაიმართა, მეტისმეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება; რაც მთავარია, ჩვენამდე არ მოღწეულა ამ კრების აქტები და ოქმები, რომელნიც, როგორც ვარაუდობენ, შეიძლება არც თავიდან არსებობდა.[55] ამიტომაც იმ ძუნწი ცნობების ანალიზით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომელთაც V საუკუნის ისტორიკოსები იძლევიან და თავის ავტობიოგრაფიულ თხზზულებებში გრიგოლ ღმრთისმეტყველი გვაწვდის, ვინც ამ კრების მონაწილე იყო. ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ კრების მუშაობაზე მეტყველებს და მის შედეგს წარმოაჩენს, რწმენის სიმბოლოა, რომელიც ეკლესიის ისტორიაში ნიკეა-კონსტანტინეპოლის

[55] **А. П. Лебедев, Вселенские Соборы IV и V веков, Сергиев Посад, 1896, გვ. 111.**

სიმბოლოს სახელითაა ცნობილი. ნიკეისა და კონსტანტინეპოლის სიმბოლოებს შორის შედარებითი ანალიზის წარმოსაჩენად, ამ უკანასკნელს სრულად წარმოვადგენთ. სიახლენი, რომელიც ნიკეის სარწმუნოებრივ აღმსარებლობაში მეორე მსოფლიო კრების წმინდა მამებმა შეიტანეს, შავი შრიფტით იქნება გამოყოფილი:

მრწამს ერთი ღმერთი, მამაჲ ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი **ცათა და ქუეყანისაჲ**, ხილულთა ყოველთა და არახილულთაჲ,

და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისაჲ მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი **უწინარეს ყოველთა საუკუნეთა**, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნული, ერთარსი მამისაჲ, რომლისა მიერ ყოველივე შეიქმნა,

რომელი ჩუენთჳს, კაცთათჳს, და ჩუენისა ცხორებისათჳს გარდამოჴდა ზეცით და ხორცნი შეისხნა **სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა** და განკაცნა,

და ჯუარს ეცუა ჩუენთჳს პონტოელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა,

და აღდგა მესამესა დღესა **მსგავსად წერილისა**,

და ამაღლდა ზეცად **და დაჯდა მარჯუენით მამისა,**

და კუალად მოვალს **დიდებით** განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა **სუფევისაჲ არა არს დასასრულ**,

და სული წმიდაჲ, **უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინაწარმეტყუელთა მიერ,**

და ერთი წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულოჲ ეკლესიაჲ.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა,

მოველი აღდგომასა მკუდრეთით

და ცხორებასა მერმისა საუკუნოჲსა, ამინ.

როგორც ვხედავთ, კონსტანტინეპოლის სიმბოლოს პირველ მუხლში ჩამატებულია **ცათა და ქუეყანისა**, რაც მასში გადმოცემულ სწავლებას სიცხადეს ანიჭებს.

საჭირო რედაქციული ცვლილება განიცადა სწავლებამ ძე ღმერთზე, რადგან მისგან, რაც ზედმეტი იყო ამოიღეს, ხოლო აუცილებელი დაამატეს. მაგალითად, მეორე მუხლიდან ამოიღეს **ღმერთი ღმრთისაგან**, რადგან აზრობრივად იგივეობრია სიტყვები-

სა – **ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა**. ასევე ზედმეტად იქნა მიჩნეული და ამოღებული **ცასა და ქვეყანასა ზედა**, რადგანაც მოსდევდა გამოთქმას, რომლისაგან (ე. ი. ძისაგან) **ყოველივე შეიქმნა** და რომელიც აზრს მათ გარეშეც სრულყოფილად გამოხატავს. ნიკეის სიმბოლოს სიტყვები – შობილი **მამის არსებისაგან** – შეიცვალა ამგვარად: **მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა**, რაც ნიკეის მრწამსზე უკეთ წარმოაჩენს, რომ ძის დაბადებას დროში დასაბამი არა აქვს. III–VII მუხლებში ჩამატებული ადგილები ემსახურება ღმერთკაცის ხორციელი ბუნების, რაც შეიძლება, ნათლად გამოხატვას, საწინააღმდეგოდ მარკელისა და აპოლინარის სწავლებისა, რომლის მიხედვითაც, ძე ღმრთისა მოჩვენებითად განკაცდა.

სულიწმიდის შესახებ ნიკეის სიმბოლოში მხოლოდ მისი არსებობის რწმენა იყო წარმოდგენილი: (მრწამს) **სული წმიდა**; დანარჩენი სწავლება, – მისი ცხოველსმყოფელობის, მამისგან გამომავლობისა და მამისა და ძის თანასწორი დიდებისა და თაყვანისცემის შესახებ – მეორე მსოფლიო კრებამ ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველის, ათანასე დიდისა და გრიგოლ ნოსელის სწავლებათა საფუძველზე ჩაამატა.

ნიკეის რწმენის სიმბოლოს რედაქციული შევსება-დახვეწის შედეგად მივიღეთ მრწამსი, რომელშიც უკვე საბოლოოდ დადგინდა და სრულყოფილად გადმოიცა დოგმატური სწავლება ერთარსება სამპიროვან, ყოვლის შემოქმედ ღმერთზე. ამდენად, მეორე მსოფლიო კრების დამსახურება ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში განუზომლად დიდი და მნიშვნელოვანია.

კრებაზე განვითარებული დანარჩენი მოვლენებიდან სამის გამოყოფა შეიძლება, რომელთაგან ყურადღება უწინარესად კრებაზე მაკედონიოსელთა გამოჩენას უნდა მივაქციოთ. მიმდევრები მაკედონიოსის ერესისა, რომელიც ასწავლიდა, რომ „ძე მსგავსია მამისა, ხოლო სულიწმიდა ქმნილებაა“, საკმაოდ მრავლად იყვნენ კონსტანტინეპოლში, თრაკიაში, ბითვინიაში, ჰელესპონტში, ისავრიაში და ა. შ.[56] ერთხანს, თვით არიოზელთა შორის ჩამოვარდნილი შფოთისა და განხეთქილების გამო, მათ ტერმინის

[56] **Сократ, Церковная история IV, 4, 12.**

– **ერთარსი** მიღება და ეკლესიაში დაბრუნება გადაწყვიტეს და ეს გადაწყვეტილება რომის პაპს, ლიბერიუსსაც აცნობეს. პაპი სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს, მაგრამ აღდგენილი ერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გაურკვეველი მიზეზების გამო მაკედონიოსის მიმდევრებმა ხელახლა უარყვეს არა მხოლოდ ტერმინი **ერთარსი**, არამედ საერთოდ ნიკეის მრწამსი.[57]

შესაძლებელია, მათი მერყეობიდან გამომდინარე, მეორე მსოფლიო კრების მამებს მაკედონიოსელთა ეკლესიასთან შემოერთების იმედი გაუჩნდათ და კრებაზეც ამიტომ გამოიძახეს, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. მაკედონიოსის მიმდევრებმა ისევ უარი თქვეს მიღებაზე ტერმინისა **ერთარსი**, თუმცა, როგორც ჩანს, დანარჩენ საკითხებზე კრების მიერ გამოტანილ დასკვნებს დაეთანხმნენ.[58]

ასევე, კრებაზე ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ანტიოქიის საეპისკოპოსო კათედრაზე ეპისკოპოსის დადგინება უნდა ყოფილიყო. როგორც უკვე ვიცით, ანტიოქიის კათედრაზე 60-იანი წლების დასაწყისში ერთდროულად ორი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი აღმოჩნდა: მელეტი და პავლინე, რომელსაც ანტიოქიის მწყემსმთავრად ხელნი სარდინიის ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა ლუციფერმა დაასხა; ამიტომაც უჭერდა მას მხარს დასავლეთი, რასაც ვერ ვიტყვით თავად ანტიოქიაზე, სადაც მის მხარდამჭერთა რიცხვი არც ისე ბევრი იყო.[59]

რაც შეეხება მელეტის, თავდაპირველად იგი არიოზის ერესით დასნეულდა და სელევკიაში გამართულ კრებაზე არიოზულ მრწამსს მოაწერა ხელი, რაც არიოზელებმა დაუფასეს და სამწყემსთავროდ ანტიოქია უბოძეს, მაგრამ მელეტიმ მათ იმედები ვერ გაუმართლა. მართალია, იგი თანდათანობით, მაგრამ საბოლოოდ განიკურნა ერესისაგან და ბასილი დიდის მეგობრობაც დაიმსახურა. ამ ფაქტმა ეჭვი მისი მართლმორწმუნეობის შესახებ სრულიად გააქარწყლა. ასე რომ, მეორე მსოფლიო კრების დროისათვის იგი სირიისა და მცირე აზიის ეკლესიათა შორის დიდი პატივისცემითა და პოპულარობით სარგებლობდა. სამაგიეროდ მის მიმართ დამოკიდებულე-

[57] იქვე, V, 4.
[58] იქვე, V, 10.
[59] იქვე, III, 9.

ბა არ შეუცვლია რომისა და ალექსანდრიის ეკლესიებს. რომის პაპი, როგორც ერეტიკოსს, წყევლიდა, ხოლო ალექსანდრიის ეკლესია ცდილობდა მასთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონოდა.

როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველი გვიმოწმებს, კონსტანტინეპოლში გამართულ მეორე მსოფლიო კრებას თავდაპირველად მელეტი თავმჯდომარეობდა. მისი ხასიათიდან გამომდინარე, კამათი სარწმუნოებრივი საკითხების გარშემო მშვიდად მიმდინარეობდა. საინტერესოა, რომ კრებამ სწორედ მისი თავმჯდომარეობით გამოიტანა დადგენილება კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსად წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცნობისა, რომელიც ამ კათედრაზე იმპერატორი თეოდოსის მიერ იყო დადგინებული.

სამწუხაროდ, მელეტი გარდაიცვალა და კრების თავმჯდომარეობა გრიგოლ ღმრთისმეტყველმა გააგრძელა. იგი შეეცადა უთანხმოება, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის პავლინესა და მელეტისთან დაკავშირებით არსებობდა, მოესპო, და რადგან მელეტი, რომელსაც იგი დიდ პატივს სცემდა, ცოცხალთა შორის აღარ იყო, აღმოსავლეთის ეპისკოპოსებს შესთავაზა, მხარი დაეჭირათ პავლინესათვის. აღმოსავლეთის ეპისკოპოსებმა მისი წინადადება ერთსულოვნად უარყვეს, რადგან, როგორც ჩანს, მიიჩნიეს, რომ მათი მხრიდან ეს იქნებოდა გაუმართლებელი დათმობა დასავლეთის ეკლესიისათვის. ამასთან, კრებაზე გადაწყვიტეს, რომ თვითონ გრიგოლ ღმრთისმეტყველსაც ვერ დაუმტკიცდებოდა კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო ტახტი, რადგანაც იგი მანამდე სასიმას ეპისკოპოსად იყო ხელთდასხმული. შფოთის გამოწვევის მიზეზი რომ არ გამხდარიყო, გრიგოლმა კრებაც დატოვა და დედაქალაქის ეპისკოპოსობიდანაც გადადგა.[60]

მისი წასვლის შემდეგ კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსად სენატორი, ტარსელი ნექტარიოსი აირჩიეს.

კრების მიერ მიღებული დადგენილებებიდან ჩვენთვის კიდევ ორია ცნობილი: 1. ეპისკოპოსის მიერ სხვა ეპარქიების ეპისკოპოსთა საქმიანობაში ჩარევის აკრძალვა და 2. კონსტანტინეპოლის ეკლესიის იერარქიული გათანაბრება რომის ეკლესიასთან.

---

[60] იხ. უფრო დაწვრილებით თავში „წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი“.

წმ. ამბროსი. იერონიმე. მარტინ ტურელი. პავლინე ნოლელი

იმპერატორ გრაციანეს ქრისტიანული აღზრდა ჰქონდა მიღებული და კეთილსინდისიერად ცდილობდა თავისი ყოველი მოქმედება ქრისტეს სჯულისთვის შეეფარდებინა, რისთვისაც მილანის დიდი ეპისკოპოსის – ამბროსის რჩევა-დარიგებებით ხელმძღვანელობდა.

ამბროსი დაახლოებით 340 წელს დაიბადა. მამა, გალიისა და ესპანეთის პრეფექტი, წარმართული სარწმუნოების მიმდევარი იყო, ხოლო დედა და უფროსი და – ქრისტიანულისა. დედის სიკვდილის შემდეგ მცირეწლოვანი ძმებისთვის დედობის გაწევა დამ – მარცელინამ იკისრა. ძმებმა, როგორც ეს წარჩინებული ოჯახის შვილებს შეეფერებოდათ, ბრწყინვალე განათლება მიიღეს. ამ დროისათვის განსაკუთრებით მჭევრმეტყველება ისწავლებოდა, რომელიც ახალგაზრდებს სახელმწიფოში მაღალ თანამდებობათა მოსაპოვებლად გზას უხსნიდა. ამიტომაც მამამისმა შვილის სახელოვანი მომავლის მიმანიშნებლად მიიღო მოვლენა, რომელიც პატარა ამბროსის ცხოვრებაში მოხდა. ერთხელ, როცა მას ხის ქვეშ ჩაეძინა, უცბად ფუტკრების გუნდი მოფრინდა. ფუტკრები არა მხოლოდ სახეზე დაასხდნენ, არამედ ბავშვის გაღებულ პირშიც შეფრინდნენ, მაგრამ ისე რომ არაფერი უვნიათ მისთვის, პირიქით, ბაგეებზე თაფლიც კი დაუტოვეს. ამ ფაქტმა მამას იმედი ჩაუსახა, რომ მისი ვაჟი ცნობილი მჭევრმეტყველი დადგებოდა და ეს იმედი მართლაც გაუმართლდა.

ამბროსი, რომელიც სამოქალაქო მოღვაწეობისთვის ემზადებოდა, უკვე 25 წლის ასაკში რომში ყველაზე მჭევრმეტყველი ვექილი გახდა. პრეფექტმა პრობმა მას ლიგურიის ოლქის მმართველობა მიანდო. პრეფექტი ქრისტიანი იყო, ამიტომ ამბროსი დაარიგა, ოლქი სიმშვიდითა და სამართლიანობით ემართა და უთხრა: „მართე არა როგორც მსაჯულმა, არამედ როგორც ეპისკოპოსმა“. ამბროსი მილანში დამკვიდრდა, რომელიც ლიგურიის დედაქალაქი იყო და მალე საყოველთაო სიყვარულიც დაიმსახურა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა მილანის ეპისკოპოსი ავქსენტი, რომელიც არიოზის ერესის მიმდევარი იყო. საკათედრო

ტაძარში, სადაც ახალი ეპისკოპოსის არჩევასთან დაკავშირებით შეიკრიბნენ, არიოზელებსა და მართლმადიდებლებს შორის ცხარე კამათი გაიმართა. ამბროსი ტაძარში მივიდა როგორც პრეფექტი, რათა წესრიგის დაცვისთვის ეზრუნა. ამ დროს შეკრებილთა ყვირილსა და ხმაურში მოულოდნელად გაისმა ბავშვის ხმა: „ეპისკოპოსი ამბროსი“, ხალხმა ეს სიტყვები სასწრაფოდ აიტაცა და ერთხმად აყვირდა: „დაე, ეპისკოპოსი ამბროსი იყოს“. გაოცებული პრეფექტი უარზე დადგა, იგი ყველას უხსნიდა, რომ არა თუ ამგვარ გზაზე არ უფიქრია, არამედ მონათლულიც კი არ იყო და რომ არც სხვების დამოძღვრა და დარიგება შეეძლო, მაგრამ ამაოდ. ხალხს, რომელმაც ბავშვის წამოძახილი ზეციდან შთაგონებულად მიიჩნია, არაფრის გაგონება არ უნდოდა. რადგანაც ამბროსის სამოქალაქო თანამდებოდა ეკავა, სასწრაფოდ გააგზავნეს მოციქულები იმპერატორთან თანხმობის მისაღებად. პრეფექტი ყოველ ღონეს მიმართავდა, რომ თავიდან აეცილებინა წოდება, რომლის მიღებაც აშინებდა. ერთხელ მილანიდან ფარულადაც კი გავიდა, მაგრამ იარა რა მთელი ღამე, დილით ისევ ქალაქის კარებთან აღმოჩნდა. ამასობაში იმპერატორიდან თანხმობაც მოვიდა და ამბროსი იძულებული გახდა დათანხმებულიყო. იგი მოინათლა, ყველა საეკლესიო საფეხური შვიდ დღეში განვლო და 374 წელს ეპისკოპოსად ეკურთხა.

მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოსის წოდება დიდი ხალისით არ მიუღია, მოვალეობის შესრულებას იგი თავიდანვე დიდი გულმოდგინებით შეუდგა. უპირველესად, იმისათვის, რომ ამქვეყნიურ საზრუნავთაგან განთავისუფლებულიყო და მსახურებას მთელი არსებით მისცემოდა, მან მთელი თავისი ქონება ღარიბებს დაურიგა. გრძნობდა რა, რომ სასულიერო განათლება აკლდა, ეპისკოპოსს არ უთაკილია მოესმინა დარიგებანი ღმრთისმოსავი ხუცესის სიმპლიციანესი. მან ყურადღებით შეისწავლა აღმოსავლეთის დიდი მამების – ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და კირილე იერუსალიმელის თხზულებანი. მალე მისმა მჭევრმეტყველურმა ქადაგებებმა ურიცხვი მსმენელი მიიზიდა. როგორც ეს ჭეშმარიტ მწყემსს შეეფერებოდა, იგი ცდილობდა თავისი სამწყსო ყოველგვარი განსაცდელისაგან, განსაკუთრებით კი, არიოზის ერესის ზეგავლენისაგან ეხსნა. არიოზელებს დედოფალი

იუსტინა, ვალენტინიანე I-ის მეორე ცოლი მფარველობდა, მაგრამ, საბედნიეროდ, თავად იმპერატორი უდიდესი პატივისმცემელი იყო ამბროსისა, ხოლო მის ვაჟს, გრაციანეს მილანის ეპისკოპოსი მამასავით უყვარდა. თავის მხრივ, ახალგაზრდა იმპერატორი, რომელიც სათნოებითა და ღმრთისმოსაობით გამოირჩეოდა, ამბროსისაც უყვარდა და მისთვის რამდენიმე წიგნიც დაწერა, სახელდობრ: „სარწმუნოების შესახებ“ და „საიდუმლოებათა შესახებ“.

გრაციანეს დამოკიდებულებამ ქრისტიანული რელიგიისადმი წარმართების გულისწყრომა გამოიწვია. ამ დროისათვის, მართალია, წარმართული პარტია საერთოდ სუსტი იყო, მაგრამ რომში, სადაც იმპერიის ძველ დიდებას წარმართობას უკავშირებდნენ, მას წინააღმდეგობის გაწევის ძალა კიდევ შესწევდა. სენატში კერპები და ბომონები ისევ იდგნენ. სენატორები ვალდებულნი იყვნენ ამ წოდების მიღებისას წარმართული ადათი შეესრულებინათ. ქურუმები მსხვერპლშეწირვას 330 წარმართულ ტაძარში აღასრულებდნენ. ქრისტიანი იმპერატორები იძულებულნი გახდნენ კიდევ უფრო უცნაურ დათმობებზეც წასულიყვნენ, ისინი უზენაეს ქურუმებად (pontifex maximus) ძველებურად იწოდებოდნენ, ხოლო სიკვდილის შემდეგ, წარმართული რომის ტრადიციისამებრ, ღმერთთა შორის საზეიმოდ ირიცხებოდნენ. ამ პერიოდში იმპერიის დედაქალაქში წარმართების პარტიას სათავეში ედგნენ პრეტექსტატე და სვიმახოსი, ადამიანები, რომელნიც მტკიცე ხასიათისა და მხურვალე ერთგულების გამო თანამემამულეებისაგან პატივისცემით სარგებლობდნენ. მათი გავლენით რომის ყველაზე ცნობილი მოქალაქენი, შთამომავალნი ძველი პატრიციებისა, ერთგულების გამოხატვას ღმერთებისადმი, რომელთაც რომი არა მხოლოდ აღაშენეს, არამედ დიდებისა დ ძლიერების მწვერვალზეც აიყვანეს, თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნევდნენ. ქრისტიანების სასარგებლოდ გამოცემული ყოველი ახალი ბრძანება მათ ღრმა წუხილს იწვევდა. გრაციანე კი წარმართობას სულ უფრო და უფრო უპირისპირდებოდა და ისეთ გადაწყვეტილებებს იღებდა, რომელთა მიღებისათვის გამბედაობა არც ერთ მის წინამორბედს არ ეყო. მან საკერპოებს მათი კუთვნილი მამულები ჩამოართვა. შემდეგ გაუუქმა უპირატესობა წარმართული ქალ-

ღმერთის ვესტას მსახურ ქალებს, ვესტალკებს, რომელთაც რომში უდიდეს პატივს მიაგებდნენ.

დაბოლოს, მან სენატიდან გამარჯვების ქანდაკების გატანა ბრძანა, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია. გამარჯვების ქანდაკება რომაელებისათვის თითქოს იმპერიის ძველი დიდებისა და სიდიადის ემბლემა, თვით რომის – იმპერიის მძლავრი და დიდებული დედაქალაქის განსახიერება იყო. აღელვებულმა რომაელებმა იმპერატორს დეპუტაცია გაუგზავნეს სახელოვანი ორატორის სვიმახოსის მეთაურობით და გადაწყვეტილების შეცვლა სთხოვეს, მაგრამ გრაციანემ დეპუტაცია იმ საბაბით, რომ იგი სენატის უმრავლესობას არ წარმოადგენდა, უარით გაისტუმრა. წარმართები ღრმად შეურაცხყოფილნი დარჩნენ, მაგრამ ბედი კიდევ ერთხელ სცადეს: ამჯერად იმპერატორს ქურუმები მიუგზავნეს, რომელთაც მას უზენაესი ქურუმის შესამოსელი მიართვეს, მაგრამ გრაციანემ საჩუქარი არ მიიღო და განაცხადა, რომ წარმართული სამოსი ქრისტიანისათვის შეუფერებელი იყო. სარწმუნოებისადმი გამოჩენილმა ამგვარმა სიმტკიცემ ახალგაზრდა იმპერატორს სიცოცხლეც დააკარგვინა და ტახტიც. დაკარგეს რა იმედი გრაციანეს გადაბირებისა, წარმართებმა მხარი დაუჭირეს მხედართმთავარ მაქსიმეს, რომელიც გალიაში აჯანყდა და თავი იმპერატორად გამოაცხადა. გრაციანე, რომელიც მის წინააღმდეგ საომრად გაემართა, 383 წელს ლიონში ღალატით იქნა მოკლული.[61] ტახტი დარჩა მის ძმას ვალენტინიანე II, რომელსაც დედა, იუსტინა მეურვეობდა. გალიამ და ესპანეთმა იმპერატორად მაქსიმე აღიარეს, რომელიც იტალიაში წასასვლელად ემზადებოდა, რათა თავისი ხელისუფლება იქაც დაემყარებინა. დედოფალი შეშინდა და ამბროსის სთხოვა მაქსიმესთან წასულიყო და განზრახვა შეეცვლევინებინა. ამბროსიმ თავს იდვა ეს მძიმე დავალება და ტრირში წავიდა. როგორც ეს ქრისტეს უშიშარსა და მამაც მსახურს შეეფერებოდა, მაქსიმესთან საუბრისას მას არ დაუმალავს თავისი აღშფოთება გრაციანეს ვერაგულად მოკვლის გამო, უარი თქვა საეკლესიო ურთიერთობაზე მასთან, როგორც იმპერატორის მკვლელთან, მაგრამ იმას მაინც მიაღწია, რომ მაქსიმემ იტალიაზე გალაშქრება გადადო.

[61] **Сократ Схоластик, Церковная история, V, 11.**

მილანში დაბრუნებულ ამბროსის წარმართების ახალ მცდელობათა მოგერიება მოუხდა. იმის იმედით, რომ ყრმა ვალენტინიანე უფრო დამთმობი იქნებოდა, რომის წარმართებმა მას თხოვნით მიმართეს – შეეცვალა გრაციანეს ბრძანებები. ეს თხოვნა, რომელიც რომის მაშინდელი პრეფექტის სვიმახოსის მიერ იყო შედგენილი, თუმცა მჭევრმეტყველებით გამოირჩეოდა, მაგრამ წარმართობის სისუსტესაც აჩენდა. თავის დროზე, როცა დევნილი ქრისტიანები იძულებულნი ხდებოდნენ თავიანთი მოძღვრების აპოლოგიები გადაეცათ იმპერატორებისათვის, ისინი მათში საუბრობდნენ მტკიცე რწმენით ღმრთისა, რომელიც არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. არათუ საკუთარ სარგებელზე ზრუნავდნენ, არამედ მზად იყვნენ სიცოცხლე გაეწირათ რწმენისათვის. მათი ძალა მათსავე მტკიცე სარწმუნოებაში იყო. ახლა უკვე წარმართებს დასჭირდათ აპოლოგიების წარდგენა, მაგრამ თვითონ აღარ სწამდათ მტკიცედ თავიანთი ღმერთებისა და მხოლოდ ცრუმორწმუნეობის ძალით ერთგულობდნენ. სვიმახოსი, რომელიც აპოლოგიაში რომის პირით საუბრობდა, ევედრებოდა იმპერატორს შეეწყალებინა დიდი ქალაქის სიბერე, არ დაერღვია მისი ძველი ადათები, დაეტოვებინა მისთვის უფლება ღმერთების პატივისცემისა, რომელთაც თითქოს სამყარო მის ხელისუფლებას დაუმორჩილეს. იგი ვეღარ ბედავს ისაუბროს წარმართობაზე როგორც ჭეშმარიტებაზე. წარმართების აპოლოგიას ამბროსიმ გასცა პასუხი, რომელშიც მან გრაციანეს გაცემული ბრძანებანი დაიცვა. „ქრისტიან სენატორებს არ შეუძლიათ ისხდნენ წარმართული ბომონების წინ. არავის შეუძლია ორთა უფალთა სამსახური... იმპერატორი არავის შეურაცხყოფს იმით, რომ ყველასთან შედარებით უპირატესობას ღმერთს ანიჭებს“, – წერდა იგი. ვალენტინიანემ წარმართების თხოვნა არ შეიწყნარა და გრაციანეს ბრძანებანი ძალაში დარჩა.

მალე ამბროსის ეკლესიის ინტერესების დაცვა უკვე სხვა მტრებისაგან მოუხდა. იუსტინას, რომელიც ყოველთვის არიოზელების მფარველი იყო, გრაციანეს სიცოცხლეში არავითარი გავლენა არ ჰქონდა და მხოლოდ ის შეძლო, რომ ქალაქ სირმიუმში არიოზის მიმდევარი ეპისკოპოსი დანიშნა, მაგრამ ამბროსიმ, რომელიც ამის გამო სირმიუმში ჩავიდა, დანიშვნა გააუქმა. სამაგიეროდ დედო-

ფალმა მილანის ეპისკოპოსი ისე შეიძულა, რომ ეს სიძულვილი ვერც იმ სამსახურის შედეგად გაუნელდა, რომელიც მასა და მის ვაჟს ამბროსიმ მაქსიმესთან ელჩობით გაუწია. მან ისარგებლა იმ გავლენით, რომელიც შვილზე ჰქონდა და დაარწმუნა, რომ ამბროსისაგან მილანში ერთი ტაძრის არიოზელებისთვის გადაცემა მოეთხოვა. ეპისკოპოსმა უპასუხა, რომ მისი საკუთარი ქონება რომ მოეთხოვათ, სიამოვნებით გასცემდა, მაგრამ იმის დათმობის უფლება, რაც ღმერთს ეკუთვნოდა, არ ჰქონდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, რასაც შედეგი არ მოჰყოლია, მეომრებმა, იმპერატორის ბრძანებით, არიოზელებისთვის გადასაცემად ერთი ტაძარი ძალით დაიპყრეს. მაშინ აღელვებულმა ხალხმა ერთი არიოზელი მღვდელი შეიპყრო, რათა მოეკლა. ამ ფაქტის შესახებ ამბროსის მაშინ აცნობეს, როცა იგი ღმრთისმსახურებას ატარებდა. რადგან ღმრთისმსახურების შეწყვეტა არ შეეძლო, მან დიაკვანი გააგზავნა არიოზელის გასათავისუფლებლად. წმინდა ეპისკოპოსს ხალხზე უკვე ისეთი გავლენა ჰქონდა მოპოვებული, რომ მისი სახელის ხსენებაც კი საკმარისი გახდა მის დასამშვიდებლად. სამაგიეროდ ხელისუფლებამ არ დაინდო მართლმადიდებლები და მღელვარების მრავალი მონაწილე საპყრობილეში გამოამწყვდია. ამასთან, ეპისკოპოსისაგანაც წაყენებული მოთხოვნების შესრულებასაც დაჟინებით ითხოვდა. ამბროსის პასუხიც თავდაპირველი სიმტკიცითა და ურყეობით გამოირჩეოდა: „ღმრთის ქონებაზე უფლება არ მაქვს. თუ საჭიროა ჩემი სიკვდილი – მზად ვარ... არც ხალხს მოვიხმობ დასაცავად და სიცოცხლის გადასარჩენად არც საკურთხეველს მივაშურებ. უკეთესი იქნება საკურთხევლისათვის მოვკვდე“.

ერთხელ მეომრები იმ ტაძარში შეიჭრნენ, რომელშიც ამბროსი წირავდა, მაგრამ მოულოდნელად მუხლებზე დაეცნენ და განაცხადეს, რომ არა მორწმუნეებთან საბრძოლველად, არამედ სალოცავად შემოვიდნენ. ბოლოს ვალენტინიანემ დევნა შეწყვიტა და შეპყრობილებიც გაათავისუფლა. მღელვარება ჩაწყნარდა, ხოლო ნაწყენი იმპერატორი, თავის კარისკაცებს მიუთითებდა რა ეპისკოპოსის ძალასა და გავლენაზე, ეუბნებოდა: „თქვენ მზად ხართ მეც ამბროსს გადამცეთ“.

მოთხოვნები მომდევნო წელს, აღდგომის წინ განახლდა. იუს-

ტინას, მცდელობით, მილანში არიოზელი ეპისკოპოსი ჩავიდა და გამოიცა ბრძანება, რომელიც არიოზის მიმდევრებს ღმრთისმსახურების ჩატარების უფლებას აძლევდა. დედოფალმა ისევ მოითხოვა, რომ მათთვის ერთი ტაძარი დაეთმოთ, რაზეც, რა თქმა უნდა, ამბროსისაგან ისევ მტკიცე უარი მიიღო. ხალხი ისევ აღელდა საყვარელი ეპისკოპოსის ბედის გამო, მაგრამ იგი ყველას სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა და შეახსენებდა, რომ ქრისტიანის ერთადერთი იარაღი ლოცვაა. ეს ვნების შვიდეულის საზეიმო დღეებში ხდებოდა. ტაძარი გაჭედილი იყო ხოლმე ხალხით, რომელიც ეპისკოპოსის მოსასმენად მოდიოდა. გარეთ მეომრები იდგნენ, რომელნიც ყოველ წუთს მზად იყვნენ ტაძარში შესაჭრელად. ერთხელ მორწმუნეებს ეკლესიაში მთელი ღამით დარჩენა მოუხდათ. მლოცველებისთვის რომ ხანგრძლივად ფეხზე დგომა შეემსუბუქებინა, ამბროსის ამ დროისათვის, ორი გუნდის ანტიფონური გალობა, რასაც აღმოსავლეთის ეკლესია კარგა ხანია იყენებდა, მილანის ეკლესიაშიც უკვე შემოღებული ჰქონდა. ყოვლადწმიდა სამების სადიდებელი საგალობელი მართლმადიდებლების წუხილს ამსუბუქებდა. ამ დროს უფალმა მას ძილში ორი წმიდა მოწამის – გერვასისა და პროტასიოსის დასაფლავების ადგილი აუწყა. მოხდა აღმოყვანება წმინდანთა ნაწილთა, რასაც მრავალთა სასწაულებრივი კურნებანი მოჰყვა. ამან ქრისტიანთა მოშურნეობა აანთო და ხალხის სიყვარული ეპისკოპოსისადმი გააძლიერა. ბოლოს და ბოლოს დევნა შეწყდა. ამბროსიმ ქრისტიანთა სიხარული სადღესასწაულო საგალობელში „შენ გაქებთ, ღმერთო“ გამოხატა.

სხვათა შორის ხელისუფლებამ მილანის ეპისკოპოსის დევნა-შევიწროვებაზე ხელი იმიტომ აიღო, რომ მაქსიმე იტალიას ისევ დაემუქრა. შეშინებულმა ვალენტინიანემ დახმარებისთვის ამჯერადაც ამბროსის მიმართა. ამბროსი დათანხმდა მაქსიმესთან მეორედ ელჩობაზე, თუმცა წარმატების მიღწევის იმედი ნაკლებად ჰქონდა. ამასთან, მაქსიმესთან ურთიერთობა მისთვის კიდევ უფრო უსიამოვნო გახდა მისი ერთი საქციელის გამო, რომელმაც მთელი ეკლესიის აღშფოთება გამოიწვია. ესპანეთში გაჩნდა ერესი პრისცილიანისტებისა, რომელიც გნოსტიციზმისა და მანიქეიზმის ნარევს წარმოადგენდა. ამ ცრუმოძღვრების ფუძემდებელი ვინმე პრის-

ცილიანე, ფრიად უზნეო პიროვნება, ბიწიერ ცხოვრებას ეწეოდა. თავისი სწავლების გავრცელებისათვის იგი ისე გულმოდგინედ იღწვოდა, რომ მალე მისით ესპანეთსა და სამხრეთ გალიაში მრავალთა სულნი დასნებოვნდა. რამდენიმე ეპისკოპოსმა იგი მაქსიმეს წინაშე დაადანაშაულა. მაქსიმეს სურდა რა, რომ სახელი გაეთქვა როგორც ჭეშმარიტი სარწმუნოების დამცველს, პრისცილიანესა და მისი ოთხი მთავარი მიმდევრის სიკვდილით დასჯა ბრძანა. ამ განაჩენმა ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი აღაშფოთა. ტურის ეპისკოპოსი მარტინი, რომელსაც წმინდა ცხოვრების გამო მთელი გალია პატივს სცემდა, პირადად ევედრა მაქსიმეს განაჩენი შეეცვალა. ეპისკოპოსი ეუბნებოდა, რომ ერესიარქისთვის ეკლესიიდან განკვეთაც საკმარისი სასჯელი იქნებოდა და რომ ამდენ ხანს გაუგონარი საქმე – საერო ხელისუფლებისაგან ქრისტიანული სარწმუნოების სახელით ადამიანის დასჯა, არ ჩაედინა, მაგრამ ამაოდ.

და აი, 384 წელს, პირველად ქრისტიანობის ისტორიაში, ქრისტეს რწმენის სახელით ადამიანები სიკვდილით დაისაჯნენ. ამ ფაქტმა, ერთი მხრივ, მორწმუნეთა მღელვარება გამოიწვია, ხოლო, მეორე მხრივ, ერესის გაძლიერება. მწვალებლებმა ეს შემთხვევა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და დაიწყეს თაყვანისცემა პრისცილიანესი როგორც სარწმუნოებისთვის წამებულისა. მარტინ ტურელმა მაქსიმეს უსაყვედურა განაჩენის გამო, რომელიც ქრისტეს მოძღვრებას არა თუ არ შეეფერებოდა, არამედ შეურაცხყოფდა წმინდა ჭეშმარიტებას, რომელსაც დაცვისათვის გარეშე ძალის გამოყენება არ სჭირდებოდა. გალიაში ჩასულმა ამბროსიმ საერთოდ არ ისურვა ურთიერთობა იმ ეპისკოპოსებთან, რომელთაც ერეტიკოსების დასჯაში მონაწილეობა მიიღეს. თავისი აღშფოთება მას არც მაქსიმეს წინაშე დაუფარავს. როგორც მოსალოდნელი იყო, ამჯერად ელჩობა წარუმატებელი გამოდგა. მაქსიმემ არა თუ ყურად იღო ეპისკოპოსის თხოვნა, არამედ უსაყვედურა კიდეც, რომ თავის დროზე მან იტალიაზე გალაშქრების განზრახვაზე ხელი ააღებინა. ვალენტინიანე დედასთან ერთად სოლუნში გაიქცა, მაგრამ ახალგაზრდა იმპერატორი თეოდოსიმ დაიცვა და მაქსიმეს ჯარი, რომელიც მისმავე მეომრებმა მოკლეს, დაამარცხა. თეოდოსიმ ტახტზე კვლავ ვალენტინიანე განამტკიცა.

იგი გონივრული რჩევებით ეწეოდა მას და არწმუნებდა, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება დაეცვა.

ამბროსის გავლენა ქრისტიანულ სამყაროში სწრაფად იზრდებოდა, მისი სახელი სულ უფრო და უფრო ცნობილი ხდებოდა. მის სანახავად და მოსასმენად უკვე შორეული ქვეყნებიდანაც მოდიოდნენ, მათ შორის იყო ნეტარი ავგუსტინეც. წმინდა ეპისკოპოსმა მრავალი თხზულება დაწერა ქრისტიანულ ზნეობაზე, ცვლილებები შეიტანა ლიტურგიასა და სხვა ღმრთისმსახურებებში, ცდილობდა რა, ამ დროს, რაც შეიძლება, მეტად დაახლოებოდა აღმოსავლეთის ეკლესიას. საერთოდ, იგი აღმოსავლეთის დიდი მამების ნააზრევს გულმოდგინედ ეცნობოდა, რის შედეგადაც მათი გავლენა მის თხზულებებსაც ეტყობა. ამბროსიმ რამდენიმე მონასტერი დააარსა და თავის დას, მარცელინას, რომელიც მონაზონი იყო, მონაზვნობის შესახებ დაწერილი წიგნები მიუძღვნა. ეს წიგნები მჭევრმეტყველების იმგვარი ძალით იყო შექმნილი და ისე საინტერესოდ იკითხებოდა, რომ დედებმა, იმის შიშით, მათი გავლენით მონაზვნობის გზას არ დაადგნენო, თავიანთ ქალიშვილებს მათი წაკითხვა აუკრძალეს. საერთოდ, ამ დროისათვის ბერმონაზვნური ცხოვრება დასავლეთშიც აღორძინდა. მონასტრები დაარსდა როგორც იტალიაში, ასევე ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, გალიასა და ესპანეთში, რაშიც ამბროსის გარდა მარტინ ტურელს, პავლინე ნოლელსა და იერონიმე სტრიდონელსაც მიუძღვოდათ წვლილი.

მარტინი, პანონიის მკვიდრი, ახალგაზრდობაში გალიაში მსახურობდა მეომრად. მაშინ ის ჯერ კიდევ არ იყო მონათლული და სხვა კათაკმეველებთან ერთად წმინდა ნათლისღების მისაღებად ემზადებოდა. თავისი ამხანაგებისგან მარტინი პატიოსნებით, წმინდა ცხოვრებითა და გულმოწყალებით გამოირჩეოდა. მის შესახებ შემდეგი გადმოცემა შემოგვენახა: ერთხელ, ქალაქ ამიენსის ჭიშკარში მას გლახაკი შემოხვდა, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. მარტინმა, რადგან თვითონაც ღარიბი იყო და ფული არ ჰქონდა, მოსასხამი მოიხსნა, შუაში გახია და ნახევარი მისცა. იმ ღამეს მან ძილში ანგელოზებით გარშემორტყმული უფალი იხილა იმ ნახევარი მოსასხამით, რომელიც ღატაკს მისცა. ამის შემდეგ იგი მალე მოინათლა, სამხედრო სამსახური მიატოვა და ილარიონ პუატიელს დაემოწაფა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში

მარტინი უშიშრად იცავდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. მართალია, თვითონ განმარტოებულ ცხოვრებას ესწრაფვოდა, მაგრამ სახელი მაინც სწრაფად გაუვარდა. ამიტომ მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი ტურის ეპისკოპოსად აირჩიეს. მღვდელმთავრული მოღვაწეობისას მარტინმა თავმდაბლობა და მოღვაწეობის სიყვარული შეინარჩუნა. ეპისკოპოსი დიდად ზრუნავდა ადამიანების წარმართობის სიბნელიდან გამოხსნისა და ჭეშმარიტ გზაზე დაყენებისთვის. ქრისტიანმა ისტორიკოსმა სულპიციუს სევეროსმა, რომელიც ტურის ღმრთისმოსავ ეპისკოპოსს პირადად იცნობდა, მისი ცხოვრება და სასწაულები დაწვრილებით აღწერა.

იერონიმე 330 წელს დაიბადა ქალაქ სტრიდონში, რომელიც პანონიისა და დალმაციის საზღვარზე მდებარეობდა. მისმა მშობლებმა, მდიდარმა და განათლებულმა ქრისტიანებმა, შვილი სასწავლებლად რომში გაგზავნეს. თავდაპირველად იერონიმემ ბავშვობის ღმრთისმოსაური ჩვევები შეინარჩუნა: მონაწილეობდა ლოცვით შეკრებებში, კრძალვით მიდიოდა მოწამეთა საფლავების მოსანახულებლად და მოსალოცად, მაგრამ შემდეგ საერო ცხოვრების ცდუნებებს აჰყვა და ხმაურიანი, მდიდრული ქალაქის გასართობებს თავდავიწყებით მიეცა. საბედნიეროდ, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. იერონიმე მიწიერ ტკბობათა ამაოებას მალევე მიხვდა. ცოდნის შეძენისა და სარწმუნოების განმტკიცების მიზნით, მან რომი დატოვა და აკვილეასა და ტრირში მთელი გულით შეუდგა სწავლასა და განმარტოებით ლოცვას. იგი მოინათლა და აღმოსავლეთში გაემგზავრა, რათა წმიდა წერილი იმ ადგილებში შეესწავლა, სადაც მასში აღწერილი მოვლენები ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ღმრთეებრივი სიბრძნის ნათელს იერონიმეს სული მთლიანად ჯერ კიდევ არ მოეცვა. ციცერონისა და პლატონის თხზულებებს მის თვალში უფრო მეტი მომხიბვლელობა ჰქონდათ, ვიდრე ღმრთივშთაგონებულ წმ. წერილს, რომელიც უხეშად და ძნელად გასაგებად ეჩვენებოდა. ასეთი დამოკიდებულება თვითონვე აწვალებდა და ცდილობდა ბიბლიური წიგნები განსაკუთრებული გულმოდგინებით შეესწავლა. ანტიოქიაში იგი ავად გახდა და ეჩვენა, რომ ცხოველთა და მკვდართა მსაჯულის ტახტის წინაშე წარადგინეს, რომელმაც ჰკითხა: „შენ ვინ ხარ?“

– „მე ქრისტიანი ვარ“, უპასუხა მან თრთოლვით. „ტყუილია, – უპასუხა მკაცრად იმავე ხმამ, – შენ ციცერონის მიმდევარი ხარ და არა ქრისტიანი, სადაც არის საუნჯე შენი, იქ არის გული შენი“.

ამ ხილვით შეძრწუნებული იერონიმე ველურ, მკაცრ უდაბნოში განმარტოვდა. იქ იგი ცრემლებით მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს ჭეშმარიტების ნათელით გაენათებინა მისი სული და წმინდა წიგნების შესასწავლად გულისხმისყოფა მიეცა. ძნელი იყო მეუდაბნოეს ცხოვრება, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი იყო ის ბრძოლა, რომელიც მის სულში მიმდინარეობდა. მის წარმოსახვას დამატყვევებელი მომხიბვლელობით წარმოუდგებოდა ამქვეყნიური სიამენი, რომელნიც დათმო. მოგონებანი ბრწყინვალე რომზე მის განმარტოებულ ლოცვებს აშფოთებდნენ და სულში მიძინებულ ვნებებს აღაგზნებდნენ. მაშინ მეუდაბნოე საშველად ისევ მაცხოვარს უხმობდა, ძალის გამოცლამდე მარხულობდა და მღვიძარებდა, გულმოდგინებით ეძლეოდა შრომას; ბოლოს და ბოლოს მისმა თავდაუზოგავმა მოღვაწეობამ ნაყოფი გამოიღო და მის სულში სინათლე და სიმშვიდე დამკვიდრდა. იერონიმემ მოინახულა მეუდაბნოეთა წმინდა ადგილები სირიასა და პალესტინაში. ანტიოქიაში მღვდლად ეკურთხა და კონსტანტინეპოლში ჩავიდა. სირიაში ყოფნის დროს ებრაული ენა შეისწავლა, რათა წმიდა წერილის გაგება გაადვილებოდა. კონსტანტინეპოლში იგი წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის ქადაგებებმა აღაფრთოვანა. აქვე დაიწყო თარგმნა ორიგენეს საუბრებისა და განმარტებებისა, ევსევის ისტორიისა. 382 წელს, მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთში ათი წელი დაჰყო, იერონიმე რომში დაბრუნდა, ცოდნით გამდიდრებული და სულით განბრძნობილი; მას თან ახლდნენ აღმოსავლელი ეპისკოპოსები: ეპიფანე კვიპრელი და პავლინე ანტიოქიელი.

რომმა იერონიმეზე უკვე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, იგი უცნაურ სურათს წარმოადგენდა: ერთი მხრივ, წარმართობა, რომელსაც სიცოცხლის ძალა დაკარგული ჰქონდა და კიდევ იმით არსებობდა, რომ მის საუკეთესო წარმომადგენელთა გულებში მამულის სიყვარულს უკავშირდებოდა და, მეორე მხრივ, ქრისტიანული სამღვდელოება, რომელსაც ქრისტეს სწავლების არსი დავიწყებული ჰქონდა, მხოლოდ ძალაუფლებისა და სიმდიდრის მოხვეჭისაკენ მიისწრაფოდა

და თითქოს იმას ცდილობდა, რომ იმ უფლებებისა და უპირატესობების მემკვიდრე გამხდარიყო, რომელთაც წარმართობა კარგავდა. სარგებლობდა რა იმით, რომ დედაქალაქის ეპისკოპოსი იყო, რომის პაპი თავისი ხელისუფლების მთელი დასავლეთის ეკლესიაზე გავრცელებისა და უმაღლესი მღვდელმთავრის წოდების მოპოვებისათვის იბრძოდა. იგი უზარმაზარი სიმდიდრის მფლობელი იყო. მეც ქრისტიანი გავხდებოდი, ამისთვის რომ რომის პაპის წოდებას მომცემდნენო, – ამბობდა ხუმრობით წარმართი პრეტექსტატე. ჭეშმარიტი ქრისტიანები მწუხარებით ადევნებდნენ თვალყურს, როგორ იბრძოდნენ რომის პაპობისთვის დამასი და ურსინე. ბოლოს საქმე იარაღის გამოყენებამდე მივიდა[62] და ამ სამარცხვინო ბრძოლას 130-მდე კაცი ემსხვერპლა. გამარჯვება, თუ ამას შეიძლება გამარჯვება ეწოდოს, დამასს დარჩა. წარმართი ისტორიკოსი ამიანე მარცელინე, როცა ამ ამბებს აღწერს, შენიშნავს: „სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ ასეთი მდიდრული მიზანი პატივმოყვარეთა სურვილებს აღაგზნებს და სასტიკი და შეუპოვარი ბრძოლის ობიექტი ხდება. ბედნიერ გამარჯვებულს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ რომაელი მანდილოსნების საჩუქრებით გამდიდრდება. რომ მოხდენილობა მისი სამოსისა, როცა იგი რომის ქუჩებში მდიდრული ეტლით ჩაივლის, ყველას მზერას მიიპყრობს. რომ სიუხვე მეფის სუფრისა ძნელად თუ შეედრება რომის ეპისკოპოსის სახლში გამეფებულ სიმდიდრეს“. აი, ამგვარი წვრილმანი სურვილები აიძულებდნენ ებრძოლათ იმ ტახტისთვის, რომელთანაც ასეთი მოკრძალებული დამოკიდებულება ჰქონდათ ისეთ წმინდა მამებს, როგორებიც იყვნენ ათანასე დიდი, ბასილი დიდი, ამბროსი მედიოლანელი. მართალია, ეს სიტყვები წარმართ ისტორიკოსს ეკუთვნის, რომლის შესახებ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასე საერთოდ ქრისტიანული სარწმუნოების მტრობა ალაპარაკებდა, მაგრამ იგივე მწერალი ხომ პატივისცემით იხსენიებს პროვინციათა ეპისკოპოსებს მათი უბრალოებისა და ბრძნული თავმდაბლობისთვის; გარდა ამისა, მისი სიტყვების სიმართლეს სხვა წყაროებიც ადასტურებენ.

ეკლესიის მეთაურის მაგალითი რომის სამღვდელოებაზე ცუდად მოქმედებდა. სასულიერო პირები მდიდარ მანდილოსნებზე

[62] **Сократ Схоластик, Церковная история, IV, 29.**

გავლენის მოპოვებას ცდილობდნენ, რათა მათთვის მემკვიდრეობა და ძვირფასი საჩუქრები დაეტყუებინათ. ამ გზით ისინი დიდ ქონებას იხვეჭდნენ და სრულიადაც არ ენაღვლებოდათ, რომ მათი სიხარბე ხშირად ოჯახური განხეთქილების მიზეზი ხდებოდა. ვალენტინიანემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც სასულიერო პირებს მემკვიდრეობის პირად საკუთრებად მიღება ეკრძალებოდათ. მისი მიღების უფლება მხოლოდ ეკლესიას ჰქონდა. ამ ბრძანებამ, რა თქმა უნდა, ბევრი აღაშფოთა, მაგრამ მოწონებაც დაიმსახურა პატიოსანი ადამიანებისგან, რომელთა შორის იერონიმეც იყო. „ბრძანების გამო არ ვჩივი“, ამბობდა იგი, „მხოლოდ იმაზე ვწუხვარ, რომ ჩვენ იგი დავიმსახურეთ“.

მართლაც, რომის მაღალი საზოგადოება, ისევე როგორც კონსტანტინეპოლისა, ჯერ კიდევ არ იყო გამსჭვალული ბოლომდე ქრისტიანული სულით. მან თითქოს მხოლოდ გარეგნულად შეიმოსა იგი, ხოლო შინაგანად წარმართობიდან გამოყოლილი ბევრი თვისება შეინარჩუნა, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კარგად ჩანდა და ქრისტიანი მოძღვრების მკაცრ საყვედურებსაც იწვევდა, რომელნიც განსაკუთრებით პატივმოყვარეობისა და ფუფუნებისაკენ სწრაფვას გმობდნენ. მდიდარი წარმართები ტაძარში მრავალი მონისა და მსახურის თანხლებით მიდიოდნენ და ერთმანეთის წინაშე მდიდრული ეტლებითა და ბრწყინვალე სამოსელით თავის მოწონება უყვარდათ. ასევე მიდიოდნენ ქრისტეს ეკლესიაში მაღალი წრის ქრისტიანებიც. მდიდარი მანდილოსნები უამრავ ფულს ხარჯავდნენ მდიდრული და ნატიფი სამოსელის შესაძენად. თუ ადრე წარმართი ქალები აბრეშუმის ძვირფას ქსოვილზე ოქროს ძაფებით მითოლოგიიდან აღებულ სიუჟეტებს აქარგვინებდნენ, ქრისტიანები მათგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ მათ შესამოსელზე სახარების მოვლენები იყო გამოსახული. ჭეშმარიტი მოძღვრები მკაცრად ამხელდნენ მათ და განუმარტავდნენ, რომ უმჯობესია ქრისტეს გულმოწყალების მაგალითებს ცხოვრებაში საქმეებით მიბაძო, ვიდრე ისინი სამოსელზე გამოსახო.

მაგრამ საზოგადოება, რომელიც ქრისტიანულ სჯულს აღიარებს, არ შეიძლება სრულიად გაირყვნას და წახდეს. ძალა წმინდა, ზნეობრივი სჯულისა საბოლოო დაღუპვისაგან მას აუცილებლად იხსნის.

ყოველთვის ჩნდებიან ადამიანები, თუმცა დროდადრო ძალიან ცოტანი, რომელნიც სჯულის კანონების ცხოვრებაში განხორციელებასა და იმ წმინდა ეკლესიის ღირსეულ წევრებად ყოფნას ცდილობენ, რომელსაც აღმსარებლობით ეკუთვნიან. მათი მაგალითი ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე მდგომთ განამტკიცებს, ხოლო გზასაცდენილებს დაბრუნებაში ეხმარება. ასე მოხდა რომშიც. თვით იმ მაღალი საზოგადოებიდან, რომელიც წარმართულ ჩვეულებს ვერ თმობდა, თანდათანობით წარმოიშვა სხვა, ჭეშმარიტად ქრისტიანული სულისკვეთებით განმსჭვალული წრე, რომელიც მოყვასის სიყვარულსა და მისთვის თავის დადებაზე ქრისტეს მცნებების საქმით შესრულებას ცდილობდა. ამ წრეში უწინარესად ჩვენ კეთილმორწმუნე დედათა სახელები გვხვდება. როცა ათანასე ალექსანდრიელი რომში იმყოფებოდა, მისმა მონათხრობებმა აღმოსავლეთის მოღვაწე დედებზე რომის ქრისტიან ქალთა წრეში უმაღლესი სულიერი მოღვაწეობისადმი მოშურნეობა აღძრეს. ერთმა ახალგაზრდა ქვრივმა, **მარკელამ**, გადაწყვიტა, მთელი თავისი ცხოვრება ღმრთისა და მოყვასის სამსახურისთვის მიეძღვნა. მისი მაღალი წარმომავლობა, სიმდიდრე და სილამაზე მრავალ ახალგაზრდა კაცს იზიდავდა, მაგრამ ქალმა მეორედ ქორწინებას არჩეული გზის ერთგულება ამჯობინა. დედამ საზოგადოებისგან სრული განშორება არ მოუწონა, ამიტომ მარკელა, თუმცა რომში დარჩა, მაგრამ ფრიად მკაცრსა და თავშეკავებულ ცხოვრებას ეწეოდა. მის ძირითად საქმიანობას წმინდა წერილის შესწავლა და განუწყვეტელი ლოცვა წარმოადგენდა. თავის დიდძალ ქონებას იგი ღარიბებსა და სნეულთა შემწეობისათვის იყენებდა. ცდილობდა ურთიერთობა დაემყარებინა ღმრთისმოსავ ადამიანებთან. მარკელამ გულთბილად უმასპინძლა აღმოსავლეთიდან მოსულ ათანასე და პეტრე ალექსანდრიელებს, მოგვიანებით კი, იერონიმეს, ეპიფანესა და პავლინეს.

მარკელას მაგალითმა გარშემო მყოფებზეც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა, მის ირგვლივ უფლის სიყვარულით შთაგონებული ახალგაზრდა ქალთა წრე შეიკრიბა; წარმომალობითა და სიმდიდრით ისინი რომის საზოგადოების საუკეთესო ნაწილს ეკუთვნოდნენ, მაგრამ ეს უპირატესობანი არად მიაჩნდათ და მხოლოდ იმას ესწრაფვოდნენ, რომ ქრისტიანის სახელი ღირსეულად ეტარე-

ბინათ. ამ წრეში იყვნენ: **მელანია**, პრეფექტის ქვრივი, რომელმაც ოცი წლის ასაკში მიუძღვნა თავი ღმერთს, მდიდარი **პავლა**, გრაკხუსებისა და სციპიონების მემკვიდრე, თავისი ქალიშვილებით, **ფაბიოლა**, რომელმაც რომში პირველი საავადმყოფო დააარსა, **სოფრონია**, **იულიანა** და სხვები, რომელთა სახელებიც ეკლესიის ისტორიას იერონიმეს მიწერ-მოწერიდან შემორჩა. იერონიმე ამ წრის სულიერი წინამძღვარი გახდა. იგი მის წევრებს წმინდა წერილს განუმარტავდა და ყოველ მათგანს საქველმოქმედო საქმეს უნაწილებდა. ეს მისთვის ნუგეში იყო იმ უსიამოვნებათა შორის, რომლის ატანაც და მოთმენაც მისდამი მტრულად განწყობილი სამღვდელოებისაგან უწევდა. იერონიმესადმი კეთილგანწყობილი მხოლოდ პაპი დამასი იყო, სწორედ მისი რჩევით დაიწყო მან წმინდა წერილის ზოგიერთი ადგილის განმარტება და ბიბლიის თარგმნა. მაგრამ იერონიმე რომში დიდხანს არ დარჩენილა. სამი წლის შემდეგ იგი ისევ აღმოსავლეთში გაემგზავრა, რომელიც სულით მისთვის დასავლეთზე უფრო ახლობელი გახდა.

მან ხელახლა მოიარა პალესტინის წმინდა ადგილები, ალექსანდრიაში ბრმა სწავლულს, დიდიმს უსმენდა, ბოლოს კი ბეთლემში, ერთ გამოქვაბულში დამკვიდრდა და მთლიანად ლოცვასა და მეცნიერულ მუშაობას მიეცა. მის მთავარ საქმეს წმინდა წერილის თარგმნა წარმოადგენდა. მანამდე არსებული ლათინური თარგმანი გადამწერების მიერ ისე იყო დამახინჯებული ჩანართებისა და შეცდომების გამო, რომ მისი ხელახლა თარგმნა აუცილებელი გახდა. თარგმნისას იერონიმეს დიდად გამოადგა ებრაული ენის ცოდნა, ორიგენესა და ბიბლიის სხვა მკვლევართა შრომების გაცნობა. რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად მან შექმნა თარგმანი, რომელსაც დასავლეთში წინა თარგმანებთან შედარებით უპირატესობა მისცეს. იერონიმეს თარგმანი ვულგატას სახელწოდებითაა ცნობილი. გარდა ამისა, იგი წერდა წმინდა წერილის განმარტებებს, აღწერდა ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრებას, მუდმივი მიმოწერა ჰქონდა რომში დარჩენილ მეგობრებთან. მან ამხილა რომში წარმოშობილი ერესი, რომელიც ბერმონაზვნობას, ხატთა და წმინდა ნაწილთა თაყვანისცემას ებრძოდა.

იერონიმე დიდად გაახარა იმან, რომ მისი რამდენიმე სულიერი

შვილი აღმოსავლეთში ჩავიდა წმინდა ადგილების თაყვანსაცემად და ბერმონაზონთა ცხოვრების გასაცნობად.

მელანიამ ნიტრიის უდაბნოს მოღვაწენი მოინახულა და მათ მდიდრული საჩუქრები უძღვნა, ხოლო აბა პამვას 300 ლიტრა ვერცხლი გადასცა. მეუდაბნოემ მიიღო რა საჩუქარი, თავის მოწაფეს უთხრა: „გამოიყენე ეს საჭიროებისათვის ძმებისა, რომლებიც ლიბიასა და კუნძულებზე არიან; მათ ჩვენზე მეტად უჭირთ“. „ბატონო ჩემო, უთხრა მელანიამ, აქ სამასი ლიტრაა“. მეუდაბნოემ უპასუხა: “ასულო ჩემო, ამის ცოდნა მე არ მჭირდება; ხოლო უფალმა, რომელმაც აწონა ბორცვები და ქვრივის ორი წულილი არ უარყო, მთელი შენი ვერცხლი იცის“. მელანია, რომელსაც დევნამ უდაბნოში მიუსწრო, რამდენიმე დღის განმავლობაში 5000 ბერს კვებავდა. შემდეგ დევნილებს პალესტინაში გაჰყვა, სადაც მათ ემსახურებოდა და ეხმარებოდა. ბოლოს იგი იერუსალიმში დამკვიდრდა; აქ მელანიამ მონასტერი ააგო, რომელშიც 25 წელი იმოღვაწევა. იერონიმე მას სულიერ მოძღვრობას უწევდა და რჩევებით ეხმარებოდა. უკვე ღრმად მოხუცი მელანია რომში წავიდა ახლობელთა მოსანახულებლად და თავისი მონათხრობებით აღმოსავლეთზე მისი მიბაძვის სურვილი ბევრს გაუღვიძა. მისმა ვაჟმა პუბლიკოლამ და შვილიშვილმა, ოცი წლის მელანიამ თავიანთი მამულები გაყიდეს და აღმოსავლეთში გაემგზავრნენ. გზადაგზა ისინი სავანეებს აგებდნენ და გასაჭირში ჩავარდნილებს გულუხვად ეხმარებოდნენ. იერუსალიმში ჩასვლის შემდეგ მელანიამ მალე მიაბარა სული უფალს, მაგრამ მისი მოღვაწეობა შვილიშვილმა გააგრძელა. ცხოვრობდა რა ზეთისხილის მთაზე კელიაში, იგი სწავლობდა წმინდა წერილს, ლოცულობდა, ავადმყოფებს უვლიდა და ღატაკებს ეხმარებოდა. მელანიასაც და მის მეუღლესაც დიდ სიხარულს ანიჭებდა იერონიმესთან მეგობრობა. მათ რამდენიმე მონასტერი ააგეს და დიდძალი ქონების დარიგების შემდეგ სიღარიბეში აღესრულნენ.

ბრწყინვალე რომი აღმოსავლეთის მოსანახულებლად **პავლამაც** დატოვა. იერონიმესთან ერთად მან წმინდა მოღვაწენი მოინახულა და უხვად დაეხმარა. ბოლოს იგი ბეთლემში დამკვიდრდა, სადაც მონასტერი დააარსა, ხოლო ბეთლემიდან იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე

მომლოცველთათვის სასტუმროები ააგო. მასთან ერთად იყო მისი ქალიშვილი ევსტოლია, რომელმაც ცამეტი წლიდან თავი ღმერთს მიუძღვნა. ორივენი ფრიად თავშეკავებულ, მკაცრ ცხოვრებას ეწეოდნენ და მთელ დროს შრომასა და ლოცვას ანდომებდნენ. თითქმის ყველაფერი გასცეს, რათა სხვებს შეწეოდნენ; იერონიმეს ხელმძღვანელობით წმინდა წერილს სწავლობდნენ და არასოდეს უნანიათ, რომ უფლის გამო მდიდრული და ფუფუნებით აღსავსე ცხოვრება დათმეს. პავლამ თითქმის მთელი წმინდა წერილი ზეპირად იცოდა და უკეთ რომ ჩასწვდომოდა მის შინაარსს, ებრაული ენაც კი შეისწავლა. პალესტინიდან იგი ხშირად გზავნიდა წერილებს რომში, სადაც მისი სამი გათხოვილი ქალიშვილი და მრავალი სხვა მეგობარი ცხოვრობდა. აღუწერდა რა მჭევრმეტყველურად უდაბნოს მკვიდრთა განმარტოებულსა და მშვიდ ყოფას, პავლა მათ აღმოსავლეთში ჩამოსვლისაკენ მოუწოდებდა. იგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

ცნობილი და მდიდარი რომაელების ქალიშვილი **ფაბიოლა** ადრეულ ასაკში დაქორწინდა კაცზე, რომელიც უზნეო და ბიწიერი აღმოჩნდა. ფაბიოლა გაშორდა ქმარს და მის სიცოცხლეშივე მეორედ იქორწინა. ეს საქციელი დიდად აწუხებდა და მეორე ქმრის სიკვდილის შემდეგ მის გამოსყიდვას საჯარო მონანიებითა და ღმრთისა და მოყვასის თავდადებული სამსახურით ცდილობდა. ლატერანის წმინდა იოვანეს ტაძრის კარიბჭესთან უხეშსა და ღარიბულ სამოსელში გამოწყობილმა ფაბიოლამ მთელი რომის წინაშე აღიარა თავისი ცოდვები და შენდობა ითხოვა. შემდეგ მან გაყიდა თავისი ვრცელი მამულები და რომში პირველი საავადმყოფო ააგო, სადაც სნეულებს თავდადებით ემსახურებოდა. წმინდა ადგილების თაყვანისცემის სურვილმა ფაბიოლაც აღმოსავლეთში წაიყვანა. იერონიმე, რომელსაც მან ბეთლემში ჩააკითხა, გაოცებით საუბრობს ფაბიოლას ქველმოქმედებასა და წმინდა წერილის ცოდნაზე.

რომში დაბრუნებულმა თავისი ჩვეული საქმიანობა გააგრძელა. პავლას დაქვრივებულ ქალიშვილთან, პამმახიასთან ერთად ოსტიაში მოგზაურთა მიმღები უზარმაზარი სახლი ააგო; გარდა ამისა, მან მრავალი ტყვე გამოისყიდა, დახმარებებს აგზავნიდა, აგრეთვე, იტალიის სხვადასხვა მხარეშიც. იგი სიღარიბეში გარდაიცვალა. რომში მდიდარი ფაბიოლას დასაფლავებაზე, რომელიც ქრისტეს

სიყვარულის გამო გაღატაკდა და ქველმოქმედებით თავი მთელ იტალიას დაამახსოვრა, ურიცხვი ხალხი შეიკრიბა.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ მართლაც სასწაულებრივი სულიერი გარდატეხა გამოიწვია. სად ეს გულმოწყალებითა და თანალმობით აღსავსე ქრისტეს მორჩილი მსახურნი დედანი და სად ის ამაყი წარმართი რომაელი ქალები ცირკში გამართული სისხლიანი სანახაობებით რომ ტკბებოდნენ და თავიანთი ბიწიერი ცხოვრებითა და ფუფუნებისაკენ აღვირახსნილი სწრაფვით თვით რომსაც კი აოცებდნენ. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ სიყვარულით გაათბო რა მათი გაყინული გულები, ასწავლა როგორ გამოეყენებინათ ღირსეულად დროც და ქონებაც. ქრისტიანი რომაელი ქალები რომს ახლა უკვე ქველმოქმედების მრავალფეროვნებით აკვირვებდნენ და ეს უზარმაზარი ქალაქი კეთილი საქმეების ასპარეზად თითქოს კიდევაც ევიწროვებოდათ.

მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მაინც გაუგებარი რჩებოდა სილამაზე სულიერი მოღვაწეობისა და ფუფუნებით აღსავსე უზრუნველი ცხოვრების დათმობა სხვების დახმარების მიზნით. წარმართების გაბოროტებას ისიც აძლიერებდა, რომ ისინი შინაგანად თვითონაც კარგად გრძნობდნენ თავიანთი რელიგიის უსუსურობას. ამიტომ გასაგებია რისხვა, რომელსაც მათში რომელიმე, მით უმეტეს, ცნობილი წარმართის, ქრისტიანობაზე მოქცევა იწვევდა. ასეთი რისხვა გამოიწვია წარმართებისა **პავლინე ნოლელის** მოქცევამ და მის მიერ ამქვეყნიურ დიდებაზე უარის თქმამ ქრისტეს სიყვარულის გამო.

პავლინემ, რომელიც ბორდოს მკვიდრი იყო, ცნობილი წარმართი პოეტის ავზონიუსის ხელმძღვანელობით ბრწყინვალე განათლება მიიღო. მაღალმა წარმოშობამ, დიდძალმა სიმდიდრემ და პირადმა ღირსებებმა მას უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობებისაკენ გზა სწრაფად გაუხსნეს; მართლაც, ოცი წლის ასაკში უკვე სენატორი იყო, ხოლო ძალიან მალე მდიდარი პროვინციის, კამპანიის მმართველიც გახდა. მისი მოცალეობის ჟამს პოეზია და ხელოვნება ალამაზებდა, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მეგობრებთან ურთიერთობაც; პავლინეს უმაღლესი პატივი ელოდებოდა, მაგრამ ღმრთისმოსავი მეუღლისა და ამბროსი მედიოლანელის კეთილისმ-

ყოფელი გავლენით, ცხოვრების სხვა გზა აირჩია.

25 წლის ასაკში იგი მოინათლა, თანამდებობაზე უარი თქვა, ქონების დიდი ნაწილი ღარიბებს დაურიგა და სამოღვაწეოდ პირინეის მთებში განმარტოვდა. წარმართი მეგობრებისაგან საყვედურები, დაცინვა, და რისხვა ერთბაშად დაატყდა თავს; თვით მონებიც კი, რომელთაც თავისუფლება მიანიჭა, აგდებულად უყურებდნენ, მაგრამ ამ მძიმე გამოცდამ მისი ნება ვერ შეარყია: იგი თვლიდა, რომ არა თუ დაკარგა რამე, არამედ, პირიქით, ქრისტეს სამსახურით ყველაფერი შეიძინა.

მღვდლად კურთხევის შემდეგ პავლინე კამპანიის ერთ ღარიბ სოფელში, ნოლში დამკვიდრდა, წმინდა მოწამე ფელიქსის ნეშტის მახლობლად, რომელსაც განსაკუთრებით სცემდა თაყვანს. შემდეგში იგი ეპისკოპოსად აირჩიეს. ის და მისი მეუღლე ტერეზია სიღარიბეში მორჩილებით ცხოვრობდნენ, რადგან, რაც ჰქონდათ, გაჭირვებულებს დაურიგეს. მიუხედავად ამისა, სინანულსა და წუხილს ადრინდელ დიდებულ ცხოვრებაზე მათი სიმშვიდე და ბედნიერება არასოდეს შეუშფოთებია. პავლინე ქმნიდა მშვენიერ ჰიმნებს სადიდებელად ღმრთისა, ხატებით ამკობდა მის მიერ აგებულ ეკლესიებს; ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ღმრთისმსახურებაზე დასწრებისათვის მორწმუნეთა მოსახმობად ზარი პირველად სწორედ პავლინე ნოლელმა გამოიყენა. მას მიმოწერა ჰქონდა ამბროსისთან, ავგუსტინესთან, მელანიასთან, რომელიც ნათესავად ერგებოდა. პავლინეს ქრისტიანული სიყვარული მოყვასის მიმართ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ როცა ვანდალების შემოსევის შედეგად ტყვედჩავარდნილ თანამოძმეთა გამოსასყიდად რაც ჰქონდა, ყველაფერი გაიღო, ბოლოს ქვრივი ქალის ვაჟისთვის თავისუფლება რომ ეყიდა, საკუთარი თავი გაყიდა მონად. მისი უჩვეულოდ კეთილშობილური საქციელით თვით ვანდალების მეფეც კი ისე მოიხიბლა, რომ თავისუფლება დაუბრუნა.

პავლინე ნოლელი მშვიდად მიიცვალა 431 წელს.



ეკლესია თეოდოსი დიდის დროს

ქრისტიანული სარწმუნოება ძალას სულ უფრო და უფრო იკრებდა და სწრაფად ვრცელდებოდა. თეოდოსიმ აღმოსავლეთში ბრძანებით აკრძალა მსხვერპლშეწირვა; საკერპოები ყველგან დაანგრიეს და მათ ადგილზე ქრისტიანული ტაძრები ააგეს. ამ პროცესებს თან სდევდა მხილება წარმართი ქურუმებისა, რომელნიც ანგარების მიზნით ცრუმორწმუნე ადამიანებს შეუბრალებლად ატყუებდნენ. ხალხი მათ ნდობას თანდათან კარგავდა. მართალია, თეოდოსის ბრძანების საპასუხოდ სირიის რამდენიმე ქალაქში წარმართები თავიანთი ღმერთების დასაცავად აღდგნენ და რამდენიმე ქრისტიანი მოკლეს, მაგრამ, საბოლოოდ, კერპთაყვანისმცემლების წინააღმდეგობა მაინც სუსტი გამოდგა. ქრისტიანები რიცხობრივად უკვე ყველგან სჭარბობდნენ წარმართებს და დღითი დღე ძლიერდებოდნენ. საკერპოების დამხობით გამოწვეულ მღელვარებას სერიოზული ხასიათი მხოლოდ ალექსანდრიაში ჰქონდა.

ეპისკოპოსი თეოფილესაგან მხილებით გაღიზიანებულმა ალექსანდრიელმა წარმართებმა რამდენიმე ქრისტიანი შეიპყრეს და წამებით მოკლეს. მღელვარებამ მთელი ქალაქი მოიცვა, ქუჩებში სისხლიანი შეტაკებანი გაიმართა. ბოლოს, ამბოხების მოთავენი სერაპისის ტაძარში ჩაიკეტნენ, საიდანაც დროდადრო გამოდიოდნენ, ქრისტიანებს იტაცებდნენ და წარმართული ადათების შესრულებას აიძულებდნენ, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, აწამებდნენ. სამოქალაქო ხელისუფლების ყოველგვარი ცდა ვითარების მოსაწესრიგებლად ამაო გამოდგა; ამბოხებულებთან ვერაფერი გააწყო ეგვიპტის პრეფექტმაც, რომელიც მათ დაუმორჩილებ-

ლობის შემთხვევაში კანონის მთელი სიმკაცრით დასჯით ემუქრებოდა. რამდენადაც სერაპისის ტაძარი მთელი ეგვიპტის თაყვანისცემის ობიექტი იყო, ამბოხებულები იქ თავს უშიშრად გრძნობდნენ. როცა ვერაფერს გახდა, პრეფექტი იძულებული შეიქნა, ყველაფერი იმპერატორი თეოდოსისთვის შეეტყობინებინა.

სერაპისის ტაძარი მთელს ეგვიპტეში წარმართულ ნაგებობათა შორის ერთი ყველაზე დიდი და მდიდრული შენობა იყო. იგი მაღალ, ხელოვნურად აღმართულ ბორცვზე იდგა, გარშემორტყმული ბრწყინვალე გალერეებითა და შენობებით, რომლებშიც ქურუმები და ღმერთების სხვა მსახურები ცხოვრობდნენ. ტაძარს, რომელსაც მარმარილოს ასი საფეხური ჰქონდა და მართლაც მიუდგომელ სიმაგრეს წარმოადგენდა, განსაკუთრებით მაინც მთელი ეგვიპტის ცრუმორწმუნოება იცავდა და არა მარტო ეგვიპტისა: სერაპისის თაყვანისცემას მდინარე ნილოსის თაყვანისცემაც შეუერთდა. როგორც ცნობილია, თაკარა ეგვიპტეში წვიმები თითქმის არ იცის და მთელი წლის მოსავალი ნილოსის დიდსა თუ მცირე ადიდებაზეა დამოკიდებული. იგი, ჩვეულებრივ, აგვისტოსა და სექტემბერში დიდდება, ეგვიპტის ქვემო ნაწილს ფარავს და შლამით, რომელსაც ადიდების შემდეგ ტოვებს, მიწას ანაყოფიერებს. ეგვიპტელები ნილოსს უხსოვარი დროიდან აღმერთებდნენ და მის საპატივცემულოდ საზეიმო ადათებსა და მსხვერპლშეწირვებს ასრულებდნენ. მცირე აზიის ნაწილს, ისევე როგორც კონსტანტინეპოლს, პურით ეგვიპტე ამარაგებდა. ამიტომ მოუსავლიანობას ეგვიპტეში საერთო სახალხო უბედურების ხასიათი ჰქონდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაღმერთებულ ნილოსს სერაპისის სახით ეგვიპტელებთან ერთად თაყვანს სცემდნენ ბერძნებიც, რომელთათვისაც ეს კერპი ბუნების ნაყოფიერების ძალებს განასახიერებდა. ნილოსის თაყვანისცემის გამომხატველი ადათები ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგაც სრულდებოდა; ამიტომ მათი აკრძალვის შესახებ თეოდოსის მიერ გამოცემულმა ბრძანებამ უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია.

იმპერატორმა პრეფექტს პასუხად მისწერა, რომ არ სურდა შურისძიება იმ ქრისტიანების გამო, რომელნიც მოწამეობრივი აღსასრულის ღირსნი გახდნენ, მაგრამ ბრძანებდა ტაძრის დანგრევას და სერაპისის

ქანდაკების დამსხვრევას ღარიბებისთვის დასარიგებლად.

თეოდოსის ბრძანების შესასრულებლად დანიშნულ დღეს ეპისკოპოსთან ერთად ტაძრისკენ მიმავალ გზას პრეფექტიც მიუყვებოდა შეიარაღებულ რაზმთან ერთად. მათ უკან ურიცხვი ბრბო მისდევდა. დაათვალიერეს ყველა საიდუმლო შესასვლელი, რომელიც ტაძრის კამარებს ქვეშ იყო, ქურუმთა საცხოვრებელი, პტოლემაიოსის მიერ შეკრებილი ბიბლიოთეკა და ბოლოს თვითონ ტაძარშიც შევიდნენ, სადაც სერაპისის კოლოსალური ქანდაკება იდგა, – საუკუნეთა განმავლობაში შიშისა და თაყვანისცემის ობიექტი. კერპი ყველა მეტალისაგან იყო ჩამოსხმული - ოქროსაგან, ვერცხლისაგან, სპილენძისაგან, თუჯისა და კალასაგან და მთლიანად შემკული ძვირფასი თვლებით. გარს ეხვეოდა მარადიულობის სიმბოლო – გველი. ხალხი შიშით შეჩერდა, რადგან გავრცელებული იყო ცრურწმენა, რომ ვინც გაკანდიერდებოდა და კერპს ხელით შეეხებოდა, მაშინვე მოკვდებოდა, ხოლო შემდგომად ამისა, სამყარო დაინგრეოდა და ყველა სტიქია თავდაპირველ ქაოსურ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა. ამიტომ ქანდაკებაზე ხელის აღმართვა დიდხანს ვერავინ გაბედა. ბოლოს ერთმა მეომარმა გამოიჩინა სიმამაცე და ურო დაარტყა. შიშით გაქვავებული წარმართები მის დასჯას ელოდებოდნენ, მაგრამ სერაპისის მხრიდან მეომრის საქციელს არავითარი რისხვა არ მოჰყოლია, მაშინ იგი კიდევ უფრო გათამამდა, ქანდაკებას კიბე მიადგა, მის მხარზე შედგა და ამჯერად ურო უკვე თავში ჩაარტყა. თავი ჩამოვარდა და ტაძარში ყრუ ხმაური გაისმა. შეძრწუნებული ხალხი შედეგს შიშით ელოდებოდა, მაგრამ ეს შეძრწუნება და შიში საერთო ხარხარმა შეცვალა, როცა ქანდაკებიდან ვირთხების მთელი ქარავანი გამოვარდა და ტაძარში გაიფანტა. მაშინ კერპს უკვე ყველა მივარდა და ვისაც რა ჰქონდა, იმით დაუწყო მსხვრევა.

სერაპისის კერპის მრავალსაუკუნოვან თაყვანისცემას ასე კომიკურად მოეღო ბოლო.

წარმართები მაინც შფოთავდნენ, ისინი ფიქრობდნენ, რომ სიწმინდის შეურაცხყოფით განრისხებული ნილოსი შურს იძიებდა და აღარ ადიდდებოდა. მოაწია დრომ, როცა მდინარე ჩვეულებრივ უნდა ადიდებულიყო, მაგრამ წყალი არ იმატებდა. ხალხში ჩივილი

გაისმა. შეეშინდა რა მღელვარებისა, ეგვიპტის პრეფექტმა იმპერატორს შეუთვალა, ნება დაერთო ნილოსის თაყვანსაცემი ადათის შესრულებისა განრისხებული ღმერთის გულის მოსალბობად. თეოდოსიმ უპასუხა, რომ უკეთუ ეგვიპტის მოსავალი წარმართულ ადათზე იყო დამოკიდებული და იგი ჭეშმარიტი ღმერთის ღალატით უნდა ეყიდათ, მაშინ უპუროდ დარჩენას ამჯობინებდა. უფალმა თეოდოსი სარწმუნოებაში გამოჩენილი სიმტკიცისათვის დააჯილდოვა. მისი პასუხი ჯერ ეგვიპტეში ჩასულიც არ იყო, რომ ნილოსი ისე ადიდდა, როგორც არასდროს და წლის მოსავალიც არნახულად უხვი გამოდგა. ამან წარმართების ცრურწმენას უკანასკნელი დარტყმა მიაყენა.

შეეძლო თუ არა თეოდოსის, რომელიც ასე მტკიცედ მოქმედებდა ქრისტიანობის სასარგებლოდ, ყველაზე ძნელი გამარჯვების მოპოვება, სახელდობრ, გამარჯვება საკუთარ თავზე? პიროვნული მორჩილება ქრისტესი და საკუთარი ვნებების სარწმუნოებით მოთოკვა? ამაზე პასუხს მისი მეფობისას მომხდარი რამდენიმე მოვლენა გაგვცემს.

ომის მიზეზით თეოდოსიმ რამდენიმე ოლქს გადასახადები გაუზარდა. ანტიოქიაში ამ ფაქტმა მღელვარება გამოიწვია, რომელიც გადასახადების ამკრეფთა სისასტიკემ კიდევ უფრო გაზარდა. აღშფოთებული ხალხი ქალაქის უფროსის სახლს მუქარით მიეჭრა, ხოლო იქიდან მოედანზე გავარდა, სადაც იმპერატორის, გარდაცვლილი დედოფლისა და მათი ორი შვილის ქანდაკებანი დაამხო და ქუჩებში ათრევდა. ჯარმა მღელვარება ჩააცხრო; ამბოხების მეთაურები შეიპყრეს, სხვები გაფანტეს. პირველ ვნებათაღელვასა და შფოთს გამოფხიზლების შემდგომ შიში და წუხილი მოჰყვა, დასჯის მოლოდინით გამოწვეული. ხალხმა თხოვნით მიმართა ღრმად მოხუც ეპისკოპოსს, ფლაბიანეს კონსტანტინეპოლში წასულიყო და ყველაფერი ეღონა მეფის სამართლიანი გულისწყრომის შესარბილებლად. წმინდა მოხუცი დედაქალაქისაკენ მიმავალ გრძელ გზას დაადგა, ანტიოქიელებს კი ნუგეშისმცემლად ღმერთმა იოვანე ოქროპირი მოუვლინა, რომელიც მათ ერთადერთი ყოვლისშემძლე ნუგეშინისმცემლის სასოებას უნერგავდა. დიდი მჭევრმეტყველი მსმენელებს არწმუნებდა, რომ უფრო დანა-

შაულის ჩადენისა უნდა შინებოდათ, ვიდრე მისთვის მიღებული სასჯელისა, რადგან ქრისტიანისთვის საშიში მხოლოდ ღმრთის რისხვაა; მასთან შედარებით თვით სიკვდილიც არაფერია, რადგან იგი მარადიული ცხოვრების დასაწყისია.

წმ. იოვანე ოქროპირი ხალხს შეაგონებდა, რომ ღმრთისაგან წყალობა წრფელი მონანიებით და მისთა წმინდათა მცნებათა აღსრულებით მოეპოვებინა. მოედნები, თეატრები და ცირკები, რომლებიც ჩვეულებრივ ამაო გასართობთა მოყვარულ ანტიოქიელებს იზიდავდნენ, ახლა ცარიელი იყო, რადგან ყველა ტაძარში მიისწრაფოდა იოვანე ოქროპირის მოსასმენად. მალე საშინელი ხმები გავრცელდა იმის თაობაზე, რომ იმპერატორმა ანტიოქიის სრული განადგურება გადაწყვიტა და რომ მეომრები, რომელთაც განაჩენის აღსრულება ჰქონდათ დავალებული, უკვე ახლოს იყვნენ. ქალაქი ბევრმა დატოვა. ბოლოს, ორი წარჩინებული მოხელე მოვიდა, რომელთაც საქმის უმკაცრესად გამოძიება და ანტიოქიისათვის დედაქალაქის პატივის წართმევის გამოცხადება ჰქონდათ დავალებული. დაიწყო გამოძიება, მრავალი ცნობილი მოქალაქე სასამართლოს გადასცეს, გამოძიებისას სასტიკ ხერხებს მიმართავდნენ. ქალაქის ქუჩები დედებისა და ცოლების მოთქმა-გოდების ხმებმა აავსო. იოვანე უბედურთა გასამხნევებლად განუწყვეტლივ სასამართლოში დადიოდა და მოსამართლეებს მათ შეწყალებას ევედრებოდა. ქალაქისკენ იმავე მიზნით მოიჩქაროდნენ ანტიოქიის გარეუბნებში მცხოვრები ბერებიც. ბერებთან ერთად იოვანემ მსაჯულები დაარწმუნა, რომ ფლაბიანეს დაბრუნებამდე სასჯელთა აღსრულებისაგან თავი შეეკავებინათ: „დამხობილი ქანდაკებანი ისევ აღიმართება, ეუბნებოდნენ მსაჯულებს ისინი, ხოლო უკეთუ თქვენ მოსაკლავად ღმრთის ხატებს გადასცემთ, დაღუპულებს ვინღა აღადგენს და სხეულებს სულს ვინ დაუბრუნებს?“

ამასობაში ფლაბიანე კონსტანტინეპოლში ჩავიდა. მეფის მოხელეებმა, რომელნიც მას გზაში მიეგებნენ, მცირე იმედი გამოხატეს იმისა, რომ იგი საშინლად განრისხებული თეოდოსის გულის მოლბობას შეძლებდა. მიუხედავად ამისა, ღმრთის მსასოებელ მოხუცს იმედი არ დაუკარგავს, წარდგა რა წინაშე მეფისა,

ეპისკოპოსმა ჯერ ცრემლებით გამოხატა წუხილი ანტიოქიელების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. წმინდა მღვდელმთავრის ცრემლებმა თეოდოსი შეძრა, მაგრამ რისხვა მაინც გამოხატა. მაშინ ფლაბიანე შეევედრა მას შეეწყალებინა ქალაქი. ახლოვდებოდა აღდგომა, რომლის დროსაც დადგენილი ჩვეულებისამებრ რამდენიმე პატიმარს ათავისუფლებდნენ. ცოტა ხნით ადრე თეოდოსის ოლქებში უკვე დაგზავნილი ჰქონდა შეწყალების წერილები, რომლებშიც სხვათა შორის წერდა: „ო, რომ შემეძლოს გამოვიხმო და სიცოცხლეს დავუბრუნო გარდაცვლილები ისე, როგორც პატიმრებს ვუბრუნებ თავისუფლებას“. ფლაბიანემ იმპერატორს სწორედ ეს სიტყვები შეახსენა და უთხრა: „ანტიოქია მოკვდა, მაგრამ თქვი ერთი სიტყვა და სიბნელესა და მწუხარებაში დამარხული ქალაქი აღდგება... მართალია, შენი ქანდაკებანი დაამხეს, მაგრამ შეგიძლია სხვები აღმართო, მათზე უფრო დიდებული. თუ შენ შენს შეურაცხმყოფელთ მიუტევებ, ყოველი მათგანი თავის გულში დაგიდგამს ძეგლს, რომელიც ოქროსა და ვერცხლის ქანდაკებაზე უფრო ძვირფასი იქნება, რადგან კაცთმოყვარება და წყალობა შეამკობს“. ფლაბიანემ თეოდოსის გაახსენა, აგრეთვე, ქრისტე, რომელიც ჯვარცმისას იმათთვის ლოცულობდა, რომელთაც ჯვარს აცვეს და მოვალეობა, რომელსაც მას ქრისტიანის სახელი აკისრებდა. „ახლა იუდეველებისა და წარმართების, მთელი სამყაროს მზერა შენსკენაა მომართული, ელოდებიან რა იმას, როგორი იქნება შენი განაჩენი; თუკი ის კაცთმოყვარული და მშვიდი აღმოჩნდება, ისინი ღმერთს განადიდებენ და იტყვიან: აი, როგორია ძალა ქრისტიანული სარწმუნოებისა... და ბოლოს, მე მოვედი შენთან არა მხოლოდ ანტიოქიელებისაგან წარმოგზავნილი, არამედ ჩვენი უფლისაგანაც, რათა გითხრა: თუ ადამიანებს მიუტევებ მათ შეცოდებებს, ჩვენი ზეციერი მამა შენც მოგიტევებს. სხვა წარმოგზავნილებს შენთვის ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი საჩუქრები მოაქვთ, მე კი შენთან, ხელმწიფეო, უწმინდესი კანონით მოვედი და გევედრები, მიბაძო ღმერთს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე შეურაცხვყოფთ, წყალობას მაინც მოუკლებლად გვაძლევს“.

ეპისკოპოსის სიტყვამ, რომელსაც არც ობიექტურობა აკლდა

და არც მჭევრმეტყველების ხელოვნებისთვის დამახასიათებელი სილამაზე, იმპერატორი გულის სიღრმემდე შეძრა. ვერ შეიკავა რა მოწოლილი ცრემლები, მან ფლაბიანეს უთხრა: „თუკი უფალი სამყაროსი, ვინც დედამიწაზე ჩვენთვის მოვიდა და ხატი მონისა მიიღო, ჩვენთვის ვნებული, იმათთვის, რომელთაც იგი ჯვარზე გააკრეს, მამას ევედრებოდა – მამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რას იქმან, – განა მე შემიძლია არ ვაპატიო იმათ, ვინც მე, მათივე მსგავსი კაცი, შეურაცხმყვეს?“

შემდეგ თეოდოსიმ ანტიოქიელებისათვის წერილი დაწერა, რომელშიც წერდა, რომ მათ შეცოდებას დავიწყებას აძლევდა; ამ დიდსულოვანი გადაწყვეტილებით დაუბრუნდა ფლაბიანე თავის სამწყსოს. მაგრამ ანტიოქიელებმა შეწყალების შესახებ უკვე მის ჩასვლამდე იცოდნენ წერილის წყალობით, რომელიც ქალაქში მეფის სპეციალურმა მალემსრბოლმა ჩაიტანა. აღდგომის დღესასწაულზე იოვანე ოქროპირმა აუწყა ხალხს, რომ იმპერატორმა დანაშაული შეუნდო და დაარწმუნა იგი, მადლიერება კეთილი საქმეებითა და ღმრთისმოსავური ცხოვრებით გამოეხატა.

როგორც ამ შემთხვევიდან ვხედავთ, თეოდოსის შეეძლო დიდსულოვნება თვით შეურაცხმყოფელთა მიმართაც კი გამოეჩინა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკიდურესი სიფიცხეც ახასიათებდა, რომლის დროსაც გონივრულად განსჯის უნარს კარგავდა და მისი მაღალი ღირსებებიც იჩრდილებოდა, ყოველთვის რისხვის მოთოკვას ვერ ახერხებდა. ზემოთ აღწერილი მოვლენიდან სამი წლის შემდეგ ამბოხებამ თესალონიკში იფეთქა და ხალხმა ქალაქის მმართველი და მეფის მიერ წარგზავნილი რამდენიმე მოხელე მოკლა. თეოდოსი ამ დროს მილანში იმყოფებოდა. ცნობამ მომხდარი ამბის შესახებ იგი საშინლად განარისხა, მაგრამ ეპისკოპოსმა ამბროსიმ შეძლო მისი დამშვიდება და იმპერატორიც შეჰპირდა, რომ დამნაშავეებს შეიწყალებდა. მაგრამ ამბროსის წასვლის შემდეგ მასთან დაახლოებულმა პირებმა მეფე ისევ გააღიზიანეს და თესალონიკელთა წინააღმდეგ განაწყვეს. ასე რომ, მან მიცემული პირობა დაარღვია და ქალაქს სასტიკი განაჩენი გამოუტანა. მისი ბრძანებით, მეომრებმა ხალხით სავსე ცირკს ალყა შემოარტყეს და ყოველგვარი გარჩევის გარეშე შვიდიათასამდე კაცი ამოხოცეს, მათ შორის

ბავშვებიცა და ქალებიც. ამ ფაქტმა ქრისტიანებზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. ამბროსიმ, რომელიც ამ დროს მილანიდან წასული იყო, იმპერატორს წერილი მისწერა, რომელშიც მისი საქციელით გამოწვეული გულისწყრომა დაუფარავად გამოხატა და განუცხადა, რომ იმ კაცის თანდასწრებით, რომელიც ამდენი უდანაშაულო ადამიანის სისხლით იყო შეღებილი, წმინდა საიდუმლოებათა შესრულება არ შეეძლო.

თეოდოსის სულში სინანულმა გაიღვიძა. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი საკათედრო ტაძარში მაინც წავიდა, მაგრამ კარებთან ეპისკოპოსი დახვდა და უფლის სახელით შესვლა აუკრძალა. მეფის თხოვნა ამაო გამოდგა. „დავითმაც შესცოდა, მაგრამ ღმერთს მისთვის წყალობა არ მოუკლია“, – ამბობდა იგი. „შენ დავითს ცოდვის ჩადენაში მიბაძე, უპასუხა მას ამბროსიმ, მიბაძე მას სინანულშიც.“ – „როგორ უნდა მოვიქცე?“ იკითხა თეოდოსიმ. „როგორც უნდა მოიქცეს ყოველი მკვლელი, ღმრთის წინაშე მიკერძოება არ არსებობს“. მეფე იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო და იგი მთელი რვა თვის განმავლობაში ტაძარში ვერ შედიოდა. ზოგჯერ ამგვარი განკვეთის გამო რისხვა იპყრობდა, უფრო ხშირად კი მწუხარება. ქრისტეს შობის დღესასწაულზე თვალზე ცრემლმომდგარმა თავის კარისკაცს რუფინუსს უთხრა: „სახლი ღმრთისა ღიაა ღატაკთა და მონებისთვის, მაგრამ დაკეტილია ჩემთვის“. რუფინუსმა ეპისკოპოსის გულის მოლბობა სცადა, მაგრამ იგი ამ შემთხვევაშიც შეუბრალებელი აღმოჩნდა. „ხელმწიფეს უფლება აქვს სიცოცხლე წამართვას, მაგრამ ეკლესიის დადგენილებათა შეცვლა არ შეუძლია“. ბოლოს, მიიღო რა პირობა იმპერატორისაგან, რომ სიკვდილით დასჯის განაჩენი ოცდაათ დღეზე ადრე არ აღესრულებოდა, ამბროსიმ თეოდოსი ტაძრის წინკარში დაუშვა. იქ მონანულთა შორის იდგა დიდი იმპერატორი მორჩილის სამოსით და მკერდში ხელის ცემით ცრემლმოწოლილი იმეორებდა ფსალმუნთა მონანიე მგალობლის ვედრებას: „მიეახლა სული ჩემი მიწასა; მაცხოვნე მე სიტყვისაებრ შენისა. კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი“ (ფს. 118, 25, 12). ხალხი ტიროდა მეფესთან ერთად, რომელსაც წუხილი ჩადენილი დანაშაულის გამო სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. თანამედროვეებმაც და მომდევნო

თაობებმაც ღირსეულად შეაფასეს სიდიადე ქრისტიანი ეპისკოპოსისა, რომელმაც უშიშრად ამხილა კაცთმოყვარებისა და სამართლიანობის ქრისტიანული კანონის დამრღვევი და ასევე სიდიადე მეფისა, რომელმაც ქრისტიანული ჭეშმარიტების ძალა აღიარა და ცოდვა გულწრფელი მორჩილებით მოინანია.

თეოდოსის ყოფნა დასავლეთში წარმართებს თავისუფლად მოქმედების საშუალებას უსპობდა. ისინი მაინც შეეცადნენ სენატში გამარჯვების საკურთხევლის აღდგენას და ამის თაობაზე იმპერატორს თხოვნითაც მიმართეს, მაგრამ თანხმობა ვერ მიიღეს. თეოდოსის ახალგაზრდა ვალენტინიანეზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა და არწმუნებდა, რომ ქრისტიანთა სასარგებლოდ უნდა ემოქმედა, მაგრამ როგორც კი იგი იძულებული გახდა სახელმწიფო საქმეების გამო აღმოსავლეთში წასულიყო, დასავლეთში მღელვარება დაიწყო. ამბოხებულმა ფრანკ არბოგასტმა 392 წელს ვალენტინიანე მოკლა და იმპერატორად ორატორი ევგენიოსი გამოაცხადა.[1] რომში გამარჯვების ქანდაკება და საკურთხეველი აღდგენილ იქნა. ყველა ქალაქში საკერპოები გაიხსნა და წარმართებმა მსხვერპლშეწირვის ადათის შესრულება დაიწყეს. ამბროსი იძულებული გახდა მილანი დაეტოვებინა. ევგენიოსს მკაცრ მამხილებლურ წერილებს იგი ბოლონიიდან სწერდა, მაგრამ ევგენიოსის ხელისუფლებას დიდი დღე აღარ ეწერა. თეოდოსიმ მასთან შებრძოლება გადაწყვიტა, მოემზადა რა ამისთვის ლოცვითა და მარხვით, 393 წელს ალპები გადალახა და ევგენიოსის მრავალრიცხოვან ლაშქარს აკვილეას მახლობლად შეხვდა. მის პოლკებს წინ კონსტანტინე დიდის წმინდა დროშა მიუძღვოდა. ევგენიოსმა კი, თუმცა ქრისტიანის სახელს ატარებდა, ლაშქრისთვის ჰერკულესის გამოსახულების წამძღვარება ბრძანა, ფიქრობდა რა ამით კეთილგანწყობის მოპოვებას წარმართული პარტიისა, რომელიც თავის იმედებს მართლაც მასზე ამყარებდა. დაიწყო ბრძოლა, კარგა ხნის განმავლობაში გამარჯვების სასწორი თითქოს ევგენიოსის მხარეზე იხრებოდა. თვით ყველაზე გამოცდილი სარდლებიც კი იმპერატორს უკან დახევას ურჩევდნენ. „როგორ, – პასუხობდა თეოდოსი, – ნუთუ ჯვრის დროშა ჰერკულესის კერპის წინაშე

[1] **Сократ Схоластик, Церковная история, V, 25.**

უკან დაიხევს?“ და ბრძოლას აგრძელებდა. მოულოდნელად მტრის შესახვედრად საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რომელმაც ისინი მტვრით დააბრმავა და მათ მიერ ნასროლი ისრებიც უკუმიაქცია. ისინი ჯერ აირივნენ, ხოლო შემდეგ იარაღი დაყარეს და გაიქცნენ. თეოდოსიმ გაიმარჯვა.[2] თვითონ ევგენიოსი ტყვედ ჩავარდა, არბოგასტმა თავი ჩამოიხრჩო და თეოდოსი რომში შევიდა როგორც თვითმპყრობელი ხელმწიფე აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. ევგენიოსის მომხრეებს იმპერატორმა დიდსულოვნად შეუნდო, მაგრამ სამაგიეროდ მძიმე დარტყმა მიაყენა წარმართობას.

აღმოსავლეთში გამოქვეყნებული ბრძანება, რომლითაც მსხვერპლშეწირვა და ყოველგვარი სახის შელოცვები იკრძალებოდა, დასავლეთშიც გავრცელდა. გრაციანემ, წაართვა რა საკერპოებს კუთვნილი მიწები, ამ გზით ქურუმები მთავრობაზე დამოკიდებულად აქცია, ვისგანაც ისინი ხელფასს იღებდნენ. თეოდოსიმ კი გამოაცხადა, რომ რამდენადაც ქრისტიანობა იმპერიაში გაბატონებული სარწმუნოება იყო, თავისთავს უფლებამოსილად არ თვლიდა წარმართობის შესანახად სახელმწიფო შემოსავლის თუნდაც უმცირესი ნაწილი დაეხარჯა. ეს წარმართობის აღმოსაფხვრელად წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. ქრისტიანულ სარწმუნოებას არსებობა ყოველგვარი ადამიანური ძალისხმევის საწინააღმდეგოდ, დევნის, სიღარიბისა და საფრთხის პირობებშიც შეეძლო, რადგან ღმრთისაგან იყო და ჭეშმარიტების შინაგანი ძალა განამტკიცებდა. ხოლო წარმართობა, როგორც ორგანიზაცია, როგორც კი მის მიმდევრებს სარგებლისა და ძალაუფლების მოკლება დაემუქრა, სწრაფად დაეცა, ქურუმები გაიფანტნენ, საკერპოები დაცარიელდნენ. წარმართებად მხოლოდ ისინი დარჩნენ, რომელთაც ღმერთების არსებობა გულწრფელად სჯეროდათ და კიდევ ისინი, რომელნიც ცდილობდნენ მათი ცრურწმენები ფარულად თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. იტალიაში, გალიასა და იმპერიის სხვა მხარეებში წარმართული ადათები მაინც კარგა ხანს აღესრულებოდა, სანამ იგი თანდათანობით არ ამოიძირკვა მონასტრების დაარსებითა და ბერმონაზვნობის გავრცელებით. წარმართობასთან დაკავშირებული სხვადასხვა დღესასწაულის აკრძალვა

[2] იქვე.

თვით რომშიც კი არ მოხერხდა, მით უმეტეს, რომ მათი გამართვისათვის ფულს ხელისუფლება იხდიდა. დროთა განმავლობაში ამ დღესასწაულთა თავდაპირველი მნიშვნელობა დავიწყებულ იქნა და ქრისტიანულ დღესასწაულებს შეერწყა, შეიტანა რა მათში სხვადასხვა სახის ცრურწმენა, რისი აღმოფხვრაც ადამიანთა გულებიდან ადვილი როდი გამოდგა. მართლაც, ბრძანებით აკრძალვა ადვილი იყო, გულებიდან ამოძირკვა კი – ძნელი. იმან, რომ იმპერატორი ქრისტიანებს მფარველობდა, თავისი უარყოფითი შედეგიც გამოიღო. ბევრმა წარმართმა, ისე რომ ახალი ცხოვრებისათვის ხელახლა არ შობილა და გულში კვლავ წარმართად რჩებოდა, თვალთმაქცურად თავი ქრისტიანად გამოაცხადა. ყველაზე დიდ საფრთხეს ქრისტეს ეკლესიას სწორედ ისინი უქმნიდნენ, რადგან იძულებულნი იყვნენ ორმაგი ცხოვრებით ეცხოვრათ, რაც ღვარძლსა და სიძულვილს მაცხოვრისა და მისი ჭეშმარიტი აღმსარებლების მიმართ კიდევ უფრო მეტად უმძაფრებდათ.

რომში თეოდოსიმ მცირე ხანი დაჰყო და შემდეგ მილანში გაემგზავრა, მაგრამ დიდმა მოკრძალებამ ეკლესიის საიდუმლოებათა წინაშე უფლება არ მისცა მათთან მიახლებისა, რადგან, ადამიანთა დაღვრილ სისხლს განიცდიდა, თუმცა ომს, რომელიც მოიგო, სამართლიანი ხასიათი ჰქონდა. როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, მილანში მან თავისი შვილები, არკადიუსი და ჰონორიუსი, მოიხმო, რათა ეკურთხებინა. ერთმა წმ. მეუდაბნოე ბერმა იოვანემ, რომელმაც თეოდოსის ევგენიოსზე გამარჯვება უწინასწარმეტყველა, ასევე უწინასწარმეტყველა, რომ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. მართლაც, 395 წელს ერთიანი რომის იმპერიის უკანასკნელი იმპერატორი წმინდა ეპისკოპოსის, ამბროსის ხელებზე მიიცვალა.

პირად ცხოვრებაში თეოდოსი, რომელსაც ისტორიაში მისთა საქმეთა გამო დიდი ეწოდა, ფრიად ზნეობრივი და თავშეკავებული იყო: არ უყვარდა ფუფუნება, საოცარ ხელგაშლილობას იჩენდა ღარიბების მიმართ, პირად შეურაცხყოფას ადამიანებს ადვილად პატიობდა. იმპერატორი ცდილობდა შვილებიც ჭეშმარიტ ქრისტიანებად აღეზარდა. ამიტომაც ჩააბარა ისინი აღსაზრდელად განსწავლულობითა და წმინდა ცხოვრებით ცნობილ არსენს.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა უფლისწულების წარმატებანი ფრიად მოკრძალებული გამოდგა და არც მამის სურვილსა და არც ღირსეული მოძღვრის მიერ მათზე გაწეულ შრომას არ შეესაბამებოდა.

ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო თეოდოსის მეუღლე ფლაკილაც. დედოფალს არა მხოლოდ გაცემა უყვარდა, არამედ ღარიბთა და სნეულთა პირადად მონახულებაც. იმათ, ვინც ეუბნებოდა, რომ დედოფლისთვის ფულის გაცემა საკმარისი იყო, ხოლო შრომა მის წოდებას არ შეეფერებოდა, ფლაკილა პასუხობდა: „იმპერატორის წოდებას ფულით გულუხვად დახმარება შეეფერება, მაგრამ მე ჩემს პირად შრომას ვუძღვნი მას, ვინც ინება და მე ეს წოდება მიბოძა“.

თეოდოსის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ (397 წ.) გარდაიცვალა წმინდა ეპისკოპოსი ამბროსიც. წინასწარ იგრძნო რა მოახლოებული აღსასრული, მან მეგობრებს უთხრა: „მხოლოდ აღდგომამდე ვიქნები თქვენთან“. მალე იგი მართლაც შეუძლოდ შეიქნა. ცნობამ მისი ავადმყოფობის შესახებ მთელი ქვეყანა დაამწუხრა. სტილიკონი, რომელიც მცირეწლოვანი ჰონორიუსის მეფობისას იტალიას მართავდა, ამბროსის ევედრებოდა ღმრთისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება ეთხოვა, ეპისკოპოსმა უპასუხა: „მე ისე არ მიცხოვრია თქვენ შორის, რომ სიცოცხლის მრცხვენოდეს, მაგრამ არც სიკვდილის მეშინია, რადგან ჩვენ კეთილი მეუფე გვყავს“.

უკანასკნელი დღეები ამბროსიმ განუწყვეტელ ლოცვაში გაატარა, იგი უფალთან მისასვლელად სიხარულით ემზადებოდა. წმინდა ეპისკოპოსი დიდ შაბათს გარდაიცვალა. მილანის ქუჩები აღდგომის საზეიმო დღეებში ტირილის ხმებმა აავსო. ყველა გრძნობდა, რომ მისი სახით მოყვარულ მამასა და ბრძენ დამრიგებელს კარგავდა. ურიცხვი ადამიანი მოვიდა გამოსამშვიდობებლად მის ცხედართან, რომელიც უფალმა სასწაულთქმედების ძალის მინიჭებით განადიდა.

ამბროსის პიროვნებაში ურყევ სიმტკიცეს, რომელსაც იგი ეკლესიის ინტერესების დაცვისას იჩენდა, სიყვარულის საოცარი უნარი და სირბილე ერწყმოდა, რომელიც ადამიანებთან ურთიერთობისას ახასიათებდა. მისმა გულუხვობამ საზღვარი არ იცოდა. მთელი თა-

ვისი მამული მან ღარიბებს დაურიგა, ხოლო ბარბაროსების მიერ ტყვედ წაყვანილი ადამიანების გამოსასყიდად ეკლესიის მორთულობანიც კი გაყიდა. „ეკლესიას ოქრო იმისთვის კი არ აქვს, რომ შეინახოს, არამედ იმიტომ, რომ ადამიანთა კეთილდღეობისთვის გამოიყენოს“, – ამბობდა იგი.

მილანში ლიტურგია დღემდე იმ წესით სრულდება, რომლითაც ამბროსიმ დაადგინა. მან მრავალი დამრიგებლური თხზულება, წმინდა საგალობლები, წმ. წერილის განმარტებანი და ქრისტიანული ზნეობისადმი მიძღვნილი წიგნები დაგვიტოვა.

წმინდა იოვანე ოქროპირი[3]

იოვანე 344 ან 347 წელს დაიბადა ანტიოქიაში, მდიდარსა და ცნობილ ოჯახში. მამას, სეკუნდოსს დიდი სამხედრო თანამდებობა ეკავა, დედა ანთუსა მისთვის იგივე იყო, რაც წმ. ნონა გრიგოლ ღმრთისმეტყველისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდა, ოცი წლისა დაქვრივდა, ანთუსას მეორედ ქორწინებაზე არც უფიქრია, მან თავისი ცხოვრება თავის ერთადერთ შვილს მიუძღვნა. გამოუცდელობის მიუხედავად, ახალგაზრდა ქალი გონივრულად უძღვებოდა მეურნეობას, ცდილობდა იოანესთვის ფართო და ღრმა განათლება მიეცა, განსკუთრებულ ყურადღებას წმ. წერილის შესწავლას უთმობდა. პატარა იოვანემ ქრისტიანული ღმრთისმოსაობის პირველი გაკვეთილები დედისაგან მიიღო და მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვა. ყრმობაში მიღებული შთაბეჭდილებანი ისე ძლიერად აღიბეჭდა მის სულში, რომ მათი წაშლა ვერც წარმართმა მასწავლებლებმა, ვერც ამხანაგებთან ურთიერთობამ და ვერც ახალგაზრდულმა გატაცებებმა ვერ შეძლეს. ყრმა იოვანე წარმართულ სკოლებში დადიოდა, სადაც ფილოსოფიას, მჭევრმეტყველებასა და სხვა მეცნიერებებს ასწავლიდნენ. სახელგანთქმული წარმართი ორატორი, ლიბანიოსი მას თავის საუკეთესო მოწაფედ თვლიდა. იმ დროისათვის იოვანე

[3] წმ. იოვანე ოქროპირის ცხოვრება ძირითადად გადმოცემულია ჰაგიოგრაფიული თხზულების მიხედვით. „იოვანე ოპროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, თბ., 1988.

ჯერ კიდევ მოუნათლავი იყო. მიუხედვად იმისა, რომ ეკლესიის წმინდა მამები ნათლისღების გადადებას სრულწლოვანებამდე დიდად ეწინააღმდეგებოდნენ, ეს წესი მაინც არსებობდა, რასაც იმით ამართლებდნენ, რომ მონათლულები წარმართულ სკოლებში ვეღარ ივლიდნენ. თვითონ იოვანე შემდეგში ამ ჩვეულებას აკრიტიკებდა და მშობლებს არწმუნებდა თავიანთი პატარების ნათლობა არ გადაედოთ, ისინი ამქვეყნად მოსვლის პირველივე დღეებში მიეძღვნათ ღმრთისათვის და ქრისტესგან მონიჭებული მადლის მოზიარეებად გაეხადათ.

განათლების მიღების შემდეგ იოვანე სამოქალაქო სამსახურში შევიდა, კანონთმცოდნეობა შეისწავლა და სასამართლოებში მისთვის მინდობილ საქმეებს იცავდა. სამსახურმა საერო პირებთან დააახლოვა, მან გაიჩინა მეგობრები, რომლებთანაც ერთად დადიოდა თეატრებსა და სანახაობებზე, მონაწილეობდა გასართობებში. მაგრამ ამგვარი ცხოვრების სიცარიელესა და ამაოებას მალევე მიხვდა. საერო პატივი არ ხიბლავდა, რადგან გრძნობდა, რომ ნუგეშისა და სიმშვიდის მოპოვება მხოლოდ ქრისტეს სიახლოვეს შეიძლებოდა. დაიწყო გულმოდგინედ შესწავლა წმინდა წერილისა, ეკლესიაში სიარულსაც მოუხშირა. ანტიოქიის ეპისკოპოსმა წმ. მელეტიმ იოვანე გულწრფელად შეიყვარა და სულიერი საუბრებისთვის ხშირად შინაც იწვევდა. 28 წლის იოვანემ ნათლობა სწორედ მისგან მიიღო. აქედან მოყოლებული თავისთავს თვალყურს ისე მკაცრად ადევნებდა, რომ არასოდეს გამოუყენებია ფიცი და თავს არათუ ბოროტად მეტყველების, არამედ მოყვასზე უწყინარი ხუმრობის უფლებასაც კი არ აძლევდა. მას სურდა დაეტოვებინა ეს სოფელი ასკეტური ცხოვრებისათვის, მაგრამ მისმა გადაწყვეტილებამ დედა დაამწუხრა. ანთუსამ შვილი იმ ოთახში შეიყვანა, სადაც შვა, სთხოვა ქვრივობის შეჩვეულ სიმწარეს კიდევ ნუღარ დაუმძიმებდა და მის სიცოცხლეში ამ განზრახვას ნუ განახორციელებდა. იოვანე თავისი კეთილშობილი დედის თხოვნას დაემორჩილა და შინ დარჩა, მაგრამ მდიდრულ სასახლეშიც ახერხებდა ისე ეცხოვრა, როგორც ეს სულიერ მოღვაწეს შეეფერებოდა. მალე მელეტიმ იგი ეკლესიაში წიგნის მკითხველად დაადგინა.

იოანეს რამდენიმე მეგობარი ჰყავდა. ისინი ერთად იღვწოდ-

ნენ სათნოებაში წარმატებისათვის, ერთმა მათგანმა თავდაპირველად გადაწყვიტა მთელი თავისი ცხოვრება ღმრთისთვის მიეძღვნა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და სოფელს დაუბრუნდა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით დაწერა იოვანემ თავისი პირველი წერილი „დაცემულისადმი“, რომელშიც უკვე ჩანდა ის თვისებები ღმრთისმეტყველისა და ორატორისა, რომელთაც შემდეგში მას ქრისტიანულ სამყაროში დიდი სახელი მოუტანეს: ცოცხალი, მიმზიდველი, გულიდან წამოსული, სიყვარულით გამთბარი მჭევრმეტყველება და მტკიცე ერთგულება ზნეობრივი სიწმინდისა და ღირებულებებისადმი.

მკითხველის მოკრძალებული წოდების მიუხედავად, იოვანემ იმგვარი დიდება მოიპოვა, რომ მახლობლად მდებარე ქალაქში მისი ეპისკოპოსად არჩევა მოისურვეს, მაგრამ ამ პატივის მიღებას თავი აარიდა; მაშინ იმ ქალაქის ეპისკოპოსი მისი ერთ-ერთი მეგობარი გახდა. ამ პერიოდში დაწერა იოვანემ თავისი შესანიშნავი თხზულება „მღვდლობის შესახებ“, რომელშიც გამოხატა თავისი შეხედულებანი მღვდელმსახურთა, როგორც საიდუმლოთა აღმსრულებელთა და სამწყსოს დამმოძღვრელთა, მაღალ მოვალეობებზე.

დედის გარდაცვალების შემდეგ მან გაყიდა მამული, აღებული ფული ღარიბებს დაურიგა, მონები გაათავისუფლა და ანტიოქიის მახლობლად ერთ სავანეში ბერად აღიკვეცა. იოვანეს განმარტოებული ცხოვრება სურდა, მაგრამ მისმა დიდებამ ბევრი მიიზიდა: მრავალი მიდიოდა მასთან რჩევისა და დარიგების მისაღებად, სენისაგან განსაკურნებლად, რადგან უფალმა კურნების სასწაულმოქმედი ძალა მიანიჭა.

გადმოგვცემენ, რომ მონასტერში ყოფნისას იოვანეს ჰქონდა ჩვენება: მას ბრწყინვალე ნათლით შემოსილნი წმინდა მოციქულები – იოვანე და პეტრე გამოეცხადნენ. „მე იოვანე ვარ, – უთხრა პირველმა, – ვინც საიდუმლო სერობისას უფალს მკერდზე მივეყრდნე და მისგან ღმრთეებრივი გამოცხადება მივიღე. ღმერთი შენც გაძლევს ნიჭს სიბრძნის სიღრმეთა ხილვისა, რათა ადამიანები მოძღვრების უხრწნელი საზრდელით ასაზრდოო, ხოლო მათ ბაგეებს, რომელნიც სჯულს ჩვენი ღმერთისა დამახინჯებულად განმარ-

ტავენ, კლიტე დაადო“. ხოლო პეტრემ მას გასაღები გადასცა და უთხრა: „გაძლევს შენი უფალი გასაღებს წმინდათა ეკლესიათა, დაე იყოს შეკრული იგი, ვისაც შეკრავ და გახსნილი, რომელსაც გახსნი“. იოვანე მათ წინაშე დაემხო და ღრმა მორჩილებით წამოიძახა: „ვინა ვარ მე, რომ ამგვარი მსახურების მიღებისა და ტარებისათვის გავკადნიერდე, მე, კაცი ცოდვილი და არარაობა?“

– „გამხნევდი და განმტკიცდი, უთხრეს მოციქულებმა. რაც გებრძანა ის შეასრულე. ნუ დამალავ ნიჭს, რომელიც ღმერთმა კაცთა განსანათლებლად გიბოძა. გაბედულად იღაღადე სიტყვა ღმრთისა და გახსოვდეს, რომ უფალმა ბრძანა: ნუ გეშინია მცირე სამწყსოსთვის, რამეთუ მამამ ინება მოგცეთ თქვენ სამეფო. და ნურც შენ გეშინია, რამეთუ უფალმა ინება შენით განანათლოს სულნი მრავალთანი. სიმართლისათვის ბევრ მწუხარებასა და დევნას დაითმენ, მაგრამ ყოველივე მხნედ გადაიტანე“.

ემზადებოდა რა მსახურებისათვის, რომელზეც უფალმა მიუთითა, იოვანემ მოღვაწეობა გააძლიერა. სავანიდან განმარტოებულ გამოქვაბულში გადავიდა, სადაც განუწყვეტელი ლოცვით განიმტკიცებდა სულს; მან სულიერი გამოცდილება თავის თავთან ბრძოლით შეიძინა. სოფლის ხმაურისაგან მოშორებული, ღმერთთან მოსაუბრე და მისთა ქმნილებათა სილამაზის მჭვრეტელი სული იოანესი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა სინათლისა და სიცოცხლის წყაროს. ავადმყოფობამ აიძულა იგი ანტიოქიაში დაბრუნებულიყო, მაგრამ სიხარულის მომნიჭებელი მოგონებანი წყნარ მონაზვნურ ცხოვრებაზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჰყვა. შემდეგში თავის ქადაგებებში იგი ხშირად შთამბეჭდავად აღწერდა სიმშვიდესა და მყუდროებას უდაბნოს სავანეთა, სადაც სოფლის ამაო ხმაური ვერ აღწევდა და სადაც ყველა იმაზე ფიქრობდა, სათნოების კიბეზე როგორ ამაღლებულიყო.

ანტიოქიაში დაბრუნების შემდეგ მელეტიმ მას უკვე მალე დაასხა ხელნი დიაკვნად,[4] ხოლო 386 წელს ფლაბიანემ, მელეტის მემკვიდრემ ანტიოქიის საეპისკოპოსო კათედრაზე, იგი მღვდლად აკურთხა, მაგრამ სამსახურისთვის ერთ რომელიმე კონკრეტულ ეკლესიაში კი არ განამწესა, არამედ მქადაგებლობა დაავალა. ან-

[4] **Сократ Схоластик, Церковная история, VI, 3.**

ტიოქიაში ამ დროს ძალიან რთული ვითარება იყო შექმნილი. ერთი პირობა ამ ქალაქს ერთდროულად სამი ეპისკოპოსი ჰყავდა: მელეტი, ევსტათი და პავლინე. მათ მიმდევრებს არავითარი სურვილი არ ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობისა. მელეტის სიკვდილის შემდეგ ფლაბიანეს არჩევით ბევრი უკმაყოფილო დარჩა და ეპისკოპოსად კვლავ პავლინეს აღიარებდა. მრავალრიცხოვანი ერეტიკოსები: არიოზელები, საბელიოზის, პავლე სამოსატელისა და მაკედონიუსის მიმდევრები, გნოსტიკური სექტები – ყველა თავისი სწავლების გავრცელებას ცდილობდა. წარმართები და ურიები ქრისტიანთა შორის ჩამოვარდნილი განხეთქილებით ხარობდნენ და ქრისტეს რწმენას დასცინოდნენ. როგორი მძიმე იქნებოდა ამგვარ საზოგადოებაში მქადაგებლის მდგომარეობა! იოვანესთვის ქრისტიანთა დაყოფა მტკივნეულ ფაქტს წარმოადგენდა, იგი პირველი საუკუნეების ეკლესიას შენატროდა: „როცა ყველას ერთი სული და ერთი გული ჰქონდა, ხოლო ახლა ერთ სულშიც კი ვერ ნახავ აზრთა თანხმობას, ყველგან დიდი განხეთქილებაა და მშვიდობა არსად არაა“, – ამბობდა იგი.

მიუხედავად ამისა, იოვანე სულით არ დაცემულა, რადგან შემწედ ყოვლისშემძლე უფალი ეგულებოდა, რომელსაც მტკიცე სასოებით მიმართავდა და რომელიც მის შრომასა და ღვაწლს აკურთხებდა. მისი ქადაგებიდან ყველას შეეძლო მიეღო ის, რაც განსაკუთრებით სჭირდებოდა, სასოწარკვეთილს – მხნეობა და სასოება, მერყევს – სიმტკიცე. იოვანე ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა მას, ვინც ჭეშმარიტებას გულწრფელად ეძიებდა, ხოლო ერეტიკოსებს მკაცრად ამხელდა. იგი კვირაში რამდენჯერმე ქადაგებდა და მისი გავლენა დღითი დღე იზრდებოდა. გართობის მოყვარულმა ანტიოქიელებმა სანახაობანი დაივიწყეს და ეკლესიას მიაშურეს. მრავალი მათგანი, ვინც თავიდან მხოლოდ ცნობისმოყვარეობამ მიიყვანა, მქადაგებლის მჭევრმეტყველებით სულის სიღრმემდე შეძრული დარჩა. მრავალმა, თვალნათლივ დაინახა რა თავისი ცოდვები, ცხარე ცრემლებით მოინანია ისინი. ხანდახან იოვანეს სიტყვას ტაშის დაკვრითა და აღტაცების გამომხატველი წამოძახილებით აწყვეტინებდნენ. იოვანე ამის პასუხად მათ ეუბნებოდა: „რა არის ჩემთვის ტაშის დაკვრა და ქება? ჩემთვის

ქება ის იქნება თუ თქვენ თქვენს ცხოვრებას გამოასწორებთ და ღმრთისკენ მიიქცევით!“

მოგვითხობენ, რომ ერთხელ ერთმა ქალმა, რომელიც მსმენელთა შორის იდგა, იოვანეს მიმართა: „სულიერო მოძღვარო იოვანე, ოქროპირო! შენი სწავლება ღრმაა და ჩვენს სუსტ გონებას მისი წვდომა არ შეუძლია“. ამის შემდეგ იოვანე განსაკუთრებით ცდილობდა, რომ სწავლებანი რაც შეიძლება მარტივად და ნათლად გადმოეცა. აქედან მოყოლებული იოვანეს ზედწოდებად შერჩა „ოქროპირი“, რომელიც მას, როგორც რჩეულ მჭევრმეტყველს, ასე მიესადაგებოდა.

იოვანეს სახით ანტიოქიელებს ჭეშმარიტად ჰყავდათ მამა, ნუგეშისმცემელი და დამრიგებელი, რომელიც სარგებლობდა რა თავისი გავლენით, მსმენელებს კეთილი საქმეებისა და გულმოწყალებისკენ უბიძგებდა. ის არწმუნებდა მდიდრებს, დახმარებოდნენ ღარიბებს, ხსნიდა საავადმყოფოებსა და თავშესაფრებს სნეულთათვის, მკაცრი მხილებით გამოდიოდა ფუფუნებით აღსავსე უქმი და ამაო ცხოვრების წინააღმდეგ, რომელიც ადამიანის სულს ღმერთს აშორებს, იძლეოდა რჩევებს ბავშვების აღზრდისათვის.

იოვანემ, როგორც მღვდელმა, ანტიოქიაში თორმეტი წელი დაჰყო. 397 წელს კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი ნექტარიოსი გარდაიცვალა და მის მემკვიდრედ იოვანე მიიწვიეს. იმპერატორებმა ჰონორიუსმა და არკადიუსმა იოვანეს წარგზავნა დედაქალაქში საეპისკოპოსო კათედრის დასაკავებლად ანტიოქიის მმართველს წერილობით სთხოვეს. როცა ანტიოქიელებმა წერილის შინაარსი გაიგეს, მთელი ქალაქი მღელვარებამ მოიცვა. ხალხმა გადაწყვიტა მოძღვარი მოციქულებისათვის არ გაეტანებინა, თუნდაც ამისათვის ძალის გამოყენებაც დასჭირვებოდა. მართლაც, წარგზავნილები კონსტანტინეპოლში გაწბილებულები დაბრუნდნენ და მეფეს ყოველივე მოახსენეს. მაშინ იმპერატორმა ანტიოქიის განმგებელს წერილი მისწერა, რომლითაც იოვანეს ფარულად წარგზავნას ითხოვდა. განმგებელმა ხერხს მიმართა, მამა იოვანე ქალაქგარეთ მდგარ ეკლესიაში მიიწვია, საიდანაც იგი პირდაპირ დედაქალაქში წაიყვანეს. ანტიოქიელები მოძღვრის მოტაცებამ ფრიად დააღონა, რადგან თავი დაობლებულებად იგრძნეს.

კონსტანტინეპოლში ანტიოქიელი მქადაგებელი, რომლის სახელიც უკვე მთელ აღმოსავლეთში იყო ცნობილი, აღტაცებით მიიღეს, მაგრამ ეპისკოპოსებსა და ხუცესთა შორის, რომელნიც ახალი მწყემსმთავრის ხელთდასხმისათვის შეიკრიბნენ, ისეთებიც იყვნენ, რომელთაც იოვანე, ვითარცა მკაცრი დამცველი ქრისტიანული ზნეობისა, გულზე არ ეხატებოდათ. ალექსანდრიის ეპისკოპოსს, თეოფილეს, დედაქალაქის ტახტი ერთი თავისი მომხრე მღვდლის, ისიდორესათვის უნდოდა, რომელმაც თავის დროზე მისი ერთი სახიფათო დავალება შეასრულა.[5] თეოფილე პატივმოყვარე და ცბიერი პიროვნება იყო და, ცხადია, კარგად იცოდა, რომ იოვანე მის ხელში მორჩილი იარაღი არ იქნებოდა. სამაგიეროდ, იოვანეს მხარს უჭერდა იმპერატორთან დაახლოებული კარისკაცი ევტროპიოსი. თეოფილეს მისი მუქარის შეეშინდა და იძულებული გახდა თვითონ დაესხა ხელნი იოვანესთვის, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ცხოვრება მის მტრად დარჩა.

ამგვარი დასაწყისი იმაზე მეტყველებდა, რომ დედაქალაქის ახალ ეპისკოპოსს წინ მრავალი უსიამოვნება ელოდებოდა და, მართლაც, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსობა მისთვის მძიმე გამოცდა გამოდგა. საქმე უჩვეულოდ ბევრი ჰქონდა, რადგან დედაქალაქის მწყემსმთავარს რამდენიმე ოლქის ეკლესიები ემორჩილებოდა. მაგრამ საქმე არც აშინებდა და არც ღლიდა. ღლიდა ურთიერთობა სასულიერო წრესთან, რომელშიც, მისდა სამწუხაროდ, ღირსეული მოღვაწე ცოტა აღმოჩნდა. დიდი ნაწილი თავის წმინდა მოვალეობათა მიმართ გულგრილობას იჩენდა და მიწიერ სიკეთეთა სიყვარულით იყო დასნეულებული. ეძიებდნენ რა სასახლის კარზე ძალაუფლების მქონე მოხელეთა მფარველობას, მღვდლები მათ ბიწიერებას თვალს უხუჭავდნენ და ამიტომ არც ის ზნეობრივი გავლენა ჰქონდათ, რომელიც თავიანთი მოვალეობის კეთილსინდისიერად აღმსრულებელ მწყემსებს შეუძლიათ ჰქონდეთ და აქვთ კიდევაც. სამღვდელოების გამოსწორება ახალი ეპისკოპოსის უპირველესი საზრუნავი გახდა. იგი მის დამოძღვრას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით, პირადი მაგალითის ჩვენებითაც ცდილობდა: საკუთარი სახლი სრულიად განძარცვა ყოველგვარი სიმდიდრისგან, მთელ თავის შემოსავალს

[5] **Сократ Схоластик, Церковная история, VI, 2.**

მოწყალების საქმეს ახმარდა, მკაცრად მარხულობდა, უძლურთა და სნეულთათვის თავშესაფრებს აშენებდა.

კონსტანტინეპოლში ჩასულ იოვანეს იქ რამდენიმე ღმრთისმოსავი ქალი დახვდა, რომელთაც თავიანთი ცხოვრება ღმერთს მიუძღვნეს. ესენი იყვნენ: ნიკორეტა, პენტადია, პროკულა, ბასიანნა და ოლიმპიადა. განსაკუთრებით ოლიმპიადა გამოირჩეოდა, რომელიც სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა, მაგრამ მეორედ ქორწინება აღარ ინდომა და შეუღლებაზე უარი უთხრა მეფის ნათესავს. ნაწყენმა იმპერატორმა ქალს ქონება ჩამოართვა იმ მიზეზით, რომ თითქოს იგი მას ფლანგავდა, თუმცა მერე მაინც დაუბრუნა. ოლიმპიადამ დიაკონისას წოდება მიიღო და თავისი თავიცა და თავისი დიდძალი ქონებაც მოყვასის სამსახურს მიუძღვნა. იოვანე ოქროპირი მას სწერდა: „შენ ყრმობიდანვე ასაზრდოებდი ქრისტეს, როდესაც შიოდა, ასმევდი მას, როცა სწყუროდა, შიშველს მოსავდი, მოგზაურს შინ იღებდი, სნეულს მზრუნველობდი, პატიმარს ნახულობდი. არა მხოლოდ შენი სახლია ღია ყველა გაჭირვებულისათვის, არამედ ყველგან, ზღვასა თუ ხმელეთზე, არიან ადამიანები, რომელთაც შენი გულუხვობა საკუთარ თავზე გამოსცადეს“.

იოვანეს ღმრთივშთაგონებული ქადაგებანი დედაქალაქის მცხოვრებთა გულებს სულ უფრო და უფრო იპყრობდა. ბიწიერებათა მკაცრი მამხილებელი ამავე დროს თავისი სამწყსოს მოყვარული მამაც იყო. ყველა, ვისაც რამე უჭირდა, მისკენ მიისწრაფოდა. „შეურაცხყოფილი დახმარებას მასთან ეძებს, – წერდა მისი თანამედროვე ერთი ისტორიკოსი, – განსასჯელი დამცველად უხმობს. მშიერი საჭმელს სთხოვს, ღატაკი – სამოსელს, სხვა – ფეხსაცმელს. მტირალი ნუგეშს მასთან ეძებს, სნეული – მზრუნველს, მოგზაური – შემფარებელს, ქვრივი მასთან თავისი ობლების გამო ცრემლებს ღვრის, მოვალე თავის მწუხარებას ანდობს, სხვა კიდევ ოჯახში მოჩხუბართა შერიგებას სთხოვს“. მიუხედავად მრავალფეროვანი საქმიანობისა, იოვანეს დრო ყველასთვის და ყოველივესთვის ყოფნიდა. მან შეარიგა დასავლეთთან ანტიოქიის ეკლესია, რომელიც ფლაბიანეს დიდხანს არ სცნობდა ეპისკოპოსად.

იოვანე ოქროპირის თავდადებულმა მოღვაწეობამ მტრების სიძულვილი მის მიმართ არა თუ გაანელა, არამედ, პირიქით, კიდევ

უფრო გააღვივა. მათ შორის იყო სამეფო კარის დიდი მოხელე ევტროპიოსიც, რომელმაც თავის დროზე დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ იოვანე დედაქალაქის ეპისკოპოსად ხელთდასხმულიყო. ევტროპიოსმა მის მიმართ დამოკიდებულება მაშინ შეცვალა, როცა დარწმუნდა, რომ იოვანე გაწეული სამსახურის გამო მისი ცოდვებისათვის თვალის მოხუჭვას სრულიადაც არ აპირებდა. პირიქით, მღვდელმთავარი გაბედულად ამხელდა მას უსამართლობის, მექრთამეობისა და ანგარებისმოყვარეობისათვის. იმ დროისათვის ეკლესიაში არსებობდა ე.წ. თავშესაფრის უფლება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ თუ განსასჯელი თავს ტაძარს შეაფარებდა, იგი ხელშეუხებელი იყო მანამ, სანამ მისი საქმე ხელახლა არ გაირჩეოდა. ამ უფლებას ხშირად იყენებდნენ ევტროპიოსისაგან უსამართლოდ დევნილი პირები და იოვანეც იცავდა მათ, რაც მეფის მოხელეს უკიდურესად აღიზიანებდა. მან მიაღწია იმას, რომ ეკლესიისათვის თავშესაფრის უფლება კანონით შეეზღუდა. ევტროპიოსი ვერ ხვდებოდა, რა ელოდებოდა წინ. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფის წყალობა მის მიმართ რისხვით შეიცვალა და მაშინ ყოველი მხრიდან გამოჩნდნენ ბრალმდებლები, რომელნიც მანამდე შიშის გამო დუმდნენ. იგი გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. საერთო სიძულვილით დევნილმა განსასჯელმა თავშესაფარი ეკლესიაში იპოვა,[6] იოვანეს სახით კი დიდსულოვანი დამცველი გამოუჩნდა. როცა შეიარაღებული მხედრები და გაცოფებული ხალხი ეპისკოპოსს ევტროპიოსის გადაცემას სთხოვდნენ, მღვდელმთავარმა წარმოთქვა იმპროვიზებული ქადაგება, რომელიც ეკლესიასტეს სიტყვებით დაიწყო: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“ და თვალნათლივ წარმოუდგინა მსმენელებს ამაოება ამქვეყნიური დიდებისა, რომელიც მსწრაფლწარმავალია და ისე უკვალოდ ქრება, როგორც ჰაერში ასული კვამლი. მეფის საყვარელი კარისკაცი, რომელიც გუშინ ათასობით ადამიანთა ბედს როგორც უნდოდა ისე განაგებდა, დღეს დევნილი იყო და სიკვდილით დასჯა ელოდებოდა. „შეიძლება, მან მართლაც შეურაცხგვყო ჩვენ, – მიმართა იოვანემ მსმენელებს, – მაგრამ ახლა არა განსჯის, არამედ შეწყალების ჟამია. როგორ წარმოთქვამთ სიტყვებს: „მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩუენნი ვითარცა

[6] **Сократ Схоластик, Церковная история, VI, 5.**

ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“, თუ თქვენ თქვენი მოვალის დასჯას ასე დაჟინებით მოითხოვთ?“

მღვდელმთავარი თვითონ წავიდა მეფესთან, რათა ევტროპიოსის შეწყალება ეთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ გაძევებითა და სიკვდილით ემუქრებოდნენ, იოვანემ მაინც არ გასცა ტაძარში თავშეფარებული სიკვდილმისჯილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ევტროპიოსი თავისი სურვილით ჩაბარდა, ირწმუნა რა, რომ შეიწყალებდნენ, მაგრამ იგი დასაჯეს. ევტროპიოსის ჩამოშორების შემდეგ დედოფალმა ევდოქსიამ სუსტი ნებისყოფის არკადიუსი მთლიანად დაიმორჩილა. ევდოქსია უკიდურესად ხარბი და ვერცხლისმოყვარე ქალი იყო და თავისი ხაზინის გასამდიდრებლად არავითარ ხერხსა და საშუალებას არ თაკილობდა.

იოვანე ოქროპირი, ცხადია, საჯაროდ ამხელდა ევდოქსიას სიხარბეს, რამაც გამწარებულ დედოფალს ათქმევინა: „მოვიდა ესე ანტიოქიაჲთ, რაჲთა დაჰჴსნეს საქმე მეფეთა“. წმინდა მამას არ აშინებდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა მრისხანება და თავს პავლე მოციქულის სიტყვებით ინუგეშებდა: **უკუეთუმცა კაცთა სათნო ვეყოფვოდე, ქრისტეს მონამცა არა ვიყავ** (გალ. 1,10). როგორც ცხოვართა მოყვარული მწყემსი იგი ერთგული იყო პავლე მოციქულის შეგონებისა: **ამხილე, შეჰრისხენ და ნუგეშინის-ეც** (2 ტიმ. 4,2). იოვანე ცოდვის მხოლოდ მხილებასა და მისი ჩამდენის მიმართ საყვედურის გამოხატვას როდი სჯერდებოდა, არამედ, თუ მონანიების წრფელ სურვილს შეამჩნევდა, ნუგეშსაც სცემდა და ამხნევებდა. სამწუხაროდ, დედოფალი ევდოქსია მონანიების ნაცვლად ცდილობდა იქით დაედო ბრალი მოძღვრისათვის. მათი ურთიერთობა განსაკუთრებით ერთი შემთხვევის შემდეგ დაიძაბა. იოვანე ოქროპირი გამოესარჩლა ქვრივს, რომელსაც ევდოქსიამ უკანასკნელი ლუკმის წართმევა დაუპირა. დედოფალმა იგი ძალით გააყვანინა სასახლიდან. სამაგიეროდ, როცა ჯვართამაღლების დღეს მან შიმუნვარებსა და მხლებლებთან ერთად ეკლესიას მიაშურა, ეპისკოპოსის ბრძანებით იგი ტაძარში არ შეუშვეს. დედოფლის ერთმა მსახურმა ეკლესიის კარისათვის ლახვრის დარტყმა მოინდომა, მაგრამ ხელი გაუშეშდა. გაწბილებული ევდოქსია უკან გაბრუნდა, ხოლო ხელშემხმარმა მამა იოვანეს სთხოვა

შეწყალება, მანაც ხელი ემბაზში განაბანინა და განკურნა.

იმის იმედით, რომ იმპერიის დედოფლისაგან მხარდაჭერა ექნებოდათ, იოვანე ოქროპირის მტრებმა გადაწყვიტეს მის წინააღმდეგ გაბედულად ემოქმედათ. მცირე აზიაში წარმოშობილი შფოთისა და მღელვარების გამო კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსმა ეპარქიები მოიარა და ზოგიერთი ეპისკოპოსი, რომელიც ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში ამხილა, გაათავისუფლა. გათავისუფლებული ეპისკოპოსები იოვანეს მტრებს შეუერთდნენ და წმინდა მამის წინააღმდეგ ერთმანეთის საპირისპირო ბრალდებათა ნიაღვარი წამოვიდა. თუ ერთნი მას მეტისმეტი სიმკაცრის გამო უჩიოდნენ, მეორენი, პირიქით, დამნაშავეთა მიმართ გადაჭარბებულ გულმოწყალებაში სდებდნენ ბრალს. მალე მათ საშუალება მიეცათ დედაქალაქის მთავრეპისკოპოსისათვის აშკარა ბრძოლა გამოეცხადებინათ.

ნიტრიის უდაბნოს რამდენიმე ბერმა, თეოფილე ალექსანდრიელისაგან უსამართლოდ დევნილმა, კონსტანტინეპოლს მიაშურა, რათა მფარველობა იოვანე ოქროპირისათვის ეთხოვა.[7] რამდენადაც ისინი სხვა ეპარქიას ეკუთვნოდნენ, რომელზეც წმინდა მამის ძალაუფლება არ ვრცელდებოდა, იგი მხოლოდ იმას დასჯერდა, რომ თეოფილეს მეგობრული წერილი მისწერა, რომელშიც სთხოვდა ბერებს მოწყალედ მოპყრობოდა. წერილმა თეოფილე არა მხოლოდ შეურაცხყო, არამედ შეაშინა კიდეც, რადგან იცოდა, რომ ნიტრიის უდაბნოს ბერებს შეეძლოთ ალექსანდრიის მღვდელმთავარი მრავალ უსამართლო საქციელში ემხილებინათ. გაგებული ჰქონდა რა ევდოქსიას დამოკიდებულების შესახებ იოვანესადმი, თეოფილე კონსტანტინეპოლში ჩავიდა, როგორც ბრალმდებელი წმინდა მამისა, რომელიც უკვე დიდი ხანია სძულდა. მან თან რამდენიმე ეგვიპტელი ეპისკოპოსი იახლა, რომელთა მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა. დედაქალაქში ისე, რომ მთავარეპისკოპოსს არ სწვევია, თეოფილემ გავლენიანი ადამიანებისათვის მდიდრული ნადიმების გამართვა დაიწყო.

ევდოქსიას სიძულვილმა იოვანეს მიმართ მას შემდეგ, რაც ენა მიუტანეს, რომ მთავარეპისკოპოსმა საჯარო ქადაგებისას შეურა-

[7] **Сократ Схоластик, Церковная история, VI, 7,9.**

ცხყო, კულმინაციას მიაღწია. იგი ფარულად ხელს უწყობდა იმას, რაც წმინდა მღვდელმთავრის წინააღმდეგ მზადდებოდა. როცა იოვანემ ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა და დედოფლის შეთანხმებული მოქმედების შესახებ შეიტყო, დაწერა: „შემოკრიბენით მღვდელნი ეგე სიცრუისანი, რომელნი ჭამენ ტაბლასა იეზაბელისსა, რაჲთა ვრქუა მათ: „ვიდრემდის ჰკელობთ, თქუენ ორითვე ფერჴითა თქუენითა, უკუეთუ ღმერთი არს, შეუდეგით მას“ (3 მეფ. 18,21). და „უკუეთუ ტაბლაჲ იგი იეზაბელისაჲ ღმერთი არს, ჭამდით და სთხევდით“. როგორც ვხედავთ, იოვანე ოქროპირმა ქრისტიანული იმპერიის დედოფალი გაბედულად შეადარა წარმართ დედოფალს, რომელმაც ისრაელიანთა შორის კერპთაყვანისმცემლობა დაამკვიდრა და რომელიც გააფთრებით სდევნიდა წმინდა წინასწარმეტყველ ელიას, ვინც ხალხს ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისცემისა და ერთგულებისაკენ მოუწოდებდა. სოფელ დუბში, ქალკედონის ახლოს,[8] რომლის ეპისკოპოსიც იოვანეს მტრების რიცხვს ეკუთვნოდა, 403 წელს შედგა უკანონო კრება, რომელზეც იოვანეს წინააღმდეგ 29 ბრალდება იქნა წაყენებული. სინამდვილეში ეს ბრალდებანი წმინდა მამის სრულ გამარჯვებაზე მეტყველებდნენ, რადგან მტრებმა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეცადნენ, მღვდელმთავრის ცხოვრებაში ერთი ლაქაც კი ვერ აღმოაჩინეს. ამიტომ ბრალდებანი არა მხოლოდ უსაფუძვლო, არამედ ზოგჯერ ღიმილის მომგვრელიც კი იყო. მაგალითად, ერთ-ერთ ბრალდებას ის წარმოადგენდა, რომ იოვანე მარტო სადილობდა და სტუმრებს არ იწვევდა; ყველაზე მეტად ბრალმდებლები ხაზს უსვამდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს, რომლებიც თითქოს მღვდელმთავარს ქადაგებების დროს დედოფლის მისამართით ჰქონდა თქმული. წმინდა მამა უკანონო კრებაზე რამდენჯერმე იქნა მიწვეული, მაგრამ მან ყოველთვის უარი თქვა იმ მიზეზით, რომ არ შეეძლო კანონიერად ჩაეთვალა კრება, რომელზეც მისი აშკარა მტრები მსაჯულებად ისხდნენ. ამაო გამოდგა იმ ორმოცი ეპისკოპოსის მცდელობა, რომელთაც წმინდა მღვდელმთავრის ერთგულება შეინარჩუნეს, ცვლილება შეეტანათ კრების მსვლელობაში. ძალა იოვანეს მტრების მხარეზე იყო. მათ გამოაცხადეს

[8] იქვე, VI, 15.

კრების გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, იოვანე ოქროპირი დედაქალაქის მთავარეპისკოპოსის ტახტიდან ჩამოგდებული და გაძევებული იყო. დედოფალი ევდოქსიას გავლენით სუსტი ნებისყოფის მქონე იმპერატორმა არკადიუსმა ეს უკანონო განაჩენი დაადასტურა.

როცა ამ განაჩენის შესახებ შეიტყვეს, დედაქალაქის მცხოვრებნი წმ. სოფიის საკათედრო ტაძრისაკენ დაიძრნენ, რომელსაც მთავრეპისკოპოსის საცხოვრებელი სახლი გალერეით უკავშირდებოდა და ორივეს თითქოს ცოცხალ კედლად შემოერტყნენ, რათა საყვარელი მწყემსი დაეცვათ. ხალხი მხოლოდ ერთ სურვილს გამოხატავდა: „ვითხოვთ კანონიერ კრებას; ეპისკოპოსის განსჯა მხოლოდ ნამდვილ კრებას შეუძლია“. ამასვე ამბობდა იოვანეც: „მე ცრუ კრებამ განმსაჯა; მე და ჩემი ბრალმდებლები კანონიერმა კრებამ უნდა განგვსაჯოს და აქ, ჩემს ეკლესიაში უნდა განმამართლოს“.

ასე გავიდა ორი დღე. ევდოქსია და იოვანეს მტრები არკადიუსს არწმუნებდნენ მთავარეპისკოპოსი ძალით გაეძევებინა, მაგრამ მას ხალხის მღელვარებისა ეშინოდა.საერთო შფოთსა და მღელვარებაში სიმშვიდეს მხოლოდ იოვანე ინარჩუნებდა. იგი განუწყვეტლივ მიმოდიოდა ტაძარსა და რეზიდენციას შორის და თავის მომხრეებსა და მეგობრებს ანუგეშებდა. მეორე დღეს, საღამოს, მან წმ. სოფიის ტაძარში წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა:

„მძლავრია ტალღები და ძლიერია ქარიშხალი, მაგრამ მე დანთქმისა არ მეშინია, რადგანაც კლდესა ზედა ვდგავარ. დაე, მძვინვრებდეს ზღვა: მას კლდის შემუსვრა არ შეუძლია; დაე, აღიმართოს ტალღები: მას იესოს ხომალდის დანთქმა არ ძალუძს. მითხარით, რისა უნდა მეშინოდეს? ნუთუ სიკვდილისა? მაგრამ „ცხოვრება ჩემდა არს ქრისტე, ხოლო სიკუდილ შესაძინებელ“. ნუთუ გადასახლებისა? „უფლისა არს ქუეყანაჲ და აღსასრული მისი.“ ნუთუ მამულის დაკარგვისა? ჩვენ არაფერი მოგვიტანია ამქვეყნად და ცხადია, მისგან ვერც ვერაფერს წავიღებთ. მე არად ვაგდებ შიშს ამა სოფლისა და მისი სიკეთენი სასაცილოდაც არ მყოფნის; არ მეშინია სიღატაკისა, არ მსურს სიმდიდრე; არ მეშინია სიკვდილისა და არ მსურს სიცოცხლე, უკეთუ მხედველობაში

თქვენს წარმატებას არ მივიღებთ.

ახლანდელ ვითარებას მხოლოდ იმიტომ ვეხები, საყვარელნო, რომ თქვენ დაგამშვიდოთ. არავის და არაფერს შეუძლია ჩვენი დაშორება... ჩვენ ადგილი განგვაშორებს, მაგრამ სიყვარულით ვიქნებით შეერთებულნი; ჩვენი განშორება თვით სიკვდილსაც კი არ შეუძლია: თუმცა სხეული მოკვდება, მაგრამ სული დარჩება ცოცხალი და ამ ხალხს არასოდეს დაივიწყებს... ახლანდელი ვითარება ნუ შეგაშფოთებთ. თქვენი სიყვარული ერთი რამით მაჩვენეთ, – ურყევი რწმენით. არა ჩემს ძალებს ვეყრდნობი, არამედ მაქვს საწინდარი უფლისა; მე მაქვს მისი წმინდა წერილი: ის არის საყრდენი ჩემი, სიმტკიცე და მშვიდი ნავსაყუდელი ჩემი; სიტყვები მისი ფარია ჩემი და ზღუდე. რომელი სიტყვები? – „მე თქუენ თანა ვარ ვიდრე აღსასრულამდე ჟამთა“. ქრისტეა ჩემთან; ვისი უნდა მეშინოდეს? დაე, აღიმართონ ჩემზე ტალღები, ზღვა, მძვინვარება ძლიერთა ამა ქვეყნისათა; ყოველივე ეს ობობას ქსელზე უფრო სუსტია. მხოლოდ თქვენ მაკავებთ თქვენი სიყვარულით. მაგრამ მე ყოველთვის ვევედრები: დაე, იყოს ნებაჲ შენი, უფალო, არა ისე, როგორც ამას თუ იმას სურს, არამედ ისე, როგორც შენ გნებავს. აი, ჩემი სიმტკიცე, აი, ჩემი უძრავი კლდე, აი, ჩემი ლერწამი ურყევი! დაე, იყოს ის, რაც ღმერთს ესათნოება. თუ მას ჩემი აქ დარჩენა ესათნოება, მადლობას ვუძღვნი, ხოლო თუ აქედან წაყვანა სურს, კვლავ მისი მადლობელი ვრჩები“.

მეორე დღეს, დაახლოებით შუადღისას, იმპერატორის ერთერთმა კარისკაცმა იოვანეს ბრძანება მოუტანა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ქალაქი და თან დაამატა, რომ ხალხისაგან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ხელისუფლება სამხედრო ძალას გამოიყენებდა. მაშინ წმინდა მამამ გადაწყვიტა, ფარულად წასულიყო. მისთვის მიჩენილ მოხელესთან ერთად იგი საიდუმლო გასასვლელით გავიდა სახლიდან და მწუხრის დადგომამდე ქალაქის განაპირა უბანში იმალებოდა. საღამოს თავის გამცილებელთან ერთად ნავსადგურისაკენ გაემართა, მაგრამ გზაში ზოგიერთებმა იცნეს და მთელ ქალაქში გაავრცელეს ხმა, რომ მთავარეპისკოპოსი მიჰყავდათ.

ხალხი ზღვის სანაპიროს მიაწყდა, მაგრამ იოვანემ შეაჩერა სი-

ტყვებით: „მე ვალდებული ვარ იმპერატორს დავემორჩილო და არ მსურს, რომ ჩემ გამო სისხლის თუნდაც ერთი წვეთი დაიღვაროს“. იგი სასწრაფოდ ავიდა გემზე, რომელიც ელოდებოდა და მალე ღამის სიბნელემ მიმავალი მღვდელმთავარი ხალხის თვალთაგან დაფარა.

მეორე დილით, თეოფილე, რომელიც მანამდე კონსტანტინეპოლში შემოსვლას ვერ ბედავდა, თავის მომხრეებთან ერთად ქალაქში გაჩნდა და როგორც გამარჯვებული, ეკლესიის საქმეების გამგებლობას შეუდგა: მან სასწრაფოდ გადააყენა იოვანეს ერთგული მღვდელმსახურნი და ისინი თავისი მომხრეებით შეცვალა. აღელვებულმა ხალხმა ეკლესიის დაცვა გადაწყვიტა და ტაძარში არ შეუშვა ის ეპისკოპოსები, რომელნიც დუბის კრებაში მონაწილეობდნენ. საკათედრო ტაძარში შესვლის ნება არც თეოფილეს მისცეს. მაშინ ეპისკოპოსის მხლებელმა ალექსანდრიელებმა მახვილები იშიშვლეს. შეტაკებაში, რომელიც ტაძრის კარიბჭესა და თვით ტაძრის შიგნითაც გაიმართა, რამდენიმე კაცი დაიღუპა, ბევრი დაიჭრა. შეშინებული თეოფილე გაიქცა და თავი რომ ხალხის რისხვისაგან გადაერჩინა, კონსტანტინეპოლიდან დანჯღრეული ნავით გასცურა. სისხლიანი შეტაკებანი სხვა ტაძრებშიც მოხდა; სამაგიეროდ ქრისტიანთა შორის ჩამოვარდნილმა განხეთქილებამ წარმართები გაახარა.

ღამით დედაქალაქის მოსახლეობა ძლიერმა მიწისძვრამ შეაშფოთა. მიწისქვეშა ბიძგები განსაკუთრებით ძლიერად მეფის სასახლის სიახლოვესა და თვით სასახლეში იგრძნობოდა. შეძრწუნებულმა ევდოქსიამ ტირილით მიირბინა იმპერატორთან. „ჩვენ მართალი გავაძევეთ, – ამბობდა ის, – და უფალი ამისთვის გვსჯის. სასწრაფოდ უნდა დავაბრუნოთ, თორემ დავიღუპებით“. იმპერატორი, რა თქმა უნდა, დათანხმდა და ევდოქსიამ თავისი ხელით დაწერა წერილი, რომელშიც იოვანეს არწმუნებდა, რომ მის განდევნაში წილი არ ედო და ღმრთის სახელით დაბრუნებას ევედრებოდა. პირველ წერილს მეორე და მესამე მოჰყვა, ისე მოუთმენლად ელოდებოდა შეშინებული დედოფალი მღვდელმთავრის დაბრუნებას. როცა ხალხმა ამის შესახებ შეიტყო, წმინდა მამის შესახვედრად კონსტანტინეპოლის ყურე ნავებით დაიფარა,

რომელნიც ღამე ჩირაღდნებით იყვნენ განათებულნი. და არა მარტო ისინი, არამედ მთელი სანაპიროც კოცონებით იყო განათებული. საყვარელ მწყემსთან შეხვედრის სიხარული ხალხმა ასე გამოხატა. მაგრამ იოვანემ მანამ, სანამ მის მიმართ გამოტანილი განაჩენის უკანონობა საჯაროდ არ გამოცხადდებოდა, ქალაქში შესვლა არ ისურვა და გარეუბანში გაჩერდა.[9] ეს რომ გაიგო, დედოფალმა დაბეჯითებით შეუთვალა დედაქალაქში შესულიყო, ხოლო ხალხმა იგი საკათედრო ტაძარში ლამის ძალით შეიყვანა. წმ. სოფიის ტაძარში მღვდელმთავარმა თავისი სამწყსო დალოცა, ღმრთის სადიდებელი სიტყვა წარმოთქვა და ევდოქსიას წერილი ხმამაღლა წაიკითხა.

რა თქმა უნდა, იოვანეს არ შეეძლო ცრუ კრების დადგენილებანი კანონიერად ჩაეთვალა და სრული უფლება ჰქონდა თავისი მღვდელმთავრული მსახურება გაეგრძელებინა, მაგრამ მას სურდა მისი სიმართლე საჯაროდ განცხადებულიყო. ამიტომ კეისარს კონსტანტინეპოლში საეკლესიო კრების მოწვევა სთხოვა, რომელიც დუბის საეკლესიო კრების მოქმედებას განიხილავდა. იოვანეს უნდოდა მას დუბში გამართული წინა კრების მონაწილე ეპისკოპოსებიც დასწრებოდნენ, მაგრამ მათ, ხალხის მოსალოდნელი რისხვით დაშინებულებმა, კონსტანტინეპოლი მისი მღვდელმთავრის დაბრუნებისთანავე ისე სწრაფად დატოვეს, რომ ზოგიერთი საქმე, რომელიც თავიანთ კრებაზე უნდა განეხილათ, განსახილველი დარჩათ.

რა თქმა უნდა, არცერთ მტერს იოვანესთვის პატიება არ უთხოვია და მასთან შერიგება არ უცდია, პირიქით, მისმა საზეიმო დაბრუნებამ ისინი კიდევ უფრო გააბოროტა და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდებოდნენ, რათა მღვდელმთავრის წინააღმდეგ ახალი ბრძოლა წამოეწყოთ.

გავიდა ორი თვე იოვანეს დაბრუნებიდან. პატივმოყვარე ევდოქსიას დაჟინებული მოთხოვნით წმ. სოფიის ტაძრის წინ მოედანზე მისი ვერცხლის ქანდაკება აღმართეს.[10] ქანდაკების გახსნას ხმაურიანი გასართობები მოჰყვა, რომელთაც წამართული ხასიათი

[9] **Сократ Схоластик, Церковная история, VI, 16.**

[10] **იქვე, VI, 18.**

ჰქონდა. იოვანემ ქალაქის გუბერნატორს სთხოვა ბოლო მოეღო უწესრიგობისათვის, რომელიც ტაძრის სიწმინდეს შეურაცხყოფდა. ამ თხოვნას არა თუ შედეგი არ მოჰყოლია, არამედ, პირიქით, იგი დედოფლის შეურაცხყოფად მიიჩნიეს. მხიარული გართობანი მოედანზე არა თუ შეწყდა, არამედ გამრავლდა კიდეც. განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში იზიდავდა იგი მოედანზე უამრავ ხალხს. ხმამაღალი შეძახილები, სიმღერები და მუსიკალური ინსტრუმენტების ხმები ტაძრამდე აღწევდა და ღმრთისმსახურებისას წმ. წერილის კითხვასა და გალობას ახშობდა. მაშინ წმიდა მამამ ტაძარში წარმოთქვა სიტყვა, რომელიც სანახაობათა წინააღმდეგ იყო მიმართული. სწორედ ამ დროს თქვა მან ცნობილი სიტყვები: „აჰა ესერა კუალად აღიძვრის ჰეროდიადა და ეძიებს მოკუეთად თავსა იოანესა და მიღებად ლანკნითა“. მტრებმა იოვანე დედოფალთან დაასმინეს და უთხრეს, რომ იგი ჰეროდიადას შეადარა. ამ პერიოდში დაარიგეს წერილები, რომლითაც სამღვდელოებას კრებაზე იწვევდნენ. ასეთი წერილი თეოფილე ალექსანდრიელსაც გაუგზავნეს. ჩამოსვლას მას იოვანეს მტრებიც დაბეჯითებით სთხოვდნენ. მართალია, თეოფილე დედაქალაქში არ ჩასულა, მაგრამ თავის თანამოაზრეთა მართვას შორიდანაც კარგად ახერხებდა. მან არკადიუსი კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსის წინააღმდეგ ისე განაწყო, რომ იმპერატორმა ქრისტეს შობის საზეიმო წირვაზე წმ. სოფიის ტაძარში წასვლა არ მოისურვა – იმ მიზეზით, რომ არ შეეძლო ურთიერთობა იმ ეპისკოპოსთან, რომელიც კრებამ ჩამოაგდო.

ამასობაში დაიწყო კრება,[11] რომელიც იოვანე ოქროპირის სურვილით იყო მოწვეული და რომელსაც დუბის კრების უკანონო ქმედებანი უნდა ემხილებინა. მაგრამ მტრებმა, რომელთაც თეოფილე ხელმძღვანელობდა, მღვდელმთავრის წინააღმდეგ მისი ახალ იარაღად გამოყენება სცადეს. სწორედ თეოფილეს მითითებით გამოიყენეს კანონი, რომელიც არიოზელების ცრუ კრებამ მიიღო წმ. ათანასე ალექსანდრიელის თავიდან მოსაშორებლად.

[11] იგულისხმება კონსტანტინეპოლის კრება, რომელიც 404 წელს გაიმართა და რომელმაც მეორედ გადააყენა იოვანე ოქროპირი დედაქალაქის მთავარეპისკოპოსობიდან.

კანონის მიხედვით კრების მიერ განკვეთილი სასულიერო პირი, მიუხედავად იმისა, სამართლიანი იყო ეს განკვეთა თუ უსამართლო, თუკი ეკლესიას კრების გადაწყვეტილების გარეშე დაუბრუნდებოდა, ისევ უნდა განკვეთილიყო. იოვანეს მომხრე ეპისკოპოსები იმპერატორთან მივიდნენ და არწმუნებდნენ, რომ იგი არც არასოდეს ყოფილა განკვეთილი და რომ ეს კანონი მწვალებელთა მიერ იყო მიღებული ათანასე დიდის წინააღმდეგ. ეპისკოპოსმა ელპიდიმ წმინდა მამის განკვეთის მოსურნეებს მოსთხოვა წერილობით აღიარება იმისა, რომ იმ რწმენის აღმსარებელნი იყვნენ, რომელსაც ამ კანონის შემდგენელნი აღიარებდნენ, რაზეც, რა თქმა უნდა, ყველამ თავი შეიკავა. მტრები შერცხვენილ იქნენ, მაგრამ ფარხმალი არ დაუყრიათ და სხვა საშუალება რომ აღარ დარჩათ, იმპერატორი დაარწმუნეს, ძალა გამოეყენებინა მღვდელმთავრის წინააღმდეგ.

კრება, უფრო სწორად სამსჯავრო წმინდა ეპისკოპოსისა, რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ამასობაში მოახლოვდა აღდგომის წმინდა დღესასწაული, რომელიც მთელ ქრისტიანულ სამყაროში არსად ისეთი ზეიმურობით არ აღინიშნებოდა როგორც კონსტანტინეპოლში, კერძოდ, წმ. სოფიის ტაძარში. იმპერატორმა იოვანეს ტაძარში მისვლა აუკრძალა. დიდ შაბათს სამიათასზე მეტ ახლადმოქცეულს წმ. სოფიის ტაძარში უნდა ნათელეღო. ეპისკოპოსი იქ დილით მივიდა. დაიწყო მსახურება და უკვე ნათლობის საიდუმლო სრულდებოდა, როცა ტაძარში შეიარაღებული მეომრების რაზმი შეიჭრა და მთავარეპისკოპოსი ძალით გაიყვანა. ხალხმა მისი დაცვა სცადა, რის გამოც მრავალი დაიჭრა და მრავალიც მოკვდა. ახლადმოქცეულები გაფანტეს. ტაძარი იარაღის ხმებმა, ქალების ტირილმა, დაჭრილთა კვნესამ და ყვირილმა აავსო. იოვანე თავის რეზიდენციაში მიიყვანეს, ხოლო ახლადმოქცეულებმა ქალაქგარეთ სანათლავებსა და აბანოებსაც კი მიმართეს, სადაც აკურთხა რა წყალი, სამღვდელოება ნათლობის შეწყვეტილი საიდუმლოს დასრულებას შეუდგა. მაგრამ მეომრები იქაც შეიჭრნენ, ბევრი მათგანი წარმართი იყო. ისინი მკრეხელობდნენ, იტაცებდნენ საეკლესიო ჭურჭელს. სანათლავებში წყალს სისხლი შეერია, შეშინებული ადამიანები გარბოდნენ.

მრავალი მღვდელმსახური, რომელიც იოვანეს უჭერდა მხარს, დაიჭირეს და საპყრობილეში ჩაყარეს.

ღამით კონსტანტინეპოლი დაცარიელდა. ხალხი ტაძრებს, სადაც მღვდელმთავრის მტრები დამკვიდრდნენ, ახლოსაც არ გაეკარა და საზეიმო წირვის მოსასმენად ქალაქგარეთ, ველზე შეიკრიბა. დილით, როცა იმპერატორი ქალაქგარეთ გავიდა, გაოცებული დარჩა საზეიმოდ გამოწყობილი ადამიანების ხილვით. ბევრი მათგანი თეთრ სამოსელში იყო, ნიშნად იმისა, რომ ნათლობა ახლად მიღებული ჰქონდა. „ვინ არიან ეს ადამიანები?“ იკითხა მან. „ესენი ერეტიკოსები არიან, ეკლესიის უარმყოფელნი“, – უპასუხეს მხლებლებმა. „მაშინ ისინი განდევნონ, ხოლო უფროსები დაიჭირონ“, ბრძანა იმპერატორმა და წავიდა.

დაიწყო საშინელი ანგარიშსწორება. მეომრები დაუცველ, უიარაღო ხალხს ცხენებით თელავდნენ, მახვილებით ჩეხდნენ, ძარცვავდნენ, ველზე მრავალი დაჭრილი და მკვდარი დარჩა; ღმრთისმსახურები შეიპყრეს და საპყრობილეში გამოამწყვდიეს. სანამ იოვანე საკუთარ რეზიდენციაში პატიმარივით ჰყავდათ გამოკეტილი, კრება სულ უფრო და უფრო იღებდა ბრბოს სახეს, რომელსაც მისი მტრები შეადგენდნენ. ისინი სულ უფრო დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ წმინდა მამა არა მხოლოდ ეპისკოპოსობისგან, არამედ საერთოდ ეკლესიისგანაც განეყენებინათ. დარწმუნდა რა, რომ ეპისკოპოსთა სამართლიანობის იმედი, რომელნიც ან თვითონ იყვნენ მტრულად განწყობილნი მის მიმართ, ან კიდევ ეშინოდათ, არ უნდა ჰქონოდა, იოვანე ოქროპირმა წერილები მისწერა დასავლეთის, კერძოდ, რომის, მილანისა და აკვილეას ეპისკოპოსებს, რომლებშიც კონსტანტინეპოლში მომხდარი მოვლენები აღწერა.

ამასობაში წმინდა ეპისკოპოსის მომხრეთა დევნა-შევიწროება გაძლიერდა. საპყრობილეები ახალი შეპყრობილებით აივსო. მართალია, ხელისუფლების მხრიდან მიღებულმა ზომებმა ზოგიერთი დააფრთხო, მაგრამ ბევრში მხურვალე მოშურნეობა გააღვიძა. მათ საპყრობილეები სამლოცველო სახლებად გადააქციეს, საიდანაც სანთლების შუქი და ფსალმუნთა გალობის ხმები გამოდიოდა. ორჯერ მტრებმა იოვანეს მკვლელებიც კი მიუგზავნეს. თუმცა დამნაშავენი ორივეჯერ შეიპყრეს, მაგრამ ისინი არავის დაუს-

ჯია. მაშინ მწყემსმთავრის სიცოცხლის დაცვა ხალხმა ითავა და მის რეზიდენციას დღისითაც და ღამითაც იცავდა. ბოლოს და ბოლოს იმპერატორი, რომელსაც ღმერთის რისხვის ეშინოდა, ეპისკოპოსის ყველაზე დაუძინებელმა მტრებმა დაარწმუნეს, რომ პასუხისმგებლობას თავიანთ თავზე იღებდნენ და სულთმოფენობისათვის იოვანე ოქროპირის განდევნის განაჩენი გამოატანინეს. წმინდა მამამ მოისურვა, რომ ერთხელ კიდევ შესულიყო წმ. სოფიის ტაძარში და თავის ერთგულ მომხრეებს იქ გამოთხოვებოდა. ხალხმა მოძღვრის ტაძარში ყოფნა რომ შეიტყო, მთავარ კარებთან შეგროვდა, რათა მის გამოსვლას დალოდებოდა, მაგრამ იოვანე როგორც პირველად, ახლაც ფარულად გავიდა და ნავსადგურისაკენ გაემართა.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ხალხი მიხვდა, რაც მოხდა. ზოგიერთები ზღვის სანაპიროსკენ გაემართნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო, გემი, რომელსაც იოვანე ოქროპირი მიჰყავდა, უკვე შორს იყო გასული ზღვაში. სხვებმა ტაძარში შეღწევა ძალით სცადეს და ისევ აელვარდნენ ხმლები, ისევ დაიღვარა სისხლი, წმ. სოფია ისევ აავსო დაჭრილებისა და მომაკვდავი ადამიანების კვნესამ. ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, ხოლო შუაღამისას ტაძარში ხანძარი გაჩნდა, რომელმაც არა მხოლოდ ტაძარი, არამედ სენატის შენობა, მდიდართა სახლები გადაწვა და მეფის სასახლესაც დაემუქრა. დილისთვის ტაძრიდან მხოლოდ პატარა ნაგებობაღა გადარჩა, რომელშიც საგანძური ინახებოდა.

იოვანეს მტრებმა ხანძრის გაჩენა, რა თქმა უნდა, მის მომხრეებს დააბრალეს, ზოგიერთ მათგანს არც იმისა შერცხვა, რომ ბრალი თავად ეპისკოპოსისათვის დაედო. იოვანე უკვე ქალკედონიდან ნიკეასკენ მიემგზავრებოდა, როცა გემს, რომელზეც იმყოფებოდა, კონსტანტინეპოლიდან წარმოგზავნილები დაეწივნენ, ტაძარში გაჩენილი ხანძრის შესახებ აცნობეს და ორი ეპისკოპოსი და რამდენიმე სასულიერო პირი, რომლებიც გადასახლებაში თან მიჰყვებოდნენ, დააპატიმრეს და, როგორც ეჭვმიტანილები, დედაქალაქში დააბრუნეს.

ხანძრის საქმის გამოძიებისას იოვანეს მრავალი მომხრე შეიპყრეს, ბევრიც აწამეს. დევნას ვერც ის ღმრთისმოსავი დედები

გადაურჩნენ, რომელნიც მთელი ქალაქის პატივისცემით სარგებლობდნენ, მათ შორის დიაკონისები – ოლიმპიადა და პენტადია, ნიკორეტა და სხვები. ოლიმპიადას, რომელიც გვარიშვილობითა და სიმდიდრითაც ისევე ცნობილი იყო როგორც ღმრთისმოსავური ცხოვრებით, წამებითაც დაემუქრნენ, მაგრამ მან სიმშვიდე ბოლომდე შეინარჩუნა და წაყენებული ბრალდებანი მტკიცედ უარყო.

წმინდა მღვდელმთავარი ნიკეაში დიდხანს არ გაუჩერებიათ. ერთი თვის შემდეგ იგი ბევრად უფრო შორეულსა და მკაცრ ადგილას, პატარა ქალაქ კუკუსოში გადაასახლეს, რომელიც არმენიის მთებში მდებარეობდა. სამოცდაათდღიანი მგზავრობის მანძილზე იოვანე ოქროპირმა მრავალი ტანჯვა და საფრთხე გადაიტანა, მაგრამ ანუგეშებდა ის სიყვარული, რომლითაც გზადაგზა ხალხი, მეუდაბნოე ბერები და საერთოდ სამღვდელოება ხვდებოდა. ყველა ცდილობდა წმინდა ეპისკოპოსისგან კურთხევა მიეღო. ცრემლმორეული ადამიანები ამბობდნენ: „უმჯობესია მზემ დაგვიმალოს თავისი სხივები, ვიდრე დადუმდეს ბაგენი იოვანესი“.

კუკუსო პატარა ღარიბი ქალაქი იყო, ველურსა და უნაყოფო ადგილას გაშენებული. ქალაქის მცხოვრებთ სიცოცხლე ჰქონდათ გამწარებული მეზობელი ისავრიელებისაგან, რომელნიც ხშირად ესხმოდნენ თავს და ძარცვავდნენ. ხანგრძლივმა მომქანცველმა მოგზაურობამ, რომლის დროსაც წმინდა მამას ცხოვრების ელემენტარული პირობებიც კი არ ჰქონდა, მისი ისედაც სუსტი ჯანმრთელობა კიდევ უფრო შეარყია. იგი მთელი ზამთარი არ ამდგარა სნეულის სარეცელიდან, მაგრამ ამას მის შინაგან სულიერ მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია; სულით ძველებურად ფხიზელი და ძლიერი იყო, სასოწარკვეთასა და უიმედობას არ მისცემია, პირიქით, ისევ ისე იღვწოდა ღმრთის სადიდებლად და ეკლესიის საკეთილდღეოდ. ზოგიერთმა მეგობარმა მას გადასახლებაშიც მიაკითხა, სხვები მატერიალურად ეწეოდნენ, რათა ქველმოქმედების საშუალება ჰქონოდა. იოვანე მთელი ამ მხარისათვის კეთილისმყოფელი მფარველი გახდა: ეხმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილთ და ისავრიელებისაგან ტყვეებად წაყვანილთათვის თავისუფლებას ყიდულობდა.

წმ. ეპისკოპოსი ახალი ძალით შეუდგა მისიონერულ მოღვაწეო-

ბას, რომელიც ყოველთვის იზიდავდა. ურთიერთობა ჰქონდა იმ მახარებლებთან, რომელნიც ქრისტეს მოძღვრებას დუნაის ნაპირებზე, ფინიკიასა და სპარსეთში ავრცელებდნენ. რა თქმა უნდა, მტრები იოვანე ოქროპირის გაცხოველებულ მოღვაწეობას ვერ შეურიგდნენ და ერთი წლის შემდეგ იგი კიდევ უფრო შორს, ჩრდილოეთ არმენიაში გადაასახლეს. მაგრამ იქაც, ისევე როგორც კუკუსოში, დიდ მღვდელმთავარს მორწმუნენი ყოველი მხრიდან აკითხავდნენ კურთხევისა და დარიგების მისაღებად და მისი დიდება მთელ ველურ არმენიაში ქუხდა. მეგობრებს, რომელნიც ვერ ჩადიოდნენ მის სანახავად, იგი წერილებით უკავშირდებოდა, რომლებიც აღსავსე იყო ქრისტიანული სიბრძნითა და სიყვარულით. განსაკუთრებით გამოირჩევა წერილები მიწერილი დიაკონისა ოლიმპიადასათვის. მხოლოდ მას, ვინც კარგად იცის ამა სოფლის როგორც სიკეთეთა ისე ტანჯვათა ამაოება და წარმავლობა, შეეძლო დაეწერა ეს სიტყვები: „ბოროტება მხოლოდ ერთი რამაა – ცოდვა, და სიკეთეც მხოლოდ ერთია – სათნოება. ყოველივე დანარჩენი, რაც არ უნდა ვუწოდოთ – ბედნიერება თუ უბედურება, – მხოლოდ კვამლია, აჩრდილი და ოცნება“.

კონსტანტინეპოლის ეკლესიაში მშვიდობა დაირღვა. მორწმუნენი გაითიშნენ. ძალიან ბევრს სჯეროდა, რომ, რამდენადაც არც დუბისა და არც მისი მომდევნო, კონსტანტინეპოლის კრების განაჩენი კანონიერი არ იყო, ამდენად დედაქალაქის სამწყსოს კანონიერ მწყემსად ისევ იოვანე ოქროპირი რჩებოდა და ამიტომ არ სცნობდნენ მღვდელმთავრად მის მემკვიდრეს კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო კათედრაზე – არზაციუსს. სამაგიეროდ, ისინი, რომელნიც არზაციუსს კანონიერ მწყემსთავრად მიიჩნევდნენ, იოვანეს მომხრეებს, ე.წ. იოვანელებს, გამთიშველებს უწოდებდნენ. როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლება იოვანელებს სდევნიდნენ, ციხეებში ამწყვდევდნენ, მათ ლოცვით შეკრებებს არბევდნენ, თვით წამებასაც კი არ ერიდებოდნენ და მორწმუნეებისაგან ეკლესიის ერთგულების დამტკიცებას იოვანე ოქროპირის ანათემაზე გადაცემით მოითხოვდნენ.

იოვანე ოქროპირის ბედის მიმართ გულგრილი არც დასავლეთ რომის იმპერიის მოღვაწენი დარჩენილან. იმპერატორმა ჰონორი-

უსმა ძმას, არკადიუსს წერილი მისწერა, რომელშიც კანონიერი მწყემსმთავრის დედაქალაქის კათედრაზე დაბრუნებით ეკლესიაში მშვიდობის აღდგენას ევედრებოდა. როცა დარწმუნდნენ, რომ არკადიუსზე არავითარი თხოვნა და ვედრება არ სჭრიდა, დასავლეთის ეპისკოპოსები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, რომ მხოლოდ მსოფლიო კრება აღადგენდა ეკლესიაში მშვიდობასა და წესრიგს. იმპერატორი ჰონორიუსისა და რომის პაპის ინოკენტის წერილებით აღმოსავლეთში ხუთი ეპისკოპოსი გაემგზავრა, რომელთაც ეს წერილები არკადიუსისთვის უნდა გადაეცათ. მათში იმპერატორი და პაპი მას მომავალი კრების შესახებ საკითხების განხილვას სთავაზობდნენ. სამწუხაროდ, მოციქულებს, როგორც კი ისინი იმპერატორი არკადიუსის სამფლობელოში შემოვიდნენ, მრავალი შეურაცხყოფის ატანა მოუხდათ, ხოლო კონსტანტინეპოლის ახლოს ისინი საერთოდ შეიპყრეს.

ეს ყოველივე დედოფალი ევდოქსიას გარდაცვალების შემდეგ მოხდა. იგი იოვანე ოქროპირის განდევნიდან სამი თვის შემდეგ, დაბადა რა მკვდარი ბავშვი, საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა. ზოგი ავადმყოფობითა და ზოგიც უეცრად აღესრულა იმათგანაც, რომელნიც წმინდა მამის განდევნისათვის აქტიურობდნენ. ამ ხანებში აღმოსავლეთ რომის იმპერიას მრავალი უბედურება დაატყდა თავს: ძლიერი მიწისძვრა, უჩვეულო სიდიდის სეტყვა, რომელმაც ნათესები გაანადგურა, გადამდები სნეულებანი. ხალხი ამაში სამართლიან სასჯელს ხედავდა, რომელიც ქვეყანას წმინდა მამის დევნისათვის დაატყდა თავს. შეშინებულმა არკადიუსმა წმინდა მოღვაწეებს მიმართა ღმრთის წინაშე შემწეობისათვის, მათ შორის სახელგანთქმულ ნილოს სინელსაც. წმინდა მამამ მის თხოვნას – ელოცა, რათა დედაქალაქს ღმრთის რისხვა აცილებოდა, ასე უპასუხა: „როგორ გავკადნიერდები და ვილოცებ იმ ქალაქისთვის, რომელმაც ამდენი ცოდვებით ღმრთის სამართლიანი რისხვა თავს დაიტეხა, რომელმაც განდევნა ნეტარი იოვანე, სვეტი ეკლესიისა, მნათობი სიმართლისა, საყვირი უფლისა? შენ განდევნე იგი ისე, რომ არავითარი საბაბი არ გქონია, ქარაფშუტულად აჰყევი რა რჩევებს ადამიანთა, რომელთაც დაზიანებული გონება აქვთ. შენ მოაკელი მორწმუნეებს წმინდა დარიგებანი, სწავლანი,

რომელთაც ისინი მისგან იღებდნენ. დაფიქრდი ამაზე. შეიცანი შენი შეცდომა და შეინანე“.

სამწუხაროდ, არკადიუსს სინანულის სურვილი არ გასჩენია და კვლავ ძველებურად ყურს იმათ რჩევებს უგდებდა, რომელნიც წმინდა მამის დაუძინებელი მტრები იყვნენ. შეშფოთებულებმა იმით, რომ განდევნილი ეპისკოპოსის ავტორიტეტი და შესაბამისად – სიყვარულიც მის მიმართ დღითი დღე იზრდებოდა, მათ იმპერატორი დაარწმუნეს, იგი კიდევ უფრო შორს, საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე, ბიჭვინთაში გადაესახლებინა.

როგორც ჩანს, იოვანე ოქროპირის გამცილებელთ ბრძანება ჰქონდათ მიღებული, რაც შეიძლება მკაცრად მოქცეოდნენ მას, რადგან გზას, საშინელი ხვატისა თუ კოკისპირული წვიმის მიუხედავად, შეუსვენებლივ აგრძელებდნენ. სამი თვის მოგზაურობის შემდეგ მათ კომანში ჩააღწიეს. წმინდა მამას ძალა სრულიად გამოცლილი ჰქონდა. ღამით მას წმ. მოწამე ბასილისკო გამოეცხადა, რომელიც კომანში იყო დაკრძალული და უთხრა: „ნუ იდარდებ, ძმაო იოვანე! ხვალ ერთად ვიქნებით“. მეორე დღეს ამაოდ სთხოვდა იოვანე თავის მცველებს ცოტა ხნით კომანში დარჩენილიყვნენ, რათა ძალა მოეკრიბა. მათ გზა მაინც გააგრძელეს, მაგრამ იძულებულნი გახდნენ მალევე უკან მობრუნებულიყვნენ, რადგან დარწმუნდნენ, რომ წმინდა მამას გზის გაგრძელების ძალა აღარ ჰქონდა. იგრძნო რა აღსასრულის მოახლოება, იოვანე ოქროპირი ეზიარა. მისი უკანასკნელი სიტყვები სამადლობელო ლოცვა იყო, ღმრთის სახელზე აღვლენილი: „დიდებაჲ შენდა უფალო, ყოველთა ზედა ყოვლისათვის“. იგი ჯვართამაღლებას, 407 წლის 14 სექტემბერს გარდაიცვალა და კომანში, წმ. ბასილისკოს გვერდით დაკრძალეს.

დიდი მღვდელმთავრის გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ, მისმა მემკვიდრემ დედაქალაქის კათედრაზე, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა პროკლემ იმპერატორი თეოდოსი II მცირე დაარწმუნა, წმინდა მამის ნეშტი კონსტანტინეპოლში გადმოესვენებინათ.[12] იმპერატორი ნეშტს ქალკედონში მიეგება, მის წინაშე მუხლებზე დაეცა და დიდ მოძღვარს მშობლების – არკადიუსისა

[12] **Сократ Схоластик, Церковная история, VII, 45.**

და ევდოქსიას ცოდვათა შენდობა სთხოვა. კონსტანტინეპოლის ყურე ისევ ისე დაიფარა ჩირაღდნებით განათებული ნავებით, როგორც ადრე, როცა ხალხი ხანმოკლე გაძევებიდან დაბრუნებულ მოძღვარს ხვდებოდა. ამჯერად იგი მოწიწებული სიხარულით წმინდა მამის ნეშტს ეგებებოდა. იოვანე ოქროპირის წმინდა ნეშტის დედაქალაქში გადმოსვენებით, რომელიც 438 წლის 27 იანვარს მოხდა, ეკლესიაში მღელვარებას ბოლო მოეღო და მშვიდობა აღდგა.

წმ. იოვანე ოქროპირის ქადაგებათა რიცხვი რვაასს აღემატება. ამ ქადაგებებში განმარტებულია ძველი და ახალი აღთქმის წიგნები: შესაქმე, ფსალმუნები, მათესა და იოვანეს სახარებები, თითქმის ყველა წერილი პავლე მოციქულისა, რომელიც გადმოცემის მიხედვით, განმარტებებს დიდ მქადაგებელს თვითონ კარნახობდა. ბევრი ქადაგება რომელიმე ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებითაა წარმოთქმული და ზნეობრივ შეგონებათა ხასიათს ატარებს.

მსოფლიო ეკლესიის მოძღვრისაგან ჩვენ დავალებულნი ვართ ლიტურგიის წესითაც, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიაში თითქმის მთელი წლის განმავლობაში აღესრულება. ადამიანური სისუსტეების მიმართ გულმოწყალე დამოკიდებულების გამო, წმ. მამამ რამდენადმე შეამოკლა ღმრთისმსახურება, რომელიც წმ. ბასილი დიდისგან იყო დადგენილი. იოვანე ოქროპირის ლიტურგია, გარდა რამდენიმე ლოცვისა და ტროპარისა, რომელიც შემდეგში დაემატა, დღესაც ისე სრულდება, როგორც მან დაადგინა.

მართლმადიდებლური ეკლესია დიდი მოძღვრისა და მასწავლებლის ხსენებას წელიწადში სამჯერ აღასრულებს: 14 (27) სექტემბერს, 27 და 30 იანვარს. 30 იანვარს იგი მსოფლიო ეკლესიის მოძღვართა – წმ. ბასილი დიდსა და წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველთან ერთად იხსენიება.

ნეტარი ავგუსტინე[13]

დასავლეთის ეკლესიის ერთი დიდი მოძღვართაგანი ნეტარი ავგუსტინე თვისი მოქცევის შესახებ თვითონვე მოგვითხრობს წიგნში „აღსარება“. მასში იგი გულახდილად გვიამბობს თავის ცხოვრებაზე, თავგადასავალზე სულისა, რომელსაც მიუხედავად ვნებებით გატაცებისა და მრავალი ცდომილებისა, არ ასვენებდა წყურვილი ჭეშმარიტების შეცნობისა. სწორედ ამ წრფელი სურვილის გამო დააჯილდოვა იგი უფალმა და ცოდვის წყვდიადიდან თავის დაღწევასა და ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე დადგომაში შეეწია.

ავგუსტინე აფრიკაში, კერძოდ, ნუმიდიის ქალაქ თაგასტაში დაიბადა 353 წელს. მამამისი წარმართი იყო, ხოლო დედა მონიკა – ქრისტიანი, ღმრთისა და მოყვასის სიყვარულით აღსავსე სათნო მანდილოსანი. იგი სრულიად ახალგაზრდა მიათხოვეს კაცს, რომელიც უზნეობითა და სიფიცხით გამოირჩეოდა, მაგრამ ქალმა თავისი მორჩილებითა და ზნეობრივ კანონთა მტკიცე ერთგულებით ქმრის გულში მისდამი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობების აღძვრა შეძლო. მან ქრისტეს სარწმუნოებაზე მეუღლე არა გაუთავებელი ქადაგებითა და მომაბეზრებელი საუბრებით, არამედ საქციელით, თავისი წმინდა ცხოვრებით მოაქცია. ასევე ზრუნავდა მონიკა შვილებზეც და სურდა ისინი ღმრთის მსახურებად აღეზარდა, მაგრამ უფროსმა, ავგუსტინემ, ბევრი ტანჯვა მიაყენა და მრავალი ცრემლიც დააღვრევინა. როგორც თვითონვე აღიარებს, მან დედა აიძულა ცრემლებითა და ლოცვით ურწმუნოების სიბნელიდან ხელახლა ეშვა იგი ახალი ცხოვრებისათვის.

„ადრეული ბავშვობიდანვე, მესმოდა მარადიულ ცხოვრებაზე, რომელიც ჩვენ, უფალო, ძისა შენისა დამდაბლებით მოგვანიჭე, რომელმაც ჩვენთან ჩამოსვლა სათნოიყო. ჩემი დაბადებიდან მალე, დედაჩემმა, რომლისთვისაც შენ ერთადერთი სასოება იყავ, გამოსახა ჩემს სხეულზე ნიშანი ჯვრისა, მაგემა მე საიდუმლო მარილი შენი“, – წერს ავგუსტინე. დედამ ყრმა ნათლობისათვის კი მოამზადა, მაგრამ თვითონ ნათლობის საიდუმლო არ შესრულე-

[13] **Аврелий Августин, Исповедь, М., 1991.**

ბულა, რადგან მაშინ ნათლობას ხშირად სდებდნენ მანამდე, სანამ მოსანათლი სრულწლოვანი გახდებოდა.

როცა ერთხელ ავად გახდა, ყრმა ავგუსტინე დაჟინებით მოითხოვდა მონათვლას, მაგრამ ავადმყოფობამ გაიარა და ნათლობაც გადაიდო. მშობლებმა ყმაწვილი სასწავლებლად ქალაქ მადავრში გააგზავნეს. უჩვეულოდ ნიჭიერი ავგუსტინე სწავლაში მალე დაწინაურდა, მაგრამ ამხანაგების მაგალითს აჰყვა და უკვე თექვსმეტი წლიდან უწესო ცხოვრებას მიჰყო ხელი. მამას მისი წარმატება მჭევრმეტყველებაში დიდად ახარებდა, სამაგიეროდ დედა წუხდა შვილის მიერ არჩეული გზის გამო. მას სწავლა-განათლებაზე მეტად ავგუსტინეს სულიერი მდგომარეობა აწუხებდა და სურდა მის გულს უბიწოება, სიწმინდე და ზნეობრივ კანონთა ერთგულება შეენარჩუნებინა. როდესაც იგი სასწავლებლიდან მშობლების სახლში დროებით დაბრუნდა, მონიკამ შენიშნა, რომ მას არც მტკიცე რწმენა ჰქონდა და არც ზნეობრივი ნორმები, რომელთაც მისი სახიფათო გატაცებებისგან დაცვა შეეძლებოდათ. მან ავგუსტინე კართაგენში შიშით გაუშვა და ქმრის სიკვდილის შემდეგ თვითონაც იქ გადასახლდა, რათა საყვარელ შვილთან ახლოს ყოფილიყო დაა ყურადღება არ მოეკლო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საყვარელმა შვილმა დიდხანს მწარე ცრემლები აღვრევინა. ავგუსტინე, რომელიც ცოდვებით აღსავსე, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა და თავის ვნებებს სრულ გასაქანს აძლევდა, ბოლოს მანიქეველთა სწავლებამ გაიტაცა. დაარწმუნეს რა იმაში, რომ ჭეშმარიტ სიბრძნეს მიაგნეს, მათ მასზე ძალაუფლება მოიპოვეს. მანიქეველების სწავლებამ იმის შესახებ, რომ გარყვნილება და უზნეობა ბოროტი სულის ზემოქმედებით ხდება, რომლის წინააშეც ადამიანი თითქოსდა უძლურია, მასში სინდისის ხმა თითქმის საბოლოოდ ჩაახშო. შვილის მკრეხელურმა შეხედულებებმა უფალზე მონიკა ისე შეაძრწუნა, რომ ავგუსტინეს სახლში ცხოვრება აუკრძალა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ საბოლოოდ მოიკვეთა. იგი დღედაღამ ცრემლებით ევედრებოდა ღმერთს დაებრუნებინა მისთვის შვილი, რომელსაც, როგორც მკვდარს, ისე დასტიროდა.

„შენი ერთგული მსახურის ვედრებამ და ცრემლებმა შენ შეგ-

ძრეს, უფალო, იგი ხომ უფრო მწარედ დამტიროდა მე, ვიდრე დედა დასტირის თავის გარდაცვლილ ბავშვს, რადგან შენთვის მკვდარს მხედავდა. შენ შეისმინე მისი, უფალო. არ უარყავი მისი ცრემლები, რომლებიც ყოველთვის, როგორც კი შენდამი ლოცვას აღავლენდა, უხვ ნაკადებად სდიოდა“, – იგონებს ავგუსტინე.

უფალმა შეისმინა მონიკას მხურვალე ლოცვა-ვედრება და მანუგეშებელი სიზმარი გაუგზავნა, რომლის ხილვის შემდეგაც შვილს მასთან ცხოვრების უფლება მისცა. მან სიზმარში იხილა, რომ ვიწრო, გრძელ ხაზზე იდგა, ღრმა მწუხრებაში ჩაფლული. უცბად მას ანგელოზი გამოეცხადა და თანაგრძნობით ჰკითხა, რა ატირებდა. „მე შვილის სულის წარწყმედას დავტირი“, უპასუხა მან. – „დამშვიდდი, უთხრა ანგელოზმა, სადაც შენ დგახარ, მასაც იქ იხილავ“.

„როცა დედამ ეს სიზმარი მიამბო, წერს ავგუსტინე, მე შევეცადე ისე ამეხსნა, რომ იგი მიიღებდა ჩემს მრწამსს, მაგრამ მან მიპასუხა: „არა, ეს შეუძლებელია. მას არ უთქვამს, რომ მე დავდგები იქ, სადაც შენ დგახარ, არამედ ის, რომ შენ დადგები ჩემ გვერდით“. მაგრამ ამ სასიხარულო იმედს აღსრულება კარგა ხანს არ ეწერა, ავგუსტინე კიდევ მთელი ცხრა წელი ხეტიალობდა ბიწიერებისა და სიცრუის წყვდიადში. ამასობაში განათლება დაასრულა და თვითონ გახდა მჭევრმეტყველების მასწავლებელი კართაგენში. ციცერონის თხზულებათა გაცნობამ ამაო გასართობებზე დროებით ხელი ააღებინა და უფრო ამაღლებული მისწრაფებანი გაუჩინა, რის შედეგადაც წმინდა წერილის შესწავლა დაიწყო, მაგრამ ღმრთეებრივი სიბრძნის დიდებული უბრალოება მისი ცრუ ცოდნით გაბღენძილი გონებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. მონიკამ ერთ წმინდა ეპისკოპოსს სთხოვა შვილთან დალაპარაკება მის მოსაქცევად, მაგრამ მან უპასუხა: „ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, ჭაბუკი მეტისმეტად ქედმაღლობს თავისი ცოდნით. თავი დაანებე და ილოცე მისთვის“. როცა ატირებულმა დედამ თხოვნა ისევ გაუმეორა, ეპისკოპოსმა უთხრა: „დამშვიდდი, მხოლოდ ლოცვა გააგრძელე, შეუძლებელია, რომ ამდენი ცრემლის დამღვრელის შვილი წარიწყმიდოს“.

დედის სურვილის საწინააღმდეგოდ ავგუსტინე რომს გაემგზა-

ვრა, სადაც ასევე მჭევრმეტყველებას ასწავლიდა. მალე იგი მძიმე სნეულებამ შეიპყრო, მაგრამ ახლა უკვე მონათვლას კი არ ითხოვდა, არამედ, პირიქით, ამ საიდუმლოს მასხრად იგდებდა, რადგან ყოველგვარი რწმენა უკვე დაკარგული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მოწყალე უფალმა იგი არ მიატოვა და მისთვის შეუცნობელი გზებით თავისკენ წაიყვანა. ამ დროს მილანში მჭევრმეტყველების მასწავლებელი დასჭირდათ და დახმარებისთვის რომის პრეფექტს, სვიმახოსს მიმართეს, რომელმაც იქ ავგუსტინე გააგზავნა. მილანის წმინდა ეპისკოპოსმა ამბროსიმ იგი კეთილგანწყობით მიიღო. ეპისკოპოსის მჭევრმეტყველებით მოხიბლული ავგუსტინე ხშირად უსმენდა მის ქადაგებებს, თუმცა იმის იმედი, რომ ჭეშმარიტებას ქრისტეს ეკლესიაში იპოვნიდა, არ გასჩენია. ამასობაში მანიქეველთა მოძღვრების ახლოს გაცნობამ თვალი აუხილა და მის სიცრუეში დაარწმუნა; ვეღარც ამაო გასართობებში პოულობდა სიამოვნებას, პირიქით, ისინი უკვე მასში მძიმე სევდას იწვევდნენ. ამასობაში ამბროსის მიერ ნაქადაგები წმინდა ჭეშმარიტებანი ქრისტიანული სარწმუნოებისა მის სულში თანდათანობით აღწევდნენ, რის შედეგადაც რამდენიმე ხნის შემდეგ გადაწყვიტა თავი კათაკმეველად გამოეცხადებინა. ამ დროს მონიკაც, რომელმაც შვილის სიშორეს ვეღარ გაუძლო, მილანში ჩავიდა და ძალიან გაიხარა, როცა მისი გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო. ეს ის დრო იყო, როცა ამბროსიმ არიოზელებთან ბრძოლაში საოცარი სიმტკიცე გამოამჟღავნა. წმინდა ეპისკოპოსი მონიკამაც გაიცნო და სიამოვნებით უსმენდა მის შეგონებებსა და რჩევებს. თავის მხრივ, ამბროსი ავგუსტინეს ეუბნებოდა, რომ ამგვარი დედის ყოლა ნამდვილი ბედნიერება იყო. თვითონ ავგუსტინეს გულში მძიმე, მომქანცველი ბრძოლა მიმდინარეობდა. იმის იმედით, რომ ჭეშმარიტებას მიაგნებდა, გულმოდგინედ სწავლობდა ფილოსოფოსებს, მაგრამ მათში მხოლოდ ჭეშმარიტებისკენ სწრაფვას, მერყეობას და ბუნდოვან ვარაუდებს პოულობდა. ხანაც ერთადერთ გზად სინათლისა და ხსნისაკენ ქრისტიანული მოძღვრება ესახებოდა, მაგრამ იმ ცოდვილი ცხოვრების დატოვება, რომელსაც მიჩვეული იყო, ენანებოდა. ამიტომ ხანდახან სულის სიღრმიდან უცნაური სავედრებელი აღმოხდებოდა: „გადამარჩინე, უფალო, მაგრამ ჯერ კიდევ არა“. ხანდახან რჩევის

საკითხავად ამბროსისთან მიდიოდა, მაგრამ ეპისკოპოსს ყოველთვის უამრავი ადამიანი ეხვია გარს. ავგუსტინეს ორი მეგობარი – ალვიპიუსი და ნებრიდიუსი, მისი ყოფილი მოწაფეები კართაგენიდან, მასავით ეჭვებითა და მერყეობით იტანჯებოდნენ. ისინი ხშირად საუბრობდნენ სულსა და მომავალ ცხოვრებაზე, მიწიერ სიკეთეთა ამაოებაზე, ოცნებობდნენ, ეცხოვრათ სათნოებისთვის, მაგრამ რწმენისა და ნებისყოფის სიმტკიცე არცერთს არ ჰყოფნიდა იმისათვის, რომ კავშირი გაეწყვიტა ძველთან და ახალი, ქრისტიანული სწავლების შესაფერისი ცხოვრება დაეწყო.

ავგუსტინეზე განსაკუთრებით ძლიერი ზემოქმედება მოახდინეს პავლე მოციქულის ეპისტოლეებმა, რის შედეგადაც იგი ისევ შეუდგა წმინდა წერილის შესწავლას, ოღონდ ახლა უკვე ბერი სიმპლიციანეს ხელმძღვანელობით, რომელიც წმ. ამბროსის მასწავლებელიც იყო. ჭეშმარიტება სულ უფრო და უფრო აღწევდა მის გულში და ფანტავდა რა ეჭვების სიბნელეს, მას სინათლითა და სიხარულით ავსებდა. „სიტყვანი შენი, უფალო, ღრმად შემოიჭრნენ ჩემს გულში, თითქოს ყოველი მხრიდან შენით ვიყავი გარემოცული. მარადიული ცხოვრებისა უკვე აღარ მეეჭვებოდა, თუმცა მას თითქოს სათუოდ, დაბინდულ სარკეში ვხედავდი. მე უკვე მესმოდა, რომ შენ ხარ ერთადერთი წყარო ყოველი არსებულისა. აღარ დარჩა ჩემში სხვა სურვილი გარდა შენით განმტკიცებულისა... მაგრამ რაც ქრისტიანულ ცხოვრებას შეეხებოდა, ჯერ კიდევ ვყოყმანობდი, გული ჩემი არ იყო განწმენდილი ძველი საფუარისაგან. მე მიხაროდა, რომ შევიძინე მაცხოვარი, რომ ვიცოდი ჭეშმარიტი გზა, მაგრამ ამ ვიწრო გზაზე შედგომის გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი“, – წერს ავგუსტინე.

სიმპლიციანეს ერთმა მონათხრობმა ავგუსტინე დიდად გააოცა. ახალგაზრდობაში სიმპლიციანეს უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა რომში სიტყვიერების ცნობილ მასწავლებელთან ბიქტორინესთან, რომელიც წარმართი იყო და წარმართულ ადათებს გულმოდგინედ ასრულებდა. უკვე ხანდაზმულმა, მეცნიერების სიყვარულის გამო, წმიდა წერილის კითხვა დაიწყო, რომელმაც მასზე არა მხოლოდ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა, არამედ იმაშიც დაარწმუნა, რომ ჭეშმარიტების პოვნა მხოლოდ მასში შეიძლე-

ბოდა. როცა ბიქტორინე სიმპლიციანეს ხვდებოდა, ეუბნებოდა, სულით ქრისტიანი ვარო, რაზეც მეგობარი პასუხობდა, რომ ვიდრე მასთან ერთად ქრისტეს ეკლესიაში სიარულს არ დაიწყებდა, არ დაუჯერებდა. „რისთვის? ჰკითხა ბიქტორინემ, განა ქრისტიანობა ეკლესიის კედლებშია მოთავსებული?“ სინამდვილეში მას ეშინოდა დაცინვისა და საყვედურებისა იმ მეგობრების მხრიდან, რომელნიც კერპებს სცემდნენ თაყვანს; მაგრამ წმიდა წერილის კითხვას აგრძელებდა, რის შედეგადაც რწმენა სულ უფრო და უფრო უმტკიცდებოდა. ბოლოს და ბოლოს ბიქტორინე მიხვდა, რომ საკუთარი რწმენის დაფარვა და კერპების თვალთმაქცური თაყვანისცემა დიდი ცოდვა იყო და სიმპლიციანეს თვითონ შესთავაზა ერთად წასულიყვნენ ეკლესიაში. გახარებული სიმპლიციანე მაშინვე გაჰყვა, ცნობილი მასწავლებელი კათაკმეველთა რიცხვში ჩაეწერა და მორჩილებით ისმენდა რჩევა-დარიგებებს ნათლობისათვის მოსამზადებლად. ქრისტიანები ხარობდნენ, სამაგიეროდ წარმართები განაწყენდნენ და ბიქტორინე საყვედურებითა და დაცინვით აიკლეს. როცა დადგა დრო ნათლობის წინ მრწამსის აღიარებისა, ხუცესებმა ამ წესის ფარულად შესრულება შესთავაზეს, რათა თავს ძველი მეგობრების რისხვა არ დასტეხოდა, მაგრამ ბიქტორინემ ქრისტეს მსახურად თავის აღიარება საჯაროდ და ყველას გასაგონად მოისურვა. როცა შემდეგში იმპერატორი იულიანეს ბრძანება გამოვიდა, რომლითაც ქრისტიანებს სიტყვიერ მეცნიერებათა სწავლება ეკრძალებოდათ, მან თავის თანამდებობას ქრისტეს ერთგულება ამჯობინა და კათედრა დატოვა.

ეს ამბავი რომ მოისმინა, ავგუსტინეს ბიქტორინეს სიმამაცისა და გაბედულებისა შეშურდა. მართალია, მას ღმერთის სამსახურის სურვილი ჰქონდა, მაგრამ ეს სურვილი ისე ძლიერი არ იყო, რომ მის გულში ფესვგადგმული ვნებები, ჩვევები და მიწიერ ტკბობათა სიყვარული დაემარცხებინა. მას ესმოდა ძახილი უფლისა: „წამოდექ, მძინარევ, აღსდექ მკვდრეთით და გაკურთხებს შენ ქრისტე!“ მაგრამ ამ მოწოდებასაც ზარმაცად პასუხობდა: „ახლავე, კიდევ ერთი წუთი“, და სვლას გულმოწყალე ზეციერი მამისაკენ აგვიანებდა, მიუხედავად ამისა, ზეციურმა მამამ არ მიატოვა იგი.

ერთხელ ავგუსტინესა და ალვიპიუსს მათი ქრისტიანი თანამემამულე პონტიანე ესტუმრა. მან შემთხვევით აიღო წიგნი, რომელიც მაგიდაზე იდო და დიდად გაიხარა, როცა ნახა, რომ პავლეს ეპისტოლენი იყო. პონტიანემ დაიწყო საუბარი უფალზე, სარწმუნოების ძალაზე, მეგობრებს უამბო ეგვიპტელი ანტონის შესახებ, რომელმაც მოისმინა რა სახარების სიტყვა ნებაყოფლობით გაღატაკებაზე, ყოველივე მიატოვა, რათა თავი ღმრთისათვის მიეძღვნა; ასევე გაიხსენა მრავალი ადამიანი სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და წოდებისა, რომელნიც ქრისტეს სიყვარულით ძლეულნი, სოფელს ტოვებდნენ, უდაბნოებსა და მონასტრებში მიდიოდნენ, რათა ლოცვით და შრომით ემსახურათ უფლისათვის. პონტიანეს მონათხრობმა დიდად განაცვიფრა მეგობრები, რადგან მათ არასოდეს სმენოდათ მონასტრებსა და მოღვაწეებზე, თუმცა მილანის მახლობლად უკვე დაარსებული იყო სავანე, რომელსაც ამბროსი წინამძღოლობდა.

როცა პონტიანე წავიდა, სულის სიღრმემდე შეძრულმა ავგუსტინემ მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით უთხრა ალვიპიუსს: „ჩვენ რას ვაკეთებთ? რაღას ველოდებით? ზეციურ სასუფეველს უვიცები იტაცებენ, ჩვენ კი ჩვენი ამაო ცოდნით სისხლსა და ხორცში ვიხრჩობით! თუ გვრცხვენია მათი გაყოლისა, რადგან გაგვასწრეს? იმის გამო, რომ არ გვყოფნის გამბედაობა მათ გავყვეთ, არ უნდა გავწითლდეთ“.

ავგუსტინე ბაღში გავიდა, ალვიპიუსიც გაჰყვა; ისინი სახლიდან მოშორებით დასხდნენ. ავგუსტინეს სულში მხურვალე სურვილი – თავი მიეძღვნა ღმრთისათვის და სოფლის სიყვარული ერთმანეთს ებრძოდა. მას თავი სძულდა იმის გამო, რომ ყოყმანობდა და ნაბიჯის გადადგმა უჭირდა იმისკენ, ვისკენაც მისი სული ისწრაფვოდა. „შენთან მოსასვლელად, უფალო, – ფიქრობდა იგი, – არც ეტლები და არც ხომალდები არაა საჭირო; საჭიროა მხოლოდ ნება, მთლიანი და მტკიცე, რომელიც არ ემსგავსება იმ ავადმყოფურსა და მერყევ მისწრაფებებს, რომლებიც მომქანცველ ბრძოლაში სულს ხან ზეცამდე ამაღლებენ, ხანაც მიწისაკენ ეზიდებიან“.

შინაგანი ბრძოლით დაღლილმა და გაწამებულმა ავგუსტინემ მეგობარი მიატოვა, რადგან გრძნობდა, იმ ქარიშხლის ჩაწყნარება,

რომელიც მის სულში ტრიალებდა, მხოლოდ ცრემლებს შეეძლო. იგი მიწაზე დაემხო და მოწოლილ ცრემლებს გასაქანი მისცა. „ისინი ღვარად მდიოდა და შენ, უფალო, ვითარცა მსხვერპლი, შენთვის სათნო, ისე შეიწირე, მე გიხმობდი შენ: ვიდრემდის, უფალო, ვიდრემდის მოიწევის რისხვა შენი ჩემს ზედა? დაივიწყე უსამართლობანი ადრინდელი ჩემისა ცხოვრებისანი! – მე ვგრძნობდი, რომ ეს უსამართლობანი მამძიმებდნენ და ფიქრში ვიმეორებდი: – როდისღა, უფალო? იქნებ ხვალ, ან იქნებ ზეგ? ჩემს ძაგებას ბოლო რატომ ახლავე არ უნდა მოეღოს?

ვიდრე მე ამას ვიმეორებდი, ვქვითინებდი და ცხარე ცრემლებს ვღვრიდი, უცბად მომესმა მელოდიური ხმა ბავშვისა თუ ყმაწვილი ქალისა, რომელმაც რამდენჯერმე გამიმეორა: „აიღე, წაიკითხე! აიღე, წაიკითხე“. მე სახე შემეცვალა და შევეცადე გამეხსენებინა, ხომ არ იყო რომელიმე ისეთი თამაში, რომელშიც ბავშვები ამ მინამღერს იმეორებენ; მაგრამ მსგავსი ვერაფერი გავიხსენე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მეძლეოდა ბრძანება წმიდა წერილი გადამეშალა და წამეკითხა ის, რაც თვალში მომხვდებოდა. როგორც მიამბეს, ანტონმაც ეკლესიაში მოსმენილი სიტყვები: წადი, მამული გაყიდე, გლახაკებს დაურიგე და საუნჯეს ცათა შინა მიიღებ – ღმრთის ბრძანებად მიიღო და მაშინვე ყოველივე დატოვა. ცრემლები შევიკავე, წამოვდექი და იმ ადგილისაკენ გავეშურე, სადაც ალვიპიუსი იყო და სადაც ეპისტოლეთა წიგნი დავტოვე. მე ავიღე იგი, გადავშალე და თვალში მომხვდა შემდეგი სიტყვები: „ვითარცა დღესა შინა შუენიერად ვიდოდით ნუ სიმღერითა და მთრვალობითა, ნუ საწოლითა და ბილწებითა, ნუ ჴდომითა და შურითა, არამედ შეიმოსეთ უფალი იესო ქრისტე და ჴორცთა ზრახვასა ნუ ჰყოფთ გულის სათქუმელ“ (რომ. 13, 13-14).

ავგუსტინეს კითხვა აღარ გაუგრძელებია და არც იყო საჭირო. მის გულში სინათლემ და სიმშვიდემ დაისადგურა. მან ყველაფერი უამბო ალვიპიუსს, რომელმაც გადაშლილი წიგნი აიღო და მეგობრის წაკითხული გააგრძელა: „და უძლური იგი სარწმუნოებითა შეიწყნარეთ“. ეს სიტყვები თავის თავზე მიიღო და მტკიცედ გადაწყვიტა მხოლოდ ღმრთისთვის ემსახურა.

მონიკას სიხარულს იმის გამო, რომ უფალმა მისი ლოცვა შეისმინა

და სავედრებელი აუსრულა, საზღვარი არ ჰქონდა. რამდენი წელი ელოდებოდა იგი მოთმინებით იმ დღის დადგომას, როცა საყვარელ შვილს ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე დამდგარს დაინახავდა.

ავგუსტინემ თავისი კათედრა დატოვა და დედასა და ალვიპიუსთან ერთად ქალაქგარეთ სახლში გადასახლდა, სადაც მეგობრები ნათლობისათვის მზადებას წმიდა წერილის კითხვითა და ლოცვით შეუდგნენ. ახლადმოქცეულებს წმიდა ეპისკოპოს ამბროსისთან ერთად მონიკაც ეხმარებოდა. ცხოველი სარწმუნოებითა და სიყვარულით სავსე გულით და გონებით, რომელიც უკვე დიდი ხანია უფლისკენ იყო მიქცეული, იგი იმასაც ხვდებოდა, რაც ავგუსტინესა და ალვიპიუსისთვის მიუწვდომელი იყო. „გვეჩვენებოდა, რომ ჩვენს შორის არა სუსტი ქალი, არამედ დიდი მოღვაწე იჯდა და ვეკითხებოდით, მისი სიტყვები რომელი ზეციური საუნჯიდან მომდინარეობდნენ“, – იგონებს ავგუსტინე.

386 თუ 387 წელს აღდგომის დღესასწაულზე ავგუსტინე, მისი ვაჟი ადეოდატე და ალვიპიუსი წმ. ამბროსიმ მონათლა; ისინი სულის სიღრმიდან უგალობდნენ უფალს საზეიმო საგალობელს: „შენ გაქებთ, უფალო“, რომელიც ამბროსიმ შეთხზა, და რომელსაც მაშინ მონათლულები და ნათლიები ერთად ასრულებდნენ.

მალე ავგუსტინემ დედასთან ერთად სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ მონიკამ აფრიკამდე ვეღარ მიაღწია. იგი თითქოს შვილის მოქცევას ელოდებოდა, რათა უფალთან წასულიყო, ვისკენაც მთელი სულითა და გულით უკვე დიდი ხანია ისწრაფოდა. მას უკვე შეეძლო მშვიდად წასვლა ამ სოფლიდან, რადგან თავისი საქმე აღასრულა: შვილი ვნებებისა და ურწმუნოების მორევიდან ამოიყვანა და ეკლესიას ერთგული მსახური შესძინა; მონიკამ ქრისტიან დედებს დაუმტკიცა, რა ძალა აქვს დედის ლოცვასა და ცრემლებს და რა დიდი საქმის გაკეთება შეუძლია ქალს, ვისი გულიც რწმენითა და სიყვარულითაა სავსე.

ოსტიაში, სადაც მგზავრები აფრიკაში გაცურვის წინ გაჩერდნენ, მარტოდ დარჩენილმა დედა-შვილმა დიდხანს ისაუბრეს მომავალ ცხოვრებაზე და იმ ნეტარებაზე, რომელსაც უფალი მის მოყვარულთ უმზადებს. საუბრისას მონიკამ, რომელმაც თითქოს მოახლოებული აღსასრული იგრძნო, ავგუსტინეს უთხრა: „შვილო

ჩემო, ახლა უკვე ამ სოფელში აღარაფერი მაკავებს... აქამდე სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მინდოდა, რომ შენ ჭეშმარიტ ქრისტიანად მენახე. უფალმა ჩემი ვედრება შემისრულა: მან მომანიჭა წყალობა, მეხილე შენ მთლიანად მისი მსახურებისთვის მიძღვნილი. ამის შემდეგ რისთვისღა უნდა ვიცოცხლო?“

ხუთი დღის შემდეგ მონიკა მართლაც შეუძლოდ შეიქნა და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სული უფალს სიხარულით მიაბარა. აღსასრულის წინ მან შვილსა და მასთან მყოფთ დაუბარა, რომ უზენაესის საკურთხევლის წინაშე, როცა კრავი, რომელმაც თავისი სისხლით გვიხსნა სასიკვდილო განაჩენისაგან, განიტეხებოდა, მისი მოხსენება არ დავიწყებოდათ.

სამშობლოში დაბრუნებულმა ავგუსტინემ თავისი მამული გაყიდა და ფული ღარიბებს დაურიგა, ხოლო თვითონ ბერად აღიკვეცა. სამი წელი მან სრულ მარტოობაში გაატარა. შემდეგ ჰიპონის ეპისკოპოსმა ვალერიუსმა მისი ნების საწინააღმდეგოდ ხუცესად დაასხა ხელნი. 395 წელს იგი ჰიპონის ეპისკოპოსად აირჩიეს. 35 წლის განმავლობაში ავგუსტინე, როგორც მოსიყვარულე და მზრუნველი მწყემსი, ყოველთვის მზად იყო თავი დაედო ცხოვართათვის. საკუთარი ცხოვრებიდან გამომდინარე მას შეგნებული ჰქონდა, რომ ადამიანი ცოდვილი და უძლურია და მასში სიკეთის სურვილი და თვითონ სიკეთე მხოლოდ ღმრთის მადლით წარმოიშობა.

ნეტარი ავგუსტინეს თხზულებათა რიცხვი 1000 აჭარბებს. თუმცა იგი, ორატორული ხელოვნების თვალსაზრისით, ბერძნული ეკლესიის დიდ მოძღვრებს ვერ უტოლდება, ლათინურენოვარ მქადაგებელთა შორის უდავოდ პირველია. მისი ქადაგებანი შეკუმშული აზრითა და გრძნობათა სიწრფელით გამოირჩევა. მათ საფუძველს წმიდა წერილის გამონათქვამები წარმოადგენს, რომელთაც საჭიროების გარეშე არასდროს იყენებს. ქადაგებები უპირატესად ზნეობრივი შინაარსისაა, მსმენელისა და მკითხველისთვის ადვილად გასაგები და სასარგებლო. ნეტარი ავგუსტინე ამბობდა: „უმჯობესია, გაგვკიცხონ გრამატიკოსებმა, ვიდრე სიტყვა ხალხისთვის გაუგებარი დარჩეს“. მისი მჭევრმეტყველება არა მხოლოდ ცრემლს აღვრევინებდა მსმენელებს, არამედ ბევრ

მავნე ჩვეულებასაც ათმობინებდა. ავგუსტინეს ზნეობრივი თხზულებიდან განსაკუთრებით შესანიშნავია: აღსარება (13 წიგნად), რომელშიც აღწერილია მისი ახალგაზრდობის ცოდვები, შემორჩენილი ნაკლოვანებანი და სიყვარული წმიდა წერილისადმი. ამავე თხზულებაში გადმოცემულია ამაღლებული მსჯელობანი ღმრთის დიდებულებისა და სახიერების, სოფლის ამაოების, სათნოებათა და სხვ. შესახებ.

წმიდა წერილის განმარტებათაგან ავგუსტინეს საუკეთესო და ყველაზე სასარგებლო თხზულება „ქრისტიანული მეცნიერებაა“. ეს არის პირველი, მაგრამ შესანიშნავი გამოკვლევა წმიდა ჰერმენევტიკისა ანუ სახელმძღვანელო იმისთვის, თუ როგორ უნდა აიხსნას წმიდა წერილი და როგორ გადმოიცეს განმარტება საეკლესიო დარიგებებისა. ავგუსტინემ განმარტების მართლაც ძვირფასი მეთოდები შეიმუშავა, მაგრამ თვით შინაარსი განმარტებებისა იმავე ღირსებისა არ არის. რადგან მან არც ბერძნული და არც ებრაული ენები არ იცოდა, ამიტომ ცალკეულ ტერმინთა და გამოთქმათა განსაზღვრების დროს ცდომილებათაგან თავი ვერ დაიზღვია. ეს განსაკუთრებით ძველი აღთქმის – შესაქმის, ფსალმუნების, ისუ ნავეს, მსაჯულთა და სხვა წიგნების კომენტარებში შეიმჩნევა; სამაგიეროდ, ახალი აღთქმის მისეული განმარტებანი მრავალმხრივ სასარგებლო წიგნებია. ნეტარ იერონიმესთან ავგუსტინეს მიმოწერიდან ჩანს, რომ, მისი აზრით, ღმრთისმოშიში ხშირად უფრო მართებულად და უფრო ღრმად სწვდება წმიდა წერილის აზრს, ვიდრე ფართოდ განსწავლული ფილოლოგი. ნეტარი ავგუსტინეს ყველაზე ვრცელი აპოლოგეტური თხზულებაა „ღმრთის ქალაქის შესახებ“ 22 წიგნად, რომელშიც ავტორის დიდი განსწავლულობა ჩანს. იგი მიმართულია წარმართობის წინააღმდეგ და ცრუ შეხედულებათა მხილების შემდეგ გადმოცემულია საკითხები ქრისტიანული სწავლების ჭეშმარიტების, ღმრთის ქალაქისა და ამქვეყნიური ქალაქის, და ბოლოს, ქვეყნის აღსასრულის შესახებ.

ავგუსტინეს დოგმატურ თხზულებებს მიეკუთვნება: წიგნაკი, რომელშიც ქრისტიანული სწავლება თანამიმდევრულადაა გადმოცემული; აქვე მოცემულია მრწამსის განმარტება, თხზულებები „წესრიგსა“ და „სულის უკვდავებაზე“, 15 წიგნი „სამების შესახებ“,

„არიოზის სწავლების წინააღმდეგ“ და არიოზელი ეპისკოპოსის „მაქსიმეს წინააღმდეგ“.

დოგმატური შინაარსისაა, აგრეთვე, ავგუსტინეს დაახლოებით 13 თხზულება მანიქეველთა წინააღმდეგ და თხზულებანი, რომლებშიც იგი პელაგიუსის ერესს ამხელდა.

პელაგიუსის ერესი. რომის იმპერიის დაცემა

მეოთხე საუკუნის ბოლოს, რამდენიმე საუკუნის დევნის შემდეგ, ქრისტიანული რელიგია ბოლოს და ბოლოს რომის იმპერიაში გაბატონებულ რელიგიად გამოცხადდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ მთელი წარმართული საზოგადოება ერთბაშად ქრისტიანულად იქცა. წარმართული შეხედულებანი და ჩვევები, გარეგნულად ქრისტიანობით დაფარულნი, კიდევ დიდხანს ცოცხლობდნენ ყოველდღიურ ყოფაში. ბევრი, ვინც ქრისტიანობას აღიარებდა, შინაგანად, ცხოვრების მიხედვით, წარმართად რჩებოდა. ისინი ეკლესიის ადათ-წესებში მონაწილეობით კმაყოფილდებოდნენ და სრულიადაც არ ზრუნავდნენ იმაზე, რომ ქრისტიანული ზნეობრივი კანონებით ეცხოვრათ. წმ. მამები ცხოვრების ყველა სფეროში წარმართობის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად დაუცხრომლად მოღვაწეობდნენ და გულმოდგინედ ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ქრისტიანებს მათი აღმსარებლობის შესაფერისად ეცხოვრათ. ისინი მორწმუნეებს შთააგონებდნენ, რომ უფლის თაყვანისცემა სულითა და ჭეშმარიტებითაა საჭირო და რომ გულითა და გონებით მიღებული რწმენა ცხოვრებაში ცოცხალი საქმით უნდა გამოჩნდეს. ისინი დიდად ზრუნავდნენ განათლების გავრცელებისათვის, სამწყსოს ღმრთის სიტყვას განუმარტავდნენ, ტაძრებთან და მონასტრებთან სასწავლებლებს ხსნიდნენ, წმინდა წერილის წიგნების ხელნაწერ პირებს არიგებდნენ. იოანე ოქროპირი საყვედურობდა მათ, რომელთაც შინ წასაკითხად არ ჰქონდათ წმ. წერილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი შეძენა, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ეკლესიაში, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ეპისკოპოსები თავიანთი სამღვდელო დასიდან მოძღვრებსა და მქადაგებლებს

ამზადებდნენ; ტაძრებს ამკობდნენ გამოსახულებებით, რომელთაც იმათთვის, ვინც წერა-კითხვა არ იცოდა, წმიდა მოვლენები უნდა შეეხსენებინა; მოწამეთა სახელზე აგებული ეკლესიები ჩვეულებრივ იმკობოდა ფერწერით, რომელიც მათი ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს ასახავდა.

იმ დროისათვის განათლება აღმოსავლეთში შეუდარებლად მაღლა იდგა, ვიდრე დასავლეთში, სადაც ქრისტიანობამ უფრო გვიან შეაღწია. იტალიაში მე-6 საუკუნემდე ქრისტიანობა ძირითადად ქალაქების კუთვნილება იყო, ხოლო სოფლებში მოსახლეობა ისევ წარმართობას ინარჩუნებდა, მაშინ როცა, აღმოსავლეთში ღმრთის სიტყვამ, წმინდა მახარებლებისა და მოღვაწეთა ღვაწლით, ყველაზე შორეულ ადგილებში, თვით ველურსა და მკაცრ უდაბნოებშიც კი შეაღწია. რწმენასთან ერთად განათლებაცა და წერა-კითხვაც ვრცელდებოდა. წმ. იოვანე ოქროპირის ერთ-ერთი საზრუნავი წმინდა წერილის სხვადასხვა ენაზე თარგმნა და ბარბაროსთა განათლება იყო. ეს კეთილშობილური საქმე მისი სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა. აღმოსავლეთის ეკლესია მახარებლებს შორეულ ქვეყნებშიც აგზავნიდა. ისინი უშიშრად სახლდებოდნენ ბარბაროსთა შორის და ქადაგებითა და ღმრთისმოსავური ცხოვრების მაგალითით ქრისტესთან მიჰყავდათ. უდაბნოს კელიებში წმინდა განდეგილები ღმრთის სიტყვის შესწავლისათვის შრომობდნენ. აღმოსავლეთმა თავისი სულიერი მოღვაწეობით ბევრი ღმრთისმოსავი მოღვაწე მიიზიდა დასავლეთიდან, რის გამოც ზეგავლენა დასავლეთის ქრისტიანთა ცხოვრებაზე მრავალი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნა.

გაცხოველებული გონებრივი მუშაობა აღმოსავლეთში ერთგვარად საშიშროებასაც წარმოშობდა; ჩვენ უკვე ვნახეთ და მომავალშიც ვნახავთ, რომ აქ განუწყვეტლივ იქმნებოდა ცრუ სწავლებანი, რომლებიც ზოგჯერ მთელ ეკლესიას არყევდნენ და სამწუხარო შფოთსა და განხეთქილებებს წარმოშობდნენ. მაგრამ ეკლესია და მისი ერთგული შვილები ქრისტიანული მოძღვრების სიწმიდეს ფხიზელ დარაჯებად ედგნენ. ყოველი ახალი ერესის გამოჩენა წმინდა ჭეშმარიტების უზუსტეს განმარტებასა და განსაზღვრებას იწვევდა; კრებების საზეიმო ხმით გადმოიცემოდა ეკლესიის სარწმუნოება

და განისჯებოდა ყოველგარი გადახრა მისგან. როცა ეკლესიამ თავისი არსებობის მე-5 საუკუნეში შეაბიჯა, მთავარი დოგმატი ღმრთის ძისა და სულიწმიდის ერთარსობისა და თანაბარი პატივისა მამასთან ნიკეა-კონსტანტინეპოლის რწმენის სიმბოლოში უკვე ნათლად განსაზღვრული და გამოხატული იყო. V-VI და VII საუკუნეებში წარმოშობილი კამათი უპირატესად ძე ღმრთისას განხორციელებას და მასში ღმრთეებრივ ბუნებასთან კაცობრივი ბუნების შეერთებას ეხებოდა; მაგრამ სანამ მათ განხილვაზე გადავიდოდეთ, უწინარესად ყურადღება პელაგიუსის ერესსა და ორიგენეს გარშემო ატეხილ კამათს უნდა მივაქციოთ, რომელიც ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის ბოლოს დაიწყო. მაშინ როცა წმ. იერონიმე ბეთლემში წმიდა წერილის თარგმნისას ორიგენეს შრომებით სარგებლობდა, ზოგიერთმა საეკლესიო მწერალმა დაიწყო მტკიცება იმისა, რომ ალექსანდრიელი მასწავლებლის მრავალი შეხედულება მიუღებელი იყო და ეკლესიისაგან მათი განსჯა მოითხოვა. წარმოიშვა ცხარე კამათი, რომელშიც ორიგენეს როგორც მომხრენი ისე მოწინააღმდეგენი თავთავიანთ თვალსაზრისს შეუპოვრად იცავდნენ. თეოფილე ალექსანდრიელმა ძალაც კი გამოიყენა იმ ბერების წინააღმდეგ, რომელნიც ორიგენიზმში იყვნენ ეჭვმიტანილნი. იერონიმეს მეგობარი რუფინუსი მხურვალე დამცველი იყო ალექსანდრიელი მოძღვრისა, თვლიდა რა, რომ მრავალი შეხედულება მას მცდარად მიაწერეს. მაგრამ თვითონ იერონიმემ, რომელიც კამათში ჩაება, ხმა ორიგენეს წინააღმდეგ მისცა. რომის პაპმა ანასტასიმ საზეიმოდ უარყო ორიგენეს თხზულებანი, როგორც ერეტიკულნი და მათი კითხვა აკრძალა, მაგრამ აღმოსავლეთი მაინც აგრძელებდა ცნობილი მასწავლებლის პატივისცემით მოხსენიებას, თუმცა ზოგიერთი მისი თვალსაზრისი აქაც მცდარად იყო მიჩნეული.

უფრო მნიშვნელოვანი იყო კამათი, რომელიც მე-5 საუკუნის დასაწყისში პელაგიუსის შეხედულებასთან დაკავშირებით წარმოიშვა. ბრიტანელი ბერი პელაგიუსი და მისი მეგობარი კელესტიუსი ამტკიცებდნენ, რომ გადარჩენისათვის აუცილებელი არაა მადლი ღმრთისა, რომ ადამიანს სიკეთის ქმნა და გადარჩენა საკუთარი ძალებითაც შეუძლია; მათი მტკიცებით არც პირველქმნილი ცოდვა არსებობს და აქედან გამომდინარე, სიკვდილიც

ბუნების კანონია და არა სასჯელი ცოდვით დაცემისათვის. ეს ცრუ სწავლება ძირს უთხრიდა ქრისტიანულ სწავლებას, რადგან უარყოფდა აუცილებლობას ადამის მოდგმის გამოსყიდვისა ძე ღმრთისას სიკვდილით და იესო ქრისტეს არა მაცხოვრად, არამედ მხოლოდ კანონმდებლად წარმოადგენდა. პელაგიუსის სწავლების დაფარული აზრის მხილება და დასკვნების გამოტანა უცბად არ მომხდარა, რადგან მის ავტორს, ცხოვრების მკაცრი წესის გამო, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთშიც პატივს სცემდნენ. იგი, როგორც ეს ერესის მამამთავრებისთვისაა დამახასიათებელი, ფრთხილად ავრცელებდა თავის შეხედულებებს და მოხერხებულად იცავდა მათ, იყენებდა რა ორაზროვან გამოთქმებს, რომელნიც ნამდვილ აზრს აბუნდოვანებდნენ. ამიტომ ამ შეხედულებათა გავრცელებას თავდაპირველად დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მაგრამ რამდენადაც უფრო ცხადდებოდა მათი დაფარული აზრი, მით უფრო ხშირად ხდებოდნენ ისინი კრებების განსჯის საგანი რომში, კართაგენსა და აღმოსავლეთში. პელაგიუსის ერესს მკაცრი მამხილებელი გამოუჩნდა ჰიპონის ეპისკოპოსის, ნეტარი ავგუსტინეს სახით.

მოქცევის დღიდან ავგუსტინეს გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა ცრუმოძღვრებათა წინააღმდეგ. იტალიაში მანიქეველებს ამხელდა, აფრიკაში სათათბიროდ იწვევდა დონატისტებს და ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ, ეკლესიის ერთობისათვის დაებრუნებინა ისინი. პელაგიუსის ერესმა მეტისმეტად აღაშფოთა, რადგან თავის თავზე ჰქონდა გამოცდილი რამდენად სუსტია ადამიანი და რა ადვილად ემორჩილება ბოროტებისაგან ცდუნებას. მომქანცველმა ბრძოლამ საკუთარ თავთან, სულიერმა ტანჯვამ და სასწაულებრივმა მოქცევამ ავგუსტინეს განუმტკიცეს შეგნება კაცობრივი ბუნების ცოდვიანობისა, რომლის წარმართვაც სიკეთისაკენ მხოლოდ ღმრთის მადლს შეუძლია. მაგრამ იბრძოდა რა პელაგიუსის ამპარტავნულ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომელიც ღმრთეების შეურაცხყოფად მიაჩნდა და იცავდა რა მადლის უფლებას, იგი მეორე უკიდურესობაში ჩავარდა. თუ პელაგიუსი ყველაფერს ადამიანის თავისუფალ ნებას მიაწერდა და ღმრთის მადლის აუცილებლობას უარყოფდა, ავგუსტინემ ადამიანის თავისუფალი ნება თითქმის

მთლიანად გაანადგურა. ამით დაუდო საფუძველი ე. წ. პრედესტინატების ცდომილებას, რომელნიც ადამიანს მხოლოდ ღმრთის ნების ასრულებისას მკვდარ იარაღად წარმოიდგენდნენ, რომლის გადარჩენაცა და დაღუპვაც წინასწარ იყო განსაზღვრული. ამდენად, ეს ცრუ სწავლება ადამიანის ნებასა და თავისუფლებასთან ერთად მის ზნეობრივ პასუხისმგებლობასაც უარყოფდა. პელაგიუსის ერესი, რომელიც განსაკუთრებით ჩრდილოეთ გალიასა და ბრიტანეთში გავრცელდა და დიდხანს აღელვებდა დასავლეთის ეკლესიას, აღმოსავლეთისათვის თითქმის უცხო დარჩა.

საჭიროა ამ პერიოდის ისტორიულ მოვლენებსაც გადავხედოთ, რადგან ისინი ეკლესიის ცხოვრებაზე დიდ ზეგავლენას ახდენდნენ. მეხუთე საუკუნის დასაწყისში რომის იმპერიის დასავლეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებს თეოდოსი დიდის შვილები – ჰონორიუსი და არკადიუსი განაგებდნენ. სამწუხაროდ, არცერთ მათგანს არ აღმოაჩნდა ძალა და უნარი სწორად ემართათ ქვეყანა მძიმე ვითარებაში, როცა მას ყოველი მხრიდან ძლიერი და მრავალრიცხოვანი მტერი ემუქრებოდა. თავისი ულირსი რჩეულების ზეგავლენის ქვეშ მოქცეულმა არკადიუსმა უსახელო ცხოვრება განვლო. 408 წელს ტახტზე მისი რვა წლის ვაჟი თეოდოსი ავიდა,[14] შემდეგში მცირედ წოდებული, პრეფექტი ანთიმიოსის მზრუნველობის ქვეშ. ჩქარა თანამოსაყდრედ მიწვეულ იქნა მისი 16 წლის და პულხერია, რომელიც თეოდოსი დიდის ღირსეული შთამომავალი და მემკვიდრე გამოდგა. ახალგაზრდა ქალი არა მხოლოდ ქვეყნის შინაურ საქმეებს მართავდა ბრძნულად და გონივრულად, არამედ აღმოსავლეთ რომის იმპერიის პატივის დაცვა გარეშე მტრებთან ურთიერთობაშიც შეეძლო. თუმცა თეოდოსი მცირეს, რომელიც უფროსი დის ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდა, განსაკუთრებული თვისებები არ გამოარჩევდა, მაგრამ იგი კეთილი, ღმრთისმოსავი და მეცნიერებისა და განათლების მოყვარული მმართველი იყო.[15] მან გამოსცა წინა იმპერატორების კანონთა კრებული, რომელიც თეოდოსის კოდექსის სახელითაა ცნობილი და ამით დიდად შეუწყო ხელი მართლმსაჯულების აღსრულებას. თეოდოსი წარმატებით

[14] **Сократ Схоластик, Церковная история, VI, 23.**

[15] იქვე, VII, 22.

აწარმოებდა ბრძოლას სპარსელებთან, მაგრამ იმპერიის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა და უკვე თავისი მეფობის ბოლო წლებში იძულებული გახდა ხარკი ეძლია ჰუნებისათვის მათი ხშირი თავდასხმების ასაცილებლად.

თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ პულხერიამ მეუღლედ და თანამმართველად სენატორი მარკიანე აირჩია, რომელიც იმპერიის ღირსებას მამაცურად იცავდა. როცა ჰუნების მეფემ, ატილამ, ხარკი მოსთხოვა, მარკიანემ მტკიცედ უპასუხა: ოქრო მე მეგობრებისთვის მაქვს, მტრებისთვის კი რკინაო. მაშინ ატილამ აღმოსავლეთზე ხელი აიღო და მთელი ძალები დასავლეთისაკენ წარმართა.

ბევრად უფრო ცუდად წარიმართა დასავლეთ რომის იმპერიის ბედი. ჰონორიუსის დროს, რომელიც სუსტი მმართველი გამოდგა, ბარბაროსები იტალიასა და მის მეზობელ ოლქებს განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ. იმპერიას, რომელიც დღითიდე სუსტდებოდა, მხოლოდ მამაცი ბელადები – სტილიკონი და აეციუსი იცავდნენ. მე-5 საუკუნის პირველ წლებში ვესტგუთების მეფემ, ალარიხმა ჩრდილოეთ იტალია მოაოხრა და ალყა შემოარტყა მილანს, სადაც იმპერატორი ცხოვრობდა. ჰონორიუსი სტილიკონის დროულმა მოსვლამ იხსნა. პოლენტის ველზე სტილიკონმა ალარიხი სასტიკად დაამარცხა და რომმაც გამარჯვება უკანასკნელად იზეიმა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით კოლიზეუმში გამართული სისხლიანი სანახაობაც ბოლო აღმოჩნდა. სამწუხაროდ, კონსტანტინე დიდისაგან აკრძალული სისხლიანი თამაშობანი შემდეგში რომში თანდათანობით კვლავ აღდგა; მიუხედავად ქრისტიანი მქადაგებლებისაგან მკაცრი მხილებისა, ხელისუფლება ვერ ბედავდა აეკრძალა ხალხის საყვარელი სანახაობა და კოლიზეუმის არენაზე ყოველდღე რამდენიმე ათასი ადამიანი იღუპებოდა. ბოლოს და ბოლოს ამ საშინელი, ქრისტიანული ქალაქის შემარცხვენელი ადათის არსებობას აღმოსავლელი ბერის, ტელემაქოსის საქციელმა მოუღო ბოლო. როცა პოლენტთან მტრებზე გამარჯვების აღსანიშნავად კოლიზეუმში ეს სასტიკი თამაშობანი მიმდინარეობდა, ტელემაქოსი უშიშრად გავიდა არენაზე, რათა სისხლიანი ბრძოლა შეეჩერებინა. მართალია, სანახაობას მოწყურებულმა გაცოფებ-

ულმა ხალხმა იგი ქვებით ჩაქოლა, მაგრამ შემდეგში მის ხსოვნას, როგორც მოწამისას, პატივი მიაგო და ჰონორიუსის ბრძანებას სისხლიან თამაშობათა აკრძალვის შესახებ (404 წ.) დრტვინვის გარეშე შეხვდა.

ჰონორიუსმა დედაქალაქი რავენაში გადაიტანა. ამასობაში ბარბაროსთა ბელადები ალარიხი და რადეგაზი იტალიაზე თავდასხმებსა და მისი საუკეთესო პროვინციების აოხრებას აგრძელებდნენ. სტილიკონმა კიდევ ერთხელ მოიპოვა მათთან ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება და იტალიის მხსნელის სახელიც დაიმსახურა, მაგრამ სახელგანთქმულ მხედართმთავარს იმპერატორის კარზე მრავალი მტერი ჰყავდა. მათი გულმოდგინე მცდელობით სტილიკონს ღალატი დააბრალეს და სიკვდილით დასაჯეს. მისი დასჯიდან ორი თვის შემდეგ რომის კედლებს ალარიხი მოადგა. უსიამოვნო გაოცებამ და აღშფოთებამ მოიცვა ამაყი რომაელები, როცა შეიტყვეს, რომ ბარბაროსები მარადიულ ქალაქს განადგურებით ემუქრებოდნენ. მაგრამ კარს მომდგარ საფრთხეს მათში მამულის დაცვის კეთილშობილური სურვილი არ აღუძვრია. მათი სიძულვილი თავს დაატყდა სტილიკონის ქვრივს, სერენას, რომელიც ღალატში დაადანაშაულეს და სენატის გადაწყვეტილებით სიკვდილით დასაჯეს. გონს ვერც ამის შემდეგ მოეგნენ და ნაცვლად იმისა, რომ ხსნას ღმერთს შევედრებოდნენ და მისი შემწეობის იმედით იარაღისთვის მოეკიდათ ხელი, გამოსავალს წარმართულ ადათებსა და შელოცვებში დაუწყეს ძებნა, რომელთაც თითქოს მტრის ჯარი უნდა გაენადგურებინა. როცა ამანაც ვერ უშველა და ყოველმხრივ ალყაშემორტყმულ ქალაქში შიმშილობა დაიწყო, მაშინ სენატმა ალარიხთან მოლაპარაკების გამართვა გადაწყვიტა. დარწმუნდა რა, რომ რომაელების მდგომარეობა უიმედო იყო, ალარიხმა მეტისმეტად ბევრი მოითხოვა. „თუ შენი მოთხოვნები ამგვარია, ჩვენ რაღას გვიტოვებ, მეფეო“, – უთხრეს მას წარგზავნილებმა. „სიცოცხლეს“, – მოკლედ მოუჭრა გაამაყებულმა ბელადმა. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებებმა შედეგი მაინც გამოიღო და დიდი გამოსასყიდის ფასად ალარიხი უკან გაბრუნდა, თუმცა არც თუ ისე დიდი ხნით. ერთი წლის შემდეგ ის ისევ მოადგა რომს. ამჯერად რომი დანებდა და ალარიხისაგან დანიშნული ატილა

იმპერატორად აღიარა. რავენაში ჩაკეტილი ჰონორიუსი არა იმპერიის პატივისა და ღირსების დაცვაზე, არამედ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. ატილამ თავისი მფარველის რისხვა მალე დაიტეხა თავს და ალარიხიც მესამედ მოადგა რომს, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა არც უცდია და ბარბაროსთა ბელადიც, როგორც გამარჯვებული ქალაქში შევიდა. ეს 410 წელს მოხდა.

ალარიხი ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელი იყო, ოღონდ არიოზული ცდომილებებით დამახინჯებულისა. მან თავის მეომრებს უბრძანა ხელი არ ეხლოთ ეკლესიებისათვის და არც მათთვის, ვინც თავს ტაძრებს შეაფარებდა. ბარბაროსებმა, რომელთაც 40.000 განთავისუფლებული მონაც შეუერთდა, ქალაქი უმოწყალოდ გაძარცვეს. გოთებმა მრავალი შენობა გადაწვეს, მდიდარი რომაელების სასახლეები დაარბიეს, მრავალი რომაელი ტყვედ წაიყვანეს, მრავალიც ამოხოცეს, მაგრამ არც ეკლესიებისა და არც მათი ქონებისათვის ხელი არ უხლიათ. გადმოგვცემენ, რომ ერთხელ მეომრებმა, რომელნიც ნადავლს ეძებდნენ, დიაკონისას სახლში ოქროს მდიდრული ჭურჭელი იპოვეს, მაგრამ, როცა გაიგეს, რომ ისინი ეკლესიას ეკუთვნოდა, ამის შესახებ ალარიხს შეატყობინეს და მისი ბრძანებით ჭურჭელი ფსალმუნების გალობით ტაძარში საზეიმოდ გადაასვენეს.

რომში დატრიალებული უბედურება ენითაუწერელი იყო. მრავალმა მდიდარმა რომაელმა არა მხოლოდ ქონება და სიმდიდრე, არამედ თავისუფლებაც დაკარგა, ბარბაროსებმა ისინი ტყვეებად გაყიდეს. სხვები, გაღატაკებულნი, უცხო ქვეყნებში დახეტიალობდნენ. ის რომაელები, რომელთაც მამულები იმპერიის პროვინციებში – აფრიკაში, ესპანეთსა და კამპანიაში ჰქონდათ, იქითკენ მიიჩქაროდნენ. ლტოლვილების მეშვეობით მალე ისეთ დაშორებულ ქვეყნებშიც კი, როგორიც ეგვიპტე, პალესტინა და მცირე აზია იყო, შეიტყვეს მარადიული ქალაქის დამხობის შესახებ. ამ ცნობამ მთელი სამყარო შეძრა და ყველა შეაშფოთა. ბეთლემში, თავის ღარიბულ კელიაში ჩაკეტილი იერონიმე წერდა: „ამ სამყაროში არაფერია ისეთი, რაც შეიძლება მარადიულად მოგვეჩვენოს. ყოველივე, რაც იბადება, უნდა მოკვდეს და რაც იზრდება – დაბერდეს და ყოველი საქმე, ადამიანის ხელით ქმ-

ნული, დროის ხელით უნდა დაიღუპოს. ვის შეეძლო ეფიქრა, რომ თვით რომი, გამდიდრებული მსოფლიო ნადავლით, ოდესმე დაეცემოდა და დედა ხალხებისა მათ აკლდამად გადაიქცეოდა; რომ აფრიკისა და აღმოსავლეთის სანაპიროებს სამყაროს დედაქალაქის ნანგრევებიდან გამოღწეული ლტოლვილები აავსებდნენ და რომ მთელ დედამიწაზე უმდიდრეს მოქალაქეებს თვით ბეთლემის ღარიბული თავშესაფარიც კი შეიფარებდა! ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“.

დაცემა ქალაქისა, რომელიც მარადიულად მიაჩნდათ და რომელიც მთელ მსოფლიოს თავისი დიდებით ავსებდა, განსაცვიფრებელი დასტური იყო ამქვეყნიური დიდების წარმავლობისა. ამ მოვლენამ ქრისტიანები მარადიულსა და წარუვალ ფასეულობებზე კიდევ უფრო ღრმად ჩააფიქრა. ამაზე მეტყველებს ნეტარი ავგუსტინეს შესანიშნავი თხზულება „ღმრთის ქალაქის შესახებ“. დაასაბუთა რა უგუნურება იმათი, რომელნიც რომის დაცემის მიზეზად ქრისტიანობას მიიჩნევდნენ, წარმავალ მიწიერ დიდებას მან ზეციური ქალაქის, ღმრთის ეკლესიის ზეციური სასუფეველის ურყევობა და მარადიულობა დაუპირისპირა და ქრისტიანებს მოუწოდა, რომ ამ მარადიული ქალაქის, რომლის დიდებაც წარუვალია, ღირსეული მოქალაქეები გამხდარიყვნენ. სამწუხაროდ, რომაელების დიდი ნაწილი, რომელიც, სრულიად უსაფუძვლოდ, თავს დატეხილ უბედურებათა მიზეზად ქრისტიანობას თვლიდა, უაზრო სასოწარკვეთას მიეცა და დაკარგულ ქონებას უნუგეშოდ მისტიროდა; მეორენი, რომელთაც ქონების ნაწილი შეინარჩუნეს, უცხო ქვეყნებში მხიარულებასა და გასართობებს ეტანებოდნენ და მამულის ბედისადმი გულგრილობით უკიდურესი ზნეობრივი დაცემის სამწუხარო ნიშნებს ამჟღავნებდნენ. შეუძლებელი იყო აღშფოთების გარეშე ცქერა რომაელი ლტოლვილებისა, რომლებიც კართაგენის თეატრებსა და ცირკებში ირეოდნენ. „თქვენს უბედურებას აღმოსავლეთის ხალხები და თვით ყველაზე შორეული ტომებიც კი დასტირიან, ხოლო თქვენ როგორ იქცევით, – მიმართავს მათ ნეტარი ავგუსტინე, – თეატრების შესასვლელებთან ირევით და უზნეო გასართობებს ეძიებთ. თქვენთვის არაფერია მამულის პატივი; თქვენ გულგრილნი ხართ მის მიმართ, ოღონდ

თქვენი ამაო გასართობები დაიმკვიდროთ. კეთილდღეობასა და ფუფუნებასა შინა თქვენ გაირყვენით და გონს ვერც უბედურებამ მოგიყვანათ. უბედურების გაკვეთილები თქვენთვის ამაო გამოდგა.“ სხვაგვარად იქცეოდნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები, რწმენითა და იმედით აღსავსენი, რომლის წართმევაც მათთვის არავის შეეძლო, ისინი ღმრთის ნებას დაემორჩილნენ და ამქვეყნიურ სიკეთეთა დაკარგვაც და მიწიერი ბედნიერების წარმავლობაც ადვილად გადაიტანეს. სამყარო გააოცა დიდებულებამ მათი სულისა, სიმტკიცემ და იმ მოულღელმა ქველმოქმედებამ, რომელსაც ქრისტიანებს ერთმანეთისადმი სიყვარული შთააგონებდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ თითქმის ყველაფერი აკლდათ, ქონების ნარჩენებსა და მთელ თავიანთ ძალას მოყვასის სამსახურს ახმარდნენ. რამდენიმე ქალმა ქრისტიანული სიყვარულისა და თავდადების დაუვიწყარი მაგალითი მოგვცა. გრაციანეს ქვრივი ლეტა ქალაქის პირველი ალყის დროს მთელ რომს კვებავდა. მდიდარი და ცნობილი რომაელი ქალი პროვა გულგრილად უყურებდა, როგორ იწვოდა მისი მდიდრული სასახლე, ხოლო ის, რაც ურიცხვი ქონებიდან გადაურჩა, ტყვეთა გამოსყიდვასა და ღატაკთა დაპურებას მოახმარა. მრავალმა ლტოლვილმა თავშესაფარი პალესტინაში მოღვაწე ბერებთან იპოვა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მოქალაქეობრივი მხნეობა და თავისუფლება სულისა მხოლოდ ქრისტიანებმა შეინარჩუნეს.

რომის უზარმაზარი იმპერია სწრაფად იშლებოდა და პროვინციას პროვინციაზე კარგავდა. იგი იძულებული გახდა თავისი ჯარი გამოეხმო ბრიტანეთიდან, რისი წყალობითაც ბრიტანეთი იმპერიის ბატონობიდან განთავისუფლდა; გალია გოთებმა, ბურგუნდიელებმა და ფრანკებმა წაართვეს, ესპანეთი – ალემანებმა და ბოლოს ვესტ-გოთებმა. გერმანიაში გოთებისა და სარმატების ტომები განუწყვეტლივ ეჯახებოდნენ ერთმანეთს. აფრიკა ვანდალების მეფემ გენზერიხმა დაიპყრო. თეოდოსი დიდის გარდაცვალებიდან ნახევარ საუკუნეზე ცოტათი მეტი იყო გასული და დასავლეთ რომის ვრცელი იმპერიისგან მხოლოდ იტალიაღა დარჩა და ისიც გამუდმებით ბარბაროსთა შემოსევების შიშის ქვეშ იყო. არც ჰონორიუსის მემკვიდრეს, ვალენტინიანე III და არც მომდევნო

იმპერატორებს, რომლებიც სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს იმპერიის ტახტზე, ძალა არ შესწევდათ მისი დაცვისა. ისინი იმითაც კმაყოფილნი იყვნენ, რომ მშვიდობას ბარბაროსებისაგან ხარკით ყიდულობდნენ. ნანატრი მშვიდობისათვის რომის იმპერატორები აღარც იმას თაკილობდნენ, რომ თავიანთი დები და ასულები ბარბაროსთა ბელადებისთვის მიეთხოვებინათ. 452 წელს ატილა, რომელსაც ხალხთა მათრახს უწოდებდნენ, რომს მოადგა. ქალაქი საშინელმა შიშმა მოიცვა, მაგრამ ამჯერად იგი რომის პაპმა, ლეონ დიდმა იხსნა, რომელიც ატილასთან მივიდა და ვედრებით მიმართა ხელი აეღო რომის აღებაზე. მეომართა გასაკვირად ატილა მართლაც უკან გაბრუნდა. შემონახულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ბარბაროსთა ბელადს რომის მფარველი მოციქულები პეტრე და პავლე გამოეცხადნენ და სიკვდილით დაემუქრნენ, თუ ქალაქს არ განშორდებოდა.

სამი წლის შემდეგ რომს ლაშქრით გენზერიხი შემოეწყო. ლეონ დიდი მასაც შეევედრა შეეწყალებინა ქალაქი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მის მცხოვრებთა სიცოცხლე იხსნა, გენზერიხმა რომი უმოწყალოდ დაარბია. მისი ლაშქარი იმპერიის დედაქალაქს ორი კვირის განმავლობაში აოხრებდა და ძარცვავდა. რომაელ მდიდართა მთელი ძვირფასეულობა, ადრინდელ გამარჯვებათა მდიდრული ნადავლი, ქრისტიანულ ეკლესიათა საგანძური თუ წარმართული ღმერთების ოქროს ქანდაკებანი გენზერიხმა გემებზე აატანინა და აფრიკაში წაიღო, სადაც თავს უკვე სრულუფლებიან ბატონპატრონად გრძნობდა. კართაგენში ეპისკოპოსმა დეოგრაციანემ ეკლესიის საგანძურის ნივთები გაყიდა, რათა ღატაკებს დახმარებოდა, ხოლო რამდენიმე ტაძარში საავადმყოფო მოაწყო, სადაც სნეულები შეიფარა.

მაგრამ უკვე თვითონ აფრიკა, რომელიც 428 წლიდან ვანდალების ბატონობის ქვეშ მოექცა, მძიმე ჩაგვრას განიცდიდა. ვანდალებმა იგი ხელში ღალატის შედეგად ჩაიგდეს. ისინი ქვეყანაში თვითონ რომაელმა ბელადმა ბონიფაციუსმა მიიწვია. გარდა ამისა, ბარბაროსებს ნუმიდიელი მავრები და დონატისტებიც ეხმარებოდნენ. 430 წელს, როცა ჰიპონი გენზერიხისაგან იყო ალყაში მოქცეული, გარდაიცვალა ნეტარი ავგუსტინე. იგი უკანასკ-

ნელ ამოსუნთქვამდე ღმერთს ქალაქის მცხოვრებთა შეწყალებას ევედრებოდა. ხანგრძლივი ალყის შემდეგ ჰიპონი დაეცა. მალე კართაგენიც გენზერიხის ხელში გადავიდა და აფრიკას თავს ენითუთქმელი უბედურებანი დაატყდა. უცხო ტომის ბატონობას სარწმუნოებისათვის დევნაც დაემატა. გენზერიხი არიოზელი იყო და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მისი სამფლობელოც თავის სარწმუნოებაზე მოექცია: არ ერიდებოდა არც წამებასა და შეპყრობას, არც გადასახლებასა და ქონების ჩამორთმევას. ყველაზე ღირსეულ ეპისკოპოსებს კათედრები ჩამოართვეს და შორეულ უდაბნოში გადაასახლეს, ან მძიმე სამუშაოებზე გაუშვეს. მათი კათედრები არიოზელებს გადაეცათ, რომელნიც ვანდალებთან სიამოვნებით თანამშრომლობდნენ. გენზერიხის მემკვიდრეები მისი აღმსარებლობის ერთგული აღმოჩნდნენ და აფრიკაში მთელი საუკუნის განმავლობაში მძვინვარებდა ჭეშმარიტ მორწმუნეთა სასტიკი დევნა, ვიდრე ვანდალების ბატონობას ველიზარმა არ მოუღო ბოლო.

მიუხედავად ამ მძიმე განსაცდელისა, აფრიკის ეკლესიამ ღმრთის ერთგულება შეინარჩუნა. თვით სუსტი ქალებიც კი სარწმუნოების ღალატს წამებას ამჯობინებდნენ. განდევნილი წმინდა აღმსარებლები ღმრთის სიტყვას მავრიტანიის ველურ ტომებში ქადაგებდნენ და უფალიც საკვირველი სასწაულებით ამხნევებდა მათ. მაგალითად, რამდენიმე აღმსარებელი, რომელთაც გენზერიხის ბრძანებით ენა მოაჭრეს, სარწმუნოებას ხმამაღლა ქადაგებდნენ. ეს უჩვეულო მოვლენა სრულიად სარწმუნოა, რადგან იგი თვითმხილველებმა აგვიწერეს. 476 წელს ოდოაკრმა, გერულების ბელადმა, რომელიც თავს ხალხთა მეფეს უწოდებდა, ჩამოაგდო უკანასკნელი იმპერატორი დასავლეთ რომის იმპერიისა, რომულუს ავგუსტუსი. 493 წელს მას ძალაუფლებაცა და სიცოცხლეც ოსტ-გოთების ბელადმა თეოდორიკემ წაართვა. მართალია, ოდოაკრიცა და თეოდორიკეც აღმოსავლეთის იმპერატორის უმაღლეს ხელისუფლებას აღიარებდნენ, მაგრამ სინამდვილეში იტალიის დამპყრობი, ფრანკთა და ალემანთა დამმარცხებელი თეოდორიკე სრულიად დამოუკიდებელი იყო. იგი 33 წელი მეფობდა და ეს წლები იტალიისათვის კეთილდღეობისა და მშვიდობის

წლები გამოდგა. თუმცა თვითონ წერა-კითხვის უცოდინარი და გაუნათლებელი იყო, საერთოდ განათლებას დიდ პატივს სცემდა. ამიტომაც დიდად უწყობდა ხელს ბოეციუსსა და კასიოდორეს, რომელნიც ქვეყანაში სხვადასხვა მეცნიერების გავრცელებისა და განვითარებისათვის იღვწოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არიოზელი იყო, თეოდორიკე არც მართლმადიდებლებს ავიწროვებდა, რადგან კანონსა და სამართლიანობას პატივს სცემდა. მხოლოდ მეფობის ბოლო წლებში მიაყენა ჩრდილი თავის დიდებას, როცა ბოეციუსისა და სვიმახოსის ერთგულებაში ეჭვი უსაფუძვლოდ შეიტანა და სიკვდილით დაასჯევინა ისინი.

დიდი ხნის განმავლობაში აღმოსავლეთის იმპერატორები დასავლეთის განთავისუფლებას ბარბაროსებისაგან უშედეგოდ ცდილობდნენ. ამ მიზნის მიღწევა აღმოსავლეთის იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა მხოლოდ მე-6 საუკუნის შუა წლებში შეძლო. მისმა სარდლებმა – ველიზარმა და ნარსესმა აფრიკასა და სიცილიაში ვანდალების ბატონობა დაამხეს. იმპერატორმა გამარჯვება მოიპოვა ფრანკებსა და ალემანებზეც, ხუთჯერ წაართვა გოთებს რომი, რის შედეგადაც 554 წელს იტალიაში თავისი ხელისუფლება განამტკიცა. აქედან მოყოლებული ორასი წლის მანძილზე ბიზანტიის იმპერატორები იტალიის დიდ ნაწილს თავიანთი წარმომადგენლის, რავენას ეგზარქოსის საშუალებით მართავდნენ. რომი, ფერარა, ანკონა, ნეაპოლი და კალაბრია, რავენა და სიცილიის, სარდინიისა და კორსიკის კუნძულები აღმოსავლეთის იმპერატორის ხელისუფლებას აღიარებდნენ. დანარჩენი ნაწილი იტალიისა კი 570 წელს ლონგობარდებმა დაიპყრეს.

ხშირი თავდასხმები მტრებისა და სახელმწიფოს შიგნით შფოთი და მღელვარება, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის იმპერატორებს საშუალებას არ აძლევდა იტალიაში მიმდინარე მოვლენებისათვის თვალი დიდი ყურადღებით ედევნებინათ. მათი წარმომადგენელი არა რომში, არამედ რავენაში ცხოვრობდა, რამაც, თავის მხრივ, რომში პაპის ხელისუფლების გაძლიერებას შეუწყო ხელი. აღმოსავლეთში რამდენიმე კათედრისათვის თანაბარი უფლებების მინიჭებამ განაპირობა ის, რომ ეკლესიაში ერთი რომელიმე ეპისკოპოსისათვის თვალსაჩინო უპირატესობის მინიჭება და მისი ხე-

ლისუფლების სხვებზე გავრცელება არ მოხდა. დასავლეთში კი საქმე სხვაგვარად წარიმართა, რადგან არავის შეეძლო პირველობაში შეცილებოდა პაპს, – ძველი დედაქალაქის ეპისკოპოსსა და დასავლეთში ერთადერთი სამოციქულო კათედრის მფლობელს. დასავლეთის მართლმადიდებელთა თვალში რომი იყო ერთადერთი დამცველი ნიკეის ჭეშმარიტი აღმსარებლობისა. ბარბაროსებისათვის რომის სახელი, როგორც მსოფლიოს დედაქალაქისა, მომხიბვლელობას ისევ ინარჩუნებდა და მათთვის რომის ეპისკოპოსი მთელი ქრისტიანობის სულიერი მეთაური იყო. ახალი ტომები და რომის იმპერიის ნანგრევებზე წარმოშობილი ახალი ევროპული სახელმწიფოები რომის პაპს დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ. თეოდორიკემ რომის მმართველობა ნაწილობრივ პაპს მიანდო. ამიტომ აფრიკის, გალიისა და ესპანეთის სამღვდელოება თეოდორიკეს ბარბაროსებისაგან დაცვას პაპის მეშვეობით სთხოვდა. ამრიგად, პაპი მათ მთელი დასავლეთის ქრიტიანობის მფარველად წარმოუდგებოდათ. დიდძალი სიმდიდრე მას ქველმოქმედების საშუალებასაც აძლევდა. ამასობაში იტალიის მოსახლეობა თანდათანობით მიეჩვია იმას, რომ განუწყვეტელი მღელვარებისა და გადატრიალებების ხანაში პაპის ხელისუფლება ერთადერთ მტკიცე და ურყევ ხელისუფლებად მიეჩნია. რომის პაპებმა ეს ხელსაყრელი ვითარებანი თავიანთი მდგომარეობის განმტკიცებისა და მიწიერი ინტერესებისათვის კარგად გამოიყენეს. დაკარგული მსოფლიო ბატონობის ნანგრევებზე ასე თანდათანობით დამყარდა სულიერი მეუფება რომისა მთელს დასავლეთზე.

ნესტორის ერესი და მესამე მსოფლიო კრება

ის იყო დასავლეთში პელაგიუსის ერესის გამო გამოწვეული მღელვარება ჩაცხრა, რომ ახლა აღმოსავლეთის ეკლესიაში ჩამოვარდა შფოთი ნესტორის[16] ცრუ სწავლებასთან დაკავშირებით. ანტიოქიელი ხუცესი ნესტორი 428 წელს კონსტანტინეპოლის

[16] ნესტორი 381 წლის მახლობელ ხანებში დაიბადა სირიაში. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია, იგი წარმოშობით სპარსელი ყოფილიყო. სწავლობდა ანტიოქიაში, როგორც ჩანს, იმ დროისათვის ცნობილ თეოლოგ თეოდორე მოპსუესტელთან.

მთავარეპისკოპოსად მიიწვიეს. ცხოვრების მკაცრი სტილისა და ერესების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გამო, ქრისტიანულ სამყაროში მას დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ. გარდა ამისა, ნესტორი განსწავლულობითა და მჭევრმეტყველებითაც იყო ცნობილი. თავის ერთ-ერთ პირველ ქადაგებაში მან მეფეს ასე მიმართა: „მომეცი მე ქვეყანა, ერეტიკოსთაგან განწმენდილი და მე შენ ზეციურ სასუფეველს მოგცემ. შემეწიე მე ერესების აღმოფხვრაში და მე შენ სპარსელებთან ბრძოლაში შეგეწევი“.[17] არიოზელები და სხვა ცრუ სწავლებათა მიმდევარნი ნესტორისაგან მკაცრად იდევნებოდნენ. საეკლესიო წესებიდან უმცირესი გადახვევაც კი მისი მხრიდან დაუნდობელ მხილებასა და გაკიცხვას იწვევდა.

ერთხელ, ერთ-ერთმა მღვდელმა მთავარეპისკოპოსის დასიდან ქადაგებისას ეჭვი გამოხატა იმის თაობაზე, სწორად უწოდებენ თუ არა ყოვლადწმიდა მარიამს ღმრთისმშობელს. ქადაგებამ მსმენელთა გაკვირვება გამოიწვია; ყველა ელოდებოდა, რომ ქრისტეს მოძღვრების ერთგული დამცველი ნესტორი მღვდელს საკადრის პასუხს გასცემდა, მაგრამ პირიქით მოხდა: რამდენიმე ხნის შემდეგ მთავარეპისკოპოსმა მღვდლის სიტყვები დაადასტურა და განმარტა, რომ ყოვლადწმიდა ქალწულს არა ღმრთისმშობელი, არამედ ქრისტესმშობელი უნდა ეწოდებოდეს, რადგან მან არა ღმერთი, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი შვა, რომელსაც შემდეგ მისი წმინდა ცხოვრების გამო ღმრთეება შეუერთდა; ძე ღმრთისას, რომელიც დაუსაბამოდ შობილია მამისაგან, არ შეეძლო ისევ დაბადებულიყო დროში, ამიტომ მუცელქმნულებაზე საუბარი მხოლოდ ადამიან-ქრისტესთან და არა ძე ღმრთისასთან დაკავშირებითაა შესაძლებელიო. რადგანაც, ნესტორის აზრით, ყოვლადწმიდა მარიამისაგან იშვა არა თვითონ ღმერთი, არამედ სამოსელი, რომელსაც ძე ღმერთი უნდა შეემოსა, იგივე ტაძარი, რომელშიც ძე ღმრთისა უნდა დამკვიდრებულიყო, შესაბამისად ყოვლადწმიდა ქალწულიც ქრისტეს მშობელი იყო და არა ღმრთისმშობელი.

სახელი გაითქვა ასკეტიზმითა და მჭევრმეტყველებით. თეოდოსი მეორემ იგი დედაქალაქში იმ იმედით მიიწვია, რომ თავისი ქადაგებებით დედაქალაქელთა ზნეობას აამაღლებდა.

[17] **Сократ Схоластик, Церковная история, VII, 29.**

ამ მწვალებლობის მთავარი არსი იესო ქრისტეს, როგორც კაცობრიობის ცოდვისა და სიკვდილისაგან გამომხსნელის, უარყოფაში მდგომარეობს, რადგანაც, მისი სწავლებით, ჯვარზე არა ღმერთკაცი, არამედ მხოლოდ ადამიანი ევნო.

ნესტორის მსჯელობიდან გამოდიოდა, რომ როცა მახარებლები და მოციქულები იესო ქრისტეს შესახებ ლაპარაკობდნენ, არა ერთ, არამედ ორ პირს აღწერდნენ. კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსის ცრუ სწავლებას ანტიოქიის ეპისკოპოსმა იოვანემ და იქაურმა საღმრთისმეტყველო სკოლამ დაუჭირეს მხარი. ერეტიკოსებთან კამათის დროს მართლმადიდებლებს სათავეში წმ. კირილე ალექსანდრიელი ჩაუდგა. იგი განკაცებულ სიტყვას – იესო ქრისტეს ერთ პირად მოიაზრებდა, რომელშიც ორი ბუნება – ღმრთეებრივი და კაცობრივი ისე იყო შეერთებული, როგორც ადამიანში სული და ხორცი. რამდენადაც იესო ქრისტე მამისაგან შობილია უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ანუ დაუსაბამოდ, ამიტომ მისი შობა წმ. ქალწულისაგან ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ძე ღმრთისა მეორედ იშვა, არამედ, რომ მან კაცობრივი ბუნება შეიერთა. ამდენად, ყოვლადწმიდა მარიამმა შვა ხორცთან შეერთებული ღმერთი, რომელიც ამ შეერთების შემდეგაც ერთ პირად – ერთ ჰიპოსტასად დარჩა.

დოგმატური საკითხების გარშემო ატეხილ კამათში რომის ეპისკოპოსი კელესტინეც ჩაერთო. რომში მოწვეულმა ადგილობრივმა კრებამ ნესტორს იმ შემთხვევაში, თუკი იგი თავის ცრუ სწავლებას არ დაგმობდა, ჩამოგდება მიუსაჯა. კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსს იგივე განაჩენი გამოუტანა წმ. კირილეს მიერ ალექსანდრიაში მოწვეულმა კრებამაც. კირილემ ნესტორს წერილი მისწერა და კრების სახელით გაუგზავნა დაწვრილებითი გადმოცემა ეკლესიის დოგმატისა, რომელსაც თან ერთვოდა თორმეტი ანათემატიზმი ცრუ სწავლების 12 პუნქტის წინააღმდეგ. ნესტორმა და მისმა მომხრეებმა ანათემატიზმები უარყვეს და, თავის მხრივ, ერესში კირილე დაადანაშაულეს. რადგან სადაო საკითხის საბოლოო გადაჭრა ვერც ალექსანდრიისა და ვერც რომის კრებებმა ვერ შეძლეს, იმპერატორმა თეოდოსიმ გადაწყვიტა

მსოფლიო კრება მოეწვია ეფესოში.[18] კრება ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარში 431 წლის 7 ივნისს უნდა გახსნილიყო.

წმ. კირილე და რამდენიმე სხვა ეპისკოპოსი ეფესოში კრების გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდნენ. ეფესოში ჩავიდა ნესტორიც, რომელმაც განაცხადა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და მეფისგან შეიარაღებული დაცვა მოითხოვა. იმპერატორმა კრებაზე თავისი წარმომადგენელი, წარჩინებული მოხელე გაგზავნა, რომელსაც კრების სხდომებზე დასწრება უბრძანა, მაგრამ საღმრთისმეტყველო კამათში ჩარევა აუკრძალა: მას კრების მსვლელობისას წესრიგის დაცვა ევალებოდა. ეს მოხელე, ისევე როგორც ბევრი ეპისკოპოსი, ნესტორის მხარეს იყო.

დადგა დანიშნული დღეც, მაგრამ ეფესოში არც პაპისგან წარმოგზავნილი პირები, არც ანტიოქიის ეპისკოპოსი იოვანე და არც სხვა სირიელი ეპისკოპოსები ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩასულნი. რადგან ცნობილი იყო, რომ იოვანეცა და სირიის ყველა ეპისკოპოსიც მხარს ნესტორს უჭერდა, ამიტომ გაჩნდა ეჭვი, რომ ისინი განზრახ აგვიანებდნენ, რათა ან ნესტორის განსჯაში არ მიეღოთ მონაწილეობა, ან თუ ეს განსჯა მოხდებოდა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევის საბაბი ჰქონოდათ.

16 დღის უშედეგო ლოდინის შემდეგ ეპისკოპოსთა უმრავლესობამ კრების გახსნა გადაწყვიტა და თავმჯდომარედ კირილე აირჩია. სამჯერ მოიწვიეს ნესტორი, მაგრამ მან უარი განაცხადა, რადგან რამდენიმე ეპისკოპოსის არყოფნის გამო კრებას არაკანონიერად მიიჩნევდა. ამავე აზრისანი იყვნენ იმპერატორის მოხელეცა და მისი მომხრე ეპისკოპოსებიც, მაგრამ რამდენადაც უმრავლესობა კრების გახსნას უჭერდა მხარს, სხდომები მაინც დაიწყო. პირველივე სხდომაზე, უწინარეს ყოვლისა, ხმამაღლა წაიკითხეს ნიკეის კრების სიმბოლო, რომელშიც ეკლესიის ჭეშმარიტი სწავლება იყო გადმოცემული, ხოლო შემდეგ – კირილეს პასუხები ნესტორის თხზულებებში გადმოცემულ სწავლებათა წინააღმდეგ. ყველამ აღიარა, რომ ნიკეის აღმსარებლობა წმ. კირილეს სწავლებაში იყო დაცული, მაშინ როცა ნესტორის განმარტებანი მის წინააღმდეგ იყო მიმართული.[19]

[18] **Сократ Схоластик, Церковная история, VII, 34.**

[19] **А.П. Лебедев, Вселенские Соборы IV и V веков,** გვ. 176.

შემდეგ წაკითხული იქნა ამონაწერები ეკლესიის დიდი მამების თხზულებებიდან, რომლებიც იესო ქრისტეს განკაცებას ეხებოდნენ. ნესტორს მისი არასწორი სწავლებისათვის ერთსულოვნად დასდეს ბრალი და ეპისკოპოსობა ჩამოართვეს. ეს დადგენილება საჯაროდ გამოაცხადეს და იმპერატორსაც აცნობეს. რამდენიმე დღის შემდეგ ეფესოში ანტიოქიის მთავარეპისკოპოსიც ჩამოვიდა სირიელ ეპისკოპოსებთან ერთად და რომის პაპის წარმოგზავნილებიც. რომის ეკლესიის უფლებამოსილმა პირებმა კრების გადაწყვეტილება კანონიერად სცნეს, ხოლო იოვანემ და მისმა თანმხლებმა ეპისკოპოსებმა – უკანონოდ და ამიტომ ნესტორსა და მის მომხრეებთან ერთად ცალკე კრება მოაწყვეს, რომელზეც ერეტიკოსად წმ. კირილე გამოაცხადეს და უკანონო მოქმედებისათვის მისთვის და ეფესოს ეპისკოპოსისთვის ეპისკოპოსის ხარისხის ჩამორთმევა დაადგინეს. ეს დადგენილება მათ იმპერატორს გაუგზავნეს როგორც გადაწყვეტილება თითქოსდა ჭეშმარიტად მსოფლიო კრებისა.

თეოდოსი, რომელმაც ეფესოდან ურთიერთსპირისპირო ცნობები მიიღო, შექმნილ ვითარებაში ვერ გაერკვა და ორივე მხარის დადგენილებანი, ანუ როგორც წმ. კირილეს, ისე ნესტორის გადაყენებაც, დაამტკიცა. იმპერატორის საქციელმა კონსტანტინეპოლის მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. ბერების ჯგუფი, რომელსაც წმ. მოღვაწე დალმატიუსი მიუძღვოდა, სასახლისაკენ გაემართა, რათა თეოდოსისათვის საქმის ხელახლა გადახედვა ეთხოვა. ბერებს ხალხიც გაჰყვა. მეფე შეჰპირდა მათ, რომ ორივე მხარის წარმომადგენლებს მოუსმენდა. მისი პასუხით გახარებული ხალხი 150-ე ფსალმუნის გალობით: „აქებდით ღმერთსა წმიდათა შორის მისთა“ – ეკლესიისკენ გაემართა. როცა დალმატიუსმა შეკრებილებს წმ. კირილესაგან მიღებული წერილი წაუკითხა, რომელშიც საქმის მთელი მსვლელობა იყო მოთხრობილი, ხალხში გაისმა შეძახილები: „ანათემა ნესტორს!“ თეოდოსიმ მართლაც მიიწვია რვა-რვა ეპისკოპოსი ორივე მხრიდან და საქმის გულმოდგინე გამოძიების შედეგად გამარჯვება სიმართლემ იზეიმა: ნესტორის ცრუ სწავლება დაგმობილ იქნა. ეფესოს კრების განსაზღვრებებს ორასზე მეტმა ეპისკოპოსმა დაუჭირა მხარი. ეს განსაზღვრებანი რვა წესისაგან შედგებოდა, რომელთაგან ერთ-ერთით აკრძალული იყო როგორც

რწმენის ახალი სიმბოლოს შექმნა, ასევე რაიმე ცვლილების შეტანა ნიკეის სიმბოლოში.[20] ეკლესიის დოგმატი ძე ღმრთისას განკაცებაზე ასე იყო გადმოცემული:

"ვაღიარებთ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის ძე ღმრთისა, სრული ღმერთი და სრული კაცი, სულით გონიერით და სხეულით. რომ იგი, როგორც ღმერთი, უწინარეს საუკუნეთა იშვა მამისაგან და შემდეგში ჩვენთვის და ჩვენი ხსნისათვის ქალწულისაგან მარიამისა იშვა, როგორც კაცი; ასე რომ მოხდა შეერთება ორი ბუნებისა, რის გამოც ერთ ქრისტესა და ერთ უფალს ვაღიარებთ".

წმ. კირილე ალექსანდრიაში დაბრუნდა და მის ეკლესიას ვიდრე აღსასრულამდე (444 წ.) მართავდა. გარდა იმისა, რომ რამდენიმე შესანიშნავი თხზულება დაგვიტოვა, მას მიეწერება, აგრეთვე, შედგენა ლოცვისა ღმრთისმშობლისადმი: „ღმრთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ". წმ. კირილეს მიიჩნევენ ასევე შემდგენლად ჟამნის რიგისა დიდი პარასკევისათვის. მართლმადიდებელი ეკლესია დიდ მწყემსმთავარს 9 ივნისს იხსენიებს.

რაც შეეხება ნესტორს, რამდენიმე ხანი იგი ანტიოქიის მახლობლად ერთ-ერთ მონასტერში ცხოვრობდა, მაგრამ რადგან თავის ცრუ სწავლებაზე ხელი არ აიღო, ეგვიპტის უდაბნოში გააგზავნეს, სადაც საშინელი სიკვდილით აღესრულა: ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით, მას ენაზე მატლები დაესია.

კონსტანტინეპოლის კათედრაზე ნესტორის მაგივრად ბერი მაქსიმიანე აირჩიეს. მალე[21] იგი წმ. პროკლემ, იოვანე ოქროპირის მოწაფემ შეცვალა. აღსანიშნავია, რომ ის იყო პირველი, ვინც ნესტორი ერეტიკული სწავლებისთვის ამხილა. მისი მღვდელმთავრობისას წმ. იოვანე ოქროპირის ნეშტი კომანიდან კონსტანტინეპოლში გადაასვენეს. როცა კონსტანტინეპოლი ძლიერმა მიწისძვრებმა შეაძრწუნა და წმ. პროკლე მორწმუნეებთან ერთად ჯვრის წინამძღოლობითა და შეწყალების ვედრებით ქალაქს გარს უვლიდა, საკვირველი მოვლენა მოხდა: უხილავი ძალით ერთი ყრმა ჰაერში იქნა ატაცებული. როცა იგი მიწაზე დაბრუნდა, გაოცებულ ხალხს უამბო, რომ იხილა ანგელოზთა დასი, რომელიც გალობდა:

[20] იქვე, გვ. 177.

[21] **Сократ Схоластик, Церковная история, VII, 35.**

„წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ“. როგორც კი ეს გალობა გაიმეორეს, მიწისძვრა შეწყდა. აქედან მოყოლებული იგი ღმრთისმსახურებაში იქნა შეტანილი.

მონოფოზიტური ერესი და მეოთხე მსოფლიო კრება

კამათი, რომელიც ეკლესიაში ნესტორის ცრუ მოძღვრებამ წარმოშვა, ეფესოს კრების შემდეგაც გაგრძელდა. ნესტორს მრავალი მომხრე ჰყავდა, რომელნიც თვლიდნენ, რომ იგი ეკლესიიდან უსამართლოდ იყო განდევნილი. ნესტორის სიმართლის დასამტკიცებლად ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ თხზულებები იმ პირებისა, რომელთაც ეკლესია დიდ პატივს სცემდა. ასეთები იყვნენ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი ეპისკოპოსი მოფსუესტისა თეოდორე, მისი მოწაფე თეოდორიტე კვირელი და ედესის ეპისკოპოსი იბა. მათ ნაწერებში მართლაც შეიძლებოდა ისეთი გამონათქვამების პოვნა, რომელნიც ახლოს იდგნენ ნესტორის შეხედულებებთან. თეოდორიტეს, სირიაში ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ ეპისკოპოსს, ნესტორის მხარე დიდხანს ეჭირა და წმ. კირილეს ანათემატიზმებს წერილობით ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ შემდეგში, ისევე როგორც იბა ედესელი, მიხვდა, რომ ცდებოდა. ნესტორის მომხრენი ამ მღვდელმთავართა თხზულებებიდან იწერდნენ ყველაფერს, რასაც კი შეიძლებოდა რაიმე საერთო ჰქონოდა მათ შეხედულებებთან, ამონაწერებს ავრცელებდნენ, სხვადასხვა ენაზე თარგმნიდნენ და ეკლესიის ჭეშმარიტ სწავლებად ასაღებდნენ.

მართლმადიდებელი ეპისკოპოსები, მათ შორის პროკლე კონსტანტინეპოლელი, იძულებულნი გახდნენ ეს მცდარი შეხედულებანი ემხილებინათ, ოღონდ ავტორთა დაუსახელებლად, რათა ეკლესიაში მშვიდობა არ დარღვეულიყო. მაგრამ სირიაში მღელვარება მაინც არ ცხრებოდა, რის გამოც შფოთის ამტეხთა მიმართ შედარებით მკაცრი ზომების მიღება გახდა საჭირო. ნესტორის ზოგიერთი მიმდევარი კანონსაწინააღმდეგო საქციელის გამო ქვეყნიდან გააძევეს. გაძევებულებმა თავშესაფარი სპარსეთში ჰპოვეს. იქ მათ მეფის კეთილგანწყობილების მოპოვება შეძლეს და მისი

მფარველობით ედესაში სასწავლებელი დააარსეს, სადაც თავიანთი სწავლების გასავრცელებლად მქადაგებელთა მომზადება დაიწყეს. მათ მართლაც შეძლეს გაევრცელებინათ ნესტორის მოძღვრება ეგვიპტეში, სირიაში, ინდოეთში და თვით ჩინეთშიც კი. ნესტორის ერთმა ყველაზე თავგამოდებულმა მიმდევარმა ბარსუმამ სპარსეთში მართლმადიდებელი ქრისტიანების სასტიკი დევნით გამოიჩინა თავი. ნესტორის მიმდევრები ისე გაძლიერდნენ, რომ კტესიფონში თავიანთი პატრიარქი დაადგინეს, რომელსაც კათოლიკოსი უწოდეს. ნესტორის მიმდევრები სპარსეთში ქალდეველ ქრისტიანთა სახელწოდებით ბოლო დრომდე არსებობდნენ. ეს სახელწოდება მათ ნაწილობრივ იმიტომ მიიღეს, რომ ძველი ქალდეის ადგილებში ცხოვრობდნენ, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ქალდეურ ენას იყენებდნენ. ოსტ-ინდოეთში ისინი ქრისტიანი თომისტების სახელით არიან ცნობილნი, რომელიც თომა-ბარსუმას სახელისგან წარმოდგება; ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით კი, ამ სახელს მოციქული თომას ხსოვნის პატივსაცემად ატარებდნენ, რომელმაც ინდოეთში ქრისტიანობა პირველმა იქადაგა.

მალე კონსტანტინეპოლში ახალი შფოთი წარმოიშვა. ღმრთისმოსავი ეპისკოპოსები, რომელთათვისაც მთავარი ეკლესიის კეთილდღეობა და მშვიდობა იყო, საღმრთისმეტყველო კამათების წამოწყებას, რაც ასე საშიშია ქრისტიანული სიყვარულისთვის, ერიდებოდნენ. მათ იცოდნენ, როგორ აღვივებს ამგვარი კამათები ურთიერთმტრობას, როგორ ხშირად ემსახურებიან ისინი ცალკეულ პირთა ანგარებიან მიზნებს და როგორ ხდებიან იარაღი სიძულვილისა და პატივმოყვარეობისა. მაგრამ სამწუხაროდ ისეთი ეპისკოპოსებიც აღმოჩნდნენ, რომელნიც თავიანთი პირადი მიზნებისთვის მღელვარებას ხალისით იწვევდნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება წმ. კირილეს მემკვიდრე ალექსანდრიის კათედრაზე, **დიოსკორე**. ქედმაღალი და უფლებისმოყვარე დიოსკორესათვის კონსტანტინეპოლის კათედრის პირველობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირველობა არავითარ ძალაუფლებას არ იძლეოდა, უსიამოვნო ფაქტს წარმოადგენდა. მოჰქონდა რა თავი ჭეშმარიტების მოშურნე დამცველად, დიოსკორე ყველგან ერესის კვალს ეძებდა, განუწყვეტლივ აყენებდა ახალ-ახალ ბრალდებებს და ხან

ერთსა და ხან მეორე ეპისკოპოსს კიცხავდა, რაც, ბუნებრივია, შფოთის მიზეზი ხდებოდა. მისი დევნის პირველი ობიექტი თეოდორიტე კვირელი გახდა, რომელსაც მეფის წინაშე ცილი დასწამა და ანათემას გადასცა. მალე ქრისტიანული სამყაროს აღშფოთება დიოსკორეს სხვა საქმეებმაც გამოიწვიეს.

კონსტანტინეპოლის ერთ-ერთი მონასტრის ბერი, არქიმანდრიტი **ევტიქი**, რომელმაც თავი როგორც ნესტორის შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, ისე გამოიჩინა, მეორე უკიდურესობაში ჩავარდა და ახალი ერესის ერთ-ერთი მამამთავარი გახდა. მისი მტკიცებით, რამდენადაც უფალ იესო ქრისტეში ღმრთეებრივმა ბუნებამ კაცობრივი ბუნება მთლიანად შთანთქა, განხორციელების შემდეგ მისი მხოლოდ ერთი ბუნება, – ღმრთეებრივი უნდა ვაღიაროთ.[22] ზოგიერთმა ეპისკოპოსმა ევტიქი მონოფიზიტური ერეტიკული შეხედულებებისათვის დედაქალაქის პატრიარქის ფლაბიანეს წინაშე ამხილა, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა ამ შეხედულებათა კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე განხილვა მოითხოვა, რომელიც სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა. სათნოსა და მშვიდობისმოყვარე ფლაბიანეს არავითარი სურვილი არ ჰქონდა კამათის წამოწყებისა, რადგან კარგად იცოდა, რომ ამგვარ განყენებულ საკითხზე მსჯელობისას ყოველგვარ დაუფიქრებელ გამოთქმას, ადვილი შესაძლებელი იყო, ერესის მნიშვნელობა მისცემოდა. ეშინოდა რა ეკლესიაში სულ ცოტა ხნის წინათ დამყარებული მშვიდობის დარღვევისა, იგი შეეცადა, ევტიქი გონს მოეყვანა და მის შეხედულებათა სიმცდარეში დაერწმუნებინა, მაგრამ ამაოდ. მაშინ კრება იძულებული გახდა მიეღო საჩივარი და ევტიქი პასუხისათვის გამოეძახა, მაგრამ მან გამოცხადებაზე უარი თქვა. მაშინ ფლაბიანემ შეუთვალა, რომ არაფრის შიში არ უნდა ჰქონოდა, რადგან ცდომილებისაგან არავინაა დაზღვეული. მთავარია, მისი აღიარებისა არ შერცხვენოდა. მესამედ მოწვევის შემდეგ ევტიქი კრებაზე შეიარაღებული მცველების (!) თანხლებით მივიდა.[23] ეპისკოპოსების კითხვებზე იგი ორაზროვან პასუხებს იძლეოდა, ხოლო ფლაბიანეს მეტად აგდებულად ექცეოდა.

[22] **А.П. Лебедев, Вселенские Соборы VI, VII, и VIII веков, СПБ, 1904,** გვ. 199.

[23] **Q. И. Успенский, История Византийской империи, СПБ (б.г.),** გვ. 210.

კრებამ ევტიქი ერესში ამხილა და მისთვის საეკლესიო ხარისხის ჩამორთმევის დადგენილება გამოიტანა. ევტიქი ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და საქმის ხელახლა გადახედვა მოითხოვა. ამ მიზნით, მან წერილები მისწერა ეპისკოპოსებს და მათ შორის რომის პაპს, ლეონ დიდსაც. იგი ფლაბიანეს ნესტორის ერესის მხარდაჭერაში ადანაშაულებდა, მაგრამ პაპმა საქმის ნამდვილი ვითარება თვითონ ფლაბიანესგან გაიგო და თავის წერილში გადმოსცა ეკლესიის სწავლება ქრისტეში ორი ბუნების შეერთების შესახებ: ღმრთეებრივისა და კაცობრივისა. როგორც ვხედავთ, ეს სწავლება ევტიქის შეხედულებათა საპირისპირო იყო, მაგრამ მას ძლიერი მფარველების იმედით ფარ-ხმალი არ დაუყრია. ესენი იყვნენ დედოფალი ევდოქსია და იმპერატორი თეოდოსის საყვარელი კარისკაცი ქრისანთე. ქრისანთეს ფლაბიანე სძულდა, რადგან მან ხელთდასხმისას ფული არ მისცა, ხოლო როცა სთხოვდნენ, პასუხობდა, რომ ეკლესიის ფული მის საჭიროებასა და ღატაკებს უნდა მოხმარებოდა. ევტიქიმ ერთგული მოკავშირე იპოვა, აგრეთვე, დიოსკორეს სახით, რომელსაც უხაროდა, რომ საშუალება მიეცა კონსტანტინეპოლის პატრიარქის წინააღმდეგ გამოსულიყო. ამ უღირსმა მოკავშირეებმა ფლაბიანეს ერესში დასდეს ბრალი და მეფე დაარწმუნეს, რომ კრება მოეწვიათ ეფესოში (449 წ.). კრებას დიოსკორე თავმჯდომარეობდა. ფლაბიანეს ბედი გადაწყვეტილი იყო. დიოსკორეს, გარდა იმისა, რომ კრებაზე ათასამდე ერთგული ბერი მოიყვანა, შეიარაღებული მეომრების რაზმიც ემორჩილებოდა. ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად კი ცბიერმა ერეტიკოსმა ხმა გაავრცელა, რომ ფლაბიანე და მისი მომხრეები ერთ უფალს – იესო ქრისტეს ორად ყოფდნენ. როცა დიოსკორემ ევტიქის სწავლება სწორად აღიარა, ზოგიერთმა ეპისკოპოსმა კრებაზე პაპის წერილის წაკითხვა მოითხოვა, მაგრამ თავმჯდომარემ უარი თქვა და ფლაბიანე გადაყენებულად გამოაცხადა, ხოლო თეოდორიტე კვირელი და დომნე ანტიოქიელი – ერეტიკოსებად. დიოსკორეს ყოველ სიტყვას მისი მომხრეები მხარს ხმამაღალი შეძახილებით უჭერდნენ და, როგორც კრების დადგენილებანი, აქტებში შეჰქონდათ, ხოლო იმათ გამოსვლებს, რომელთაც საპირისპიროს თქმა სურდათ, ყვირილითა და ხმაურით ახშობდნენ. დააპირა თუ არა

ფლაბიანემ ამ უკანონო ქმედებათა წინააღმდეგ ხმა ამოეღო, დიოსკორემ მეომრები გამოიძახა. ისინი ბერებთან ერთად თავს დაესხნენ წმინდა პატრიარქს შეძახილებით, რომ ერეტიკოსები, რომელნიც ქრისტეს ორად გაყოფას ბედავდნენ, ცეცხლში უნდა დამწვარიყვნენ და ორად განკვეთილიყვნენ. თავდამსხმელებმა ფლაბიანეს იმდენი მძიმე ჭრილობა მიაყენეს, რომ იგი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. დიოსკორემ ეკლესიიდან პაპის განკვეთაც გამოაცხადა და ეს უკანონო კრება, რომელსაც ავაზაკთა კრება სამართლიანად ეწოდა, ხმაურითა და შფოთით დამთავრდა.

იმპერატორი, რომელსაც კრების მსვლელობის შესახებ არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს, მოტყუვდა და მისი უკანონო დადგენილებანი დაამტკიცა. მაგრამ ერეტიკოსებმა სიმართლის მიჩქმალვა მაინც ვერ შეძლეს, ეპისკოპოსები კრების მესვეურთა მხრიდან ძალადობასა და შევიწროვებას ხმამაღლა უჩიოდნენ, რის გამოც პაპმა ლეონმა აღმოსავლეთის რამდენიმე ეპისკოპოსთან ერთად თეოდოსი დაარწმუნა, რომ მსოფლიო კრება მოეწვია. 450 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა თეოდოსი II და ტახტზე ავიდა მისი უფროსი და პულქერია, რომელმაც სამეფო ხელისუფლება თავის მეუღლეს, მარკიანეს გაუყო. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ანატოლიმ კორონაცია – გვირგვინის კურთხევა საეკლესიო წესით შეასრულა, რაც შემდეგ ევროპულ ქვეყნებში ტრადიციად იქცა. გაცხოველებული მიწერ-მოწერა მომავალი კრების თაობაზე ახლა რომის პაპს ლეონსა და პულქერიასა და მარკიანეს შორის გაიმართა. 451 წლის 17 მაისის ბრძანებით, მარკიანემ კრების გახსნა ნიკეაში პირველ სექტემბერს გამოაცხადა, მაგრამ შემდეგ იგი საზოგადოების მოთხოვნით ქალკედონში გადაიტანა.

კრების სხდომები, რომელთაც 630 ეპისკოპოსთან ერთად იმპერატორიცა და დედოფალიც ესწრებოდნენ, წმ. მოწამე ეფთვიმიას სახელობის ტაძარში ტარდებოდა, კონსტანტინეპოლის პატრიარქის ანატოლის თავმჯდომარეობით. მამებმა გაკიცხეს ევტიქის ერეტიკული მოძღვრება და იგი დიოსკორესთან ერთად განკვეთეს. კრებაზე კიდევ ერთხელ იქნა მხილებული და დაგმობილი ნესტორის ერესიც. სხდომებზე დიდი დრო დაეთმო ეკლესიის ცნობილი მოძღვრების – ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველის, იოვანე ოქროპირის, ამბროსი

მედიოლანელის, კირილე ალექსანდრიელისა და სხვათა თხზულებებიდან იმ ადგილების წაკითხვას, რომლებშიც იესო ქრისტეში ღმრთეებრივ და კაცობრივ ბუნებათა შეერთების საკითხი იყო განხილული. ეკლესიის მნათობთა ნააზრევის საფუძველზე კრებაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა დოგმატური სწავლება სამების მეორე ჰიპოსტასზე – სიტყვა ღმერთსა და მის განკაცებაზე. მისი მიხედვით, იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცია, ერთარსი მამისა ღმრთეებით და ერთარსი ჩვენი კაცებით (ადამიანურობით), ჩვენივე მსგავსი, გარდა ცოდვისა. ღმრთეებით მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ხოლო კაცობრივად ჩვენთვის და ჩვენივე ხსნისთვის შობილი ქალწულისაგან მარიამისა. განხორციელების შემდეგ ერთი პირია, მაგრამ ორი ბუნების მქონე, რომელიც მასში შეურწყმელად, უცვლელად, განუყოფლად და განუყრელადაა შეერთებული.[24]

როგორც კი სარწმუნოებრივი განსაზღვრება ხმამაღლა იქნა წაკითხული, იგი კრებამ ერთსულოვნად მიიღო. ქალკედონის კრებამ დაამტკიცა, აგრეთვე, წინა სამი მსოფლიო კრების განსაზღვრებანი. სულ მის მიერ გადმოცემული იყო 30 კანონი, მათგან განსაკუთრებით საინტერესოა 28-ე კანონი, რომლის მიხედვითაც კონსტანტინეპოლის კათედრა რომის შემდეგ რიგით მეორედ, მაგრამ ღირსებით მის თანაბრად ცხადდებოდა. ამ კანონში ნათქვამი იყო, რომ „ქალაქი, რომელიც ღირსი გახდა პატივისა ჰქონდეს მეფობა და სენატი და სარგებლობს იმავე უპირატესობით, რითაც რომი – უძველესი დედაქალაქი, საეკლესიო მიმართებითაც იმ სიმაღლეზე უნდა ამაღლდეს, როგორზეც რომია და იყოს მეორე მის შემდეგ. ამიტომ ვადგენთ, რომ: ზემოთ დასახელებული კონსტანტინეპოლის უწმინდესი ეკლესიის უწმინდეს ტახტს ჰქონდეს უფლება პონტოს, აზიის, და თრაკიის მიტროპოლიტებისთვის ხელთდასხმისა, ხოლო ამ ეპარქიების იმ ოლქებში, რომლებიც ბარბაროსებს უპყრიათ, – ეპისკოპოსებისთვისაც. დასახელებული დიოცეზების მიტროპოლიტები, ღმრთეებრივი კანონის თანახმად, ეპარქიის ეპისკოპოსებს, ამ ეპარქიის ეპისკოპოსთა თანამონაწილეობით, თვითონ აკურთხებენ, ხოლო რაც ზემოთ დასახელებული დიოცეზების მიტროპოლიტებს შეეხება, ისინი ქიროტონიას

[24] **А.П. Лебедев, Вселенские Соборы VI, VII, и VIII веков, СПБ, 1904,** გვ. 199.

კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსისაგან მიიღებენ, მას შემდეგ, რაც კანონიერად იქნებიან არჩეულნი და ამის თაობაზე უწყებაც იქნება წარდგენილი".[25]

ამ კანონმა ბიზანტიის ისტორიაში ეპოქა შექმნა. მთავარი კონსტანტინეპოლის ძველ რომთან უფლებრივი გათანასწორება კი არ იყო, არამედ პატივის ამაღლება და რომის შემდეგ მეორე ადგილის დამკვიდრება. ამ კანონის საბოლოო რედაქციის შემდგენელი თითქოს წინასწარ ხედავდა, რომ ჩქარა დადგებოდა დრო, როცა ძველი რომი ადრინდელი პოლიტიკური უპირატესობებით ვეღარ ისარგებლებდა და მაშინ უკვე ახალ რომს – კონსტანტინეპოლს ექნებოდა ყველა საფუძველი მისი მემკვიდრე ყოფილიყო ქრისტიანულ სამყაროში. ცნობილია, რომ მეცხრე საუკუნეში რომთან კამათის დროს კონსტანტინეპოლმა სწორედ ეს კანონი გამოიყენა.

462 წლის 7 თებერვლის ედიქტით იმპერატორმა კრების დადგენილებანი დაამტკიცა. ედიქტში აღნიშნული იყო, რომ: „აღსრულდა საყოველთაო მოლოდინი, ბრძოლა მართლმორწმუნეობის გამო შეწყდა და მისი ერთობა ხელახლა აღდგა. ახლა უკვე აღარ ექნება ადგილი მტრობას, რადგან მხოლოდ ულმრთოს შეუძლია იფიქროს, რომ ამდენი ეპისკოპოსის მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ, მისი ჭკუისთვის გადასაწყვეტი რაღაც მაინც დარჩა".

მიუხედავად ამისა, შფოთი და მღელვარება ეკლესიაში მაინც არ ჩაწყნარებულა. ეგვიპტემ, სირიამ, პალესტინამ და სომხეთმა ქალკედონის კრების დადგენილება არ მიიღეს და ეკლესიის მთლიანობას ჩამოშორდნენ. ეგვიპტისა და სირიის ეკლესიები, რომლებსაც I-IV საუკუნეებში მსოფლიო ეკლესიაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდათ, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში მეორე პლანზე გადავიდნენ.

ევტიქის მონოფიზიტური ერესის მიმდევარნი (ქრისტეს ერთი ბუნების აღმსარებელნი) ავრცელებდნენ ხმებს, რომ თითქოს ქალკედონის კრებამ ნესტორის ცრუ სწავლება აღიარა. დიოსკორეს მრავალრიცხოვანმა მომხრეებმა ალექსანდრიის ახალი პატრიარქი პროტერიოსი დრტვინვით მიიღეს და რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევაც მოკლეს. ეგვიპტური წარმოშობის ბერმა თეოდოსიმ,

[25] **Ф. И. Успенский, История Византийской империи, СПБ (б.г.), გვ. 274-275.**

რომელიც კრებას ესწრებოდა, პალესტინაში სახალხო ამბოხება მოაწყო. მან ადვილად შეძლო გაუნათლებელი ბერების დარწმუნება, რომ თითქოს ქალკედონის კრებამ მამების მიერ რწმენის დამტკიცებული სიმბოლოსაგან განსხვავებული სარწმუნოებრივი განსაზღვრებანი მიიღო. ბერები, რომელთა რიცხვმაც ათი ათასს მიაღწია, თეოდოსის წინამძღოლობით დამნაშავეთა ბრბოდ იქცნენ, თავთავიანთი მონასტრები და უდაბნოს კელიები მიატოვეს და იერუსალიმში შეიჭრნენ. ისინი არც ხანძრის გაჩენასა და არც მკვლელობებს არ ერიდებოდნენ, ბოლოს საპყრობილეები შეამტვრიეს და ქალაქში ჩაიკეტნენ. იერუსალიმის მართლმადიდებელი მთავარეპისკოპოსი იუბენალი ჩამოაგდეს და გააძევეს, ხოლო მის მაგივრად თეოდოსი აირჩიეს. როცა ამ გაუგონარი ამბების შესახებ იმპერატორმა მარკიანემ შეიტყო, მეამბოხეთა წინააღმდეგ ჯარი გააგზავნა. თეოდოსი და მისი მომხრეები იერუსალიმიდან გაიქცნენ და სინას მთას მიაშურეს, სადაც, სამწუხაროდ, ახალი მომხრეები გაიჩინეს. იმპერატორმა იერუსალიმის კათედრაზე იუბენალი დააბრუნა, მაგრამ შფოთსა და მღელვარებას ბოლო მაინც არ უჩანდა. იმპერიის ხელისუფლებამ ამბოხება პოლიტიკურად კი ჩააწყნარა, მაგრამ რელიგიურად ვერა. შეიძლება ითქვას, რომ ქალკედონის კრების შედეგები შინაურმა თუ გარეშე მტრებმა ბიზანტიის იმპერიის დასასუსტებლად გამოიყენეს, რადგან მონოფიზიტობის სირიელებისა და ეგვიპტელების ეროვნულ გრძნობებთან გაიგივება შეძლეს, რის შედეგადაც პროვინციების დაპირისპირება ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რომელიც დიოფიზიტობას იცავდა, გამძაფრდა და შეურიგებელი ხასიათი მიიღო.

ქალკედონის კრების დადგენილებებს აქტიური წინააღმდეგობა გაუწია ეგვიპტემაც და ეს გასაგებიცაა, – ავაზაკების კრების მოთავე დიოსკორე იქიდან იყო. არეულობა იქ ალექსანდრიელმა ხუცესმა ტიმოთე ელურმა წამოიწყო, რომელსაც „ცოფიანი“ უმიზეზოდ როდი ეწოდა. მას შემდეგ, რაც ალექსანდრიის მართლმადიდებელი მთავარეპისკოპოსი პროტერიოსი აღდგომის დღეს სანათლავში მოკლეს და მისი აკაფული გვამის ნაწილები მთელ ქალაქში ათრიეს, ხოლო ქალაქის დამცველი გარნიზონი ვერაგულად გაანადგურეს, ბარბაროსმა მწვალებლებმა ტიმოთე არქ-

იეპისკოპოსად გამოაცხადეს. მან სინოდის პირველივე სხდომაზე არა მხოლოდ ქალკედონის კრების მომხრე ეპისკოპოსები, არამედ მეფეცა და პატრიარქიც განკვეთილად გამოაცხადა, საეკლესიო დიპტიქებიდან მთავარეპისკოპოსი პროტერიოსის სახელი ამოშალა და მის ნაცვლად დიოსკორე შეიტანა.

457 წელს, იმპერატორი მარკიანეს გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტზე სამხედრო პირი, წარმოშობით თრაკიელი ლეონი ავიდა, რომელიც ისტორიაში ლეონ I დიდის სახელითაა ცნობილი. ამ დროისათვის, ერესის მძვინვარების გამო, ქვეყანაში მეტისმეტად მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა. მონოფიზიტურმა ერესმა სწრაფად მოიკიდა ფეხი სირიაშიც. იქ მღვდელმა პეტრე ფულონმა (მკაწვრელმა) ანტიოქიის მართლმადიდებელი ეპისკოპოსის მარტირიოსის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი პარტია ჩამოაყალიბა, ტახტიდან ჩამოაგდო და მისი კათედრა თვითონ დაიკავა. მწვალებელი ეპისკოპოსის მიერ მოწვეულმა კრებამ ქალკედონიტი დიოფიზიტები ანათემას გადასცა.

იმპერატორ ლეონს დიდი გონიერების გამოჩენა მოუხდა იმპერიის პროვინციაში ერეტიკოსთა ამბოხების ჩასაწყნარებლად. ტიმოთე ელურზე გამოგზავნილი საჩივრები მან ყველა ეპისკოპოსს დაუგზავნა და ალექსანდრიაში შექმნილ ვითარებაზე აზრი ჰკითხა. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობამ ტიმოთე ელურის ქრისტიანისათვის სრულიად შეუფერებელი საქმეები დაგმო, გადაწყვეტილება უცბად მაინც არ მიუღია. იმპერატორმა ტიმოთე კონსტანტინეპოლში გამოიძახა და მხოლოდ რომის პაპის ლეონის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ იგი ხერსონესზე გადაასახლა. თუმცა, ძნელად, მაგრამ შფოთის ჩაცხრომა შემდეგში ანტიოქიაშიც მოხერხდა, ერეტიკოსი ეპისკოპოსი პეტრე განდევნილ იქნა და ქალკედონის კრების მომხრეებმა თავიანთი ადგილები დაიბრუნეს.

474 წელს ლეონ I, რომელსაც ეკლესიასთან მიმართებაში სწორად გატარებული პოლიტიკის გამო დიდი ეწოდა, გარდაიცვალა. რადგანაც მემკვიდრედ გამოცხადებული მისი მცირეწლოვანი შვილიშვილი ლეონი მოულოდნელად მოკვდა, ტახტზე ლეონ I სიძე, მისი ქალიშვილის, არიადნეს, მეუღლე ზენონი ავიდა, რომელიც წარმოშობით ისავრიელი იყო.

ქალკედონის კრებიდან ოცდაათი წელი იყო გასული, მაგრამ სარწმუნოებრივ საკითხებთან დაკავშირებულ მტრობასა და შუღლს ბოლო არ უჩანდა. ამიტომ საეკლესიო პარტიების შესარიგებლად 482 წელს ზენონმა, კონსტანტინეპოლის პატრიარქის აკაკის შთაგონებით, ე.წ. გაერთიანების აქტი – ჰენოტიკონი გამოსცა, რომელშიც, მართალია, ოთხი მსოფლიო კრების დადგენილებებს ამტკიცებდა, მაგრამ სამაგიეროდ, საკითხს ქრისტეს ორი ბუნების შესახებ გვერდს დუმილით უვლიდა.[26] ზენონის მიერ შედგენილი აქტი, ერთი მხრივ, ამტკიცებდა ქრისტეს ჭეშმარიტ კაცობრიობას და ჭეშმარიტ ღმრთეებრიობას, როგორც ეს პირველ სამ მსოფლიო კრებაზე იყო დადგენილი, გმობდა ნესტორისა და ევტიქის ერესებს, მაგრამ, მეორე მხრივ, გაურბოდა გამოთქმებს – ერთი და ორი ბუნება. ჰენოტიკონი სასულიერო წრეებს – ეპისკოპოსებსა და ბერებს დაურიგეს, რათა დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების დაახლოება მომხდარიყო, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია. ამ აქტის წარუმატებლობის მიზეზი მისი ორმხრივობა და გაურკვევლობა იყო. მონოფიზიტები უკმაყოფილონი დარჩნენ იმიტომ, რომ მასში საწინააღმდეგო თვალსაზრისი ქალკედონის კრებისა ცხადად არ იყო გამოთქმული, ხოლო დიოფიზიტები იმიტომ, რომ ქალკედონის კრების მიერ მიღებული განსაზღვრება ქრისტეს ორი ბუნების შესახებ უგულებელყოფილი იყო. ამასთან, ზენონს არ ჰქონდა უფლება საეკლესიო კრების გარეშე ამგვარი დადგენილების მიღებისა. ფაქტობრივად მან თავის თავზე საეკლესიო კრების ფუნქცია აიღო.

აქვე შევნიშნავთ, რომ იმპერატორის მიერ მშვიდობის დასამყარებლად არჩეული გზა მსოფლმხედველობრივადაც მცდარი იყო, რადგან ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან ერესის შერიგება ისევე შეუძლებელია, როგორც ცეცხლისა და წყლის ერთმანეთთან შენივთება. კამათი გრძელდებოდა. მონოფიზიტები სექტებად დაიყვნენ და როგორც მართლმადიდებლებთან, ასევე ერთმანეთთან განუწყვეტლივ შუღლსა და მტრობაში იყვნენ. სამწუხაროდ, ერესით ანტიოქიის ზოგიერთი პატრიარქიც დაავადდა. მაგალითად, პეტრე ფულონი ამტკიცებდა, რომ ჯვარს სამების არა ერთი პირი

[26] **Ф. И. Успенский, История Византийской империи СПБ (б.г.), გვ. 334.**

ეცვა და ევნო, არამედ მთელი სამება. ამიტომ სამწმიდას გალობას – წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, მიუმატა სიტყვები – ჩვენთვის ჯვარცმულო. მისმა მიმდევრებმა განსაკუთრებული სექტა შექმნეს. პეტრეს სწავლება არმენიის ეკლესიამაც გაიზიარა, რომელმაც თავის დროზე ქალკედონის კრების სარწმუნოებრივი განსაზღვრება არ სცნო. სამწუხაროდ, ქალკედონის კრებას არც ზენონის მომდევნო იმპერატორი ანასტასი სცნობდა და თავისი მრწამსის გავრცელებას მართლმადიდებლების შევიწროვებითა და დევნით ცდილობდა. უთანხმოება ჩამოვარდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორისაც. ჰენოტიკონის შედგენაში მონაწილეობის მიღებისათვის რომის პაპმა კონსტანტინეპოლის პატრიარქი აკაკი გაკიცხა და მისი ხსენება დიპტიქიდან ამოიღო. ეს უთანხმოება 35 წლის განმავლობაში გაგრძელდა და მისი მოგვარება მხოლოდ იმპერატორ იუსტინე I (518-527) დროს გახდა შესაძლებელი. ამ ფაქტში თვითონ იმპერატორს მიუძღვოდა დიდი წვლილი. ქალკედონიტი იუსტინე ეკლესიაში ერთიანობის აღსადგენად არც მკაცრი ზომების მიღებაზე ამბობდა უარს. მან 50 სირიელი მონოფიზიტი ეპისკოპოსი გადააყენა და განდევნა.



იმპერატორი იუსტინიანე დიდი და მეხუთე მსოფლიო კრება

მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვით განსაკუთრებით თავი იუსტინეს მემკვიდრემ იმპერიის სამეფო ტახტზე იუსტინიანე I გამოიჩინა. მისი, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალის, იდეალი ერთიანი იმპერია და ერთი სარწმუნოება იყო. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ რომის იმპერია უკვე ფაქტობრივად აღარ არსებობდა და აღმოსავლეთ რომის იმპერიასაც ყოფნა-არყოფნის საკითხი ხშირად ედგა, იმდროინდელი მოაზროვნეებისათვის მსოფლიო რომის იმპერიის გარეშე წარმოუდგენელი იყო. თვითონ ნეტარი ავგუსტინეც კი რომის სახელმწიფოს იდეას იცავდა, რადგან, მისი აზრით, წესრიგისა და კულტურის იდეას სწორედ იმპერია განახორციელებდა და მის საზღვრებს გარეთ არაფერი იყო ისეთი, რაც შეიძლებოდა ყურადღების ღირსი გამხდარიყო. მართალია, უკანასკნელი იმპერატორი რომისა 476 წელს ჩამოაგდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ფაქტმა შესაფერისი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, რადგან იმპერიას, როგორც დაცემულს, ისე მაინც არ უყურებდნენ, მით უმეტეს, რომ არსებობდა აღმოსავლეთ რომის იმპერია ანუ ბიზანტია, რომელსაც, როგორც კანონიერ მემკვიდრეს, იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენის მცდელობაზე ხელი არასოდეს აუღია. როცა ბარბაროსების ბელადმა რომი აიღო, იმპერატორის ღირსების გამომხატველი რეგალიები, რომლის ტარებისგანაც თვითონ თავი შეიკავა, რომიდან აღმოსავლეთის იმპერატორს ზენონს გაუგზავნა. ასე რომ, თვით ბარბაროსების ბელადმაც კი ვერ გაბედა შეხებოდა ამ იდეას.

ამ იდეის ხორცშესხმისათვის იუსტინიანე პირველის მოღვაწეობაში სამ ძირითად მომენტს გამოყოფენ: 1) ომებს გარეშე მტრებთან, 2) განსაკუთრებულ საეკლესიო პოლიტიკას და 3) კანონმდებლობას. მისი ისტორიული მოღვაწეობის ეს სამი არსებითი ამოცანა ერთი მიზნისკენ – რომის იმპერიის თავდაპირველი ძლიერებისა და დიდების აღდგენისაკენ იყო მიმართული. იუსტინიანე, რომელსაც თანამედროვენი იშვიათ და მართლაც გამორჩეულ ხელმწიფედ წარმოგვიდგენენ, ყოველდღიურ ცხოვრებაში სადა, თავშეკავებული და ზომიერი იყო; ცოტა ეძინა და ბევრს მუშაობდა, თვითონ ეცნობოდა ყველა საქმესა და დოკუმენტს, თვალყურს ადევნებდა დაწესებულებათა საქმიანობას და იძლეოდა განკარგულებებს. მას ჰქონდა, აგრეთვე, არაჩვეულებრივი უნარი სწორად შეეფასებინა სამეფო კართან დაახლოებულ პირთა შესაძლებლობანი და თითოეულისათვის ის საქმე მიენდო, რომლის გაძღოლასაც უკეთ ვერავინ შეძლებდა.

დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე იუსტინიანეს წარმატებას დიდად შეუწყო ხელი გონიერმა და კეთილმორწმუნე მეუღლემ – დედოფალმა თეოდორამ. მრავალი ღირსებით შემკულ თეოდორას განსაკუთრებით გამოარჩევდა მისი სამაგალითო დამოკიდებულება ეკლესიასა და სასულიერო პირებთან. სამწუხაროდ, თავის „საიდუმლო ისტორიაში“ პროკოპი კესარიელმა არც დედოფალი დაინდო და ისევე როგორც იუსტინიანეს, მასაც ბევრ რამეში უსამართლოდ დასწამა ცილი. პროკოპის ცნობით, თეოდორამ, რომელიც ცირკის მსახიობთა შვილი იყო, ბავშვობა და სიყმაწვილე ფარდის მიღმა გარყვნილ სამყაროში გაატარა, 25 წლის ასაკში კი იგი თვალში მოხვდა იუსტინიანეს, რომელმაც თითქოს იმის გამო, რომ თეოდორაზე დაქორწინებულიყო, კანონიც კი გამოსცა, რომლის მიხედვითაც სენატორთა წოდების წარმომადგენლებს მსახიობებზე დაქორწინების უფლება ეძლეოდათ.[1] აქვე შევნიშნავთ, რომ პროკოპი კესარიელის ნდობა ამ შემთხვევაში გამორიცხულია, რადგან მასში ისტორიკოსის კეთილსინდისიერებაზე პირადულმა დამოკიდებულებამ გაიმარჯვა: წარმართ პროკოპის

[1] პროკოპი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, თარგმნა ნინო ეფრემიძემ, თბ., 1989, გვ. 52.

მართლმადიდებელი მეფე-დედოფალი ჭირის დღესავით სძულდა. შეუძლებელია ობიექტურობა ირწმუნო იმ კაცისა, რომელიც, როგორც სამეფო კარის ოფიციალური ისტორიკოსი იუსტინიანესა და თეოდორას ხოტბას ასხამდა, ხოლო პარალელურად ორივე მათგანზე ღვარძლიან პასკვილს თხზავდა. სინამდვილეში დედოფალი თეოდორა ისეთ წრეში იყო აღზრდილი, რომელმაც მას მომავალში მაღალი მდგომარეობის ღირსეულად დაკავებისათვის შესაფერისი განათლება მისცა. მისი მოღვაწეობის ობიექტურად შეფასების შედეგად იგი წარმოგვიდგება როგორც დიდი ტაქტით შემკული ჭკვიანი ქალი, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი შეხედულებანი არა მხოლოდ სახელმწიფო საქმეებზე ჰქონდა, არამედ ეკლესიასთანაც დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. იმპერიის ღირსეულ დედოფალს არც მხნეობა და სიმამაცე აკლდა. როცა 532 წელს დედაქალაქში იუსტინიანეს მმართველობის წინააღმდეგ „ნიკას“ სახელით ცნობილი აჯანყება დაიწყო და საფრთხე თვით მეფე-დედოფალს დაემუქრა, თეოდორამ გაქცევაზე უარი თქვა და ლტოლვილობაში სიცოცხლეს ღირსეული სიკვდილი ამჯობინა: „თუ თქვენ სიცოცხლის გადარჩენა გსურთ, გაიქეცით, – მიმართა მან მეუღლეს, – მაგრამ ჩემი აზრით, სამეფო შესამოსელი კარგი საფარველია კუბოსათვის“. დედოფლის მზადყოფნამ თავი გაეწირა ღირსების შესანარჩუნებლად, იუსტინიანეს ძალა შეჰმატა იმისათვის, რომ დამარცხებას არ შერიგებოდა და ბრძოლის გაგრძელებაზე ეზრუნა, რომელიც საბოლოოდ მართლაც მოიგო. ნიშანდობლივია ისიც, რომ, როცა აჯანყების წარმატებით გათავხედებულმა ბრბომ იუსტინიანესა და მასთან დაახლოებულ პირებს ენითუთქმელი შეურაცხყოფა მიაყენა, თეოდორას მისამართით სიტყვაც არ დასცდენია; მან დედოფლის შეურაცხყოფა ან ვერ გაბედა, ან ვერ იპოვა ვერცერთი ცუდი სიტყვა მის წინააღმდეგ, მაშინ როცა „საიდუმლო ისტორიაში“ გადმოცემული ამბები რომ მართალი ყოფილიყო, მისი გალანძღვისათვის ფრიად უხვი მასალა ექნებოდა.

რათა იმპერიას ერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება ჰქონოდა, რაც მისი სულიერი ერთიანობის საწინდარიც გახდებოდა, იუსტინიანე დაუფარავად იბრძოდა წარმართობისა და ერეტიკულ მიმდი-

ნარეობათა წინააღმდეგ. თუმცა ჯერ კიდვ ერთი საუკუნის წინათ თეოდოსი II ამბობდა, იმპერიაში წარმართები აღარ არიანო, მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყო. მართალია, საზოგადოებას ოლიმპოს პანთეონის კონკრეტული პერსონაჟების არსებობისა აღარ სჯეროდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი საკმაო ნაწილი მსოფლმხედველობრივად წარმართული ფოლოსოფიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, განსაკუთრებით **ნეოპლატონიზმის** წარმოშობის შემდეგ, რომელიც წარმართული იდეების ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებასთან შეერთების მცდელობას წარმოადგენდა. თვით ეგვიპტეში, სადაც ამდენი მონასტერი იყო, ალექსანდრიაში, ცნობილი ფილოსოფოსებისა და ორატორების სკოლებში, ისევ წარმატებით ისწავლებოდა ნეოპლატონიზმი, ხოლო ზემო ეგვიპტეში, კუნძულ ელეფანტინზე ისევ იდგა ცნობილი ტაძარი იზიდასი. 543 წელს იუსტინიანემ მის დასანგრევად იქ სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა, მაგრამ კოლოსალურმა შენობამ გაუძლო და იმპერატორის დავალება შეუსრელებელი დარჩა.[2]

ესმოდა რა, რომ საზოგადოების მსოფლმხედველობას ყველაზე დიდ საფრთხეს აღორძინებული ელინური ფილოსოფია უქმნიდა, რომელიც არსად ის არ მძლავრობდა, როგოც ათენში, ისტორიკოსის იოვანე მალალას ცნობით, იმპერატორმა ათენში გაგზავნა ბრძანება, რომლითაც ფილოსოფიის სწავლება იკრძალებოდა. ასეთსავე ცნობას გვაწვდის თეოფანე ჟამთააღმწერელიც: „იუსტინიანემ დაიწყო დიდი დევნა ელინებისა და ყოველგვარი ერესისა... გამოიცა ედიქტი, რომლითაც პოლიტიკური უფლებები ერთმეოდათ მათ, რომელნიც ელინურ შეხედულებებს იზიარებდნენ ან ერეტიკოსები იყვნენ. შეწყალებას იღებდნენ მხოლოდ ისინი, რომელნიც განცხადებას იმის თაობაზე, რომ მართლმადიდებლები იყვნენ, სამი თვის განმავლობაში გააკეთებდნენ“.

ჩვენამდე მოაღწია ლეგენდამ, რომლის მიხედვითაც ცნობილ ნეოპლატონიკოს პროკლეს ერთხელ ძილში ქალღმერთი ათენა გამოეცხადა და უთხრა, რომ რადგან აკროპოლისში ადგილი უკვე აღარ ჰქონდა, ამიერიდან საცხოვრებლად მის ბინას ირჩევდა. როგორც ვხედავთ, თქმულება დაუფარავად გვამცნობს, რომ ჭეშ-

[2] **Ф. И. Успенский, История Византийской империи СПБ (б.г.), გვ. 513.**

მარიტი სარწმუნოებისაგან განდევნილი წარმართული რელიგია (ათენა) აღორძინებულმა წარმართულმა ფილოსოფიამ შეიფარა (პროკლე), რათა ახალ პირობებში არსებობის შესანარჩუნებლად მისი ტრანსფორმაცია მოეხდინა. ფილოსოფიის სწავლების აკრძალვის შესახებ 529 წლს გამოცემულმა იუსტინიანეს ბრძანებამ,[3] რაც ფაქტობრივად ათენის წარმართული აკადემიის დახურვას მოასწავებდა, ათენს ძველი დიდება და მნიშვნელობა დაუკარგა და იმპერიის ერთ პატარა პროვინციულ ქალაქად აქცია.

ასევე ენერგიულად ებრძოდა იუსტინიანე დიდი იმ დროისათვის გავრცელებულ ერესებს: არიოზობასა და მონოფიზიტობას. ცნობილია მისი გამონათქვამი: „არაფერია უფრო სათნო ღმრთისათვის, ვიდრე შეერთება ქრისტიანებისა ერთ სამწყსოდ“. არიოზობას იმპერიაში ძირითადად ვანდალებისა და გოთების გერმანული ტომები მისდევდნენ, რომელნიც ამავე დროს მისი პოლიტიკური მტრებიც იყვნენ. ამიტომ იმპერატორი მათ იარაღით გაუსწორდა. რაც შეეხება მონოფიზიტურ ერესს, რომელმაც ფეხი ძირითადად სირიასა, პალესტინასა და ეგვიპტეში მოიკიდა, ხელისუფლება უწინარესად მისი მიმდევრების წინააღმდეგ მატერიალურ ზემოქმედებას – ქონებრივი უფლებების შეზღუდვასა და კონფისკაციას, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევასა და გაძევებას მიმართავდა. მარტო სირიიდან დაახლოებით 80-ათასამდე მწვალებელი იქნა განდევნილი. მაშინ როცა განდევნილები თავშესაფარს ძირითადად სპარსეთსა და ეგვიპტეში ეძებდნენ, ხუთასი მონოფიზიტი ბერი დედაქალაქში, კონსტანტინეპოლში მივიდა, სადაც ისინი დედოფალმა თეოდორამ შეიფარა და ორმუზდის სასახლე მონასტრად გადაუკეთა.

იუსტინიანე I მეფობის წლები იმპერიაში ტაძრების გაცხოველებული მშენებლობითაც აღინიშნა, რომელთაგან უწინარესად დედაქალაქში წმ. სოფიის ტაძარი უნდა დავასახელოთ, რომელიც 532 წელს აჯანყებისას გადაწვეს. ძველის ადგილას, იმპერატორის ბრძანებით, ბევრად უფრო გრანდიოზული ტაძარი, ასეთი მშენებლობისათვის უმოკლეს დროში, ხუთ წელში აიგო. ოცი წლის შემდეგ ძლიერმა მიწისძვრამ იგი დიდად დააზიანა. იუსტინიანეს ძალისხმევით აია სო-

[3] იქვე, გვ. 514.

ფია კვლავ აღდგა, კიდევ უფრო შემკული და მშვენიერი. აღდგენილი ტაძარი 562 წლის 24 დეკემბერს ხელახლა ეკურთხა. სამეფო კარის პოეტმა პავლე სილენციარიოსმა განახლებული ტაძარი დაწვრილებით აგვიწერა ვრცელ ლექსში „ეკფრასისი წმინდა სოფიის ტაძრისა“.[4] იმპერიის პროვინციებიდან ჩამოტანილი სხვადასხვა ფერის მარმარილოს ფილებით დაგებულ იატაკს პოეტმა მოხდენილად უწოდა „ჭრელი მინდორი“; მდიდრული ინტერიერი, გაჩირაღდნებული სასანთლეების შუქზე, რომელთაგან ზოგს ხომალდის ფორმა ჰქონდა, ზოგსაც ხშირტოტებიანი ხეებისა, კიდევ უფრო დიდებულ იერს იძენდა და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. გვიხატავს რა ღამით განათებულ ტაძარს, პავლე სილენციარიოსი წერს: „ეს ბრწყინვალება ყოველგვარ სიბნელეს დევნის სულიდან, მას არა მხოლოდ როგორც შუქურას უყურებს მეზღვაური, რომელიც შავსა თუ ეგეოსის ზღვაში მიცურავს, არამედ როგორც სასოებას ღმრთისაგან შემწეობისა“.

იუსტინიანე დიდის სახელს მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევაც უკავშირდება. იქიდან გამომდინარე, რომ ქალკედონის კრებამ თეოდორე მოფსუესტელი, თეოდორიტე კვირელი და იბა ედესელი, რომელთა შეხედულებანი ძალიან ახლოს იდგა ნესტორის მწვალებლურ სწავლებასთან, არ დაგმო და არ შეაჩვენა, მონოფიზიტები ქალკედონიტებს ნესტორის ერესის მხარდაჭერაში სდებდნენ ბრალს.[5] ამ საკითხს თვითონ ნესტორის მიმდევრებიც ასე უყურებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ისინი ქალკედონის კრებაზე გამართლდნენ. დავა ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, ვიდრე ეკლესიაში ერთობის აღდგენით დაინტერესებულმა იუსტინიანე იმპერატორმა მის გადასაწყვეტად მსოფლიო კრების მოწვევა არ განიზრახა.

მეხუთე მსოფლიო კრება 553 წელს კონსტანტინეპოლში იქნა მოწვეული და მას დედაქალაქის პატრიარქი ევტიქი თავმჯდომარეობდა. კრების სხვა ცნობილ მონაწილეთაგან უპირველესად ალექსანდრიისა და ანტიოქიის პატრიარქები – აპოლინარიუსი და

---

[4] პავლე სილენციარიოსი, „ეკფრასისი წმინდა სოფიის ტაძრისა“, თარგმანი ოლღა ბერიძისა. ბიზანტ. ლიტ. ქრესტომათია, I, თბ., 1994.

[5] **А.П. Лебедев, Вселенские Соборы VI, VII, и VIII веков, СПБ, 1904,** გვ. 15.

დომნე უნდა დავასახელოთ. კრებაში მონაწილეობის მისაღებად კონსტანტინეპოლში რომის პაპი ვიგილიუსიც ჩამოვიდა, მაგრამ როცა მისთვის ზემოთ დასახელებული სამი პირის – თეოდორე მოფსუესტელის, თეოდორიტე კვირელისა და იბა ედესელის შესახებ აღმოსავლეთის ეპისკოპოსთა შეხედულება ცხადი გახდა, სხვადასხვა საბაბით კრებისთვის თავის არიდებას შეეცადა. საქმე ის იყო, რომ პაპს ამ დროისათვის სამი პირის განკვეთის შესახებ აზრი უკვე შეცვლილი ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს იგი იძულებული გახდა დაეთმო იუსტინიანესათვის, რომლის გავლენაც დასავლეთშიც ისეთივე ძლიერი იყო, როგორც აღმოსავლეთში და კრების გახსნის დღეც დადგა. მისმა მონაწილე 165 ეპისკოპოსმა განიხილა საკითხი სამი თავისა ანუ სირიის ეკლესიის სამი მასწავლებლისა. მას შემდეგ, რაც კრებამ მათ წერილობით მემკვიდრეობაში გამოთქმული სარწმუნოებრივი შეხედულებანი და მართლმადიდებლურ სწავლებასთან მათი შესაბამისობა დაწვრილებით განიხილა, თეოდორე მოფსუესტელი და მისი თხზულებანი შეაჩვენა, ხოლო თეოდორიტე კვირელი და იბა ედესელი შეიწყალა, თუმცა, პირველის რამდენიმე თხზულება, ხოლო მეორის ერთი წერილი მწვალებლური აზრებისათვის დაგმო.[6]

აღმოსავლეთში, სადაც ზემოთ დასახელებული სამი პირის შესახებ თავიდანვე ჩამოყალიბებული აზრი არსებობდა, მეხუთე მსოფლიო კრების გადაწყვეტილებას წინააღმდეგობა არ შეხვედრია. რაც შეეხება დასავლეთს, რამდენადაც იქ სამი თავის განსჯას თავიდანვე გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ პაპი ვიგილიუსი კრების დადგენილებას დაეთანხმა, მეხუთე მსოფლიო კრებამ პირველი ოთხი კრების თანაბარი ავტორიტეტი მაშინვე ვერ მოიპოვა. მის აღიარებას თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა. ვიგილიუსის მემკვიდრე პაპი პელაგიუსი ერთ თავის ეპისტოლეში შენიშნავს: „ხანგრძლივი მუშაობისა და დიდი ხნის ერთმანეთის შეურაცხყოფამდე მისული პაექრობის შემდეგ, გამოიძიეს რა ჭეშმარიტება, დასავლეთის ეპისკოპოსები სამი თავის განსჯის საკითხში მაინც შეთანხმდნენ“. პელაგიუსი ამის მიზეზად ლათინების მიერ ბერძნული ენის უცოდინარობას ასახელებს, რის

[6] იქვე, გვ. 76-77

გამოც მათ შექმნილ ვითარებაში გარკვევა გაუჭირდათ. ბრძოლა სამი თავის შემორჩენილ დამცველებთან, რომელნიც შორეული ირლანდიის ეპისკოპოსები იყვნენ, რომის პაპს, გრიგოლ დიდსაც მოუხდა (VI ს. ბოლო). გრიგოლის პაპობის შემდეგ კი დასავლეთში მეხუთე მსოფლიო კრებამ წინა კრებების თანაბარი ავტორიტეტი საბოლოოდ განიმტკიცა.

აღმოსავლეთში მონოფიზიტები არ ცხრებოდნენ, ეგვიპტეში, სპარსეთში, სირიასა და არმენიაში ისინი იმპერიის მტრებს ეხმარებოდნენ. შემდეგში, როცა მათ ეპისკოპოსად ვინმე იაკობ ბარადა აირჩიეს, ძალიან მომძლავრდნენ და იაკობიტები ეწოდათ. სხვებს ჯერ თეოდოსელებად იხსენიებდნენ, რადგან მონოფიზიტების ამ ნაწილს ალექსანდრიის პატრიარქი თეოდოსი მფარველობდა, ხოლო შემდეგ კოპტებად. ამ სახელწოდებით ისინი დღესაც არსებობენ.

ქრისტიანობა საქართველოში

როგორც ვნახეთ, მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული ერეტიკული სწავლებანი ძირს უთხრიდნენ ქრისტეს ეკლესიის ერთიანობას და განუწყვეტელი შფოთისა და მღელვარების მიზეზნი ხდებოდნენ. სარწმუნოებრივ ნიადაგზე შეხლა-შემოხლისას მორწმუნეთა დევნა-შევიწროვება, მართლმადიდებელ ღმრთისმსახურთა საეკლესიო თანამდებობებიდან გადაყენება და გაძევება, ხოლო არცთუ იშვიათად მათი ფიზიკური განადგურებაც კი, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქართული ეკლესიის ისტორიაში მსგავს ფაქტებს ვერ ვხვდებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მწვალებლურ მიმდინარეობებს ჩვენს ქვეყანაში არასოდეს იმდენი მიმდევარი არ ჰყოლია, რომ მათ ეკლესიასთან დასაპირისპირებლად ძალა ჰქონოდათ. ჩვენმა განათლებულმა წინაპრებმა ეს ძალიან კარგად იცოდნენ და სამართლიანადაც ამაყობდნენ იმით, რომ ქართველმა ერმა ერთხელ მიღებული სარწმუნოებრივი სწავლება უცვლელად და შეუბღალავად დაიცვა. XI საუკუნის დიდმა სასულიერო მოღვაწემ და მთარგმნელმა წმ. გიორგი მთაწმინდელმა, ანტიოქიის პატრიარქთან გამართული პაექრობის დროს, ქართველი ერისა

და ქართული ეკლესიის ძირითად ღირსებად სწორედ ეს ფაქტი წარმოაჩინა. ჩვენ ქართველებსო, – უთხრა მან პატრიარქს, „ვინაჲთგან ერთი ღმერთი გჳცნობიეს, არღარა უვარ-გჳყოფიეს და არცა წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი და ყოველთა უვარის-მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და დავსწყევთ. ამასა საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მოციქულთასა მტკიცე ვართ“. იგივე განუცხადა მან დარბაზობის დროს ბიზანტიის კეისარსაც: „რაჟამს ერთგზის (ქრისტიანობა) გჳცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯჳულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“ (გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა).[7]

ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ქართველი ერის დამოკიდებულებაზე ამავე აზრისა იყო სახელოვანი მეცნიერი ეფრემ მცირეც. „არს-მცა და ჰგიეს მარადის საფარველსა ზედა მართლმადიდებლობისა მისისა (ქრისტესი) ვიდრე მოაქამომდე უცვალებელად დაცვული ნათესავი ჩუენი“,[8] – წერს იგი.

ქართველთა ერთგულება ერთხელ არჩეული სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა და მისი მოძღვრებისადმი ხაზგასმულადაა წარმოდგენილი რუის-ურბნისის ადგილობრივი საეკლესიო კრების (1103) დადგენილებაშიც: „არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ-ქმნილ ვართ, ვინაჲთგან შემეცნებასა შენსა ღირს-ქმნილ ვართ – მოწამე არს ჭეშმარიტებაჲ, ამინ!“

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მტერი შფოთის დათესვას ქართულ ეკლესიაშიც არ ცდილობდა და, რომ საქართველოში ერეტიკულ ცრუ მოძღვრებებს არცერთი აღმსარებელი და მიმდევარი არ ჰყოლია. სარწმუნოებრივი მოძღვრების სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლაში ქართველობას განსაკუთრებული სიფხიზლის დაცვა ჰმართებდა, რადგან თითქმის

---

[7] „ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 178.

[8] თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია; ეფრემ მცირე, „უწყება ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების. გეორგიკა, ტ.I, თბ., 1961, გვ. 220.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე ცხოვრება სხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე ერების გარემოცვაში უხდებოდა. ამგვარი მეზობლობის გამო ხორბლის ყანიდან ღვარძლის გამოხშირვა, ანუ მწვალებლურ სწავლებათა მხილება და დაგმობა დროდადრო ჩვენს წინაპრებსაც უხდებოდათ.

ქართველებისათვის დამახასიათებელი ბუნებითი სიწრფელით, როგორც გიორგი მცირე წერს, განსაკუთრებით სომხები სარგებლობდნენ და მათი ცდუნებისათვის ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ: „ვითარცა ღვარძლიანი რაჲმე, დათესულ იყუნეს, ქუეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი გულარძნილნი და მანქანანი და ამის მიერ ფრიად გუევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკოჲ, ხოლო იგინი, რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს და რომელნიმე წიგნიცა გუქონდეს მათგან თარგმნილნი“.[9] აქ, რა თქმა უნდა, საქართველოში სომხებისაგან მონოფიზიტური ერესის გავრცელების მცდელობა უნდა იგულისხმებოდეს, რადგან, როგორც ცნობილია, ჩვენგან განსხვავებით, სომხები იმათ რიცხვში იყვნენ, რომელნიც ქალკედონის კრებას დაუპირისპირდნენ და მონოფიზიტობის მიმდევარნი გახდნენ.

ცალკეული შემთხვევები იმისა, რომ ქრისტიანული რელიგიის შენიღბული მტერი ჩვენს ეკლესიაში ზოგჯერ მაღალი საეკლესიო თანამდებობის დაკავებასაც კი ახერხებდა, საერთო სურათს ვერ ცვლის. მაგალითად, ისტორიკოსი ჯუანშერი გვამცნობს, რომ არჩილ მეფემ ეპიკოპოსად დასვა ვინმე მობიდანი, ეროვნებით სპარსი, რომელიც თავს მართლმადიდებლად აჩვენებდა, მაგრამ სინამდვილეში უსჯულო მოგვი და „წესთა შემშლელი“ იყო. „და ვერ უგრძნეს არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანის“-ო, – სინანულით წერს მემატიანე და უმატებს, რომ თურმე ეს მობიდანი წიგნებსაც წერდა „ყოვლისა საცთურებისასა“, რომლებიც შემდეგში ეპისკოპოს მიქაელს დაუწვავს.[10] რადგან მობიდანი ეპისკოპოსად არჩილ მეფეს დაუსვამს, რომლის მეფობაც

[9] „ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ“. გვ. 123.

[10] ქართლის ცხოვრება. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955, გვ. 142.

დაახლოებით 429-437 წლებს განეკუთვნება, სწორად ფიქრობს ივ. ჯავახიშვილი, რომ იგი არა ნესტორის ერესის მიმდევარი, არამედ მანიქეველი უნდა ყოფილიყო. გარდა იმისა, რომ ნესტორის ერესი, რომელიც 431 წელს მესამე მსოფლიო კრებაზე იქნა დაგმობილი, საქართველოში ასე სწრაფად ვერ შემოაღწევდა, მობიდანის მანიქეველობას მხარს უჭერს მემატიანის მიერ მისი მოგვად მოხსენიებაც. საქმე ისაა, რომ მაზდეანობის მოძღვრება, რომლის მსახურნიც მოგვები იყვნენ, მხოლოდ მანიქეიზმს ჰქონდა შეთვისებული, თუმცა გარეგნულად ქრისტიანობით შენიღბული. სამწუხაროდ, არჩილი და მისი ძე სწორედ ამგვარი გარეგნულობის გამო მოტყუვდნენ.

რაც შეეხება ნესტორიანობას, ქართული წყაროებით საქართველოში მისი არსებობა დადასტურებული არ არის. უცხოური წყაროებიდან ყურადღებას იქცევს რომის პაპის, გრიგოლ დიდის საპასუხო წერილი კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი (601 წ.). როგორც ამ წერილიდან ჩანს, თურმე კირიონს მისთვის უკითხავს, სავალდებულო იყო თუ არა ეკლესიის იმ მსახურთა მონათვლა, რომელნიც ნესტორის მწვალებლობით იყვნენ შეცდენილნი და კათოლიკე ეკლესიაში დაბრუნებას მოინდომებდნენ, თუ მათგან ჭეშმარიტი სარწმუნოების აღსარებაც საკმარისი იქნებოდა. არც რომის პაპის წერილი და არც ორიოდე სომხური წყაროს ცნობა ნესტორის მიმდევრების საქართველოში არსებობის შესახებ, არ იძლევა საფუძველს იმისა, ვიფიქროთ, რომ ამ ერესმა ქართული ეკლესიის ერთიანობა ოდესმე საფრთხის წინაშე დააყენა. იგივე უნდა ითქვას მონოფიზიტობის შესახებაც. არავითარი საფუძველი არ გვაქვს არ ვენდოთ გიორგი მცირეს, რომელიც გვამცნობს, რომ ამ ღვარძლის დათესვას ქართველთა შორის „ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი“ ცდილობდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინცდამაინც დიდი შედეგისათვის ვერ მიუღწევიათ, რადგან ქართული ეკლესიის შიგნით ქრისტეში ერთი თუ ორი ბუნების არსებობის შესახებ სერიოზული დავა რომ წარმოშობილიყო, ქართულ წყაროებში ის აუცილებლად აისახებოდა, თუნდაც იმ მიზეზით, რომ არ დაეკარგათ ღვაწლი იმ ადამიანებისა, რომელთაც ერესთან ბრძოლაში ეკლესიას გამარჯვება მოუტანეს.

* * *

მეხუთე საუკუნის ქართველ სასულიერო მოღვაწეთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **პეტრე იბერის** პიროვნება, რომელსაც ბერძნულ-სირიულ-ქართული წყაროები „მეორე პავლეს“, „დიდ პეტრეს“, „მოციქულთა სწორს“, „ქართველი ერის ვარსკვლავს“, „სიქადულს და სამკაულს ქართველთა და ღმრთის წინაშე მთელი სამყაროს მეოხს“ უწოდებენ. პეტრე, ერისკაცობაში მურვანოსი, იბერიის მეფის ვარაზ-ბაქარის ძე იყო. დაახლოებით 420 წელს, როცა ბიზანტიის იმპერია სპარსეთს ებრძოდა, იმპერატორმა თეოდოსი II საწინდრად იმისა, რომ იბერია ამ ომში სპარსეთს მხარს არ დაუჭერდა, ვარაზ-ბაქარს მძევლად ძე მოსთხოვა. როგორც ირკვევა, მურვანოსს, რომელიც ამ დროს 12 წლისა იყო, თან გააყოლეს აღმზრდელი მითრიდატე ლაზი. ნიჭიერებით გამორჩეული იბერიელი უფლისწული საიმპერატორი კარზე მძევლის დამამცირებელ მდგომარეობაში არავის ჩაუყენებია. პირიქით, როგორც ჩანს, მის აღზრდაზე თავად დედოფლებმა, თეოდოსის დამ, პულქერიამ და მეუღლემ, ევდოკიამ იზრუნეს. როგორც ცნობილია, თეოდოსიცა და პულქერიაც მართლმორწმუნე ქრისტიანები იყვნენ, რამაც დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ ყრმას სარწმუნოება განმტკიცებოდა. მურვანოსს ამქვეყნიური პატივი და დიდება არ იტაცებდა, სამეფო სამოსელის ქვეშ ფლასს ატარებდა და ხორციელ სურვილებს მარხვითა და ლოცვით თრგუნავდა. ამიტომაც უფალმა იგი სიჭაბუკეშივე გამოარჩია და სასწაულთა ქმნის მადლი უბოძა. მისი მოწაფე და ცხოვრების აღმწერი ზაქარია ქართველი გვმცნობს,[11] რომ ნათლისღების დღესასწაულზე მურვანოსი არ გაჰყვა მეფე-დედოფალსა და დიდებულებს, რომლებიც საზეიმო წირვის მოსასმენად აია სოფიის ტაძარში წავიდნენ; იგი შინ დარჩა, რათა განმარტოებულს გულმოდგინედ ელოცა სპარსეთში წამებულთა წმინდა ნაწილების წინაშე, რომლებიც მშობლებმა საქართველოდან გამოუგზავნეს. განრისხებულმა მსახურებმა იმის გამო, რომ მურვანოსმა ისინი შინ დატოვა და აიძულა, დღესასწაულს მონაზვნური წესით შეხვედროდნენ, კანდელებისათვის ზეთის მი-

[11] „ცხორებაჲ პეტრე ქართველისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბ., 1967, გვ. 220-221.

ტანაზე უარი უთხრეს. მაშინ მან ღმრთისა და წმინდა მოწამეთაგან მადლი ითხოვა, კანდელნი წყლით აავსო, ისინიც აინთნენ და მთელი შვიდი დღე-ღამის განმავლობაში ანათებდნენ. ამ სასწაულის სახილველად თვით იმპერატორი თეოდოსიც მობრძანდა.

ერთხელ ლოცვისას მურვანოსმა მის წინაშე მდგომარე იესო ქრისტე იხილა, მუხლებზე დაეცა, კვარცხლბეკს ცრემლებით ალტობდა და ევედრებოდა: „უფალო, უფალო, ნუ დამიტევებ მე“. ამის შემდეგ მან მტკიცედ გადაწყვიტა, ღმრთისმსახურის გზას შესდგომოდა. თეოდოსი ევედრებოდა განზრახვაზე ხელი აეღო, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ვერ დაითანხმებდა, მცველები მიუჩინა. მაშინ მურვანოსმა და მისმა აღმზრდელმა მარჯვე დრო იპოვეს და იმპერატორის სასახლე ღამით ფარულად დატოვეს. გაქცეულები იერუსალიმში ჩავიდნენ, სადაც მაცხოვრის საფლავზე მონაზვნებად აღიკვეცნენ. მურვანოსს პეტრე ეწოდა, ხოლო მითრიდატეს – იოვანე. ამ მონასტერში მათ 25 წელი დაჰყვეს, თუმცა ხანდახან სამოღვაწეოდ უდაბნოშიც გადიოდნენ. როგორც ჩანს, წმინდა ადგილებში მათი მოღვაწეობის ერთ-ერთი მიზანი სამშობლოზე ზრუნვაც იყო. ამაზე მეტყველებს პეტრესა და იოვანეს მიერ აშენებული სასტუმრო სახლი ქართველებისა და ბერძნებისათვის და, რაც მთავარია, ლაზთა მონასტრის სახელით ცნობილი ქართული ტაძარი, რომელიც მათ იერუსალიმის მახლობლად, ბეთლემის უდაბნოში ააგეს. პეტრეს ცხოვრებაში მოწოდებული ეს ცნობა არქეოლოგიური გათხრებითაც დადასტურდა. 1953 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ გათხრების შედეგად ლაზთა მონასტერი აღმოაჩინა, რომელმაც განსხვავებულ არქიტექტურულ ფორმებთან ერთად ყურადღება ქართული წარწერებითაც მიიქცია. უძველესი ასომთავრულით შესრულებულ ულამაზეს მოზაიკურ წარწერებში პეტრეს წინაპრები და მათ შორის IV საუკუნის ცნობილი მჭევრმეტყველი ბაკურიც იხსენიება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ცნობილი ორიენტალისტი გიორგი წერეთელი შენიშნავს: „ის, რომ პეტრემ იორდანეს უდაბნოში მის მიერ აგებული მონასტერი ქართული წარწერებით შეამკო, იმაზე მოწმობს, რომ წმინდა ადგილებში მოღვაწეობით იმ ეპოქაში მან ქართული ენა და ქართული კულტურა საერთაშორისო არენაზე

გაიტანა“. მისივე დასკვნით, „ეს წარწერები ... ნახევარი საუკუნით ადრე მაინც წინ უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულ ბოლნისის წარწერებს“.[12]

როცა მაიუმის ეპისკოპოსი გარდაიცვალა, ქალაქის მცხოვრებლებმა პატრიარქს ეპისკოპოსად პეტრე ქართველის ხელთდასხმა სთხოვეს. პატრიარქის ბრძანებით, იგი უდაბნოში მოძებნეს და რადგან იმ მიზეზით, რომ დიდად ცოდვილი იყო, ეპისკოპოსობაზე უარს ამბობდა, შეკრული წამოიყვანეს. გზაში დაუღამდათ და ერთი სახლის ქორედში გაჩერდნენ. პეტრემ სიმაღლიდან გადავარდნა გადაწყვიტა, რათა რამე დაზიანებოდა და მერე ამ მიზეზით ეპისკოპოსობაზე უარი ეთქვა, მაგრამ უფალი გამოეცხადა და უთხრა: „არ იცი, რა ვუბრძანე პეტრე მოციქულს, როცა ის ფერხთბანვისას მეურჩებოდა? და შენც გეუბნები, არ გექნება წილი ჩემს სამკვიდრებელსა შინა, უკეთუ ჩემს ცხოვართ არ დამწყემს“. ეპისკოპოსად ხელთდასხმის შემდეგ წმინდა პეტრეს მთელი ქალაქი ანთებული სანთლებითა და გალობით შეეგება.[13]

ამასობაში იმპერატორი თეოდოსი გარდაიცვალა და ტახტზე მარკიანე ავიდა, რომლის სახელსაც უკავშირდება მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა ქალკედონში 630 ეპისკოპოსის მონაწილეობით. ქალკედონის კრების გადაწყვეტილებას პალესტინელი მწვალებლები ამბოხებით შეხვდნენ. მარკიანე იძულებული გახდა იარაღით დაეცვა მართლმადიდებლობა, მაგრამ უკეთურნი ბევრნი იყვნენ, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს და მრავალი მორწმუნე ამოწყვიტეს. ამ დროს, ჟამის წირვისას წმინდა პეტრემ იხილა, რომ მართლმადიდებელთა სულები ანგელოზებს ზეცაში აჰყავდათ, მაშინ როცა მწვალებელთა სულები ჯოჯოხეთში მიდიოდნენ.

როცა ღმრთისმოყვარე იმპერატორი მარკიანე გარდაიცვალა, ერეტიკოსებმა გადაწყვიტეს, რომ ნეტარი პეტრეს მოსაკლავად შესაფერისი ჟამი დაუდგათ, ვიღაც ყრმასთან ერთად მიადგნენ, კარზე უკაკუნებდნენ და ეუბნებოდნენ: წმინდაო ღმრთისაო, კარი გაგვიღე და ეს ყრმა განგვიკურნე, რომელიც მტრისგან იტანჯე-

[12] გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან. თბ., 1960. გვ. 29.
[13] „ცხორებაჲ პეტრე ქართველისაჲ“. გვ. 241.

ბაო, მაგრამ პეტრეს მოესმა ხმა, რომელმაც გააფრთხილა, კარები არ გაეღო, რადგან ისინი მზაკვარნი იყვნენ. ეს ხმა უსჯულოებმაც გაიგონეს და გაიქცნენ.

ამ შემთხვევის შემდეგ პეტრემ თავის მოწაფეს, ზაქარიას შესთავაზა ეს ადგილი დაეტოვებინათ და სხვაგან წასულიყვნენ, რათა მწვალებლებისთვის კაცის კვლის ცოდვა აეშორებინათ. შევიდნენ ერთ სოფელში და რადგან კვირა დღე იყო, პეტრემ საკურთხევლის მომზადება და წირვის აღსრულება გადაწყვიტა, მაგრამ სახლი, რომელშიც უნდა ეწირა, საკერპო აღმოჩნდა, სიმაღლეზე კერპები იდგნენ. როცა ზაქარიამ ამის თაობაზე მოახსენა და უთხრა, რომ იქ წირვა არ შეიძლებოდა, პეტრემ უპასუხა: შვილო ჩემო, მსხვერპლს ვწირავთ ღმერთს და არა ეშმაკსო. მართლაც, როცა წირვა დაიწყეს, საცეცხლურიდან ამოვარდნილმა ცეცხლმა კერპები ისე დაწვა, რომ სახლი უვნებლად გადარჩა. ამის მხილველნი ღმერთს მადლობას სწირავდნენ და ადიდებდნენ.

ერთხელ, ქალაქგარეთ ერთ-ერთ მონასტერში წირვის დაწყების წინ იმ ქალაქის დიდებულები მივიდნენ და წმინდანის გასაგონად ცუდსიტყვაობდნენ. როცა წმ. პეტრე საკურთხეველთან მივიდა, რათა წირვა დაეწყო, წინ ანგელოზი უფლისა აღუდგა და არ მიუშვა. წმინდანმა ცრემლებით იკითხა, რა ბრალის გამო ისჯებოდა ასე. ანგელოზმა უპასუხა, რომ განსაკუთრებით იმ დღეს, როცა მსხვერპლშეწირვის აღსრულება ეგულებოდა, ურგები სიტყვებისათვის სასმენელნი უნდა მოერიდებინა, რათა გონება არ შეგინებოდა და არ გახრწნოდა, რადგან წმინდა გონება ყველა მსხვერპლზე და შესაწირავზე უფრო დიდი იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა იმპერიის ტახტზე კეთილმსახური მეფე, დიდი ლეონი ავიდა და ეკლესიაში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა, წმ. პეტრე მაიუმში თავის ტახტსა და სამწყსოს დაუბრუნდა. ლეონის შემდეგ, რომელმაც 17 წელი იმეფა, ტახტზე ავიდა ზენონი, რომელმაც დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შესარიგებლად შექმნა ცნობილი აქტი „ჰენოტიკონი“ და მასზე ხელმოსაწერად პეტრე იბერი და ამ დროის მეორე დიდი მოღვაწე, ასკეტი და მეუდაბნოე ისაიაც მიიწვია. თავისთავად ეს ფაქტი იმ უდიდეს ავტორიტეტზე მეტყველებს, რომელიც პეტრეს იმ დროის-

ათვის ჰქონია მოხვეჭილი. ამით ბიზანტიის საიმპერატორო კარმა მაიუმის ეპისკოპოსს თავისი ღრმა პატივისცემა დაუდასტურა, მაგრამ მას შეთავაზებული პატივი არ მიუღია და კეისრის შიკრიკს ჯერ დამალვია, ხოლო შემდეგ ფინიკიაში გაქცეულა. რაც შეეხება ისაიას, მას კონსტანტინეპოლში წასვლისგან თავის დასაღწევად ღმრთისთვის სნეულება უთხოვია და ისე განსივებულა, რომ მისი სენაკიდან გამოსვლაც კი შეუძლებელი გამხდარა, სამაგიეროდ, მაშინვე გამოჯანსაღებულა, როგორც კი იმპერატორის შიკრიკი წასულა.

როგორც ზაქარია ქართველი გვამცნობს, პეტრეს საყვარელი საქმე საღმრთო წიგნების კითხვა ყოფილა და სხვა სულიერ მოღვაწეებსაც ამისკენ მოუწოდებდა, „ვითარცა მტილი მზუარისაჲ ურწყავი განჴმების და უნაყოფო იქმნის, ეგრეთვე გონებაჲ მონაზონისაჲ უნაყოფი არს თჳნიერ წიგნისა კითხვისა და სმენისა სწავლათა სულიერთა“,[14] – ამბობდა იგი.

პეტრე იბერი ორ დეკემბერს, პარასკევს, ზენონ ბერძენთა მეფის დროს გარდაიცვალა. მართალია, მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების ნაკლებობას არ განვიცდით, მასზე მოგვითხრობს ზაქარია რიტორი „საეკლესიო ისტორიაში“, იოანე რუფუსი „პლეროფორიებში“, ხელთა გვაქვს ჰაგიოგრაფიული თხზულებანი ასურულსა და ქართულ ენებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ავტორებიდან მხოლოდ ზაქარია ქართველია დიოფიზიტი, დანარჩენები მონოფიზიტები არიან და, ბუნებრივია, პეტრე იბერსაც მონოფიზიტად წარმოგვიდგენენ. როგორც „პეტრეს ცხოვრების“ ქართული რედაქციისთვის დართული ანდერძი გვამცნობს,[15] მისი ავტორი ზაქარია ქართველი პეტრეს მოწაფე და განუყრელი თანამგზავრი ყოფილა. ზაქარიას პალესტინის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ანგარიშგაწევის მიზნით თავისი თხზულება ასურულ ენაზე შეუთხზავს, მე-13 საუკუნის დასაწყისში იგი ასურულიდან ქართულად მაკარი მესხს უთარგმნია, ხოლო მე-14 საუკუნეში ჟამთა სიავის გამო „ცხოვრების“ თავბოლონაკლული და აშლილი ტექსტის დასალაგებლად და შესავსებად, ისე რომ მას

[14] „ცხორებაჲ პეტრე ქართველისაჲ“. გვ. 254.
[15] იქვე, გვ. 263.

საეკლესიო საკითხავის სახე მისცემოდა, დიდი შრომა გაუწევია ვინმე პავლე დეკანოზს. ამავე პერიოდში პალესტინაში მოღვაწე იბერიელი უფლისწული ქართულ ეკლესიას წმინდანად შეურაცხავს. გარდა მოსახსენებლებისა, ამას მოწმობს ათონის მთის ივირონის ქართულ მონასტერში XV საუკუნის ბოლოს შესრულებული ქართულ-ბერძნული ხელნაწერი, რომელიც ილუსტრირებული საეკლესიო კალენდრისა და სიუჟეტური მინიატურების ერთობლიობას წარმოადგენს. ორ მინიატურაში, მიძინების ხატსა და უდაბნოს ანგელოზში, სხვა ცნობილ წმინდანთა შორის პეტრე იბერიელიცაა გამოსახული.[16] პეტრე იბერის გამოსახულებას ვხვდებით, აგრეთვე, სინას მთაზე დაცულ ქართულ წარწერებიანი ტრიპტიქის შუა ნაწილის მესამე რიგში ილარიონ ქართველსა და შიო მღვიმელთან ერთად, წარწერით **მნათობნი ქართველთანი.** პეტრეს ფრესკული პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, მინიატურები, რომლებზეც წმინდანია გამოსახული და საგალობლები, რომლებიც მის შესაქებადაა დაწერილი.

როცა ვახტანგ VI ჟამთა ვითარებისგან შერყვნილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის დასადგენად და გასამართავად „მეცნიერნი კაცნი“ შეკრიბა, მათ, გარდა თვითონ „ქართლის ცხოვრების“ რედაქციებისა, გულდასმით შეისწავლეს „გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი“ და ძირითად ტექსტში იმ ქართველთა „ცხოვრებანი“ შეიტანეს, რომელნიც ან ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლნი იყვნენ, ან კიდევ გამოჩენილი მოაზროვნენი. ვისი ცხოვრება უნდა შეეტანათ და რა სახით, ამაზე თვითონ კომისია, ან მის მიერ შერჩეული ვინმე მცოდნე პირი მუშაობდა. საგულისხმოა, რომ შესატან „ცხოვრებათა“ შორის პეტრე იბერის „ცხოვრების“ ქართული რედაქციაც აღმოჩნდა.[17] მეცნიერ კაცთა ხელიდან გამოსული ნუსხის ანდერძმინაწერში ვახტანგი შემწეობას ევედრება პეტრე იბერს: „წმი-

[16] ხელნაწერის ფაქსიმილე გამოიცა თბილისში 2012 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II დაბადებიდან 80 წლისთავის საიუბილეოდ.

[17] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 132-135.

დაო პეტრე, მეოხ ეყავნ წინაშე ღმრთისა ბატონიშვილს ვახტანგს, მეუღლით, ძით და ასულითურთ, რომელთაგან მოპოვნებულ იყო ცხოვრება შენი და მცირედი აღაწერინა წიგნთა ამას შინა, არამედ სრულიად არ აღიწერებოდა სიდიდითა“.

პეტრე იბერი წმინდანად იხსენიება ვახტანგ VI დროს 1710 წელს დაბეჭდილ ჟამნშიც, მაგრამ მისი ხსენება ამოღებულია 1722 წელს დაბეჭდილი ჟამნიდან, რომელიც სულხან-საბას ძმას, ნიკოლოზ თბილელს გაუმართავს. 1758 წელს გამოცემულ თვენში, რომელიც ალექსი მესხიშვილს ეკუთვნის, პეტრეს ისევ წმინდანთა შორის ვხედავთ, მაგრამ 1768 და 1791 წლების გამოცემებში მისი სახელი ისევ ამოღებულია.

ადვილი შესაძლებელია, რომ 1722 წელს დაბეჭდილი ჟამნიდან მისმა შემდგენლებმა პეტრეს სახელი შეგნებულად კი არ ამოიღეს, არამედ გამორჩათ, ხოლო რაც 1768 და 1791 წლების გამოცემებს შეეხება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ გამომცემლებს ხელთ 1722 წელს დაბეჭდილი ჟამნი ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ ანალოგიური ვითარება თურმე სხვა ქართველი წმინდანების მიმართაც შეინიშნება: ყველა ჟამნში არც თამარ მეფე და ქეთევან წამებულნი ყოფილან მოხსენიებულნი.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ არც თვითონ ქართული ეკლესია და არც XVIII-XIX საუკუნეთა ქართული საისტორიო წყაროები არსად იძლევიან ცნობას იმის თაობაზე, რისთვის იქნა ამოღებული პეტრე იბერის სახელი მოსახსენებლებიდან. გამონაკლისია მხოლოდ პლატონ იოსელიანი, რომელიც მიზეზის დაუსახელებლად გვამცნობს, რომ ქართულმა ეკლესიამ პეტრე იბერი წმინდანთა სიიდან ამორიცხა, შენიშვნაში კი ვკითხულობთ, რომ ბარონიუსის ისტორიის მიხედვით, პეტრე მაიუმის ეპისკოპოსად ევტიქის მიმდევრებმა აირჩიეს.[18] საქმე ისაა, რომ ბარონიუსი ევაგრე სქოლასტიკოსის ცნობებს იმეორებს (536-600 წ.წ.), ხოლო ევაგრე, თავის მხრივ, როგორც თვითონვე გვამცნობს, მონოვიზიტი ავტორის მიერ ასურულ ენაზე შედგენილ ცხოვრებას ეყრდნობოდა.[19] ასე რომ, პეტრე იბერის მონოფიზიტობას მხოლოდ და მხოლოდ

[18] **П. Иоселиани, Жизнеописание святых, Тб., 1850,** გვ. 13-14.

[19] გეორგიკა, ტ. III, გვ. 192.

მონოფიზიტი ავტორები ადასტურებენ საპირისპიროდ ზაქარია ქართველის ჩვენამდე მოღწეული „ცხოვრებისა“. ცხადია, ორივე მხარე მართალი ვერ იქნება: ან მონოფიზიტ ავტორებს უნდა ვენდოთ და მაკარი მესხი ყალბისმქნელობაში დავადანაშაულოთ (მან ზაქარია ქართველის თხზულება დიოფიზიტური თვალსაზრისით გადაამუშავა), ანდა, პირიქით. მაკარი მესხის ყალბისმქნელად გამოცხადების არავითარი საფუძველი არ არსებობს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მის მიერ თარგმნილი „ცხოვრება“ პეტრე იბერის მართლმადიდებლობის საბუთად და მისი წმინდანად აღიარებისთვის თავის დროზე ქართულ ეკლესიას გამოადგა.

სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის ქართულმა მეცნიერებამ ყოველგვარი კრიტიკული მიდგომის გარეშე გაიზიარა მონოფიზიტ ავტორთა მიერ მოწოდებული ცნობები და პეტრე იბერი მონოფიზიტად გამოაცხადა. ეს უპრეცენდენტო შემთხვევა ეკლესიის ისტორიაში – სულიერი მოღვაწის მწვალებლად გამოცხადება, მხოლოდ ერეტიკოსთა მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე, ჩვენი მეცნიერების ათეისტური მსოფლმხედველობის შედეგი იყო, რადგან მათთვის დიოფიზიტობა და მონოფიზიტობა არა მართლმადიდებლობა და ერესი, არამედ ქრისტიანული რელიგიის ორი მიმდინარეობა იყო მხოლოდ. ამასთან, მონოფიზიტობას, როგორც ბიზანტიის იმპერიის სამეფო კართან პროვინციების დამაპირისპირებელ საშუალებას, რამდენადმე უპირატესობასაც კი ანიჭებდნენ.

პეტრე იბერის აღმსარებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას, ვინ გააყალბა მისი ცხოვრება, მართლმადიდებლებმა – ზაქარია ქართველმა ან მაკარი მესხმა, თუ ერეტიკოსმა ავტორებმა. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ პეტრეს ცხოვრების ქართულ რედაქციაში მისი დიოფიზიტად წარმოჩენის განსაკუთრებული მცდელობა არსად იგრძნობა, მაშინ, როცა ასურული რედაქცია, არსებობს თუ არა ამის საჭიროება, მას თავგამოდებულ მონოფიზიტად წარმოადგენს. ქართული რედაქციის თხრობის სიწრფელე იმაზე მეტყველებს, რომ ავტორს გამოგონილი ამბები თუ რეალური ფაქტების საკუთარი ინტერპრეტაციები თავისი პერსონაჟის მართლმორწმუნეობის დასამტკიცებლად, რაც მისთვის

ისედაც ცხადი იყო, არ სჭირდებოდა.

მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ, როცა ერეტიკოსებისაგან განდევნილი იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი იუბენალი იმპერატორის ჯართან ერთად დაბრუნდა და მწვალებელი პატრიარქის თეოდოსის მიერ დანიშნული ყველა მონოფიზიტი ეპისკოპოსი გადააყენა, თავის ტახტზე მხოლოდ პეტრე იბერი დარჩა. მკვლევარები ყოველგვარი კრიტიკული მიდგომის გარეშე იზიარებენ ამ ფაქტის მონოფიზიტი ზაქარია რიტორისეულ განმარტებას,[20] სახელდობრ, რომ პეტრე დედოფალი პულქერიას მფარველობამ გადაარჩინა.[21] მაგრამ ამგვარი პროტექციონიზმი მაშინ, როცა საქმე სარწმუნოების სიწმინდისათვის ბრძოლას შეეხებოდა, მით უმეტეს პულქერიას მხრიდან, ვინც ქალკედონის კრების მოწვევისა და მონოფიზიტურ ერესზე გამარჯვებაში შეტანილი წვლილისათვის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, წარმოუდგენელი და დაუშვებელი იყო. ასე რომ, პეტრე იბერი, მაიუმის საეპისკოპოსო კათედრაზე არა დედოფლის კეთილგანწყობის, არამედ მართლმორწმუნეობის გამო უნდა დარჩენილიყო.

პეტრეს ცხოვრების ასურულ რედაქციაში ფაქტების დამახინჯების მცდელობაზე მეტყველებს ცნობა იმის შესახებ, რომ დიოფიზიტების შიშით მაიუმის ეპისკოპოსმა თავი ალექსანდრიას შეაფარა, რომლის ეკლესიასაც ამ დროს „უღვთო“ დიოფიზიტი პროტერიუსი განაგებდა. ადვილი მისახვედრია, რომ სინამდვილეში საპირისპირო მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე, სახელდობრ, პეტრემ თავისი კათედრა სწორედ მონოფიზიტების შიშით დატოვა, რომელთაც ამ დროს პალესტინაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ და თავი იმ ეკლესიას შეაფარა, რომელსაც მართლმადიდებელი მეთაური ჰყავდა.

სრულიად უსაფუძვლოა და დაუჯერებელი ასურული რედაქციის ცნობა იმის თაობაზე, რომ პეტრეს მკვლელები პროტერიუსმა მიუგზავნა. თვით მონოფიზიტ ავტორებთანაც კი, რომელნიც ეკლესიის ისტორიას გადმოგვცემენ, ვერ შეხვდებით ფაქტს დიოფიზიტების მხრიდან ერეტიკოსი მღვდელმთავრების ფიზიკური განადგურებისა.

[20] ზაქარია რიტორი, „ეკლესიის ისტორია“, გეორგიკა, ტ. III, გვ. 5.

[21] **Ш. Нуцубидзе, Петр Ивер и античное философское наследие, Тб., 1963.**

გამარჯვებულმა მართლმადიდებლებმა მონოფიზიტთა მეთაურებს – დიოსკორესა და ტიმოთე ელურს გაძევების განაჩენი გამოუტანეს, მაშინ როცა, მწვალებლებმა კონსტანტინეპოლისა და ალექსანდრიის მართლმადიდებელი პატრიარქები ფლაბიანე და პროტერიუსი მოკლეს. პროტერიუსს სიკვდილიც არ აკმარეს და მის გვამს განსაკუთრებული სისასტიკით მოექცნენ. სინამდვილეში საქმე ისე უნდა ყოფილიყო, როგორც ამას პეტრეს ცხოვრების ქართული რედაქცია წარმოგვიდგენს: მკვლელები მას მონოფიზიტებმა მიუგზავნეს.

ზაქარია რიტორის „ეკლესიის ისტორიაში“ ჩვენი ყურადღება მიიიქცია ერთმა ცნობამ, რომელსაც, ვფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პეტრე იბერის აღმსარებლობის გამოკვლევისათვის. ზაქარია რიტორი წერს: „როცა პალესტინაში ზოგიერთ მონაზონებს შორის დავა ატყდა იმის შესახებ, სწორია თუ არა ჩვენი უფლის ხორცი ჩვენ სწორარსად ვიცნათო, ყველაფერში სახელოვანმა პეტრემ შეაჩვენა ისინი, ვინც ამას არ აღიარებდა“ (გეორგიკა, ტ. III, გვ.11). ძნელი არაა მიხვედრა იმისა, რომ უკეთუ პეტრე ქრისტეს ხორციელობას არსით ჩვენი სხეულის სწორად ცნობდა, მაშასადამე იგი მაცხოვრის კაცობრივ ბუნებას კი არ უარყოფდა, არამედ პირიქით. იმ მიზეზით, რომ სიცრუის ბოლომდე შენილბვა მისი ჭეშმარიტებად წარმოდგენის მიზნით, შეუძლებელია, ზაქარია რიტორს, რომელიც პეტრე იბერის მონოფიზიტობის დამტკიცებას თავგამოდებით ცდილობდა, მისივე მტკიცების საწინააღმდეგო ცნობა გაეპარა.

დაბოლოს, ღაზის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქის, მაიუმის სახელი მეცნიერებაში დღეს ძნელად თუ ვინმეს ეცოდინებოდა, მისი ეპისკოპოსი პეტრე იბერი რომ არ ყოფილიყო, ღმრთისგან ბოძებულმა განსაკუთრებულმა თვისებებმა იმპერიის ერთი რიგითი ეპარქიის მწყემსი იმდროინდელ საეკლესიო ცხოვრების ცენტრში მოაქცია. ამაზე მეტყველებს, ის საყოველთაო ყურადღება, რომელიც მან როგორც სულიერმა მოღვაწემ და მოაზროვნემ დაიმსახურა. შეიძლება ეს ათეისტური მეცნიერებისთვის ნაკლები ღირებულების საბუთი იყოს, მაგრამ ეკლესიის ისტორიკოსებისთვის კარგად ცნობილი ფაქტია, რომ ერეტიკოსისთვის სამშობლოს სიყვარული და მისი ერთგულება, ჩვეულებრივ, ცარიელი, უშინაარსო ცნებებია და

ამაში საოცარი არაფერია, თუ გავიხსენებთ, რომ ერესის წყარო ამპარტავნებაა, რომელიც სიყვარულს ანადგურებს.

უცხოეთში მოღვაწე იბერიელ უფლისწულს, რომელსაც სამშობლოდან წასვლა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ყრმობაშივე მოუხდა, არასოდეს გაუწყვეტია სულიერი კავშირი მასთან. უპირველესად ამაზე მეტყველებს ზედწოდება იბერი, რომლითაც უცხო ეთნიკურ გარემოში მყოფმა ხაზი გაუსვა თავის ეროვნულ წარმომავლობას და ის სამსახური, რომელიც მან ქართულ სულიერ კულტურას გაუწია. მხედველობაში გვაქვს ლაზთა მონასტერი, რომლის აგებითაც ქართული კულტურის პირველი კერა დააარსა უცხოეთში და იმდროინდელ განათლებულ მსოფლიოს აჩვენა, რომ იმ ხალხის შვილი იყო, ვისაც საკუთარი ულამაზესი დამწერლობა ჰქონდა და შეეძლო საკუთარ ენაზე ედიდებინა ღმერთი.

* * *

ქართულ სახელმწიფოს სამართლიანად შეუძლია იამაყოს იმით, რომ მას ქრისტიანები, მაშინაც კი, როცა ქვეყანაში ოფიციალურ სარწმუნოებას წარმართობა წარმოადგენდა, არ უდევნია. სარწმუნოებისათვის წამების პირველი ფაქტი მეხუთე საუკუნეში მოხდა, როცა ჰერეთის მთავარმა ვარსქენმა ხელისუფლებისთვის ბრძოლაში სპარსეთისაგან მხარდაჭერის მისაღებად ქრისტიანობა უარყო და ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო.

პატივმოყვარე ვარსქენი, რომელმაც ჭეშმარიტი რწმენა არა „პყრობილებისა“ და წამების შიშით, არამედ ნებით დათმო, პეროზ მეფეს შეჰპირდა, რომ ცოლსაც და შვილებსაც ცეცხლთაყვანისმცემლობაზე მოაქცევდა. მისი მეუღლე, დედოფალი შუშანიკი, სომეხთა ცნობილი მხედართმთავარის ვარდან მამიკონიანის ასული, ბავშვობიდანვე ღმრთის მოშიშებითა და სიყვარულით გამოირჩეოდა. სპარსეთიდან დაბრუნებულმა პიტიახშმა, ქართლის საზღვრებს მოაღწია თუ არა, სასახლეში შიკრიკი გაგზავნა და ქვეშევრდომებისაგან დახვედრა მოითხოვა. პატივმოყვარის უგუნურება! შინ მოღალატე ბრუნდებოდა და დახვედრას ითხოვდა ვითარცა ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი გმირი. შუშანიკმა შიკრიკისგან შეიტყო, რა ჩაიდინა სპარსეთში ვარსქენმა და გულწრფელად შეებრალა ქმარი,

რომელმაც ჭეშმარიტი ღმერთი უარყო და უსჯულოებს შეუერთდა. მიუხედავად ამისა, მან მყისვე მიიღო გადაწყვეტილება უსჯულო მეუღლესთან თანაცხოვრებაზე უარის თქმისა, სასახლე დატოვა და შვილებთან ერთად (სამი ძე და ერთი ასული ჰყავდა) ეკლესიის მახლობლად მდგარ ერთ მცირე სახლაკს შეაფარა თავი.

სასახლის კარის ხუცესმა და დედოფლის მოძღვარმა იაკობმა ეს ამბები რომ შეიტყო, მაშინვე გასამხნევებლად შუშანიკისკენ გაემართა, თანაც გააფრთხილა, რომ სასტიკი და ულმობელი პიტიახშისაგან დიდი რისხვა იყო მოსალოდნელი: „მწარე გონებაჲ აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ“,[22] მაგრამ დედოფალს არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა, სულის წარწყმედას სიკვდილი ერჩივნა: „უმჯობჱს არს ჩემდა ჴელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ“.

ვარსქენმა ცოლს თავისი ძმა ჯოჯიკი და რძალი მიუგზავნა, რომელთაც იგი ბოლოს და ბოლოს სასახლეში დაბრუნებაზე დაითანხმეს. ორი დღის შემდეგ პიტიახშმა შუშანიკსა, ჯოჯიკსა და მის მეუღლესთან ერთად ვახშმობა მოისურვა, რომლის დროსაც დედოფალმა პირი არაფერს დააკარა ტრადიციისამებრ, რომლითაც ქალისა და მამაკაცის ერთად პურის ჭამა აკრძალული იყო. მეუღლის საქციელმა ვარსქენი მიახვედრა, რომ მის წინააღმდეგობას ვერასოდეს გატეხდა და შესაბამისად ვერც პეროზ მეფისთვის მიცემულ დაპირებას აღასრულებდა. ამიტომ, როცა შუშანიკმა რძლისგან შეთავაზებულ ღვინიან ჭიქას ხელი გაკრა სიტყვებით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური“, დაგუბებულ რისხვას გასაქანი მისცა და დაუნდობლად სცემა ასტამით, ფეხებზე ბორკილები დაადებინა და სენაკში ჩაკეტა.

დიდმარხვის დღეებში დედოფალმა ისევ დატოვა სასახლე და ეკლესიის მახლობლად ერთ მცირე სენაკში დაეყუდა მარხვით, ლოცვითა და ტირილით. ვნების კვირის ორშაბათს პიტიახშმა იგი ძალით გამოიყვანა სენაკიდან, სასახლემდე „თრევით მოითრია თიჴათა შიგან და ეკალთა ზედა“ და გზაზე ადგილ-ადგილ ძეძვი დააფენინა, რათა ფეხშიშველისათვის აუტანელი ხორციელი ტკივი-

[22] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 14.

ლები მიეყენებინა. ამის შემდეგ მან დედოფლისათვის კვერთხის სამასგზის დარტყმა ბრძანა. შუშანიკმა ტკივილები ისე დაითმინა, კვნესაც არ აღმოხდომია, მხოლოდ ეს უთხრა უსჯულო ქმარს: „უბადოო, შენ-ღა თავი თჳსი არ შეიწყალე და განსდეგ ღმრთისაგან, შენც მემცა შემიწყალეა?“[23]

შემდგომად ამისა, ქედზე ჯაჭვდადებული, ფეხშიშველი და თავშიშველი დედოფალი, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი, პიტიახშმა ციხეში გადაიყვანა და ბნელსა და ნესტიან სენაკში ჩაამწყვდია.

საპყრობილეში ყოფნის მეშვიდე წელს გამუდმებით ფეხზე დგომამ, მკაცრმა მარხვამ და დაუცხრომელმა სულიერმა მოღვაწეობამ დედოფალი ხორციელად დააუძლურა, ფეხები დაუსივდა, წყლულები გაუჩნდა და „მატლიცა დასხმულ წყლულთა მათ“. იაკობს, რომელმაც მისი ტანჯვის ყურებას ვერ გაუძლო და ატირდა, შუშანიკმა უთხრა: „ხუცეს, რად მწუხარე ხარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შეჭმასა, უმჯობჱს იყავნ ამათ მოკუდავთა შეჭმაჲ აქვე ამას ცხორებასა“.

უფალმა წამებულს სასწაულთქმედების ძალა სიცოცხლეშივე მიანიჭა. მისი ლოცვით უშვილონი შვილის შეძენით ხარობდნენ, სნეულნი განკურნებით, ბრმანი – თვალის ახელით.

როცა დედოფლის აღსასრულის მოახლოება იგრძნეს, შენდობის სათხოვნელად და კურთხევის მისაღებად მასთან ციხეში მაზლი ჯოჯიკი და მისი ცოლ-შვილი მივიდნენ. შუშანიკი ინახულეს, აგრეთვე, მთავარეპისკოპოსმა სამოელმა და ეპისკოპოსმა იოვანემ, ასევე საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებმა, – როგორც აზნაურთა დიდ-დიდთა და ზეპურთა დედათა, ასევე აზნაურთა და უაზნოთა სოფლისა ქართლისათა.

სარწმუნოებისთვის წამებული დედოფალი 476 წლის 17 ოქტომბერს გარდაიცვალა. „შუშანიკის წამება“ კიდევ ერთი თვალსაზრისით იქცევს ჩვენს ყურადღებას. როგორც მისი ავტორი იაკობ ხუცესი გვამცნობს, მეხუთე საუკუნეში ქართველებს უკვე თარგმნილი ჰქონიათ როგორც ახალი აღთქმა, ასევე ძველი აღთქმის წიგნებიც, სახელდობრ დავითის ფსალმუნნი. გარდა ამისა, ქართულ ენაზე

[23] იქვე, გვ. 20.

მოწამეთა ცხოვრების ამსახველი თხზულებანიც არსებულა. შუშანიკზე, რომელიც სახლაკიდან ეკლესიაში ბრუნდებოდა, ნათქვამია: „წარვიდა მათ თანა და თანა წარიტანნა ევანგელჱ თჳსი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“. ხოლო ციხეში ყოფნისას მსწრაფლ დაისწავლა წმ. დავით მეფის 150 ფსალმუნი. ქართულ ენაზე ახალი აღთქმის არსებობას, ამოწმებს, აგრეთვე, ციტატები, რომლებიც ავტორს მისი წიგნებიდან უხვად მოაქვს.

ამგვარად, „შუშანიკის წამება“ ადასტურებს ისტორიკოსი ჯუანშერის ცნობას იმის თაობაზე, რომ ქართველებს სახარება მეხუთე საუკუნის პირველ მესამედში უთარგმნიათ. როგორც ჯუანშერი წერს, არჩილ მეფის (422-432 წწ.) ძემ მირდატმა, მეუღლეს, საგდუხტ დედოფალს „მოჰგუარნა კაცნი სჯულისა მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“.[24]

* * *

მე-5 საუკუნეში ქართული ეკლესიის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფაქტი მოხდა – შეიცვალა მისი უფლებრივი მდგომარეობა, რაც **ვახტანგ გორგასლის** სახელს უკავშირდება. ვახტანგის ისტორიკოსი ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ სპარსეთიდან დაბრუნებულ მეფეს, სადაც მან შვიდი წელი დაჰყო, უთანხმოება მოუვიდა ქართლის მთავარეპისკოპოს მიქაელთან. ისტორიკოსის სიტყვით, ამ უთანხმოების ნამდვილი მიზეზი ყოფილა ვახტანგის გადაწყვეტილება ქართლის უმთავრეს მღვდელმთავრად პეტრე მღვდელის დაყენებისა. მაგრამ მიქაელმა თავისი გაბოროტების ნამდვილი მიზეზი დამალა და მეფეს ქრისტეს სჯულის დათმობა და ცეცხლის თაყვანისცემა დააბრალა. როგორც ჯუანშერი გვამცნობს: „მეფემან თქუა, დაღაცათუ უბრალო ვართ, სიმდაბლე ჯერ არს ჩვენგან“-ო და მდგომარეობის გამოსასწორებლად თვითონ მივიდა მიქაელთან. როცა ვახტანგმა მოინდომა მთავარეპისკოპოსს წესისამებრ ფეხზე მთხვეოდა, მიქაელმა „განძრა ფერჴი და მიამთხუა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი“.[25]

მიუხედავად ამ გაუგონარი, ქრისტიანი მღვდელმთავრისათვის

[24] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 142.

[25] იქვე, გვ. 196.

სრულიად შეუფერებელი საქციელისა, მეფემ პირადად მისი დასჯისაგან თავი შეიკავა და კონსტანტინეპოლის პატრიარქთან გაგზავნა გასასამართლებლად. ამასთან, მან კონსტანტინეპოლში პეტრე, მონაზონი სამოელი და კიდევ 12 სხვა სამღვდელო პირი წარავლინა კათოლიკოსად და ეპისკოპოსებად საკურთხევლად. პატრიარქმა მიქაელი შერისხა და მღვიძარეთა მონასტერში გაამწესა, ხოლო ვახტანგის წარგზავნილი სასულიერო პირები ანტიოქიას წარგზავნა, რათა ანტიოქიის პატრიარქს პეტრე პატრიარქად, ხოლო სამოელი ეპისკოპოსად ეკურთხებინა. მართლაც, ქართლის პირველი **კათოლიკოსი პეტრე** გახდა. ქართული მეცნიერების ყურადღება მიიპყრო ვახტანგის მიერ ქართლში 12 ეპისკოპოსის გამოთხოვამ და შემდეგ ქართლში ამდენივე საეპისკოპოსოს დაარსებამ. საეკლესიო სამართლის ძეგლებიდან ცნობილია, რომ ეპისკოპოსთა გასამართლებისა თუ ახალ ეპისკოპოსთა ხელთდასხმისთვის, ასევე ეკლესიის შიგნით წარმოქმნილი სხვა პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელი იყო საეკლესიო კრება, რომელშიც სულ ცოტა 12 ეპისკოპოსს მაინც უნდა მიეღო მონაწილეობა. აქედან გამომდინარე, კანონიკურად დამოუკიდებლად ითვლებოდა და მოქმედებდა მხოლოდ ის ეკლესია, რომელსაც სულ ცოტა 12 ეპისკოპოსისგან შემდგარი კრების მოწვევა შეეძლო. მაშასადამე, ამიერიდან ქართლის ეკლესიას შეეძლო მოეწვია საკუთარი საეკლესიო კრება, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა თავისი შინაგანი საქმეები თვითონვე განეგო.

კათოლიკოსის ინსტიტუტის შემოღებასთან ერთად ეს გარემოებაც ადასტურებს, რომ ვახტანგ მეფის მეცადინეობით, კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის პატრიარქთა თანხმობით და ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერით ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა, **ავტოკეფალია** მიიღო. მართალია, როგორც ქართულ ისე უცხოურ წყაროებში, არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის და უფლებამოსილების საკითხი მომდევნო საუკუნეებშიც არაერთგზის დასმულა, მაგრამ ამ ფაქტს სწორად აანალიზებს ნ. ლომოური, რომელიც წერს: „პირიქით, ეს ცნობები მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რომ ვახტანგის დროს ქართლის ეკლესიის მიერ მიღებული ავტოკეფალია იმდენად კანონიერი და ზუსტად არგუმენტირებული იყო, რომ,

მიუხედავად ანტიოქიის პატრიარქატის მცდელობისა, საეჭვოდ გაეხადა ეს უფლება, იგი ორივეგზის დადასტურდა საეკლესიო კრებების მიერ, კერძოდ კი, კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო კრების მიერაც“.[26]

* * *

დაახლოებით VI საუკუნის შუა ხანებში საქართველოში ასურეთიდან ცამეტი წმინდა მამა მოსულა სამონასტრო მოღვაწეობის მიზნითა და ქვეყანაში მართალი სარწმუნოების განსამტკიცებლად.

წმინდა მამა იოვანე წარმოშობით შუამდინარეთიდან იყო. თავდაპირველად იგი ანტიოქიის მახლობლად მდებარე მონასტერში მოღვაწეობდა. სათნოებით, სიბრძნითა და სწავლულებით შემკულ მოღვაწეს უფალმა სნეულთა და ეშმკეულთა განკურნების სასწაულებრივი ძალა უბოძა. რადგან სახელი შორს გაუვარდა და მასთან მრავალი ადამიანი მოდიოდა, გადაწყვიტა უდაბნოში განმარტოებულიყო მოწაფესთან ერთად, მაგრამ მადლი, რომელიც უხვად ჰქონდა მინიჭებული უფლისგან, არც აქ დაიფარა. წმინდა მამასთან უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ ადამიანები, რომელთაც ცხედრებით სნეულები და განრღუეულნი მოჰყავდათ. მაშინ მამა იოვანემ გადაწყვიტა უცხო ქვეყანაში წასულიყო, სადაც მისი სახელი არავის ეცოდინებოდა. სწორედ ამ დროს გამოეცხადა ანგელოზი და უფლის ბრძანება ამცნო: რადგან განმარტოება უცხო მხარეში სურდა, წმინდა ნინოს მიერ განათლებულ ქვეყანაში წასულიყო და თან 12 მოწაფე წაეყვანა.[27]

ამ დროს მღვდელმთავარი მცხეთაში ევლაიოზი იყო. როცა მან იოვანესა და მისი მოწაფეების მოსვლის ამბავი შეიტყო, მათ შესაგებებლად გამოვიდა. წმინდა იოვანემ სულიწმიდის მადლით კათოლიკოსს ქართულად მიმართა. ასურეთიდან მოსული წმინდა მამანი უპირველესად თაყვანსაცემად სვეტსა მას ცხოველსა და საკვირველს ეახლნენ. შემდგომად ამისა, უფალმა შეისმინა იოვანეს ვედრება და აუწყა სად უნდა დამკვიდრებულიყო, სახ-

[26] ნ. ლომოური, ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში, თბ., 2009, გვ. 41.

[27] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, თბ., 1968, გვ. 387.

ელდობრ, მცხეთის ჩრდილოეთით მდებარე ზედაზნის მთაზე, სადაც წარმართობის ეპოქაში ზადენის კერპი იდგა. ამ ადგილას, სადაც წლების განმავლობაში კერპის თაყვანისცემისა და მსხვერპლშეწირვის რიტუალი აღესრულებოდა, ბოროტი სულები მკვიდრობდნენ, რომელნიც გარემო სოფლებს ძალიან ვნებდნენ. წმინდა მამის ლოცვით ისინი მთით, ვითარცა კვამლი, გამოვიდნენ და სამუდამოდ დატოვეს იგი.

მამა იოვანემ მოწაფენი წარგზავნა, რათა დაბები და სოფელნი ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებით მოევლოთ და სულნი კაცთანი იესო ქრისტეს თანა შესაძინებლად მოეღვაწებინათ. მან მხოლოდ ერთი მოწაფე დაიტოვა. რადგან ზედაზნის მთა უწყლო იყო, მოწაფეს ყოველ დღე წყალი მთის ძირიდან ამოქონდა ლაგვინით. წმინდა მამას შეეწყალა იგი და ილოცა, რის შედეგადაც მთაზე, მარჯვე ადგილას, მშვენიერი წყარო აღმოცენდა. ერთ დღეს წყაროსთან დათვი გამოჩნდა, რომელსაც იოვანემ, როგორც გონიერ არსებას ისე მიმართა და უთხრა: თუ წყუროდა, დაელია და წასულიყო და ამიერიდან აღარ ევნო ადამიანებისთვის. მართლაც, წმინდა მამის ლოცვით, იქიდან მოყოლებული ზედაზნის ტყეში დათვები ადამიანებს არ ერჩიან.

აღსასრულის წინ მამა იოვანემ დაიბარა, რომ იმ ქვაბში დაესაფლავებინათ, სადაც ცხოვრობდა.

შიო მღვიმელი ერთი იმ თორმეტ მოწაფეთაგანი იყო, რომლებიც იოვანე ზედაზნელმა საქართველოში წამოსაყვანად შეარჩია. სიმშვიდისა და განმარტოებისმოყვარე ნეტარმა შიომ მოძღვარს კურთხევა გამოსთხოვა და მცხეთის დასავლეთით კაცთაგან უვალ, კლდოვანსა და ხშირი ტყეებით დაფარულ ადგილას დამკვიდრდა ერთ ქვაბში. წმინდა მამას საზრდელს მტრედი უზიდავდა, როგორც წმ. ილია წინასწარმეტყველს – ყორანი.[28] ასე გადიოდა დრო ლოცვითა და მარხვით, მაგრამ ღმერთმა არ ინება, რომ მამა შიოს ღვაწლი დაფარული დარჩენილიყო და ნათელი მისი ქვეყანასა ზედა გამოაბრწყინა. წარჩინებული ერისკაცი ევაგრე, რომელიც ამ ადგილებში ნადირობდა, მტრედმა წმინდა მამის ქვაბთან მიიყვანა. ღმრთისმოყვარე და საღმრთო წერილთა წურთასა შინა აღზრდილმა ევაგრემ მასთან

[28] იქვე, გვ. 372.

დარჩენა გადაწყვიტა. მალე ამ ადგილას სამოღვაწეოდ სხვებმაც მოაშურეს, მაგრამ მამა შიოსთვის მყუდროება არ დაურღვევიათ, ის ისევ განმარტოებით ცხოვრობდა თავის ქვაბში.

როცა ძმებმა მონასტრის აშენება გადაწყვიტეს, წმინდა მამამ მათ მთაზე ასვლა შესთავაზა, რათა იქ ელოცათ და ღმრთისთვის ტაძრის ასაშენებელი ადგილის მინიშნება ეთხოვათ. ლოცვისას მამა შიომ ხელისგულზე ნაკვერჩხალი დაიდო და ზედ საკმეველი დაასხა. ასული კვამლი ვითარცა საბელი მოიდრიკა, ხევში ჩავიდა და იქ დადგა. როცა მივიდნენ, ნახეს, რომ კვამლის სვეტი დიდ მღვიმესა ზედა იდგა. ამიტომ იოვანე ნათლისმცემლის სახელზე ეკლესიის აშენება აქ გადაწყვიტეს. როცა ფარსმან მეფე ძმობას ესტუმრა და ნახა, რაც ხდებოდა, მონასტერს დიდძალი ოქრო-ვერცხლი და ოთხი დაბა შესწირა.

მოულალავი მოღვაწეობით მამა შიომ ანგელოზურ სიწმინდეს მიაღწია. მას ველური მხეცებიც კი ემორჩილებოდნენ, ხოლო მისი ბრძანებით მგელი სახედრებს მწყემსად დაუდგა.

იოვანე ზედაზნელის კურთხევით, წმინდა შიომ სიცოცხლის ბოლო წლები მღვიმეში გაატარა და აღსრულების შემდეგ იქვე დაასაფლავეს.

ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, **ანტონი**, უკაცურსა და ქვეწარმავლებით სავსე ადგილას დაემკვიდრა, რომელსაც ახლა მარტყოფი ეწოდება. მან მოაბრძანა საქართველოში ხელთუქმნელი ხატი უფლისა და ვიდრე აღსასრულამდე ლოცულობდა წინაშე მისსა. წმინდა მამის გარდაცვალების შემდეგ ხატი დღემდე არსებობს უჩინრად, მაგრამ სასწაულმოქმედებს განცხადებულად.[29]

იოვანე ზედაზნელის მოწაფეთაგან ერთ-ერთი, ისე, ქართლის კათოლიკოსმა, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა, წილკნის ეპისკოპოსად აკურთხა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესია ჩააბარა. ნეტარი ეპისკოპოსის სიწმინდე უფალმა სასწაულით ცხადყო: მან იესო ქრისტეს სახელით მდინარე ქსანს კვერთხი დასცა და წყალიც მას წილკნის ტაძრამდე გაჰყვა.[30] წმინდა მამამ მრავალი ადამიანი გადაარჩინა მარადიულ სიკვდილს, რომელნიც

[29] იქვე, ცხორებაჲ ანტონ მარტომყოფელისაჲ, გვ. 398.

[30] იქვე, ცხორებაჲ ისე წილკნელისა, გვ. 402.

მისი ქადაგების შედეგად მოინათლნენ.

წმინდა **იოსები**, ამბა ალავერდელი, კახეთში გადავიდა და უკაცრიელსა და უშენ ადგილას დამკვიდრდა, რომელსაც ალავერდი ეწოდებოდა.[31] რითი საზრდოობდა იგი აქ, მხოლოდ უფალმა იცოდა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ღმერთი, რომელმაც მამა დავითსა და მამა ანტონს ირემნი მოუვლინა, უნუგეშოდ არც მამა იოსებს დატოვებდა. წარჩინებული, „სამეუფო“ კაცის შემწეობით, მან ამ ადგილას ტაძარი ააშენა. მამა იოსებმა ქრისტეს სჯულის განმარტებით „მრავალი მოაქცია და ღმრთის-მსახურება ესრეთ პატიოსნად აღაორძინა“. ღვაწლით დამაშვრალი წმინდა მამა ამ მონასტერში გარდაიცვალა და აქვე დაასაფლავეს.

იოანე ზედაზნელის ერთი თანამგზავრთაგანი **აბიბოსი** სამოღვაწეოდ კახეთში დამკვიდრდა და ნეკრესის ეპისკოპოსი გახდა. რადგან ამ დროისათვის „სამეფო ესე ჩვენი“ სპარსთა მეფეს ეპყრა, ქვეყანაში ცეცხლის თაყვანისცემის აღსრულების ადგილები გამრავლდა. საღმრთო შურით აღძრული ეპისკოპოსი ერთ-ერთ ასეთ ადგილას, რომელიც გამზადებულ იყო ცეცხლისა სამსახურებლად, მივიდა, ცეცხლს წყალი დაასხა და დაშრიტა. ამით წმინდა ეპისკოპოსმა გონებით ნაკლულევანთა დაუმტკიცა, რომ რასაც ემსახურებოდნენ, ის ერთი ჩვეულებრივი სტიქია იყო, რომელიც მეორე სტიქიისაგან ადვილად ნადგურდებოდა. წმინდა აბიბოსი კერპთაყვანისმცემლებმა შეიპყრეს, ვიდრე სიკვდილამდე გვემეს და მარზაპანთან წაიყვანეს „სოფელსა, რომელსა ჰრქვიან რევი“. მარზაპანმა ფრიადი სატანჯველის მიყენების შემდეგ წმინდა ეპისკოპოსის ქვით განტვინვა ბრძანა. წამებულის ნეშტი ქრისტიანებმა მონასტერსა შინა დიდითა დიდებითა დაფლეს.[32]

იოვანე ზედაზნელის მოწაფეებიდან **დავითმა** სამოღვაწეოდ გარეჯის უწყლო უდაბნო აირჩია, სადაც თავის მოწაფესთან, **ლუკიანესთან** ერთად წავიდა. ლუკიანეს ეჭვი შეეპარა, რომ „კაცნი ჴორციელნი და უძლურნი“, უდაბნოს ჭირმრავლობას დაითმენდნენ. მაშინ მამა დავითმა შეახსენა, როგორ დააპურა უფალმა მანანით უდაბნოში მოხეტიალე ებრაელი ერი და მოთმინებისკენ მოუ-

[31] იქვე, ცხორებაჲ იოსებ ალავერდელისაჲ, გვ. 405.

[32] იქვე, ცხორებაჲ აბიბოს ნეკრესელისა, გვ. 393.

წოდა. მართლაც, ღმერთმა ისინი უნუგეშოდ არ დატოვა და სამი ირემი მოუვლინა ნუკრებითურთ, რომლებიც ოთხშაბათ-პარასკევის გარდა ყოველდღე მოდიოდნენ. ერთხელ ირმებს მონადირეები დაედევნენ და მათ გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა იხილეს წმინდა ბერის წინ ცხვრებივით მშვიდად მდგართ როგორ წველიდა მათ ლუკიანე. გულაჩუყებულნი მონადირენი ფერხთით ჩაუვარდნენ მამა დავითს და მასთან დარჩენის ნებართვა სთხოვეს. წმინდანმა დაარიგა ისინი და უთხრა: „უკუნ იქეცით ადგილთავე და დაბათა თქუენთა და მუნ შინა მსახურებდით უფალსა, ბოროტთაგან განყენებულნი, გლახაკთა და უღონოთა ნაკლულევანებისა აღმავსებელნი, რამეთუ მოწყალების მოქმედი გლახაკთა ზედა ღმერთსა ავასხებს“.[33]

შინ დაბრუნებულმა მონადირეებმა მამა დავითის ამბავი ხალხში გაავრცელეს. მაშინ ადამიანები, რომელთაც ქრისტეს ტკბილი უღლის დადგმა ეწადათ, უდაბნოსკენ გაემართნენ. მამა დავითმა ისინი აკურთხა, რათა კლდეებში სასმელი წყლის შესაგროვებლად ქვევრები, ხოლო სუსხისა და სიცივისაგან თავის დასაცავად სენაკები გამოეკვეთათ. მეუდაბნოეთა შესახებ ღირს მონაზონ **დოდოსაც** ესმა და მანაც მამა დავითს მოაკითხა. მცირე ხნის შემდეგ მოძღვარმა მას რამდენიმე ბერი გააყოლა და ურჩია მოპირისპირე მთის კალთაზე დამკვიდრებულიყო. წმინდა დოდომ ძმებთან ერთად ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელზე სავანე აღაშენა. ბარბაროზი ბუბაქრი, რომელსაც მამა დავითმა კოჭლი ვაჟი განუკურნა, შვილებთან ერთად მოინათლა და უდაბნოში მოღვაწე ბერებისთვის კლდეში ეკლესია გამოაკვეთინა, რომელიც შემდეგში ღირსმა მამამ ილარიონმა განასრულა და აკურთხა. ასე შეიქმნა მამა დავითის ღვაწლით მძლავრი სამონასტრო კომპლექსი გარეჯის უდაბნოში. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი რამდენიმე ძმასთან ერთად წმინდა ქალაქის იერუსალიმის მოსალოცად გაემართა. როდესაც ბერები მადლობის ქედზე ავიდნენ, საიდანაც მთელი იერუსალიმი მოჩანდა, წმინდა მამა ქვითინით დავარდა მიწაზე და ადიდებდა ღმერთს, რომელმაც ღირს ჰყო წმინდა ადგილების

[33] ცხორებაჲ დავით გარეჯელისაჲ/ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, თბ., 1971, გვ. 188.

ხილვისა. მან გადაწყვიტა ქალაქის მხოლოდ შორიდან დანახვით დაკმაყოფილებულიყო: „ხოლო მე არღარა ვიკადრო წაღმართ სლვად და დატკეპნად ფერჴითა ჩემითა ადგილთა ამათ, სადა დადგეს ფერჴნი შენნი წმინდანი, რამეთუ კმა არს ჩემდა ხილვაჲ ოდენ თუალითა“. ბევრს ევედრნენ ძმები შესულიყვნენ ქალაქში, მაგრამ ამაოდ. მაშინ დატოვეს იგი და თვითონ წავიდნენ. იმ ადგილების ხილვით, სადაც უფალი ვითარცა კაცი დადიოდა და ცხოვრობდა, ისე ძლიერი იყო განცდა მისი სიახლოვისა, რომ წმიდა მამას ამ სიწმიდესთან ფიზიკური შეხებისა გულწრფელად შეეშინდა და უარი თქვა იმაზე, რისთვისაც ამხელა გზა გამოიარა. ამგვარი სიმდაბლის საფასურად ღმერთმა მამა დავითს მოხედა და „მიანიჭა მადლი უმეტეს ყოველთა, რომელნი შევლენან იერუსალჱმს“. მხურვალე ლოცვის შემდეგ წმინდანმა იმ ადგილიდან სამი ქვა აიღო და გამობრუნდა. მაგრამ მისი სიმდაბლისა და სასოების დაფარვა თავად უფალმა არ ინება. იერუსალიმის პატრიარქს, ელიას, ღამით ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ მამა დავითს მადლობის ქედიდან აღებულ სამ ქვასთან ერთად იერუსალიმის მადლიც მიჰქონდა. ანგელოზისავე ბრძანებით წმინდანს დაედევნენ და ორი ქვის უკან მიცემა სთხოვეს. მამა დავითმა ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ამგვარი წყალობის ღირსი გახადა და ქვები მისცა. მალემსრბოლნი სთხოვდნენ იერუსალიმის პატრიარქთან შესახვედრად უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ, როცა ვერას გახდნენ, „ამბორ-უყვეს და განუტევეს იგი“.

მამა დავითის მადლობის ქედიდან ჩამოტანილი მადლის ქვა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში ინახება და დღესაც ის, ვინც მას რწმენით სცემს თაყვანს, სულიერი და ხორციელი ტკივილებისგან იკურნება.

როცა აღსასრულის მოახლოება იგრძნო, მწყემსმა კეთილმა უდაბნოს მკვიდრნი მოიხმო და უკანასკნელად დამოძღვრა. ამის შემდეგ იგი უფლის წმინდა სისხლსა და ხორცს ეზიარა და მადლობის შემწირველმა ღმერთს თავისი სული შეავედრა. უფალმა იესო ქრისტემ სიკვდილის შემდეგაც ადიდა მისი მსახური. ვინც წმინდანის ნეშტს შეეხო, ყველა განიკურნა, მათ შორის ერთი დაბადებიდან ბრმაც.

ქართულ მეცნიერებაში არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც იოვანე ზედაზნელი და მისი მოწაფენი უცხოეთში მოღვაწე ქართველები იყვნენ, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტეს. ამ თვალსაზრისს საფუძველი თვითონ წმიდათა მამათა ცხოვრებაში ეძებნება, სახელდობრ, წმინდა იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ მან ქართლის კათალიკოს ევლავიოზს პირველი შეხვედრისთანავე ქართულად დაუწყო საუბარი. კორნელი კეკელიძის ყურადღება მიიქცია, აგრეთვე, შიო მღვიმელზე მოწოდებულმა ცნობამაც იმის თაობაზე, რომ მას ასურული და ბერძნული ენები ჰქონდა შესწავლილი. ბუნებრივია, ისმება კითხვა, წმინდა მამა ასური რომ ყოფილიყო, მის მიერ მშობლიური ენის შესწავლა საგანგებოდ აღსანიშნი ფაქტი რატომ გახდებოდა?

ბოლო გამოკვლევების მიხედვითაც (ვ. გოილაძე), ქართლში მოსული წმიდა მამები არა ასურეთის, არამედ შუამდინარეთის ქ. ანტიოქიიდან (იგივე – ედესა, ურჰა, ახლანდელი ქ. ურფა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში) იყვნენ.

სამშობლოში დაბრუნება მათ, როგორც ჩანს, საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ გადააწყვეტინა, კერძოდ, მეზობელ ქვეყნებში, სპარსეთსა და სომხეთში მონოფიზიტობის საბოლოო გამარჯვებამ მართლმადიდებლობას საფრთხე ჩვენს ქვეყანაშიც შეუქმნა. საფიქრებელია, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველი მამები სამშობლოში სამონასტრო ცხოვრების ასაღორძინებლად დაბრუნდნენ, რათა მშობელ ხალხს ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვაში ამ გზით შეწეოდნენ.

იოვანე ზედაზნელმა და მისმა მოწაფეებმა ჩვენი ეკლესიის ისტორიაში მართლაც განუზომლად დიდი როლი შეასრულეს. აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში მათ მიერ დაარსებული სავანეები სულიერებისა და მწიგნობრობის ცენტრებად იქცნენ, რამაც ცხადია, ჩვენი ხალხის ზნეობასა და კულტურაზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა.

უკეთესად დახასიათება ასურელი მამებისა და მათი ღვაწლისა, ვიდრე ამას წმინდა აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში ვკითხულობთ, შეუძლებელია. როგორც თხზულების ავტორი წერს, ისინი იყვნენ: „ქუეყანისა ანგელოზნი, ნათელნი სოფლისანი, კაცნი წმინ-

დანი, ჭურნი სავსენი ნელსაცხებელითა, რომელთა თჳსითა მით სიმჴნითა განაშუენეს სოფელი ესე ჩუენი... იყვნეს ვითარცა ჯაჭჳ ოქროჲსაჲ მოდებული ერთიერთსა... რომელთა შუენიერითა მით სლვითა შეამკვეს ეკლესია. სახენი, წესნი და კანონი უცთომელნი მონაზონებისანი“...[34]

* * *

მე-6 საუკუნის შუა ხანებში ქართულ ეკლესიას ახალი წმინდანი შეემატა, რომელიც მოწამეობრივად აღესრულა. ეს იყო გვირობანდაკი, ეროვნებით სპარსი, ქალაქ განძაკიდან. მისი მამა მოგვი იყო და შვილსაც მოგვობისთვის ამზადებდა, მაგრამ გვირობანდაკის ჭეშმარიტების მაძიებელმა გონებამ და სულმა ცეცხლთაყვანისმცემლობის სიმართლე ვერ ირწმუნა. იგი ქრისტიანობასაც გასცნობია და ურიათა სჯულსაც, მაგრამ მისი სიმპათიები ქრისტიანობის მხარეზე გადახრილა და ხვასრო მეფის მეფობის მეათე წელს მცხეთაში წამოსულა, სადაც ბევრი მისი თანამემამულე ქრისტიანი ცხოვრობდა. ამ დროს ის ოცდაათი წლისა ყოფილა. მცხეთაში გვირობანდაკს მეხამლეობა შეუსწავლია, ქართველ ქრისტიანებს დაახლოებია და ცოლადაც ქართველი ქალი შეურთავს. ქრისტიანთა შორის ცხოვრებამ და მათი ღმრთისმსახურებისთვის თვალყურის დევნებამ კიდევ უფრო შეაყვარა „რჩული ქრისტიანობისაჲ“, კიდევ უფრო მეტად „ჭრწმენა ქრისტე“ და ბოლოს კიდევაც მოინათლა კათოლიკოსი სამოელის მიერ, რომელმაც მას **ევსტათი** უწოდა.

მამული რჯულისაგან განდგომისათვის მცხეთელმა სპარსელებმა ევსტათი ადგილობრივი ციხისთავის, უსტამის წინაშე დააბეზღეს, რომელმაც თავის მხრივ იგი სხვა შვიდ ქრისტიანთან ერთად თბილისის მარზაპან არვანდ გუშნასპთან გაგზავნა. ამ პერიოდისათვის სპარსელებს ქართლში მეფობა გაუქმებული ჰქონდათ და ქვეყანას მათი დანიშნული მარზაპნები განაგებდნენ, რომელნიც თბილისში ისხდნენ. მარზაპნის ბრძანებით, ევსტათი ციხეში ჩასვეს, საიდანაც ექვსი თვის შემდეგ ქართველი დიდებულებისა და კათოლიკოსის თხოვნით გაათავისუფლეს. სამი წლის შემდეგ, როცა ქართლში ახალი მარზაპანი ვეჟან ბუზმირი მოვიდა, მცხ-

[34] „მარტვილობაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 246-247.

ეთელმა სპარსელებმა ევსტათი ისევ დააბეზღეს. მარზაპანი ბევრს ეცადა მამული სჯულისთვის დაებრუნებინა იგი, მაგრამ, როცა არა გამოუვიდა რა, სიკვდილი მიუსაჯა. წმიდა ევსტათის თავი მოჰკვეთეს. ქრისტიანებმა წამებულის ნეშტი მოიპარეს და მცხეთას წაასვენეს, სადაც იგი კათოლიკოსმა სამოელმა დიდ ეკლესიაში დაასაფლავებინა.[35]

VI საუკუნეშივე მტკვრის სათავესთან მდებარე ხეობაში, რომელსაც კოლა ერქვა, ქრისტიანობის გამო ცხრა ბავშვი აწამეს, დაახლოებით 7-9 წლისანი.[36] სოფელში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ წარმართები და ქრისტიანები, მაგრამ რიცხობრივად წარმართები სჭარბობდნენ. როგორც ჩანს, ამ ხეობაში ქრისტიანობა აკრძალული არ ყოფილა, რადგან წარმართებისა და ქრისტიანების ბავშვები ერთად თამაშობდნენ. ქრისტიანებს თავიანთი ეკლესიაც ჰქონიათ, სადაც თავისუფლად ატარებდნენ წირვა-ლოცვას. მწუხრის ჟამს, როცა ხუცესი დარეკავდა, ქრისტიანი ბავშვები ლოცვის მოსასმენად ტაძარში მიდიოდნენ. მათ ცხრა წარმართი ბავშვიც მიჰყვებოდა, რომელთაც უყვარდათ ქრისტეს სჯული, მაგრამ როგორც მეკერპეთა შვილებს, ტაძარში არ უშვებდნენ. ერთხელაც, ბავშვებს განუმარტეს და უთხრეს, რომ თუ შესვლა უნდოდათ, იესო ქრისტეს სახელით უნდა მონათლულიყვნენ. მაშინ მათ გადაწყვიტეს მონათლულიყვნენ. ხუცესმა წარმართი მშობლების შიშით ცხრავე ყრმა ღამით მონათლა. თუმცა ზამთარი იყო და ციოდა, წყალი გათბა, ხოლო ახლად ნათელღებულნი ყრმანი ანგელოზმა, უფლის ბრძანებით, კაცთაგან უხილავად სამოსელითა სპეტაკითა შემოსა. ბავშვები შინ აღარ დაბრუნებულან, ისინი ქრისტიანებთან დარჩნენ. მშობლებმა ყრმები ცემითა და ლანძღვა-გინებით ძალით წაიყვანეს, მაგრამ მათი წინააღმდეგობა ვერ გატეხეს. ბავშვებმა ნაკერპავს პირი არ დააკარეს და შვიდი დღე უჭმელ-უსმელად გაძლეს. მშობლებმა ტკბილი სიტყვებითა და დაპირებებითაც სცადეს მათი გადმობირება, მაგრამ ამაოდ. მაშინ ისინი მთავართან მივიდნენ და

[35] „მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 30-45.

[36] იქვე, „წამებაჲ ყრმათა რიცხჳთ ცხრათაჲ“, გვ. 183-185.

უამბეს, რაც მოხდა. მთავარმა უთხრა, რომ მათი შვილები იყვნენ და როგორც უნდოდათ, ისე მოქცეოდნენ. მშობლებმა ყრმები იმ ადგილას მიიყვანეს, სადაც ნათელიღეს, ღრმა ორმო ამოთხარეს, ბავშვები შიგ ჩაყარეს და ქვებით თავები დაუხეთქეს. მერე ორმო ქვებით ამოავსეს და ზევიდან ნათხარი მიწა დააყარეს. მართლაც რომ იქედნეთა, ასპიტთა და მხეცთა იციან შვილთა შეწყალება, წარმართნი კი საკუთარ ნაშობთა მიმართ უწყალონი აღმოჩნდნენ. ასე აღსრულდა სიტყვა სახარებისა: „მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ და მამამან შვილი. და აღდგნენ მამა-დედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლვიდენ მათ“.

ქრისტიანობა სპარსეთსა და სომხეთში

კონსტანტინეპოლის ეკლესიაში სარწმუნოებრივი საკითხების გარშემო წარმოშობილმა შფოთმა და მღელვარებამ თავისი მძიმე შედეგები აღმოსავლეთში, კერძოდ, სპარსეთსა და სომხეთშიც გამოიღო.

მეხუთე საუკუნიის დასაწყისში სპარსეთში ქრისტიანების მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. ეს იყო შედეგი იმ კეთილისმყოფელი გავლენისა, რომელიც შუამდინარელმა ღმრთისმოსავმა ეპისკოპოსმა მარუთამ მოიპოვა სპარსეთის მეფე იზდეგერდზე – წმინდა ეპისკოპოსმა იგი მძიმე სნეულებისგან იხსნა.[37] მადლიერმა იზდეგერდმა არა მარტო დევნა შეწყვიტა ქრისტიანებისა, არამედ ტაძართა აშენებისა და ღმრთისმსახურების თავისუფლად ჩატარების ნებაც მისცა. სამწუხაროდ, ერთი ეპისკოპოსის მიერ გამოჩენილმა ზედმეტმა გულმოდგინებამ ქრისტიანების სიმშვიდე მალე დაარღვია. ეს იყო სუზის ეპისკოპოსი აბდია, რომელმაც ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი გადაწვა. მეფემ მისგან ტაძრის აღდგენა მოითხოვა, მაგრამ აბდიამ წარმართული ტაძრის აღდგენას სიკვდილი ამჯობინა. იგი მართლაც დასაჯეს. მაგრამ განრისხებული მეფისთვის მხოლოდ მისი დასჯა ცოტა აღმოჩნდა. მან ქრისტიანთა ეკლესიების დანგრევა ბრძანა, რასაც მალე (418 წ.) მათი დევნაც მოჰყვა, რომელიც მთელი ოცდაათი წელი გაგრძელდა.

[37] **Сократ Схоластик, Церковная история, VII, 8.**

დევნამ უკიდურესად სასტიკი ხასიათი იზდეგერდის მემკვიდრის, ვარარანის დროს შეიძინა.[38] სპარსელი მოგვები ხელისუფლებასა და ხალხს ქრისტიანთა წინააღმდეგ ყველაზე ულმობელი ზომების მიღებისაკენ აქეზებდნენ. ქრისტიანებს ცოცხლად მარხავდნენ, ტყავს აძრობდნენ, მაგრამ ისინი ენითუთქმელ წამებას ისეთი მოთმინებითთ იტანდნენ, რომ თვით მტანჯველთაც აოცებდნენ.

ამ დროისათვის სამეფო კარზე მრავალი ქრისტიანი ცხოვრობდა, რომელთაც მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ. როცა სარწმუნოების უარყოფა მათაც მოსთხოვეს, ერთ-ერთმა მათგანმა, გორმიზდასმა მეფეს უთხრა: „რა სარგებელი გექნება, თუ შენს მოთხოვნას შევასრულებ? ვინც ყოვლისშემძლე ღმრთის, მისი შემოქმედის უარყოფას დათანხმდება, განა შეიძლება ის მიწიერი მეფის საიმედო მსახური იყოს?“ მას თანამდებობაც ჩამოართვეს, ქონებაც და ჯოგის მწყემსად გაგზავნეს, ფიქრობდნენ რა, რომ ამგვარი დამცირებით ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე უარს ათქმევინებდნენ, მაგრამ როცა მიზანს ვერ მიაღწიეს, გორმიზდასი სიკვდილით დასაჯეს.

საშინელი წამების შემდეგ დიაკვანი ბენიამინი საპყრობილეში ჩაკეტეს და თავისუფლებას შეჰპირდნენ იმ პირობით, რომ ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებაზე ხელს აიღებდა. მან უარი განაცხადა და თქვა: „ჩემი მოვალეობაა სხვებიც ვაზიარო ნათელს, რომელიც მე მივიღე. სახარება მკაცრად განსჯის მას, ვინც მისთვის მინდობილ ტალანტს მალავს“. ბენიამინი მოწამეობრივად აღესრულა.

აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქრისტიანები მხურვალედ თანაუგრძნობდნენ სპარსეთში მცხოვრებ მორწმუნეებს. სპარსეთიდან ლტოლვილი ქრისტიანები იმპერიაში პოულობდნენ თავშესაფარს. როცა ამის შესახებ შეიტყო, ვარარანმა საზღვრის დაცვა გააძლიერა, ხოლო შემდეგ იმპერატორ თეოდოსის იმათი გადაცემა მოსთხოვა, რომელთაც თავი მის ქვეყანას შეაფარეს. თეოდოსიმ უარი უთხრა, რაც ორ ქვეყანას შორის ომის მიზეზი გახდა. ქრისტიანების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მაგრამ ბოლოს ვარარანის გაბოროტება ეპისკოპოსი აკაკის დიდსულოვნურმა საქციელმა დაამარცხა. ტყვეობაში შვიდი ათასი სპარსელი იტანჯებოდა. ამიდის

[38] იქვე, VII, 18.

ეპისკოპოსმა აკაკიმ სამღვდელოება შეკრიბა და ტყვეების გამოსაკვებად და გამოსასყიდად საეკლესიო ოქროს ჭურჭლის შეკრება და გაყიდვა შესთავაზა. ქრისტიანთა საქციელმა ვარარანი სახტად დატოვა. იგი მიხვდა ჭეშმარიტებას იმ რელიგიისა, რომელსაც დევნიდა, ქრისტიანთა დევნის შეწყვეტა ბრძანა და აკაკი თავისთან მიიწვია. მალე მან სამშვიდობო ზავი დადო თეოდოსისთან.

ვარარანი სიკვდილამდე მფარველობდა ქრისტიანებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისმა მემკვიდრემ, იზდეგერდ II, მათი დევნა გააახლა. ამის პირველი საბაბი სომხეთში დაწყებული მღელვარება გახდა. ამ დროისათვის სომხეთის ერთი ნაწილი სპარსეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო მეორე ნაწილი აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხელისუფლებას აღიარებდა. როგორც ქრიტიანული ქვეყანა, ბუნებრივია, იგი უფრო ბიზანტიის იმპერიისკენ მიილტვოდა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ დიდი ხნის განმავლობაში სომეხი ეპისკოპოსები ხელთდასხმას კესარიის მთავარეპისკოპოსისაგან იღებდნენ. თავის მხრივ სპარსეთი ცდილობდა ქრისტიანული იმპერიის ზეგავლენა სომხეთზე შეემცირებინა და ხალხი დაერწმუნებინა, რომ მისთვის უმჯობესი წარმართობაზე დაბრუნება იქნებოდა. სომეხთა ღმრთისმოსავი მეფის ვრამშაპუგის დროს ძველ სომხეთს განათლების ოქროს ხანა დაუდგა.

სომხეთის მთავარეპისკოპოსმა ისაკმა და მისმა მეგობარმა მესროპმა მთელი თავიანთი ცხოვრება წმინდა წერილის თარგმნას მოანდომეს. სომხური წყაროების მიხედვით, მათ მეხუთე საუკუნეში სომხური ანბანი შექმნეს და ბიბლია თარგმნეს. სომეხთა პირველი ისტორიკოსი მოსე ხორენელი მათი მოწაფე იყო. როცა სპარსეთის მეფემ იზდეგერდ II ქრისტიანთა დევნა დაიწყო და მისი რისხვა თავს სომხეთსაც დაატყდა, მოსე ხორენელი დასტიროდა სომხური ეკლესიის მწარე ხვედრს, დანგრეულსა და გაძარცვულ ტაძრებს, აღებულ ქალაქებს, დამშეულსა და დაბეჩავებულ ხალხს. მალე ამას თვით ეკლესიის შიგნით ატეხილი მღელვარებაც დაემატა, რომელიც ქალკედონის კრებაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია. სამწუხაროდ, სომხეთში მონოფიზიტური ერესის მომხრეებმა იმძლავრეს და ადგილობრივ კრებაზე ქალკედონის კრებაზე მიღებული სწავლება იესო ქრისტეს შესახებ ანათემაზე

გადასცეს. ასი წლის შემდეგ ქალკედონის კრებაცა და მის დადგენილებათა მომხრეებიც ისევ შეაჩვენეს. ამგვარად, სომხეთის ეკლესია მართლმადიდებლურ ეკლესიას მოსწყდა და ყოველი მცდელობა ბერძნული ეკლესიის მხრიდან მართლმადიდებლობაზე მის დასაბრუნებლად ამაო გამოდგა.

წმინდა მოღვაწენი და საეკლესიო მწერლები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებში

ეკლესიის შიგნით სხვადასხვა ერესისა და განხეთქილების წარმოშობა, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელებას დიდად ვნებდა. სამწუხაროდ, ზოგიერთმა ხალხმა ცრუ მქადაგებლებისაგან ერესით შერყვნილი სწავლება შეითვისა. ასე მაგალითად, გოთების მთელი ტომი, რომელმაც იმპერატორი ვალენტის დროს არიოზელობა მიიღო, ამ დამახინჯებულ მოძღვრებას მტკიცედ იცავდა. გოთების ოჯახის მრავალირცხოვანი განშტოება: ოსტ და ვესტ გოთები, ალემანები, ბურგუნდები, ვანდალები და, აგრეთვე, ლანგობარდებიც დიდი ხნის განმავლობაში არიოზის ცრუ მოძღვრების აღმსარებელნი იყვნენ. მართალია, აღმოსავლეთში არიოზელობამ თავისი ძალა დაკარგა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნესტორისა და ევტიქის ერესების ურიცხვმა სექტამ მრავალი ქრისტიანი აცდუნა. ცრუ სწავლებათა გავრცელებასა და გაძლიერებასთან ერთად შესამჩნევი ხდებოდა ზნეობის დაცემაც. ქრისტიანული სიყვარული მტრობამ და შუღლმა, ხოლო ჭეშმარიტი რწმენა – ცრუ რწმენამ შეცვალა. თვითონ სამღვდელოება ანგარებისმოყვარებისა და მიწიერ სიკეთეთა მოხვეჭის სენით დაავადდა. ეკლესიის დიდი მამა **ისიდორე პელუსიელი** წერდა: „ახლა სამღვდელო წოდება გაბატონების საშუალება გახდა. თავმდაბლობა ქედმაღლობამ შეცვალა, თავშეკავებულობა-ფუფუნებამ, მშვიდი მზრუნველობა სახლეულობაზე – თვითმპყრობელობამ. ერთნი კადნიერდებიან გაყიდონ მღვდლობა, ხოლო მეორენი – იყიდონ“.

ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ მონასტრებსა და უდაბნოს კელიებში შენარჩუნდა. უდაბნოებისკენ ისწრაფოდნენ ყველაზე მაღალი სულის, ყველაზე

ნათელი პიროვნებანი, რომელთაც არც ქალაქების გარყვნილ ცხოვრებასთან შერიგება შეეძლოთ და ვერც ბოროტებასა და ბიწიერებასთან ბრძოლის საშუალებებს ხედავდნენ. უდაბნოებში მიდიოდნენ ცნობილი და მდიდარი მოხელენი, რომელთაც გამოცდილებით იცოდნენ ამაოება მიწიერი დიდებისა, სწავლულნი და სიბრძნით განთქმულნი, რომელთაც კაცობრივი ცოდნა მთელი სიღრმით ჰქონდათ შეთვისებული. ისინი მთელ თავიანთ ქონებას ქრისტეს სწირავდნენ და სანაცვლოდ უფრო მყარ სიმდიდრეს – ქრისტიანულ სიბრძნესა და სიმდაბლის სიმაღლეს იხვეჭდნენ. განუწყვეტელი ლოცვა, მუდმივი სწრაფვა ღმრთისაკენ და გულმოდგინე შესწავლა წმინდა წერილისა, უწინარესად მათ სულიერ ძალებს განამტკიცებდა. მაგრამ მეუდაბნოებას სარგებლობა ამა სოფლისთვისაც მოჰქონდა. უდაბნოთა სიღრმიდან განდეგილთა ბრძნულ შეგონებებს გონს მოჰყავდა მიწიერი ვნებებით გატაცებულნი და თვალს უხელდა ჭეშმარიტი გზიდან გადამცდართ, რომელნიც დაღუპვისკენ მიექანებოდნენ. უდაბნოებიდან მოისმოდა სიტყვა შერიგებისა, რჩევა-დარიგებისა და უსამართლობათა მხილებისა. და სოფელიც მოკრძალებით უგდებდა ყურს მათ, რომელთაც ქრისტესთვის ამა სოფლის დიდებანი და ცდუნებანი დათმეს. ღირსმა ისიდორემ, რომელიც ეგვიპტეში, პელუსიის მახლობლად მდებარე სავანეს წინამძღვრობდა და გამუდმებით ადევნებდა თვალს ეკლესიის საქმიანობასაც, უდაბნოდან რამდენიმე ათასი წერილი მოიწერა. ეს წერილები, რომელთა ადრესატები ეპისკოპოსები, მხარეთა მმართველები, ბერები და თვით იმპერატორებიც კი იყვნენ, ზნეობრივ შეგონებებსა, რჩევა-დარიგებებსა და ერესის მხილებასთან ერთად წმინდა წერილის განმარტებებსაც შეიცავდა. ჩვენამდე წმინდა მამის ორიათასმა წერილმა მოაღწია, რომლებიც გამოირჩევიან როგორც ქრისტიანული სიბრძნის სიდიადით, ასევე სილამაზით ცხოველი სიტყვისა. წმინდა ისიდორე პელუსიელი მეხუთე საუკუნის შუა ხანებში გარდაიცვალა.

წმინდა ისიდორეს ერთი ცნობილი თანამედროვეთაგანი ღირსი **არსენი დიდი** იყო, მკვიდრი რომისა. ისიდორეს მსგავსად ისიც წარჩინებულთა წრეში დაიბადა და ფუფუნებაში იზრდებოდა, მაგრამ სოფლის სიკეთენი ყრმობიდანვე მოიძაგა, სასულიერო წოდება

მიიღო და მთელი არსებით ლოცვასა და განსწავლას მიეცა. იმპერატორ თეოდოსი დიდს, რომელიც იმ დროისათვის თავისი ვაჟების აღმზრდელს ეძებდა, ვითარცა მთელ რომში ერთი ყველაზე განსწავლული და ღმრთის მოსავი პიროვნება, დიაკონი არსენი მიასწავლეს. იმპერატორმა დაითანხმა არსენი აღსაზრდელად აეყვანა ყრმა უფლისწულები, კონსტანტინეპოლში სენატორის წოდება მიანიჭა და როგორც მისი და მისი შვილების სულიერ მამას, ისე იხსენიებდა. არსენის ირგვლივ განსაცვიფრებელი სიმდიდრე სუფევდა, ათასი მსახური ემსახურებოდა, მისი სასახლე ოქროთი ბრწყინავდა, ხოლო სამოსელი მდიდრულობით გამოირჩეოდა, მაგრამ ამ სიმდიდრეში არსენი კვლავ სულიერი მოღვაწის ცხოვრებაზე ოცნებობდა, რაც ორმოცი წლის ასაკში აუხდა. მან სკიტის უდაბნოს მიაშურა, სადაც იოვანე კოლოვს დაემოწაფა. იოვანე ნებისყოფის სიმტკიცითა და სულიერი ცხოვრების გამოცდილებით განთქმული მეუდაბნოე იყო. როცა იგი უდაბნოში მივიდა, მოძღვარმა, რომელსაც მოწაფედ დაუდგა, მიწაში გამხმარი ჯოხი ჩაასო და უბრძანა მანამდე მოერწყა, ვიდრე იგი ნაყოფს არ გამოიღებდა. იოვანე ამ ბრძანებას ყოველდღე ასრულებდა; სამი წლის შემდეგ ჯოხი მართლაც გაიფოთლა და ნაყოფიც გამოიღო, რომელსაც მოძღვარმა მორჩილების ნაყოფი უწოდა. თავის მხრივ, იოვანეც არსენს თვითუარყოფისაკენ მკაცრი გზით წარუძღვა. არსენი სრულებით მიენდო მოძღვარს და ცხოვრების მკაცრი წესითა და განსაკუთრებით ღრმა მორჩილებით თვით მეუდაბნოებსაც კი აოცებდა. მას უყვარდა დუმილი, სიღატაკე, უხალისოდ იძლეოდა რჩევებს, სამაგიეროდ დარიგებას თვით ყველაზე უბრალო ადამიანებისგანაც კი იღებდა და უფროსების ბრძანებებს მორჩილად აღასრულებდა. წმინდა მამა განუწყვეტლივ ლოცულობდა და მუდამ სიკვდილზე ფიქრობდა. როცა თეოფილე, უფლებისმოყვარე მთავარეპისკოპოსი ალექსანდრიისა, კვდებოდა, წამოიძახა: „როგორი ნეტარი ხარ შენ, აბბა არსენ, რომ გონებით ამ საშინელ წუთს არასოდეს ივიწყებდი“.

ამავე პერიოდში ცხოვრობდა **ღირსი ნილოსი**, რომელიც სიჭაბუკეში იოვანე ოქროპირს უსმენდა. დიდძალმა სიმდიდრემ და არისტოკრატულმა წარმოშობამ მას სამეფო კარზე ბრწყინვალე

მდგომარეობა შეუქმნეს. ახალგაზრდობაში იგი კონსტანტინეპოლის ეპარქოსი იყო, მაგრამ ვერ შეეგუა რა დედაქალაქის ცხოვრების უზნეობასა და ამაოებას, სოფელი დატოვა და თავის ვაჟთან ერთად სინას მთაზე, ერთ-ერთ სავანეში, განმარტოვდა. მის კელიას ვიწრო გამოქვაბული წარმოადგენდა, რომელიც თვითონვე გამოთხარა, ხოლო საკვებს – მხოლოდ ფესვები. ნილოსმა დაგვიტოვა განმარტებანი წმინდა წერილისა და შესანიშნავი თხზულებანი სულიერ ცხოვრებაზე. უფალმა მეუდაბნოეს მძიმე განსაცდელი მოუვლინა: სარაცინებმა, რომლებიც სინას სავანეს დაესხნენ თავს, მისი ვაჟი ტყვედ წაიყვანეს. ისინი ყმაწვილის მნათობი ვენერასათვის მსხვერპლად შეწირვას აპირებდნენ, მაგრამ იგი ემესის ეპისკოპოსმა გამოისყიდა. დამწუხრებული მამა დიდხანს დასტიროდა შვილს, რომელიც დაღუპული ეგონა და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გაიხარა მასთან შეხვედრით. ნიტრიის, სკიტის თუ სხვა უდაბნოები ეგვიპტისა ისეთი დიდი მოღვაწეების დიდებით ბრწყინავდნენ, როგორებიც იყვნენ: **პაისი დიდი, მოსე, პაფნუტი, ონოფრე დიდი, მარკოზი**, რომელსაც ცხოვრების მკაცრი წესის გამო ასკეტი ეწოდა. მარკოზმა მრავალი დამრიგებლობითი ხასიათის თხზულება დაგვიტოვა: „იმათ შესახებ, რომელნიც ფიქრობენ, რომ საქმეებით განმართლდებიან“, „სინანულის შესახებ“, „ნათლობის შესახებ“, „სხვადასხვა ხარისხის შესახებ სულიერი სრულყოფისა“ და სხვ.

განდეგილთა ღვაწლი სხვადასხვაგვარი იყო. ზოგჯერ სიყვარული მოყვასისა მათ მკაცრი უდაბნოების სიღრმეებიდან იხმობდა და აიძულებდა, ვითარცა დამრიგებელნი და მქადაგებელნი, ქალაქებს სტუმრებოდნენ. ასე მაგალითად, **იოვანე კოლოვმა** გაიგო რა, რომ მისმა ერთმა ნაცნობმა ღმრთისმოსავმა ქალმა, ტაისიამ, გაჭირვების გამო გარყვნილი ცხოვრება დაიწყო, მაშინვე ალექსანდრიას მიაშურა, რათა ცოდვილისთვის თვალი აეხილა. მან მართლაც მიაღწია იმას, რომ ტაისიას სულში ცხოველმა სინანულმა გაიღვიძა. ღმერთმა მისი გულწრფელი სინანული შეიწირა და მშვიდი აღსასრული მოუვლინა.

ერთ-ერთმა მოღვაწემ, **სერაპიონ სინდონელმა**, მთელი თავისი ცხოვრება მახლობელთა სულების გადარჩენას მიუძღვნა. მან წმინდა წერილი თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა, ქალაქებსა

და სოფლებში დადიოდა და ღმრთის სიტყვას ქადაგებდა. ერთხელ საკუთარი თავი წარმართ კომედიანტს მიჰყიდა და იგი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია. შემდეგ ერეტიკოსს დაუდგა მსახურად და ისიც გონს მოიყვანა. არაფერი ჰქონდა გარდა სამოსელისა და სახარებისა. ბოლოს ისინიც გაყიდა, რათა გასაჭირში ჩავარდნილს დახმარებოდა, რომელსაც გადაუხდელი ვალების გამო ციხეში ჩასმა ემუქრებოდა. როცა ერთმა ნაცნობმა ჰკითხა, როგორ შეელია თავის სახარებას, სერაპიონმა უპასუხა: „მე აღვასრულე მცნება, რომელსაც იგი ყოველდღე შთამაგონებდა“.

მე-6 საუკუნეში მონოფიზიტურმა ცრუსწავლებამ ეგვიპტის უდაბნოებსა და სავანეებშიც შეაღწია, რის შედეგადაც ღმრთისმოსაობამ შესამჩნევად იკლო. იგი კიდევ უფრო სწრაფად გავრცელდა სირიაში, სადაც ეპისკოპოსთა უმრავლესობა ნესტორის ერესისკენ იხრებოდა. ნესტორის თანაგრძნობა ბრალად ედებოდა ამ ქვეყნის ეპისკოპოსთაგან ერთ-ერთ ყველაზე ცნობილს, ნეტარ **თეოდორიტე კვირელსაც**. ერთ ხანს ნესტორის ერესს ის მართლაც იცავდა, მაგრამ შემდეგ თავისი ცდომილებანი შეიცნო და დაგმო. მისი მოღვაწეობა, როგორც ეპისკოპოსისა, მხოლოდ პატივისცემას აღძრავდა. თეოდორიტემ მრავალი წარმართი და ერეტიკოსი მოაქცია, მამობრივი სიყვარულით ზრუნავდა თავის სამწყსოზე, რის გამოც თავისი სიცოცხლე რამდენჯერმე საფრთხეშიც კი ჩააგდო. იგი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობდა, რადგან, რაც ჰქონდა, ყოველივე ღარიბებს დაურიგა. მორჩილებით იტანდა უსამართლო დევნას და იმისთვისაც ჰმადლობდა ღმერთს, რომ უდანაშაულოდ იდევნებოდა. საერთო გაღიზიანების დროს, რომელსაც საღმრთისმეტყველო კამათები იწვევდა, თეოდორიტეს შეეძლო სულის სიმშვიდე შეენარჩუნებინა და მტრობა და შფოთი ჩაეწყნარებინა. კვირის ეპისკოპოსი თავისი დროის ერთი ყველაზე განათლებული პიროვნება იყო. გარდა წმინდა წერილის განმარტებებისა, თეოდორიტემ დაგვიტოვა შესანიშნავი თხზულება სირიელ მოღვაწეებზე და ეკლესიის ისტორია 322 წლიდან 450 წლამდე. ეს პერიოდი ეკლესიის ისტორიისა სოკრატესა და სოზომენესაც აქვთ აღწერილი, ხოლო მომდევნო დროის მოვლენები, სახელდობრ, მე-5 საუკუნის შუა წლებიდან მე-6 საუკუნის ბოლომდე, სირიელმა ისტორიკოსმა ევაგრემ აღგვიწერა.

სირიელ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა წმინდა **სვიმეონ მესვეტე**. იგი უბრალო წრეში დაიბადა და უკვე 30 წლისა იყო, როცა აღთქმა დადო, რომ მთელ ცხოვრებას ღმრთის სამსახურს მიუძღვნიდა. მუდამ თვალწინ ედგა რა მაცხოვრის ვნებანი, მისი სიყვარულით ანთებულმა ნებაყოფლობით იდო თავს მძიმე ღვაწლი და გაჭირვება. მრავალფეროვანი სულიერი მოღვაწეობის შემდეგ ის ანტიოქიის მახლობლად მაღალ სვეტზე ავიდა და მასზე მდგარი დღესა და ღამეს ლოცვაში ატარებდა. მეუდაბნოე მამებმა, რომელნიც შიშობდნენ, რომ სვიმეონს ეს გზა პატივმოყვარეობის გამო ხომ არ ჰქონდა არჩეული, სვეტიდან ჩამოსვლა უბრძანეს. სვიმეონმა ბრძანების ასრულება მაშინვე, ყოველგვარი შეპასუხების გარეშე დააპირა, რადგან თვლიდა, რომ მორჩილება ნებაყოფლობით არჩეულ ყოველგვარ ღვაწლზე უფრო დიდია. მაშინ მეუდაბნოეებმა, რომელნიც მისმა უსიტყვო მორჩილებამ დაარწმუნა, რომ სვიმეონი არა საკუთარი პატივისა და დიდების ძიებას, არამედ ჭეშმარიტად ღმერთს ემსახურებოდა, მას სვეტზე დარჩენის ნება დართეს. სვიმეონმა სვეტზე დაახლოებით ორმოცი წელი გაატარა. მისმა სახელმა მრავალი ადამიანი მიიზიდა, რომელნიც მისი სვეტის გარშემო განუწყვეტლივ ირეოდნენ: ერთნი რომ მისი დამრიგებლური სიტყვის მოსასმენად მოდიოდნენ, მეორენი – მისი ლოცვით განსაკურნებლად. წმინდა სვიმეონის ქადაგებით მოქცეულ წარმართებს თავიანთი კერპები მოჰქონდათ და სვეტის ძირთან ამსხვრევდნენ. ერეტიკოსები თავიანთ ცდომილებებს აღიარებდნენ. სვიმეონი წერილების საშუალებით აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეკლესიის საქმეებშიც. მის ეპისტოლეებს სასულიეროცა და საერო ხელისუფლებაც ერთნაირი კრძალვით კითხულობდა. აღსრულებული სასწაულებით სიცოცხლეშივე განდიდებული წმინდა სვიმეონ მესვეტე მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში გარდაიცვალა. შემდეგში მის მაგალითს მიბაძა მისმა მოწაფემ, **დანიელ მესვეტემ**, ხოლო მოგვიანებით **სვიმეონმა**, რომელიც ანტიოქის მახლობლად მდებარე საკვირველ მთაზე მოღვაწეობდა.

სირიის მონასტრები, ვიდრე იქ ცრუ სწავლებანი შეაღწევდნენ, სულიერ ღვაწლთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. მათ შო-

რის ერთი ყველაზე ცნობილი ე.წ. მღვიძარეთა მონასტერი იყო, რომელიც წმინდა ალექსანდრემ დაარსა ევფრატის ნაპირას. მასში დღედაღამ არ წყდებოდა დიდებისმეტყველება ღმრთისა.

სირიისა და პალესტინის მკვიდრთ ხშირად ესხმოდნენ თავს სარაცინები, რომელთაც ბერები ტყვეებად მიჰყავდათ და მონებად ყიდდნენ, ან წამებით კლავდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში სინას მთის სავანენი აღმოჩნდნენ, რომელნიც იქ მოღვაწე ბერთა ღმრთისმოსაობით იყვნენ განთქმულნი. სინელი ბერებიდან განსაკუთრებით გაითქვა სახელი **იოვანე სინელმა** ანუ კიბისაღმწერელმა, რომელიც მე-6 საუკუნეში ცხოვრობდა. იოვანემ, რომელიც სინას სავანეთა იღუმენი იყო, დაგვიტოვა ბრწყინვალე თხზულება „სათნოებათა კიბე“, რომელშიც სრულყოფილებისკენ ამავალი კიბის საფეხურებია აღწერილი.

მრავალი ღმრთისმოსავი მოღვაწე აღზარდა ფარანის ლავრამაც, მათ შორის ცნობილია **ექვთიმე დიდი**, დამაარსებელი ლავრისა, რომელიც იერუსალიმსა და იერიქონს შორის მდებარეობდა. მისმა წმინდა ცხოვრებამ, სიბრძნემ და ღმრთისგან მინიჭებულმა სასწაულთქმედების ძალამ მრავალი მიიზიდა და მალე მისი სავანე პალესტინაში სულიერი მოღვაწეობის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. ლავრის გაზრდას განსაკუთრებით ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. ბიზანტიის იმპერიასა და სპარსეთს შორის ომის დროს, როცა სპარსეთის ქრისტიანები საშინელ გასაჭირში ჩავარდნენ, ერთ სპარს მხედართმთავარს, სახელად ასპევეტს, შეებრალა ისინი და მფარველობა გაუწია, რის გამოც მეფის რისხვა დაიტეხა თავს; იგი იძულებული გახდა თავისი ქვეყანა დაეტოვებინა და თავშესაფარი იმპერიაში ეძებნა. იმპერატორმა ასპევეტი კეთილგანწყობით მიიღო და იმპერიის ქვეშევრდომი სარაცინების ტომის მხედართმთავრობა უბოძა. ასპევეტს შვილი მძიმე სნეულებით ჰყავდა ავად. ყმაწვილი უკვე რამდენიმე წელია იტანჯებოდა და ექიმები ვერას შველოდნენ. უბედურ მამას უკვე ყოველგვარი იმედი დაკარგული ჰქონდა, როცა უფალმა მოწყალე თვალით გადმოხედა. ერთხელ ყმაწვილმა, რომელსაც ტერევონი ერქვა, ჭეშმარიტ ღმერთს ვედრებით მიმართა. იმავე ღამეს მას ბერის სამოსელით ეჩვენა კაცი, რომელმაც ჰკითხა: „ირწმუნებ

ჭეშმარიტ ღმერთს, თუკი იგი შენ ჩემ მიერ განგკურნავს?“ – „ვირწმუნებ“, უპასუხა ყმაწვილმა. „მაშინ პალესტინის ლავრაში მიდი, სადაც მე, ექვთიმეს, მიპოვი“. ტერევონმა ჩვენების შესახებ მამას უამბო, რომელმაც ვაჟი ღირსი ექვთიმეს სავანეში წაიყვანა, სადაც იგი მართლაც განიკურნა. მაშინ ასპევეტი მთელ თავის ოჯახსა და მრავალ სარაცინთან ერთად მოინათლა, სავანე მნიშვნელოვნად გააფართოვა და შემდეგში მისი წინამძღვარიც გახდა.

ღირსი ექვთიმეს ერთმა მოწაფემ, **საბა კაპადოკიელმა**, იერუსალიმის ახლოს, მდინარე კედრონის დამშრალ კალაპოტში ლავრა დააარსა, რომელიც შემდეგში საბა განწმენდილის ლავრის სახელწოდებით გახდა ცნობილი. მეორე ცნობილი მოღვაწის წმინდა **თეოდოსი დიდის** მიერ დაფუძნდა ლავრა, რომელიც იერუსალიმსა და ბეთლემს შორის მდებარეობდა. საბაცა და თეოდოსიც მტკიცედ იცავდნენ ჭეშმარიტ მოძღვრებას, თუმცა ამისთვის იძულებულნი იყვნენ იმპერატორ ანასტასის დაპირისპირებოდნენ, რომელიც ერეტიკულმა სწავლებამ გაიტაცა. მათ შექმნეს წესდებანი, რისი წყალობითაც პალესტინის მონასტრებში უფრო დიდი წესრიგი დამყარდა, ვიდრე მანამდე იყო. საბა წინამძღვარი გახდა რამდენიმე განდეგილური სავანისა, რომლებიც თვითონვე დააარსა, ხოლო თეოდოსი – ფუძემდებელი საზოგადო მონასტრებისა ანუ კინოვიებისა.

ყველა ამ სავანეში ბერ-მონაზვნები მკაცრ ცხოვრებას ეწეოდნენ, რომელიც ძირითადად ლოცვისადმი იყო მიძღვნილი. წმ. საბას ლავრის ბერები სადაგ დღეებში თავ-თავიანთ კელიებში ლოცულობდნენ და ღმრთის მსახურებისათვის ერთად მხოლოდ შაბათ-კვირასა და სადღესასწაულო დღეებში იკრიბებოდნენ. დღესასწაულის წინა ღამის მსახურება საღამოთი იწყებოდა და დილამდე გრძელდებოდა. საბამ, იმ ეროვნებათა მიხედვით, რომელთაც ძმობის წევრები ეკუთვნოდნენ, თავის სავანეში ოთხი ტაძარი ააგო, რათა ღმრთისმსახურების მოსმენა ყოველს მისთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე შეძლებოდა. ზოგიერთ მონასტერში არსებობდა ასეთი ჩვეულება: ძმები მკაცრ უდაბნოებში გადიოდნენ და იქ მთელი დიდი მარხვის განმავლობაში, ან კიდევ იანვრის მეორე ნახევრიდან ბზობის კვირამდე რჩებოდნენ, ამ ხნის განმავლობაში

მხოლოდ მცენარეთა ფესვებითა და ნაყოფებით იკვებებოდნენ და მთელ დროს განმარტოებულ ლოცვას ანდომებდნენ.

ერთ-ერთი პალესტინელი ბერი **ზოსიმე** უდაბნოში ამგვარი გასვლისას ღირსი გახდა სასწაულებრივი შეხვედრისა. იგი შეხვდა წმინდა მოღვაწე ქალს, რომელსაც უდაბნოში მარტოს უკვე ორმოცი წელი ჰქონდა გატარებული, ცდილობდა რა ლოცვით, მარხვითა და სინანულით გამოესყიდა თავისი ბიწიერი ახალგაზრდობის ცოდვანი. ქალმა ზოსიმეს მთელი თავისი ცხოვრება უამბო. დაიბადა ალექსანდრიაში და ადრეული ასაკიდან შეუდგა გარყვნილ ცხოვრებას. ერთხელ იგი მლოცველებს შეხვდა, რომელნიც ჯვართამაღლების დღესასწაულზე იერუსალიმში მიდიოდნენ და თან გაჰყვა. მაგრამ ეკლესიის კარებთან რაღაც უხილავმა ძალამ შეაჩერა და ტაძარში, სადაც ხალხი ლოცულობდა, ვერაფრით ვერ შევიდა. მაშინ მან მეყსეულად შეიგრძნო რა ცოდვილი ცხოვრებით ცხოვრობდა და მის გულში სინანულმა გაიღვიძა. თვალებიდან ცხარე ცრემლები გადმოსცვივდა, შემდეგ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს შეევედრა და აღთქმა დადო, რომ ცოდვილ ცხოვრებაზე ხელს აიღებდა და დარჩენილ ცხოვრებას ღმრთის სამსახურში გაატარებდა. ამის შემდეგ იგი ტაძარში დაუბრკოლებლად შევიდა და უფლის პატიოსან ჯვარს მიეახლა. ამ დროს მოესმა ხმა, რომელმაც უბრძანა იორდანეს გაღმა გასულიყო. იგი მოინათლა, წმიდათა საიდუმლოთა ეზიარა და იორდანეს გაღმა უდაბნოში გავიდა, სადაც მძიმე ცხოვრება ელოდა. მას მოუწია გადატანა სულიერ მოღვაწეთათვის კარგად ცნობილი მძიმე შინაგანი ბრძოლისა, რათა მოგონებანი ჩაეხშო და წარსული ცხოვრების მონატრება დაეთრგუნა. ხშირად როცა შიმშილი, წყურვილი ან აუტანელი ხვატი მეტისმეტად შეაწუხებდა, გონებით იმ ფუფუნებას წარმოიდგენდა, რომელშიც ცხოვრება ალექსანდრიაში უხდებოდა, თავში გასართობი სიმღერების სიტყვები მოდიოდა და ლოცვაში ხელს უშლიდა. მაგრამ ცდუნებებს მოუღლელად ებრძოდა, მიწაზე ემხობოდა და ცრემლებითა და შემუსრვილი გულით ღმერთს შემწეობას ევედრებოდა. ბოლოს და ბოლოს მისი ვედრება შესმენილ იქნა: მრავალი წლის ტანჯვისა და მძიმე ბრძოლის შემდეგ განდეგილმა სიმშვიდე მოიპოვა, სულში ქარიშხალი ჩაუწყნარდა და

მთელი არსებით უფლის სამსახურს მიეცა.

უამბო რა ეს ყოველივე ზოსიმეს, წმინდა მოღვაწემ სთხოვა მეორე წელსაც მოსულიყო და მისთვის წმინდა ძღვენი მიეტანა. როცა ზოსიმემ თხოვნა შეუსრულა და მივიდა, დაინახა, როგორ გადმოვიდა იგი იორდანეზე როგორც ხმელეთზე. ქალი ეზიარა და წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ზოსიმემ იგი მკვდარი იპოვა. მისი ნეშტის ახლოს ქვიშაზე გამოყვანილი იყო სიტყვები: „მამაო ზოსიმე, დაფლე აქ ნეშტი მდაბალი მარიამისა, რომელიც პირველ აპრილს გარდაიცვალა. მიეცი მიწა მიწას“. როგორც ფიქრობენ, ეს მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა. მეუდაბნოე დედას ჩვენი ეკლესია **მარიამ ეგვიპტელის** სახელით იხსენიებს.

სულიერი მოღვაწეობისკენ სწრაფვა დასავლეთშიც შეიმჩნეოდა, ოღონდ უფრო ნაკლებად, ვიდრე აღმოსავლეთში.

მართლმადიდებელი ეკლესია დიდ პატივს მიაგებს რომის მკვიდრს, ღმრთისკაცს, წმინდა **ალექსის**. მან სიჭაბუკეშივე დატოვა სამშობლო, ოჯახი, ახალგაზრდა ცოლი, დიდძალი სიმდიდრე, რათა სილატაკეში ღმრთისთვის ემსახურა. იგი ედესაში ჩავიდა და 17 წელი ღმრთისმშობლის ტაძარში დღედაღამ ლოცვაში გაატარა, მხოლოდ ნაწყალობევით იკვებებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ზეციდან არ მოესმა ხმა, რომ სათნო იყო წინაშე ღმრთისა. მაშინ ალექსი, რომელიც ამქვეყნიურ დიდებას გაურბოდა, ისევ რომში დაბრუნდა, სადაც მამამაც კი ვერ იცნო. აქ მან კიდევ 17 წელი იცხოვრა ღარიბულ ქოხში, რომელიც მამამისის მდიდრული სასახლის კარებთან იდგა. მისი სიკვდილის წინ ისევ ხმამ ზეციდან აუწყა მის მშობლებს, ვინ იყო იგი, მაგრამ მათ შვილი უკვე მკვდარი იპოვეს. იმპერატორმა ჰონორიუსმა, პაპმა და საერთოდ მთელმა რომმა თაყვანი სცა წმინდანის ნეშტს, რომელმაც ამა ქვეყნის ყოველგვარ სიკეთეს ღმრთის თავმდაბლური მსახურება არჩია.

დასავლეთში მრავალი ეპისკოპოსი ცდილობდა მონაზვნური ცხოვრების წესით ეცხოვრა. მაგალითად, ნეტარი **ავგუსტინე** არა მარტო თვითონ ცხოვრობდა როგორც მკაცრი ბერი, არამედ სახლში მონაზვნური ცხოვრების მიმდევართა საზოგადოება შექმნა, რომლის წევრებსაც ავგუსტინელებს უწოდებდნენ. **კასიანე რომაელმა** (ზოგიერთი მას ხერსონესის მკვიდრად მიიჩნევს),

რომელმაც განათლება აღმოსავლეთში მიიღო, გალიაში აღმოსავლეთის მონასტერთა ადათ-წესები ჩაიტანა. ეს ადათ-წესები მან აღწერა თავის წიგნებში: „ერთად მცხოვრებთა დადგენილებების შესახებ“ და „საუბრები მამებისა“. ამ დროისათვის გალიაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში, მარსელის ახლოს, მრავალი მონასტერი დაარსდა.

დასავლეთში განსაკუთრებით გამორჩეულ მოღვაწედ ღირსი **ბენედიქტე ნურსელი** ითვლება. ბენედიქტემ, რომელიც მეხუთე საუკუნის ბოლოს დაიბადა, განათლება რომში მიიღო. ამხანაგებისა და მასწავლებლების უზნეობამ მას ქალაქთან განშორება გადააწყვეტინა. ბენედიქტე რომის ახლოს, სუბიაკოს უდაბნოში დამკვიდრდა. მისი თავშესაფრის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთმა განდეგილმა იცოდა, რომელიც თავის ღარიბულ ულუფას უზიარებდა. ბოლოს მისი გამოქვაბული შემთხვევით მწყემსებმა აღმოაჩინეს. განდეგილს სახელი სასწაულთქმედების ძალამ და მაღალმა ქრისტიანულმა სიბრძნემ განუთქვა. მასთან რჩევა-დარიგებისა და კურთხევის მისაღებად მრავალი მიდიოდა.

ერთ-ერთი მონასტრის ბერებმა ბენედიქტეს სთხოვეს მათი წინამძღვარი გამხდარიყო, მაგრამ განდეგილმა უარი უთხრა, რადგან წინასწარ იცოდა, რომ ცხოვრების მკაცრი წესი ბერებს, რომლებიც საკმაოდ თავაშვებულ ცხოვრებას იყვნენ მიჩვეულნი, არ მოეწონებოდათ. ასეც მოხდა. როცა ის ბოლოს და ბოლოს, მრავალგზისი თხოვნის შემდეგ, მართლაც ჩაუდგა სათავეში მონასტერს და იქ წესრიგის დამყარება მოინდომა, ძმობის წევრები მყისვე აუმხედრდნენ. ერთმა მათგანმა მისი მოწამვლაც კი მოინდომა. მაშინ ბენედიქტე ისევ უდაბნოში განმარტოვდა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, სამხრეთ იტალიაში, კამპანიაში გადასახლდა. ამ მხარეში ზოგიერთ ადგილას კერპთაყვანისმცემლობა ისევ იყო შემორჩენილი. მაგალითად, კასინოს მთაზე, აპოლონისადმი მიძღვნილ კორომში მსხვერპლშეწირვა ძველებურად აღესრულებოდა. მას შემდეგ, რაც წმინდა მამამ ქადაგებით მრავალი მოაქცია, აპოლონის კორომი გაჩეხა და იქ საფუძველი ჩაუყარა მონასტერს, რომელიც მონტე-კასინოს სახელწოდებით მთელ იტალიაში გახდა ცნობილი. ბენედიქტემ ბერებისთვის შეადგინა წესდება, რომელიც

შემდეგში დასავლეთის მონასტერთა უმრავლესობამ მიიღო. მისმა დამ სქოლასტიკამ, რომელიც ასევე მონაზონი იყო, წესდება დედათა სავანეებისთვის შეადგინა. წმინდა ბენედიქტე 543 წელს გარდაიცვალა.

მონაზვნურ ცხოვრებას რომის ერთ-ერთი ბრწყინვალე მღვდელმთავრის, პაპი **გრიგოლ დიდის** სახითაც დიდი მხარდამჭერი ჰყავდა. იგი წარმოშობით მდიდარი და ცნობილი ოჯახიდან იყო, რომელიც ძველთაგანვე ღმრთისმოსაობით გამოირჩეოდა. სულიერი მოღვაწეობის სურვილით აღძრულმა გრიგოლმა რომის პრეფექტის მაღალი თანამდებობა დატოვა და თავისი ქონების დიდი ნაწილი იტალიის სხვადასხვა მხარეში შვიდი მონასტრის აგებას მოანდომა, რომელთაგან ერთ-ერთში თვითონ აღიკვეცა, თუმცა მალე იძულებული გახდა მონასტრული განმარტოება დაეთმო. პაპმა პელაგიუსმა გრიგოლი ეკლესიის საქმეებზე კონსტანტინეპოლში წარგზავნა, ხოლო შემდეგ, როცა პელაგიუსი გარდაიცვალა, მის ადგილზე ერთსულოვნად იქნა არჩეული. ძალაუფლება და დიდება გრიგოლს აშინებდა, მას სურდა მორჩილებითა და სიმდაბლით ემსახურა ღმრთისათვის და ამიტომ შეთავაზებული ტახტის თავიდან აცილება სცადა. გრიგოლმა კონსტანტინეპოლში იმპერატორ მავრიკიოსსაც კი მისწერა, რომ არჩევანი დასავლეთის ეპისკოპოსებისა არ დაემტკიცებინა და რამდენიმე ხნის განმავლობაში მთებშიც იმალებოდა, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა: 590 წელს იგი რომის პაპი გახდა.

ეს დრო იტალიისთვის მძიმე იყო. ქვეყანას განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ბარბაროსები და მის ოლქებს არბევდნენ. ამას ემატებოდა გადამდები სნეულებანი, შიმშილი, მიწისძვრები, წყალდიდობანი, რომელნიც უკიდურეს გასაჭირში აგდებდნენ ხალხს. რომის მწყემსთავარი გატანჯული ადამიანებისთვის ნამდვილ მამასა და ნუგეშინისმცემელს წარმოადგენდა. მისმა გულმოწყალებამ საზღვრები არ იცოდა, მთელ თავის შემოსავალს გასაჭირში ჩავარდნილთ ურიგებდა, ხოლო თვითონ აუცილებელის ნაკლებობასაც კი ითმენდა. აარსებდა საავადმყოფოებს და სნეულთა სანახავად თვითონ დადიოდა. წმინდა გრიგოლი რომის სამღვდელოებას ცოცხალ მაგალითს აძლევდა იმისა, როგორ უნდა ეცხოვრათ და ემოღვაწ-

ევათ. გამუდმებით ზრუნავდა რა ღმრთის სიტყვის გავრცელებაზე, დიდ ყურადღებას აქცევდა მქადაგებელთა აღზრდასა და მომზადებას, თვითონ დაუზარელად ასწავლიდა სამწყსოს, რის შედეგადაც მრავალი ლანგობარდიელი არიოზელი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია. მან ისეთი დიდი გავლენა მოიპოვა იტალიის ამ სასტიკ დამპყრობლებზე, რომ მათი გადმობირებაც კი შეძლო.

საქმე, რომელმაც წმინდა გრიგოლ დიდს განსაკუთრებით გაუთქვა სახელი, ინგლისის მოქცევა იყო. მოგვითხრობენ, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი ბერი იყო, ერთხელ ტყვე ახალგაზრდებს შეხვდა, რომელთაც ბაზარზე მონებად ჰყიდდნენ. მათი მშვენიერი გარეგნობით გაოცებულმა ტყვეებს გამოჰკითხა საიდან იყვნენ მოყვანილნი და ქრისტიანები იყვნენ თუ არა. ახალგაზრდებმა უპასუხეს, რომ შორეული კუნძულის მკვიდრი ანგლები იყვნენ და ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ არაფერი იცოდნენ. აქედან მოყოლებული წმინდა მამას ფიქრი ინგლისში სახარების ქადაგებაზე არ ტოვებდა. მან ითხოვა რომში მისთვის ახალგაზრდა ინგლისელები გამოეგზავნათ, რათა მათგან მქადაგებლები აღეზარდა, ხოლო როცა პაპი გახდა, პირველივე ხელსაყრელი შემთხვევა გამოიყენა, რათა თავისი დიდი ხნის ოცნება განეხორციელებინა.

პაპად კურთხევის შემდეგაც გრიგოლმა ღრმა სიმდაბლე შეინარჩუნა. იგი თავის წოდებას, როგორც ღმრთის უმძიმეს მსახურებას, ისე უყურებდა, ხოლო თავის თავს ქრისტეს მსახურთა მსახურად თვლიდა. ამ დროისათვის კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მიიღო ზედწოდება **მსოფლიო**, რის გამოც უკმაყოფილება ჯერ კიდევ გრიგოლის წინამორბედმა პელაგიუსმა გამოხატა. მან ამის თაობაზე კამათიც კი წამოიწყო და არ უნდოდა ეცნო ადგილობრივი კრება, რომელმაც პატრიარქს ეს წოდება დაუმტკიცა. ამ საკითხთან დაკავშირებით პატრიარქ იოანე მმარხველს პაპი გრიგოლიც სწერდა და იმ საშიშროებაზე მიუთითებდა, რომელიც შეიძლებოდა ერთი ეპისკოპოსისთვის სხვებთან შედარებით უპირატესობის მინიჭებას შეეძლო შეექმნა: „უკეთუ ის, ვისაც მსოფლიო ეპისკოპოსს უწოდებენ, ცდომილებაში ჩავარდება, – წერდა იგი, – მაშინ გამოდგება, რომ ეკლესიაც მასთან ერთად შეცდება“. ამ საშიშროებაზე რომ ლაპარაკობდა, პაპს არასწორად ესმოდა მნიშ-

ვნელობა სიტყვისა **მსოფლიო**, რომელიც სინამდვილეში არავითარ ძალაუფლებას არ იძლეოდა, ხოლო როგორც მხოლოდ პატივის გამომხატველი დიდი მეტროპოლიების ეპისკოპოსთა და მათ შორის რომის პაპის მიმართაც, ადრეც გამოიყენებოდა. სამაგიეროდ ეს სიტყვები წმინდა გრიგოლისა ჭეშმარიტად განსჯიან რომის პაპებს, რომელთაც შემდეგში ძალაუფლებასთან ერთად უცოდველობაც მიითვისეს – ასე საშიში ეკლესიისათვის.

დიდი მღვდელმთავარი გულმოდგინედ ზრუნავდა საეკლესიო ღმრთისმსახურებისათვის უკეთესი სახის მიცემაზე. იგი თვითონ იძლეოდა გალობის გაკვეთილებს მის მიერვე დაარსებულ გალობის სკოლაში და თვითონაც თხზავდა მელოდიებს. აქამდე გამოიყენება კილო, რომელიც „გრიგოლის კილოს“ სახელითაა ცნობილი. პაპი ცდილობდა რომაული ღმრთისმსახურება აღმოსავლეთის ეკლესიის მიხედვით შეესწორებინა. ამ მიზნით დაადგინა მან ანტიფონების გალობა და დიდ მარხვაში შემოიღო ლიტურგია პირველშეწირულისა, რომელიც აღმოსავლეთის რამდენიმე ეკლესიაში არსებობდა.

წმინდა გრიგოლ დიდი 604 წელს გარდაიცვალა. მან რამდენიმე შესანიშნავი თხზულება დაგვიტოვა, მათ შორის „საიდუმლოთა შესახებ“, „სამოძღვრებო კანონი“, „განმარტებანი“ ბიბლიის რამდენიმე წიგნისა, „საუბრები იტალიის წმინდანთა ცხოვრებასა და სასწაულებზე“. ამ ბოლო წიგნის მიხედვით, რომელიც ორ პირს შორის დიალოგებზეა აგებული, წმინდა გრიგოლს დიალოღოსი ეწოდა.

ღმრთისმსახურების მკაცრად ჩამოყალიბებული წესის დადგენა იმ დროისათვის ეკლესიაში საერთო ზრუნვის საგანი იყო. ზოგიერთი ადათ-წესი, რომელიც თავდაპირველად რომელიმე ადგილობრივი ეკლესიის კუთვნილება იყო, შემდეგში საერთო წესად იქცა. ასე მაგალითად, ანტიოქიის ეკლესიაში არსებული წესი რწმენის სიმბოლოს ყოველ ლიტურგიაზე წარმოთქმისა, მეექვსე საუკუნეში ყველა ეკლესიამ მიიღო. მანამდე იგი მხოლოდ ნათლობისას იკითხებოდა. საკითხავები წმინდანთა ცხოვრებიდან წმინდანთა საპატივსაცემოდ შეთხზულმა მოკლე გალობებმა შეცვალა. ამ გალობებს, რომელნიც წმინდანის ქებას ან სადიდებელი მოვლენის

მოკლე გადმოცემას შეიცავენ, კონდაკები და ტროპარები ეწოდათ. კონდაკების ავტორებიდან ყველაზე ცნობილია **რომანოზ** ტკბილადმგალობელი (მელოდოსი), რომელმაც მრავალი საგალობელი შეთხზა. იგი კონსტანტინეპოლში ღმრთისმშობლის ტაძარში მსახურობდა და ღმრთის სიყვარულით შთაგონებული მთელ ღამეებს ლოცვაში ატარებდა. გადმოგვცემენ, რომ თავდაპირველად რომანოზი ცუდად კითხულობდა, რის გამოც ეკლესიის მსახურები ხშირად დასცინოდნენ. სამაგიეროდ ღმრთისადმი მისი წრფელი სიყვარულის გამო ღმრთისმშობელმა მოხედა წყალობის თვალით. შობის ღამეს, ლოცვით დაღლილს დედა ღმრთისა ეჩვენა და გრაგნილი გადასცა. რომანოზი ცისკრის ლოცვაზე ამბიონზე ავიდა და უჩვეულოდ ტკბილი ხმით ღმრთისმშობლის სადიდებელი საგალობელი დაიწყო: „დღეს ქალწული ზეარსს შობს, მიუწვდომელს დედამიწა მღვიმეს უძღვნის, ანგელოზნი მწყემსთა თანა გალობით ადიდებენ, ხოლო მოგვნი მისკენ გზას ვარსკვლავით მიიკვლევენ, რამეთუ ჩვენთვის იშვა ყრმა, დასაბამითგან ღმერთი“.

მანამდე უცნობი გალობის სიტყვებს ყველა გაოცებული უსმენდა. მაშინ რომანოზმა მათ ჩვენების შესახებ უამბო. შემდეგში რომანოზ მელოდოსმა ათასამდე საგალობელი შექმნა, რომელთაგან ჩვენამდე 85 მოაღწია.

მრავალი ტროპარის ავტორია, აგრეთვე, ღირსი **ავქსენტი** მეუდაბნოე. მე-5 საუკუნეში საკვირაო და სადღესასწაულო სტიქარონები შექმნა პატრიარქმა **ანატოლიმ**. იმპერატორმა **იუსტინიანემ**, რომელიც ღმრთისმსახურების წესის გაუმჯობესებაზე დიდად ზრუნავდა, ნესტორისა და ევტიქის ერესების საპირისპიროდ თვითონ შექმნა საგალობელი: „ერთარსო ძეო და ღმრთისა სიტყუაო“. პატრიარქმა იოვანე მმარხველმა ქერუბიმთა გალობა დაამკვიდრა. ამგვარად, ღმრთის მსახურება სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა და მშვენდებოდა. 578 წელს **იოვანე მმარხველმა** ყველა სახელმწიფო კანონი, რომელიც კი ეკლესიას ეხებოდა და კანონები კრებებისა შეკრიბა და ნომოკანონი (სჯულის კანონი) ანუ საჭეთსამპყრობელი წიგნი გამოსცა, რომელიც საეკლესიო სასამართლოში გამოიყენებოდა.

მე-6 საუკუნიდან, სახელდობრ, იუსტინიანე დიდის დროიდან, ისტორიკოსები ბიზანტიის იმპერატორებს ბერძენთა იმპერატორებს

უწოდებდნენ. ამავე პერიოდისათვის ბერძნულმა ენამ ლათინური, რომელიც მანამდე კონსტანტინეპოლში ხელისუფლების ენად ითვლებოდა, ძალიან შეავიწროვა. კულტურული სხვაობა ბერძნულ აღმოსავლეთსა და ლათინურ დასავლეთს შორის სულ უფრო და უფრო მკვეთრდებოდა. ამ ორ სამყაროში, მათ შორის ურთიერთობათა გაიშვიათების გამო, საგანმანათლებლო საქმიანობამაც და საეკლესიო ცხოვრებამაც სრულიად სხვადასხვაგვარი ხასიათი შეიძინეს. ყველაზე დიდ სხვაობას ქმნიდა ის, რომ აღმოსავლეთში მთელი ეკლესია, ე.ი. ყველა მორწმუნე ეკლესიის ცხოვრებაში, როგორც მისი წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა, მაშინ როცა დასავლეთში სამღვდელოება ცდილობდა, რომ ეკლესიის ცხოვრება მხოლოდ საკუთარი წრის კუთვნილებად და მორწმუნეები ქვეშევრდომებად ექცია, ხოლო რელიგია მათზე გაბატონების იარაღად გამოეყენებინა. ქვეშევრდომებად ქცეული მორწმუნეებისთვის სარწმუნოება სულ უფრო გარეშე საქმე ხდებოდა. სამწყსოსთან მათ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაზე კარგად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: აღმოსავლეთის ეკლესია ქრისტიანობაზე ახლადმოქცეულ ხალხებსა და ტომებზე გულმოდგინედ ზრუნავდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ხელს უწყობდა მათ მშობლიურ ენაზე ჰქონოდათ ღმრთისმსახურება და საეკლესიო წიგნები, მაშინ როცა, დასავლეთის მქადაგებლები რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მისულიყვნენ, ღმრთისმსახურებას ადგილობრივი ხალხებისათვის გაუგებარ ლათინურ ენაზე ამკვიდრებდნენ.

მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ქრისტიანული რელიგიის გავრცელება მაინც გრძელდებოდა. მე-5 საუკუნეში კუნძულ კრეტაზე მრავალი იუდეველი მოინათლა. მათ შორის გამოჩნდა ვინმე თვალთმაქცი, რომელიც თავს მკვდრეთით აღმდგარ მოსეს უწოდებდა და ხალხს აღთქმული მიწისკენ გაძღოლას ჰპირდებოდა. შეკრიბა რა ისინი ზღვის პირას აღმართულ მთაზე, ყველას ზღვაში გადავარდნა უბრძანა და დაარწმუნა, რომ წყალზე ვითარცა ხმელეთზე ისე გაიყვანდა. იმათგან ვინც დაუჯერა და მთიდან ზღვაში გადაეშვა, უმრავლესობა დაიხრჩო. გადარჩენილებმა მატყუარას მოკვლა მოინდომეს, მაგრამ იგი მიიმალა. მაშინ გონს მოსულმა ებრაელებმა ქრისტეს სჯულის მიღება გადაწყვიტეს და

თითქმის ყველა მათგანი მოინათლა. არაბეთში ერთი ომერიტის ხელმძღვანელობით, რომელიც თავის თავს მოსეს ძეს უწოდებდა, იუდეველები ქრისტიანებს სასტიკად დევნიდნენ. იუსტინიანე დიდის დროს მათ სამარიაში მეფე აირჩიეს, პალესტინა ულმობლად დაარბიეს და თავზარდამცემ დანაშაულებებს სჩადიოდნენ. შფოთის ამტეხთა ჩასაწყნარებლად იმპერიას უმკაცრესი ზომების მიღება დასჭირდა.

იუსტინიანე დიდის მეფობის შემდეგ ბიზანტიას, რომელსაც ავარები, ჰუნები თუ სხვა ბარბაროსული ტომები განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს, ძალიან გაუჭირდა. იმპერატორი **მავრიკიუსის** დროს ავარებმა ტყვედ წაყვანილი ბიზანტიელების გამოსასყიდად უზარმაზარი თანხა მოითხოვეს. რადგან მავრიკიუსი თანხის მიცემაზე დიდხანს არ თანხმდებოდა, ავარების ხანმა 12.000 ტყვე სიკვდილით დაასჯევინა. ამას დაერთო ამბოხება კონსტანტინეპოლში და მავრიკიუსი იძულებული გახდა გაქცეულიყო, რათა თავი გადაერჩინა. ტახტზე ავიდა ფოკა, მხეცური ზნის კაცი. მან ჩამოგდებული იმპერატორი შეიპყრო, მაგრამ ვიდრე სიკვდილით დაასჯევინებდა, მის თვალწინ მისი ხუთი შვილის დახოცვა ბრძანა. მავრიკიუსმა ამ საშინელ წამებას ჭეშმარიტად ქრისტიანული დიდსულოვნებით ისე გაუძლო, რომ ჩივილის სიტყვაც არ დასცდენია, იგი მხოლოდ ლოცულობდა. როცა ძიძამ იმპერატორის უმცროსი შვილის გადარჩენა მოინდომა და შეეცადა იგი საკუთარი ბავშვით შეეცვალა, მავრიკიუსმა ეს კეთილშობილური ტყუილი ამხილა. შვილების დახოცვის შემდეგ იმპერატორს თავი მოჰკვეთეს.

ეს 602 წელს მოხდა.

ქრისტიანული ერის დასაწყისი ბრიტანეთსა და გალიაში

რომაელთა მიერ დაპყრობილ ბრიტანეთში ღმრთის სიტყვა ქრისტიანობის პირველივე საუკუნეში გაისმა; ბრიტანეთში ჭეშმარიტი სარწმუნოების პირველ მქადაგებლებად გადმოცემა მოციქულთა თავთა – პეტრესა და პავლეს გვერდით, არისტობულესა და იოსებ არიმათიელსაც ასახელებს. როგორც მკვლევარები

ფიქრობენ, შემდეგში ამ ქვეყანას მახარებლები აღმოსავლეთიდან ესტუმრნენ. ეს ვარაუდი იმითაც დასტურდება, რომ ბრიტანულმა ეკლესიამ მცირე აზიის უძველესი ეკლესიების ადათ-წესები დიდხანს შემოინახა. მიუხედავად იმისა, რომ რომაელები ბრიტანეთში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ბატონობდნენ, ამ ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოეთის დაპყრობა მათ ვერაფრით მოახერხეს.

ვალისის მთებსა და კალედონიის (ჩრდილოეთ შოტლანდია) ტყეებში, კუნძულ ერინაზე ანუ იბერნიაზე (ახლანდელი ირლანდია) ბრიტანეთის მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა, რომელიც სამხრეთიდან გვიან მოსულებმა გალებმა და კიმრებმა, იმავე პიკტებმა და სკოტებმა, შეავიწროვეს. ადგილობრივი ტომები არა მხოლოდ თავიანთ დამოუკიდებლობას იცავდნენ მამაცურად, არამედ ხშირად თავს რომაელთა მიერ დაპყრობილ ოლქებსაც ესხმოდნენ. ქრისტიანობის შესახებ მათ თითქმის არაფერი იცოდნენ. შესაძლებელია, მქადაგებლებმა იქამდეც მიაღწიეს, მაგრამ მათი ნაქადაგები სწავლება დროთა განმავლობაში ადგილობრივ რელიგიას შეერწყა და დაიკარგა. ხალხს ძირითადად ქურუმები ანუ დრუიდები მართავდნენ, რომელნიც მას მხედრული სულისკვეთებით ზრდიდნენ და სხვისი ბატონობისადმი შეურიგებლობას ასწავლიდნენ. თავისუფლებისმოყვარე მთიელები ათვალწუნებით უყურებდნენ ბრიტებს, რომელნიც რომის ხელისუფლებასა და რომის სამოქალაქო წესრიგს ემორჩილებოდნენ. თავდასხმებისას ისინი ქალაქებს არბევდნენ და მდიდრულ ნადავლთან ერთად ტყვეებიც მიჰყავდათ, რომელთა ნაწილს მონებად ჰყიდნენ, ხოლო ნაწილს თავიანთ მინდვრებში ამუშავებდნენ.

მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში მთიელებმა სხვა ტყვეებთან ერთად თექვსმეტი წლის ყრმა, სახელად სუკატი, ან **პატრიკი** შეიპყრეს და ირლანდიაში წაიყვანეს. პატრიკი ირლანდიელთა ერთ-ერთი ბელადის საკუთრება და მისი ჯოგების მწყემსი გახდა. იგი ახლანდელი შოტლანდიის სამხრეთში იყო დაბადებული დიაკვნის ოჯახში და, ბუნებრივია, ყრმობიდანვე ქრისტიანული სჯულის კანონებით იზრდებოდა; მიუხედავად ამისა, ვიდრე მშვიდ, ოჯახურ გარემოში ცხოვრობდა, სარწმუნოებისადმი არა თუ განსაკუთრებულ ინტერესს, არამედ ერთგვარ გულგრილობასაც

კი იჩენდა, მაგრამ როცა თავს უბედურება დაატყდა და თავისუფლება დაკარგა, მისი ერთადერთი ნუგეშინისმცემელი სწორედ სარწმუნოება გახდა. პატრიკი განუწყვეტლივ ლოცულობდა და გასაჭირის გადატანაში შემწეობას ღმერთს ევედრებოდა, რომელიც მხურვალედ შეიყვარა. შემდეგში იგი წერდა: „თექვსმეტი წლისა ვიყავი და ღმერთზე არ ვფიქრობდი, თითქოს არც ვიცოდი იგი; მაგრამ უცხო ქვეყანაში უფალმა სული ჩემი წმინდა სარწმუნოებას გაუღო, ცოდვანი ჩემნი გავიხსენე და მთელი გულით მოწყალე ღმერთს მივმართე, რომელმაც მიხილა რა გასაჭირსა შინა, ჩემი ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო შემიბრალა და, ვითარცა მამა შვილს, მიცავდა და მანუგეშებდა“.

ექვსი წლის შემდეგ პატრიკი გათავისუფლდა, მაგრამ მალე ისევ ტყვედ ჩავარდა. ამჯერად იგი გალიაში წაიყვანეს, სადაც ქრისტიანებმა გამოისყიდეს. სამშობლოში დაბრუნებულმა გადაწყვიტა ყოველივე დაეტოვებინა და ღმრთის სამსახურს შესდგომოდა, სახელდობრ, ღმრთის სიტყვა ექადაგა იმ ქვეყანაში, სადაც როგორც მონა, ისე ცხოვრობდა. ამ მიზნის შესასრულებლად იგი თავდაპირველად გალიას ესტუმრა და იქაური მონასტრები მოინახულა. გალიის ჩრდილოეთ ნაწილს, არმორიკას, უკვე მაშინ ეწოდებოდა მცირე ბრიტანია ან ბრეტანია იმ ბრეტანელებისაგან, რომელნიც ამ მხარეში ჯერ კიდევ III საუკუნეში ჩამოსახლდნენ და უცხო მხარეში ქრისტეს რწმენა და მშობლიური ენა შეინარჩუნეს. ადგილობრივ მოსახლეობაში სარწმუნოება თავისუფლად ვრცელდებოდა და პატრიკს შეეძლო იქ დაფუძნებული მონასტრებისაგან ბევრი რამ ესწავლა.

ზოგიერთი ისტორიკოსის ცნობით, პატრიკი რომში ჩავიდა, რათა პაპისთვის ირლანდიაში ქადაგების კურთხევა ეთხოვა, მაგრამ ამ ცნობის ნამდვილობას მომდევნო მოვლენები საეჭვოს ხდის. იგი უფრო გვიანდელი გამონაგონი უნდა იყოს ლათინებისა, რომელთაც ძველ ეპოქაში პაპის ავტორიტეტის წარმოჩენით იმის დამტკიცება სურდათ, რომ თითქოს იგი განსაკუთრებული უფლებებით თავიდანვე სარგებლობდა. ასზე მეტი წელი იყო გასული პატრიკის გარდაცვალებიდან და პაპმა გრიგოლმა კი ბრიტანეთის შესახებ არაფერი იცოდა. ამასთან, კარგად ჩანს, რომ გრიგოლ დიდის დრო-

საც კი პაპის ძალაუფლება არც ისე დიდი ყოფილა, რომ შორეულ ქვეყნებში ქადაგების მსურველს მისგან კურთხევის აღება დასჭირვებოდა.

არსებობს, აგრეთვე, გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, თითქოს ვიდრე პატრიკი იქადაგებდა, პაპმა ირლანდიაში საქადაგებლად პალადიუსი წარგზავნა, მაგრამ ამ ქვეყანაში მისი მოღვაწეობის შესახებ არავითარი ცნობა არ შემონახულა; პატრიკის მოღვაწეობა კი უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა, რისთვისაც მას ირლანდიის განმანათლებლად სამართლიანად მიიჩნევენ.

ამ მხარის ზნე-ჩვეულებათა და ენის ცოდნა პატრიკს მიზნის მიღწევაში დიდად დაეხმარა. ღმერთმა მისი მოღვაწეობა აკურთხა და მან მოკლე დროში მრავალი სულის გადარჩენა შეძლო. ხალხი ღია ცის ქვეშ, გაშლილ ველზე ან ტყეში იკრიბებოდა და ყურადღებით უსმენდა მქადაგებელს, რომელიც მაცხოვრის ცხოვრებასა და სასწაულებზე მარტივად და გასაგებად მოუთხრობდა. მსმენელთა რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა: ცხოველი სიტყვა ადამიანთა გულებს ანათებდა და ათბობდა. ისინი კერპებს, რომელთაც ბრმად სცემდნენ თაყვანს, თავიანთი ხელით ამხობდნენ და მათ ნაცვლად ქრისტიანულ ეკლესიებს აშენებდნენ. სამაგიეროდ, პატრიკი ქურუმებმა შეიძულეს, რომელთაც გავლენა ხალხზე სწორედ მისი ქადაგებების წყალობით დაკარგეს. პატრიკის სიცოცხლეს საფრთხე მრავალგზის დაემუქრა, მაგრამ ღმრთის სიტყვის გავრცელების გზაზე მის სულს შიში არ გაჰკარებია. ქადაგების შედეგად მოპოვებული წარმატების განსამტკიცებლად მან ანბანი შეადგინა, გალიიდან წმინდა წერილის წიგნები გამოიწერა და რამდენიმე მონასტერი დააარსა, რომელთაც მქადაგებლები და მოძღვრები უნდა აღეზარდათ.

წმ. პატრიკის ღვაწლი, რომელიც გარდაცვალებამდე (460 წ.) მოუღალავად შრომობდა, ისეთი ნაყოფიერი გამოდგა, რომ **შემდეგში, როცა ქრისტიანული განათლება კერპთაყვანისმცემლების ბატონობის შედეგად თითქმის მთელმა ბრიტანეთმა დაკარგა, სარწმუნოების სიწმინდე მხოლოდ ირლანდიამ შეინარჩუნა.** ამ ქვეყანაში სულიერი ცხოვრება და ამ გზაზე გონებრივი მოღვაწეობა აღმავლობას განიცდიდა: წმინდა წერილის შესასწავლად მის მონას-

ტრებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა, იქ აღზრდილ მქადაგებლებს ჭეშმარიტების ნათელი დასავლეთ ევროპაშიც, კერძოდ, გალიის ნაწილში, გერმანიაში, შვეიცარიასა და ჰოლანდიაშიც, მიჰქონდათ. ამიტომაც იდიდებოდა მთელ სამყაროში შორეული ირლანდია სახელწოდებით **„წმინდანთა კუნძული“**.

420 წლის მახლობლად, რომმა, რომელსაც ჯარი უკვე საკუთარი თავის დასაცავად სჭირდებოდა, ბრიტანეთიდან ლეგიონები გამოიხმო. ამის გამო ჩრდილოეთის მეომარი ტომებისგან თავის დაცვა ბრიტანელებს კიდევ უფრო გაუჭირდათ და დასახმარებლად მდინარე ელბის ნაპირებზე მცხოვრები ანგლო-საქსების მოხმობა გადაწყვიტეს. ანგლო-საქსები გაბედული მეზღვაურები იყვნენ და მანამდე ბრიტანეთის ნაპირებს ხანაც სავაჭროდ და ხანაც გაძარცვის მიზნით ხშირად ადგებოდნენ. ძმების, გენგისტისა და გორზას წინამძღოლობით, ანგლო-საქსები ბრიტანეთში დაახლოებით მეხუთე საუკუნის შუა ხანებში გადავიდნენ. მართალია, მათ ჩრდილოელები მოიგერიეს, მაგრამ გაწეული სამსახურისთვის ბრიტანელებისაგან სანაპიროს რამდენიმე ოლქი და კუნძული მოითხოვეს. სამწუხაროდ, ბრიტანელები მალე დარწმუნდნენ, რომ ანგლო-საქსების სახით არა მოკავშირენი, არამედ დამპყრობლები მოიწვიეს. მათ უცხო მიწაზე ფეხი მკვიდრად მოიკიდეს და რამდენადაც ახალი და ახალი ძალები ემატებოდათ, ბუნებრივია, დაპყრობილ მიწებს აღარ სჯერდებოდნენ. ამიტომაც ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროვების ხარჯზე ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე წვრილი სამეფო დააარსეს, რომელთაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ. ბრიტანელების ნაწილი მათ ხელისუფლებას დაემორჩილა, ნაწილიც არმორიკაში, მონათესავე მოსახლეობასთან გადავიდა; ბევრიც ანგლო-საქსების სიძულვილმა ძველ მტრებთან შეარიგა და თავშესაფარი ჩრდილოეთში იპოვა. ჩრდილოეთ კალედონიისა და ვალისის მეომარმა მთიელებმა უცხო ძალის ქვეშევრდომობა, ისევე როგორც თავის დროზე რომაელებისა, არ მოისურვეს და თავისუფლების შენარჩუნებისთვის დიდი ხნის განმავლობაში თავდადებით იბრძოდნენ. სამწუხაროდ, უთანასწორო ბრძოლაში მათი ძალები ამოიწურა. საქსონიის სანაპიროებიდან ხომალდებს სულ ახალი და ახალი ჯგუფები მოჰყვა

და გარდა ვალისის ყველაზე მიუდგომელი მთიანი ნაწილისა, თანდათანობით მთელი ქვეყანა ანგლო-საქსების ძალაუფლების ქვეშ მოექცა. აქედან მოყოლებული, დამპყრობელთაგან ერთ-ერთი ტომის სახელწოდების მიხედვით, ბრიტანეთსაც ინგლისი ეწოდა.

დამპყრობლები კერპთაყვანისმცემლები იყვნენ და, ბუნებრივია, დაპყრობილ ხალხს მათ შორის ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება, მით უმეტეს იმ ბრძოლის პირობებში, რომელსაც მათ წინააღმდეგ აწარმოებდა, გაუჭირდებოდა. ამასობაში, სამწუხაროდ, ჭეშმარიტი რწმენა თვით ბრიტანელთა შორისაც შესუსტდა. მეხუთე საუკუნის დასაწყისში ბრიტანული ეკლესია პელაგიუსის ერესით დაავადდა. მთიან ჩრდილოეთში, ეკლესიის საერთო ცხოვრებიდან მოწყვეტილ ქრისტიანულ რელიგიას უფრო და უფრო ერწყმოდა კალედონელთა მითოლოგიური გადმოცემები, რომელნიც ქურუმებმა – დრუიდებმა და სახალხო მომღერლებმა შემოინახეს. სულიერ ცხოვრებას ქვეყანაში ბურჯად მხოლოდ ირლანდიელ ქრისტიანთა ღვაწლი ედო. მოშურნე მქადაგებლებმა, **ნინიანმა** და მოგვიანებით ირლანდიელმა **კოლუმბამ** ღმრთის სიტყვა კალედონის პიქტებთან მიიტანეს და სანაპირო კუნძულებზე ირლანდიურ მონასტერთა მსგავსი მონასტრები დააარსეს, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კოლუმბას მიერ კუნძულ იონზე დაფუძნებული მონასტერი იყო და რომელიც შემდეგში ადგილობრივ მახარებელთა სულიერი მოღვაწეობის ცენტრად იქცა. კალედონის პიქტების მოციქული კოლუმბა კალედონის მთელ ეკლესიას მართავდა და მცირე აზიის ეკლესიებიდან გადმოცემული ძველი ადათების მტკიცედ დაცვას ცდილობდა.

ამ მონასტრებიდან მახარებლები ხშირად სამხრეთსაც აკითხავდნენ. ვილფრიდმა, რომელიც ვალისიდან სამხრეთში ხშირად ჩადიოდა, ქადაგებით ანგლო-საქსების ნაწილი მოაქცია. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ დამპყრობლებთან ბრძოლაში ბრიტანული სამღვდელოება მხარს თავის ხალხს უჭერდა, რის გამოც ანგლო-საქსთა შორის ჭეშმარიტი სარწმუნოების გასავრცელებლად თითქმის არაფერი კეთდებოდა. ამგვარი ვითარება დაახლოებით საუკუნენახევრის განმავლობაში გაგრძელდა.

ამ პერიოდში ბრიტანეთის მეზობელ ქვეყანაში, გალიაშიც,

მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. როგორც ვიცით, გალიას ქრისტიანული სარწმუნოება უკვე დიდი ხანია მიღებული ჰქონდა. ქვეყანაში მრავალი მონასტერი დაარსდა, ყველა მთავარ ქალაქს თავისი ეპისკოპოსი ჰყავდა, რომელთაც მმართველობაში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდათ. მე-5 საუკუნეში რომაელებმა გალიაზე ძალაუფლება დაკარგეს, რის გამოც ქვეყანა უცხო ტომებმა წალეკეს. მისი სამხრეთი ნაწილი ვესტ-გოთებმა და ბურგუნდიელებმა დაიპყრეს, ხოლო ჩრდილოეთი – საქსონელებმა; არ წყდებოდა თავდასხმები ალემანებისა და ფრანკებისა; ბრიტანელებმა, რომელთაც სამშობლო დატოვეს, არმორიკა დაიკავეს. სამწუხაროდ, ბურგუნდიელები და ვესტ-გოთები, რომელნიც გალიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს დაეპატრონნენ, არიოზელები იყვნენ, თუმცა მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს არც დევნიდნენ და არც სიმშვიდეს ურღვევდნენ. ისინი თავისუფლად მართავდნენ ეკლესიას და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ პაპთან, რომლის მნიშვნელობაც განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც დასავლეთის ოლქები არიოზელების ხელში გადავიდა; მართლმადიდებლები პაპის სახით დასავლეთში ნიკეის აღმსარებლობის ერთადერთ ძლიერ წარმომადგენელს ხედავდნენ, რის გამოც მისი ხელისუფლება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

თუმცა არიოზელები მართლმადიდებლებს არ ჩაგრავდნენ, გალიის სამღვდელოება მაინც მძიმედ განიცდიდა მათ ბატონობას, ამიტომ, მიეცა თუ არა შესაძლებლობა მისგან განთავისუფლებისა, მაშინვე სიხარულით ისარგებლა. როგორც ჩანდა, ყველა დამპყრობელთაგან გალიისათვის ყველაზე საშიში მაინც ფრანკები იყვნენ; ეს კერპთაყვანისმცემელი ტომი რამდენადაც სიმამაცით, იმდენად სისასტიკით, ცბიერებითა და უზომო ანგარებისმოყვარეობით გამოირჩეოდა; მათი თავდასხმები ქვეყანას აუდაბურებდა. ისინი არც მოხუცებს, არც ქალებსა და არც ბავშვებს არ ინდობდნენ; ქალაქებსა და სოფლებს წვავდნენ, ეკლესიებს ძარცვავდნენ და ანგრევდნენ. სინდისის ქენჯნა ჩადენილი დანაშაულის გამო, რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, მათთვის უცხო იყო და მაინც, სწორედ ფრანკებმა იპოვეს მოკავშირენი სამღვდელოებაში, რადგან სამღვდელოებამ მათი სახით დაინახა ძალა, რომლითაც

ერეტიკოსთა დამარცხება იქნებოდა შესაძლებელი. ამ დროისათვის ფრანკებს ძალაუფლების მოყვარული და სასტიკი ჭაბუკი მეროვინგების საგვარეულოდან, სახელად ხლოდოვიკი ბელადობდა. მისი მეუღლე კლოტილდა ქრისტიანი იყო და ცდილობდა ქმარიც ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცია, თუმცა, ამაოდ. დიდი ხნის განმავლობაში ასევე ამაო გამოდგა მცდელობა ეპისკოპოსებისა, რომლებიც ხშირი სტუმრები იყვნენ ფრანკების ბანაკისა. მიუხედავად ამისა, ხლოდოვიკმა მეუღლეს ვაჟიშვილის მონათვლის უფლება მისცა, მაგრამ ბავშვს ნათლობის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია, რამაც ხლოდოვიკი ქრისტიანობას კიდევ უფრო დააშორა. ერთხელ, ალემანებთან ბრძოლისას, როცა გამარჯვების სასწორი აშკარად მტრების მხარეს გადაიხარა, ხლოდოვიკმა აღთქმა დადო, რომ თუ კლოტილდას ღმერთი გაამარჯვებინებდა, იგი მოინათლებოდა. ფრანკებმა მართლაც გაიმარჯვეს და მათმა ბელადმაც აღთქმა შეასრულა. იგი 496 წელს საზეიმოდ მონათლა რეიმსის ეპისკოპოსმა რემიგიოსმა. ხლოდოვიკის მაგალითს მისმა სამიათასმა მხედარმაც მიბაძა. ფრანკების მოქცევის შესახებ რომის პაპსაც აცნობეს, რომელსაც ახლადმოქცეულმა შვილური მორჩილების ნიშნად მდიდრული საჩუქრები გაუგზავნა.

სამწუხაროდ, ქრისტიანად მოქცევამ ხლოდოვიკისა და მისი მეომრების სისასტიკე ოდნავადაც ვერ შეარბილა, რადგან ახალი სჯული მათ არა შინაგანი რწმენის, არამედ ცრუმორწმუნეობის გამო ჰქონდათ მიღებული. ფრანკების სამღვდელოების სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ მეფისა და მისი მეომრების ჭეშმარიტად მოქცევაზე დიდად არც იმას უზრუნია; პირიქით, ძალაუფლების მოპოვებისა და გამორჩენის ცდუნებას აჰყვა და თავისი ზნეობრივი გავლენა და ქრისტიანული სწავლების სიწმინდე დათმო, აქეზებდა რა ახლადმოქცეულთა მანკიერებას. ფრანკების ძლიერი მეფის მოქცევით გახარებული სამღვდელოება, რომელიც მას მრავალ სარგებლობას უქადდა, თავის გავლენას მოსახლეობაზე მის სასარგებლოდ ქმედითად იყენებდა. მისი შემწეობით ფრანკები მალე მთელ გალიას დაეპატრონენ. ეპისკოპოსები ხლოდოვიკის საქმეებს აკურთხებდნენ, თან მიჰყვებოდნენ მის მხედრობას ლაშქრობებში, სისხლიანი ბრძოლების შემდეგ ნადავლის გა-

ნაწილებაშიც მონაწილეობდნენ და მისგან საჩუქრად არიოზული ეკლესიებისათვის წართმეულ ვრცელ მამულებსა და განძეულობას იღებდნენ. ამგვარად, ამ კავშირით მოგებას ორივე მხარე ნახულობდა: სამღვდელოება – ძალაუფლებასა და სიმდიდრეს, ხოლო ხლოდოვიკი თავის საშინელ ავაზაკურ საქმეებს ღმრთისმსახურების მოჩვენებითი მოშურნეობით ფარავდა; ზიანი მხოლოდ ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდეს ადგებოდა. ხლოდოვიკი ბურგუნდების მეფესაც დაესხა თავს და მისი მიწებიც დაიპყრო; მისი ლაშქარი ენით უთქმელ ავკაცობებს სჩადიოდა, ხოცავდა უმწეოებს, წვავდა სოფლებს, ძარცვავდა ეკლესიებს; მაგრამ ეპისკოპოსები ამ ლაშქრობებს ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის წმინდა ომებად სახელდებდნენ და ბურგუნდების მეფეს არწმუნებდნენ, რომ არიოზული ცდომილებანი დაეთმო და ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეულიყო.

მოისურვა რა ვესტ-გოთებისათვის მიწა-წყლის წართმევა, ხლოდოვიკმა თავის მხედრობას ასე მიმართა: „არ მომწონს, რომ ამ არიოზელ გოთებს გალიის საუკეთესო ნაწილი უჭირავთ; გავილაშქროთ მათზე და ღმრთის შემწეობით მათი კარგი და ნაყოფიერი მიწები დავიპყროთ“. და ვესტ-გოთები მართლაც დაამარცხა ეპისკოპოსთა შემწეობით, რომელნიც საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ და ხალხს ფრანკების სასარგებლოდ ამბოხებისაკენ მოუწოდებდნენ. ამგვარად, თანდათანობით მთელი გალია დაპყრობილ იქნა და მას საფრანგეთი ეწოდა.

ეკლესიამ მამულები სხვადასხვა მხარეში მიიღო; პაპი იმ ეპისკოპოსს, რომელსაც სხვებზე უფრო ღირსეულად მიიჩნევდა, ომოფორს უგზავნიდა, როგორც ნიშანს მხარის სამღვდელოებაზე მთავარეპისკოპოსის ძალაუფლებისა, მაგრამ საეკლესიო საქმეებში დიდად არ ერეოდა. ქვეყნის სრული დამორჩილება უკვე ხლოდოვიკის მემკვიდრეების დროს მოხდა. ყველაზე დიდხანს თავისი სამოქალაქო და საეკლესიო დამოუკიდებლობა ბრეტანის მხარემ შეინარჩუნა. მან ფრანკების მეფეს ხარკის გადახდაზე უარი უთხრა; ასევე უარი განუცხადა, ეცნო თავის ეკლესიაზე უფლება ტურის მთავარეპისკოპოსისა, რომელიც ბრეტანის სამღვდელოებისაგან მორჩილებას პაპის სახელით მოითხოვდა. მანამდე ბრეტანელები

ძველ საეკლესიო გადმოცემებს მტკიცედ იცავდნენ, რომელიც მათ ქვეყანაში ზღვის გაღმიდან მოსულმა მახარებლებმა მოიტანეს; აღდგომის დღესასწაულის დრო, მონასტრული ცხოვრების წესი და მათი ბევრი სხვა ადათი დანარჩენი გალიის ადათ-წესების მსგავსი იყო. ისინი ეპისკოპოსებს თვითონ ადგენდნენ, ისე რომ ამის თაობაზე არც პაპსა და არც სხვა ეპისკოპოსებს არ უთანხმდებოდნენ. ტურის მთავარეპისკოპოსის მოთხოვნამ მათი გაოცება გამოიწვია. როცა უარით უპასუხეს, მთავარეპისკოპოსმა ისინი ეკლესიიდან განკვეთილებად გამოაცხადა, რასაც გულგრილად შეხვდნენ, რადგან ურთიერთობას მათთან, რომელთაც მოსულ უცხოელებად და თავიანთი მტრების მოკავშირეებად თვლიდნენ, დიდად არ უფრთხილდებოდნენ. მაგრამ ბრეტანს დამოუკიდებლობის სიყვარული ძვირად დაუჯდა: მას ფრანკები განუწყვეტლად არბევდნენ; ეპისკოპოსები ფრანკთა ბელადებს დაუმორჩილებელ ტომთან ბრძოლისათვის, როგორც წმინდა საქმისათვის, ისე აქეზებდნენ. მღვდლები და ბერები, შეიარაღებულნი და ცხენებზე ამხედრებულნი, ჯარს უკან მიჰყვებოდნენ, და თითქოს გამარჯვებულთა სასტიკ საქმეებს თავიანთი იქ ყოფნით აკურთხებდნენ. ბოლოს და ბოლოს ბრეტანიც დაპყრობილ იქნა და რომის სასულიერო ხელისუფლებას დაემორჩილა, მაგრამ ეს მხოლოდ მე-10 საუკუნეში მოხდა.

ხლოდოვიკის მემკვიდრენი, ისევე როგორც თავად იგი, ქრისტიანები მხოლოდ სახელით იყვნენ. სისხლიანი მატიანენი მეროვინგების სახლის გარყვნილებისა და სისასტიკის საშინელ სურათებს წარმოგვიდგენენ. მიუხედავად ამისა, პაპები, რომელთაც ფრანკთა მეფეების სახით სასარგებლო მოკავშირეები ჰყავდათ, მათ მიმართ ფრიად კეთილგანწყობილნი იყვნენ და საყვარელსა და ეკლესიის უფროს შვილებს უწოდებდნენ. როგორებიც ბელადები იყვნენ, ისეთივე იყვნენ მეომრებიც. უხეშმა და გაუნათლებელმა ფრანკებმა კვალი იმ განათლებისა, რომელიც ქვეყანაში რომის ბატონობისას სუფევდა, თითქმის მთლიანად გაანადგურეს. წიგნიერებას ისინი ამრეზილად უყურებდნენ და ცხოვრების მთავარ საქმიანობად ომი და ძარცვა მიაჩნდათ. ნადავლის მოსაპოვებლად ფრანკები საფლავებსაც კი ძარცვავდნენ, ადგილობრივ

მცხოვრებთ ქონებას ძალით ართმევდნენ, თავდასხმების დროს სოფლებიდან ტყვეები გაჰყავდათ და მონებად ყიდდნენ. მათი ცხოვრება გარყვნილი იყო, ხოლო სარწმუნოება – ცრუმორწმუნოება. ეკლესიისათვის გასაკითხის მიცემით, მონასტრების აგებითა და სხვა ამდაგვარი გარეგნული სახით ცდილობდნენ ისინი ცოდვათა გამოსყიდვას, რადგან სამღვდელოება, რომლისთვისაც ჭეშმარიტი რწმენის სული თითქმის უცხო იყო, ახლადმოქცეულ ფრანკთა ვერაგობის სისხლიან საქმეებს, ღალატსა და გარყვნილებას საკმაოდ გულგრილად უყურებდა და მათგან მხოლოდ გარეგნულ ღმრთისმოსაობასა და ეკლესიის მსახურთა მფარველობას მოითხოვდა; მონაწილეობას იღებდა თავადთა შუღლში, რასაც თავის სასარგებლოდ იყენებდა; არ ზრუნავდა განათლების გავრცელებაზე, მხარს უჭერდა ცრურწმენასაც კი, თუ ამისგან გამორჩენას ელოდებოდა. ამგვარად, მისი მნიშვნელობა გარეგნულად გაიზარდა; ეპისკოპოსები საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ მმართველობის საქმეებში, ეკლესიისაგან განკვეთის შიშით ისინი თვით ყველაზე ჭირვეულ ბელადებსაც კი თავიანთ ხელისუფლებას უმორჩილებდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, არ ჰქონდათ ხალხზე ის კეთილისმყოფელი ზნეობრივი გავლენა, რომლის მოპოვებაც შეეძლოთ, მიწიერ ინტერესებზე ცოტა ნაკლებად რომ ეზრუნათ. ხალხი არც თუ მაინცდამაინც ხალისით აღიარებდა ქრისტეს მსახურებად მათ, რომლებიც მძვინვარე დამპყრობლების მოკავშირენი იყვნენ და მისი ძარცვის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ასე რომ, ქრისტიანობას საფრანგეთში დიდი ხნის განმავლობაში გარეგნული ხელისუფლების ხასიათი ჰქონდა, რის გამოც არც ის კეთილი ნაყოფები გამოუღია, რომელთაც ასე უხვად იღებდა სხვა ქვეყნებში.

რა თქმა უნდა, არც იმის ფიქრი შეიძლება, რომ სამღვდელოებას გალიაში არავითარი კეთილი გავლენა არ ჰქონია. ეპისკოპოსთა შორის ქრისტეს ერთგული მსახურნიცა და მოშურნე მქადაგებლებიც იყვნენ, რომლებიც წარმართთა მოსაქცევად სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად იღვწოდნენ. სარწმუნოების ძალა განსაკუთრებით ქალებში შეიმჩნეოდა; იმ პერიოდისთვის საფრანგეთში მაღალი წოდების წარმომადგენელი ქალები, გა-

ნათლების თვალსაზრისით, მამაკაცებზე შეუდარებლად მაღლა იდგნენ. მათგან საუკეთესონი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზს, სადაც უხეში გარყვნილება სუფევდა, ტოვებდნენ, მონასტრებში მიდიოდნენ და ცხოვრებას ლოცვაში, მოწყალების ღვაწლსა და მეცნიერებათა შესწავლაში ატარებდნენ. მრავალი მონასტერი თვით ფრანკთა მეფეების ცოლებისა და დების მიერ იყო დაარსებული. მათგან ერთი ყველაზე შესანიშნავი პიკარდიაში კორბიის მონასტერი იყო, რომელიც დედოფალმა მატილდამ მე-7 საუკუნეში ააგო.

ეკლესია ინგლისში. ბრძოლა რომის ეკლესიისა ძველბრიტანულ ეკლესიასთან

ხლოდოვიკის მოქცევიდან უკვე ასი წელი იყო გასული, როცა პაპი გრიგოლი ანგლო-საქსების მოქცევის საქმეს შეუდგა, რომელთაც ამ დროისათვის ბრიტანეთში ჰეპტარქიის საერთო სახელწოდებით შვიდი პატარა სამეფო ჩამოაყალიბეს. ჰეპტარქიის ყველა მეფე კერპთაყვანისმცემელი იყო, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა, კენტის მეფემ, **ეტელბერტმა**, რომელიც ფრანკთა მთავრის ასულზე, ბერტაზე დაქორწინდა, მეუღლეს უფლება მისცა სამეფო კარზე ეპისკოპოსი ჰყოლოდა და ქრისტიანულ ეკლესიაში ჭეშმარიტი ღმერთისთვის თავისუფლად ეცა თაყვანი. გრიგოლმა ამ ხელსაყრელი ვითარების გამოყენება გადაწყვიტა და ინგლისში სახარების საქადაგებლად ორმოცი ბენედიქტელი ბერი წარგზავნა, რომელთაც სათავეში მონაზონი ავგუსტინე ჩაუყენა. პაპმა მას ფრანკთა მეფეებთან (რამდენადაც საფრანგეთი ამ დროისათვის ორად იყო გაყოფილი, მეფეც ორი ჰყავდა) წერილი გაატანა, რომელშიც მქადაგებელთათვის დახმარების გაწევას და მათთვის ინგლისის მკვიდრთა ენის მცოდნე თარჯიმნის გატანებას ითხოვდა. ჩააღწიეს თუ არა საფრანგეთში, მოსალოდნელი სიძნელეებითა და საფრთხით დაშინებულმა ბერებმა მაშინვე უკან დაბრუნება მოისურვეს, მაგრამ ბოლოს პაპის შეგონებებმა გაჭრეს და გზის გაგრძელება გადაწყვიტეს.

597 წელს რომაელი მქადაგებლები ინგლისის ნაპირებს მიადგნენ

და კენტის მეფეს შეუთვალეს, რომ სახარების საქადაგებლად და მარადიული სასუფევლის შესათავაზებლად იყვნენ მისულნი. მეფემ მათ სანაპიროსთან მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე დამკვიდრების ნება დართო და შეხვედრის დღეც დანიშნა. გავრცელებული ცრურწმენით შეპყრობილმა იმის თაობაზე, რომ ბერები გრძნეულებით მოაჯადოებდნენ, მან მათი სასახლეში მიღება ვერ გაბედა და თვითონ გაემართა კუნძულზე, სადაც შეხვედრა ღია ცის ქვეშ უნდა შემდგარიყო. მეფის შესახვედრად გამოსულ მქადაგებლებს წინ ვერცხლის დიდი ჯვარი და მაცხოვრის ხატი მიუძღვოდათ. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მეფე ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეულიყო და სანაცვლოდ ზეციურ სასუფეველსა და მარადიულ სიცოცხლეს ჰპირდებოდნენ.

მოუსმინა რა, ეტელბერტმა ბერებს უპასუხა: „სიტყვები და დაპირებანი თქვენი კარგია; მაგრამ ისინი ჩემთვის ახალია და ახლავე დათმობა ადათებისა და სარწმუნოებისა, რომელიც ჩემთვის და ჩემი ქვეშევრდომებისათვის ასე ძვირფასია, არაფრით შემიძლია. მჯერა, რომ თქვენ აქ კეთილი განზრახვით ხართ მოსულნი და ამიტომაც მინდა თავი კარგად იგრძნოთ. ყოველივეს, რაც აუცილებელია, მოგაწოდებთ და ნებას მოგცემთ მონათლოთ ისინი, რომელნიც თქვენი სარწმუნოების მიღებას მოისურვებენ“.

მახარებლები ქ. კენტერბერიაში დამკვიდრდნენ და მალე ღმრთისმოსავური ცხოვრებით საერთო პატივისცემა მოიპოვეს. გადმოგვცემენ, რომ ისინი სასწაულებს აღასრულებდნენ და სნეულებს ლოცვით კურნავდნენ. ადგილობრივ მკვიდრთაგან ჭეშმარიტი ღმერთი მრავალმა ირწმუნა და წმინდა ნათლობაც მიიღო. მალე თვითონ მეფე ეტელბერტიც მოინათლა და თუმცა თავი ქრისტიანად საჯაროდ გამოაცხადა, იქვე დაამატა, რომ ეს ქვეშევრდომებს სრულიადაც არ ავალდებულებდა მისი მაგალითისათვის მიებაძათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ სარწმუნოების არჩევანში ყოველ მათგანს თავისუფლება ენიჭებოდა. იმ დღეს მხოლოდ ავგუსტინემ 10.000 კაცი მონათლა. ღმრთისმსახურება ძველ, ნახევრად დანგრეულ ქრისტიანულ ტაძრებში აღესრულა. მეფემ მახარებლებს მამული უბოძა. ავგუსტინემ პაპს წარმატების შესახებ აცნობა და დამხმარეთა გამოგზავნა ითხოვა, რადგან, როგორც თვითონ წერდა,

სამკალი ფრიად იყო, ხოლო მუშაკი – მცირე.

წამოწყებული საქმის წარმატებამ გრიგოლი უჩვეულოდ გაახარა და ავგუსტინეს ნიშნად იმისა, რომ მთავარეპისკოპოსის ტახტზე აჰყავდა, ომოფორი გაუგზავნა; არც საეკლესიო ჭურჭლის, საღმრთისმსახურო წიგნებისა და რამდენიმე თანაშემწის გაგზავნა დავიწყებია. წერილში იგი ავგუსტინეს წერდა, რომ წარმატების გამო სიამაყეს კი არ უნდა შეეპყრო, არამედ პატივი და დიდება მხოლოდ ღმრთისათვის უნდა მიეგო. იგი ავგუსტინეს მიუთითებდა, ახლადმოქცეულებთან ურთიერთობისას სიმშვიდე და ქრისტიანული გულმოწყალება გამოეჩინა და ქვეყნის ძველ ადათებს სიფრთხილით მოპყრობოდა; ამასთან, უკრძალავდა, რომთან გარეგნული ერთიანობის წარმოჩენის მიზნით, ის ადათები არ მოეშალა, რომელთა შენარჩუნებაც ჭეშმარიტი რწმენისათვის ზიანის მიუყენებლადაც შეიძლებოდა.

მალე მეზობელი სამეფოც მოინათლა. იქ მახარებელთაგან ერთ-ერთი წარიგზავნა, რომელიც შემდეგში ამ სამეფოს მთავარი ქალაქის – ლონდონის ეპისკოპოსი გახდა. პაპმა გრიგოლმა ბრიტანეთში სულ 12 ეპისკოპოსი დანიშნა, რომელთაგან პირველობა იორკის ეპისკოპოსს ხვდა წილად. რაც შეეხება კენტერბერიის მთავარეპისკოპოს ავგუსტინეს, იგი საერთოდ მთელი ინგლისური ეკლესიის მეთაური გახდა, რომელიც რომის პაპის ხელისუფლებას ემორჩილებოდა.

სამწუხაროდ, ასეთი წესრიგის დამყარებისას თითქოს სრულიად დავიწყებულ იქნა, რომ ბრიტანეთის კუნძულებზე ქრისტიანული ეკლესია ძველთაგანვე არსებობდა; ამ ძველბრიტანულ ანუ კალედონის ეკლესიას, რომელიც ანგლო-საქსებს შორის სარწმუნოების გავრცელებაზე მართლაც ცოტას ზრუნავდა, ძველ კელტურ მოსახლეობაში, რომელიც ჩრდილოეთში, კამბრიასა ანუ ვალისში, ირლანდიასა და დღევანდელ შოტლანდიაში ცხოვრობდა, მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავდა. მის მონასტრებში ბევრი თავდადებული მქადაგებელი და სწავლული აღიზარდა.

აღსანიშნავია, რომ საერთო ეკლესიური ცხოვრებიდან დიდი ხნით მოწყვეტის გამო ამ ძველმა ბრიტანულმა ეკლესიამ ზოგიერთი თავისებური ადათი შეინარჩუნა და განავითარა. მაგალითად,

პასექს იგი მცირე აზიის ეკლესიათა ძველი ტრადიციის მიხედვით დღესასწაულობდა, მაშინ, როცა ეს ტრადიცია, ამ ეკლესიებშიც კი, უკვე დიდი ხანია აღარ არსებობდა. არ იყო დაცული საყოველთაოდ აღიარებული იერარქიული წესრიგი. მნიშვნელოვანი მონასტრები, როგორებიც, მაგალითად, იონა, ბანკორი და სხვ. იყვნენ, ერთგვარ რელიგიურ თემებს წარმოადგენდნენ, რომელთაც მათი წინამძღვრები ან უხუცესები მონაზვნური ცხოვრების განსაკუთრებული წესებით მართავდნენ. როგორც წმ. კოლუმბას მემკვიდრე, იონის მონასტრის წინამძღვარი მთელი კალედონის ეკლესიას ზედამხედველობდა. თავის ბერებთან ერთად იგი მღვდლებსაც აკურთხებდა და მოღვაწეობის სფეროს უდგენდა. ამ ეროვნულ, დამოუკიდებელ ეკლესიას ადგილობრივ ქრისტიანებზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა და მონასტერთა წინამძღვრებიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდნენ.

სავარაუდოა, რომ ავგუსტინეს მოღვაწეობა უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იქნებოდა, მას რომ ძველი ბრიტანული ეკლესიის სამღვდელოებისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია და თავისი საქმიანობა მასთან კავშირში წარემართა. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მას ქედმაღლურად უყურებდა. საერთოდ, რომის წარგზავნილები თავიანთ თავს თითქოს ქვეყნის დამპყრობლებად მიიჩნევდნენ. ავგუსტინემ პაპის სახელით ბრიტანელ ეპისკოპოსებსა და ბერებს ბრძანება გაუგზავნა, რომ იგი ინგლისური ეკლესიის მეთაურად ეცნოთ და კრებაზე მიიწვია. ამ ბრძანებამ ბრიტანელები უკიდურესად გააოცა: ისინი ხომ მიჩვეულნი იყვნენ, რომ მათი ეკლესია, რომელსაც უკვე დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, საკუთარი წინამძღვრების მიერ მართული და დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, არაფრით შეეძლოთ გაგება იმისა, მათთვის უცხო რომს რატომ უნდა დამორჩილებოდნენ. ბანკორის მონასტრის წინამძღვარმა, ბრიტანელი სამღვდელოების სახელით, ავგუსტინეს ასეთი პასუხი გასცა: „ჩვენ ყოველთვის მზად ვართ სიყვარული და ძმური მორჩილება გამოვიჩინოთ წინაშე ყოველი ღმრთისმოსავი ქრისტიანისა და ყოველი ეპისკოპოსისა, მათ შორის, რომისა. მაგრამ, ის, რომ ჩვენგან განსაკუთრებულ მორჩილებას მოითხოვთ იმისა, ვისაც თქვენ პაპს და მამათა მამას

უწოდებთ, ჩვენთვის გაუგებარია“. მიუხედავად ამისა, შვიდმა ბრიტანელმა ეპისკოპოსმა და რამდენიმე ბერმა დანიშნულ კრებაზე წასვლა მაინც გადაწყვიტეს. მათ რჩევა იმის შესახებ, ავგუსტინესთან ურთიერთობისას როგორ მოქცეულიყვნენ, ერთ ყველასგან პატივცემულ მეუდაბნოეს ჰკითხეს. მეუდაბნოემ, იმ შემთხვევაში, თუ კენტერბერიის მთავარეპისკოპოსი ღმრთის კაცი გამოდგებოდა, დამორჩილება ურჩია.

– მაგრამ, როგორ გამოვიცნოთ ღმრთის კაცია იგი თუ არა? – იკითხეს კრებაზე წასვლის მსურველებმა. მეუდაბნოემ უპასუხა, რომ უკეთუ იგი მსგავსად მაცხოვრისა მშვიდი და თავმდაბალი იქნებოდა და როგორც მოწაფე ქრისტესი, მისი უღლის მატარებელი, მაშინ სხვა უღელს არც მათ დაადგამდა და ამიტომ უნდა დამორჩილებოდნენ. მეუდაბნოეს ისევ ჰკითხეს, რა ნიშნით გამოეტანათ დასკვნა მისი თავმდაბლობის შესახებ, რაზეც მან უპასუხა, რომ თუ კრებაზე მისულებს ავგუსტინე ფეხზე ადგომით შეეგებებოდა და მიესალმებოდა, მაშინ იგი ღმრთის კაცად უნდა მიეჩნიათ.

კრებაზე მისულ ბრიტანელებს ავგუსტინე არა თუ ფეხზე ადგომით შეეგება, არამედ, პირიქით, მბრძანებლური ტონით მათგან მისი მეთაურობის ცნობა და ანგლო-საქსების მოქცევისათვის მისი ხელმძღვანელობით მოქმედება მოსთხოვა. შეურაცხყოფილმა და უკმაყოფილო ბრიტანელებმა უპასუხეს, რომ სურვილი არ ჰქონდათ ურთიერთობისა მტრებთან, მანამ, სანამ ისინი მიწებს, რომელიც ძალით მიიტაცეს, არ დააბრუნებდნენ და თანაც დაამატეს: „ხოლო რაც მას შეეხება, ვინც ჩვენს წინაშე ფეხზე არ წამოდგა, მაშინ, როცა ის ჩვენი თანასწორია, არ დავთანხმდებით, რომ უფროსად ვაღიაროთ“.

– „თუ ასეა, შეეპასუხა ავგუსტინე, და თუ თქვენ მშვიდობა ძმებთან არ გსურთ, მაშინ ომი გექნებათ მტრებთან. რადგან არ გინდათ საქსონელებს ჩემთან ერთად უჩვენოთ გზა ცხოვრებისა, მაშინ ისინი თქვენთვის სიკვდილის მაუწყებელნი იქნებიან“.

ისინი ერთმანეთს მტრებად დაშორდნენ. ავგუსტინეს მუქარა ახდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ანგლო-საქსების ერთ-ერთი მეფე, კერპთაყვანისმცემელი ედელფრიდი, უეცრად დაესხა თავს მხ-

არეს, სადაც ბანკორის მონასტერი იდგა. მთიელები, რომელნიც მის წინააღმდეგ გამოვიდნენ, დაამარცხა, მონასტერი დაარბია და ორასამდე ბერი ამოხოცა. რომაელი სამღვდელოების მიერ ახლადმოქცეულებმა ამაში ავგუსტინეს წინასწარმეტყველების სასწაულებრივი ახდენა დაინახეს; სამაგიეროდ, ბრიტანელები იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მტერი მათზე თავდასხმისაკენ თავად ავგუსტინემ წააქეზა. ამ ფაქტმა მტრობა ძველბრიტანულსა და ახალ რომაულ ეკლესიას შორის კიდევ უფრო გააღვივა. ნაცვლად იმისა, რომ საერთო სიკეთისათვის ერთიანი ძალისხმევით ემოღვაწევათ, ისინი მხოლოდ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. რომაელი სამღვდელოება ძველ ეკლესიას ერეტიკულად თვლიდა და ისევე გულმოდგინედ ცდილობდა მის აღმოფხვრას, როგორი გულმოდგინებითაც კერპთაყვანისმცემელთა მოქცევისათვის იღვწოდა. თავის მხრივ, ბრიტანულმა ეკლესიამ კიდევ უფრო შეუპოვრად, ჯიუტად დაიწყო დაცვა ძველი ადათებისა და თავის გადმოცემას, გადმოღებულს მცირე აზიის ეკლესიებისა და იოვანე მოციქულის მოწაფეებისგან, პეტრე მოციქულის დადგენილებებს უპირისპირებდა, რომლის სახელითაც მას რომის მომხრეები ელაპარაკებოდნენ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთო ეკლესიური ცხოვრებიდან იგი კიდევ უფრო გაუცხოვდა და ბრიტანელებისა და მეომარი მთიელების გულში უცხო ხელისუფალთა წინააღმდეგ მტრობასთან ერთად უცხო ეკლესიის ღრმა სიძულვილის გრძნობის გაღვივებასაც უწყობდა ხელს.

ბრიტანეთის კუნძულებზე რომაელ მახარებელთა სწრაფი წარმატებანი არამყარი გამოდგა. კენტის სათნო და ღმრთისმოსავი მეფის ეტელბერტის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟი კერპთაყვანისმცემლობას დაუბრუნდა. ასევე მოიქცნენ მეზობელი მეფის შვილებიც. ბელადების მაგალითს ხალხის დიდმა ნაწილმაც მიბაძა და მქადაგებელთა დევნა დაიწყო; ზოგიერთი მათგანი სულით დაეცა და ქვეყანა დატოვა. ავგუსტინეს მემკვიდრემ, ლავრენტიმ, დარჩენა გადაწყვიტა და მალე მეფეზე ისეთი ზეგავლენა მოიპოვა, რომ იგი ეკლესიას დაუბრუნდა. მეორე გულმოდგინე მქადაგებელმა პავლინემ მისი ქრისტიანი მეუღლის შემწეობით ნორტუმბერლანდის მეფე ევდინი მოაქცია. ევდინმა სასწრაფოდ სახალხო

ვეჩე ანუ საბჭო მოიწვია და ამცნო რა მას მისი მოქცევის მიზეზები და ახალი სარწმუნოების ძირითადი ჭეშმარიტებანი, კრებულს აზრი ჰკითხა. დიდმა ნაწილმა ძველ სჯულთან შედარებით ახლის უპირატესობა აღიარა, ხოლო ერთმა ბელადთაგანმა თავისი შეხედულების გამოსახატავად ძალიან ცოცხალი და შთამბეჭდავი პოეტური შედარებაც კი მოიშველია. „მეფეო, თქვა მან, ხანდახან შენ შენს ბელადებთან ერთად ზამთრის დღეს თბილ ოთახში, აგიზგიზებულ ცეცხლთან ნადიმობ. გარეთ ქარბუქი, თოვლი და წვიმაა. ამ დროს უეცრად კარებში შემოფრინდა ჩიტი და წამსვე გაფრინდა მეორე კარიდან. ეს ერთი წამი, რომლის დროსაც მას აღარც სიცივე და აღარც ქარბუქი არ უგრძვნია, მისთვის შვების მომგვრელი იყო, მაგრამ იგი მსწრაფლწარმავალი გამოდგა: ჩიტმა ოთახი სწრაფად გაიფრინა და ისევ ზამთრის სიცივეს ითმენს. ასევე მსწრაფლწარმავალია ადამიანის ცხოვრებაც დედამიწაზე და ასეთივე წამიერი იმ დროსთან შედარებით, რაც მის მოსვლამდე იყო და რაც მის შემდეგ იქნება. ეს დრო ჩვენთვის ბნელია და საშიშიც, რადგან შეუცნობელია. უკეთუ ახალ სარწმუნოებას შეუძლია ეს დრო ჩვენთვის რამდენადმე მაინც ნათელყოს, მაშინ მისი მიმდევრები უნდა გავხდეთ“.

პავლინემ, რომელიც კრებას ესწრებოდა, მის წინაშე ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობა გადმოსცა. საბჭომ მას ყურადღებით მოუსმინა და ძველი ღმერთების დათმობა და ახალი რწმენის მიღება ერთსულოვნად გადაწყვიტა. ხალხს კერპების განადგურებისაკენ თვითონ უზენაესმა ქურუმმა მოუწოდა, ხოლო პავლინემ მთელი სამეფო შემოიარა და ახალ სარწმუნოებაზე მოქცეულნი მონათლა.

მაგრამ მყარი არც ეს წარმატება გამოდგა. ევდინი მერსიის წარმართ მეფე პენდასთან ბრძოლაში დაიღუპა და ქრისტიანები კვლავ დევნილებად იქცნენ. ქვეყანაში დაიწყო ეკლესიების რბევა და რამდენიმე ხნით კვლავ წარმართობა გაბატონდა.

რომის წარგზავნილების პარალელურად ანგლო-საქსების სამეფოებში სახარების ქადაგებას უკვე ადგილობრივი ბრიტანული ეკლესიაც მხურვალედ შეუდგა. ამ კეთილ საქმეს საფუძველი ახალგაზრდა მეფე ოსვალდმა ჩაუყარა. მისი ძმის, მეფე ევდი-

ნის მოკვლის შემდეგ, მემკვიდრეობასთან ერთად სიცოცხლეც რომ არ დაეკარგა, მან, ჯერ კიდევ ბავშვმა, თავშესაფარი იონის მონასტერში იპოვა, სადაც ბერებმა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი სიყვარულით აღზარდეს. როცა სრულწლოვანი გახდა და ნორტუმბერლანდი დაიმორჩილა, მაშინვე მიიწვია მქადაგებლები ჩრდილოეთის მონასტრებიდან. ისინიც სიამოვნებით გაემართნენ, მაგრამ გაველურებული წარმართების გულების მოქცევა ქრისტეს სარწმუნოებაზე იმდენად ძნელი გამოდგა, რომ დაწყებულ საქმეზე რამდენჯერმე ხელი კინაღამ აიღეს. „ისინი ისეთი ჯიუტები არიან, ამბობდა ერთი იონში დაბრუნებული მქადაგებელი, რომ მათი მოქცევის არავითარი იმედი არ არსებობს“.

ამ სიტყვებმა იქ მყოფ მღვდელთაგან ერთ-ერთი, **აიდანი**, დიდად გააოცეს. „უფალო! წამოიძახა მან, განა ისინი გაჯიუტებას შეძლებდნენ, მათთვის რომ შენი სიყვარული ეუწყებინათ? მე წავალ, მე ვამცნობ მათ სახელს სათნო იესოსი, რომელმაც გადატეხილი ლერწამი არ შემუსრა“. შემდეგ იგი იმედდაკარგულ მქადაგებელს მიუბრუნდა და უთხრა: „ძმაო, დამწყებთათვის ზედმეტად მომთხოვნი ხომ არ იყავი? მათი გამოზრდა ხომ რძითაა საჭირო, ვიდრე ისინი უფრო მაგარი საზრდელისათვის განმტკიცდებოდნენ“.

აიდანი ეპისკოპოსად აკურთხეს და იონის ბერების გადაწყვეტილებით იგი ნორტუმბერლანდში წავიდა, სადაც ოსვალდმა დიდი სიხარულით მიიღო. რადგან აიდანმა ადგილობრივი მოსახლეობის ენა არ იცოდა, მას ყველგან თვითონ მეფე დაჰყვებოდა და ხალხს მის სიტყვებს უთარგმნიდა. მალე მთელი ეს მხარე მაცხოვნებელი ცოცხალი სიტყვით განისწავლა.

აიდანის სათნოებამ ყველას გული მიიზიდა. ის და მეფე თავდადებით, მოუღლელად, მხურვალე სიყვარულით მოღვაწეობდნენ და წარმატებამაც აღარ დააყოვნა; პირქუში საქსონელების გულებზე სახარების ჭეშმარიტებამ გაიმარჯვა. მოკლე დროში აღიმართნენ მონასტრები და ეკლესიები და ნორტუმბერლანდში სარწმუნოება მტკიცედ გაბატონდა. სამწუხაროდ ოსვალდიც, უფროსი ძმის მსგავსად, კერპთაყვანისმცემლებთან ბრძოლაში იქნა მოკლული. მან სული უფალს ვედრებით მიაბარა, გადაერჩინა მისი ხალხი,

რომელმაც, თავის მხრივ, თავისი კეთილშობილი მეფის ხსოვნას პატივი, ვითარცა წმინდანს, ისე მიაგო.

ნორტუმბერლანდიდან მქადაგებლები სხვა სამეფოებშიც გადადიოდნენ, სახარებას ქადაგებდნენ და ეკლესიებსა და მონასტრებს აფუძნებდნენ; ამასთან, არც ძველბრიტანული ეკლესიის წესებისა და ადათების დაცვაც ავიწყდებოდათ. მათი მოღვაწეობა კიდევ უფრო გაძლიერდა მაშინ, როცა ოსვალდის მემკვიდრემ, ოსვეიმ, თავის სახელმწიფოს სხვა სამეფოებიც შემოუერთა, რომლებშიც მათ მეფის მფარველობის წყალობით გზა ხსნილი ჰქონდათ.

სახარების ქადაგების საქმეში ძველბრიტანული ეკლესიის წარმატებებმა რომაელ მახარებელთა გულისწყრომა და შური გამოიწვია, რომელნიც, მიუხედავად მთელი მათი ძალისხმევისა, მტკიცედ მხოლოდ ჰეპტარხიის ერთ, კერძოდ, კენტის სამეფოში დამკვიდრდნენ. მათ გულისწყრომას იწვევდა გაფართოება და გაძლიერება ეკლესიისა, რომელიც პაპის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი იყო და ამიტომ მის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ: მის სწავლებას ერეტიკულად აცხადებდნენ და მის ადათებს განსჯიდნენ. თავის მხრივ, რომაელ სამღვდელოებას არც ბრიტანული სამღვდელოება ინდობდა; ეს ურთიერთმტრობა და შუღლი კი საბოლოოდ ზიანს სარწმუნოების საქმეს აყენებდა. ბრიტანელებმა, რომლებიც რომიდან წარმოგზავნილების ქედმაღლობამ და შეურაცხმყოფელმა დამოკიდებულებამ უკიდურესად გააღიზიანა, კიდევ უფრო ჯიუტად დაიწყეს დაცვა ძველი ადათებისა, როგორც საკუთარისა, აერთიანებდნენ რა ამ დროს ეროვნული დამოუკიდებლობის გრძნობას საეკლესიო საკითხებთან.

ხალხს უყვარდა მქადაგებლები, რომელთაც თავისიანებად თვლიდა და უფრო სიამოვნებით უსმენდა, ვიდრე რომიდან წარმოგზავნილ უცხოელებს, მით უმეტეს, რომ პირველნი უბრალოებითა და უანგარობით გამოირჩეოდნენ, მაშინ, როცა რომაელი მქადაგებელნი არა მხოლოდ ხალისით იღებდნენ საჩუქრებსა და მამულებს, არამედ ხშირად ითხოვდნენ კიდეც და ამას იმით ამართლებდნენ, რომ არა თავისთვის, არამედ უფლისთვის სურდათ, რომელიც შესაწირავის გამღებელთ უკეთეს სიმდიდრეს მისცემდა. რომაელი სამღვდელოება, რომელიც ხალხს არ უყვარდა, კავშირს მეფეებსა

და მდიდარ მემამულეებთან ეძიებდა, ჰპირდებოდა რა, რომ თავის სულიერ ძალას მათ სასარგებლოდ გამოიყენებდა. პაპები მეფეებს წერილებს სწერდნენ, რომლებშიც ზეციურსა და მიწიერ სიკეთეებს აღუთქვამდნენ მათ, რომელნიც რომის ეკლესიას მფარველობასა და მის მეთაურს, პაპს, შვილურ მორჩილებას გაუწევდნენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ გადასაბირებლად უმაღლესი ბრიტანული სამღვდელოებისა და მის ცდუნებას სიმდიდრისა და ძალაუფლების საცდურით ცდილობდნენ. ასეთი შეუპოვარი ბრძოლა საუკუნეთა მანძილზე გაგრძელდა, რაც სახალხო ვნებათაღელვას აღვივებდა და განხეთქილებას თვით ოჯახებშიც კი იწვევდა, როცა მისი წევრები სხვადასხვა ეკლესიის მიმდევარნი იყვნენ. გაუთავებელ შუღლსა და მტრობას ერთმანეთის სისხლისღვრაც არაერთხელ მოჰყოლია. რომი თავისი მიზნის მისაღწევად არც ცბიერებას ერიდებოდა და არც მუქარას: ცდილობდა ადამიანები თავისი სიმდიდრითა და ძალაუფლებით ეცდუნებინა, მიწიერ სარგებელთა სატყუარათი მოკავშირეებს ყიდულობდა და ბოლოს და ბოლოს გამარჯვებასაც მიაღწია, თუმცა არა სრულს.

ძველბრიტანულსა და რომის ეკლესიებს შორის ამ საუკუნოვანი ბრძოლის შესახებ საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები მოგვაწოდა ინგლისური ეკლესიის პირველმა მემატიანემ, მღვდელმონაზონმა ღირსმა **ბედამ**. იგი მერვე საუკუნეში ცხოვრობდა და ერთგული იყო რომის ეკლესიისა, რომელიც ამ დროისათვის ინგლისში უკვე განმტკიცებული იყო. მისი ბუნებრივი, ხალხის ხსოვნაში შემორჩენილ გადმოცემებზე დამყარებული მონათხრობი წარმოდგენას გვიქმნის ადგილობრივი ეკლესიის დასათრგუნად და შესავიწროვებლად რომის მიერ გამოყენებულ ხერხებსა და საშუალებებზე. ეს წვრილმანები ძვირფასია, რადგან რომის წინააღმდეგ საუკუნოვანმა ბრძოლამ თავისი ღრმა კვალი დააჩნია ბრიტანულ ეკლესიას, როცა მან შემდეგში რომის უღელი გადაიგდო.

მეფე ოსვალდის სიკვდილის შემდეგ, მეშვიდე საუკუნის შუა ხანებში, ნორტუმბერლანდის სამეფო მისი ძმის, **ოსვეის**, ხელში გადავიდა, რომელმაც იგი მნიშვნელოვნად გააფართოვა და ინგლისის ყველაზე ძლიერი მეფე გახდა. მართალია, ოსვეი მქადაგებლებს, რომელნიც მის სამფლობელოში ქრისტიანულ სარწმუ-

ნოებას ავრცელებდნენ, მფარველობდა, მაგრამ თვითონ უფრო თავისი სახელმწიფოს გაფართოებისათვის ზრუნავდა და ამ მიზნის მიღწევისათვის არც ბოროტმოქმედების ჩადენასაც ერიდებოდა: ცნობილია, რომ მან მეზობელი მეფე, თავისი ნათესავი, ღალატით მოკლა და მის სამეფოს ამ გზით დაეუფლა.

ეს ის დრო იყო, როცა რომის სამღვდელოება თითქმის მხოლოდ კენტში იყო დამკვიდრებული და დანარჩენ სამეფოებში ბრიტანელ მახარებელთა წარმატებას თვალყურს შურით ადევნებდა. ამიტომაც მეფე ოსვეის მიმხრობა რომისთვის მთელი ინგლისის დასამორჩილებლად წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნებოდა. მალე ამის შესაძლებლობაც გამოჩნდა. ოსვეისგან განსხვავებით, რომელიც ძველბრიტანული ანუ კალედონის ეკლესიის წესების მიმდევარი იყო, მისი ცოლი რომის აღმსარებლობას უჭერდა მხარს. ამასთან, მისი სულიერი მამაც სასახლეში ცხოვრობდა. ასე რომ, თვითონ სამეფო ოჯახშიც ორი მტრული ეკლესიის განსხვავებული ადათები იყო გაბატონებული. მაშინ, როცა მეფე და მისი მახლობელი პირები ძველბრიტანული ეკლესიის გამოთვლით პასექს დღესასწაულობდნენ, დედოფალი და მისი მოძღვარი ჯერ ისევ მარხულობდნენ. ამგვარად, პასექი სასახლეში ორჯერ იზეიმებოდა. სხვა განსხვავებულ ადათებსაც ორივე მხარე ჯიუტად იცავდა, რაც ხშირად კამათს იწვევდა, რომელიც სულ უფრო და უფრო სასტიკ ხასიათს იძენდა. დედოფალი და მისი მოძღვარი არცერთ შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ ბრიტანული ეკლესიის ადათები ათვალწუნებით არ მოეხსენებინათ. ამასთან ისინი მეფეში ეჭვის გაღვიძებას მისი სწავლების სიწმინდის შესახებაც ცდილობდნენ.

მალე თავგამოდებული და ძლიერი მოკავშირეც იპოვნეს. ეს იყო ახალგაზრდა ინგლისელი, სახელად **ვილფრიდი**, მეფესთან დაახლოებული, მეტისმეტად მოხერხებული და ჭკვიანი პიროვნება. მან რომში იმოგზაურა და იქიდან პაპის მხურვალე მხარდამჭერი დაბრუნდა, თუმცა ეს მხარდაჭერა უანგარო არ ყოფილა. იტალიასა და საფრანგეთში მოგზაურობისას ვილფრიდმა იხილა სამღვდელოება, რომელიც ძალაუფლებასა და სიმდიდრეს ფლობდა და სახელმწიფო საქმეებშიც აქტიურად იღებდა მონაწილეობას.

მას იმავე მდგომარეობის შექმნას შეჰპირდნენ, თუკი მოახერხებდა და ძლიერი მეფის, ოსვეის, რომის მორჩილად მოქცევას შეძლებდა. ენერგიული ახალგაზრდა დავალებული საქმის შესრულებას გულმოდგინედ შეუდგა. განუწყვეტლივ იწვევდა რა კამათს სარწმუნოებრივ საკითხებზე, იგი ბრიტანულ ეკლესიას ერეტიკულს უწოდებდა, გამუდმებით აქებდა და ადიდებდა პაპის ხელისუფლებასა და ძლიერებას და მეფეს შეაგონებდა, რომ მისთვის ბევრად უფრო შესაფერისი იქნებოდა სარწმუნოებრივ საკითხებში მორჩილება იმისი, ვისაც მთელი სამყაროს უძლიერესი ხელმწიფენი აღიარებდნენ, ვიდრე მოსმენა ღარიბი ბრიტანელი მღვდლებისა, რომელთაც არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდათ. ამავე დროს, არც იმ სარგებელთა აღნიშვნა და ჩამოთვლა ავიწყდებოდა, რომელიც შეიძლებოდა რომთან კავშირს მოეტანა. ყველაზე მოხერხებულად ვილფრიდმა მეფის სულიერი მდგომარეობა გამოიყენა. ოსვეი იმდენად ქრისტიანი კი იყო, რომ ჩადენილ დანაშაულთა გამო სინდისი დამშვიდებული არ ჰქონოდა. ეს რომ შეამჩნია, იგი შეეცადა მეფეში სინდისის ქენჯნა და შიში მარადიული სასჯელის წინაშე კიდევ უფრო გაეძლიერებინა, რათა შემდეგ იმ ერთადერთ გზაზე მიეთითებინა, რომლის მეშვეობითაც იგი თითქოს შენდობას მიიღებდა.

„მხოლოდ პაპს, – შეაგონებდა იგი ოსვეის, აქვს უფლება და ძალა შეგინდოს ამგვარი ცოდვანი, რადგან ეს უფლება მას თვითონ ღმერთმა უბოძა. განა შეუძლია მეფეს ცხონების იმედი ჰქონდეს, თუ იგი მხარს ერეტიკულ ეკლესიას დაუჭერს, რომელსაც არსებობის უფლებაც კი არ აქვს და არ ცნობს პაპს, რომელსაც თავად ღმერთმა მისცა ძალაუფლება შეკვრისა და გახსნისა; ზეციური სასუფევლის გასაღები ხომ, როგორც პეტრეს მოადგილეს, მას უპყრია ხელთ და მის კარებს მხოლოდ იმათ გაუღებს, რომელნიც მისი მორჩილნი არიან“.

ამგვარმა გამუდმებულმა შეგონებებმა მეფეს ყოყმანი დააწყებინა; ამასთან, რომისკენ მას მიწიერი სარგებელნიც ეზიდებოდნენ. ბოლოს და ბოლოს ოსვეიმ გადაწყვიტა მოეწვია კრება ბრიტანელი სამღვდელოებისა, რომელიც სამეფო კარზე გაძლიერებული რომის პარტიის ხრიკებს თვალყურს შეშფოთებით ადევნებდა.

კრება სტრინსგოლის მონასტერში გაიხსნა. „რატომ არ უნდა ვიყოთ ჩვენ ყველანი, მიმართა მეფემ კრების მონაწილეებს, მიმდევარი ერთი რჯულისა და ერთი ადათისა, რადგანაც ყველას ერთი ზეციური სამკვიდრებელის სასოება გვაქვს?“

პასუხად ბრიტანელმა ეპისკოპოსმა კოლმანმა უპასუხა: „იმათ, რომელთაც ეპისკოპოსად დამადგინეს, მასწავლეს მიმდევარი ვყოფილიყავი წმინდა სჯულისა; ისინი ღმრთის ერთგულნი მსახურნი არიან და მათი დამცირება არ გვმართებს, რადგანაც ეს არის სწავლება კოლუმბასი, ნეტარი იოვანე მოციქულისა და მთელი ეკლესიისა, რომლის ზედამხედველიც იგი იყო“.

– „ხოლო ჩვენი სწავლება და ჩვენი ადათი, შეეპასუხა ვილფრიდი, რომის სწავლება და ადათია, სადაც პეტრე და პავლე მოციქულებმა იქადაგეს. ამ სჯულს გალია, იტალია და საერთოდ მთელი სამყარო აღიარებს. მხოლოდ თქვენ, პიქტები და კალედონელები, სადღაც ქვეყნიერების ბოლოში, პატარა კუნძულებზე გადაკარგულნი, კადნიერდებით და მთელი სამყაროს წინააღმდეგ წასვლას ბედავთ? რას გვისახელებთ თქვენს კოლუმბას? რაც არ უნდა წმინდა ყოფილიყო იგი, განა შეიძლება უპირატესობა მივანიჭოთ იმასთან შედარებით, ვინც მოციქულთა თავი იყო და ვისაც თავად უფალმა უთხრა: შენ ხარ პეტრე და მე შენ მოგცემ გასაღებს ზეციური სასუფეველისა?“

ამ სიტყვებმა კრების მონაწილეებზე დიდად იმოქმედა. „შენ თვითონ მითხარი, კოლმან, შეეკითხა მეფე, ეს სიტყვები უფალმა პეტრეს მართლა უთხრა?“

– მართლა, – უპასუხა კოლმანმა.

– ჩვენს კოლუმბას ასეთი უფლება ოდესმე მიცემული ჰქონდა?

– რა თქმა უნდა, არა, – იყო კოლმანის პასუხი.

– მაშასადამე, – შეეპასუხა მეფე, – ჩემთვის უმჯობესია დავემორჩილო პეტრეს, რადგან ზეციური სასუფევლის გასაღები მას აქვს; სხვაგვარად, როცა მე მის კარებთან მივალ, არ გამიღებენ.

გამარჯვება რომს დარჩა. კოლმანი და მისი თანამოაზრე ეპისკოპოსები და მღვდლები, რომელთაც განაცხადეს, რომ თავიანთი ადათების შეცვლა და რომის პაპის ძალაუფლების აღიარება არ სურდათ, წავიდ-წამოვიდნენ, ვინ თავის მონასტერში, ვინ ვალი-

სის მთებსა და შოტლანდიაში, მტრულად განწყობილნი ახალი ადათებისა და რომის მიმართ, რომლის ძალაუფლებაც ამასობაში დღითი დღე ძლიერდებოდა.

გაწეული სამსახურისათვის პაპმა ვილფრიდი ნორტუმბერლანდის ეპისკოპოსის ტახტზე აიყვანა და დააჯილდოვა მამულებით, რომელიც ძველ მონასტრებს ჩამოართვეს. ახალი ეპისკოპოსი ეკლესიაში რომაული წესრიგის დამყარებას გულმოდგინედ შეუდგა, მაგრამ თავისი ქედმაღლობით ხელქვეითი სამღვდელოება მალე შეურაცხყო, ხოლო წარმოუდგენელი სიმდიდრით საერთო გულისწყრომა გამოიწვია. სამღვდელოება რომმა არა იმდენად დარწმუნების მეშვეობით, რამდენადაც ჯილდოებითა და საჩუქრებით დაიმორჩილა. ასე რომ, მრავალი უღირსი ეპისკოპოსი იქნა ხელთდასხმული, ეპისკოპოსის ტახტის მაძიებელთა შორის გაუთავებელი დავა და შუღლი გაჩაღდა. თვითონ ვილფრიდი, შემდეგში შეურაცხყოფილი იმით, რომ ინგლისის პრიმასის, კენტერბერიის მთავარეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი, არა მან, არამედ რომიდან წარმოგზავნილმა სწავლულმა ბერძენმა თეოდორემ დაიკავა, უკმაყოფილოთა რიცხვს შეუერთდა, რის გამოც ტახტიდან ჩამოაგდეს და საპყრობილეში გამოამწყვდიეს. თუმცა მისი საქმიანობა ამით არ დამთავრებულა. საპყრობილიდან განთავისუფლებულმა ვილფრიდმა მოაქცია და პაპს დაუმორჩილა სუსექსის სამეფო, რომელიც ჯერ კიდევ წარმართული იყო. ამ დამსახურებისათვის იგი ამჯერად იორკის ეპისკოპოსი გახდა, რამდენჯერმე იმოგზაურა რომში, უქადაგა წარმართ ფრიზებს (ახლანდელი ჰოლანდია) და გარდაიცვალა, თუმცა ეპისკოპოსობისაგან კვლავ გადაყენებული, მაგრამ აურაცხელი სიმდიდრის პატრონი.

მერვე საუკუნეში პაპის ძალაუფლება უკვე მთელმა ინგლისმა ცნო და მისი მეფენი რომის ტახტის მორჩილი შვილები გახდნენ. ისინი ხშირად გზავნიდნენ საჩუქრებს რომში, პაპის სასარგებლოდ გამოსაღებს აწესებდნენ და რომში წმიდა პეტრეს ნეშტის მოსალოცად მიდიოდნენ. მაგრამ ჩრდილოეთში პაპის ხელისუფლების გავრცელება ასე სწრაფად არ მომხდარა, იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ, უფრო და უფრო ავიწროვებდა რა თავის ყველაზე შეუპოვარ მოწინააღმდეგეე-

ბს. ძველბრიტანული სამღვდელოება ხალხში რომიდან მოსულებისა და მათი მომხრეების, როგორც სარწმუნოების მოღალატეებისადმი, შეურიგებელი მტრობის გაღვივებას ხელს უწყობდა. მქადაგებელთა საუბრებსა თუ ხალხურ სიმღერებში დაგმობილი იყო უსულგულო დაქირავებული მწყემსები, რომელთაც თავიანთი ცხვრები რომის მტაცებელ მგლებს მიჰყიდეს. გაღიზიანება იმდენად ძლიერი იყო, რომ, როცა ერთმა ეპისკოპოსმა გადაწყვიტა პასექი ინგლისელებთან ერთად ედღესასწაულა, აღშფოთებული ხალხის დასაწყნარებლად ძალის გამოყენება გახდა საჭირო. ერთ-ერთი ვალისელი ბელადი, რომელზეც ეჭვი მიიტანეს, რომ რომის ადათებისკენ იხრებოდა, ხალხმა სიცოცხლეს გამოასალმა. და მაინც, რომის პირველობა თანდათანობით აღიარეს ძველბრიტანული ეკლესიის ისეთმა ბურჯებმა, როგორებიც იონა, ბანკორი და სხვა ცნობილი მონასტრები იყვნენ, თუმცა მათში დამკვიდრებულმა მტკიცე სულიერმა ცხოვრებამ და ცოცხალმა გონებრივმა მოღვაწეობამ, მიუხედავად მისი ძალაუფლების აღიარებისა, რომს საშუალება არ მისცა, ისინიც რომაული ეკლესიის ერთფეროვანი ყალიბის მიხედვით ჩამოესხა. მათ ადრინდელი ტრადიციებიდან ბევრი რამ შეინარჩუნეს, მაგალითად, გულმოდგინება წმინდა წერილის შესწავლისას. ხოლო ნაწილმა ბერებისა, რომელიც ძველი ტრადიციების ერთგულ მიმდევრად და რომის აღმსარებლობის მტრად დარჩა, სამშობლო დატოვა და სახარების საქადაგებლად და სამოღვაწეოდ გერმანიას მიაშურა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რომის ეკლესიამ სრული გამარჯვების მოპოვება ინგლისურ ეკლესიაზე, რომელიც მისი ისტორიის მანძილზე პაპების თვითნებობისა და სიახლეთა შემოტანის წინააღმდეგ ხმის ამაღლებას ყოველთვის ახერხებდა, ვერასოდეს შეძლო. მაგალითად, კანონი სამღვდელოების უქორწინებლობისა ხშირად უარყოფილი იყო; მქადაგებელთა მხურვალე სიტყვა ხალხს სარწმუნოების ჭეშმარიტებას უხსნიდა; იყო მცდელობანი წმინდა წერილის მშობლიურ ენაზე გადათარგმნისა, მაშინ როცა ყველა ქვეყანისათვის, რომელიც რომს ემორჩილებოდა, სავალდებულო იყო, რომ წმინდა წერილი მხოლოდ ლათინურ ენაზე ჰქონოდა.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ინგლისზე ფრიად კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა. ამ ქვეყნის ადრეულ ისტორიაში

ჩვენ სათნოებას, სამართლიანობასა და სიმართლის სიყვარულის ბევრად უფრო მეტ მაგალითებს ვხვდებით, ვიდრე ამ მკაცრი ეპოქის ყველა სხვა ქვეყანაში. ბევრმა მეფემ მოიხვეჭა დიდება ქველმოქმედებით, სიწმინდითა და მეცნიერებათა მფარველობით; დედოფლები ტოვებდნენ რა მდიდრულ სასახლეებს, სიღატაკეში უფალს თავმდაბლობით ემსახურებოდნენ და გაჭირვებულებსა და ტანჯულებს შემწეობას უწევდნენ.

გონებრივი მუშაობა, რომელიც ირლანდიის ტაძრებში ასე ადრე დაიწყო, რომის ზეგავლენამ უცბად ვერ ჩაკლა: VII–VIII საუკუნეებში, მაშინ, როცა მეცნიერული განათლება დასავლეთ ევროპაში ძალიან დაბალ დონეზე იდგა, ინგლისის მონასტრებში, რომლებთანაც თითქმის ყოველთვის სასწავლებლებიც არსებობდა, მეცნიერების სხვადასხვა დარგს გულმოდგინედ ეუფლებოდნენ. პატივდებული ბედა, ვინც, ვითარცა ინგლისის ეკლესიის პირველი მემატიანე, ზემოთ მოვიხსენიეთ, შეიძლება იმ ღმრთისმოსავურ – მეცნიერული მიმართულების უღირსეულეს წარმომადგენლად ჩაითვალოს, რომელიც ინგლისელ ბერებში ბატონობდა. ბედა ვირმუტის მონასტერში აღიზარდა, ახალგაზრდობაშივე მონაზვნად აღიკვეცა და აქედან მოყოლებული მთელი თავისი ცხოვრება ლოცვას, მეცნიერულ შრომასა და ახალგაზრდობის აღზრდას მიუძღვნა. იგი იაროს მონასტერთან არსებულ სასწავლებელში ასწავლიდა. იცოდა რა ბერძნული, ლათინური და ებრაული ენები, ბედამ გულმოდგინედ შეისწავლა წმინდა წერილი. მას ეკუთვნის ევროპაში პირველი მცდელობა ღმრთის სიტყვის ინგლისურ ენაზე გადათარგმნისა. სასიკვდილო სნეულებამ ბედა მაშინ შეიპყრო, როცა წმ. იოვანეს სახარებას თარგმნიდა. სიხარულით შეხვდა რა ამ ცხოვრებიდან გასვლის წუთს, ბაგეებზე უფლის დიდებით და თავისი მოწაფეებით გარშემორტყმული, იგი 735 წელს გარდაიცვალა. მისი მოღვაწეობა მისმა მოწაფეებმა გააგრძელეს. ერთმა მათგანმა, ეგბერტმა, იორკის ეპისკოპოსმა, იორკის ცნობილი სასწავლებელი დააარსა, საიდანაც შემდეგში მრავალი განსწავლული და კეთილმსახური მოღვაწე გამოვიდა, რომელნიც ღმრთის სიტყვისა და საერთოდ ყოველგვარი სასარგებლო ცოდნის გასავრცელებლად თავდადებით იღვწოდნენ. მათგან ერთ-ერთი ცნობილი ალ-

კუინი იყო, რომელიც სწორედ იმ წელს დაიბადა, როცა პატიოსანი მამა ბედა გარდაიცვალა.

ეკლესია ცენტრალურ ევროპაში მეცხრე საუკუნემდე

გერმანიის ზოგიერთ მხარეში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება ძალიან ადრე დაიწყო; უკვე მე-3, მე-4 საუკუნეებში რაინისპირა მხარეში, სახელდობრ, კელნში, ტრირში, მაინცში, სპირში, სტრასბურგსა და ბაზელში საეპისკოპოსოები დაფუძნდა; ქრისტიანობა გავრცელდა დუნაისპირა მხარეშიც, ოლქში, რომელსაც რომაელები ნორიკს ეძახდნენ, ახლანდელი ავსტრიის ერთ ნაწილსა და ბავარიაში; აქ ქალაქები: ფავიანა, პასაუ და ლორეაკუმი ქრისტიანული განათლების ცენტრებს წარმოადგენდნენ. მაგრამ ამ მხარეს მის მეზობელ პანონიასთან ერთად მუდმივად თავს ესხმოდნენ ბარბაროსები; ჯერ ჰუნები, ხოლო ატილას სიკვდილის შემდეგ ალემანები, გერულები, გოთები და ვანდალები; ეს ბარბაროსები ან წარმართები იყვნენ, ან არიოზელები და ახლად ფესვმოკიდებული ქრისტიანობა მათ თავდასხმებს ვერ გაუმკლავდა.

მიუხედავად ამისა, ბარბაროსთა შემოსევების ყველაზე მძიმე პერიოდებშიც კი ჩნდებოდნენ თავდადებული ქრისტიანი მოღვაწენი და მახარებლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია დუნაისპირა მხარეში, ნორიკში მოღვაწეობა **სევერინისა**, რომელიც მე-5 საუკუნეში ცხოვრობდა. ეს მხარე ბარბაროსებმა საშინლად დაარბიეს: ისინი ანადგურებდნენ ნათესებს, ძარცვავდნენ და წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს, მიჰყავდათ მრავალი ტყვე, რომელთაც მონებად ყიდდნენ. მოსახლეობა საშინელმა შიშმა მოიცვა; მმართველები, რომლებიც ოლქს რომის იმპერატორის სახელით მართავდნენ, ბარბაროსთა განუკითხავი თარეშით დაშინებულნი, უსაფრთხოებისათვის შედარებით გამაგრებულ ადგილებს ეძებდნენ. რომი, რომელიც თვითონაც დაღუპვის პირამდე იყო მისული, მათ დახმარებას ვეღარ უწევდა: იტალიის ყველა გზა უკვე ბარბაროსებს ჰქონდათ დაკავებული. ხალხს, თუმცა იგი სახელით ქრისტიანი იყო, სარწმუნოებაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, ხოლო თა-

ვის მწყემსებში ვერც მოძღვარსა და ვერც ნუგეშინისმცემელს ვერ ხედავდა; ნაწილი გაიქცა, ნაწილი ბარბაროსებმა ამოხოცეს, ნაწილიც თავის ხვედრს უმოქმედოდ, გულხელდაკრეფილი ელოდებოდა. მოსახლეობის ღარიბი ფენა, რომლის ზურგზეც გადადიოდა ძირითადად ომის საშინელებანი, შიმშილი და სრული განუკითხაობა, სასოწარკვეთილ მდგომარეობამდე იყო მისული. წარმართული ადათები, რომელთა შესრულებაზეც ცოტა ხნის წინ ხელი აიღეს, ისევ გაცოცხლდა; დავიწყებულ იქნა ყოველგვარი ზნეობრივი კანონი; თანალმობისა და სიყვარულის გრძნობებმა ადგილი თვითგადარჩენის ინსტიქტს დაუთმეს. ზოგი ბარბაროსებს შეუერთდა და მხარეს მათთან ერთად ძარცვავდა, სხვებმა ყაჩაღთა ბრბოები თვითონ შექმნეს.

ამ მძიმე დროს დუნაის პირას გამოჩნდა მწირი, ოცდაათი წლისა, ღმრთისაგან წარმოგზავნილი, რომელსაც სევერინს ეძახდნენ. არავინ იცოდა ვინ იყო ეროვნებით, იცოდნენ მხოლოდ, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში იგი აღმოსავლეთში მოღვაწეობდა. მწირის მეტყველება და საქციელი მის მაღალ განათლებაზე მეტყველებდა. ჩქარა იგი ღარიბთა ნუგეშინისმცემელი შეიქნა. სევერინს არ ეშინოდა საფრთხისა, მოთმინებით იტანდა რა ჯაფასა და სილატაკეს; მან მთელი მხარე შემოიარა, ამხნევებდა და ანუგეშებდა უბედურთ და დარბეულ მხარეში წესრიგის აღდგენას ცდილობდა. ქადაგებდა რა ქრისტესა და მარადიულ ცხოვრებას და მოუწოდებდა რა ლოცვისა და მონანიებისაკენ, მან მდიდრებში ღარიბთა თანაგრძნობის, ხოლო მწუხარებაში ჩავარდნილთა შორის მოქმედების სურვილისა და სულის მხნეობის გაღვიძება შეძლო. თვით სასტიკი ბარბაროსები, როცა სევერინის უსაზღვრო გულმოწყალებასა და საფრთხეთა წინაშე ვაჟკაცურ სიმტკიცეს ხედავდნენ, მის მიმართ პატივისცემით იმსჭვალებოდნენ. თავისი დიდი გავლენის წყალობით, მან მრავალი მოაქცია ჭეშმარიტებაზე; სევერინი ითხოვდა თავისუფლებას ტყვეებისათვის, ხოლო თუ ვინმესგან დახმარებას მიიღებდა, გაჭირვებულთათვის მის დარიგებას ჩქარობდა. მწირს ყველა ემორჩილებოდა და ღმრთისკაცი ნამდვილი მმართველი გახდა მხარისა, რომელიც მის წმინდა მოღვაწეობას ადიდებდა. ქალაქებსა და სოფლებში მან პურის,

ტანსაცმლისა და საერთოდ პირველსაჭიროების ნივთების საწყობები მოაწყო; მწირის მიმართ პატივისცემა იმდენად დიდი იყო, რომ ამ მარაგებისათვის, რომელთაც წმინდა კაცის სახელი იცავდა, ხელის ხლებას თვით ბარბაროსებიც ვერ ბედავდნენ. საკუთარ ტანჯვათა მიმართ გულგრილი სევერინი, სხვათა ტანჯვას ცხოვლად განიცდიდა. ხშირად ცივ ზამთარში, ფეხშიშველა და ცუდად ჩაცმული ღმრთის კაცი დუნაის გაყინულ ტალღებზე გადადიოდა და საჭმელი და სამოსელი მიჰქონდა გაჭირვებულთათვის. მას ყველა ბედკრული ნდობით ეკიდებოდა, დუნაისპირა მცხოვრებნი მწირს რიგრიგობით უხმობდნენ თავისთან, სჯეროდათ რა, რომ მისი იქ მხოლოდ ყოფნაც კი უკვე დაიცავდათ ბარბაროსებისგან. დროდადრო სევერინი ფავიანის ახლოს (დღევანდელი ვენა) მის მიერვე დაარსებულ მონასტერში მიდიოდა, რათა ლოცვითა და განმარტოებით ახალი ძალები მოეკრიბა. მან მრავალი მოწაფე აღზარდა და როცა ნორიკში ოცდაათწლიანი მოღვაწეობის შემდეგ სული უფალს მიაბარა, როგორც მამა, მოძღვარი და მანუგეშებელი მთელმა მოსახლეობამ გულწრფელად დაიტირა. მალე ახალი უბედურებებით გულდამძიმებულმა, ბარბაროსებისგან ისევ დარბეულმა ნორიკის ქრისტიანულმა მოსახლეობამ იტალიაში გადასვლა გადაწყვიტა; ამიტომ წმინდა მოღვაწის ნეშტი ზეიმით იქნა გადასვენებული სამხრეთ იტალიაში. მოსახლეობისგან მიტოვებულ ბედკრულ მხარეში, რომელიც ბარბაროსებს დარჩათ სათარეშოდ, ყოველგვარი ნიშან-წყალი ქრისტიანობისა თითქმის სრულიად წაიშალა.

მთელი ცენტრალური ევროპა განადგურდა და სუსტი კვალი ძველი განათლებისა მხოლოდ აქა-იქ შემორჩა, მაგრამ გაბატონება ვერც წარმართობამ მოასწრო, რადგან მე-6 საუკუნეში ამ მხარეში წმინდა სახარების ქადაგება ისევ დაიწყო. გერმანული ტომის, ფრანკების მოქცევამ იმ სხვა გერმანულ ტომებზეც მოახდინა ზეგავლენა, რომელნიც მათ დაიპყრეს. ფრანკების ზოგიერთი ეპისკოპოსი და მოძღვარი მათთან საქადაგებლად მიდიოდა. რუპერტი, ემერან აკვიტანელი, ავიტ ვიენელი და სხვები მე-6 საუკუნეში ბავართა, ტურინგთა და ბურგუნდთა შორის მოღვაწეობდნენ. ტრირის მხარეში მღვდელმა გოარმა ხალხის განსასწავლად და მოწყალების დასარიგე-

ბლად ტაძარი ააგო. მაგრამ სულიერი განათლებისთვის გერმანია მაინც ყველაზე მეტად ირლანდიელი ბერებისგანაა დავალებული, რომელთაც VI-VII საუკუნეებსა და VIII საუკუნის დასაწყისში მთელი ეს მხარე მოიარეს და ღმრთის სიტყვა იქადაგეს. ეს ის დრო იყო, როცა ირლანდიის მონასტრებში სულიერი მოღვაწეობა განსაკუთრებით გაცხოველდა. მეზობელი ქვეყნები ჭაბუკებს აღსაზრდელად ამ მონასტრებში აგზავნიდნენ, სადაც ისინი სამეცნიერო განათლებასთან ერთად მისი წმინდა სიტყვის გავრცელებით ქრისტეს მსახურების მხურვალე მოშურნეობასაც იძენდნენ. მრავალმა მათგანმა მთელი თავისი ცხოვრება სახარების ქადაგებას მიუძღვნა.

ერთ-ერთი ასეთი მოშურნე მსახური ღმრთისა ბერი **ფრიდოლინი** იყო, რომლის შესახებაც მწირი ცნობები შემოგვრჩა. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი ვოგეზის მთებში მოღვაწეობდა, სადაც მე-6 საუკუნის ბოლოს მეორე ირლანდიელი, ბერი **კოლუმბანიც** მივიდა. თავის თორმეტ ამხანაგთან ერთად იგი ვოგეზის მთების უნაყოფოსა და უდაბურ ადგილას დამკვიდრდა. ამ მხარის მოსახლეობა უკიდურესად უხეში იყო და იმდენად განუვითარებელი, რომ მიწათმოქმედებაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ბერებმა მიწის დამუშავება დიდი ჯაფის გაწევით შეძლეს და თავიანთი წმიდა ცხოვრებით ისეთი პატივისცემა მოიპოვეს, რომ მცხოვრებნი რჩევათა მისაღებად მათთან ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ. ბერები ხალისით ასწავლიდნენ მათ, საღმრთო სჯულს უმარტავდნენ და თუმცა ღარიბები იყვნენ, თავიანთი შრომით მათაც ეხმარებოდნენ. ისინი მონასტრებში აღსაზრდელად იღებდნენ ბავშვებს, დაუღალავად ქადაგებდნენ ღმრთის სიტყვას, ასწავლიდნენ წერა-კითხვას და საერთოდ ყოველგვარი სასარგებლო ცოდნის გავრცელებისათვის აქტიურად იღვწოდნენ. ბერების რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

კოლუმბანის ხელმძღვანელობით სამი მონასტერი ჩამოყალიბდა, რომელთაგან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ლიუკსელის მონასტერმა მოიპოვა. ამგვარმა წარმატებამ მეზობელი ეპისკოპოსებისა და მღვდლების შური გამოიწვია, რომელთაც ხალხი მაინცდამაინც დიდი პატივისცემით არ ეპყრობოდა. მათ სძულდათ კოლუმბანი, რომელიც ხშირად საყვედურობდა მათ იმის გამო, რომ, ვითარცა

კეთილნი მწყემსნი, არა თავიანთი სამწყსოს კეთილდღეობაზე, არამედ დაქირავებულთა მსგავსად მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ზრუნავდნენ. კოლუმბანი ირლანდიური მონასტრების წესების მიმდევარი იყო, ზოგიერთ ძველ, რომაულისაგან განსხვავებულ ადათს იცავდა და თავს პაპზე დამოკიდებულად არ თვლიდა. სამღვდელოებამ მას სამოქალაქო ხელისუფლება აუმხედრა კოლუმბანი იძულებული გახდა ქვეყნიდან წასულიყო და თავისი კეთილნაყოფიერი მოღვაწეობა სვევთა შორის, დღევანდელ შვეიცარიაში გაეგრძელებინა. შაფჰაუზენმა, ციურიხმა და შემდეგ ბრეგენცმაც ღმრთის სიტყვა სწორედ ამ, სარწმუნოებისათვის თავდადებული ირლანდიელისაგან მოისმინეს; როცა მისი დევნა განახლდა,კოლუმბანი იტალიაში გადავიდა, სადაც პავიას მახლობლად ბობიოს მონასტერი დააარსა; ამ მონასტრის ბერები ღმრთის სიტყვას გულმოდგინედ ავრცელებდნენ ჩრდილოეთ იტალიაში. კოლუმბანის საყვარელმა მოწაფემ **გალოსმა**, რომელიც შვეიცარიაში დარჩა, ბრეგენცის მახლობლად მეუდაბნოეთა საცხოვრებელი მოაწყო, რომელსაც შემდეგში მისი სახელი მიენიჭა.

ამ წმინდა კაცებმა მრავალი მოწაფე აღზარდეს, რომელთაც დაწყებული საქმე გულმოდგინედ გააგრძელეს. მათთან ზღვის გაღმიდან განუწყვეტლივ მოდიოდნენ ახალ-ახალი მახარებლები. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რომმა ბრიტანეთის კუნძულებზე ძველბრიტანული ეკლესია ძალით დაიმორჩილა და იმ ბერებმა, რომელთაც რომის მორჩილება არ მიიღეს, სამოღვაწეოდ სხვა ქვეყნებს მიაშურეს. შვეიცარიაში, გერმანიასა და ნაწილობრივ საფრანგეთშიც წმინდა სახარება სწორედ მათი ღვაწლით გავრცელდა. დუნაის, რაინის მხარემ, ვოგეზის მთებმა და შვარცვალდის ტყეებმა მრავალი მახარებელი შეიწყნარეს; დაარსდნენ მონასტრები, სადაც ახალგაზრდობა განისწავლებოდა. უღრან ტყეებსა და მთათა ხეობებში მოღვაწენი დამკვიდრდნენ, რომელთა გარშემოც მათი მოწაფენი იკრიბებოდნენ, მათ შეგონებებს ისმენდნენ და მათ ცხოვრებას ბაძავდნენ. მახარებლები, რომელთა ცხოვრებაც მთლიანად ღმრთისადმი იყო მიძღვნილი, ხალხის უდიდეს პატივისცემას იწვევდნენ. მათ წესად ჰქონდათ, არავისგან მიეღოთ საჩუქარი, ლუკმა პურს საკუთარი ჯაფით შოულობდნენ და მოყვასისათვის დაუღალავად

ზრუნავდნენ, სახელდობრ, აუწყებდნენ რა სახარებას, მათ სულებს გონებრივი მოღვაწეობისკენ აღძრავდნენ.

ადგილობრივმა ხალხურმა გადმოცემებმა დღემდე შემოინახეს სახელები პირველი მახარებლებისა – კოლუმბანისა, გალოსისა და მაგნოალდისა, რომელნიც საფრანგეთში, შვეიცარიასა და ნაწილობრივ იტალიაში მოღვაწეობდნენ; ტრუტბერგისა და ზეგბერტისა, რომელნიც შვარცვალდში ქადაგებდნენ; პირმინისა, რომელიც ელზასში ახარებდა, და კილიანისა, რომელიც ვიურცბურგის გარეუბნებში მახარებლობდა და რომელმაც სარწმუნოებას სიცოცხლეც შესწირა. ვიურცბურგის თავადს მან ძმის ქვრივზე დაქორწინება აუკრძალა, რის გამოც, მთავრის ბრძანებით, მოკლეს. ამ მქადაგებელთა შესახებ მრავალი გადმოცემა შემოინახა. როგორც წმინდანები და სასწაულმოქმედნი, ისინი მადლიერი ხალხის ხსოვნაში დღემდე ცოცხლობენ.

ძველბრიტანული აღმსარებლობის მიმდევარ მქადაგებლებს ბრიტანეთის კუნძულებიდან ისინიც მოჰყვნენ, რომელნიც უკვე რომს ემორჩილებოდნენ. მათ ხომ პირველი მქადაგებლების მიმართ უცილობლად მტრული დამოკიდებულება უნდა გამოემჟღავნებინათ, რის გამოც ბრძოლა რომის ეკლესიასა და იმ თავდაპირველ ეკლესიას შორის, რომელიც რომის პაპის ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი იყო, ცენტრალურ ევროპაშიც განმეორდა; და ისევე როგორც ბრიტანეთის კუნძულებზე, გამარჯვება აქაც იმათ დარჩა, ვინც გარეშე ძალით ისარგებლა.

ძნელად მკვიდრდებოდა ქრისტიანობა ახლანდელ ჰოლანდიასა და ბელგიაში – ფრიზებსა და ბატავებს შორის. პირველ საუკუნეებში ქრისტიანი მქადაგებლები ამ ქვეყნებს ნაკლებად სტუმრობდნენ, რის შედეგადაც წარმართობამ იქ ფესვების გადგმა მოასწრო; შემდეგში, როცა ბატავებსა და ფრიზებში ქრისტიანობის გავრცელებაზე ზრუნვა ახლადმოქცეულმა ფრანკებმა დაიწყეს, ეს ტომები, რომელთაც ფრანკები სძულდათ, თავიანთი მტრების სარწმუნოებას უხალისოდ იღებდნენ, მით უმეტეს, რომ ფრანკთა მმართველები მიზნის მისაღწევად ხშირად ძალას იყენებდნენ: ისინი ამ ხალხების კეთილდღეობაზე უფრო ნაკლებად ზრუნავდნენ, ვიდრე მათ ქვეყნებში საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებაზე.

ესეც იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ აქ ქრისტიანობა მტკიცედ ვერ დამკვიდრდა. როგორც კი ახლადმოქცეულები დამპყრობლებთან ბრძოლაში იარაღის ძალით წარმატებას მიაღწევდნენ, ქრისტეს სჯულს მაშინვე ტოვებდნენ, ქრისტიანი მქადაგებლების დევნას იწყებდნენ და ადრინდელ სარწმუნოებას უბრუნდებოდნენ. მაგრამ ღმრთის წყალობით თავდადებული მახარებლებიც იყვნენ, რომელთათვისაც წმინდა ჭეშმარიტება სიცოცხლეზე ძვირფასი იყო. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ნანტის მკვიდრი **ამანდი**, რომელიც მე-7 საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. მას ბელგიის განმანათლებელ მოციქულად მიიჩნევენ. იგი პირველად პირენეიში, ბასკებთან ქადაგებდა, შემდეგ დუნაის ნაპირებზე, ხოლო ბოლოს, დარჩენილი წლები სიცოცხლისა მან ბელგიაში მოღვაწეობას მიუძღვნა. მოღვაწეობდა რა გენტის, ლიუტიხისა და მესტრიხტის მიდამოებში, ამანდმა წარმართებისგან ცოტა ტანჯვა როდი დაითმინა. მისი საქმე დიდი წარმატებით გააგრძელა მეორე ფრანკმა ღმრთისმოსავმა ეპისკოპოსმა **ელიგიუსმა**. ახალგაზრდობაში, როცა იგი ოქრომჭედლობას მისდევდა, აღებულ გასამრჯელოს ქრისტიანულ მოწყალებას ახმარდა: იქნებოდა ეს ტყვეთა გამოსყიდვა, მათთვის საღმრთო სჯულის სწავლება, მატერიალური შემწეობა თუ ეკლესიათა მშენებლობა. შემდეგში ელიგიუსი ნოიონის ეპისკოპოსად იქნა ხელთდასხმული. მისი ეპარქია მოიცავდა მხარეს, რომელიც დღეს ბელგიისა და საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს. ძალიან უყვარდა რა იგი მეფე დაგობერტს, ეპისკოპოსი თავის გავლენას ქვეყნის მმართველზე ხალხის კეთილდღეობისთვის იყენებდა. ელიგიუსი რწმენის გავრცელების საქმეში თავდადებული ღვაწლით, გულმოწყალებითა და უხვი ქველმოქმედებით განიდიდა.

მიუხედავად მახარებელთა და მმართველთა ძალისხმევისა, ქრისტიანული სარწმუნოება ნელა ვრცელდებოდა. მე-7 საუკუნეში ირლანდიელი ლივინი კერპთაყვანისმცემლებმა მოკლეს; ცოტა ჯაფა როდი დაადგათ ინგლისელ მქადაგებლებს, რომლებიც ფრიზებსა და ბატავებთან ამავე საუკუნეში მივიდნენ. ერთი მათგანი ის ვილფრიდი იყო, რომელმაც პაპის სასარგებლოდ ინგლისში ასე წარმატებით იმოღვაწევა. მის კვალს გაჰყვნენ ინგლისელები:

ვიგბერტი, ეგბერტი და ვილიბრორდი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ვილიბრორდის მოღვაწეობა გამოდგა. შემდეგში იგი უტრეხტის ეპისკოპოსი გახდა, დანიასა და კუნძულ გელჰოლანდს ეწვია წარმართებისთვის საქადაგებლად, რომელთაგან მრავალი ტანჯვა დაითმინა. მიუხედავად ამისა, როგორც ითქვა, სარწმუნოების გავრცელება ძირითადად თითქოს მაინც ფრანკების იარაღის წარმატებაზე იყო დამოკიდებული. მე-8 საუკუნის დასაწყისში ფრიზების მეფე რატბოტმა თავისი ქვეყნის ფრანკთა ბატონობისაგან დროებით განთავისუფლება შეძლო და მისი გამარჯვება წარმართობის გამარჯვებასაც ნიშნავდა.

მოგვითხრობენ, რომ ღმრთისმოსავი ეპისკოპოსის ვულფრამის შეგონებით, პირქუშმა წარმართმა მონათვლის სურვილი გამოთქვა, მაგრამ ჩადგა თუ არა ერთი ფეხი ემბაზში, უცბად ეპისკოპოსს ჰკითხა: „ჩემი წინამორბედი ადრინდელი მეფეები ფრიზებისა ჯოჯოხეთში არიან თუ ცათა შინა“? – „რა თქმა უნდა ჯოჯოხეთში, რადგან ისინი მოუნათლავნი გარდაიცვალნენ“, უპასუხა ეპისკოპოსმა; „მაშინ მე მირჩევნია ჯოჯოხეთში ვიყო ჩემს სახელოვან წინაპრებთან, ვიდრე სამოთხეში ღატაკებთან“, უპასუხა რატბოტმა და ემბაზიდან ამოვიდა. შემდეგში, როცა ფრანკებმა რატბოტი ისევ დაამარცხეს, ზომები ქრისტიანული სარწმუნოების გასავრცელებლად ისევ გაძლიერდა, მაგრამ ამ საქმეში ფრანკებზე მეტად ბრიტანელი მქადაგებლები აქტიურობდნენ.

თვითონ საფრანგეთში ქრისტიანული განათლება ძალიან დაბალ დონეზე იდგა. ხლოდოვიკის მემკვიდრენი უმეტესწილად ქრისტიანები მხოლოდ სახელით იყვნენ; მათი საშინელი დანაშაულობანი და გარყვნილი ცხოვრება, რომელიც ჩვენთვის გრიგოლ ტურელის მონათხრობითაა ცნობილი, ცხადად ამტკიცებს, რომ მათ გულებში ჭეშმარიტ სარწმუნოებას წარმართობაზე გამარჯვება ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული. სარწმუნოების სიწმინდეზე ცოტას ზრუნავდა მატერიალურ სარგებლობათა საცდურით ცდუნებული სამღვდელოებაც. საფრანგეთში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებისთანავე, ჯერ კიდევ ხლოდოვიკის დროს, ეპისკოპოსები, რომელნიც მას ხელისუფლების განმტკიცებაში დაეხმარნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო საქმეე-

ბში, რაც შემდგომშიც გაგრძელდა. რადგანაც ქვეყანაში განათლებულნი მხოლოდ ეპისკოპოსები იყვნენ, ამიტომ ისინი ხშირად იგზავნებოდნენ ელჩებად, მოლაპარაკებას აწარმოებდნენ უცხო ქვეყნების მმართველებთან, ხანდახან ქალაქებსა და მთელ მხარეებსაც კი მართავდნენ და სამეფო კარზე დიდი თანამდებობანი ეკავათ. ყოველივე ეს მათ თავიანთ პირდაპირ მოვალეობებს განაშორებდა. შეიძლებოდა სასახლეებში ხილვა ეპისკოპოსებისა, რომელნიც უხეში და გარყვნილი სანახაობის მოწყობისათვის დავალებებს ანაწილებდნენ; მათი ხილვა შეიძლებოდა, აგრეთვე, ომებში, ნადირობისას, ხმაურიანსა და უხამს ნადიმებზე. სამაგიეროდ იშვიათად ხედავდნენ მათ ეპარქიებში და თითქმის არასოდეს ჩანდნენ როგორც მოძღვარნი და მწყემსნი; ამიტომ ხალხი უკიდურესად გაუნათლებელი დაბალი სამღვდელოების ანაბარა იყო მიტოვებული, რომელიც როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლების მიერ შეუბრალებლად იჩაგრებოდა.

მართალია, არსებობდა წესი, რომლის მიხედვითაც ეპისკოპოსს წელიწადში თუნდაც ერთხელ საეკლესიო საქმეთა მისახედად, ხალხის განსასწავლად და საჩივართა მისაღებად ეპარქია უნდა მოევლო, რათა შემდეგ შექმნილი ვითარება სასულიეროთა შეკრებებზე, რომელსაც სინოდს უწოდებდნენ, განეხილათ, მაგრამ ამ წესს იშვიათად თუ ვინმე იცავდა. სინოდის მოწვევაც თანდათანობით შეწყდა, რადგან საეკლესიო საქმეები სახელმწიფო თათბირებზე განიხილებოდა, რომელთაც ეპისკოპოსებიც ესწრებოდნენ. საზოგადოების იმ ფენაზე, რომელშიც ფრანკი ეპისკოპოსები როგორც წარჩინებულნი და როგორც კარისკაცნი ტრიალებდნენ, რამდენადაც მისი უზნეობით თვითონაც დასნეულებულნი იყვნენ, ბუნებრივია, კეთილისმყოფელ გავლენას ვერ მოახდენდნენ. შეიყვარეს რა სიმდიდრე და ძალაუფლება, ისინი ამა ქვეყნის ძლიერთა ბიწიერებას თვალს უხუჭავდნენ და ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდეს ხშირად პირადი სარგებლობისთვის სწირავდნენ; ფრანკთა სამღვდელოებას მომხვეჭელობისა და სიხარბის ვნება თავიდანვე ბნელ ლაქად დააჩნდა; ახლადმოქცეულებს ეკლესიის მხოლოდ გარეგნული პატივისცემა მოეთხოვებოდათ, რაც ხშირად მხოლოდ საჩუქრების მირთმევით გამოიხატებოდა, რადგანაც შეაგონებდნენ,

რომ ეკლესიისათვის მიცემული გამოსაღებით ცოდვათა და დანაშაულობათა გამოსყიდვა შეიძლებოდა.

ბარბაროსთა ბელადები, რომელთაც ომებისა და ძარცვისათვის თავად ეკლესია აკურთხებდა, ძალადობითა და უსამართლობით ხელში ჩაგდებულ ნადავლს – მამულებსა და ქონებას ეკლესიასაც გულუხვად უნაწილებდა: ისინი ეკლესიას ადგილ-მამულებსა და განძეულობებს „ცოდვათა მიტევებისა და სულის გადარჩენისათვის“ ხალისით სწირავდნენ, რადგან სწამდათ მოძღვრებისა, რომელნიც შეაგონებდნენ, რომ ეკლესიისათვის მიცემული გამოსაღებით არა მხოლოდ ძველი ცოდვების მიტევება, არამედ ახლის ჩადენის უფლების ყიდვაც კი შეიძლებოდა.

ამგვარად, სამღვდელოების ჯიბეში ქონება ისე უხვად მიედინებოდა, რომ ზოგიერთი მეფე იძულებული გახდა, პირდაპირი მემკვიდრეების დაუკითხავად, ეკლესიისათვის მამულების გადაცემა აეკრძალა; სამწუხაროდ სასურველი შედეგი ვერც ამ განკარგულებამ გამოიღო. ბიწიერებათა და დანაშაულობათა მიმართ საკმაოდ ლოიალურად განწყობილი სამღვდელოება წყევლითა და მარადიული ტანჯვა-წამებით ემუქრებოდა ყველას, ვინც კი მისი ქონების ხელყოფას გაბედავდა, ან მის უფლებებს ეჭვქვეშ დააყენებდა. ძალადობისაგან, რომელსაც იმ დროში ასე ხშირად ჰქონდა ადგილი, ყველაზე უკეთ საეკლესიო ქონება იყო დაცული, რადგან ტაძრის ან მონასტრის გაძარცვისათვის სამღვდელოება დამნაშავეებს ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდა. ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ უკვე მეშვიდე საუკუნის ბოლოს გალიის მიწა-წყლის ერთი მესამედი ნაწილი ეკლესია-მონასტრებს ეკუთვნოდა. ეს მიწები ყოველგვარი გადასახადისა და გამოსაღებისაგან თავისუფალი იყო. ამასთან, სამრევლო სამღვდელოება გადასახადის მეათედითაც სარგებლობდა, ამიტომ ხანდახან მეფენიც კი ჩიოდნენ, რომ ეკლესიამ ისინი გააღატაკა.

მატერიალურ სარგებლობათა ერთგულებამ შედეგად საერო ხელისუფლების მიერ ეკლესიის დამონება გამოიღო. საეკლესიო თანამდებობაზე პირთა არჩევის უფლება ძველთაგანვე მრევლს ეკუთვნოდა; ეკლესიის საქმეთა გამო კრებები ეპისკოპოსებს უნდა მოეწვიათ, მაგრამ ფრანკთა მეფეებმა ეს უფლებანი მიითვისეს და

რადგანაც მათგან მდიდრული ადგილ-მამულები ჰქონდათ მიღებული, მათ შესანარჩუნებლად აღარც ეპისკოპოსებს უზრუნვიათ. ეყრდნობოდნენ რა საერო ხელისუფლებას, ისინი თავიანთ ეპარქიებს თვითნებურად და დამოუკიდებლად განაგებდნენ და ქონების დაგროვებით გატაცებულნი ხშირად საეკლესიო კანონებსაც ფეხქვეშ თელავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეფეებზე ამგვარად იყვნენ დამოკიდებულნი, ზოგიერთმა მათგანმა იმასაც მიაღწია, რომ სახელმწიფო საქმეებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. ასეთი წესრიგის ჩამოყალიბების გამო პაპთან საეკლესიო საქმეებზე ურთიერთობა თითქმის სრულიად შეწყდა. თუმცა სიტყვით მის მეთაურობას აღიარებდა, სინამდვილეში გალიის ეკლესია მისგან დამოუკიდებელი იყო და მეფისა და ყველაზე გავლენიანი ეპისკოპოსების მიერ თვითნებურად იმართებოდა.

განაგებდნენ რა ეკლესიის საქმეებს, მეფეებს ხშირად საეკლესიო ქონებაზეც წაუცდებოდათ ხელი. ისინი საეპისკოპოსო კათედრებს დიდი ფულის ფასად ყიდდნენ, ხოლო მერვე საუკუნეში საეკლესიო ქონებაზე პირდაპირი და გადამწყვეტი იერიში მიიტანეს. ამ დროს სამეფო ძალაუფლება დიდებულთა მთავარმა ანუ მერმა აიღო ხელში. მერმა კარლ მარტელმა (714-741), რომელმაც სახელი სარაცინებზე გამარჯვებით მოიპოვა, სამღვდელოების უზარმაზარ ქონებას პირველმა დაადო ხელი. რადგანაც მისი მომხრეების მამულებით დაჯილდოება ძნელი გამოდგა, მან მიწების გაცემა არა საჩუქრად, არამედ სარგებლობისთვის დაიწყო, რასაც ბენეფიციები ეწოდებოდა. ვისაც მიწა გადაეცემოდა, იგი ვალდებული იყო ჩაეყენებინა და შეენახა განსაზღვრული რიცხვი მეომრებისა. თავისუფალი მიწები უკვე ცოტა იყო; ამიტომ კარლ მარტელმა თავისი მომხრეებისათვის ეპარქიებისა და მონასტრების გაცემა დაიწყო, რომელნიც სამაგიეროდ მოვალენი იყვნენ საეკლესიო ქონებიდან ბენეფიციები მიეცათ მათთვის, ვისზედაც მარტელი მიუთითებდა. საეკლესიო ქონებას კიდევ უფრო თვითნებურად განაგებდნენ მისი შვილები.

ბოროტებამ და უწესობამ ეკლესიაში უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეპარქიები და მონასტრები საბრძოლო დამსახურებისათვის უხეშ, უწიგნურ მებრძოლებს ეძლეოდათ, რომელნიც, სარგე-

ბლობდნენ რა მათი შემოსავლებით, მოვალეობათა აღსასრულებლად ეპისკოპოსებსა და მღვდლებს ქირაობდნენ. საეკლესიო საქმენი უკიდურესად დაეცა, რადგან ეპისკოპოსებს მათთვის არა-სოდეს ეცალათ. დაბალ სამღვდელოებას, რომელიც უმეტესწილად სრულიად გაუნათლებელი ადამიანებისაგან შედგებოდა, ეპისკოპოსები საშინლად ჩაგრავდნენ. ხშირად ცხოვრების საშუალებათა მოსაპოვებლად სასულიერო წოდებას არათავისუფალი მდგომარეობის ადამიანები იღებდნენ და ამას ხელს ეპისკოპოსებიც უწყობდნენ, რათა დაქვემდებარებულ პირებზე რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება ჰქონოდათ. გაქრა ყოველგვარი პატივისცემა სასულიერო ხარისხისა. ეპისკოპოსებს პატივს არა ცოდნის და განათლებისათვის, არამედ სიმდიდრისა და გავლენისათვის სცემდნენ; ხოლო უხეშ, უწიგნურ, ხარბსა და ხშირად გარყვნილ დაბალ სამღვდელოებას ხალხისგან არც პატივისცემის დამსახურება შეეძლო და არც მისი ნდობის მოპოვება. მდიდარი მემამულენი, რომელნიც თავიანთ ციხე-სიმაგრეებში ტაძრებს აშენებდნენ, ხშირად იქ მღვდლებად თავიანთ მონებს ნიშნავდნენ და ამ საცოდავებს ყველაზე უკანასკნელი მსახურების მდგომარეობაში ამყოფებდნენ, აგდებულად და უხეშად ეპყრობოდნენ; ისინი ბატონების სუფრას ემსახურებოდნენ, ხოლო ხშირად ძაღლებსაც უვლიდნენ. ბუნებრივია, ასეთი სამღვდელოება ხალხზე კეთილისმყოფელ გავლენას ვერ მოიპოვებდა და მას ვერც ქრისტიანული განათლების გზაზე დააყენებდა.

ასეთი იყო მდგომარეობა ეკლესიისა ცენტრალურ ევროპაში, როცა გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც გერმანულსა და ნაწილობრივ ფრანკთა ქვეყანაში საეკლესიო ცხოვრების განვითარებაზე ძლიერი ზეგავლენა უნდა მოეხდინა. ეს იყო ინგლისელი ვინფრიდი, უფრო ცნობილი სახელით – **ბონიფაციუსი**, რომელიც მონაზვნობაში მიიღო. იგი დაახლოებით 680 წელს დაიბადა ინგლისში და სიჭაბუკეშივე აღიკვეცა რა მონაზვნად, თავიდანვე მახარებლის მოღვაწეობისკენ ისწრაფოდა. ბონიფაციუსს ფრიზლანდიაში წასვლა უნდოდა, სადაც უკვე მრავალი მახარებელი მოღვაწეობდა, მაგრამ ამისთვის ნებართვა მაშინვე ვერ მიიღო, რადგან სასულიერო ხელისუფლება საკუთარი სამეცნიერო შრომებით სარგებლობის მომტანი, თავდადებული მონ-

აზვნის ინგლისში დაკავებას ცდილობდა. ბოლოს მან თავისი მაინც გაიტანა, ნუტშელის ცნობილი მონასტერი დატოვა და ფრიზლანდიაში გაემგზავრა, მაგრამ იქ მქადაგებლის მოღვაწეობისათვის ხელსაყრელი ვითარება არ დახვდა.

ფრიზების მეფე რატბოტმა კარლოს მერტელთან ბრძოლაში რამდენადმე წარმატებას მიაღწია, რის შედეგადაც თავისი მტრების სარწმუნოებას ბრძოლა აშკარად გამოუცხადა, ეკლესიებსა და მონასტრებს არბევდა და მახარებლებს სდევნიდა. ბონიფაციუსი იძულებული გახდა ინგლისში დაბრუნებულიყო, მაგრამ ორი წლის შემდეგ ისევ წავიდა საქადაგებლად გერმანიაში, გამოითხოვა რა ამისათვის კურთხევა რომის პაპის გრიგოლისა, რადგან იგი პაპის მხურვალე მომხრე იყო და ყველგან პაპის ტახტის სახელით მოღვაწეობდა. იგი ჯერ საალისა და ისკარის ნაპირებზე, გერენში, ტიურინგენსა და ფრანკონიაში ქადაგებდა, შემდეგ ფრიზლანდიაშიც, სადაც სამი წელი დაჰყო, რის შემდეგაც სამოღვაწეოდ ისევ გერმანიას დაუბრუნდა.

ეწვია რა მეორედ რომს, ბონიფაციუსმა იქ საზეიმოდ დადო ფიცი პაპის ერთგულებისა და მისგან ეპისკოპოსის წოდება მიიღო. პაპი მას მფარველობასაც შეჰპირდა და კარლოს მარტელისა და გერმანიის სასულიერო და საერო ხელისუფლებისათვის მიწერილი წერილებიც გაატანა, მაგრამ ბონიფაციუსი ჩქარა დარწმუნდა, რომ მარტელისაგან თანადგომის იმედი არ უნდა ჰქონოდა; კარლოს მარტელიცა და მისი კარის სამღვდელოებაც, რომელნიც ეკლესიის საქმეთა თვითნებურად მართვას იყვნენ მიჩვეულნი, ამ საქმეებში მისი რწმუნებულის მეშვეობით პაპის ჩარევას უკმაყოფილოდ შეხვდნენ. ბონიფაციუსმა ისევ გესენს მიაშურა, სადაც ახლად დაარსებული ეკლესიის გვერდით, წარმართობა ჯერ ისევ ძლიერი იყო.

გეიემარის მახლობლად უზარმაზარი საუკუნოვანი მუხა იდგა, მიძღვნილი მეხისმტყორცნელი ღმერთისადმი, რომელსაც ცრურწმენით შეპყრობილი ხალხი თაყვანს სცემდა. ბონიფაციუსმა „წმინდა“ ხე მოაჭრევინა. შიშით შეპყრობილი წარმართები ელოდებოდნენ, რომ ღმრთეება თავხედზე შურს იძიებდა, მაგრამ, როცა მსგავსი არაფერი მოხდა, თავიანთი ცრუ ღმერთების უძლურებაში

დარწმუნდნენ და მათმა დიდმა ნაწილმა წმინდა ნათლობის მიღებაზე თანხმობა განაცხადა. მოჭრილი მუხისაგან დამზადებული მასალით პატარა ეკლესია ააგეს წმინდა პეტრეს სახელზე. ასევე წარმატებით მოღვაწეობდა ბონიფაციუსი ტიურინგენშიც.

გრიგოლ მეორის მემკვიდრემ რომის პაპის ტახტზე, გრიგოლ მესამემ, ბონიფაციუსის უფლებები და სფერო მისი მოღვაწეობისა არქიეპისკოპოსისა და მთელი გერმანიის პრიმასის წოდების მინიჭებით კიდევ უფრო გააფართოვა. მას, როგორც მთელი ეკლესიის ზედამხედველს, უფლება ჰქონდა ეპარქიების დაარსებისა, ეპისკოპოსთა არჩევისა და გადაყენებისა. ბონიფაციუსი ამ უფლებებს თავისთვის აუცილებლად მიიჩნევდა: თავიდანვე მტკიცედ სწამდა რა ეკლესიაზე პაპის ძალაუფლების კანონიერებისა, გერმანულსა და ფრანგულ მიწებზე ეკლესიების მდგომარეობის ახლოს გაცნობამ კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ პაპისადმი მათი სრული დამორჩილება აუცილებელი იყო. ეს მიაჩნდა მას ერთადერთ საშუალებად ეკლესიის განსათავისუფლებლად ყოველგვარი სასულიერო და საერო ხელისუფლების თვითნებობისაგან და მასში განსაზღვრული კეთილმოწესეობისა და ერთი აღმსარებლობის განსამტკიცებლად. მაგრამ საქმე ძნელი იყო.

ბონიფაციუსს თითქმის ყველგან მტრულად ხვდებოდნენ. ხელისუფლების წარმომადგენელნი, უკმაყოფილონი მისთვის მინიჭებული უფლებებით, რომელთაც არც ცნობდნენ, მას წინააღმდეგობას უწევდნენ. მთელს გერმანიაში გაფანტული მქადაგებელნი ძველბრიტანული ეკლესიისა, ყველგან რომისადმი დაპირისპირებული სწავლების გავრცელებას ცდილობდნენ. ზოგიერთი ადრე დაარსებული მონასტერი თავს ყოველგვარი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად თვლიდა და ბონიფაციუსის მიერ რომის ტახტის სახელით შემოტანილ წესებსა და კანონებს უხალისოდ ემორჩილებოდა; მაგრამ მან თავისი სიმტკიცისა და მოუღლელი მოღვაწეობის წყალობით შეძლო წინააღმდეგობებზე გამარჯვება მოეპოვებინა. მთელი მისი მოღვაწეობა ხან წარმართობასთან, ხან სასულიერო და საერო ხელისუფლებასთან, ხან კიდევ დამოუკიდებელი ეკლესიის მქადაგებლებთან განუწყვეტელი ბრძოლა იყო. იგი ქადაგებდა, აფუძნებდა ეკლესია-მონასტრებსა და ეპარქიებს,

ნიშნავდა მათში თავის ერთგულ მოღვაწეებს, რომელნიც მისი სულისკვეთებით მოქმედებდნენ.

რამდენიმე წლის განმავლობაში ბონიფაციუსმა ბავარიაში პასაუსკის, ფრეიზინგეისა რეგენბურგის საეპისკოპოსოები დააფუძნა: ტიურინგენში – ერფურტისა, გესენში – ვიურცბურგისა, ბავარიის იფალცში – ეიხშტატისა. მის მიერ დაარსებული მონასტრებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ფულდის მონასტერმა მოიპოვა, რომელიც ბონიფაციუსმა თავის საყვარელ მოწაფეს, ბავარიელ შტურმს ჩააბარა. შემდეგში ეს მონასტერი უმაღლეს მეცნიერებათა სასწავლებელი გახდა. გულმოდგინედ ზრუნავდა ბონიფაციუსი ახალგაზრდების განათლებაზეც, მართავდა მათთვის სასწავლებლებს, რამდენიმე ყრმა თვითონ აღზარდა, რომელნიც შემდეგ მისი თანამოღვაწენი და თანაშემწენი გახდნენ.

ინგლისიდან ბონიფაციუსი იწერდა წიგნებს სკოლებისათვის, ჭურჭელს – ეკლესიებისათვის; იხმობდა ბერებსა და მონაზვნებს მის მიერ ხელახლა მოწყობილ მონასტრებში. მისი წერილები პაპისა და ვინჩესტერის ეპისკოპოსის დანიელისადმი ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცენტრალურ ევროპაში ეკლესიის მდგომარეობასა და იმ სიძნელეებზე, რომლებიც იქ მოღვაწე გულმხურვალე მქადაგებლებს ხვდებოდათ.

კარლოს მარტელის სიცოცხლეში, რომელიც საფრანგეთისა და გერმანიის ნაწილს მართავდა, ფრანკთა მიწაზე ბონიფაციუსს წარმატების მიღწევა გაუჭირდა, მაგრამ სამაგიეროდ რამდენადმე უფრო დამყოლნი გამოდგნენ მისი შვილები; კარლომანი, მმართველი ავსტრაზიისა (ფრანკთა სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი, ახლანდელი გერმანიის რამდენიმე ოლქითურთ) და პიპინი, მმართველი ნევსტრიისა (საფრანგეთის დასავლეთი ნაწილი) ნებას რთავდნენ ბონიფაციუსს ჩარეულიყო საქმეებში ფრანკთა ეკლესიისა, რომელშიც უწესრიგობამ და უწესობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. მან შეძლო აღედგინა სინოდი ანუ საეკლესიო საქმეების განსახილველად ეპისკოპოსთა შეკრებები, რომელიც უკვე ოთხმოცი წელი იყო აღარ მოეწვიათ.

პირველსავე სინოდზე რამდენიმე ცხადი ბოროტმოქმედება დაგმეს, უღირსი ეპისკოპოსები გადააყენეს და ბონიფაციუსის

დანიშნულები დაამტკიცეს, თვითონ იგი ავსტრაზიის ეკლესიის მიტროპოლიტად აღიარეს. ბოლოს და ბოლოს პაპის ძალაუფლება მთელმა ფრანგულმა ეკლესიამ ცნო. როგორც ვიცით, ეს ძალაუფლება სიტყვით დიდი ხანია აღიარებული იყო, მაგრამ საქმით – ნაკლებად და ფრანკების სამღვდელოება, საერო ხელისუფლების მხარდაჭერით, ეკლესიის საქმეებს თვითნებურად განაგებდა. და ახლაც, ეს აღიარება წინააღმდეგობის გარეშე როდი იყო მიღებული. საფრანგეთის სამი გავლენიანი ეპისკოპოსი: რუანის, რეიმისა და სენისა, რომელთაც პაპმა ომოფორები გაუგზავნა, მათ მიღებაზე დიდხანს არ თანხმდებოდნენ, რადგან ამაში რომის პაპის ძალაუფლების აღიარებას ხედავდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბონიფაციუსის სიმტკიცემ მათი წინააღმდეგობაც დაამარცხა.

ყველაზე ძნელი ბონიფაციუსისთვის მრავალრიცხოვან მქადაგებელთან ურთიერთობა იყო, რომლებიც, თითქმის ყველანი, დამოუკიდებელ ძველბრიტანულ ეკლესიას ეკუთვნოდნენ და მთელს გერმანიაში მოღვაწეობდნენ. ბონიფაციუსს, რომელიც პაპის ბოლომდე ერთგული იყო და მისი მეთაურობისადმი მთელი ეკლესიის დაქვემდებარებას ასე გულმოდგინედ ცდილობდა, მათთან აუცილებლად მტრული დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა. გერმანულ მიწაზე ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ და დიდი გავლენაც ჰქონდათ მოპოვებული, რადგან თავდადებით და უანგაროდ მოღვაწეობდნენ და საერთოდაც, ხალხი მათ უფრო ხალისით უსმენდა, ვიდრე იმ მქადაგებლებს, რომლებიც ხელისუფლებასთან ერთობით მოქმედებდნენ და ქრისტიანული სარწმუნოება პაპისადმი მორჩილების პირობით შემოჰქონდათ.

საკუთარ სამშობლოში რომის გამარჯვებით ღრმად განაწყენებული ძველბრიტანული ეკლესიის მქადაგებელნი თავიანთი აღმსარებლობის ზეიმს გერმანიაში იმედოვნებდნენ; ისინი ბონიფაციუსს დიდხანს და შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდნენ და სძულდათ ის სახელმწიფოებრივი წყობილება და წესრიგი, რომელიც მას ეკლესიაში შემოჰქონდა; სამღვდელოების უქორწინებლობასა და საეკლესიო იერარქიას უარყოფდნენ და რომის მრავალ ადათწესს, როგორც ცრუმორწმუნეობის გამოხატულებას, გმობდნენ. ზოგიერთი მათგანის მტრობამ ყოველივე იმისადმი, რასაც რომის

ეკლესია ქადაგებდა, რომელსაც გარეგნულობისაკენ მიდრეკილება ყოველთვის ჰქონდა, ისეთ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, რომ ყოველგვარ გარეგნულ ადათს, როგორც ბოროტებას, უარყოფდა; ხოლო სხვები, რომლებიც ეკლესიის მიერ უკვე დიდი ხნის წინათ უარყოფილ ადათებს ჯიუტად და ცრუმორწმუნეობით იცავდნენ, ერესთან ძალიან ახლოს მდგომ სწავლებას თვითონ ქადაგებდნენ. მათსა და ბონიფაციუსს შორის შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ ძალები არათანაბარი იყო; ბონიფაციუსს ძალაუფლება ჰქონდა. პაპები მას არა მხოლოდ ნებას რთავდნენ, არამედ ბრძანებასაც აძლევდნენ, რომ „ბრიტანელი ერეტიკოსების“ წინააღმდეგ მთელი სიმკაცრით ემოქმედა. ზოგიერთი მათგანი, რომელნიც საეკლესიო კრებებზე განსაჯეს, საპყრობილეებში ჩაამწყვდიეს ან განდევნეს, როგორც მაგალითად, მქადაგებლები ადალბერტი, კლიმენტი და ვერგილიუსი; მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ბონიფაციუსის ძალისთვის, რომელსაც მხარს არა მხოლოდ რომი, სადაც მესამედაც იმოგზაურა, არამედ ბოლოს უკვე ყველა ადგილობრივი ხელისუფლებაც უჭერდა, ყველას უნდა დაეთმო. ასე რომ, დამოუკიდებელი ეკლესია გერმანულ მიწაზეც დამარცხდა.

თავისი ორმოცწლიანი მოღვაწეობის დასასრულს ბონიფაციუსმა ღმრთისმოსაობის მტკიცე წესებით მოწყობილი და პაპის ტახტისადმი დამორჩილებული ეკლესია იხილა. დამარცხებულ იქნა გალიკანის ეპისკოპოსთა წინააღმდეგობაც და ძველბრიტანული აღმსარებლობაც. თვითონ ბონიფაციუსს, რომელიც მთელს გერმანიაში მის დაარსებულ საეპისკოპოსოებს ზედამხედველობდა, საკუთარი ეპარქია დიდხანს არ ჰქონდა და მხოლოდ აღსასრულის წინ იქნა დანიშნული მაინცის ეპისკოპოსად.

მაგალითისათვის იმისა, თუ როგორ ცხოვრობდნენ ფრანკი ეპისკოპოსები, ამ ეპარქიაში ბონიფაციუსის წინამორბედ ეპისკოპოსებს გავიხსენებთ. კარლოს მარტელის მმართველობისას მას ერთი ცოლშვილიანი მხედართმთავარი განაგებდა. როცა ეს არქიეპისკოპოსი – მხედართმთავარი ომში მოკლეს, კარლოსმა დაობლებული ოჯახისათვის შემწეობის აღმოჩენა მოისურვა და ეპარქია მოკლულის შვილს გადასცა. ახალი ეპისკოპოსი გევილიბიც მამის მსგავსად მეომარი იყო და მეორე წელს ლაშქრობაში წავი-

და. შურისძიებით ანთებულმა, მან სათათბიროდ მიიწვია ის, ვისი ხელითაც მამამისი დაეცა და სიცოცხლეს ღალატით, საკუთარი ხელით გამოასალმა. იმდროინდელ ეპისკოპოსთა შორის მსგავსი საქციელი იშვიათი არ ყოფილა, მაგრამ ბონიფაციუსმა გევილიბის ჩამოგდება დაჟინებით მოითხოვა.

ახალ პაპს, ზაქარიას, ბონიფაციუსმა გამოსთხოვა უფლება (რომლის მიცემასაც მას ჯერ კიდევ გრიგოლ III შეჰპირდა), რომ მემკვიდრე სიცოცხლეშივე აერჩია და მისთვის მაინცის მთავარეპისკოპოსისა და გერმანიის პრიმასის წოდება გადაეცა: პაპი, რომელსაც ეშინოდა, რომ გერმანიის დიდი ეკლესია, სათავეში პრიმასით, დამოუკიდებელი არ გამხდარიყო, უხალისოდ დათანხმდა. ბონიფაციუსისთვის უარის თქმა შეუძლებელი იყო და მანაც თავისი წოდება და უფლებანი თავის თანამემამულესა და მოწაფეს ლულას (754) გადასცა.

იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, ბონიფაციუსმა თავისი უკანასკნელი დღეების იმ საქმისთვის მიძღვნა მოისურვა, რომლითაც მოღვაწეობა დაიწყო, სახელდობრ, ქადაგებისთვის ფრიზებთან, რომელთა უმრავლესობაც, მიუხედავად მრავალი მახარებლის მოღვაწეობისა, ისევ წარმართი იყო. ორმოცდაათი თანამოღვაწის თანხლებით, რომელთა დიდ ნაწილსაც ბერმონაზვნობა შეადგენდა, იგი რეინის შესართავისკენ დაეშვა, ზიუიდერე გადავლო და კარვები მდინარე დორნის პირას გაშალა. აქედან მან მიმდებარე ადგილები მოიარა და წარმართებს იესო ქრისტეს მეშვეობით გადარჩენისკენ მოუწოდა. რამდენიმე ათასი ადამიანი მართლაც მოინათლა. ბონიფაციუსმა ახლადმოქცეულებს მირონის ცხებისათვის დანიშნულ დღეს მისვლა უბრძანა და მხლებლებთან ერთად კარვებს დაუბრუნდა.

ამ დღეს, 755 წლის 5 ივნისს, განთიადისას მას მოახლოებული ბრბოს ხმაური შემოესმა და მის შესახვედრად სიხარულით გამოვიდა, რადგან ეგონა, რომ ესენი მისი ახლადმოქცეული შვილები იყვნენ. მაგრამ ეს იყო ბრბო შეიარაღებული წარმართებისა, რომელთაც თავიანთი ღმერთების შეურაცხყოფისათვის მახარებლებზე შურისძიება გადაეწყვიტათ. ბონიფაციუსის მხლებლებმა იარაღის აღება დააპირეს, მაგრამ მან შეაჩერა ისინი და უთხრა: „განმხნევდით ღმერთით და სულით მტკიცენი იყვენით; სასოება

გქონდეთ უფლისა და ნუ გეშინიათ მათი, რომელთაც სხეულის მოკვლა შეუძლიათ". აღმართა რა თავს ზევით სახარება, მოხუცი სასიკვდილო დარტყმას მშვიდად შეეგება და სული უფალს უშფოთველად მიაბარა. იგი ამ დროს 78 წლისა იყო. სარწმუნოებისათვის თავი მისმა თანამოღვაწეებმაც დადეს. ბონიფაციუსის ნეშტი მის საყვარელ ფულდის მონასტერში გადაასვენეს, ხოლო ფრიზებთან მისი დაწყებული საქმე წარმატებით გააგრძელა მისმა მოწაფემ გრიგოლმა, რომელიც 14 წლის ასაკში დაემოწაფა და რწმენისთვის მხურვალე მოშურნეობით გამოირჩეოდა.

ბონიფაციუსის მოღვაწეობას სხვადასხვაგვარად აფასებენ; მაშინ, როცა ერთნი მის წინაშე, როგორც გერმანიის ეკლესიის დამაარსებელისა, მოწიწებას ამჟღავნებენ და მთელ მის მოღვაწეობას ნაყოფიერად მიიჩნევენ, მეორენი პაპის ძალაუფლების გაძლიერებისათვის ხელის შეწყობისა და იმისთვის საყვედურობენ, რომ, ისწრაფოდა რა ეკლესიის გარეგნულად კეთილმოწყობისაკენ, მრავალი კეთილი წამოწყება ჩაახშო, რომელნიც ადრინდელმა მქადაგებლებმა შემოიტანეს; მაგრამ მის სრულ გულწრფელობას, უანგარობასა და თავდადებას ყველა აღიარებს და გაკვირვებას მისი მტკიცე, განუხრელი ნებით, ფართო, პრაქტიკული გონებითა და არჩეული საქმიანობის სრული ერთგულებით, ყველა გამოხატავს. ყოველივე ეს მას უფლებას აძლევს იწოდებოდეს გერმანიის მოციქულად, თუმცა, როგორც ვნახეთ, ამ მხარისთვის პირველი მქადაგებელი არ ყოფილა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საშინელმა უწესრიგობებმა ფრანკთა ეკლესიაში, საერო ხელისუფლების თვითნებურმა ჩარევამ მის მართვაში, ქრისტიანული განათლების დაცემამ, რა თქმა უნდა, საბაბი მისცა მას, ეფიქრა, რომ რომის სულიერი ძალაუფლების ქვეშ ის სულიერი საწყისები, რომლებზეც ეკლესიაა დაფუძნებული, უკეთესად შეინახებოდა და განვითარდებოდა. თვითონ ბონიფაციუსი მისთვის მინდობილი სამწყსოს განათლებისა და ეკლესიაში ნელ-ნელა შემოპარული უწესრიგობისა და ბოროტმოქმედებათა მოსპობისათვის გულწრფელად და აქტიურად ზრუნავდა; მტკიცედ ებრძოდა, აგრეთვე, თანამდებობათა გაყიდვას და სამღვდელოების დაუდევარ დამოკიდებულებას საკუთარი მოვალეობებისადმი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომის ტახტს დიდ

პატივს სცემდა, გაბედულად ეუბნებოდა პაპს იმ ბოროტქმედებათა შესახებ, რომელიც მისგან იყო ნებადართული. მაგრამ რომი, ისწრაფოდა რა გარეგნული ძლიერებისაკენ, უკვე მცდარ გზას ადგა და მისი ეკლესიის მოღვაწეობა ყოველწლიურად ჭეშმარიტად ქრისტიანულ საწყისებს სულ უფრო და უფრო შორდებოდა; ქადაგება წარმართებთან სულ უფრო და უფრო იძენდა ბრძოლის ხასიათს მათ დასამორჩილებლად პაპის ხელისუფლებისათვის.

გარეგნულად პაპის ძალაუფლების აღიარება ქრისტიანული ეკლესიის დამკვიდრების გზა იყო, ხოლო სინამდვილეში იგი მთავარ მიზანს წარმოადგენდა, რომლისთვისაც ქვეყნის ჭეშმარიტ განათლებაზე ზრუნვას ივიწყებდნენ. აშენდებოდა ეკლესია-მონასტრები და ქვეყანა უკვე ქრისტიანულად ითვლებოდა, მაშინ, როცა ხალხს მხოლოდ ნათლობა ჰქონდა მიღებული და ღმრთისმსახურებას ისმენდა, მაგრამ სარწმუნოების შესახებ ძალიან ცოტა რამ იცოდა და ეს უმთავარესად იმ მიზეზით, რომ რომაული ეკლესია ღმრთისმსახურებას ყველგან ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუგებარ ლათინურ ენაზე ასრულებდა და არც წმინდა წერილის მათთვის მშობლიურ ენაზე თარგნისათვის იწუხებდა თავს. როგორც გამონაკლისი, იმ ქვეყნის ენის ცოდნას, სადაც მოღვაწეობდა და ახლადმოქცეულთათვის ყველაზე აუცილებელი ლოცვების მათ მშობლიურ ენაზე თარგმნას საჭიროდ მხოლოდ ზოგიერთი მოშურნე მქადაგებელი თვლიდა. ასეთი ხასიათი ჰქონდა რომაელ მახარებელთა მოღვაწეობას VIII–IX საუკუნეებში, როცა მრავალი ხელშემწყობი პირობის გამო პაპის ხელისუფლება როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთშიც სწრაფად გაიზარდა.

ბონიფაციუსის მოწაფე და მემკვიდრე ლულა, პაპის ტახტის ნაკლებ ერთგული გამოდგა. პაპები მას უნდობლად უყურებდნენ და მისთვის მიცემული უფლებების შეკვეცას ცდილობდნენ. შემდგომში მაინცს უფლებრივად კელნის, ზალცბურგისა და პასაუს ეპარქიებიც გაუთანაბრეს, მაგრამ მაინცი მაინც უფრო დიდი პატივით სარგებლობდა.

თავიანთი სარწმუნოება და დამოუკიდებლობა სხვა გერმანულ ტომებთან შედარებით უფრო შეუპოვრად საქსონელებმა დაიცვეს. ახალ სარწმუნოებას მათ შორისაც დასაბამი ინგლისელმა მახ-

არებლებმა დაუდეს, რომელთაგან პირველებმა, ორმა ეგბერტმა, რწმენას სიცოცხლეც შესწირა. შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში, საქსონელების დამორჩილებას და იძულების წესით მათ მონათვლას ფრანკები ცდილობდნენ; ვერაფერი გააწყო მათთან ვერც ბონიფაციუსმა, რომელიც მათ საზღვრებამდე ხშირად აღწევდა; საქონელთა მოქცევა მხოლოდ მე-8 საუკუნის მიწურულში მოხდა, თუ შეიძლება ქვეყანაში ქრისტიანობის მახვილით შეტანას მისი მოქცევა ეწოდოს. ეს უკვე კარლოს დიდის დროს იყო, რომელიც საქსონელებს შეუპოვრად ებრძოდა; მის მხედრობას უკან მღვდლები და ბერები მიჰყვებოდნენ, რომელნიც დამარცხებულებს ნათლავდნენ, მათ წმინდა ხეებსა და მუხნარებს ჩეხდნენ და ეკლესიებს აგებდნენ. მაგრამ საქსონელებს ქრისტიანობა, როგორც მტრების სარწმუნოება, სძულდათ და მათი მეომარი ბელადის, ვიტიკინდის, ყოველ საბრძოლო წარმატებას შედეგად ქრისტიან მახარებელთა დევნა, ეკლესიათა ნგრევა და კერპების აღმართვა მოსდევდა. ასეთ ქმედებათათვის მათ სამაგიეროს სასტიკად უხდიდნენ: ერთხელ კარლოსმა 4500 საქსონელის სიკვდილით დასჯა ბრძანა.

ბოლოს და ბოლოს, ოცდაათწლიანი ბრძოლის შემდეგ, მე-8 საუკუნის მიწურულში საქსონელები საბოლოოდ დამარცხდნენ, მათი მთავარი ბელადები მოინათლნენ და მთელს მხარეში მღვდლები და ბერები დაიგზავნენ; აშენდა მრავალი ეკლესია და რამდენიმე ეპარქია დაარსდა; ახლადმოქცეულნი სამღვდელოების სასარგებლოდ მეათედი გამოსაღებით დაიბეგრა, მაგრამ ბევრი ისევ ფარულად კერპების თაყვანისმცემლად რჩებოდა და არაფერი იცოდა რა რწმენის შესახებ, ქრისტიანად მხოლოდ სახელით იწოდებოდა.

კარლოსმა უმკაცრესი კანონები გამოსცა: სიკვდილით ისჯებოდა ყველა, ვინც ნათლობის მიღებაზე უარს იტყოდა, ვინც მისი მიღების შემდეგ წარმართულ ადათებს საიდუმლოდ აღასრულებდა და ვინც ეკლესიებს გადაწვავდა. ამგვარი ზომების გამოყენება, რომელიც მოქცევის არა სიწრფელეზე მეტყველებს, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელებას ვნებდა.

კარლოს დიდი ცდილობდა ქრისტიანობა უფრო შორს, ავარებს, რომლებიც პანონიაში დაამარცხა, ხორუტანებსა და მორავებს

შორისაც გაევრცელებინა. ამისთვის ზალცბურგის ეპისკოპოსი არნოც ზრუნავდა, მაგრამ წარმატება მცირე იყო: ხალხისთვის გაუგებარ ენაზე ნაქადაგები ქრისტიანული სარწმუნოება ვერც განმტკიცდა და ვერც გავრცელდა. მაგრამ პაპები ქვეყანას, რომელშიც ეკლესიები აიგებოდა და ეპარქიები დაარსდებოდა, მაინც თავისად და ქრისტიანულად მიიჩნევდნენ.

დაგვრჩა რამდენიმე სიტყვის თქმა ესპანეთის ეკლესიაზე. იქ მეხუთე საუკუნის ნახევრიდან არიოზელი ვესტ-გოთები ბატონობდნენ, მაგრამ ნიკეის აღმსარებლობისათვის არავის სდევნიდნენ და ბოლოს თანდათანობით თვითონაც მოიქცნენ. ესპანეთში წამების პირველი ცნობილი შემთხვევა მე-6 საუკუნის ბოლოს მოხდა. უფლისწული ერმენგელდი, რომელიც არიოზულ სარწმუნოებაზე იყო აღზრდილი, თავისი ახალგაზრდა ცოლისა და სევილიის ეპისკოპოსის ლეანდრეს შეგონებით ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცა, მაგრამ მამის, მეფე ლეოვიგელდის სიმკაცრემ და განსაკუთრებით იმ შეურაცხყოფამ, რომელიც დედამთილმა მის ცოლს მიაყენა, იმდენად გააღიზიანა, რომ მამის წინააღმდეგ ხელში იარაღი ააღებინა. დამარცხებული უფლისწული საპყრობილეში ჩაამწყვდიეს. მეფემ მას იმ პირობით, რომ არიოზელობას დაუბრუნდებოდა, პატიება და თავისუფლება შესთავაზა, მაგრამ ერმენგელდისთვის რწმენა სიცოცხლეზე ძვირფასი გახდა. მან თავისი აღმსარებლობა მტკიცედ დაიცვა, ტანჯვა და პატიმრობა დაითმინა და მოწამეობრივად აღესრულა. მის ხსენებას ეკლესია პირველ ნოემბერს აღასრულებს. ერმენგელდის სიკვდილის შემდეგ, ლეოვიგილდის მეორე ვაჟი, რეკადერიც, რომელმაც მამის მემკვიდრეობა მიიღო, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცა და ამგვარად არიოზელობა ესპანეთშიც დაეცა (586).

მე-6 საუკუნის ბოლოს მოხდა, აგრეთვე, ესპანეთში მოვლენა, რომელსაც სამწუხარო შედეგები უნდა მოჰყოლოდა. ესპანეთის სამღვდელოებას, რომელიც უფლებისმოყვარეობითა და მოუთმენლობით დასნეულდა, დანარჩენი ეკლესიის ატანა უჭირდა; სხვა რწმენის მიმდევართა წინააღმდეგ იგი ხშირად სცემდა საშინელ, სისხლიან კანონებს, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ქრისტიანულ სულისკვეთებასთან; ამასთან, იგი სახელმწიფო საქმეებზე

გაბატონებასაც ეძიებდა. კრებაზე, რომელიც **ტოლედოში** გაიმართა, სამღვდელოებამ რწმენის სიმბოლოში ცვლილების შეტანა, რაც მესამე მსოფლიო კრების მიერ აკრძალული იყო, თვითნებურად გადაწყვიტა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, მე-5 მსოფლიო კრებაზე იმპერატორი იუსტინიანე დაჟინებით მოითხოვდა, რომ სიმბოლოში ნაცვლად ქალწული მარიამისა, მარადქალწული მარიამი შეეტანათ, მაგრამ მამებმა, რომელთაც მსოფლიო კრების დადგენილების დარღვევისათვის თავი უფლებამოსილად არ მიაჩნდათ, ეს წინადადება ერთსულოვნად უარყვეს.

მიუხედავად ამისა, 589 წელს ტოლედოს კრებაზე ესპანელმა ეპისკოპოსებმა, მხედველობაში ჰქონდათ რა ახლად დამხობილი არიოზელობა, ღმრთისმსახურებაში რამდენიმე სიახლე შეიტანეს: აღმოსავლეთის ტრადიციის მიხედვით, ხშირი გამეორება ყოვლადწმიდა სამების დიდებისმეტყველებისა და ევქარისტიის საიდუმლოს აღსრულების წინ სარწმუნოების სიმბოლოს ხმამაღლა წაკითხვა; გარდა ამისა, არიოზელთა დასაყვედრებლად, ფიქრობდნენ რა, რომ ამით ძე ღმრთისას ღირსებას აღამაღლებდნენ, სიმბოლოში ჩაამატეს, რომ სულიწმიდა ძისაგანაც გამოდის (filioque). არეულობათა და მღელვარებათა პერიოდში, როცა ეკლესიებს ერთმანეთთან ურთიერთობა იშვიათად უხდებოდათ, ამ მოვლენას, რომელმაც შემდეგ სერიოზული შედეგები გამოიღო, სათანადო ყურადღება ვერ მიექცა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

სამყარო ქრისტეს მოსვლის წინ ... 3
მოციქულთა ეკლესია იერუსალიმში ... 9
ეკლესიის დევნის დასაწყისი ... 14
ღვაწლი თავთა მოციქულთა ... 19
ქრისტიანთა პირველი დევნის პირველი პერიოდი ... 41
ღვაწლი დანარჩენ მოციქულთა ... 50
იუდეას ომი და იერუსალიმის დაცემა ... 56
წმ. იოანე ღმრთისმეტყველი და ქრისტიანთა დევნის II პერიოდი ... 68
მოციქულთა მოწაფენი. პირველი სახე ქრისტიანული ღმრთისმსახურებისა ... 74
პირველი ერეტიკული მიმდინარეობანი ... 85
წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი ... 91
პირველი ქრისტიანი მოწამენი ... 97
ქრისტიანთა დევნის IV პერიოდი. წმ. მოწამე იუსტინე ... 104
წმიდა პოლიკარპე სმირნელი ... 111
ქრისტიანთა დევნა მარკუს ავრელიუსის დროს ... 116
ერეტიკული სწავლებანი მეორე საუკუნის ბოლოს ... 121
პირველი ქრისტიანი მწერლები და განათლება ... 124
ქრისტიანთა დევნის V პერიოდი ... 129
ორიგენე ... 133
წმიდა გრიგოლ ნეოკესარიელი ... 143
ქრისტიანთა დევნის VII პერიოდი ... 149
წმიდა მოწამე კვიპრიანე კართაგენელი. ქრისტიანთა დევნის VIII პერიოდი ... 163
დევნის X პერიოდი. ეკლესია მეორე-მესამე საუკუნეებში ... 177
კონსტანტინე დიდი და პირველი მსოფლიო კრება ... 210

წმიდა ნინო. ქართლის მოქცევა 231
ქრისტიანობის გავრცელება ეთიოპიასა და ტავრისში 235
კონსტანტინეპოლის დაარსება 237
წმინდა ათანასე დიდი 241
ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის მოღვაწენი 267
ეკლესია იულიანე განდგომილის მეფობის წლებში 290
არიოზელთაგან ეკლესიის დევნის მეორე პერიოდი 304
წმიდა ბასილი დიდი 307
არიოზელთაგან ქრისტიანთა დევნის დასასრული 342
წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი 347
წმიდა გრიგოლ ნოსელი 364
მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება 368
წმ. ამბროსი. იერონიმე. მარტინ ტურელი. პავლინე ნოლელი 373
ეკლესია თეოდოსი დიდის დროს 392
წმინდა იოვანე ოქროპირი 404
ნეტარი ავგუსტინე 429
პელაგიუსის ერესი. რომის იმპერიის დაცემა 440
ნესტორის ერესი და მესამე მსოფლიო კრება 453
მონოფოზიტური ერესი და მეოთხე მსოფლიო კრება 459
იმპერატორი იუსტინიანე დიდი და მეხუთე მსოფლიო კრება 470
ქრისტიანობა საქართველოში 477
ქრისტიანობა სპარსეთსა და სომხეთში 505
წმინდა მოღვაწენი და საეკლესიო მწერლები
აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებში 508
ქრისტიანული ერის დასაწყისი ბრიტანეთსა და გალიაში 524
ეკლესია ინგლისში. ბრძოლა რომის ეკლესიისა
ძველბრიტანულ ეკლესიასთან 535
ეკლესია ცენტრალურ ევროპაში მეცხრე საუკუნემდე 551
სარჩევი 574

ქრისტიანული ეკლესიის ისტორია

I ს.–XV ს-ის შუა წლები

ტომი I

გადმოსცა **გვანცა კოპლატაძემ**

მეექვსე შევსებული გამოცემა

ასოთამწყობი ი. ექვთიმიშვილი
დამკაბადონებელი ნ. მამულაშვილი
დიზაინი ბერი გ. რუხაძისა

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2019
თბილისი, ერეკლე II მოედ. №1
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23
ელ. ფოსტა: madli.ssg@rambler.ru



Гванца Коплатадзе

ИСТОРИЯ ХРИСТИАНСКОЙ ЦЕРКВИ
(на грузинском языке)

Ред. мон. Г. Рухадзе
Рец. Т. Шакиашвили
Издательство Грузинской Патриархии
Тбилиси, 2019

ხელმოწ. დასაბეჭდად 19.03.2019. ტირაჟი 1000.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.